

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
კ. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

# ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები

## წიგნი VI

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და  
საძიებლები დაურთეს

ენრიკო გაბიაშვილმა და ვიხაილ ქავთარიაშ

რედაქტორი მ ზ ე ქ ა ლ ა შ ა ნ ი ძ ე

„ქელი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ წინამდებარე VI ტომში შეტანილია ანტონ ბაგრატიონის (ანტონ I კაიალიკოსის) ორიგინალური მარტივოლოგიური ხასიათის თხზულებათა კრებული „მარტივია“. „მარტივია“ ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის უკანასკნელი ეტაპია. კრებულში შესული ოცი თხზულებიდან უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. ტექსტების პუბლიკაციას ერთეის გამოკვლევა „მარტივიის“ ლიტერატურულ-ენობრივი საკითხების შესახებ, ლექსიკონი და საძიებლები.

„მარტივიის“ გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს ანტონის ლიტერატურული მოღვაწეობის შესასწავლად და მისი ენის თავისებურებათა გასათვალისწინებლად.

წინამდებარე VI ტომით მთავრდება ქართული ორიგინალური პაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების პუბლიკაცია (ამავე სერიის V წიგნი, რომელშიც XVIII ს. სხვა ავტორების პაგიოგრაფიული ტექსტები შეეა, დაიბეჭდება 1981 წელს).

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1390

რეცენზენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები

შ. ლოლაქიძე ვ. ნინუა,

გამომცემლობის რედაქტორი უ. ჯიმუღელი

ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა

კორექტორი თ. გიგინეიშვილი

გადაეცა წარმოებას 25/III-79; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/IV-80 წ. ქალაქის  
ზომა 60×90/16; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 40,3; სააღრიცხვო-საგამომც.  
თაბახი 36,8; უე 07300; ტირაჟი 1500; შეკვეთა № 759. ფასი 4 მან.

70202

d \_\_\_\_\_ 130—80 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.

M 607(06)—80

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ გამსახკომის თბილისის № 4 სტამბა  
380060, მედქალაქის II კორპ.  
Тбилисская типография № 4 Госкомиздата  
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок, II корп.





## ტექსტიკონის

ანტონ ბაგრატიონის (ანტონ I) ორიგინალური ჰაგიოგრაფიული კრებულის „მარტირიკის“ პირველი გამოცემისათვის ორი ხელნაწერი გამოვიყენეთ: Q—78 (1769 წ. 28 XI), რომელიც ვარიანტების ჩვენებისას სქოლიოში A ლიტერით აღვნიშნეთ, და S—1272 (1768-69 წწ.)—B ლიტერით არის აღნიშნული. დანარჩენი ნუსხები გვიანდელია, ორთოგრაფიული სიჭრელისა და ლაფსუსების მეტს არაფერს იძლევიან და ამიტომ აღარ გამოვიყენეთ.

ძველის ორთოგრაფია ჩვენ ძირითადად უცვლელად დავტოვეთ, რათა მკითხველისათვის უფრო ნათელი ყოფილიყო ანტონ I-ის და მისი სკოლის მიერ დანერგილი მართლწერის თავისებურება. კერძოდ: ძველში ისევე, როგორც XVIII ს. II ნახევარში შექმნილ თუ გადაწერილ სხვა ხელნაწერებში, აღრეულია ვ-ინისა და უმარცვლო უ-ნის ხმარება: იქ, სადაც ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით მოსალოდნელი იყო ვ, უმეტეს შემთხვევაში წერია უმარცვლო უ, მაგრამ უიშვიათესია შემთხვევები, რომ უმარცვლო უ-ს ნაცვლად ეწეროს ვ: შეგვირაცხიეს (183,14), ყვითელ (352,15) და სხვ. უმარცვლო უ იხმარება ავ თემონიშნიან ზმნების საწყისებში და მისგან ნაწარმოებ მიმღობებში: ლოცუამ (143,35), ლოცესა (91,20), მლოცუშლი და სხვა მრავალი. მხოლოდ იშვიათად გვხვდება „ლოცვისა“. ასევეა: მარხუამ, შეკრუად, შერთუად, ხილუა და სხვა უამრავი. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ უმარცვლეს შემთხვევაში თანხმოვნის შემდეგ ვ-ს ნაცვლად უ-ს ვხვდებით, მიუხედავად იმისა, ძირეულია ვ თუ ხმოვანდაკარგული ავ სუფიქსის ნაშთი. თუმცა იშვიათად ძველი ქართული ენის ნორმებიცაა დაცული: მწუანვილოვანთა (130,35), მოკლეისათეს (131,29), იხილვის (143,24), ჰხედვიდა (94,17), განელნა (94,15), განწინხვიდა (94,23), შთაგიკრვიეს (95,17), წარვლო (96,11), დაიბძარვოდეს (96,26), სურვილი (131,33), სურვილისათა (106,2). ასევე ყოველთვის უმარცვლო უ გვხვდება სიტყვებში: ქართუშლი, საქართუშლო, ქუა, პირუშლი და სხვა. მსგავსი ფორმების უნიფიცირება არასასურველად ჩავეთვალეთ და ტექსტის მისთვის დამახასიათებელი ორთოგრაფიული სიჭრელე შეეუწნარჩუნეთ. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებული ნუსხები ასეთი სიტყვების დაწერილობაში განსხვავებას იძლევიან, უპირატესობა მივეცით ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით სწორ ფორმებს. მაგ. A ნუსხის „ლოცვისა“ ძირითად ტექსტში დავტოვეთ, ხოლო B ნუსხის „ლოცესა“ ვარიანტებში ჩავიტანეთ, მიუხედავად იმისა, რომ „ლოცვისა“ ორივე ნუსხისათვის უიშვიათესი ნიმუშია. უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ვ პირის ნიშანი

უმარცვლო უ-ნითაა წარმოდგენილი: აღუაესოთ (132,18), განუბანო (95,15), აღუადგინოთ (132,23), აღუასრულე (408,29).

ცალკე უნდა შევეხოთ „პირველ“ სიტყვის დაწერილობას. ეს სიტყვა ორივე ნუსხის ტექსტში თითქმის ყოველთვის დაქარაგმებულია „პ~ლი“. მაგრამ რადგანაც A ნუსხაში ეს სიტყვა შეგვჩვენა გახსნილი „პირუჭლი“ (ერთხელ ქვესათაურში და 19-ჯერ ტექსტის ქულად გამოყენებულ წარწერაში. B ნუსხაში ტექსტი ქულები არა აქვს, ხოლო ქვესათაურში ეს სიტყვა დაქარაგმებულია), ჩვენ საჭიროდ მივიჩნით ყველგან ქარაგმა ასე გაგვეხსნა: პირუელი (რადგან მ-ს უმ კომპლექსში არ აღვნიშნავთ). უნდა აღვნიშნოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სიტყვებში ქარაგმის გახსნისას გარკვეული სიძნელეები შეგვხვდა: ძველ ქართულში ცნობილი „რაათა“ ტექსტში უმთავრად, როგორც მოსალოდნელი იყო, დაქარაგმებული გვხვდება: რ ა. რადგანაც ტექსტში ათეულობით გვაქვს შემთხვევა, როდესაც კავშირი „რაათა“ ფორმითაა გახსნილი, ამიტომ ყველა ქარაგმიანი რ~ა ასევე გავხსენით, მიუხედავად იმისა, რომ „მარტირიკის“ ტექსტისათვის ჩვეულებრივია „რაათამცა“ ფორმების ხმაურება, ერთხელ „რაათა“ ფორმაც გვხვდება. დაქარაგმებული „წწ~რმეტყ~ლი“ ყველგან გავხსენით „წინასწარმეტყუელი“, რადგან ასეა ეს სიტყვა ტექსტში რამდენჯერმე, სხვაგვარად გახსნის შემთხვევა არა გვაქვს. რთული გამოდგა სიტყვა „ღმერთთან“ დაკავშირებულ დაქარაგმებულ სიტყვებში ქარაგმის გახსნის ერთგვარობისათვის მიგვეღწია, რადგან ტექსტმა ამის საშუალება არ მოგვცა: უქარაგმოდ დაწერილი სიტყვათა ფორმები სხვადასხვაგვარია. გვხვდება: „საღმთოთა (360,3), საღმთოთსა (360,27, 335,27), ღუთაებისა (80,37), ღუთაებრ (365,29), ღუთაებისამან (207,27), მაგრამ გაცილებით მეტი ოდენობითაა „საღმრთოთსა“, „ღმრთისა“, „უღმრთოთსა“ და მსგავსი ფორმები. ამიტომ დაქარაგმებული მსგავსი სიტყვების გახსნისას უპირატესობა უკანასკნელს მივეცით, თუმცა ხელუხლებლად დავტოვეთ ზემოთმოტანილი უქარაგმო ფორმებიც. ამ სიტყვის ერთ-ერთი დაქარაგმებული ფორმა გავხსენით სხვაგვარად: ტექსტში რამდენიმეჯერ გვხვდება დაქარაგმებული „ღთ~უ“ (327,18), ღ~უ (327,18), ღი~უ (339,15). რადგანაც ეს სიტყვა თვით ტექსტში უქარაგმოდ წარმოდგენილია მხოლოდ ერთხელ „ღუთითუ“ ფორმით, ზემოთაღნიშნული ფორმებიც ასევე გავხსენით.

„უკ~თუ“ ქარაგმიანი ფორმა გავხსენით ასე: „უკეთუ“ (მღრ. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი „უკუეთუ“), რადგან

ტექსტში რამდენიმე ადგილას ეს სიტყვა ასე არის გახსნილი. ასევე უმარცვლო უ-ს გარეშეა უქარაგმოდ დაწერილი სიტყვები: ალტქმა (123,32,33), საკმეველი (127,35), თქმულისა (344,22), ალტქმათათუს (9019), გულისთქმისა (141,35). მსგავსი სიტყვების დაქარაგმებული ფორმები ჩვენ უ-ს გარეშე წარმოვადგინეთ.

უშ კომპლექსი დამახასიათებელია ტექსტიკისათვის. „მარტირიკის“ ორივე ხელნაწერში უმარცვლო უ-ს ყოველთვის, როგორც წესი, ზ მოსდევს. ეს ფაქტი „მარტირიკაში“ კანონზომიერია. ამდენად მოვერიდეთ გამოსაცემი ტექსტის გადატვირთვას მ ნიშნით და ყველგან უშ-ს ნაცვლად „უე“ დავწერეთ. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ზ-ის ხმარების კანონზომიერი შემთხვევები ტექსტში თითქმის არ გვხვდება; ერთადერთი გამონაკლისია „მეუფე“ (357,1); საფიქრებელია, რომ ამ სიტყვაშიც მ-ს ხმარება შემთხვევითია, რადგან გვხვდება „მეფშო“ და „მარჯუშმა“ ფორმებიც, რაც ადასტურებს რომ აქ მ არ გამოხატავს დიფთონგს. აღნიშნულს მხარს უჭერს ტექსტში მრავლად დადასტურებული ფორმები, რომლებშიც მოსალოდნელი იყო ზ-ს ხმარება, თუკი ანტონი მ-ში ემ დიფთონგს ხედავდა, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო სურათი გვაქვს: ე-ფუძეზე დაბოლოებული სიტყვები სახელობითში ემ-ს გვიჩვენებენ და არა ზ-ს. ტექსტში ჭარბადაა ასეთი ფორმები: „მეფემა, ციხემა, საქმემა, ძემა, მარჯუენემა, სიკეთემა, მოთმინემა“ და სხვ. რა თქმა უნდა, ჩვენ ასეთი მავალითები ხელუხლებლად დავტოვეთ. უცვლელად დავტოვეთ აგრეთვე მ საკუთარ სახელებშიც: სუსანანამ (100,4), ქრისტემა (202,10) და სხვ.

ტექსტში არ არის უნიფიცირებული აგრეთვე მ-ს ხმარების შემთხვევები ხმოვანფუძიან სახელების სახელობითში და ზოგჯერ, უფრო იშვიათად, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში. სამივე შემთხვევაში არის მაგალითები იმისა, რომ სიტყვა მ-ს გარეშეა წარმოდგენილი, მაგრამ მაინც ძირითადად „მარტირიკაში“ მ ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით არის გამოყენებული.

„მარტირიკას“, ისევე როგორც ამ პერიოდის ანტონისა და მისი მოწაფეების ხელიდან გამოსულ სხვა ძეგლებს, ახასიათებს მს კომპლექსის ჭარბი ხმარება არა მარტო იმ ზმნებში, სადაც ობიექტური პირის პრეფიქსად გვიანდელი ქართული ნორმების მიხედვით საეარაუდებელია ს (შდრ. მიქსცემს, მსტყუეს, დაქსტრგუნეს, მსტამეს), არამედ ამავე ზმნების უპირო ფორმებშიც: საწყისებში და მიმლეობებში: „განმსჯანი, მსსახურებთსაგან, შემსსჭუალვისა, აღმსაობისა, მსჯული, მსმენელი, მსსაჯული“ და სხვ. ზოგჯერ ეს

კომპლექსი გათიშულია: კმსახურებდნენ (334,32), შექვსწორავთ (367,30), კმსთავრობდეს (272,20). ყველა ასეთი ფორმა უცვლელადაა დატოვებული, როგორც ძეგლისათვის დამახასიათებელი. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ტექსტში დავტოვეთ „დასცვა“-ს მსგავსი ფორმები, როდესაც ასეთი დასტურდება გამოყენებულ ნუსხებიდან ერთ-ერთში მაინც, ხოლო პარალელური ფორმა მეორე ნუსხიდან „დასცვა“ ჩატანილია სქოლიოში (მაგ. 165,22 და სქ.).

მიზანშეწონილად ვცანით კრიტიკულად დადგენილ ტექსტში არ გადმოგვეტანა ანტონის მიერ „მარტირიკაში“ გამოყენებული ორი ნიშანი: სომხური თანხმოვანთგამყარი 2-ს მიბაძვით შემოღებული და ბერძნულ-რუსულის მიხედვით შემოტანილი  $\Phi$  ნიშანი.

„მარტირიკის“ ტექსტის მიხედვით 2 ნიშანი მხოლოდდამხოლოდ სიტყვის გადატანისას იხმარება იმ შემთხვევაში, როცა წინა სტრიქონში რჩება მხოლოდ ორი ან მეტი თანხმოვანი, თანხმოვნებს შორის დაისმის ნიშანი წყლისას, ბერძნულად, ბერძანა, ქმ-ნილი. ცხადია, ეს ნიშანი A და B ნუსხების ერთსადაიმევე სიტყვებში არ იხმარება, თუკი შემთხვევით ეს სიტყვა ორსავე ნუსხაში ზუსტად ერთნაირად არ არის გადატანილი. ტექსტში არის შემთხვევები, როცა ეს ნიშანი იხმარება სტრიქონს შუაში მოთავსებულ სიტყვებში, მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი მაგალითები დამწერის მიერ შექანიკურად გადაწერილი სიტყვებია, რომლებიც დედანში ერთი სტრიქონიდან მეორეშია გადატანილი და ეს ნიშანიც უზის, ხოლო გადმოწერილ ტექსტში კი სტრიქონის შუაში მოხვდა. 2 ნიშანი ვერ დამკვიდრდა ქართულ ენაში და ჩვენც ამ ნიშნის ხმარება დასაბეჭდ ტექსტში ზედმეტად მივიჩნიეთ.

მ ასო „მარტირიკაში“ იხმარება უცხო ენებიდან ნასესხებ ისეთ სიტყვებში, რომლებშიც ძველი და ახალი ქართული ენა ჩვეულებრივ ფ-ს ხმარობს: ფილოსოფოსი, ფიზიკა, სტერა, პორფირი და სხვ., აგრეთვე საკუთარ სახელებში: აფოცს, ფარსმანს, ნეოფიტოს, ხრისტოფოროს და სხვ. ასეთი ფორმები ჩვენს მიერ მომზადებულ ტექსტში ქართული ფ-თია შეცვლილი და „მარტირიკის“ მონაცემები სქოლიოშიც აღარ ჩავიტანეთ.

„მარტირიკაში“ ანტონს უამრავი წყარო აქვს გამოყენებული და ყოველი მათგანი ამიაზეა მითითებული. ძირითადად აქ ვხვდებით ახალი და ძველი აღთქმის წიგნებს, უფრო იშვიათად საეკლესიო მამებისა და ცნობილი თეოლოგების ნაშრომებს. ანტონს წყაროებზე მითითებისას ასეთი მეთოდი აქვს გამოყენებული: ციტატის დასაწყისი აღნიშნულია ორი პატარა ვერტიკალური სინგუ-

რით დაწერილი ხაზით. მის გასწვრივ აშიაზე ზის იგივე ხაზი და მიწერილია წყაროს დასახელება. ასე რომ, „მარტირიკის“ ტექსტის მიხედვით არ ჩანს ციტატის ბოლო. ჩვენ საგანგებოდ შევამოწმეთ თითოეული ციტატა და გამოცემულ ტექსტში ის ბრჭყალებში ჩავსვით, მიუხედავად იმისა, ციტატა ზუსტია თუ პერიფრაზული. ციტატის პერიფრაზის ბრჭყალებით გამოყოფა მკითხველს გაუადვილებს წყაროდან აღებული ნაწილის განსაზღვრას და არ აერევა ანტონისეულ ტექსტში. მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უცვლელად დავტოვეთ წყაროების ავტორისეული დასახელება (მატ., აპოკალ. (გამოცხადება), 3 რომ., 2 მსჯულ. იუდიტ, ისაია, დანიიელ და სხვ.), წინამდებარე ტექსტში წყაროებზე მითითებები სქოლიოში ჩავიტანეთ, ხოლო ავტორის მიერ ციტატის დასაწყისში გამოყენებული, ვერტიკალური ხაზები (||) შევცვალეთ ვარსკვლავით (\*), რომელიც ციტატის ბოლოში დავსვით. თუ ციტატა ზუსტია, იქ მხოლოდ წყაროებზე მითითება გვაქვს, როგორც ეს ანტონისეულ ტექსტშია, ხოლო თუ პერიფრაზია, წყაროს დასახელებისას მიეუთითებთ: „შდრ“.

წყაროების დასახელებისას ხშირია შეცდომები — ავტორისეული თუ გადამწერისა—რომლებიც ჩვენ გავასწორეთ. ეს გასწორებები საგანგებოდ არ აღვნიშნავს, რათა არ გადაგვეტვირთა სქოლიოები. ზემოთქმული ეხება ახალი და ძველი აღთქმის წიგნებზე მითითებებს (მაგ. ტექსტშია ფილიპ. 2,5, უნდა იყოს ფილიპ. 2,9, 190,32); არის აპოკალ. (გამოცხ.) 13,21, უნდა იყოს (გამოცხ.) აპოკალ 3,21 (190,33). არის მატ. 19,21, უნდა იყოს 19,12 (230,12), არის ფსალ. 86,4, უნდა იყოს ფს. 77,4 (101,5), არის გამოს. 3,18, უნდა იყოს: შესაქ. 9,1-5. ასევე კორინ. 11,9, უნდა იყოს 2 კორინ. 15,9; წ პეტ. 1,71, უნდა იყოს 2 პეტ. 2,1 და სხვ.). ძალიან ხშირად ციტატის დასახელებისას „მარტირიკაში“ მითითებულია ძველი ან ახალი აღთქმის გარკვეული წიგნის თავი და მუხლი, ფაქტიურად ციტატი კი უფრო მეტ მუხლს შეიცავს. ჩვენ ციტატის შემოწმების შემდეგ აღვადგინეთ ფაქტიური სურათი მუხლებითურთ. მაგ არის 1 კორინ. 2,6 — ჩვენ დავეუმატეთ 1 კორინ. 2,6—8 და ა. შ. ასეთი მაგალითები ძალზე ბევრია.

ზოგჯერ „მარტირიკის“ ტექსტში სიტყვას უზის ფრჩხილებში ჩასმული ვარსკვლავი. იგივე ნიშანი ჩატანილია სქოლიოში და მოცემულია ტექსტში აღნიშნული ადგილის კომენტარი (ზოგი ავტორისეული ჩანს, ზოგიც გადამწერისა). აქ „მარტირიკის“ მონაცემები უცვლელად დავტოვეთ.

გამოსაცემად მომზადებულ ტექსტში ვერ აისახა ანტონის

მიერ „მარტირიკის“ ტექსტში გამოყენებული დანარჩენი ორთოგრაფიული და ტექნიკური ნიშნები, როგორცაა უმარცვლო უ-ნის აღნიშვნელი ნიშანი ( $\Delta$ ), კლებული, რომელიც იხმარება საკუთარ სახელთა მოთხრობითი ბრუნვის აღსანიშნავად ( $^{\circ}$ ), მახვილი, რომელიც წარმოადგენს მარჯვნიდან მარცხნივ ირიბად დახრილ ხაზს. იგი ეწერება ასოს თავზე და აღნიშნავს პირდაპირ ობიექტს (მახვილი უკანასკნელ ასოზეა), ზმნის პირიან ფორმაზე დართვისას წართქმით ბრძანებითს, უკუთქმითი (აკრძალვითი) ბრძანების დროს დაესმის უარყოფით ნაწილას (არა, ნუ). სასვენი ნიშნები (წერტილი, ორწერტილი, მძიმე), რადგან მათი გამოყენება არ ხდება თანამედროვე პუნქტუაციის წესების მიხედვით. ასევე უგულვებელყავით გარემორთხმული, რომელიც რთული სიტყვების შესაერთებლად გამოყენებული რკალსებური ნიშანია ( $\cup$ ).

ტექსტის გამოსაცემად მომზადების დროს ძალზე რთული აღმოჩნდა კომპოზიტების დაწერილობაში ერთგვარობის მიღწევა. ჩვენ არ გავითვალისწინეთ კომპოზიტების ანტონისეული დაწერილობა და ძირითადად ეურსი თანამედროვე ქართული ორთოგრაფიაზე ავიღეთ, მაგრამ კომპოზიტების დაწერილობაში სიჭრელეს, ალბათ, მაინც ვერ ავცდით (მაგ. ღმერთ-მამაკაციც შეგვხვდება ტექსტში და ღმერთმთავარიც და სხვა მსგავსი).

„მარტირიკაში“ თითოეული მოწამის ცხოვრების დასაწყისში, შეტანილია ამ მოწამისადმი მიძღვნილი იამბიკოს თითო სტროფი (ამ იამბიკოთა უმრავლესობა ანტონს ძირითადად „წყობილსიტყვაობიდან“ აქვს აღებული). იამბიკო ყოველთვის იმ ფურცლს ქვედა აშიაზუა, სადაც იწყება „წამების“ ტექსტი. ჩვენ აღგილი შევუცვალეთ იამბიკოს, გადაეიტანეთ „წამების“ სათაურის შემდეგ.

საჭიროდ მიგვაჩნია განემარტოთ ხელნაწერთა დასახელებაში და ტექსტის დადგენისას გამოყენებული პირობითი ნიშნები: Q აღნიშნავს ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალ ხელნაწერთა ფონდს. S — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ყოფილ ფონდს. ვარიანტების ჩვენებისას გამოყენებულია შემდეგი ნიშნები: — აღნიშნავს, რომ ნუსხას აკლია, + ნუსხაში შეტია, ~ნიშნავს, რომ ნუსხაში გადასმულია. ] ნიშანი უდრის „ნაცვლად“.

აშიაზე მითითებული ციფრები აღნიშნავენ ძირითადი ხელნაწერის ფურცლების პირველ გვერდს, ხოლო V — მეორე გვერდს.

P. S. წიგნის სათაურში ნახმარი „აგოგრაფიული“ (და არა „პაგოგრაფიული“) უნებლიე შეცდომა არ არის. ეს ფორმა შეგნებულად დავტოვეთ, რომ არ დაგვერღვია ამ სიტყვის მოტანილი ფორმით ხმარების ტრადიცია ამ სერიის I—IV ტომებში.

სადიდებულად ცხოველსყოფელისა  
თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა,  
მამისა და პისა და სულისა წმიდისა

**ანტონისგან**

არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემომისა საქართველომისა,  
დავითიან-გაბრატოვანისა ქმნილი

## **ნიგნი მარჯიჩკა**

შესხვა და ისტორია ქრისტესთვის ვნებულთა  
მოწამეთა ქართულთა და სხვათა

დროსა ყოვლად ბრწყინუალისა უკეთილმსახურესისა და  
უმადლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემომისა საქარ-  
თუელომისასა.

ხოლო მამათმთავრობისა თვისისა  
წელსა დასაბამითგან სოფლისა 7278  
ქორციელად შობითგან სიტყუსა ღმრთისა 1769  
თთუესა შეათერთმეტესა, რიცხუსა 19

/წინასიტყვაობა წინამდებარისა წიგნისა მარტირიკამსა, ქმნილი მისისა უწმიდესობისა ანტონი არხიეპისკოპოსისა ყოელისა ზემომისა საქართველომსა, დავითიან-ბაგრატიონისა, მოწაფეთა მიერ, გაიოს არხიდიაკონისა და თანამოწაფისა მისისა, მისის უმაღლესობის მეფის მოძღურის იოანეს მიერ, ძის გავრიილისათა.

1. კართოლვითი ზენათ მამრწყინი შარაევანდი მეფნი ნათელთა უესებოისა მზისებრ არს დღეს მახლად ძუელ-ქმნილთა სიბრძნეთ მაცენ, რათა მსურუელთა აღცისკრებულთ ზენათ ექმნას აღმყუანად მიზეზი წინაებულ.
2. ვინათგან საქმე თუნიერ მიზეზისა არ შესაძლო არს მიღებად დასასრულის ამისთვის, რომელ გარდა კმასა მიზეზის ყოფად რაიმე შეუძლო არს მდგობად, რათა ბრძნებრთაგან იყოს მოქმედებათა.
3. ხოლო ვინათგან ბრძნებრი არს მოქმედება, რათა საქმენი თუნიერ დასასრულის არა კელყოფად შესაძლებელმცა იყოს ამისთვის, რომელ უცებთაგან არს ესე გარდა გონების მოქმედება საქმეთა.
4. გარნა ვინათგან სიბრძნისა არს თესება, რათა საქმენი საშუალთა კელყოფით ჰყოფდენ ზაეებას დასასრულისა თანა /და მით მიმთხუევად სასურეოისა თუხის, რომელ არს საქმის კეთილად მისრულება.
5. ამისთვის უკუე არ ცონით გონებითა ეახლვის მტკიცედ საშუალთ მიზეზობას, რათა წარმოთა მათ მიმართ შრომათ ტკბილთა ტკბობილ-ჰყოს ყოვლად სასმენნი უბიწონი და შეხებადცა ბაგენი სასიბრძნონი.
6. ანტონი მწყემსმან ყოვლად სამღუდელთო პეტმან, დავითის ძემან მეფეთ შარაევანდელმან, ღმრთისმეტყუელებმან, გარნა რიტორთა მზემან, შუენიერ მთქმელმან, მარტულთა შემასხმელმან, მარადის მწურთელმან, ქართუელთა აღმაზემან.
7. ესთა მეჭურეტთა ამა წერილთასა გულისხმის-ყოფით განმსჯელთა აღგუჩნდების არა უსიბრძნოდ ნაქმარებაი მისი ამისთვის, რომელ დასასრულის აღრჩევით



3

- უსიბრძნისეყ კეთილ-საამოვნებოდ.
8. რადგან აღრჩევა კეთილ დასასრულისა განღძებულსა ეოცნვის გონებასა, სარკესა შინა გონებისასა მარად წარმოდგომილნი მის შორის სრულებანი და მით მიდრკების წადნოვად საშუალთა.
  9. მსგავსად ფუტკრისა მიდმოებასა შინა გონებისასა ველთა განათლებულთა შექკრებს ყუაეილთა საამოვნოთა მფშუელთა და მით მოქმედებს ტკბილგოჯეულებასა სულთა მატკობსა, მარტულთა კსენებასა.
  10. რათა მის მიერ დამტკბარნი დიდებასა /მისდა მიეკსცემდეთ, რომელმანცა საყკრუელ კყო თავი თვისი წმიდათა შორის თვსთა, რომელთაცა მათ ასოთა მიერ თვსთა აღიდეს ლმერთი უფალი საუკუნო.
  11. აწ მწყემსი საღმრთო მძნობი ოქროპირებად დაეითის ძირით შარავენდთაგან მეფეთ მსტუნუელი ქებად შესხმადმი მოწამეთა, რათა მიზეზთა განღძებაი ცხად-კყოს. თუ ვით ესახნენ მარტულნი სასურეებოს.
  12. ხოლო მიზეზი შრომისა ამის კეთილ არს უკუე ესე, რომელ არა დავიწყდენ თავსმდებნი ღუაწლთა შრომათა ურიცხოთა ყოვლად წმიდანი სამღუდელონი კრებულნი, ქებულნი ზენათ მალლისა მეუფისგან.
  13. კუალად მეორედ მიზეზ ამა თქმობათა არს, რომელ უკუე კსენება წმიდათ მარტულთ იქმნას ზავებულ სუნნელ ნელსაცხებლებად მისაძღუნად უფლის მალლისა მკყრობელისად სასმენლად სუნნელ სულისად საამოვნოდ.
  14. აწ ეინა სურვილ ცხად ქმნილ-კყო წმიდათ შესხმა, რათა მტრფობელთა აღმკობით საწადლოით კყონ განღძება აღძრვით შემეკულებითა და მირთმით ჰსაძღუნან შესხმანი საწადლონი, ყუაეილ სუნნელებრ უპატროსნეს ნამკნი.
  15. ამან ტრფილმან მარტულთა სამკნისამან დაკუეთებულ-კყო თჳსდამი სადიდებლად მეგობრად ღმრთისად განკუთენილნი მარტულნი

- და შეუთხზნა მით გერგენი ყუავილელი,  
/დადგმად თავებსა ღირსებით საქებლმებსა.
16. ესე შესხმანი ოქრო ეერთნი კმანი  
სულისა ძრუანი არ ოხრვით საწყინანი,  
ქმნილნი ბრძნისაგან მალლისად მსაძლუანნი  
ცხად ქმნილნი ღუაწლნი დადებითნი საქმანი,  
ერთამი უცებთ ცნობისად მისაყუანნი.
17. ეს კელოვნებით წმიდად ნაზაენი გუარნი  
რიტორებრ თქმანი, შუენიერ მოთხრობანი,  
სიტყუათა თხზუანი, ლექსთაგან შეკონვანი,  
ტკბილ სასმინანი, მსმენთ მარად სათხინანი  
არ საწყინანი, არცა უცებრნი თქმანი.
18. ნამდულ ჭეშმარიტ უსასყიდლოებს ესე  
წერილთა შორის იასკ-მჭვირულ ლაპლაპებს,  
ხოლო ძვირფასებს საკერუელ ღიადემებს  
და დისკოდ ნათლად ფრიალად შარაუანდებს,  
ხოლო ამისდად არაა შესატყუებს.
19. წიგნისა ამის წოდებულ მარტირიკა  
ამისთვის, რომელ მომთხრობელ არს მარტულთა  
ღუაწლთა თავსდებად ფრასითა შუენიერით,  
პაზრთა განწუალვით ვიდრე ოცადმდე სიტყუად,  
მშრომელისაჲსა ცხად-მყოფი მოგონებათ.
20. ათშუდმეტნი არნ სიტყუანი ქართულეთანი  
მოწამეთათუს ჭეშმარიტებისათა,  
ხოლო ორნიცა მარტულთათუს სომეხთა,  
ვინათგან უკუე განაწისეს მამათა  
სამარტულთა მოხსენებათა შინა.
21. ეგრეთ ამანცა მარტულთა მოყუარემან  
არა უწყევა უმოხსენოდ იგინი,  
/რამეთუ ჰსცვიდა ბრძანებათა საღმრთოთა,  
რომელ არს დაცუა სჯულთა წინაპართათა,  
რათა ამითცა სრულებაი მიიღოს.
22. ეგსახედ ბეჭდად თუსისა შრომილისა  
კქმნა გალობაი შესხმითითა მოთხრობით  
მკნისა მწყემსისა გრიგორის მარტვილობის,  
მღუდელმოწამისა დიდისა სომეხეთისა  
და ესთა სრულ-ქმნით დაქსდუა წიგნთა საცავსა.

6 /**ვენსბა და მოთხრობა ლუაფლთა და ვნებათა წმიდისა ღიდისა  
მოწაჲისა დედოფლისა მათავანისთა, ქენილი ანტონისგან  
არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა სამართულოჲსა,  
დავეითიან-ბაგრატიონისა**

5 ეს ქრისტეს სძალი, იასპ მჭკრუალი ლალი,  
არ ნათელ მცხრალი, არ ყუავილ ფერით მწრალი.  
აქუს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი,  
გული უძს სალი, მით დაჰსცა მძღაერი მწყრალი.  
ამას იქმს ქალი, ბუნებით ჳირთა მკრთალი.

10 **სიტყუა პირუელი**

ვიძლიე მე ჰსჯულისაგან ბუნებითისა და ძღეულებასა ჩემსა  
აღვიარებ. ძღეულება ვიდრემე ესე ჩემი და განჯსნა ენისა ჩემისა,  
ვითარმედ განიჯსნების ენამ ჩემი და საკრუელნი ღუმილისანი  
იჯსნებიან მით, რომელ ზედა მომადგების მე ჰსჯული ბუნებითი

15 ღუმილისა მრჩობლითა ჯაჭუთა შეკრულსა და ნათელი განცხადე-  
ბისა გამომიბრწყინდების, მჰკემს გუერდსა ჰსჯული იგი ბუნებითი,  
განმალძებს და ღუმილისა ჯაჭუნი დამცუვდებიან და შეუღ-  
გები ბუნებასა, „ვითარცა პეტრე ანგელოსსა მას“\*, და პირუელსა  
საჳმილავსა დროსა სიტყუათა დინებისასა და მეორეს განველი და  
20 ბჳეთადმი რკინისათა მიეიწევი უზესთავსთადმი გულისხმის-ყო-  
ფისა ჩემისა ბჳეთა და მჰრწამს, რათა განმელოს მე იგი.

განლძებასა წადნოვისა მიმართ ანუ გარემიქცევისა შეუღგე-  
ბის შეკრულება პრაქტიკაისამებრ ფილოსოფიისა. ზოლო განვი-  
ლძები ამისდა, ვითარმედ „პატიე-ეც მამსა შენსა და დედასა  
25 შენსა“\*\*, რომლისათუს შემკრავს მე მცნებაი მორჩილებად და

V ქმნად/ ვანლძებისა ამისდა, ვითარმედ ესე კეთილდღეობასა შე-  
აერთებს კეთილდღეობითა და განუცდელითა წარდინებითა ცხოვ-  
რებისათა. ვინა შეკრულ ვარ ამით, მამასალამე, მოქმედებაი შევა-  
ერთო, მიღირს განლძებასა და უფროსრე თანა-მამს.

30 მოვედინ ჩემდა ტრფიალებითი იგი სული, რათა მკრომ იგი  
ყუავილთაგან მრავალთა შესაბამ-სიტყუათასა უქმნა ნელსაცხებელ  
შეხებად სულსა მას, რომელიცა ტრფიალებითარე დიდითა მრ-  
ვალთა ცეცხლმენაბერწყლეთა რკინათა ვერ მგრძნობი „ჰსჯდა

\* შღრ. საქ. 12,9. \*\* გამოს. 20,12.

ფერკთა თანა იესოსთა და ისმენდა (და იქმოდა) სიტყუათა მის-  
თა“\*.

მოვედინ ჩემდა წყალი იგი ცხოველი მყოფი, კადნიერად  
ექსთქუა წინაპარისა მის მშობელისა ჩემისა და მრჩობლშთამოება-  
თა მშობელობით და წინაპართა პაპათა ასულობით ჩემდა საქადუ- 5  
ლობისა მიზეზისა დაშორისებული და ვითარ-იგი ქხადოდა მას  
მისულად მამისად, ეგსახედ მხადლოდინ მისულად სიტყუებითა მშო-  
ბელისა ამისა ჩემისად.

მოვედინ სული სიბრძნისა მკვდრი ბრძნისა ამის შორის მემ-  
ვრომსა, რათა მოქმედებითა კეთილთა საშუალთა კეთილგონიერე- 10  
ბისა ვმევეითა შევეაერთებდემცა კეთილთადმი დასასრულთა შეს-  
ხმად მისდა და გალობად და ძნობად ყოვლად დიდებულთაში ღუ-  
აწლთა მისთად.

კუალად მოვედინ ჩემდა „სული იგი გულისკმისყოფითი, მეც-  
ნიერებითი და ღმრთისმსახურებითი და ში/შისა ღმრთისა“\*\*, რათა 15 7  
განყოფითად და საესედ წარმოდგინებითა ენებათა მისთა და მოსა-  
გებელთათა საღმრთო მსახურებით სიყუარულისა განათლებულითა  
ცხოვრებითა გონებისათა ექსთქმიდე წინამდებარისადმი საგალო-  
ბო მსახურებით, რომელ მისდამი გალობა და ქება არს ღმრთისმსახუ-  
რება, თუ სადამე შიშითა ღმრთისათა წარმართებულ არს. 20

არ შესაბამ არს მისდა თქმანი ჩემნი, რათა ამათ მიერ იქებო-  
დენმცა და მოითხრობოდენ ანგელთადცა საკურულებად მოსულად  
მაიძულებელნი ღუაწლნი მისნი. მაგრა ენადათგან მშობელთად სა-  
ყუარელ ჩჩულთა ბრგვლებანი, ეგსახედ იყავენ მისდა სიტყუანი 25  
ჩემნი.

არარამე არს საცნაურთაგანი გრძნობათთა მიერ მცნობელო-  
ბათა ანუ გულისკმის-ყოფით მიწითმადთა, რათა არა კეთილწე-  
სიერ აქუნდამცა მდგმობამ.

ვითარ-იგი ძრუანი ვარსკულავეთანი ცთომით სიერცისა არაერ-  
თისა მდგმობისა შორის ერთმანეთისად მექონნი და რომელნიმე 30  
ესრეთ, ვითარმედ ერთისა და მისევე სიერცისა, რომლისა გამო უძ-  
რავობა სახელ-იდუა ძრუადთა მათ.

ვითარ-იგი სარტყელთა, ესე იგი სიმრგულეთა ანუ ატმოსფე-  
რათა ცთომილთასა ერთისა მეორისაგან ქუემოესობით და სხუა-  
ფერ დაწყობილება ერთისაგან უკუე მიღება ნათლისა და მით გა- 35  
ნათლება და მნათობ ზედწოდება.

ვითარ-იგი ღერძისადმი თესისა შემოვლითა მზისათა/ მზიურ- V

\* ლუკა 10,39. \*\* უღრ. ისაია 11,2-3.

ნი იგი ათორნი თთუენი და მთოვარისა ღერძისადმი თუსისა მომ-  
გურგულეებითა ათორნივე, მაგრა რაოდენითაჲმე დღეებითა ნაკლ-  
ნი შხიურთაგან, ამით ოთხ-დროება წელიწდულნი ნაყოფთა  
აღორძინებად და აღუსებად და მოკლებად.

5 ვითარ ასონი, რომელნიმე ნოტია და მკურვალ და რომელნიმე  
მკურვალ და კმელ და რომელნიმე კმელ და გრილ და რომელნიმე  
გრილ და ნოტია, კეთილწესიერ მოკიდულნი და ერთმანერთისადმი  
ზავებულნი შესაწვენელად ვითარებისა მათ გამოთა სხეულთა და  
ბალღამთასა.

10 კუალად თთ მისევე მთოვარისა სიზრქე და სიბნელე, მოკლება  
და აღუსება შხის მიქციევისა გამო და დაახლებისა „მღგომარეობა  
უძრული ქუეყანისა“\* „წყალთა შეკრება ერთსა შინა შესაკრე-  
ბელსა“\*\* „არა გარდაკდომად საზღუარსა თუსსა“\*\*\* და ყოველნი  
მღგომობანი ესეგუარნი. კუალად სენტაქსნი ყოვლადსა შინა შე-

15 წყობილნი კეთილწესიერ, ეგსახედ წესიურევე სიტყუანი ყოვლადსა  
შინა და ყოველთა სირათა შინაგანნი, კეთილწესიერ დაზავებანი  
და ყოველთა დროსა შინა თუსსა განცხადებამ თუსებთა არსებით-  
თა და ანუ დაკუეთებითა მებრუე ჩუენისაცა დუმილისა და თქმი-  
სა და სიტყუათა წყებისა სათანადო იყო და სათანადო არსცა წე-  
20 სიერება.

8 მრავალნი ვიდრემე იძულებულნი პირუელ ჩემსა სურვილი-  
საგან და რათა არა დაიწყებითა დაიფა/რამცა თქმადი ესე სამ-  
დღედლო საიდუმლო, განლუქებულ იქმნეს თქმად და მოთხრობად  
სხუადასხუათა ფერითა ფრასთა გუარითა, ვითარმედ რომელთაჲმე

25 დოღმატიტორიად და რომელთაჲმე ისტორიად და რომელთაჲმე პი-  
იტიკად კქმნეს და სტიხოლოლიად, რომელთა შორის დოღმატი-  
ტორიადრე მექმი არს მამათმთავარი ჩუენი ბესარიონ, მწყემსი  
ყოვლისა ზემომსა საქართუელომსა.

მიეცილე ნებსით დაკუეთება ესე მით, რომელ პირველად  
30 უჯერეს არს წმიდათა წმიდანი შემასხმელ, მეორედ ბრძენთად  
ბრძენნი, მესამედ მრავალთა ღირსებითითარე განათლებითა გო-  
ნებისათა აღინნეს ამისთუს სიტყუანი და საგონებელ აღმიჩნდის,  
ვითარმედ კმა იყო ყოვლითურთ.

აწ უკუე დაკუეთებამ ნებსით მიცილებული და დუმილი და  
35 შექშუა გონებასავე შინა წყუდეული ვაწინაუკმე, ვითარმედ ნუ-  
სადა სიციონილი ყოსმცა ჩემდა ესე, რამეთუ ვინაჲთგან საღმრთო-  
მთა განგებითა იწარმოეს მშობელთა ჩემთა ძირისაგან ზეთისხი-

\* შღრ. ფსალ. 103.6. \*\* შღრ. შეს. 1.9. \*\*\* შღრ. იგავ. 8.29.

სა მის „წარსადინელსა წყალთასა მდგომარისა, რომლისა ნაყოფი ღროსა შინა და ფურცელნი მისნი არა დაჰსკვეეს“\* და(\*) ზედმეპაზრობითი მაღლი ჩემდა, დაღათუ უღირსად და რომელთამე სიტყუათა შეეეხე წერად, ეინა წარმოებს აქა კიდურმდგომებრი, ვითარმედ მეთანამდება თქმად და ძნობად და გალობად სახარულე- 5 ვანისად ყოვლად ბრწყინუალისა ღუაწლისა მისისა.

წინა-მედების გუამი მდედრი ესე სახის-განყოფით/წუალეზუ- V ლი, ცხოველ, გულისკმეირ, მნებებელ და ქუეშე წუალეზელ ქალ ცხოველ, ვითარმედ გარემონი მისნი მაუწყებენ „არღარა არს თვთ ცხოველ, არამედ ცხოველ არს მის შორის ქრისტე“\*\*. გულის- 10 კმეირ წარმოუდგენიეს სამყაროსა შინა გონებისასა არსთა აგებულებითნი არსებანი საჭირონი ბრწყინუალედ, ესე იგი ყოვლისაგან ბიწიერებისა ბრალთასა მიცილებულ და სავსედ ზედმიწევნილსა მათდა, და სისტემისადცა მათისა განუნათლებიეს. გონებამჰსცნობს დატვენისაებრ, ვითარმედ: ერთი არს ნათელ-შემოქმედ 15 ყოველთა, რომლისადმი ხედუა გონებისა საწყურ და ლმობა ხედუათა დაცხრომისა. ერთი არს სამობასა შინა აღსარებულ და სამოთა ერთობასა შინა თაყუანისცემულ. ერთი არს, რომლისაგან თანაჰსწორნი და თანა უჟამ-უღრო-უწელიწდონი, რომელსა ერთ-ღუთაებად ვიცნობთ კეთილმსახურებით, ესე იგი მამა და სიტყუა და 20 სული. პირუელი იგი, ვითარ გონება ესრეთ მცნობელ თავისა თვისისა, ვითარმედ არს არსება განუსაზღვრებელ, ესე იგი არცა წყებადილა და არცაღა დასრულებადი და ესე ცნობამ დგების და ჰგებს თავსა შორის თვისსა და წყარომსა თვისისა გონებისა შორის, რომელ არს სიტყუა. და ესე მოკლედ თქმა არს ღეთისმთავრობითი გუარი შო- 25 ბისა.

გონება იგი არს კუალად წყარო ცხოველობისა და თვთ ცხოველ და სიტყუა ცხოველ, მაგრა საჭიროდ ჰსდევს მხოლოდ გონებასა და არა სიტყუა/სა მიზეზ ყოფამ ცხოველობისა. და ესე არს სული 9 ყოვლად წმიდა მხოლომსა მამისაგან გამოსრულ და არა ძისაგან. 30 კუალად ჰსცნობს, ვითარმედ ერთი სამობისაგანი, რომელსა სიტყუა, არს ღმერთ, ვითარცა მამა, და არს კაც, ვითარცა ჩუენ. და ორთა შესმენილთა ექუემდებარების იგივე და ერთი სიტყუა. ორნი იგი შესმენილნი — ერთი განუსაზღვრებელ, უკუდავ, მიუწ- 35 თომელ, გარეშეუწერელ, შეუხებელ, ხოლო მეორე იგი მოკუდავ,

\* შღრ. ფსალ. 1,3. \*\* შღრ. გალატ. 2,20.

(\*) ებისკოპოსობითი AB.

მისაწთომელ, გარეშესაწერელ, შესახებელ. ესრეთ უკუე გულის-  
ხმიერ და გონიერ თქმადი წინამდებარე ჩემი.

ხოლო მნებებელ, ვითარმედ მადლით ღმერთქმნილსა აქუს  
კეთილისა მიმართ მიდრეკილებისა წადილი, ესე იგი თუთ კეთი-  
5 ლისა მიმართ მიდრეკილებამ, ამით ანგელოსებრ წმიდა და უმ-  
ტყიე ადამატიინისა და უბრწყინუალეს ყოველთა გრძნობათ ქუე-  
შეთა ნათელთა.

მამული უკუე იყო თქმადისა წმიდისა ნაწილი რომელიმე სა-  
ქართუელომსა, ესე იგი ქართლი. ხოლო მშობელნი მეფეთაგან და-  
10 ვითიან-ბაგრატიონთა, და მამამ იზედწოდებოდა აშოთან, ძისწუ-  
ლი კოსტანტინესი, ქართუელთა მეფისა კეთილმსახურისა კეთილ-  
მსახურივე. და სახელი წმიდისა ქეთაევან.

ასული ესე დავითისი, განბანილი ღმერთმყოფელითა საბანე-  
ლითა, მსწავლული სარწმუნოებითითა მსჯულდებულებითა,  
15 მსწავლული სამღუდლომთა წერილითა და სათნობათა მომგები,  
ქალ/წული მორცხუ, ბრძენი კეთილგონიერებისა კმევითა, ქალი  
ნარნარი და მკნე, კეთილთა მოქმედებათადმი ყრმაა შუენიერი და  
უშუენიერესი მიმადლებულებითა მიეთხოვა ძესა კეთილმსახური-  
სა კახთა მეფისა ალექსანდრე მესამისასა დავითს, დავითიან-ბაგრა-  
20 ტოვანსა, ჭაბუკსა შუენიერსა კეთილმსახურებითა და მორფნაკუ-  
ეთობითა და სიმკნითა. აღასრულეს უკუე მეფეთა ქორწილი შე-  
საბამ უმადლესობისა დიდგუარობისა წესითა ქრისტეანეთათა. და  
დედა შვილთა იქმნა, რომელთაგანი არს ძე თეიმურაზ პირუელი,  
გერგენი კეთილმსახურებისა, გოდოლი შეუძრუელი სიმკნისა და  
25 ციხე უბრძოლუელი მამაკობისა, წალკოტი მოკრძალული მართლ-  
მადიდებლობისა, რომელმანცა „გამოიწერა ქრისტე თუს შორის“\*,  
დამცემი სპარსთა სპათა ურიცხუობისა, სიბრძნისმოყუარებითა  
ჩინებული და რიტორ-პიიტვიკოსობითა ყოველად ქებული.

ხოლო ვითარცა არს ჭაბუკთად უკრძალუელობისა დაკუეთე-  
30 ბისა ჩუეულებამ, დაეკუეთაცა დავითს, ძესა მეფისასა, ქმარსა  
ამის წმიდისასა, უკრძალუელობამ და მით გარდასლუა მსჯულისა,  
რომელიცა თქმად არა მნებავს, მაგრა ჭეშმარიტებითი მათქმევს  
იძულებამ. იტყვან, ვითარმედ ზედმასრუელმან გიორგი, ძმამან  
მისმან მრწემმან, ბოროტის-ყოფად, რომელიცა მამასა უფროს  
35 უყუარდაო, ვიდრე დავითდა, აწყინა რამმე ძე' ის-ჩუენებამ და-  
ვითს, რომლისათუს დავით მიულო მეფობამ მამასა.

10 /არა ჰყოვნა უკუე მსჯეაერმან საღმრთომან და დავით გან-

\* გალატ. 3.1.

ბერტყილი მიწითა კორცთაგან წარვიდა სოფლად საუკუნოდ.

უწყებულქმნილმან უღმრთომან პირუელმან შაპ-აბას სპარს-  
თა მეფემან, ვითარმედ მომკუდარ არს ჭაბუკი მეფე კახთა დავით  
და დამთომილ არს მემკედრედ მხოლოდ გიორგი ოდენ, რამეთუ  
დროსა მას მოხუცებულ იყო მეფემ ალექსანდრე, უბრძანა კოსტან- 5  
ტინეს, ძესა მეფისა ალექსანდრესსა, მახმედიანქმნილსა (რომელი-  
ცა მისცა მამამან თვსმან წინდად დროსა სიყრმისასა შაპ-თამას  
პირველსა), ვითარმედ: წარვედ კახეთად და მოკალ მამამ იგი  
შენი მოხუცებული და ძმამ შენი გიორგი და მმეფობმან კახეთსა  
ზედა მახმედიან ჰყუენ მკუდრნი კახეთისანი. 10

ეჰა, განზრახვსა ამის ბრძანებითისა სიბოროტე, საესე უღმრ-  
თოებითა და უღმრთოთაცა შორის დამკუეულთა სუნიდისისა  
სჯულთათა ყოვლად საკურუელ და მოგონებადცა ზარისსაქედელ.  
მ, მოკლუასა სუნიდისისასა, მ, უმაგალითოსა ბრძანებასა მსაჯუ- 15  
ლისა მეფისასა.

აქუნდა უკუე ყოვლად უკეთურსა შაპ-აბას ძერი არამცირე-  
დი ქართლისა და კახეთისა სამეფოთა და მეფეთა ზედა მიზეზითა  
ლუარსაბ პირველისათა, რომელმანცა არა მსახურა პაპასა მისსა  
შაპ-თამასს პირველსა და არცა აუფლა დაპყრობად ქართლისა. და  
კუალად მიზეზი, ვითარმედ ირაკლი, ძე მეფისა ალექსანდრესი, 20  
გულმწყ/რალი სახლისა მიმართ თვისისა წარვიდა კოსტანტინუპო-  
ლიდ, რომლისათეს ენება უღმრთოსა შაპ-აბასს, რათა კპოვოსმცა  
დრომ მარჯუემ ძერის ქსენებად ქართლსა და კახეთსა ზედა.

მსმენელმან მეფისაგან ბოროტმან კოსტანტინე წარმოსულა  
ჰყო ისპაანით კახეთად და აუწყა მოსულამ თესი მამასა თესსა, მე- 25  
ფესა ალექსანდრეს. მაშინ მეფე მხიარულქმნილი ძითურთ თესით  
გიორგით წარსრული წინა-მიეგება კოსტანტინეს და შეიყარნენ ბა-  
ზარს, რომელი იყო მაშინ ქალაქი ენისელს შინა, მხიარულქმნილ-  
ნი ბუნებითითარე და მარტივითა სიხარულითა მეფე და გიორგი,  
ხოლო ზაყულითა და მკულელობითა უკეთური იგი. მაშინ ნა- 30  
დიმნი და ნადირობანი სიხარულნი და ღმრთისადმი მადლობანი მე-  
ფისაგან და გიორგისა, ხოლო უკეთურისა მისგანცა, მაგრა ზაკუდა  
ორგულებით. წარმოევზაენა უკუე შაპ-აბასს მეფისად და გიორგი-  
სად ნიჭნი მრავალნი და შესამოსელნი ძერფასნი, რომელითა მო-  
სილნი და ნიჭებულნი იხარებდეს. 35

დღესა უკუე ერთსა ეტყოდა კოსტანტინე მეფესა და გიორგის,  
ვითარმედ: „მაქუს რამე ხუაშიადად ბრძანებული სიტყუთა შაპ-  
აბასისგან თქუენდამი და უმჯობეს არს, რათა განავლინნეთ სხუანი  
და ისმინნეთ თქუენ ოდენ“. განავლინნეს უკუე გარე ყოველნი მუნ



11 მყოფნი სახლსა შინა კოსტანტინეს თანა მსხდომარეთა მეფემან და გიორგი. განალა დაშ/თენ<sup>1</sup> ორნი ოდენ, აბელ ენდრონიკაშვილი, ყორჩიბაში (მაჰა ალაშ სულთნისა), ცნობილი მეფისაგან ერთგულობასა თუსსა ზედა უმწუერუალესსა და ძმა აბელისი, ეპისკოპოსი 5 რუსთუელი. ჰყუეს უკუე უკეთურსა კოსტანტინეს მკედარნი ბირებულნი ესრეთ, ვითარმედ: „ოდეს გამოვიდოდენ კაცნი სახლისაგან, სადაცა მსხდომარე ვიყუნეთ, შემოვედით უკუე და მახულითა განგმირენით და დაკაფენით მაჰა და ძმა ჩემი“. მაშინ ბირებულნი იგი მკედარნი მხილუელნი საწოლისაგან ანუ კარვისა სამე- 10 ფოსა გამოსრულთანი შერბიოდეს მსწრაფლ და ანაზადრე მოსწყყდნეს ბრძანებისაებრ უკეთურისა მის მეფეცა და გიორგი და მათ თანა აბელ და რუსთუელი.

მ, საცუფრო ესე სმენა, ვითარმედ ერთმან უკუე ადგილმან ვითარმე შეიწყნარა სისხლი იგი ყოვლად მართალთა მათ, დათხეული 15 ძისაგან და ძმისა, სისხლი მეფისა და მამისა, მოხუცებულისა და მართლისა, სისხლი იგი ყოვლად უბოროტო, ყოვლისაგან ძვრისა და მიზეზისა თავისუფალი. მ, ძმის მოძულება ესე უმაგალითო და უმიზეზო. კაინს უკუე აქუნდა მიზეზად პირმშომსა მის ძმის მკულელობისა მიზეზი ბოროტი: არა მითუალუა მსხუერპლთა მის- 20 თა ღმრთისაგან, ვითარცა აბელისთა. ხოლო ძმათა იოსებისთა უფროს მათსა სიყუარული იოსების იაკობისგან, მამისა მათისა, განალა უკეთურსა ამას აქუნდა მიზეზი მკულელობისა მამისა მიმართ და ძმისა: შეყუარებამ მათგან უმწუერუალესი.

V /სხეულნი იგი წმიდანი მართალთანი აღკიდნა აქლემთა ზედა 25 და წარგზაენნა<sup>2</sup> დაფლულად ალავერდს, რომელნიცა დაჟღენნა წმიდამან ქეთავან დიდითარე და შესაბამითა პატივითა.

ხოლო რამმელა სათქმელ არს უწყებად და თხრობად უკეთურისა მის ძუელთა შორის მკსგავსი ოდენ „აბიმიელიქისი იგავი იგი უბოროტესისა სიბოროტისა და მაგალითი უუსჯულოესისა მკულელობისა“\*. ყოველთავე უკუე ბოროტთა გამომხატუელი თუს 30 შორის ურიდად იქმოდა, ვითარ-იგი იტყუან მომთხრობელნი.

უქუმოეს ეშმაკთა თანა მდგომარემან კოსტანტინე მოიგონა სხუამცა უსჯულოებამ, პოენილი იროდისგან მკულელი სიტყუსა ღმრთისა წინამორბედისა, ვითარმედ აწვა წმიდასა ქეთავანს, ძმის 35 ცოლსა თუსსა, ცოლად თუსად მოყუანებამ და წარმგზაენილმან

<sup>1</sup> დაშთენ B. <sup>2</sup> წარკაზენა B.

\* შდრ. შსაჯ. 9,5.

მოციქულთამან შექსთულანა მისდა სიტყუანი ყოვლად უღმრთო-  
მსაებრ<sup>1</sup> ნებისა თვისისა შეერთებისანი.

მ, თავო ბოროტო და მესისხლეო, ვითარ სადამე იკადრე ესე-  
გუარისა უსჯულოებისა განზრახუად მისდა, რომლისადა „გარემო  
ანგელოსნი უფლისანი“<sup>2</sup> მდგომარეობენ მცუელად, რომლისა მისა- 5  
წოლელსა ვერ სადამე შეეხებიან ბიწნი ვნებათანი, სადა მდებარეობასა მოქმედებს გუამი ყოვლად წმიდისა სამებისა სამკურნე-  
ბელი.

ესე უკუე საცნაურ ყოველთად, ვითარმედ წმიდათა უმეტეს  
ეკრუებინ საკრუელბანი უსჯულონი და/ უმეტეს ესევითარსა 12  
წმიდასა, რომელი ყოველთა თანმედროეთა თუსთა აღემატა შინა- 10  
გნითითა შეუნიერებითა, ხედუთ და საქმით. ამან უკუე. ხატებამ  
წმიდა ჰყო დაცუთა შეუმწიკულებელად და განჰსწმიდა უზესთაეს  
ძალისა. ამან უკუე მოიგო აზნაურებამ მალალი და ყოვლად თავი-  
სუფალი, ესე იგი ღმრთისმსახურებამ და კეთილმეცნიერებითა გა-  
ნაშუენა. მეცნიერებასა უკუე ვიტყვ ცნობასა ესეგუარისა კმამსა 15  
მიზეზისასა, თუ რამსათუს შეეოქმენით და სადა თანა-გუამს მისუ-  
ლად.

თქმულსა მას ბოროტის-შოპოენებასა ზედა განაკურუა უკე-  
თურმან მან წმიდა იგი, ვითარმედ რომელმანცა დაიცუა ქურიო- 20  
ბამ ფანოელითისამებრ, ესე უსჯულომსა მისგან საწოლად ირო-  
ლიამსა მიიწუეოდა და, რომელმანცა დაუწინდა თავი უკუდავსა  
სიძესა, უუსჯულოესისა შეერთებისად იიძულებოდა.

მოციქულთა მათ, მიკურს, ვითარმედ ვითარ არა კედემოდა  
სიწმიდით მოკრძაღულისა მისგან გუამისა, ანუ მეფობითმან  
მძლავრებამან ნუსადა შეაშინნა, ვითარმედ ცრემლთა დათხევად 25  
და სირცხულითა წიწნეულებად მოიყუანებდაყე საკრუელებამ  
უღმრთოებისა, მაგრა შიშისაგან განლიგებულნი მოაქსენებდეს  
წმიდასა.

განკრუებულმან უკუე წმიდამან ქალმან კეთილმოთაკილე-  
მან, მომზრახობენ, ვითარმედ მკულელობამ მამისა და ძმის აყუედ- 30  
რა მას და არა კმამყოფამ უსჯულოებათა ურთიერთას პირისპირ  
მდგომარეთა, თუ რომელი უუსჯულოეს იყო მეორისაგან,  
ძნელ/საცნობელ იყო და მის ზედა განზრახუსა ბოროტისა განუ-  
მარტა უღმრთოებამ.

ქალმან ბრძენმან და წმიდათა განჰსჯათა მექონმან მოისიბრ-

<sup>1</sup> უღმრთისამებრ მ.  
<sup>2</sup> მღრ. თსაღ. 33,7.

ძნა მოწოდებად მთავართა კახეთისათა და ევედრა, რათა შეწევნამ  
პყონმცა არა მიშუებად მისდა ნებისაებრ თვისისა უკეთური იგი  
და მოაგონებდაცა მკულელობასა მამისა და ძმისასა ბოროტისა  
მისგან და აღწყუედასა მათ შორის მეფობითისა შემკვდრეობისასა.

5 კახთა უკუე მსმენელთა არწმუნეს წმიდა იგი, ვითარჲედ: „გარ-  
და მეფობისა შენისა არა ვისსამე დავემორჩილნეთ ბრძანებასა“  
და ესე ფიცითარე დიდითა დაამტკიცეს და აღჰურვილნი მოკ-  
ლულად უკეთურისასა მის წარვიდეს.

შეკრებულნი უკუე კახნი ყოველნი წარვიდეს ბრძოლად კოს-  
10 ტანტინეს ზედა, ვითარცა მესისხლისა მეფისა მათისა და მბრძოლი-  
სა მათისა და ზედამიუცდეს მყოფსა ბაზარსავე შინა. და ზედამის-  
რულთა, ანუ ატაკითა ბრძოლებრითა და ანუ წაქეღვითა და ზე-  
და-გარდავლითა ანაზლითა მოკლეს უკეთური იგი და მხიარულნი  
მოიქცეს დედოფლისად.

15 მსმენელმან წმიდამან ქეთავან „ქელითა მტკიცითა და მკლა-  
ვითა მალლითა“\* კსნისა თვისისა და სამეფომასამან შესაბამნი  
ღმრთისმსახურებისა თვისისანი შეჰსწირნა ცრემლით მადლობანი  
ღმრთისადმი და მის თანა კგალობდეს პირველნი იგი დანი მისნი.

„უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს. ცხენები  
13 20 და მკედრები შთაქსხია ზღუასა, შემწე და მკვსნელ და მფარულელ  
მეყავნ ჩუენ. ესე არს ღმერთი ჩუენი და ვადიდო ესე ღმერთი მა-  
მისა ჩემისა და აღუამალო. ესე უფალი არს, რომელმან შემუსრნა  
მბრძოლნი, უფალი არს სახელი მისი“\*\*. „იწყეს ამაღლება მთა-  
ვართა ისრაილისათა გულსმოდგინებითა ერისათა, აკურთხევლით

25 უფალსა. ისმინეთ მეფეთა და ყურად-იღეთ მთავართა, რამეთუ  
უფალსა ვაქებდეთ და უგალობდეთ ღმრთსა ისრაილისსა“<sup>3\*</sup>. „კურ-  
თხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო, რომელმან შე-  
ურაცხ-ყვენ დღეინდელსა ამას დღესა მტერი ერისა შენისანი კე-  
ლითა ქალისათა“<sup>4\*</sup>. „აცხოვნა უფალმან ერთ თუხი და გვქსნნა

30 ჩუენ უფალმან ყოველთა ამათ ბოროტთაგან და კქმნა ღმერთმან  
ნიშები და სასწაულები დიდი, რომელი არა იქმნა წარმართთა  
შორის“<sup>5\*</sup>.

მწყალობელმან გულითა ნიადაგ არცა აქა დაივიწყა მადლი  
ჩუეულებად და თუს შორისებული ტკბილსახელმან ქეთავან, არა-  
35 მედ, ოდეს მოიცალა ცრემლით დამლტობელმან ქუეყანისამან

\* ფსალ. 135,12. \*\* გამოს. 15,1-4. 3\* მსაჯულ. 5,2-3. 4\* შდრ. იუდიო 13,22-23. 5\* ესოერ. 9,17 (18,19 დაუმუხლაეია).

მადლობისაგან ღმრთისადმი და მიმლოცუელმან თვსთა ძლევაზე-  
მოსილთად სპათადმი, ძალთა მიგდებადი იგი მძორი დაყროლუ-  
ბული კოსტანტინესი პატივად თვსებისა თვისისა და გუარმადლობი-  
სა მის უკეთურისა დაფლუად უბრძანა.

ამას შინა საჭიროდ სათანადო ექმნა განგებამ მეფობისა კახ- 5  
თასა მით, რომელ არლარაგინ იყო მეფეთაგანი თუნიერ ძისა მისისა  
მციირისა და იგი იყოფებოდა სპარსეთს უღმრთოფსა შაჰ-აბასის  
თანა, მეფისა სპარსთასა.

შუენის უკუე სიმიდირე მეფეთად, მაგრა ქეთა/ვანისდა ერთი V  
იყო სიმიდირე წარუპარუელ და დაულევენელ სიბრძნისა კეთილ- 10  
გონიერად ქმევითა, რამეთუ სადაცა უხრწნელად გებასა მოელოდა  
შრომით შეკრებულთა უნჯთჟაა, მუნ დაჰკრძალა, „სადა-იგი მპა-  
რაგი არა შიეხებინ, არცა მლილმან განპრყუნის“\*. დაგლახაკენ-  
ბოდა თვთ და განამიღრებდა გლახაკთა. ხოლო ქრისტე დაგლახა-  
კებულსა მიძთვს განამიღრებდა კეთილთაგან თვსთა, რაოდენ კმა 15  
ეყო. აქუნდა უკუე უმეტეს ყუაეილოვნებამ ნათესავობითი, რო-  
მელთა ესოდენ პატივქსცემდა, რაოდენ ჯერ იყო „სიტყვსაებრ წი-  
ნასწარმეტყუელისა. მაგრა საქმარისა მათისა აღუსებამ და განგე-  
ბამ სახლისა და მეფობისა არა თუ შეერაცხა მას საჭიროთარე საქ-  
მართა მოგებად, არამედ აღსრულებად მცენებისა“\*\*. ხოლო 20  
უხუებით ქმნამ ქუელის საქმისა მტიციელ უწყოდა მან სიმტიციელ  
პატივისა დასრულებად ნუგეშინისცემისა.

ზედ ვამრჩობლო კუალად, ვითარმედ კეთილგონიერად იე-  
მევედა სიბრძნესა, ორადრე ნაწილად გამყოფი ყოველთა დროთა:  
ერთისა, ვიდრემე წარმგები განგებბისათვს სახლისა და მეფობისა 15  
და მეორისა — სათნობათა მოგებისათვს. ხოლო დაღათუ ძნელ  
არს ორთავე ამათ შეერთებამ, ესე იგი განგებისა მის თქმულისა და  
სათნობათა წარმართებისა, მაგრა ესე ორთავე სრულებითა ყო-  
ველთა მძლე; თვთოეულისა სრულებით დაცვსათვს ამან მხოლომან  
თანმედროეთა თვსთა შორის ჰყო ზაეი ორთა მათ შორის წინააღმ- 30  
დგომთა, ვითარმედ მეფობისა და სახლი/სა კეთილგანგებითა ესო-  
დენ აღავსნა საზომნი და წესნი „სოლომონის მიერ წესებულნი დე- 14  
დათა განმკნობისათვს“<sup>3\*</sup>, ვიდრემდის ყოვლად შეუძლო იყო მო-  
გონებადცა, ვითარმედ ოდესლა ჰსცალოდამცა ღმრთისმსახურე-  
ბად. და კუალად ესოდენ შემსსჭუალულ იყო ღმრთისდა და სა 35

\* შლრ. მატთ. 6,19. \*\* შლრ. ისათა 58,7. 3\* შლრ. იგავ. 31,10.

ღმრთოთა იქმონდა, ვიდრემდის არლა მოსალოდებელ იყო მოგონებლ, ვითარმედ სადა მოიცილოსმცა განგებლ მეფობისა და სახლისა თვისისა, არამედ ესე ერთსა ერთითა შეამკობდა.

ვინ-მე უკუე ესრეთ უნივთოდ მლოცუელ სხუა ვითარ ესე, რო-  
 5 მეღმანცა მოილო ძლევაჲ კორცთა ზედა და უდიდესი ემსტქუა, ბუნებასა ზედა? ვინ-მე სადამე ესრეთ შემოიკრიბა ერთბაშად თხოვაჲ მეცნიერ და კეთილად და აღსრულებისა უიჭუელი სასოებაჲ? ვისმე სადამე ჰქედმოდა ესთა კელისაგან და პირისა მღუდელთასა? ვინ-მე სადამე უფროს შეამკუნა და განამდიდრნა წმიდანი ეკ-  
 10 ლესიანი? ვინ-მე უფროს პატივ-მსცა ყოველსა სახესა სიბრძნისმოყუარებისასა? ვინ-მე უფროს განლინა კორცნი მარხუთა და მღძძარებითა, ანუ ვინ სადამე უმეტეს დაითმინნა ტანჯუანი უძღურთადმი კორცთა შეხებულნი, ანუ უფროს დაუთმო განსაცდელთა?

ვინ-მე ესრეთ შეასაკუთრა თავი თვისი ლოცუათა და ფსალმუნ-  
 15 ნებათა ღამისა და ღლისათა? ვინმე ესრეთ განჰსწმიდა და მოკრძალნა კორცნი სიწმიდითა, დაღათუ დაეყენა ქალწულებისაგან საკრუელითა ბუნებისათა განგებითა საღმრთოთა ამისთვის, რათა ნაყოფი მისი ჰმეფობდესმცა და ეს საქადულ იყოს ერისა ყოველთად?

V /ვინ ესრეთ აჩუენა ზედმდგომელობაჲ ქურიეთა და ობოლ-  
 20 თად? ვინ უდიდეს შეამყო სამეფომ თვისი, ვითარ ამან სისხლითა თვისითა?

ამას შინა დიდსულმან და ყოვლისა სიბრძნით განგებისა პი-  
 რად-პირადისა ყოვლის მფერებმან ქეთავან მოისიბრძნა განხრა-  
 ხუა და წარუგზავნა ძლუენი მეფესა შამ-აბას და მიუწერაო, ვი-  
 25 თარმედ: „მეფეო, მომეც ძეა ჩემი თეიმურაზ, რამეთუ საჯმარ არს მეფობისა შენისა მკედრი განგებლ მეფობისა, რომელიცა დამორჩილებულ არს შენდა, თუ არა სამეფო ესე განუდგეს ნებასა მეფობისა შენისასა და ერჩიდეს სულთანსა საბერძნეთისა და აღმოსავ-  
 ლეთისასა“.

30 მჰსმენელმან დედოფლისა წმიდისა შეთულილთამან მეფემან სპარსთამან მყის ნიჭითა დიდითა და საბოძურითა წარმოგზავნა თეიმურაზ, ძეა მისი. ხოლო იტყვს უკუე არჩილ მეფე იმერთა შაირულთა ისტორიათა შინა თეიმურაზ პირველისათა, ვითარმედ იყოო მაშინ თეიმურაზ წლისა ათსამეტისა. მომზარახობენ სხუანი,  
 35 ვითარმედ ათექუსმეტისა, განალა ყოვლად სარწმუნო არხ ესე, ვითარმედ ქრისტეანედ აღზარდა იგი შამ-აბას ზაკუთ რომლისათსმე საჯმარისა მისისა.

მსწერს ვახუშტი აღწერათა შინა კახეთისათა: „მჰსმენელმან შამ-აბას კახეთს შინა ქმნილისა მის ბრძოლისა და სიკუდილისა

კოსტანტინესმან იგულისხმობდა, ვითარმედ: ნუსადა განუღგენ კახნი და ნუუკუე დაიპყრასმცა მეფემან ქართუელთამან კახეთი. წარგზავნა ჰყო ამისთვის თეიმურაზისა კახეთად ნიჭითა დიდითა ზაკურაქ<sup>1</sup>.

მისრული იხილა რა ძემ თსი წმიდამან, განიხარა ბუნებითი- 5 15  
თა თესებითა და მის თანა ყოველმან სამეფომან მისმან.

ხოლო მეტყუელმან შულისად იტყუან: „შვილო, ან თავისუფალ ვიქმნები შფოთთაგან განგებითა<sup>1</sup> და რააცა გეხმარების, არა დავიცონებ შეწვენასა შენდა, ვიდრემდისცა გამოცდილ იქმნე და განვისუენებ ამიერიტგან მოცლილი კორციელთაგან და სოფ- 10  
ლიოთა საქმეთა და ზრუნუა ეყო სულიერათათს ამიერიტგან საქმეთა“.

ფრიადი უკუე დაწყნარებულება იყო მაშინ საქართუელთასა, ვითარმედ სიკუდილიტგან შაჰ-თამას პირველისა, რომელი იყო პა- 15  
პა შაჰ-აბას პირველისა, არლარასადამე იყო სპარსთაგან ოკრება ქართუელთა. ხოლო ოკრებამან ქუეყანათა ჩუენთამან და მიზეზ-  
მან წმიდისა ღუაწლისამან ესთა ძრუად იწყო.

ოდეს-იგი მოვიდა თეიმურაზ პირუელი სპარსეთით და გვრ-  
გნოსან იქმნა იგი მეფედ, მსწერენ, ვითარმედ იცხოო თეიმურაზ მეფედ ქისიყს, ეკკლესიასა შინა წმიდისა მოციქულთა მსწორისა 20  
ნინასსა და რომელნიმე, ვითარმედ თთ მცხეთას დიდსა ეკკლე-  
სიასა შინა ზაქარიას მიერ კათოლიკოსისა. ემზახლა იგი მაშინდელ-  
სა გურიისა მთავარსა და მოიყუანა ცოლად ასული გურიელისა ანნამ, რომლისაგან მშუნა ძენი ლეონ და ალექსანდრემ და ასული თინათინ. მოკუდა დედოფალი ანნა და აწვია და წარიყუანა მეფემ 25  
თეიმურაზ შაჰ-აბას ისპაანად და სიყუარულითა და პატივითა ის-  
ტუმ/რა და მიზეზითა მზაკუარითა აზრახა, ვითარმედ რათა შეირ-  
თოს ცოლად ასული ქართუელთა მეფისა ვიორგისა, ძისა სიმეონ დიდისა, და დამ ღუარსამ მეორისა. უწყოდა მზაკუარმან მან, ვი-  
თარმედ უზუედრ იყო ცოლად, ვითაჲ ეკკლესიებრითა მსჯული- 30  
თა და არა ერჩის მეფე. მსწადოდა, რათა ჰპოვოს მიზეზი ღმობისა, რააცალა „მუცლად-დლო ყოვლად ბოროტსა მას და მშუას ქუეყა-  
ნათა ჩუენთათს და მეფეთა ზედა ბოროტის ყოფამ“.

ეტყოდა უკუე შაჰ-აბას თეიმურაზს ესრეთ, ვითარმედ: „ვი-  
ნამტგან ვითა ძე საყუარელი მივი აღზრდილებისა ძლით და ერთ- 35  
გულეებისა შენისა, ემსთხოვე უკუე დამ თსი ღუარსაბს, მეფესა

<sup>1</sup> განგებითა A.  
\* შდრ. ფსალ. 7.13.

ქართულთაჲსა, ცოლად და მეორე დაჲ მისი მომიციეს შენდა ცოლად და მრჩობლობაჲ<sup>1</sup> ეკჳმნათ სიყუარულისა და ერთობისა შენ და მე“.

- მიუგო თეიმურაზ: „შეუძლებელ არსო, მეფეო, ესე, რამეთუ 5 არა შემინდობს მე ეკკლესიაჲ კჳნად ამისა“. და იგი უმეტეს განადღიერებდა ბრძანებითარე მძლავრებითა თქმითა. ხოლო მხილულმან თეიმურაზ, ვითარმედ უკეთუ არა დაემორჩილების, მრავალთა იკმნების მიზეზ ბოროტთა ურჩებაჲ იგი: ეკკლესიათა დარღუევისა და ქრისტეს მოსახელისა ერისა აღწყუუელისა და ტყუენ- 10 ვისა იკმნების მიზეზ და ვითამე დაღათუ უჯგერო იყო, არამედ მინდობითა ღმრთისათა კჳმნა უჯგერობაჲ<sup>2</sup> ესე და მოიყუანა ცოლად ასული ქართულთა მეფისა ხუარაშან და შაჰ-აბას წარიყუანა 16 ცოლად დაჲ მისი /უმრწემესი ელენე.

- ამათ ღროთა შინა მეფობდა ქართულთა ზედა ლუარსაბ მე- 15 ორე, ჳაბუკი იყო ყოვლად ბრწყინულე, რომელიცა მარტულებითა შემდგომად გვრგუნოსან იკმნა. მაშინ განდგომილნი რომელთამე მიერ მიზეზთა მეფისაგან ლუარსაბისა სააკაჲსძე გიორგი და ნუგზარ წარვიდეს შაჰ-აბასისად. ხოლო შაჰ-აბას ძერი იგი, რომელი აქუნდა დაფარულ ვულსა თესსა მეფეთა ზედა ჩუენთა, რომე- 20 ლიცა აღრითგან<sup>3</sup> დაემარხა, მიიღო მიზეზი, ვითარმედ რომელიცა დაჲ ვჳსთხოვე ლუარსაბს, იგი წამართუა მე თეიმურაზ, და მძუნუარედ მბორგალი შემკრებელ სპათა იკმნა და წარმოვიდა საქართულოსა ზედა და თანა წარმოიყუანნა ნუგზარცა და სააკაჲსძე გიორგი, ორგულნი მემკედრისა მეფისა თესისა და მამულისანი. 25 მოსრულმან შაჰ-აბას აღვანიად ქალაქსა, ზედწოდებულსა განძად, ჳკითხა გიორგის სააკაჲსძეს (რომელსა უყოფდა წყალობასა და პატივსა ეტიკობისათეს საქართულომსა და კახეთის ოტრეებისა), ვითარმედ თქუნენ შორის კაცსა ცოლ-წაგურილსა რამმე თანა-აჲს?<sup>4</sup>

- 30 იტყუს არაჲილ ვინმე სომეხი ისტორიკოსი, ვითარმედ მიუგო გიორგი სააკაჲსძემან<sup>4</sup> შაჰ-აბასს: „ეგვეითარი კაცი წამგურელსა ცოლისაჲსა აღუოტრებს მამულსა, თუ სადამე ძალ-უძს<sup>5</sup> შორევენად და წარმოჳსტყუენანეს ყოველსავე მისსა და მოჳკლავსცა“. ხოლო ჳრქუა ესენი გიორგი ამისთეს, იცოდა, ვითარმედ თეიმურაზისთეს V 35 ჳკითხავს იგი, კახთა მეფისა. მი/უგო შაჰ-აბასს: „მე ვარო, რომელსა წამგუარა ცოლი თეიმურაზ“.

1 მრჩობლობა A. 2 უჯგერობაჲ A. 3 აღრიდგან B. 4 სააკაჲსძემან B. 5 ძალ-უძს A.

ქსნერენ, ვითარმედ „მხილუელთა წინამდებარისა ამის განსა-  
 ცდელისა დიდისათა კახთა არა თანაპსწორი აჩუენეს ერთგულებ-  
 რი განზრახუამ თეიმურაზს და რომელნიმე ბრძოლასა და რომელ-  
 ნიმე ლტოლუასა აზრახებდეს. ხოლო შემდგომად ყოველთა ვედ-  
 რებით ითხოვეს მეფისაგან თეიმურაზისა, რათა დედოფალი ქეთა- 5  
 ვან ძითურთ მეფისათ აღექსანდრემთ წარვიდეს შაჰ-აბასისად,  
 ნუუკუე დაპსცრეს მძლავრი იგი ძვრთაგან. მაშინ ცრემლით გა-  
 ნუცხადა მეფემან დედასა პაზრი ესე. მკსმენელმან ბრძენმან მან  
 და მკნემან დედაკაცმან თვნიერ ყოელისა სულმოკლებისა მიუგო:  
 „შვილო, მეცნიერ ხარ შენცა, თუ რაოდენგზის კახეთისათს 10  
 არარაიმეისა მგამებელსა თავისა ჩემისასა ჳირნი თავს-მიდვიეს,  
 მაგრა უსარგებლო არს აწ წარსლუამ ჩემი, ვითარმედ შაჰ-აბასს  
 რაიცა უზრახავს ჩუენთს ძვრი, ვერ დააყენოს მისგან წარსლუა-  
 მან ჩემმან“. ქსნერენ კუალად: „აღუტევესო კახთა ყოველთა კმამ  
 წინაშე დედოფლისა ტირილისა და ეტყოდეს: „წარუედ, შ, დედო- 15  
 ფალო, წარუედ და გკსნენ ჩუენ“, — ესენი გრიგორი ხუცეს-მო-  
 ნაზონისა წერილითგან მოვილე.

ხოლო არაქილ სომეხი ისტორიკოსი ქსნერს, ვითარმედ: „მი-  
 ავლინაო მეფემან შაჰ-აბას მოციქულნი თეიმურაზისად და ითხოვა  
 წინდი. და წარუგზავნა თეიმურაზ ერთი ძეთა თუსთაგანი. მსთხოვა 20  
 კუალად წინდი და წარუგზავნა მეორეაცა. შეჰსძინაო კუალად ყე-  
 ენმან და მსთხოვა წინდი და წარუგზავნა დედაც თუსი“.

/ქსნერს ამისთვის არჩილ მეფე იმერთა შაირსიტყუაობითთა 17  
 ისტორიათა შინა თეიმურაზ პირველისათა: გულისმსიტყუელმან  
 მეფემან თეიმურაზ და დაპრწმუნებულმანცა, ვითარმედ თუ სადა- 25  
 მე წარუავლენ დედასა ჩემსა დედოფალსა ქეთაიანს ვედრებად  
 შაჰ-აბასის მიმართ, ისმენს ვედრებასა მისა და არღარა ილაოკრებს  
 სამეფოსა ჩემსა, წარავლინა დედაც თუსი მცირით ძით თუსით  
 აღექსანდრემთ. და ვითარ მიიწიენესო ყაენისად, პატივ-მსცა დე-  
 დოფალსა შაჰ-აბას ზაკუთ და ეტყოდა: „არა ვარ მე ძიძა, რათა 30  
 ეზრდიდემცა მე ყრმასა ამას, არამედ თუ სადამე ჰნებავს უმჯობე-  
 სი თეიმურაზს, წარმომიგზავნოს მე უხუცესი ძეც თუსი და ვითარ-  
 ცა კჰუენის დიდგუარობასა მისსა, ეგრეთ აღუზარლო იგი“. მიუწე-  
 რაო ესე ყოველი დედოფალმან ქეთაიან ძესა თუსსა და აზრახა  
 ილუმალ, რათა არა წარმოგზავნოსმცა ყრმამ იგი, და არცა ენება 35  
 მეფესა თეიმურაზს, მაგრა თავადთა კახეთისათა, თუ მსთქუა,  
 თვნიერ ნებისა მამისა წარუგზავნეს იგი, დაღათუ სიტყუთავე მე-  
 ფისა თეიმურაზისათა. და შემდგომად თუთ მეფესაცა თეიმურაზს  
 აწვიო მისულად მისდა, დაღათუ ვიეთმე კახთაცა აზრახეს, მაგრა



ყოვლითურთ მიპრიდა მეფემან“. მაგრა უსარწმუნოეს მიჩნს  
 თქმულნი ესე არჩილ იმერთა მეფისანი მით, რომელ დროსა მეფი-  
 V სა არჩილის კახთა ზედა მეფობისასა მრავალნი იყუნეს თუალით  
 5 აწლისასა იყუნეს რომელნიმე ყრმა და რომელნიმე ჭაბუკ და ყო-  
 ველივე ამისთვის თანმედროეთა მაცხოვართაგან უწერის.

არა უწყი მართალი, თუ რომლითა მიზეზითა ანუ ოდეს წაართ-  
 თუა თეიმურაზს შაჰ-აბასმან ასულიცა თინათინ, მაგრა ესე ჭეშ-  
 მარიტი უწყი, ვითარმედ წარიყუნა ქალი იგი და ჰყუა ცოლად.  
 10 და შემდგომად მისცა ვალსა ლორისტანისსა, რომელიცა მგონიეს,  
 ვითარმედ აქსოვდა იგი მცირედრე დედასა ჩემსა<sup>1</sup>, სიქურიესა შინა  
 მისსა მოხუცებული ფრიად.

ვინმე უკუე აღრაცხნეს განსაცდელნი მაშინდელნი კახეთისა-  
 ნი, ანუ სახლისა მეფეთასანი, ანუ მოოგრებანი და განრყუნანი  
 15 წმიდათა ეკლესიათა და მონასტერთანი, ანუ გარდასახლებანი  
 კინლა ყოველთა სოფელთა კახეთისათა, და სიკუდილი და კლდე-  
 თა და კურელთა შინა ქუეყანისათა დაფარულთა სიყმილი, ანუ  
 მახვილი, ანუ ტყუეობამ, რომელიცა წინაძღომითა და ეტიკობი-  
 თა გიორგი სააკაძისათა<sup>2</sup> მოიწია კახეთსა ზედა, რამეთუ ესრეთ  
 20 მსწერს არაქილ სომეხი: „მაშინ შეგინებანი ქალწულთანი, სიკუ-  
 დილნი მოხუცებულთანი, ვითარ ვერშემძლეთა ტყუეობისა და  
 გარდასახლებისათა<sup>3</sup>, მაშინ სიკუდილი მებრძოლთა ჭაბუკთა არ-  
 მტევებელთა თვსდა ტყუეობად და გარდასახლულად, მაშინ სიკუდი-  
 ლი მღუდელთა და დიაკონთა და თუთ ეპისკოპოსთაცა და მოწესე-  
 25 თა და ტყუეობამ მათი და აღსპოლუა მძუნუარე ჩჩვლთა და ცეცხ-  
 18 ლითა და დათხრითა/ აღსპოლუა ყოველად შუენიერისა მის ქალა-  
 ქისა გრემისა და ყოველთა ქალაქთა და სოფელსა კახეთისათა“.

ესე ყოველი მოიწია რა წმიდასა ზედა, თავს-იღუა ვითარ  
 დიდსულმან იობ ანუ ტობია. გარნა ეკგონებ, ვითარმედ ყოველთა-  
 30 გან უმწარეს შეპსჭირდა ეკლესიათათვს, ვიდრელა თვსათვს.

წარვიდა მღტოლუარე მეფე თეიმურაზ იმერთად და მეფეცა  
 ლუარსაბ ივლტოდა მუნ. ხილო ქართლისათვს რაიცა სათანადო  
 იყოს თქმად, მოვიქსენოთ ლუარსაბ წმიდისა ბრწყინულეთა ღუ-  
 აწლთა მოთხრობათა შინა, თუ სადამე ენებოს ცხოველსმყოფელსა  
 35 სულსა.

იტყვან ამისთვის მომთხრობელნი ყოველნი ჩუენნიცა და სო-  
 მეხი იგი არაქილ ენითა სომხურითა და ლათინთაგანცა მომ-

1 ჩემსა+ჩემსა AB. 2 სააკაძისათა B. 3 გარდასხლებისათა A.

თხრობელნი იტალიანებრითა ენითა დაბეჭდილთა შინა წერილთა, ვითარმედ შემდგომად კელთ-გდებისა მეორისაცა ძისა თეიმურაზისა წმიდა იგი დედოფალი ყრმებითურთ წარგზავნა შაკ-აბას პატომრად შირაზად და უბრძანა მთაეარსა მუნებურსა სიმკაცრით ცუამ მათი.

5

ხოლო შემდგომად წლისა ხუთისა მისტაცნა წმიდასა მას ყრმანიცა იგი და მოიყუანნა, ისპაანად და მუნ დაკუეთითა საჭურის-პყუნა წელსა ჩქიმ (1618 წ.), რომელთაგანი სახელით ალექსანდრე, მომზრახობენ, ვითარმედ მოკულა იგი დაკუეთასა შინა, გარნა ლეონ ესოდენ სიბურედ მიიწია, ვითარმედ აქსოვდა იგი 10 ცოცხალი დედასა ჩემსა.

/მაშინ განსაცდელთა სიძნელენი წმიდისად და წმიდა მოთმინეა განსაცდელთად დაიმრჩობლებოდენ განსაცდელნი წმიდისად და წმიდა გვრგუნოსან იქმნებოდა სასოებითა უფლისად, „რამეთუ ჭირნი მოთმინებასა შეუქმიდა, ხოლო მოთმინება — გამოცდილება 15 ბასა, ხოლო გამოცდილება — სასოებასა და არა კრცხუნა სასოებისაგან“\* მოსავსა.

„არა მოკლენი იყუნეს მაშინ ჭირნი ამის მართლისანი და ყოველთაგან იქსნა უფალმან“\*\* სასოებისა მიმადლებითა. აქსოვდა თქმული (ეკკლესიასტეს შინა ისუ ზირაქისსა), ვითარმედ „უკეთუ 20 თუ მიეახლო უფლისა ღმრთისა მონებად, განუმზადე სული შენი განსაცდელსა შინა“<sup>3</sup> და „უკეთუ კეთილსა იქმოდეთ და გვენებოდესთ და მოითმენდეთ, ესე არს მადლი ღვთისაგან“<sup>4</sup>. და ესრეთ ქეთაევან არასადა „მეწიწნეულე სიცრუვით, არამედ მართალი სარწმუნოებით ცხოვრდებოდა“<sup>5</sup>, სხუა იობ იქმნა განსაცდელ- 25 თა შინა და სხუა ტობია სიბრმეთა შინა, ვითარმედ მოაკლდენ ორნივე ნათელნი ხედვისანი, ესე იგი ორნივე იგი ყოვლად შუენიერნი ყრმანი თუსნი.

მომზრახობენ მოძღუარნი წმიდანნი, ვითარმედ მოიწვევიან განსაცდელნი კაცთა ზედა პატიჟად განჩინებითა საღმრთოთა ანუ 30 ცოდუსათუს, რათა განისწავლნენ სხუანი არა ქმნად ეგვევითართა წინააღმდეგომთა ღმრთისათა, ანუ რათა იწუართნენ მით და განმწმედელ ექმნას ცოდუათაგან პატიჟი იგი და ანუ სრულთა ზედა, რათა უსრულეს იქმნენ განსაცდელითა მით, რამეთუ იტყვს, „ვიითარცა ოქრო ბრძმედსა შინა გამოჰსცადნა იგინი“<sup>6</sup>. 35

\* პრომ. 5,3-5. \*\* შტრ. ფსალ. 33,18. <sup>3</sup> ზირაქ. 2,1. <sup>4</sup> 1 პეტრ. 2,20. <sup>5</sup> შტრ. ამბაჯ. 2,4. <sup>6</sup> სიბრ. 3,6.

- 19 /სხუადასხუა ლალადისთა სმენითა განცდილმან წშიდამან ტყუემან პატიმარმან ათ წელ და ყოველნი, რამევეცა აქუნდა, კელთა მტერთა მისთად მიცემულმან განჩინებითა ღმრთისათა, რათა უსრულეს იქმნეს მსგავსად იობისა, გარნა „ვერ მიახლებულ-  
5 მან“\* ჯერეთლა მტრისა მიერ სულისა მისისად, შემდგომად ათისა წლისა მიილო კელმწიფებად მტერმან სულსაცა მისსა ზედა ყოვლად უბიწოსა, რათა მარხვთა დაწულილებულთაგან და მღჳძარებითა უსუსურთა და კმელსა ზედა წოლითა განდრესილთა კორცთაგან წარკვლესმცა.
- 10 ამისთჳს უკუე ჰსწერენ სხუანი სხუადასხუაგუარ, გარნა ერთისა მიმართ ჰაზრისა აღუალს ყოველი იგი მიზეზი წინამდებარისა საქმისა, ვითარმედ ანუ უარ-ჰყოს ქრისტე და ერჩდეს ჰსჯულის-  
დებასა მახმედისსა და ანუ მოკუდეს მწარითა სიკუდილითა. ესე უკუე იყო ბრძანებად მეფისა შაჰ-აბასისა.
- 15 „ჩემდა დიდად სადიდებელ იყუნეს მეგობარნი შენნი, ღმერთო“\*\*. „მეგობარი არს კაცი ესევეთარი, რომელიცა გუყუარობს ჩუენ, ანუ რომელიცა იგრძნობს კეთილდღეობისაგან ჩუენისა ნუგეშინისცემასა თავისა თჳსისასა“<sup>3</sup>.
- გარნა ესე ჰყუარობდა ღმერთსა, რამეთუ დაჰსდუა სული თჳსი  
20 მისთჳს, ვითარმედ მეტყუელი გვიბრძანებს უფალი: „უფროსი ამისა სიყუარული არავის აქუს, რათა სული თჳსი დაჰსდუას მეგობართა თჳსთათჳს“<sup>4</sup>, ვინა ქეთაგან მეგობარი არს ღმრთისა.
- არათუ კეთილდღეობისაგან კაცობრივისა, არამედ დიდებისა-  
გან უფლისა, რომლითა საესე არს ყოველი ქუეყანა, იგრძნობდა  
25 გულისკმისყოფითითა ზედმიწეენილებითა ნუგეშინისცემასა თავისა თჳსისასა, /ვითარმედ „საწუთრო ესე მცირე ჰირი ჩუენი გარდამატებულსა და გარდარეულსა დიდსა დიდებასა საუკუნესა შეიქმს ჩუენთჳს“<sup>5</sup> და დაიდუა გულსა თჳსსა, ვითარმედ „ვერაჳინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჰირმან ანუ იწ-  
30 როებამან, დევნამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან, ანუ ურუამან, ანუ მახვლმან“<sup>6</sup>. რამეთუ იტყოდა წშიდა იგი სული მისი: „მრწამს მე, ვითარმედ არცა სიკუდილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა,  
35 არცა სხუამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განშორებად სიყუა-

\* შდრ. იობ. 1,2. \*\* ფსალ: 138,17. 3\* ბაუმესტრ., განსაზღ. ფილოსოფ. საზღუარ. 1113. 4\* იოან. 15,13. 5\* 2 კორ. 4,17. 6\* პრომ. 8,35.

რულსა ღმრთისასა, რომელ არს ქრისტე იესუს მიერ, უფლისა ჩუენისა“\*.

კუალად იტყოდა სიძისა მიმართ წმიდა იგი სული მისი: „შენ გესვიდეს მამანი ჩუენნი, გესვიდეს შენ და იყნენ იგინი, შენდამი ლალადებდეს და ცხონდეს. შენ გესვიდეს, და არა პრცხუენა“\*\*. „შენთვის მოეჰსწყდებით ჩუენ მარადლე, შევირაცხენით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კლუადნი. განილძქე, რად გძინავს, უფალო? აღჰსდგე და ნუ განმაგდებ ჩუენ სრულიად“3\*.

ესგეჟართაგან საქმეთა მისთა ვიცით, ვითარმედ მეგობარ ღმრთისა არს წმიდა ქეთევან და ამისთვის ჩემდა ფრიად სადიღებელ არს და თქუენდაცა, მსმენელნო, ვითარცა საზოგადო ერთნათესაუი ჩუენი მეზრ არსებისა, მეზრ ჰეშმარიტებითისა ცნობისა, მეზრ თანმოქალაქობისა და მეზობლობისა, მეზრ მონებისა და უფლებისა, მეზრ კორციელისა/ნათესაეობისა და უგანთსებულეს მეზრ მშობელობისა და შვილებისა.

განვადილოთ „მაღიღებელი მისი“4\*, რომელმანცა დიდებისათს თვისისა აღიდა იგი, ვითარმედ (აღიდა) ამან ასოთა თსთა და გულთა მიერ მომწუართა და ცეცხლითა განლეულთა და მან აღთქმისა მის აღსრულებითა, ვითარმედ „სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყოს“5\*. ამან განგლეჯითა ურთიერთას მუსკულთა კერძოთათა და მან „სამოსლითა სპეტაკითა განრცხილითა სისხლითა თსითა“6\* და ფინიკითა და საყდარსა შინა თსსა ნიადაგ მსახურებითა და დამკვდრებითა მის თანა.

შეუქმნათ გვრგვნი ყუთაილელი სიტყუათა და, თუ სადამე ვიხილოთ ყოვლად შუენიერი იგი თავი მისი ბართა მიერ განცეცხლებულთა და საჯთა დაფარული, აღვილოთ იგინი და დაეჰსლუათ მის ზედა გვრგვნი ყუთაილთა და ეჰგალობდეთ მის თანა ჩუენცა „გალობასა ახალსა“7\*.

შაირსიტყუაობით მომთხრობი ყოვლად ბრწყინუალისა ვნებისა მისისა კეთილმსახური ძე მისი თეიმურაზ პირველი ჰსწერს შეთულით ბრძანებასა მთავრისა მიმართ შირაზისსა შაჰ-აბასისგან, ანუ იჰმნას დედა თეიმურაზისი მახმედიან და ანუ მძუნუართა მოკუდეს უკუე შენგან სიკუდილითა. მსმენელმან მთავარმან მან, იძულებულმან წმიდისა მის კეთილთაგან ქცევათა მოწლეობად, რომელიცა ბრძანებადმდე უღმრთოთა მის მეფისა ნუგეშინისცემდა და პატიმრობასა მისსა, /დაჰფარა მწუხარემან ბრძანებამ იგი ვილ-

\* კრომ. 8,38-39. \*\* ფსალ. 21,4-5. 3\* ფსალ. 43,22-23. 4\* შდრ. 1 მეფ. 2,30. 5\* იოან. 12,26. 6\* შდრ. აპოკალ. 7,14. 7\* აპოკალ. 5,9.

რე შესამედ დღედმდე და სრულიად დაფარვისა ვერ კადნიერმან „შეკსთულაო“, ბრძანებს მეფობა მისი, „რათა დაუტევო ქრისტემ და მოხვიდე კსჯულსა მახმედისსა“, და მრავალნი ლიქნისაცა და ვედრებისა სიტყუანი შესაბამნი მისდამი მოწლეობისა მისისა-  
5 ნი. და კულად ევედრებოდა მთაყარი იგი, რათა პატიოსნებასა მისსა არა შეახოს მძნუარენი და საშინელნი სატკივარნი.

სხუანი უკუე მომზრახობენ სხუაფერ: მთავრისა მისგან წუევასა წმიდისად უღმრთოებისა მათსა აღსარებისასა. და არაქილცა სომეხი სხუაფერ და ლათინთა მეისტორიენი სხუაგუარ, ვითარმედ  
10 აწვიოო შაკ-აბას ცოლად მოყუანებად წმიდა იგი და ყოფად დედოფლად სპარსეთისა და სახლისა თვისისა და ესრეთ უარისყოფად კეთილმსახურებისა, შაგრა მე ძისა მისისა, მეფისა თეიმურაზ პირუელისა მოთხრობილთაგან ეკსთქუა.

მსმენელი ამათი წმიდა იგი მადლობითარე ღმრთისად და  
15 გამომსახუელი ცხოველსყოფელისა გუარისა ეტყოდა და გულსავე კყოფდა, ვითარმედ: „არარამმეთა სახითა შესაძლებელ არს მათგან შეცუალებად ჩემისა კეთილმსახურებისა, რომელსაცა შეეკსწირავ ღმრთისადმი ჩემისა“, არამედ ითხოვა დაცადება მცირედ.

20 აქუნდა უკუე წმიდასა ამას განთხებითრე სახლი სალოცუელი, რომელსა შინა შესრულმან მოიდრიკნა მუქლნი და ცრემლით იტყოდა:

21 /„შენ, ღმერთსა სამებასა, ერთარსსა და თანარსსა, გიცნობ უცნაურსა და უხილავსა, ვერ შემძლებელი თქმად საკვრუელება-

25 თა შენთა. შენ ბრძანებითა შენითა შექსძრავ მათთა და შეარყევ საფუძველთა ქუეყნიერთა, შენდამი გალობენ მღალადებელნი ინდნი, ელინნი, ებრაელნი, პრომნი და სხუანი ენისამებრ მათისა სიტყუთითა, ორღანითა და სამუსითა ძალებითა. გევედრები, მ მეუფეო უფალო, შიშნეული მძღავრთაგან მცუელთა ჰაერისათა, მო-

30 მივლინე მე ანგელოსი მცუელი სულისა ჩემისა და შიითუალე სული ჩემი და განმიღე კარი სასძლოისა შენისა და აღმრაცხე მე გუნდსა თანა მოწამეთა შენთასა. არა არს რიცხვ ცოდუათა ჩემთა და არცა ვისამე შენდამი მორწმუნეთაგანსა უცოდავს ჩემებრ და ეინამთგან ღირს შენდა აღსარებად მონანულთა, აღგიარებ ცოდუა-

35 თა ჩემთა, ვითარმედ არარამმე არს დაფარულ თუალთაგან შენთა. გადიღებ აღსარებისა მიერ შენისა, შენ განკურნენ წყლულებანი ჩემნი. მოიხილე, უფალო, მიქსენ და მილხინე ღროსა მას განხმისა წერილისა გულთასა. შიეც ძესა ჩემსა, მეფესა თეიმურაზს, ძლეუად და რომელნი კყოფდენ კესენებასა ჩემსა, მიანიჭე საუკუნომ

სუფეჲამ. მპრწამს ჭეშმარიტად, ყოვლად წმიდაო ქალწულო, უბიწოა შობაჲ შენი და შენ, ქალწულ პირველ და შემდგომად შობისა, შემიწყალე მორწმუნეჲ განგებულებათა ძისა შენისათა“. ესე ყოველი ვედრებული წმიდისაგან, აღმომიღიეს კეთილმსახურისა მეფისა, ძისა მისისა, თქმულთაგან.

V  
5

იტყჳს კულად მეფე: „დაცხრომილმან ლოცვისაგან წმიდამან მიიღო უხრწნელი და პატიოსანი კორცი და სისხლი უკუდავისა სიტყჳსა და იტყოდა: „მეუფეო ქრისტე, სიტყუაო ღმრთისაო, არა მშუენოდა მკეეღისა შენისად უარისყოფაჲ შენი. ნუ მიმცემ ეშმაქსა მკეეღალსა შენსა“. და ესერა თქუა, გამოიწერა თჳს ზედა ჯუარი წმიდა და გამოვიდა და დაჯდა უშიშად, ვითა ლომი და ბრძანა მოწოდებად მტარუალნი.

10

ჩუეულება არს მოწამეთა ქრისტეს ღმრთისათა, ვითარმედ ტანჯულად ქრისტესთჳს განპსცემენ ნებსით თავთა<sup>1</sup> თჳსთა სხუადასხუაგუარ, ვითარ ღიდმან მოწამემან თეოდორე სტრატილატმან მოუწოდა მეფესა ლიკინიოსს<sup>2</sup> მიზეზისა მიმწერმან მისდა მეფისა მისგან საჭიროდ საგონებელთამან და ერჩდა მეფე და მოვიდა ეხბაიტად. და სხუანი სხუაგუარ ესთავე იქმოდეს. ხოლო ამან წმიდამან შემდგომად ლოცვისა<sup>3</sup> მის ყოვლად უნიუთომსა შეწირვისა, მოუწოდა მტარუალნი ჯვრეთ მჭურუელმანდა თავისა თჳსისამან ლოცუთა და სარწმუნოებითა უფლისადმი ტანჯუთა დათმენად მდგომარემან სიხარულით, მსხუერპლმან მან უბიწომან ყოვლად დასაწუელმან შეწირუად ზეციერისა საკურთხევეღისად.

15

20

მოვიდეს უკუე მტარუალნი იგი დედოფლისად, თანამომქონნი მრავალნაკუეთთა რკინათანი, აღატყინეს ცეცხლი<sup>4</sup> და შთაქსნეს მას შინა რკინანი განკურუებად. იტყჳს არაქილ მაშინ ცრემლ/თა-ცა დათხევასა მთავრისაგან შირაზელისა.

25

22

იტყჳს მეფე, ძე მისი: მხილუელთა საშინელთა მათ და ყოვლად საზარელთა წმიდისა სატანჯუელთა რკინათა და ცეცხლისათა, მკეეღლთა მათ საწყალობელთა, ორთაგან ცხოვრებათა დაკლებულთა, იწყეს გოდებად, თმათა მოფხურად და ღაწუთა დახოკად; და სახელთაცა მკეეღლთასა წოდებით აქსენებს მეფე, რომელთაცა ვედრებით უბრძანა წმიდამან, რათა იგინიცა ეზიარნენ ვნებათა მისთა და ერთად წარვიდენმცა სასძლოსა ზეციერსა. გარნა ამათ წინაშე წმიდისა მის შიშნეულთა მწარედ მტარუალთა მძლავრებითა უარ-ჰყუეს ქრისტე და აწუევედეს წმიდასაცა, რათა შეიწყა-

30

35

1 თჳთა A. 2 ლიკინოსს A. 3 ლოცჳსა B. 4 ცეცხლნი A.

ლოსმცა ყოველად შუენიერი თავი თუსი და არა მიიღოს მწარენი იგი მძუნუარებანი ტანჯუათანი.

ხოლო ხუდა დრომ ხუცესსა გიორგის მოწოდებისა და მოუწოდეს მტარვალთა და სატანჯუელთაგან მძრწოლარემან უარპყო მანცა 5 ქრისტემ. კმა უყო წმიდამან ხუცესსა მას საწყალობელსა, იტყუს მეფე: „რამსამე ქსდრწი, იმერელო, ეგრეთ? აჰა, დრო ჩემ თანა ქსრბისა. მრავალთა დაუთმეს ესევეითართა სატანჯუელთა, ვინმე არს, რომელიცა ქუეყანასა ზედა დაჰშთამცა საუკუნოდ? უმჯობეს არს სრბა ესე ჩემი ყოველთა განსუენებათა. არა გავსოვსა, რამ

10 უაუე უყუეს ძესა ღმრთისასა, ვითარ-იგი ყოველად წმიდანი კელნი და ფერკნი მისნი ძელსა ზედა დაჰმსჭულნეს მუსმართა მიერ? დავითმინოთ უაუე ძერნი, რათა ვეზიარნეთ ვნებათა ქრისტესთა“. მაშინ ყოველნი იძლიენეს თანადმსახურნი და მკეველნი წმიდისანი/და თუთ საწყალობელიცა იგი ხუცესი; ესრეთ მოუთხრობს მე-

V 15 ფე თეიმურაზ.

აჰა ვიდრემე ყოველნი ვნებანი წმიდისანი მოთხრობილთაგან სხუათასა, მეფისა, ძისა მისისა, თქმულნი უსარწმუნეს მიჩნს ამად, რომელ ყოველთა დიდნი და საზარონი აღწერნეს ტანჯუანი და ითქუა მეფისაგან არა მეტი რამმე, რათა მითმცა უდიდესი დიდე- 20 ბამ სოფლად მოუგოს დედასა თუსსა, ესეგუარი არარამმე არს.

დროსა შეპყრობად კელთა შეხებისასა, იტყუს მეფე, მიხედნაო მტარვალთად და პრქუა: „ვინამთგან შობილნი ხართ თქვენცა დედათანი, მიმაცილეთ განშიშულებამ სააუგო“.

იტყუს მეფე შეპყრობასა ტარივისა მის წმიდისასა: ესგუარ 25 განჭიმეს მძაფრიადრე კელნი და მაჯანი გლახაკთა გამომზრდელნი, კელნი მარად უბრალონი და წმიდად აღპყრობილნი ღმრთისადმი, დაგლიჯნეს მარწუხთა მიერ ძუძუნი და დაჰსდუეს წყლულთა მათ ზედა საჯნი, მუსმარნი იყუნეს მრავალნი ქუეშე წმიდისა და მათ ზედა განრთხმულ იყო და ზედათცა დაჰყარნეს იგინივე

30 მრავალნი. მაშინ კორცნი იგი წმიდანი მრჩობლითა იენებდეს ტკივილითა, რკინანი იგი თავით თუსით სატანჯუელ იყუნეს და ცეცხლებრ ქსწუდეს საშინელ, რამეთუ ნაბერწყალთა სროლამდე განჭურუებულ იყუნეს. მაშინ იპებოდიან კორცნი მუსმართაგან და, რაზომცა განამწუეც იყუნეს, ეგრეთ კორცთა შინა განვლი- 35 დიან.

23 /იტყუს მეფე: „კორცნი დაჰსცენესო, რომელნი აქუნდეს, და მათ წილ დაჰსდეს მუსმარნი და ბრძლნი. განავლნეს მკერდით ზურგადმდე შამფურნი. მაშინ ტკივილნი სასტიკებდეს, გრძობანი ტკივილთანი საშინელ იყუნეს, გერგენი „მეფობა შუენიერებისა და

შარავანდელი სიკეთისა განიშნადებოდა მიცემად კელისაგან უფლისა“<sup>1</sup>. შამ-აბას მძნუარებდა, სახიერი ქრისტე დატკებოდა, ტანჯუანი ძნიალობდეს, მოსაგებელი ძვირფასობდა. იტყვს ნიკოლაოსკა ეპისკოპოსი მროელი სტიხოლოლოსობით, ვითარმედ: 5  
 ჯაქუცა მოარტყეს. იტყვს მეფე, ბარნი უკუე შემოჰსდუესო შუბლსა და აღმა ახეთქასა იტყვს თხემისასა, სადა-იგი კქმნა ღმერთმან თუსად საჭურთხეველი, სადა შეიწირვოდეს გამოხატუანი და წმიდანი მიდმოებანი გულისსიტყუათანი, ესრეთ „აღვიდა რტო კუამლისა აღმოსრული უდაბნოთაგან“<sup>2</sup>, სული იგი მისი ყოველად განწმედილი სასძლოსა ზეცისასა „ეკკლესიასა მას პირმშო- 10  
 თასა ღმერთისა და მქსაჯულისა ყოველთასა და სულებისა მართალთა აღსრულებულთასა“<sup>3</sup>.

გარდა მეფისა ყოველნი თანად-მომზრახობენ მომთხრობელნი, ვითარმედ ქუაბი რუალისა დაქსდგეს განჯურუებული თავსა ზედა. 15

ესრეთ უკუე მისასრულებადმი შეაერთა, საშუალნი კეთილნი კეთილისა სურვილით დასასრულისად „გულმეთქუესან კორცთაგან განსულისა და ქრისტეს თანა მისულისამან“<sup>4</sup>.

„მოიღუაწა ღუაწლი კეთილი, აღასრულა ჰსრ/ბამ სარწმუნო- 20  
 ებამ, დაიმარხა სამოციქულოდ, მიიღო გვრგვნი სიმართლი-  
 სა“<sup>5</sup>, ჰსრბოდა ასპარეზსა შინა სხუათა თანა და ერთმან მი-  
 ილო ნიჭი ამაჲ უკუე სხუათა თანა ტყუეთა თუსთა ქრისტეანეთა.

ყოველნი ზოგად მომზრახობენ მეისტორიენი ნათლისა საღმრ-  
 თოგსა გარდამოსლუასა! სხეულსა ზედა მოწამისასა. იტყუნ ლა-  
 თინნი იტალიანებრითა ენითა დაბეჭდულსა ისტორიასა შინა: 25  
 „სხეული წმიდისა დაწურვილი მკროდ კორცთა უფლისათა სა-  
 ცხებელად შთააგდესო მწურებთა შინა აღგილთა ქალაქისა კორცთა  
 საჭიროთასა და გარდამოსულითა მრავალჯერ მის ზედა ნათლისა  
 სუეტისათა კპოვეს მორწმუნეთა ქრისტეს ღმერთისა მიმართ, და- 30  
 ლათუ მწუალებელთა“.

არაქილ სომეხნი იტყვს: „და ოდეს იგი მოკლეს, განაგდეს გა-  
 რე პატიოსანი გუამი მისი საჭმელად ძალღთა და მკეცთა, გარნა  
 ღმერთმან დიდებულ კყო იგი ზეციერთა სასწაულითა“. ხოლო  
 დაიფლა წმიდა იგი დაფარვით მასვე ქალაქსა შინა და წელიწდისა  
 სრულყოფამდე მარტულობისა მისისა დაკყო წმიდამან მან სხეულ- 35

1 გარდამოსულასა A.  
 \* შტრ. სიბრძ. 5,16. \*\* შტრ. კება 3,6. 3\*ებრ. 12,23. 4° შტრ. ფილაპ. 1,23.  
 5° შტრ. 2 ტიმოთ. 4,7.



მან საფლავსა შინა. ხოლო მოქცევსა წელიწდისასა განაღეს საფლავი და ვერღარა კპოვნეს ნაწილნი წმიდისანი. იტყუს უკუე მეფე: „მიართუესო ლათინთა შაპ-აბასს ათორმეტი ათასი თუმანი და ითხოვეს ესრეთ მოფარდვით ნაწილნი წმიდისანი, მაგრა არა ის 5 მინა მათი. ხოლო კსცნეს რა ვერ შოვნა ნიმროზელთა უკუე მწიგნობართა, კსცენეს იღუმაღ და კპოვნეს დაფარუ/ლნი და წარისხუნეს და უქმნეს ლუსკუმაღ და მრავალთა სულნელთა უკმევდიან და იგინი კკურნებდეს მრავალთა სნეულთა“.

იტყუს მეფე სრულ-ყოფასა წმიდისა დედისა თვისისა, ყოე-10 ლად უძღველისა, სრბისასა თთუესა სეკდემბერსა ათსამეტსა. ვახუშტი იტყუს აღწერათა შინა კახეთისათა წელსა განჯორციელე-ბითგან სიტყუსა ღმრთისა ჩქედ (1624 წ.).

ოდეს-იგი აღვიდა წინაშე საყდართა ყოვლად წმიდისა სამეზბისათა წმიდა იგი დედოფალი და მოწამე სარწმუნო ქრისტესა, 15 თთუესა მეშუდესა მიიღო სკიპტრამ ქართლისა მეფემან თეიმურაზ.

ხოლო ნაწილთათეს წმიდისათა მომზრახობენ ესრეთ ყოველნი მომთხრობელნი ჩუენნი, სომეხნი და ლათინთანი, ვითარმედ ლათინთა მონაზონთა, მშოვნელთა წმიდისა ნაწილთათა, ნახევარი 20 ვიღრემე მოართუეს მეფესა თეიმურაზს თაეითურთ, რომელიცა მეფემან კეთილმსახურებისაებრ, ვითარცა მოწამესა, დღესასწაულობითა დიდითა პატივ-კსცა საკმეველთა მიერ და სუნნელთა კმე-ვითა მიმგებებელმან ყოვლითურთ სამღუდლოდთ კრებულთ ქართლისა და კახეთისათ და ძეობისაებრ სიყუარულით, ვითა კშუ-25 ენოდა დედასა, დედოფალსა და მეფასა, და დაჰსხნა წმიდანი იგი ნაწილნი ეკლესიასა მთავარმოწამისა გიორგისსა ალავერდს, იტყვან ქუეშე საღმრთოთასა ტრაპეზისასა.

ამისნი უკუე ისტორიანი, ეკგონებ, ვითარმედ პირუელად აღ-30 წერა ვინმე თანმედროემან წმიდისამან, და თვთ/კეთილმსახურმან ძემან მისმან მეფემან თეიმურაზ პირუელმან შაირსიტყუაობით, და მესამემან არჩილ იმერთა მეფემან, მამის ბიძამან ჩემმან, მოიკსენა შაირსიტყუაობათა შინა თეიმურაზ პირუელისა საქმეთა ისტორიისათა, კულად გრიგორი ხუცესმონაზონმან გარეჰსჯას ღირსის დოდოს მონასტრისამან, ნეტარმან ბესარიონ მამათმთა-35 ვარმან ჩუენმან, ვახუშტი, ნათესავმან ჩემმან, აღწერათა შინა კახეთისათა.

მრავალგზის ვედრებით მაწუა მე ქმნად ისტორიამ ყოვლად დიდებულთა ღუაწლთა წმიდისა დედოფლისა ქეთავანისთა დედისდამან ჩემმან, მეფისა ირაკლი პირუელისა ასულმან, ღირსმან

ენკრატისმან მაკრიბა, მაგრა ნიადაგ ურჩ ვეკმენ მეტყუელი: „კმა არს ესოდენთაგან ღირსთა და რომელთამე მალალთა და უსიტყვე- რესთა მოთხრობამა ღუაწლთა წმიდისათა“.

ხოლო მიზეზი აწ კელყოფისა ჩემგან ზემორე განმიცხადებებს. და აწ განვიღძებეი კმნითა ამისითა კუალად შესხმად და მო- 5 თხრობად ღუაწლთა წმიდისაცა დიდისა მოწამისა ლუარსაბ მეორისთა, თუ სადამე უნდეს ცხოველსმყოფელსა სულსა. ხოლო თქუენ, სარწმუნოებით მქსმენელთა და მკითხუელთადმი „მადლი და მშუდობამა ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომელმან მისცა თაეი თუსი ცოდუათა ჩუენათუს, რა- 10 თა განმარინნეს ჩუენ სოფლისა ამის ბოროტისაგან ნებითა ღმრთისა და მამისა ჩუენისათა, რომლისა არს დიდებამა<sup>1</sup> უკუნითი უკუნისამდე, ამინ<sup>2</sup>“\*.

ქმსხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნაბათა წმიდისა დიდისა 15 25  
მოწამისა ლუარსაბ მეორისა, მეფისა საქართუალოჲსა,  
ქმნილი ანტონისგან არხიეპისკოპოსისა ყოველისა ზამოჲსა  
საქართუალოჲსა, ღავითიან-ბაზრატოვანისა

ლუარსაბისი ყუაეილნ წალკოტიანი  
მწიფობენ მტილნი ნაყოფ ხილნარ ხიანი. 20  
ესე ზიტყუთნი და სხივ ნათელ მზიანი  
ჰკრთიან ელუანი ერმი მთიებრ ციანი,  
არ ღამიერნი, ყოველ მადლიერ დღიანი.

### სიტყუა მეორე

უპირატეს აწმყომსა დროისა კელ-ყოფამან დიდისა მის მზისა შა- 25 რავანდელთა ჩუენდა წთომილთა ვითარებათა და რაოდენობათა მოთხრობისამან მომიყუანნა ჩუენ სამკვეერმეთქეომსა შინაგანისა აღგილისადმი მეშედისა. ხოლო ადგილი იგი ზედწოდებულ რიტორთაგან მქსგავსებად, რომელსა შინა იცნობიან ორთა საქმეთა ურთიერთას თანკმობა, ესრეთ სადამე კელის-კელობამან მქსგავსები- 30 სამან აღგულესნა წარმოდებად ესევეითარნი ქაზრნი და მიზეზნი, რომლითაცა შემძლებელ ვართ თნებად მქსმენელთადა, რათა მით მოეინადირნეთმცა საგულხმონი მქსმენელთანი: ხოლო კუალად

<sup>1</sup> დიდება B. 2 ამინ+სრულ იქმნა წელსა განქორციელებითგან სიტყუა ღმრთისა 1758, თთუესა ოკდომბერსა 31. ტრიფილუსგან B.

\* გალატ. 1,3-5.

პოვნად ესეგუარნი ლექსნი და ქაზრნი, რომლითაცა სიუხუესა შინა და განვრცობასა აწყოასა თქმადისა ჩუენისა მიზეზთასა შემძლებელ ვიქმნეთ მსმენელთა შორის განღვებად აღძრუანი ნებათანი, რათა მით მოვიზადირეთმცა ნებანი მსმენელთანი და

V 5 უღებსა ქუეშე მორჩილებისა სიტყუათა ჩუენთასა/შემოვიყუანეთმცა.

ვიზილე სფერამ შემკული ნაწილთა თუსთა შეწყობილებით ნაზაეი, რომელსა შინა ანუ რომელსა ზედა ვარსკულაეთა მოძრაეთა აქუსყე თუთოეულსა ღერძი თუსი და ჰსრბიან გარემო, რომელსა

10 შორის ვასტურეტდ ვარსკულაესა რომელსამე დიდსა, რომელიცა მოვლიდა ჰსრბასა თუსსა გარემო ღერძისა თუსისა დასავალითრე ანუ ქუეშეურთათ და „აღმოსავალად თქმულად საღმრთოასა ზაქარიას მიერ მიიქცეოლა“\*.

და ზედმჭურეტობამ ესე ჩემი აწცა, ვითარმედ რაზომ დიდ  
15 იყო პირველი იგი რაოდენობითა, ეგზომ ვასტურეტდ ვარსკულაესა მეორესა. ხოლო ვითარ-იგი ელვიდა პირველი, ეგფერუე მეორეცა ესე, ანუ ვითარ-იგი გამოუტევებდა მსწრაფლ შარავანდელთა პირველი იგი, მეორეცა მებრუე, რაოდენ იყო სიმაღლე, ანუ სიმაღლე სულისა პირველისა მის, მეორისაცა ეგრეთ.

20 არა იგავითისამებრ მსგავსებისა მსგავსებენ დიდნი ესე ვარსკულაენი, არამედ მებრ სახითისა და ზედშეფოლებითისა. მებრ სახითისა, ვითარმედ მოსწრაფებნ სულად უცთომელად, ვითა პირველი იგი, ეგსახედ მეორეცა, ხოლო ზედშემოლებითისაებრ, ვითარ-იგი ითმენს ჰსრბასა თუსსა პირველი, მებრ მეორეცა.

25 უმრავლესსა შინა მსგავსებენ ორნი ესე სიტყუერნი ვარსკულაენი, ხატნი უზადომსა მზისანი უღამონი: 1. ერთი აქუსთ

26 არსებამ. 2. იგივე სარწმუნობამ, 3. წინაპართა ნიეთე/ბითთა მიზეზთა იგივეობამ. 4. ვითარებამ სიმაღლისა; 5. იგივე სურვილი დასასრულისად; 6. იგივე ჰსრბამ; 7. იგივე გვრჯენი; 8. იგივე ვითარებამ შარავანდელთა; 9. იგივე პატვი; 10. იგივე შემძლებლობამ.

მცირედსა შინა არა მსგავსებენ: 1. აქუსთ სხუაობამ ქუეშე-განწულალებითი; 2. დრომ არსებად მოსულისა; 3. დრომ ჰსრბისა. 4. ადგილი ჰსრბისა; 5. ვითარებამ ემეული ჰსრბასა შინა.

35 უკამს არს სიტყუამ პოენილი განუკარგუელად, ხოლო ეინამთგან მომიყუანნა ჩუენ საქმემან წინამდებარემან პოენად ადგილისა თქმულისა, ვინა გვლირს ემევედ განკარგუად პოენილი

\* შლრ. ზაქარ. 6,12.

იგი. ხოლო თუ სადამე ვკყოფთ განმკარგუელნი სიტყუათანი თქმათა, ვინა ჯერ არს პირველად დაწყებად და რათა დაწყებითა გონებანი მკითხუელთანი განეკმზადნეთ ყოფადთა მსრბათად სიტყუათა ჩუენთასა, რათა კეთილ-მეთნ-მმკაცრე და ადულ მსმენელ კაყუნეთ ივინი.

5

მსტქუა სიბრძნემან ღმრთისამან: „მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან, და რომელნი მეძიებენ მე, მპოვონ მადლი“\*. ხოლო სიყუარული არს განკარგუა სულისა მიღებულისა მიმართ მხიარულებისა, რომელიცა იქმნების სრულებისაგან სხუსა მით, რომელ ოდეს ერთსა შინა ნიეთსა მრავალნი რამენი თანკმობენ, ესე სრულ უკუე არს თქმისაებრ ფილოსოფოსთასა და რაჟამს ნიეთი სრულ იყოს თანკმობითა მრავალთა სხუათათა, მიჰსდრკების სიყუარულად გონებამ, ვინამცა სიბრძნე/ ღმრთისა შეადგამს მრავალთა და უმჯობესსა აღმრჩევობს, ესე იგი მოყუარეთა თესთა. ესე უკუე „ნეტარ არს, რომელი ეძიებს სიბრძნესა“\*\* და მეძიებელმან სიბრძნისამან მპოვა მადლი.

10

V

15

მადლი უკუე მრავალგუარობს სხუაობით, მაგრა ღმრთისმეტყუელებრ „არს შეწვენა საღმრთო მოცემული დაბადებულთად ნიჭად განმზადებად და მიმთუალუელად მადლთა ანაგებიითა და ანუ ნიჭი დათხეული ღმრთისაგან სულთა ზედა, რომლითა ნაყოფიერ იქმნების იგი ვინმე, რომელიცა იწოდების სათნოყოფელად“. ვინა მოყუარეთა უფლისათა მოუგიეს საღმრთო შეწვენამ ნიჭად, მაგრა ნიჭად ესევეითარად, რათა განემზადნენმცა და მიითუალონ მადლი ანაგებითი და ანუ ნიჭი ანაგებითი, რომელიცა დაუთხევიეს ღმერთსა სულთა ზედა, ესე იგი ოდეს მოიგონა ღმერთმან კაცი და „ჰქმნა ხატებისაებრ და მსგავსებისა თესისა“<sup>3\*</sup>, ესე იგი ხატებისაებრ „სიტყუერებისაებრ და გონიერებისა და თუთ კელმწიფებისა და შობისაებრ გონებისა მიერ სიტყუსა და გამოვლინებისა სულისა ღმერთმთავრებრიგობისაებრ, ამით უკუე კაცი ხატება ღმრთისა“<sup>4\*</sup> ხოლო მსგავსებისაებრ, ესე იგი არს მადლი დათხეული ღმრთისაგან სულთა ზედა, რომლითა ნაყოფიერ არს სული, ესე იგი სათნოებიანად.

20

25

30

ხოლო სათნოებიერ-ყოფა არს ბუნებითი კეთილმდგომარეობა, ვითარ-იგი დაიბადა ღმრთისაგან, რამეთუ იტყუს: „და იხილა

\* ივ. 8,17. \*\* შლრ. ივ. 3,13. 3\* შლრ. შესაქ. 1,26. 4\* დამასკ. ხატების ძლითისაგან.

ლმერთმან ყოველი, რაოდენი ჰქმნა და აბა, კეთილ ფრიად<sup>1</sup>.  
 27 ეკსტყუა კუალად: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა  
 აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეტათასა“<sup>2</sup>. და „რომელმან  
 5 ჰსძლოს, მიეპსტე მას დაჯდომამ საყდარსა ჩემსა/, ვითარცა მე  
 10 ეკსძლედ და დაეპსჯედ საყდარსა<sup>3</sup> მამისა ჩემისასა<sup>4</sup>, მარჯუენით  
 მისსა“<sup>5</sup>. ესე უკუე მიზეზ სიტყუათა ჩემთა წინამდებარე, ესე მო-  
 ყუარე და მეძიებელი სიბრძნისა ღმრთისა, „რომლისა საყდარი  
 არს სუეტთა ზედა ღრუბლისათა“<sup>6</sup>. და მპოვნელი მადლისა, ესე  
 10 იგი კეთილობისა მის, ვითარცა დაიბადა ღმრთისა მიერ და ამით  
 სიტყუათა მიზეზითა შორწმუნეთა მჰსმენელთა მიმართ ეკსდგა მო-  
 ნადირებად საგულხზმთა სულთა მათთასა.

ხოლო ჰაზრი და ლექსი სიტყუათა ჩემთა არს თქმად ესევი-  
 თარი რამე ძლევა მენე კაცისა და ძლიერი მამაკაცისა, რომელ-  
 მანცა ჰსძლო და დაჯდა საყდარსა მისსა მარჯუენით მისსა<sup>3</sup>, რო-  
 15 მელმანცა ჰსძლო და დაჯდა საყდართა მამისათა მარჯუენით მის-  
 სა<sup>4</sup>. ხოლო ჰაზრთა ამით და ლექსთა სიუხუთა და განვრცობითა მი-  
 ზეზთა მათ თქმულთათა ვლამი მდგომარე განღკებად შორწმუნე-  
 თა მჰსმენელთა შორის ნებათა მათთა და მონადირებად ორთავე  
 მათ ძალთა საგულხზმთა და მნებებელობითთა.

20 ნამდულ ჰემშარიტ არს ხელუა ესე, რამეთუ ჯერ არს, „რათა  
 წმიდანი წმიდათა მიერ იქებოდენ და ბრძენნი ბრძენთაგან“<sup>5</sup>.  
 გარნა მე ორთაგანვე კლებული, სიწმიდისაგანცა სულისა და სი-  
 ბრძნისაგანცა. და ჩემდა ფრიად კადნიერებად სარაცხ არს შეკად-  
 რებად ყოვლად უაღრესისად და უზუესისად იწროასა გონებისა

25 ჩემისა სინათლისაგან, მაგრა ვინამთგან სურვილი თქმადისა სა-  
 ტრფიალომასა „დაიდუა გულსა ზედა ჩემსა, ვითარცა საბეჭდავი, და  
 სიყუარული მტკიცე არს, ვითარცა სიკუდილი“<sup>6</sup>. და სურვი-

V  
 30 ლი ესე ჩემი არს მეგრ უფლებებისა და თანმენათესავეობისა/ აღ-  
 ვილობითისა მეგრცა და მშობელობითისა და კუალად, ვინამთგან  
 სხუათაცა რამეთა მიქმნიეს წერად და გამოთქმამ, ესეგუარისათუხ  
 მიზეზისა, რომელნიცა ითქუნეს, უსათანადოეს მგონიეს თავისად-  
 მი ჩემისა თქმად წინამდებარისა სიტყუსა.

აღუსთქუამ უკუე მჰსმენელთად, ვითარმედ მოუთხრობ მე  
 35 საქმეთა დიდ-დიდთა და განსაკურთუებელთა, საჭიროთა, სასარგებ-  
 ლოთა და ახალთა, დიდ-დიდთა, ვითარმედ ვითარ-იგი მეგრ სამო-  
 ქალაქომასა ჰსჯულისა ანუ ჰუეყნიერისა მეფობითისა, სხუა არს

1. საყდართა B. 2 ჩემისათა B. 3 მისა B. 4 მისა B.  
 \* შესაქ. 1,31. \*\* მატ. 10,32. 3\* შტრ. აპოკ. 3,21. 4\* შტრ. ზირაქ. 24,4.  
 5\* ქეთაიან დედოფლის ისტორია, აქვე, გვ. 14, სტრ. 30. 6\* შტრ. ქება 8,6.

მეფობა და მკედრობა და სხუა არს უფლება და მონება პატივი-  
 საებრ და ღირსებისა, ეგსახედ სისხლიცა, ვითარ-იგი მსტქუა ნე-  
 ტარმან ბესარიონ მამათმთავარმანცა ჩუენმან თუთ აწ თქმალისა  
 ჩემისა სამღუდელომსა ლუაწლისა მოთხრობასა შინა. ყოველივე  
 თქმად მარტულთათუხ წმიდათა დიდ არს მით, რომელ ესრეთ 5  
 მსტქუა: „ძირმან და ნათესაემან დავითისმან და ვარსკულაემან  
 ბრწყინულემან განთიადისამან“\*, „რომელი-იგი ცხოველ არს და  
 იქმნა მკუდარ და აჰა ესერა, ცხოველ არს უკუნისამდე“\*\*, „რო-  
 მელმან მსძლოს, მიეპსცე მას დაჯდომამ საყდარსა ჩემსა, ვითარ-  
 ცა მე ვმსძლიე და დავმსჯედ საყდართა მამისა ჩემისასა მარჯუ- 10  
 ენით მისსა“\*\*\*. მაგრა სადა-იგი დამრჩობლდების საქმე, დამრა-  
 ვალკეცდების ერთეკისაგან და შეუკეცელია უძლიერეს და უდი-  
 დეს იქმნების, ხოლო აჰა უკუე დამრჩობლდების საქმე, ესე იგი  
 კეთილმსახურ მეფობა და მარტულობა დამრავალკეცდებისცა, ესე  
 იგი კეთილმსახურ მეფობა, თან მენათესავ-ყოფა კორციელად/ 15 28  
 მოსრულისა სიტყუსა ღმერთმთავერისა და მარტულობა, მაშასადამე,  
 საქმეცა ესე თუთოეულისა თქმულთავანისა შეუკეცელისა უძლიე-  
 რეს არს და უდიდეს.

განკრუებადთა, ვითარმედ საკრუელ არს ყოველთა სათნო-  
 ებათა შორის აზნაურება სისხლისა მარტულობითისა მით, რამეთუ 20  
 სიკუდილი ცხოველთად საშიშ არს და მწარე, რამეთუ თქმულ  
 არს: „დაჰსდუა შიში მისი ყოველსა ზედა კორციელსა“<sup>4</sup>. და  
 კუალად: „შ, სიკუდილო, რაბამ მწარე არს ჰესენება შენი კაცისა  
 მიმართ მშუდისა ცხოვრებისა მქონებელისა“<sup>5</sup>. გარნა დიდ-  
 სულთა მოწამეთა ტკბილადრე შესუეს და სიხარულით სასმელი 25  
 იგი სულად და კორცად განწუალვისა. ხოლო თუ სადამე განეკსა-  
 ჯეთმცა, ფრიად და დიდ უმწარეს აღუჩნდეს გონებასა სიკუდილი  
 მით, რომელ აქუს სულსა კაცობრისა სხეულისა თანა კავშირი  
 რაჲვე, რომლითა შეიერთებიან და ურთიერთას<sup>1</sup> შორის ესრეთ  
 ძლიერადვე შეიკრუან, ვითარმედ მოძრავობათა შინა და გრძნობა- 30  
 თა მოფარდულობითსა მისცემენ შეწვენისა და ორნი ესე კერძონი  
 კაცისანი, ერთი მოქენე არს შეწვენისა მეორისადმი. იძრუან სა-  
 გრძნონი, ესე იგი ორღანონი გრძნობათანი, რომელ არიან კორცნი  
 და სულსა შინა იქმნების იდეა ანუ მოგონება. ყოველნი წვერნი  
 ვიდრემე კორცთანი იძრუან მაშინ, ოდეს-იგი მნებავე არს სული, 35  
 რათა იბრძვოდენმცა იგინი. მმართვებს სული კაცობრივი კორცსა  
 და მმართველობა იგი ძა/ლი არს სულისა კორციელთა მოძრავო-

▼

<sup>1</sup> ურთიერთარს მ.  
<sup>\*</sup> შდრ. აბოკალ. 22,15. <sup>\*\*</sup> შდრ. აბოკალ. 1,18. <sup>3</sup> შდრ. აბოკალ. 3,21.  
<sup>4</sup> ზირაქ. 17,3. <sup>5</sup> ზირაქ. 41,1.

ბათა ნებისაებრ თუსისა ესთა განსაზღურებად, ვითარმედ უცუა-  
 ლებელ იქმნების მოძრავობა ესე და არა სხუა. ვნებანი ვიდრემე  
 არიან სულისანი შუება და არა თნებამ, რომელნიცა გონებასა  
 ძლიერადრე შეეხებიან. ხოლო ყოველი ვნება არს გრძნობა უძ-  
 5 ლიერესი, შეერთებული უჩუეველისა თანა რომელისამე მოძრავო-  
 ბისა სისხლისა კორცსა შინა ცხოველისასა, რამეთუ დროსა შუე-  
 ბისა, ანუ არა თნებისასა, უჩუეველი იგი მოძრავობა სისხლისა  
 ვიდრე ტუნადმდე მიიწევის (რომელი არს კორციელებრი მოძ-  
 რავობამ და არა სულისა, დაღათუ არა თენიერ სულისა) და სულ-  
 10 სა შინა განიღძებების შუება ანუ არა თნება. რამეხა იტყუ შენ ესე-  
 ვითართა ვიდრემე ნაწილთა ურთიერთას<sup>1</sup> ესრეთ ძლიერადრე შეკ-  
 რულთა და ერთმანერთისად ესეგუართა მოფარდულობათა მიმ-  
 ცემთა განწულა ნებსითი ურთიერთას<sup>2</sup>, რომელი ჰქმნეს ქრის-  
 ტესთს მოწამეთა, არა განსაკრეო არსა? უწყვი, ვითარმედ იტყუ:  
 განსაკრეო არს, ვინა მოთხრობამ ჩემი არს განსაკრეო.

საჭიროთა, ვითარმედ უწყით ესე კეთილმსახურებით, რამე-  
 თუ შეკრებული პატროსნითარე სისხლითა მხოლოდშობილისა  
 სიტყუსათა და შეერთებული „ერთითა უფლითა, ერთითა სარ-  
 წმუნობითა უფლისა მიმართ და ერთითა ნათლისღებითა“\*, ერ-  
 20 თი წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია დაემტკიცა,  
 29 /აღყუაუნა და განმრავლდა სისხლითა წმიდათა მოწამეთათა, რო-  
 მელიცა საჭირო არს ესე ცნობად კეთილმსახურთად. ხოლო მათ-  
 დამი თხრობად და ცნობის მიცემად ესე მათდა, რომელთაცა არა  
 უწყვიან, ანუ რომელთა უწყვიან, მათდამი ცნობის მიცემად და გან-  
 25 მტკიცებად, საჭირო არს მღუღელთადა, რათა ამით ნუგეშინის-  
 მსცემდენ ერთა მიმართ, ვითარ-იგი ბრძანებულ არს ჩუენდა:  
 „ნუგეშინისცემად ერისა ღმრთისად“\*\*, ვინა საჭირო არს თქმად  
 ჩუენდა სიტყუამ აწინდელი თქუენდამი.

სასარგებლოთა, ვითარმედ მსხუერპლი მირთმული ღმრთი-  
 30 სად „რისხუასა აღძრულსა ერისად დააყენებს“<sup>3</sup>. ხოლო სიტყუა  
 ჩუენი არს მსხუერპლისათუს ვერძისა სიტყუერისა, რომლისა სის-  
 ხლი უხილავითარე საიდუმლოდთა ეცხო ეკლესიასა საქართუე-  
 ლოდსასა წყრთილთა ზედა კარისათა და განერა მომსრუელისაგან  
 მაშინდელისა მის და შემდგომისა ძურისა, ვინა სასარგებლო არს  
 35 თქმამ ჩემი.

<sup>1</sup> ურთიერთარს B. <sup>2</sup> ურთიერთარს B.

\* შლრ. ეფეს. 4,5. \*\* შლრ. ისაია 40,1. <sup>3</sup> შლრ. გამოს. 12,13.

ახალთა, ვითარმედ ახალი არს მსხუერპლი ესე და არა ძუე-  
ლი. ესრეთ არა ძუელისა არს ეკკლესიისა, რათა იყოსმცა ეს არა  
სიტყუერ, ხოლო თუ სადამე ქუეშე განვქსწულავთმცა, ახალ არს  
ერთ პატივთა შორის თუსთა წმიდათა მოწამეთა, ახალ არს ქასა-  
კითა, ახალ ყუაველოვნებითა სიჭაბუკისათა, ახალ განახლებითა 5  
სისხლისა მიერ თუს შორის ნათლისღებისა სამოსლისათა.

სათანადო არს ჩუენდა, რათა ადულ სასმენელ ვკყოთ სიტ-  
ყუამ ჩუენი მქსმენელთად, რომლისათუსცა განმზა/დებულ ვართ 5  
თქმად. რათა განვქსწუალოთმცა განცხადებულთა მიერ და გან-  
პრჩეულთა ნაწილთა. 10

მიზეზი თქმისა ჩუენისა არა საიჭვო არს, დაღათუ მაღალ არს,  
არამედ არს მყულრო და საჭირომ მით, რომელ საღმრთო არს, რა-  
მეთუ „სახლი ესე სარწმუნოებისა აღაშენა უფალმან“\* და „და-  
ამტიცა იგი არა ქუშასა ზედა, არამედ კლდესა ზედა, რომელიცა  
დიდროამან განსაყდელთამან ვერ შექსძრა“\*\*. 15

„ქალაქი ესე განკარგული სხუადასხუათა მიერ შუენიერ-შენე-  
ბულთა, ესე იგი სათნოებათა, დაიცუა უფალმან, ამისთუს არცა  
ცულად კშურებინ მაშენებელი ამისი, არცა ცულად ილუქებს მკუ-  
მილი ამისი“<sup>30</sup>.

თქმადი უკუე ჩემი „ესავს უფალსა, რომლისათუსცა, ვითარცა 20  
მთა სიონი, არა შეირყიოს უკუნისამდე. მთანი გარემოს მისა და  
უფალი გარემოს ერისა თუსისა ამიერიტგან და უკუნისამდე, რა-  
მეთუ არა დაუტევეოს უფალმან კუერთხი ცოლდილთა ნაწილსა ზედა  
მართალთასა“<sup>40</sup>. ვერვის ძალ-უძს მლუდელმოქმედებად თავი თუსი  
შეწირულად ღმრთისადმი, უკეთუმცა არა უფალმან წინასწარ იცნ- 25  
ნამცა, „რამეთუ რომელნი იგი წინასწარ იცნა, წინასწარცა გა-  
ნაჩინნა თანამქსგავსად ხატისა მის ძისა თუსისა, რათა იყოს იგი  
პირმშო მრავალთა შორის ძმათა. ხოლო რომელნი-იგი წინასწარ  
განაჩინნა, მათცა უწოდა და, რომელთა-იგი უწოდა, იგინიცა  
განამართლნა და, რომელნი-იგი განამართლნა, იგინიცა აღიდ- 30  
ნა“<sup>50</sup>. ვინა წარმოებს აქა კიდურმდგომებად, ვითარმედ საღმრთო  
არს დაწყება ჩუენი, სადაცა არა ფრიად მეცადი/ნობა გვიღირს 30  
კეთილთნებად სიტყუანი ჩუენნი მქსმენელთად.

განვქსწუალოთ უკუე თქმადი ჩუენი: სხუათაგან არს მეფე  
კეთილმსახური, სხუა მეფობითთა შთამოსრულთა კეთილმსახურთა 35  
არა მეფეთაგან არს დავითიანი, არა ძირთაგან ფარნავაზიანთა, არცა  
არშაკიანთა, არცა ხოსროვანთაგან. არს ლუარსაბ მჟორე, არა პირ-

\* ზღრ. ფსალ. 126,1. \*\* ზღრ. ლუკა 6,48. 30 ფსალ. 126,1. 40 ზღრ. ფსალ.  
124. 1-2. 50 პრამ. 8,29-30.



- ველი, არს მეფე ქართლისა, არს ჭაბუკი, არს შუენიერი მორფნაკუთობითა, არს ძლიერი ასოთა შესაბამშედგმულებითა ქედისა, შუენიერ თავისადმი შესაბამობითა, მკლავმაგარი რაინდობათა შინა, მორკინალობათა, ოროლისა და ერთმანხლისა შუბისა მღერათა, 5 მემშუღლეობათა შინა და აღვრის პყრობათა, ლახტის ძლიერად მტერთადმი კუეთებათა შინა და კრმლისა ძლიერად აღმოწულათა და ხეთქებათა თაეთადმი უღმრთოთა თათარ-ხანთასა, საგდებელისა სროლათა შინა, ჩოგნისა ცემათა და წურთათა შინა ყოველთა სამკედროთა და საჭაბუკოთა, მტკიცე ძლიერად და მარჯუჟ იდაყუ-
- 10 მაჯებითა და ჯელებითა ყოველსა შინა კმარებასა ამათსა, ძლიერ და განმტკიცებულ და მარჯუე მუტლნი მისნი და ფერქნი, ანუ ტაიჭთა ზედა მჯდომარეობასა შინა და აეჭანდათა ზედა დადგმათა და ანუ ჩაუქად სხუა ასაილ ყოფითა ქუეითობასა შინა.
- V 15 პირი ყოვლად შუენიერ, მწყაზარ და პაეროვან. „საბელ ძოწუელ ბაგენი მისნი“, ღირსად შეხებულნი ღმერთმყოფელთა საიღუმლოთა და კმარებულნი აღსარებასა შინა ჭეშმარიტებისასა და ღმრთისადმი მადლობათა და ლოცუათა და მსჯაათა მეფობითა. „კბილნი მისნი, ვითარცა არეე მორისულთა საბანელით აღმოსრულთა“<sup>1</sup> თეთრ და სპეტაკ მარხუთა უჯგროთა და დაყენებულთა
- 20 ჭამაღთაგან. „ქოჩორნი მისნი, ვითარცა არეე თხათა“<sup>3</sup>, მფარუელად თხემისა ტუნის მპყრობელისა, რომელსა შინა გამოიხატვოდენ ყოვლად წმიდანი იგი მიღმოებანი<sup>1</sup> გულისსიტყუათა მისთანი, სადა იყო ქრისტე გამოწერილ, სადა ყოვლად წმიდისა სამებისა იყო საკურთხეველი, სადა-იგი შეიწირუოდიან ყოვლად მწიდანი
- 25 იდეანი და ფანტაზიანი. ულუაშნი მცირენი, სამკაულნი ყოვლად წმიდათა შუენიერთა ბაგეთა მისთანი და ქრისტეს მიმართ მკედრად შირთმულისა მამრ-ჭაბუკობისა მისისა ნიშანნი. წუერგამოება ყოვლად შუენიერი, არა დამაკლებელი მოხუცებულეებრთა გრძელთა მსჯაათაგან, „რამეთუ სიბერისა პატივოსნება არა მრავალი ჟამი, არცა რიცხვ წელთა აღრაცხილ, რამეთუ მკცოვანება არს გონიერება კაცთა და მასაჟ სიბერისა ცხოვრება უბიწო“<sup>4</sup> და „არა მრავლისა წლისანი არიან ბრძენნი, არცა მოხუცებულთა უწყიან
- 30 სამსჯელი“<sup>5</sup>.
- პასაკი ახალი, დაღათუ მაგრა არა გარდაწყუა სავსებელისა
- 35 დუღილსა შინა, არცა მოაკლდა შთაზიდუასა შინა საბლისასა გუა-

1 მიღამოებანი A.

• კება 4.2. •• შღრ. 4.2. 3• შღრ. კება 4.1. 4• შღრ. სიბრძ. 4.8-9. 5• იობ.

რისა და ანაგებისა თანა შეერთებული, გარნა ყოველითურთ შეუ-  
ყოფელად ენებათა. და დაღუმდინ და დაძსცხერინ ცილისმწამე- 31  
ბელნი იგი პირნი მზაკუა/რნი, ანუ სხუათა მომადლებისათვს ცრუ-  
ნი მოუბარნი, რომელნიცა შეახებენ ყოვლად წმიდასა მას სიჭაბუ-  
კესა მისსა ბრძელსა ენებათასა, რამეთუ იტყვს სული წმიდა: „ნუ 5  
შეეხებით ცხებულსა ჩემსა“ და კუალად „ცხებულსა ჩემსა, კეროს,  
რომელსა ჟამსა უპყარ კელი მარჯუენამ მისი წინაშე ჩემსა“<sup>40</sup>. კმა  
არს შინაგანცემა უსჯულოებად ბოროტისა მის მონისად, ნურლა-  
რა ცილსა მსწმასნიან იგი და ბოროტად მაქებელნი მისნი, რამეთუ  
წმიდა არს და შუენიერ ლუარსაბ შინაგნით და გარეგნით: შინაგ- 10  
ნით სულსა შინა და გარეგნით ქრისტესთვის ენებულთა კორცთა ში-  
ნა, შუენიერ ბუნებითა, შუენიერ მადლითა, მორთხმული ჯუარითა  
ქრისტესითა, ჭურვილი სიმკნითა ქრისტეს ზიარ შეერთებულთა,  
მტკიცე ლოცვთა და მარხუთა ენებათათა, ძლიერი ყოვლად წმიდი-  
თა და ჭეშმარიტითა სარწმუნოებითა, ახოვანი სულითა, ყოვლად 15  
შეურყვეელი ღმერთამაკაცისა იესუს სახელისა გულსა შინა  
თვსსა გამოწერითა.

ერიდენით, მტერნო სიჭაბუკისა მისისანო, ერიდენით, რამეთუ  
მას „საწერტელნი იგი უფლისა იესუსნი კორცთა შინა თვსთა უტკ-  
რთავენ“<sup>39</sup>. „აღდგინ ღმერთი გონებასა შინა ჭაბუკისა ამისსა და 20  
განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი“<sup>40</sup>.

ღაიმკუენით მტერნი ლუარსაბისნი, შეიმუსრენით და განიბნი-  
ვენით, რამეთუ ჭაბუკი ესე შუენიერი მჯდომარებს დაღათუ სიჭა-  
ბუკისა ცხენსა ზედა, მაგრა სარწმუნოებისა და სიწმიდისა. „ჭიმი- 25  
თა და აღკრითა უქცევს ღაწუთა მისთა“<sup>41</sup> და კელთა შინა მქო-  
ნებელი ელვისა მძლეობითისა თქუენგან მიხე/ღუად შეუძლებე-  
ლისა. V

„განეშორენით ჭაბუკისა ამისგან, მოქმედნო უსჯულოე-  
ბისანო“<sup>42</sup>, ამას უკუე დაუციეს მრავალგზის „ლომი და  
დათუ“<sup>43</sup> — რისხვსა ენებანი და კორცთა განმასუქებელობანი. 30  
აქუს კელსა შინა მისსა კუერთხი სიმკნისა და გამოურჩევიეს თა-  
ვისა თვისად ხუთნი ქუანი, ხუთთა ვიდრემე გრძნობათა დამამორ-  
ჩილებელნი გულისსიტყუანი გონებისა მიმართ და შთაუღვიეს იგი-  
ნი ტავარჯოხსა შინა სამწყემსოსა ნამდულ ჭეშმარიტისა მეფობი-  
სასა. და კელსა შინა მისსა აქუს შურდული სარწმუნოებისა უზა- 35

1 უსჯულოებისანო B.

\* ფსალ. 104,15. \*\* შდრ. ფსალ. 19,6. 3° გალატ. 6,17. 4° შდრ. ფსალ. 67,1.  
5° შდრ. ფსალ. 319. 6° შდრ. ფსალ. 6,8. 7° შდრ. 1 მეფ. 17,36.

დომსა. და განსრულსა წყობად უცხოთესლისა მის (უსხეულომსა), რომელსა აღუმაღლებიან წარბნი და გმობითა ღმრთისათა გამო-სრულ არს წყობად ჭაბუკისა ამის მწყემსისა სიტყუერთსა, დაუ-ციეს და შეუშუსრავს თავი მისი და მოუღიეს ჯილდოდ ღმერთ-5 მთავრისაგან მეფისა ზიარებად დიდებისა.

დაიწუნ და აღიკოცენ წერილნი იგი ცილისწამებითნი მონათა არაკეთილთა და ავქსონთა სიბოროტისათა, რომელნიცა მსწამეს ქრისტეს მოწამისათუს რეცა განსამართლებელად უკეთურისა მის შინაგანმცემელისა მონისა და მზაკუარისა და უმადლომსა მოქა-10 ლაქისა, რამეთუ არს ლუარსაბ მოშიში უფლისა, რომელიცა და-იმტიციების წმიდითა მით ვნებითა მისითა და „ანგელოსნი უფლი-სანი დაბანაკებულ არიან გარემოს მისსა“.

32 აღმსწერნეს უწინარეს ჩემსა ლუაწლი წმიდისა/ლუარსაბისი, რომელთაგანი არს ბესარიონ მამათმთავარი ჩუენი. ხოლო მტერ-15 თაცა წმიდისათა და ესგუართაცა, რომელნი არა ცხადად მტერ იქმნნეს დაღათუ, მაგრა შინაგანმცემელისა მისისა მონისა მაქებელ და მწე-მქებარე იქმნნეს, გარნა ესენიცა ითქმიან მტერ, რამეთუ საღმრთო არს თქმა ესე: „რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს“<sup>••</sup> და თქმულნი ესე ავქსონნი, მეგობარნი სურვილით და 20 მტერნი იძულებულნი ჭეშმარიტებისაგან თანად ყოველნი მოუ-თხრობენ, ვითარმედ ლუარსაბ მსწამა ქრისტესსუს და მოკულა უღმრთოთაგან და მიიღო გვრგვნი მოწამეთა.

აქა ვიდრემე მებრ ჭელოვნებისა სამჭევრმეთქვომსა სათანადო არს ჩუენდა კმევედ თხრობად მართალი და სარწმუნომ. ესრეთ 25 ყოველთა წინაპართა ჩუენთა თანმედროეთა წმიდისათა ერთგულ-თა და მტერთა თქუეს ჭეშმარიტი ზეპირ და მომსწუთა ჩუენდაცა თქმული ესე, ვითარმედ მეფემან ლუარსაბ მეორემან, მოწამემან ჭეშმარიტებისამან, მიიღო სიკუდილი ქრისტესსუს.

ხოლო მწერალთა საწელიწდოთა ისტორიითათა ყოველთა და 30 ეპისკოპოსმან იოსებ ტფილელმან, ჭეშმარიტისა თქმა უმჯობეს არს, არაერთგულმან მისმან, მაქებელმან შაირსიტყუაობით მეფისა ლუარსაბის შინაგანმცემელისა ბოროტისა მის მონისამან, აღიარნეს და მსწამეს ჭეშმარიტი, ვითარმედ არს ლუარსაბ ქრისტეს მოწამე. ხოლო მამათმთავარმან ჩუენმან ბესარიონ მოგვთხრა შობითგან

35 წმიდისათ ვიდრე სიკუდილადმდე, რომელიცა მიიღო ლუარსაბ, ზი-არმან სიკუდილისა ქრისტესმან და დაფლუადმდე მისა აღმსწერა არა მოკლედ/ყოველნი საქმენი წმიდისანი. სხუათა კქმნეს აკოლო-

• შტრ. ფსალ. 33,7. •• მატ. 12,30.

თიამ მწუხრისა და ცისკრისა ამისთვის და ამით სარწმუნო არს და მართალი თხრობამ ჩემი.

დასამტკიც და განმართლებად მიზეზთა თხრობათა ჩემთასა კმა თქმული მომთხრობელნი.

გიორგი მეათემან, კეთილმსახურმან მეფემან ქართულთამან, 5  
დავითიან-ბაგრატიონმან, ძემან სიმეონ დიდისამან, შობილმან დე-  
დოფლისაგან, ასულისა კახთა მეფისა — ლეონ დიდისა, იქორწინა  
ჩინებულისა მთავრისა ლიპარიტიანის ასულისა თანა, ზედწოდებით  
თამარის, წესითა ქრისტიანეთათა კეთილმსახურებითა<sup>1</sup> და მამა-  
ქმნილსა შვილთასა დაეკუთეთ ტიზი ყოვლად კეთილდღიური და 10  
დასანატრი, ვითარმედ ქშუა ლუარსაბ მეორემ, რომლისაგებრისა  
მეფეთა შორის ბაგრატიონთა ვერვინ ღირს იქმნა ძისა მამა-ყოფად  
მით, რომელ ლუარსაბ ჰსძლო და მძღუა სიკუდილისასა სიკუდილი-  
ლითა ეზიარა.

ლუარსაბ ყრმამან ყოვლად შუენიერმან, „ზიარებულმან ყრმა- 15  
თად კორციითა და სისხლითა“<sup>2</sup>, სიტყუსამან მიმღებელმან გუარზე-  
ობით მეფეთაგან წარმოებითისა შობისა და ყოვლად წმიდითა სა-  
ბანელითა აღმოშობისამან, დროსა შესაბამსა მიიღო ცნობამ კეთილ-  
მსახურებისა<sup>2</sup> სარწმუნოებითისა ჰსჯულისა და საცხოვრებელთა  
ჩუენთა განგებულებათა და საიდუმლოთა საღმრთოთა და სამღუ- 20  
დელთა წერილთა.

ქუაავოდ: ესე წალკოტთა შინა დავითისა კეთილმსახურებითა  
და სიმშუდითა, სიმჴნითა, შუენიერე/ბითა სულისათა და შუენიე- 33  
რებითა შესახედავისა და ნაკუეთისათა. ესე უმტკიცე უფროს ალა-  
მატინისა ბრძოლათა შინა კორციელთა, უცხოთესლთა მტერთასა 25  
და ბრძოლათა შინა არაკორციელთა, „მთავრობათა მიმართ და  
ქელმწიფებათა სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის სა-  
წუთოსათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა“<sup>3</sup>. უსპეტაკეს უფ-  
როს მარგარიტისა, ვითარმედ არა არს ბრყვილი რამე კეთილ-  
მსახურებითა სარწმუნოებასა შინა მისსა, არცა კორციელსა შინა 30  
სიწმიდესა, არცა სიწმიდესა შინა გულისა მისისასა მტერთად,  
დაღათუ ორგულთა თვსთად შურისძიებად და შერისხუად იყუნე-  
ბოდა იგი ერთგულთაგან მონათა. უმჴკრუალეს უფროს იასპისა,  
ვითარმედ ჰსჴკრს სიკუდილი იგი მისი ყოვლად წმიდა მჴკრული 35  
ზიარებითა სიკუდილისა განჯორციელებულისა სიტყუსათა. უშუე-  
ნიერეს და უმკრთოლუარეს ანთრაკისა ძით, რომელ ტრფიალებამ

1 კეთილმსახურებითა B. 2 კეთილმსახურებისა B.  
• შღრ. ებრ. 2,14. \*\* ეფეს. 6,12.

- მისი არს ცეცხლ დაუშრეტელ, რომელი „დროსა შინა ალატყინა ცეცხლისა მიფენად მოსრულმან შანთმან ღმრთაებისამან შერაბამებულ საპფრონისა და სამარაგდომსა მით, რომელ ვერ წარიტაცა იგი სიჭაბუკისა ფერშუენიერებამან, რათა წურთითა სიკუდილისა-
- 5 თა ფერობამ სულისა მისისა ანაზღითარე სისპეტაკითა<sup>1</sup> ანუ სიმეწაპულითამცა ადულ დაცხრომადითა იცუალა. ოქრო გამოცდილებს უფროს ოქრომსა, ცხრა წელ მეექსორიე და პატიმარი და შენაბორკილი და მომკუდარიცა ქრისტესტუს, არს მის შორის
- V „მახული, რომლისა მიფენად მოვიდა“ ღმერთმამაკაცი, სიტყუა/და
- 10 განიყოფის მახულითა ამით ლუარსაბ ობოლი, დაღათუ მამისაგან, მაგრა დედისაგან ძისმოყუარის და ნათესავეთა მათ და სამეფომსაგან. აჰა, დაგლანაყება ქრისტესტუს მდიდრისა, აჰა, პატიმარ-ყოფა ქრისტესტუს მეფისა, აჰა, სიკუდილი ქრისტესტუს შუენიერისა ჭაბუკისა.
- 15 ვერძი ესე—კრავი ჰასაკსა შინა სიჩჩოებისასა ხლდებოდა ბუნებისაებრ ჰასაკისა სადიდებელად ღმრთისა და წინათ დაჰხატვდა სიმენესა თუსსა საკურუელსა და სიმტკიცესა შეუძრუელსა და სიწრფობასა გონებისასა და ქრისტეს მწედარსა მეფესა მამასა შექსცხრებოდა და დედისა თუსისა წიაღთა პატიოსანთა<sup>2</sup> მგორუალე
- 20 გონებასა დედისასა უდიდესად აღსავალად შუებისა მოიყუანებდა. ხოლო ერთგულთა სიმეონ დიდისათა ქართუელთა სიქადულობად დიდად თავსა თუსსა წინა დაუდებდა.
- თქმულმან მეფემან გიორგი, მამამან ლუარსაბისმან, მისრულმან ერმანიად, ქალაქსა ერევანს, წინაშე შაჰ-აბას პირველისა, უღმ-
- 25 რთომსა მეფისა, რომელმანცა მიუწოდა. თანამბრძოლ-ყოფად, რომელიცა აქუნდა მას ბრძოლა ოსმალთად მყოფთა ციხესა შინა ერევანისასა, რამეთუ უქმარმან მან და დაყროლებულმან კორცმან ოდენ შახუდაბანდა, მამამან შაჰ-აბასისმან, თუსითა კერძოდ ცხოველ-ყოფითა წარჰსწყმიდა კინღლა ყოველივე სამეფომ და მი-
- 30 ულეს ოსმალთა. და შაჰ-აბას, მეცადინი გამოლებად ციხისა, გარემოდგომილი ჰბრძოდა ციხესა მას, რომელსა ზედა სიმენითა მოსრულმან სპითუ/რთ თუსით მეფემან გიორგი დაიპყრა ციხე და შეჰმუს-
- 34 რა სიმტკიცეა მისი და მოჰსრნა მახულითა გუშაგნი ციხისანი და ჰყო ფლობასა ქუეშე შაჰ-აბასისსა ერევანი ციხითურთ.
- 35 მხილულმან მეფემან აბას სიმენისა მის საკურუელისა მეფისა გიორგისა და ქართუელთამან, შეჰმულმან შურითა ორთა შიერ

1 სისპეტაკითა B. 2 პატიოსანთა B.

\* შდრ. მატთ. 10,34.

მიზეზთა ცოდვისათა: პირველად, რომელი-იგი აქუნდა დამარხულ ძერი ლუარსაბ პირველისა საქმეთათუს, რამეთუ მეცნიერ იყო ყოველსა მას, რომელნიცა ჰქმნა მან ბრძოლანი შაჰ-თამასის მიმართ პირველისა და არა ათავისუფლა იგი ფლობად საქართუელოსა ზედა. მეორედ, მსძულობდა შაჰ-აბასი მკნეთა ჰაბუკთა სიმკნესა და 5 რაოდენსაცა დიდებასა მიიღებდა ვინ ჰაბუკთაგანი სიმკნისა ძლით, განგმერდა იგი გულსა მისსა, ვითარ-იგი თქმულ არს ანტუპატროსის მიმართ მაკედონელისა შური, ქონებული აღუქსანდრესგან დიდისა ძლევისა მისთვის სახელოვანისა ანტუპატროსისგან ელლინთა მიმართ ქმნილისა დიდებისათუს აღუქსანდრემსა და დამორჩი- 10 ლებისათუს ელლინთასა აღუქსანდრესად. მომზარახობენ, მისცაო წამალი მეფესა გიორგის სასიკუდინიედ, რომლითა შემდგომად რაოდენთამე დღეთა წარვიდა ცხოვრებად საუკუნოდ წელსა განკოროლეებითგან სიტყუსა ღმრთისა ჩქგ (1603 წ.).

დაქმთა უკუე შამისაგან ობლად ლუარსაბ ყრმათა ორთა თანა 15 დათა თუსთა, რომელთა სახელნი ხუარაშან და ელენე.

მაშინ ლუარსაბ დაღათუ ყრმად დროითა წელიწდი/სათა, მაგრა 17 გონიერებითა და სიბრძნითა სხუა ჰაბუკი მეფე სოლომონ, სხუა დავით სიმკნითა უცხოთესლთა მიმართ, ანუ სხუა გელეონ.

ჰაცხეს ლუარსაბს საცხებელითა მეფობისათა და ქრისტეს სა- 20 ხელისა შეუმწიკულებელ ზედწოდებისა თანსახელი ცხებულ უფლისა იქმნა, ეპგონებ, ვითარმედ ზაქარიას მიერ კათოლიკოსისა მაშინდელისა.

ხოლო მომზარახობენ, რომელ შემდგომად რაოდენთამე წელთა, 25 მეაოქუქსმეტედ წელიწად მიწვენილი მეფე ცხირეთს მყოფი არა ლაშქრითა და განმზადებითა ბრძოლად, არამედ პალატისა თუსისა შინათა თანხლებითა მყოფობდა. მაშინ წარმოსრულნი კონსტანტინუპოლით სპანი თათართანი, წარსრულნი ქუეყანად თუსა, რომელნიცა მოუწოდნა სულთანმან კონსტანტინუპოლისამან შემწედ ბრძოლისა, რომელი აქუნდა მას ბაღდადისად, სიმოკლისათუს გზისა და 30 აღწყუედისათუს და წარტყუენისა საქართუელომსა, გარდამოსრულნი მათთა ზედა თრიალეთისა და აბოცისათა, მოიწიენეს კევსა მანგლისისასა მსმენელნი, ვითარმედ არს მეფე ქართლისა ყრმად და ვერ შემძლებელ ბრძოლისა და ჰგონებდეს, ვითარმედ ყოველსავე იქმენ ნებისაებრ მათისა. 35

იტყუს ბესარიონ მამათმთავარი ჩუენი: „განგებითაო ზეგარდამოდა ვერ იხილეს დიდებული იგი ეკლესიამ მანგლისისა

- დმრთისმშობელისა, რამეთუ ესევეითარმან ღრუბელმან ზრქელმან და ნისლმან დაჰფარა იგი, ვიდრეღა პირისპირ მისა შთავლო ესოდენმან სიმრავლემან მკედრობათამან და ეკკლესიამ იგი სოფლითურთ ვერ/იხილეს“.
- 35 5 ახს დაბა რომელიმე მანგლისს, ზედწოდებული კუელთა, სადა იგი შეკრბეს თათარნი და შეიპყრეს ხუცესი ვინმე კეთილმსახური, სახელითა თეოდორე და ზედამოადგეს და ჰსტანჯვიდეს, რათა აჩუენოს მათ გზამ და უფროსლა, რათა მიიყუანენესმცა იგინი უცნაურად მეფისად. მაშინ სანატრელი იგი მლუდელი, მკმეველი კე-
- 10 თილგონიერთა და წმიდათა განჰსჯათა, უფროსლა აღირჩევედა სიკუდილსა, ვიდრეღა შინაგანცემსა მეფისა და მამულისა.
- მაშინ ღირსმან მან წმიდათა თანა ჰქსენებისამან მლუდეღმან საღმრთომან თეოდორე, მცნობელმან მეფისა ცხირეთს ყოფისამან, ჰყო წინაწარძლოლა უღმრთოთა მათ ლაშქართა მიცილებით ცხი-
- 15 რეთისა და შთამოუძლუა გზასა ზეღა ერთაწმიდისა და ქუენადრისისასა, სადა-იგი ეწიათ ვნებადცა მრავალი იწროთა გზათა ძლით მათ და ცხენთა მათთა, რომლისათესცა მოკლეს თავისა წარკუეთითა და მიიღო სანატრელი აღსასრული ცხოვრებისა წმიდათა თანა.
- შთამოსრულნი ვაკედ უცხოთესლი ველსა ზეღა, ზედწოდებით
- 20 დოესსა, განეფინნეს სიმრავლითა, ვითარცა მკალნი, სადა თანმყოფნი მეფისანი მთავართაგანნი და აზნაურნი არა ფრიად მრავალნი ემდევერნნეს უკანაგან და ავნეს თათართა არამცირედ და მოჰსწყუნნეს თათართაგანნი მთავარნიცა და მკედარნი მათნი, რომელთაგან/ნი იყუნეს ციციშვილი ზაზა, იარალი და გიორგი სააკაძესძე და
- V 25 სხუანი.
- ღროსა თათართა გარდამოსლეისასა იყო თთუე იუნისი და არამცირედ ღიდროლოდა მღინარე, ზედწოდებით მტკუარი და ფრიად ძულ შესაძლებელ იყო განსულად იმიერ. მაშინ მგზავრმაველი ვინმე ხუცესი სომეხთა წულაღებისაგანი, გორელი, მხილუელი ლაშ-
- 30 ქართა უცხოთესლთა, უკუნ იქცა მღტოლუარე და ფიცარნი მახლობელ მყოფისა ქიდისანი გარდაჰყარნა და თვთ განვიღა იმიერ და მღევარნი თვსნი უცხოთესლნი დააჰირუნა განსულად ცხენითა ღიღსა მას მღინარესა შინა.
- მომწოდებელმან მჰსწრაფლ სპათა ქართუელთამან მეფემან
- 35 ლუარსაბ, განზრახესაებრ თანგანმზრახთა თვსთასა ამიერ ბარათიანთა და სხუათა ამიერთამან და იმიერ ერისთავთა არაგუსა და ქსნისა, ამილახუარისა და სხუათა იმიერთამან, წარსლუა ჰყო თვთმღევრობით უკანაგან თათართა, ჯერეთლა ყრმამან ათხუთმეტისა ანუ

ათექუსმეტისა წლისამან და მისრულმან ამიერ პირისპირ დაბისა ქუენატკოცისა ჰყო მუნ დაცაღებად ლამისათუს.

ქართუელნი ღამესა მას მეედრებელნი ღმრთისადმი ცრემლით, ცოდუათა აღსარებითა და დილას ღმერთმყოფელისაცა საიღუმ-ლომსა მიმღებელნი და ჯაჭუებითა და ჩაფხუტებითა და საჭურუ- 5  
ელებითა ჭურვილნი შევიდეს მდინარესა მას შინა დიდსა, რომელ- 36  
თა წინა უძღოდა მეფე, და განვიდეს ამიერ/თუნიერ ყოვლისა დაკ-  
ლებისა. ხოლო მისრულთა ბოლოს სურამის ჭალისა და იმიერთა  
და ამიერთა ლაშქართა, ყოველთა ქრისტეს მოსახელეთა ერთად  
შეკრებულთა, დააცადეს დევნაჲ განზრახსათუს წინამღებარისა 10  
ბრძოლისა მკნეთა და გამოცდილთა კაცთა და კქმნეს განზრახუად,  
თუ ვითარითა კელოვნებითა ბრძოლისათა ეკუთნენ.

ღროსა მას იყო კქსენებული ზემორე სააკაჲსძე გიორგი, აზნა-ურთაგანი, მკედარი გამოცდილი ბრძოლათა შინა და ჭაბუკიცა 15  
ქასაკითა. და სსუანი მკნენი და მამაცნი ქართუელთაგანნი, რომელ-  
ნიცა აზრახებდეს ყრმასა მეფესა მარჯუე და წესიერ მიყუანებასა  
ბრძოლად ლაშქართასა მტერთა ზედა.

ღღესა მეორესა განაწყო მეფემან სპაჲ თუსი ცხენოსანიცა და ქუეთი<sup>1</sup> და თათართაცა მხილულთა მათთა. და იქმნა ატაკი ორ-  
თავე ლაშქართა საშინელი, და მძღუან მკედართა თუსთა და წინა- 20  
მავალცა და წარგრძელებულ მწყობრისაგან<sup>2</sup> იყო მეფე, რამეთუ  
იძულეზულნი ჭეშმარიტებისაგან ესრეთ მსწერენ ორგულნიცა  
მისნი.

მაშინ კუეთებანი საშინელნი ლახტთანი და საზარელნი იგი ძგერებანი შუბთა და ოროლთანი, აღმოწუდანი და მკლავმაგარ- 25  
კუეთანი კრმალთანი და ამით დათრგენუანი და წაქელუანი და აღ-  
წყუედანი მძნუარენი უცხოთესლთანი და ძღვევა ყოვლად ბრწყინ-  
ულე და სახელოვანი მეფისა. ხოლო მომზრახობენ ომსა მაშინ-  
ღღელსა მეფი/საგან ფიცხელსა და მრავალთა უცხოთესლთა კრმლი- 30  
თა და შუბითა მოწყუედასა თუთ მეფისაგან. და ესრეთ მეფე სპი-  
თურთ თუსით ძღვევაშემოსილი და დამცემელი მტერთა, მმადლო-  
ბელი ძღვევისმომცემელისადმი უკმოიქცა ბრძოლით. დამაშურალ-  
ნი გარდაცდეს ცხენისაგან და ცრემლით მმადლობდიან ღმერთსა.

საკერუელ იყო და დიდებულ ნაშინ ძღვევა იგი, რამეთუ მომ-  
ზრახობენ ლაშქართა მათთუს, ვითარმედ იყუნესო სამემოცი ათა- 35  
სამდე კაცნი და სანატრელი ბესარიონ იტყუს მათგანთა ათოთხ-  
მეტთა ოდენ ცხოვლად განრინებასა.

<sup>1</sup> ქუეთი A. 2 ~ იყო მწყობრთაგან B.



შაჰ-აბას<sup>1</sup> უღმრთო მან მეფემან სპარსთამან გულისმსიტყუელ-  
მან, ვითარმედ ქრისტეანეთა აღუჩნდების ძნელად ცოლად მიცემად  
მახმელდიანთად შვილნი ანუ დანი თჳსნი, ჰსთხოვა მეფესა ლუარსაბს  
დაც ცოლად, რამეთუ, თუ სადამე არა მიჰსცემს, ჰპოვებს მიზეზსა  
5 შობისასა, რადცაღა მუცლად ელო უკეთურსა მას ძერი მეფეთათჳს  
ქართლისათა და ქართუელთა.

მსმენელმან ამისმან მეფემან ფრიად მწუხარემან იზრახა, ვი-  
თარმე უკუე მიჰსცეს და თჳსი კეთილმსახური ბარბაროსსა და  
ეკმნეს დსა თჳსსა მიზეზ უკუთქმისა ღმრთაებისა ქრისტეს ღმრთი-  
10 სა ჩუენისა. და, თუ სადამე არა მიჰსცეს, იკმნეს მიზეზ მოოგრებისა  
სამეფო მსა თჳსისა და დარღუევისა წმიდათა ეკლესიათა. თანგან-  
37 შზრახთა მეფისათა ქართუელთა აზრახეს მეფესა/მიცემა და მიეცა  
მაშინ უღმრთოსა შაჰ-აბას ცოლად და მეფისა ლუარსაბისი ელე-  
ნემ.

15 კულად გულისმსიტყუელმან შაჰ-აბასე, რათა ამზახლოს მე-  
ფე ლუარსაბ და მეფე თეიმურაზ ურთიერთას<sup>2</sup>, მეცნიერმან, ვი-  
თარმედ არიან ფრიად თანტომ ურთიერთას<sup>3</sup> და უცხო არს ქრის-  
ტეანეთაგან კმნად ესე, ხოლო თუ სადამე ურჩ ეკმნენ მეფენი, ჰპო-  
20 ვოს მიზეზი მათ ზედა ძერის განცხადებისა, რამეთუ ბებია მეფისა  
ლუარსაბ მეორისა დედოფალი ნესტან-დარეჯან და იყო მეფისა  
კახთასა აღექსანდრე მესამისა, რომელიცა იყო პაპა თეიმურაზ  
პირუელისა, ხოლო უბრძანა შაჰ-აბას მეფესა თეიმურაზს, რათა  
იქორწინოს დისა თანა მეფისა ლუარსაბისა. და უბრძანა მეფესა  
ლუარსაბს, რათა მისცეს და თჳსი მეფესა თეიმურაზს ცოლად.

25 მსმენელნი მეფენი განკვრებულნი უკეთურისა მის ჰაზრი-  
საგან და მძრწოლარენიცა შეხებად საქმისა ამის, მაგრა განზრა-  
ხუელნი და განგულისმსიტყუელნი, ვითარმედ ნუუკუე ამით დაც-  
ვულ იკმნენ ქართუელნი და კახნი მოოგრებელ, აღუსპობელ და  
წარუტყუენუელ და წმიდანი ეკლესიანი დაურღუეველ, დაემორ-  
30 ჩილნეს შემდგომად მრავლისა ვედრებით მოკსენებისა, რათა და-  
აყენოსმცა მათდამი ბრძანებამ ესე და მისცა<sup>4</sup> მეფემან ლუარსაბ  
და თჳსი ხუარაშან მეფესა კახთასა თეიმურაზს.

V  
35 მთავარი, იყო თანაზრდილ/მეფისა, რამეთუ იტყჳს ამისთჳს ტფი-  
ლელი იოსებ ეპისკოპოსი (სააკაძისძე), ვითარმედ: „იყო მეფე  
ლუარსაბ წელიწადსა შინა მეთათამეტესა, ოდეს მიართუა მონად

1 შაჰ-აბას AB. 2 ურთიერთარს B. 3 ურთიერთარს B. 4 მიჰსცა B.

გიორგი სააკაისძე წელიწადსა შინა მეოცესა მყოფი მამამან თქმან<sup>1</sup>. და უყუარდა იგი ფრიალ მეფესა სიმენისათს და თანაშეზრდილებისა თსისა.

ჰყუა უკუე ლუარსაბს მეფესა მზრდელი, რომელა მამამძუძე ბარათაშვილი, ზედწოდებულ შადიმან და იგიცა უყუარდა მეფესა. 5 ხოლო შადიმან და გიორგი ქსელობდეს ურთიერთას<sup>1</sup>, რამეთუ ამტერებდა მათ თანაქსწორი იგი სიყუარული და წყალობაჲ მეფისაგან, ვითარცა არს ჩუელება სამეფოთა პალატისა შინათა. და ესეცა ჰქმნარით არს, ვითარმედ მრავალ მტერ ესხნეს გიორგი სააკაისძეს მით, რომელ მომზრახობენ მისთს ჰქმნარითნი. ისტორი- 10 კოსნი, ვითარმედ „იყო გიორგი სააკაისძე გულარძინილი და ორგულ მეფეთა და მეცადინ თსდაში მიდრეკად გულნი ყოველთა ქართულთანი და განდრეკად მეფეთაგან და არა დაასცხრის ესეგუართაგან დრკუთა მეცადინობათა. მკუეთრგონება იყო იგი სიმენისა და ბრძოლისა საქმეთა მიმართცა და მოგებათად საქმართა და სიმბლი- 15 რეთა და აქუნდა ამით ქონებანი მაშინდელისა დროსა შესაბამ კმანი და მიქსცემდის ქართულთა თავადთა და აზნაურთა და განდრეკდის მეფისაგან და ერთგულობად თსად მოიყუანებდის ვითმე ქართულთა“. და ნიშანნი ესე ყოველთა გონებასა იჭუეულებად მოიყუანებდა, ვითარმედ მცირედ-მცირედ მეფობის მოგებისა იყუ- 20 ნეს მეცა/დინობანი, რომელიცა შემდგომად წმიდისა ლუარსაბისა, 38 ყოვლად წმიდისა, სიკუდილისა განცხადნა. ესე ყოველნი ქართულთა მთავართა, რომელნიცა არა იყუნეს ნათესავ ანუ მძახალ მისა, დიდადრე დაკლებად მეფისა და თსა აღუჩნდებოდათ, მაგრა მეფე ყოვლად განწმედილითა გონებითა ქსწყალობდა მას. 25

დრკუმან, ორგულმან და გულარძინიმან გიორგი იზრახა მოხლად სახლსა შინა თსისა მეფემ და მასპინძელ-ყოფად მეფისა და, ეინათგან ჰაბუე იყო, არა ესუა ცოლი, ღუნოსმულ-ყოფასა შინა ჩუენებად დაჲ თსი, რომელიცა იყო შუენიერ შესახედავითა, იჭუ- 30 ეულ ქმნილმან, ვითარმედ ეტრფიალების მეფე, ვითარცა ჰაბუეი, და ესე მიზეზ ორგულების განცხადებისა ექმნების მას და ნუუკუე, ვითარცა ჰაბუემან, ტრფიალებისაგან შერეულითარე და არა განყოფითითა მოგონებითა ცოლადცა მოყუანებად ინებოს იგი და ამას არა დაითმენენ მთავარნი ჩინებულნი, რათა დედოფლად მათ- 35 და იყოსმცა ქალი აზნაურისა და უფროსდა უაზნო და განუტეეებს მეფე დასა მისსა ქაზრისაებრ და განზრახუსა მთავართასა და ესე მიზეზ ორგულების განცხადებისა იქმნების მისდა.

ქაზრებული ესე თსი და განზრახული ქმნა სააკაისძემან და აწუა მეფე სახლსა შინა თსისა და, ვითარცა ქმუენოდა მეფისად,

<sup>1</sup> ურთიერთარს B.

- რაროდენ ეძლო, უმასპინძლა მან. და მცნობელმან მეფისა და მთავართა ღვთისმშობლისაგან შემოიყუანა შორის მენიანხეთა და მთხისი, ქალწული იგი შუენიერი/და უბრძანა მას, რათა მწლე ექმნესმცა მეფესა.
- 5 მხილულმან მეფემან ქალწულისა შუენიერებისამან სათნო იყო გონებასა შინა განმსიტყუელმან საიდუმლოდ ცოლად მოყუანებად იგი და არა თუ ქალწულებისა წინააღმდეგომი რამეჲ კქმნა მის თანა. და ჭეშმარიტებისა ამის მოაწმე არს არაქილ სომეხი, მომთხრობელი წიგნსა შინა თხსსა (თავსა).
- 10 დღესა მეორესა უბრძანა გიორგის მეფემან დისა მისისა ცოლად თჳსა სათნო-ყოფად. და ესე უცილოდ მისისა მის კეთილმსახურისა გონებისა იყო შესაბამ სიწმიდე და სიბდაბლე. სიწმიდე, ვინაღთგან ვითარცა ჭაბუკმან სათნო-იყო ქალწული შუენიერი და არა ბიწისათჳს აღრევისა უყუარდა. სიბდაბლე, ვინაღთგან იყო
- 15 უაზნოთაგან და უჩინებულოთა მშობელთა და ნათესაეთა ქალი იგი. არა სათაკილოდ და დამაკლებელად დიდებისა შეფობითისა შეჰრაცხა. პაზრი ესე მეფისა ყოვლად უბიწო არს არა წამებითა ჩუენ ქართუელთა ოდენ ერთგულთა მისთათა, არამედ სხუათა ნათესაეთა, არა მონათა ამისთა, არამედ სხუათა სხუთა ენითა და სხუთა
- 20 წერილითა უბნობით და წერით დამამტკიცებელთა.
- იტყუს მზაკუარი იგი, ვითარმედ: „ურჩქმნილი საქმისა ამის მეფისად ცრემლთამდე დიდითა ვედრებითა ვევედრე მეფესა და დედოფალსა თამარს, დედსაა მეფისასა, ვითარმედ არა შესაბამ არს მეფობისა მისისა ცოლად და დედოფლად მთავართა ქალი უჩინებულსა. და არცა მთავარნი თავს-იდებენ ამას/და ამისთჳს, რათა დადგესმცა ჩემდა ბრძანებამ ესე“. იტყუს იგივე: „არა მისმინაო მეფემან და მერმელა დავემორჩილე ბრძანებასა მისსა“.
- ესე ჭეშმარიტ ვიდრემე არს, რამეთუ ნება ესე მეფისა ქორწინებითი არა ვინმე ინებეს მთავართა ქართუელთა და არცა სხუათა, რომელნიცა იყუნეს ერთგულ მეფისა, არამედ ზოგად ყოველნი აყენებდეს ქმნად ამისგან, ვითარცა უშესაბამოისა და ყოვლად სათაკილომსაგან საქმისა. კუალად ენება მეფესა ცოლად ქალი იგი, მაგრა ქართუელნი არა უტყეებდეს ერთგულებისა თხსისა მისდამი წინააღმდეგნი, ვითარცა მსჯულოერისა მეკუდრისად და ვითარცა
- 35 ძისწულისად სიმეონ დიდისა და ვითარცა ძისად გიორგი მცნისა.
- ესრეთ უკუე ერთგულებდეს მეფესა სიმეონ დიდსა ქართუელნი, ვითარმედ ოდეს დაკუეთებამ დიდისა მის განსაცდელისა მიილო მეფემან სიმეონ დიდმან და შეიპყრეს ბრძოლათა შინა ოსმალთა და წარიყუანეს კოსტანტინუპოლიდ, მაშინ საცხრად მეფისა

ყოველნი საუნჯენი მეფეთანი, რომელნიცა არამცირე იყუნეს და ყოველნი ქონებანი ქართუელთა მთავართა, აზნაურთა და ცოლთა მათთანი და ვაჭართანიცა საკსრად მეფისა სიმეონისა წარიგზავნენ და დიდად სიგლახაკედრე მიიწია ქართლი. თვთ მე სიყრმესა ჩემსა, შობითგან ჩემით მყოფმან წელიწადსა შინა მეთხუთმეტე- 5  
 სა, ვისმინენ თქმულნი თუთ პირისაგან სანატრელისა ბესარიონ მა-  
 მათმთავრისა ჩუენისა დედისა/ჩემისა მიმართ, სახლსა შინა დედისა  
 ჩემისასა ქალაქსა გორს, ვითარმედ: „საკსრისა გამო სიმეონ დიდი-  
 სა ესოდენ გლახაკ იქმნნეს ქართუელნი ყოველნი, ვითარმედ ქორ-  
 წილსა შინა მეფისა გიორგი მეთისა, ძისა სიმეონ დიდისა და მა- 10  
 მისა ლუარსაბ მეორისა, მსხდომარენი ინაჯით მთავარნი და ერის-  
 თაენი ჩოხებითა და ნაბღებითა მოსილ იყუნეს“.

ესრეთ სიმდიდრეთა წარგებითა და დაგლახაკებითა და სისხლ-  
 თა დათხვევითა ერთგულეზდნიან მეფეთად ქართუელნი და რამე 15  
 საკვრულ ესე, ვითარმედ ვინამთგან მხოლოდ ლუარსაბ იყო მაშინ  
 ესოდენთა მრავალთა სახელოვანთა მეფეთა წინაპართა პაპათა მემ-  
 კვდრე, არა მიტევებად იგი ქორწინებად ქალისა თანა სააკაისძისა.  
 ხოლო ესეცა საიჭუე იყომცა, ჰხედვიდეს რა უკეთურისა გიორგის  
 გულარძნილ და დრკულ იღუმალ ამასთან და მისთან ჩურჩნასა,  
 ნუუკუე ძკრი რამე შეამთხვეოს მეფესა დაუყენებელად შესრულ- 20  
 მან საწოლსა შინა დისა თვისისა.

იტყუს არაქილ სომეხი, ვითარმედ: „არა იქორწინა ქალისა მის  
 თანა მეფემან ლუარსაბ“. ხოლო რომელთაცა ჰსწერეს ქორწინებამ,  
 ორგულთა და განმამართლებელთა უკეთურისა მის მონისათა და-  
 წერეს<sup>1</sup>, პირუელად თუთ მან გიორგი, ხოლო კუალად საქებრად 25  
 გიორგისა მის იოსებ ტფილელმან სააკაისძემან შაირსიტყუაობით,  
 დიდადრე მაქებელმან გიორგისმან, გალაენად და სიმტკიცედ სა-  
 ქართუელომსა მწოდებელმან მისმან დაწერა, ვითარმედ იქორწინაო  
 ლუარსაბ მეფემან სააკაის/ძისა გიორგის დისა თანა. ხოლო თქმულ- 40  
 თა ამათ მხილუელთა და მკსმენელთა შემდგომთა მეისტორიეთა  
 ვერ განჰსაჯეს, ვითარმედ ორგულთაგან მეფისა ლუარსაბისთა და  
 განმამართლებელთა მათთაგან იყო წერილ ქორწინებამ ქალისა მის  
 თანა მეფისა და მათცა მოთხრობათა შინა თუსთა შთაჰსწერეს. ხო-  
 ლო სანატრელი ბესარიონ ქორწინებასა და არა ქორწინებასა და  
 მეფისაგან ქალისა მის ცოლად მოყუანებისა ნებებასა ყოველსავე 35  
 დაიღუმებს ამად, ვითარმედ ჯერეთ უცხოთა მეისტორიეთაგან არა  
 ჰსმენოდა ქალისა მის თანა არა ქორწინებამ მეფისა, და ქორწინე-

<sup>1</sup> დაჰსწერეს B.

ბაი დაჰსწერა პირუელად ნეტარისა ბესარიონისა იოსებ, რომელი-ესე ყოვლად დაუჯერებელ იყო და ამისთვის ორივე დაიდუმბა ნეტარმან მამამან. გარნა ჩუენ წინაშე წმიდისა ცხოველსმყოფელისა სამებისა წარმკითხუელთა სომხურისა ისტორიისათა ვჰსცანთ ჭეშმარიტი, 5 ვითარმედ ლუარსაბ მეორე არცა ბიწიერ შეჰხებიეს ქალსა მას, რამეთუ ქალწულებით ჰსწერს ლუარსაბს მეორესა არაქილ და ჰსწამებს ამასცა, ვითარმედ არა იქორწინა ქალისა მის თანა.

ამისთვის უკუე მომზრახობენ ორგულნი ქორწინებასა, ვითარ-მედ ვინაიფთგან განუტევა ცოლი ლუარსაბ და, თუ სადამე გრძელ 10 ცოცხლებდამცა სოფელსა შინა, სხუსა თანა იქორწინებდა, უიჭვოდ, ჰაზრისაებრ მათისა, მრუშება იქმნებოდა ესე. გარნა ორგულნი იგი ვერ უკუჰსთქმენ, არამედ დაამტკიცებენ წერილით, ვითარმედ მიიღო ლუარსაბ/სიკუდილი ქრისტესთვის. მეორედ ამისთვის, ვითარ-მედ შეამთხვა სირცხული გიორგის სააკაისძეს მეფემან და განუ- 15 ტევა დაამისი ქორწინებული მის თანა და შეპყრობასაცა ჰლამობდა გიორგისსა უსამართლოდ და ამისთვის განიმართლების ორგულე-ბასა ზედა მეფისასა გიორგი.

მაზრახებელთა მთავართა ქართუელთა მეფისად განტევებად ქალისა სააკაისძისა, ვითარ-იგი დავამტკიცეთ, არა ქორწინებული, 20 ესეცა აზრახეს მეფესა, რათა შეიპყრას გიორგი, ვითარცა ორგული და გარდამქცეველი მრავალთა ერთგულთა მეფისათა ორგულებად. წინადადებითა მრავალთა ჭეშმარიტთა მიზეზთათა არწმუნეს მეფე და ბრძანა განტევებად დისა მისისა და შეპყრობადცა გიორგი.

მაშინ მეფე, დრო იყო ზაფხულისა, და კოჟორსა ზედა ანუ 25 თავსა წავეკისისასა მყოფებდა სიმრთელისათვის ჰაერისა, ვითარ-იგი არს ჩუეულებად მეფეთა ქართუელთა ზაფხულრე აღგილთა მათ შინა დგომად, სადა იზრახეს შეპყრობად გიორგისა და შინა გან-ტევებად დისა მისისა.

ხუაშიადი ესე სცნა გიორგი სააკაისძემან და ივლტოდა და მის- 30 რულმან ნუგზარის მიმართ, სიმაჰრისა თჳსისა, არა ერთგულისა მეფეთად, აღლესა თვთ ნუგზარცა ორგულებად მეფისა და ორნივე წარვიდეს შაჰ-აბასისად სპარსეთს.

41 ჰსწერს არაქილ სომეხი: ოდეს-იგი მივიღა /გიორგი შაჰ-აბა-სისად, იყოფებოდაო მაშინ შაჰ-აბას კერძოთა მიდიისათა, პროვინ- 35 ციასა შინა დედაქალაქისა კეროპოლისსა (რომელსა ზედწოდებულ ჰყოფენ შამახიად), ქალაქსა შინა, ზედწოდებულსა ყიზილ-ჰაჯი-ლად. და მისრული გიორგი წარდგა წინაშე სპარსთა მეფისა. ხოლო მკითხუელმან მისდამი შაჰ-აბას ვინაობისა მისისამან, აცნობა თავი თჳსი სიმდაბლით გიორგი მისრულად აჩრდილსა ქუეშე ელმწი-

ფებისა მისისასა და თავი თუხი აღიარა საქმარად მსახურებასა შინა მისსა ყოველსა შინა სამკედროსა საქმესა და ზედმიწევნილება-სა შინა ქართუელთა საქმისა ყოველისასა.

მომზრახობენ, რომელ წარსრულმან ისპაანად შაჰ-აბას თანა წარიტანა გიორგი და გზასა ზედა ცხენით სლუასა შინა გამოიკი- 5  
თხუდა მისგან ნათესაეობათა ქართუელთა მეფეთა და თავადთასა და სიმაგრეთა და ადგილთა საქართუელომასათა. და იგი, შინაგანმცემელი უფლისა თვისისა და მამულისა, ყოველსავე განმკაცრებით აუწყებდის ჰამბაეთა, ვითარცა ორგულთა მისთასა და მეფობრისა მისისა წინააღმდეგომთასა. 10

იზრახა შაჰ-აბას ბირებითა უღმრთოფსა მის მონისა მზაკუარი-სათა განმკედრებად საქართუელოსა ზედა და შეკრიბნა სპანი და წარმოსრულმან ისპაანით თანა წარმოიყუანა ბოროტგანმზრახიცა 15  
გიორგი და მოსრულმან /ქუეყანად ალვანიად დედაქალაქსა შინა, ზედწოდებულსა განძად, დააცხრო სულამ თთუე რაოდენმე და ეტყოდა გიორგის: ოდეს იქმნებისო დრომ, რათა წარგეიყუანნე 15  
ჩუენ საქართუელოდ, რომლისათეს მიუგო: მცირედრე მოითმინოსო მეფობამან თქუენმან, რამეთუ ჯერეთ არა არს დრო და ოდეს-იგი იქმნას დრომ შესლვისა თქუენისა, მოვაქსენო მეფობასა თქუენსა; რამეთუ უღროობასა იტყოდა გიორგი, რათა წარელოს ზა- 20  
ფხულმან და ხენი ტყეთა შინა ფურცელ დაცვიენულ იქმნეს და თოვლითა აღივსნენ მთანი და კლდენი და სიმაგრენი და მაშინ ვერლარავინ განერეს კელთაგან სპარსთასა.

მკსმენელმან მეფემან და ქართუელთა მოსლვისა შაჰ-აბასისა-თა აუწყეს მეფესა კახთასა თეიმურაზს და მიმწერელთა აზრახეს 25  
მეფენი და ქართუელნი და კახნი ერთადრე შეკრებად, სადაცა ენებოს შათ. და ურთიერთას<sup>1</sup> დაზაეებითა ნებათათა შეჰკრბენ ჰალასა ნარეკუავისასა და ფიცით აღუთქუეს ურთიერთას<sup>2</sup> წინაშე ქრისტეს ღმრთისა დადებად სულნი და სიკუდილი ქრისტესთვის.

იტყუნან, ვითარმედ ორთავე მეფეთა მიმართ წარჰგზავნა ეპის- 30  
ტოლენი ზაკეთრე შაჰ-აბას განცხადებულად სიყუარულისანი და დაზაეებისა წადილისანი. და იღუმალ ერთმანერთისა მიჰსწერა ორთავე მეფეთა უზავომან შაჰ-აბას ლუარსაბს: „ნუ მინდობილ ხა-რო თეიმურაზის მიმართ, რომელსაცა უნებს მოკლუად შენი და დაპყრობად სამეფომ შენი თუ/საად, არამედ უსწარ შენ და მოჰკალ 35 42  
ეგე“, ზოლო თეიმურაზის მიმართცა ესევე. ორგზის და სამგზის მიჰსწერნა შაჰ-აბას მეფეთა ეპისტოლენი ესე.

1 ურთიერთარს B. 2 ურთიერთარს B.

განმსჯელთა მეფეთა უიჭვოდ სამეფოთა მათთა ზედა მოსულსა შაჰ-აბასისთა და მთავართა თუსთა არა ყოველთა თუსდამი დროსა მას ერთგულეებისათა (რომელნიცა წმიდისა ქეთავანის საღმრთოჲსა ღუაწლისა ისტორიათაცა შინა გვითქუამს) და კუალად, 5 ვითარმედ გიორგი სააკაჲსძე იყო ფრიად გამოცდილ მეცნიერებასა შინა სიმაგრეთა ქართლისა და კახეთისათა და არარამე იყო გულსა შინა მისსა სხუა, გარნა სიკუდილი ღუარსაბისი და აღოტრებაჲ საქართუელოჲსა, იზრახეს ლტოლუაჲ იმერეთად.

- იტყუან მომთხრობელნი სომეხთანი: განზრახუთა გიორგისათა 10 შაჰ-აბას თთუესა შინა დეკემბერსა, დღეთა დიდისა დღესასწაულისათა, ოდეს-იგი არს დროჲ ზამთრისა მესინუარისა და მათთა თოვლითა აღუსებისა, განიძეღრა შაჰ-აბას კახეთსა ზედა ეტიკობითა გიორგისათა და, რაჲცა ჰქმნეს კახეთსა შინა სპათა შაჰ-აბასისთა, ყოველივე საესედ და კმად აღწერილ არს ისტორიასა შინა 15 სომხურსა არაქილის მიერ, მოძღუარისა სომეხთასა.

- წარვიდეს უკუე მეფენი იმერეთად წელიწადსა ჩქიე (1615 წ.), ხოლო წინა მოეგება მათ საჩხერეს, სამთავროსა წერეთელთასა, 5 მეფე იმერთა გიორგი, კაცი კეთილგანმსჯელი საქმეთ/მეფობითთა და ისტუმრა კეთილად და წინაწარმძღუნუელმან მიიყუანნა მე- 20 ფენი თუს თანა, სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს.

- შაჰ-აბას უკუე შესრულმან აღოტრებად კახეთისა და შემოსრულმან კახეთით ქართლად არა თუ რისხუთა აღწყუედითა აღოტრებიითა წარტყუნევითა და დარღუევითა, ვითარ-იგი ჰყო შესრულმან კახეთს შინა, არამედ სახითა მშუღობისათა, რამეთუ მოზრანა 25 ხობენ მეისტორიენი სომეხთანი, ვითარმედ ჰქმობდა ქადაგი: „ბრძანება არსო დიდისაგან და მსოფლიო აღმაშენებელისა მეფისა შაჰ-აბასისა, რათა ქუეყანა ქართლისა ყოვლით დაბნებითურთ თუსით და მთავრითურთ და გლეხით ეგნენმცა მშუღობასა შინა და წარსულნი ყოველნი ციხედ და სიმაგრედ შიშისათუს ლაშქართა სპარს- 30 თასა, ამიერიტგან მოიქცენ უშიშად სამკდრებელად თუსად და დაადგრენ საქმეთა შინა თუსთა და აღმაშენებლობათა. ხოლო იყავნ სიყუარული და მშუღობა, მისულა და მოსულა ნათესავეთა შორის სპარსთა და ქართუელთასა მიო, რამეთუ ქუეყანა ქართლისა საკუთარ ჩემდა ვიცი და არა დაეარღუეო იგი ჩემთუს და მეფისა ლუ- 35 არსაბისთუს მით, რამეთუ უწყი იგი ძედ ჩემდა, ძმად და კეთილისმექმედ. და რაჲამს მოვალს იგი ჩემდა, მივქსცე მას ქუეყანაჲ თუსი და მე წარვიდე ქუეყანასა ჩემსა. და თუ სადაჲე არა მოვალს ლუარსაბ, აჰა, გიორგი სააკაჲსძე, რომელ არს ქუეყანისაგან ქართლისა

და ნათესა/ვისაგან ქართულთასა, მიეპსცე უკუე ქართლი გიორ- 43  
ვის და მე წარვიდე“.

ამით უკუე და ესეგუარითა მახეებითა ზაკუსათა კაც-უშმაკმან  
შაპ-აბას მოიყუანნა ქართულნი სამკვდრებელად თუსად.

პსწერს უკუე ვახუშტი ისტორიასა შინა ქართლისასა, ვითარ- 5  
მედ „მოქცეულმან შაპ-აბას კახეთით ქართლად შემდგომად ალოჯ-  
რებისა, აღწყუედისა, წარტყუენვისა, დაწუსა, ღარლუევისა და  
გარდასახლებისა კახეთისა დააცხრო სულამ თუსი ქალაქსა გორს“.  
ხოლო ნეტარი ბესარიონ იტყუს არა თუ გორს დავანებასა შაპ-აბა-  
სისსა, არამედ მცირესა მას ქალაქსა აღს, მახლობელ იმერეთისა. 10  
„და წარგზავნა მოციქული იმერთა მეფისა გიორგის მიმართ და  
ქსთხოვნა მეფენი და აღუთქუა მიცემად საფასენი მრავალნი. ქსცნა  
რა ესე მეფემან გიორგი, თანა წარატანა მოციქულთა შაპ-აბასისთა  
კათოლიკოსი აფხაზეთისა მალაქიამ და მთავარი აბაშიძემ ლეონ  
ძლუნითა შესაბამითა და მიუწერა ესრეთ: ვევედრებით სიმდაბლით 15  
მეფობასა თქუენსა მიცემად მეფეთად სამეფონი თუსნი და მსახუ-  
რებად ესენი მით შესაბამ დიდებულისა მეფობისა თქუენისა“.

ზედმშპაზრულმან უკუე შაპ-აბას, ვითარმედ ძალითა ძვლ შე-  
საძღებელ იქმნა კელთ გდება მეფეთა, მოიფერაგა კელონებამ  
სხუამ! მრავალმფერებმან ზაკუსათა შინა და მოჰხანდა ბარათაშვილი 20  
შადიმან, მზრდელი მეფისა ლუა/რსაბისი, რომელიცა თანა წარჰყუა  
მოციქულთა მათ და ეტყოდა, ვითარმედ: „უგულებელს-ვეყო ძის  
წული მეფისა სიმეონისი და ძე მეფისა გიორგისი, განალა მეც-  
ნიერ ვარ, ვითარმედ მომიცთუნა იგი თეიმურაზ. და აწ უწყოდე  
შენ სარწმუნოდ, თუ სადამე მოვიდესმცა ჩემდა ლუარსაბ, მიეპსცე 25  
მას თუსნი ყოველნი და უმეტესნილა სხუანი“. და ეფუცა შაპ-აბას  
ცრემლით შადიმანს აღსრულებად ყოველი ესე და ფრიად სარწმუ-  
ნო ჰყო შადიმან სიტყუათა ამათ მიმართ. ხოლო კათოლიკოსსა მა-  
ლაქიას და ლეონს მიანიჭნა მრავალნი და შექსთულანა მეფისა გი-  
ორგის მიმართ ესრეთ: „არსო ძუელად თეიმურაზ მტერ ჩემდა 30  
და ვერ სადამე მინდობილ ვიქმნე მისდა, ხოლო თუ სადამე მოვალს  
ჩემდა მეფე ლუარსაბ, მივანიჭნე ყოველნივე მსახურებისათუს მა-  
მა-პაპათა მისთა“. და განუტევნა მოციქულნი იგი ესრეთ. იტყუს  
ვახუშტი: „წარუგზავნაო კრმალი სპეკალთა მიერ განკაზმული მე-  
ფესა ლუარსაბს“. 35

მომზრახობენ მეისტორიენი სომეხთანი: „მოიკვლოვნაო ღონეა  
ახალი ყაენმან შაპ-აბას და წარკვზავნა ერთი რომელიმე თუსთა სა-



- იღუმლოთა განმზრახთაგანი, რომელი იყო უდიდესი მთავარი დიდებული. და წარკვზავნა იგი მოციქულად მშუდობითად ეპისტოლითა იმერეთად ლუარსაბის მიმართ, ხოლო წიგნი იგი უწყებდა იყო ესეგუარისამებრ სახისა: „შაჰ-აბას მეფისაგან მკნეთასა მრავლითარე სიყუარულითა მიიწიოს გიხაროდენი ლუარსაბის მიმართ,
- 44 5 მეფისა ქართულთასა. მრავალგზის/მივქსწერე თქუენდა სიყუარულით და გაჩუენე კეთილმყოფლობად გულისა ჩუენისა, რომელ არს შენდამი, მაგრა შენ არა ისმინე და არცა ირწმუნე სიტყუანი ჩემნი. აწ ვიდრემე უწყებულ იქმენ საქმისაგან და გრწმენინ, ვითარ-იგი ზედმჭურეტ ხარ, რამეთუ ქუეყანად აღვაოკრე<sup>1</sup> თეიმურა-
- 10 ზისი, ხოლო შენი დაეიკეე შენთს მრთელ და აღშენებულ მომლოდნემან მოსლვისა შენისამან. აწ სადამე ნუ გკონისმცა მოსლუად და ნუ ისმენდა უგუნურთა და უმეცართა სწავლის მომცემთასა და ნუცალა კუებულ იქმნები მეფობისაგან შენისა მით, რომელ არა მაქუს გულსა შინა ჩემსა შური და ზაკუამ შენდამი, ვითარცა შენ
- 15 არარამე გიქმნიეს ბრალი ჩემდა, განაღა შენსა მოსლუასა ვითხოვ ამისთს, რამეთუ დროთა წინაპართა ჩუენთასა შეერთება იყო შორის ორთა ამათ ნათესაეთა, ესთაეე მნებაეს, რათა იყოს დროსაცა შინა ჩუენსა. და მე ყოველნი ჩრდილოეთისა გარწმუნნე კერძონი, რომელ არს იმიერ კერძო არეზ მდინარისა, რათა შენ იყომცა ზე-
- 20 დამდგომელ და ბრძანების მიმცემ ყოველთა მათ კერძოთა მთავართა ზედა და შენ ზრუნვიდე ამა კერძოთათს, ხოლო ჩუენ უზრუნულექმნილნი ამათ კერძოთანი ვზრუნვიდეთმცა მეორეთათს კერძოთა და ეიპრობდეთ პირთა მტერთა ჩუენთასა. მრთელ იყავ<sup>2</sup>.
- სახელი იყო წარგზაენილისა მის ლუარსაბის მიმართ მოციქუ-
- 25 ლისა სარუ-ხოჯა. ხოლო იტყუ: ამისთს არჩილ მეფე იმერთა ვითარმედ საჭურისი იყო/კაცი იგი, მეგობრობასა შინა მყოფი შაჰ-აბასისა და აქუნდა ამას ლუარსაბის მიმართ წიგნიცა ლისა მისისა, სარწმუნო მყოფი მისი, ვითარმედ არარამე ევენების მუნ მისუ-
- ლითა.
- 30 და მი-რა-იწიენნეს ესენი და უწყებულ იქმნა სიტყუათა და ეპისტოლეთა შაჰ-აბასისთა წმიდა იგი, ერწმუნა ყოველთა ვერ განმსჯელი „ქე სასუფეველისა გონიერებისა ქეთა სოფლისათა“, ანუ ვერ სადამე კპოვა სხუამ<sup>2</sup> ღონეი, რათა დაიკუასმცა წმიდანი ეკკლესიანი და სამეფომ თუსი მშუდობით და აღირჩია დადებად

<sup>1</sup> აღუაოკრე A. 2 სხუა A.

<sup>2</sup> შტრ. ლუკა 16,8.

სული თვისი მეგობართათვის და ძმათა თვსთა ქრისტიანეთა ფრიად ძმათმოყუარემან ვაბუკემან, რამეთუ იტყვის: „უფროსი ამისა<sup>1</sup> სიყუარული არავის აქუს, რათა სული თვისი დაჰსდუას მეგობართათვსთათვის“<sup>2</sup>.

მრავალნი ვიდრემე სხუაგუარ ჰსწერენ წარმოსულასა შაჰ-აბასისად იმერეთით ლუარსაბისსა და რომელნიმე აბრალებენ სიჭაბუკით განჰსჯასა, მაგრა ჰსწერს ნეტარი ბესარიონ დადებისათვის სულისა ერისათვის თვისისა.

აყენებდა უკუე ვედრებით წმიდასა ამას შაჰ-აბასის მიმართ წარსულისაგან მეფე თეიმურაზ და დედად თვისი და და და თუთ 10 მეფეცა გიორგი იმერთა. მაგრა აზრახებდა შადიმან წარსულასა და არა ისმენდა ზრახუასა მეფეთასა და არცა ცრემლთა დედისა და დისა თვისისასა, არამედ მინდობილმან ქრისტეს ღმრთისა მიმართ იყო წარსლუად<sup>3</sup>. და დაიდუა გულსა თვისსა დადებად სული თვისი და/მიუგებდა მათ, ვითარმედ: „მოსრულ არსო შაჰ-აბას და მჯდლო- 15 45 მარე ქუეყანასა ჩემსა, ითხოვეს ჩემგან მშუდობასა და, თუ სადამე არა მივიდემცა, ყოველი სამეფომ ჩემი ალაოკროს და განჰხრწნას და დაარღვენეს ეკკლესიანი და შემუსრნეს ქრისტიანენი და ესე ყოველი იქმნეს მიზეზითა ჩემითა. კეთილ არს ჩემდა მისულამ შაჰ-აბასისა და განთავისუფლებად ყოველი ქართლი, რათა ვიდ- 20 რემდისცა ცოცხალ ვიყო ღროსა შინა რამესა, იყოს ცხოვრება იგი სუნდისისაებრ და ესოდენნი სულნი არა თანამდებ იქმნენ ალოკრებისა მიზეზითა ჩემითა, არამედ ღმრთისადმი სასოებით წარვიდე სიწრფოებით მისდა და მუნ რააცა დამეკუეთოს მე, ანუ სიკუდილი, ანუ ცხოვრებამ, იყავენ კურთხეულ ნებამ უფლისა“.

წარსულმან იმერეთით შაჰ-აბასისად ლუარსაბ გარდმოვლო მთად ლიხისა. ხოლო მაშინდელსა დგომასა შაჰ-აბასისსა იტყვის ნეტარი ბესარიონ შორის ალისა და ნაბახტევისა. მჰსმენელმან შაჰ-აბას განსულა-კყო ბანაკით ყოველთა თანამთავართა თვსთა, სპარსთადმი მჩუენებელმან რეცა ნადირობად განსულისამან და მეფისა 30 ლუარსაბის მიმართ მიგებებად მისსა, რამეთუ ესეგუარ ჰსწერენ არჩილ მეფე იმერთა და ვახუშტი.

ხოლო ოდეს მოვიდა ლუარსაბ შაჰ-აბასისად და მოიკითხნეს ურთიერთას<sup>3</sup>, აღრია შაჰ-აბას პატივი სიყუარულისა თანა და სიყუარული განჰკაზმა მზაკუარითარე სიხარულითა, ვითარმედ 35 ცრემლთაცა აღინებდა, რეცა მოხარული ყოვლად მზაკუარი იგი, და/ ეტყოდა: „ვითარ-მე შესაძლებელ არს ჩემდა ძერი ყოფად შენ

V

<sup>1</sup> ამისა A. <sup>2</sup> წარსულად B. <sup>3</sup> ურთიერთარს B.  
<sup>4</sup> თან. 15,13.

მკნისა მაგის და ყოვლად შუენიერისა და ერთგულთა და სარწმუნოთა ჩემთა ნაყოფისა?" ეტყოდა უკუე ამათ შაჰ-აბას ლუარსაბს ზაკთ დაღათუ, მაგრა განაკურუა შუენიერებამან სიჭაბუკისა და მკნედრე შენადგომამან წმიდისა სხელისა მისისამან.

5 ყოველნი მომთხრობელნი ამისნი მომზრახობენ დიდითა პატივითა პატივისცემასა შაჰ-აბასისგან და რომელნიმე იტყუან მსწორად თჳსა პატივისცემასა.

შეაქცევდის ლუარსაბს შაჰ-აბას ნადიმითა და მუსიკითა, გალობითა და საკრავებითა და ლიქნისა სიტყუებითა, რამეთუ საგონის იყვის, რეცა მსწოთღის თაფლი მზაკუართაგან ბაგეთა მისთა ლუარსაბის მიმართ, მაგრა მათ შინა დაფარულ იყო სამსალაჲ მომსპობელი. ეგსახედ მიანიჭებდისცა მრავალთა სპეკალთა მიერ წახნაგებულთა საჭურუელთა ანუ სხუათა რათამე ლართა და შესამოსელთა ძურფასთა და ცხენთა გამოცდილთა. და ესრეთ წარმო-

10 ემართა ლუარსაბითურთ შაჰ-აბას ტფილისად აღმთქმელი მისდა ფიცით: „დაგიტევო ბედნიერად საყდარსა შენსა ზედა ტფილისს და მე წარვიდე სპარსეთად“. ესეგუარი აქუს უკუე ჩუეულეზაჲ მეცნიერსა მას გუელსა მანკიერსა, ნათესაჲსა სპარსთასა და უფროსლა მრავალთაჲთა მათ ვეშაჲთა. ძეთა შაჰ-ისმაილისთა აქუნდათ

15 კელოვნებაჲ ყოვლად მზაკუარი: მახვლნი დაფარულნი მშუდობისა და სიყუარულისა სიტყუათა და საქმეთა შინა, და დროსა განცხადებულნი მოსპობად/მათლა, რომელთადცა მსთქჳან ანუ კქმნიან.

46 მოსრულმან ტფილისად შაჰ-აბას თქმულნივე არუენა შექცევანი და სიყუარული და მინიჭებანი ლუარსაბს და ეტყოდა: „მწად-სო შექცევაჲ ნადირობად ველთა ზედა ყარაიისათა, რათა დედაკაცთაცა შინაგან მყოფთა ჩუენთა უჩუენნეთ სრუანი ნადირთანი“ და ესრეთ წარვიდა და თანა წარიყუანა ლუარსაბცა. ზოლო ოდეს განიმზადებოდა ველთა ზედა ყარაიისათა ნადირობაჲ ხუალისა ღლისად, მიუწერა დამან თჳსმან ლუარსაბს, ცოლმან შაჰ-აბასის-

25 მან, რათა არა უჩუენოს შაჰ-აბასს სიმარჯუენი სროლათა მისთანი სრუად ნადირთა, რომელთა შინა კნინდა უთანასწოროდრე გამოცდილ იყო, და არცალა ცხენთა კმარებისა სიმარჯუენი ამისთჳს, ვითარმედ მსძულსო და ემტერების ესეგუართა ჭაბუკთა.

მსმენელმან მკნემან მან და წმიდამან ჭაბუკმან არა ისმინა

35 გულისმსიტყუელმან, ვითარმედ არლარა განუტევებს მას შაჰ-აბას და რად სადამე ეჩუენოს მას ჯაბან და უმარჯუო.

მრავალსა იტყუან ნადირობისა მას შინა მოკულსა მეფისაგან ნადირთასა, ქურციკთა, ირემთა და ღორთასა, რომლითაცა განკურუებად მოიყუანა შაჰ-აბას. და კუალად აღავსო შაჰ-აბას ნიჭითა

მეფემ და დაღათუ ტკბილ საგონისთა, არამედ ნავლლისა უმწარეს-  
თა მათ სიტყუათა მიერ მოილიქნიდა და უფრთხოდაცა ფარულად-  
რე, რათა არა განეულტოსმცა კელთაგან.

ეტყოდა შაჰ-აბას მეფესა: „ვინაძთგან ჰსჩან შენ მკედრო/ბათა  
შინა და სროლათა უზესთაეს ყოველთა და შეუსწორებელ, მწადს, 5  
რათა ნადირობითა შევექცეთმცა ერთად ყარაბაღსა შინა“ (ესე იგი  
ნაწილთა აღვანიისათა, რომელსა ქართუელნი რანად<sup>1</sup> ზედწოდე-  
ბულ ვჰყოფთ). მჰსმენელმან მეფემან ჰსცნა მზაკუარნი იგი ზრა-  
ხუანი მისნი შეერთებულნი იდეასა თანა მკულელობითსა, მაგრა  
არლარა იყო ღონე კელთაგან მისთა განრომისა, რათა განერამცა 10  
იგი კელთაგან მისთა მშუღობით და სამეფოდაცა მისი აღუოკრე-  
ბელმცა დაცულ იყო. ამისთვის ერჩდა და თანა წარჰყუა ყარაბაღს.

შექცეულმან მუნცა ნადირობითა მსგავსად ყარაიისა შაჰ-აბას  
და მხილულმან მეფისაგან რაინდობათა შინა უცხოდრე გამოცდი-  
ლებისამან და მიმნიჭებელმან მისდა მრავალთამან და პატივის- 15  
მცემელმან მისმან ჰსწორად თავისა თვისისა ჰრქუა მეფესა: „აწ სა-  
დამე ჯერ არს არა დატევებად სანადიროა მაზანდარანისა“<sup>2</sup> (ესე  
იგი ვრკანისისა) და წარვიყუნა მუნცა.

მისრულმან შაჰ-აბას ლუარსაბითურთ ინადირა მაზანდარანს<sup>3</sup>  
შინა, პატივისმცემელმან მეფისამან და მიმნიჭებელმან კჳალად 20  
მრავალთამან.

მოჰხადა შაჰ-აბას მეფემ ტაბლად ნადიმად თეს თანა და იყო  
მაშინ მარხუაა წმიდათა ორმეოცთა. და მისრულსა მეფესა აწჳა  
შაჰ-აბას ჰამად თევზი, ხოლო იგი ყოველითურთ ურჩ ექმნა. კჳა-  
ლად აწუვედა უღმრთო იგი ლიქნით, გარნა წმიდა იგი არა ერჩდა 25  
და მიუგებდა: „არა ჯერ არს ჩუენდა წმიდათა/ ორმეოცთა შინა 47  
ჰამად თევზი და თუ სადამე გერჩლეძცა, მერმელა მაწო ჰამად  
კორცი, რომელი უცხო არს ყოველთა ქრისტიანთაგან და შემდ-  
გომად მითცა სრულყოფისა ბრძანებულისა შენისა მაწუვო უარის-  
ყოფად ქრისტე ჩემისა შემოქმედისა და უფლისა. და ამისთვის, მე- 30  
ფეო, უმჯობეს აღურჩიო სიკუდილი, ვიდრელა ჰამად თევზი“. გარნა  
შაჰ-აბას განამრავლებდა მისდა სიტყუასა, რათა ჰსჰამოს თევზი,  
რომლისათვის აღჰსდგა ტაბლითრე ლუარსაბ და წარვიდა სადგომად  
თესა.

მხილულმან შაჰ-აბას ლუარსაბისგან ქმნილისა მისდამი ურ- 35  
ჩებისამან და დიდადრე შეურაცხებად თესად შემრაცხულმან ჰყო

1 რანად] მოვიყან B. 2 მაზანდარანისა D. 3 მაზანდარანს B.

განცხადებამ ძვრისა. რომელიცა აქუნდა დაფარულ და მზაკუარიცა იგი მონა გიორგი სააკაისძე და არა დაქსცხრებოდა შაკ-აბასის მიმართ შესმენითა ლუარსაბისათა და ყოვლითურთ მეცადინობდა მოკლუასა მისსა.

- 5 აწვეა შაკ-აბას ლუარსაბს უარის-ყოფამ ქრისტესი დიდთა დიდებათა და მშუდობით და დიდითარე ბედნიერობით სამეფოდ თესა წარვლინებისა აღთქმითა და, თუ სადამე არა ერჩდესმცა, მძნუარისა სიკუდილისა ქადებით. მაგრა წმიდა იგი უმტკიცე აღამანტინისა „განძლიერებული უფლისაგან და სიმტკიცითა ძლიერებისა
- 10 მისისათა შემოსილი ყოვლად საჭურუელითა ღმრთისათა“, ესე იგი ღმრთისა მიმართ უნივთოთა ლოცუთა და სასოებითა მოღებოსათა, რამეთუ ვითარცა ნაყოფსა კეთილმსახურთასა, აქუნდა მას ჩუეულებამ ლოცუსა და კრძალულებისა და უფროსლა დღეთა მათ განსაცდელთა თესთათა, რამეთუ უწყებულ არს თქმულთაგან ნე-
- V 15 ტარისა ბე/სარიონისთა: „ილოცდაო ნეტარი იგი ცრემლით და სულთქმით და იტყოდა: უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შენ უწყი, რამეთუ არაგინ მივის თნიერ შენსა, არცა მამამ, არცა დედამ, არცა ძმანი, არცა სხუა რამე შენსა გარეშე და დაუსაბამოძსა მამისა შენისა და თანა სამარადისოძსა ყოვლად წმიდისა სულისა შენისა, რომელმან არა არსისაგან მოიყუანენ ყოველნი არსნი, ხილულნი და უხილავნი და შენითა ძლიერებითა გიპყრიეს ყოველნი დაბადებულნი და წამისყოფითა შენითა განაგებ ყოველთა არსთა. შენ უწყო, რამეთუ ყრმა ვარ მე და გამოუცდელ ესევითართა მანქანებათა და სივერაგეთაგან. შენ დამიცე, ყოვლად ძლიერო,
- 25 კელთაგან ამის მზაკუარისათა, რათა არა მიდრკეს გონებამ ჩემი მის უკეთურისა ლიქნათაგან, რამეთუ მე არაოდეს განეეშორო სიყუარულსა შენსა, არცა უარეკყო სახელი შენი. იყავნ კელი შენი მტკიცე მაცხოვრად ჩემდა, რამეთუ შენ გესაეს სული ჩემი და შენდა მომართ არს ყოველი სასოებამ ჩემი, და მზა ვარ მე სიკუდილად სახელისა შენისათეს წმიდისა“.
- 30 იტყეს ნეტარივე ბესარიონ: „შიერიტგან შექსძინაო ლოცუამ და მარხუამ უმჭურუალეს პირველისა (ესე იგი უმჭურუალეს პირველისა ჩუეულებისა, რომელიცა აქუნდა მას სირჩოთგან ჩუეულებამ მარხუსა და ლოცუსა). არა ერჩდა ბრძანებასა მეფისასა და ყოვლითურთ გარე-მიაქცევდა
- 35 და თავსა თესსა ცხოველსყოფელითა ჯუარითა დაბეჭდვიდა! „აღმღები ყოვლად საჭურუელისა ღმრთისა, რომლითა შეუძლო

1 დაბეჭდვდა B.

• შდრ. ეფეს. 6,10-11.

წინადადგომად დღესა მას ბოროტსა და ყოველსავე იქმოდა (ღმრთისათვის), რათა ჰსდგეს“\*.

შაჰ-აბას განამრავლებდა ლიქნათა და დიდებითა და ბედნიერობითა აღთქმათა და მძუნუა/რეთა სატანჯუელთა ქადებათა. 48  
ლუარსაბ „მტკიცედ ჰსდგა შორტყმული ჭეშმარიტებითა და შემოსილა ჯაჭუთა სიმართლისათა“\*\*.

განმრავლებდობდა შაჰ-აბასისგან ქადებანი სატანჯუელთანი და ვითარცა ისარნი გონებასა წმიდისასა დაესხმოდეს, მაგრა „აღილო მან ფარი საარწმუნოებისა, რომლითა შეუძლო მან ყოველთა მათ ისართა ბოროტისათა განკურვებულთა დაშრეტად, და ჩაფხუტისა 10 ცხოვრებითისა თავსა ზედა დამდგმელი აღმოიწუდიდა მახვლსა სულისასა, რომელ არს სიტყუა ღმრთისა“3\* და ესრეთ ბრძოლად „არა ჯორცთა და სისხლთა მექონთა მთავრობათა მიმართ და კელ-მწიფებათა სოფლის-მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთო-სათა, მყოფთა ცასა ქუეშე სულთა მიმართ უკეთურებისათა გან- 15 ვიდოლა“4\*.

მაშინ ბრძანა ექსორიობად შაჰ-აბას წმიდისა შირაზით კერძო, რომელი არს მახლობელ სპარსეთისა ანუ ბასრულისა ზღვსა, შორის ფარსისტანისა, ციხესა შინა, ზედწოდებულსა გულაბს, და თანა წარყოლაა ორთა ვიდრემე მონათა. ხოლო მცნობელი წმიდა იგი 20 ლოკუთა უნივთოთა და ქრისტეს მიმართ ჭეშმარიტებით და სიმართლით უკუნ-უქცევებად მირთმითა თავისა თვისისათა წმიდა-ქმნილი და მარხუთა და კრძალულებითა ჯორცთა თვისთა წმიდამყოფელი ეზიარა ღმერთმყოფელსა საიდუმლოსა, უხრწნელსა ჯორცსა და პატიოსანსა სისხლსა ქრისტეს ღმრთისასა და ესრეთ განემზადა სიხარულით და მადლობით ქრისტესთვის ექსორიობად და სიკუდი- 25 ლად.

/უკანასკნელისა და დასასრულისა კელთა ამბორის-ყოფისა მეფისა მიმართ მყოფელნი ქართუელნი, უნუგეშინისცემოთა გლოვითა აღუსებულნი, რამეთუ დაჰსცხრა ძეთაგანი შვლიერებად სჰმეონ დიდისა, ზედმჭურეტნი სიმკნესა და ყოვლად შეუძრუელსა სიმ- 30 ტკიცესა გონებისა ქრისტეს მკედრისა მეფისა მათისასა და ყოვლად შუენიერებასა და სიწრფოებასა ვერძისა საკურთხეველად ზეცისა შეწირუად განმზადებისასა, ჩუეულებისაებრ მათისა თავთა იტყებდიან თმათა და წუერთა მფხურელნი და ღაწუთა დამხოკნი

\* შტრ. ეფეს. 6,13. \*\* შტრ. ეფეს. 6,14. 1\* შტრ. ეფეს. 6,16-17. 4\* შტრ. ეფეს. 6,12.

- და ვითარცა მკუდარსა ეგრეთ ჰგოდებდიან მეთქუენი: „მ, მეფეო, სიმტკიცეო და შუენიერებო ჩუენო, ლუარსაბ ჰაბუკო, მკლავმაგარო, უქცეველო ატაკთა შინა მტერთადმი და ნადირთა სროლათა შინა შეუსწორებელო, უმაგალითოო ასპარეზთა შინა სამკვედროთა
- 5 და განსაკურებო რაინდობათა შინა, ყოვლად მტკიცეო და შეურყვეველო აჟენდათა შინა და აღურის-ჰყრობათა, საკურუელო მებრძოლო ლახტითა, შუბითა და მახელითა, შუენიერო, მკნეო და მკლავმაგარო ცემათა შინა ჩოგნისათა, ოროლითა და შუბითა, მღერათა შინა მემშულდებობათა შინა უთანასწოროო, სადა წარ-
- 10 ხულ, დიდებო ჩუენო და სიმდიდრეო, დააცხრობ სიხარულსა სამეფოასა შენისასა და შენ წმიდათა ანგელოსთა თანა კლამი მოხარულ-ყოფად, დაგუფარავ უშენობისა ძლით წყუღიადითა ბნელითა და შენ კლამი განათლებად ნათლითა სამგუაჰოვანისა ერთლუთაებისათა, განგუეშორები ამიერიტგან, ნათელო ჩუენო, და ეზიარე
- 15 ნათელსა განუსაზღურებელსა, მოკუდები ჰაბუკი მულაბანი, რომლისა სიკუდილისა ნაცუალად სიხარულით შუა ვართ ოქერნი სპანი შენნი და შენ ზიარებითა სიკუდილისა ქრისტესითა იდიდები“.
- 49 წაროგზავნა ლუარსაბ ქრისტესთს ნებსით პატიმარი/ და შეიყენა ციხესა შინა ჰქსენებულსა. იტყუს ნიკოლაოს ეპისკოპოსი მროველი შაირთა შინა ქების მსიტყუაობი წმიდისა ამისთს, ვითარ-
- 20 მედ „შუდ წელ მარტოებდაო ტანჯული გულაბს ციხესა შინა“.
- არდაცხრომილმან გიორგი სააკაძემან შაჰ-აბასის მიმართ შესმენათაგან მოკლულად ლუარსაბისა შემდგომად არწმუნა შაჰ-აბასს მეტყუელმან: „გარდამოუყუანიეს იმერეთით კახთა მეფემ
- 25 თეიმურაზ და მეფობს დღეს კახეთს შინა წინააღმდგომად მეფობისა შენისა. აწ სადამე თუ არა მოჰკლა ლუარსაბ, მივიდნენ ქართუელნი ნავით გზითა ზღვსათა და მოიპარონ ადვლად ლუარსაბ ციხით და იქმნას „უეანასკნელი საცთური უძერეს პირუელისა““.
- წერილ არს სუნაქსარსა შინა ამის წმიდისასა, ვითარმედ: „პა-
- 30 ტიმარი ციხესა შინა მეფე ლუარსაბ შუდ წელ მარადლე იძულებოდა შეწყნარებად ჰსჯულისა და ქადაგებისა ყოვლად ბილწისა მახმედისა, მაგრა იგი, ვითარცა კლდე ადამატიინისა<sup>1</sup>, ეგო შეურყვეველად და ყოვლად მიუცილებელ ჰეშმარტისაგან მსახურებისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა“.
- და კუალად ზედასზედა მოსრულნი
- 35 ეტყოლეს: „მ, მეფეო, შეიწყალე სიჰაბუკეა და შუენიერება შენი და ერჩდი ბრძანებასა შაჰ-აბასისსა, რამეთუ, თუ სადამე ერჩდე

<sup>1</sup> ანდამატიინისა B.

• მატ. 27,64.

ბრძანებასა მისსა, მიიღო მისგან პატივი დიდი, ხოლო თუ სადამე არა ერჩდე, მოიკლა მწარითა სიკუდილითა“.

მკსმენელმან მიუგო მეფემან: „ღმერთი დიდებულ არს ზრახუასა შინა წმიდათასა, დიდ არს და საშინელ მათ ზედა ყოველნი, რომელნი არიან გარემოს მისსა“<sup>1</sup>, და საკურულ და საშინელ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა. ჭეშმარიტად იდიდა ღმერთი ასოთა მიერ წმიდათა მოწამეთათა და „ეინ-მე იტყოდეს ძლიერებასა მისსა და ანუ ეინ სასმენელ ჰყუნეს ყოველნი ქებულებანი უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი“<sup>2</sup>./

მკსმენელმან და მორწმუნეკმნილმან თქმულთა მათ სიტყუათა სააკაჲძისათა შაკ-აბას წარაელინა მოციქული ლუარსაბის მიმართ, სადა-იგი პატიმარ იყო და შეკმთუალნა მისდა, ვითარმედ: „ანუ უარჰყავ ქრისტემ, ანუ თანა-გაძს სიკუდილი მძენუარემ“.

მკსმენელმან ლუარსაბ ბრძანებისა უღმრთოჲსა მეფისამან, კოვლითურთ არა მიდრეკილმან ნამდულ ჭეშმარიტისაგან კეთილ- მსახურებისა და ესოდენტა წელთა ციხესა მას შინა ყოფასა მარხუთა დაწულილებულმან და წმიდითა ლოცუთა ფრთოვანკმნილმან და წმიდითა „სარწმუნოებითა სიყუარულისაგან შეწვენილითა“<sup>3</sup> განათლებულმან და ესოდენტა წელთა შინა მაიძულებელთა მათგან ბოროტთა ყოვლად შეურყეველმან და „მომლოდნემან ნეტარი- სა მის სასოებისა და გამოჩინებისა დიდებისა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“<sup>4</sup> არცალათუ ერთისა პასუხისა მიცემად ღირს-ჰყუნა მოციქულნი.

ხოლო რაოდენსაცა დიდებისა და ბედნიერობისა აღთქმათა და წინამდებარისა მძენუარისა სიკუდილისა ქადებათა განამრავლებდეს მოციქულნი! იგი და მაიძულებელნი, მოწამე ქრისტესი უდიდესითა სიმტკიცითა მიუახლებლობდა სიტყუათა მათთაგან. გარნა ითხოვა მათგან მცირედ დაცადებაჲ, რათა ილოცოს და მერმელა სრულ-ყოფად ბრძანებული მეფისა.

აქუნდა უკუე წმიდასა მას მფარუელად ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიაჲსისი. და შესრულმან/, სადაცა იყო წმიდა იგი ხატი, მოიდრიკნა მუქლნი და იტყოდა ცრემლით: „ჰ, დედოფალო ჩუენო ღმრთისმშობელო, შენდამი დამიძს ყოველი სასოებაჲ ცხოვრებისა ჩემისა, შენ ხარ მფარუელი ჩემი, შენ ხარ ნუგეშინისმცემელი ჩემი, შენ მომეც მე შეწვენაჲ ლუაწლისა ამის ჩემისა, შენ მიოხე წი-

1 მოციქული A.  
 \* თსალ. 88.7. \*\* თსალ. 105.2. 3° შდრ. ელატ. 5.6. 4° ტიტე 2,13.



ნაშე ძისა შენისა და შემრთე წმიდათა მოწამეთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.

და შემდგომად მოიღეს მტარულთა საბელი მშულდისა და მოაშთუეს ტარიგი ყოვლად წმიდაჲ წელიწადსა ჩქებ (1622).

იტყჳს ნეტარი ბესარიონ, ვითარმედ: „ორთა მათ მონათა, 5 მყოფთა წმიდისა თანა, მათცა ქრისტესთს მიიღეს სიკუდილი მარტლობითი მოშთობისა მიერ და ეზიარნეს მეფისა თსისა თანა სიკუდილსა კორცითა უკუდავისა სიტყჳსასა და შეერთნეს გუნდთა მოწამეთასა“.

ხოლო ღამესა მას დაუტევეს დაუფლულელ წმიდა და სანატრე- 10 ლი იგი სხეული მისი, რომელიცა ჰსჩნდა ყოვლად ბრწყინულად ვითარცა თოელი და მრავალნი მოვიდოდეს ხილუად წმიდისა მის, რომელსა ზედა ნათლისა ბრწყინულისა მხილუელნი განკურდეს<sup>1</sup>. და ღღესა მეორესა დაჰფლეს მასევე ციხესა შინა ყოვლად პატიოსანი იგი სხეული მისი. და რომელნიცა შეპყრობილ არიან სნეულე- 15 ზითა და საფლავსა მისსა მიეახლებიან, კურნებასა მიიღებენ.

იყო უკუე დასასრული აწინდელისა აექსონობისა ჩუენისა ამისთს, რათა არა დავიწყდენ საქმენი მისნი ჩუენ შორის, რომე- 20 ლიცა ნათესავობით დავითიან-ბაგრატოვანებდა და კეთილმსახურე-ბით ცხებულებდა და სიჭაბუკისა შუენიერებითა უბიწოებასა/ შინა 20 ნა ჰყუავოდა და ქრისტეს მიმართ მკედრად მიმრთმელი თავისა თსისა ყოველსა შინა სამკედროსა სიმარჯუესა აღმატებულებდა და სიჭაბუკესა შინა მიმღებელი სიკუდილისა ქრისტესთს არასადა მიდრკა კეთილმსახურებისაგან და ღმრთისმოშიშებისა. ხოლო წა- 25 მებნისა გურგუნოსანქმნილი ქრისტესა ძესა ღმრთისასა ეზიარა და ყოვლისა სოფლისა მეოხად დადგა წინაშე მისსა საქადულობად ნათესავთა თსთა ყოვლისა სოფლისა და სამეფომსა თსისა.

გარნა ჩუენ მმადლობელნი ცხოველსმყოფელისა სულისა მი- 30 მართ აწინდელისა აექსონობისა ჩუენისა წარმმართველისად განვემზადნეთ ყოვლად დიდებულისა მოწამისა მეფისა არჩილ მეორისა ღუაწლთაცა დიდითარე სიმკაცრითა მოთხრობად მქსმენელ-თად კეთილმსახურთად, რომელთადმი მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, ამინ“.

<sup>1</sup> განკურდეს B.

\* მინაწერი: „სრულ იქმნა წელსა განკორციელებითჲან სიტყჳსა ღმრთისა 1768, თთუესა ნოემბერსა 22, ტრიფილესგან“ B (გვ. 105).

ქანსება და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა  
მოწამისა არჩილ მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოჲსა და ქვემოჲსა  
საძართველოჲსა და აზნაზათისა, ხოსროვანისა, ძმნელი ანტონისაგან  
არსნიჲსიჲოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საძართველოჲსა,  
დავით-ბაგრატიონისა

შენ კასიაებ, ბალასან კინამოებ.

მირონ არომატ, წარმოცლილ ნელსაცხებლებ.

ყარამფილ ვარდებ, იაკოსტ ყაყაჩოებ.

რტო კიპაროსებ, ია შაშპრა სოსანებ.

ხოლო წალკოტებ, მრავალ-ყუავილოერებ. 10

### სიტყუა მესამე

მეცნიერ ვართ სხოლასტიკოსთაგან და წმიდათა მოძღუართა  
და ახალთაგან ფილოსოფოსთა, ვითარმედ კეთილისა მიმართ იქმ-  
ნებიან განღუძებანი წადილად გულისხმიერ, ანუ სიტყუერ მნებე-  
ბელთანი, რამეთუ სულნი იწადებენ ანუ „გონიერ, ვითარ-იგი მოი- 15  
ლებს საღმრთო ღიონესიოს სატრფიალოთაგან ქებათა ნეტარისა იე-  
როთეოსისთა, მჩუენებელი წადილისა გარდარეულისა, რომელი  
ტრფიალებად გარდაიქმნების საღმრთოდ ანუ ანგელოსებ-  
რად ანუ გრძნობადად, რომელსაცა თუთ იგივე გუაჩუენებს  
მოძღუარი მისვე სიტყუსაგან მშუნეიერებრად“.

20

ხოლო ვინამთგან კეთილი იგი არს, რომელიცა ჩუენდა მდგმო-  
ობასა ჩუენსა სრულებასა მოგუართუამს, განსაზღურებისამებრ ფი-  
ლოსოფოსთასა, ხოლო სრულება არს თანკმობა სხუაობათა შინა  
უწინააღმდგომოდ დაზაეებული, ვითარ-იგი ღმრთისა შორის მრავ-  
ალთა სხუაობათა საღმრთოჲსა არსებისა თუსებითთა ვითამე მიე- 25  
ქსწუთებით თანაკმად. ესე იგი ღმერთ/ არს არსება განუსაზღურე-  
ბელ, ნათელ, ყოვლად ძლიერ, მარტივ, გულისხმიერ, „რომლითა  
მოიგონნა პირუელად ძალნი ანგელოსთანი და ზეცისანი, მნებებელ“  
და „მოგონება იგი იყო საქმეთა აღსრულებული და სულითა სრულ-  
ქმნილი“\*\*. ესე იგი ნებითა ყოვლად წმიდითა თუსითა კქმნა დროსა 30  
შინა პირუელად მოგონებული არსებაჲ ანგელოსთა სიტყუსაებრ  
ღმრთისმეტყუელისა ეგსახედ სოფლისა და ნაწილთა მისთა. ღმერ-  
თი არს წინაგანგებელ, მმართებელ, რამეთუ თუ სადამე არა კმარ-  
თებდესმცა მათ შინა ყოფითა ქმნილთა არსთა, ვერ სადამე მიიღონ-

V

\* ღიონესისი, საღმრთოთა სახელთა, თავი 4. \*\* ღმრთისმეტყუელისა ქრისტეს  
შობისა ძლითსაგან.

მცა მდგომარეობად ყოფისა, არს სახიერ, მართალ, მწყალობელ, მსაჯულ<sup>1</sup> ყოვლად წმიდისაებრ გულისხმისყოფისა თუსისა, წმიდა, ნეტარ, შემოქმედ, უფალ და სხუანი.

- ესე ყოველი თვითოულთა სხუაობათა თანჯმობა არს თვთ ერ-  
 5 თისა კეთილისა შორის, რომელიცა შორათმევს სრულებასა სულსა გულისხმიერსა, რომლისათუს არს საწყურუელ და საწად სულთა. ხოლო რომელნიცა იზიარნა კეთილმან მან და დაძხატა მათ შორის კეთილობად თუსი და მათ დაიციუეს დათუსშორისებული იგი კეთილყოფისა მდგომარეობად, ანუ შემდგომად ცუალებისა მდგომა-  
 10 რეობისა კუალად მოაქციეს თუს შორისვე მდგომარეობად პირუელი, ჭეშმარიტად იგინიცა კეთილობისაებრ თუსისა საწად არიან. და რომელთაცა თვთ ერთისგანისა გუამისა, რომელიცა გონებისაებრ და სიტყუსა და სულისა სამობა არს, თვთ კეთილობა იგი  
 52 ერთი იხილეს განგებულეებით/ კორციელებრსა უგიობელსა ხრწნი-  
 15 ლებასა შინა ყოფა, რათა ხატი თუსი საგიობელსა ხრწნილებასა შინა მყოფი, ვითარ-იგი შეიქმნა კეთილად, მასვე მდგომარეობასა შინა მიიყუანოს, და ნებსით თავნი თუსნი განჰსცენეს ხრწნილებად უგიობელად და ეზიარნეს თვთ კეთილსა კორციელებრ უგიობელად ჩუენთუს მოსრულსა და ზიარებულსა, ამათ უკუე გარდმოჰხატეს  
 20 თუს შორის სიკუდილი და ხრწნილებად პირუელისა ნათლისა კორციელად, რომელ არს „სიტყუა კორცქმნილი“\*.

ვინა ესენიცა კეთილ არიან, ხოლო ვინამთგან კეთილ არიან, მაშასადამე, საწადელ არიან.

- კეთილ უკუე არიან და ჩუენდა მომრთმელ სრულებისა მით,  
 25 რომელ მრავალთა თუს შორის სხუაობათა თანჯმობილთა წინადამდებნი ჩუენდა განგულაძებენ წადილად, რამეთუ ოდეს იქმნების გამოხატუამ კეთილისა სულსა შინა, იქმნების განლძება მისდამი წადილად მოძღურებისაებრ ფილოსოფოსთათსა. ხოლო განგულაძებენ წადილად, ესე იგი სიყუარულად, და ბაძუად თუსა, ხოლო  
 30 სიყუარულად რომელთამე ბაძუად და სხუათა თუსდამი ქებად და გალობად და ყოვლად წმიდათა მათ არსაგიობელთა, არამედ ანგელოსთაგანცა<sup>2</sup> საქებელთა ვნებათა თუსთა მჰსმენელთადმი მოთხრობად და ჰქსენებად თუსა. ამოსთუს, ვითარმედ პირუელად, რათა არა დავიწყედენ დაძუელებისა ძლით ყთვლად წმიდანი და სამღუ-  
 35 დელონი ვნებანი მათნი. მეორედ, რამეთუ ჰქსენებად ვნებისა მა-

<sup>1</sup>მსაჯულ B. 2 ანგელთაგან B.

\* შლრ. იოან. 1,14.

თისა „შეზავებასა შინა ქმნილსა ნელსაცხებლის<sup>1</sup> მოქმედისასა ყოველთა პირთა შინა დატკებების ვითარცა თაფლი და ვითარცა მუხიკისა ლექსსა/ შინა ღვნოა“<sup>2</sup>.

წინამდებარეთა ჩემდა თქმულთა მოწამეთა მოთხრობამან ერთმან მეორემ გამოჰხატა ჩემ შორის და განმალძა თქმად და მოთხრობად ყოველად წმიდა ღუაწლთა მისთა და მეორემან მესამემ, რამეთუ ოდეს-იგი ღუმილი განვქსენით და ყოველად საკურუელისა და კორცთა ბუნებისა დაზვევებულსა წმიდისა ღედოფლისა და ღიდისა მოწამისა ქეთაენის წმიდათა ვნებათა შევეხენით აღწერად და ესე საწადელ ექმნა სულსა ჩუენსა, მერმელა იქმნა ჩუენ შორის მსგავსისა გამოხატუამ ერთგომობისა ძლით და მახლობელთა დროთა ქმნილთა ჰსრბათა და ერთისაგან უღმრთოთა მეფისა მოკლუათა და ამით მეორისადა სამღუდელოთა ღუაწლთა მოთხრობისა თქმად განვიღძენით. ხოლო კქმნეს პირუელისა თქმისა ნაწილთა გამოხატუანი მესამისადა მსგავსისავე, რამეთუ ისტორიკოსობამან წმიდისა მეფისა ღუაწლთამან გამოჰხატა წმიდისა მეფისავე სხესა წმიდანი ღუაწლნი და ესრეთ განვიღძენით კეთილსა ამის ჰსრბისადა აღწერად.

ძეთაგან კეთილმსახურისა ვახტანგ დიდისათ მეშუდემან სახელით კეთილმსახურმან სტეფანოს მთავარმან ქართლისამან, რომლისა მთავრობისა დროსა იქმნა კრებამ შეეკუსე მსოფლიო კოსტანტინუპოლის ბოროტმადიდებელთა მონოთელისტთა დასამკობელად, ჰშუნა ორნი ძენი, ზედწოდებულნი მირ და არჩილ კეთილ/მსახურნი მსგავსად ნეტართა წინაპართა თვსთა.

ესენი უკუე ერთსა დროსა მმეფობნი ყოველსა ზედა მონარხიასა ვახტანგ დიდისასა, ესე იგი ზღვთგან ექსინოპონტოლსათ ვიდრე ზღუადმდე ვრკანისა, კეთილ-მსგავლობდნენ, რომელთა მეფობისა დროსა მურუან, დისწული ბილწისა მახმედისი, წარმოვლენილი ამირ-მუმლისაგან, მეფისა ბაღდადელისა, რომელი იყო ძე აბდალ-მელიქისა, ნათესაეი ბილწისა მახმედისავე, მოიწია კერძოთა საქართუელომსა და აფხაზეთისათა.

მოსრულმან მურუან სამეფოსა შინა მირ და არჩილისსა ურიცხუთა ლაშქართა მიერ თვსთა განჰხრწნა ყოველივე ადგილი, სადაცა მივიდა, რომლისა წინააღმდეგომად ვერ შემძლებულნი მეფენი იელტოდეს აფხაზეთად და შესრულნი განმაგრდეს ციხესა შინა

<sup>1</sup> ნელსაცხებლის B.  
<sup>2</sup> შტრ. ზირაქ. 49,1-2.

ანაკოფიისასა. ხოლო მთავარნი სამეფომასა მათისანი მათათადმი კავკასიათა.

ამან უკუე მურუან, ზედწოდებით ყრუმან, მოჰსწყუნდა წმი-  
 დანი მოწამენი დავით და კოსტანტინე არგუეთისა მთავარნი ამის-  
 5 თუს, ვითარმედ არა თავ-ილუეს უარის-ყოფამ ქრისტიეს ღმრთისა  
 და შეწყყნარებამ ბილწთა ჰსჯულისდებამთა ყოვლად უღმრთომასა  
 მახმედისთა.

რამამს უკუე იხილეს მეფეთა მირ და არჩილ განდიდებამ ოჯ-  
 რებისა სამეფომასა თუსისა და ძელ შესაძლებლობამ წინააღდგო-  
 10 მად მურუანისა, მინდობილნი შეწვენათადმი ღმრთისათა თავთა  
 მათ/თანნი და, თუ ჰსთქუა, ყოვლისაგან კაცობრივისა შეწვენისაგან  
 დაკლებულნი იყუნეს თქმულსა ციხესა შინა ლოცვთ და მარხვთ.  
 ხოლო ლაშქარნი მურუანისნი მრავალნი იყუნეს საერისთოსა შინა  
 ვგარისისასა და დაბანაკებულ იყუნეს მუნ და თვთ არამცირედითა  
 15 ლაშქრითა მისრულ იყო და ჰბრძოდა ციხესა ანაკოფიისასა, სადა-  
 იგი იყუნეს მეფენი.

მეტყუელმან არჩილ ძმისა მიმართ თუსისა მირისა: „აღწყუე-  
 დილ! არსო ქალაქი ჩუენი და შემუხსრვილ არს ციხე და თუ სადა-  
 მე შთავცვენეთმცა ჯელთა შინა ბარბაროსისა მბრძოლისა ჩუენისა-  
 20 თა, გამოიკითხნეს ჩუენგან ყოველნი იგი დაფლულნი უნჯნი წინა-  
 პართა პაპათა და მშობელთა ჩუენთანი და ჩუენნი და ბერძენთა  
 თვთმპყრობელისა ირაკლისნი. და თუ სადამე მოვჰსწყუდეთ, დავიწყ-  
 დენ ყოველნი და ესრეთლა ვიქმნნეთ მიზეზ ოჯრებისა და დაგლაზაკე-  
 ბისა სამეფომასა ჩუენისა. ამისთუს განვიდეთ და ვებრძოლნეთ ზღვთ  
 25 კერძომასა მკრივ და თუ სადამე ენებოს ღმერთსა, „ერთმან ჩუენ-  
 განმან წარიქციოს ათასი და ათასმან ბევრეული“\*. სათხო იქმნა  
 განზრახუა ესე არჩილ ძმისა თუსისა მირის მიმართ და განემზადნეს  
 ბრძოლად.

მომზრახობენ, ვითარმედ იყო უკუე ციხესა მას შინა ანაკო-  
 30 ფიისასა ხატი ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის-  
 მშობელისა არა ჯელითა კაცთათა გამოწერილ, არამედ საკურუე-  
 ლებითა საღმრთომთა მეტრი მისი, ვითარ-იგი თქმულ არს მახლო-  
 ბელ იეროსალიმსა ქალაქსა, რომელი ზედწოდებულ იყო დიოსპო-  
 ლი, დროსა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა კორციელისა  
 54 35 ცხოვრებისასა/ წმიდათა მოციქულთაგან აღმენებულსა სახელსა  
 ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისასა ეკკლესიასა შინა  
 მარჯუენით სუეტსა ზედა მარმარილოსასა საკურუელებითა  
 ღმრთისმშობელისათა განცხადებული ხატი სანატრელისა მის ქალ-  
 წულისა ღმრთისა დედისა. ხოლო ხატი იგი ჯელითა კაცთათა უქმ-

\* აწყუელილ A.

\* შტრ. ლევიტ. 26,8.

ნელი აქამომდე არავისდამი უწყებულ არს, თუ ვინა მოვიდა თავსა ზედა ანაკოფიისა ციხისა გორისასა.

მივიდეს უკუე მეფენი წინაშე ჰქსენებულისა მის პატიოსნისა ხატისა და პირთა ზედა დაერლომით მევედრებელნი იტყოდეს: ცრემლით: „განვალთ უკუე წყობად ბარბაროსთა, მ, დედოფალო, სასო- 5 ვბითა ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისათა, რომელი იშუა შენგან. მისა! შეჰსწირე ოხამ ჩუენთვის და „თანამავალ მეყავენ ჩუენ წყალობამა შენი“. და იყუნეს მეფეთა თანა დროსა მას კაცნი მბრძოლნი მცირედნირე პალატისა შინანი მათნი და ნათესავნი ერისთავთა და თემთა მთავართანი ათასნი ოდენ, ხოლო ლაშქარ- 10 თაგან აფხაზთასა ორი ათასამდე.

ღამესა მას უკუე იგუემნეს ბარბაროსნი ზეგარდამო წყლულუბითა დიდითა. ხოლო მომზრახობენ მეისტორიენი ძუელთა მატია- ნეთა ჩუენთანი, ვითარმედ „ეჩუენაო ანგელოსი უფლისა არჩილს ღამესა მას და ეტყოდა: „წარვედით და მბრძოდით აგარიანთად, რა- 15 მეთუ მივაელინეთ მათ ზედა წყლულუბანი სასტიკნი აღსპობად კაცი- ცითგან მიპირუტყუთამდე“.

და ოდეს განთენა, ისმა ბარბაროსთა ბანაკით კმა ბავთისა და გოდებისა დიდი, რამეთუ ესრეთ წე/რილ არს ძუელთა შინა მატია- 20 ნეთა ჩუენთა, ვითარმედ: „მოჰსწყდაო ღამესა მას სარაკიანთაგან ბარბაროსთა მკედარი ოცდაათხუთმეტი ათასი“.

განვიდეს უკუე მეფენი ბარბაროსთა ზედა მცირითა ლაშქრი- თა ზედადამსხმელნი ძლიერად და უკუნ-აკციენეს და მოსწყუნდეს<sup>2</sup> მათგანი კაცი სამი ათასი, გარნა მეფე მირ იწყლა უკუე ფერლსა მაზრაკითა.

მლტოლუარეთა უკუე ბარბაროსთა დაიბანაკეს მდინარეთა ზე- 25 და ორთა ზედწოდებულთა აბაშა და ცხენისწყალი. და დაბანაკე- ბულთა მუნ ერთ შუდეულადმდე საკურუელებითავე ყოვლად წმი- დისა ღმრთისმშობლისათა მიიღეს წყლულუბამა საზარელი, რამე- თუ გარდამოჰკედეს წუმანი სასტიკნი და განადიდნეს საკურუელ მდინარენი იგი და წარარღუნეს სპათაგან ბარბაროსთასა მკედარი 30 ოცდასამი ათასი, ნათესავით აბაში, ესე იგი ვთიოპელნი, რომლისა გამო მდინარე იგი ზედწოდებულ იქმნა აბაშად. კუალად წარარღუ- ნეს ცხენნი მათნი რიცხუთ ოცდაათხუთმეტი ათასი, რომელნიცა ბალახისათუს და თივათა კყუათ ადგილთა მათ და მიერითგან მდი- ნარესა მას ეწოდა ცხენისწყალი. რამეთუ მდინარენი იგი უწინა- 35

1 მისსა A. 2 მოჰსწყუნდეს B.

• ფსალ. 22,5.

რეს საკურუელებათა ამთ წმიდისა ღმრთისმშობელისათა სხუთა სახელებითა იხედწოდებოდენ.

ესე ყოველი ლოცუთა ყოვლად განწმენდილითა სანატრელისა არჩილისათა და წმიდითა მით მოგონებითა მისითა იქმნა.

55 5 /მირ წყლულებათა შინა მძუნარეთა მყოფმან და მეცნიერ-  
მანცა, ვითარმედ მოკულების, მოუწოდა ძმასა თუსსა ნეტარსა არ-  
ჩილს და ეტყოდა: „მე წარვალ, ძმავ ჩემო, მამათა ჩემთა თანა,  
10 გაჩნა ილუაწე სხეული ჩემი და დაძვალ საფლავსა მამათა ჩუენთა-  
სა“. და უთხრნა ყოველნი საუნჯენი დაფლულნი და ესრეთ დაი-  
ძინა მშუდობით. ხოლო დაძვლეს იგი მცხეთას ზემოსა ეკკლესიასა,  
შესაეალსა ბჳეთასა.

მიილო უკუე მეფობამ არჩილ განგებითა ზეგარდამოდთა ჳა-  
ბუქმან, დაღათუ მაგრა მოხუცმან გონებითა.

15 არჩილ განწმედმან სარკისა გონებისამან სარწმუნოებითა  
ყოვლად წმიდისა სამებისათა „შეწეენილითა სიყუარულისაგან“  
და „მხიარულმან სულითა ყოვლად წმიდითა მიილო პორფირი მე-  
ფობითი და უფროსდა სამოსელი მაცხოვარებისა და კუართი მხიარ-  
რულებისა და ვითარცა სიძემან გარემოიღუა მიტროამ“<sup>••</sup> და დია-

20 დიამა კეთილმსახურებითისა მეფობისა და ვითარცა სძალი შეიშკო  
სამკაულითა, რამეთუ ნაყოფნი სულისანი მოიგნა სამკაულად, სი-  
ყუარული სარწმუნოებისა თანა და სასოებისა, რომლითა დაძახტა  
თუს შორის მზეი ღმერთი სიმგურგულითა შარაევანდედითა და ნათ-  
ლითა, მშუდობამ სიწრფოებით. რომლითა და-ცა-იმკედრა ქუეყანა

25 და ძედ ღმრთისადცა წოდებულ იქმნა, დიდსულობამ ყოველსავე  
შინა ყოფასაცა შინა და მოკლებასა და თუთოფერებასა შინა ჰასა-  
კისასა, სიტკბოებამ განუმწარებელითა ვისდამი სულითა, ხოლო თუ

V სადამე ტუქსუამ, ანუ/შერისხუა, ანუ მეფობითი მიგება ბრალეულ-  
თა მსჯულითა ვიდრემე ჰქმნა მეფობისათა მიგება და არამწარითა

30 სულითა, სახიერებამ ყოვლითურთ ძვრუქსენომან თანამდებთადმი  
მოიგო თავისუფლებამ ბოროტისაგან და სათნოებათა მიერ გან-  
მდიდრდა და ყოველთა კეთილნი უჩუენნა ჩუეულებანი, მყუდრო-  
ებამ ვერ სადამე წარტაცებული უხილავთაგან ღელუათა ნავი  
ვიდრემე იყო წყნარსა შინა გონებასა თუსსა დაუნთქმელი და მი-

35 მოუერდომი და მდოვრებდა ყოველთავე შინა ჰასაკებრთა ქცუ-  
ლებათა, მარხუამ მტკიცედ იპყრობდა აღვრთა სულისა და კორც-  
თათა, რათა არა მიდრკესმცა წადილისა მიმართ ბოროტისა და

• გალატ. 5,6. •• შღრ. ისაია 61,10.

ყოველთა მიმართ ვნებათა შემავალთა სულსა ზედა და კორცთა, რამეთუ „ალიკრძალვიდა კორცთა თუსთა და დაიმონებდა“\* და დედოფალსა მკველად მოიყვანებდა, მოთმინებამ ესე უკუე წმიდითა ვნებითა მისითა დაიმტკიცებინს.

ხოლო ყოველსავე შინა წმიდა სულსა შინა თავისუფალ სი- 5  
ძლილისაგან და ძვრის-ქცენებისა და ცულად-ზუაობისა და რისხ-  
ვსა და მწუხარებისა და შიშისა და ზაკვსა და გულარძნილებისა და  
კორცთა შინა შეუგინებელი კორცითა დაღათუ დააკლდა ქალწუ-  
ლებისაგან მსჯულთა ბუნებისათა პატიოსნისა ქორწინებითისა  
შეუღლებისა ქუემდებარე, არამედ მკსგავსად წმიდათა მამათმთა- 10

ვართა და წინასწარმეტყუელთა წმიდა კორცითა და ყოვლისაგან 10  
მბორგალობითისა კორციელისაგან აღრე/ვისა თავისუფალი, წმიდა 56  
უქრთამოებითა და უჯეროთა შეკრებითა და თუ საღამე შემკრე-  
ბელ წესიერ საჭირომსათუს და საქმარისა საქმეთა სამეფოთა.

ბრძენ იყო და გულისხმისყოფელ: ბრძენ, ვითარმედ კეთილ- 15  
გონიერებასა იკმეველის ყოველსა შინა მოქმედი საშუალთა ღმრთი-  
სათუს, რათა ღმრთისათუს იქმნას დასასრული ესრეთ შემაერთები  
სიბრძნით საშუალთა კეთილთა დასასრულთა თანა და ნიადაგ უმ-  
ჯობესისა აღმრჩევი და კეთილისა გამომხატუელი თუს შორის და

მისდამი განლძებული სულითა წმიდითა და მისდამი მიღრეკილი 20  
მცნებათა ქრისტესთა დამორჩილებითა, ხოლო გულისხმისყოფელ,  
რამეთუ ამან წარმოიდგინა განყოფითად და საესვდ განწმენდილსა  
შინა სულსა ბრალთაგან „ყოველი არსნი, რომელნიცა ღმრთისა  
მიერ და ღმრთისათუს შეიქმნეს“\*\* და ყოველთა შორის იხილა სა-  
მებაი ღმერთი ყოფისაებრ დამბადებელობითსა და წინა-პატიე- 25  
მსცა დამბადებელსა, ვიდრელა დაბადებულსა.

განმზრახ იყო და ძლიერ: განმზრახ განმსჯელი გრძლადრე 30  
საქმეთა გულუებადლათუს და ნიადაგ აღმრჩეველ უმჯობესისა ნამ-  
დულ ჭეშმარიტისა, ხოლო ძლიერ შემძლებელი ნიადაგ ქმნად სათ-  
ნოებისა და მსახურებად უფლისა.

მეცნიერ და ღმრთისმსახურ: მეცნიერ, რამეთუ მომგემან 35  
სარწმუნოებისა უფლისა მიმართ იმარხა ვნებათაგან, ხოლო მარხუ-  
ამან ვნებათამან აწარმოა მის შორის თმენად საჭირუელთა, ხოლო  
საჭირუელთა თმენად ქქმნა სა/სოებითა უფლისა მიმართ, ხოლო  
მოსაემან უფლისა მიმართ უენებელ-ჰყო გონებამ ყოველითურთ და  
კორციელნი მოქმედებანი და ესოდენ მდიდარი უხრწნელებითა 35  
ღირს იქმნა სიყუარულისა სრულისათუს შორის მოსლუასა, რომ-

\* შტრ. 1 კორინ. 9.27. \*\* შტრ. ებრ. 2.10.



- ლისა ძლით იტყოდა წმიდა იგი სული მისი: „მე შძინავს და გონება ჩემი იღუპება“\*, ესე იგი სიყუარულისა ძლით საყუარელისა ჩემისა. ხოლო ოდეს-იგი მოვიდა „ღმერთი მის შორის, რომელ არს სიყუარული“\*\*, განანათლა იგი ყოვლითურთ, რომლისა ძლით მე-
- 5 ტყუელმან მდაბალმზრახველობით ქსთქუა ნეტარმან სულმან მისმან: „შ, უბადრუკსა მე, რამეთუ მეუფე უფალი საბაოთ ვიხილე თუალითა ჩემითა“3\*. ესრეთ უკუე განათლებულ იქმნა, ვითარმედ აქა სხეულსა შინა მყოფი სული მისი საკრით და სახით მჭურეტი ნიადაგ სამობასა და ერთობასა შინა ღმერთმთავრობითსა იხარებ-
- 10 დის და განგებულებათა მიმართ საღმრთოთა კორციელთა საცხოვრებელთა ჩუენთა მხოლოდშობილისა სიტყუსათა იშუებდის და თნებასა ამას და მიდრეკილებასა ფილოსოფოსებითსა ღმრთისმეტყუელთა საღმრთოთა ქებად წინა დაუდებდის.
- ღმრთისმსახურ არასადა მიდრეკილი ღმრთისმსახურებისაგან,
- 15 ესე იგი საღმრთოთა მცნებათა დამარხუსაგან და ღმრთისმოშიშებითა და წმიდისა სარწმუნოებისა სათნოებისა მიერ განკარგუსაგან.
- ღმრთისმოშიშ პატივ-მსცემდა ღმერთსა, „ვითარცა მამასა და შემოქმედსა“4\* და ემკაცროდა ყოვლითა სულითა, გონებითა და ძალითა თვისითა, რათა არა განვარდეს/მცა მისგან არადამცუელი
- 57 20 მცნებათა მისთა, და შიშნულ იყო, ვითარცა უფლისა მიმართ, რათა არა დააკლოსმცა მსახურებაჲ მისი და შურისძიებულ იქმნას მისგან ჭეშმარიტითარე მსჯავრითა მისითა.
- სარკესა მას შინა წმიდასა გონებისა თვისისასა დახატა ქრისტეჲ აღუპოცელად და წარუშლელად და ნიადაგ მისდამი მინამ-
- 25 მსჭუალი სული მისი წმიდა კორცთა დაიმორჩილებდა ტურთუად მათ შორის „საწერტელთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა“5\*.
- არჩილ მმეფობმან კეთილმსახურებით მოიყუანა ცოლად და იქორწინა ასულთაგან ვახტანგ დიდისათა, ესე იგი თანტომივე თვისი, ასული გურამ კურაპალატისა, რომელ იყო ძეთაგან ვახტანგ
- 30 დიდისათა, შვილისშულთაგანი ელენეს, ბერძენთა მეფისა ასულისა.
- განაგნა საქმენი თუთოეულთა პროვინციათანი და აღაშენნა ციხენი და თუშნი და ხუნძახნი აქუნდეს სამფლობელოსა შინა თვისსა. და აღაშენა ციხეცა და ქალაქი ნოხაპატს შინა და ბარბაროსნი იგი ნოხაპატელნი ჭეშმარიტებისა ცნობად მოიყუანნა და ნათელ-მსცა.
- 35 ხოლო განაგნა საერისთონი დადგინებითა ერისთავთათა.

\* შლრ. ქება 5.2. \*\* შლრ. 1 იოან. 4.16. 3\* შლრ. ისაია 6.5. 4\* შლრ. ვალკ. 1.6. 5\* შლრ. ვალკ. 6.17.

კმუნა უკუე არჩილ ძენი ორნი, ზედწოდებულნი იოანე და  
ჯუანშერ და ასული ოთხნი, სახელით გუარანდუხტ, მარიამ, მი-  
რანდუხტ და სუსანნა.

მოოკრებულ იყო მურუანისაგან ყოველი ივერიამ, ესე იგი  
ზღვთგან ექსინოპონტომათ, ვიდრე ზღუადმდე ურკანიისა, რომე- 5  
ლიცა დროსა წმიდისა არჩილის/მეფობისასა შენ იქმნა ორმეოცდა-  
ათთა შინა წელიწადთა, რამეთუ წმიდა ესე მეფობდა ორმეოცდაათ  
წელ.

V

მეორმეოცდაათესა წელსა მეფობისა მისისასა წარმოვიდა მა-  
მულსა ჩუენსა ზედა ივერიასა ნათესაეთაგანი ბილწისა მახმედისი, 10  
ზედწოდებული ჭიჭუმ, რომელსა ასიმცა ეწოდებოდა. და მოსრულ-  
მან პირუელად ქართლს შინა მოაოკრა ყოველი ქართლი, დაწუნა  
და დაარღუნა წმიდანი ეკკლესიანი და ვერეინ სადამე შემძლებელ  
იქმნა წინააღმდეგომად მისა. და მერმელა შევიდა კახეთად და იგიცა  
აღწყუდა მსგავსად ქართლისა და დაქსლუა შიში დიდი მეფეთა და 15  
მთავართა ზელა.

განჰმსჯელმან წმიდამან მეფემან, ვითარმედ არა არს ღონე  
წინააღმდეგომად ბარბაროსისა მის, ჰსაჯა თეს შორის, რათა მივი-  
დეს მისდა თხოვად მშუდობისა ეკკლესიათათეს და ერისადა ანუ  
თავი თესი შეწირულად, რათა სისხლითა თესითა მოწყალე 20  
ღმერთი სამეფოსა თესსა ზელა.

ესე განზრახუა არს სულისა ნეტარისა, რომელსა ყოველნი ვერ  
შემძლებელ არიან გამოხატულცა, არა თუ განჰსჯად და გამოჩი-  
ნებად და დამტკიცებად მით, რომელ სულსა შინა თუ სადამე მექ- 25  
სიერებისაებრ და ფანტაზიისა არა არს ღმერთი დახატულ და გუ-  
ლისხმის-ყოფად სულისა ნიეთიერთაგან შერეულთა და ბნელთა  
მოგონებათა ბრწყინუალისაგან სრულისა და სავსისა მოგონებისა  
დაკლებულ, სადამე არს მოქმედებისაგან თესისა, სადა წადილ/ნილა 58  
მისნი გონიერებითნი და კეთილისა მიმართ განღქებანი და მიღ-  
რეკილებანი. 30

სათნოებისა მიერ, რომელ არს ნათესაეი რომელიმე ვითარე-  
ბითი და სახე კეთილისა, ოდეს წმიდა იქმნებოს სული, დაღათუ  
კორცთა თანაცა შეკრულ, რომლისა გამო მექსიერებანი და გამო-  
ხატუანი არსებისაებრ თესისა აკლნ სულსა, რომელიცა შემდგო-  
მად კორცთაგან განსულისა კქონან საესედ, ანუ შემდგომად აღდ- 35  
გომისა, ოდეს-იგი სიმძიმისაგან სუბუქ გარდაიქმნას სხეული უხრ-  
წნელებისად და ყოელისა მედინობისა და ესეგუარისა ქუეშეურე-  
ბისა, რომელნიცა შეუღგებიან თესებითთა ჰსჯულთა სხეულისათა  
თავისუფალი. მაგრა სათნოებიერ-ყოფითა აქავე ესოდენ განათლე-

- ბულ იქმნეს, ვიდრეღა სასუფეველადცა აღიტაცოს ვერღა შემძ-  
 ლები ცნობად „გინათუ კორცითა, გინათუ გარეშე კორცთასა“<sup>2</sup> და  
 უთქმელთა სიტყუათა სმენად და თაჲსა შორის თუსსა შეწყწარებად  
 ღირს-იქმნას. ეჲ, უწებლობა ესე სულისა მეტყუელისა: „გული  
 5 მეტყვს განსლუად და ქრისტეს თანა მყოფად უფროს და უმჯობეს  
 ფრიად“<sup>3</sup> და ანუ თქმად: „არა მეშინის მე უფლისაგან (რომელსაცა  
 იტყვან თქმულად ღმერთშემოსილისა ანტონი დიდისაგან), რამეთუ  
 „ფრიად შემყუარებელი სული ფრიად მიტევებულ არს სიტყუსა-  
 ებრ უფლისა“<sup>4</sup> და სადაღა დაჰშთეს მას შინა გუჲარი ვნებისა და  
 10 სადაცა გამობრწყინდეს სიყუარული ღმერთი, სადაღა მუნ შიში,  
 რამეთუ „სრულმან სიყუარულმან გარე განჰსდევნის შიში“<sup>5</sup>.  
 V ესრეთ შემყუარებელი ფრიად სული/ ნეტარი იტყოღა ოდესმე  
 ვედრებით, ვითარმედ: „უფალო, მოუშუენ ვნებანი ჩემ ზეღა, რო-  
 მელნი მბრძოდენ სიჭაბუკესა შინა ჩემსა“ (ესე იგი, რათა მოთმი-  
 15 ნებითა უღიდეს გვრგუნოსან ვიქმნე). და ამას იტყვან თქმულად  
 მამისაგან იოანე მოკლეღასა. ეჲ, ფრიად შეყუარებაჲ ესე სულისა-  
 გან, რამეთუ იხიღა მან საღამე თეს შორის მოსრული სატრფია-  
 ლოჲ თუსი და თაჲი თუსი მის შორის, ვითარ-იგი თქმულ არს:  
 „ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზეღა,  
 20 ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა“<sup>6</sup>. ხოლო სადაცა  
 არს ღმერთი, ვერღა შესაძლებელ არიან ყოფად მუნ მტერნი მის-  
 ნი, რამეთუ სადაცა ყოფად აღდგეს ღმერთი, „განიბნინედ ყოველ-  
 ნი მტერნი მისნი და იელტოდენ მოძულენი მისნი პირისაგან მისი-  
 სა“<sup>7</sup>. ნამდვლ ჭეშმარიტ ყოველგან არს ღმერთი დამბადებე-  
 25 ლობისაებრ მისისა, გარნა სიყუარულით მხოლოდ მოყუარეთა  
 თესთა შორის, ვითარ-იგი ვისწყავეთ უფლისაგან მეთქჷსა: „უკუეთუ  
 ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს და მამამანცა ჩემ-  
 მან შეიყუაროს იგი და მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგ-  
 რეთ“<sup>8</sup>. დაიმტკიცების ესე ქმნილისაგანაცა სამსხუერპლოსა  
 30 შინა დაგონისსა საკვრუელებისა, რამეთუ ოდეს-იგი წარიდეს უც-  
 ხოთესლთა კიდობანი ღმრთისა, „არა ყოველთა ჳელთა მიერ შე-  
 ხებად შესაძლებელი“<sup>9</sup>, „აბეზენერით აზოტად და შეიდეს ტა-  
 ძარსა შინა დაგონისსა და დადგეს მახლობელ დაგონისა და აღიმ-  
 სთუეს აზოტელთა მათ და შევიდეს დაგონისად და იხილეს დაგონი,  
 35 რამეთუ დაცემულ იყო პირ-დაქვევით ქუეყანასა ზეღა წინაშე კი-

<sup>2</sup> 2 კორ. 12,3. <sup>3</sup> ფილიპ. 1,23. <sup>4</sup> შდრ. ლუკა 7,44. <sup>5</sup> 1 იოან. 4,18.  
<sup>6</sup> 1 იოან. 4,16. <sup>7</sup> ფსალ. 67,1. <sup>8</sup> იოან. 14,23. <sup>9</sup> შდრ. ნეშტთა 15,2.

დობნისა მის უფლისა და აღადგინეს იგი და დაჰსდგეს ადგილსავე  
თსისა და მერმე ხუალისაგან იხილეს დაგონი დაცემული პირდაღმა  
წინაშე კილობნისა მის ღმრთისა და თავი მისი და ორნივე კელნი  
და ბრჭალნი მისნი მოვ/რლომილ იყუნეს, გარნა გუამი, ხოლო 59  
მისი დაშთომილ იყო ზღურბლთა ზედა\*\*.

სადაცა არს ღმერთი სიყუარულისაებრ და ჰეშმარიტისა  
მსჯელობისა ურთიერთას, ვერ შემძლებელ არიან ყოფად მუნ  
მტერნი მისნი და ამისთვის მსთქუა: „მოუშუენ, ღმერთო, ჩემ ზედა  
ვნებანი იგი, რომელნი მბრძოლენ! მე სიჭაბუკესა შინა ჩემსა“.

ოღეს სული ნეტარი, გამოზრდილი სარწმუნოებითა და 10  
ღმრთისა მიმართ ურცხუნელითა სასოებითა, თეს შორის შეიწყ-  
ნარებს სიყუარულსა ღმერთსა, „არღარა მოილოს მან სიცრუემ  
მამისა თსისად (ესე იგი შემოქმედისადმი თსისა), რამეთუ ძემან  
(ესეგუარმან) მსჯავრი და სიმართლემ და წყალობამ ჰქმნა, ყო-  
ველნი მსჯულებილნი მამისანი დაიცუნა და ჰქმნა იგინი, ცხოვრე- 15  
ბით ცოცხალ იყოს“\*\*: „ხოლო ცხოვრება გონებისა არს, განათ-  
ლებამ მეცნიერებისა და ამას ღმრთისა მიმართ მშობს სიყუარული,  
რომლისა უაღრეს არარა ითქმის (ვითარ-იგი იტყვს საღმრთო  
მაქსიმე ყოფაქცევითთა ღმრთისმეტყუელებათა შინა პირველისა  
ასეულისა მეცხრესა რიცხუსა შინა). 20

უენებომან ნეტარმან სულმან არჩილისმან, სიჭაბუკითგან არა-  
სადა ამაღლებულმან, ხოლო ზაკუსაგან და მრთელმცნობობისა წი-  
ნაღმდგომთა და ძურის-ჰქსენებისა და სიძულილისა თავისუფალ-  
მან, ნამდვილ „წმიდამან გულითა იხილა ღმერთი“3\*, ესე იგი  
მოსრული თეს შორის და ტრფიალებითა საღმრთოათა თეს შორის 25  
მოსრულისათა მსთქუა: /„წარვიდეო მძლავრისად და ვითხოვო  
მისგან მშუდობამ ეკკლესიათა და თუ სადამე არა პნებაეს, დაეჰს-  
დღუა სული ჩემი“. და გამოხატული ესე განჰსაჯა და იხილა, რამე-  
თუ კეთილ არს და განდუძებულმან მისდამი აღიშთო და გამოაჩი-  
ნა და დაამტკიცა, ესე იგი ჰქმნა და ესრეთ მიდრკა სიყუარულით 30  
სიყუარულისა და საყუარელისა კეთილისა მიმართ. ხოლო კეთილ-  
მან საყუარელმან მან სიყუარულმან, რომელმანცა „მოყუასსა თსისა  
ბოროტი არა უყვს“4\*, ესრეთ განაგო, ვითარმედ თუ სადამე მძლავრი  
დაეყენამცა ვნებისა შეხებად წმიდისა მის მიმართ, იყომცა მშუდო-  
ბამ მარტოდენ ეკკლესიათად და ერისა, მაგრა მიუშუა შეხებად 35

1 მძოდენ B.

\* 1 ზეუ. 5.1-4. \*\* ეზეუ. 18,19. 3\* მატო. 5,8. 4\* პრომ. 13,10.

ცეცხლი ვნებისა კელითა მძლავრისათა წმიდისა თვისისა მიმართ და იგი, ვითარცა ოქრო ბრძმელსა შინა გამოჰსცადა და ვითარცა ყოვლად ნაყოფი მსხუერპლთა შეიწყნარა, რომელიცა ჟამსა მოხედვისა ერისა თვისისასა გამოაბრწყინნა ვითარცა მზე და შარავანდე-  
 5 ღითა სისხლისა მისისათა წყუღიადნი განსაცდელთანი დაჰქსნნა და ამით მშუდობაჲცა ეკლესიისად და ერისად განამდიდრა და წმიდაჲ თუხი კელთა შინა თუსთა შეიწყნარა ღმერთმან მან მშუდობისამან.

10 იზრახა წმიდამან განათლებულითა გონებითა ზედმხილულმან მოკუფხლევილისა და ღობემოდრკვილისა ქრისტეს ვენაცისა შეწვენაჲ ანუ სიტყუთა, ანუ სისხლითა თუსითა და განზრახუა ესე იყო ბრძენ ამალღებულ საღმრთოსა შინა მეცნიერებასა, „ვითარცა ნაძუ  
 60 ლიბანსა შინა და ვითარცა კუპაროსი/მთათა ზედა აერმონისათა“<sup>33</sup>.

15 იზრახა წმიდამან, რათა განვიდეს მძლავრისა „ამალღებულისა მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა“<sup>34</sup>. ანუ სულისა წმიდისა მომგებელმან თუს შორის და მამებლობითა მოინადიროსცა საგულხმონი და მნებებელობითნი ძალნი მძლავრისანი, ათნენს სიტყუანი თუსნი და უღელსა ქუეშე მორჩილებისა სიტყუათა თუსთასა მოიყუანოს და ანუ მოიკლას კელითა მძლავრისათა და მღუღელმოქ-  
 20 მეღებამან<sup>1</sup> თავისა თუსისა ღმრთისა მიმართ მსხუერპლი თუსი ათნოს ღმერთსა და მოიღოს სამეფოსა თუსსა ზედა მშუდობაჲ, რამეთუ „მსხუერპლი წმიდა დააყენებს რისხუასა ღმრთიუ-აღძრულსა“<sup>44</sup>, ხოლო თუთ უკუე იქმნეს ნიშან მშუდობისა ირისედ ღმრთისა მიერ ერისადმი თუსისა.

25 იქმნა ჭეშმარიტად ნიშან მშუდობისა ირისედ განჭრელებულ: წითლად—სისხლითა ვნებისათა წმიდითა, მზისფერ — ყოველთა სათნობათა მოგებისა ძლით მზისა ღმრთისა თავსა შორის თუსსა დახატუთა, მწუანედ — ნიადაგ არეობითა და დაუბერებელითა კეთილობისათუს შორის მოგებითა, იისფერ-მგლოვარებისაცა თუს  
 30 შორის ქონებითა, ვინაჲცა ამით დაჰსდუა სული თუსი ღმრთისა შორის და ეკლესიათა თუსთა ნიშად მშუდობისა.

განზრახუა იგი მისი იყო ბრძენ, „რომლისა ჰქსენება უტკბილეს უფროს თაფლისა და სამკედრებელი მისი უფროს თაფლისა გოლეულისა“<sup>45</sup> მეცნიერებასა შინა წმიდასა (რომელ არს ცხოვრება გონებისა), ხოლო მო/ქმედება და სრულ-ყოფა განზრახულისა უბრძენს.

<sup>1</sup> მღუღელ-მოქმედებმან B.  
 \* ქრომ. 13,10. \*\* შდრ. ზირაქ. 24,13. 3° 2 კორ. 10,5. 4° შდრ. გამოს. 12,13. 5° ზირაქ. 24,21.

მომზრახობენ უკუე ამისთვის ძუელნი მატინენი ჩუენნი: „გა-  
ნიზრახაო წმიდამან არჩილ გონებასა შინა თუსსა სიმენითა გულისა  
მისისათა, რათა მივიდესმცა და მნახოს ჭიჭუმ და ითხოვოს მისგან  
მშუდობაჲ ქუეყნისა თუსისა და დაცუაჲ შეურყეველად ეკკლესია-  
თა. ხოლო მინდობითა ღმრთისათა აღირჩია თავი თუსი და სული 5  
დადებად საქსრად ქრისტიანეთა და მივიდა ჭიჭუმის თანა, რომელ-  
სა ეწოდა ასიმ“.

მძლავრმან მცნობელმან წმიდისა მისულისამან პყო წინამიგე-  
ბებაჲ სიხარულით და მოიკითხა იგი პატივით, რომლისათუს იტყუს  
ნეტარი ბესარიონ მამათმთავარი ჩუენი ისტორიასა შინა წმიდისა 10  
ენებისა მისისაჲ: „ღირს იყოო ნეტარი ესე უზესთაესსა დიდებასა  
და პატივისა არა თუ ოდენ მეფობითა და გუართა სიმაღლითა, არა-  
მედ უფროსლა ბრწყინულეებითა შესახულეებისა და ანაგებისათა და  
უმეტეს შინაგანისა სულისა ბრწყინულეებითა და სათნოებათა სი-  
კეთითა“. აჲა უკუე ეკსთქუა მეცა ნეტარისა ბესარიონისებრ, 15  
უწყის სათნოებათა სიკეთემან კდემულ-ყოფად უსულონიცა, არა  
თუ კაცნი მძლავრი.

მიანიჭებდის ასიმ წმიდასა ნიეთთა ძვრფასთა მრავალჯერ  
მგონებელი უგუნურებით, ვითარმედ განხრწნადთა ნიეთთადმი 20 61  
ზედმოხილვით დახარ/ბებულმან ზედმოცილებით უხრწნელი და  
დაუბერებელნი წარქსწყმიდნეს უკუდავისა ცხოვრებისა ნიეთნი  
შესაბამნი. მაგრა იგი მინამქსჭუალითა გონებითა ნამდულ სატრფი-  
ალომსა და საწყურისად ზედ-დაჰხედვიდა, ვითარმედ უზესთაეს  
კორცთასა არს სული და თანშეუტყუებელად უზესთაეს სოფლისა  
არს ღმერთი, დამბადებელი მისი, და ამით სულისასა უფროს პა- 25  
ტიე-პსეემდა კორცთაგან და ღმრთისასა უფროს მის მიერ დაბადე-  
ბულისაგან სოფლისა. ამით უკუე კერპთა უხილაეთა გონებისაგან  
თუსისა უცხო-პყოფდა და გონებასა თუსსა შორის ნიადაგ დახა-  
ტულსა ღმერთმთავრობითსა ერთობასა შინა სამობასა ჰხედვიდა  
და წმიდათა მოძრავობათა გონებისათა მისდამი მღულღელ-მოქმე- 30  
დებდა და სიცრუეთა მათდ და მზაკუართა<sup>1</sup> სიტყუათა მონაცემთა  
თანა ნიეთთა წარსაწყმედელად მომცემელისა გარე-შიაქევედა.

ესე უკუე იყო სურვილი წმიდისა უქცეველი მიერითგან,  
ოღეს-იგი პსცნა მძლავრისაგან, ვითარმედ პნებაეს მისგან უარის-  
ყოფად ქრისტემ, რათა ღუაწლითა მარტულობისათა ქრისტესა ეზი- 35  
აროს და სისხლითა თუსითა შეამკოს სამეფომ თუსი. ხოლო სურვი-  
ლი ესე არს სულისა არა ბნელთა და შერეულთა წარმოდგომათა

1 შაკურთა B

მექონისა, არამედ გონებისა, განათლებისა, რომელიცა არს ცხოვრება გონებისა.

ამან ტრფილმან და სიყუარულით ღმრთისა მიმართ განსრულმან სულმან არლა თავისა თვისისა/ყოვლად და არცალა არსთაგანისა  
 5 რამასაშვ მგრძნობელმან, არამედ საღმრთოდათა და განუზომელითა ნათლითა განბრწყინუებულმან, უგრძნობელ-ჰყო თავი თვის, ყოვლისა მიმართ შექმნულისა, რამეთუ მხოლოდ ღმრთისადმი ჰხედვიდა და ესრეთ თვის შორის აღმობრწყინუებითა ღმერთმთავრობითისა მზისათა, ყოველთა ვარსკვლავთა არა თავით თვისით მნათობ-  
 10 თა, არამედ მზისა მისგან განათლებულთა (ესე იგი ყოველთა არსთა ღმრთისა მიერ შექმნულთა) ხედუასა ვერ მგრძნობდა.

არჩილ „სახელად სიხარულისა საქებულად და განსადიდებულად“ თვისა ქრისტესთვის სიკუდილისა მეცადინმან დაკუთებისა არა მარტოდენ წინწეულმან უფლისა მიმართ თვნიერ სარწმუნოებ-  
 15 ბისა, არამედ მართალმან სარწმუნოებით ცხოვნებულმან განმზადათავე თვისი ქრისტესთვის სიკუდილად, განდევნად, შეპყრობად, ექსორიობად და დამკობად. ვინაჲცა ჩუეულებამ თვისი ქონებული სიყრმიტგან, რომელი იყო კრძალულებამ ყოველსა შინა შიშითა ღმრთისათა განკარგული, განაბრწყინუა უნიუთოდათა ლოცვთა და  
 20 მარხვთა დღეთა მათ შინა განსაცდელისათა, რამეთუ აღიყუანებდა ღმრთისადმი ვედრებათა და გარდამოიყუანებდა თვის შორის განძლიერებათა და განმტკიცებათა.

იწყო უკუე მძლავრმან წმიდისად ლიქნითნი სიტყუანი და მოწოდებამ ბილწთა მსჯულისდებათად ცრუმოციქულისა მათისათა  
 25 და უარყოფად ქრისტეს ღმრთისად აღთქმითა დიდ-დიდათა მისაგებელთა/ პატივთა და მეფობისა და ქელმწიფებისა თავისუფლად. გარნა წმიდასა ესმოდეს სიტყუანი მისნი; ვითარცა კლდესა ანუ გოდოლსა მტკიცესა კუეთებანი წულილთა ქართანი და ეტყოდა მძლავრსა მას: „ნუ იყოფინ ჩემდა სმენად სიტყუანი ეგე შენნი,  
 30 რათა დაუტევემცა ქრისტე ღმერთი ცხოველი, რომელი-იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, ძე დაუსაბამოდა მამისა, თანამწწორი და თანადანუსაბამო მამისა და ყოვლად წმიდისა სულისა, რომელმანცა უკანასკნელსა დროსა მქნისისათვის ნათესავისა კაცთასა გარდამოსრულმან ზეცით კორცნი შეისხნა ყოვლად უბი-  
 35 წომსა ქალწულისა მარიამისგან, ხოლო მიღებულითა მით კორციითა სიკუდილი დაითმინა და დაფლული აღდგა მითვე კორციითა ღუთაებისა ძალითა და მითვე კორციითა ამაღლებულმან ზეცად

• იერემ. 33,9.

თანა აღგუამაღუნა. და კუალად მომაველ არსვე მითვე კორცითა დიდებით, ვითარ-იგი ამალღდა ზეცად, განჰსჯად ცხოველთა და მკუღართა და მიგებად კაცად-კაცადისა საქმეთა მათთაებრ. ხოლო თუ სადამე ვისმინო სიტყუათა შენთა, არამრავალთა დროთა შემდგომად მოვეუღდევე და განვრდომილი ქრისტე ჩემისაგან ვი- 5  
ტანჯომცა საუკუნოდ მტერთა თანა მისთა, და თუ სადამე მოვეკუღდე შენგან სახელისათჳს ქრისტე ჩემისა, მის თანავე აღუსდგე და მის თანავე ვიდილო და მის თანავე სუფევით ვსაუკუნოობდე“. ამით უკუე მიგებათა წმიდისათა მძღაერისად ჰსწერს ნეტარი ბესარიონ.

მსმენელმან უკუე მძღაერმან სიტყუათა წმი/დისათა ბრძანა 10 ▽  
შეპყრობად წმიდა იგი და საპყრობილესა წარყუანებად, არმრიღებელმან ნათესაგობითისა ძალალშოამოებობისა და მეფობისა და კეთილშესახედავისა კორციელისა და მოხუცებულეებისამან, რამეთუ მოხუცებულ იყო დროსა მას წმიდა იგი, კინინღა მერუესა ათეულსა შინა წელიწდობითსა მიწვენული. 15

შეპყრეს წმიდა იგი მტარუალთა მძღაერისასა და წარყუანეს საპყრობილედ, ვითარცა ძვრის მოქმედი ვინმე, ხოლო იგი მხიარული სულითა ჰგალობდა ფსალმუნსა 144 და იშუებდა ქრისტესთჳს შეპყრობისა და შებორკილებისა მიერ და სიკუდილად განშზაღდებისა. ბორკილნი ფერკთა შინა შეკრუად და კელბორკილ- 20  
ნი კელთა შინა და ჯაჭვ ქელსა ზელა მეფისასა ნებსით—დიდ დიდება არს ესე ქრისტესმოყუარეთად და მარტულთმოყუარეთად. ითმენდა წმიდა იგი მოხუცებული მეფე ქრისტესმოყუარე, მსაჯული მართალი, სიბრძნის მოყუარე ჭეშმარიტი და ამისი განმარ-  
შუენი ნამდულ ჭეშმარიტითა სარწმუნოებითა ქრისტეს მკედარს, 25  
მბრძოლი „არა კორცთა მიმართ და სისხლთა, არამედ მთავრობათა მიმართ და კელმწიფებათა სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთროსათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა“.

განდიდნებოდა სურვილი მოწამისა და „ამალღდებოდა, ვითარცა რტო კუამლისა კმეულისა მურისა და გუნდრუკისა“<sup>30</sup>. ხოლო მიითუალვიდა არსებით სიყუარული ღმერთმთავარი, მადლი სიმენისა/ გარდამოვიდოდა წმიდასა ზელა და მოხუცებულთა კორც- 63  
თა შორის „სიჭაბუკე ვითარცა ორბისა განახლდებოდა“<sup>31</sup>, ვითარცა გუული მეცნიერი, ძუელისა ქერქისა განმძრუტუელი, მოხუცებულეებითისა“<sup>41</sup> სიცონილისა უმანკოებითა მეცნიერებასა მას გან- 35  
კახშიდა.

\* ეფეს. 6,12. \*\* შღრ. კება 3,6. 3\* შღრ. ფსალ. 102,5. 4\* შღრ. მატ. 20,16.



„ნეტარ არს ერი იგი, რომლისა არს უფალი ღმერთი მათი“<sup>1</sup>,  
 „ნეტარ არს ქუეყანა, რომლისა მეფე არს ძე აზნაურისა და მთა-  
 ვარნი მისნი ჟამიერად ჰსჭამენ ძლიერებასა და არა ჰრცხუნენს“<sup>2</sup>.  
 ესე ჩუენდა განკუთნვილ კეთილმსახურთად ჩუენი არს უფალი  
 5 ღმერთი ჩუენი, რამეთუ ოთხნი მეფენი ჩუენნი, ორნი მამრთაგან  
 და ორნი მდედრთა, ქრისტეს ზიარებულთა სისხლითა განგუაშუ-  
 ენებენ და ილეკტროს ფერ გუყოფენ და წყულდალსა უმეცრებისასა  
 წარგუქდიან.

ნეტარ ვართ ჭეშმარიტ, რამეთუ მეფე ესე ჩუენი არს ძე აზნა-  
 10 ურისა, ისაკისგან აღმთქმითისა აზნაურებისა, რომელ არს „ზეციისა  
 იგი იერუსალიმი<sup>1</sup>, დედა ჩუენ ყოველთა“<sup>3</sup> და არა მკველისაგან  
 განძებულისა და განდევნილისა, ვითარმედ შობილი იგი ჯორცთა-  
 გან ჯორცი არს, რომელ არიან ძენი მკველისანი და შობილი იგი  
 სულისაგან სული არს, რომელ არიან ძენი აზნაურისანი,

15 ნეტარ ვართ, რამეთუ მთავარნი ჩუენნი ჰსჭამენ ძლიერებასა  
 მით, რომელ მრავალნი მეფენი და მთავარნი საქართუელთაგან  
 ურთიერთას<sup>2</sup> ზედ დაჯდომით „ჰსრბიან სისხლითა ასპარეზსა“<sup>4</sup>  
 შინა, რომელთა თანა დროსა მასვე შინა სხუანიცა ჰსრბიან მეფენი  
 V და მთავარნი მრავალნი, მაგრა ესენი ოდენ მიიღებენ/ ნიჭსა, ესე  
 20 იგი ჯილდოსა ძლევისასა.

იტყვს ძუელი მატთანე ჩუენი: „შეიყენაო წმიდა იგი საპყრო-  
 ბილესა, აკურთხევდა ღმერთსა და ითხოვდა მისმიერსა შეწევნასა,  
 რათა მოწყალეობითა მისითა ღირს-იქმნესმცა მიმთხუევად, მკლრ-  
 ყოფად ნათლისა დაუსრულებელისად ყოველთა თანა წმიდათა, რო-  
 25 მელთა ქრისტესთს სიკუდილითა უკუდავებამ მოიგეს“.

იყო ვინმე კაცი მთავართაგანი გარდაბანელი მახმედიანქმნი-  
 ლი, რომლისა მამის ძმამ მოეკლა წანართა<sup>5</sup>, ხოლო მკულელნი  
 მისნი განერინნეს მშუდობით პაპასა არჩილისსა, მეფესა ადარნასეს,  
 რომლისათჳს ძვრისმექსენმან კაცმან მან უთხრა ასიმს: „არა უწყე-  
 30 ბულ არსა მთავრობამ თქუენი ვინაობასა ამის არჩილისასა? ესე  
 არს ძე სტეფანოსისი, ნათესავი დიდოსა ვახტანგისა ძეთაგან მირი-  
 ანისა, ძისა ქასრეფსა. ესე უკუე მეცნიერ არს დაფლულთა მათ  
 საუნჯეთა სამეფოსა თვისისათა და მასცა მეცნიერ არს დაფლულ-  
 თა ირაკლის მიერ ბერძენთა თუთმპყრობელისა“.

1 იეროსალიმი A. 2 ურთიერთარს B.  
 \* შლრ. ფსალ. 32,12. \*\* შლრ. ეკლეს. 10,17. 3\* შლრ. ეკლეს. 4,26. 4\* შლრ.  
 I კორ. 9,24. 5\* წარმართთა ეწერა ძუელსა მატთანესა შინა — პლ. იოს. S-2988  
 43 r.

მასმენელმან ასიმ მოჰქადა არჩილ და ეტყოდა: „ოღეს მოხუ-  
 ედ წინაშე ჩემსა, სათნოდ აღმიჩნდა შუენიერებად მორფნაკუეთო-  
 ბისა შენისა და აწ უწყებულ ვარ შენთვის, რამეთუ შვილი ხარ  
 დიდთა მეფეთა ხოსროვანთა, რომლისათს უფროსად განდიდნე  
 წინაშე ჩემსა. თუ სადამე ისმინო ჩემი და უარყო მსჯული შენი 5  
 და მოხუდე მსჯულსა მახმედისსა, / მოვაქციო მეფობად შენი შენ- 64  
 დავე და საუნჯენიცა მამათა შენთანი და სპასალარ გყო შენ და სა-  
 მეფოსა შენსა ზედა მეფე და უფალ, გარნა პირუელად მიჩუენენ  
 საუნჯენი დამარხულნი ირაკლისგან, თუთმპყრობელისა ბერძენ-  
 თასა“.

მიუგო წმიდამან: „უწყებულ იყავ მტკიცედ, მ, მთავარო, რა-  
 მეთუ წარვლასა ირაკლისგან სპარსეთით საბერძნეთად ქუეყნისა  
 ჩუენისასა ვიყავ ყრმა, ოღეს-იგი მამამან და ძმამამ ჩემმან დამარხ-  
 ნეს საუნჯენი მათნი ციხესა მას, სადათ უკუნ-იქცა ყრულ მურუან. და  
 აწ ციხე იგი არს ფლობასა ქუეშე თუთმპყრობელისა ბერძენთასა. ხო- 15  
 ლო დატევებისათს ქრისტე ჩემისა უწყებულ იყავვე, ვითარმედ  
 არასადა ექმნა მე ესევითარი მოფარდულეზად, რათა განვქსცე წა-  
 რუვალიმცა დიდებამ მოგებად მსწრაფლ წარმავალისა“.

რომლისათს პრქუა ასიმ წმიდასა: „შენ უკუე იყავა დაცემა-  
 სა მას აფხაზეთს სარაკიანთასა?“ მიუგო არჩილ: „ჰე, ჭეშმარიტად 20  
 მე ვიყავ დროსა მას, რაჟამს დაჰსცნა ივინი ღმერთმან“. პრქუა  
 ასიმ: „რომელმან უკუე ღმერთმან დაჰსცნა სარაკიანნი?“ მიუგო  
 არჩილ: „ღმერთმან ცხოველმან, რომელი არს შემოქმედი ცაისა და  
 ქუეყანისა და რომელი-იგი მოვიდა ზეცით ქუეყანად ჰსნისათს  
 ნათესავისა კაცთასა და სიკუდილითა თუსითა აღგუადგინა და უკუ- 25  
 დავებამ მოგუანიჭა. მან უკუე დაჰსცნა და დაამდაბლნა სარაკიანნი  
 იგი თქუენნი“.

უთხრა მთავარმან მან წმიდასა: „ვისიცა უკუე/ ღმერთი მო-  
 კუდავი არს და სასოებამ ცხოვრებისა მოკუდავისა მიმართ არს,  
 ჯერ არს მისიცა სიკუდილი“. და უბრძანა თავისა წარკუეთა წმი- 30  
 დისა არჩილისი არმრიდებელმან სიკეთისა მისისად და კდემულმან  
 არცალა დიდებისაგან წარჩინებულებისა მისისა. მაშინ განიყუანეს  
 ვარე მტარუალთა წმიდაი იგი ვერძი, ჭეშმარიტად მსხუერპლი ცო-  
 დუათათს სამეფომასა თუსისა, ჭეშმარიტად მსხუერპლი მითუალუ-  
 ლი ზეცისა საყურთხეველად და წარკუეთეს სამლუდელომ თავი 35  
 მისი წელიწადსა განჯორციელებითგან სიტყუსა ღმრთისა ღბა (781  
 წ.), თთუესა მარტსა კ და ესრეთ ყოველად წმიდა სული მისი კელ-  
 თა შინა ღმრთისათა მითუალულ იქმნა, ვითარცა კელთა საყუარე-  
 ლისა მამისათა და მსწრაფლ ამალლდა მის თანა მისრული, რომე-

ლიცა კორციტა ამაღლდა ზეცად და ღრუბელმან შეიწყნარა თუ-  
აღთაგან მოციქულთასა.

იტყვს ევსევი კესარიელი: „აწ უკუე წმიდანი ესე მოწამენი  
მკსწრაფლ ამაღლდენ“ და მეცა თანვექმანები, ვითარმედ მკსწრაფლ  
5 ამაღლდა წმიდაცა ესე მოწამე ქრისტესი, ესე იგი ამაღლდა ბუნე-  
ბისაგან, რამეთუ სძლო<sup>1</sup> ზესთა ბუნებისა. ამაღლდა მოკუდავისა-  
გან ცხოვრებისა და არგებადისა უკუდავისა მიმართ და გებადისა  
ცხოვრებისა, ამაღლდა მეფობისაგან ქუეშეურისა ზენამსა მიმართ  
ღმერთთმთავრობითისა მეფისა ცხებულისა და ეზიარა მას და მო-  
10 ვიდა პატივსა შინა და განისუენა ღიდებასა შინა და მიიკუალა  
სრულებასა შინა და ბედნიერ იქმნა ნეტარებასა შინა, თანშსავეანე  
65 იქმნა წმიდათა თანა, დაისადგურა ცა/თა შინა და მიიღო ღიდებამ  
და პატივი გამოუთქმელი და სამარადისოა გვრგვნი უფალი ჩუენი  
იესუ ქრისტე.

15 ოდეს-იგი აღესრულა ქრისტეს მოწამე, მომზრახობენ, ვითარ-  
მედ მოვიდეს ღამესა მას გოდერძიანნი ტბელნი და სხუანიცა მათ  
თანა აზნაურნი და მოიპარეს ყოვლად წმიდა სხეული შისი და წა-  
რიდეს და შემურეს და დიდითა პატივითა დაჰფლეს, იტყვან ძუ-  
ელნი მატრიანნი ჩუენნი, ვითარმედ ნოტკორას მის მიერ აღშენე-  
20 ბულსა ეკკლესიასა, რომლისათეს დედოფალმან, ცოლმან წმიდისა-  
მან, მიუბოძა ნაცულად სოფელნი კახეთს შინა დამფლუელთა წმი-  
დისა მის სხეულისათა.

აღწერა უკუე ღუაწლი წამებითი წმიდისა ვინმე ფრიად მცი-  
რულ, რამეთუ ესრეთ წერილ არს ძუელთა შინა მატრიანეთა ჩუენთა,  
25 და კუალად ძუელთა მატრიანეთა შინა მოთხრობილ არს ჯუანშე-  
რისგან ჯუანშერიანისა, რომელი იყო ნათესავი წმიდისა ძეთაგან  
რეე, ძისა მარინანისთა. ხოლო შემდგომად სანატრელმან ბესარიონ  
მამამთავარმან ჩუენმან უვრცეველესად. და შენ, საღმრთოო თავო,  
წინაშე ყოვლად წმიდისა საკურთხეველისა მდგომარეო, მომიკსენე  
30 სურვილით მომთხრობი ყოვლად წმიდათა ენებათა შენთა და ზიარ  
მყავ დიდებასა მას, რომელსა ეზიარე, და გარე-წარჰკადენ სამეფო-  
საგან შენისა ძვრნი და თავისუფალნი მათგან მოგუართუენ მშულო-  
ბით უკუდავსა სიძესა, რომლისა დიდება უკუნითი უკუნისამდე,  
ამინ.

1 სძლო B.

წმინდა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა? ვიღისა ღიღისა  
მოწამისა რანთა ღაღოფლისა სუსანაჲსა, ზადოფლავით  
შუშანიკისა, კენილი ანტონისგან არხიკაისკოროსისა ყოვლისა  
ზამოღსა საქართულოჲსა, ღავითიან-გაგრატიონისა.

ღუარის საღენით ჶაღა შევიღა სიძე  
მტილსა, რათამცა განიხილნეს ხილნარნი,  
მიეცი მუნ შენ ეტლად ამინაღაბის  
ღასაჯღომელად ღმერთ-მთავრობითისა ღმრთის,  
შუშანიკ, სძალო სიძისა საყუარელო.

5

### სიტყუა მეოთხე

10

ჴეშმარიტისა წინაღღებისა ეკკლესიასტეს შინა ღამღები სო-  
ლომონ შესაბამ მოცემულისა ჴეგარღმო მისღა სიბრძნისა უკუ-  
მსტჴუამს, რომლისა ღარღუევეღ ვერვინ შემღღებელ არს: „არა  
აღივსოსო სასმენელი? სმენითა“ ამისტეს კეთილწესიერ ჶიტყუა-  
ობისათეს არავინ იბრალოს, ვითარმედ: „იტყოღეო, გაჴუს თუ  
რამე უმჯობესი ღუმილისასა, რამეთუ ესეცა საქებელად უწყი  
წესიერ აღხმამ ბაგეთა“, იტყუს ღმრთისმეტყუელი (კეთილწესიერ  
სიტყუაობითსა შინა). ჶოლო აჴა ჩუენღა უმჯობესი ღუმილისასა,  
რამეთუ ვინაღთგან ბრწყინუალისა მიმართ მოჴმედებისა მოგვიყუ-  
ანნა საქმემან, ესე იგი გაღობად ღა ჴებად ჶამღღუღეღოთა ღუაწლ-  
თა მოწამეთსა ღა ერთისა მიმართ გაღობად ჴელმყოფელნი მეო-  
რისა მიმართ განვიღჴენით ღა მეორისაგან მესამისაღ ღა ნიეთნი  
საგაღობონი იყუნეს მეფენი პორფირითა სიხსლთა თესთათა ღა  
ღიაღიმითა მარტულმეფობითითა სარკესა შინა გონებისასა წარმო-  
ღგომილნი, რომლისათეს კეთილწესიერ იჴმნა სიტყუა სიტყუათა  
ჩუენთა. მით, რომელ პირუელად ბუნებისა პატივისცემითა/ ძღე-  
ულნი ღა მსჯულისა ბუნებითისაღ შეღღომილნი მიეღღით არა ბუ-  
ნებისაგან თანტომობითისა უცხოასაღ. ღა ორნივე ესე სიტყუანი  
იყუნეს მეფეთათეს ღა მერმელა ვინაღთგან მამულიცა აღღიღობითი  
ზეღწოდებულ ნათესავად, ვინა მმეფობიცა მამულსა ჴეღა ჩუენსა  
ამაღღებული ბუნებასა ჴეღა ჴორცთსა ვნებითა ჴრისტეს ჴიარითა  
წარმოგუღღა ჩუენ შესხმად ღა გაღობად.

ვინა განღჴებულსა ეოცნა გონებასა სსუაღცა<sup>4</sup> მმეფობი ნა-

1 ღა—B. 2 ვნებათა — B. 3 სასმენლი AB. სსუაღცა A.

• შღრ. ეკკლეს. 1.8.

წილსა ზედა მამულისა ჩუენისასა, რომელსამე დაზეეებული კორცთა, აღცილებული ბუნებისაგან კორციელოსა, ამალეებული ქუეშეურთა<sup>1</sup> ხრწნადთა თვსებათა ზედა, მძლე ტკივილთა ვნებათა და დინებათა ნიეთთასა, გულისხმის-ყოფისა გნომისა და გონებისა გან-  
5 მამბრწყინი ერთობითთა ნათლითა მამისა და ძისა და სულისა ყოვლად წმიდისათა.

ვინა სიმრთელისა და მეფობისა და სიმდიდრისა ბედნიერობათა დამტევი, ვითარცა მკუდართა საქმეთა და სიციოცხლისა მოძღურებისად დამოწაფებული, მისრული ნებსით ტკივილისად და სიკუ-  
10 დილისა პყრობილებისად და დაგლახაკებისად ქრისტესთვის, შესაბამ არს ვალობად და ქებად და მოთხრობად ყოვლად წმიდანი ვნებანი მისნი და სიტყუანი ესე მოკილებად სხუათა თანა, რათა კეთილწესიერ იქმნეს სიტყუა ჩუენი და მძსმენელთა კეთილმსახურთად სათნო იქმნეს, რამეთუ „არა აღივსების სასმენელი სმენითა“<sup>2</sup>.  
67 15 /აეკკლესიებს სოლომონ სხუასაცა წინადადებასა ჭეშმარიტსა უკუთქმით: „არა აღივსოსო თუალი ხედუთა“<sup>3</sup>. ხოლო ყოველი ხედუა იქმნების ნათლისაგან, რომლისათეს „ტკბილ არს ნათელი“<sup>3\*</sup>. ხოლო ნათელსა მას მიეკსწუთებით ცნობად, ვითარცა არსებასა მარტივსა, წულილსა და ბრწყინულესა, რომლისა უსახარულევა-  
20 ნესი საშუებელად არარა შესაძლებელ არს მოგონებად კაცობრივთა მიერ გულისსიტყუათა სიტყუსაებრ ვასილი დიდისა (შესაქმის განმარტებასა შინა მეტყუელისა).

დაგუეკუეთა ჩუენ არათუ ხედუა იგი საგრძნომ, რათა შარავანდედნი ნათლისანი ნიეთისაგან გუგათა ძლით თუალსა შინა გან-  
25 სრულნი შეიმუსრნესმცა გარემოთა შინა გუგათასა და შეიერთნეს ცხრილისა გარსსა შინა და ცხოვლად გამოქხატონ ნიეთი მყოფი მართებითად, არამედ ხედუა<sup>2</sup> სულისა, რომელ არს ხილუა და იგიცა ზესთაბუნებითი, რომელიცა ბუნებისა ძლით გამოხატუსა განმარტებად შეუძლებელ არს.

30 თანსახელნი ესე მოქმედებანი სულისანი ანუ ხედუამ, რომელ არს წუალებაჲ ქმნილი თუალსა შინა სხეულსა და ანუ ხედუა, რომელ არს ხილუა ორნივე შარავანდედითა ნათელთა თანსახელთათა. იქმნებიან პირუელი იგი ნათლისაგან შარავანდედისა მზიურისა ანუ განათლებულთა მისგან ნიეთთა და ანუ ცეცხლისა, ხოლო მე-  
35 ორე იგი ნათლისაგან მზიურისა ღმერთთმთაჯრობითისა, რამეთუ

<sup>1</sup> ქუეშიურთა B. <sup>2</sup> ხედუა A.

\* ეაკლეს. 1,8. \*\* ეაკლეს. 1,8. <sup>3</sup> ეაკლეს. 11,8.

ოდეს-იგი მზე-ღმერთი გამობრწყინდეს სულსა შინა და მისდამი/ იყოს ხედუამ სულსა, უგრძნობელობდეს მის მიერ ქმნილთა არს-  
თაგანთა რამეთა, რომლისათჳს დაამტკიცა სოლომონ წინადად-  
ებით „კეთილ თუალთა ხედუად მზისა“<sup>1</sup>. და ოდეს აღმობრწყინ-  
დეს მზე სხეულსა თუალსა შინა, უგრძნობელ იქმნენ თუალისაგან  
ვარკჳლვანი. 5

ოდეს ღმერთთაეკრობითისაგან მზიურისა ნათლისა განათ-  
ლებულნი ნიეთნი შექმნილნი ზეღ დაჰსჭურტირის სულმან და გან-  
მანათლებელი იგი მათი ნათელი განიცადის ყოველსა შინა თითო-  
ეულსა მათგანსა, იხილავს ვითარცა ნათელთა მზისათა, სიტყუსაებრ  
საღმრთო მსა ოქროპირისა (ებრაელთა ეპისტოლისა განმარტებასა  
შინა მეტყუელისა). და უფალიცა იტყუს: „მართალნი გამობრწყინ-  
დენ, ვითარცა მზე სასუფეველსა მამისა მათისასა“<sup>2</sup>, რომლისათჳს  
დაამტკიცებს სოლომონ წინადადებები: „ტკბილ არს ნათელი“<sup>3</sup>.

წარმოდგეს გონებასა შინა ნათელნი იგი თქმულნი სამნი და აწ  
მეოთხე ესე თქმადი, ესე იგი ქმნილნი არსთაგანნი ნათლითა მზისა  
ღმრთისათა განათლებულნი, ესე იგი თუთოეულნი დამხატუელნი  
თავსა შორის თუსსა საღმრთო მსა რიცხუსა, და ამით მზიარებელნი  
თუთ ერთისაღმი ერთისა გონებისა მიერ ღმრთის-ხატისა. ზოლო  
კჳლად დამხატუელნი თუს შორის კეთილობისა და, აქა ვჰსთქუა  
მე არა სხოლასტიკოსთა ქუელთაებრ, არამედ ღმრთისმეტყუელ-  
თა ყოფაქცივითთა შინა თეოლოლიათა ღმრთისმეტყუელთა, რამე-  
თუ ხატებად ღმრთისა პირუელთაგან და შემდგომთა ცოდუათა სის-  
ხლითა განჰსწმიდეს. რამეთუ შეუძლებელ /არს, რამთამცა იპოე  
კაცი წმიდა ბიწისაგან, არათუ ერთი დღეს იყოს ცხოვრება მისი  
სიტყუსაებრ საღმრთო მსა ვასილისა (ღბ ფსალმუნის განმარტებასა  
შინა), ზოლო მჰსგავსებად ღმრთისა სათნობათა სიმდიდრეთა კე-  
თილ ჰყუეს. და ესენი არიან პირუელ თქმულნი იგი ჩუენგან სამნი  
მოწამენი ქრისტესნი მეფენი. და მეოთხე ესე საღმრთო მოწამე  
ქრისტესი სუსანა, წინამდებარე ჩუენდა შესხმად და გალობად. და  
აქა წინადადებანი იგი სოლომონისნი დაიმტკიცებიან ჩუენდამი და  
თქუენდა სურვილით მეტყუელთად და მჰსამენელთად წმიდათა მო-  
წამეთათჳს, ვითარმედ: „არა აღივსოს თუალი ხედუთა და არცალა  
სასმენელი სმენითა“<sup>4</sup>.

უწყებულ ვართ ისტორიკოსთაგან სომეხთასა და სათუეთო-  
საგან მეტაფრასისა მათისა თქმულისათჳს წმიდისა სუსანა მსა, ვი-  
თარმედ სპასპეტი ვინმე იყო ნათესავსა შორის სომეხთასა ვარდან

<sup>1</sup> ეკლეს. 11,8. <sup>2</sup> მატ. 13,43. <sup>3</sup> ეკლეს. 11,8. <sup>4</sup> ეკლეს. 1,8.

სახელითა, რომლისათვის სახელსა ზედშესრულსა, ესე იგი წმიდა განმათვსებელად ვარდან სახელისა ზედა დაჰსდებენ და ნათესავთაგან პართთა მომზრახობენ, რეცა ასულისაგან ისაჲ დიდისა, სომეხთა მამათმთავრისა. ხოლო ესე ვარდან იყო უწინარეს სომეხთა-  
5 გან განყოფისა წმიდისაგან კრებისა ხალკილონისა.

ამის უკუე ვარდანის კეთილძირისაგან, ანუ წმიდისა შთამოებისა გამომკრთოლუარედ<sup>1</sup>, ანუ აღმონამორჩად იტყუან წმიდასა  
V სუსანნას, რომელსაცა ენისაებრ მათისა სახელ-ჰსდებენ/ შუშანნა, რომელიცა მამამან რეცა სიყუარულით ზედწოდებულ კყო შუშანიკ, ხოლო ვარდანაცა ეწოდებოდა წმიდასა მას, რეცა სახელი მამისა თვისისა.  
10

იშუა უკუე მეუღლეთაგან კეთილშობილთა და წესითა ქრისტეანეთათა შეერთებულთა „პატიოსნითა ქორწინებითა და საწოლითა შეუგინებელითა შენაერთთა“<sup>2</sup>. ხოლო სსუამან „ქელკა“<sup>3</sup>  
15 (წმიდამან ვარდან) და მეუღლემან მისმან, მშობელთა მართალთა, ასწავეს საღმრთოჲ ჰსჯული და განგებულეზანი საცხოვრებელნი და შესაბამ ჩინებულეზისა მათისა ზრდიდეს მდიდართა მიერ ნიეთთა სამოსელთა და საგებელთა და სამკაულთა ძვრფასთა.

იზრდებოდა ასული ესე წმიდა და დროდ სძლობისა მოიწეოდა  
20 ქალი ნარნარი, შუენიერებითა მორფნაკუეთობითითა და შესაბამ შეწყობილებითა კავშირთათა თანხმობითა ყოვლადთა ყოვლითურთთათა<sup>2</sup> და წვერთა მათთა ურთიერთას მოკიდებითა, „თმათა სამკაულთა მღედრობითთა კეთილწესიერ და შუენიერ გარდატეეებითა“<sup>3</sup>.

25 ქალწული მორცხუ, ყრმაა მიმადლებული, ჭაბუკა სათნოებათა სიმდიდრითა და სიბრძნითა, რომელიცა კეთილმსახურებითა განკარგა<sup>3</sup> მან შემკული.

სძალი სიბრძნისა მკმეველი, კეთილგონიერებათა და მცნებათა ქრისტესთა თავსა შორის თვისსა დამკუელი, მიეთხოვა განზრახვთა  
69 30 მშობელთათა ვასქენს ვისმე მთავარსა რანისა და ჰე/რეთისასა, რომელი არს ნაწილი მამულისა ჩუენისა, და დედა შვილთა იქმნა.

ამან იყოვლისფერა ყოველთა სათნოებათა მიმართ, რამეთუ „შეიკრიბა მან თავისა თვისისად სიმდიდრეჲ აღდგომილმან ლამით და მიმკუმელმან საზრდელი სახლეულთა თვისთად“<sup>4</sup>.

35 შეიკრიბა უკუე სიმდიდრეჲ ანუ ხუაგი სათნოებათა, ესე იგი I. ლ მ რ თ ი ს მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ე, რომელა სარწმუნოება საქმეთა

<sup>1</sup> გამომკრთოლუარედ A. <sup>2</sup> ყოვლითურთურთათა A. <sup>3</sup> განაკარგა A.

<sup>2</sup> შდრ. ებრაელ. 13,4. <sup>3</sup> დანიელ 13,3. <sup>3</sup> შდრ. 1 კორ. 11,15. <sup>4</sup> შდრ. იგაე. 31,14-15.

შინა და ერთობაა სამობასა შინა, და შორწმუნეკმნილი იტყოდა სხუათადმიცა: ხოლო მათდამი, რომელთა მიმართცა საჭირო იყო თქმად წესიერებითა, არა კმოდლურიდა ვსევეითართა მოძღურებითა, რომელთადმი „დედანი დაიყენნეს საღმრთოჲსა პაელესგან“\*.

- 5 შემდგომად აღსრულებისა ვარდან, სიმამრისა მისისა, წარვიდა მთავარი იგი რანისა ვასქენ მიზეზითა მისდა მიწოდებისათა სპარსთა მეფისად. ხოლო ვასქენ მისრულმან მეფისადმი სპარსთასა უარ-
- 70 /პყო<sup>1</sup> თენიერ ყოვლისა მისდა სიტყუსა უფალი ჩუენი იესუ ქრისტეა მომადლებისათეს მეფისა და თაყუანი-მსცა ცეცხლსა, რომლი-
- 10 სათეს იტყეს ხუცესი ვინმე აღმწერილი ღუაწლთა წმიდისათა: „ძღუნად თავსა თესსა შესწირვიდაო სპარსთა მეფისად, არათუ მოღებისათეს პატივისა თაყუანის-ცემდა ცეცხლსა, არამედ რაითა ყოვლითურთ თავი თესი განაგდოს ქრისტესგან. ხოლო ითხოვედაო მეფისაგან სპარსთასა ცოლსა (ურწმუნოსა), რაითამცა ამით სათნო
- 15 იქმნას მეფისა, „ხოლო რომელიცა საკუთარ არიედ ცოლნი და შულნი, იგინიცა შენსავე მსახურებასა მოვაქციუნე“. და ამას უკუე უქადებდა, რომლისაცა ნება არა ეელთა შინა მისთა იყო.

მსმენელმან მეფემან მხიარულკმნილმან ვასქენ ბოროტკმაზრუელისა თხოვათა და აღთქმათათეს მიუბოძა ცოლად ასული ანუ<sup>2</sup> თესი და, ანუ პირუელ მისა ყოფილისა ვისმე სპარსთა მეფისა.

მომზრახობენ ვასქენისთეს ძუელნი ისტორიკოსნი ჩუენნი, ვითარმედ უარც-ყოფადმდე ქრისტეს ღმრთისა უკეთურევე იყო გონებითა უღმრთო ვასქენ. ხოლო ჰხედვიდა რა წმიდა იგი ცოლი მისი უკეთურსახესა მას ქმარსა თესსა, ილოცუდაო თვტცა და სხუა-

25 თაცა ევედრებინ ლოცუად, რათა წყალობითა თუსითა მსცუალოს ღმერთმან (ქმარი მისი) უგუნურებისა მისგან უღმრთოებითისა და ჰქმნას მის შორის გონიერება ქრისტეს მიმართ.

- V წარმოსრულმან სპარსეთით საქართუელოდ /ვასქენ და მახლო-
- 30 ბელკმნილმან სამთავრომსა თუსისად იზრახა, რათა წარკვავნოს ქამბაეი მოსლვისა თუსისა სახლისა და სამთავრომსა თუსისად და წინა მიიგებნესმცა აზნაურნი ევლისქუეშენი თუსნი და ძენი და მსახურნი, რათა წარმართოს გული თესი სიხარულისა მიმართ და ღიდებისა მისრულმან დაბასა ცურტაეთ ზედწოდებულსა.
- 35 შესრულმან წინაშე წმიდისა სუსანანასა მოქამბემან თაყუანისცა დედოფალსა თესსა და მოიკითხა. ხოლო ნეტარი იგი მიუგებდა სულითა წინამცნობელითა: „უკეთუ სულითა ცხოველ არს იგი,

<sup>1</sup> უარ-პყო A. 2 ანუ + დაა A.

\* შტრ. 1 ტომოთ. 2.12.



შიერ ცხოველი და საქმენი სარწმუნოებისა შიერ განათლებულნი; 2. განგებაა სახლისა თვისისა, რამეთუ პირველითა მეორესა განკარგვიდის და მეორითა პირუელსა განამართლებდის, ვინაცა ხუაჯი ესე სათნობათა განუყო სახლეულთა თსთა საზრდელად, ესე იგი კეთილმსახურება, რომელ არს სარწმუნოებამ ქრისტეს მიმართ, ასწავა მათ და საქმეთა კეთილთა მჩუენებელმან ბაძუად თსად განაღძნა იგინი.

ველნი მისნი განახუნა გლახაკთად და ნაყოფი მიუპყრა დაერდომილთა<sup>1</sup>, „პირი თსი აღალრ კრძალულებით და წესი განუჩინა ენასა თსსა“<sup>2</sup>, ესე იგი რაულადმე იტყოდის საჭირომსათუს ანუ 10 საქმარისა ღმრთისმსახურებისა და განგებისათუს სახლისა, ხოლო წესი განუჩინა ენასა თსსა, ესე იგი არაოდეს მიდრკა უქმთა მიმართ უბნობად.

„მართალ არიედ ალაგნი სახლისა მისისანი“<sup>3</sup>, ესე იგი არარამმე ჰქმნა „შეახლებამ სახლისა სახლსა ზედა და არარამმე აგარაკისა აგარაკსა ზედა“<sup>4</sup>. 15

„არა ჰყო ვეცხლი გამოუცდელ“<sup>5</sup>, ხოლო მმთავრებმან/ არა იურწმუნოვა ზიარებითა მპარავეთათა, არა მოყუარე ძლუენტა იქმნა და არა მღვეარ მოსაგებელთა და „არა თუ არა ჰსჯიდა მსჯავერსა ობლისასა და მსჯავერსა ქურივისასა“<sup>6</sup> და „არა თუ უკეთურებისათუს ძმთა თსთასა ძვრსა იქსენებდა“<sup>7</sup> და „არათუ გული თსი დააწესა ურჩებად, არა შესმენად მსჯულთსა“<sup>8</sup> უფლისა და ამისთუს მართალ არიედ ალაგნი სახლისა მისისანი. 20

ხოლო „საზრდელი სიცონილისა არა მსჭამა“<sup>9</sup>, ესე იგი არა დაჰქსნდა ოდესმე სიცონილისაგან ღმრთისმსახურებისა მიმართ, და განგებად სახლისა თსისა, რამეთუ მენე იპოვა, რომლითა იგავმან სულითა წმიდითა უპატიოსნეს ანთრაკთა მრავალსასყიდლისათა აქო იგი, „პირი მისი აღალო“<sup>10</sup> მეცნიერებითა და წესიერებითა მეცნიერებითა, რამეთუ უენებობითა განათლებულმან მოიგო ცხოვრებამ გონებისა, რომლითა სარკესა შინა სულისასა გამოუჩნდა „ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისააკისი<sup>1</sup> და ღმერთი იაკობისი“<sup>11</sup>, რომელთა ღმერთთმთავრობითი სამობამ ერთობასა 30

<sup>1</sup> ისაიისი A.

\* იგავ. 31,20. \*\* შდრ. იგავ. 31,25. 3<sup>o</sup> იგავ. 31,27. 4<sup>o</sup> შდრ. ისაია 5,8. 5<sup>o</sup> ისაია 1,22. 6<sup>o</sup> იერ. 5,23. 7<sup>o</sup> შდრ. ზაქ. 7,11. 8<sup>o</sup> ზაქ. 7,13. 9<sup>o</sup> იგავ. 31,27. 10<sup>o</sup> იგავ. 91,28. 11<sup>o</sup> გამოს. 3,6.

ცხოველმცა ხარ შენ და იგიცა, და უკეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვა ეგე შენი მიიქეცინ შენდავე“, რომლისა მასმენელმან კაცმან მან ვერარა იკადრა სიტყუად მისდა.

აფუცებდა უკუე წმიდა იგი მოჰამბესა<sup>1</sup> მას, რათა უთხრას მართალი, თუ სადამე უარ-ჰყო ვასქენ ჭეშმარიტი ღმერთი, და ესრეთ უწყებულ იქმნა კაცისა მისგან თქმითა მართლისა უწყები-სათა. 5

მსმენელმან წმიდამან ღაგლო თავი თვისი ქუეყანად და თავსა თვისსა ჰაცემდა ქუეყანად და ცრემლითა მწართა გოდებდა უარ-ყოფისათვის კმრისაგან მისისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტემასა. 10 და აჰა, დაუტევა პალატი თვისი და გამოსრული პალატით წარვიდა ეკკლესიად და თანაწარმყუანმან სამთა ძეთა და ერთისა ასულისა-მან და წარმადგინებელმან მათმან წინაშე საღმრთოისა/საყურთხე-ველისა მოიდრიკნა მუტლნი და იტყოდა ესრეთ: „უფალო ღმერთო, მოცემულთა ამათ შენგან შენეე უკუე ჰსცევედ განათლებულთა 15 წმიდისაგან ემბაზისა მადლითა ყოვლად წმიდისა სულისათა ერთ-სამწყსო-ყოფად ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსა“.

იტყუს ხუცესი იაკობ: „შემდგომად აღსრულებისა სამწყურბროსა მის ლოცვისა ჰმოვა წმიდამან სუსანნა მახლობელ ეკკლესიისა სახ-ლი მცირეჲ და შევიდა მას შინა, საესე მწართა მწყურბრებითა, და მიეყრდნა ყურესა ერთსა მტირალი სიმწართ“.

ეურეინ სულსა ნეტარსა ზედმხედუელსა ბოროტთა საქმეთა სხუათასა, გარნა უფროსლა წვერისა თვისისა, რომლისა თანა შეერ-თებულ არს საღმრთოისა გამო ქორწინებითისა საიდუმლოისა. ხო-ლო ნეტარი ესე, რომელიცა სიყრმითგან დაემოწაფა კეთილთა საქ-მეთა და თავ ყოვლისა კეთილისა არს სარწმუნოებამ ქრისტეს მი-მართ; და მხედუელი კმრისა თვისისაგან დატევებისა შემოქმედისა თვისისა და საქმარად ცხოვრებისა ჩუენისა დაბადებულთა ნიეთთა თაყუანისცემისა, შეიწრდებოდა, გოდებდა მტყებარე თავისად და 30 მომფხურელი თმათა და უზმობითა განლევდა ქორცთა თჳსათა.

შეწყუდელულ რა იყო ნებსით სანატრელი სუსანნა მახლობელ ეკკლესიისა სენაქსა შინა, მივიდა მისდა ხუცესი პალატისა მისისა, ზედწოდებით იაკობ, და ეტყოდა წმიდასა: „არა მცირესა ღუაწლსა შინა შესრულ ხარ, დედოფალო, ეკრძაღე სარწმუნოებასა მას 35 ქრისტესსა, ნუუკუე მტერმან უმე/ტეს, ვითარცა „სარსულმან, საძო-ვარი ჰპოვოს“\* შენ თანა. მიუგო წმიდამან: „განალა მეცა დიდისა

<sup>1</sup> მოამბესა A.

\* 2 ტიმოთ. 2,17.

- ლუაწლისა განმზადებულ ვარ" პრქუა იაკობ: „მკნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ“. მიუგო წმიდამან: „ჩემდა მარტოსა არიან, მ მლუ-დელო, ჳირნი ესე“. პრქუა იაკობ: „ჳირი შენი ჳირი არს ჩუენი და სიხარული შენი სიხარული ჩუენი. ჩუენდა არა თუ იყავ ხოლო
- 5 დედოფალ ოდენ, არამედ ვითარცა შეილთა<sup>1</sup> გუწყალობდ და გუზრ-დიდ. გარნა მითხარ მე, რამ გეგულუების, რამეთუ მნებაეს აღწე-რად ლუაწლნი შენნი“. მიუგო წმიდამან: „ნუ იყოფინ ჩემდა, რა-თამცა ვეზიარე საქმეთა და ცოდუათა ვასქენისთა. უმჯობეს ჩემ-და ჳელთაგან მისთა სიკუდილი, ვიდრელა შეერთებამ მის თანა“.
- 10 მაშინ განამტკიცებდა ხუცესი იგი ნეტარსა მას და სიტყუთა საღ-მრთოათა განაძლიერებდა.
- ყოფასა მას წმიდისასა მცირესა მას სახლსა შინა აბირა ვინმე სპარსი, კაცი მზაკუარი, ვასქენ ცნობად განზრახულისა წმიდისა. და შესრული მის თანა ეტყოდა წმიდასა კაცი იგი სპარსი ტირილით:
- 15 „ეამ, ვითარ გარდაიქცა სახლი მშუდობისა სახლ საწყალობელ და სიხარული მისი მწუხარებად“, რომლისათეს წმიდამან არარა მიუ-გო. და ჳხედვიდა მას სპარსი იგი მწუხარედ და მგლოვარედ და ესრეთ კაცი იგი უკუნ-იქცა ცულად.
- შემდგომად სამისა დღისა მოვიდა ვასქენცა მთავარი, რომლი-
- 20 სად მისრულმან კაცმან მან სპარსმან პრქუა ილუმალ ვასქენს: „უწყ-ებულ ვარო, ვითარმედ განდგომილ არს შენგან ცოლი შენი, გარ-ნა შენ ნურარად ფიცხელ უბნობ მისდამი მით, რომელ ბუნებამ/დედათა არს სულმოკლე“.
- 72 მიხადა მისდა ვასქენ კაცთა სამლუდელოთა და შესთუალნა<sup>2</sup>
- 25 მათ მიერ სუსანნამსა მიმართ სანატრელისა: „რამე ჳელ-იწიფყო ესე ჩემდა, ვითარმედ დაამქუ ხატი ჩემი და საგებელსა ჩემსა გარ-დაასხ ნაცარი. დაგიტევებიეს პალატი შენი და ლთოლვილი წარ-სულ ხარ სხუად აღგიდ“. მიუგო მოციქულთა მათ წმიდამან: „ეს-რეთ არქუთ ვასქენს: მე უკუე აღუმართე ხატი შენი და მევე და-
- 30 ვამქუ ამაღ, რომელ მამამან შენმან აღადგინნა სამარტულენი წმი-დათანი და აღაშენნა წმიდანი ეკკლესიანი და შენ საქმენი მამისა შენისანი განხრწენ და გარდააქციენ კუთილნი მისნი. შემოიხუნა მამამან შენმან სიწმიდენი, ხოლო შენ განჳყარენ სიწმიდენი და მათ წილ შემოგყავენ ეშმაჯნი. მან უკუე აღიარა ღმერთი შემოქმედი
- 35 ცათა და ჳუეყანისა და პრწუენა მისა მიმართ, გარნა შენ უარ-ჳყავ ღმერთი ჳემმარიტი და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვინამთგან უარ-

<sup>1</sup>შელთა A. 2 შესთუალნა B.

კყავ შემოქმედი შენი, მეცა უარ-გყო შენ, ხოლო თუ სადამე მძლავრებითმცა მტანჯო მე, ვერსადა მიხილო ბოროტთა საქმეთა შენთა ზიარ“.

მივიდეს უკუე კაცნი იგი სამლუდელონი ვასქენის მიმართ და უწყებულ ჰყუეს შეთულილებათა მიმართ ცოლისათა. 5

მჰსმენელმან მათ ყოველთამან უკეთურმან ვასქენ მძნუარე-ქმნილმან ტარიგისა მიმართ ქრისტესისა, ვითარცა ლომმან და მძლავრ აღმზახებელმან მისდამი წარავლინა რისხეთ ძმაი თვისი, სახელით/ ჯოჯიკ, და ცოლი ჯოჯიკისა და ეპისკოპოსიცა სახლისა თვისისა და შესთუალნა: „მსდურკ გონებისა მაგისგან გულმწყრა-ლისა და მოფედ სახლსა შენსა. და თუ სადამე არა ერჩდე სიტყუათა ჩემთა, თრევეთ მოგიტრიო უწყალოდ“.

მისრულნი დაბად, სადა იყოფოდა წმიდა იგი, შევიდეს წინაშე მისსა და უწყებულ ჰყუეს სიტყუათა მიმართ ვასქენისთა.

მჰსმენელმან მათმან მკეველმან ქრისტესმან მიუგო წყნარად: 15

„მ, კაცო ბრძენო, ეკგონებდ, ვითარმედ მოაქციოთ იგი ჩემდა აღსარებითა ჭეშმარიტისა ღმრთისათა, გარნა მაიძულებთ მე მიქცევედ მისდა და ზიარებად საქმეთა მისთა ბოროტთად. და შენ, მ ჯოჯიკ, არლარა ხარ მახლ ჩემდა და არცალა ცოლი შენი არს დად ჩემდა, ზიარქმნილნი ბოროტთა საქმეთა ვასქენისთა“.

მიუგო 20

ჯოჯიკ: „უწყიო, ვითარმედ მოავლინნეს მსახურნი და წარგიტრიოს მძლავრ“. პრქუა წმიდამან: „თუ სადამე კრული წარმითრიოს მე, არარა მგამის, არამედ უფროსლა მიხარის, რამეთუ ვიენო მაგით ქრისტე ჩემისათეს“. და მჰსმენელნი ამათნი მსცრემლეოდეს მისრულნი იგი. 25

პრქუა წმიდამან სუსანნა ეპისკოპოსსა მას: „ვითარ-მე უკუე მაწუეე შეერთებად მის თანა, რომელმანცა უარჰყო ღმერთი ჭეშმარიტი?“ რომლისა მჰსმენელი ღუმნა ეპისკოპოსი იგი.

ევედრებოდა უკუე ჯოჯიკ წმიდასა: „საყუარელო სძალო და დაო ჩემო, ნუ წარსწყმედ თავსა შენსა პალატისაგან/შენისა სამეუ- 30 73

ფოდას“. და ვითარ-იგი განმრავლდებოდეს იძულებანი მაიძულე-ბელთა მათ მისრულთანი, ერჩდა წმიდა იგი და თანა-წარჰყუა მათ და თანა წარიტანა წმიდა სახარებაი და ნაწილნი წმიდათა მოწამეთანი და მტირალი იტყოდა: „უფალო ღმერთო ჩემო, შენ უკუე მეცნიერ ხარ, ვითარმედ მე ყოვლითა გულითა ჩემითა სიკუდიდ 35

მივალ შენთეს“. ხოლო რაჟამს-იგი შევიდა პალატად, არათუ პორფირ გარდაგებულსა მას აღგილსა დაჯდა საწოლსა შინა თვისსა, არამედ მცირესა სენაკსა შინა და ღმრთისა მიმართ აღმჰყრობელი კელთა იტყოდა: „მეუფეო, უფალო ღმერთო ჩემო, არცალა მლუ-

V

დელთაგანილა ვინმე იპოვაო მწყალობელ ჩემდა და არცაღა ვინ ერისაგანი გამოჰსჩნდა შორის ერსა ამას, არამედ მიმკვს მე მტერსა შენსა სიკუდილდ. იყავნ ნებაჲ შენი ყოველსავე შინა და ყოველგან<sup>1</sup>.

- 5 შესამესა უკუე დღესა წმიდისა სუსანნამსა, მოსულისა პალატად, მოვიდა ვასქენ უკეთური და შე-რა-მწუხრდა, მსტქუა, ვითარმელ: „მნებაჲს სერობად ჩემ თანა ჯოჯიკ და ცოლო მისი ოდენ“. და ვითარცა შევიდეს მის თანა თანხადილნი<sup>1</sup> მისგან, ინებეს მოყუანებაჲცა მათ თანა წმიდისა სუსანნამსა. და ჯოჯიკ და ცოლმან
- 10 მისმან დიდითა იძულებითა მოიყუანეს, სადა მჯდომარე იყო ვასქენ, და მსხდომარეთა იწყეს სერობად. მსტამდეს უკუე ვასქენ და ჯოჯიკ და ცოლი მისი, ხოლო წმიდა შუშანიკ, არარამმესა გემოსა მხილუელი მჯდომარე მათ თანა, ვედრებულ იქმნა ჯოჯიკისგან და ცოლისა მისისა ჭამად, გარნა მან არა ისმინა, რამეთუ ესოდენნი
- 15 დღენი<sup>2</sup>, ოდეს-იგი განვიდა პალატით თუსით, განელ/ნა უზმობით. მთართუა უკუე ცოლმან ჯოჯიკისმან ღვინომ წმიდასა სასმელითა ჭიქისათა და ევედრებოდა სმად და უფროსდა აიძულებდა, რომლისათეს მიუგო წმიდამან რისხეთ: „არა არს ჩეულებამ ჩუენდა დედათა ჭამად მამათა თანა“. და ვითარ-იგი განამრავლა მის-
- 20 და იძულებამ იგი დედაკაცმან მან, მიულო წმიდამან ხელთაგან ჭიქამ იგი და შემუსრა განსრევით. მაშინ ვასქენ აღდგა ტაბლისაგან და რისხეთა ცეცხლისათა მგზებარემან იწყო გინებად წმიდისად და ფერკითა ძლოერად განწიხნვიდა წმიდასა მას. და კპოვა ჭურჭელი რამმე რკინისა ანუ რუალისა და მსცა თაჟსა წმიდისასა და
- 25 განუპო და თუალი ერთი გუემითა მძენუარითა განუსივა და მჯილითა მსცემდა უწყალოდ პირსა და თმითა განათრევდა, ყიოდა და იზახდა, ვითარცა ცოფი.

აღდგა უკუე შუელად ჯოჯიკ და, მეცადინმან წაგურად კელთაგან მისთა წმიდისამან, შებმა უყო ვასქენს, მაგრა იგიცა კგუემა

30 ვასქენ და განუტეხა თავი. გარნა მიჰსტაცა კელთაგან ჯოჯიკ წმიდამ იგი, ვითარცა ტარიგი ცოფიერისა მგლისაგან.

იღუა უკუე ქუეყანასა ზედა წმიდა იგი, ვითარცა მკულდარი, რომელიცა ბრძანა უკეთურმან მან შეკრულად და შესხმად ფერკთა მისთა ბორკილნი, რომლისათეს ევედრებოდა მას სპარსი იგი

35 თქმული, რათა არა შეახოს ცოლსა თუსსა კრულებამ და ბორკილნი. ხოლო ისმინა ვასქენ და ბრძანა არა შეკრულად, მაგრა სახლსა

1 თანხადილნი B. 2 დღენი A.

შინა მცირესა შეყუანებად და სიმკაცრით და/ცუად და გარდა ერთისა მონისა არა ვინმე შესლულად.

იყოფოდა წმიდა იგი საპყრობილესა შინა წყუდელუი ქრისტესტუს, რომლისად ცხოვრება იყო ქრისტე და სიკუდილი შესაძინელ განშუენებული „ქორცთა შინა ტვრთთა საწერტელთა მათ უფლისა იესუსთა“\*, რამეთუ ყოვლად შუენიერი პირი მისი ყურიმლის-ცემითა ვნებული და მჯილთა მიერ ქურჯუნგილი ყურიმლის-ცემულთა მათ ღაწუთა იესუსთა ცხოვლად დაჰხატულა და სხეული მისი თრეული და გუემული თუს შორის ცხოველსყოფელთა მათ წყულულთა ასოთა ღმერთმამაკაცისა სიტყუსათა წარმოადგენდა. 10

ხუცესი იგი, კვსენებული იაკობ, მეედრებელი მესაპყრობილისად, რათა უტეოს შესლულად, ძელდა უტევა მონამან მან. შევიდა უკუე წმიდისად და იხილა ყოვლად შუენიერი პირი მისი დაბძარული და განსივებული და მტირალი ვედრებით ეტყოდა წმიდასა: „მობრძანე, დედოფალო ჩემო, რათა განუბანოცა პირი შენი, რომელი სისხლითა შესუარულ არს, და ნაცარი თუალთაგან, რომელი შთაგკრეიეს, და მოგართუა ემპლასტრი და წამალი წყულულთათუს“. მიუგო წმიდამან: „მ, მღუდელო, ნუ მეტყუო მაგას, რამეთუ სისხლი ესე განმწმედელ არს ცოდუათა ჩემთა“. ევედრებოდა წმიდასა ხუცესი იგი ცრემლით, რათა მიიღოს ჭამადი წარგზავნილი სამოელ და იოანე ეპისკოპოსთაგან, რომელნიცა ფარულადრე იღუწოდეს წმიდასა მას და ნუგეშინის-ჰსცემდეს. მიუგო წმიდამან მან: „ვერ შემძლებელ ვარ ჭამად, რამეთუ ღაწუნი და რომელნიმე კბილნი ჩემნი შემუსრვილ არიან“. 15 20

მოილო ხუცესმან მან პური მცირემ და ღუნოსა/შინა დაალბო იგი. და მიილო წმიდამან მცირემ რამე მათგან. და სიტყუსთა ნუგეშინის-ჰსცემდა ხუცესი იგი და განაძლიერებდა და მერმელა შიშითა მძღაერისათა მცირედ-ეამ მუნ დამზმელი გამოვიდა საპყრობილისაგან წმიდისა. 17

მიულო წმიდასა უკეთურმან ვასქენ სამკაულნი სადედოფლონი, გარნა წმიდასა მას პყრობილებანი და გუემანი და დაგლაჩაკებანი ქრისტესტუს ყოველნივე დიდებად და შესაძინელ თუსა შეერაცხნეს, რომლისათუს „მიილო ამასვე სოფელსა ასი წილი“\*\*, რამეთუ განისმა კიდეთა ღუაწლნი მისნი და უძღვევლობამ მდედრისა მის გუამისა მძღაერთაგან და მძღაერი იგი მბრძოლი ძღუელი მისგან და მის თანა მტერნიცა უხილაენი, და „ცხოვრებისა საუკუნოხსა დამკერება“\*\*\*, ესე იგი მოსაგებელისა და ჯილდოხსა 30 35

\* შღრ. ვალატ. 6.17 \*\* შღრ. მატთ. 19.29. 3\* შღრ. მატთ. 19.29.

მიღებამ ცხოვრებასა შინა დაუბერებელსა და უკუდაესა, რომელ არს მოსაგებელი დიდება ანგელოსთა თანა, ხოლო ჯილდომი აღ-  
 თქმულისა მის სრულჰყოფა: „რომელმან ჰძლიოს, მივსცე მას დაჯ-  
 დომამ ჩემ თანა საყდარსა ჩემსა, ვითარცა-იგი მე ვჰსძლე და და-  
 5 ჰსჯედ საყდარსა მამისა ჩემისასა მარჯუენით მისსა“.

ჰპოვა უკუე წმიდამან თავისუფლებამ საპყრობილისაგან, რა-  
 მეთუ მთავარმან მან ვასქენ უღმრთომან განიჰქედრა რომელსაჲმე  
 ნათესაესა ზედა და წმიდანიცა ორშეოცნი შემოსრულ იყუნეს. მის-  
 რულმან წმიდამან სუსანნა მახლობელ ეკკლესიისა ჰპოვა სენაკი  
 75 10 მცირემ და შევიდა და მჯდომარემან მას შინა/დაყულებით, მარხუთ  
 და ლოცუთ და ყოვლითა კრძალულებითა წარვლო ყოველნი დღენი  
 წმიდათა მარხუათანი:

ამათ შინა დაასცხრა მკედრობამცა და ბრძოლამ და მთავარი  
 ვასქენ სამთავროდ თუსად უკმოქცა, რომლისაჲცა გულსა ჰსთეს-  
 15 ვიდა ეშმაკი ძერთა წმიდისა სუსანნაისთჳს. ვინამცა დღესა მეორე-  
 სა დიდისა დღესასწაულისა ცხოველსმყოფელისა აღდგომისა უფ-  
 ლისა ჩუენისა იესუ ქრისტემსა, მივიდა ვასქენ ეკკლესიად და  
 ეპისკოპოსსა მის ქალაქისა და სახლისა თუსისა, სახელით აფოტს  
 (ესე იგი ფოტის), ეტყოდა: „რად სადამე განაშორებ ჩემგან ცოლსა  
 20 ჩემსა და არა მომცემ?“ და ამას თანა ჰპორგდა მძენუარედ უსჯუ-  
 ლო იგი და ჰგომობდა სიტყუთ საშინელსა სახელსა ღმრთისასა და  
 აგინებდა ეპისკოპოსსა მას და ჰგუემაცა ვინმე ხუცესი ეკლესიისა.

წარითრია უკუე მძლავრმან ვასქენ წმიდამ სუსანნა ეკკლესი-  
 ით ვიდრე პალატად თუსა, ეკალთა ზედა, რომელი მას დაეყარნეს  
 25 გზასა ზედა. და წართრევესა მას შინა განწინევიდაცა<sup>1</sup> ფერკით,  
 ხოლო ეკალთა მათ ზედა დაიბძარვოდეს სამოსელნი და კუბასტნი  
 წმიდისანი და მუსკულნიცა კორცთანი წულოლ-წულოლად.

განფიცხნებოდა უღმრთო იგი და ცეცხლი რისხუსა მძენუარედ  
 აღატყდებოდა მის შორის და იტყოდა: „არარა გარგო შენ ეკკლე-  
 30 სიამან და არცალა იმედთა შენთა ქრისტიანეთა“. და აჰა, უბრძანა  
 V მტარუალთა შეკრუად/იგი და სამასგზის კუერთხითა ცემად. ხოლო  
 მსკემდეს რა უწყალოდ წმიდასა მას, არა აღმოქდა პირისაგან მი-  
 სისა სულთქმამ რამემ, არცა კუნესამ მცირემ და ესრეთ კორცთა-  
 გან მოწამისა ქრისტესთა გუემითა მძენუარედ დაპებულთა ჰსდიო-  
 35 დეს სისხლთა ნაკადულნი. ხოლო არადაცხრომილმან უკეთურმან  
 მან მძენუარებისაგან უბრძანა მტარუალთა დადებად ჯაჭუ ქედსა  
 ზედა წმიდისასა და წარყუანებად ციხედ და შეწყუდეგათ საპყრო-

<sup>1</sup> განწინევიდა A.

• შტ.რ. აპოკალ. 3,21.

ბილესა ბნელსა და მოყმობად 'მიმშლილითა, რათა მოკუდეს მას შინა აღრე.

წარიყუანებს უკუე მტარულთა წმიდა იგი და მიჰყუანდათ ში-  
შუელთა ფერკითა და თმათა განშლილთა გარდატევეებითა თავ-  
შიშუელი და ფრკიე. უღმრთოოცა იგი მძლავრი მისდევდა მას უკა- 5  
ნაგან ზისა მრავალთა გინებათა და ყუედრებათა ზედადასხმითა.

მზილუელთა კეთილმსახურთა უმქსჯავროდ ენებისა სახელი-  
სათუს ქრისტესისა წმიდისათა კქმნეს შეეკრებამ მრავალთა მამათა  
და დედათა და იცემდეს მკერდთა და აღმამალღებულნი კმათანი  
ქსტიროდეს მწარედ, რომელთად მიუგო წმიდამან: „ძმანო ჩემო 10  
და დანო და შულნო, ნუ ქსტიროთ ჩემ ზედა, არამედ ამიერითგან  
ჯმნალ ვარ თქუენგან და ნუმცა დაგვიწყებოესყე კქსენებამ ჩემი  
ლოცუათა შინა“.

ხოლო შე-რა-ვიდეს ციხედ და შეაყენეს წმიდამ იგი საპყრობი-  
ლესა შინა და დაჰსდუეს ჯაჰუ ქელსა ზედა მისსა, რომელიცა დაჰ- 15  
ბეჰდა ბეჰდითა თუსითა /უსჯულომან ვასქენ, მაშინ სანატრელი 76  
სძალი ქრისტესი, „რომლისა ლაწუნი ყურიბლის-ცემითა განშუენე-  
ბულ იყუნეს, ვითარცა გურიტიანი“<sup>1</sup>, და ქელი ჯაჰუთა, ვითარცა  
ძრფასთა სპეკალთა მიერ მოოჰვლითა ფარლულითა<sup>1</sup>, „ქმნილებასა  
ოქროსასა ემჰსგავსებოდა და სხეული მისი წულილად დასხმულსა 20  
ვეცხლსა“<sup>2</sup> ყოვლად წმიდათა ასოთა წყლულებითა. და ესრეთ  
ნეტარი იგი, სული მისი სძლი ქრისტესი, ეტყოდა თავსა თუსსა და  
სიძესა: „ნარდიონმან ჩემმან გამოჰსცა სუნნელებამ“<sup>3</sup> (ესე იგი  
ყუაილმან კეთილმსახურებისა ჩემისამან გამოჰსცა სურნელებამ  
უხრწნელი, ანუ სხეულმან ჩემმან ცხოველსყოფელთა წყლულე- 25  
ბათა სიძისა ჩემისათა ზიარებულმან გუემისა მიერ შეწურვილმან  
გამოჰსცა სისხლი სუნნელებად წმიდისა ეკკლესიისა).

ხოლო იტყოდა ქალწულთაცა მიმართ, ესე იგი სულთა ნეტარ-  
თა, რომელთაცა უენებობითა წმიდად დაუწინდნეს თავნი თუსნი  
უკუდავსა სიძესა: „განაწესეთო ჩემ ზედა სიყუარული და დამამ- 30  
ტკიცეთ მე ნელსაცხებელთა მიერ (ესე იგი ცხოველსყოფელთა  
სისხლთა მიერ სიძისა ჩემისათა, რათა სრბამ ესე ჩემი წარემარ-  
თოსმცა მიუდრეველად). გარემომასხთ მე ვაშლი (ესე იგი ნაყოფი  
სუნნელი სათნოებათა წმიდათა), რამეთუ დაწყლულ ვარ მე სი-

<sup>1</sup> ფარლულითა] ფარულითა A.  
<sup>2</sup> შლრ. კება 1,9. <sup>3</sup> შლრ. კება 1,10. <sup>3</sup> შლრ. კება 1,11.



ყუარულითა მისითა. მარცხენე მისი თავსა ზედა ჩემსა და მარჯუ-  
ენემან მისმან შემოწყნაროს მე“.

- იხარებდა სულითა „შემოსილი სამოსლითა მაცხოვარებისათა  
და კუარითთა მხიარულებისათა (წმიდითა სისხლითა თვისითა) და  
V 5 ვითარცა სიძეე მიტროგარემოდებული (ჯაჭუთა მძი/მითა სიძისა-  
თს) და ვითარცა სძალი სამკაულითა შემკული (თხემსა ზედა  
ტუნადმდე განტეხითა ვნებული და დაწუთა და ყურთა ყურიშლის-  
ცემითა), ვითარცა ქუეყანა აღმართობილი ყუაეილისა მისისა  
10 (პირად-პირადთა ნაგუემთა წმიდათა) და ვითარცა მტილი, რომელი  
აღმომორჩებნ თესლთა მისთა“<sup>1</sup>, (ესე იგი რომელნიცა თესლნი  
წმიდისა სახარებისანი შეიწყნარნა, აღმომორჩნა იგინი) „და ვი-  
თარცა თერევერთმან განირთხნა რტონი თსნი“<sup>3</sup>, ესრეთ აღმო-  
აცენა უფალმან სიძართლემ და სიხარული წმიდისა თსისა შორის.  
წყუდეულმან წმიდამან საპყრობილესა შინა და ჯაჭუთა და  
15 ბორკილითა შეკრულმან მუნ მდგომარეობასა უღმრთოთა ვასქე-  
ნისსა მსთქუა: „სიხარულ ჩემდა ტანჯუაჲ აქა, რათა განვისუენო  
საუკუნოდ“, რომლისათს მიუგო ვასქენ: „მე, მე, განისუენო“ და  
დაადგინნა მცუელნი და ამცნო, რათა მოკლან სიყმილითა და არა  
ვიინზე უტევონ მუნ შესულად.  
20 დაჰყო უკუე წმიდამან საპყრობილესა შინა მომეშარმან ყოვ-  
ლითურთ შდელული სამი, რომელიცა იკითხა ვასქენ მცუელთა  
მიმართ: „ცოცხალ არსლა?“ მიუგეს: „უფალო ჩუენო, მკუდრად  
უფრორე საგონებელ არს, ვიდრე ცოცხალა შიმშილისა ძლით  
ესოდენისა“. უბრძანა უღმრთომან: „მოკუდედსო, ნურარა გვაბისთ“.  
25 ჰქსენებული იგი ხუცესი იაკობ, რომელსა დიდად შესჭირდა  
კეთილმსახურებისად, რამეთუ ექსორიობითა და პყრობილებითა  
და სიკუდილითა წმიდისა სუსანნამსთა<sup>1</sup> დაჰსჭირდა ეკლესიასა  
რანისასა, მივიდა ციხედ და მცუელსა საპყრობილისასა ევედრებო-  
და/და აღუთქუა ვეცხლი მიცემად, რათა უტევოს შესულად წმი-  
77 დასად. ხოლო მან უტევა ღამე შესულად, რომელსაცა იტყვს ხუ-  
30 ცესი იგი: „ვითარ-იგი შემიყუანა მცუელმან მან და ვიხილე ტა-  
რიგი ქრისტესი შუენიერად, ვითარცა სძალი შემკული საკრუელ-  
თაჲან. და მე, ვითარ ვერ დამითმო გულმან ჩემმან, ემსტიროლი  
ფრად“. ხოლო წმიდამან მრქუა შუშანიკ კეთილისა ამისთს:  
35 „მსტირა, ხუცეს?“ ხოლო ხუცესმან მან ჰყო სიტყუად და განმტყი-  
ცებად წმიდისად და შიშითა მძლავრისათა ვერ დაადგრა მყოვარ.

<sup>1</sup> სუსანნამსთა B.

<sup>2</sup> კება 2,4-5. <sup>3</sup> შტრ. ისაია 61,10-11. <sup>3</sup> ზირაქ. 24,19.

ამათ შინა ვასქენ იზრახა და წარსლუა კყო სადამე. და ჯო-  
ჯიკ ძმა მისი, არა იყო მუნ დროსა წარსლვისა ვასქენისა. ხოლო  
მო-რა-ვიდა სახლად თუსა, შეუდგა უკანაგან ვასქენს და საზღურ-  
თა პერეთისათა მისრულსა წარეწია და ვედრა ფრიად, რათა  
ბრძანოსმცა განტევებამ წმიდისა სუსანნამსა საკრულთაგან. და 5  
ვითარ-იგი განამრავლა ვედრებამ ჯოჯიკ და ფრიად შექსწყინდა  
უკეთური იგი, ბრძანა განტევებამ საკრულთაგან ოდენ. და ესრეთ  
უკმოიქცა ჯოჯიკ და მოვიდა ციხესა მას, სადა პატიმარ იყო წმი-  
და სუსანნა, და აღილო ჯაჭვ იგი, რომელი ზედა ედუა წმიდასა  
ქელა მისსა, გარნა ბორკილთაგან არა ინება განქსნამ წმიდამან, 10  
არამედ სიკუდილმდე დაადგრა ბორკილსა მას შინა.

იტყუს იაკობ ხუცესი წმიდისა სუსანნამსთეს კრულებასა შინა  
პერობილისა: „ყუაეოლაო წესიერებითა საღმრთოთა მარხუთა, მა-  
რადოს მღვდარებითა, ლოცუთა და ვედრებითა, ზედგომითა, თაყუა-  
ნის-/ცემითა და ცრემლითა უწყინოდ და კითხუთა წიგნთათა მოუ- 15 V  
წყინებელად. განაბრწყინუა ყოველი იგი ციხეა სულიერიითა მით  
ქნარიითა.

მოჰმადლა უკუე ღმერთმან წმიდასა თუსსა მადლიცა საკრუ-  
ვლებათა: ბერწთა შვილიერ-ყოფად და ყოველთა სნეულთა კურ-  
ნებად და ბრმათა აღხილუად. და ესრეთ განითქუა ჰამბავი მისი 20  
ყოველსა შინა ქართლსა და მოვიდოდინან წმიდისად სიმრავლენი  
მშაქაცთა, დედაკაცთანი თხოვად მისგან განწმედილისა ლოცუსა  
მისისა. და რა-იგი უისმე უკმნ, მიანიჭებდის ღმერთი ლოცუთა წმი-  
დის, სუსანნამსათა.

იყო ვინმე დედაკაცი მოგვ, ნათესავით სპარსი, და აქუნდა შე- 25  
ლებამ კეთროვნებისა, რომელიცა მოვიდა წმიდისად, ითხოვდა მის-  
გან განთავისუფლებასა სენისაგან. ხოლო წმიდა იგი ასწავებდა  
მოქცევასა ჭეშმარიტისა ქრისტეს ღმრთისად და მო-ცა-იყუნა  
ცნობად ჭეშმარიტებისა და იქმნა ქრისტეანე. ხოლო კურნებამ სე-  
ნისა უბრძანა ესრეთ: „წარვედ, დაო, წმიდად ქალაქად იეროსალი- 30  
მად და შეეხე წმიდათა ადგილთა და განთავისუფლდე სენისაგან  
შენისა“. ხოლო დედაკაცი იგი ერჩდა წმიდასა და ესრეთ მისრული  
წმიდად ქალაქად მიემთხვა კურნებასა და მოქცეული მშუდობით  
მოვიდა წმიდისად მმადლობელი ღმრთისადმი და წმიდისა ლოცუ-  
თად. 35

არარადმესა იქმოდა სხუასა წმიდა იგი, რამეთუ ყოველთაგან  
საქმეთა მსოფლიოთა იყო მოცლილ, გარნა ფსალმუნთა შექსწირ-  
ვიდის ნიადაგ ღმრთისადმი, რამეთუ მცირედთა დღეთა შინა დაის-  
წავუნა ზეპირ და/იკითხვდის საღმრთოთა წერილთა. ხოლო თუ სა-

დამე მოვალნ ვინ და ფრიად იშუთ ნუგეშინის-ცემად მისდა იუბნის მის თანა სულიერად.

მისრულთა მისდა ოდესმე ნუგეშინის-ცემად უწყებულ ჰყუეს სუსანნამ სანატრელი, ვითარმედ შეიღნი შენნი ნამამან თუსმან 5 მოიყუანნაო ცეცხლისმსახურებად. მკამენელმან წმიდამან იწყო ტირილად და გოდებად და თავსა მსცემდა ქუეყანასა ზედა და მწარითა სულთქმითა იტყოდა: „გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო, რამეთუ იყუნეს იგი ჩემდა მოცემულ შენგან, და აწ ჰყავ მათ ზედა ნებისმიერ შენისა და მე საქმეთაგან მტე- 10 რისათა განმარინე“.

განდგომამდე ღმრთისაგან ჰეშმარიტისა მოვიდოდიან წმიდისად შეიღნი თუსნი, გარნა შემდგომად განდგომისა არღარა უტევნა იგინი მისულად თუსდა, არამედ ჰსძაგნ სმენადცა სახელნი მათნი.

მიაეღინნა ოდესმე ვასქენ<sup>1</sup> მოციქულნი წმიდისად და შეჰს- 15 თუალნა მისდა, ვითარმედ: „ჰყავ ნებამ ჩემი და მოვედ პალატად. და თუ სადამე არა მოხვიდე, უწყებულ იყავ, ვითარმედ წარგავ- ლინო კარაულითა ჩორს ანუ კარს“, რამეთუ რომელნიმე აღვიღნი ღროსა მას სახელითა ამით იზედწოდებოდენ. მაგრა არა თავს- იდუა წმიდამან, ვითარცა ერთგულმან შევეალმან ქრისტესმან, გა- 20 მოსულამ სახელისათუს ქრისტესისა პყრობილებისაგან და შეერთე- ბად მსახურისა თანა ეშმაკთასა.

იზრახა კუალად ვასქენ მოგონებამ სხუამ, რათა მოიყუანოსმცა თუსდა ნეტარი სუსანნამ, და წარჰგზავნა მისდა მეგობარი თუსი, რომელი იყო ძუძუსმტემცა მისი, რათა მეცადინმან შეტყუილით 7 25 მოი/ყუანოსმცა წმიდამ იგი პალატად. ხოლო შესრულმან წმიდი- სად კაცმან მან მრავალფერითა სიტყუთა იუბნა მისდა, გარნა მცნობელმან წმიდამან ელოენებისა მათისამან მსთქუა მისდამი ესრეთ: „არქუ უღმრთოსა უფალსა შენსა, ვითარმედ: შენ უკუე მომკალ მე და მკუდარსა ესრეთ მარქუ: ვერღარა გამოხვდე ციხით 30 ცოცხალი ფერკითა. და აწ ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად მკუ- დართა, განალა თრევით განმათრიო“. ხოლო ესმა რა სიტყუამ ესე წმიდისა უკეთურსა მას, მსთქუა, ვითარმედ: „მე ვარქუ მას ჰეშ- მარიტად ეგე“. და გამოყუანებამ ციხით წმიდისა ამისთუს ენება უკეთურსა მას, რათა სხუამ რამმე შეამთხვეოს განსაცდელი, რო- 35 მელიცა-ესე წმიდასა აუწყა ვინმე მისრულმან მისდა, ვითარმედ: „კეთილად ჰყავ არა განსულამ ციხით, რამეთუ სხუამ რამმე გან- ზრახუამ აქუნდა შენთუს“, რომელსაცა მიუგო წმიდამან: „ნუ გო-

1 ~ მოციქულნი ვასქენ B.

ნივსო ღმერთი ძალთა მძინარედ, რომელმან მოჰსცნის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყვს უფალი, ვითარმედ: „სული მამისა თქუენისა იტყოდს თქუენ შორის“<sup>5</sup>.

გამოუთქმელ უკუე არიან შრომანი წმიდისანი, რომელთაცა კშურებოდის პყრობილი, რამეთუ „არა ჰსცა ძილი თუალთა, არცა 5  
პრული წამთა და არცა განსუენებამ კორცთა, ვიდრემდის კპოვა ად-  
გილი უფლისა და საყოფელი ღმრთისა იაკობისი“.

ზედგომით კშურებოდის გალობათა და ფსალმუნთა შინა და ლოცუათა. და საზრდელად მისა იყო პური მცირე და წუენი მხლი-  
სა და წყალი სასმელად. ექუსთა წელთა შინა პატიმარმან არასადა 10  
დაასდუა თაეი სასთულსა ზედა, რამეთუ ქუესაგებელ მისა იყო/ 79  
ნივთი ფრიად უნდომ ძუელი რამმე, ხოლო სასთაულ ნატენი ალი-  
ზისა. ხოლო მოდრეკისათჳს მუკლთაჳა ეგდო ფიჩჳ ბალნისა. და  
ადგილი იგი იყო სავსე გრწყილთა და მატლთა მიერ.

ჰსწერს ხუცესი იაკობ წმიდისა სუსანანათჳს, ვითარმედ: 15  
„დიდთა მარხვათა მათ შინა აღუსებისათა ერგასისთა მათ დღეთა  
ექუსთა წელიწადთა შინა არა დაჯდის დღისი და არცა ღამე, არ-  
ცა ღაიძინის, არცა საკმელი რამმე მიიღოს. გარნა დღესა ხოლო  
კვრიაკესა ეზიარის კორცსა და სისხლსა კრისტეს ღმრთისა ჩუენი-  
სასა და ფრიად მცირედი თდენ მიიღის წუენაკი მხლოსა და პურისა 20  
გემომ არა იხილის ვიდრე აღუსებადმდე“.

ფიცხელ იყო ადგილი, სადა იყო წმიდა იგი პყრობილ, რამე-  
თუ ჟამსა ზაფხულისასა იყო ცეცხლებრ შემწუეელი მკურვალეებამ  
მზისა და ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა  
მკედრნი პირად-პირადთა მიერ სენთა იყუნეს გუემულ, რომლისა- 25  
თჳს ჰსწერს იაკობ ხუცესი: „მოხუცებული არავინ არს ქუეყანათა  
მათ“. ხოლო ესეგუარსა შინა ადგილსა პყრობილმან წმიდამან სუ-  
სანანა დაჰყო წელიწადი ექუსი ფიცხელსა შინა პყრობილმასა და  
მიიწია წელიწადმდე მეშუდედ.

დაეკუეთა წმიდასა სუსანანას წყლულებამცა დიდი, რამეთუ 30  
კჳშირისა ზედგომისაგან დაუსივდეს ფერკნი და დაექმნა წყლულე-  
ბამ დიდი და შალალნი აღმოჰსდიოდეს მათგან და მატლნი დასხ-  
მულ იყუნეს მათ ზედა. გარნა ყოველსავე ღაითმენნ მადლობით/ და V  
სიხარულით.

წინასწარ ჰსცნა სულითა წმიდამან სუსანანა განსულამ მაშუ- 35  
რალთა კორცთაგან და განსუენებამ კელთა შინა ღმრთისათა, რო-  
მელიცა პრქუა ხუცესსა იაკობს, მეგობარსა თჳსსა, მღუდეღსა

• ზღრ. მატთ. 10. 20.

ქრისტესა, აღმწერელსა წმიდისა ცხოვრებისა თვისასა, ვითარ-  
მედ: „აღრე ყოფად არსო დატყეებად უბადრუკთა ამათ კორცთა  
ჩემთა, და შენ ნუ ვისმე მიმართ იტყვ დედოფლობასა შინა ჩემსა  
შინაგან ძაძისა სამოსლსა მოსილ-ყოფასა ჩემსა“, რამეთუ იტყვს  
5 ხუცესი იგი: „შინაგან ძაძად ემოსა და არაიერ იცოდა ჩემსა გარე-  
შე“. ხოლო გარეგან კაცთა თუალისა<sup>1</sup> ანტიოქიისა ემოსა პალეკარ-  
ტი.

წინასწარმეტყულებული იგი წმიდისაგან გამსულად კორც-  
თაგან ესმა რა ჯოჯიკს, წარვიდა წმიდისად და თანა წარიყუანა  
10 ცოლი და შვილნი, მონანი და მკეველნი თვისნი და მისრული ციხედ  
შევიდა მძლავრ წმიდისად, რამეთუ ვერაიერ ეძლო ცხადად შესუ-  
ლა მის თანა, და თაყუანი-სცა პატიოსანსა ჯუარსა და ზოიკითხა  
წმიდა იგი და გამოიკითხვდა მისგან საღმობათა და წყლულებათა  
მისთა. მიუგო წმიდამან: „კეთილ ვარო, ვითარცა უნებს ღმერთსა,  
15 არამედ წარსლულად ვარ გზასა ყოველთა წარსაველსა“.

დავარდა უკუე ჯოჯიკ წინაშე წმიდისა და ვედრებით იტყოდა  
მისდა: „მომიტყევენ მე ბრალნი იგი, რომელნიცა გცოდენ თნიერ  
ნებისა ჩემისა, სძალო და მკეველო ქრისტესო, რამეთუ ფრიადცა  
დაჰმუერ დაღათუ ვასქენის მიმართ შეწვენად შენდა, მაგრა გა-  
20 ჩუენენ შენ უწესობანი რეცა წინააღმდეგომან წმიდათა განზრა-  
ხუათა შენთამან და მაკურთხე/ მე და ცოლი ჩემი და შვილნი და  
80 მონანი და მკეველნი ჩემნი, ნუ მოიქსენებ შეცოდებათა ჩუენთა“.

აღალო ნეტარმან სუსანა წმიდანი ბაგენი თვისნი: „მოგიტყვენეს  
ღმერთმან შენცა და ამათ შეცოდებანი იგი და შეჰსძინნეს დღეთ-  
25 ცხოვრებისა თქუენისათა. ვარნა ვასქენ და მე განვისაჯნეთ მჰა-  
ჯულისა მისგან უთუალღებობასა, რომელი არს მასაჯული მსა-  
ჯულთა და მეფეა მეფეთა, რომლისა მიერ „არა არს პრჩევად მა-  
მაკაცისა, არც დედაკაცისა“\*. მიავოს მას უფალმან ყოველთა მათ-  
თუს, რომელნიცა შემაჩუენნა ძქრნი, რომელნიცა იქმნნეს ჩემდა  
30 ცხოვრებად საუკუნოდ, ვითარ-იგი მან უჟამოდ დაჰმრიტა სანთე-  
ლი ჩემი და ყუაიილი ჩემი დააჰნო და შეუნიერებისა ჩემისა სიკე-  
თემ დააბნელა და დიდებამ ჩემი დააბდაბლა. ვარნა მე აწ ამისთვის  
ექმადლობ ღმერთსა, რამეთუ მპრწამს ღმერთისა ჩემისად და ვესაჲ  
მას, რათა ტანჯუათა და გუემათა მათთვის და პყრობილებათა და  
35 ვასქენის უგულისხმოებითისა ჩემდა უწყალოებობა განსუენებასა  
საუკუნესა მივემთხვეო უფლისა ჩემისა მიერ იესუ ქრისტესა“.

<sup>1</sup> თუალსა A.

\* გალატ. 3,28.

სიტყუათა ამათ ზედა წმიდისათა მსტიროდეს ფრიად ჯოჯიკ და ცოლი მისი და მის თანა მისრულნი. და კუალად ევედრებოდეს ცრემლით: „გუაკურთხენ, სძალო და მოწამეთ ქრისტესო, და მოკუტევენ ბრალნი ჩუენნი“. აკურთხნა წმიდამან ჯოჯიკ და ცოლი მისი და შვილნი, მონანი და მკეველნი, ეზოა და პალატი მისი და სულად გზათა ღმრთისათა ამცნებდა მათ მეტყუელი: „ყოველი კორცი თივა არს და/ ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუაველი თივისა. განკმა თივა და ყუაველი მისი და მსცევა“\*, რამეთუ წარმავალ არსო და დაუდგრომელ საწუთო ესე. და „რომელმან მსთესოს რიღობით, რიღობითცა მოიმკოს და რომელმან მსთესოს კურთხევით, კურთხევითცა მოიმკოს“\*\* და რომელმან „განაბნია და მისცა გლახათა და სიმართლე მისი ეგოს უკუნითი უკუნისამდე“\*\* და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ქრისტესთვის, გინა სახარებისათვის, მან აცხოვნოს იგი“\*\*.

მიმსცეს უკუე წმიდასა მას ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ამბორისყოფად უკანასკნელი და ესრეთ წარმოვიდეს ივინი ციხით, რამეთუ ცოცხალვე იყო ჟამსა მას წმიდა იგი.

ამისა შემდგომად მოვიდეს მთავარეპისკოპოსი სამოილ და იონანე ეპისკოპოსი, რომელიცა განამტკიცებდეს მას წმიდისა მიმართ სრბისა მისისა, და იყუნეს ზიარ შრომათა მისთა. ხოლო მათ თანა ყოველნი კაცნი სამლუდელონი და მთავარნი და აზნაურნი, მამაკაცნი და დედაკაცნი და სიმრავლე ერისა, რამეთუ არათუ რანით და პერეთით, არამედ ქართლისანიცა უაზნონი სოფლისანი მოვიდეს წმიდისად, რათა ზიარ იქმნენმცა ენებათა მისთა მთხოველნი მისგან კურნებისა და შემვედრებელნი თავთა თვსთანი კანდიერებისა მისისა მიმართ, რომელიცა მოიგო ქრისტეს მიმართ.

ითხოვეს წმიდისაგან ეპისკოპოსთა და ყოველთა აზნაურთა, რათა ბორკილი იგი წმიდად, რომელი იყო ფერჯთა მისთა, მიმსცეს მათ მცუელად ქალაქისა მათისა. და ყოველთა მოუგო წმიდამან: „ღმრთისმსახურებისთვის თქუენისა აღავსოს წადილი თქუენი ხუცესმან/იაკობ, რამეთუ მიიღოთ ამისგან ბორკილი ესე ჩემი. ხოლო არარამგესა შემძლებელ ვარ მე, არამედ ზესთა სავსემან ქრისტემან ღმერთმან აღგავსენინ თქუენ ყოველითა კეთილითა“, რომელიცა მოშუერით ჩემდა და ეზიარენით ენებათა იმით ჩემთა და ჭირთა. გარნა მე, საყუარელნო, წარულად გზასა მას საუკუნისა და სატანჯუელთა და ჭირთა ამათ ჩემთათვის ქრისტემან მომმადლოს მე

\* ისაია 40.6-7. \*\* 2 კორ. 9.6. 3\* ფსალ. 111.10. 4\* მარკ. 8.35.

განსუენებამ და გუემათა და თრევათა და შეურაცხებათა—დიდებამ და პატივი წმიდათა თანა დაუსრულებელი“.

მისრულნი იგი მმადლობელნი ღმრთისადმი, რომელმანცა განაძლიერა მოწამემ თსი, წარმოვიდეს ციხით.

- 5 ხოლო ოდეს მოიწია ეამი უკუდავისა მიერ სიძისა მისდამი წოდებისა სძლისა თსისა, მოუწოდა სძალმან და მოწამემან ქრისტესმან ეპისკოპოსსა სახლისა თსისასა აფოტს და მადლობასა აღუარებდა მოწლეობისათს მისისა და სიყუარულისა, ვითარცა მამასა, და შევედრა მას ხუცესი იგი თსი იაკობ და სხეული თსი უბრ-
- 10 ძანა დაფლუად ადგილსა მას, სადამთცა განითრია პირველად, და იტყოდა მათდამი: „უკეთუ ღირს ვიყომცა თქმად ამისა შეათერთმეტე ესე მუშაკი ვენაჯისა, იყუენით კურთხეულ მამისაგან და ძისა და სულისა ყოვლად წმიდისა“. და პსთქუა კუალად: „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩუენი, რათა „მშუდობით დაეპსწვე და დაეი-
- 15 ძინო“. და ესრეთ ყოვლად უბიწომ სული თსი შეკვედრა ჳელთა ღმრთისათა.

- მოვიდა უკუე ეპისკოპოსი იოანე მრავალენებულსა მას სხეულსა ჴედა, რომელიცა ეზიარა კორცითა მკუდარსა მას სხეულსა ღმერთმამაკაცისა/სიტყუსასა, და მოიღო არმენაკი სუფთამ და ამით
- V ეზიარა ნეტარსა იოსებს არიმათიელსა და განბანეს წმიდანი იგი
- 20 კორცნი, დაწყლულებულნი და მატლთა მიერ აღუსებულნი, იოანე და აფოტ ეპისკოპოსთა და არმენაკითა მით სიდონითა შემოსეს იგი. ხოლო აღიდეს ორთავე ეპისკოპოსთა, რომელთა თანა იყო სიმრაველი კრებულისა სამლუდელომსა, და ლამპრებითა და კმევითა
- 25 საკმეველთათა წარმოიდეს ციხით და მიიღეს წმიდად ეკკლესიად, რომლისა ეზომასაგან განითრია პირველად, და დაპკრძალნეს წმიდანი იგი ნაწილნი მისნი წმიდასა მას ეკკლესიასა შინა პატივითა დიღითა და შე-რა-მწუხრდა, ლამეა იგი განათიეს ეპისკოპოსთა და ყოველმან კრებულმან სამლუდელომან ფსალმუნითა და გალობითა.
- 30 აღმარულა უკუე მოწამე და სძალი ქრისტესი შუშანიკ თთუესა ოკდონბერსა, ათმუდმეტსა ექუს წელ პყრობილი პატიმარი და შეურაცხქმნილი, თრეული და გუემული და შებორკილებული და წყლულებითა იობ სანატრელისა მიმპსგავსებითა წყლულებათა განმაცხოველებელთა ჩუენთა თაესა შორის თსსა დამხატუელი.
- 35 მქსმენულმან ვენბათა და სიკუდილისა სანატრელისა სუსანნამსთა მეფემან აფხაზთა და ჳართუელთამან ბაკურ შეპკრობნა ლამქარნი თსნი ფარულად და განიშვედრა ვასქენს ჴედა. ხოლო დრო-

\* ფსალ. 4,8.

სა მას ვასქენ მდგომარე იყო კიდესა მტკუარისასა, სადა-იგი შთა-  
ვარდების მტკუარსა შინა მდინარე ანაკერტისა, და ზედა დაესხა  
ვასქენს/და შეიპყრა იგი და მრავალდაწყლული მახვლითა ვასქენ 82  
მოჰკიდა ძელსა ზედა.

იტყუს ძუელი უკუე მატთანე ჩუენი, ვითარმედ: „მეფემან ბა- 5  
კურ წარმოიხუნა ნაწილნი წმიდისა სუსანნასანი დიდითა პატივითა  
ცორტავს“. ხოლო მე ვჰგონებ, ვითარმედ ეკკლესია იგი, სადაცა  
იტყუს ხუცესი იაკობ დაფლუასა წმიდისა სუსანნასა, არს ცორ-  
ტავს.

„მშუდობა ძმათა და სიყუარული სარწმუნოებითურთ ღმრთისა 10  
მიერ მაშისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. მადლი ყოველ-  
თა თანა მოყუარეთა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესთა, ამინ“.

/ვახსება და: მოთხრობაჲ ლაწლთა და ვნებათა წმიდისა გლადელ- 83  
მოწამისა აბიბოს ნაქრეს ქალაქის ეპისკოპოსისთა, ქმნილი  
ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოველისა ზემოჲსა  
საქართუალჲსა, დავითიან-გაზრატოვანისა

აბიბოს ბრძენსა, მცხინუარედ აღმომზესა,  
ნათლისა ძესა, ვნებათა ზესთა ზესა,  
გონება დღესა, ცნობათა განმადღესა,  
ბრკმულთა ბაგესა, მადლ-მადღენსა ბაგესა,  
მმარხუელთა მზესა უძღუანი დღეს შესხმა ლექსსა. 20

### სიტყუა მეზუთე

„ვაქებდეთ კაცთა დიდებულთა, მამათა ჩუენთა“<sup>1</sup>, რამეთუ  
იმათ დაამტკიცეს ჩუენდა საზღუარნი, რომელთა „არა ცუალე- 25  
ბად“<sup>2</sup> გუასწავებს წერილი.

საქებელ არიან მამანი ჩუენნი, რამეთუ არიან დიდებულ და  
ლაამტკიცენს ჩუენდა საზღუარნი ნამდულ ჰეშმარტისა სარწმუნო-  
ებითისა სჯულისანი, რომლისა უცუალეებულად დაცუამან ჩუენ

<sup>1</sup> და—B. <sup>2</sup> მოთხრობა—B.

<sup>3</sup> ეუეს. 6,23-24. <sup>4</sup> ზირაქ. 44,1. <sup>5</sup> უღრ. 2 სჯულ. 19,14.



- შორის გამოიღო ნაყოფი, ესე იგი მწყემსობაჲ მოციქულებრი, მღუღელობაჲ ჭეშმარიტი, არა უცხოთა ცეცხლითა სურვილისათა უცხოხალადმი ღმრთისა აღკვეჲამ საკმეველთა, ესე იგი უნიეთთა ტრფიალებითთა ვედრებათა ერისათჳს და თავისათჳს თჳსისა,
- 5 „არცა სისხლითა ვაცთა და ზუარაკათათა და ნაცრითა დიაკეულთათა განწმედად ცოდუათა ერისათა“\*, არამედ მღუღელ-მოქმედებაჲ მამისა ღმერთთ-მთაერისა მიმართ, შეწირუა „ტარიგისა უბიწოხსა და უმანკოხსა ქრისტესი“\*\* განწმედად ცოდუათა და ცხოვრებად სოფლისა, ზოლო ტრფიალებითისა უნიეთოხსა ვედრებისა შეწირუა
- V 10 ნამდულ სატრფია/ლოხსა და საწყურისა ყოველთა არხთასა, მარტულობაჲ, რომელ არს სისხლითა ზიარებაჲ ღმერთ-მამაკაცისა სიტყჳსა, მონაზონებაჲ, რომელ არს შემხოლოებაჲ სასუფეველისათჳს ცათასა, საქურის-ყოფაჲ თავით თჳსით, ანუ სძალ-ყოფაჲ ნებსით ქრისტესდა და ყოვლითურთ აღებაჲ ჯუარისა და შედგო-
- 15 მად და შეწირუა მისდა თავისა თჳსისა, რომელმანცა იტურთა ჯუარი და „გარეშე ბჳეთა“<sup>3\*</sup> ივნო შემწირულმან მამისა მიმართ თავისა თჳსისამან და თთოეული მდგომარეობაჲ კეთილმსახურებრი დაცუთა ყოველთა მცნებათა ქრისტესთა.
- ნამდულ საქებელ არიან თქმულნი ესე მამანი ჩუენნი, რამეთუ
- 20 მათ მიერ განეფინა სახარებაჲ ქრისტესი ყოველსა სარმატიასა აზიურსა და ყოველსა ივერიასა და მისწუთა საზღუართამელ სპარსთა და სკვთასა და აღავსო მიდიამ, ხალდიაჲ და სირიაჲ.
- „შუენიერ არიან ფერკნი მამათა ჩუენთა ჩუენდა მახარებელთა მშუღობისათანი“<sup>4\*</sup>, რამეთუ მოციქულებრი არს სრბა მათი,
- 25 ესე იგი სახარებისათჳს ქრისტესისა, „რათა არა ცალიერ იყოს ჯუარი იგი ქრისტესი“<sup>5\*</sup>.
- ლიღებულ არიან მამანი ჩუენნი, რამეთუ ცხოვრებაჲ ანგელოსებრი მოაქუსთ ჯორცთა შინა და ზევებულ არიან ბუნებასა ზედა მძლე სოფლისა და ღმერთ ეშმაკთა ზედა, წინასწარმეტყუელებენ
- 30 ყოფადთა, ითხველიან ზღუასა შინა ამის სოფლისასა სათრომელთა
- 84 ბადეთა სახარებისათა, განჰყოფენ დინე/ბათა მდინარეთასა შესუღლითა მას შინა ფერკთა თჳსთა წმიდათათა, ვითარცა სხუანი ოქროვილნი კიღობანნი წამებისანი, მექონნი თჳს შორის ღუთიუწერილთა<sup>1</sup> ფიცართა, ესე იგი ღუთიუ-დაწერილთა<sup>2</sup> ბაგეთა თჳსთა-
- 35 ნი, კელთა თჳსთა წმიდათა იქმენ ჰაყუალ ცეცხლოვან შეუწყუელ

1 ღუ-წერილთა AB. 2 ღუ-დაწერილთა AB.

\* შღრ. ებრაელ. 9.13. \*\* შღრ. 1 პეტრე 1.19. 3\* შღრ. ებრაელ. 13.13. 4\* შღრ. ესათი 52.7. 5\* I კორ. 1.17.

ანუ საკურთხეველ საკმეველთა“, გუელთა საშინელთა სიდიდითა ნაკუთისათა და სიდიდითა გესლისათა ზეცით გარდამოყუანებითა ცეცხლისათა დაჰსწუნენ, ყრმათა საშოთ დედისათ ატყუებენ მწურეულითა კურთხთა თუსთათა, ბორცუთა და მთათა ზედა აღჰყაესთ მდინარენი, საკერუელებენ ფერად-ფერადითა ნიშებითა, ბერწობითა საკრუელთა განმკსნელნი, მკუდართა ცოცხალადრე წარმომადგენნი, შობითგან ბრმათა განმანათლნი, მკელობელთა და კოჭლთა მავლინებნი, განრღუეულებნისა საკერუელ მკურნალნი და ეშმაკთა ადგილთაგან თუსთა განმსხმელნი და ყოველთა სენთა კურნებითა საკერუელთ მოქმედებენ: უდაბნოთა ქალაქ ჰყოფენ და გუნდთა ქალწულთა მამაკაცთა და დედაკაცთასა განამრავლებენ. ამისთვის უკუე ვაქებდეთ მამათა ჩუენთა კაცთა ესეგუარ დიდებულთა.

ესენი უკუე მამანი ჩუენნი, კაცნი დიდებულნი, რომელთა დაამტკიცენს ჩუენდა საზღუარნი, თქმულნი არიან სირიამთ აღმომზენი და ჩუენშორისთა სიბნელეთა განმამზენი. ვიტყვ ნეტარსა იოანეს, გვრგენსა მმარხუელთასა, და მოწაფეთა მისთა, რომელთასა/ უწყებულ ვართ: „მოიწიჱო იოანესა ბრძანებამ ზეგარდამო, რათა გამოირჩიენს ათორმეტნი მოწაფეთაგან თუსთა ძლიერნი სიტყუთ და საქმით და წარვიდენ ქუეყანად ქართუელთა და განამტკიცენ ერნი სარწმუნოებასა ზედა, რამეთუ ახალ-ნერგ იყუნეს მაშინ ქართუელნი“.

მოვიღებ სიტყუათაგან მარტურის ვისმე მონაზონისა კოსტანტინუპოლელისათა, რომელი იყო მოწაფე ნეტარისა იოანე დიდისა მოძღუარისა ამათ მამათასა, ეითარმედ: „იოანეს მოძღუარსა მამათასა გამოუჩნდა უფროსად სანატრელი იგი ქალწული, დედა განკორციელებულისა სიტყუსა, და უბრძანა აღრჩევაჱ ათორმეტთა მოწაფეთა და მათ თანა წარმოსლუჱ საქართუელოდ განათლებად ქართუელთა ნათლითა ჰვეშმარიტებრისათა. ხოლო ნეტარმან იოანე დაჰსწერნა სახელნი ყოველთა მოწაფეთა თუსთანი და დაჰსხნა იგინი წმიდისა ტრაპეზსა ზედა, რომელთაგანნი სახელნი ათორმეტნი თუთოეულსა ქარტასა ზედა წერილნი მოეცნეს ცხადად ქელთა შინა ანგელოსისაგან უფლისა, რომელთა თანა მოსრულმან უცხომან მან უცხონი დაგუაგნა ღმერთსა“.

ხოლო ჩუენ დაღათუ „არდა ვიყუენით მონა, არამედ მკვდარ“, გარნა ყრმა ვიყუენით ცნობითა უფლისა მიმართ და ესენი უკუე „ეზოსმოძღუარნი და მენნი“<sup>30</sup> სახლისა უფლისანი მოსრულნი ჩუენდა, ნონნას მიერ განათლებულთა ნათლითა წმიდისა სახარებისათა და აღმომობილთა სახელითა ყოველად წმიდისა/ სამებისათა

\* შტრ. გამოს. 3,2. \*\* შტრ. ვალატ. 4,7. 30 შტრ. ვალატ. 4,2.

5  
10  
15  
V  
20  
25  
30  
35  
85  
107

- გუყოფენ შულ ღმრთისა. განმარტებითა სარწმუნოებისა ქრისტესითა განგვმარტებენ მადლსა ჩუენდა შვილებისა ღმრთისასა და უწყებულ გუყოფენ და მორწმუნე, რამეთუ ვართ შვილნი მით, რომელ „გამოავლინა<sup>1</sup> ღმერთმან სული ძისა თვისისა გულთა შინა
- 5 ჩუენთა, რომლითა ვლალადებთ: „აბბა მამაო“<sup>2</sup>, და „ამიერიტგან არღარა ვართ მონა, არამედ შვილ, ხოლო უკუეთუ შვილ, მკედრცა ღმრთისა ქრისტეს მიერ“<sup>3</sup>. ხოლო რომელთა-ესე „არა მოგვლებიეს სული იგი მონებისა, რათამცა კულად გუეშინოდა, არამედ მოგვიღებიეს სული იგი შვილებისა“<sup>4</sup>, მადლნი ესე ჩუენდა
- 10 ვიცანთ განმარტებითა თქმულთა მათ მამათა ჩუენთათა, რომელთაცა განგვმარტეს სიბრძნეი იგი მოცემული ჩუენდა მამისაგან ნათელთასა, რომელ არს „სიბრძნეი ღმრთისა საიდუმლოდ დაფარული იგი, რომელიცა პირუელადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სადიდებელად ჩუენდა“<sup>5</sup>.
- 15 ამისთვის უკუე ვაქებდეთ კაცთა მათ დიდებულთა, მამათა ჩუენთა, რომელნი არიან რიცხვთ მსწორნი კრავისა მოციქულთანი ათორმეტნი: ათორმეტნი იგი სპეკალნი სამლუდელოჲსა სამოსლისანი, ათორმეტნი იგი ქუანი საკურთხეველისანი, „ათორმეტნი იგი წყარონი“<sup>6</sup> უდაბნოსა ზედა, ესე-იგი ჯერეთ უდაბნობასა ზედა
- 20 უმეტერებისასა შავალთა ჩუენ ერთა მასმევენი წყალთა ცხოველთა, რომელნიცა „მსდიოდეს მშუცლისაგან მათისა“<sup>7</sup> სულითა წმიდითა. ესენი არიან ზოდნი ათორმეტნი შემწყნარებელნი თეს შორის
- V უზადოჲსე მზისა ერთისა სა/მობასა შინა ცნობილისა, ესე იგი სიმგრგულესა შინა შარავანდელსა და ნათელსა, რომელთაგან ერთი
- 25 წინამდებარებს დღეს ჩუენდა შესხმად და გალობად. და ესე არს მლუდელმთავარი ქრისტესი და მოწამე აბიბოს საკურუელი. ხოლო ვინამთგან წინამდებარებს ესე ჩუენდა შესხმად და გალობად, სათანადო არს ჩუენდა პირუელად ცნობაი ვითარებისა მისისა და მერმელა გალობად და ქებად მისდა, ვითარ-იგი ცხოველ
- 30 მხატუართა თანა-აძს პირუელად ცნობაი ვითარებისა შავალითთასა და მერმელა ცხოველ ხატად გარდამოხატუად მათი, რომელიცა სათანადოებს გარდამოხატუად.
- მიხედავს რა გონება წინამდებარესა ჩემდა საგალობოდ, ილექტროსფერობს გონებისა ჩემისა სარკესა შინა მლუდელობა იგი მისი
- 35 წმიდა, რამეთუ აკრთოლუებს მზიურთა შარავანდელთა. და ესე მო-

<sup>1</sup> გამოვლინა B.

<sup>2</sup> ვალატ. 4,6. <sup>3</sup> შდრ. ვალატ. 4,7. <sup>4</sup> შდრ. პარ. 8,15. <sup>5</sup> შდრ. 1 კორ. 2,7. <sup>6</sup> შდრ. ვამოს. 15,27. <sup>7</sup> შდრ. იოანე 7,38.

უციეს ამით, ვითარმედ „დადგა იგი მთასა უფლისასა და ადგილსა მისსა წმიდასა“ უბრალოებითა კელისათა და სიწმიდითა გული-სათა, რამეთუ უნიეთობენ კელნი მისნი მოგებისა მიმართ და ნიეთიერებენ გლახაკთად და უცხოთა წარგებისად. ამისთვის აღი-პყრობიან ღმრთისადმი შეწირუად ვედრებათა ერისათა და შესა-ბამ მღუღელ-მოქმედებენ ტარიგსა ღმრთისასა შეწირუად მაჰი-სად და ღირსთა კელის-დასხმად უბრალოთა მღუღელთა და დია-კონთა და მნეთა ეკკლესიისათა.

/„მგორულებს ქუათაებრ“<sup>1</sup> წმიდათა მოციქულებამ ჩუენდა მისი წმიდა, რამეთუ მიმოსულითა ადგილითი-ადგილად გუახარებს ქრისტესა, უღმრთოთა საკერპოთა კმათა დაადუმებს, უღმრთოთა-გან ოცნებულთა ღმრთად ძელთა და ქუათა და ცეცხლთა შემუს-რავს და დაშრევს, ბოჰონთა და საკურთხეველთა მათთა აღძვხუ-რის, ერთა განწირულთა უღმრთოებითთა ძლით უმეცრებლსა მეც-ნიერებათ კუშმარტებისა მოიყუანებს, „არა ერთა ერ ღმრთი-სა და არ შეწყალებულთა შეწყალებულად გამოაჩინებს“<sup>2</sup>, უცხოთა და განდგომილთა და მტერთა „ნათლისცემითა სახელითა მაჰისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“<sup>3</sup> შულ ღმრთისა ჰყოფს, ღირსთა „მირტევებისათა მიუტევებს ცოდუათა და ღირსთა შეპყრობისათა შეიპყრობს“<sup>4</sup>, დაფარულთა და ძნელთა საიდუმლოთა აღჰსქნის ადვლად და ჩუენდა გზად ცხოვრებისა და სიმდიდრედ წარუბარუ-ელად ჰყოფს მათ.

ხოლო თუ სადამე მიჰხედოს გონებამან წამებასა მისსა, რომე-ლი ჰსწამა წინაშე მძლავრთა, ჰჩინს იგი, ვითარცა ანდამატინი და ვითარცა იასპი, რამეთუ მტკიცე არს და განუყუეთელ და სხუათა მეუეთრ აღმოჩინებამ იგი, რომელიცა აღმოაჩინა მან წინაშე მარზაპანისა დამბადებელისათუს და დაბადებულთა, რამეთუ მისი არს წინადადება ესე: „ერთი არს შემოქმედ და აღმგებელ და ყოფად მომყუანებელ ყოველთა არსებათა თითოეულთა<sup>1</sup>, უკუდავ, უხრწნელ და საუკუნო. ხოლო დაბადებულნი იგი, რომელსა/ცა თაყუანის-ცემთ<sup>2</sup> თქუენ და ღმრთად ოცნებულ არიან თქუენდა, მექონნი ანუ სიკმელისა და სიმკურვალისა<sup>3</sup>, ანუ სიმკურვალისა და სინოტიისა, ანუ სინოტიისა და სიგრილისა, ანუ სიგრილისა და სიკმელისა. თუ სადამე აღემატა თუსებამ ერთი მეორესა ზედა, იხრწნების იგი მდგომარეობისაგან ყოფითისა, რომლითაცა დაჰშრ-ტა და მყოფი უმყოფო იქმნა ცეცხლი იგი, ღმერთი თქუენი“.

1 თთოეულთა B. 2 თაყუანის-ჰსცემთ B. 3 სიმკურვალისა B.  
• შდრ. ფსალ. 23,3. \*\* შდრ. ზაქარ. 9,16. 3° შდრ. ოსე 2,22-23. 4° შდრ. მატთ. 28,19. 5° შდრ. იოან. 20,23.

ანდამატილებს სიმტკიცითა და განუკუეთელობითა გონებად მისი წმიდა, რამეთუ, თუ სადაჲე დაჰსჭირდეს ნამდულ სატრფიალომა და საყუარელისა თუსისა ქრისტესტუს, არა ეშინის შეხებად ჯორცთა უძღურთად მძნუარებისაგან მკეცთასა, რკინათაგან 5 მახულთა და განკურნებულთა, მოტყინარეობისაგან მძაფრ აღგზებულისა და მფოფინარეობისაგან საკმილისა, სიღრმეთაგან და უფსკრულთა წყალთასა, სიღრმეთაგან საშინელ სახილაეთა კლდეთა და კაპანთასა, დაქოლუათაგან, პყრობილებათაგან, იავარ-ქმნათაგან, ექსორიობათაგან, მჰსაჯულთა, მჰსწრაფლ დაჰჯსნადისა სი- 10 მადლისა და მძღავრებისაგან, სიფიცხისაგან მტარულთასა, გუემათაგან და კავშირთა სულისა და ჯორცთასა განჯსნისაგან ამად, ვითარმედ გულსმოდგინე არს წმიდა იგი სული მისი.

იიასპებს ყოელად წმიდა იგი სისხლი მისი, მსჭვრს, ლაპლა- 87 15 პებს, მკრთოლუარებს, ძვრფასებს, უსასყიდლოებს, საკკრუელებს, ჩემსა წმიდასა ეკკლე/სიასა, ვიტყუ უკუე სამოციქულოსა საყდარსა ყოელისა ზემომსა საქართუელომსა მაშათმთავართასა, სასძლოსა სამოსელსა უღებავს პორფირად, ეძვრფასდიადიმების მას, ეფარდულ-მანიაკების ორთა ძუძუთა მისთა უხრწნელთა და ქალწულებერთა, რომელიცა სოლომონ ქებათა ქებათასა ამსგავსა<sup>1</sup> იგი 20 „ორთა მარჩბიეთა თიკანთა ქურციკისათა“, უხრწნელთა სძეთა გამოზრდად ძეთათჳს განუმრავლებს. კუალად მრავალ პყოფს „თაფლსა და სძესა ქუეშე ენასა მისსა, გოლთა დამოწუეთილთა ბაგეთაგან მისთა“<sup>2</sup> ვანუყოფს უხუად მორწმუნეთა.

თუ სადაჲე მიხედოს გონებაჲან ყოელად წმიდასა მას ფილო- 25 სოფოსობასა მისსა, მსჩანს ფერებითა მგლოვარებისათა და წურთითა სიკუდილისათა და ძვრფასობითა, ვითარცა ქუა სააფირონისა ანუ სამარაგდომსა, რამეთუ ყოველივე მისი არს განკარგულ მგლოვარებითა ამად, ვითარმედ იწურთიდა იგი სიკუდილსა ნიადაგ, და ზედ მიწვენილი ნიეთთა და მიზეზთა მათთასა, რომელნიცა არიან 30 ანუ იქმნებიან, აღიყუანებდის ცნობასა განუსაზღურებელისადმი არსისა საჭიროისა, რომელი არს თუთ მიზეზი შემოქმედებითი მოგონებისა ყოველთა არსებათასა ღმერთმთავრობითითა მით ყოელად წმიდითა გულისხმის-ყოფითა, და უწინარეს საუკუნეთა მოგონებულთა მათ არსებათა დროსა შინა ყოფად მოყუანებითა ყო- 35 ლად წმიდისა მიერ ნებისა თუსისა. ვინამცა მხედვიდის მარადის მხოლოობასა/მას განუსაზღურებელსა არა ნათესავსა სახეთად

1- ამსგავსა B.

2- შღრ. ქება 4,5. \*\* შღრ. ქება 4,11.

თუთოეულთა განყოფილსა და არცა სახესა ნათესაეისა ქუეშესა ანუ სახეთად და ანუ განუუეთელთად განყოფილსა, რომელიცა ესე ყოველი განსაზღვრებულთა არსთაგანი არს, არამედ მარტივისა და განუსაზღვრებელსა, სამარადისოსა და უკუდავსა ყოელად ძლიერსა, მიუწთომელსა, უხილავსა, შეუხებელსა, შემოქმედსა ყოველთასა, რომელიცა თუ სადამე წარმოდგეს გონებასა შინა უაზნაურესსა მას და უკეთილშობილესსა ძალსა სულისასა, ხოლო წადებდეს სული სრულიად მიწთომად და შეპყრობად, უწინარეს მიწთომისა ივლტუს იგი სიმაღლედ და ჰსცნობს სული დაბადებულნი, ვითარმედ არს დაუსაბამო, ხოლო ივლტუს სიღრმედ და მსცნობს, ვითარმედ არს საუკუნო და იმრ ყოველთა კიდეთად და მსცნობს გარეშეუწერელ, ხოლო ყოველისა ამისთვის მსცნობს სულ განუსაზღვრებელ.

ხოლო ვინამთგან „სულ არს ღმერთი“\*, ვინა სულსა შინა იცნობების გონება, სიტყუა და სული და სამთა ამათ შინა სული. და სული, გონება და სიტყუა და ცხოვლობა ანუ სული, და ესენი სულ. ამად ვითარმედ გონება, ვითარცა წყარო სიტყუსა, იცნობს თავსა თვისსა, რამეთუ არს არსება უკუდავ და განუსაზღვრებელ. ხოლო არს ცნობა ესე სიტყუა. და ცნობა ესე არღა განვიდეს გარეგან სიტყუსა თუთებისა. ხოლო ვინამთგან არს გონება სულისაგანი განუყოფელი თუთება პირეული და არს მხოლოდ წყარო სიტყუსა, მხოლოდ/წყარო არსცა ცხოვლობისა ანუ სულისა. ესრეთ არს ცნობამ ღმერთთ-მთავრობითისა ერთობისა და სამობისა, რომელსა მიზეზად არსთა ყოველთა მოგონებისა და ქმნისად ჰხედვიდის და მსცნობდის დღეინდელი ესე სურვილით საგალობომ ჩემი, ხოლო იხარებდის ამას ზედა, ვითარმედ ერთი ღმერთთ-მთავრობითისა სამობისაგანი, რომელ არს სიტყუა თანამსწორი ღმერთთ-მთავრისა მამისა, „რომელი-იგი დაადგინა მკედრად ყოველთა, რომლისაგანცა შექმნა ღმერთმან საუკუნენი, რომელი-იგი არს ბრწყინვალეზად დიდებისა და ხატი ძლიერებისა მისისა“\*\*, ჩუენდა „მოავლინა ღმერთმან შობილი დედაკაცისაგან“<sup>3</sup>, რათა ხატი თვისი ხრწნილებასა შინა მყოფი უხრწნელუბადრე და განღმრთობად მოიყუანოს. ამისთვის დამდაბლდა „და ხატი მონისა მიიღო და მსსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იპოვა ვითარცა კაცი, დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილადმდე და სიკუდილითა მით ჯუარისათა. ამისთვისცა იგი ღმერთმან უმეტესად აღამაღლა“<sup>4</sup>,

\* იოან. 4,24. \*\* ებრ. 1,2—3. <sup>3</sup> გალატ. 4,4. <sup>4</sup> ფილიპ. 2,7—9.

რამეთუ აღადგინა იგი შესამესა დღესა ცხოველად, ვითარცა თქუეს საღმრთოთა წინასწარმეტყუელთა, და კორცითა ამაღლებული „ამაღლდა ზედა ყოველთა ცათა“ და „დაჯდა მარჯუენით ღმრთისა, რამეთუ ამაღლდა ზეცად და დაემორჩილნეს მას ყოველნი კელმწიფებანი და ძალნი“<sup>1</sup> და „მას შინა იხილუების ყოველივე საესებად ღმრთაებისა კორციელად“<sup>2</sup>. ესრეთ უკუე ფილოსოფოსებდის წმიდა იგი ცნობასა არსთა და მიზეზისა მათისასა.

V ხოლო წურთასა სიკუდილისასა ნიადგა გლახაკი სუ/ლითა და მგლოვარე გულითა, რომლისათჳს სიჭაბუკესა შინა მყოფი ახალსა 10 ნეტარსა იოანეს თან-მიენერგა ნებსით აღებითა ჯუარისათა და შედგომითა ქრისტესად და პრჩეული ღმრთისა მიერ ქადაგად და წინამძღუარად ჩუენდა, შუამდინარით ივერიად მოიწია მოძღუროსა თჳსისა თანა წმიდისა და წმიდათა ძმათა თჳსთა.

ესე ქალწულებითა მით მალლითა, აღუშლელითა მით ბეჭდი- 15 თა ბეჭდული წმიდითა, სიკუდილადმდე შობითგან ანგელოს კორცთა შინა იქმნა სხუა იერემია, განსრული სოფლით მშობელთა და ნათესაეთაგან, უზრუნუელი სოფლისათა მიმართ, ღუთიუ-მკსარბოლი უცხოებით, სინანულისა ბრძმედსა შინა წთობილი, ქრისტესდა მიკმსგავსებული მორჩილებითა, ფილოსოფოსი წურთითა სიკუდი- 20 ლისათა, გლოვითა ნათელღებული ღლითი-ღღე, ძნიად საპოენელითა ურისხუელობითა წმიდა ქმნილი, ცოდუათდამკსნელითა ძრუქსენებლობითა ყუაველოვანი, ხოლო არა განკითხუთა მოყუასათათა ღირსი ქებისა. ესე დამცუელი სულისა ღუმილითა ბაგეთათა და სიმართლისა მოგებითა უწულილესისა ცა ტყუვილისა თჳსგან გან- 25 მფხურელი, მარადს მხიარული სულითა და დამკსნელი დაქსნილისა მოწყინებისა, ძნიად მოსაგებელისა კრძალულებისა და მარხუსა მომგებელი, სხუა ანგელოსი უხრწნელითა და კეთილსაზილავითა სიწმიდითა, მძლე კერძთმსახურებისა ანგაარებითისა, ამაღლებული 89 სოფ/ლისაგან უნიეთომთა უპოვარებითა, შემცუალებელი კეთილ- 30 გონიერებად დაწყებითგან ქრისტესდა მისულისათ უგრძნობელისა მას უღმობელობისა და გულმძიმეობისა, ზოგად ცხოვრებულთა შორის მგალობელი და მედღესასწაულე ღმრთისადმი და ღოცუათა ძმათა თანა შემწირუელი გულსმოდგინითა და ღმრთისმოყუართა სულითა და კორცთა ყოვლითურთ განმტკიცებითა და განათლუ- 35 ბული მღუძარებითა.

დამთრგუნუელი უმკნომსა სიჯაბნისა და მოშიშებისა, შემმუსრუელი მრავალ-ზატისა და მრავალ-თავისა ცუდღიდობითისა

<sup>1</sup> ეფეს. 4,10. <sup>2</sup> შტრ. 1 პეტ. 3,22. <sup>3</sup> კოლას. 2,9.

გუელისა, საყდრისაგან ღმრთისა, გონებისაგან თვისისა გარდამომ-  
 თხევი ეშმაკებრთა ძალთა ზუაობითთა, განსწავლული ქრისტეს  
 მიერ უმანკოებისა მიმართ და სიმარტივისა ყოვლად წმიდისა მის  
 ირემისა, მდაბალ მზრახუელობისა წმიდათა მიერ მსჯაათა გულის-  
 ხმისყოფისა წმიდისათა, გამომზრდელი ნათლისა მის ზენაჲსა განმ- 5  
 მსჯელობითისა ყოვლად განწმედითა გონებისა და გულისხმის-  
 ყოფისათა მკმეველი, ყოვლად უზრუნუელსა ცასა ზედა მყუდროე-  
 ბისასა ამაღლებული, ანგელოსებრთა მათ უნიეთოთა ლოცუათა  
 შემწირული ღმრთისად და უენებელობისა ლიმენასა შინა ღმერთ-  
 ქმნილი ყოვლად წმიდითა სარწმუნოებითა, სასოებითა და სიყუა- 10  
 რულითა.

ესე მმარხუელობისა და კრძალულებისა სარკესა ზედა შარა-  
 ვანდელთა რა უბრალოჲსა მღუდელობისათა შეკმუსრვიდა და მით  
 ყოვლად წმიდათა/ნათელთა უკმოაქცევედა ერისად, მსთნდა მაშინ- V  
 დელსა მამათმთაერასა ქართულთასა ევლავიოსს ნეტარსა და იძუ- 15  
 ლებით მოყუანებული მოდრკა მორჩილებად მამისად მოციქულებ-  
 რისა და მღუდელმთაერად ნეკრეს ქალაქისა კელდასხმულ იქმნა  
 კრებით კჳსენებულისა მამათმთაერისაგან და ნათელი სასანთლესა  
 ზედა მდგომარე „არა ეკმირსა ქუეშე“\* მარტოდ სულისა თვისისა  
 მაცხოვარებისასა დაიფარა, არამედ მრავალთა სულთა განათლე- 20  
 ბად ნათლითა ქრისტეს მიმართ ცხოველისა სარწმუნოებისათა  
 დაიდგინა. ეპისკოპოსობდა, ვითარ-იგი ისწავა მოძღურისა თვისისა  
 პავლესგან, „ზედა მდგომარე (სამწყსოჲსა თვისისა) ჟამითი უჟამოდ  
 მხილებითა, შერისხუთა და ნუგეშინისცემითა“\*\*, „უბრალოებდა  
 მჰსგაესად საშოილისა ერისა მიმართ თვისისა, რა ვისიჲმე შემაიწ- 25  
 რებელი რამედ, არცა ვისგანმე მიმღებელი რამდენსა სასყიდლად“\*\*  
 სახარებისა, „დაღათუ ესე შესაძლებელ იყოცა, არამედ სხუა ვინმე  
 პავლე ახარებდა უსასყიდლოდ“\*\*

მახარებელი ესე ერისა თვისისად, „სტუმრის მოყუარე, კეთი-  
 ლის მოყუარე, წმიდა, მართალ, ღირს, მოთმინე, თავსმდებელ 30  
 მჰსგაესად მოძღურებისა მის, ხოლო სარწმუნოებისა სიტყუსა შემ-  
 ძლებელი ნუგეშინისცემადცა მოძღურებასა მას შინა სიცოცხლი-  
 სასა და სიტ/ყუს მგებელთა მამხილებელ“\*\*.

ესე უკუე შეკმუსრვიდა კერპთა და ცეცხლსა, ღმრთად ოცნე-  
 ბულსა მათ მიერ, დაჰშრეტდა, უღმერთოთა არწმუნებდა ქრისტესა 35

\* შღრ. მატთ. 5.15. \*\* შღრ. 2 ტიმოო. 4.2. 3\* შღრ. 1 პეტე. 12.3. 4\* შღრ. 1 კორ. 9.14.18. 5\* ტიტ. 1.8.9.



და სახელითა ყოვლად წმიდისა სამებისათა ნათელ-მსცემდა, რომ-  
ლისათუს შესმენილ იქმნა უღმრთოთაგან მთავრისად ცეცხლის-  
მსახურთასა, რამეთუ მაშინ ცოდუათათუს სპარსთა კელმწიფებასა  
ქუეშე მყოფნი მეგვპტურითა საგუემელითა იგუემებოდიან ქა-  
5 თუენი. ხოლო მთავარი იგი მათი, რომელსა მარზაპან ზედწოდე-  
ბულ მყოფდეს, სოფელსა შინა რეკას მგდომარეობდა.

ვინაჲცა მარზაპანისგან ბრძანებულ იქმნა, აბიბოს ეპისკოპოსი,  
მტერი ღმერთთა მათთა, რათა შეკრული მიიყუანონ მისდა. ბრძა-  
ნებოა ესე უღმრთოთა მის ზედა მისრულთა მტარულთა წმიდასა  
10 ზედა ეპისკოპოსსა საქმით ცხად მყუეს და მწყემსი იგი საღმრთოჲ,  
ნებსით განმცემელი მათდა თავისა თჳსისა, ვითარცა ძჳრის მოქმედი  
შეკრული, წარიყუანეს.

იტყუს ნეტარი არსენი, მამათმთავარი ჩუენი, შეკრულად წმი-  
დისა წარყუანებასა და წინა დამთხუევასა მისდა ეპისტოლისა და  
15 კუერთხისა მისდა წარგზავნილისა დიდისა სიმეონის მიერ საკურუ-  
ელთმოქმედისა მთისა საკურუელისა, რამეთუ მეგობარ იყუნეს  
ნეტარნი ესე, რომელიცა მიიღო წმიდამან ნიშად ძლევისა მტერთა  
მიმართ, რომელთადმი აქუნდა მას მაშინ ბრძო/ლაჲ. და ესრეთ  
V ეპისტოლითა წმიდისა სიმეონისათა შუებული და ქრისტესთუს  
20 კრულებითა და ჯაჭუთა მხიარული მიიღებდა ლოცუასა ძმისა  
თჳსისა, ღირსისა შიო სანატრელისასა. და ესრეთ წარდგა წინაშე  
მარზაპანისა, რომლისა მიმართ იკითხა მან: „შენ ხარა აბიბოს, ეპის-  
კოპოსი ქრისტეანეთა, მტერი ღმერთთაა ჩუენთა, რომელმანცა  
აღჰსპენ ღმერთნი ჩუენნი?“ ხოლო წმიდამან ეპისკოპოსმან ღმრთი-  
25 სამან შემუსრუაჲ კერბთა და დაშრეტაჲ ცეცხლისა ღმერთთა მათ-  
თა ბრწყინუალითა ჳბითა, კადნიერად უშიშითა სულითა აღიარა.

მსმენელი მძლავრი იგი მიგებათა მათ წმიდისათა განჰკურდა,  
დალათუ ჰბორგდა ფრიალ კადნიერებასა ზედა წმიდისა მის ეპის-  
კოპოსისასა, რამეთუ ტანჯუათა მძუნუარეთა უქადებდა, მაგრა  
30 ლიქნით დიდებათაცა აღუთქმიდა, რათა განაყენოსმცა ჳეშმარტიე-  
ბისაგან და საცთურისა მიმართ სარცხუნელისამცა მიიყუანოს უმ-  
ტიციე იგი ანდამატიინისა.

ჴ, მტკიცეო გონებითა და გულსმოდგინეო წმიდითა სულითა  
შენითა, სარწმუნოო მღუღელმთავარო ქრისტესო, მო-მცა-მელო  
35 მე კეთილდღეობაჲ ესეგუარი (ნუ იქმნებინ ჩემდა კადნიერებაჲ  
ესე ცოდუად!), რათა ეჰსდევმცა შენ თანა სიტყუჳგებასა შენსა  
მარზაპანის მიმართ და შესმამცა საღმრთოთჲ პირით შენით გამო-  
მავალნი ესე სიტყუანი, იტყოდი რა: „ჴ მძლავრო, ერთ არს ღმერ-  
თი და მეუფჲ, რომელისაგან მოვიღე მე ყოფაჲ, რომელმანცა მქმნა

მე. ერთ არს სარწმუნოებად ესე ჩემი მისლამი, /ერთ არს გვრგვნი 91  
და დიდება, რომელი მომცეს მე ნაცულად მისდა შეწირვისათჳს  
თავისა ჩემისა, ერთ არს კეთილი იგი უზესთაესი, რომელსა მოველი  
მოღებად წმიდათა თანა, ერთ არს სიმდიდრე იგი და სიხარული  
ზეციერისა სასუფეველისა, ერთ არს ეკლესია იგი პირშმოთა, რომ- 5  
ლისა კრებულსა შორის შერთუად გული მითქუამს, ერთ არს სა-  
შინელი იგი განერდომად ღმრთისაგან ჩემისა, უკუეთუ გარდევა-  
დემცა მცნებათა მისთა. ხოლო ცხოვრება და დიდება სოფლისა  
ამის, რომლისა თანა დაცხნად არს მძლავრებადცა შენი, მოკლე არს  
და წარმაჯალ. მე სიჩრამთგან ჩემით მძულს ამოებად ესე, რომელი 10  
დიდ არს შენდა და მოყუარეთა სოფლისათა მძსგავსთა შენთა. რა-  
ოდენ განამრავლო ძალებრ ძრუთა კუდისათა ჩემდა ლიქნანი, ვერ  
წარიტაცო გონებად ჩემი შეწვევითა ქრისტე ჩემისათა, რომელიცა  
სიყრმით ჩემითგან განმიმტკიცებებს მისლამი. ხოლო ქადებანი, რო- 15  
მელთა მიქადებ, სატანჯუელთანი არიან ჩემდა, ვითარცა კიდესა ზე-  
და ზღუსასა მდგომარისა კლდისად კუეთებულნი ლელუანი, რამეთუ  
კორცთა ზედა მოწვევანად არიან ესენი, რომელნიცა მოვკულებ  
ქრისტესტჳს ჩემისა სიყრმითგან ჩემით. მჰსურს წყურვილით სას-  
მელი სიკუდილისა, რათა შეევსუა განმაცხოველებელისა ჩემისა  
ქრისტესტჳს, რათა მის თანა აღუსდგე და მოს თანა ვიდილო საუ- 20  
კუნოდ. გარნა გაზრახებ შენ, რათა განეყენო უნდომასა მაგისგან  
მსახურებისა /და იცნა მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი, რომლისაგან  
შეიქმნნეს ყოველნი. ხოლო ცეცხლი იგი, რომელი დავშრიტე, და  
კერპნი იგი, რომელნი შევმუსრენ, არა არიან ღმერთ, არამედ ნიე-  
თნი დაბადებულნი ღმრთისა მიერ. მიკვრს თქუენი ეგე სიბრმემ, 25  
ვითარ არა სირცხულ გიჩნთ სახელის-დებად ღმრთად, რომელნიცა  
ჰქმენით კელითა თქუენითა და შემძლებელ არიან ჯელნივე თქუენ-  
ნი დაქსნად. ანუ ცეცხლი იგი, რომელი არს საჯმარ თქუენდა, რო-  
მელსაცა შემძლებელ ხართ აღნთებად და დაშრეტად“.

მ, ვინმცა მომიყუანა მე შენ თანა, ოდეს-იგი, ვითარცა ძვრის- 30  
მოქმედი, შეიკრეოდი და საპყრობილედ წარიყუანებოდი და სიკუ-  
დილსათჳს განემზადებოდი, „ვითარცა ცხოვარი კლუად მიიგურე-  
ბოდი“, რათა სურვილი ჩემი იყომცა მზიარებელ ჩემდა წმიდათა  
ვნებათა შენთა.

განრისხნა უკუე აღსარებასა ზედა წმიდისასა მძლავრი იგი, 35  
რომელი კლიქნიდა მისა მიმართ უწინარეს და დიდებათა აღუთქმი-

\* შლრ. ისაია 53,7.

და, და ბრძანა გუემამ მისი და შემდგომად მრავლისა გუემისა უბრძანა დაქოლუამ.

ესრეთ ქუათა მიერ ქოლუთა განტუნულ იქმნა თავი, სადა წმიდანი მოძრავობანი გონებისანი გამოიხატვოდეს, სადათ-იგი ტრფია-  
 5 ლებითა საღმრთოთა აღძრულისა სულისა მოგონებანი ნამძულ სატრფიალომასადმი შეიწირვოდეს.

შეიმუსრნეს ასონი ქუათა მიერ, რომელთა ზედა ბრწყინვიდეს სათნობანი ქრისტეს მიმართ გულსმოდგინისა სულისა კრძალუ-  
 92 ლებითნი, და მიეცნეს საჭმე/ლად მფრინუელთა და მკეცთა. გარნა  
 10 არა შეეხნეს მოწამისა ქრისტესისა ჭეშმარიტებისათეს ვნებულთა კორცთა, არამედ მონაზონთაგან ვიეთმე, მახლობელ სოფლისა მის მყოფთა, აღებულ იქმნეს და მონასტერსა მათსა დაკრძალულ, რომელიცა უკანასკნელ სტეფანოსისგან შთავრისა, ძისა ადარნასე მეფისა აფხაზთა და ქართუელთასა, მუნით წარმოღებულნი მცხეთას,  
 15 ზენასა ეკკლესიასა საეპისკოპოსოსა დაიკრძალნეს ღიღითა პატივითა.

ესენი არიან ვითარებანი ამის ყოვლად უბრალომასა ეპისკოპოსისანი, რომელთაგან სათანადო არს გარდამოხატუად ნივთებითა მრავალფერითა, ესე იგი სხუადასხუაობითა კეთილთა მისთათა  
 20 ღირს-ქებითითა სიტყუებითა და წარმოდგინებად წინაშე ღღინდელისა კრებისა, მარტულთ-მოყუარეთა მიერ სადიდებელად ღუაწლის დამდებელისადმი მოღუაწისა თსისა შეკრებულისა.

ხოლო მრავალფერობამ კეთილთა დამაკლებს ჩუენ ფერადობათაგან სიტყუათასა მით, რომელ სხუადასხუათაგან სათანადოებენ  
 25 მისნი იგი წარმართებანი შესხმად, ვითარმედ ჩემდა, ყოვლითურთ მცონარ ქმნილისად, შეუძლებელ არზ კმა-ყოფამ ქებად კეთილთა მისთა. ამისთეს რომელნიმე ქებოსიტყუაობიდან მისისა სიბრძნის-მოყუარებისად, რომლითა აღძრვლნიცა ღმრთისმეტყუელებანი, რომელნი მეტრ წმიდათა მოციქულთა „არა კორცთაგან და სისხლ-  
 30 თა გამოიციხადნეს მისდა, არამედ მამისაგან ზეცათამასა“\* და „არა ისწავა კაცთაგან, არამედ/ გამოცხადებითა იესუ ქრისტესითა“\*\*  
 V ესენი შეაერთნა ბუნებითა ღმრთისმეტყუელებასა, რომლითა პსიხი ხატი ღმრთისა გულისხმის-ყოფითა უბიწოთა მისწუთების ვითამე არსებასა ღმერთთ-მთავარსა და გარემოთა ღმერთთ-მთავრისა  
 35 მის არსებისათა.

რომელნიმე ყოვლად უბიწოთა მღუღელობისა მისისად მით,

\* შლრ. მატ. 16,17. \*\* შლრ. კალტ. 1,12.

რომელ ესოდენ წმიდა კყო სული, ვითარმედ საკურთხეველი იგი, სადა შეიწირვის მამისად „ტარიგი აღმზმელი ცოდუათა სოფლისათა“\*, ესე მღუღღელობასა აბიბოსისა ეშესამამებოდა და მღუღღელობამ აბიბოსისი საკურთხეველსა მას.

რომელნიმე სიტყუათა მისთა სახარებითა, ვითარმედ მახარებელნი ბარბაროსთად და განდრეკილთა მორწმუნეთაგანთად აღმოუტევენა მან სიტყუანი, რამეთუ „ალალო პირი თესი სიტყუასა ღმრთისასა და ჰსჯიდა ყოველთა ცოცხლად“\*\*, რამეთუ განმარტებდა საცხოვრებელად ერისა საიდუმლოსა საღმრთოსა სარწმუნოებისასა და ყოველთა მიჰფენდა უხუებით მოძღურებასა სიცოცხლისასა. და ესრეთ ბადესა წმიდათა სიტყუათა მისთასა შეწყუღულნი სიმრავლენი გულმზმელთა თევზთანი მიართუნა უჯერკულოდ მომავლინებელსა თესსა. ხოლო „ალიარა კეთილი იგი აღსარებამ წინაშე მრავალთა მოწამეთა“<sup>3\*</sup> და ჰძლო მაწუეველთა თჳსდა უღმრთოებისათა და უსიტყურთა მიერ ჰსჯათა მათთა შეიწირა ღმრთისად, ვისდა მსუროდა სიყრმიტგან.

რომელნიმე სათნოებათა მისთა, რამეთუ სიჩიომთ „შეიმოსა მან მოწყალეობამ, შეწყნარებამ, სიტკობებამ, სიმშუდედ“<sup>4\*</sup>,/ თავს იღებდა მოყუასთასა და მიჰმადლებდის თანანადებსა სხუათად. ხოლო ამას ყოველსა ზედა (მოიგო) სიყუარული, რომელი-იგი არს „სიმტიციემ სრულებისა“<sup>5\*</sup> და ყოველთა საქმეთა კეთილთა ხედვითითა კეთილით განჰკარგვდა და კეთილთა ხედვითთა საქმითა კეთილითა შეამკობდა. და ესრეთ კეთილთა ორთავე ყოვლისმფერები გზათა უფლისათა ვიდოდა.

რომელნიმე აღებასა ჯუარისასა და შედგომასა ქრისტესდა, რამეთუ მკუდარნი საქმენი მკუდართა მოქმედთა მათთად მიუტევენა მათ თანა დაფლუად აღგილსა დაეიწყებისასა. და მორწმუნემან უფლისად და ამით მოშიშმან ტანჯუათაგან, ხოლო შიშითა ტანჯუათაგან მოთმინემან საჭირუელთა ყოველთამან სასოებითა უფლისა მიმართ, რომლითა უენებელ იქმნა, შეიწყნარა თჳს შორის ღმერთი სიყუარული და მეცნიერებითა განათლებული შეუდგა მას ყოვლითა სულითა და ყოვლითა ძალითა თჳსითა.

რომელნიმე კრძალულებასა მისსა, ვითარმედ მოჰკრძალნა მან ჯორცნი უარყოფითა თავისა თჳსისათა, მარხუთა, უპოვარებითა, სიმდაბლითა, მორჩილებითა სიწმიდითა ანგელოსებრითა, მოკლომითა სრულიად ნებისათა, აღურ-ასხმითა უცხოთესლთა გამოხატუათათა, წურთითა სიკუდილისათა და სრულიად სოფლისად ჯუარ-

\* შტრ. იოან 1,29. \*\* შტრ. იგაი 31,8. 3\* შტრ. 1 ტიმოთ. 6,12. 4\* შტრ. კოლას 3,12. 5\* შტრ. კოლას. 3,14.

- 7 ცმა-ყოფითა. ესენი უკუე ჰქმნა თვთოეულნი გრგოლნი ოქროსა გამოცდილისანი, დამოჰკიდნა ურთიერთას<sup>1</sup> ჯაჭუად მტკიცედ და განამტკიცა ესე/ სისხლითა, რომლითა ზიარ ქრისტესა ჰყო თავი თვისი.
- 5 ხოლო ჩუენ ვაქებდეთ ღუაწლთა, ვნებათა მისთა და კეთილ-ძლევათა, რამეთუ ვნებანი ჩემისა ამის საქებელისა მოწამისანი ქრისტესა ძესა ღმრთისასა ვნებულსა და მომკუდარსა დამიხატუნ, ხოლო კეთილ-ძლევაა მისი მასვე აღდგომილსა და მძლესა სიკუდილისასა წარმომიყენებენ.
- 10 ესრეთ საქებელ არს და საგალობელ მოწამე ესე ქრისტესი, საყუარელ არს და მისთა წმიდათა ვნებათა სიყუარულით ჰქსენე-ბამ ვნებათა მათ მისთა წმიდათა გუაზიარებს.
- 15 აღმსწერა უკუე ღუაწლი წმიდისა შემდგომად ოთხასისა წლი-სა არსენი მამათმთავარმან ქართუელთამან. ხოლო იყო მოსულაჲ სირიამთ ათორმეტთა მათ ნეტართა მამათა ქართლად დროთა მე-ფობისა ფარსმან, ძის წულისა ბაკურ მეფისა ხოსროვანისათა, და მამათმთავრობასა ევლავიოსისსა.
- 20 მე უკუე, სარწმუნოო მღუდელთ-მთავარო და მოწამეო ქრისტესო, ვიშუებ შენითა მაგით კეთილგონიერებითა, რომლითა სუ-ლი, ხატი ღმრთისა, მეფე ჰყაე და მბრძანებელ და განმგებელ კორცთა და კორცნი დამორჩილებულ სულისა და ესე აღამალე ბუნებასა ზედა კორციელსა მოკრძალული ქალწულებითა, ვითარცა სძალი სიძისა უკუდავისა, „ვითარცა წყარო დაბეჭდილი და მტი-ლი დაქშული“, და მისცენ ქრისტესთვის კრულებათა და სიკუ-25 დილსა.
- 94 /შენნი უკუე წმიდანი კორცნი, რომელნიცა ნიადაგ მკუდარ იყუნეს, დაწულილებულნი მარხუსა მიერ და ქუათა მიერ ქოლთო დაკლუჩილნი, არიან ნაქურცენ ვარდისა უხარწნელისა, ხოლო ყოე-ლად წმიდა სული შენი, რომელსა შინა დაემკუდრა სამება ღმერთი, 30 განათლებულ არს და თანდაწესებულ საღმრთოთა მამათმთავართა თანა სიწირფობითა, წინასწარმეტყუელთა თანა წმიდათა უბრალო-ებითა და ყოფადთა, ვითარცა ქმნილთა უწყებითა მოციქულთა თანა ყოვლისა სოფლისად ქმისა შენისა სიბრძნით განსმენითა, რა-მეთუ მოციქულებრი აღმოუტევე შენ კჳამ სახარებისა მოძლუარისა 35 შენისად მოწოდებად ყოველთა, მწყებსთა და მოძლუართა თანა მართლმადიდებლობითისა დოღმატისა დამტკიცებითა და მწუალე-

<sup>1</sup> ურთიერთარს B.  
• შღრ. ქება 4,12.

ბელთა ცრუთა და მტკიცებათა ცეცხლისფერისა ენისა შენისა მიერ განლევითა, მოწამეთა თანა სისხლითა ქრისტეს ვნებისა ზიარითა, მმარხუელთა თანა კრძალულებითისა აღურისა უცთომელ პყრობითა, რამეთუ „აღიკრძალენ კორცნი შენნი და დაიძონენ და მონაზონებისა კანონ უცთომელ იქმენ“\* და პირველ სიკუდილისა დაიტირე შენ თავი შენი, ხოლო მართალთა თანა სიმშუდისა და უმანკოებისა მიერ განმდიდრებითა.

5

ხოლო დამტკიცებელი საყდრისა ქუენამასა წინაშე საყდარსა ყოვლად წმიდისა სამებისასა დაემკვდრე და აქა შემწირუელი ღმერთ-მთავრისა მამისად ნიეთისა საღმრთოამსა „ტარიგისა უბი/წოამსა და უმანკოამსა ქრისტესი“\*\* პირის-პირ ცხოველთ-მოქმედისა ღმრთისა სერაფიმთა თანა და ხერუვიმთა და საყდართა წინაშე საღმრთოამსა საკურთხეველისა მღუღელ-მოქმედებ მარადის საღმრთოსა ტრფიალებითსა მსხუერპლსა მეოხად ყოვლისა სოფლისა.

10 v

მ, თავო ყოვლად სამღუღელოო, ყოვლად საწაღელო, იოხდ, რომლისა წინაშე დამკვდრებულ ხარ, ჩემ უბადრუკისათვის ვერ შესაბამ შემსხმელისა ყოვლად სამღუღელოთა ღუაწლთა შენთასა და ნიეთიერთა ამათ კორცთა ჩემთაგან განსლვასა მფარულ მექმენ და წარმკდელ ჩემგან სულთა უკეთურთა, რომელმანცა სურვილით შეეკსწირენ შენდა სიტყუანი ესე ჩემნი, ქადაგო და მოწამეო და მოწაფეო ქეშმარიტისა ქრისტეს ღმრთისაო, რომლისად ჰშუენის ყოველი დიდება, პატივი და თაყუანისცემა თანა დაუსაბამოთ მამით და ყოვლად წმიდით სულით, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

15

20

ქმნასა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა მღუღელ-მოწამისა ნეოფიტე ურბანისის ეპისკოპოსისთა, ჰმნილი ანტონის მიერ არსიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოესა საძართაულოესა დავითიან-გაბრატოვანისა

25 95

პოდირი წმიდა მღუღელობისა შეღება პორფირად საღმრთოდ სისხლითა ნეოფიტე. სხუად კუპრიანედ მოგვ, მღუღელ და მოწამედ სიბრძნის-მოყუარედ, მწყემს სიტყუერთა არვეთ გამოკსნნდა ესე შორის ღმრთისა და ჩუენსა.

30

\* შტრ. 1 კორ. 9,27. \*\* 1 პეტრე 1,19.

სიტუა მეექვსე

მსჯულმან უქმნელობითმან შეეკრა ჩუენ არა კმნად შემოსულასა ამას შინა დიდისა დღესასწაულისასა, რა-იგი<sup>1</sup> გუეგულუა თქმად ზიართა ქრისტესთა მოწამეთათეს, რამეთუ სურვილით ჩემ 5 შორის მსწადნოის სული შესხმად და გალობად სიხარულით და საქადულობით მათისა სისხლისად. ხოლო ვინაითგან აღგესრულებიეს დღესასწაულობითი მსჯული უქმნელობისა და აწ განცნვილ არს კრულებამ იგი (უქმნელობითი), აღმსოთ მსჯულისაგან თავისუფალთა და სიხარულით ეკვალობდეთ მამათმთავრისა დაეითის 10 თანა უფლისად მოწამეთათეს: „პატროსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა“<sup>\*\*</sup> ამისთეს, ვითარმედ „სიკუდილი წმიდათა სასმელად ცხოვრებისად განჰსაჯა გულოსხმის-ყოფამან ეკლესიისა წმიდის მოძღუართამინ“<sup>\*\*\*</sup>

ნამდულ ჭეშმარიტად სასმელი არს ცხოვრებისა სიკუდილი მო- 15 წამეთა ჭეშმარიტებისათა, რომელთა „მოიღუაწეს ღუაწლი იგი კეთილი სარწმუნოებისა, შეიტკბეს საუკუნომ იგი ცხოვრებამ“<sup>3\*</sup>, ესე იგი ნიადაგ ყოფამ თანა ნამდულ სატრფიალომასა და საწყურისა არსთასა, და აღიარეს კეთილი იგი აღსარებამ წინაშე მრავალთა მოწამეთა.

20 ესევე სასმელი ცხოვრებისა იყო, რომლისათეს მსთქუა მაცხოვარმან ჩუენსან მამისა მიმართ, ვითარმედ: „აბბა<sup>2</sup> მამაო, ყოველივე<sup>3</sup> შესაძლებელ არს შენ<sup>4</sup> მიერ<sup>5</sup> თანა წარსლუად ჩემგან სასმელი ესე“<sup>4\*</sup>. და კუალად საყუარელთა მათ მოწაფეთა თესთა ზებედესგანთა პრქუა რა: „ძალ-გიცსა სასმელი, რომელსა მე შეჰქუსუამ, შეს- 25 მად?“<sup>5\*</sup>.

ჭეშმარიტად სასმელი იგი ცხოვრება ყოვლისა სოფლისა, რომელიცა შესუა „ცხოვრებისა და სიკუდილისა კელმწიფემან“<sup>6\*</sup>, რომლითა წყევამ დაიკსნა და ნაყოფი ხისა ცხოვრებისა წინადაგებულ მექმნა ჭამად და მე უკუდავ ვიქმენ და დიდებასა ღმრთისასა 30 ვეზიარე და ცოდვამ ჩემი შეემსჭუალა ძელსა და განქარდა, არს სასმელი იგი, რომელიცა შესუეს ნეტართა მოწამეთა.

წმიდა კმნილთა სულთა ყოვლისაგან ბიწმოყუარებისა და

1 რა-იგი A. 2 აბბა—B. 3 ყოველივე] უკეთუ D. 4 შენ—B. 5 მიერ—B.  
 \* ფსალ. 115,6. \*\* ვასილი დიდისა განმარტება 115 ფსალმუნისა.<sup>3\*</sup> † ტიმოთე 6,12. 4\* მარკოზ. 14,36. 5\* ზღრ. მათი. 20,22. 6\* ზღრ. სობრ. 16,13.

ძვრისკენებისა სიძულილისა და ზაკუსა, რამეთუ „წმიდანი გული-  
 თა არიან სულნი ნეტარნი ესეგუარნი“\*, იხილეს რა ღმერთ-  
 მთავრობითი იგი გამობრწყინებდა თვს შორის და ტრფიალებისა  
 ბუნებითისაცა და ზესთა ბუნებითისა ცეცხლითა აღგზნებულთა,  
 მიუშუეს ყოველი წადილი ტრფიალებითი არსებით ნამდულ საყუა- 5  
 ჩელისა და სატრფიალომსაღმი. ხოლო უკუმსფერებთა წმიდისა  
 ამის სანატრელისა გონიერისა მოქმედებისათა თვს შორის მოიყუა-  
 ნეს გულისხმის-ყოფად წარმოდგინებად ბევრეულთა მათ ნიჭ/თა 96  
 ღმრთისათა და სავსედ გამომხატუელთა განჰყუეს ესენი ურთიერ-  
 თას, რამეთუ არაარსისაგან არსებამ მოვიდა კაცი ღმრთისაგან. 10  
 ხოლო დაღათუ დაიბადა მიწისაგან, არამედ „ხატებითა ღმრთისა-  
 თა“\*\*, პატივცემულ იქმნა, რომლითა შემძლებელ იქმნა შემოსად  
 ხატსა ზეცისასა. კუალად, ვითარმედ არსებამან, რომელმანცა შე-  
 იწყნარა ცოდუამ და „ხრწნილებამ“<sup>3\*</sup> და სიკუდილი და ამით გან-  
 ერლომამ ღმრთისაგან, ამითვე არსებითა მოვიდა ღმერთი ჩუენდა 15  
 და მისცა თავი თვისი საქსრად ჩუენ ყოველთათვს. ვინამცა განკუ-  
 რუებულთა და მმადლობელთა ქუელის მოქმედისაღმი თვისისა  
 ქსთქუეს წინასწარმეტყუელისაებრ: „რა მივაგო უფალსა ყოვლი-  
 საეეთვს, რომელი-ესე მომაგო მე?“<sup>4\*</sup> გარნა ესე, რათა სასმელი  
 ცხოვრებისა მოვილო და ესრეთ სახელსა უფლისასა ვხადო. 20

წარმოიდგინეს საესედ განყოფითად გამომხატუელთა მოწა-  
 მეთა კეთილნი იგი, რომელნიცა მოვილეთ სიკუდილითა სიტყუსა  
 მხოლოდშობილისათა, რამეთუ სიკუდილი მძნუარე ტკბილ იქმნა  
 და მიმყუანებელ უკუდაეებად, ხრწნილებამშემოსელ უხრწნელე- 25  
 ბისა, განჰსნა კავშირთა, შემკრუელ ღმრთისა თანა. ესენი ვერღარა  
 ჰფლობენ ბუნებასა ზედა ჩუენსა ამისთვის, რომელ მე ღმერთ ვიქ-  
 მენ, ვინა „რა მივაგო უფალსა ყოვლისაეეთვს, რომელი-ესე მომა-  
 გო მე?“<sup>5\*</sup> განადა ესე „სასმელი ცხოვრებისა მოვილო“, წყურვი- 30  
 ლით შეესუა ბარძიმი ვნებათა ქრისტესთა. ტკბილ ჩემდა აღჯუა-  
 რუა, რათა ვასცხოვრებდე ქრისტეს თანა, ჩემდა სასურველ განგმე-  
 რა, რამეთუ მწყურის სატრფიალომსაღმი ჩემისა, ჩემდა უკუე ცე-  
 ცხლი საწადელ, ნიეთი/ განმლეველი ნაწებთა ჩემთა, რამეთუ  
 ვკსტრფი, რათა უფროს შევკსტრფოდე, ხოლო საწყურ სიკუდილი,  
 რათა უკუდაე ვიქმნე უკუდავისა თანა.

ამათ უკუე ესრეთ კეთილ მშჰაზრუელთა მოწამეთაგანი ქრის- 35

1 შეესუა B.

\* შდრ. მატთ. 5,8. \*\* შდრ. შესაქ. 1,26. 3\* შდრ. 1 კორ. 15,50. 4\* ფსალ. 115,3. 5\* ფსალ. 115,3.



ტესთა ერთი არს აწინდელი სასიტყუელი ჩემი ახალნერგი, რამეთუ სულისაგან რა იშუა იგი სულად და მოილო წოდებამ შვილებითი, სახელი მისი, რომელ არს ლექსი ელინური, ჩუენისამებრ კმისა არს ახალ ნერგ.

- 5 ჭეშმარიტად ახალნერგ, ვითარმედ ახლად დანერგულ იქმნა ესე გულისხმის-ყოფითა ღმერთთმთავრისა მამისათა პოენილი ეკალთა-შორის და ძეძუთა და უკმართა შორის ფიჩხოვანთა განგებული აღ-მოფხურად და დარგუად მარჯუესა აღვილსა, სადაცა საქმარ იქმნეს ხილნართა მისთა მსხმოვარეთა და ვენაჯთა მისთა მწიფეთა
- 10 დროთა შინა ნაყოფისა გამომღებთა, ეგსახედ შუენიერ შესაბამთა მათ კუპაროსთა, ბალახანთა და კინამოთა, რათა რომელთამე ნაყოფიერებითა ესწოროს, რომელთამე შუენიერებითა და სინარსარითა მორჩობითითა და რომელთამე სუნნელებისა გამოცემითა.
- 15 ნეოფიტოს ახალნერგი კეთილმსახურებასა შინა ესე არა აღიფხურას, რამეთუ სახარებემან პავლესმან დანერგა და „მორწყო, ხოლო ღმერთმან მამამან ალაორძინა“.

- 97 ზღუევა არა მცირე იქმნებოდაცა, რათა ნეოფიტე განიყო ჩუენგან, ესე იგი, ვითარმედ იყო ესე/ნათესავეთ სარაკიანთაგან ანუ სპარსთა, ორთავე ბოროტშეცთომილთა, ნაცულად დაძაბდელებისა
- 20 მსახურებითა დაძაბდებულთათა ანუ უძრეს ამათსა მსახურებითა ეშმაკისათა, რომელიცა ღმრთად აოცნა უბადრუკთა არაბთა უმეცარ ბარბაროსმან ყოვლად უღმრთომან, ცრუ მოციქულმან მათმან და განსწუთა უღმრთოებად ესე კიდეთამდე ქუეყანისათა.

- 25 გარნა უფსკრულისაგან სახიერებისა ღმერთთმთავრისა განიგების, რათა ესეგუარი ვინმე ქრისტიანეთა კრებულთა შორის აღირაცხოს და მმარხუელობითითა შრომითა განბრწყინდეს და მღუღელმთავრობისა მოციქულებრი ერწმუნოს მადლი კეთილმმართველთა ეპისკოპოსთაგან და სახარებისა ბადითა თევზნი სიტყვერნი ქრისტესდა მოინადირნეს „არა ცალიერ-ყოფად ჯუჯარისა ქრისტისისა“<sup>30</sup>. ხოლო შეიწიროს უკანასკნელ და მიიქცეს ქრისტესდა „მოდუაწე ღუაწლისა კეთილისა და აღმასრულებელი სრბისა და დამმარხუელი სარწმუნოებისა“<sup>31</sup>, რათა ღირსებით მომგებელ იქმნეს გერგუნსა სიმართლისასა, ესე იგი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა მოწამე ქმნილი, რამეთუ მისცეს ამას ესე უფალმან მას დღესა
- 35 შინა, მართალმან მან მსაჯულმან, რამეთუ ამანცა შეიყუარა გამოჩინებამ მისი.

\* შლრ. 1 კორ. 3,6. \*\* შლრ. 1 კორ. 1,17. 3\* შლრ. 2 ტიმოთ. 4,7.

პრცხუნა ეშმაკსა, ოდეს იხილა მგმობი საშინელისა სახელისა  
 ღმრთისა აღმსარებელ ღმერთი/მთავრობითისა სამბრწყინულისა V  
 ერთობისა, ცუფრდებოდა სახიერებასა ზედა ღმრთისასა, რამეთუ  
 სპარსი გემთმოყუარეთა და ბიწმოყუარეთა განჰსთხვეს ნითთა  
 თანა გულს-სიტყუათაცა და კრძალულებითა წმიდითა „აღიკრძა- 5  
 ლავს კორცთა თესთა და დაიმონებს“\*, სიწმიდისა შვირტყამს  
 მახულსა და სარწმუნოებისა ფართთა მტკიცე ქმნილი, რაოდენიცა  
 ეკუთვნეს მშუნვეერებრნი ისარნი მკურუალნი, დაშრეტილნი და  
 დაბრჯგუებულნი უკუნიქცევიან. ენა სპარსებრი არაწმიდათა სი-  
 ლოდათა მგალობი და დაუპყრობელად მოუბნე არაწმიდათა ცუდთა 10  
 და ამოთა დასაბამთა სიბოროტისათა იტყუს დიდებასა ღმრთისასა,  
 ჰგალობს საწინასწარმეტყუელთა გალობათა და ახარებს სამოცი-  
 ქულთა ხარებათა.

გონება მარადის მოძრავობს ღმრთისა მიმართ და ღმრთისათუს  
 ჰსდის სიტყუა განათლებული ნათლითა სულისა წმიდისათა, ქელნი 15  
 უღმრთოდასანი აღიპყრობიან ღმრთისა მიმართ უბრალოდ და სიწ-  
 მიდით და მღუდელ-მოქმედებენ მამისა მიმართ შეწირუასა „ტა-  
 რიგისა უბიწოისა და უმანყომისა ქრისტესსა“\*\* და განიპყრობიან  
 განმდიდრებად გლახაკთა. გული სპარსისა ნიადაგ ქუემდებარე მათისამებრ ბოროტისა ჩუეულებისა ზუაობათა და ცუდად ზუაობათა 20  
 „შემუსრვილ არს და დამდაბლებულ, რომლითა მსხუერპლ უფ-  
 ლისად“3\* „ფერჯნი განმზადებულეებენ ხარებად მშუდობისა“4\*.  
 ხოლო ხარება იგი არს იუდეანთა მიმართ „აღთქმა ახალი არა აღთ-  
 ქმისაებრ, რომელი აღუთქუა მამათა“5\*/ მათთა დღესა შინა 98\*  
 პყრობისა მისგან ქელისა მათისასა გამოყუანებისათუს მათისა ქუე- 25  
 ყანით ეგვპტით, არამედ აღთქმა სახლისა მიმართ ისრაილისა და  
 სახლისა მიმართ იუდასა ახალი, ესე იგი მიცემად ჰსჯულნი გაგო-  
 ნებათა მიმართ მათთა და მკერდთა ზედა გულთა მათთასა დწვერად  
 იგინი, რათა იყოს ღმერთი მათდა ღმრთად და იგინი ერად ღმრთი-  
 სად. ამას უკუე ახალსა აღთქმასა, წინასწარმეტყუელეებულსა იერე- 30  
 მიასგან, აღუქსნიდა იუდეანთა, რამეთუ, რომლისა „სახელი ახა-  
 ლი“6\*, ახლითა აღთქმითა „ჰყოფს ახალთა“7\* და სისხლითა  
 ახლისა აღთქმისათა ძუელთა მათ აღთქმათა, რომელნი მისცნა ეგვ-  
 პტეს მამათა მათთა, დაძუელებს და დამაცხრობელი აჩრდილთა  
 მათ საღმრთოისა კორციელისა განგებულეებისა მისისათა ჰეშმა- 35  
 რიტებად და განბრწყინუებად მოიყუანებს, ესე იგი მღუდელობასა

\* შდრ. 1 კორ. 9,27. \*\* 1 პეტრ. 1,19. 3\* შდრ. ფსალ. 50,17. 4\* შდრ. ისაია 52,7. 5\* შდრ. იერემ. 31,31. 6\* შდრ. ისაია 62,2. 7\* შდრ. ისაია 43,19.

და მსხუერპლსა ჭეშმარიტისა ღმრთისა კაცშუენიერისა თაჲისა თჳსისად და ყოველთა ძუელთა კორციელთა საიდუმლოთა ახლითა სულიერითა და სიტყუერითა ჭეშმარიტებითა განაქარუებს.

- ზოლო წარმართთა და ბარბაროსთა მიმართ „ერსა მის“<sup>5</sup>,  
 5 რომელმანცა არა იცოდა უფალი და მონებად უფლოსა მიმართ და „ჩუენებად მთისა უფლოსა საჩინომისა და სახლისა ღმრთისა მწუერულთა ზედა მათასა“<sup>6</sup>, ესე იგი წმიდისა ეკლესიისა შეკრებულისა წმიდისა პატროსნითა სისხლითა სიტყუსა ღმრთისათა, რომელნიცა მოვიდეს უფლისად „აღმოსავალით და დასავალით“<sup>3</sup>,  
 10 ჩრდილოთ და სამხრით ინაქის მდგმელნი აბრაჰამის თანა, ისააკის<sup>1</sup> თანა და იაკობის თანა, რამეთუ „შექსძინა უფალმან ჩუენებად კელი მისი შურუებად დაშთომილსა ერისასა, რომელი უკეთუ დაშთეს ასურასტანელთაგან და ეგვიპტისაგან და ბაბილონისაგან და ეთიოპიისაგან და ელამიტელთაგან და მზის აღმოსავალთაგან და არაბისაგან და ჭალაკთაგან ზღუსათა“<sup>4</sup> ამას უკუე წმიდისა ეკლესია შეკრებულისა მრავალთა ნათესავთაგან, რომელ არს „ქალაქი მეუფისა დიდისა“<sup>5</sup>, რომლისათჳს ითქუა დიდებული, რომელ არს მისდა მიმართ და მის მიერ „აღსარებულ ღმრთისმსახურებისა იგი საიდუმლო; ღმერთი გამოჩნდა კორციითა და განმართლდა სულითა, ერუენა ანგელოსთა, იქადაგა წარმართთა შორის, კრწმენა სოფელსა და აღმალღდა დიდებით“<sup>6</sup>. ამისნი უკუე „საფუძველნი მათათა შინა წმიდათასა“<sup>7</sup> ანუ „მწუერულთა ზედა მათასა“<sup>8</sup>, ესე იგი სიმაღლეთა შინა ანუ სიმაღლეთა ზედა ხედვითისა და საქმითა სათნოებათასა, რომელთა მიერ „განსაცხრომელ იქმნა ზესთა ზედა ბორცუთისა და მიისწრაფეს მისდამი ერთა მრავალთა და მივიდეს ნათესაენი მრავალნი, მეტყუელნი: მოვედით, აღვიდეთ სახიდ უფლისა და სახლისა მიმართ ღმრთისა იაკობისა და მიჩუენოს ჩუენ გზად მისი და ვიდოდით შორის ალაგთა მათთა“<sup>9</sup>.
- 99 30 ამის უკუე „ამაღლებულისა ზესთა ზედა ბორცუთასა“<sup>10</sup>, ესე იგი ყოველსა მეცნიერებასა კაცობრივსა, რომლისა მიმართ „მოაქცია უფალმან ერთა ზედა ენათასა ნათესავადმდე მისა<sup>2</sup> ზღად ყოველთა სახელი უფლისა, ქმონებდენ იგინი მას ერთსა ქუეშე უღელსა“<sup>11</sup>, ესე იგი აღიარებდენ „ერთსა უფალსა, ერთსა საარწმუნოებასა და ერთსა ნათლისღებასა“<sup>12</sup>. ესრეთ ჩუენებად ეკლესიამ

1 ისაიას A. 2 მისსა A.

\* შღრ. ფსალ. 17,43. \*\* შღრ. ისაია 2,2. 3\* მატთ. 8,11. 4\* ისაია 11,11. 5\* შღრ. ფსალ. 47,1. 6\* 1 ტიმოთ. 3,16. 7\* ფსალმ. 86,1. 8\* ისაია 2,2. 9\* მიქ. 4,1-8. 10\* შღრ. ისაია 2,2. 11\* შღრ. სოფ. 3,9-10. 12\* შღრ. ეფეს. 4,5.

ესე წმიდამ და ამისდა მოყუანებად იყო ხარებად მისი წარმართთა მიმართ და ბარბაროსთა. ხოლო შულ ღმრთისა ჰყოფდა მათ სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა და „ბანითა მით მეორედ შობისათა და განახლებითა სულისა წმიდისათა“<sup>1</sup> და შეილ<sup>1</sup> ღმრთისა ქმნილთა ეტყოდა და არწმუნებდა. „ყოველნი შულნი ღმრთისანი ხართ სარწმუნოებითა ქრისტე იესუსითა, რამეთუ რაედენთა ქრისტეს მიმართ ნათელ იღეთ, ქრისტე შეიმოსეთ. არა არს ჰურიანება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს ჰრჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესუს მიერ“<sup>2</sup>.

10:

ესრეთ უკუე მტერი კდემული და განკრუებული სახიერები-საგან ღმრთისა და ამით შეცუალებისაგან ნეოფიტემსა ჰგებდა დროდმდე უკუნქცელი და მძრწოლარე მადლისაგან სიწმიდისა მი-დროდმდე უკუნქცული და მძრწოლარე მადლისაგან სიწმიდისა ში-სისათა, ვერცაღა სიტყუათა და ვერცაღა შეგინებდად რამთამე საქ-მეთა მისთა.

15

ეჰა, ღმრთისა მიმართ კადნიერებისა სიმაღლე მმარხუე/ლობი-სა მიერ და კრძალულებისა მოგებული ჯორცთაგან განყრილისა სულისა. ხოლო სულსა უკუე ვიტყუ წმიდასა მას სულსა, რომელ-მანცა უდაბნომ სარკინისა კარმელ ჰყო და მას შინა მემხო-ლოებამ ილიასი თეზბიტელისა თს შორის მოიგო და ბა-ძუად თსად აღმდგომნი ჯორცთა შინა მიმადლებულნი ან-გელოსებრი კრებული საღმრთოთა მოქალაქეთა ქრისტესა შეჰსწირნა სანატრელმან ესგუარმან ფილოსოფოსმან, ვითარმედ სიბრძნეა შეიყუარა „საიდუმლოდ დაფარული იგი, რომელი-იგი პირუელადეე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სადიდებე-ლად ჩუენდა“<sup>3</sup>, რამეთუ ესე ღმერთმან გამოუცხადა მას სულისა მიერ თსისა და შეიყუარა სიბრძნეა ესე და პატიე-ჰსცა, რამეთუ განჰყო მან განჰსჯითა ჰეშმარტისა ფილოსოფოსობისათა დამბა-დებელი დაბადებულთაგან. ხოლო რომლისაგან მოილო ხატებამ მი-სი, მისცა თავიუფალი ყოვლისაგანე ბრალისა. და ესე სიბრძნის მოყუარე არს შიო ნეტარი ნათლითა საკურუელებათა თსთათა, რომელი მოილო ღმრთისაგან, განმანათლი ჩუენი.

20

25

30

ეჰა, საკურუელი ესე შეცუალებამ! ეჰა, უხრწნელისა ამის კე-თილდღობისა დაკუეთებამ და ეჰა, წინათგამორჩევა წმიდისა

35

1 შულ A:  
 \* ტიტ. 3,5. \*\* ვალატ. 3,26-28. 3° I კორ. 2,7.

თვისია! ეჰა, ღმრთისა მიმართ კანდიერებისა სიმაღლე მმარხუე-  
ლობისა მიერ და კრძალულებისა, მოგებული კორცთაგან განყრი-  
ლისა სულსა!

5 ვითარმედ სარაკიანმან ტომით აჰმად ვინმე, ნათესაემან ამირ  
100 მუმლისამან, ბრძანებითა ამირ მუმლისათა, რომელიცა ჰფლობდა  
არაბთა და სი/რთა და მიდთა, წარმოგზავნილმან სპითა მრავლითა  
ოქრებად ყოვლისა საქართუელთა და შემოსრულმან ქართლად,  
მდგომარემან დაბანაკებით, საღა-იგი შთავარდების უდიდესსა შინა  
მდინარესა მტყუარსა მდინარე ლიახუ, წარგზავნა ჰყო ლაშქრისა  
10 ოქრებად ზემო და ქუემო მდებარეთა სოფელთა ქართლისათა.

განმკედრებულთა უკუე ლაშქართაგანთა აჰმადისთა, რომელთა  
თავნი იყუნეს ზედწოდებით ომარ და ბურულ, სოფლით ციხედი-  
დით იმიერ კლდეთა შინა სარკინისათა იხილეს ქუაბები გამოქმნი-  
ლი. ხოლო მხილულთა და სიმაგრედ მცნობელთა სარაკიანთა მათ  
15 იზრახეს მეტყუელთა, თუ სადამე არა გამოვიღეთმცა ქუაბნი იგი,  
სირცხულ არს მკედრობისა ჩუენისა და ბრალულ ვიქმნეთ წინაშე  
სულტნისა.

განზრახუასა ამას ომარ და ბურულ ამდევრეს საქმეცა და  
წარვიდეს ხილულთა ქუაბთადმი, რომელიცა იყო მონასტერი ნე-  
20 ტარისა შიოსი. და ვითარ შევიდეს მდინარესა შინა მტყუარსა, მგუ-  
ლუებელნი განსულად იმიერ, ვერ უძლებდიან სულად ვერა რომ-  
ლითამე შებმა-ყოფითა, რომლისათუს განკურუებასა შინა დაინთქ-  
მოდეს გონებანი მათნი.

იკითხუდეს უკუე ესენი ტყუეთაგანისად, ვითარმედ: „რამე  
25 არსო ქუაბთა შინა?“, რომლისაგან უწყებულ იქმნეს: „არიან მათ  
შინა შეკრებულ კაცი მონანი ღმრთისანი კაცისა ვისგანმე საკუ-  
რუელისა, შიო ზედწოდებულისა და აქამომდე დროდ გ/ნმრავლ-  
დებიან და ყოველთავე მსოფლიოთა საშუებელთა მმარხუელნი  
უმეულლებენ და კლდეთა ამათ შინა არს ცხოვრებად მათი“.

30 განკრდა სმენითა ამით მკედრობად უღმრთოთა და კანდიერე-  
ბისაგან გამოლებად ქუაბებისა დააკლნეს ნებსით თავნი თუსნი და  
სპასპეტისა მათისა აჰმადისად მისრულთა საკურულებითა მით ხი-  
ლულითა უწყებულ ჰყუეს სპასპეტი.

აჰმად, შეკლემულმან საღმრთომისაგან ძალისა, წარავლინა მთა-  
35 ვართაგანი ომარ ქუაბებად სარკინისა და წარგზავნა! საქმარნი  
არაპცირენი მონაზონთადმი და ოქროდ ფრიადი, ეგსახედ აღუაჰ  
და საკმეველი ტვრთი ერთი და შეჰსთუალნა მათდამი: „ლოცუა

1 წარკეზავნა B.

„ჰყავთო ჩემთვის, მონანო ღმრთისანო, და ძღუენი ესე ჩემი მიიღეთ და ალუამ და გუნდრუკი მიაართეთ საკმევად სამარხოსა მოძღუარისა თქუენისასა“.

წარსულმან ომარ სპასპეტით, ეახლა რა სარკინისა ქუაბებად, წარგზავნა ჰყო მონაზონთადმი კაცისა და აუწყა მისულაი თვისი და ყოველი ვითარებამ თვისისა და გულსავეს-ჰყუნა, ვითარმედ ნუ-გეშინის-ცემად და მსახურებად მოვალ თქუენდა და არათუ ენებად რაათამე.

ხოლო ოდეს მივიდა ბჭეთა მონასტრისათა, იხილა სიმრავლემ უკორცოთა მკედართა ნათლისათა, საკურთხულ მაჯალნი ჰაერთა ზედა და შორის მათსა კაცი მოხუცებული<sup>1</sup> მონაზონი ფრიადითა ელუ/არებითა შესახედავისათა და შესრულმან მონასტრად მიჰსც-ნა ძღუენნი იგი წარგზავნილნი აჰმად სულტნისა მიერ, სპასპეტისა მათისა, და ჰხედვიდა ომარ წმიდასა მას კრებულსა არარაამსამე მსოფლიომსა საშუშბელისა მექონსა, რამეთუ იყო ხილუამ მათი ყოვლითურთ გლახაკ: დაბეჭულითა მოსილნი და კრძალულებითისა<sup>2</sup> ყოფაქცევისა და დამდაბლებულისა სულისა მექონნი, ვითარცა ანგელოსნი, ბრწყინვიდეს კორცთა შინა.

ეტყოდა ომარ წმიდათა მათ ძმათა: „წმიდანო ღმრთისანო, რაამსათჳს-მე მოშიშ ხართ თქუენ კაცთაგან? რამეთუ ვხედავ ჰვეშმარითად მცუელთა მონასტრისა თქუენისათა მკედართა ნათლისათა მცუშლად თქუენდა, მფრინულეთა ჰაერთა ზედა და შორის მათსა მონაზონსა ვისმე საკურთხელსა მკცოვანსა წუერითა და თმითა, რომლისა ხილვისა სიკეთემ ვერ შესაძლებელ არს ჩემდა თქმად, ხოლო მპრწაშს, ვითარმედ მკედარნი იგი არიან ანგელოსნი ღმრთისანი და მონაზონი იგი არს მოძღუარი თქუენი“.

მსმენელნი სიტყუათა ამათ ნეტარნი იგი ძმანი აღიდებდეს ღმერთსა, რომელმანცა იცნა სავანემ იგი მონათა თუსთა ბარბაროზთაგან ლოცუთა მონისა თუსისა შიოსითა.

აღთქმსა ჰყოფდა ომარ მონასტრისა მის მამისა მიმართ და ძმათა, ვითარმედ „დაამკუეთოს რაჟამი მარჯუენ<sup>3</sup>, მოვიდე თქუენდა და ვიქმნე ქრისტიანე და ნათელს-ვილო და მონაზონ ვიქმნე და თქუენ თანა დაჯა/დჯრე სიკურდილადმდე ჩემდა“.

ესე უკუე სიმალლე კადნიერებისა ღმრთისა მიმართ სულისა ნეტარისა, რომლისა ლოცუამ<sup>4</sup>, ვითარცა საკმეველი შეწირული ზეცისა საკურთხეველად, განგებითა საღმრთომთა ანგელოსთა მიერ წმიდათა შეცულ ჰყოფს მონასტერსა თუსსა, არა უტეივებს უღმრ-

<sup>1</sup> ~ მონაზონი მოხუცებული B. <sup>2</sup> კრძალულებისა B. <sup>3</sup> მარჯუენ AB. <sup>4</sup> ლოცუა A.

თოთა მიახლებად, ხოლო ღრუბელთა ზედა მჯდომარე ელუარები-  
თა მიუთხრობელითა თუალთა მიმართ უღმრთოთასა გამობრწყინ-  
ლების და მტერსა მეგობრად ქრისტესა მოიყუანებს.

ეჰა, საკრუელი ესე შეცუალებამ!

- 5 ომარ მორწმუნე ქმნილი საკრუელებისაგან, რომელი იხილა  
მონასტერსა შინა, ვითარმედ იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი, რომე-  
ლიცა ასცავს მონათა თუსთა წმიდათა ანგელოსთა თუსთა მიერ და  
რომელმანცა მსახური თუჰი კაცთაგანი მსგავსად წმიდათა ანგე-  
ლოსთა თუსთა განაბრწყინუა და ესოდენ თუსდამი კანდიერებითა
- 10 მიმადლებულ ჰყო, ვითარმედ ყოველსა, რაჟვესაცა ითხოვენ ვინ  
შუამდგომელობითა მისითა, ისმენს მათსა და ძალ-შუცს ღმრთისა  
მიმართ კანდიერებითა მტუელ-ყოფამ მათი, რომელნიცა ჰხადიან  
მას. ხოლო წარვიდა შემდგომად თუსა ერთისა იღუმალ ორთა თა-  
ნა ერთგულთა მონათა თუსთა და ყოველივე თუჰი დაუტევა, ესე იგი
- 15 უღმრთობემად, მამული, მთავრობამ და სიმდიდრემ და საშუებელსა  
კორციელსა ყოველსა გარე მიექცა და მონასტერსა ჰქსენებულსა  
შიო დიდისასა მივიდა.
- 102 ნათელს იღებს ომარ ორთა თანა მონათა თუსთა/ სახელითა  
წმიდისა სამებისათა და ქრისტესა შეიმოსს და მის თანავე შეიმოსს
- 20 „ახალსა განათლებულსა მეცნიერებასა მსგავსად ხატისა მის დამ-  
ბადებელისა მისისა, სადა-იგი არა! არს წარმართ და ჰურია, წინა-  
დაცუეთილება და წინადაუცუეთილება, ბარბაროს, სკუთელ, მონე-  
ბა, აზნაურება, არამედ ყოველად ყოველსა შინა ქრისტე“\*. ხოლო  
ნეოფიტე, ესე იგი ახალნერგ, იზედწოდების და ყოველსა „პირველ-
- 25 სა წარჰქდის თუსგან და ყოველსა ახალ ჰყოფს“\*\* თუს შორის და  
სახარებასა ქრისტესსა დაემორჩილების და მახარებელთა „მობამავ  
იქმნების და უფლისადა შეიწყნარებს სიტყუასა სახარებისასა ჰირ-  
სა შინა მრავალსა სიხარულითა სულისა წმიდისათა“\*\*.
- ხოლო ორთა მათ მონათა ნეოფიტესთა, რომელთაცა ნათელს-
- 30 იღეს მის თანა, დაჰსდუჟს სახელნი ნათლისღებასა შინა: პირუელსა  
ხრისტოდულოს, რომელ არს ენისამებრ ჩუენისა ქრისტეს მონა,  
ხოლო მეორესა ხრისტოფოროს, ესე იგი ქრისტე-მოსილ.
- არა ეჰა იყოფს ნეოფიტე ჯმნასა ეშმაკისაგან ყოველთა საქ-  
მეთა სიბილწეთა და მსახურთა მისთაგან და ამით საზოგადოდ
- 35 შედგომასა ქრისტესად „სულითა თაყუანისმცემელი“\*\* მამისა და

1 არა—B.

\* შტრ. კოლას. 3,10-11. \*\* შტრ. 2 კორ. 51,7. 3\* შტრ. 1 თესალ. 1,6.  
4\* შტრ. იოანე 4,24.

ძისა და სულისა წმიდისა, არამედ სოფლისაგანცა ივლტეს და ზრუნუათა მისთა, რამეთუ მკსმენელი: „რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თვისისა, ვერ კელეწიფების მოწაფე-ყოფად ჩემდა“<sup>3</sup> და კუალად: „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიღგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“<sup>4</sup>. ეინაჲცა დამდაბლუ- 5 ბული სულითა, მდაბალ მმჰაზრუელითა გონებითა ჯუარსა უფლი-სასა აღიღე/ბს და მიქსდევეს ქრისტესა.

ჰსდევეს ნეოფიტე უცხოჲ მამულისაგან და უცხოჲ ყოვლისაგან ნებისა თვისისა უცხოებით სოფლად მოსრულსა მორჩილი „მოკუ-დინებითა ასოთა ქუეყანისა ზუდათათა“<sup>3</sup>, დამორჩილებულსა მას 10 მამისად ვიდრე სიკუდილადმდე და „სიკუდილითა ჯუარისათა“<sup>4</sup> უმეტესად მამისაგან ამალლებული და სახელითა ყოველთა სახელ-თა უზესთაესითა ნიჭებული შედგომილსა თესდა აღამალლებს სო-ფელსა ზედა ბუნებასა ზედა და ყოვლისავე კრძალულებისა გამოც-დილებასა ზედა, რამეთუ სოფელსა ეზევა<sup>1</sup> ახალნერგი ესე ყო- 15 ველთავე შუებათა სოფლიურთა გარემიქცევითა და ბუნებასა მარ-ტოდენ მათდამი მცირედ მიშუებითა, რომელნიცა ფრიად საჭიროდ ეშესაბამებიან ბუნებასა, ხოლო ყოველთადმი ბუნებითთა საქმარ-თა, რომელნიცა არა ფრიად საჭიროდ ეშესაბამებიან ბუნებასა, არა-ოდეს ბუნებასა ზედა შემოყუანებითა, ხოლო ყოვლისავე კრძალუ- 20 ლებისა გამოცდილებასა, რამეთუ დაიმარხნა მცნებანი და ყოველთა სათნოებთა მიერ განკარგნა იგინი.

ეჰა, უხრწნელისა ამის კეთილდღეობისა დაკუეთებამ!

გვრგვნთა პირად-პირადთა თავდგმულებასა მიემთხუევის ახალნერგი, რამეთუ ჰჯულისაგან საარაკიანთასა ცნობად ჭეშმარი- 25 ტებისა მოწოდებული და „განმძრუელი ძუელისა კაცისა საქმით მისითურთ და ახლითა მით განაზლებულითა მეცნიერებითა შემო-სილი“<sup>5</sup> და ჭეშმარიტისა და უხრწნელისა ფილოსოფოსობითი-სა მადლისადცა მიმთ/ხუელი, ესე იგი ცნობითა ნივთთა და მიზეზ- 103 თა მათთა მყოფთა და ქმნილთათა საჯსედ განმყოფი და ერთისა 30 განუსაზღვრებლისა არსებისა მიმართ ხედუად განათლებული, რამეთუ ესგუარნი სიბრძნისმოყუარენი ზედწოდებულეებენ ჭეშმარიტ ფილოსოფოს სულითა წმიდითა თუთგუამოვანისა მამისა სიბრძნი-საგან მსკგავესად წმიდათა მოციქულთა, „გულისხმის-ყოფად წიგნ-თა“<sup>6</sup> საღმრთოთა გონებისა კართ აღხმულ იქმნების. 35

<sup>1</sup> ეზევაქ ეზავა A.

<sup>2</sup> ლუკა 14,33. <sup>3</sup> მატ. 10,38. <sup>3</sup> მდრ. კოლას. 3,5. <sup>4</sup> მდრ. ფილ. 2,8. <sup>5</sup> მდრ. კოლას 3,9-10. <sup>6</sup> მდრ. ლუკა 24,25.



- ხოლო სათნოებათა სიმდიდრე ახალნერგსა ყუავილოვან ჰყოფს და ნაყოფითა სამღუღელოთა წერილისა ზედმიწევნით ცნობისა და საღმრთოთა მათ საცხოვრებელთა ჩუენთა საიდუმლოთაცა სიტყუ-სა<sup>1</sup> კორციელისა განგებულებისათა აღავსებს, რომლისათვის მაშინ-
- 5 დელისა მის მამათმთავრისა ქართუელთასა ზედწოდებით სამოი-ლისგან დადგმად „ნათელი სოფლისა სასანთლესა ზედა“ იიძუ-ლების და ახალნერგი მოციქულებისა მადლისად მოიწოდების და ეპისკოპოსად ურბნისისა კქსენებულისაგან მამათმთავრისა კრებით კელდასხმულ იქმნების.
- 10 „ესე ქალაქი შთასა ზედა დაშენებული“<sup>2</sup>, ხილული მტერ-თაგან, ვერ მიახლებული გამოღებად, ხილულ იქმნა ღმრთისაგან, ვითარცა სარკე უბრყვლო ცხოველისაგან პირმშომისა მაგალითისა, რომელსა შინა იხილა ღმერთმან თავი თუსი.
- ხილულ იქმნა მეგობართაგან და ცნობილ, ვითარმედ „არა
- V 15 რამე არს სწორ სიკეთისა მისისა“<sup>3</sup>,/ საფარუელ არს და გან-მაგრებულ სამეუფო<sup>2</sup> საუნჯე სულიერ უფროს ოქროსა და ქუსა პატიოსნისა, „წყარო დაბეჭდულ და მტილ დაქმულ“<sup>4</sup> დროდ-დროდ განსაღებელ და მისაღებელ ნავთსადგურ განსუენებისა.
- ცნობილ იქმნა მეცნიერთაგან გულისკმის-ყოფითა აღმატებულ
- 20 და სწავლულებითა სრულ და ძე ნათლის, კაც ღმრთისა და მახლო-ბელ ღმრთისა, კაც გულისმთქმელ უზესთაესთა.
- ცნობილ იქმნა მართლ მსჯელთაგან, ვითარმედ ესე ვითართა ზედწოდებათა ღირს არს, რომელთაცა პატიე-ქსცემს წერილი საღ-მრთოთა და მალალთა და ზენამს<sup>3</sup> ნაწილისაგან.
- 25 ამან მოიგო ნიჭი ღმრთისა განცხადებულად ზესთა ღირსებისა ჩუენისა, ვითარმედ მიიღო რა საჭემ მღუღელმთავრობითი და მი-ითულა არვეა სიტყუერთა ცხოვართა და მიიწოდა კალოდ ზენამთა განგებითა და ერწმუნა კელთა შინა ნიჩაბი, ხოლო ლელუანი გან-ქსტრნა თეს შორის გამობრწყინებულისა ვარსკვლავისად, ესე იგი
- 30 ქეშმარიტებითისა საღმრთომისა ცნობისა მხედუელმან, და მისდამი განქსაჟა ნავი ცხოვრებისა თუსისა და მენავეთმოდურებისა მი-სისად რწმუნებულთა<sup>4</sup> ღმრთისაგან და ესრეთ წიაღელო ზღუამ ამის სოფლისა.
- უძლოდა ღუთითუ-შეკრებულსა არვესა სიტყუერთა ცხოვართასა
- 35 „ადგილთა მიმართ მწუხანვილოვანთა“<sup>5</sup>, სადა უხრწნელნი მღელო-

1 სიტყუს B. 2 სამეფო A. 3 ზენამს B. 4\* კრწმუნებულთა B.

\* შტრ. მატ. 5,15. \*\* შტრ. მატ. 5,15. \*\* შტრ. მატ. 5,14. 3\* შტრ. ზი-რაქი 6,15. 4\* შტრ. ქება 4,12. 5\* შტრ. ფსალ. 22,1.

ნი არა მოაკლდე/ბიან და სადა ბუტკნი არ განკმობადნი მსცენდე- 104  
ბიან, ესე იგი „მოდღურებანი სიცოცხლისანი“\*, ხოლო „მღინარე-  
თადმი წყლისა ცხოველისათა“\*\*, რომელნიცა მსდიან მუცელთა-  
გან, რომელთაცა მსუეს წყარომასაგან ცხოვრებისა და ესრეთ „გა-  
ნუგარეებელად და ზედმოხილვით დაიცუნა იგინი“3\*.

„არა მსჭამა მათგან სძეჲ უმმსჯავროდ, არა შეიმოსა მატყლი, 5  
არა დაჰკლა პოხილი, არამედ მოუძღურებული მათი განაძლიერა,  
სნეული განაძრთელა, შემეუსრვილი შეჰკრა და ბოროტად მყოფსა  
უსხეულსაჰქმა, ცთომილი მოაქცია და წარწყმედული მოიძია“4\*  
დაადგრა მათ თანა, დაიცუნა და არა განაბნივნა, მოილო ტალანტი, 10  
არა დაჰფლა ქუეყანასა შინა, არამედ განუმრავლა იგი მომცემელ-  
სა, რომლისათუს „მრავალსა ზელა დაიდგინა“5\* და შეიწოდა სიხა-  
რულად უფლისა თვისისა.

ხოლო განმსწმიდა უკუე კალოჲ ჰეშმარიტითა ჰმევეითა გულის-  
ხმის-ყოფისათა განმქრევმან ჰმელთა „ბზეთამან, რომელნიცა ღირს 15  
იყუნეს ცეცხლითა უშრეტითა დაწუად, და შეჰკრიბა იფქლი“6\*  
დაადებად საუნჯესა უკუდავისა სიძისასა.

ჰბრძოდა ცეცხლისმსახურთა და დიდითა კადნიერებითა ყოველ-  
თა შორის ქრისტესა ჰქადაგებდა, მოაქცევდა დაბადებულთა მსა-  
ხურებისაგან მსახურებად „დამბადებელისა, ზედამდგომარე იყო 20  
ჟამითი უჟამოდ“7\*, „არა სადამე მსჭამა/ პური ცულად ვისგანმე,  
არამედ შრომითა და რუდუნებითა“8\* დამე და დღე, იჰმოდა  
(საქმესა სახარებისასა), რათა არა ვისმე დაუმძიმოს.

ვერ დაითმენდა მტერი წარმართებასა მოციქულებრსა სპარსი-  
სასა, მსძულდა ამისთუს სახიერებამ ღმრთისა, განადიდებდა გან- 25  
საცდელთა გამოხატუთა კაცისა. ამისთუს ღმრთისა განრისხნებო-  
და, იგლოვდა უბადრუკებასა თვისსა, რამეთუ არათუ მოიკიცხვო-  
და მამეულად ქრისტეანეთაგან ოდენ, არამედ არაბთა და სარაკიან-  
თაგანცა. ამისთუს ყოველსა მზაკუარსა ღონესა თვისსა შემოჰკრებ-  
და, ცეცხლისმსახურთა მათ თან-მოქალაქეთა აღაბორებდა და შუ- 30  
რითა მკულელობითითა წმიდისადმი აღავსებდა, მაწუეველი მათდა  
კადნიერად მოკულად ებისკოპოსისა. ხოლო თუ სადამე არა უჰა-  
ტიყობა გულუებადი იყო მის დრომსა მპყრობელთაგან და მთავარ-  
თა ქრისტეანეთა უღმრთოთა მათ მიმართ მოკლვისათუს ებისკოპო-

\* შტრ. ტიტ. 1,9. \*\* შტრ. იოანე 7,38. 3\* შტრ. იერემ: 23,2. 4\* შტრ. ეზეკ. 34,3-4 5\* შტრ. მატთ. 25,20. 6\* შტრ. ლუკა 3,17. 7\* შტრ. ტიმ. 4,2. 8\* შტრ. 2 თესალ. 3,8.

სისა კანდიერად და ცხადად, არამედ მუხთლად და ღამე ადულ შესაძლებელ.

- ვინამცა შეიზრახნეს მსახურნი ცეცხლისანი და ურთიერთას<sup>1</sup> განმზრახნი იტყოდეს: „რამე იქმნეს კაცისა ამისგან ჩუენისა მო-  
 5 მართ მსახურებისა, რომელი გუაქუს მამეულად ჩუეულეზამ ცეცხლისა მიმართ და ღმერთთა, რამეთუ ესე ღმერთთა ჩუენთა შეჰმუსრავეს და დაშრეტს, ბომონთა დაამკობს, ქურუმთა შეაძრწუნებს, სახელსა ქრისტესსა გვიქადაგებს, მრავალთა ჩუენგანთა მიუძღვს.  
 105 ქრისტეს მიმართ, ახარებს, ნათელ-ჰსცემს, ჰსჯული/სა თვისისა სი-  
 10 ტყუებითა ჩუენგანთა, მეცნიერ-ჰყოფის. რამე ვუთ სხუამ, თვნიერ სიკუდილი კაცისა ამის, რამეთუ, თუ სადამე უტევთმცა ცოცხლად, არცა ერთილა დაჰშეთსმცა მსახურებასა შინა ჩუენსა მამულსა, ვინა თანა-გუაც სიკუდილი კაცისა ამის ესეგუარი, რომლისაცა ეკკლესიამ უპყრიეს და ნიადაგ შუამდგომელობასა მისსა ღმრთისა  
 15 მიმართ საქადულ ჰყოფს თვისსა და სტეფანეს ესმე სიკუდილსა ზედა იშუებს და დაქოლუასა მისსა ქრისტესთს ჰნატრის მარად და ლოცუსა მისისა შემწედ მოგებასა იტყუს ჰჰმირად. შთაეჰჯადოთ ბნელად სიკუდილისა მზედ ესე ქრისტეანეთა, აღუავსოთ ნისლითა დაჭირუებისათა ეკკლესიამ მათი, მოვიყუანოთ ეკკლესიასა მათსა  
 20 ზედა მჰუნუარებად ზამთრისა, საწადელი იგი მყუდროებად მღიმა-რედ არეობითი ქრისტეანეთა სატუხელ-ვჰყოთ, ქარნი და ღელუანი განსაცდელთანი სიკუდილითა ნოფიტესითა ქრისტეანეთა ზედა აღუადგინოთ.

- ესე უკუე შეზრახებად უღმრთოთა იდუმალ და დროსა მას და  
 25 ნიადაგ ერთი უკუე განზრახუად ნოფიტესი: ერთსა უკუე ნათელსა იგონებდა სამობასა შინა განუწუალებელსა და სამობასა ერთობასა შინა შეურევენელსა, ერთი უკუე აქუნდა „სიქადული ჯუართთა იესუ ქრისტესითა“\*, ერთისა ზეცისა იეროსალიმისა მიმართ იშუებდა, ერთსა წმიდასა კათოლიკე სამოციქულო ეკკლესიასა ქუეყანისა  
 30 ზედასა ერთად ზეციურ ეკკლესია/გარდაცულებად სასოებდა.

- უბრალოებდა ყოველსავე შინა და უბრალოთა ჰელითა საღმრთოსა ღმერთ-ტარიგსა მამისად შეჰსწირვიდა, მიაახლებდა ყოველად წმიდათა ბაგეთა ცხოველსმყოფელსა ევხარისტსა და ღმერთსა განკაცებულსა ეზიარებოდა და თვისითა ზიარებითა ღმრთისა მი-  
 35 მართ ზიართა სარწმუნოებისა და საქმისა თვისისათა მის მიერ განათლებულთა და განმართლებულთა ერთაცა ზიარ-ჰყოფდა.

ესეგუარი იგი ზეცისა მოქალაქე კაცი, განზრახუსაებრ მათისა,

<sup>1</sup> ურთიერთარს B.  
 \* შტრ. გალატ. 6,14.

ოდეს ჰგონეს მსახურთა ცეცხლისათა ღრომ მარჯუემ, კელლინსა შინა თუსსა უნიეთთა ლოცუათა შემწირუელი ნიეთთშემოქმედისაღმი შეიპყრეს და მძლავრ განათრიეს და, სადა-იგი განგებულ ეუთ, ადგილსა მას მიიყუანეს, აგინებდეს, ჰყუედრიდეს და ეტყოდეს: „შენნი უკუე ქადაგებანი დაქსცხრებანი დდეს, ეთაეისუფლდებით კადნიერებისაგან შენისა, შენ მიერ დამკობილნი ღმერთნი და დაშრეტილი ცეცხლი და ბომონნი დაცემულნი აღქსდგებიან და მსხუერპლნი ჩუენნი განახლდებიან და დამალულნი შიშითა შენითა მღუდელნი ღმერთთა და ცეცხლისანი გამოვლენ კადნიერად. წარვედ, სადა-იგი გსუროდა. აჰა, სასურუელი შენი დაქოლუა ქრისტესუს, რომლისათუს ჰნატრიდი შენსა მას სტეფანეს“.

მიუგებდა წმიდა იგი მტკიცითა გონებითა: „ტკბილ ჩემდა სიკუდილი, უღმრთონო, ტკბილ ჩემდა. საწადელ ჩემდა განყოფა კავშირთა უკუდავისა და მო/კუდავისა არსებობათა. საწყურუელ განკუეთა, რამეთუ თუთ მიმდრეკსა მიუდრეკელსა არსებასა თანა შეეაერთებ. ესე უკუე ბრალ ჩემდა წინაშე თქუენსა, რამეთუ დააკლდა სახარებისა ძლით ჩემისა კრებულსა თქუენ უღმრთოთასა და შეეძინა ეკლესიასა ქრისტეს ღმრთისასა. ჰე, ნამდულ ჰეშმარიტ არს ესე აქამომდე; „ენამ ჩემი ვჰყავ საწერელ მწიგნობრისა გელოვნისა“ და მონადირებულ ვჰყუენ მით თქუენნი მრავალნი და უშუერებანი იგი მათნი განეპრცხენ წმიდითა ნათლისღებითა და წმიდისა სარწმუნოებისა მიერ გამოეჰხატენ მათ ზედა „მშუენიერი იგი სიკეთითა უფროს ძეთა კაცთა“<sup>30</sup>. ამიერითგან სისხლითა ჩემითა დავამტკიცო შრომილი ჩემგან წმიდა ეკლესია, რომელიცა შეჰკრიბა ქადაგებისა მიერ ჩემისა ძემან და სიტყუამან ღმრთისამან „პატიოსნითა სისხლითა თუსითა“<sup>31</sup>. ხოლო რომელიცა განაგო ჩემთს ღმერთმან, იყავნ იგი, რამეთუ მომიწოდა მე უღმრთოებისაგან ნათლისა მიმართ თუსისა და „გამოცდილებამ იგი სარწმუნოებისა ჩამისა უპატიოსნეს უფროს ოქრომსა მის წარწყმედადისა, ცეცხლისა მიერ გამოცდილისა (წმიდითა ამით სიკუდილითა) იპოვოს საქებლად და დიდებად და პატივად გამოჩინებასა იესუ ქრისტესსა“<sup>40</sup>.

არა ჰსდროებდეს უკეთურნი იგი, ჰგუემდეს უწყალოდ და წარათრევდეს და ფერჯთა მიერ არაწმიდათა დაქსთრგუნვიდეს და ქუათა მიერ მძნუარედ ჰქოლვიდეს. ხოლო იტყოდა წმიდა იგი: „უფალო იესუ ქრისტე, შეივედრე სული/ჩემი“<sup>50</sup>. და ესრეთ

\* შტრ. ფსალ. 44,1. \*\* ფსალ. 44,2. 3\* შტრ. ეფეს. 2,13. 4\* 1 პეტრე 1,7. 5\* შტრ. საქმე 7,59.

- დაიძინა ძილი მართალთა და წმიდამ იგი სული მისი ყოვლად წმი-  
 დამან სამებაჲმან შეიწყნარა და დაამკურა წინაშე თუსსა, „სადა-იგი  
 არს ღიღებულთა მოციქულთა გუნდი, მოხარულთა წინასწარმეტყ-  
 უელთა რიცხვ, სადა-იგი არს სიმრავლე ურიცხვ მოწამეთა მძლე  
 5 მტერთა ზედა მათთა და გურგუნოსანი, სადა-მძლენი ქალწულნი, რო-  
 მელთა წადილი კორცთა დასპთარგუნეს ფერკთა ქუეშე სიყუარული-  
 თა ქალწულებისათა“\*. ხოლო აწ დაწესებულებს და თანზიარებუ-  
 ლებს ყოველთა წმიდათა თანა, რომელნიცა „ჰხედუნენ ღმერთსა და  
 მზიარულ იქმნებიან, იშუებენ და ღიღებასა შინა განჰსცხრებიან  
 10 და საუკუნოსა ბედნიერობასა შინა ჰსუფევენ. არარამ აკლს მათ,  
 არარამ წარუწყმდების, ყოველივე წადილი მათი აღუსილ არს  
 ქრისტეს მიერ“\*\*.
- იტყუს უკუე წინასწარმეტყუელი, ვითარმედ: „სიმართლე მარ-  
 თლისა მის ზედა იყოს“3\*. და იგინი უკუე არიან მართალნი, რო-  
 15 მელნიცა მართლითა სარწმუნოებითა ქრისტეს მიმართ და მცნება-  
 თა ქრისტესთა სიმართლით დაცუთა და, რამცა თანა-აძსთ ქრისტე-  
 ანეთა თვთოეულსა თანამდები თუსი, სიმართლით მიცემითა ქრის-  
 ტეს მიმართ, არიან მართალ და ამათუს თქმულ არს: „ცხოვრება-  
 სა და უკუდავებასა ხოლო ბრწყინულებასა საუკუნესა მიანიჭებს  
 20 ღმერთი მართალთა მათ, რომელთაცა დაიცუნეს მცნებანი მისნი  
 და ეგნეს მტკიცედ სიყუარულსა ზედა მისსა“4\*. ესენი უკუე  
 არიან, რომელთაცა წინაშე ღმრთისა მდგომარეთა მიუფიესთ სალ-  
 მრთომ გამობრწყინებამ, რომელთათუს თქმულ არს: „ვითარცა  
 107 მდინარესა დაუწყუდელსა მოჰქონან ახალნი/ და ახალნი წყალნი,  
 25 ეგრეთ ხილუა ღმრთისა ნიადაგ იგივე არს, მაგრა წმიდათა მათ  
 ნიადაგ ახალსა სიამოვნესა მიჰსცემს“5\*. ხოლო თქმულ არს  
 უკუე ამისთუსვე: „ესრეთ შუენიერ არს პირი ღმრთისა, რომელ  
 ჰხედუნენ წმიდანი ნიადაგ და ხედვისა მიერ განძლებიან და კუალად  
 ხედუსავე ჰსწაღნოიან“6\*.
- 30 ესე უკუე მოსაგებელი სიმართლისა დაცუსა მცნებათა მისთა-  
 სა და თანანადების მიცემისა წინაშე საყდარსა ღმრთისასა მდგო-  
 მარეობამ, ნიადაგ ხედუამ ღმრთისა და საწადელისა თუსისა ქრის-  
 ტეს მიერ აღუსებამ მოილო „ლუაწლისა კეთილისა მოღუაწემან“7\*,  
 ახალნერგმან, მოციქულთა თანა მახარებელმან, მღუდელთა თანა  
 35 უბრალეობით მღუდელმან, მოწამეთა თანა ჰუმმარტებისა მოწა-  
 მემან და მძლემან, მმარხუელთა თანა უგამოცდილესმან, განკრძა-

\* ოქროპირისა. \*\* კუროანესი მოწამეთ ქებისაგან. 3\* ეზეკ. 18,20. 4\* ირი-  
 ნეოს ლუგდუნის ეპისკოპოსის. 5\* იერონიმესი, 115 ფსალმუნის განმარტება.  
 6\* ამუროსისა პეტრეს 1 კათოლიკის განმარტება. 7\* შდრ. 2 ტიმოთ. 4,7.

ლულმან ქალწულთა თანა შემდგომად წმიდისა ნათლისღებისა, ყუაიღმან სატრფიალომსა მის ქალწულებისმან და მართალთა თანა წრფელმან და უბიწომან და ყოელისა სოფლისა მეოხად დაიდგინა წინაშე მისსა ღმრთისა მიერ.

მოვიკსენოთ უკუე ესეცა ორნი იგი ძმანი, რომელთაცა ნათელს-იღეს ნეოფიტეს თანა, ზედწოდებით ხრისტოდულოს და ხრისტოფოროს: მმარხუელობითა სრულითა და უგამოცდილესითა მონაზონებითა განბრწყინდეს. ხოლო ნეტარსა ხრისტოფოროს ერწმუნა ილარიონის მიერ, რომელი იყო მამა დიდისა მონასტრისა მღვმისა, მამა-ყოფამ მონასტრისა მკოდოვანისა და იქმნა ყოვლად კრჩეულ და მკურნალ სულთა და ასორმეოც და ხუთისა წლისა უფლისა მიმართ მივიდა.

ეპპოვეთ უკუე ისტორიაა წმიდისა ეპისკოპოსისა და მოწამისა ნეოფიტესი სასწაულებისა მოთხრობათა შინა ღირსისა მამისა ჩუენისა შიო საკურუელთმოქმედისათა, რომელნიცა სხუადასხუათა მიერ აღწერილნი შეკრიბნა მოსაყდრემან ჩემმან ნეტარმან ვასილი, მამათმთავარმან ქართუელთამან, ძემან პატრიკისა ვაჩესმან.

ხოლო შენ, ნეოფიტე ჩემდა პატიოსანო და ყოვლად საქებელო, საქმითცა და სახელით უფროს, ვიდრე სხუათა ქართუელთა მოწამეთასა, რამეთუ შურსა არცა ერთსა ეკგონებ მოწამეთაგან მოწამეთათუს. შენითა უმეტეს ვიძლევი სათნოებითა და აღუსუბუქნები ჰქსენებითა და აღვიფსები სიტკბოებითა და სახითა რამთამე შენ თანა ვარ მოწამებითა და გეზიარები მოლუაწებასა და ყოვლად შენდამი მოვიცულები ამისთუს, ვითარმედ არა ვიტყუ ამას, რათამცა დაავიწყდა ქართუელთაგანსა მეცნიერსა ვისმე ლუაწლნი შენნი, რომელნიცა ილუაწენ ქრისტეს მიერ და ქრისტესთუს, არამედ უცალოებითა რამთამე დადუმებულ იქმნა ჩემდამდე ჰქსენებამ შენი დღესასწაულობით.

აწ უკუე, თავო ყოვლად სამღუდელოო, წინაშე საღმრთო მსა ზეციერისა საკურთხეველისა მსხუერპლთა სიტყვითა სერაფიშთა თანა მღუდელმშოქმედო, აკოლოთითამ დღესასწაულობითი და შე/სხმამ და გალობამ წმიდათა ვნებათა შენთა და ყოვლად უბრალო მსა მის მღუდელობისა შენისა შეიწირე ანტონისგან უბადრუკისა არხიეპისკოპოსისა და შენთა წმიდათა ვნებათა მიზიარე. „მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა ქრისტეს იესუს მიერ, რომლისა არს დიდება უკუენითი უკუენისამდე, ამინ“<sup>40</sup>.

• კრძ. 14.26.

ქმისა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნაბათა წმიდისა ღიღისა  
 მოწამისა რაჟღენისთა, ჰენილი ანტონის მიერ არხიპისკოპოსისა  
 ყოვლისა ზეითესა საქართუელთესა. დავითიან-გაბრატოვანისა

5

ეჰა, ჯუჲართგან ესე ქროლაი საღმრთო,  
 დენა სუნნელის ბრძარულით სისხლი საქებ,  
 ჟამს მსგავსებულ ღუთიე განგებით გასაცუფრი,  
 არა დღე ყოფა აჲერის ენება ბნელით  
 რაჟღენისა აქ ლალისა მჭკრუალისა.

### სიტყუა მეშუდე

- 10 შემკურ არს კრება ესე დღეინდელი მარტულთმოყუარეთა,  
 რომელიცა შეჰკრიბა სურვილმან, რამეთუ სული ქრისტეს მოყუ-  
 რემ იშუებს უფროს და უდიდეს ჰქსენებასა შინა მოწამეთასა,  
 ვიდრელა სხუათა წმიდათასა, დაღათუ იგინიცა ნამდულ მეგობარ  
 არიან ღმრთისა, რომელთათეს იტყუს სული ნეტარი: /„ჩემდა ფრი-  
 V 15 ად სადიდებელ იყუნეს მეგობარნი შენნი, ღმერთო“.
- იშუებს ჰქსენებასა შინა მოწამეთასა სული ქრისტეს მოყუარე  
 და სისხლსა ზედა მათსა იხარებს და ესრეთ შეურაცხიეს, ვითარ-  
 მედ მისი არს ღუაწლი იგი და ძლევაჲ მოწამეთა და თავსა თუსსა  
 ამით გვრგვონსან ჰყოფს, მოიტაცების სურვილითა წმიდითა და  
 20 მოწამეთა თანა ქრისტესთა წინაშე მძლავრთა მათ უღმრთოთა წარ-  
 დგების და უშიშობაჲ მათი და კადნიერებაჲ მძლავრთადმი, რეცა  
 ჰგონებს, ვითარმედ თუსი არს. ხოლო სიტყუს-გებასა ზედა მძლავრ-  
 თადმი მოწამეთასა, რომლითაცა დაადუმნეს პირებნი უღმრთოთა-  
 ნი, ვითარმედ საღმრთო არს ბრძანება ესე: „მე მოგცე თქუნენ პირი  
 25 და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინააღმდგომად და სიტყუს-  
 გებად ყოველთა წინააღმდგომთა თქუნეთა“\*. სიმარტივესა შინა  
 თუსსა და გულისხმის-ყოფასა უბიწოსა განყოფითითა და საესითა  
 გამოხატუთა ჰსლდების სული და წადილითა გონიერებრითა საღმრ-  
 თოთა მისდრკების საწადელისა მის თუსისა და ყოველად სასურ-  
 30 ვომისა განლუძებოსად და თუსდა პრაცხავს სიტყუათა მათ გამომავ-  
 ლთა პირთაგან საღმრთოთა მოწამეთასა მძლავრთადმი.

ესრეთ უკუე სულისაგან ქრისტესმოყუარისა განფენა წმიდათა  
 მოძრავობათა ანუ გამოხატუათა ღუაწლთა მიმართ სურვილით

\* ფსალ. 138,17. \*\* ლუკა 21,15.

წმიდათა მოწამეთასა განისჯების წმიდითავე გულისხმის-  
 ყოფითა ესეგუარისა სულისათა და მარტულთმოყუარებითა მით  
 ნამდულ საყუარელისა და სატრფომისა ძისა ღმრთისა ქრისტეს თანა  
 ჯუარსა ზედა ამაღლდების და/ განიცდის მუნ გუელსა გარდამოვრ- 109  
 დომილსა და უფსკრულად ჯოჯოხეთისა შთადგებულსა, ცოდუასა 5  
 ჩუენსა ჯუარსა შემსჭუალულსა, ხესა მომაკუდინებელსა ჩუენსა,  
 განწმედილსა გულისთქმასა სიკუდილისა თანა მომკუდარსა, ადამს  
 ცხოვნებულსა, წყევასა განქარუებულსა და არსებასა ჩუენსა ხატსა  
 ღმრთისასა ახლითარე განახლებითა დაბადებულსა.

ამისდამი მიიყუანებს სულსა მარტულთმოყუარება და მეო- 10  
 რედ დაბადებისათვის თვისისა მადლობასა ასწავებს მისდამი, რო-  
 მელმანცა კქმნნა ჩუენდა კეთილნი ესე.

ამით უკუე შემკულ არს კრებად დღეინდელი ქრისტეს-მოყუა-  
 რეთა და მოაქუსყე მოწამეთათვის ქრისტესთა რომელთამე სიტყუა-  
 ნი თხზულნი, რეცა უხარწნელი ყუაიელი გვრგუნისა დადგმად ყოვ- 15  
 ლად შუენიერთა თაეთა მათთა ზედა, ვითარცა მძლეთა მტერთად  
 ღმერთ-მთაერისა მეფისა მათისათა, რომელთამე სიტყუანი ესეგუ-  
 არნი, ვითარ რეცა რტონი ფინიკისანი, ნიშნად ძლევისა მათისა და  
 შით გალობად მათდამი ქეშმარიტად: „საკურუელ არს ღმერთი წმი-  
 დათა შორის თვსთა“, რამეთუ მრავალწილ აღგზებული ცეცხლი 20  
 დაქმრიტა „ცეცხლმან, რომლისა მიფენად მოვილა ძე ღმრთისა“<sup>30</sup>,  
 მძუნუარებანი მკეცთანნი დააწყენარნა, მსჯათა მიმართ წმიდათა  
 მოწამეთასა ურმის-თუალნი საშინელნი, მანქანანი ძუალთა მძუნუ-  
 არედ შემმუსრუელნი, რკინანი პირად-პირადითა საშინელებითა  
 განმახლნი და განჯურუებულნიცა ვითარცა ცულნი განგრი/ლე- 25 V  
 ბულნი მოწამეთა მიმართ გამოაჩინნა.

რომელთამე მოაქუსთ საღმრთოთა მოწამეთათვის სამოსელნი  
 ქსულნი სიტყუებითა წმიდათა მარტივითა და ბრწყინუალითა უხუ  
 და შუენიერ ქსოვილნი „განრცხილნი სისხლითა კრავისათა“<sup>31</sup>,  
 რათა მით შექმოსონმცა ტანჯულნი იგი კორცნი მოწამეთანი, რო- 30  
 მელნიმე ჰგალობენ მოწამეთა თანა გალობასა ახალსა „მაცხოვა-  
 რება ღმრთისა ჩუენისა მჯდომარისა საყდართა ზედა და კრავი-  
 სათა“<sup>40</sup>.

სადღესასწაულო უკუე კქსენებად მოწამეთა იეკლესიების,  
 ვითარ-იგი ვქსთქუთ, სულისაგან ქრისტეს მოყუარისა, რომლითა 35

\* ფსალ. 67.34. \*\* შღრ. ლუკა 12.49. 3° შღრ. აოკალ. 7.14. 4° აოკალ. 7.10.



მედღესასწაულენი თქმულისაებრ ჭეშმარიტად ზიარ ყოვლად წმი-  
დათა და საღმრთოთა ვნებათა მათთა, რამეთუ აქა სურვილი მედ-  
ღესასწაულეთა თუთოეულსა უსწრობს ურთიერთას<sup>1</sup> და საკურ-  
თხვევლად საღმრთოდ, სადა-იგი შეიწირნეს წმიდანი იგი კრავნი

5 და საკურთხნი სიტყუარნი საკურთხვეელსა მას ზედა, საკურთხთა-  
თანა მდგომარე არს და მოიღებს ცეცხლისა მისგან ტრფიალები-  
თისა, რომლითა შეიწირნეს მსხუერპლნი იგი საღმრთონი, მოიგ-  
ზებს მისგან და აღატიყინებს გულუბსა მედღესასწაულეთასა და შეკ-  
სწირავს საკურთხთა მათ თანა სიტყუერთა სიტყუსადმი ღმერთთ-

10 მთავრისა.

ესეგუარი არს კრებამ მარტულთმოყუარებითი და ესრეთ სარ-  
გებელ არს შერთუად კრებულსა ესეგუარსა, ესრეთ სახარულევან-  
110 არს ჰქსენებამ მოწამეთა და ესეგუართა ნაყოფთა სულსა შინა  
ჭეშმარიტებით მედღესასწაულეთასა გამოიღებს. ხოლო დაღათუ  
15 ყოველნი მოწამენი ქრისტესნი მორწმუნეთად ქრისტესთა საყუა-  
რელ და სასურველ ერთღაიგივე. მაგრა ჩუეულებით თანამოქალა-  
ქეთათს ვითამე უგანთსებულეს მათდა მამულსა მათსა მოწამენი,  
რომელთაცა მსწამეს ქრისტესთს და შეკსწირნეს თავნი თესნი.

მოგვიღებთა ქართუელთა დღეინდელისა კრებისა ჩუეულებამ  
20 ბრძანებითა კეთილმსახურისა ვახტანგ დიდისა, სპარსთა მიერ  
მგელ-ლომ ზედწოდებულისა, მონარხისა ყოველთა ქართუელთა და  
რანთა და აფხაზთასა, რომელიცა დაამტიცა მამინ კრებამან ეპის-  
კოპოსთა წმიდათამან საღღესასწაულოდ. ხოლო მიზეზი კრებისა  
ამის არს ქრისტეს მოწამე რაჟდენ, რომლისაცა ღუაწლსა პირუელ-  
25 მოთხრობილსა განგვიახლებს ნეტარი ბესარიონ, მამათმთავარი ჩუ-  
ენი და განაღძვებს სულთა ჩუენთა ქებად უალრეს ძალისა ახოვნე-  
ბათადმი რაჟდენისთა.

წარმოდგემის ჩემ შორის ტკბილ-სახელი მოწამე ქრისტესი  
ძირისაგან საეკლესია ნამორჩი და „ბუნებითსა ზეთის ხესა ზედა  
30 დამენილი პირველ“<sup>2</sup> დაღათუ ძეძუ და ყოვლად ეკლოვან, მაგრა  
სარწმუნოებითა ქრისტესითა და „წყლისა და სულისა მიერ შობი-  
თა“<sup>3</sup> „ხე დანერგული თანაწარსადინელსა წყალთასა“<sup>3\*</sup>, ესე იგი  
საღამთ მსდის წყალი ცხოველი, რომელიცა პრეტეს სულთა მწიკუ-  
ლოვანთა<sup>2</sup> ხედვითისაგან და საქმითისა საღმრთოდასა კეთილისა  
V 35 წყაროდაგან მდინარე, ხოლო არა დაქსევი/ან ნაყოფნი თანაწარ-  
სადინელსა მას წყალთასა მდგომარისა ხისანი.

1 ურთიერთარს B. 2 მწიკლოვანთა B.

\* შღრ. პრომ. 11,17. \*\* შღრ. იოანე 3,5. 3\* ფსალ. 1,3.

ხოლო ნაყოფნი მისნი არიან სარწმუნოება ცხოველი ჭეშმარი-  
ტისა ღმრთისა მიმართ და საქმენი სარწმუნოებითა წმიდათა გან-  
კარგულნი.

„ნეტარ არს კაცი“\*, რომელსა მიეტევნენ უსჯულოებანი და  
რომელსა დაეფარნეს ცოდვანი, რამეთუ კეთილ შეცუალება ესე 5  
არს სანატრელი სულისაგან წინაწარმეტყუელისა, ვითარ-იგი სპარ-  
სი, ცეცხლისა, მზისა, მთოვარისა და ვარსკულაუთა მსახური და  
მოკვ, იცუალა მსახურად ჭეშმარიტად და მონად სარწმუნოდ და  
საყუარელ მეგობრად მხოლოდსა ღმრთისა, მამისა და ძისა და წმი-  
დისა სულისა ამისთვის, ვითარმედ იცნა არსებამ თვისი, რამეთუ სუ- 10  
ლი არს მქონებელი გონებისა და სიტყუსა და ცხოვლობისა. ვინა  
არცაღა შესაძლებელ სადამე არს ესევეითარისაგან ღმრთისა შექმ-  
ნამ, რომელსა თავსა შორის თვისსა არა მოაქუნდეს სამომამ იგი  
უკუდავი, ესე იგი გონებამ, სიტყუამ და სიცოცხლემ, ვინა ჰრბის  
რაქუნდნ ესევეითარისა ღმრთისა მიმართ, რომელიცა არს მარტივ და  
კერძოთადმი განუყოფელ და დაუქსნელ გონება და სიტყუა და 15  
ცხოველ, მაშასადამე, უკუდავცა. ამისთვის მოჰსძაგდების ღმერთნი  
ესეგუარნი, რომელნიცა არცა არიანლა მარტივ, არცა ერთმანერ-  
თისა შემოქმედ და არცა თავთა თვისთა შემწე, არამედ სამკაულად  
სოფლისა, რათა ცხოვლობამ სოფელსა შინა განიგებოდესმცა  
მშუ/ღობით. 20 11f

ხოლო ვინამთგან არა არიან ღმერთნიუსე მარტივ, მაშასადა-  
მე, შესაძლებელ არიან დაქსნად კერძოთად და კერძონი დაქსნად-  
მდე ვიდრემდის უწულილესისა მიმართ და მარტივისა მიიწიოს  
კერძოკისად. ესე რამმედლა ღმრთად საოცნებელ არს, რომელიცა  
არა სუფთამანცა მოაკლოს ყოფისაგან ნივთმან. მაშასადამე, სხუა 25  
არს ღმერთი მარტივი, რომელიცა სიმარტივისა ძლით არს უკუ-  
დავი, ვინა არს ერთი შემოქმედ ყოველთა, რამეთუ შესაბამ არს  
ერთისად შექმნა ყოველთა, რათა ერთი იგი მრავალთა მათ ერთთა  
ერთობასა არსებითსა მიჰსცემდესმცა დაყოფასა, ვინა ერთი იგი  
არს დაუსაბამო, რამეთუ ყოველთა ერთთად ერთობისა დაყოფისა 30  
მიმცემსა ეშესაბამების და შეეტყუების უწინარეს ყოველთასა ყო-  
ფამ, ვინა შეუხებელ სადამე არს იგი მით, რომელ უკეთუ მარტივ  
არს, შეუხებელცა არს.

ვინა საუკუნო არს მით, რომელ ყოველთა მათ ერთთა არსე-  
ბანი საუკუნო არიან, დაღათუ ყოფამ მათი შესაძლებელ არს აღარ 35  
ყოფად, მაშასადამე, მამყოფებელი იგი ყოველთა მათ ერთთა არსე-

\* ფსალ. 1.1.

- ბათა ნამდულ ჭეშმარიტ შესაბამ არს, რათა იყოსმცა საუკუნო, ხოლო კორცნი, რომელ არს კერძოდ არსებისავე კაცობრივისა, დ კჳსნად არიან, შეეცუალებად და განხრწნად და სული ოდენ თან-კერძოდ მისი არს გებად უკუდაუად ამისთვის, ვითარმედ იგონებს
- V 5 იგი, განჰსჯის და გამოაჩინებს და იწადებს თავისუფლადრე ნები-საებრ თვისისა და ესე მო/ქმედება სადამე არს ღმერთაებრი, ვინა უკუდავ სადამე არს სული, მაშასადამე, უკუდავიცა მიიღოს ად-გილი. ხოლო ადგილი იგი მიღებადი სულისა უმჯობეს არს, რათა იყოს ესევეითარსა შინა ყოფსა, რათა ხელვისაგან შემოქმედისა
- 10 არა აკლდეს, ოდეს-იგი განხრწნადნი კორცნი განიბერტყენს და გრძობადნი შეიცუალნეს გონებად და მცნობელობანი გრძობით-ნი, გამოხატუნნი, მეკსიერებითნი და ფანტაზიითნი იქმნნეს შესა-ბამ მოქმედებად გულისხმის-ყოფისა და გონებისა, ვინა კეთილნი საქმენი, რომელნიცა მებრ ჩუეულებისა და ჰსჯულისა ბუნებითისა
- 15 თავით თვისით კეთილობენ ესენი, მიიყუანენ სულსა მახლობელად ღმრთისა, ვინა ბუნებითისა ჰსჯულისა კეთილთა შორის არს პირ-ველ განყრად დაბადებულთა ღმრთად ოცნებისა და აღსარებაჲ მხოლოდსა ჭეშმარიტისა ღმრთისა.

და სადათ უკუე ისწავლების მხოლოდსა ჭეშმარიტისა ღმრთი-

- 20 სა ცნობად, უმჯობეს გარნა მუნ, რომელნიცა აღიარებენ მხოლოსა ღმერთსა, ვინა მოძღუართაგან ქრისტეანეთა ვჯერ არს ცნობისა ამის მიღებაჲ, რამეთუ ქრისტიანენი მხოლოსა ჭეშმარიტსა ღმერთ-სა ჰმსახურებენ და მათდამი მისულად და ცნობად მათგან მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი სათანადო არს.
- 25 ესე უკუე არს ჰაზრი კეთილი განჰსჯა, გამოჩინება და დამ-ტკიცება ჩემისა საწადელისა მოწამისა, ხოლო საქმისაცა შედგომა
- 112 განზრახვად, რამეთუ რაჲდენ ბომონისაგან საცეცხლემსა პრბის/ეკკლესიად ქრისტესა და მოძღუართაგან ქრისტეანეთა გამოიკითხავს ცნობასა მხოლოდსა ჭეშმარიტისა ღმრთისასა, რომელთაგან მხო-
- 30 ლობად ჭეშმარიტისა ღმრთისა არსთა თუთოეულისა არსებისაგან ექადაგების, ვითარცა თვისთა შექმნულთაგან. ხოლო მხოლოდსა მას შინა განუყოფელი სამობა წინასწარმეტყუელთა მოსწავეებითა და მოციქულთა და მახარებელთა მიერ მოცემითა და წმიდათა მა-მათა მიერ დამტკიცებითა ქადაგთა მათგან ჭეშმარიტებისათა ქრის-
- 35 ტეანეთაგან მოძღუართა, ვითარცა ბეჭედი, ღმრთის სახესა გონე-ბასა შინა რაჲდენისსა და ტუფრით და შეეცუალებელად მიღებით გამოიხატების.

ეგსახედ მაცხოვარებად ყოელისა სოფლისადა, რათა ხატი  
 თსი გარდასლვისა მიერ მცნებისა და ცოდუათა განაახლოს და  
 ტყუეობისაგან ეშმაკისა იქსნას და პირველსა მდგომარეობასა შინა  
 მიიყუანოს ქალწულისაგან დაეთისგანისა განჯორციელებითა „და  
 სიკუდილადმდე ჯუარისა დამდაბლებითა“<sup>5</sup> ძემან ღმრთისაჲან, 5  
 თანაარსმან მამისა და ყოელად წმიდისა სულისაჲან, რომელსა შინა  
 „ყოველი საესებაჲ ღმრთაებისა დამკვდრებულ არს კორციე-  
 ლად“<sup>6</sup>, „რომლისა მიერ დაიბადა ყოველიეუ ცათა შინა და ქუეყა-  
 ნისა ზედა, ხილულნი და არა ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, გინათუ  
 უფლებანი, ანუ მთავრობანი, კელმწიფებანი“<sup>3</sup> და ძალნი, რომელი- 10  
 ცა „მოივლინა მამისაგან, მჰსგავსად კორცთა მათ ცოდვისათა და  
 ცოდესათს, და ჰსაჯა ცოდუაჲ იგი კორცითა/ თსითა“<sup>4</sup>, რომე-  
 ლიცა „წარჰსდგა წინაშე პონტიელისა პილატესა და ჰსწამა კეთილი  
 იგი აღსარებაჲ“<sup>5</sup> და „იენო ჩუენთვის კორცითა“<sup>6</sup> და „მოკულა  
 და აღჰსდგა“<sup>7</sup> და ამაღლდა ზეცად და „მარჯუენით ღმრთისა 15  
 მჯდომარე არს“<sup>8</sup>.

ესე უკუე განგებულებანი მაცხოვრისა ჩუენისანი, მოსწავე-  
 ბულნი ჩუენდა სულისა მიერ წმიდისა კმითა საწინასწარმეტყუე-  
 ლოჲთა და „სულისა წმიდისა ცეცხლისა ენების სახედ თითოეუ-  
 ლისა თავსა ზედა დადგრომითა“<sup>9</sup> წმიდათა მოციქულთაგან 20  
 ჩუენდა ქადაგებული, ხოლო შრომითა ნეტართა მამათათა ჩუენდა  
 დამტკიცებული თესლი ცხოვრებისა შეიწყნარა ერქუნითა საღმრ-  
 თოჲთა ენითა ქრისტეანეთა ჭეშმარიტებისა მოძღუართათა მოერ-  
 ქუნილმან წმიდამან მან ორნატმან, ღმრთის სახემან გონებამან  
 რაქდენისმან და გამოჰსცა „ნაყოფი ოცდაათეული“<sup>10</sup> ყოელი- 25  
 სავე ქადაგებულისა უიჭუელი შეწყნარებაჲ და ნათლისღებაჲ სახე-  
 ლითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა სამოცეული, რა-  
 მეთუ „განმართლდა სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა“<sup>11</sup>. ესე  
 იგი ჰრწმენა ღმრთისა მიმართ მართალსა მას, რომლითა „მარ-  
 თალი იგი ღმრთისა მსცხოვნდა სარწმუნოებით“<sup>12</sup>, მაგრა 30  
 შეიწყნარა სარწმუნოებაჲ ქრისტეს მიმართ ყოელად უმანყოჲთა  
 სულითა, რამეთუ წმიდაქმნილმან გულითა იხილა ღმერთი ჭეშმა-  
 რიტი თს შორის მოსარული, ესე იგი ოდეს წმიდა ჰყო გული თსი  
 რაქდენ ყოელისაგან სიძულელილისა და ზაკესა და ძურისჰქსენებისა  
 და გულისთქმისა ბიწიერისა, იხილა ღმერთი თს შორის მოსარული, 35

\* შტრ. ფილიპ. 2,8. \*\* კოლას. 2,9. 3\* კოლას. 1,16. 4\* 1პოშ. 8,3. 5\* შტრ.  
 1 ტიშოთ. 6,13. 6\* 1 პეტრე 4,1. 7\* 1 თესალ. 4,14. 8\* კოლას. 3,1. 9\* შტრ. სიქმე  
 2,3. 10\* შტრ. შატ. 13,8. 11\* შტრ. გალატ. 2,16. 12 შტრ. აშჰაქ. 2,5.

113 ესე/იგი საღმრთოა სიყუარული, რამეთუ არსებასა ღმერთთ-მთა-  
 ვარს საყუარელმან მან მოწაფემან ნამდულ საყუარელისა სიყუა-  
 რულისამან „სიყუარული სახელ-ჰსდღა“<sup>5</sup> და ამას სიტყუებითა მა-  
 მათათა დამტკიცებულისა ესრეთ ვჰსცნობთ, ვინაჲცა „სიყუარულ-  
 5 მან მან მოყუასსა თჳსსა ბოროტი არა უყვის“<sup>6</sup>.

ესრეთ „მმადლობელი ღმრთისადმი მოუკლებელად, რამეთუ  
 მიიღო სიტყუაჲ იგი სმენისა ღმრთისა ქადაგთა მიერ და შეიწყნა-  
 რა არა თუ სიტყუაჲ კაცთა, არამედ ვითარცა არს ჭეშმარიტად  
 სიტყუა ღმრთისა, რომელმანცა უკუე აჩუენა შეწვენაჲ მორწმუნი-  
 10 სა თჳსისა შორის“<sup>3</sup>.

ხოლო გამოიღო ნაყოფიცა ასეული, ესე იგი მიიღო მადლი  
 ზეცით სიმართლეთა თჳსთათჳს, და მადლისა მომღებმან „მოი-  
 ლუაწა ღუაწლი იგი კეთილი სარწმუნოებისა, შეიტკბო საუკუნოა  
 იგი ცხოვრებაჲ, რომლისადცა იჩინა, და აღიარა კეთილი იგი აღსა-  
 15 რებაჲ წინაშე მრავალთა მოწამეთა“<sup>4</sup>, დაიმარხნა მცნებანი უბი-  
 წოდ და უბრალოდ ვიდრე გამოჩინებადმდე უფლისა ჩუენისა იესუ  
 ქრისტემასა, რამეთუ მისთვის პყრობილსა და შეკრულსა საპყრობი-  
 ლუსა შინა მრავალჯერ გამოუჩნდის მას უფალი ჩუენი იესუ ქრის-  
 ტედ და განაძლიერის იგი და განამტკიცის და აღაჴსის სიზარულითა  
 20 გამოუთქმელითა.

დაიმარხა უკუე მცნებანი, ესე იგი „შეიყუარა უფალი ღმერთი  
 თჳსი ყოვლითა სულითა თჳსითა, ყოვლითა ძალითა თჳსითა და  
 ყოვლითა გონებითა თჳსითა“<sup>5</sup> და მოყუასი თჳსი, ვითარცა თავი  
 თჳსი.

V 25 /ხოლო ისმინა რა ქადაგთაგან ჭეშმარიტებისათა ჰსჯული იგი  
 სრული აზნაურებითი, ესე იგი ცნობაჲ ცხოვრებისა საუკუნოასა,  
 რომელ არს „ცნობაჲ ჭეშმარიტისა ღმრთისა მამისა და რომელი  
 მოავლინა მან იესუ ქრისტეა“<sup>8</sup>, ცნობაჲ ესე კეთილითა საქმითა  
 განაცხოველა და „მოჰხედა რა ჰსჯულსა მას სრულსა აზნაურები-  
 30 სასა, დაადგარაჲცა მას ზედჲ (ვითარმედ) ესე არა მჰსმენელ და დამ-  
 ვიწყებელ იქმნა, არამედ მყოფელცა, ამისთვის უკუე ნეტარ არს ესე  
 ქმნითა მით მისითა“<sup>7</sup>.

მცნებანი უკუე საღმრთონი აქუნდის სანატრელსა მას, რომ-  
 ლითა ცხოველ-ჰყო ჰსჯული აზნაურებითი, ცნობაჲ ცხოვრებისა  
 35 საუკუნოასა დამარხულ ღღედმდე გამოჩინებისა უფლისა ჩუენისა

\* შტრ. 1 იოან. 4,16. \*\* პრომ. 13,10. 3° შტრ. 1 თესალ. 2,13. 4°. შტრ.  
 1 ტიმოთ. 6,12. 5° შტრ. 2 ჰსჯულ. 6,5. 6° შტრ. იოან. 17,3. 7° შტრ. იაკობ. 1,25.

იესუ ქრისტემსა, ესე იგი ოდეს-იგი ზიარი მისი ძელსა ზედამთა სიკუდილითა და უსჯულოთა თანა შერაცხილი მებრ სატრფიალო-  
 მსა მის თვისისა და კაპარჭად ისართა ქმნილი, რამეთუ სხეული მისი  
 ყოვლად წმიდა, მოკიდებული ძელსა, აღავეს გარემოდგომილ-  
 თა მათ უღმრთოთა ისრებითა და ესრეთ განიწულა რა უქუდავად 5  
 და მკუდრად, მაშინ სულსა მისსა ყოვლად წმიდასა გამოუჩნდა  
 უფალი სასუფეველსა შინა ზეცათასა და ესრეთ რაქუნ სმენითგან  
 აზნაურებითისა ჰსჯულისა ქრისტეს თანა ზიარებადმდე სიკუდი-  
 ლითა დაიმარხნა მცნებანი.

უხაროდა ქრისტესთვის საპყრობილემ, ბორკილი და ჯიჭუნი და 10  
 ძვრად-ძვრადნი იგი ტანჯუანი მით, რამეთუ სარწმუნოებით იქ-  
 მოდა მას და „გამოცილება იგი სარწმუნოებითი შეიქმოდა მის  
 შორის მოთმინებასა /სრულსა და ყოვლად ცოცხალსა“ და 114  
 კუალად მოთმინება იგი შეიქმოდის გამოცილებასავე გონიერსა,  
 ხოლო გამოცილება სასობასა, ვითარმედ ესვდა უფლისად, „უკე- 15  
 თუ მის თანა მოკუდეს, მის თანაცა ცხოვნდეს“<sup>1</sup>.

ჭეშმარიტ უკუე არს წამება ესე ჩემისა პაეღესი: „ყოველსა,  
 რომელსა პრწმენეს ქრისტეს მიმართ, არასადა პრცხუნენს“<sup>3</sup>, რა-  
 მეთუ არა არს განწულებაჲ პურიისა და წარმართისა, რამეთუ თა-  
 ვადი არს უფალი ყოველთა, რომელი განამდიდრებს ყოველთა, რო- 20  
 მელნი ჰხადიან მას, რამეთუ „ყოველმან, რომელმან ჰხადოს  
 სახელსა უფლისასა, ცხოვნდეს“<sup>4</sup>. ხოლო რაქუნ იყო ნათესავით  
 ბარბაროს, მოსრული საქართველოდ ასულისა თანა სპარსთა მეფი-  
 სსა, ცოლისა ვახტანგ პირველისა და უფროსად ვახტანგ დიდისა  
 თანა მოსრული ქალისა მის თანა ზითევად, რამეთუ მამამძუძე მისი 25  
 იყო. და ოდეს ჰქმნა გამოხატუანი და განჰსჯანი თანა შემდგმელმან  
 მხოლომსა ღმრთოსა და მრავალღმრთაებლისამან დაზბადებელისა და  
 დაბადებულთამან, ესე კეთილისა მის ბარბაროსობასავე შინა ბუ-  
 ნებითისა ჰჯულისა დაცვსა ძლით სიბრძნისა მისისა შესაბამი იყო  
 ქმევად. და აჲ, კეთილგონიერებითა განგებაჲ სიბრძნისა, რამეთუ 30  
 აღრჩევაჲ ფრიად უმჯობესისა და შეწყნარებაჲ ჭეშმარიტებისა  
 ცხოვრებისა საუკუნომსა და ჯმნაჲ გარემისაქცეველთა მათგან და  
 საძაგელთა მრავალ ღმრთაებითთა მსახურებათა და ესრეთ წარ-  
 მართმან ჰხადა სახელსა უფლისასა და ცხოვნდა<sup>1</sup>, რამეთუ მკაზრუ-  
 ელი თჳს შორის /უმჯობესისა მიმართ მისულისა და დამამტკიცე- 35  
 ბელიცა მირბიოდა ჭეშმარიტებისა ქადაგისა მიმართ და ისმინა

1 მსცხოვნა მ.

<sup>2</sup> შდრ. იაკობ 1,4. <sup>3</sup> შდრ. 2 ტიმოთ. 2,11. <sup>4</sup> ქრომ. 10,11. <sup>5</sup> იოილ. 2,32.

ქადაგებამ ჭეშმარიტებითი და მიიღო სარწმუნოებამ სმენით „ხოლო სმენამ სიტყუათა ღმრთისათა“.

- ძრუად იწყო ესრეთ რაჟდენ ღიღისა ქრისტეს ზიარმან მარტულობამან, რამეთუ ღრთა მოსლესა ხოსრო სპარსთა მეფისასა სა-  
 5 ქართუელოდ ატაკი იქმნა სპათა ეახტანგ ღიღისა ქართუელთა და სპარსთა ურთიერთას<sup>1</sup>, რომელსა შინა შეპყრობილ იქმნა ძლეულთა შორის ქართუელთა სპარსთაგან რაჟდენ საკრუელი, უძლეველი იგი მვედარი ბრძოლათა შინა და მიყუანებული წინაშე მეფისა წარიდგინა, რომლისადცა უწყებულ ჰყუეს მეფე, ვითარმედ დაუ-  
 10 ტვეებიეს მსჯული მამული და მხოლოსა ღმერთსა კმსახურებს, რომლისათეს მეფისა მიერ კითხულ იქმნა რაჟდენ, უკეთუ ჭეშმარიტ არს შესმენამ იგი. მიგებულ იქმნა მეფე ნაცულად კითხუსა ჭეშმარიტისაგან მვედრისა ქრისტეს ღმრთისა: „ჰე, ჭეშმარიტად ვგრეთ არს, მეფეო, რამეთუ შე, დამტვევებელი მამულითა უღმრთო-  
 15 ებისა და ღმერთთა მათ, რომელნიცა სამსახურებელად კაცთა და სამკაულად სოფლისა დაიბადნეს, ემსახურებ მხოლოსა ჭეშმარიტსა ღმერთსა ცხოველსა, რომელმან ჰქმნა ცანი და ქუეყანამ და ყოველნი არსნი, „რომელსა მხოლოსა აქუს უკუდაეებამ და ნათელსა მყოფ არს მიუწთომელსა, რომელი არაინ იხილა კაცთაგანმან,  
 20 არცა ხილულად კელიწიფების“<sup>2</sup>, იგი არს მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიცა ვიცან, სამობასა შინა გუამოვნებითსა და ერთობასა შინა არსებითსა აღსარებული, ხოლო ერთი სამებისაგანი უფალი ჩუენი იესუ<sup>3</sup> /ქრისტე აღსასრულსა ეამთასა ძე და სიტყუა იგი მამისა კორციელ იქმნა და შობილმან დედაკაცისაგან წმიდისა ქალ-  
 25 წულისა და ღმრთისმშობელისა მარიამისა განგებამ ყოველი ჰქსნისათეს და ცხოვრებისა კაცთასა აღასრულა. ესე უკუე ჯუარსა ზედა დაემსჭუალა<sup>3</sup> და მოკულდა კორციითა მოკულავითა, რომელიცა უკულაე არს და შეუხებელ ღუთაებითამებრ ღმერთთ-მთაფრობითისა არსებისა მისისა, ხოლო სიკუდილითა თუსითა მკულდარნი გა-  
 30 ნაცხოველნი და ჯუარისა მიერ კელით-წერილი ბრალთა ჩუენთა აღკოცა და წყევლისაგან და მონებისა განგუათავისუფლნა და მესამესა ღღესა კორციელითა ცხოვლად აღდგომითა თუსითა ბუნებამ ჩუენი დაცემული, ხატი თუსი აღადგინა და აღდგომითა თუსითა მეორმოკუსა ღღესა ზეცად ამალღებულმან თუს თანა ზეცად აღამალ-  
 35 ლა და არსებითა ჩუენითა მჯღომარე არს მარჯუენით მამისა, რო-

<sup>1</sup> ურთიერთარს B. <sup>2</sup> იესო A. <sup>3</sup> დაემსჭუალა B.

• 1 ტიპოთ. 6,16.

მელიცა მოსულად არს დიდებით, რათა ჭეშმარიტებით მსახური მისნი მის თანა მის მიერ „ვითარცა მზენი გამობრწყინდენ“<sup>••</sup> და ურწმუნოთა და ურჩთა მისთა მიიღონ დაჰსჯაჲ ეშმაკთა მტერთა მისთა თანა.

ესე ჭეშმარიტი აღსარებამ მოწამისა, აღსარებული წინაშე 5  
 კაცთა, მითუალულ იქმნების აღსარებულისაგან და „წინაშე მაშისა  
 თვისთა ზეცათასა იგიცა აღიარებს აღმსარებელსა“<sup>•••</sup> მას და თვისთა  
 ცხოველსმყოფელითა ყოვლად ძლიერთა შეწვევითა აღმსარებელ-  
 სა მას განამტკიცებს და „ანგე/ლოსთა თუსთა წმიდათა უბრძა-  
 ნებს“<sup>3\*</sup>, რათა ღმრთის-სახე იგი გონებამ აღმსარებელისა უხილა-  
 ვად კელთა შინა თუსთა აღიღონ და ესრეთ არღარა წარჰსცეს ქუასა  
 შებრკოლებისა მცირისასა ფერკი მოძრაობამან მცირემან მის  
 შორის გონებისამან.

შეიშურებეს უკუე მტერი აღსარებასა ჭეშმარიტსა ქრისტეს  
 მკედრისასა და უღმრთოსა მას მეფესა და მთავართა მისთა გულის-  
 წყრომითა დიდითა მის ზედა აღაბორგებს და ორთარე პირისპირ  
 მბრძოლთა დაკუთებათა მიმართ მოიყუანებს: ესე იგი 1) გულის-  
 წყრომად დიდად და მწართა სიკუდილითა მკედარსა ზედა ქრის-  
 ტესსა აღჭურუად, რამეთუ ესმის მთავრისაგან ჩინებულისა, ნათე-  
 სავით სპარსისა, აღსარებამ ღმრთისა მხოლომასა, ხოლო 2) მშუდო-  
 ბითისა სახის ჩუენებად, რათა აღთქმითა პატივთა დიდთა და ნიჭთა  
 მრავალთათა და სიმდიდრეთა განაყენონმცა ჭეშმარიტი იგი მო-  
 ნამ მხოლომასა ღმრთისა ჭეშმარიტისაგან მსახურებისა.

აღუთქუამს უკუე მეფე წმიდასა რაქდენს, ვითარცა ძესა ერთ-  
 გულთა მონათასა, წინაპართა მისთა მეფეთა სპარსთასა და ჩინე-  
 ბულსა მთავარსა სპარსთა შორის, და განყენებასა აწუეეს ქრისტეს  
 ღმრთისაგან და წინადაულებს მზესა და ცეცხლსა და კერპთა მსა-  
 ხურებად. ხოლო იგი ჰსდგას, ვითარცა კლდე მტკიცე, ვერ შერყე-  
 ული ზღუერთა ღელავათაგან, ანუ გოდოლი მტკიცემ ვერ შეძრული  
 ქართაგან, რამეთუ წმიდასა მას სახლი იგი სარწმუნოებისა თვისთა,  
 „რომელიცა აღაშენა უფალმან“<sup>4\*</sup>, „დაემტკიცა კლდესა ზედა შე-  
 უძრავსა, რომელ არს ქრისტე“<sup>5\*</sup>.

/მსმსნელმან მეფისაგან ლიქნისა სიტყუათამან განიღიმნა 116  
 წმიდამან და მიმგებელმან ჰრქუა: „უწყებულ უკუე იყავ, მ მეფეო,  
 ვითარმედ არა დაუტეეო ღმერთი ჩემი, რომელმან დამბადა მე, და 35  
 არცა თაყუანის-ვსცე ღმერთთა შენთა. ნიჭნი ეგე შენნი და დიდე-  
 ბამ, რომელთა მიქაღებ მე, შენდავე იყავნ, რამეთუ ჩემდა არად

• მატ. 13,43. •• შდრ. მატ. 10,32. 3\* შდრ. ფსალ. 90,11. 4\* ფსალ. 126,1.  
 5\* შდრ. 1 კორ. 10,4.



საჯმარ არიან. არა დაუტევო მე ღმერთი ჩემი, რომელმანცა მიწო-  
და მე ნათლისა მიმართ ძისა თვისისა, არცა მოვიფარლო წარუვალი-  
თა მით და გებადითა ღიღებითა ღმრთისა ჩემისა თანა ყოფითა წარ-  
მავალი ესე და არა დადგრომადი. ხოლო რაოდენცა განამრავლენ  
5 ჩემდა ქადებანი განხრწნადთა ღიღებათანი, ვერსადამე წარმიტაცო  
მე. დაპსცხერ უკუე ესევეითართაგან არარათა ამათ ქადებად ჩემდა  
და არარაისა ღირსთა ნიეთთა, რამეთუ არა მივიღებ მე პატიეთა  
ღმრთისა ჩემისაგან გაერდომისა მომატყუებელთა. ნუცა ჰკონებ,  
რათა ვერჩღემცა სიტყუათა შენთა უფროს ბრძანებათაგან ღმრთი-  
10 სათა, რომელი-ვეგე მოკუდავ ხარ და ყოვლითურთ საძაგელედა“.

მასმენელი სიტყუათა ამათ მოწამისათა მეფე უდიდეს მის ზე-  
და განაძენა ეშმაკმან და გულისწყრომისაგან მბორგალე უქალებდა  
სანატრელსა რაჟდენს სატანჯუელთა სასტიკთა, რომლისადმი მო-  
წამე ქრისტესი ესრეთ ნაცუალ-სიტყუაობდა უშიშად „ვითართამე  
15 იტყუ სატანჯუელთა, მეფე, რომელნიცა უსაშინელეს იყუნეს საუ-  
კუნეთა მათ ტანჯუათა, „რამეთუ ჩემდა ცხოვრება ქრისტე არს და  
სიკუდილი — შესაძინელ“\*.

V /და აჰა, ბრძანებითა მძლავრისათა მტარულთა იწყეს ტან-  
ჯუად წმიდისა და პირსა და ლაწუთა ცემაჲ უწყალოდ, ვიდრელა  
20 ძუალნი ლაწუთანი შეიმუსროდეს და კბილნი ძირთაგან ყოვლი-  
თურთ აღმოსცკვოდეს და მძნუარედ ქუეყანასა ზედა ითრევედეს.  
ხოლო ქუათა ზედა თრევითა ნაწევარნი დაქსნდებოდიან და კუ-  
ერთხებითა მყოვარ გუემისა ძლით მგუემელნი მოწამისანი მოუძ-  
ლურდებოდიან და ესრეთ შიშუელსა განათრევედიან და შემდგომად  
25 ჯაჰვთა მძიმითა შეკრული და ბორკილითა შებორკილებული საა-  
ყრობილესა ბნელსა შეაყენეს, სადაცა მრავალჯერ გამოუჩნდა  
უფალი.

ხოლო საყრობილესა შინა რა იცუებოდა წმიდა იგი, ტანჯუ-  
ლი მწარედ და მომყმარი სიყმილითა, მეფისა მიმართ თავსმდებ-  
30 ქმნილთა რაოდენთამე ქართუელთა, რომელნიცა ჭეშმარიტისაგან  
ღმრთისა განდგომილ იყუნეს და მსახურ ცეცხლსა და კერპთა, გან-  
ტევებულ იქმნა პაემნით სახლად თესა მოწამეჲ ქრისტესი გულის-  
მსიტყუელთაგან, ვითარმედ მხილულმან ცოლისა და შულთამან  
შეიწყალნეს იგინი და მოიქცეს მსახურებად ცეცხლისა.

35 მაშინ მრავალთა მიერ ღონეთა აღიძრა ეშმაკი შერყევად წმი-  
დისა, რამეთუ განაძენნა მძლავრნი და მსტანჯა მათგან მრავალ-  
გუართა მიერ ტანჯუათა მძნუარეთა, აღადგინნა მის ზედა მეცნი-

\* ფილაჲ. 1,21.

ერნი მთავარი სპარსთაგან კაცნი, /რეცა ბრძნად საგონებელნი, 117  
რომელნიცა ნიჭთა და პატივთ: დიდთა აღუთქუმიდეს მეფისაგან  
და პირად-პირადთა მიერ ბოროტთა დაამებათაცა მისდა მჭევრ-  
მეთქუეობდეს. კუალად აღძრა სახლეულნიცა მისნი, რომელნიცა  
მისრულსა მათდა გარემოადგეს და ქელთა და ფერკთა გოდებით 5  
ამბორს-უყოფდეს და ქურჩიად და ობლად არდატყეობასა მათსა  
მედრებლობდეს.

გარნა მტკიცე იგი, გონებითა სხუა იობ, იყო განსაცდელთა ში-  
ნა, რამეთუ ერთი უკუე აქუნდა პასუხად ყოველთადმი, ვითარმედ  
„ვერვინ განმამოროს მე სიყუარულისაგან ქრისტესისა“\*, რამეთუ 10  
იტყუს სანატრელი ბესარიონ: „მისრული რა სახლეულთადმი თეს-  
თა, ვედრებულ იქმნა მათგან, არაარად შეეცაცხაო (წმიდასა მას),  
არცა მსუროდა ხილუამ მათი და ზრახუამ, არამედ სახურუელსა  
თესსა იგონებდა და განიცდიდა გონებითა. ხოლო რაოდენსაცა მე-  
ულლე იგი წმიდასა „მკსგავსად ცოლისა მის მართლისა“\*\* უარს- 15  
ყოფად ღმრთისა აწუევდა მას, მოწამე ქრისტესი მართლისა მის  
მეუღლისა სიტყუებითა უკუნ-აქტუვდა“.

უკუნ-იქცავე მტანჯულთადმი თესთა მოწამე ქრისტესი ნებ-  
სით და უძღებებით ტანჯულად და სიკუდილად მეძიებელთა თესთად  
მიეცა, რომელთაცა შეკრუს მწარედ და მეორედ წინაშე მძლავრისა 20  
წარადგინეს.

ამეორებდა მეფე აღთქმასა ნიჭთა დიდთასა და ქაღებასა ტან-  
ჯუათა მძუნუარეთასა, გარნა ამრავალკეცებდა მოწამე გარემიქე-  
ვასა ამოებათა მისთასა, განამდიდრებდა მეფე რეცა სიბრძნისა  
სიტყუებითა თქმათავე თესთა წმიდისა მიმართ, /ხოლო წმიდა იგი 25 V  
მარტივთა მიერ წმიდათა ლექსთა თესთა დაურღუევედა უღმრთო-  
თა მათ წინადადებათა აღთქმითთა და ქაღებითთა და ოდესმე დუ-  
მილითცა თანა-წარკვლებოდა, რომლისათუს ბრძანებითა მეფისათა  
იგუემა ფრიად და განიჩინა, რათა წარიგზავნოს იგი მთავრისად  
რომლისამე, რომელიცა დაბანაკებულ იყო ზემოთა შინა კერძოთა 30  
ქართლისათა დაბასა შინა, რომელსა წრომ ზედწოდებულ ჰყოფენ  
და ბრძანებულ იქმნა მისდა, რათა იმეცადინოსმცა დიდად განყე-  
ნებად წმიდა იგი მხოლოდსა ღმრთისა მკსახურებისაგან, ხოლო  
თუ სადამე არა ერჩიდესმცა, მძუნუარითა სიკუდილითა მოკლას  
იგი. 35

მისრული მტარულთაგან წმიდა იგი მთავრისად წარიდგინა  
და ქეშმარიტი იგი აღიარა აღსარებაჲ, რომლისად მთავრისაგან

\* შტრ. ქრომ. 8.35. \*\* შტრ. იობ. 2.9.

ნიჭნი და ღიღებანი და პატიენი ღიღნი მკედრობითნი მიცემად მეფისაგან აღითქმოდეს და ეგსახედ 'აყუარელ კოფამ მეფისა მიმართ და მთავართა მისთა, მაგრა წმიდასა მას ერთი უკუე აქუნდა პასუხი ყოფულთა ბოროტთა მაწუეველთად: არა განშორებამა ქრისტეს-

5 გან, არა უარყოფად იგი არარამეფთა ჭირითა და, თუ სადამე შესაძლებელ იყოსმცა, არცალა ღღესა შინა ათასჯერ სიკუდილითა.

მხილუელი სიმტკიცესა ზედა წმიდისასა მთავარი იგი ჰბორგვა ვულისწყრომითა ღიღითა და ბრძანა მტარუალთად უწყალოდ ცე-

118 /ზედა და შეკრული კელით და ფერჯით საპყრობილესა შინა შეა-  
10 ყენეს, სადა-იგი ღიღებისა გამოუჩნდა უფალი და მოწამე თუსი განაძლიერა და მოხარული იგი მისდა ენებათათუს სული მოწამისა თუსისა გამოცხადებითა თუსითა უდიდეს მხიარულ პყო.

განაგრძელეს უღმრთოთა მათ მოწამისად ლიქნანი, რამეთუ  
15 სპარსთად უმკუეთრეს ადულ შესაძლებელ არს ლიქნითთა და მოთმინებითთა და თუალღებითთა სიტყუათა სიმღიდრეჲ, გარნა მოწამისა ყურნი ჰსმენად დაყრუენეს და „ვითარცა ყრუსა, არა ესმოდეს“ და კეთილგონიერებით ჰსჯიდა სმენასა ზედა ქადებასა და აღთქმათასა, რამეთუ ოდესმე ვითარცა უტყუმან რა არა აღადის  
20 პირი თუსი და ოდესმე თხზულებასა მას უღმრთოთასა მარტივთა მიერ ლექსთა დაარღუევდის.

ეგსახედ ქადებასა მრავალფერთა სატანჯუელთასა წინადაუღებდეს, გარნა იგი ყოველსავე შინა ერთსახეობდის უცუალებელად, რამეთუ ერთი იყო მისდა მამა, „რომლისაგან არს ყოველი  
25 და ჩუენ მისა მიმართ, და ერთ უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ ყოველი და ჩუენ მის მიერ“<sup>\*\*</sup>, „ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლისღება“<sup>3\*</sup> და „ერთ ეკლესია იგი პირმშოთა აღწერილი ცათა შინა“<sup>4\*</sup>, ერთ ღიღება ქრისტეს მიერ განუყოფელ მიღებული თუთოეულისაგან, ერთ სიყუარული ღმრთისად და ერთ სასოება  
30 უფლისად.

V მაშურალნი უღმრთონი მიუღრეკელობისაგან წმიდისა მოწამისათუს სიკუდილ ძელსა განმზადებდეს, /რათა ძელსა ზედა დამოკიდებითა ძელითა მომკუდარსა ძესა ღმრთისასა მიემსგავსოს, და ხუთთა ძვრის მოქმედთა მის თანა ძელითა სიკუდილსა განაჩინებ-  
25 დეს. რამეთუ ცნობადმდე ჭეშმარიტებისა წმიდისა მიერ და მოციქულთა ჰსწორისა კოსტანტინე თუთმპყრობელისა ყოველსა სოფელსა ჰსჯულისაგან მეფობითისა ძელითა სიკუდილად დაისჯე-

\* ფსალ. 37,13. \*\* 1 კორ. 86. 3\* ეფეს. 4,5. 4\* უღრ. ებრ. 12,23.

ბოდინ უდიდეს ძვრისმოქმედნი, რომლისათვის ძელები აღიმართვოდეს უღმრთოთაგან და ხე იგი ცხოვრებისა, რომელმანცა ჩემი იგი იესუ აღიდა და წყევა იგი „ხისა ცნობადისა კეთილისა და ბორთისა“<sup>1</sup> დაქსნა და მე უკუდავებამ მომანიჭა, ძელსა ზედა რაქდენისთვის აღმართულსა გამოისახვოდა, ხოლო „სხუა ვინმე ახიორ მოწავე ჭეშმარიტებისა დამოკიდებად ძელსა წარიყუანოდა“<sup>2</sup>.

ხოლო თდეს მიეახლა წმიდა იგი ძელსა და იხილა შორით მონარული მიმავალი მისდა და მოსწრაფე სმენისაგან, რათა გზად პირველსა დიდებისა ექმნეს ძელი იგი, მხილუელი და მახლობელქმნილი იხარებდა და იტყოდა: „გიხაროდენ, ძელო ცხოვრებისაო, რომლითა მოიკლა გუელი და ცოდუა! ჩემი ჯუარსა შეემსჭულა და მე აღვედ ღმრთისადმი, შემწე მექმენ მე, ძელო ცხოვრებისაო, და მხიარულითა სულითა აღმიყუანე მე ძელსა ზედა, რამეთუ ეპსწამე მისთვის ჭეშმარიტი წინაშე მტერთა მისთა, რომელიცა შენ ზედა დაემსჭულა“. და ესრეთ უბრალო იგი ბრალეულთაგან განშიშულდებოდა და სამოსელნი და სარკვარნი მოწამესა აღეძრცვო/დეს და შიშუელი ძელსა დამოეკიდებოდა და აქათ და იქით ხუთნი ძვრისმოქმედნი მებრითავე განჩინებითა ძელითავე სიკუდილად დაისჯებოდეს.

განიჩნებოდეს მთავრისაგან გარემოს მოწამისა დადგომად მკედარნი მემშულდენი და ბრძანებისაებრ განჩინებულნი იგი, მომზიდულენი კვშირადრე მშულდთან, განასრეჯდიან რა ისართა, სხეული იგი წმიდა მოწამისა ქრისტესისა კვშირადრე განსრეულთაგან ისართა აღიქვებოდა.

ეჰა, სახიერება და კაცთმოყუარება მეუფისა და „მადიდებლისა თვისისა დიდება“<sup>3</sup>, რამეთუ მონამ თსი ხილულად დიდებასა თსნსა იზიარა, რამეთუ რომელსაცა ითხოვდა დიდებასა და მამისა მიმართ მთხოველი „მამაო, აღიდე<sup>2</sup> ძე შენი“, და მოიწია მისა კვამ ზეცით: „ვადიდე და კულადცა ვადიდე“<sup>4</sup>. ხოლო დიდება მისი იყო ჭეშმარიტად ძელი იგი ცხოვრებისა, „რომელი არს კლიტე სახლისა დავითისი, რომელი დაიდუა მქართა ზედა“<sup>5</sup> ღმერთმამაკაცისა სიტყვისათა, რომელმანცა ჩემმან მან მაცხოვარმან ცხებულმან ქრისტე კვროს უფალმან“<sup>6</sup>, „მარჯუენემან დიდებულმან ძალითა მამისათა“<sup>7</sup> და „მკლავმან მისმან გამოცხადებულ-

1 ცოდუა A. 2 აღიდეო B.

<sup>3</sup> შტრ. შესაქ. 2,9. <sup>4</sup> შტრ. იუდიო. 6,9. <sup>5</sup> შტრ. 1 მეფ. 2,30. <sup>6</sup> იოან. 12,28. <sup>7</sup> შტრ. ისაია 22,22. <sup>8</sup> შტრ. ისაია 45,1. <sup>9</sup> შტრ. გამოსლ. 15,6.

მან ჩუენდა“<sup>•</sup> დაიმორჩილნა წარმართნი და თაყუანისცემად  
 თუსა მოიყუანნა და ძალი მეფეთა მთავართა ბნელისათა და მსა-  
 ხურთა მათთა განხეთქა, განახუნა წინაშე მისსა კარნი საუკუნენი  
 და ქალაქნი შეკუმულნი, დააეკენა მთანი „ამალღებულნი მეცნიე-  
 5 რებასა ზედა ღმრთისასა“<sup>••</sup>, „ბჭენი რუალისანი შემუსრნა და მოქ-  
 ლონი რკინისანი შეკჭქუნა“<sup>•••</sup> და მიიღო საუნჯე/ნი იგი დაფა-  
 რულნი უხილაენი და „დააგნა ღმერთსა და მამასა ორივე იგი ერ-  
 თითა მით კორცითა და ჯუარითა, მოკლა მტერობამ იგი მას ში-  
 ნა“<sup>••••</sup> და ჩუენ მიგუაახლნა ურთიერთას ერთითა მით სულითა. ესე  
 10 ყოველნი უკუე წარმართნა ძელისა მიერ, რომელმანცა ივნო  
 კორცითა ძელსა ზედა, უფალმან ამას უკუე დიდებასა იზიარა მო-  
 ნამ.

მონა შემოქმედისათუს და უფლისა ძელსა შეემკსჟუალვის და  
 უსჯულოთა თანა შეირაცხუს და მოკუდების, ხოლო უფალი, ვი-  
 15 თარცა მოყუარე და მწყალობელი, მონის ვნებასა და სიკუდილსა  
 თუსსა ვნებითა და სიკუდილითა გამოქსახავს, უბრძანებს ღრუბელ-  
 თა დაფარუად მზიურთა შარაევანდელთა ესოდენ მტკიცეთა, რათა  
 ისარნი შარაევანდელთანი საქმარად ნათლისა ვერლარა განელიდენმ-  
 ცა და ესრეთ განგებითა საღმრთოთათა ჰაერი სიბნელითა აღივსე-  
 20 ბის.

მიემკსგავსა რაჟდენ სიკუდილსა იესუსა ტრფიალებითა, ესე  
 იგი ვითარ შემოქმედი იგი ჩუენდა მომართ ძელითა უსჯულოთა  
 თანა შეირაცხუთა, გუერდსა შინა განგმერთითა, რამეთუ დაღათუ არა  
 ლახურითა განიგმირა, არამედ მრავალთა მიერ ისართა და ესრეთ  
 25 სიკუდილითა და დაყენებითა მზიურთა შარაევანდელთათა.

ესე უკუე უდიდეს პატივიცა ძმათა თუსთა სხუათა წმიდათა მო-  
 წამეთაგან ჯუარსა ზედა მეორედ დაბადებისათუს ჩუენისა აღსრუ-  
 ლისაგან სიტყუსა, რამეთუ ძელითა სიკუდილი და სიკუდილისათუს  
 120 მისისა /დაყენებამ შარაევანდელთა მზიურთა განიგო.

ესე უკუე არს ღუაწლნი და ვნებანი დიდისა რაჟდენისნი და  
 სიკუდილი იგი მისი ყოვლად სასურუელი. ხოლო აქა შესაბამ ვიდ-  
 რემე არს, რათა სიტყუანი ღმრთისმეტყუელისა გრიგორისნი ვიჭ-  
 მარნემცა, რომელსაცა იტყუს წმიდისა დიდისა მოწამისა და საკუ-  
 რუელთმოქმედისა დიმიტრისთუს, ვითარმედ: „რამედ ზედწოდე-  
 30 ბულ ვჰყოთ აღსასრული მისი, ანუ ღმრთისადმი მიცუალებად, ანუ  
 სურვილისა მისისა აღსრულებად, ანუ საკრუელთაგან განვსნად,  
 ანუ სიზრქისა დატევობად, ანუ სიმძიმისა თანა წარცდომად, ანუ

• ზღრ. ისაია 53,1. •• 2 კორ. 10,5. 3• ფსალ. 106,16. 4• ზღრ. ეფეს. 2,16.

ცხოველთშემოქმედისა ყოვლად წმიდისა სამებისა წინაშე წარ-  
დგომად“.

თქმულთა ამათგანი არცა ერთი არს უშუესაბამოდ სახელწოდე-  
ბად ყოვლად წმიდა იგი სიკუდილი მისი, რამეთუ ესე ყოველივე  
შეეტყუების სიკუდილსა მისსა, ვითარმედ მიიციულა ღმრთისად- 5  
მი, რამეთუ „სულნი მართალთანი ქელთა შინა ღმრთისათა“\* და  
დაუტევეა ცხოვრება ესე მისთვის.

სასურველ მისდა იყო ესე და გული უთქმიდა „განსულად  
კორცთაგან და ქრისტეს თანა ყოფად უფროს და უმჯობეს ფრი-  
ად“\*\* და სიკუდილი მისთვის შეეკაცხა უტკბილეს სიტკბობად. 10

ხოლო საკრულნი იგი ანუ კავშირნი ბუნებითნი უვნებელისა  
სულსად საწადელ არიან განქსნად, რათა განქსნილნი განხრწნად-  
თაგან და მოკუდაეთა და დაბერებადთა ცხოვრებითა უხრწნელითა  
უკუდაეთა და დაუბერებელითა ქრისტესა /ეზიაროს. V

რომელმანცა მოიგო ქრისტეა თვს შორის ჭეშმარიტად, მო- 15  
იძულნა ყოველნი სოფლისანი, ხოლო სანატრელმან მოწამემან  
ქრისტესმან რაჟდენ ნათლითა ჭეშმარიტისა ცნობისათა განათლე-  
ბითგან გონებისა თვისისათ მოიგო ქრისტე თვს შორის, რომლითა  
მოიძულა სოფელი.

ვინამცა სიმძიმე იგი სოფლიური, რომელიცა შეჰკრვიეს სულ- 20  
სა აშაღლებულსა სიმძიმისაგან, მსუროდა მოწამესა, რათა დაუტე-  
ვოსმცა იგი, რომელიცა უშლის ყოვლად სახესა გამოხატუასა და  
სულისა არსებისაებრსა განჰსჯასა და ყოვლად უბიწომსა გულის-  
ხმის-ყოფისა ყოვლისა მოქმედებასა.

ხოლო ესე ადულ საცნობელ არს მეცნიერთაგან, რამეთუ ყო- 25  
ლად წმიდასა მას სულსა მისსა, თქმულთაგან კეთილთა, მდიდარსა  
მსურდა, სწყურდა<sup>1</sup> და სტრფიდა<sup>2</sup> წინაშე ყოვლად წმიდისა სამები-  
სა დადგომად და შერთუჲა წმიდათა ზეცისა კრებულთა თანა.

არა აუფლებდენ ვისმე მომკუდრისა მის სხეულისა წმიდისასა  
ულმრთონი დაფლუად, რამეთუ ესრეთ განეგო მათ წმიდისა მისთვის 30  
სხეულისა, თუ სადამე ბნელსა მას წყუდიადსა არა შეეძრწუნნამცა  
მტარუალნი, რომელიცა იქმნა შუა ღღე, ვითარმედ განეგულუა-ყე  
მიცემა საჭმელად მკეტთა და მფრინუელთა, ვინამცა მტარუალნი  
იგი სიბნელემან მძრწოლარენი მიაქცივნა კარვებად და დაძმთა  
წმიდა იგი ძელისა დამოკიდებული და ამით თავისუფალქმნილნი 35  
მორწმუნენი მი/ვიდეს მსწრაფლ ფარულად ექუსთა მათ მომკუ- 121

1 მწყურდა B. 2 მსტრფიდა R.  
• სიბრძ. 3,1. \*\* ფილოპ. 1,23.

დართადმი, რომელთაცა შორის ხუთთა ბრწყინვიდა განათლებული ნათლითა ცხოველსმყოფელითა სიკუდილისა ქრისტესითა მკუდარი იგი სხეული წმიდისა, ხოლო მისრულთა მორწმუნეთა მათ დიდითა სურვილითა და მრავლითა ცრემლითა მეწიწნეულეთა გარ-

5 დამოიღეს ძელით და დაფლეს მახლობელ.

გარნა მუნით შემდგომად რაოდენთამე წელთა კეთილმსახური მეფე ვახტანგ პირველი უღონობდა რა პოენისათს ნაწილთა წმიდისათა, მორწმუნეთა მათგანთა შორის დამფლულთა წმიდისათა იყო მღუდელი ვინმე, რომლისად განცხადნა შესახდავითარე

10 ბრწყინულითა მოწამე ქრისტესი და უბრძანა, რათა სურვილით მეძიებელი ნაწილთა მისთა მეფე კეთილმსახური უწყებულ ჰყოს სადაობითა ნაწილთა მისთა წმიდათათა.

ხოლო კეთილმსახურმან მეფემან, უწყებულმან თქმულისა მისგან მღუდელისა, წარმოიღო სხეული იგი ვნებული ქრისტესთს

15 კრებითა ეპისკოპოსთა და მღუდელთათა და შეკრებითა კეთილმორწმუნეთა შთაგართა აზნაურთა და ყოვლისა საქართუელომსა ერისათა და დიდითა პატივითა და ლიტანიობითა მომხმელმან ნიქოზს, ეკლესიასა შინა საეპისკოპოსოსა დაღუა იგი მფარუელად თსად და ყოვლისა სოფლისა.

V 20 ესე არიან სიტყუანი ჩუენნი რაჟდენისთს ტკბილსახელისა მოწამისა, რომელნიცა დაღათუ არა /კმა გალობად და ქებად ყოვლად წმიდათა მათ ღუაწლთა მისთა და არცა სურვილისა ჩუენისა, არამედ ნაშთი გალობისა და მოთხრობისა ყოვლად წმიდათა მათ ღუაწლთა მისთა აექსონთა წინაპართა ჩუენთა უტევოთ და რომე-

25 ლიმე შემდგომთა ჩუენთა.

ღალადებდინ ქართლი და „ღალადებდინ ყოველი ქუეყანა“\*, „ცანი ცათა უთხრობდინ, დღე დღესა აუწყებდინ და ღამე ღამესა მიუთხრობდინ მეცნიერებასა“\*\* ღმრთისა ჩუენისასა, რამეთუ სულისა მიერ წმიდისა განძლიერებულნი მოწამენი კორცითა უკორციოთა

30 მტერთა ერევიან, ეშმაკნი იგლოვენ მოწამეთაგან ძლევისათს, მწარე იგი სასმელი სიკუდილისა იქმნა სიცოცხლე საუკუნო და ზიარება ქრისტეს ღმრთისა მიმართ, ბნელი განიკდების, ბოროტნი იგი სულნი იღვენებიან, კაცი ღმერთსა ეზიარების სისხლისაგან მოწამეთასა, ყოველნი სნეულუებანი განიკურნებიან და მკუდართა სი-

35 ცოცხლე მიეცემის და ყოველნი მთხოველნი მათდა სარწმუნოებით კმასა აღსრულებასა სათხოველისასა მიიღებენ.

\* შტრ. ფსალ. 65,1. \*\* შტრ. ფსალ. 18,1-2.

მტუერი ნაწილთა მათთა ყოვლისა სოფლისა შინათა თუთმყ-  
რობელთა და მლუდელთა მცუელად ცხოვრებისა თვისისა შეურა-  
ცხეს.

ხოლო მლუდელნი და მეფენი ყოვლად წმიდათა მტუერთა საფ-  
ლაეთა მათთაა თაყუანისცემენ, ხილულნი უკუე მტერნი იდევენ- 5  
ბიან და ყოველი საცთური საეშმაყო დაიქსნების მოწამეთაგან.

მეფენი კეთილმსახურითა მეფობითა და ჭეშმარიტითა მსჯავ- 122  
რითა, მწყემსნი და მოძღუარნი /ჭეშმარიტითა და წმიდითა მოძ-  
ღურებითა, მლუდელნი უბრალოებითა, ქალწულნი სიწმიდითა,  
მონაზონნი კრძალულებითა, მკედარნი კეთილად დაცუთა ქრისტეა- 10  
ნობითსა შინა სარწმუნოებასა განწესებულისა მათისასა, სიბრძნის-  
მოყუარენი უცთომელითა მეცნიერებითა ნივთად და მიზეზთა მათ-  
თა, რიტორნი უხუ და შუენაერ მოუბნარობითა, მდიდარნი მოწყა-  
ლებითა გლახაკთათა კნატრიან საღმრთოთა მოწამეთა, უგალობენ 15  
და აქებენ, ხოლო დღესასწაულობენცა და ყოვლად წმიდათა ნა-  
წილთა მათთა შიშით და სიხარულით ამბორს უყოფენ, სნეულება-  
თა მათთათუს ითხოვენ კურნებასა, ხოლო ცოდუათა მათთა მოტევე-  
ბად და განსაცდელთაგან ჰქსნად მიაღლენენ მათ მეოხად ღმრთისა  
მიმართ და ყოველთა შინა პირთა ქრისტესმოყუარეთასა არს სურ-  
ვილით ჰქსენებად ღუაწლი მათი. 20

ხოლო შენ, მგალობელთად შენთა სიტკობეაო და საწადელო,  
სიბრძნისმოყუარეო და კეთილგონიერებით ყოველსავე შინა მკმე-  
ველო სიბრძნისაო, უძლეველო მკედარო და მოწამეო ჭეშმარიტე-  
ბისა, რაქდენ პატიოსანო, მომიკსენე შემსხმელი ყოვლად წმიდათა  
ენებათა შენთა და ყოვლად წმიდისა სამებისა მიმართ, რომლისა 25  
წინაშე კსდგა საყდარსა, იოხდ მოტევებად ცოდუათათუს ჩემთა და  
მაზიარე ყოვლად წმიდათა ვნებათა შენთა და გუნდსა მართალთასა  
მეოხებითა შენითა ღუაწლის დამდებელისა მიმართ შენისა შემრთე  
მეცა. ხოლო რომელსაცა დამკედრებულ ხარ დიდებასა, მუნით  
განაგებდ უძლეველითა /შეწევნითა შენითა ცხოვრებასა ჩემისა. 30 V

„მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა მაცხოვარსა ჩუენსა დიდება და  
სიმიდირე, სიმტკიცე და კელმწიფება უწინარეს ყოველთა საუკუ-  
ნეთა და აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

\* იულა 1,25.



ქმედება და მოთხრობა ღუაფლთა და ვნებათა წმიდათა დიდთა  
მოწამეთა ღვაწით და კოხტანტიმუსი, რომელნი იყვნეს არგუთისა  
მთავარნი, ძმინილი ანტონის მიერ არხიპისკოპოსისა ყოვლისა  
ზეიმოესა საქართველოესა, ღვაწითიან-გაგრაბოვანისა

- 5 უზადოსადმი ზესთ ერთისად ყოველი  
მიართუთ, წმიდანო, ცხოველისად ცხოველი  
და ვნების სისხლით საჭურველნი სოველი.  
ხოლო ჯილდოთა უკუდავ უხრწნელ-მპოველი  
იქმნენით, ხოლო მადლთა უზუად მთოველი.

10 სიტყუა მერუე

- „ნათელი მართალთა მარადის“\*, რომელ არს „მარტივ და  
განუწუალებელ კერძონი მისნი და ბუნებამ მისი წულილ და არა  
ეკმარების მას“\*\*. ერთიცა სიგრძე დრომსა, რათა წარვლოსმცა მას  
შინა, ესე უკუე თუალთა მიხსცემს ხილუჟსა უქამოსა და ტკბილ  
15 არს და უსახარულევანესი სხუა საშუებელად, რათა მოიგონებო-  
დესმცა. შეუძლებელ არს ნათელ ვიდრემე ყოველი საცნაური მხე-  
დუელთად და არღარა უჩინო, დაღათუ სიმსწრაფლისათუს მოქმე-  
დებისა თუალთად შეპყრობად ყოველი გარემო მისი შეუძლებელ  
არს, ხოლო სინათლითა ყოველი დაფარული, განცხადებად შესაძ-  
20 ლებელ, დაღათუ ეგოდენითა, რაოდენიცა დაფარულსა მას განცხა-  
დებად ეკმავეს.  
„ნათელ არს ღმერთი და ბნელი არა არს მის თანა“<sup>3</sup>, ესე  
იგი მარტივ არს და განუწუალებელ, სახარულევან არს და საყუა-  
რელ და საწყურუელ არსთად და საშუებელ დასატრფილო მათ-  
25 და მამობისათუს დამბადებლობითისა და საკურუელებისათუს მი-  
123 უწითმსა და ყოველისავე მეცნიერებისათუს ყოვლად წმიდითა გუ-  
ლისხმის-ყოფითა თუსითა, რამეთუ გულისხმის-ყოფა მისი ნათელ  
არს და მით ყოველნი არსნი უწინარეს საუკუნეთა გამოქხატნა თუს  
შორის, განჰყუნა და განჰსაჯნა. ხოლო განმანათლებელ რომლისამე  
30 არსებისა ესრეთ, რამეთუ ხატ მისა სიმარტივითა და გულისხმის-  
ყოფითა, რომლითა მხედუელ და მცნობელ გარემოთა მისთა და  
აღმტრფობელ მისდა ჰქმნა და ნათელ მეორე, ხოლო რომელიმე  
ესეგუარ მარტივი და გულისხმიერი შეაქრა გორცთა და გორცნი სამ-  
თაგრო ჰყუნა მისდა, რათა სინათლითა დამისშორისებულითა

\* ივან. 13,9. \*\* ვასილი დიდისა, ექუსთა დღეთა. თავი 2. <sup>3</sup> 1 იოან. 1,5.

ქმარებელს მარტივი შეზავებულისა და ნათელ მესამედ იცნობე-  
ბოდეს.

ამათ მეორესა და მესამესა ნათელთა შორის პირუელსა მას  
ნათელსა დაუდვიეს სინათლემ ესოდენი, რაოდენიცა კვამის შე-  
საბამ არსებათა მათთა ცნობად დაფარულებდას მიუწოთასა გუარი- 5  
სა თვისისა, რამეთუ არა ჰსტყუეს ამისთვის ძველთა ვიეთმე სხოლას-  
ტიკოსთა მეტყუელთა: „არა საცნაურ არსო თვთ ერთისა მის უზა-  
დოთსა არსებად არსთად დაღათუ, არამედ არცა სრულიად უცნაურ  
არს მით, რომელ სრულიად უცნაური არღავისდამე საყუარელ  
იყოს“.

ესე ვიდრემე ნათელ პირუელი სიმართლისათვის წმიდათა  
თესთა წარკდილთა ანუ განბერტყილთა კორცთაგან არსებისა მათისა  
მიმართ ნათლისა, ესე იგი მარტივისა და გულისხმიერისა, მიჰმადლებს  
უზესთაეს არსებისა მათისა განათლებასა უსაკურუე-  
ლესსა, რამეთუ იზიარებს ნათელი იგი უზა/დო და თვისსა ჰყოფს 15 124  
გამობრწყინუებასა ღმერთმთავრობითსა მათ შორის საცნაურად  
ყოველთა ანგელოსთა თესთა და ესე ვიდრემე „ნათელი მართალთა  
არს მარადის“.

ხოლო რამ არს კვამ იგი მიზეზი მართალთად მიფენისა ნათ-  
ლისა ამის სამარადისოთსა? — სიმართლე. ვითარი სიმართლე? — 20  
დაცუა ყოველთა მცნებათა ღმრთისათა სიწრფოებით და არსებისა  
თვისისა ზატისა ღმრთისა შესაბამ-ყოფად პირმშოთსა მაგალითისად.

ამათ მართალთად არს ნათელი იგი მარადის და უფლისა მიერ  
ჰყოფონ მადლი და დიდებად.

ჰპოვეს უკუე მართალთა უფლისაგან მადლი, რამეთუ სიმართ- 25  
ლისა მომგენი შრომით ყოველთა კეთილთა მოქმედებად ღირს-  
იქმნეს და ყოველთა დიდებათა დათესშორისებად, რამეთუ „ერეო-  
დეს მეფეთა, იქმოდეს სიმართლესა, მიემთხვენეს აღთქმას, დაუყუ-  
ნეს პირნი ღმრთიანი, დაჰშრიტეს ძალი ცეცხლისა, განერნეს პირსა  
მახლისასა, განძლიერდეს უძლურებისაგან, იქმნენს ძლიერ ბრძო- 30  
ლასა შინა, ბანაკები აოტეს უცხოთესლთა, მოიყუანნეს დედათა  
აღდგომილნი მკუდარნი მათნი“.

ესენი არათუ ძველთა შინათა მართალთათეს საკუთარ, რომელთაცა ვერ მიიღეს „თუნიერ ჩუენსა  
აღნათქუამი იგი“<sup>30</sup>, არამედ ახლისა მადლისა შორისთა წმიდათაცა  
ყოველთა და უფროს მოწამეთა ქრისტესთა, რომელთა „ესოდენი 35  
მაქუს გარემოდგომილი ჩუენდა სიმრავლემ წმიდათა მოწამეთა,  
სიმძიმემ ყოველი გავიშორით და მსწრაფელ მომა/ვალი იგი ცო-

\* იგავ. 13.9. \*\* ებრ. 11,33-35. 30 შლრ. ებრ. 11,39.

დუამ<sup>1</sup>, ესე იგი სიმძიმეა ანუ სიფიცხეა განვიშორით გულისა, რომლისათჳს გუამხილებსცა თქმა იგი: „ძენო კაცთანო, ვიდრემდის გულფიცხელ ხართ, რად გიყუარსთ ამაოებამ და ეძიებთ სიცრუესა?“<sup>2</sup>

- 5 ყოველი გულფიცხელი ესევეითარი არს, რამეთუ არაარამეთა კარსა ზედა გულისა თუსისა მჰსმენელი რეკისა სხუადანსუაგუარითა რეკითა განულებს მეგობარსა თუსსა სიტყუასა ღმერთთმთავარსა კარსა გულისასა, არამედ განფიცხნების და უღმობელობითა მით იქმნების უგრძობელ, ვინაჲცა მჰსწრაფლ მოვიდეს ესეგუარსა
- 10 ზედა მძინარესა ცოდუამ „და ცოდუამ იგი არს უსჯულოებამ“<sup>3</sup>, რამეთუ ღმრთისა მიმართ ჰსჯული თანანადებითი, რომელსა აყენებდა არაქმნად, ჰქმნა იგი.
- ვინაჲთგან ბრწყინულე იგი გუნდი ძლევაშემოსილთა მოწამეთა ქრისტესთა თანმენათესავეთა ჩუნეთა გუაქუს გარემოდგომილ,
- 15 თანა-გუამს, რათა „სიმძიმეა ყოველი განვიშორით და მჰსწრაფლ მომავალი იგი ცოდუამ და მოთმინებით ეკრბიოდეთ წინაგანმზადებულსა მას ჩუნესა ღუაწლსა და ესედვიდეთ სარწმუნოებისა ჩუნისა წინამძღუარსა და სრულებისა მოქმედსა იესუს“<sup>4</sup>.
- სანატრელ არს გუნდი იგი წმიდათა მარტულობითი, რამეთუ
- 20 სისხლი იგი მათი ეზიარა სისხლსა ღმერთთმამაკაცისა სიტყუსასა და წყლულებანი ასოთა მათ საღმრთოთანი გარღმობხატნეს
- 125 წყლულთა ზედა ასოთა მოწამეთასა. სიყუარული იყო/ კმა მიზეზ საზიერებით და კაცთმოყუარებით ვნებისა და სიკუდილისა ქრისტესისა, რომლითაცა განწმდა, რომლითაცა იქსანა და რომლითაცა
- 25 მეორედ დაიბადა კაცი. და სიყუარულივე იყო კმა მიზეზ სიკუდილისა და ვნებისა მოწამეთასა, რამეთუ რომელიმე მათი იტყოდა: „არს ჩემ შორის წყალი ცხოველი და მხადის მე შინაგნით, ვითარმედ მოვედ მამისა მიმართ და მიტყვეთ მე მჰსგაუს ყოფად ვნებასა ღმრთისა ჩემისასა“<sup>5</sup>, რომელიმე სიტყუათა ფსალმუნისათა: „გან-
- 30 მკათა მე შურმან შენმან, რამეთუ დაივიწყეს სიტყუამ შენი მტერთა შენთა“<sup>6</sup>; რომელიმე — „არა კმა არს ჩემდა სიკუდილი ერთგზის სატრფიალომასათჳს ჩემისა“; რომელიმე — „მწყურის შესმად სასმელი უფლისა და მსურის, რათა უფროს მწყუროდეს“; რომელიმე — „ტკბილ ჩემდა ჯუარი, რამეთუ დიდება არს მქსნე-
- 35 ლისა ჩემისა, საშუებელ ჩემდა კბილნი ღომთა მძნუარეთანი და საშინელებანი განკურნებულთა რკინათანი, ჩემდა ამოვან ცეცხლი

<sup>1</sup> იესოს A.

<sup>2</sup> ებრ. 12.1. <sup>3</sup> ფსალ. 4.2. <sup>3</sup> შტრ. 1 იოან. 3.4. <sup>4</sup> ებრ. 12.1-2. <sup>5</sup> ენატი ღმერთშემოსილისა. <sup>6</sup> ფსალ. 118.139.

შემაკურვეველ ცეცხლისა, რომელი ალაგზნა ჩემ შორის ტრფიალმან ჩემმან, საყუარელ—კიცხევა, სიმდიდრე—იავარ-ქმნა, სიხარულ—განსადელნი ძნელნი, სიმრთელე — წყლულუბანი მძუნუარენი, ჩემდა სიკუდილი — უკუდავება“, „რამეთუ ცხოვრება ჩემდა ქრისტე არს და სიკუდილი — შესაძინელ“<sup>1</sup>.

5

სამადლობელ არს გუნდი იგი, რამეთუ სისხლითა მათითა დავმტყიცა ეკლესიაჲ მოგებული „პატიოსნითა სისხლითა მხოლოდ-შობილისა სიტყუსათა“<sup>2</sup>, რამეთუ შორით მოსრულმან მან „სმენად სიბრძნესა სოლომონ“<sup>3</sup> ღმერთთმთავარისა სიბრძნისათა დე/დუფალმან ეკლესიაჲმან, ოდეს-იგი აღადგინა მის ზედა მტერმან და განაძენნა თუთმპყრობელნი უსჯულონი და სიმრავლემ ეშმაკთმსახურთა, ვითარცა ყოვლისავე მელონეობისაგან კორციელისა მოკლებულმან და უმეკონომან, „სარწმუნოებითა სიყუარულისაგან შეწვენილითა“<sup>4</sup> შეჰსწირა ღმერთისად გუნდი წმიდათა მოწამეთა მსხუერპლი იგი სიტყუერი, დაღათუ არა უსისხლომ, მაგრა სუნნელებად საღმრთოდ ზეცისა საკურთხეველსა შეწირული, და ესრეთ დასამშუდებლად აღძრულთა შფოთთა ითნო მაღალმან და განამტყიცა „საფუძველი მისი მათთა შინა წმიდათასა“<sup>5</sup>, კლდესა ზედა მართლისა სარწმუნოებისასა და „განაძლიერნა მოკლონი ბჭეთა მისთანი“<sup>6</sup>, რათა „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას“<sup>7</sup>.

10

15

20

საქებელ არს გუნდი იგი, რამეთუ „აღიღეს ყოვლად საკურთხეული იგი ღმრთოსა“<sup>8</sup>, მტკიცედ უკუე მსდგეს წელთა მორტყმულნი ჭეშმარიტებითა და შეიმოსეს ჯაჭუ იგი სიმართლისა და შეისხნეს ფერქთა თუსთა განმზადებულებამ სახარებისა მის მშუდობისა ყოველსა შინა, აღიღეს ფარი იგი სარწმუნოებისა და ჩაფხუტი იგი ცხოვრებისა დაიდგეს და მახული სულსა აღმოიკადეს, ეწყუნეს სპარაზენსა ხილულთა და უხილავთა მტერთასა, ხილულთა მტერთა ნებანი დაქსთრგუნნეს<sup>1</sup> და ნებანი თუსნი წმიდითა გულისხმისყოფითა თუთ კეთილობისა მიმართ მიქსდრიკენს, კორცნი მოაკუდინნეს და სულნი იგი თუსნი ყოვლად წმიდანი დაჰსდუნეს კე/ლთა შინა ღმრთისათა, ვითარცა კელთა საყუარელისა მამისათა.

25

30 126

ჭეშმარიტად არა შეეხოს მათ ტანჯუამ. ესენი „საგონებელ

1 დაქსთრგუნნეს A

<sup>2</sup> ფილოპ. 1,21. <sup>3</sup> შდრ. ს.ა. 20,28. <sup>4</sup> მატთ. 12,42. <sup>5</sup> შდრ. ვალატ. 5,6.

<sup>6</sup> ფსალ. 86,1. <sup>7</sup> ფსალ. 147,2. <sup>8</sup> მატთ. 16,18. <sup>9</sup> შდრ. ეფეს. 6,13.

არიან თუალთა წინაშე უგუნურთასა მომკუდრად და შეურაცხი-  
ესყე ბოროტად განსულაჲ მათი“<sup>1</sup>. და ჩუენგან განსლუაჲ შემუს-  
რულად, გარნა იგინი არიან მშედობასა შინა. დაღათუ თუალთა წი-  
ნაშე კაცთასა იტანჯენ, არამედ სასოება მათი უკუდავებითა სავეს  
5 არს. ხოლო თუ სადამე მცირედლა ასწავლენს, განალა განქუელენს  
დიდძალად მით, რომელ ღმერთმან გამოჰსცადნა იგინი და კპოვნა  
იგინი ღირსად თავისა თვისისა, ვითარცა ოქროჲ ბრძმედსა შინა  
გამოჰსცადნა იგინი<sup>1</sup> და, ვითარცა ყოვლად ნაყოფი მსხუერპლთა,  
შეიწყნარნა იგინი.

10 ვინა სათანადო არს ჩუენდა ნატურად წმიდანი მოწამენი ქრის-  
ტესნი მადლობად და ქებად და უფრორე ჩუენნი განთესებით, რო-  
მელნიცა იშუნეს მამეულად მამულთა შინა ჩუენთა და საშომან  
ადგილობითმან სამშობლოთა ადგილთა ჩუენთამან კშუნა კორციე-  
ლად და აღზარდნა და მშობელნი მათნი იყუნეს წინაპარნი მამანი<sup>2</sup>  
15 ჩუენნი და აქაურმან ეკკლესიამან სახელსა ზედა წმიდისა სამებოსა-  
სა აღმოშუნა და მისცნა ცნობანი საღმრთოთა განგებულებათანი  
და ქრისტესთვის სიკუდილად აღლესნა.

ამათგანნი არიან ორნი იგი ვარსკულაენი სიტყუერნი, ძმანი  
კორციელად, ძმანი ქრისტეს მიერ ნათლისღებითა და ძმანი ზიარე-  
20 ბითა ლუაწლისა წმიდისა ვნებისათა, სახელით დავით და კოსტან-  
ტინე, შემერჩობლებულნი იგი სასანთლენი ოქ/რომასანი, რომელნი-  
ცა ერთითა ნათლითა განათლეს მზისა ღმრთისათა და ერთსა მას  
ნათელსა გარდამოჰფენენ ჩუენდა.

ორნი იგი ვერძნი სიტყუერნი, რომელნიცა მებრ კეთილისა  
25 ჩუეულებისა ქრისტეანობითისა საწმისითა თუსითა განატფობდეს  
გლახაკთა და უცხოთა და რქითა თუსითა მორქვენალებდეს წინაღმ-  
დგომთა მიმართ კრავისა ღმრთისათა, კსკამეს ყუაეილთაგან და  
მდელოთა საღმრთოასა გულსხმის-ყოფისათა მათთა ზედა წმიდა-  
თა სარწმუნოებისათა და აღმოიცხნეს წმიდანი გულსხმისყო-  
30 ფითნი, უმჯობესნი მართალნი და უკეთილესნი მოგონებანი და  
განჰსჯანი.

ორნი იგი ვაჭარნი ყოვლად წმიდითა სულითა მმზარუელნი<sup>3</sup>,  
რომელთა განჰყიდეს ყოველივე თუსი, ესე იგი რამეთუ მისცნეს  
ცხოვრებანი თუსნი და მოიყიდეს უფასოდ იგი მარგარიტი, სიმდიდ-  
35 რეჲ განმამდიდრებელი იგი ყოველთა მამადლებულებითა მდი-  
დართა.

<sup>1</sup> ღირსად თავისა... გამოჰსცადნა იგინი—A. <sup>2</sup> მამანი] პაპანი B. <sup>3</sup> მზაზრუ-  
ელნი B.

• შდრ. სიბრძ. 3,2.

ლიტრანი თეს შორის შემწყნარებელნი არომატისა უხრწნელი-  
სანი, რომელნიცა უღმრთოთა კელებითა შეიმუსრნეს და წარმოას-  
ხეს მჳრომ<sup>1</sup> ტრფილებითი, ზაეებული წმიდითა სარწმუნოებითა,  
და მჳავეს სისხლიცა თესი ყოვლად წმიდამ სუნნელებად ქრისტეა-  
სა და საღებავად პორფირად სასძლო<sup>2</sup> სამოსლისა ეკკლესიისა. 5

ხოლო ჩუენ, ვინამთგან თაეთა ჩუენთა ვერ ღირსად მრაცხუ-  
ელთა, გალობად და შესხმად საგალობელთა ვნებათა მათთა წიწნე-  
ულებაი და კღემამ და/გუეკუეთების სიგლახაკითა გონებისათა, 127  
არამედ მოწამეთმოყუარებითა მღიღარნი მინღობითა ყოვლად  
წმიდისა სულისათა ვიკადრებთ შეხებად საგალობელისა ამისღ გა- 10  
ლობად და საქებელისა ამისღ კებად.

იყო უკუე მამული წმიდათა იმიერ ღიხისა ,კერძომ საქართუ-  
ელომასა, ზედწოდებით არგუეთი, გარნა იეროსალიმი ზეცისა აქუნ-  
ღათ შულებაი მთავართა და არგუეთი იყო სამთავრო მათღა, მაგრა 15  
შულებაი მამისა ზეციერისა და მთავრობამ კორცთა ზელა და სოფ-  
ლისა ჩუეულებათა სიმღიდრეი ნივთთა აქუნღათ დატეეებული მშო-  
ბელთაგან კეთიღმსახურთა, რომღითა არა შექონნი ნივთთანი გა-  
ნამღიდრეს და თვთ განმღიდრღეს უნიეთომთა სიმღიდრითა, რამე-  
თუ გუღისხმის-ყოღამ კმეულ ჰყუეს წესიერ მჳჯუღისაებრ სუ- 20  
ღისა და სამთავრომ გონებისა ერთითა ნათღითა მხოლომასა  
ღმრთისათა განაბრწყინუეს და მის შორის ღმერთთმთავარი ერთო-  
ბამ ცნობიღი სამობასა შინაი და სამობაი ერთობასა შინაი გა-  
მოჰხატეს.

არა რამმე საყუარელ და საძიებელ მათღა იყო სიმღიდრე,  
არამედ რათა წამებულ იყუნესმცა ღმრთისა მიერ ქრისტეანე და 25  
რათა ზედწოდებამ იგი წმიდა იყოს მათ მიერ და რათა არათუ და-  
უჰმჳჯუღობამ ოღენ აქუნღესმცა ზედწოდებისა მისთეს, არამედ  
ზიარ იყუნესმცა არსებასა მას, საღამთ ინართაულეს სახელი იგი  
ქრისტეანე.

/მეცნიერ იყუნეს საღმრთოთა მჳჯუღლთად განგებულებათა 30 V  
სიტყუსა ღმრთისათა კორციელთა და ყოველთა სამღუღეღლოთა და  
წმიდათა წერიღთა, მაგრა კმეულ ჰყუეს ღმრთისათეს ცნობანი იგი  
და კმეეითა მით ქრისტეი შეიძინეს და „ახალი იგი განახლებული  
შეიმოსეს მეცნიერებაი“, ხოლო მეცნიერებითა მით განანათღნეს  
სხუანიცა. 35

„ქაღწულ იყუნესო კორცითა“, მსთქუეს მათთეს ისტორიკოს-

1 შვირომ B. 2 სასძლოდ B.

\* შღრ. კოღას. 3,10.

თა, გარნა სიწმიდე კორცთა სულისა უენებელობითა განკაზმნეს და სულისა უენებელობაჲ ქალწულებითა სანატრელ ჰყუეს.

კუალად მოუთხრობენ, ვითარმედ: „ახოვან იყუნესო ბრძოლათა შინა“, მაგრა უახოვნესი და უმკნესი ბრძოლაჲ აღადგინეს

5 უკარცოთა „მთაერობათა მიმართ და კელმწიფებათა სოფლის მპყრობელთა მიმართ, ბნელისა ამის საწუთოთაათა სულთა მიმართ უკეთურებისათა“, რამეთუ იმათ აღატყინეს სიმძაფრემ სიჭაბუკისა, გარნა ჰაბუკთა სახელითა ქრისტესითა ჭურვილთა ცეცხლი ტრფიალებისა საღმრთოთა აღაგზეს ოჲს შორის და დაშრიტეს

10 ცეცხლი ცეცხლითავე.

იმათ რღუნანი განსაცდელთანი განხმითა საქანელთა წარწყმედისათა მოუშუნეს ამათ ლოცუთა ღმრთისა მიმართ, ვითარმედ: „ნუ დამთქამნ ჩუენ მორევი წყალთა, ნუცა შთამთქამნ ჩუენ უფსკრული, ნუცა შეიყოფნ ჩუენ ზედა ჯურღმული პირსა მის-

128 სა“<sup>3</sup>, /რღუნანი იგი განაკმენეს და თვთ ლიმენასა შინა საუკუნო-

15 სა განსუენებისასა იმრეს.

ისინი ეტლებითა და ჰუნებითა სულთა წარწყმედისათა და ესენი სახელითა უფლისათა; იგინი შებრკოლდეს და დაეცნეს, ესენი აღჰსდგეს და აემართნეს“<sup>3</sup>; იმათ „გარდააცუეს მშულდსა მათსა

20 და განჰმზადნეს ისარნი კაპარტუთა მათთა, რათამცა ესროლეს ბნელსა შინა გულითა წრფელთა“<sup>4</sup> ამათ, მაგრა ამათ სარწმუნოებით „მახული მათი გულსავე მათსა განაწონეს და მშულდი მათი შეჰმუსრეს“<sup>5</sup>.

ესევეითარი არს მკედრობაჲ და სიმკნე დიდსულთა ამათ მკედართა, ესეგუარი არს კმევეჲ გულისკმის-ყოფისა გონიერთა ამათ ჰაბუკთა, ესეგუარი არს განკაზმა კეთილგონიერებისა მიერ სიბრძნისა ბრძენთა ამათ პოლიტიკოსთა.

იტყვან, ვითარმედ: „იყოო დავით ჰაეროვან და სპეტაკ კორცითა და მოწაბლე თმითა, შუენიერ და ჰკშირ წუერიითა. ხოლო

30 კოსტანტინე შუენიერ გუამითა და მოწაბლე თმითა და წუერგამო, გარნა ორნივე საესე იჲუნეს სულითა წმინდითა“.

უქმარ შეერაცხა მათ შუენიერებაჲ ხრწნადი, რამეთუ მეცადინთა „გარეგანისა განხრწნისათა განაახლეს შინაგანი“<sup>6</sup>, ვითარმედ მოიგეს სული წმიდაჲ თეს შორის მკედრად და მკედრსა თანა

35 ესიარნესცა და ზიარებითა მით „ღმერთ იქმნეს და შულ მალდისა“<sup>7</sup>.

\* ეფეს. 6,2. \*\* ფსალ. 68,16. 3\* შტრ. ფსალ. 19,7-8. 4\* ფსალ. 10,2. 5\* ფსალ. 35,15. 6\* შტრ. 2. 4,16 7\* შტრ. ფსალ. 81,6.

მონარხოზმასა ბერძენთა ზედა ირაკლი პირველი/სასა ჰბორგდა 4  
 ჩუენ ზედა დისწული უღმრთმსა მახმედისი მურუან, ზედწოდებუ-  
 ლი ყრუდ. და განიმკედრა ჩუენსა ამას მამულსა გეორგიასა ზედა  
 შემმუსრუელმან მეზობელთა ჩუენთა სამთავროთამან, ესე იგი 5  
 სომხეთისან და ალგანიისა და კავკასიისამან. და მოსრულმან გეორ-  
 გიად ანუ იეერიად (ესე იგი საქართუელოდ) მოაოკრა რა რანი და  
 ქართლი, გარდაიმკედრა იმიერ ლიხისაცა და შთასრული არგუე-  
 თად იბრძოლა წმიდათაგან მკედართა ქრისტესთა, დავითისგან და  
 კოსტანტინეს და სპამ უღმრთომსა ამის ამათგან მრავალჯერ ძლე-  
 ულ იქმნა და მოჰსწყდებოდიან მკედარნი მრავალნი. მაგრა, რათა 10  
 შანთნი იგი ოქროძსანი, რომელნიცა უკუდავისა სიძისა საუნჯესა  
 შინა დადებად განიმზადნეს, უწინარეს საუკუნეთა ბრძმედსა შინა  
 დუაწლისასა შევიდესმცა და ცეცხლითა მით ვნებისათა უსრულეს  
 განბრწყინდეს, რამეთუ ესრეთ განაგებს ღმერთი მრავალჯერ  
 სრულთათუს, შეპყრობილ იქმნნეს უკანასკნელ ბრძოლასა შინა 15  
 წმიდანიცა ესე და წინაშე მძლავრისა წარიდგინნეს.

მხილუელმან წმიდათამან მძლავრმან წინაშე თუსსა შეკრულად  
 წარდგომილთამან მსთქუა წმიდათა მიმართ ბასრობით: „ვითარნი  
 ვინმე ხართო ქუათა და შეშათა მსახურნი, რომელთაცა იკადრეთ  
 ბრძოლად ჩუენდა? არ მეცნიერ ხართა, რამეთუ დიდისა მოციქუ- 20  
 ლისა მახმედის დისწული ვარ, რომლისა მსჯულსა მმონებს ყოვე-  
 ლი არაგია და სპარსია და და/მოჩრილებულ არს ჩუენდა ყოველი 129  
 ქუეყანამ აღმოსავალითგან ვიდრემდე დასავალამდე?“

მიუგეს წმიდათა: „ჩუენ არათუ ღირსებისათუს შენისა ძალითა  
 შენითა მოცემულ ვართ ჳელთა შენთა, არამედ ცოდუათა ჩუენთა- 25  
 თუს შევევარდით ფლობასა ქუეშე შენსა, რათა წურთითა ამით  
 სრულ ვიქმნნეთ. ხოლო დედისა! ძმა იგი შენი მახმედ, რომლითა  
 იქანი, საცინელ არს, ბილწ და ყოვლითურთ საძაგელება, ვითარ-  
 ცა მაცთური და წარწყმედელი ნათესავთა მათ, რომელნიცა უღმრ-  
 თოებისა უმეცრებისა ბადითა მოინადირნა“. 30

მასმენელი უღმრთო იგი ჰბორგდა და მოწამეთა ჳეშმარტებო-  
 სათა პირსა ცემად მტარუალთად მბრძანებდა. მაშინ ლაწუთა ზედა  
 წმიდათასა ყურიმლისცემულთა ყურიმლისცემა იუსუ ჩემისა და-  
 ინატეოდა და ტკივილი მონათა ტკივილსა ლატრისა ეზიარებოდა.

ჰბორგდა მძლავრი, მტარუალნი უწყალოდ მსცემდეს პირსა 35  
 საღმრთოთა მკედართასა, დიდსულობდეს საღმრთონი მკედარნი და

1 დელის B.



ტკებოლა სახიერი ქრისტე და ეკუთებოდეს ქუეყანად სხეულითა წმიდანი, ამალდებოდეს გონებანი მათნი ანგელოსთა თანა.

V შემდგომად აღადგინეს ქუეყანით აღდგომილნი იგი დაუცემელად და ანგელოსთა თანა მარად მდგომარენი სულითა. რისხუდა მათა მძლავრი და რისხუასა ბოროტისა მისგან სოლინარისა წარმდინარისა ზაკესა გუარსა შინა /დაჰფარვიდა და რეცა ლიქნად წმიდათად მიდრკებოდა და ეტყოდა ნეტარსა დავით: „მასმიესო შენთს, ვითარმედ ხარ გულოსკმის-ყოფა მკუეთრ, გამოცდილ ატაკთა შინა და მთავარ ქუეყანისა ამის. ისმინე ჩემი კეთილგანმზრახისა, დაუტევე ცუდი ეგე სიტყუამ სისულელისა და დაემორჩილენით მსჯულსა ღედის ძმისა ჩემისასა და გყუნე თქვენ მთავარ და დიდებულ ყოველსა შინა სპარსისასა და არავისასა, რამეთუ გყო შენ სპასპეტ და წინამძღუარ ყოველსა ზედა სპასა ჩემსა, ხოლო ყრმასა მავას, ძმასა შენსა, პატრიუს-ვსკე წინაშე საყდარსა ჩემსა მარადის მდგომარეობითა“.

გამოჰსახა თეს ზედა ნიში ცხოველსმყოფელისა ჯუარისა წმიდამან დავით და მიუგო: „უწყებულ იყავ, მძლავრო, რამეთუ, ვინამთგან კაცთმოყუარებით მომიწოდნა ჩუენ ღმერთმან ნათლისა მიმართ თვისისა, მხოლოდშობილი რა ძეა თვისი, სიტყუამ იგი თანაჰსწორი მისი მოავლინა ჩუენდა, რომელიცა „ქორციელ იქმნა“ და გონება იგი ღმერთთმთავარი უქორციოდა მის და უნიეთოდსა სიტყუსა თვისისა ღმერთთმთავარისა ჩუენთს განქორციელებითა და ნიეთიერ დაწერითა გუეზრახა, რომელმანცა ქორციითა ჯუარცამა და სიკუდილი დაითმინა და ქორციითა აღდგა მესამესა დღესა ღმერთებრი და ქორციითა ამალღებული ქუეყანით მარჯუენით მამისა მჯდომარე არს და ჩუენ შორიელნი მახლობელნი თესთა წმიდათა მოციქულთა და ქადაგთა მიერ განგუანათლნა და კერპთა მონებისაგან/თავისუფალ გუყუნა, შეუძლებელ არს ჩუენდა უარყოფად იგი, რომელი მხოლო არს სამობასა შინა განუკუეთელად და სამობს მხოლობასა შინა შეურევენელად, რომლისა მიმართ გურწამს, რომლისა მიმართ ნათელგვილებიეს, რომლისა მიმართ ვიციით, რომელსა ვჰმსახურებთ და რომლისადცა ვესავეთ. არა შევიწყნარებთ უცხოსა ქადაგებასა, უკეთუ „გარეშე მისა, რომელი გუახარეს მოციქულთა ქრისტესთა, ანგელოსი ზეცით გუახარებდესმცა, შეჩუენებულ იყავნ“\* მახარებელიცა იგი და სახარება. ჩუენდა სახელისათეს ქრისტესისა გუემანი, ტანჯუანი, ცეცხლი, მახული და სიკუდილი დიდება არს, უხრწნელება და უკუდაეება“.

\* იოან. 1,14. \*\* შდრ. ვალბ. 1,8.

მკსმენელი მძლავრი ჭეშმარიტისა მის აღსარებლსა წმიდისაგან დავითის კითხუდა ნეტარსა კოსტანტინეს, ვითარმედ: „რასა იტყუ, ყრმაო, თავისათუს შენისა, არა ვრჩია ბრძანებასა ჩემსა“?

ეპა, გონიერებისა ჭაბუკისასა, ეპა წმიდასა გულისკმის-ყოფასა ყრმისასა, ეპა, ახოვანსა სულსა მამრისასა, რამეთუ „სხუა ვინმე 5 ძმამა მაკაბელი<sup>1</sup> შემდგომი პირუელისა ძმისა ოდესმე<sup>2</sup> კეთილმსახურ აღმსარებელსა ანტიოხოს<sup>3</sup> ეპიფანოსის ზე უშიშითა სულითა და ბრწყინულითა კმითა მძლავრსა მიუგებდა“<sup>4</sup>: „მე ჭეშმარიტად, მძლავრო, ქრისტეანე ვარ და მკედარ ქრისტესი და აღმსარებელ ქრისტეს მიმართ და ქრისტესტუს წინაშე შენსა მათ ყოველთა, 10 რაოდენიცა აღიარა უპირატესმან ძმამან ჩემმან დავით“.

ესრეთ უკუე აღიარეს მკედართა ქრისტესთა „კე/თილი იგი აღსარება“<sup>5</sup> მისტუს, რომელმან-იგი ჰსწამა პონტიელისა პილატეს ზე კეთილი იგი აღსარებამ, და დაიმარხეს მცნებამ იგი უბიწოდ და უბრალოდ, ვიდრე გამოჩინებამდე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომელი-იგი ჟამთა თუსთა აჩუენოს ნეტარმან მან და მხოლომან ძლიერმან მეუფემან მეუფეთამან და უფალმან უფლებათამან. 15

მკსმენელმან მძლავრმან წმიდათა კეთილისა მის აღსარებისამან, მბორგალმან და განრისხებულმან, გამოირჩინა ლაშქართაგან 20 მტარულად კაცნი უმკაცრონი და უწყალონი და კაცმოძულენი და მიჰსცნა კელთა მათთა წმიდანი იგი და უბრძანა შეყენებამ მათი საპყრობილედ და არარამე საზრდელი და სასმელი მიცემად მათდა, ხოლო ტანჯუად მარადლე მრავალგუარითა სატანჯუელითა განუწყუედელად, რათა დაჭირუებით აღიარონმცა მსჯული მახმე- 25 დისი.

მაშინ კელნი და ფერკნი წმიდათანი რკინათა შინა და ყოფა ბნელსა დილეგსა შინა, მაგრა გონებისა მათისა ყოფამ ღმერთთმთავრისა სამეებისა შორის და ცხოველთშემოქმედისა ღმერთთმთავრისა სამეებისა დამკედრება გონებისა შორის წმიდათასა, მოყ- 30 მობა ყოვლითურთ მუცელთა საზრდელისაგან და წყურვილი და განქმობა ყიათა, მაგრა ჭამითა გულისკმის-ყოფისათა განძლომა და სასმელისა უფლისა, /რომელ არს სიკუდილი ღირსთა, შესმისა სურვილითა დათრობა ნეტართა სულთა მათთა. 131

სახელი წმიდა ღმრთისა წმიდაქმნილი მათ ზედა და ფსალ- 35 მუნი პირთა შინა მათთა წმიდათა მგალობელთა: „აჰა ესერა, რამმე

1 მაკაბელი... ძმისა—A. 2 ოდესმე—B 3 ანტიოხოს ეპიფანოსის ზე—B. \* შღრ. 2 მაკაბ. 7,2. \*\* შღრ. 1 ტიმოთ. 6,12.

კეთილ ანუ რამე შეუნიერ, არამედ დამკვდრება ძმათა ერთად\*\*? გუემისა მიერ წყლულუბანი ყოვლად წმიდათა ასოთა მათთა ზედა და ამით ტკივილნი არამცირენი, მაგრა სიმრთელე საუკუნო სულსა შინა მათსა წმიდასა.

- 5 ესრეთ უარ-იყოფოდეს კორცნი წმიდათაგან, ესრეთ იჯმნიდეს წმიდანი სოფლისაგან, ესრეთ ქრისტესა ეზიარებოდეს, ესრეთ სარ-  
 10 წმუნოებასა მისსა მიმართ წმიდითა სიყუარულითა და ნეტარითა სასოებითა განაშუენებდეს, ესრეთ ბეჭედთა ქალწულებისათა ტკივილთა მიერ ყოვლად წმიდათა სხეულთა თუსთათა განაბრწყი-  
 15 მართ შეწირუად სულთა თუსთა ნეტართა ამლუღელმოქმედებდეს.

ნეტარ არს და სამგზის სანატრელ შეზიარება იგი წმიდათა მათ ძმათა ღუაწლისა ურთიერთას<sup>1</sup> და თანად ზიარებაჲ ვნებათა ქრისტესთად. „საკვრეელ არს ღმერთი წმიდათა შორის თუსთა“\*\*, რომელმანცა მრავალთა მათ /ღღეთა შინა სხეულნი ცხოველთანი საზ-

- V  
 20 რდელისა უმოქენო ჰყუნა და ესრეთ ღმერთმაჲაკაცებრსა მოქმედებასა თუსსა მიაჲსგავსნა, რამეთუ, ვითარ-იგი მაცხოვარმან ჩუენმან უდაბნოს „იმარხა ორმეოცი ღღეჲ და ორმეოცი ღამეჲ და შემღგომად გამოიცდებოდა ეშმაკისაგან“<sup>3</sup> და მარხუჲჲ წინადაგვდუჲ ჩუენ უქმად უკუნმქცეველად გამომცდელისა, ეგსახედ შემღგო-  
 25 მად სიმშვილისა და წყურვილისა მრავალთა მათ ღღეთა შემთხუეულისა წმიდათად მტერმან მან და მოძულემან დასაბამითგან არსებისა ჩუენისამან მოაგონა უღმრთოსა მურუანს გამომცდელნი და მლიქნელნი მივლინებად წმიდათად, რათა თაყუანისცემად ბილწისა ღმრთისა უღმრთოსა მახმედისგან ქადაგებულისა მოწამენი  
 30 ჭეშმარიტებისანი მოიყუანნეს.

იტყუან ამისთვის ისტორიკოსნი, ვითარმედ: „მოუწოდაო უღმრთომან მურუან გრძნეულთა და მოგუთა სპარსათა და უბრძანა, რათა ლიქნითა და შეტყუებითა მოიყუანნესცა წმიდანი იგი უღმრთოსა მსჯულისდებისად ბილწისა მოციქულისა მათისა“.

- 35 მისრულნი გამომცდელნი და მლიქნელნი წმიდათად ყოველსა ღონესა საეშმაკოსა გარდაქცეუად ჭეშმარიტებისაგან წინა-დაუღებ-

<sup>1</sup> ურთიერთარს B.

\* ფსალ. 132,1. \*\* ფსალ. 67,34. <sup>3</sup> შლრ. ლუკ. 4,2.

დეს და ყოველად შუენიერსა სიჭაბუკესა მათსა სიმკნესა და ბრძო-  
 ლათა შინა გამოცდილებასა შეწყალებად აწუხედეს. ეგსახედ ღი-  
 დებათა და პატივთა და სიმდიდრეთა დიდთა და ფრიადთა ყოველად  
 უაჯულომსა ამირ მუმლისაგან მათისა ფიცით უქადებდეს, ხოლო  
 სა/შუებელთა სოფლისათა და გემოვნებათა ტკბილამოვნებასა მრ- 5 132  
 ვალფერითა სიტყუთა განუშარტებდეს და ამათგან დამაკლებელთა  
 თაეთა თვსთა ყოველთა უგუნურებასა დაამტკიცებდეს, ხოლო არა-  
 წმიდასა ჰსჯულისდებასა ბილწისა მახმედისსა უქადაგებდეს და,  
 თუ სადამე არა ისმინონ მათი, მძნევარესა სიკუდილსა უწყალოდ  
 მსწრაფლ მიცემად მძღაურისაგან უქადებდეს. 10

მკსმენელნი ამათნი უღმრთოთაგან წმიდანნი, რომელნი „არღა  
 ცხოველ იყუნეს (კორციელად), არამედ აქუნდათ ცხოველად თვს  
 შორის ქრისტეა“, მიუგებდეს უკეთურთა მათ: „ყოვლისა მიმართ  
 ამოებისა სოფლისა, ვითარცა მკუდართა, გუძინავს ჩუენ, რამეთუ  
 ყოველთა გარემივექცევით, რამეთუ ერთი ოდენ შევიყუარეთ, რო- 15  
 მელმან დაგუბადა ჩუენ, და ყოველთაგან წინააღმდგომთა მისთა  
 „გუძინავს და გული ჩუენი მღძძარე არს“\* მისდამი. არარამე საჯ-  
 მარ შორწმუნეთა ქრისტესთად თქმულნი ეგე თქუენ მიერ სიკეთე-  
 ნი ჩუენნი კორციელნი, დიდებანი და გემოვნებანი ყოველად ამოინი  
 მსოფლიონი, „რამეთუ ყოველი კორცი თივა არს და ყოველი დი- 20  
 დება კაცისა, ვითარცა ყუაველი თივისა. განკმა თივა იგი და ყუა-  
 ვილი მისი დასცუვა<sup>1</sup>, ხოლო სიტყუა ღმრთისა ჩუენისა<sup>2</sup> ჰვიეს  
 უკუნისამდე“<sup>3</sup>.

„ხოლო ცრუმასა მისთვის ჰსჯულისდებისა მოციქულისა თქუ-  
 ენისა და სხუათა მკსგავსთა მისთა წინასწარმეტყუელებულ არს 25  
 უფლისაგან ჩუენისა იესუ ქრისტეასა, რომელი არს უფალ და მე-  
 უფე<sup>3</sup> და შემოქმედ წინას/წარმეტყუელთა: „აღდგენ ცრუ წინასწარ-  
 მეტყუელნი და აცთუნებდენ მრავალთა“<sup>4</sup> და „მრავალნი მოვი-  
 დოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდინ, ვითარმედ: „მე ვარ, და  
 მრავალთა აცთუნებდენ“<sup>5</sup>. ამისთვის საძაგელ არს ჩუენდა, ვი- 30  
 თარცა მაცთურისა და საღმრთოთა ჰსჯულთა გარდამაქცეველისა  
 შახმედ თქუენისა ჰსჯულისდებათა შეწყნარებად მით, რომელ მის-  
 ნი იგი ჰსჯულნი, რომელნი დაჰსდუნა თქუენდა და ქადაგებათა  
 მისთა დამტკიცებანი, უწყებულ ვართ ჰეშმარიტებითა, ვითარმედ  
 უცხო არიან ყოველთაგან ჰეშმარიტებითთა დამტკიცებითთა კმა- 35  
 თაგან და მოსწავებათა საწინასწარმეტყუელოთა და საღმრთოთა  
 სახარებათა და სამოციქულოთაგან მოძღურებათა.

<sup>1</sup> დასკუვა B. <sup>2</sup> ჩუენისა—A. <sup>3</sup> მეუფშ A.  
<sup>\*</sup> შღრ. გალატ. 2,20. <sup>\*\*</sup> შღრ. ქება 5,2. <sup>3\*</sup> შღრ. ისაია 40,6-9. <sup>4\*</sup> მატთ. 24,11.  
<sup>5\*</sup> მარკ 13,6.

არა გუეშინის სატანჯუელთა მძუნუარებისაგან, არცა განკუე-  
თისაგან სულად და კორცად, რომელნი თქუენ ურწმუნოთა მიმართ  
მოგონებადცა საცუფრო არს. გურწამს მეტყუელისა მის მიმართ,  
ვითარმედ: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოჰსწყუდნენ კორცნი,  
5 ხოლო სულისა ვერ ჰელ-ეწიფების მოკლულად“<sup>5</sup> და კულად: „რო-  
მელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა  
ჩემისა ზეცათასა“<sup>6</sup>. განმეშორებით ჩუენგან ყოველნი მეტყუელნი  
უსჯულოებისანი.

უცხო არიან ჩუენდა სიტყუანი თქუენნი, რამეთუ „ჩუენდა  
10 ერთ არს ღმერთი მამა, რომლისა მიმართ არს ყოველი და ჩუენ  
მისა მიმართ; და ერთ არს უფალი იესუ ქრისტე, რომლისა მიერ  
ყოველი და ჩუენ მის მიერ“<sup>3</sup>. ესრეთ გურწამს, ესრეთ აღვია-  
რებთ და მოვსწყუდებით სახელისათუს ქრისტესისა, „ვითარცა ცხო-  
ვარნი კულადნი“<sup>4</sup>.

133 15 ჰსმენელნი უკუნ-იქცეს უღმრთონი სირცხულე/უღნი და მათ  
თანა სირცხულეულ უკუნქცეულ ეშმაკიცა. ამაღლდა სიმტიცე მო-  
წამეთა, განძლიერდა ძლევა ქრისტეს მარტულთა, შეიმუსრნეს ყო-  
ველნი ღონენი საეშმაკონი, მახენი მტერისანი უქმ იქმნნეს, შეი-  
წყუნარანა ზიარნი ენებისა თუსისანი მოწამენი თუსნი სიტყუამან  
20 ღმერთთმოთავარმან თუს შორის და თუთ დაადგრა წმიდათა შორის  
თუსთა.

უკანასკნელ მტერი სხუასა ღონესა მოაგონებს მსახურთა  
თუსთა, აღაბორგებს გონებასა მურუანისსა წმიდათა ზედა, განაძე-  
ნებს არაწმიდასა სულსა მის უკეთურისასა მოწამეთა ზედა ქრის-  
25 ტესთა. რამეთუ ბრძანა თავდაღმა მოკიდებამ სიმაღლით წმიდათა  
და უწყალოდ კუერთხებითა გუემა.

მოითმენდეს წმიდანი იგი, „მოელოდეს ნეტარსა მას სასოება-  
სა და გამოჩინებასა დიდებისა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა  
ჩუენისა იესუ ქრისტესსა“<sup>5</sup>, ჰრწმენაყე აღმთქმელისა მის ში-  
30 მართ, „რომელმან ჰსძლოს, მიეჰსცე მას დაჯდომამ ჩემ თანა საყ-  
დარსა ჩემსა, ვითარცა მე ვჰსძლე და დაეჰსჯედ მამისა ჩემისა თა-  
ნა საყდარსა მისსა“<sup>6</sup>.

მერმელა განიმზადებოდა მძლავრისაგან „სასმელი უფლისა  
შესმვად“<sup>7</sup> წმიდათა მიმართ, რამეთუ შეუკრნეს კელნი და ფერკნი  
35 და მოაბნეს ქედთა მათთა ზედა ლოდნი მძიმენი და შთაყარნეს<sup>8</sup>

1 შთაყარნეს B.

\* მატო. 10,28. \*\* შდრ. ლუკა 12,8. 3° 1 კორ. 8,6. 4° ფსალ. 43,22. 5° ტი-  
ტე 2,13. 6° აპოკალ. 3,21. 7° შდრ. მატო. 20,23.

მდინარესა შინა ფასოს, რომელსა ჩუენ ენისაებრ<sup>1</sup> ჩუენისა ზედ-  
წოდებულ კვაყოფთ რიონად, რამეთუ ქალაქსა შინა ქუთათისს აღა-  
სრულეს წმიდათა მათ ჰსრბამა მარტელობისა თვისისა.

/ზოლო ოდეს-იგი შეჰკრვიდეს წმიდათა მათ და ლოდთა ქედთა V  
მათთა ზედა წმიდათა მოაბემდეს, დადადჰყუეს უფლისად მეტყუ- 5  
ელთა: „გმადლობთ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო და სიტყუაო  
მაჰისაო, რამეთუ იამინენ თხოვანი ჩუენნი და ღირს-გუყუენ ჩუენ  
სიკუდილად სახელისათჳს შენისა. აწცა შეისმინე ჩუენ მონათა  
შენთა, მეუფეო, და, რომელნიცა გუხადოდენ სახელითა შენითა, მი-  
ეც შენდობამა ბრალთა და ჰყუენ ასონი ჩუენნი მკურნალ ყოველთა 10  
სენთა და უძღურებათა დიდებად ყოველად საგალობელისა სახე-  
ლისა შენისა“. და მერმელა გამოჰხატეს თჳს ზედა ცხოველსყოფე-  
ლისა სასწაული ჯუარისა და შთაყრილთა მდინარესა შინა კმა  
ჰყუეს: „უფალო იესუ ქრისტე, კელთა შენთა შევევდრებთ სულთა  
ჩუენთა, ამინ“.

იტყუან ენებათა ამათ წმიდათასა მომთხრობელნი, ვითარმედ  
„მოვიდაო კჳმა ზეცით, აღმასრულებელი თხოვათა მათთა სასმე-  
ნელად ყოველთა, რომლისა მსმენელნი<sup>2</sup> შიშნეულნი ივლტვოდეს  
მტარუალნი“.

„საკურუელებდა კილობანი იგი წამებისა იორდანესა შინა, რა- 20  
მეთუ განელასა კილობნისასა ზემო კერძომ შეჰყინდა იორდანი-  
სა“\*. უსაკურუელესებენ წმიდანი წყალთა შორის, რამეთუ სუეტ-  
ნი ნათლისანი სხეულთა მათთა ზედა წმიდათა წყალთა შინა გამო-  
ბრწყინდებიან და ღამესა ბნელსა განანათლებენ და იმიერ და ამი-  
ერა მდინარისა ყოველთა განაბრწყინუებენ. საკურუელებით საკრუ- 25  
ელნი კელთა და ფერქთაგან და ლოდნი ქედთაგან წმიდათა განიქს-  
ნებიან /და მდინარე რიონი ზედა ეპიფანიისა თვისისა სხეულთა წმი- 134  
დათასა დაუნთქმელად იტვრთავენ.

შუენიერ ორნი იგი ფიცარნი ჰსჯულისანი და კუერთხი მდე-  
ბარე კილობანსა შინა ოქრომასასა, გარნა უშუენიერეს ორნი იგი 30  
სხეულნი წმიდათანი წერილ წყლულებათაგან იესუსთა და აღყუა-  
ვებულ მდინარესა შინა, პატიოსან მანანა ტაკუქსა შინა ოქრომასასა,  
უპატიოსნეს სისხლი წმიდათა, რომელი დაითხია ქალაქსა შინა სა-  
მეფოსა ქართუელთასა და მით ოქრომასა უბრწყინუალეს იქმნა ქა-  
ლაქი იგი.

„აღიღეს ლევიტელთა იორდანისაგან ქუანი ჩუენებად შემდ-

<sup>1</sup> ენისამებრ B. 2 მსმენელნი A.  
<sup>\*</sup> შღრ. ისუ ნაეე, 3,13-16.

გომთად საკრუელეებათა<sup>1</sup>, დაისხნეს ძუალნი წმიდათანი დღითი-  
დღე მოქსენებად საკრუელეებათა ქრისტესთა.

ესრეთ უკუე შემკულ არს მოწამეთა მიერ აღთქმამ ახალი,  
რამეთუ სისხლი იგი მათი მითუალულ მსხუერპლ ღმრთისა მიერ და  
5 ჩვენ კაცთათჳს საკრუელ წინდ ღმრთისა მიმართ.

ირისებრ ჳრელეებს სისხლი მათი, რომელი მშულდ არს საჭუ-  
რუელ წმიდა ურჩთადმი ეკკლესიისათა, ხოლო ჩუენდა ღმრთისა  
მიმართ ნიშად მშუდობისა.

საჭურუელ წმიდა და სამოსელ ეკკლესიისა სისხლი მათი,  
10 ჯაჭუ და მახულ უღმრთოთა მიმართ და ჩუენდა პორფირ განმამუე-  
ნებელ.

იფქლებენ მოწამენი ქრისტესნი, დათესილნი მდინარესა ზედა,  
პრწყულნი პირად-პირადითა ვნებითა და მომკილნი მარგლითა  
V წმიდისა სიკუდილისათა და /ვითარცა ძნეულნი აღკიდებულნი  
15 ბეჭთა ზედა კაცთაგან კეთილმსახურთა, რომელთაცა ესმათ კჳმა სუ-  
ეტით გამო ცეცხლისათ, რათა აღიხუნენ იგინი მდინარისაგან დატ-  
ვირთულნი, წარიღონ აღმოსავალ კერძო და სადაცა განთენეს,  
დაპკრძალონ მუნ, რამეთუ მუნ განჩინებულ არსო უფლისა მიერ  
დაპკრძალუად, გამოგუზრდიან ჩუენ ოხათა თჳსთა მიერ ურცხუ-  
20 ენელთა ღმრთისა მიმართ.

საკრუელეებენ წმიდანი ესე, ვითარმედ ნათელთა ბრწყინუა-  
ლეთა და განუცდელთა სხეულთა მათთა ზედა დადგომითა შუასა  
შინა მდინარისასა დაუნთქმელად, მდინარისა მიერ პყრობითა ნათ-  
ლისა მისგან საკრუელისა მათ ზედა დადგომილისა კეთილმსახურ-  
25 თა მიმართ კაცთა დამალულთა მწოდებელითა კმითა, რათა აღი-  
ლონ და წარიღონ დაფლუად სხეულნი წმიდათანი.

ხოლო პირად-პირადთა ნიშთა საკრუელეებათათა აღინებენ,  
რომელნიცა სარწმუნოებით მთხოველთა აღსრულებითა თხოვათა-  
თა განცხადებულეებენ დღითი-დღე.

30 ესმა რა კაცთა მათ კეთილმსახურთა კჳმა იგი, რათა „აღიღონ  
სხეულნი წმიდათანი და წარიღონ აღმოსავალ კერძო და სადაცა  
განთენნეს, დაჰსხნენ მუნ განჩინებისაებრ უფლისა“, განკრუებით  
მადიდებელნი ღმრთისანი მიეახლნეს შიშით და ძრწოლით და აღ-  
მხმელთა წარიღეს ბრძანებისაებრ და ოდეს განთენა, მისრულნი

35 თაესა ზედა კლდისასა, სადა-იგი ჰსდის<sup>1</sup> მახლობელ მდინარე წყალ-  
135 წითელ/ი ქალაქსა გამოღებულსა და აღოვრებულსა უღმრთოთა

<sup>1</sup> ჰსდის A.

• შდრ. ისუ ნაე. 4,8.

მურუანის მიერ, კპოევს ეკკლესიამ დარღვეული და მუნ დაჰსხნეს სხეულნი წმიდათანი.

ხოლო დაჟარულებასა წმიდათა ნაწილთასა იტყუან მომთხრობელნი დროდმდე მეფობისა იმერთა ზედა ბაგრატ დიდისათა, რომელმანცა განაახლა ეკკლესიამ იგი და შექქმნა სამარტელეა წმიდათა მათ კუბოჲ შუენიერი და დაჰსხნა მას შინა ნაწილნი იგი წმიდათანი და ჰყო ადგილი იგი მონასტერ ზოგად ცხოვრებულთა.

და თქუნ, წმიდანო და საკურუელნო დავით და კოსტანტინე, ჩემდა პატიოსანნო მკედარნო და მოწამენო ჭეშმარიტებისანო, ყოვლად შუენიერნო შინაგნით და გარეგნით სათნოებათა მიერ და სიკეთეთა, სურვილით შემსხმელსა ყოვლად წმიდათა ვნებათა თქუენტასა მცევდ ყოველთაგან წინააღმდგომთა კეთილისათა და სიტყუთა შემსხმელი წმიდათა ვნებათა თქუენტა მიზიარეთ.

ხოლო დღესა მას უფლისასა უღონო სიტყუს-მიცემისაგან მჰსაჯულისა მიმართ წმიდისა და მართლისა ოხითა წმიდითა თქუენითა ბრალთაგან თავისუფალ მყაეთ და „დამამტკიცეთ მე ყოვლითა საქმითა კეთილითა ყოფად ნებაჲ მისი, რომელმან ჰყვის სათნობაჲ მისი ჩუენ შორის წინაშე მისსა ქრისტე იესუს მიერ, რომლისა არს დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ქუასხა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა დიდთა მოწამეთა ბიძინა მატაკარანისა, ულისზარ ჰსნის ერისთავისა და ზალუა, ნათასავისა და ძეობილისა მისისა, ძენილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოველისა ზამოქსა საქართულოჲსა, ლავრითან-ბაგრატიონისა 20 136

ასოთ განთვსუა თუ ჰსთქუა წულილ კერძოკებად, რომლითა ჰსდიან მდიდრად სისხლთა ნაკადნი, ძნელ ნებათ ტვირთუა დაითმინა ახოვნად. და გონებითი სამთაერო განწმენდილი ანიშანმსხუერპლნა წმიდა მოძრავობანი. 25

სიტყუა მეცხრე 30

ვინამთგან მომიყუანნა ჩუენ სურვილმან ამისდა, რათა ფერე-ბითა სიტყუათათა შუენიერ გამოეხატემცა<sup>1</sup> საშუალი და დასასრული ქაზრთა კეთილთა და წმიდათა ქრისტესტუს ვნებულთა მო-

<sup>1</sup> გამოეხატემცა B.  
• შლრ. ებრ. 13,21.



წამეთა, რომელნიცა მალაღმან შეკრიბნა განგებამან სამობად და მათ შორის გამოჰხატა სამობად ღმერთთმთავარი, მივიდეთ პირმშო-  
 მსა მაგალითისად, რომელი შეკქმნა (\*) შესაბამ სარწმუნომან მლუ-  
 დელმთავარმან ქრისტესმან და მისგან, ვითარცა ცხოველ-მხატუარ-  
 5 თა, გარდამოვჰხატნეთ საშუალი იგი და დასასრული ვნებისა მარ-  
 ტულთაჲსა.

ხოლო ჰსჩანს დახატულსა ამას შინა საშუალი და დასასრული:  
 საშუალი — „შესმა სასმელისა უფლისა და ნათლისღებამ, რომე-  
 ლი ნათელსილო უფალმან“\*, დასასრული — ჯილდომი ძლევისა.

10 საშუალსა ვიდრემე აწარმოებს ცეცხლი, ამისთვის ძლიერ არს,  
 რამეთუ „ძლიერად მსტქუა იგი იგავით სოლომონ“\*\* (ქებასა შინა-  
 V ქებათასა), ხოლო დასა/სრულსა სახიერება, ამისთვის ტკბილ არს და  
 მდიდარ არს.

ამის „ცეცხლისა მიფენა“<sup>3\*</sup> იყო ერთი კმა მიზეზ, რომლისა-  
 15 მიერ „სიტყუა კორც იქმნა“<sup>4\*</sup>, მარტივი შეიორკეცა, უკუდავი  
 მოკუდავ იქმნა და „უფალი დიდებისა ჯუარს-ეცუა“<sup>5\*</sup>. ვინა შე-  
 საძლებელ ცეცხლისა მისდა, რათა აწარმოოსცა საშუალი ესეგუა-  
 რი, რომელი ბუნებასა ზედა ამაღლდეს და უზნესთავს არსებისა  
 თესებათა იქმნეს და შესაბამნი არ განშორებანდი მეტ-ზედანი არ-  
 20 სებისანი მსცუალნეს.

ვინა ესეგუარსა საშუალსა ეშესაბამების და შეეცყუების და-  
 სასრული უზნესთავსიცა არსებისა, რათა არსებათ-მოქმედისა მიერ  
 არსებისამებრ სახიერებისა მისისა განიკარგოლდეს.

პყოფს უკუე ამას კრებასა ბრწყინულესა მსსენებული იგი  
 25 მლუდელმთავარი ქრისტესი და გუაწუევს სერობად უზრწნელად  
 და მასპინძელ გუექმნების და წმიდათა გულისხმის-ყოფისა თვისისა  
 ნაყოფთა მართალთა და კეთილთა მოგონებათა და განმსჯათა შეგ-  
 ვიქმს და მარტულთ-მოყუარებისა მიერ განჰკანშავს და კმეეად-  
 სულთა ჩუენთა წინა-დაუგებს.

30 ვინა ვერჩდეთ, ვითარცა შეილნი მამასა და სამწყსონი მწყემს-  
 სა, და შეკრებულთა ეზოდ ზეციერისა მლუდელმთავრისა განვიცა-  
 დოთ ეზოს-მოძღურისა მისისა ჩუენდა მასპინძელ-ყოფამ და მის

137 მიერ დაგებულთა მით ტაბლითა ვიშუებ/დეთ. ხოლო ვმადლობ-  
 დეთ ნიადავ და მარად კეთილის-მოქმედსა მას ჩუენსა, რამეთუ  
 35 ჩუენთაცა შორის ერთ-ადგილობით თან-მენათესავეთა საკურუე-

\* შდრ. მატო. 20,23. \*\* შდრ. ქება 3,6. 3\* შდრ. ლუკა 12,49. 4\* იოან. 1,14.  
 5\* შდრ. I კორ. 2,2.

(\*) ბესარიონს მამათმოფარსა ქარაილისასა იტყუს AB.

ლებს და ამით შორისცა ცეცხლსა თუსდა ტრფიალებისასა ალატყინებს და შესაბამ სასმელისა თუსისა ურთიერთას<sup>1</sup> ზედა-დაჯდომით ქსრბად წარმართებს და ტრფიალებისა მათისა გამოთა მოქმედებათა ზესთა ჰყოფს ქსჯულითა ბუნებისათა და მძლე იგი სიკუდილისა, რომელმან მოილო მამისაგან „სახელი უზესთაევი უფროს ყოველთა სახელთასა“<sup>2</sup>, ჯილდოდ იზიარებს ამათ სახელისა თუსისად“.

5

საშუალი და დასასრული პაზრისა კეთილისა და წმიდისა ქრისტესთვის ენებულთა მოწამეთა, რომელიცა რიცხვთ არს სამობასა შინა, წინა დაიღუა ჩუენდა სურვილისაგან იძულებით გალობად და თქმად. ხოლო საშუალი ესე და დასასრული არიან მეტ-ზედანი არსებისანი, და არსება ქუემდებარე ამათდა არიან გუამნი რიცხვთ სამნი მამაკაცი პრჩეულნი სამობისა ღმერთმთავრისათუს შორის გამომსახუელნი. არიან ესენი მიმადლებულნი ნიადაგ კეთილთა და წმიდათა მოქმედებათა მიერ განათლებულნი გულისხმის-ყოფასა შინა და გონებასა მკმეველნი გულისხმის-ყოფათა ქსჯულისაებრ, სულისა სამყარონი გონებითა და ცანი ბრწყინუალებნი მოძრავობითა გონებისათა, რომელთა ზედა მთიებად აღმო-აბრწყინუებენ ცნობისა არსთა არტუბის/ასა, ხოლო შემდგომად მზედ ცნობასა მზისა ღმერთმთავრისასა.

10

15

20

V

არიან ესენი მიმადლებულ „ერთისა უფლისად ერთითა სარწმუნოებითა და ერთითა ნათლისღებითა“<sup>3</sup> და ამით შეერთებულ საკრუელითა „ახლისა მცნებისათა“<sup>3\*</sup>.

არიან ესენი მიმადლებულ სიმკნითა და გამოცდილებითა მკედრობითა, უარის-ყოფითა კორცთათა, „ჯუარცმა-ყოფითა სოფლისათა თუსდამი და თაჯთა თუსთა სოფლისდა“<sup>4\*</sup>, მკედარ-ქმნითა ყოვლითურთ ქრისტესდა, მისდა შედგომითა, შემოსითა მისითა და ყოვლითურთ<sup>2</sup> დამორჩილებითა მცნებათა მისთათა და ზიარებითა მის თანა სიკუდილისა მიერ.

25

ზედწოდებულ მოწამენი ესე ქრისტესნი: ბიძინა, მთავარი კახეთისა, სამეფოსა შინა ჩინებული ნათესავ-ბრწყინვალეებითა ჩოლაცხე, პატივემული პალატსა შინა სამეფოსა მატაკარანად და მმართველიცა დროსა მას კახეთისა, ელისბაალ ანუ ელისბარ, მთავარი ქართლსა შინა ყოვლად ჩინებული, ბრწყინვალე ნათესავობით და პირველი რიცხუსა შორის მთავართასა, ერისთავი და მთა-

35

1 ურთიერთარს B. 2 ყოვლითურ A.  
\* ფილპ. 2.9. \*\* შდრ. ეფეს. 4.5. 3\* შდრ. იოან. 13.34. 4\* შდრ. გალატ. 6.14.

ვარი ქსნის საერისთავოა, შალუა, ძე მისივე ბრწყინუალისა გუარისა და შთამოებისა ელისბარ ერისთავისა და ძეობილი მისი.

- საკურუელ იყო „სამთა მათ მამრთა ჭაბუკთა ერთისა ღმრთისა
- 138 მიმართ სარწმუნოებითა თუ სა/დამე ხალდეას დაშრიტესმცა ცე-  
 5 ცხლი მათ შორის მოსლევითა“\* „ღიდისა განზრახესა ანგელოსისა-  
 თა“\*\* და პაზრი უღმრთოთა მედისა ძლეულ-ჰყუეს და აღსარებად  
 ჭეშმარიტებისა მოიყუანეს, ანუ არა სამობამანცა ამათ მამრთამან  
 დაშრიტა საკმილი, რომელი აღატყინა მათდა უქორცომან ნაბუ-  
 ქოდონოსორმან, და განუღვენელ-ჰყუენეს განსაცდელსა მას შინა
- 10 ღმრთის-სახენი იგი სულნი მათნი გარდამოსლევითა მათ თანა და  
 დადგრომითა სიბრძნისა ღმრთისათა და მრავალნი პაზრნი ურწმუ-  
 ნონი ჰსცუალნეს სარწმუნოებისადმი ჭეშმარიტისა.
- პირუელმან მან სამობამან მამრთამან არა უგო ოქროსა ხატსა  
 და არცა შემდგომმან ამან სამობამან შეიწყნარა თაყუანისცემად ეშ-  
 15 მაკისა, რომელიცა ღმრთად ოცნებულ-იქმნა უღმრთოთა უმეცარ-  
 ბარბაროსისა მახმედისგან.
- იგინი განაბრწყინუა ცუარმან აღსა შინა, ესენი — ტანჯუათა  
 შინა ცუარმან სულისა წმიდისამან, რომლითა სასოებდეს ზიარე-  
 ბასა ღუაწლის-დამდებელისადმი მათისა.
- 20 ვერ უძლო დაბნელებად და შერეუად კეთილნი გულისხმის-  
 ყოფითნი წარმოდგომანი მათ შორის აღმურმან უღმრთოებისამან  
 და ვერცა ამათ შორის განჰსჯანი განგრძელებულნი და წესიერნი  
 გულისხმის-ყოფითნი საიდუმლოთათჳს საცხოვრებელთა არაწმიდა-  
 25 თა /მულამთაგან ღირსთა წყევისათა კურანისა ბილწთა სიტყუათა  
 ჯაღაგებამან.
- მოიქსოვა წმიდა იგი სამობად მათი წმიდითა სიყუარულითა  
 სახესა შინა, ამათი უკუე სამობად წმიდითა „სარწმუნოებითა სი-  
 ყუარულისაგან შეწევილითა“<sup>3</sup> ჭეშმარიტებასა შინა.
- სამობა იგი ერთსა აღიარებდა არსებასა, შემოქმედსა ყოველ-  
 30 თა არსთასა და მოსიანთა ჰსჯულთა მამეულ დაიცუდა და მრავალ-  
 ლუთაებასა გარე-მიექცეოდა სახესა შინა. ხოლო სამობა ესე ერთსა  
 აღიარებს არსებასა სამთა გუამთა მიმართ განუწუალებულად გან-  
 ფენილსა და თჳსსავე მხოლოობასა შინა დადგრომილსა და შეურევე-  
 ნელსა სამობასა ღმერთთმთავარსა ერთსა მხოლოობასა შინა და
- 35 ჰსცაეს თავსა შორის თჳსსა განუგმობელად მცნებათა მოცემულთა  
 ქრისტესთა მამისაგან მხოლოდშობილისა სიტყუსათა მადლსა შინა  
 და ჭეშმარიტებასა.

\* შტრ. ღანილ. 3,17-95. \*\* ისაია 9,6. 3\* შტრ. ვალატ. 5,6.

სამკიდურებს ერთობა მოწამეთა, რათა სულისა მიერ წმიდისა სამკუთხად მოქსოვასა შინა გარეშეუწერელი სამკიდურებამა და უსაბამომასა სამებებისა დაიხატვოს.

სამნაწილელი იყო ჯუარი, რომელსა ზედა შემსჭუალულმან კორცითა სიტყუამან უპყრა კუდსა „გუელისა ვარსკულაეთა გარდამომყრელისასა“ და დააკუეთა და შემუსრა თავი მისი და წყევამ პირუელთა მამათა დაქსნა და მე დამბადა მეორედ და, რომელსაცა-იგი განღმრთობასა მიქადებდა /გუელი, განღმრთობითა მით ღმერთ-მყო. სამნაწილელი არს შეერთებაცა ესე მოწამეთა, რომელი ქსძლევს უკორცოთა „მთავრობათა და კელმწიფებათა სოფლის მპყრობელთა ბნელისა ამის საწუთომასათა სულთა უკეთურებისათა“ და კორცთა ზედა ამალღებების და ბუნებასა დაუზეუღების.

აღუარებ, ვითარმედ არარამე ვქქმენ ოღესმე კეთილი და ურჩ-ვექმენ ბრძანებასა შემოქმედისასა, გარნა მოწამეთა კესენებითა უძღლებ ვარ, ეპსტრფი ტრფიალებისა მიმართ მათისა საღმრთომასა და ყოვლად წმიდათა მათ ტკივილთა მათთა ზედა და საღმრთოთა წყლულებათა ვიშუებ და ნეტარსა სისხლსა მათსა ზედა ვიხარებ, და უფროს ჩუენთა ამათ ზედა მოწამეთა, და მპრწამს, ვითარმედ არა არს მოწამეთა შორის ქრისტესთა შური, რათა ამათითა უმეტეს სიყუარულითა სხუათა ადგილთა და სხუათა სახელმწიფოთა შინა მოღუაწენი ქრისტესნი მმღურვიდენ.

მოვედით, რომელთა გასურის, ღუაწლთა მიმართ მოწამეთა ქრისტესთა და გამოგიზატო თქუენ საკურუელი საკურუელებათა ბიძინას შორის ტკბილ-საკსენებელისა, რომელიცა ქქმნა მას შინა აღგზნებულმან მან ცეცხლმან ქრისტეს მიმართ ტრფიალებისამან.

აჰა, შანთი ოქრომასა განწმედილი და ყოვლად ბრწყინულაღენებისა ბრძმედსა შინა, უღმრთოთა კელებითა დახეული ქანდად მრავალ-ფურცელოვნად; აჰა, ვეცხლი ბრკილ-მბზინუარუ და ყოვლად ბრწყინულაღე აელუებული საღმრთოათა ტრფიალებითა, დახეული და განზიდული სხებლად მრავალ-წუერად; აჰა, ქუა პატოისანი, შემუსრვილი ბილწთა მოქმედთაგან და განთლილ კერძონი მისნი, რომელნიცა ძვრფასობენ თუთოეულად, ხოლო ყოვლად ბრწყინულაღეთა ერისთავთა შორის; აჰა, მარგარიტნი უსასყიდლონი, განკურეტილნი თოფთა მიერ, რათა სამკაულსა შინა სასძლოსა ეკლესიისასა უსაკმარეს იქმნენ; აჰა, გამოხატუა ძუელთა შინა

\* შღრ. ახოკლ. 12.3-4. \*\* შღრ. ეფეს. 6.12.

- ოქროვილისა მის „კილობნის ორ-წყართობისა“; აჰა, ორობა სიტუერთა მათ „ხერუვიმთა არათუ ძუელისა სალხინებელისა აქათ და იქით მდგომარეთა ფრთე განშლით“<sup>\*\*</sup>, რომელი იყო სახე, არამედ საკურთხეველისა წმიდისა ქრისტე ჩემისა ჭეშმარიტე-  
 5 ბისათა; აჰა, ორობა „ხეთა საჭამადთა ბაგესა თანა მდინარესა“<sup>3\*</sup> მიტყევებისასა გარდამდულარსა მდგომარეთა, რომელნი არა განიყრიან ფურცელთა და არა დაძუელდებიან და არცა მოაკლდებიან ნაყოფნი მათნი მით, რომელ ყოველთა სენთა კურნებანი, ნაყოფნი იგი მათნი უწინარეს თთუეთა გამოიღებიან ამისთჳს, ვითარ-  
 10 მელ წყალნი მათნი, რომლითა ირწყუებიან, წმიდათაგან გამოვალნნ, ესე იგი მადლთაგან სულისა წმიდისათა, რათა იყოს ნაყოფი მათი საჭამადად, ესე იგი მთხოველთად მისაღებელად კურნებათა და აღმოცენებად მათი იყოს სიმართელედ.
- 140 /ესენი უკუე დროსა ქართლსა ზედა მეფობისა ვახტანგ მეო-  
 15 თხისასა, ხოლო კახეთის სპარსეთად გარდასახლევისასა და მლტოლუარეობასა<sup>1</sup> მეფოსა თეიმურაზ პირუელისასა განბრწყინდეს, ვითარცა სამნი მზენი, ერთისაგან აღმოსავალისა აღმოსრულნი და ერთსა ზედა მერიდიანსა მავალნი, კეთილმსახურებისა ცასა ზედა მსრბოლნი უცთომელად, რომელთა შარავანდუდნი კეთილმსახურ-  
 20 თად და სიცხენი შემწუელნი უღმრთოთად თანად და განუტყვენეს. ხოლო ორნივე ესე მოქმედებანი ამათ მზეთანი საყუარელ და სათნო იქმნა მზისა ღმრთისა და უდიდესითა ნათლითა განანათლნა იგინი, რომელთა ნათელი იგი არლარა მოაკლდეს და ბრწყინუალებად მათი ჰკრთოდეს საუკუნოდ.
- 25 ოდეს-იგი უღმრთომან შაჰ-აბას პირუელმან, სპარსთა მეფემან, სხუამან ვიდრემე ნაბუქოდოსორმან, შეაგინნა და მოაოჯრნა სიწმიდენი ჩუენნი და(\*) მეფენი ტყუე-ჰყუნა, რომელნიცა მარტკლობისა გურგუნითა წარკვზავნნა ქრისტეს მიმართ, და განსახლა კახეთი სპარსეთად, შემდგომად მისა ძმისწულმან მისმან შაჰ-აბას მეო-  
 30 რემან შრავალათასეულნი დედა-წულითურთ წარმოკვზავნნა კახეთს შინა დამკვდრებად სპარსნი, რომელნიცა ზაფხულ აგართა ადგილთა და ზამთარ ტაფჯალოვანთა მდგომარეობისა თჳსისა იკმევენ ჩუეულეებასა, რათა ამალითა კახეთს შინა დამკვდრებითა აღისპოს ყოველი მკვდრობად ქრისტეანეთა.
- 35 /მოვიდეს უკუე ესენი კახეთად და დაიმკვდრეს მუნით, სადა

1 მლტოლუარეობისა B.

\* შდრ. გამოს. 25,10. \*\* შდრ. გამოს. 15,18-20. 3\* შდრ. ეზეკ. 47,12.

(\*) დედოფალსა ქეთევანს და მეფესა ლუარსაბ მეორესა იტყუს AB.

ზედწოდებულ ჰყოფენ ბახტრიანად, რომელი არს ზემო ველთა ალონისათა, და ჰქმნეს სიმაგრედ თავისა თვისისათს ციხეცა და განაგრძოეს მკედრობამ მათი ვიდრე ღანჯადმდე ორთავე კიდეთა ალაზნისათა. ხოლო მცირედნი ოდენ იყუნეს მკედრნი კახეთს შინა ქრისტეანენი, რამეთუ სპარსნი იგი მძლავრებდეს მათ ზედა და 5 ეკლესიათა წმინდათა არღუევდეს და შეაგინებდეს და სახლ-საცხოვართა მათთა ჰყოფდეს, რამეთუ თუთ სამთავარეპისკოპოსოცა იგი მთავარმოწამისა ეკლესიათა ალავერდს ესევუარ ოჯერ და შეგინებულ იყო მათგან.

მაშინ უკუე მკედარი ქრისტესი ბიძინა განაგებდა საქმეთა კახეთისათა არყოფისათს მეფეთასა, არათუ ორგულეებითარე მათითა, ხოლო მხედუელი სპარსთა მკედრობისა და მათგან ესევითარისა მძლავრებისა ქრისტეანეთად მსწუხდა ნეტარი იგი სული მისი და უძნდა ფრიად და მრავალთარე იქმოდა მოგონებათა, თუ რომლითაჲე ღონითა ჰქმნასცა აღსპობამ სპარსთა კახეთს შინა დამკედრებულთა. 10 15

მოიგონა უკუე იდეამ კეთილი, რათა ეზრახვოსცა ერისთავთა არაგუსა და ქსნისათა შეწევის-ყოფად ამას ზედა და განჰსაჯა, ვითარმედ საქმე ესე ადულ შესაძლებელ არს და ყოველივე ღმრთისა მიერ უადულესრე შესაძლებელ არს, /მისრულმან ზაალის მიმართ, 20 141 რომელი იყო ერისთავი არაგვისა, და წმიდისა მიმართ ელისბარისა, რომელი იყო ერისთავი ქსნისა, ითხოვა ორთაგანევე ვედრებით, რათა მტერთა ზედა ქრისტესთა მკედრთა კახეთს შინა შეეწინენცა, ვითარმედ მათდამი იტყოდა: „მპრწამსო, რათა ეპსძლოთ და აღუსპნეთ იგინი და განვსწმიდნეთ ბიწთაგან სიწმიდენი ჩუენნი, 25 რათა „პრცხუენოლენ და მართლუკუნ იქცენ ყოველნი მოძულენი სიონისანი“\*.

იტნეს ორთავე ერისთავთა: ანზრახუამ ესე და უფროსლა წმიდამან ელისბარ, რამეთუ ნათესავით თუსით, ძეობილით შალუა ნეტარით და ლაშქრითა დიდითა თანა წარჰყუა ნეტარსა ბიძინას განმკედრებული სახელისათს ქრისტესისა. მაგრა ერისთავმან არაგვისამან ზაალ, შიშითა სპარსთა მეფისათა ვერ კადნიერმან წარსლვისა თვისისამან მათ თანა, მცირედნი კაცნი, გარნა პრჩეულნი და გამოცდილნი, წარჰგზავნა მათ თანა ფარულად. და ეგსახედ მოუწოდეს თუსდა მცირედთა ნაშითა მათ დამკედრებულთა კახეთს შინა ქრისტეანეთა და თუშთა და ფხოელთა და ესრეთ წარემართნეს. 30 35

\* სსსლ. 128.5.

V  
 5 წარსულთა მხედარ-მეუანთა წმიდათა მტერთა ზედა ქრისტესთა განიმკედრეს და ჯუართა მორთხმულნი დამკედრებულთა კახეთს შინა სპარსთა უგრძნეულად ზედა დაესხნეს და შეწვენითა ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობ/ბელისათა და თანამბრძოლებითა დიდებულისა მთაეარმოწამისა გიორგისათა სპარსნი აღჰსწყუდეს, აღჰსპეს და მოჰსარნეს პირითა მანჯლისათა. ხოლო თუთ სულტანი იგი არღალანისა, რომელი სპარსთა მეფისაგან მთაერად და მკედართ-მძღუანულად მათდა განჩინებულ იყო, ძელ განერა მარტოდენ, რომლისა ცოლნი და შვილნი და სახლეულნი 10 ყოველნი მკედართა მიერ ქრისტესთა აღისპო.

ძლევა ესე უცხოთესლთა ზედა მკედართაგან ქრისტესთა უზესთაეს არს ძლევათა იუდასგან მაკაბელისა, სიმეონ ძმისა მისისა და იოანათან და სხუათა ძმათა მათთა და უმეტეს, ოდეს-იგი ჰბრძოდა იუდა ქალაქსა ეფრონს და „გამოილო იგი და მომწყუდედლმან ყოველთა წულთამან პირითა მახვლისათა აღმოჰფხურეს ქალაქი იგი 15 და აღილო ნატყუნავი მისი და განვლო შორის ქალაქი მოწყუედილთა ზედა“.

ხოლო ამათ მკედართა ქრისტესთა მიუღეს უცხოთესლთა ციხემ იგი განმავრებული ძლიერად ბატრიანისა და კაცნი დედაწულითურთ აღჰკოცეს სპარსთა მრავალ-ათასეულთა. 20

იმათ სახესა შინამ „იხილეს რა სიწმიდეა მოოკრებული და საკურთხეველი შეგინებული და ბჭენი დამწუარნი და ეზოთა შინა ხენი აღორძინებულნი, ვითარცა მალნართა შინა, ანუ ვითარცა ერთსა შინა ტყეთაგანსა, და პასტოფორნი დახეულნი, დამპობელნი სა- 142 25 მოსლისანი და დამჰსხმელნი თა/ვთა ზედა ნაცართანი ჰგოდებდეს და ესრეთ პირთა ზედა ქუეყანად მდებარენი ზე აღდგეს და მბერულთა საყურისათა ღალად-ყუეს ზეცად მიმართ და სიწმიდენი განწმიდნეს და გამომრჩეველთა მღუდელთა ქსჯულისა ღმრთისათა უბიწოთა სათნოთა ლოდნი შეგინებისანი ადგილისაგან გარდააგორ- 30 უნეს და საკურთხეველი უფლისა ყოვლადდასაწუელისა შემწირულთა განაახლეს და ახალნი ჭურჭელნი სიწმიდისანი კქმნეს და ყოველნი სიწმიდენი განაახლნეს“.

ხოლო ამათ ზეცად მიმართ მღალადებელთა და თუსდა შეწევნად მადლისა მომგეთა და სულითა წმიდითა სიშენისა საყურისა 35 მბერავთა და ყოვლისა ქუეშეურისა მდებარეობისაგან ზე აღგომილთა ჰეშმარტებასა შინამ იხილეს რა სიწმიდეა ყოვლად წმიდისა მოოკრებული და შეგინებულნი<sup>1</sup> სპარსთაგან, დარღუეულნი და

<sup>\*</sup> შტრ. I მაკაბ. 5,50-51. <sup>\*\*</sup> შტრ. I მაკაბ. 4,38-50.

<sup>1</sup> შეინებულნი A.

დათხრილნი, განწმინდნეს და განაახლნეს. თუთ იგი ეკლესია<sup>1</sup> დიდისა მთავარმოწამისა ალავერდს და სხუანი წმიდანი ეკლესიანი შევიწმინდულნი და დარღუეულნი განაახლნეს და განწმინდნეს და სახლ ღმრთისა სალოცუელ წმიდათა, შესაყრებელ კეთილმსახურთა და სამსხუერპლელ შესაწირუელ ტარიგისა ღმრთისა მამისა მიმართ 5  
ქქმნეს. ხოლო განდევნილნი და დამალულნი ეპისკოპოსნი უღმრთოთა ბარბაროსთაგან საყდრაღვე თუსა ზედმჰპაზრულად ერისა კეთილმსახურისა კულად აგნეს და მღუდელნი ჭეშმარიტებისანი საკურთხეველთა /მიმართ ღმრთისათა და სამღუდელთა მოქმედებათა მოიყუანნეს. 10

ამათითა უკუე ძლევითა აღყუავნა სახარებაჲ ქრისტესი კახეთს შინა. „არა ცალიერ არს ჯუარი ქრისტესი“\*, კეთილმსახურნი უკუე ეპისკოპოსნი სამწყსომსა თანა კეთილმსახურისა და სამწყსონი კეთილმსახურნი ეპისკოპოსთა თანა წმიდათა შეიერთნეს. მიერთიგან მღუდელობა განწმედილი ღმრთისა მიმართ, შეწირუანი 15  
ღირსებით ტარიგისა ღმრთისანი მამისა ღმრთისა მიმართ, ჭეშმარიტებით ქმნილნი საეკლესიონი საიდუმლონი, განახლებანი მონასტერთა შინა მონაზონთა და მოწესეთანი, შემუსრუა ერთა ზედა ქრისტესთა მდებარისა საცივისა სპარსთასა, მიერთიგან თავისუფლება დიდი ქრისტეანეთა, ძიება ზედა-მიწვენილებსა თავისუფალთა და აზნაურთა ცნობათა, განფენა სიბრძნის მოყუარებისა და ყოველივე კეთილი წარმატებაჲ. 20

იტყუს უკუე ნეტარი ბესარიონ (მამათმთავარი ჩუენი): ბრძოლასა მას შინა წმიდათასა სპარსთა მიმართ სახილუელად ლაშქრისა ჩუენისა პაერთა შინა ქსრბიდა ჭაბუკი ყოელად შუენიერი, ჭურვილი, მჯდომარე თეთრსა ცხენსა ზედა, წინამავეალი მათი შემწვედ და დამცემელად უცხოთესლთა და ჩუენთა ყოველთა იცოდეს, ვითარმედ იყო დიდი იგი მთავარმოწამე გიორგი. 25

იტყუს უკუე რიცხუსა იგივე ნეტარი ბესარიონ ბახტრიანით ვიდრე ლანუჯადმდე დაბანაკებულსა სპარსთასა სახლსა ოთხშეოცი 30  
ათა/სსა, რომელნიცა განურინებელად ერთისაცა წმიდათა მათგან 143  
მკედართა ქრისტესთა აღისპნეს ყოელითურთ და მხოლოდ სულტანი იგი არდალანისა განერა, რომელიცა პატივცემულ იყო სპარსთა მეფისაგან. ხოლო სულტანი იგი არდალანისა მლტოლუარე, მისრული წინაშე სპარსთა მეფისა გოდებითა და ტირილითა დიდითა, საკურუელისა მისთვის მოოკრებისა მათისა და ესოდენტა სპარსთა ათა 35  
სეულელებისა მეფესა მას თუსა ყოველსავე თუთოეულად აუწყებდა, რამცა-იგი იქმნა მკედართაგან ქრისტესთა.

<sup>1</sup> ეკლესია A. \* კორ. 1,17.



უწყებულ-ქმნილმან მეფემან აბას მეორემან სირცხულად თავისა თვისისა და ყოველთაგან თანაჲსწორთა და კელიქუეშეთა თვსთა საყუედრელად თავისა თვისისა ჰრაცხა ესე და მიმწერელმან როარტაგისამან მეფისა მიმართ საქართუელომსა ვახტანგ შოთხისა, რამეთუ მაშინ ცოდუათა ჩუნეთათჳს ქართუელნი უღელსა ქუე-  
 5 შე სპარსთა მონებისასა იყუნეს და შემდგომად მეფისა თეიმურაზ პირველისა მეფენიცა ქართუელთანი მეფობისათჳს საქართუელო-  
 მსა ქრისტესა უარ-ჰყოფდეს, ბრძანა, რათა პყრობილნი წარჰგზავნ-  
 ნეს ისპაანად, სამეფოდ ქალაქად სპარსთა, წინაშე მისსა სამნივე იგი მკედარნი ქრისტესნი.

10 უწყებულ-ქმნილმან მეფემან ვახტანგ, მორჩილმან ბრძანებისა  
 7 უღმრთომსა მის თვთ/მპყრობელისამან, მოუწოდნა თვსდა ყოველად  
 უშიშნი იგი სულითა სამნივე ჭეშმარიტებისა მოწამენი და გონები-  
 თა, ვითარცა ანდამატნი, განუკუეთელნი: ბიძინაჲ, ელისბარ და  
 შალუაჲ. იცოდეს უკუე წმიდათა მათ, ვითარცა ძვრისმოქმედთა,  
 15 კრულად წარგზავნაჲ თვისი, მაგრა სახელისათჳს ქრისტესისა, ვი-  
 თარ-იგი მარად იყუნეს გონებანი მათნი ცხოველ, ეგრეთ მოეკუ-  
 დინნეს კორციელნი ესე ცხოვრებისა ამოვნებანი და, თუ სადამე  
 ქრისტე მათ შორის განუყრელად სწორ მათდა, სიკუდილი ანუ  
 ცხოვრება, განსაცდელი ანუ მშუდობა, ტკივილი ანუ სიმრთელე,  
 20 კეთილდღეობა ანუ უბადრუკება და ესრეთ უკუე განჰსცნეს თავნი  
 თვსნი ნებსით და მივიდეს მეფისა ვახტანგისად. ხოლო მოსრულნი  
 უკუე ნეტარნი ესე მისდა შეიპყრნა სამნივე და წარჰგზავნნა სპარს-  
 თა მეფისად.

მ, საგოდებელი ესე ჳირი, რომელი იყო მაშინ სამშობლოსა  
 25 ჩუენსა ქართლსა ჴედა, რამეთუ დაუტევეს სახიერი ქრისტე მეფე-  
 თა და მთავართა და საკურთხეველნი წმიდანი შეაგინნეს სათნოთა  
 მათთა და არა სათნოთა ღმრთისათა ეპისკოპოსთა და მღუდელთა  
 დაგინებულთა და მიდრკა, თუ ჰსთქუა, ყოველი ერი სიბოროტედ  
 და „არავინ იყო, რომელმანცა ჰქმნა სიტკბოებაჲ, არავინ იყო მი-  
 30 ერთამდე“ და „მხოლოდ წმიდანი ესე ოდენ დაჰშეთეს და ეძიებდეს  
 სულსაცა ამათსა მიღებად“\*.

ესენი უკუე იყუნეს, რომელთა მეშურდა შური უფლისა ყოვ-  
 144 ლისა მპყრობელისა, რამეთუ დაუტევეს აღთქმაჲ /ღმრთისა ქარ-  
 თუელთა და არლა ვინ ჴრუნვიდა უფლისათჳს ღმრთისა ყოვლისა  
 35 მპყრობელისა. გარნა ესენი მომგენი თავსა შორის თვსსა, რათა ხა-  
 ტი ღმრთისა დაიკუან თვს შორის შეუგინებელ, არა ცუდად ჰყოფ-  
 დეს თავთა თვსთათჳს განგებულებათა საღმრთოთა საცხოვრებელ-

\* შდრ. ფსალ. 13,3. \*\* შდრ. 3 მეფეთა 19,14.

თა ჩუენთა, ღმრთისათუს იკმევედეს წესიერთა მათ მოძრავობათა გონებისათა და ჰსჯულიერთა წარმოდგომათა განჰსჯათა და გამოჩინებათა გულისხმის-ყოფისათა.

მეფენი უკუე და მთავარნი მაშინდელნი ჰველობდეს ორთავე გოჯითა, რამეთუ იგივე ბაალ, რომელსა უგებდეს ისრაილნი, სხუთა უახლესითა ხატითა და სხუთა განსაზღურებითა ქართუელთად უღმრთოთა სპარსთა შიერ ღმრთად იქადაგებოდა პოენისაებრ და დამტკიცებისა უღმრთოთა მახმედისა, ვითარცა „მხოლო ღმერთი, რომლისა არსება არა გუამოვნებათა მიმართ მიფენილ არს, ბერწი, რომელი არა ჰშობს და არცა ეისგან შობილ არს“, რომელიცა შეჩუენებულ არს და წყეულ აღმსარებელთა თუსთა თანა.

ესევეითარსა უკუე ბაალს შეუდგეს მეფენი მაშინდელნი ქართუელთანი და მთავარნი, რამეთუ „შეიყუარეს დიდებამ კაცთა უფროს, ვიდრე დიდებამ ღმრთისა“, დიდებისათუს განხრწნადისა და მონაგებთა. „სიმდიდრე იგი მონაგებთა მათთა იყო დაღპოლვილ და სამოსელნი მათნი დაჰსჭამნეს შლილთა“ და გესლდა ოქრომ მათი და ეეცხლი მათი /და გესლი იგი მათი საწამებელად იყო მდიდართა მათ და შეჰსჭამნა კორცნი მათნი ვითარცა ცეცხლმან.

ეჰა, მოწყალეობა და სულგრძელეობა ღმრთისა, რამეთუ „არა თუშცა უფალმან სავაით დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომიამცა შევიქმნენით და გომორაჰსმცა ვემჰსგავსენით“ ხოლო ეაწახმან მან მამათა ჩუენთაგანმან ჭამებულმან მოალხუნა კბილნი ჩუენნი პირადპირადთა მიერ მოლხუებათა, რომელთა განმარტებამ არ სათანადო არს ჩუენდა აქა თქმად.

ჰქსენებულსა უკუე ბაალს მეფენი და მთავარნი ქართუელნი შეუდგეს სპარსთა საჩუენებელად და „უარისმყოფელთა წინაშე მათსა ქრისტესთა უარ-ჰყუნეს თავნი თუსნი წინაშე მამისა მისისა ზეცათასა“. გარნა გონებასა შინა ფარულად აქუნდაყე უსარგებლოდ სარწმუნოებამ ქრისტეს მიმართ, რომელთაცა ჰყუა მამხილებელად მადლისა მის კადნიერებისა ღმრთისა მიმართ მექონი საკერუელი ილია მეტყუელი მათდა: „ვიდრემდის ჰკელობთ თქუენ ორითავე გოჯითა, უკეთუ არს უფალი ღმერთი, მიჰსდევდით მას და თუ არს ბაალ იგი, შეუდევით კუალსა მისსა“.

ესრეთ უწყებულ ვართ, ვითარმედ იყუნეს უღმრთოებისა ბორკილითა შეკრულ მეფენი ჩუენნი და ესე დიდებულნი ჩუენნი

\* იოან. 12,43. \*\* შღრ. იაკობ. 5,2. 3\* ისაია 1,9. 4\* შღრ. იერემ. 31,30. 5\* შღრ. მატთ. 10,33. 6\* 3 მეფ. 18,21.

კეთილმსახურნი მათ მიერ ქრისტესთვის იკმნნეს შეკრულ კელ-  
 ბორკილითა რკინისათა<sup>1</sup>. გარნა საღმრთოთა მათ შეკრულთა  
 145 /შორის იყო „ამაღლებამ ღმრთისა პირსა შინა მათსა და სულისა  
 მახვლი ორპირი კელთა შინა მათთა“<sup>2</sup>. და ესრეთ წარგზავნილნი  
 5 კრულნი მიიყუანნეს სპარსეთად და წინაშე შაჰაბას მეორისა წა-  
 რადგინნეს და თავთა თუსთა ქრისტეანე-ყოფად კელმწიფეა იგი  
 უწყებულ-ჰყუეს და უშიშნი გონებითა „არა წინასწარ მწურთელ-  
 ნი, თუ რამე მიუგონ სიტყუა“<sup>3</sup> მეფესა, მტერსა ქრისტე მათისასა,  
 მხიარულითა სულითა ყოველსავე მეფისაგან კითხუასა სი-  
 10 ბრძნით შესაბამ-მიგებითა ნაცუალ-სიტყუაობდეს, რომელსა ვერ-  
 ვინ უძღებდეს წინააღდგომად და დარღვეუვად აღთქმისაებრ უფ-  
 ლისა.

მაშინ შაჰაბას წარკვზავნა წმიდანი იგი არღალანელისა სულ-  
 ტანისად, რომელი-იგიცა იყო მაშინ ისპაანს, და უბრძანა, ვითარ-  
 15 მედ: „მეწყალეიანო ესენი სიკუდილად და ტანჯულად სიკეთისათს  
 და ახოვნებისა მათისა, ვითარცა საქმარნი მკედრობასა შინა ჩუენ-  
 სა, და შენ მეცადინობდ, რათა მოიყუანნემცა ესენი ჰსჯულსა ჩუ-  
 ენსა და, თუ სადამე ჰქმნან ნებოსაებრ ჩუენისა, არა მცირედნი მი-  
 ილონ ჩუენგან დიდებანი და ნიჭნი, ზოლო თუ სადამე არა ვრჩედენ  
 20 ბრძანებასა ჩუენსა, მწარითა და მძნუარითა ტანჯვთა განიყუანენ  
 ცხოვრებისაგან.

წარიდგინნეს ბრძანებისაებრ მეფისა აბას მეორისა წინაშე  
 არღალანელისა მის სულტანისა წმიდანი იგი, რომელნიცა მოიკითხნა  
 მოწოდებ და სიყუარულით შეიწყნარნა ზაკუსა მკულელობითისა სი-  
 V 25 ყუარულისა ჩატსა შინა მფარულმან, დალა/თუ ბრძანებამცა მეფი-  
 სა თუსისა აწუეედა სულტანსა მას პატივით შეწყნარებად მათლა  
 მით, რომელ არა მცირედ ჰსწადოდა შაჰაბას მეორესა გარდაქცე-  
 ვად ჭეშმარიტებისაგან უღმრთობად წმიდანი იგი. არამედ, თუ სა-  
 დამე ჭეშმარიტებისაგან გარდაქცევა მუუძღებელ იყო მათი,  
 30 მძნუარედ მკულელობადცა განეშზადებოდა მათთს.

იწყო სულტანმან წმიდათად უწყებად ბრძანებამ მეფისა მე-  
 ტყუელმან: „დიდსა უკუე კელმწიფესა ჩუენსა შაჰს, რომელსა  
 ჰმსახურებს ყოველი მონარხია<sup>1</sup> სპარსიისა ვიდრე ინდიადმდე და  
 საბერძნეთად, ჰსურს ფრიად სიმკნისა და ახოვნებისა თქუენისა-  
 35 თს ჯმაგასმენილისა ნიჭებად. თქუენდა მკედრობასა შინა დიდებანი  
 დიდნი, უზესთაესნი ღირსებისა თქუენისა, და მარადის მახლობელ-  
 ყოფამ თქუენი დიდებულებისა თუსისა; და ჩუენცა, მონანი მისნი

<sup>1</sup> მონარხია A.

<sup>2</sup> შტრ. ფსალ. 149,8. <sup>3</sup> ფსალ. 149,6. <sup>3</sup> შტრ. ლუკა 21,14.

ყოველნი, ბრძანებისათვის მისისა უმაღლესისა და სიკეთისა და სიმ-  
კნისათვის თქუენისა ემეცადინობთ ტკბილსა სიცოცხლესა შინა  
ბედნიერობასა თქუენსა ჩინებულსა და უმეტეს ყოველთა ნათესავ-  
თა თქუენთა უზესთავს დიდებასა თქუენსა, გარნა თანა-გაძს თქუენ  
საჭიროდ, რათა დაუტევოთ ქსჯული თქუენი და მიიღოთ ქსჯუ- 5  
ლისდებანი მოციქულისა ჩუენისანი, რომელი უპყრიეს კრძალუ-  
ლებით მრავალთა დიდთა მონარხიათა და სახელმწიფოთა“.

მიუგეს წმიდათა: „ჩუენ სიყრმითგან ჩუენით შეგვწყენარებიეს  
ჩუენ შორის ჭეშმარიტებად უფლისა ღმრთისა და მაცხოვარისა  
ჩუენისა იესუ ქრისტესი, მოცემული ჩუენდა წინა/პარ მამეულად 10 146  
და გურწამს ერთისა ღმრთისა მიმართ მამისა და ძისა და სულისა  
წმიდისა, რომლითა ნათელ-გვიღებებიეს, გუსურს ერთისა მიმართ  
ნათლისა მხოლოდსა სამობასა შინა განუკუეთელისა<sup>1</sup> და სამობით  
ერთობასა შინა შეურევნელისა განეაწესენით თავნი ჩუენნი სიჭა-  
ბუკითგან ჩუენით მკედრად ქრისტესა, რომლისა „სიყუარულისა- 15  
გან ვერარამემან განმაშორნეს ჩუენ, ჭირმან ანუ იწროებაძან“,  
ვერცა ცეცხლმან, ვერცა დაჭრამან ასოთაძან, ვერცა მძქნუარება-  
ძან მკეცთაძან, ვერცა სიძნელემან რკინათაძან, ვერცა ერთმანდა  
რამემან, რომელიცა შეგირაცხიეს თქუენ სატანჯუელად მწარედ,  
რამეთუ გუსურს ტრფიალებით ქრისტესთვის შესმად ათასჯერ და 20  
არათუ ერთგზის ოდენ სასამელი სიკუდილისა. ნუსადამე ჰგონებს მეფე  
თქუენი, რათა არა თუ დიდებისათვის, რომელსა აღგვთქუამს, არა-  
მედ უფროსდა მეფობისათვისცა ყოვლისა სოფლისა, რომელი-ესე  
„მსგავსი არს კუამლისა, დღეს უკუე საჩინოდ მცირედ და ხუალე  
განქარდეს“<sup>2</sup>, დაუტევეთმცა ღმერთი, რომელმან დაგუბადა ჩუენ 25  
და ეკმსახურეთ ეშმაქსა განერდომილსა მისგან, რომელიცა აღმსა-  
რებელთა თვსთა თანა გარე-მიქცეულ არს ჩუენგან და შერაცხილ,  
ვითარცა „გარდამოვრდომილ ზეცით და ყოვლითურთ საცთურ  
მსახურთა ღმრთისათა“<sup>3</sup>. ხოლო ჩუენ „მოვკსწყდებით ქრისტეს-  
თვის და შევირაცხვით ვითარცა ცხოვარნი კლუადნი“<sup>4</sup>. 30

ჩუენ მცირედი ოდენ უწყით სწავლულებსაებრ, მაგრა განს-  
წავლულ ვართ სულითა წმიდათა /ცნობად ღმრთისა მიმართ ჩუენ- 5  
ნისა და საცხოვრებელთა ჩუენთა განგებულებათა მისთა ეგოდენ,  
რაოდენ საჭირო არს და საკმარ მკედართა ქრისტესთად, და ამით  
ეკსძლეეთ ჩუენ მის მიერ, „რომელმანცა-იგი<sup>2</sup> შემიყუარნა 35  
ჩუენ“<sup>5</sup>. ხოლო „საჭურუელი ჩუენისა მის მკედრობისა არა კორ-

<sup>1</sup> განუკუეთელსა... შინა—A. <sup>2</sup> რომელნიცა-იგი AB.

\* შტრ. პრომ. 2,35. \*\* შტრ. იაკობ. 4,14. <sup>3</sup> შტრ. ლუკა 10,18. <sup>4</sup> შტრ. ფსალ. 43,22. <sup>5</sup> პრომ. 8,37.

- ცით არს, არამედ ძლიერ ღმრთისა მიერ. დასარღუვევლად ძნელოვანთა გულისსიტყუათა დავარღუევთ და ყოველსა სიმაღლესა ამაღლებულსა მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა და წარმოვესტყუენათ ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა<sup>1</sup> და „გურწამს, 5 ვითარმედ არცა სიკუდილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა<sup>1</sup> ამან სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბადებულმან შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულისაგან ღმრთისა, რომელ არს ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა“<sup>2</sup>.
- 10 და მიგებასა ამას შინა დაღათუ ერთკმობა იყო ნეტართა მათსამთავე, მაგრა მოუგებდის სახატრელი ბიძინა.
- უპა, სიბრძნისა ღმრთისა განშუენებასა, რომელმანცა „აქო სული თუსი და შორის ერთა თუსთა იქადის და ეკკლესიასა შინა მალღისასა პირი თუსი აღაღის, რომელი გამოვალს პირისაგან მალღისა და, ვითარცა ნისლი, დაჰფარავს ქუეყანასა მალღთა ზედა 15 დამკვდრებული იგი, რომლისა საყდარი დამტკიცებულ არს სუეტთა ზედა ღრუბლისათა“<sup>3</sup>, და აწ განშუენდა იგი უკუდავი და 147 უხრწნელი „ერთ/-გონიერებითა ამათ ძმათათა და სიყუარულითა ამათ მოყუასათა“<sup>4</sup>.
- 20 სიბრძნით იყო მიგებამ წმიდათა მათ, რომელთა მოიღეს „პირი იგი და სიბრძნემ აღმთქმელისაგან, რომელსა ვერა უძლეს წინააღმდგომად და სიტყუს-გებად წინააღმდგომთა მათთა“<sup>5</sup>. ხოლო მიეცნეს ესენი დაღათუ არა ჯორციელთა მშობელთაგან, არამედ ძმთა და მეგობართაგან და ნათესავთა და თანმოქალაქეთა და იქმნნეს 25 მოძულეებულ სახელისათუს ქრისტესისა ერთ-ნათესავთაგან თუსთა. ხოლო თუ სადამე არა მოძულეებულ, არცაღა მიცემულ ჯელთა მიმართ უღმრთოთასა, გარნა მიცემულ ვინა მოძულეებულცა.
- მკსმენელი სულტანი იგი მიგებისა წმიდათასა და ზედმჭურეტი ჭემმარიტებისაგან ზედმიუცილებელისა გონების მათისა მრავალფე- 30 რითა ლიქნითა და იძულებითა წმიდათა მიმართ განამდიდრებდა არაწმიდათა სიტყუათა თუსთა და წინა-დაუდგადა სიტკობებათა და ამოუანთა გემოვნებათა საწუთომასათა, ტკბილსა სიციცხლესა ცხოველობითსა, დიდებათა დიდთა და პატიეთა და მოსაგებელთა და სიმდიდრეთა აღთქმულთა შაჰაბასისგან, ეგსახედ მძუნუართა სა- 35 ტანჯუელითა სიკუდილსა.

<sup>1</sup> არცა... სოფელმან—A.

<sup>2</sup> 2 კორ. 10,4-5. <sup>3</sup> კრომ. 2,38-39. <sup>3</sup> შდრ. ზირაქ. 24,1-3. <sup>4</sup> შდრ. ზირაქ. 25,2 <sup>5</sup> შდრ. ლუკა 21,15.

მიუგებდეს წმიდანი: „გემოვანნი ეგე სიტკბობებანი და სიამოვნენი სოფლისანი, ოდეს-იგი შეედრად ქრისტესა განვაწესენით თაენი ჩუენნი სიყრმითგან ჩუენით, მიერთგან გულისხმის-ყოფისა ჩუენისა და გრძნობისაგან ყოვლითურთ უცხო გვიყოფიეს/, ხოლო დიდება და პატივი შეედრობითი და სიმდიდრე ფრიადი, რომელსა აღგუთქუამს მეფე თქუენი მოცემად ჩუენდა, საძაგელ არს ყოვლითურთ მით, რომელ ვისდაცა-იგი განწესებულ ვართ შეედრად, იგი უხრწნელსა და უბერებელსა და უკუდავსა დიდებასა და პატივსა აღგუთქუამს მოცემად და გურწამს, ვითარმედ ჭეშმარიტებს აღმთქმელი იგი, ხოლო ტკბილად შერაცხილი თქუენგან სიციცხლემ ცხოვლობითი აღრევე მომუდარ არს ჩუენ შორის ამაღ, რომელ „არღარა ცხოველ ვართ ჩუენ, არამედ ცხოველ არს ჩუენ შორის ქრისტე“<sup>o</sup>.

არარად შეგვირაცხიეს მძნუარებანი სატანჯუელთანი და სიკუდილი, ვითარცა კლდესა, კილესა ზედა ზღვასა მდგომარესა, კუთებანი ზღურთა ლელუათანი. დაქსცხერინ ჩუენდა ყოველნი ეგე აღთქმანი და ქადებანი და განიმზადენ ჩუენთვის სასმელი იგი სიკუდილისა ტკბილი სატრფიალომსათვის ჩუენისა“.

მხილულმან სიმტკიცისა გონებისა მათისამან სულტანმან უბრძანა მტარუალთად შეკრუად წმიდანი იგი და უწყალოდ თრევალ ქუეყანასა ზედა.

ესრეთ უკუე შეიკრვოდეს კესნილნი ბრალთაგან შეედარნი ქრისტესნი, იგუემებოდეს მწარედ წიხნეთა და კუერთხებითა, ითრეოდეს ძლიერად ქუეყანასა ზედა, მსდიოდეს ყოვლად წმიდათა მათ დაბძარულთა ასოთა მათთაგან ნაკადულნი სისხლთანი და მიიყუნებოდეს საპყრობილედ და შეიყენებოდეს ბნელსა შინა დილეგსა შეკრულნი.

/იტყუს ნეტარი ბესარიონ: ვითარ-იგი მსცემდესო და ათრეოდეს წმიდათა მათ, კულადცა აიძულდესვე, რათა უარპყონ ქრისტემ, გარნა იგინი უმეტესსა აჩუენებდეს ხარწმუნობასა და სიყუარულსა ქრისტეს ღმრთისა მიმართ, რამეთუ მოყუასი მოყუასსა განამტკიცებდა და ერთი მეორესა აღლესუდა არა დაქსნად ღუაწლთაგან წინამდებარეთა და სიხარულით შეწყნარებად სატანჯუელთა მათ მოწვენადთა.

ყოველთა ასოთა ზედა წმიდათასა თრევათა მიერ და გუემათა მძნუარეთა დაბეჭდულ იყუნეს წყლულებანი, ხოლო ფიცართა შინა გულისა მათისათა შთაწერილ სახელი ცხოველსყოფელისა სა-

<sup>o</sup> შლრ. ვალატ. 2,20.

მებისა. სულნი უკუე მათნი ნეტარნი დაწერილ ასოებითა ყოვლ-  
კეთილობისათა, რომელნიცა გან-რა-ვიდენ კორცთაგან კელოვნისა-  
გან მწიგნობრისა ღმერთთმთავრისა, ცხადად წინაშე ანგელოსთა  
თუსთა წარკითხულ იქმნეს და წმიდათა ანგელოსთაგან წინაშე  
5 ღმერთთმთავრისა მის მწიგნობრისა ეგსახედ აღლესით ტრფიალე-  
ბითა და ყოვლისა სიბრჯგუისა წინააღმდგომისა არ მექონ.

გონებანი აღმკურეტ სისტემისა მიმართ ჰეშმარიტებათასა,  
ესე იგი ჰეშმარიტებანი იგი მოსაგებელთანი კიდულნი ურთიერ-  
თას<sup>1</sup> მოლოდებადნი, რომელნიცა იყუნეს წინაშე მათსა გულისხმის-

10 ყოფანი წარმომადგენ და გამომხატუელ მოსაგებელთა და განყოფი-  
ლად სრულად და საესედ, რაოდენ შესაძლებელ არს წმიდისაგან  
V პსიხისა გულისხმეი/რისა, ხოლო გნომნი წარმომადგენ ტკივილთა  
და მოსაგებელთა და თანად შემასწორებელ, გარნა სიბრძნისა კე-  
თილგონიერებით კმევითა აღმჩნეველ უკეთილესისა და უადრესი-  
15 სა და განმახულ სულითა წმიდითამიგებასა შინა ბოროტთა მაიძუ-  
ლებელთად ადულ და მკსწრაფლ, რა-იგი შესაბამ იყო.

ბაგენი მათნი ღუაწლსა მას შინა ნიადაგ მგალობელ და დიდე-  
ბის-მეტყუელ ღმრთისა მიმართ და შეედრებელ, რათა დაუბრკო-  
ლებელად წარმართოს მარბაჲ ვნებისა მათისა.

20 აწუევიდნი იძულებით უღმრთონი იგი წმიდათა მათ პყრობილ-  
თაცა საპყრობილესა შინა უარყოფად ქრისტეს ღმრთისა და მონა-  
ნიცა თუსნი, გარნა მტკიცეთა მათ მთათა ანდამატიინისათა შეძრუაჲ  
ვერ შესაძლებელ იყო ესეგუართაგან ქროლათა და, ვითარცა „გა-  
მომცდელი იგი უფლისაგან, ეგსახედ ესენი უკუნ-იქვეოდიან წმი-  
25 დათაგან სირცხულელ“\*.

მხილუელმან სულტანმან სიმტკიცისა მათისამან და გულის-  
მსიტყუელმან, ვითარმედ შეუძლებელ იყო ჰეშმარიტებისაგან გარ-  
დაქევეაჲ მათი, ბრძანა განშიშულეზად წმიდანი იგი და შეკრუად  
და გარე განყრად, რათა შემწუელითა მით სიცხითა მზისათა და  
30 წერტითა ფუტკართა და ბზიკათათა ივნებდენ წმიდანი იგი, რომე-  
ლიცა-ეგე მკნეთა მათ დიდითა იტკრთეს სიხარულითა.

149 შემდგომად ამისა ბრძანებულ იქმნა წმიდათა მათ ერისთა/ვთა  
ბრწყინულეთა ელისბარისთს და შალუსს განჩინებაჲ ესევეთარი,  
რამეთუ მიაკრნეს ხეთა ზედა და თოფთა განსროლითა მრავალჯერ  
35 განაელინეს ტყვიანი განსროლილნი მათ შინა და მერმელა ზე მდგო-  
მარეთა მსცეს მახულებითა წვეთა ზედა და დაქაფნეს წვენი და

<sup>1</sup> ურთიერთარს B.  
\* შტრ. ლუკა 4,13.

შემდგომად მახვლითა წარკჳუთნეს თავნი და ესრეთ სრულ-იქმნა სრბამ სამლულდელოისა ვნებისა მათისა. ზოლო ნეტარნი იგი სულნი მათნი დაიდუნეს კელთა შინა ღმერთთმთავრისა აბრაჰამისთა მეოხად და მცუელად ყოვლისა სოფლისა.

სიკუდილი უკუე წმიდათა ერისთავთა უწინარეს სანატრელისა ბიძინასა მოიკვლოვნეს განგებით უღმრთოთა მათ ამისტუს, ვითარმედ ნუსადა შეშინებული ხილვითა მოყუასთა სიკუდილისათა სანატრელი ბიძინა ერჩღესმცა არაწმიდასა ნებასა მათსა. მაგრა ყოვლად წმიდა იგი სული მისი ილოცუდა ღროსა მას უფლისად, რათა სიწმიდით მიითუალნეს სულნი მათნი ნეტარნი და პატიოსანი იგი სიკუდილი მათი მიითუალოსმცა წინდალ და შუამდგომელად, რათა არ დააკლდეს თუთცა გერგუნისაგან მარტვლებითისა, არამედ მიიღოს მანცა მათ თანა ზიარებამ იგი ვნებათა ქრისტესთა და ჯიღლოდ, რომელ არს გერგუნი მარტვლებრი.

ზედა-მოუქდეს კუალად ნეტარსა ბიძინას, ლიქნიდეს და აიძულებდეს მიცილებად ჳეშმარიტებისაგან მრავალფერითა წინადადებითა სპარსნი მრავალნი, მაგრა სიმტკიცე წმიდისა გონებისა მისისა ქრისტეს ღმრთისა /შიმართ ვითარცა მთამ ანდამატიინისა, შეუძრუელად მდგომარე იყო, რამეთუ სურდა ესე ნეტარსა სულსა მისსა, რათა რიცხუ იგი სამობისა მათისა აღავსოს ქრისტესტუს სიკუდილითა თუსითა და ამით სატრფიალო იგი თუსი სამობა შემოქმედრი ქმნილსა ამას სამობასა შინა წინაშე ჴეციერისა საკურთხეველისა წარდგომილსა გამოპხატოს და ყოვლითურთ ჴესთა ექმნას მოგებითა თუს შორის ქრისტესითა არსებასა კორცთასა და მძლე სატანას და ყოველთა საცთურთა მისთა.

იბრძანა<sup>1</sup> უკუე სანატრელისა ბიძინასათუს განჩინებამ ესევითარი სირცხულად და კიცხევად ყოვლად მვნისა მის მვედრობისა მისისა, ვითარმედ შემოსეს კუბასტი დედათა და კარაულსა ჴედა აღსუეს, რამეთუ ფრიად სირცხულ იყო ღროსა მას სპარსეთს შინა მამაკაცთათუს აღჯდომამ კარაულსა ჴედა, და ესრეთ ქალაქი იგი დიდი მოავლეს ისპაანი, გარნა იტყოდა წმიდა იგი: „გმადლობ შენ, იესუ ქრისტე, ძეო მხოლოდშობილო ღმერთთმთავრისა მამისაო, რამეთუ ღირს-მყავ მე ვნებასა კიცხვისა შენისასა და ესეცა სათნო იყავ ჩემი, რამეთუ მე ცოდვილი ესე მონა და მვედარი შენი მძლე მყავ ნებასა ჴედა მტერთა შენთასა, რამეთუ, ვითარ-იგი შენ, მძლემან სიკუდილისამან, აღადგინე რა ცხოვლად მკუდარი მეგობარი შენი ლაზარე და მძლე სიკუდილისა და ჯოჯოხეთისა, მჯდომარე

<sup>1</sup> უბრძანა B.



- 150 კიცუსა ზედა ვირისასა, შეხუედ ღიდებით ყრმათა მიერ ოსანნაჲსა, გალობითა ქუეყნიერსა იეროსალიმსა, ეგ/სახედ გნებავს ჩემიცა, რათა ძლევეითა გვრგვონოსანი მოვიდე შენდა ძმათა ჩემთა თანა შენ-  
 5 სა ზეცისა იეროსალიმსა, ღიდება და შადლობა და თაყუანის-ცემა შენსა დაუსაბამოსა მამასა და შენ მხოლოდშობილსა ძესა და ყოვ-  
 ლად წმიდასა სულსა შენსა აწ და საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ“.
- შემდგომად ვნებისა კიცხევეითსა კულად სანატრელისა მის-  
 და განაჩინეს კაცნი რეცა სიტყუსა სიუხუესა შინა გამოცდილნი,  
 რომელთაღმი ბრძანებულ იყო, რათა მრავალფერებითა სიტყუათა-  
 10 თა, ესე იგი აღთქმითა მეფისაგან უღიდესთა ღიდებათა და პატივ-  
 თა, რომელთაცა იგი უწინარეს აღუთქმიდეს და ქადებითა მქნუა-  
 რეთა და მწარეთა ტანჯუათათა ეტყოდენ, ნუსადა გარდააქციონმ-  
 ცა მსახურებისაგან ჭეშმარიტისა ღმრთისა.
- იტყოდეს კაცნი იგი წმიდისა მის მიმართ მრავალმკეცელნი  
 15 სიტყუათა მათ ბირებულთანი მრავალგუარითა მელონეობითა, გარ-  
 ნა წმიდასა მას ოდესმე, „ვითარცა ყრუსა, არა ესმოდა“\* არაწმი-  
 დანი იგი წინადადებანი მათნი და ოდესმე განფენდის წინაშე მათ-  
 სა მჩუენებელი ტრფიალებასა და წყურვილსა ნამდულ სატრფია-  
 ლოჲსა და საყუარელსა წმიდათასა ქრისტესთვის სიკუდილისასა  
 20 მოკლითა კელ-ყოფითა სიტყუერითა.
- ესრეთ რა სირცხულეულ იქმნეს წმიდისა მისგან გონებისა  
 მოძულენი ქრისტესნი, რამეთუ რამასცა-იგი მსწადნოოდეს, ვერ  
 კქმნეს და ესმოდათ ახოვნისა მისგან სულისა, ვითარმედ: „მკსუ-  
 25 რის ფრიად და მწყურის/, რათა შეესუა სასმელი იგი მისთვის, რო-  
 მელიცა ჩემთვის შესუა ჯუარსა ზედა მხოლოდშობილმან სიტყუა-  
 მან და კულად „შენდამი, ღმერთო, მსწყურინ სულსა ჩემსა“\*\*.
- განიჩინა უკუე სიკუდილად მკედარი ქრისტესი ესეგუარითა  
 უკუე სიკუდილითა, რომლითა ოდესმე ძმაჲ მისი იაკობ მეფისაგან-  
 ვე სპარსთასა დაისაჯა ქრისტესთვის სიკუდილად, რამეთუ ბრძანე-  
 30 ბისაებრ მძლავრთასა მოიღეს მტარუალთა მახვლნი მრავალნი,  
 სხუთა და სხუთარე გუარითა დანაკუეთებულნი, და ეტყოდეს: „ერჩ-  
 დი ბრძანებასა მეფისასა, შ ბიძინა, და უარჰყავ ქრისტეჲ იგი შენი,  
 რომელსაცა აღიარებ ღმრთად და ნუ გნებავს სიკუდილი ბოროტად  
 თაეისა შენისა“. ხოლო იგი არა რამმესა მიუგებდის, არამედ დაჭ-  
 35 რასა მას შინა წებილთასა<sup>1</sup>, იტყუს სანატრელი ბესარიონ, დაუცხ-  
 რომლად იტყოდაო სიმეოლიონსა (რომელ არს ათორმეტტაეპოვანი

<sup>1</sup> წებილთასა] წებითთასა B.

\* ფსალ. 37,13. \*\* შლრ. ფსალ. 41,2.

მრწამსი) და ლოცუასა უფლისასა, „რომელიცა ასწავა საღმრთოთა მოწაფეთა თესთა“.

იწყეს უკუე მტარუალთა მათ ჭრად ყოვლად წმიდანი ასონი მოწამისანი მწურუალითგან თითთა კელთა და ფერკითათ და ესრეთ კელნი და ფერკნი მაჯვებადმდე და კოჭად და მერმელა იდაყუნი მკლავებადმდე და წუენი მუქლებად და ეგსახელ მკლავნი მჭართამდე და სხულ ბარკალნი თეძოთად და ესრეთ ყოველთა მუსკულთა კორცთასა მსჭრიდეს წულილ-წულილად. გარნა სანატრელისა მის შორის არა რამე იხილუე/ბოდა მჭმუნუარებაი შესახედაეისა, არცა მცირედნილა ისმოდეს სულთქმანი, თნიერ მოწოდებაი ქრისტესი თანაშემწედ და თქმული იგი სიმეოლიონ და ლოცუამ საღმრთომ.

დაამთა უკუე წმიდისა თავი და სტომაქი ოდენ და ჯერეთ ცოცხალდა იყო სანატრელი იგი, რომლისა შორის ცხოველი იყო მარადის ქრისტე და იგი ცხოველ და არა მკუდარ მარადის ქრისტეს შორის, და ითრევედეს ქორჩითა დანაშთსა მას სხეულსა წმიდისასა მწარედ, რომელიცა აჩუენებდა მათეე საღმრთოთა უბნობათა ძრვთა ბაგეთათა და მხილულთაგან საზარელ სახილაე იყო.

მომზრახობენ ღროსა მას ხლდომასა გულისა მისისა ყოვლად წმიდისასა სახილულად მჭურეტელთა, გარნა, ეკგონებ მე, ტრფი-ალებითა საღმრთომთა მარად მოტყინარე იგი გული ხლდოდა ამისთეს, რამეთუ იყოდა რა ნეტარმან მან სულმან, ვითარმედ დაუხევედა იგი ყოველთა განსაცდელთა სიკუდილ-შემოსილთა და მხედვიდა სატრფილოსა თესსა და ღუაწლის-დამდეგელსა უფალსა ჩუენსა მეფესა მეფეთასა ქრისტესა, რომელიცა უწოდებდა მისულად თესლამი და განუმზადებდა ჯილდოდ ზიარებასა თესსა და გვრგუნსა მოწამეთასა.

მხილულმან წმიდისა მის შორის ყოვლად წმიდისა მის გულისა მისისა ხლდომისამან ზემდგომელმან რომელნიმე მტარუალმან, რომელსა აქუნდა ლახუარი კელთა შინა, მსთქუა განკურუებულმან: „ვითარმე უკუე ცოცხალდა არს, რამეთუ ესოდენ მძენუარეთა და უმა/გალითოთა ტკივილთა ვერ უძლეს დაცხრომად მოძძრავობისაგან გული მისი“.

მსცა უკუე განრისხებულმან ლახურითა ყოვლად წმიდისა<sup>1</sup> გულსა მისსა და განაგმირა იგი და ესრეთ განლახურული ცხოველსყოფელსა გუერდსა სიტყუსასა ეზიარა და სულმან მან ნეტარ-

<sup>1</sup> წმიდასა+მას B.

• შდრ. ლუკა 11,2.

მან განიბერტყნა კორცნი ესე განხრწნადნი და წარდგა წინაშე ცხოველთშემოქმედისა სამებისა შემწირუელი თავისა თვისისა და მღუღელთმოქმედი ზეცისა ძალთა თანა მსხუერპლთა ქებისათა წინაშე საღმრთოთა საკურთხეველისა, „სადა-იგი არიან დასნი ანგე-  
5 ლოსთანი, სადა კრებულნი მამამთავართანი, სადა გუნდი წინასწარმეტყუელთა, სადა საყდარნი მოციქულთანი, სადა სიხარული მოწამეოა, სადა ნუგეჟინის-ცემა მართალთა, სადა ბრწყინუალება მოძღუართა, სადა კმანი წმიდანი, შუება და განსუენება“\*.

შემდგომად ყოვლად საწადელისა მის სიკუდილისა მისისა თა-  
10 ვიცა საღმრთომ წარკუეთეს მტარუალთა. ხოლო სადა-იგი მგდებარე იყუნეს სხეულნი წმიდათა ერისთავთანი, ყოველნი იგი განწუალებულნიცა ასონი სანატრელისა ბიძინასნი განსთხოვენეს ადგილსა მას უპატიოვებითა დიდითა.

ხოლო იქმნა რა ღამე, პატივ-ჰსცა უფალმან მოწამეთა თვსთა,  
15 რამეთუ სამთავე სხეულთა ზედა წმიდათასა მოეფინა ნათელი სახილულად ყოველთა მახლობელთა, რამეთუ სადაცა მცირედი ოდენ ცუარიცა სისხლისა მათისა დათხეულ იყო, ყოველნი იგი ად-  
152 გილნი /ნათლითა აღიესნეს. მრავალთა სპარსთა აღიდეს ღმერთი ქრისტეანეთა, რომელმანცა ესრეთ პატივ-ჰსცა წმიდათა თვსთა.

20 და ოდეს მტარუალნი და ზედმხენნი ნაწილთა წმიდათანი განკრუებულნი წარვიდეს სახლად თვსად და დაიძინეს, მოვიდეს იღუმალ კაცნი, ნათესავით სომეხნი, მკვდრნი ახალსა შინა ჯვულას, და დიდითა პატივითა კრძალულებით აღილნეს სხეულნი წმიდათანი, წარიდეს მსწრაფლ და დაჰკრძალეს ეკლესიასა შინა თვსსა,  
25 სადა-იგი ჰყოფდეს ნაწილნი და წმიდანი მრავალთა კურნებათა.

შემდგომად წელთა რაოდენთამე მეუღლე მან წმიდისა შალოას-  
მან, ქრისტესმოყუარემან ქეთავან (ასულმან არაგვის ერისთავის ზაალისმან) და ძემან მისმან ერისთავმან ქსნისამან დავით წარაე-  
ლინნეს კაცნი მოხმად ნაწილთა მათ ქრისტესთვს ვნებულთა წმი-

30 დათასა. ხოლო კაცთა მათ მებრ საწადელისა მწადნელთასა აღიდეს ნაწილნი იგი წმიდათანი ახლითრე ჯულით და მომხმელთა ქართლად მიართუეს წარმავლინებელთა თვსთა, რომელთაცა მიწოდებითა ეპისკოპოსთა ყოვლად სამღუღელოთა და მღუღელთა განკრძალულთათა კრებითა ილიტანიუს და დიდითა პატივითა და სუნნელ-

35 თა კმევითა და არომატისა და ნელსაცხებელთა პატიოსანთა ცხებითა დაჰკრძალნეს პატიოსანნი ნაწილნი სამთავე მოწამეთანი მონასტერსა შინა იკორთას, ეკლესიასა წმიდათა მთავარანგელოსთასა

\* გრიგორი ნოსელისა. ნეტარისა ეღრემ სირიელისა სიტყუასგან.

ჩრდილოდ მკრით წინაშე სუეტისა /დამართებით ერთსა საფლავსა შინა. V

ხოლო იეკლესიების დღესასწაული მათი თთუესა სეკდემბერსა ათრუამეტსა სადიდებელად ცხოველსმყოფელისა სამებისა.

და შენ, სამობაო ენებულთა ქრისტესთს წმიდათაო, მიირთუ სურვილით შესხამა და ისტორიამ და აკოლოთიამ ყოვლად წმიდათა და სამღუდელთა ენებათა თქუენთა, რომელნიცა აღიდნა სურვილმან, დაღათუ არ შესაბამ, მაგრა ვითარცა ნაყოფნი სურვილისანი მიიღეთ ესენი და დღესა უფლისასა ურცხუენელითა მეოხებითა თქუენითა ბრალთაგან წმიდა მყავთ.

„ხოლო მეუფესა მას საუკუნეთასა უხრწნელსა, უხილავსა, მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა პატივი და დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

ქმისხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ღირსთა მოწამეთა **გარესჯულთა**, კნელი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლინა ზემოგსა საქართუელოგსა. **153**  
დავითიან-გაბრატოვანისა 15

ეკლესიასა პირმშოთასა ნეტარნი აქ ზადიკობად მოსრულნი ეკლესიად, აღფრინდეს ფრთითა წამებისათა სიბრძნით მუნასა მიმართ, ზადიკისათს აქათ და შეერთნეს ზენათა იერარხთა. 20

### სიტყუა მეათე

არა დაეპსცხრე გალობისაგან წმიდათა მიმართ თუსთა და საკუთართა ღმრთისათა, „ვიდრემდის სამშუნუელი ესე ჩემი ჩემთნაღა იყოს და სული საღმრთოა“ მით, რომელ უფილმან „შეიყუარნა თუსნი იგი ამას სოფელსა შინა და სრულიად შეიყუარნა იგინა“\*. ხოლო წმიდათა შორის უფროსად გუნდი იგი საღმრთოთა

! გარესჯისათა B.

\* I ტომით. 1,17. \*\* შტრ. იობ. 27,3. 3<sup>o</sup> იოან. 13,1.

მოწამეთა საგალობელ არს, რომელნიცა არსებასა დაუზევდეს, მტერთა მსძლნეს, თავნი თვსნი შექსწირნეს ღმრთისად და სიკუდილსა მხოლოდშობილისასა ეზიარნეს.

- არა იკმაეს ერთი ნათლისღება მისატყვებელად ცოდუათა,
- 5 რამეთუ სისხლითაცა ნათელ-იღეს, „შეიშურუეს უფლისათეს ყოვლისა მპყრობელისა“ და „შურითა სახლისა ღმრთისათა შეჭმულნი“<sup>1</sup> განქუელნეს, მტერთა უფლისათა წინა-განეწყუნეს, პირისპირ მბრძოლთა დადგეს უშიშად „ჯაჭუთა სიმართლისათა მოსილნი და ფერკთა შესხმულნი სახარებისა მშუდობითისა განმზადებულებისანი“<sup>2</sup>, მიუპყრეს მტერთა სარწმუნოებაჲ ქრისტეს მიმართი ფარად, კრძალნი სულისანი აღლესულნი<sup>1</sup> საღმრთოთათა ტრფიალებითა აღმოიკადნეს და სი/შენისა მკლავმაგრობითა ლახტნი აღამაღლნეს, აკუეთნეს თათა მბრძოლთა მათ უხილაეთა, შემუსრნეს, დააკუეთნეს, წარაქციენეს, აოტნეს<sup>2</sup>.
- 15 არარამჲ მათდა ცეცხლი განმლეველი, რამეთუ მათ შინაგან აქუნდაყე დასაშრეტელ ცეცხლისა წყალი ცხოველი არარამჲ მათდა სიღრმე პელეღოსა, რამეთუ მკურნალნი ქარნი საღმრთოსა ტრფიალებისა, რომელნიცა დიდრომთ ჰქროდიან, მათ შორის იქმნეს განმაკმობელ პელეღოთა არარამჲ მათდა ჯუარი, რამეთუ
- 20 დიდებად უდიდებულესად და კეთილდღეობად უბედნიერესად შეერაცხაყე თვსდა დიდებაჲ იგი მამისაგან მხოლოდშობილისა არარამჲ ურმისთულნი, რამეთუ გარემო ღერძისა ნამდულ სატრფიალომსა იქცევოდეს ბრუნვით ნიადაგ ნეტარნი სულნი მათნი არარამჲ დაჭრანი ასოთანი და დაქოლუანი მით, რომელ ტრფიალებამან მოიყუანნა სატკივართა უგრძობებულობად! ხოლო გონებანი მათნი, თუ სადამე ყოველნი კლდენი ზედ-შეიმუსრნენცა, ვერ
- 25 შემსძრნენ სიმტკიცისაგან ქრისტეს მიმართისა.
- ტკბილ მათდა სასმელი სიკუდილისა, ამოვან განსაცდელნი სიკუდილშემოსილნი, სახარულეჲან ექსორიობამ, სიმდიდრედ—
- 30 ეარ ქმნა და საქადულეზა — კიცხევა უმწუერვალესი.
- ესენი მეგობარნი ქრისტესნი და ზიარნი სახელისა მის, რომელი მიანიჭა მამამან „უფროს ყოველთა სახელთასა“<sup>4</sup>, და „მოსაყდრენი მისნი“<sup>5</sup>, „აღსარებულნი ძისაგან ღმერთთმთავრისა წინაშე /ცხოველ-შემოქმედისა მამისა“<sup>6</sup>, ქებულნი ანგელოსთა-
- 154 გან, პატივცემულნი ეკკლესიისაგან სძლისა ქრისტესისა. საფუძუ-
- 35

1 აღლესილნი B. 2 იოტნეს A.

\* შტრ. 3 მეფ. 19,10. \*\* შტრ. უსალ. 68,9. 3° შტრ. ეფეს. 6,14-15. 4° ფილოპ. 2,9. 5° შტრ. აპოკალ. 3,21. 6° შტრ. მატთ. 10,32.

ელთა ეკლესიისათა სიმტკიცენი, „ზღუდენი და გარეზღუდენი“<sup>1</sup> მისნი, საღებავნი ქსჯულთანნი, გამოხატუანი და განქსჯანი მართალთა და კეთილთა მოგონებათანი.

ეჰა, გუნდი საკრუელ-შეკრებული! ეჰა, სირა საღმრთოდრე შეწმასნილი! ეჰა, სისტემაჲ ესე სასურუელ-კიდული ურთიერთას<sup>1</sup>, 5 რამეთუ შემკულ, რამეთუ მწმასნელ და რამეთუ მომკიდულ მათ-და არს ტრფიალებამ. ხოლო ტრფიალებამ ესე არა ქუეშეური, არა ზრწნისა და დინებისა შემწყნარებელი, არა ნითისადმი სატრფიალომსა ზრწნადისა, არამედ უზესთაესი ყოველთა სიმაღლეთა, უზრწნელი, წარუდინებელი და მოგებული სულითა ღმერთმთავრითა 10 არსებისადმი უზადომსა.

ბრწყინუნე უკუე ღლეს გონებასა შინა ჩემსა გუნდისა მისგანნი საკრუელ-შეკრებულისა და სირაჲსა მისგანნი საღმრთოდრე წმასნილისა და სისტემაჲსა მისგანნი სასურუელ კიდულისა კერძონი მათნი, რომელნი გუნდსა მას და სირასა და სისტემაჲსა სრულ 15 ჰყოფენ.

ხოლო გონებასა ჩემსა განაბრწყინუებენ ნათლითა და მანდრაგორ ბერწობისა ექმნებიან მას, რათა მიუღდესმცა გონებაჲ ჩემი ბერწი სიტყუათაგან ღირსთა შესხმისა და გალობისა მათისათა და მუცლად-ილოსმცა სიტყუანი უაღრეს ძალისა/ჩემისა შესხმად და 20 V გალობად ყოველად წმიდათა ვნებათა მათთა.

არიან უკუე წმიდანი ესე უდაბნოთაგან გარეჰსჯისათა, აღმომზენი აღმოსავალისაგან მმარხუელობითისა და სფერასა ზედა ქრისტესთვის ვნებისასა ჰსრბით მომმრგუალებელნი და მერიდიანსა ზედა 25 ჰეშმარიტისა წამებისასა თანაჰსწორმავალნი.

მოწამენი ესე ქრისტესნი გონებისა ჩემისა მანდრაგორ ბერწობის, რომელთა აქუსყე თესებაჲ ესეგუარი, რათა საკრუელი უშულოებისა განჰქსნეს გონებისა და ჩემდა მანდრაგორ იქმნეს. აჰა, „მანდრაგორმან ჩემმან გამოჰსცა სუნნელებამ“<sup>2</sup>, რამეთუ ჩემისა შორის გონებისა მიდგომილებამ და შობამ სიტყუათა ადგილ 30 აღმომაცენ მანდრაგორთა მათ მდელთა სუნნელთა, ადგილნი მახლობელნი ეკვატორისანი, არა ეკლიპტიკად განკუეთილნი გზითა კირჩხიბისათა და არცალა გზამ თხის-რქისა, რამეთუ ეკვატორსა მას ზედა მავალი მზეჲ მოკფენს ქუეშე თესსა ყოველთა მახლობელთა ეკვატორისათა უმწუერუალესთა შარავანდედთა უმახლო- 35 ბელეს, რომლითა სხუათაგან უმკურუალესობენ ადგილნი იგი.

<sup>1</sup> ურთიერთარს B.  
<sup>2</sup> ისაია 26,1. \*\* ჰება 1,11.

ბოლო უზადომისა მხისა შარავანდედითა უმახლობელეს განათ-  
 ლებულნი აღგილნი იგი, რომელ არს სულნი ნეტარნი ტრფიალე-  
 ბითა საღმრთოთათა უმწუერჯალესადრე მკურნალენი, სხუადასხუა-  
 გუართა სუნნელთა მმცენარეობენ საკმარად მორწმუნეთა ქრის-  
 155 5 ტესთა მთხოველთა მათდა და უფროსლა იგინი, რომელთა მკურნა-  
 ალებამან ქრისტეს მიმართ სულთა ნეტართამან აღმოაცენა ყუა-  
 ვილი იგი ქრისტესთვის ვნებისა, რომელი არათუ მხოლოდ თვთოე-  
 ულთა ჩუენ მორწმუნეთა მთხოველთად არს მანდრაგორ მკურნალ  
 გონების ბერწობისა, არამედ ჩუენისა საზოგადომისა ერთისა წმი-  
 10 დისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა მით, რომელ სისხლმან  
 ქრისტესთვის ვნებულთა მოწამეთამან შვილიერ-ჰყო ემბაზი და მით  
 შვილმრავალ ჰყო ეკლესიამ.

აჰა, გუნდი პრჩეული კრძალულებისა მმარხუელობითისა მიერ  
 წმიდა ქმნილი! აჰა, მცხოვრებელობამ ანგელოსებრი არარამგესა  
 15 მექონი თვსად თვნიერ ხატებამ ღმრთისა, რომლითა არსებამ მათი  
 დაიხატა და კეთილობასა შინა გებითა ღმერთსა მიემსგავესა აჰა,  
 სხეულნი დაწულილებულნი მარხვსა მიერ არათუ მხოლოდ საჭა-  
 ძადთაგან და სასმელთა, არამედ არსებისა ჯორცთასა ყოვლითურთ  
 ზესთა ქმნისაგან! აჰა, ნებსით „საჭურისნი სასუფეველისათვს ცა-  
 20 თასა“, აჰა, მაჰაკაცი ნებსით განმცემელნი თავთა თვსთანი სხუ-  
 ათა დამორჩილებად და ნებისა თვისისა უარყოფად! აჰა, შეკრებუ-  
 ლება მდაბალ-მზრახუელთა დამთრგუნუელთა ამპარტავანისა გუე-  
 ლისათა, რომელიცა „გარდამოვარდა ზეციით“\*

ესენი უკუე ნაყოფიერნი აღსავეალთა შინა ნაყოფთასა, ესე იგი  
 25 „ოცდაათთა შინა და სამშეოცთა და ასთა“<sup>3</sup>, რამეთუ პირველად  
 V ნაყოფიერნი ოცდაათსა შინა აღვი/ღეს ნაყოფიერებასა შინა სამუ-  
 ალსა სიმკნით, რომელ არს ყოფა სამშეოცსა შინა, ხოლო უკანასკ-  
 ნელსა შინა, ესე იგი ასობასა შინა, რამეთუ იქმნენს უვნებელ, სადა  
 მსცნეს სიყუარულისა ღმრთისათვს შორის მოსულამ, რომლითა  
 30 მიემთხვენეს კეთილსა, რამეთუ „სიყუარულმან მან, რომელ არს  
 ღმერთი“<sup>4</sup>, „მოყუასსა თვსსა ბოროტი არა უყვს“<sup>5</sup>. ესრეთ  
 უკუე აღასრულეს მსჯული, რამეთუ დაიციუეს მათ „მცნებამ ახა-  
 ლი“<sup>6</sup>, ესე იგი სიყუარული მოყუასთა, რომლითა შეუძლებელ  
 იყო მათდა არა განათლებად გონებამ, რამეთუ სადა-იგი შევიდეს  
 35 ღმერთი სიყუარული, რომელ არს მამა ძით და სულით წმიდი-  
 თურთ, შეუძლებელ არს, მზემან ღმერთმან შარავანდედისა თვისისა

\* შლრ. მატ. 19,12. \*\* შლრ. ლუკა 10,18. 3° შლრ. მატ. 13,23. 4° შლრ. 1 იოან. 4,16. 5° პრომ. 13,10. 6° იოან. 13,34.

მიერ სიტყვსა სიბრძნისა და ნათლისა სულისა მიერ თვისისა არა განანათლოსმცა იგი. ამით ისწავეს კეთილ-გონიერებაა უმწუერულესი და მ.თ განაგეს სიბრძნეა მოგებულნი.

არარამე იყო მათდა საკმარ, რომელიცა ეკმარების სოფლის-მოყუარეთა, რამეთუ ნიეთნი ესევეითარნი, ვითარცა სკორენი მყარალნი, უხრწნელთა სუნნელებათა შინა მყოფთა სულთა მათთა ყოვლითურთ განეთხიენნეს. 5

არარამე უბნობაა მათ შორის, რომელთაცა აქუემდებარებენ ღმრთის-სახეთა გონებათა მათთა მოყუარენი ამოებისანი, გარნა პირთა შინა მათთა დიდების მეტყუელებად ღმრთისად მადლობითი, ვითარცა აგებულთაგან გულისმხმელთა აგებისათს თვისისა აღმგებელისა მიმართ აუგებელისა /მადლობანი სახიერებით ქუელის-მოქმედებათა მისთანნი, უსალმუნნი ქებად და გალობანი დიდებად ნამდვილ-საყუარელისა და სატრფიალომსადმი ცხოველთმოქმედისა არსებისად, რომლისა ნათლითა განათლებულნი „ყოველთა ძნე-ლოვანთა გულისსიტყუათა დაარღუევედეს და ყოველსა სიმაღლეს ამაღლებულსა მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა და წარმოხსტყუენ-ვიდეს ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა“. ვინამცა ეს-მოდა რა საღმრთოთაგან წერილთა და ჭეშმარიტებისა მოძღუართა მოძღურებათაგან, საწინასწარმეტყუელოთა, სამოციქულოთა და მამობრივთა, ღმერთი სმენითა მით გონებანი მათნი „ერთითა ნათ-ლითა ელუარეობდიან და სამითა ერთითა არსებისათს, ხოლო სამითა თვთებათათს“.

ერთი უკუე იცოდეს არსებად საჭიროდ, რომელმან მოიგონნა, ვითარცა უქცეველმან ღმერთთმთავარმან გონებაჲნი, უწინარეს ყოველთა დასაბამნი არსებანი ყოველნი და ღროსა შინა ჰქმნნა ესენი თუთოეულნი გაგუარებულად ყოფასა შინა შესაძლებელსა. ხოლო აღიარებდეს ერთობასა ამას შინა ერთსა ვიდრემე უმიზეზოსა და ორთა მისგანთა მიზეზოვანთა, გარნა უზესთაეს ყოვლისა ღრომსა და ნაწილთა მისთა მით, რომელ ღრომ არს ნამყოფი, რომლისა და აწმყოფი მოკიდულ არს და ღროსა აწმყოფსა საჭიროდ მოკეიდების ღრომ მყოობადი. ხოლო ნამყოფი წარჰქდა, აწმყოფი ჰკიეს და წარკლომად არს ესე შემოსლვითა მყოობადისათა, მაგრა ყოფად/ იგი ღმრთისა საჭირო არა იყო ნამყოფსა ღროსა შინა წარკლომილსა, რამეთუ ჰკიეს აწმყოფსა შინა და ყოფად არს უკუნითი უკუნისამდე, 35

1 ნამყოფი A.

\* 2 კორ. 10,4-5. \*\* [კრიკოლ] ღმრთისმეტყუელისა ქრისტეს შობისათს.



და ესე არს თქმა იგი ღმრთისათჳს „რომელი იყო, რომელი არს და რომელი მომავალ არს“<sup>6</sup>.

- ორთა უკუე მიზეზოვანთა შეიწყნარებდეს ერთისაგან მხოლო-  
 მსა მიზეზისა, რომელ არს მამა სიტყუსაებრ საღმრთო მსა დიონუსი-  
 5 სა კულად: „მხოლო ზესთა არსებისა ღმრთაებისა წყარო არს მა-  
 მა“<sup>7</sup>. ერთსა ვიდრემე მიზეზისაგან თჳსისა შობილსა, ვითარცა  
 იტყუს საღმრთო დამასკელი „შობა ღმრთისა ზედა ვიდრემე მხო-  
 ლო მსა მამისაგან თანაარსისა ძისა გამობრწყინება არს“<sup>8</sup>. ხოლო  
 10 მეორესა გამოსლვით, ვითარცა ვისწავეთ უფლისაგან „სული ქემ-  
 მარიტებისა, რომელი მამისაგან გამოუვალს“<sup>9</sup>. ხოლო ერთსა  
 შეიწყნარებდეს მოქმედებასა ღმერთთმთავრისა მის მხოლო მსა  
 არსებითთა გუამთასა, ვითარცა გუასწავებს უფალი: „ვითარცა-იგი  
 მამა აღადგინებს მკუდართა და აცხოვნებს, ეგრეცა ძე, რომელთა  
 15 კნებაჲს, აცხოვნებს“<sup>10</sup>. და „სული არს განმაცხოველებელ“<sup>11</sup>.
- 15 შეიწყნარებდეს კაცთმოყუარებითსა განგებულებასა კორცი-  
 ელისა ძისა და სიტყუსა ღმრთისასა, რამეთუ „მოაელინა ღმერთმან  
 ძემ თჳსი შობილი დედაკაცისაგან“<sup>12</sup>, „მჰსგავსად კორცთა მათ  
 კოდვისათა“<sup>13</sup> და „და სიტყუა იგი კორციელ იქმნა და დაემკუდრა  
 ჩუენ შორის“<sup>14</sup>. და ყოველი არსებაჲ ჩემი და ბუნებაჲცა,  
 20 რომლისაგან, ვითარცა წყარო მსაგან, ჰსდინ მოქმედებანი, მიიღო  
 მხოლოდ შობილმან, რამეთუ მარტივი შეიორკვეცა „არა განყოფით  
 ღმერთად განთესებულად და კაცად განთვისებულად, არამედ იც-  
 ნობა ერთად ქრისტედ“<sup>15</sup>, რამეთუ ქრისტე, ცხებულისაებრ  
 157 სახელისა/ თჳსისა, ორთავე არსებათა დაჰნიშნავს, რამეთუ ლუთა-  
 25 ებაჲ თჳსი ჰსცხო ბუნებასა კაცობრივსა, რომელიცა მიიღო და ერ-  
 თი ორთა შინა იცნობა. ხოლო განუყრელითა მით მიახლებითა არ-  
 სებისა ჩემისათა არსებისა მიმართ თჳსისა ჩემი იგი არა განლია და  
 თჳსი იგი უქცეველსა შინა დაიცუა ყოფასა.

- 30 ეგსახედ ყოველნი კორციელნი განგებულებანი მხოლოდ შობი-  
 ლისა სიტყუსანი, საცხოვრებელნი ჩუენნი, ესენი უკუე იყუნეს მათ-  
 და საუბარ და ეგსახედ დამსჯანი თაეთა თჳსთანი, რათა წარუდ-  
 გინნენ ღმერთსა სულნი განწმედელნი ყოველთა ბრალთაგან.

ჩუეულება იყო მათი ნიდაგ ფილოსოფოსობა „არა მეტნობისა  
 სიტყუსა სიბრძნისათა“<sup>16</sup>, რომელიცა „სიბრძნე იგი ესეგუარი გა-

<sup>6</sup> აპოკალ. 1.4. <sup>7</sup> დიონუს. საღმრთ. სახელ. თაე. 1. 3<sup>o</sup> დამასკ. წიგნ. 4. ფურც. 308. <sup>8</sup> იოან. 15.26. <sup>9</sup> იოან. 5.21. <sup>10</sup> გილატ. 4.4. <sup>11</sup> კრომ. 8.3. <sup>12</sup> იოან. 1.14. <sup>13</sup> კირილესი. <sup>14</sup> 1 კორ. 2.1.

ნაცოფა ღმერთმან<sup>40</sup>; არამედ წურთითა სიკუდილისათა და და-  
 დებითა გულსა შინა უწყებად სხუათად იესუ ქრისტე ჯუარცმუ-  
 ლისათა. ხოლო ექუემდებარნეს „სიბრძნესა, რომელიცა თქმულ  
 არს სრულთა მიმართ, რომელი არა არს სიბრძნე ამის სოფლისა,  
 არცა მთავართა მათ ამის სოფლისათა, რომელნი განქარუებად 5  
 არიან, არამედ სიბრძნე იგი ღმრთისა საიდუმლოდ დაფარული,  
 რომელიცა პირველადვე განაჩინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა  
 სადიდებელად ჩუენდა, რომელი-იგი არაივინ მთავართაგანმან ამის  
 სოფლისამან იცნა, რამეთუ უკეთუმცა ეცნა, არამცა უფალი იგი  
 დიდებისა ჯუარს-ეცუა“<sup>41</sup>.

ჩუეულება კუალად მათი გლოვა „მკმუნუარება იგი სულისა  
 ღმობასა შინა გულსა მოწლეობისასა /მარადის საწყურუელისა V  
 ზედ-დადგრომით მეძიებელი“<sup>39</sup> და ამისითა მიუმთხუეელობითა  
 ტკიენუულად მდვენელი და უკანა კერძო ამისა საღმობიერად მქო-  
 თებელი, რამეთუ იწერტებოლიან გულნი მათნი ნიადაგ ღეზითა 15  
 შით ოქრომსათა და ესრეთ სული უკუე აქუნდათ ყოვლისამი ქუე-  
 შუურისა შემმსჭუალვისა სიყუარულისაგან განშიშულებული, ხო-  
 ლო ზედ-განხილვისა მიერ გულისა ქუეშე წმიდისა მწუხარებისა  
 შთანერგული.

ერი ესე გამოსრული ეგუპტით და მლტოლუარე უხილაეისაგან 20  
 ფარაომსა შედგომილ იყო თუთოეული მათი, ანუ ზოგად ყოვლისა  
 შეკრებულებისა ნაწილი, დალათუ თუთოეული მათი, მაგრა მრა-  
 ვალთა ზოგად შეკრულებამა ნამდულ მოსეს ვისმე მიმართ სულიე-  
 რისა წინამძღურისა, რათა შუამდგომელობითა მისითა ღმრთისა  
 მიმართ წარკმართნესმცა სლუანი ეგუპტით გამოსლვისანი და რა- 25  
 თა მოსემან ესეგუარმან შორის ხედვისა და საქმისა მდგომარემან  
 „განიყრნესმცა კელნი ღმრთისა მიმართ და მისდა შედგომილი  
 კრჩეული ღმრთისა იზრაილიტი ახალი ცოდუსა ზლუასა შინა და-  
 ულტობელად ფერკისა განიყუანიის და უხილავი დაჰსკეს ამა-  
 ლეკი“<sup>42</sup>.

ერი ესე გამოსრული სოდომით, წინამძღუანელი ანგელოს-  
 თაგან, ჭეშმარიტად განერა ცეცხლითა და წუმწუმითა რიცხუსა  
 ღმრთისათა აღსაბობასა<sup>43</sup>.

ამათ უკუე ვინამთგან შეიყუარეს ღმერთი, ვინა ყოვლითურთ  
 უზრუნუელ სოფლისათა და სო/ფლისა მიმართ იქმნნეს, რამეთუ 35 158  
 ანუ ჭეშმარიტისა მის გულუებადისა სამეფომსა მეძიებლობით,  
 ანუ დამსჯელობითა თაეთა თუსთათა მოტეეებისათჳს ბრალთასა,

\* შტრ. 1 კორ. 1,20. \*\* 1 კორ. 2,6-8. 3\* იოანე სინელი: აღსავალ 7. 4\* შტრ.  
 გამოს. 17,11-14. 5\* შტრ. შესაქ. 19,39.

ანუ ჭეშმარიტებით ჰქსენებისა სასჯელისა და მსსჯავრისა საუკუ-  
ნომათა მომგებლობით, და ანუ ჭეშმარიტებით შიშისა განსლვი-  
სა თვისისა მიღებით განიყუანნეს თავნი თუსნი სოფლისაგან. ამისთუხ  
ყოვლისაგან მსოფლიომასა განშიშულებულნი არარამესა ზრუნეი-  
5 დეს სოფლისაჲსა და სოფლისათუს.

უცხო იყუნეს მათგანნი რომელნიმე სხეულითცა და თანად  
ყოველნი ნებისაგან თუსისა და ესრეთ აქუნდათ ზოგად ჩუეულებამ  
უკადნიერომ და სიბრძნეა უცნაური, გულისკმის-ყოფამ განუცდუ-  
ლი, სიმრავლემ საღმრთომასა ტრფიალებისა და ამპარტავანებისა  
10 უარის-ყოფამ. და ესრეთ მომგებელნი სხეულით და ნებით უცხოე-  
ბისანი მივიდეს წმიდისა მიმართ და სრულისა მორჩილებისა და  
მოიგნეს ორნი ვიდრემე ფრთენი ესე ოქროსანი: უცხოებამ ნებისა-  
გან და მორჩილებამ საღმრთომ, რომლითა ცისა მიმართ წმიდისა  
ქრისტესთუს ვნებისა აღფრინდეს და ესრეთ ზიარებულსა თუსსა  
15 ეზიარნეს.

უარ-ჰყუეს სულნი თუსნი, რამეთუ მოკლომითა სხეულისათა  
და ნებისაგან უცხოებითა ზედრუნებულ იქმნა მათგან უარყოფამ  
სულისა, რომლითა მორჩილებისა ნეტარისა და სრულისა სიმალ-  
ლესა აღვიდეს, და ამით სარკესა შინა უბრყულოსა ყოფაქცევისა  
V 20 თუსისასა სიმდაბლემ იგი მაღალი /გამოჰხატეს დაზევებული ყოე-  
ლისაგან კორციელებისა ამალლებისა ანუ სიმდიდრისა, და ყოე-  
ლითურთ გლახაკ სულითა იქმნნეს და სანატრელ, რომელთადცა  
ითქუა: „ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ თქუენი არს სა-  
სუფეველი ცათა“.

25 იყო მათ შორის მარად უკმოწოდებამ ნათლისღებისა, აღთქმად  
ღმრთისა მიმართ მეორისა ცხოვრებისა, რომლითა დამდაბლებამ  
სრული მოიყიდეს<sup>1</sup>, ზოლო შობამ თუს შორის ასულისა წმიდისა  
სასოებისა მოიგეს და ესევითარისა შობისა კეიტონ იქმნნეს, თუთ  
დაჰსჯილი უკუე აქუნდათ გულისსიტყუამ, გარნა ყოველსა უსა-  
30 სოებასა გარე განჰსთხევედეს.

მოიგეს სული მქონებელი კადნიერებისა ღმრთისა მიმართ და  
მისდამი მქონებელი სასოებისა და(\*) ბრალთაგან უენებელობისა-  
თა მარადის ცხოველი და ბეჭდითა წმიდისა უბიწოებისათა დაბეჭ-  
დილი.

<sup>1</sup> მოიყიდეს<sup>1</sup> მოიუდეს B.

\* ლუკა 6,20.

(\*) ბრალი უენებელობისა არს სასოება უენებელ-ყოფისა მიმართ თავისა  
თუსისა, ზოლო ვინათგან ესეუარისაგან ბრალისა არა მომკუდარ იყუნეს წმიდა-  
ნი იგი, ვინა ბრალთაგან უენებელობისათა ცხოველ იყუნეს A.

მარადის მგლოვარენი მარადის ნათელს-ილებდიან და მოტევე-  
ბასა ცოდვათასა მიილებდიან, რომელთა დაპნატრის სიტყუა ჭეშმა-  
რიტი: „ნეტარ იყუნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუ-  
გეშისცემულ იქმნენ“\*, რამეთუ დაღრმობითა მით ღმობისათა  
მგლოვარენი მართალ და წმიდა უფლისა იქმნენ.

5

განამრავლენს ცრემლნი და გლოვამ და დაპშრიტეს საკმილი  
გულისწყრომისა და ნავლელ-ფიცხელობისა, რომლითა მოიგეს სიმ-  
შვიდედმ აღუძრული მდგმოებამ იგი სულისა ქებათა შინა და გიო-  
ბათა იგივედ მქონებელი და ორგზის /ნეტარ-იქმნენს: პირველად  
„ღამკვრებითა ქუეყანისათა“\*\*, ხოლო მეორედ „ძეობილ-ყოფითა  
ღმრთისათა“\*\*\*. ხოლო ყოვლითურთ მოკდომითა გულისწყრომისა  
და ნავლელ-ფიცხელობისათა ძურის-ქსენებდისაგან და ძურის-ზრახუსა  
წმიდა იქმნენს და გარდარეულმან უკუე გლოვამან ჰშუა სულთა  
შინა მათთა ნეტართა ღუმილი.

159

10

ესენი მარად მხიარულნი სულისა ყოვლად წმიდისამიერთა  
„ნუგეშინის-ცემითა“<sup>4\*</sup> მგალობლნი: „იხარებს სული ჩემი უფ-  
ლისა მიმართ, რომელმან შემშოსა მე სამოსელი მაცხოვარებითი  
და კუართი მხიარულებითი“<sup>5\*</sup> (ესე იგი, რამეთუ ლოცუთა და  
ქსენებითა სიკუდილისათა ძაძამ დაქსნილებისა განაშხეთქეს და  
შეიმოსეს სასობამა უფლისა მიმართ და მისდა იხარებდიან ნეტარ-  
ნი სულნი მათნი და არა ჰსცეს ადგილი თს შორის ვნებასა სულისა  
განრღუეულებასა და გონებისა დაქსნასა).

15

20

მოიყუანეს დედოფალი მკეველად და სიგლახაკითა საზრდელ-  
თათა მოყუარეთაგან ნოვაგათასა საწყალობელ ჰყუეს, მოაყმეს  
მპირსედ და ყიამ განაკმეს წყურვილითა და ამისთა ვიდრემე მოქ-  
მედთა „სიმართლისათვის მიიღეს სანატრელ ყოფამ“<sup>6\*</sup>.

25

წმიდა ჰყუნეს სხეულნი მოგებითა ანგელოსებრისა სიწმიდისა-  
თა, დაპშრიტეს ალი მძაფრი ტრფიალებითი, ტრფიალებითა ნამ-  
დულ არსთა საწყურისათა დაჰსდუეს თავისა თვისად ჰსჯული  
მრთელცნობობისა, რამეთუ ძილთაცა შინა არა გარდაჰკედეს/, თუ  
ჰსთქუა, ნეტარნი სულნი მათნი მრთელცნობობისა ჰსჯულსა შეგი-  
ნებად თსა კმევეითა კორცთა მოქმედებათათა.

30 V

ძირი ყოველთა ვნებათა ზედწოდებული მოციქულისაგან  
„ეკრპთმსახურებად“<sup>7\*</sup> შედგომითა ქრისტესითა გონებისაგან გან-  
ფხურეს თვისისა. ხოლო ნაყოფი არაწმიდებისა და ანგარებითისა

35

\* მატ. 5,4. \*\* შღრ. მატ. 5,6. 3\* შღრ. მატ. 5,9. 4\* შღრ. იოან. 16,7.  
5\* ისაია 61,10. 6\* შღრ. მატ. 5,10. 7\* შღრ. კოლას. 3,5.

ენებისა უგრძობელობა სნებათა სულისათა (რომელ არს ენებად გულმძიმობითი ანუ გულფიცხელობად და ანუ უღმობელობად), სადაღამცა იბოვა მათ შორის მით, რომელ სულნი სიწმიდითა ანგელოსებრითა ფრთოვანნი და უნიეთობითა განათლებულნი ზესთა.

5 ქმნილან ყოვლისაგან ესეგუარისა უგრძობელობისა.

ზოგად ცხოვრებულბდეს ნეტარნი ესე და ზოგად ფსალმუნთა გალობათა და აკოლოთიათა ეკკლესიობდეს.

უცხო ჰყუეს ძილი თესაგან, კნინლა თვნიერ იგი, რომლითაცა ბუნებითადრე მტკიცებდეს გონებად განუკრთომელად.

10 ზოლო ცუდდიდებობად და ზესთმჩენობა ვერ მიეახლა მათ, რამეთუ ნებსით ყოვლისაგან ნებისა თვისისა იჯმნეს და უფალ ნიეთთა ზედა რაძვეთა ყოფისაგან და მორჩილებისა შოლტითა კგუემდიან ნიიდაგ და თაეთა თესთა ყოველთა უცოდვილეს და უკმარყოვლისავე მიმართ საგონის-ყოფისა გულისმსიტყუელობითა შეკ-

15 სწირეს „მსხუერპლი ღმრთისად შემუსრვილნი სულნი და გულ-

160 ნი“<sup>1</sup>, რომლისათჳს მაღალ/მან საკურთხეველსა თჳსაა ზეციერსა შეიწირა სუნად სუნნელად.

ესეგუარ მორთულებამან სულთა მათთამან სიმშუდე და სიმარტივემ, უმანკობამ და უბოროტობამ მოიგო საჭიროდ, რამეთუ

20 ისმინეს მეტყუელისა: „ისწავეთო ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა“<sup>2</sup>, ვინა ერჩდეს და ისწავეს მისგან სიმშუდე მშუდისაგან, რომელსა საღმრთო ზაქარია „ახარებს სიმშუდესა მის-

სა ასულსა სიონისასა“<sup>3</sup>. ესრეთ სიმშუდის მოგებასა საჭიროდ შეუდგა მოგებად სიმდაბლისა, რამეთუ მოძღუარსა მას სიმდაბლისა-

25 სა, რომელიცა სიმშუდით „ვითარცა ცხოვარი კუალად მიიგუარა და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუელისა თვისისა უკმო სიმდაბლესა შინა თესსა, აღელო მჰსჯავარი თესი“<sup>4</sup>.

ამათ უკუე შემუსრეს და დააწულილეს სული საჩინომსა მიერ სინანულისა და ესთა შეაერთეს ვისმე, რომლისა მოქმედთასა იტყვს

30 დიდი ვინმე გამოცდილი ამით „თან-შეთბებულად ღმრთისად წყლისა მიერ უტყუელისა სინანულისა“<sup>5</sup>.

ესრეთ ძალითი-ძალად მისრულნი ღმრთისა მიმართ განჰსჯითაცა მიმადლებულ იქმნნეს, რომელ არს ჰსჯად გულისსიტყუათა, ენებათა და სათნოებათა, რამეთუ პირუელსა რა აღსავალსა ამისსა

35 აღჰკდეს, მოიგეს ჭეშმარიტი ზედცნობამ ამათი. ზოლო საშუალსა რა — განპრჩევიამ გონიერისა მიერ მცნობელობისა კეთილისა უცო-

1 სიონისა B.

<sup>2</sup> შდრ. ფსალ. 50,17. <sup>3</sup> შდრ. მატთ. 11,29. <sup>4</sup> შდრ. ზაქარ. 9,9. <sup>5</sup> შდრ. ისაია 53,7-8. <sup>6</sup> თოანე სინელი: აღსავალი 25.

დუელად ბუნებითისაგან და წინააღმდეგობისა. ხოლო უკანასკნელსა უნებელ რა იქმნეს, საღმრთოსა მიემთხვევს გამობრწყინებასა, რომლითა მოიმაღლეს შინაგან მყოფი ცნობამ და ამით ნათელქმნილნი სხუათაცა განათლებად შემძლებელ იქმნეს. V

ამათ ვიდრემე სიმდიდრეთა მომგენი არა დააკლდეს მყუდროებისაგანცა, რამეთუ დააყუდნეს თეს შორის და დააწყნარნეს ჩუეულებათა და გრძნობათა წესნი, ხოლო გულისხმა-ჰყუეს გულისსიტყუანი და არღა წარიტყუენა გონებამ მათი. 5

მლოცუელნი წარჰსდგეს უფლისად უცხოქმნილნი ნივთიერებისაგან ზრახუად, ვითარცა მეფისად და მეგობრისა თვისისა, მეძიებელნი მარად კადნიერებისა და უნიეთოსა სულიერისა სიმდიდრისა და ღიდებისა უმეტესისა და რათა წინამოსაჯული მოჰსცლიდესმცა მათი და რათა ღირსებამ რამეე მოიღონ, რათა მიიტევონმცა თანანადები და რათა სააყრობილისაგან განთავისუფლდენმცა სულიერისა. 10 15

ამათ უკუე მომგებელთა უხრწნელებისა ჯორცისათა, ხოლო გონებისა აღმამაღლებელთა მოგებისაგან და საგრძნობელთა ყოველთა და ქუეშეურთა ყოველთა დამთრგუნულთა და პირისადმი უფლისა სულთა თვსთა წარმადგინებელთა ზესთა თვისისა ძალისა მისა მიმართ სამარადისოდ განშმარტებელთა, მოიგეს უენებლობამ. 20

ხოლო უენებელთა და არსებისა<sup>1</sup> კაცობრივისა ზე აღცილებულთა და ღმრთისადმი ესრეთ შეერთებულთა შეიწყნარეს „სიყუარული თეს შორის, რომელ არს ღმერთი“<sup>2</sup>, განმართლებულთა სარწმუნოებათა მართლითა მამისა ღმრთისა მიმართ და უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა სიყრმესა შინა სიჩჩოებითგან მოსულით თვსით და მარადის მოხარულითა სულითა სასოებდეს ერთისა ღმრთისა მიმართ სამგუამოვნისა. 161 25

ამათ უკუე მოიგეს ესევითარი სიყუარული, რომელ არს „მოქმედებისაშებრ ვიდრემე მიმსგაესება ღმრთისა, რაოდენ კაცთადა შესაძლებელ, ხოლო საქმიერებისაებრ სიმთურაღემ სულისა და თუთებისაებრ წყარო სარწმუნოებისა, უფსკრულ სულგრძელებისა, ზღუა სიმდაბლისა“<sup>3</sup>. 30

ამათ მოყუარეთა ღმრთისათა გონებისა უსაშუალოდ მისდა შემსკუალეითა თუთ ჯორცნი თვსნი შეურაცხ-ჰყუენეს, ვითარცა უცხოთა, და სიყუარულითა მით ჰპოვეს ცხოვრებამ გონებისა, რომელ არს განათლებამ მეცნიერებისა, რამეთუ ტრფიალებითა სი-

<sup>1</sup> არსებასა B.

<sup>2</sup> შდრ. 1 იოან. 4.16. <sup>3</sup> იოანე სინელი: აღსაეალი 30.

- ყუარულისათა ღმრთისა მიმართ განიყუანნეს გონებანი არცალა თავისა თვისისა და არცალა არსთაგანისა რაისამე მგრძნობელთა ამისთვის, ვითარმედ საღმრთოთა ნათლითა განუზომელითა განბრწყინებულნი უგრძნობელობდეს ყოველთა მიმართ შექმნილთა,
- 5 რამეთუ აღმობრწყინებითა მათდამი მზისა ღმრთისათა არსნი შექმნილნი ღმრთისა მიერ და მის მიერ ნათლითა თვისისა ერთობისა და კეთილობისა თუთებითა არსებისა საჭირო ყოფითა დახატულნი, ვითარ-იგი მზისა მიერ ეარსკულაენი განათლებულნი არლა მსჩნდეს სახედაესა შინა გონებისა მათისასა.
- V 10 ესეგუარამან განწმენდამან წმიდანი ესე ღმრთისა რა შეა/ერთნა, კშუენოლა გვრგენსა ესოდენისა სიმართლისასა, რომელი განიშადა მათთვის ღმრთისა მიერ პორფირიცა სისხლისა ქრისტეს ზიარისა და ზედა-დაპრთუა ქრისტეს ზიარებითისა ვნებისა გვრგენისა, ვინამცა ბრძმელი ვნებისა მარტულობითისა განიშაადებოდა ღმრთისა
- 15 მიერ, რათა შანთნი ესე ოქრომსანი გამოცდილნი, ღირსნი დადებად უკუდავსა საუნჯესა მისსა, ბრძმედსა შინა ვნებისასა გამოქურუებითა ყოვლად განწმედილ იქმნეს და მმარხუელობითა სრულქმნილნი წმიდათა მით მემხოლოებითა აღვიდეს უსრულესობად, ესე იგი სისხლთაცა მიცემად ქრისტესთვის.
- 20 ვკსთქუათ უკუე მცირედ ვინაობამ და სადაობამ შესმენილი ქუემდებარეთა მათ არსებათა ზედა წმიდათა.
- ესენი უკუე იყუნეს მკედრნი ზოგად ცხოვრებულთა მათ მონასტერთა გარეკსჯისათა, სხუადასხუათაგან საქართუელომსა კერძოთა მოსრულნი და სხუადასხუათა მონასტერთა შინა ზოგად
- 25 ცხოვრებულნი.
- ვიციტ ყოველთა მხილუელთა სამხოლოოსა ღირსისა და ვითისათა, ვითარმედ წუერსა ზედა მის მთისასა არს ვიდრე დღეინდელად დღემდე ეკკლესიამ<sup>1</sup>, სახელით ცხოველსმყოფელისა კორციელისა აღდგომისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა შესმენილი, რომ-
- 30 ლისა ქუეშე იყო იმიერ მონასტერი ყოვლად სახელოვანი და პატივითა პირველმდგომარე ყოველთა მონასტერთა შორის გარეკსჯისათა.
- 162 /ჩუეულება იყო ზოგად ცხოვრებულთა ყოველთა მონასტერთა შინა გარეკსჯისათა, ვითარმედ აღასრულიან რა ორმოცნი დღენი
- 35 წმიდისა მარხუსანი, შესაბამ თვისისა ქრისტესმოყუარებისა ყოველთა მათ მამათა და ძმათა ყოველისა გარეკსჯისა მონასტერთათა და კუალად ვნებანი საღმრთონი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი

<sup>1</sup> ეკლესიამ A.

შესაბამ თვისისა კეთილმსახურებისა იეკლესიიან და წმიდასა დიდ-  
სა შაბათსა მწუხრ კვსენებულსა მას აღდგომისა ეკკლესიასა შინა  
შეკრბიან და ღამეა იგი ყოველი, ვითარ-იგი განწესებულ არს მა-  
მათაგან, ეგვეითართა ღამისთევეითა განათევიან. ხოლო აღასრუ-  
ლიან რა ლოცუა ცისკრისა, იმლუდელმოქმედიან მლუდელთა გან- 5  
წმედილთა საღმრთოა ლიტურღია და ყოველი იგი კრებული მა-  
მათა ცხოველსყოფელსა და უხრწნელსა საიდუმლოსა ეზიარნიან  
და ესრეთ მადლობელნი ღმრთისანი თეს-თუსთა მონასტერთად წარ-  
ვიდიან.

ხოლო ვინამთგან ცოდუათა ჩუენთათეს განაგრძელა ღმერთ- 10  
მან დადებად ჩუენ ზედა საცივი სპარსთა მონებისა, ამით ტაფ-ჭა-  
ლათა მათ შინა ყარაიისათა აქუსთ ჩუეულებად მკედრობისა სპარს-  
თა, რომელიცა ზამთარ კიდესა ზედა მდინარისა მტკუარისასა<sup>1</sup> და-  
ვანებად ჩუეულ არიან.

ესენი უკუე მოძლურებისაებრ უღმრთოა წინამძღუარისა 15  
თვისისა ვიდრე მკულელობადმდე მოძლენი ჩუენნი შურითა მკუ-  
ლელებრითა შექმულნი ვერ თავს-იღებდიან სიმრავლესა მას მო-  
ნა/სტერთასა და მათ შინა სახელითა ქრისტესითა შეკრებულეებასა  
ძმათა მრავალთასა და ღონესა აღჰსობობისა მათისასა ეძიებდეს, ვი-  
ნამცა მოაგონა ეშმაკმან, მკულელობისა მამამან და მოძღუარმან 20  
წინამძღურისა მათისამან, რათა შეკრბენ მკედრ-ლაშქარი არამცი-  
რე და ყოველთა მონასტერთაგან დღესასწაულსა მას დიდსა დღე-  
სასწაულობად შეკრებულნი იგი მონაზონნი უგრძნულ ზედადასხ-  
მითა განურინებელად მოსწყუდნენ და ესე თვისისა მტერობისა, რო-  
მელი აქუნდათ მონასტერთამი, მოიპოვეს უმარჯუესი ღონეა ულ- 25  
მრთოებთი.

იცოდეს უკუე ბარბაროსთა მათ ჩუეულებანი წმიდათა მონას-  
ტერთანი და დღესასწაულნიცა ჩუენნი, რომელნიცა მდინარით  
მტკუარით თევეზთა მონასტერთა მიმართ წარიღებდიან და მონას-  
ტრისანი ნუგეშინის-ჰსცემად ძმათა მოიყიდდიან და რომელთამე 30  
საქმართა მონასტრისაგანნი ვეცხლისა მიცემითა საქმარად მონას-  
ტრისა ბარბაროსთა მათგან მოიმარჯუებდიან.

მცნობელნი მსოფლიოა მის დღესასწაულისანი ბარბაროსნი  
შეკრბენ იღუმალ განზრახვისაებრ თქმულისა ლაშქარი არამცირე  
და მარჯუესა ადგილსა დაიმალნეს. ხოლო ჩუეულებისაებრ წმიდა- 35  
თა მათგან საენეთა შეკრბენ თქმულსა მას ეკკლესიასა ქრისტეს  
აღდგომისასა. წმიდანი იგი სიტყუერნი „ირემნი და ერთმანერთისა

<sup>1</sup> მტკუარისასა B.



- 163 პირებისა მხილულნი“ არცა ერთი წარწყმდა მათგანი/, რამეთუ იეკკლესიეს რა ღამესამას ჩუეულებისაებრ დღესასწაული იგი დიდი ღამწყებელთა ლოცესა ცისკრისათა, იწყეს ლიტანიობად გარემო ეკკლესიისა სიმრავლემან მან წმიდათა მამათამან და ჯელთა შინა მათთა სანთელნი აღნთებულნი და იხილეს შორს მდგომარეთა დამალულთა მათ ბარბაროსთა სანთელთა მიერ კრებული იგი საღმრთომ, წარვიდეს მათ ზედა.
- ესრეთ ზედაღამსხმელთა ბარბაროსთა ეკკლესიაჲ გარეშეიციუეს და წმიდაჲ იგი კრებული უწყებულ ჰყუეს, ვითარმედ: „ანუ დაუტევეთ ქრისტეჲ, რომელსა აღიარებთ, და მოსრულნი ჰსჯულისდებისა მომართ მოციქულისა ჩუენისა დაემკვდრენით ჩუენ თანა და ზავი ძმობითი, ერთობაჲ და იგივეობაჲ ცხოვრებისა გაქუნდინ ჩუენ თანა. და უკეთუ არა ისმინოთ ჩუენი, აჰა, მახვლნი აღმოკდილნი ჯელთა შინა ჩუენთა, რომლითა აღისპნეთ თუნიერ ერთისა—
- 15 ცა თქუენგანისა განრომითა ცოცხლადრე“.
- მაშინ მამამან დიდისა მის პირველისა მონასტრისამან და სხუათა მამათა მიუგეს ბარბაროსთად, ვითარ—იგი „წმიდათა მათ სამრიცხუედთა მამრთა ნაბუქოდონოსორს“\*, ვითარმედ „ჩუენ სჯულისდებათა ცრუმსა მის მოციქულისა თქუენისათა არა შევიწყნარებთ და არცა დაუტევებთ მეუფესა ჩუენსა და უფალსა ქრისტესა, რომლისა სახელისათჳს განსრულნი სოფლისაგან უდაბნოთა ამათ აღგილთა შინა დაემკვდრენით. ჩუენდა მახვლი და სიკუდილი არა—
- 20 რა ამისთჳს, ვითარმედ ესენი ჯორცთა ზედა ცხოველთა შეხებად ძნელ არიან /და ჩუენ მიერით, ოღეს—იგი ჯუარისა აღმდებლნი
- 25 განვედით ქრისტე ჩუენისა თანა ჯუარცმად სოფლისაგან, მომკუდარ არიან ნებსით ჩუენით ჯორცნი ჩუენნი. ჩუენდა დიდი სიხარულ სიკუდილი, რამეთუ დაჰსცხრენ დაჰსნილნი ესე და „უძლურნი ჯორცნი და გულსმოდგინემან სულმან“\*\* ჩუენმან მიილოს განსუენებაჲ ჯელთა შინა მამისა ღმრთისათა და ზიარებაჲ ქრისტეს
- 30 ღმრთისა ჩუენისა თანა, გარნა გევედრებით ყოველნი ესე. მ. ბარბაროსნო, დაღათუ გჰსურთ ფრიად სიკუდილი ჩუენი და სიმდიდრენი მონასტერთა ჩუენთანი წარლებად, მაგრა უწყოდეთ ესე: არა არს ჩუენ შორის კაცი არცა ერთი მორთხმული საჭურუელითა და განმწნობილი ბრძოლად, რათა წინააღვიდგეს თქუენ. ჩუენ, შეკრებულნი ესე დღესასწაულსა ამას პასექისასა დღესასწაულობად და
- 35 ჭამად პასექისა უკუდავისა, ყოველნი მოვირტყამთ წელთა სულთა

\* შღრ. ისაია 34,15. \*\* შღრ. დანიილ. 3,16. † შღრ. მარკ. 14,38.

ჩუენთა გულსმოდგინებასა და კელთა შინა აღვიღებთ კუერთხსა  
სარწმუნოებისასა ქრისტეს მიმართ, რომელთაცა გუმოსიეს „ფერ-  
კთა განმზადებულებად სახარებისა მის მშუღობისა“\*. გუაცადეთ  
მოწლოებითა მით კაცობრივითა, რათა ეკჳამოთ უკუდავი ესე და  
უხრწნელი პასეჳი, რომელ არს კორცი ჩუენთვის ჯუარსა ზედა ნებ- 5  
სით დაკლულისა „ტიარიგისა უბიწომსა და უმანკომსა ქრისტესისა“\*\*  
და ესრეთ ნებსით ჩუენით მოგცნეთ თავნი ჩუენნი კელთა თქუენთა  
და მის თანა შეჳესწირნეთ ჩუენთვის მამისად შეწირულისა.

იპყრენით უკუე კარნი ამის ეკკლესიისანი ძლიერად, რათა  
არავის ჩუენგანი განვიღეს არავინ შემწედ /ჩუენდა, რათა მათ 10 164:  
ძლით გუაქუნდესმცა სასოებად კელთაგან თქუენთა განრომისა.  
ყოველნივე ვართ ნებასა შინა თქუენსა მოცემულ ნებსით, რამეთუ  
შემდგომად დასრულებისა საღმრთოისა ლიტურგიისა, რააცა გნე-  
ბავსთ, ჰყავთ“.

მჳმენელთა სიტყუათა ამათ ბარბაროსთა იზრახეს თუსაგან, 15  
ვითარმელ: „ესენი არასადათ მექონ არიან შემწედ და თუსა წინა-  
აღმდგომთა ჩუენთა და არცა თუთ შემძლებელ არიან წინააღმდგო-  
მად ჩუენდა. ცალიერ კაცთაგან ყოველნი მონასტერნი ამათნი და  
თუ ვინმე მათ შინა, ვერ შემძლებელ წინააღმდგომად ჩუენდა, ამის-  
თვის ყოველნი სამკაულნი და სიმდიდრენი ყოველთა ამათ მონას- 20  
ტერთანი აწვე კელთა შინა ჩუენთა. ვაცადოთ ერთ ჟამ თხოვისა-  
ებრ მათისა და მერმელა ვჳყოთ, რააცა გუნებაეს, ნებისაებრ ჩუე-  
ნისა“.

ღმერთსა უკუე, რომელსა „ნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრე-  
ბად და მეცნიერებად ჳემშარიტებისა მოსულამ“\*, რომელნიცა 25  
წინასწარ განმზადნა ესენი მოწამედ ჳემშარიტებისა და ზიარად  
ქრისტე თუსისა, პატივ-ჳსცა მაშინ სახელისათუს ძისა თუსისა ყოე-  
ლად წმიდასა ვნებასა მათსა და ყოვლად უწყალონი იგი მტერნი  
მიიყუანნა წყალობად, რამეთუ არა მიუშუნა იგინი წმიდათა თუსთა  
ზედა, ვიდრემდის არა ჳსჳამონ ცხოველსყოფელი იგი პასეჳი. 30:

ესრეთ უკუე ბარბაროსთა მათ აცადეს წმიდათა თხოვისაებრ  
მათისა, ხოლო შემწირუელნი ღმრთისა მიმართ მამისა წმიდანი იგი  
ყოვლად წმიდისა ეგხარისტისანი და მის თანა შემწირუელნი თავ-  
თა თუსთანი ეზიარნეს ყოველნი იგი ძმანი, მღუდელნი და დია- 35  
კონნი და სხუანი მო/ნაზონნი ყოვლად წმიდასა და უხრწნელსა  
კორცსა და სისხლსა ქრისტეს ღმრთისასა და განემზადნეს ზიარე-

\* ეფეს. 6,15. \*\* 1 პეტ. 1,19. ჳ\* 1 ტიმოთ. 2,4.

ბად ყოვლად წმიდათა ვნებათა მისთა მისდამი მხიარულნი და შუ-  
ებულნი სულთა.

ოღეს სრულ იქმნა წმიდათაგან მსხუერპლი ყოვლად წმიდაი  
წმიდასა და პატიოსანსა ტრაპეზსა ზედა, აჰა, განიმზადა იგივე წმი-  
5 და საკურთხეველი შესიწირავედ დაღათუ ქმნილთა, განალა სიტყ-  
ვერთავე მსხუერპლთა. შევიდის უღმრთონი იგი მტარულნი არა-  
წმიდისა ცრუ მოციქულისა მათისანი, რამეთუ მის უსჯულოსა  
წინამძღურისა მათისა არს ემა ესე მოწაფეთა მისთა მიმართ და  
შედგომილთა: „პკოცდეთო უწყალოდ ქრისტეანეთა, ვითარცა მსა-  
10 ხურთა კაცისათა“. ვინამცა სიტყვთა ამით მოსრულნი იგი მტარუ-  
ალნი ბარბაროსნი უღმრთონი გამოიყუანდეს ეკლესიით ნამდულ  
ჭეშმარიტთა მათ ქრისტეანეთა მსახურთა ღმერთ-მამაკაცისა სიტყ-  
ვსათა მით, რომელ ყოველთა მოწყუედა მახვლითა ეკლესიასა  
შინა შეუძლებელ იყო არა დიდ ყოფისათეს ეკლესიისა და სიმრავ-  
15 ლისათეს ვერძთა წმიდათასა, და მოსრვიდეს მახვლითა მკუეთე-  
ბელნი მახვლთანი ძლიერად და უწყალოდ თაეთა ზედა და მკლავ-  
თა, რომელნიცა დღესამდე მსჩანნ განცხადებულად წმიდათა და  
პატიოსანთა ძულთა ზედა მათთა ნაკაფნი იგი, და ესრეთ, რომე-  
ლიცა კერძოდ სხეულის წმიდათასა უმარჯუეს დაეკუეთის მკლავ-  
165 20 თა მათ უღმრთოთასა, მსციან მახვლითა უწყა/ლოდ. ეგსახედ მრავ-  
ალთა განგებრდიან და რომელთამე წარკუეთიან თაენი.

ხოლო მრავალნი მათგანნი მოჰსწყუდნეს შინაგან წმიდისა ეკ-  
კლესიისა, რომელნიმე წმიდასა შინა საკურთხეველსა და რომელ-  
ნიმე დაკლნეს თვთ წმიდასა ზედა ტრაპეზსა უწყალოდ, რამეთუ  
25 ესეგუარისა მკუელელობისა მიმართ უფრორე აღლესუდა უსჯულო-  
თა მათ მამა იგი მკუელელობისა და მოძღუარი წინამძღურისა მა-  
თისა.

„აჰა, დრო შეწყნარებისა! აჰა, დღე ცხოვრებისა“, რამეთუ  
ღმერთმან დროსა შეწყნარებისასა შესიძინა მათი და დღესა ცხოვ-  
30 რებისასა შეეწია მათ, რამეთუ ოღეს-იგი რომელნიმე მათგანნი  
შესწირვიდეს ღმერთ-ტარიგსა მამისა მიმართ და თანად ყოველნი-  
ვე მსჭამდეს და დრო იგი იყო შეწყნარებისა მჭამელთასა, რამეთუ  
ჭეშმარიტ არს მეტყუელი: „რომელი მსჭამდეს კორცსა ჩემსა და  
მსმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგრომილ არს და მე მის  
35 თანა“\*. ხოლო დღე იყო ცხოვრებისა მათისა, რამეთუ კელნი უღმრ-  
თოთა მკუელელთანი სულთა მათ ნეტართა ხრწნადთა მათ მტურ-  
თაგან განგებრტყდეს დაწულილებულთა ქრისტესთვის კრძალულები-  
თა და მარხუთა და გუნდი იგი სულთა მათ წმიდათა მოკლულთა  
ღმრთისა ჩემისა იესუსთვის ზიარებითა ვნებათა მისთათა. ერთბამად

\* შტრ. 1 კორ. 6,2. \*\* იოან. 6,56.

წარდგებოდა წინაშე მისსა და ერთსა თანად მიიღებდა ჯილდოსა ზიარებასა იესუ ქრისტეს მიმართ და გურგუნსა მოწამეთასა და ეგ-  
სახედ გურგუნსა ჭეშმარიტ-მონაზონებრ/თა შრომათასა.

✓

ვინამცა ღლესა მას ცხოვრებისასა შეეწია მათ ღმერთი, რა-  
მეთუ განმზადებასა ვნებისა მიმართ წმიდათაგან და შესლუასა 5  
ღუაწლსა შინა „ითხოვდეს რა სახელითა ძისათა მამისა მიმართ“  
წმიდანი იგი, რათა სრბამ ვნებისა მათისა წარემართოსმცა და და-  
უბრკოლებელ დროსა მას „თუალნი უფლისანი იყუნეს მართალთა  
მათ ზედა და ყურნი მისნი ლოცუასა მათსა ზედა“\*\* და მთხო-  
ველთა მიიღეს აღსრულებამ სათხოველისა, ვითარმედ არავეინ წარ- 10'  
წყმდა ერთიცა მათგანი და ყოველნი ერთშეკრებულებით დაჰსდგეს  
წინაშე ცხოველთშემოქმედისა სამებისა შუამდგომელად და მეო-  
ხად ყოველისა სოფლისა.

იყუნეს უკუე წმიდათა მათგანნი ძმანი ორნი, რომელთასა მომ-  
ზრახობენ ძმობასა კორციელადცა და ჭაბუკ ყოფასა. ესენი დროსა 15  
მას წმიდისა ვნებისა მოწამეთასა, ოღეს უწყალოდ მოიკლვოდეს  
წმიდანი იგი ძმანი, თუალთაგან უღმრთოთასა განერნენ მცირედრე  
და წარვიდეს რეცა განრინებულნი სიკუდილისაგან. და ოღეს მოი-  
ცაღეს კლეისაგან ვერძთა მათ წმიდათასა და აღოკრებად მონას-  
ტერთა, ლაშქარი იგი განიყო და განყოფილნი იგი სხუათა დასხუ- 20  
ათა მონასტერთა მიმართ წარვიდეს აოკრებად. ამათგანთა უკუე  
ბარბაროსთა იხილნეს თქმულნი იგი ძმანი წმიდანი შორის ორთა  
მათ მონასტერთა, ესე იგი ჩიჩხიტურისა და ნათლისმცემელისა,  
მიეტვენეს ძლიერ/რად და შეიპყრნეს წმიდანი იგი და უარის-ყოფად 166  
ქრისტეს ღმრთისა აიძულებდეს. გარნა იგინი ეგნეს გონებითა უმ- 25  
ტციცეს ორთა მათთა ანდამატიინისათა, ვინამცა უღმრთოთა მათგან  
მახულითა მიიღეს სიკუდილი სანატრელი და შეერთებამ გუნდთა  
მათ წმიდათა ძმათა თუსთა თანა და მიერთგან ღელესა მას შინა,  
სადა-იგი მოჰსწყედეს მოწამენი ქრისტესნი, აქამომდე ორძილობენ  
ვარდნი, ნერგნი მრავალნი, ფრიად სუნნელნი ურწყულთა მათ აღ- 30  
გილთა და ყუავეილთა თუსთა მიერ შეუენიერთა და სუნნელთა დაჰ-  
ნიშნუენ წმიდასა მას სიმეწამულესა და ღმრთისა მიმართ სუნნე-  
ლებასა წმიდათა და პატიოსანთა სისხლთა მათთასა.

მაშინ უღმრთოთა მათ აღაოკრნეს ყოველნი მონასტერნი, რა-  
მეთუ მომზრახობენ მათგან მოოკრებულთა მათ ათორშეტ მონასტ- 35  
რად, რომელნიცა გარეჰსჯისა უდაბნოსა შინა და კიდეთა მცირისა  
ალაზნისათა შენნ იყუნეს.

\* შდრ. იოან. 14,13. \*\* თსალ. 33,15

- ოდეს ალაოკრნეს წმიდანი იგი მონასტერნი ბარბაროსთა მათ და თსდა წარვიდეს, მცირედთა მათ ძმათა, რომელნიცა იყოფებოდეს დაყულებით სამხოლოოსა შინა ღირსისა დაეთისსა, სხეულნი წმიდათანი შეკრიბნეს და, სადაცა მიიღეს სიკუდილი ქრისტესთვის, 5 წმიდასა მას ეკკლესიასა ქრისტეს აღდგომისასა დაჰსდუნეს. და შემდგომად აღმოიხუნეს მყოფთა მონასტერსა შინა ღირსისა დაეთისთა პატიოსანნი იგი და წმიდანი ძუალნი. და მახლობელ ეკკლესიისა ქრისტეს აღდგომისა აღაშენა სამარტულეა /მათი, ეკგონებ, ვითარმედ მეფემან კახთამან, ალექსანდრე მესამემან და მუნ 10 ჰქმნა იგი შებრ საწნახელისა, რათა პნიშნვიდეს საწნახელსა შინა ვნებისასა დაწნეხასა ტკბილთა მათ ნაყოფიერთა ტევანთასა და დაჰსხნეს მას შინა და ჰგიან ესრეთ აქამომდე. ხოლო ჰყოფენ ნაწილნი იგი წმიდათანი სარწმუნოებით მთხოველთა მიმართ კურნებასა<sup>1</sup> სხუადასხუაგუართა სნებათასა, რომელთაცა მღუღელნი და 15 მეფენი პატივით თაყუანის-ცემენ და შიშით და სიყუარულით ამბორს-უყოფენ.
- მ, შეკრებულებაო პატიოსანო, რომლისა კმა მიზეზ შეერთება ქრისტესი და მსგავსება მისი აღებითა ჯუარისათა და მის თანა განსლვითა და მის თანა ჯუარცმა-ყოფითა თავათათა. მ, გუნდო 20 ყოვლად საგალობელო ვალობითა სახარულევანითა, რომლისაგანსა თვთოეულსა მოჰქონან „საწერტელნი უფლისა იესუსნი“<sup>2</sup>; რომლითა „ცხოვრებადცა იგი იესუსი მოკუდაეთა კორცთა შინა თქუენთა ზედგანცხადებულ ჰყავთ“<sup>3</sup>. მ, არევო სიტყუერთა ვერძთაო, რომელთაგანი არცაერთი განერა მახლისაგან ქრისტესთვის მომკუ- 25 ლელისა, რამეთუ თქუენ შეიწყნარეთ „მახლი იგი, რომლისა მიფენად მოვიდა ძე ღმრთისა და განიყუენით ძენი მამათაგან და ძმანი ძმათა“<sup>4</sup>. მ, მწყობრო აღშემოსილო, რომელი აღატყინა სულსა შინა თქუენსა ნეტარსა ცეცხლმან ღუთაებისამან.
- 167 სანატრელ არს წმიდა პაზრი თქუენი და განზრახუამ ყოვლად 30 უკეთილეს და განჰსჯანი ღმრთის-სახე, რომელთაცა „ამაოება ამოთა“<sup>4</sup>, ყოველივე ამოო დაუტევენით და კორცნი მოაკუღბნენით და არსებასა ზესთა ექმნენით და ანგელოს კორცთა შინა იქმნენით, უღაბნონი გარეჰსჯისანი ჰქმნენით მთად სინად, სადათ-იგი იხილეთ ღმერთი თვნიერ ღმრთისა ყოველთაგან შეუხებელსა მას მთასა 35 შინა წმიდასა, გონებასა თქუენსა წმიდასა წმიდათასა.

<sup>1</sup> კურნებასა—B.

<sup>2</sup> გალატ. 6.17. <sup>3</sup> შტრ. 2 კორ. 4.11. <sup>4</sup> შტრ. მატ. 10.34. <sup>5</sup> ეკკლ. 1.2.

„იხარებდ უდაბნონი წყურვილი“ გარეჟისისანი „და იშუებ-  
დინ და ჰყუავოდინ, ვითარცა შროშანნი“\*, და მათა მრავალმთი-  
სათა „დამოაწთონ სიტკბობაჲ და ბორცუნი მისნი აღინებდენ სძესა  
და ნალუარევი მისნი ყოველნი აღინებდენ წყალთა“\*\* მხიარულე-  
ბისათა მით, რომელ უდაბნოთა მათ ურწყულთა ყოველად წმიდათა 5  
მით ცრემლითა მამათათა მორწყულთა აღმოაცენნეს შროშანნი და  
ვარდნი: შროშანნი ქალწულებისაებრ და ვარდნი ყოველად წმიდი-  
საებრ სისხლისა მათისა. აჰა, „წყარო სახლისაგან უფლისა გამო-  
ვიდა მორწყულად ნალუარევეთა ეკალთასა“<sup>3</sup>, რათა განემელნი იგი  
ნალუარევი ცოდუთა ძლითნი და ეკალნი, პატიჟნი ცოდვისანი, 10  
წყაროჲსაგან ყოველად წმიდისა სისხლისა მარტულთასა, სახლისაგან  
უფლისა — ეკლესიისაგან ქრისტეს აღდგომისა გამოსრულისა ნა-  
ლუარევეთა ცოდუსა ძლითთა მწყურნებოვან ჰყოფდეს და ცოდუსა  
ძლითთა პატიჟთა ეკალთა აღმოჰფხურიდეს.

მათა გარეჟისისა და მრავალმთისათა „და/მოაწთონ სიტკბო- 15 V  
ვბაჲ და ყოველნი ბორცუნი ნერგოვან იქმნენ“<sup>4</sup>, რამეთუ ბორცუ-  
ნი გარეჟისისა და მრავალმთისანი ნერგოვან იქმნენ სიტყურთაგან  
და წმიდათა ნერგთა, რამეთუ სისხლმან წმიდათა მარტულთამან,  
სიტკბობამან მან ქრისტესმან, დამოწუეთილმან ბორცუთაგან გა-  
რეჟისისთა, განაახლნა დროსა შინა თუსსა სავეანენი ზოგად ცხოვ- 20  
რებულთანი და მორჩოვან ჰყუნა ნერგთაგან წმიდათა.

სანატრელ წმიდანი იგი ძაძანი თქუენნი, რომლითა დაფარულ  
იყუნეს წმიდითა კრძალულებითა დაწულილებულნი სხეულნი,  
ყოველად წმიდითა უბიწოებითა დაბეჭდილნი.

საქებელ ჩუეულებაჲ და ყოველად საწადელ, სასურუელ და 25  
სახარულევან შეზოგადებაჲ და მარტობაჲ თქუენი, რამეთუ პი-  
რუელი ანგელოსებრ<sup>5</sup> არს ერთობითი მოქალაქობაჲ, ხოლო მხო-  
ლოებითა მხოლოდსა ღმრთისა თანა სამარადისო ყოფაჲ.

ჩემდა ფრიად პატიოსან და ყოველთად მორწმუნეთა ქრისტეს-  
და სამარტულე იგი ყოველად წმიდათა და პატიოსანთა ძუალთა 30  
თქუენთა, სადათ-იგი მსდიან მდინარენი კურნებათანი.

იოხდ, კრებულო ყოველად საგალობელო, ღუაწლის დამღებე-  
ლისადმი თქუენისა ანტონისთვის გლახაკისა და საწყალობელისა,  
რათა აღდგომასა მას ყოველად წმიდათა გუამთა თქუენთასა ზიარე-  
ბითა წმიდათა ვნებათა თქუენთათა აღუსდგე თქუენ თანა და თქუ- 35

\* შდრ. ისათა 35,1. \*\* შდრ. იოელ. 3,18. <sup>3</sup> იოელ. 3,18. <sup>4</sup> ამოს. 9,13.

168 ენ თანა მიგებებად /უფლისა „აღვიტაცო ღრუბლითა ჰაერთა ზედა და ესრეთ მარადის უფლისა თანა ვიყოფოდეთ“\*, რომლისა დიდება, პატივი და თაყუანისცემა საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ;

5 წმინდა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ევსტატიო მსხეთელიისათა, ძმინლი ანტონის გიარ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზამოღსა საქართვალოღსა, ღავითიან-ბაბრატოვანისა

ვესტატის თაჳი	თაჳს აღამატინს წარჰკდა,
ვინათგან აჰა	იპოვების საკურუელ.
სიმტკიცე სიბრძნე	სხუანი მიღმოებანი.
ტრფიალებითნი	თუთ ზესთ-გონების მმტუფრი.
აღთა გულისათ	სავსედ მმცხადი ნიაღაგ.

სიტყუა მეათერთმეტე

15 „საკურუელ ჰყო უფალმან ყოველივე ნებაჲ თუხი წმიდათა თუხთა შორის მყოფთა ქუეყანასა შინა მისსა“\*\*. ხოლო დაღათუ განმრავლდესცა უძღურებანი მათნი, განალა თანა წარკდეს მათ, ვითარმედ წმიდანი, რომელთა დაიცუეს უბიწოდ მთაჳარი იგი V /გონებაჲ, რომელი დაადგინა ღმერთმან სულსა შინა ზატად თუსა, და კორციელნი ორღანოთა გრძნობითთა კმეჳანი დაუმორჩილეს 20 მას, ამისთვის ღმერთმან საკურუელ ჰყო ნებაჲ თუხი მათ შორის. ხოლო ვინამთგან კაცთათუს ჰსწადნოს ღმერთი, რათა „ყოველნი წმიდად ცნობად თუსად მოიყუანნეს“\*\* და ჳირთაგან მაცხოვარებად, და წმიდანი მისნი ყოვლად წმიდასა ამას ნებასა მისსა ვერჩიან, ვინა საკურუელ-ჰყოფს უფალი ნებასა თუსსა მათ შორის, ვითარმედ 25 მოვიდა რა შარაჳანდელი იგი ღმერთმთაჳარისა მზისა და ყოვლად წმიდისა მის ღრუბლისა სანატრელისა ქალწულისა მიმართ მოიქცა და შეუშუსრუელად და განუწუალებელად სისხლთაგან მისთა, ვითარცა ფერთა სახილავთაგან ირისე ღრუბლით წუმიერთით, ღმერთ-შარაჳანდელი იგი ჩუენდა კორციელად დაიხატა და კმა მიზეზ 30 ამისა იყო კაცთმოყუარებაჲ და სახიერებაჲ იგი მისი დიდი და კაცთ-მოყუარებით და სახიერებით მოსრული „მიფენად ცეცხლისა, და-

\* 1 თესალ. 4,17. \*\* ზღრ. ფსალ. 15,2. ჰ\* ზღრ. 1 ტიმოთ. 2,4.

ლათუ აღგზებად თუნიერ დრომსა არა ქსწადნოოდა, მაგრა დროსა შინა თუსსა აღაგზნა“\* და თქმულთა მათ წმიდათა შორის აღატყინა მძაფრიად, რამეთუ ვერღა შესაძლებელ იყო უზესთაეს ძალისაცა კაცობრივისა დატევენად ცეცხლი იგი, რამეთუ ესრეთ ინება სახი- 5  
ერებით წმიდათა თუსთა უზესთაეს არსებისა სიტყუერისა განმრავ-  
ლებამ თუსდამი ტრფიალებისა და უფროსლა განგებით მოწამეთა  
თუსთა შორის.

/ეჰა, საკრუელ-ყოფა ნებისა უფლისა წმიდათა მოწამეთა შო 169  
რის, რამეთუ გუნდი იგი მათი დაღადებს ტრფიალებით სიტყუასა  
ფსალმუნისასა და დაღადება იგი არს ნამდულ ჭეშმარიტ: „უფალი 10  
ნაწილ არს მკედრობისა ჩემისა და სასმელისა ჩემისა“\*\*. და წინა-  
დაღებამა ამას განმარტებს სამლუდელო ათანასი: „სასმელად სი-  
კუდილსა სახელ-ქსდებსო უფალი, ვითარმედ ნაწილ ჩემდა იქმ-  
ნა“3\*. ხოლო საღმრთო ვასილი კესარიელი: „სასმელად სახელ- 15  
ქსდულო ღუაწლბა მას ღმრთისმსახურებისასა, ვიდრე სისხლად-  
მდე“4\*. ესე არს ესე, ვითარმედ მკედრობისა ჩემის ადგილსა ში-  
ნა რაგვესა ნაწილ არს ჩემდა უფალი, რამეთუ მის შორის ყოფამ  
მხუდა მე წილად. ხოლო სასმელისა მისთვის, რომელიცა მწყურის  
შესამად უფლისათუს, ნაწილ არს უფალი ჩემდა, ვითარმედ მისთვის  
სიკუდილისათუს ჩემისა წილად მხუდა მე უფალი, ვითარ-იგი ჩემ- 20  
თუს სიკუდილმან მისმან ნაწილ მისა მყო მე. კულად: „უფალი  
ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდეს“5? უფალი  
შესავედრებელ არს ცხოვრებისა ჩემისა, ვისგან შეეჭსძრწუნდი?  
რამსაგანმე მეშინოდესმცა, უკეთუ მკეცთაგან მძენუარეთაა? იყავნ  
მუცელი მათი საფლავ ჩემდა, უკეთუ მახულთაგან მრავალგუარ 25  
დანაკუეთებულთაა? მეყავნ მე იგინი ვიდრე მარტივ კერძოკადმდე  
განმწუალებელ კორცთა ჩემთა, რომელთა ზედა მი.ვიღე ღმრთისა-  
გან ამალღებამ „მოახლებასა ჩემ ზედა უკეთურთასა მეჭმად კორც-  
თა ჩემთა“6? ესე სიხარულ. ჩემდა, გარნა მაჭირუებელნი ჩემნი  
და მტერნი/ ჩემნი მოუძღურდეს და დაეცნეს, „გან-თუ-ეწყოს ჩემ- 30  
ზედა ბანაკია, გარნა არა შეეშინოს გულსა ჩემსა, აღა-თუ-დგეს ჩემ  
ზედა ბრძოლაა, განალა მე უფალსა ვესაე“7\*.

„ღმერთი ჩუენი შესავედრებელ და ძალ, შემწე ჭირთა შინა,  
რომელთა მპოენეს ჩუენ ფრიად. ამოსთვის არა მეშინოდეს ჩუენ

\* შღრ. ლუკა 12,49. \*\* ფსალ. 15,4. 3\* ათანასი 15 ფსალ. განმარტება.  
4\* ვასილი დიდი 15 ფსალ. განმარტ. 5\* ფსალ. 26,1. 6\* შღრ. ფსალ. 26,2. 7\* შღრ.  
ფსალ. 26,3.



ძრუასა შინა ქუეყანისასა და ცუალეზასა შინა მათასა და გულსა შინა ზღუათასა<sup>5</sup>. სლუანი მდინარეთანი ახარებენ ქალაქსა ღმრთისასა, რამეთუ ჩუენ და ყოველთა ძმათა ჩუენთა უსმინეთ საღმრთოსა წინასწარმეტყუელსა მეთქუესა: „წყურიელნი წარვე-  
 5 დით წყლისა მიმართ<sup>6</sup> და „აღმოვისეთ წყალი მხიარულებითა წყაროთაგან ცხოვრებისათა<sup>3</sup>“ და ჩუენ წარსრულთა მსრბით უზესთაეს ძალისა ვპოვეთ წყარომ იგი ცხოვრებისა, რომელმან-  
 ცა მისდა მისრულთა გურქუა მხიარულითა პირითა: „რომელმან მსრუას ჩემგან, არღარა მწყუროდეს“<sup>4</sup> და კუალად: „რომელსა  
 10 პრწმენეს ჩემი, მდინარენი მუცლისა მისისაგან მსდიოდენ წყლისა ცხოველისანი“<sup>5</sup>. ხოლო ჩუენ მიმღებელთა მისგან, რამეთუ მხოლომან მან მამამან, „რომელ არს ღმერთი ყოველთა ზე-  
 და“<sup>6</sup>, მხოლოდ თვსგან გამოსრული ყოველად წმიდაი სული თვისი მოგუცა ძისა მიერ თვისისა და აწ მდინარენი მსდიან მადლ-  
 15 თანი მუცლისაგან ჩუენისა, რომელთა „სულაი ახარებს ქალაქსა ღმრთისასა“<sup>7</sup>.

ესრეთ უკუე „საკურუელ მყო უფალმან ყოველივე ნებაი თვისი წმიდათა თვსთა შორის“<sup>8</sup>, რამეთუ მათთვს ყოველივე, რაიცალა ინება, სახიერებით ესრეთ საკურუელ მყო თქმულისაებრ.

170 20 / „ჩემდა ფრიად სადიდებელ ესეგუარნი მეგობარნი ღმრთისანი“<sup>9</sup>, რომელთაგანთა მიმართ მოწამეთა ქრისტესთა შესხმად და გალობად ყოველად წმიდათა ღუაწლთა და ვნებათა მათთა მოვიცალე ყოველთაგან საქმეთა ამისთვს, ვითარმედ თუ სადამე მშუღლი განმქსნილ არს საბლისაგან, რომლითა განჭიმულ არს, ოდეს-იგი  
 25 ენებოს ვის მოხრად და განჭიმვად, უმაგრეს იყოს და უდიდესი ექმარებოდეს ძალი მოხრისათვს და განჭიმისა მისისა. ეგსახედ გულისხმის-ყოფამ ანუ გონებამ თუ სადამე განქსნილ არს და თავისუფალ თვსთა ბუნებითთა მოქმედებათაგან, რომელნიცა თვს ყვან მათ, ოდეს-იგი ენებოსმცა ვის, მოყუანებაი მათი<sup>1</sup> მოქმედებად წინამდებარეთა ნიეთთაღმი, უდიდესი ექმარების ძალი ბუნებით შესაბამისა მის მოქმედებისა მათისა მიმართ მოყუანებად, რამეთუ განჭიმვა გონებისა ანუ გულისხმის-ყოფისა ფრიად საქმარ არს, რათა უადულეს ქმულ მყუნეს იგინი სულმან წინამდებარეთა ნიეთთა მიმართ, დაღათუ ნიადაგ განჭიმვა ესეგუარი განუქსნელად  
 30 დაასუსტებს ძალსა გულისხმის-ყოფისა ანუ გონებისასა, ვითარი-  
 35 იგი განუქსნელი განჭიმა საბლითა ძალსა მშუღლისასა.

1 მოყუანებად B. 2 მათი იგი B.

• ფსალ. 45,1-2. •• ისაია 55,1. 3° ისაია 12,3. 4° შღრ. 4,14. 5° იოანე 7,38. 6° პრამ. 9,5. 7° ფსალ. 45,4. 8° ფსალ. 15,2. 9° შღრ. ფსალ. 138,17.

ხოლო ვინამთგან მოქმედება გონებისა ანუ გულისხმის-ყოფისა უმრავალჯერეს ჩუენდა საჭირო და საჯმარ სადიდებულად ღმრთისა ამისთვის, რათა არა გულისხმის-ყოფა ანუ გონება სრულიად განკნინილ იყოსმცა ესეგუარისაგან განჭიმვისა, ვითარ-იგი ვსთქუ, ამისთვის ზიარნი ყოვლად წმიდისა სიკუდილისა /ღმერთ-მამაკაცისა იესუ ღმრთისა ჩემისანი მოწამენი ყოვლად საგალობელნი გალობად და შესხმად წინა-დავიდევ, რათა ამით იდიდოსმცა სამებამ ღმერთი და გულისხმის-ყოფისა ჩემისა და გონებისა დაიჯნას უქმობამ.

V  
5

სხუანი უკუე სიტყუანი ესეგუარნი ითქუნეს ჩუენგან სხუათათჳ წმიდათა მოწამეთა და აწ ვიტყოდეთ ეესტათისათჳ — კეთილმდგომარისა, რამეთუ ესრეთ განიმარტების ელინებრი იგი ლექსი „ეესტათი“.

10

სათანადო ვიდრემე არს ჩემდა არა დატევებად ეესტათი ყოვლად საგალობელი და ტკბილსახელი, რომელმანცა შეამკო სისხლითა ქალაქი, სადა-იგი ვიშევ და უნჯად პატროსნად დადებითა თვისისა ყოვლად წმიდისა სხუელისათა ეკკლესიაჲ იგი, სძალი ქრისტესი, რომლისა მართებითი წინამძღურებამ ანუ მწყემსობამ მივიღე უღირსად.

15

ეესტათი კეთილმდგომარე ნამდვლ ანუ სამყარო, რომელი მდგომარებს ღმრთისა მიერ შორის წყალთა და წყალთა, ესე იგი შორის სიღრმეთა ხედვისა და საქმისათა არცა ერთისა მიერ მოხუეჭილი, რათა მეორისა მხსლობელ დგომამ დააკლდამცა. ესე მარიაჲს და მართას მიმადლებულებათა მომლებელი ორთავე, რამეთუ საქმიერებს კეთილისა მიმართ, ვითარცა მართა მსახურებისა მიმართ და ჰხედავს, ვითარმედ „ვამოურჩევიეს მიულდებულად მისგან ნაწილი კეთილი—ჯდომამ ფერკთა თანა იესუსთა და სმენამ სიტყუათა მისთა/, ვითარცა მარიაჲს ხედვისა მიმართ“.

25

171

ამას უკუე აღუმაღლებიეს, ვითარცა ბორცჳ, სული თჳსი სიწმიდითა ჳორცთათა და გულისსიტყუათა გულისხმის-ყოფისა ბიწშემრეველთა და დამაბნელებელთა არ შეწყყნარებითა სიმართლითა, ესე იგი ყოვლად უმანკოებითა, უბოროტობითა და სიმშჳდითა და სიმკნითა, რამეთუ არა მოეწყინა, არცა შეწუხნა ნეტარი სული მისი, ღმრთისმსახურებასა შინა მყოფი და მოქმედებასა შინა საჭიროებისა ჳორციელებრისა ცხოვრებისასა, და ამით სულგრძელ იქმნა და ყოველივე „დაითმინა, რომლითა მოიპოვა სული“.

35

ხოლო ბორცჳ ესე ყუავეილოვან ჰყო, რამეთუ დაჰსთესნა მის

\* შტრ. ლუკა 10,42. \*\* შტრ. ლუკა 12,19.

შორის სიტყუანი სახარებისანი და არა მსცა აღგილი დროსა აღ-  
მოსლუსა მათისასა „აღმოსულად ეკალთა ქუეყანიერთა ზრუნუათა,  
რათა შეაშთუესმცა ნაყოფიერებათ თესლისა“\*, არცალა უტევნა  
მოსულად მფრინულნი აღკრებად და შექმად, „რომელნი-იგი  
5 ჰფრინავენ დღისი“\*\*, ვერცალა სიმჭირსემან სიცხისა მქურულე-  
ბისამან განაწმო, რამეთუ ქუეყანასა შინა კეთილსა დაება ძირი.

- ყუაველ ბორცუსა მის შუენიერისა არს წმიდა სარწმუნოებამ  
ქრისტეს მიმართ, რომელ არს „მოსავთა მათ ძალ, საქმეთა მამხი-  
ლებელ არახილულთა“<sup>3\*</sup>, რამეთუ ამას შინა იწამნეს მოხუცე-  
10 ბულნი, რამეთუ კეთილმოსავმან მან თვს შორის არა ხილულნი  
V საიდუმლონი საღმრთონი მხოლოობისათვს და /სამოსისა ღმერთთ-  
მთავრისა და კორციელთათვს განგებულებათა სიტყუსათა აღიარნა  
და დაამტკიცნა, ხოლო აღსარებამ იგი და დამტკიცებამ ჰყო სი-  
ყუარულითა უქვეველითა მით, რომელ ესვიდა იგი საქმეთა ჰუმ-  
15 მარიტებასა და ამით უვნებელ იქმნა და უვნებელსა სულსა შინა  
იხილა სატრფიალომ თვისი, რომელ არს არსებით სიყუარული და  
არსებით ღმერთი, ვინამცა მხილული იგი სახლსა შინა ღმრთი-  
სასა, ესე იგი ნეტარსა შინა სულსა თვისსა დიდებითა ღმრთისათა  
სავსესა, „იხილა რა უფალი მჯდომარემ საყდარსა ზედა მალაღსა  
20 და აღმატებულსა“<sup>4\*</sup>, ესე იგი წმიდასა ზედა გონებასა თვისსა არა  
ამაღლდა, არამედ უმწუერულესსა შინა მდაბალ მზრახველობასა  
მოსრულმან სთქუა: „მ, უბადრუქსა მე, რამეთუ შეკდემულ ვარ,  
რამეთუ კაცად მყოფი და არაწმიდათა ბაგეთა მქონებელი საშუალ  
ერისა არაწმიდათა ბაგეთა მქონებელისა მკედრ ვარ მე და მეუ-  
25 ფემ უფალი სავაოთ ვიხილე თუალითა ჩემითა“<sup>5\*</sup>.

მოსლუამან უკუე თვს შორის სიყუარულისა ღმრთისამან ეეს-  
ტათი განანათლა ყოვლად გონებასა შინა, რამეთუ არსებისა მიმართ  
'აჭირომსა უზესთავს ძალისა თქმულთასა მსცნობდა და მსთქმიდა  
შესაბამ და ეგსახედ არსთათვსცა შესაძლებელთა.

- 30 ამან უკუე ბორცუმან, იმორჩნა რა ქუეყანასა ზედა სათნობით-  
ნი ესე ყუაველოვნებანი, მიიღო ცათა შინა კეთილმითუალულნი  
172 გვრგვონსნება/ნი. ამან უკუე გულისხმა-ჰყო შემდგომად მოწყნარე-  
ბისა კეთილისა მის თესლისა აღმგებელი და აღგებამ თვისი და სა-  
ნატრელისა იობისებრ<sup>1</sup> მოვიდა აღსარებად მაცხოვრისა, „სულმან  
35 უფლისა ღმრთისამან შემქმნა მე, სამშენუელმან ყოვლისა მპყრო-

1 იობისებრ] იოსებისებრ A.

\* შტრ. მატა. 13,7 \*\* ფსალ. 90,5. 3\* ებრ. 11,1. 4\* ისაია 6,1. 6\* ისაია 6,5.

ბელისამან მასწავა მე<sup>\*\*</sup>, რამეთუ დაამტკიცებდა ამით, ვითარ-  
მედ სულითა წმიდითა იცნა მამამ და ძემ, ესე იგი პრწმენა რა  
მამისა მიმართ და ძისა და სულისა წმიდისა, ვერ შემძლებულ იყო  
პრწმენებად თვნიერ სულითა წმიდითა.

უწყებულ ვართ ძუელთაგან მატთანეთა ჩუენთა, ეპსჯიდეთ რა 5  
დროსა მთავრობისა ქართლსა. ზედა სტეფანოსის, ძისა გურამ კუ-  
რატპალატიასა, ოდეს-იგი ნებსით თვისით განუდგა სტეფანოს ბერ-  
ძნთა და ფლობასა შინა სპარსთასა მისცა ქართლი და თუთ თავი-  
ცა თუნი და სპარსთა დადუეს ჩუენ ზედა საკივი ფრიად მძიმემ,  
მაშინ უკუე გამობრწყინდა ბნელსა შინა უღმრთოებისასა მოწამე 10  
ქრისტესი ვესტათი. ხოლო ნათელი იგი ყოვლად მიუახლებელი ნა-  
თელთშემოქმედი, რომელიცა ბრწყინვიდა მოწამისა თვისისა შორის  
თანამკედრობითა ბნელსა მსახურთა შორის მონისა თვისისათა,  
„მსჩნდა ბნელსა შინა და ბნელი იგი მას ვერ ეწვეოდა“<sup>\*\*\*</sup>.

ნათელი იგი ჭეშმარიტი, რომელიცა განანათლებს ყოველსა 15  
კაცსა, მომავალი სოფლად<sup>3\*</sup>. ვითარცა საველეს, მღევარსა თუსსა,  
ეგსახედ ძესა მოგვსა და მოწაფესა მოგუობისასა არა დაშთომად  
უტევებს /ბნელსა შინა კაცმოყუარებით, არამედ განანუძებს სულ-  
სა მისსა მისულად ქალაქად მცხეთად, რათა წმიდა იგი და კეთილი  
შეცუალეზა გუართა ბარბაროსთად ამეოროსმცა მცხეთას ესეგუ- 20  
ართა ვიდრემე ცუალებითა.

ჭაბუკი ვინმე სპარსი, სახელით გვრობანდაკ, მოწაფექმნილი  
ველოვნებისა მიმართ მოგუობისა, მკედრი ქალაქსა რომელსამე  
სპარსიისასა, სადა-იგი მკედრობდეს ქრისტეანენიცა, ზედმჭურეტი  
ჩუეულებისა კეთილმსახურებითისა ქრისტეანეთასა, რამეთუ მოი- 25  
ცალის რა სწავლისაგან მოგუობისა, რომელსაცა ასწავებდის მამამ  
თუნი, მკსმენელი წოდებითისა საეკლესიოისა ბგერისა, დაუყოვნე-  
ბელად წარვიდის ეკლესიად.

ამას შინა ჭაბუკი გვრობანდაკ თან-შეადგმიდის ქრისტეანეთა  
ჩუეულებასა სარწმუნოებისა მიმართ ჭეშმარიტისა და საქმისა ქო- 30  
ნებულსა და ჩუეულებასაცა უღმრთოებითისა სპარსთასა, რომელი  
აქუნდათ მოსაგ-ყოფითა და მსახურებითა დაბადებულთა მიმართ  
დამტევებელთა დამბადებელისათა და შესაბამთა მისთა ყოვლად  
ბოროტთა ყოფა-ქცევათა, გარნა უადრეს აღუჩნდის წესი ქრის-  
ტიანეთა, ვითარცა მსახურთა დამბადებელისათა და გარე-მიექცე- 35

\* იობ. 33,4. \*\* იოან. 1,5. 3\* იოან. 1,9.

ვოდის უღმრთოებითა მათ მსახურებათა და შესაბამთა მისთა ბოროტ-ქცევათა ქონებულთა სპარსთაგან.

173 გვრობანდაკ გარემიქცეული სპარსთა უღმრთოებისა ქსჯიდა, რათა წარვიდის შესაკრებელისადმი იუდეანთასა და ზედმჭურეტ-5 მან ქსცნას, თუ ვითარმე არს მსახურება მათი.

ხოლო ამდევრა გულისმსიტყუელობასა ამას საქმეცა და მის-რული შესაკრებელად იუდეანთა, გამოქსციდიდა მათსაცა მსახურე-ბასა და წესსა ლოცუთასა და იტყოდა თეს შორის: მ, ვითარ ამო-ვან არს სასმენელთა შინა კმაი ქრისტეანეთა გალობისა და წესი 10 იგი მათისა მეეკლესიობისა, რამეთუ ვითარცა ანგელოსნი ღმრთი-სანი, შეკრებულება იგი ქრისტეანეთა ეგრე ქსჩანნ თუალთა ჩემთა წინაშე“.

ხოლო მოსრულმან მიზეზითა რამთმე ქართლად, მცხეთას ში-ნა ქალაქსა, განამრავლა უმეტეს მისულად ეკლესიად, სადა-იგი 15 მისრულსა რეცა მეცნიერმან მისმან ნეტარმან სამოილ. პატივითა არხილიაკონმან, კითხა გვრობანდაკს მიზეზი ეკლესიად მრავალ-ჯერ მისულისა. მიუგო გვრობანდაკ: „უწყებულ ხარო, უფალო ჩემო, ვითარმედ არა მიყუარს მე ქსჯული მამეული და ვქსწადნოი მეცნიერსა ქრისტეანეთა და იუდიანებრთაცა ქსჯულთასა, რათა 20 მიჩუნენოს მე საქმეთა მიერ, თუ რომელი არს უკეთეს და უღარეს, რათა შევიწყნარომცა იგი“.

მიუგო სამოილ მეცნიერმან სამღუდელოთა წერილთა და სა-ცხოვრებელთა ჩუნთა განგებულებათამან: „მეცნიერ ვარო ჩუ-ნთაცა საცხოვრებელთა განგებულებათა, რომელიცა საღმრთოდ- 25 საგან სახარებისა და სამოციქუ/ლოთა მოძღუარებათა გუენარების და მოსენთაცა და საწინაწარმეტყუელოთა წერილთა, გარნა გა-მორჩევად უღარესისა და უკეთილესისა მადლისაგან სულისა ყოე-ლად წმიდისა შესაძლებელ არს“.

განამრავლებდა ვედრებასა სამოილის მიმართ სპარსი, რათა 30 ორთავე მიმართ მეცნიერ ჰყოს უწყებათა სარწმუნოებითთა და ქსჯულისდებითთა, რომლისათეს იწყო მისდა სამოილ უწყებად თუთოეულად მიერით, ოდეს „პრწმენა აბრაჰამს ღმერთი და შე-ერაცხა მას სიმართლედ“ და ყოველთა უწყებათა წერილთაგან მოსე ღმრთისმზრახუელისათა და წინაწარმეტყუელთასა და ყო- 35 ველთა მათ ქსჯულთა მოცემულთა ღმრთისაგან მოსეს მიმართ უთხრობდა და განუმარტებდაცა და ეკლესიისათეს ძუელისა არა-რამემ დაძშთა უთქმელად სამოილისგან სპარსისა მის მიმართ.

ეგსანედ ახლისათუსცა მადლისა, ვითარმედ: „ერთ არსო ღმერთი, ვითარ-იგი უბრძანა მოსეს“\*, გარნა სამობასა შინა გუამოვნებათასა სიმარტივედ ერთობისა განუკუეთილობს არ შემწყნარებელი ოამქმისა განუკუეთისა, რამეთუ მარტივ არს და უზესთაეს ყოვლისა სიმარტივისა, ხოლო განფენილ განუწყალალებლად გუამთა მიმართ, ესე იგი ერთისა და მისვე მხოლოდსა არსებისა ნათელ-მოქმედისა, განუკუეთელად არს წარმოდგომა ღმერთთმთავრისა მიმართ სამობისა გუამთასა და თუთება გუამოვნებათა ერთსა მხოლოდობასა შინა ცხოველთ-შემოქმედისა არსებისასა მდგომარება შეურევენელად.

მდგომარეობა უკუე თუთებათა არა თუთოსა ადგილსა განითუ-სებს, რათა სადაცა ერთი არს სამთავანი, შეუძლებელ იყოსმცა ორთა მათ გუამთა მუნ ყოფად, რამეთუ ესე დაბადებულთა გუამთა თუთება არს, ვითარცა ყოფისა დაწყებითა და დასრულებითა განსაზღვრებულთა და გარეგან განსაზღვრებისა არა მყოფთა, მაგრა თუთება სამობითი გუამთა ღმერთთმთავრისა არსებისაგანთა მეტრ არსებისა თვისისა განუსაზღვრებელ არს და ერთი თუთება მეორისა შორის არს დატყვილ და მეორე შესამისა შორის, რომლისათუს გარე-შეუწყვრობენ თუთებანი.

ხოლო სამობასა მას შინა ნათელთ-შემოქმედისა აღიარებს კეთილმსახურებით, რამეთუ ერთი ვიდრემე არს მიზეზ ორთა მათ, ვითარ-იგი ერთსა სულსა შინა გონება არს მიზეზ სიტყუსა და ცხოველობისა, რომელსა მიზეზობისათუს სიტყუსა ზედწოდებულ ჰყოფს ლატრია ესე საიდუმლო მამად, რამეთუ შობა არს სიტყუსა გონებისაგან, ვითარმედ იცის რა თავი თუსი არსება განუსაზღვრებელ და საჭირო, რომელიცა ცნობა ესე არს სიტყუა და გონებისაგან შობილ, ამისთუს გონებასა მას ღმერთთმთავარსა ეწოდების მამა და სიტყუასა ძე. და ძეობა იგი რამემ იყო სხუა, გარნა „ბეჭედ და ხატ, რომელი ყოვლითურთ მამასა თავსა შორის თუსსა გამოაჩინებს“\*\*, ვითარცა იტყუს მოციქული ძისათუს: „ბრწყინუალება დიდება და ხატი ყოფისა მისისა“\*.

გონება არა მქონებელი სიცოცხლისა შეუძლებელ არს, რომლისათუს ითქმის გონება მექონ ცხოველობისა ანუ სულისა.

ესრეთ აღიარების კეთილმსახურებით: „ღმერთ-მშობელ და

\* შდრ. გამოს. 3,14. \*\* ეახილი: სარწმუნოებისათუს წმიდისა სამებისა. 3\* ებრ. 1,3.

წყარო ღმრთაებისა მხოლო არს მამა“\*, სიტყუსაებრ ნეტარისა ღიონისისა და „ღმერთი მამა უქამოდ და დაუსაბამოდ აღიძრა სიყუარულით განფენად განყოფილებისა მიმართ გუამთასა და ეგო ბუნებით განუყოფელად და დაუკლებელად თესსა ყოვლადობასა 5 შინა სრულებისასა“\*\*.

ხოლო სიტყუა იგი მამისა, რომელ არს სიბრძნე, და ძალი და ხატი შეუცუალეველი უხილავისა ღმრთისა, რომლისაგან „ყოველი შეიქმნა და თვნიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა“<sup>3\*</sup>, „რომლისა მიერ დაიბადა ყოველივე ცათა შინა და ქუე- 10 ყანასა ზედა, ხილულნი და არახილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინათუ მთავრობანი, გინათუ კელმწიფებანი: ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაიბადა“<sup>4\*</sup>.

„ამას შინა დამკუდრებულ არს ყოველივე საესება ღმრთაებისა კორციელად“<sup>5\*</sup>, რამეთუ „რომელი ხატი ღმრთისა 15 იყო“<sup>6\*</sup>, დამდაბლდა და ხატი მონისა მიიღო და მსსგავს კაცთა იქმნა და ხატითა იბოვა ვითარცა კაცი. დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილადმდე და სიკუდილითა მით ჯუარისათა, ხოლო აღდგა საფლავით მესამესა დღესა და „ვიხილეთ 175 დიდებამ მისი, დიდებამ ვითარცა მხოლოდშობილისა /მამისა მიერ, 20 საესეამ მადლითა და ჭეშმარიტებითა“<sup>7\*</sup> და ამაღლებული კორციელად „მჯდომარეებს მარჯუენით მამისა“<sup>8\*</sup>.

ხოლო მიდგომილებისათუს წმიდისა ქალწულისა და კორციელად შობისათუს უფლისა ეგსახედ ყოველთა ღმერთმამაკაცებრთა მოქმედებათა მკსნელისა ჩუენისათა თუთოეულად აუწყებდა და 25 სასწაულთა და საკურუელებათა ყოველთა და ჯუარცმისათუს და სიკუდილისა და მესამესა დღესა აღდგომისა და ზეცად ამაღლები-სათუს და დიდებით კუალად მოსლვისა უფლისა და აღდგომისათუს მკუდართასა.

ხოლო დაჰბეჭდვიდა გულსა ზედა მისსა, ვითარმედ: „ერთ არს 30 უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლისღება“<sup>9\*</sup>. ეგსახედ ერთ ეკკლესია, ერთ დიდება იგი, რომელი მოღებად არს წმიდათაგან და ერთ განვრდომა ღმრთისაგან ცხოველისა.

ამათი უკუე მსმენელი სპარსი მორწმუნექმნილი ჭეშმარიტებისა მიმართ და ყოველთა, რომელნიცა ესმნეს სამოილის მიერ ნე- 35 ტარისა, ცნობად ჭეშმარიტებისა მოვიდა და ნათლისღებისა საბა-

\* ღიონს. საღმრთო სახელ. \*\* გერმანე პატრიარხისა სხოლიონი ღიონისის საღმრთოთა სახელთა. 3\* იოანე 1,3. 4\* კოლას. 1,16. 5\* კოლას. 2,9. 6\* ფილიპ. 2,6. 7\* იოან. 1,14. 8\* შღრ. მარკ. [16,19]. 9\* ეფეს. 4,5.

ნელითა განბანილი შულ მამისა ზეცისათა იქმნა, ხოლო „ღმრთი-  
საგან შობილებითა ქსდლო სოფელსა“<sup>1</sup>.

გერობანდაკ ნათლისღებისა მიერ ევსტათი ზედწოდებული  
იქმნა და „პირველისაგან კაცისა შობილი კორც, რომელი იყო ქუ-  
ეყანისაგან მიწისა ანუ შობილი კორცთაგან, ხოლო მეორისაგან კა- 5  
ცისა, რომელ არს უფალი ზეცით“<sup>2</sup>, განახლებული და „სულისაგან  
შობილი სულ იქმნა“<sup>3</sup>.

1/ეპა, განახლება ღმერთმყოფელი, ეპა, შეილება „ახლითა გა- V  
ნახლებულითა მეცნიერებითა შემოსილი მსგავსად ხატისა მის დამ-  
ბადებელისა მისისა, სადა-იგი არა! არს წარმართ და ჰურია, წინა- 10  
დაცუეთილება და წინადაუცუეთელება, ბარბაროს, სკუთელ, მო-  
ნება, აზნაურება, არამედ ყოვლად ყოველსა შინა ქრისტე“<sup>4</sup>.

მტერობითი იგი ბეჭედი გულსა ზედა, რომელი მიიღო პირ-  
ველ ევსტათი, ვითარცა ცულმან ბეჭდისა მიერ მამულისა გუამო-  
ნებისა აღმოვლების და ბეჭედი ხატისა და ბრწყინუალებისა მამუ- 15  
ლისა აღმოიტყფრების! და ბეჭედი იგი ცხოველი შემოქმედი ნა-  
თელთა ეტყუს გულსა აღმონაბეჭდსა: „დამდუეს მე, ვითარცა სა-  
ბეჭდავი, გულსა ზედა შენსა“<sup>5</sup>.

ალეგზნების დაბეჭდილი გული ტრფიალებითა ბეჭდისადმი,  
რომლითა დაიბეჭდა და ვითარცა მთურალი ქმა უყოფს ბეჭედსა: 20  
„მე მძინავს და გული ჩემი მღუძარე არს“<sup>6</sup> და „წყალსა მრავალსა  
ვერ ძალ-უცს დაშრეტა სიყუარულისა, მდინარენი ვერ წარლუნინან  
მას. უკეთუ მისცეს კაცმან ყოველი ცხოვრებად თუსი, შეურაცხყო-  
ფით შეურაცხ-ჰყონ იგი“<sup>7</sup>.

„ეინ არს ესე, რომელი აღმოვალს უდაბნოსაგან, ვითარცა 25  
რტო, კუამლი საკმეველისა, მური და გუნდრუკი, ყოველთაგან  
მტუერთა მენელსაცხებელთასა“<sup>8</sup>. ხოლო კითხუსა ჩუენისა ნა-  
ცუალსა მოვილებთ საიდუმლომოსაგან მადლისა სიტყუებითა საღმრ-  
თოსა მოძღუარისა გრიგორი ნოსელისათა/, ვითარ-იგი კითხუა 176  
არს ძიება მიგებისა, ვითარმედ რტო ესე, რომელი აღაორძინებს 30  
განსაკრუებსა მას, ერთად იხილუების, რომელი-იგი აღუალს და  
სიქმოსა მალნართასა ემსგავსების, გარნა რტოდრე საგონებელ იქმ-  
ნების სიმალლედ აღსრულად და აღორძინებულად. ხოლო აღზრდა  
რტომასა მის და ხისა არა ქუეყანა რამე იქმნების პოხიერი და ნო- 35  
ტია, არამედ მსოფლიოთაგან ამოვნებათა ყოვლად უდაბნო და  
უგზომ, ხოლო ურწყულიცა წყალთაგან კორციელთა განსუენება-

1 არა—B. 2 აღმოიტყფრების B.

\* მღრ. 1 იოან. 5,4. \*\* მღრ. 1 კორინ. 15,45-47. 3\* მღრ. იოან. 3,6. 4\* კო-  
ლას. 3,10-11. 5\* ჰება 8,6. 6\* ჰება 5,2. 7\* ჰება 8,7. 8\* ჰება 3,6.



თასა და სიცხითა კრძალულებითისა გუალესათა გუალული. და ვიკითხავთ კუალად: რამე არს ძირი, რომელსა ზედა დანერგულ არს რტო ესე და ვინა ორძის? ძირ მისა არს მტუერი ნელსაცხებელთა მათ უნივთთა, ესე იგი სათნობათა ხელუთთა, ხოლო მპობელ ორთქლი საკმეველთა, ესე იგი სათნობათა საკმითთა, რომელი-  
 5 იგი სუნნელებისა მიერ შეაცურევეს მას.

ამის უკუე გამოჩინებულისა რტომასა არა პირუელითა სახითა, არამედ სხუთარე შესახედავითა ხილუა აღორძინება არს სათნობათა სისრულედ წარმატებულებამ სულისა მის ნეტარისა მით,  
 10 რომელ პირველი იგი ხატი მისი იყო შეენათესაეობისაებრ უღმრთოებითისა და იხილუებოდა ჩუენ მიერცა შავად, განაღა განიბანა რა საბანელითა მით განახლებითითა შეილებისა ღმრთისათა დაბნელებული იგი ხატი, აწ ვითარცა თოელი ბრწყინავს შუენიერებითა. და საკურუელი ესე არს, რამეთუ ესევეითარისა სახისა და

15 შუენიერებისა მიზეზ /უდაბნო არს, რომელმანცა ესრეთ აღამაღლა იგი და ვითარცა ნაძვ რამე, ვითარცა შროშანი, შუენიერებითა სიკეთითა შეამკო იგი, გარსა არა თუ შეხდომით რამე და გარეწარამაღლა ესეგუარსა ზედა სიმაღლესა, არამედ თვსთა კეთილთა მიერ და სიმკაცრეთა მოიგო ესევეითარი შუენიერებამ.

20 ესეგუარ ოდესმე სულიცა წინასწარმეტყუელისა ესევეითართავე „კორცთა შინა უდაბნოთა უგზოთა და ურწყულთა“<sup>3</sup> მყოფი „წყურვილ იქმნა საღმრთომასა მის წყარომასა მიმართ“<sup>4</sup>. რომლისაგან მსმელთა არაოდეს ასწყუროდეს და საღმრთო იგი წყურვილი თავსა შორის თვსსა შეიწყნარა.

25 ეესტათი კორციითა მმოქალაქობი ქალაქსა მცხეთას და გულსხმისმყოფელი: „არა მაქვს ჩუენ აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ“<sup>5</sup>. ისწავებდა მოძღუართაგან ჭეშმარიტებისათა წარმართებითა სულისა წმიდისათა სამლუდლოთა წერილთა და საიდუმლოთა საღმრთომასა ჭეშმარიტებისათა და ამით შეს-

30 წირვილად ნიაღვ ღმრთისადმი „ნაყოფსა ბაგეთასა და აღსარებასა სახელისა მისისასა“<sup>6</sup>, ვითარმედ რამ-იგი ისწავა ჭეშმარიტებისა მოძღუართაგან, ასწავებდა კორციელად თანმენათესაეეთა თვსთა ბარბაროსთა სპარსთა და ცნობად ჭეშმარიტებისა მოიყუანებდა, ხოლო აღიარებდა თუნიერ ყოვლისა რიდობისა მძღაერთა მიმართ

35 უღმრთოთა სახელსა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.  
 „არა დაივიწყებდა ეესტათი კეთილსა, საქმესა“<sup>7</sup>, რამეთუ  
 177 ყოველნი სათნობანი, ოდეს-იგი შეეწყნარა /ქრისტესსა მიერით არ-

\* ბღრ. ფსალ. 62,1. \*\* ზღრ. ფსალ. 41,2. 3\* ებრ. 13,14. 4\* ებრ. 13,15. 5\* ზღრ. ებრ. 13,16.

სებასა ზედა თსსა, ხატსა ღმრთისასა შესმენილ ჰყუნა და ეზიარებოდა სიყუარულითა წმიდითა და უმბაკოათა მორწმუნეთა ქრისტესთა ძმათა თსთა, ეზიარებოდა წმიდათა ღმრთისათა, რამეთუ შურსა ცხოვრებისა მათისასა აღიღებდა, ვითარმედ სხუა აბრაჰამ იქმნა მორჩილი ბრძანებისა ღმრთისა, „გამოსრული ქუეყანისაგან და ნათესაეთა და სახლისაგან მამისა თსისა“\*, ისაკს და იაკობს სიწრფოებითა, იოსებს სიწმიდითა და მოსეს, რამეთუ განწმედითა გონებისათა იხილა ღმერთი, მამათმთავართა და წინაწარმეტყუელთა სჯულისა საღმრთოთა, რამცა-იგი მოიღო ეკკლესიისაგან უბიწოდ დაკვთა, პეტრეს და იოანეს ღმერთ-მამაკაცისა მოძღურისად შედგომითა და ყოველთა მოციქულთა ურწმუნოთა შორის სახარებისა ქრისტესისა მიმოდადებითა, რომელთა თანა ზიარებულმან მიიღო „გერგვნი სიმართლისა“\*\*.

ესევეითარნი უკუე მსხუერპლნი, რომელნიცა სათნო იყუნეს ღმრთისა, შეჰსწირნა ღმერთისა მიმართ და მათ თანა თავიცა თსი. 15

ღღე უკუე იყო რომელიმე, ოდეს სპარსნი, დამკვდრებულნი ქალაქსა შინა მცხეთას, უზორვიდეს ეშმაკთა ღმერთთა მათთა, შემწირუელნი ცეცხლისა მიმართ და კერბთა, ხოლო ზორვილსა მას ჰსჭამდეს და ჰსშიდეს და უღმრთოებითითა მით განცხრომითა იშუებდეს. 20

თანახადილ ჰყუნეს უკუე ამათ ვესტათიცა, /მეთქუეთა: „მოვედ და გუეზიარე ღღესასწაულსა ამას ჩუენსა და ჩუენ თანა იშუებდ, ვითარცა თანმენათესავემ ჩუენი. V

მიუგო ვესტათი: „მე უკუე ვღღესასწაულობ ღღესასწაულსა არა ბნელისა შინასა, არამედ ღღესასწაულსა მას, რამეთუ მომიწოდა და მე უფალმან ეგვპტით ბნელით გუემულით მუნ მისულად, სადა-იგი აღუთქუა მოყუარეთა თსთა ადგილსა ნათლითა სავესსა, „რომელი საუკუნითგან არა გუესმა, არცა თუალთა ჩუენთა იხილეს“\*\*\*, რომელთა განუმზადებს ღმერთი მლოდნელთა თსისა წყალობისათა. 25 30

არა ვჰსჭამო თქუნენ თანა ნაგები ღმერთთა საძაველთა, არამედ ვჰსჭამ ვორცსა კრავისა ღმრთისასა, რომელი პასეჰად დაიკლა ჩემთს, რათა თანა-წარმკადოს მე მომსრუელი იგი პირმშოთა, რომელმანცა მოსწყუნდა პირველნი მამანი ჩუენნი. აჰა, „კუერთხი ველთა შინა ჩემთა“\*\*, ნიში ქრისტესთს ვნებად სიმენისა ჩემისა, და სარტყელი წელთა ჩემთა, რამეთუ მორტყმულ ვარ ჰვემარტი- 35

\* შღრ. შესაქ. 12,1. \*\* 2 ტიმოთ. 4,8. 3\* ისაია 64,4. 4\* ვამოს. 12,11.

თა სარწმუნოებითა, და კამლნი ფერკთა, რამეთუ „შემისხამნ ფერკთა განწმადებულუებამ სახარებისა მის მშუდობისა“<sup>5</sup> და ესრეთ ვმეცადინობ ძალითი-ძალად შესულად ქუეყანასა მას, რომელი აღმითქუა მაცხოვარმან ჩემმან“.

მსმენელნი ევსტათის სიტყუათანი სპარსნი საძაგელმედღესას-  
 5 წაულენი, მთურალნი უღმრთოებითა, კუალად მთურალნი არაწმი-  
 178 დათა /ღმერთთა მათლამი ნაგებითა ღუნითა, აღბორგდეს და ბოროტი იგი შეკრებული ბომონით საეშმაკოთ სპარსისა უსტამ ვისმე ზედწოდებულისად, რომელიცა განაგებდა ციხეს, მისდა მივიდეს და შემასმენელთა, ვითარმედ: „ევსტათი ქრისტეანე არს და მაგინებელი სპარსებრისა ჰსჯულისდებისა“ — ჰამბავთა ამით უწყებულ ჰყუეს.

უწყებულქმნილმან უსტამ წარავლინა მკედართაგან ვინმე და ევსტათი წინაშე თუსსა ბრძანა წარდგინებად.

იხილა რა ევსტათი მწოდებელი თუსი, ორთა ვიდრემე წინადა-  
 15 დებათა ჰსჯიდა თუს შორის, ესე იგი წარვიდეს ანუ არა წარვიდეს. ხოლო დაამტკიცა ესეგუართარე განჰსჯითა უმჯობესი და ჰსთქუა: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა და რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, უარეპყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“<sup>6</sup>. და ნიშითა  
 20 ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა დაჰბეჭდა თავი თუსი და ჰსთქუა: „ჩუენ თანა ღმერთი, ჰსცანთ წარმართთა და იძლიენით თქუენ“<sup>7</sup> და წარვიდა.

მისრული წინაშე უსტამისა დაჰსდგა საღმრთო ევსტათი, კეთილმდგომარე იგი სუეტი, ხარისხსა ზედა წმიდისა სარწმუნოებისასა. ეტყოდეს უკუე უსტამს უღმრთონი შემასმენელნი: „ესე არს ევსტათი, მაგინებელი და გარდამაქცეველი ჰსჯულისდებათა ჩუენთა“.

✓ /მაშინ ხატი პირმშომსა მაგალითისა ღმერთ-მამაკაცისა სიტყუსა მონასა ზედა სახესა მეორესა გარდამოიხატვოდა, რამეთუ ვითარ ჩემი იგი იესუ უღმრთოთა ჰურიათა მოიყუანეს რა პილატესა და იწყეს შესმენად მისა და ეტყოდეს: „ესე ვჰპოვეთ, რამეთუ გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა და აყენებდა ხარკსაცა მიცემად კეისრისა“<sup>8</sup>. ეგსახედ ეტყოდეს უსტამს შემასმენელნი ევსტათისნი: „ესე არს ევსტათი, მაგინებელი და გარდამაქცეველი ჰსჯულისდებათა ჩუენთა“, და ესრეთ „უფალი ღიდებისა მონასა იზიარებდა“<sup>9</sup>.

<sup>5</sup> ეფეს. 6,15. <sup>6</sup> მატ. 10,32-33. <sup>7</sup> ისაი 8,9. <sup>8</sup> ლუკა 23,2. <sup>9</sup> შტრ. 1 კორ. 2,8.

ჰკითხვდა უკუე უსტამ ევსტათის ვინ ყოფასა და ანუ რომლისა ქალაქისაგან არს სპარსთასა. მიუგო მოწამემან ქრისტესმან: „ქალაქი, სადა-იგი ვიშევე, ზედწოდებულ არს განძაკ, სადა-იგი უმრავლესნი მკვდრობენ ქრისტეანენი, ვიდრეღა სპარსნი. და ქრისტიანენი იგი იმწყსებთან ებისკოპოსისაგან კეთილმსახურისა და სამღუდელონი საქმენი მათნი განიგებიან მღუდელთაგანვე კეთილმსახურთა, რომელთა შორის მხილულემან ჭეშმარიტებისამან და მერმელა მოსრულმან ქალაქსა ამას უგანცხადებულესად ვასცან ჭეშმარიტებად, რომლისა გამო ქრისტიანე ვარ“.

5

ეტყოდა უსტამ: „არავინ გიტევოს შენ ქრისტიანე ყოფად, რამეთუ, უკეთუ არა დაუტევომცა სიციფეე ევე შენი, იტანჯო არა მცირედ“. მიუგო მოწამემან ქრისტესმან: „ჩემდა არარამე ტანჯუა, რამეთუ მზა ვარ სიკუდილად ქრისტესთვის გულსმოდგინებით და სიყუარულით“.

10

/იხილა რა უსტამ უმტკიცედ ანდამატინისა მოწამე იგი ჭეშ- 15 179 მარტებისა, იზრახა თვს შორის გულისმსიტყუელმან: „ვინაშთგან ვერ შემძლებელ ვარ შეპყრობად და სიკუდილად კაცისა ამისა, სათანადო არს წარგზავნად ესე ტფილისს არვან-გუშნაპის მიმართ მარზაპანისა, ვითარცა მთაერისა და კელმწიფისა, და კქმნას მან, რამ-იგი შესაბამ იყოს, რომელსაცა ძალ-უსს, ვითარცა მფლობელ- 20 სა ქართლისასა, ესეგუართა სიკუდილი და ცხოვრება“. და ესრეთ ბრძანა ორთა მკედართა მიმართ, რათა წარიყუანონ ევსტათი ტფილისად.

ხოლო შემასმენელნი ევსტათისნი ეტყოდეს უსტამს: „არიანო აქა სხუანიცა ჩუენგანნი ქრისტიანეკმნილნი. ბრძანე, რათა წარიგ- 25 ზაენენ იგინიცა ტფილისად“, რომელთა სახელებითაცა უწყებულ კუეეს.

მაშინ კაცნი იგი სპარსნი ქრისტიანეკმნილნი ბრძანებისაებრ მისისა წარუდგინეს უსტამს, რიცხვთ ვიდრემე რუანი, რომელთა მხილულმან არა ინება განკითხუამ მათი, არამედ ბრძანა შეკრუ- 30 აღ იგინი და ევსტათის თანა წარყუანებად ტფილისს. და ესეგუარითარე ხატითა მიუწერა მას: „კაცნი ესე ნათესავით სპარსნი, განსრულნი ჰსჯულსაგან სპარსებრისა და ქრისტიანეკმნილნი, შევიპყრენ და შენდამი, ვითარცა უფლისა და მთაერისად, წარმომიგზავნიეს, რამეთუ შენსა კელმწიფებასა არს განკითხუამ ამათი“.

35

ესენი უკუე მიყუანებულნი ტფილისს მარზაპანისა წინაშე წარიდგინეს და კითხვასებრ მისისა თაენი თვსნი პირველ უკუე სპარსებრითა ჰსჯულითა უღმრთოებითითა შეცთომილად და აწ ჭეშმარიტისა ღმრთისა მსახურად და ქრისტიანედ აღსარებითა

V

ჭეშმარიტითა მისდა განცხადებულ ჰყუეს. ხოლო მაგიერ ყოველთა მათ კრულთა ქრისტესთვის სიტყუსმგებელ იყო ევსტათი.

მსმენელი ქრისტესთვის შეკრულთაგან ჭეშმარიტისა მის აღსარებისა განრისხდა მარზაპანი და უბრძანა მტარულთა პირსა ცე-  
 5 მად ივინი და აღპარსუად თმანი და წუერნი მათნი და ცხვრნი განჭურვტად და ჯაჭუნნი დადებად ქედთა მათთა, ბორკილნი შესხ-  
 მად ფერკთა და შეყენებად საპყრობილესა. ხოლო თუ სადამე მათგანი ვინმე მოიქცესმცა მამეულისა მსჯულისად, თავისუფალ ყოფად იგი პატიეთა მათგან და მისდა მიყუანებად, რომელთადმი  
 10 სიმდიდრესა აღთქმიდა მიცემად და რომელნიცა ეგნენ ქრისტეა-  
 ნედ, მოკუდენ ივინი საპყრობილესა შინა.

მსმენელნი ამათნი ორნი ცხრათა მათ კრულთაგანნი ზედწო-  
 დებულნი სახელით პირველი ბახლიად და მეორე პანაგუშნაპ, შიშ-  
 ნულქმნილნი და მძრწოლარენი მოლოდებისაგან პატიეთასა, რო-  
 15 მელნიცა ესმათ მარზაპანისაგან, „განდვეს ჟამსა მას განსაცდელი-  
 სასა, რამეთუ თესლი წმიდისა სახარებისა გონებასა მათსა ზედა დაეარდა, ვითარცა კლდესა ზედა“, „რამეთუ დაღათუ სიხარულით შეიწყნარეს მათ იგი, მაგრა ვინამთგან ძირი არა აქუნდა გულსა  
 180 /მათსა, არამედ საწუთო იყუნენ და რაჟამს ჭირი და დევნაა მოი-  
 20 წია მათ ზედა, სიტყუსა მისთვის შეყუსეულად დაბრკოლდეს“<sup>1</sup>.

ხოლო სანატრელსა ევსტათის და შვდთა მის თანა, რომელთა-  
 განი იყო ერთი სახელით სტეფანე, წარყუანებულთა მტარულთა-  
 გან ბრძანებისაებრ აღპარსნეს თმანი და წუერნი და ჯაჭუნნი და-  
 ელუნეს ქედსა ზედა და შებორკილებულნი საპყრობილესა შეიყენ-  
 25 ნეს, სადაცა პყრობილნი ექუს თთუე დაითმენდეს.

მსჯდა უკუე საპყრობილესა შინა პყრობილი სიმართლისათუს მოწამე ქრისტესი, „სხუა ვინმე იოსებ ანუ დანიილ, ვერ შეხებულნი  
 ლომთაგან უსხეულოთა“<sup>2</sup>, სადა-იგი მყოფი, თქმულთა მათ პყრო-  
 ბილთაებრ, სიმჭირსემან საპყრობილისამან ვერ შექსძრა სიმტკი-  
 30 ცისაგან მსახურებისა მხოლომსა ღმრთისა.

წარპქდეს რა თთუენი ექუსი, მოილო ბრძანებამა სპარსთა მე-  
 ფისაგან არვანდ-გუშნაპ მარზაპანმან, მფლობელმან ქართლისამან, რათა წარვიდეს მისდა, რომლისა დროსა წარსლვისასა მთავარნი  
 ქართლისანი სამოილითურთ ქართლისა კათოლიკოსით, რომელნი-  
 35 ცა მპართებდა მაშინ საზოგადომსა ზედმმარუელობისა<sup>1</sup> საქმეთა

<sup>1</sup> ზედმმარუელობისა B.

<sup>2</sup> შდრ. ლუკა 8,5-13. \*\* შდრ. მატთ. 13,21-22. <sup>3</sup> შდრ. შესაქ. 39,20, დანიილ 14,30-31.

და მვედრებელთა მარზაპანის მიმართ ითხოვეს განთავისუფლებად  
საპრობილით სანატრელნი იგი პერობილნი ევსტათი და მოყუას-  
ნი მისნი. ხოლო მასმენელმან თხოვისა მათისამან მარზაპა/ნმან  
ბრძანა განთავისუფლებად წმიდანი იგი პერობილნი და ჭეშმარი-  
ტებისათს მოღუაწენი, დამთმენელნი ქრისტესთს კიცხვეათა და  
გუემათა და პერობილებათანი. ჰმადლობდეს ღუაწლის-დამდებელ-  
სა მათსა და სულითა მხიარულნი უკუნ-იქცეს მცხეთადეე და შე-  
საბამსა ცხოვრებასა შემდგომსა პირველისა მიმართ მოჰკიდებდეს.

წელსა მეოთხესა წარსლვითგან არვანდ-გუშნაბ მარზაპანისა  
წარმოგზავნილ იქმნა სიარსთა მეფისაგან მარზაპანად ქართლისა  
კაცო ზედწოდებული ვეჟან ბუზმილ. ხოლო მსმენელნი მოსლვისა  
ახლისა მარზაპანისანი ბარბაროსნი, მკედრნი ქალაქსა შინა მცხეთას,  
წარვიდეს წინაშე მარზაპანისა ტფილისს შესმენად სანატრელისა  
ევსტათისა და სტეფანემსა, ვითარ ვერ თავსმდებელნი კეთილმსა-  
ხურებითისა ცხოვრებისა მათისანი.

უწყებულ პყუეს მთავარი იგი უბრალოთა მათ ბრალეულე-  
ბით, ვითარცა მხოლოდსა ღმრთისა მსახურნი და სპარსებრისა მრ-  
ველღმრთაებისა მოძულენი და ითხოვეს მთავრისაგან ვედრებით,  
რათა კრულნი მოიყუანესმცა იგინი წინაშე თსსა და ანუ იძულე-  
ბით უკუნ-აქციენენ მსახურებად ცეცხლისა და ციერთა და კერპთა  
და ანუ სიკუდილითა განიპატიენენ.

მარზაპანმან უკუე მსმენელმან ბრძანა ორნი მვედარნი წარ-  
სლუად მცხეთად და მოყუანებად ევსტათი და სტეფანე წინაშე  
მისსა. მისრულნი მცხეთად წარვლინებულნი იგი მოიწოდებდეს  
მთავრისად ევსტათის და სტეფანეს და ასწრაფებდეს წარსლუსა  
მალად, რომელთა მიმართ მსთქუეს წმიდათა მათ: „ჩუენ უკუე  
მინდობილნი ღმრთისანი, მ, ბარბაროსნო, წარვიდეთ თქუენ თანა  
არარამესაგან შიშნეულნი“.

და აჰა, იჯმნა წმიდამან ევსტათი ცოლისაგან და შეილთა და  
სახლეულთაგან ყოველთა, რამეთუ შემდგომად ნათლისღებისა შე-  
ერთებულ მეუღლისა თანა კეთილმსახურისა, რომელიცა იყო ასუ-  
ლი მცხეთელისა ვისიმე მოქალაქისა. ხოლო ეტყოდა სანატრელი  
იგი სიდედრსა, მონათა და მჭეველთა თსსთა: „აჰა, განგეშორები  
თქუენ და უკანასკნელსა დაგიტეევებ გიხაროდენსა, რამეთუ განიგო  
ჩემთს ქრისტე ჩემისაგან სიკუდილი მისთს და სისხლითა ჩემითა  
შემკობამ ტფილისისა. ხოლო სხეული ჩემი განგებისაებრ საღმრ-“

1 მრავალ-ღმრთაებრისა A.

თომას მოიქცეს აქავე“. და ესრეთ ნებსით შედგომილი მისდევდა<sup>1</sup> მკულელთად ტარიგი ქრისტესი სტეფანეს თანა, მოყუსისა თუსისა.

მაშინ სახლელთაგან ეესტათისთა გოდება და ტყეება განმრავლდებოდა და იმიერ არაგე მდინარისა განჰკლდეს თანაწარსრულნი ველადმდე, რომელი არს ქუეშე გორისა მის, რომლისა წუერსა ზედა შენებულ არს ეკკლესია ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისა.

V მისრულმან უკუე ველსა მას ზედა ნეტარმან ეესტათი აღი-  
 10 ხილნა ზეცად და დადგა პირისპირ წმი/დისა მის ეკკლესიისა და უბრალონი კელნი თუსნი აღიპყრნა და იტყოდა: „გმადლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, ძეო თანადაუსაბამოო თანადაუსაბამოსა მამისაო, რამეთუ ღირს-მყავ მე მეორედ სახელისათუს შენისა შეკრუად და პყრობილებად განმზადებად წინაშე მტერთა შენთა წმიდისა-სახელისა შენისა აღსარებისა, ისმინე ცოდვილისა ამის მო-  
 15 ნისა შენისა, ვითარცა სახიერმან და მონათა შენთა ლოცუსა მიმთუალუელმან და წარმართე მსრბაი ვნებისა ჩემისა და ღირს-მყავ სახელისათუს შენისა სიკუდილსა სანატრელსა და სხეული მონისა შენისა უკმოაქციე მცხეთადვე ქალაქად, სადა-იგი განბანილ იქმნა წმიდითა ნათლისღებითა“

20 და ესრეთ მოიდრიკნა მუკლნი და თაყუანისცა პატიოსანსა ჯუარსა და აღდგომილმან ნიში ცხოველსმყოფელისა ჯუარისა დამხატა თუს ზედა და შეუდგა სტეფანეს თანა წარმყუანებელთა თუსთა, კუალად ჯმნილი სახლელთაგან თუსთა.

მიყუანებული ტფილისს მკედართაგან ეესტათი და სტეფანე  
 25 წარჰსდგეს წინაშე მარზაპანისა კადნიერებითა დიდითა. ხოლო დადგეს რა ნეტარნი იგი წინაშე მძლავრისა და იკითხუდა მათუს: „ესენი არიანა ახალნი ქრისტიანენი?“, აღჰსდგეს უკუე მუნ მსხლომარეთაგანნი კაცნი მთავართაგანნი, ნათესავით სირიელნი და ეტყოდეს მთავარსა სტეფანესუს: „მეცნიერ ვართო კაცისა ამისდ,  
 30 ვითარმედ სირიელი არს, მამეულად ქრისტიანე“, ეინაჲცა სტეფანე სიტყუთა მათითა განტევებულ იქმნა.

182 მადგა უკუე წინაშე მძლავრისა მოწამე ჰემმარიტებისა და აღიარა და არა უარ-ჰყო, ვითარმედ: „ქრისტეანე ვარ შეწევნითა ღმრთისა ჩემისათა, რომელმან დამბადა მე და მომცა სული, არსე-  
 35 ბაი უკუდავი და უხრწნელი და გონიერი, რომელიცა დააბნელა პირველ წინაპართა მშობელთა შეცთომილებამან, განალა აწ განათლებული ერთითა ნათლითა მსტრფის ერთისა მის მიმართ ნათელთშემოქმედისა არსებისა, რომელმანცა განანათლა ესე.

გრწმენინ ჩემი, მ, მძლავრო, ვითარმედ მე სხუათაცა უკუე

განმიკითხეს მძლავრთა და როპელიცა-იგი მომილიეს მადლი წიხა-  
შე მათსა კადნიერებისა და ქრისტესტუს ტანჯუათა და სიკუდილი-  
სა უშიშობისა, არა წარმიწყმედიეს.

მე უკუე აღვიარებ ერთსა მამასა მხოლოდმობილითურთ ძით  
და ყოვლად წმიდით სულით. „ვერეინ განმაშოროს მე სიყუარულ- 5  
სა მას ქრისტესსა, ჳირმან ანუ იწროებამან, დევნამან ანუ სიყმილ-  
მან, შიშლოებამან ანუ ურუამან, ანუ მახულმან“, არცა გუემათა,  
არცა პყრობილებამან, არცა დაჭრამან ასოთამან, არცა რკინათა  
სხუადასხუაგუარ დანაკუეთებულთა საშინელელებამან, არცა მძევნუ-  
არებამან მკეცთამან, რამეთუ საწადელ ჩემდა ესე ყოველნი ქრის- 10  
ტესტუს ჩემისა“.

ჰრქუა მთავარმან ლიქნით მებრ ჩუეულებისა სპარსთა მზაკუა-  
რებისა და მებრ ფრასისაცა ენისა სპარსებრისა: „ისმინე, შეილო, 5  
განზრახუა ესე მამობრივი, ანუ ამცირებ დღეთა ტკბი/ლისა სი-  
ცოცხლისათა და ნუ მსწადნომ ქურციე-ყოფასა ცოლისა და სიობ- 15  
ლესა შეილთა შენთასა“.

მიუგო მოწამემან ქრისტესმან: „ჩემდა განზრახუათა მაგათ  
შენთა, რომელთაცა მაზრახებ, ესგუარ ჰრაცხაეს გონებამ ჩემი,  
ვითარცა ბგერასა ქართა უქმართასა. დამცხეერინ ქმანი ცუდნი,  
დაირღუედ წინადადებანი გმობითა საესენი, შეუძლებელ არს 20  
მტერთაგან ჳეშმარიტებისათა გარდაქცევა მჩმი ჳეშმარიტებისა-  
გან“.

მზილუელმან სიმტიციცესა ქრისტეს მოწამისამან მძლავრმან,  
ვითარმედ ვერცა აღთქმითა დიდებათა და სიმდიდრეთა, ვერცა ქა- 25  
დებითა სატანჯუელთა და სიკუდილისათა არწმუნა მას ქმნად ნე-  
ბამ თუსი, უბრძანა მონათა თუსთა ხუაშიადად წარყუანებამ ეესტა-  
თისი საპყრობილედ და იღუმალ წარკუეთად ყოვლად პატიოსანი  
თავი მისი მით, რომელ ნუსადა აღიღონ ქრისტიანეთა ყოვლად პა-  
ტიოსანი სხეული მისი და პატიე-მსცენ მას ჩუეულებისაებრ, არა- 30  
მედ განგდებად გარე შეჭმად მფრინუელთა და მკეცთა.

წარიყუანეს მოწამე ქრისტესი ბრძანებისაებრ მტარუალთა  
მძლავრისათა საპყრობილედ და, ვითარცა მსცნა მოწამემან ქრის-  
ტესმან, ვითარმედ აღმობრწყინდა მისდა დღე ცხოვრებისა და მო-  
იწია მისულამ კელთა შინა მამისა ღმრთისათა ყოვლად განწყმედი-  
ლისა სულისა მისისა, ევედრა მტარუალთა მცირედ დაცადებად 35  
ბრძანებულისა, ხოლო მტარუალთა მათ აცადეს თხოვისებრ.

• ჰრომ. 8,35.



183

/მაშინ მოიდრიკნა მუქლნი და აღიხილნა ზეცად და განმპყრობელმან კელთამან მსტქუა: „მეუფეო უფალო ყოვლისა მპყრობელო, მამაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო, მნებებელო ყოველთა კაცთა ცხოვრებად და ცნობად ჭეშმარიტებისა შენისა მოსლუ-  
 5 ად, შენ უკუე, მეუფეო, რომელმანცა მიითულენ სიკუდილი წმიდათა შენთა მოწამეთა, ვითარცა მსხუერპლი და პატიოსანი იგი სისხლი მათი, ვითარცა სუნნელი შესაბამი შეწირუად შენსა ზეცისა საკურთხეველსა და გვრგვოსან ჰყუნ ივინი იესუ ქრისტეს თანა მხოლოდშობილისა ძისა შენისა და უფლისა ჩუენისა, ღირს-მყავ  
 10 მეცა, უფალო, ზიარებასა წმიდათა შენთა მოწამეთასა და შერთულად გუნდსა, იესუ, შენისათეს მოკლულთასა მე, უნარჩევესი ყოველთა წმიდათა მათ შენთა მოწამეთა შორის. შენ უწყი, უფალო, ვითარცა ყოვლისა მეცნიერმან, რამეთუ უფროს მშობელთა, ძმთა და ნათესავთა ჩემთა შეგიყუარე შენ და სახელისათეს შენისა მი-  
 15 ვილებ სიკუდილსა და შენდამი შეეჰსწირავ<sup>1</sup> ცხოვრებასა ჩემსა „სულისა მიერ შემუსრვილისა და მბერვისა სიმდაბლისასა, შემიწყნარე. ვითარცა ყოვლადდასაწუელებისა მიერ ვერძთა კუროთასა და ვითარცა ბევრებისა მიერ კრავთა პოხიერთასა, ესრეთ იქმენინ მსხუერპლი ჩემი წინაშე შენსა, უფალო, დღეს და სრულ-  
 20 ჰყავ შემდგომად შენსა, რამეთუ არა არს სირცხული მოსაეთა შენდამი და აწ შეგიდგ ყოვლისა მიერ გულისა და გეშიშვი შენ და ვეძიებ პირსა შენსა“<sup>2</sup>. კუალად ვითხოვ შენ სახიერისაგან ღმრთისა ჩემისა არა დატევებად სხეულისა /ჩემისა აქა, არამედ უკუნ-ქცე-  
 V ვად მცხეთად, სადა-იგი გამომიჩნდი მე და რათა აქუნდეს მადლი  
 25 და კურნება ძულთა ჩემთა, ვითარცა პირველთა ჩემთა მოწამეთა შენთა“.

მომზრახობენ ძუელნი ისტორიკოსნი საღმრთოთა ევსტათის ყოვლად საგალობელთა ღუაწლთანი, ვითარმედ: „ესამო კმამ, რომელი ეტყოდა ევსტათის: „არა უნაკლულეს იყო შენ მადლითა კურ-  
 30 ნებისათა პირუელთა მათ შენთაგან, რომელთა მსწამეს ჩემთეს, ხოლო ნურარამდე გაქუს ზრუნუამ კორცთათეს, რამეთუ ვკყო თხოვისაებრ შენისა“.

მასმენელი უკუე ამათი მოწამე ჭეშმარიტებისა მხიარულ იქმნა სულითა წმიდითა და მმადლობელმან ღმრთისამან მიუპყრა ქე-  
 35 დი მახლისა მიმართ და ესრეთ წარიკუეთა თავი იგი მისი ყოვლად პატიოსანი და შესუა ესრეთ „სასმელი ცხოვრებისა და მოი-

<sup>1</sup> შექსწირავ A.  
<sup>2</sup> დანილ 3,39-41.

ლო\*\* გვრგენი სიმართლისა და „შარავანდელი სიკეთისა კელისა-  
გან უფლისა“\*\*, რამეთუ „მოილუაწა ღუაწლი კეთილი, აღასრულა  
პსრბაჲ და დაიმარხა სარწმუნოებაჲ“.

განაგდეს უკუე მტარულთა ღამე სხეული მოწამისა, რომე-  
ლიცა იხილეს რა ვითემე ქრისტეანეთა, აღიღეს იგი და წარიღეს 5  
მცხეთას, რამეთუ ესრეთ ემცნო მათდა სტეფანეს, მეგობარსა და  
ზიარსა ეკსტათი დიდისა ყოვლად საქებელთა ღუაწლთასა, ვითარმედ  
„რაჟამს მიიღოსო ქრისტესთეს სიკუდილი მოწამემან ეკსტათი,  
აღიღეთ იღუმალ ყოვლად პატიოსანი კორცი მისი და წარმოიღეთ  
მცხეთას, რათა დაიღუას კათო/ლიკე ეკკლესიასა შინა ქართუელ- 10 184  
თასა სადიდებელად ღმრთისა, რამეთუ ესრეთ იყო თხოვამ წმიდი-  
სა მის ჩემდა, რათა ნაწილნი მისნი დაიდუნეს ჩუენგან მცხეთას“

წარმდებელთა ქრისტესთეს ვნებულისა სხეულისათა კეთილ-  
მსახურთა მათ მოქალაქეთა ტფილისელთა უწინარეს მოსულისა 15  
თვისსა აუწყეს სტეფანეს ნაწილთათეს წმიდისათა; და უწყებულმან  
სტეფანე უწყებულ ჰყო სამოილცა ნეტარი, მაშინდელი იგი მამათ-  
მთავარი ქართუელთა. ხოლო ვჰგონებ ამისთეს თვნიერ იჭვსა, ესე  
სამოილ იგი არს, რომელმანცა დროსა მამათმთავრობისა სხუსა სა-  
მოილისსა, პატივითა არჩიდიაკონმან, საღმრთონი საიდუმლონი  
განუმარტნა ნეტარსა ეკსტათის და ცნობად ჰეშმარტიტებისა მოი- 20  
უყანა იგი.

მაშინ მოუწოდა თესდა მამათმთავარმან სამოილ კრებულსა  
სამღუდელოსა და განუცხადა მათ ყოვლად პატიოსანი იგი ვნებაჲ  
და სიკუდილი ქრისტესთეს ეკსტათი დიდისა და მათ თანა მიგებე- 25  
ბად ქრისტესთეს მომკუდრისა სხეულისა წარვიდა და ლიტანიო-  
ბითა, გალობითა მოილო დიდსა შინა ეკკლესიასა მცხეთისასა და  
დაჰკრძალა იგი შესაბამსა ადგილსა, ახლად ქმნილსა შინა სამარტუ-  
ლესა, რომლისაგან აღმოეცენებოდიან მადლნი კურნებათანი. ხო-  
ლო სამღუდელომასა მის კრებულისა თანა საქსენებელი მოწამისა  
იეკკლესია და განაწესა დღესასწაული წელიწდითი-წელიწდად 30  
თთუესა/ იულისსა კთ.

ხოლო მდგომარეობს ეკსტათი პატიოსანი წინაშე საღმრთომსა  
საკურთხეველისა და შესწირავს ყოვლად წმიდისა სამებისა მიმართ  
მსხუერპლთა ქებისათა და მეოხ არს ყოვლისა სოფლისათეს და  
უფროსდა ჩუენთეს, რომლისა ოხისა შემწირუელი უფალი დიდე- 35  
ბისა დღითი-დღე კეთილმსახურებასა შინა და მეცნიერებასა „აღ-

V

\* ფსალ. 115,4. \*\* სიბრძ. 5,16. 3\* შტრ. 2 ტიპოთ. 4,7.

გუაორძინებს მადლითა და მეცნიერებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა. მისა დიდება<sup>1</sup> აწ და დღეთა მათ საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ“.

- 185 /შენსება და მოთხრობა ღუაფლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა  
მოწამისა აბო ტფილისს ვნებულისათა, ჟმნილი ანტონის მიერ  
5 არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზამოგასა საქართუელოგას,  
ღავითიან-გაბრატოვანისა
- აბო ბრძენ გნომ დიდ, ესთ ვინ ზე მე თვით ირის.  
კეთილ, ლალ, მჭერულ, ნარდ ოღვის პაზიონებ.  
ჟირ რაზარინებ, სუმბულ ტეევანთ უფროს ფშუ.  
10 ქარებ ღრუბელთ ყრი, შლი ჩირთთა ციერ ძლიერთ  
წურთილ ჭირთ ხშირთა ქსნი, ჯუარით ქავთ, მ  
წმიდლო.

სიტყუა მეთორმეტე

- არარამვე არს უმეტეს შუება სულისად, ვითარ მოქმედებამ  
უაზნაურესისა ძალისა მისისა, ესე იგი ნივთთა განყოფითი წარმო-  
15 დგომამ ანუ გამოხატუამ სრულად და სავედ და განჰჯამ მათი,  
რომლითა თუთოეულნი ქუმედებარენი შესმენილთა თუსთა მიმართ  
ქუმედებარედ იცნობებიან და დანიშნულნი ქონებად კელთა შინა  
განმმსჯელთასა იპყრობიან მით, რომელ არსთა განსაზღურებანი  
არსებანი არს ყოფად და არსნი განსაზღურებისაებრ არსება ყოფად  
20 ნამდულ ჭეშმარიტ ისარწმუნოებიან.
- ვინა მრავალ და ურიცხუ სხუაობათა შინა არსთა განსაზღურე-  
ბათასა ერთი და იგივე არსება საზოგადო მიფენილ და წარმოდგო-  
მილ ყოველთად იცნობების, რომლითა ვითარცა ხატისაგან ჭეშმა-  
რიტება სიტყუერთა შორის ცნობად შემოვალს და ერთობა შემოქ-  
25 მელისა განუსაზღურებელისა არსებისა მოგონებულსა მისგან ერთ-  
სა ზედა საზოგადოსა არსებასა გარდაიხატების, ხოლო გარდახატუ-  
V ლი იგი ერთობა მრავალთა მიმართ და უსაზღეროთა /ყოფთა საზო-  
გადოდ წარმოდგომილი მიღებისაებრ თუთოეულისა სხუადასხუა-  
გუარ გავითარდების და უკუნმსფერები თუს შორის მხოლოობისა  
30 თუსისა განუკუთეულად მრავალთა მხოლოთა თავთა შორის თუსთა

<sup>1</sup> დიდება+და AB.

• 2 პეტ. 3,18.

უკუნასფერებს და მათ ყოველთა შორის ერთობა მზისა, ღმერთისა თუთოეულეებითა მათითა იქადაგების, ვითარ-იგი მრავალთა ოქრომასა ჭურჭელთა სხუადასხუაგუარად დანაყუეთთა კელოვნებაა ოქრომსმჭედლისა მისვე და ერთისა იცნობებოდეს.

რომლისათჳს მრავალსაგალობელ არს ღმერთი, რამეთუ საუ- 5  
კუნითგან მოგონებულნი იგი არსებანი, რომელთაგან რომელნიმე ხატადცა თჳსა და სხუანი ხატად მათდა ყოველნი ღმერთსა შინა ყოფად წარმოაყენნა და არყოფისაგან მოიყუანნა ყოფად, ხოლო ხატად თჳსა მოგონებული იგი მყოფი გულისხმის-ყოფითა და ნებითა მიჰმადლა აროდეს დამვიწყებელმან მისმან. ხოლო თუ სადამე 10  
მსჯელმან მისდამი სიმართლით, გარნა მრავალგუარობითთა სახიერებითა მოწყალეკმნილმან მისდა ვიდრე სიტყუსა და სიბრძნისა თჳსისა კორცთამდე მშუნივეერთა მოსულად და „ღამდაბლებად ვიდრე სიკუდილადმდე ჯუარითა“\*. ესრეთ განათლებად ერთითა ნათლითა თჳსითა მიზეზმან მიზეზთამან და ღმერთმან ღმერთთამან 15  
არა განაყენა თავი თჳსი ყოვლისა მისგან სახიერებითისა მოქმედებისა, ვიდრემდე დიდებასა იზიარა თჳსსა.

ესოდენთა ვიდრემე სახიერებითთა წყალობათა /თჳსთამან, 186  
რომელმანცა ყოველნი არსნი ბუნებით ტრფიალებად თჳსდა მოიყუანნა, ვითარცა ნამდულ საყუარელმან და სატრფიალომან, ზედა 20  
ღმერთო ესეცა, რამეთუ „მოავლინა ძეა თჳსი სოფლად“\*\* „მიფენად ცეცხლისა“3\* და სულთა თჳსითა აღატყინა იგი, რომლითა იუდეანთაგან და ელინთა და ბარბაროსთა შემოქცარიზნა ერნი ერთობად და დიდებად ერთობისა თჳსისა. ხოლო მათგანნი მიფენასა შინა ცეცხლისასა რომელიმე აღეტყინა უდიდეს შეწყყნარებდაებრ 25  
ცეცხლისა და რომელიმე უმცირეს, რამეთუ ყოფაქცევითმან ჩუეულეებამან არსებათამან ჰქმნა დაკუეთებამ ესე მათ შორის.

მოტყინარენი საღმრთოთა ამით ცეცხლითა შეუდგეს და არა განემორნეს კორციელად მოსრულსა მას სიტყუსა ღმერთთმთავარსა, ჰრწმუნათ მისდამი, დაუტყვეს ყოველი, „ჯუარს-აცუნეს 30  
თავნი თჳსნი“4\* მის თანა, „უქადაგეს სახარებამ მისი ყოველსა დაბადებულსა“5\* და მოიყუანნეს იგინი შეწყყნარებად ცეცხლისა საღმრთოთასა, „მოციქულ ეკკლესიისა იქმნეს და დიდებად ქრისტესა“6\* მოწამედ ჰეშმარიტებისა, ღმრთისმეტყუელ მხოლოობასა შინა არსებისასა სამგუამოვანისა ღმრთაებისა, მახარებელ სიტყუსა 35

\* შტრ. ფილიპ. 2,8. \*\* იოან. 3,17. 3\* ლუკა 12,49. 4\* შტრ. გალატ. 5,24. 5\* შტრ. მარკ. 16,20. 6\* შტრ. 2 კორ. 8,23.

განგებულებათა კორციელთა, მაცხოვარ კოდეილთა და ღმრთისად-  
მი დამგებელ განდგომილთა.

სხუანი თქმულთა მათა იქმნეს განმმარტებელ მართლმადი-  
ლებლობისა, განმფენელ, მოძღუარ ეკკლესიისა, განმწმედელ ღუ-  
5 არძლთაგან წულაებათასა ყანობირთა ეკკლესიისათა, თესლთა/  
V გმობათასა აღმომფხურელ, სხუა მოციქულ ეკკლესიისა მიმართ,  
საყურ ოქროვმოვან ზეცით დაბერვილ სულითა წმიდითა განლძქე-  
ბად სულთა დაქსნილთა, უხილაეთა არსებათა და დაფარულებათა  
ესგეუართა განმაცხადებელ და კანონთა საჭიროთა და საკმართა  
10 საცხოვრებელთა ჰსჯულისმდებელ.

სხუანი ნებსით „საჭურისმყოფელ თავთა თესთა სასუფეველი-  
სათეს ღმრთისა“, კორციელისა არსებისა უზესთაეს ყოფისა  
მომღებელ, უენებელ სულითა, დაწულილებულ კორციითა, სხუა  
ანგელოს სოფელსა შინა ნიადაგ „ჯუარცმულ სოფლისა მიმართ  
15 და სოფლისა ჯუარცმულ თავთა თესთად“\*.

სხუანი სურვილით და, უდიდესი ეპსთქუა, უმწუერუალესით-  
რე ტრფიალებით შემსმელ „სასმელისა უფლისასა“<sup>3</sup>, ურმისთუ-  
ალთა საშინელ მბრუნავთა, მკეცთა მძუნუარებათა, ცეცხლისა მქუ-  
ხარედ აღტყინებულებათა, პელელოთა უცნაურთა სიღრმეთა, რკი-  
20 ნათა ციეთა ანუ განქურუებულთა, სხუადასხუაგუარ დანაკუეთე-  
ბულთა სიძნელეთა, ყინელთა სასტიკებისა, კლდეთა და მთხრებლ-  
თა კინლა განუცდელთა სიღრმეთა, ასოთა განთესუათა არა მრი-  
დებელ, არამედ სიხარულით ყოველთა მიმღებელ.

ამათგანთათეს ცეცხლითა მით საღმრთოთათა მოტყინარეთა შე-  
187 25 სხმად და გალობად განილძა /სულმან და მიზეზ განლძქებისა მე-  
ქმნეს თქმულნი პირველსა და მეორესა და მესამესა სიტყუსაა ში-  
ნა, მაგრა უფროსად მარტულთმოყუარება, ვითარცა კშუენის გო-  
ნებასა ქრისტეანესა.

ამისთეს მღუდელმთავარი ქრისტესი საღმრთოთა ვასილი კე-  
30 სარეილი ორმეოცთათეს მოწამეთა შესხმისსიტყუაობასა შინა  
იტყვს წმიდისაებრ სულისა თესისა: „მარტულთა ჰქსენებითა ოდეს-  
ცა იქმნა განძლომა მოყუარისა მათისა“, ხოლო აღმოვაჩინებ მეცა  
აღმოჩინებითსა წინადადებასა მოძღურისასა. ყოველი მარტულთმო-  
ყუარე უძღებ არს ჰქსენებისა მიმართ მათისა მით, რამეთუ ჰქსე-  
35 ნებამ ვნებისა მათისა მოქსენება არს ცხოველსმყოფელთა ვნებათა  
იესუსთა, რამეთუ ამათ საწერტელნი იგი უფლისა იესუსნი კორც-  
თა შინა თესთა იტურთენს“<sup>4</sup>.

\* შღრ. მატ. 19,12. \*\* შღრ. გალატ. 6,14. 3\* შღრ. 1 კორ. 10,24. 4\* გა-  
ლატ. 6,17.

საქადულობა არს ქრისტესმოყუარეთა ქრისტეანეთად კადნი-  
 ერებაჲ მოწამეთა მძლავრთა მიმართ, ტკბილ არს პირთა შინა სი-  
 ტყუამ ყოვლად წმიდისათჳს სისხლისა მათისა, სასურუელ არიან  
 თქმად წმიდანი იგი ტკივილნი და წყლულებანი მათნი, სიხარულ  
 არს სულსა შინა დიდ ყოვლად განწმედილთა მათ სულთა მათთა 5  
 დატყეებაჲ კორცთა და წინაშე საღმრთოჲსა საკურთხეველისა  
 იერარხთა თანა ზეციერთა დაწესებაჲ. სანატრელი არს ადგილი  
 იგი, რომელიცა განიპოხა სისხლითა მათითა და სამარტყლემ იგი  
 შემწყნარებელი ყოვლად წმიდათა სხეულთა მათთა და ქალაქნი,  
 რომელნიცა შეიმკუნეს მათ შინა სრულყოფითა ღუაწლთა მათ- 10  
 თათა.

/თანა-აძს ქალაქთა სპარსეთისა და ძუელისა მიდიისა და ერ-  
 მანიისათა, რათა პნატრიდენმცა ქალაქსა სამეფოსა ყოვლისა ზემო-  
 მსა საქართუელომსასა ტფილისს, რომელიცა შეიმკო მრავალჯერ  
 სისხლითა მარტულთათა და უფროსლა მფარუელისა თჳსისა აბო 15  
 სანატრელისა, რომლისათჳს არს აწ სიტყუამ ესე ჩემი.

ვინამთგან სხუათათჳს წმიდათა მოწამეთა ქრისტესთა „მოღუ-  
 აწეთა ღუაწლისა კეთილისა და აღმსარებელთა კეთილისა აღსა-  
 რებისათა“, რომელთა ჰსწამეს ქრისტეს ღმრთისათჳს ადგილთა  
 შინა საქართუელომსათა მიმნდობელთა ღმრთისათა და არა ჩუენი- 20  
 სა გულსხმისყოფითისა ძალისა კელ-ვჳყაეთ სამღუდელოთა მათ  
 ღუაწლთად და ენებათა მათთა შესხმად და გალობად, აწ შეწეენითა  
 ცხოველსყოფელისა სულისათა ვიწყით გალობად და ქებად და  
 მოთხრობად სადღესასწაულომსა ამის საგალობელისა აბო საკრუ-  
 ელისა ღუაწლნი და ენებანი. 25

სათანადო ვიდრემე არს ქრისტესმოყუარეთად დატყეებად  
 ამოებანი ყოველნი, რომელთაცა ჰყუარობენ მოყუარენი სოფლი-  
 სანი და ნიადაგ გამოხატუად და წარმოდგომად სულსა შინა მარ-  
 თალნი და კეთილნი მოგონებანი ღმრთისა მიმართნი და ღმრთისა- 30  
 თჳს. ხოლო მართალნი და კეთილნი მოგონებანი არიან სხუთა თანა  
 ესენიცა მოგონებად სულსა შინა ტრფიალებამ იგი, რომელი აღა-  
 ტყდა ყოვლად განწმედილთა სულთა შინა მოწამეთასა მისდამი,  
 რომელიცა /ვიდრე ხატამდე მონისა დაცალიერდა და ნამდულ 188  
 უცხონი ზეციერთაგან თავისა მიმართ თჳსისა შეპკრიბნა ნაცულით  
 პყრობად და შეტკბობად ურთიერთას<sup>1</sup>, ესე იგი, ვითარმედ ერთი 35  
 იპყრობს თჳს შორის სიყუარულსა მეორისასა და მეორე ნაცუალად

1 ურთიერთარს B.  
 \* შდრ. I ტიპოთ. 6,12.

ერთისასა და სხუამ სხსასა და ყოველი ყოვლისასა და ესრეთ აე-  
ქსონი იგი და მომცემი ესევეითარისა წმიდისა გულისხმის-ყოფისა  
დაიცავს მათ ყოველთა ერთობასა სულთასა საკრუელითა მით  
მშუდობისათა მით, რომელიცა „თავ არს ქსეჯულისა და წინასწარ-  
5 მეტყუელთა“.

ეგსახედ სათანადო არს განსჯად ქრისტესმოყუარეთად მარ-  
თალნი იგი და კეთილნი მოგონებანი, რომელა აღტეხილი იგი  
ტრფიალებამ მოწამეთა შორის ქრისტეს მიმართ, თუ ვითარ სა-  
დათ მოჰსრბა ერი ესე პრჩეული ღმრთისა და რაბამ მჰსრბოლობით  
10 მოჰსრბა და ზეცისა ძალნი განაკურუნა და იძულებით ქებისსიტყუ-  
აობად თვსდა მოიყუანნა და ყოველნი ენანი სიბრძნისმოყუარეთა  
კეთილმსახურთანი სიხარულით შესხმად და გალობად ყოველად  
წმიდათა მათ ღუაწლთად ვნებულთასა ათქმინა. ხოლო დღესას-  
წაულობად ეკკლესიასა მოსწრაფებით მოჰხანდა მსრბით, არათუ  
15 ზურგით მსრბოლობად დღესასწაულისა, არცა დაკლებად მოწამე-  
თა მესაიდუმლოებისაგან<sup>1</sup>, არამედ მევეკლესიეთა შორის შექმნად  
შუებისა და განსუენებისა და შაბათობისა.

V /ეჰა, შეკრებულება სახელითა ქრისტე უფლისა ჩუენისათა  
მადიდებელი ღმრთისა, მგალობელი ძღვევისა გალობისა მმადლო-  
20 ბი ღმრთისადმი, რამეთუ ქალაქი ესე ჩუენი, რომელსა ზედა წო-  
დებულ არს კორციელად სახელი მამულისა ხატისა და ბრწყინუა-  
ლებისა და ბეჭედისა, სადა მძლო მოწამემან ქრისტესმან „მრავალ-  
თაესა გუელსა ამპარტაევანსა“<sup>2</sup>, სადაცა დააკუეთა ქუეყანად და  
შეჰმუსრა იგი და ქალაქსა დაუტევა დიდსახელობამ საუკუნოდ.  
25 ხოლო მძლე ესე ქრისტეს მიერ, რომელ არს ტკბილ-საცხენებელ  
პირთა შინა და საწადელ გალობათა შინა, არს ნათესავით ბარბა-  
როს, უცხოთესლ, სარაკიანთა შთამოებისაგან, ველურ ზეთისხე,  
რომელიცა კელოვანმან მღუდელმთავარმამ მან მემტილემან მოი-  
ლო მტილსა შინა თვსსა. ხოლო მტილსა უკუე ვიტყვ, სადაცა უბრ-  
30 ძანებს „ადღგომად ჩრდილოსა და მოსლუად ბლუარსა და მობე-  
რუად ქარისა მტილსა მას ზედა, რათა მსლიოდენმცა ნელსაცხე-  
ბელნი მისნი“<sup>3</sup>.

ამას უკუე მტილსა შინა თვსსა მარჯუენსა ადგილსა მემტილე  
მტილსა მის თვსისა, „რომელიცა კყო დაჰმულ და სიძე სძლი-  
35 სა“<sup>4</sup> შორით მოსრულისა მშუდობა იგი სიბრძნე ღმრთისა, კყოფს

1 მესაიდუმლოებისაგან B.

1 შტრ. შატ. 22,40. \* შტრ. აოკალ. 12,3. 3\* შტრ. ქება 4,16. 4\* შტრ. ქება 4,12.

„ველურისა მის ზეთისხისა დამყნასა ძირსა ზედა ბუნებითისა ზეთისხისასა“\* კელოვნებითა პაველესითა და პრწყავს წყლითა მით ცხოვრებისათა და აღაორძინებს, რათა „გამოპსკეს ნაყოფი თვისი ღროსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დაჰსკვენეს“\*\*.

189

„არა არს ჰურიიება, არცა წარმართება, არა არს მონება, არცა აზნაურება, არამედ ჩუენ ყოველნი ერთ ვართ ქრისტე იესუს მიერ“<sup>3</sup>, ამისთვის „დიდება და პატივი და მშუდობაჲ ყოველსა მოქმედსა კეთილისასა, ჰურიასა პირველად და მეორე წარმართსა, რამეთუ არა არს თუალთ-ღებაჲ ღმრთისა თანა“<sup>4</sup>.

5

ესა, კაცთმოყუარება ღმრთისა გამოუთქმელ და სახიერება მიუწოთმელ, რამეთუ მღევარსა მოუწოდებს კორციელად გამოცხადებითა მისდამი თვსთა და ჰურ პრჩეულ ჰყოფს და მოძღუარ ყოვლისა სოფლისა და მოსრულთა მისდა „აღმოსავალით და დასავალით, ჩრდილოთ და სამხრით უტევებს ინაჯისდგამად აბრაჰამის თანა, ისაკოს თანა და იაკობის თანა“<sup>5</sup>.

15

არა ვისმე დაუტევებს, რათა არა ესმამცა სახიერებდა მისი და მსსმენელთა და მისდა მისრულთა ჰეშმარიტებით არა დაკლებულ ჰყოფს გამობრწყინუებისა მისგან მადლითისა, რომლითაცა განბრწყინდეს მახარებელნი მისდა, ხოლო „მეათერთმეტისა ჟამისათა“<sup>6</sup> და პირველსათა სწორსა მისცემს მიზლსა, რამეთუ სახიერ

20

ესეგუარითა უკუე სახიერებითა მოიწოდების ნათესავიცა უცხოჲ ტომითისა შთამოებისაგან ისმაილიტთასა აბო, შობილი ახალსა შინა ბაბილონს, რომელსა ზედწოდებულ ჰყოფენ არაბნი და სპარსნი და თურქნი ბაღდად, ღროსა სიჭაბუკისასა, შობითგან თვისით წელიწადსა მეათრუამეტესა, რამეთუ იზრახა ამან, რათა წარმოვიდესმცა ქართლად ნერსეს თანა, ძისა აღარნასეჲსა, რომელი იყო ერისთავი ქართლისა, რომელიცა ღროსა მას განტევებულ იქმნა საპყრობილისაგან, სამ წელ ჰყრობილი მუნებურისაგან მფლობელისა ამირ-მუმლისა.

25

V

30

მიზეზი ნერსეს მიმართ მისულისა ჰაბუკისა მის სარაკიანისა იყო ესე, ვითარმედ ჰაბუკი იგი აბო მეცნიერ იყო და დაკელოვნებულ კელოვნებისა მიმართ მენელსაცხებლეთასა და მივიდა ნერსეს მიმართ მსახურებად, რათა თანა წარმოჰყუესმცა ქართლად და კელოვნებითა მით მსსახუროს თვისითა და კელოვნებაჲცა იგი თვისი უსაკმარეს თვსდა ჰყოს ესეგუარსა შინა ქუეყანასა მკელოვ-

35

\* შღრ. პრმ. 11,24. \*\* ფსალ. 1,3. <sup>3</sup> გაღატ. 3,28. <sup>4</sup> პრმ. 2,10. <sup>5</sup> შღრ. მატ. 8,11. <sup>6</sup> მატ. 20,9.



ნებელმან, სადაცა არა მრავალნი იპოებოდენ მსგავსნი კელოვანნი, ხოლო გამოცდილ იყოცა და ზედმიწევნით მახმედთანთა ბარბაროსებრთა წერილთა.

- აბო მოსრული ნერსეს თანა ქართლად, ზედმჭურეტი ეკკლესი-  
 5 ათა ქრისტესთა შეკრებულეებისა მის წესიერისა და წმიდისა და ამპარტავანთა დამამდაბლებელისა, ხოლო სამღუდელოასა მის კრებულისა სიმშუდითა და სათნოებათა შემკულისა, რამეთუ რომელი-  
 მე მათი ზედმპაზრუელობნ<sup>1</sup> სამოციქულოთა ჰსჯითა ვრსა ქრისტესა და ჰყოფნ კელისდასმასა სხუათა თანა მსგავსათა თუსთა,  
 10 მსგავსთავე ეპისკოპოსთასა და მღუდეღთა და მსახურთასა და ქუემოთა მნეთა საეკკლესიოთა. ეგსახედ ეპისკოპოსნი და მღუდეღნი  
 190 შექსწირავენ უბრალოებით მსხუერაბლსა სიტყვერსა, არცა ერთისა რამსამე ბრალობისა ღირსსა და განკბანნ შეორედ შობითისა შეილებისა ღმრთისა საბანელითა და დაქსნილთა სულთა აღადგი-  
 15 ნებნ ღმრთისმსახურებად, შეცთომილთა მოაქცევენ და სნეულებათა სულიერთა ჰკურნებნ. სხუანი მსახურებნ ეპისკოპოსთა თანა და მღუდეღთა მსახურებასა თანამდებსა თუსსა წარკითხვთა წმიდისა სახარებისათა ერისა მიმართ და მსახურებითა სხუათა სათანადოთა თუსთათა. სხუანი ჰგალობნ კრძალულებითრე საღიღებულად  
 20 ღმრთისა, ხოლო ყოველი ერი ქრისტეანეთა ეპისკოპოსთა თანა და მღუდეღთა მსახურებნ ღმერთსა კეთილმსახურებით ერთითა წმიდითა სარწმუნოებითა შეკრებული, ერთისა ღმრთისა სამობასა შინა გვაშოვნებათასა აღმსარებელი და ერთისა მიერ ძისა ღმრთისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიერ ჩუენ თანა ზიარებითა კორ-  
 25 ცთათა მამისა მიმართ ზიარებული.

- აბო, ესევეითართა სიკეთეთა კეთილმსახურებითთა წმიდისა ეკკლესიისათა განმჰსჯელი, შეიწყნარებს სიყუარულით და სარწმუნოებით ყოველსა სახარებასა ქრისტეს მაცხოვრძასა, აღიარებს ყოველთა განგებულებათა მისთა, ერჩის ყოველთა „მოცე-  
 30 მულთა მოციქულთაგან, ანუ წიგნითა და ანუ სიტყვთა“\* მიიღებს ყოველთა ჰსჯულისდებათა მამობრივთა მოძღურებათაგან, ვინამცა „ნათელს-იღებს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა  
 V წმიდისათა“\*\*, შეიწყნარებს წმიდასა სამებასა თუს შორის, ადულ  
 ისწავენ საღმრთოთა და სამღუდელოთა წერილთა ძუელისა აღთ-  
 35 ქმისა და ახლისა მადლისათა, ვითარმედ აბოხთუს მომზრახობენ მენისტორიენი ყოველად წმიდათა ვნებათა მისთანნი: „სრულ იქმნაო

<sup>1</sup> მპაზრუელობნ A.

\* შტრ. 2 თესალ. 2,15. \*\* შტრ. მატ. 28,19.

იგი ყოვლითა მოძღვრებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტეს მიერ“.

ამათ შინა იელტოდა სანატრელი აბო ტფილისით, ვითარმედ სარაკიანთა მათ კელმწიფეთა განრისხებამ მბორგალი მძნუარედ დაეკუეთა ერისთავსა ქართლისასა ნერსეს, ხოლო იგი წინააღმდ- 5 გომსა ჰყოფდა მათდა ბრძოლით, განაღა ვერ უძლო ხანგრძლივ წინააღმდგომობამ მათი ბარბაროსთა მათ სიმრავლისაგან და დიდძალობისაგანცა კელმწიფობითისა, რამეთუ დროსა მას არამცირედ ჰბორგდეს ჩუენ ზედა მოწაფენი მახმედ ბილწისანი, ვითარ-იგი მიცემულ ვიყუენით ჩუენ ცოდუათა ჩუენთათჳს ფლობასა ქუეშე 10 მათსა, ვინამცა ნერსე, ელტოლვილი ქართლით, რომლისა თანა სანატრელიცა აბო, განელის კარსა ოვსეთისასა, დარიალ ზედწოდებულსა, და მისრული ევროპიისა სარმატიად ხაზარად, რომელსა თურქნი ყირიმ ზედწოდებულ ჰყოფენ, მოვალს მთავრისა მიმართ მუნებურისა, რომლისაგან ნუგეშინისცემასა მიემთხვა. 15

აბო განმდიდრდებოდა დღითი-დღე სათნოებათა მოკვებითა და ძალითი-ძალად მსულელი ყოველსა სიმრგულესა<sup>1</sup> კეთილისა ყოფა- 191 ქცევისასა მოვლიდა და ხედვითითა ნათლითა განათლებული /იგი სული მისი ჯორცთა საქმითისა მიმართ სიკეთისა ქმეულ-ჰყოფდა და ორითავე სიბრძნისმოყუარებითა ქრისტეს მიმართ ფილოსო- 20 ფოსობდა.

რამამ ცეცხლ დიდ იქმნას და ალთა სიმაღლედ აღმტევებელ მცირედი იგი ნაბერწყალი, ნაწილი ნაკუერცხალისა, გამოზრდილი ნიეთთაგან, რომელიცა შემძლებელ არს ყოველთა გარემოთა თჳსთა ნიეთთა განლევად, ეგსახედ ცეცხლი იგი ტრფიალებისა სიყუარუ- 25 ლისა ღმრთისა შეიწყნარა რა აბო გულსა შინ თჳსსა, გამოზარდა იგი სარწმუნოებითა და სასოებითა და აღატყინა დიდძალ და ჰაერსა ზედა უვნებელობისასა ალი მისი აღამაღლა, ესე იგი საღმრთო მსაგან ტრფიალებისა განათლებამ გონებისა; და რომელნიცა 30 კპოენნა მახლობელ თჳსა ცეცხლმან მან ნიეთნი ზესთმჩენობითნი და ცუდადზუაობითნი და დაქსნილებითნი და რომელნიცა წინა-აღუდგებინ ყოვლად წმიდასა მრთელცნობობასა, დაწუნა და სიმაღლედ ერთისა ნათლისა მიმართ აღვიდა.

ნერსე ხაზარით მუნებურისაგან მფლობელისა გამოტევებული მშულობით სამეფოდ ავაზაგიისა (რომელსა ჩუენ ზედწოდებულ 35 ეპყოფთ აფხაზეთად) მოვიდა, სადა მეფისაგან მუნებურისა სიხარულითა დიდითა შეწყნარებულ იქმნა და მუნ დედაცა თჳსი და

1 სიმგრგულესა B.

კოლნი და შეილნი, ყოველნი სახლეულნი თქსნი იხილნა ელტოლ-  
ვილნი ქართლით.

V არა მცირედ აღუუაუნებოდა მაშინ სახარებეა/ქრისტესი ავაზა-  
გიას შინა, რამეთუ ერთი ავაზაგიისანი ფრიად მოსწრაფებდეს  
5 კეთილმსახურებისა სარწმუნოებისა კეთილთა საქმეთა მიერ შემ-  
კობასა, რომელთა მხილველი ყრმა-მოხუცებული აბო ბაძუად  
ნეტარსა სულსა თქსსა განაღებდა.

განვიდა ბანაკისაგან წმიდისა საეროსა აბო ბრძოლად უცხო-  
თესლისა მის „ამაღლებულსა“ მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა“  
10 მაყუდრებელსა მწყობრისა მიმართ ღმრთისა ცხოველსა, აღმ-  
ლები ქელთა კუერთხისა სიმჯნისა და დიდსულობისა და „გამოირ-  
ჩია თავისა თქსისა ქუა ხუთი“\*, ესე იგი სამნი საღმრთონი იგი  
სათნოებანი და ორნი — მრთელცნობობა და უმანკოება და შთაქს-  
ნა იგინი ეაშკარანსა შინა მდაბალმზრახუელობისასა და ქელთა ში-  
15 ნა მისთა შურდული კრძალულებისა, ხოლო საღმრთოთა ცნობითა  
განათლებულმან „სახელითა უფლისა ღმრთისა საეაოთისათა  
ქსტყორცა შურდულითა“<sup>3\*</sup> კრძალულებისათა და ქსცა შუბლსა  
ზედა უნიეთოსა უცხოთესლისასა და დაქსცა პირდაღმა და იქო  
იგი ყოველთა ზეცისა ძალთაგან.

20 თუესა უკუე იანუარსა იზ, ქქსენებასა ღმერთშემოსილისა მემ-  
ხოლოეთა მთაერისა ანტონი დიდისასა, იწყო შესლუად საღმრთო-  
მან აბო ასპარეზსა მმარხუელობისასა და აღილო თავსა ზედა  
თქსსა შრომა ფიცხელი, ზედგომობა უწყინებელი ბრძანებისაებრ  
უფლისა „მხიარულითა სულითა ლოცუა ყოვლად განწმედილი“<sup>4\*</sup>  
192 25 და მო/ძღურებისაებრ მოციქულისა „მოუკლებელი“<sup>5\*</sup> დუმილი  
დედა მგლოვარებისა, ცრემლნი წმიდანი მბანელნი, მოგებულნი  
წმიდისაგან გულისხმის-ყოფისა მისისა დედად თქსად, სულთქმანი  
სანატრელნი, მარხუა განმაქმობელი წყურვილისა მიერ სასათა და  
მომყუანებელი დედოფლისა მკველად, ყოველსავე შინა კრძალუ-  
30 ლება უცთომელი, „სული შემუსრვილი“<sup>6\*</sup>, სუნიდისი მკბენელი  
არა გარდაჯდომად ქსჯულისაგან საღმრთოსა ბუნებითისა და  
სუნიდისისა, ველნი უბრალონი ღირსად აღპყრობილნი ღმრთისა  
მიმართ, მორჩილება ყოველად უმანკო ნებსით განმცემელი მონად  
ქუემდებარისა თქსსა, უცხოება ყოვლითურთ ნებით და სხეუ-  
35 ლით, გული განწმედილი ყოველისაგან ბილწენებულებისა ძვრის-

1 ამაღლებულისა AB.

\* 2 კობ. 10,5. \*\* 1 მეფ. 17,40. 3\* ზღრ. 1 მეფ. 17,45. 4\* ზღრ. ლუკა 18,1.  
5\* ზღრ. 1 თესალ. 5,17. 6\* ფსალ. 50,17.

ქსენებისაგან და ზაკესა და მწყალობელი უქონელთად და დაჭირებულთად, გონებამ ღმრთისადმი მინამძკსკუალი და მისდამი სარწმუნოებით მოსაგი და ღმრთისა მიმართითა მეცნიერებითა განათლებული.

ხოლო დღეთა შინა წმიდათა ორმოცთასა და ცხოველსმყოფელთა ენებათა საუფლოთა არარამგესა მიიღებდის საზრდელსა ნიეთიერსა, საჭიროსა სხეულისასა, თვნიერ შაბათისა და კვრიაკისა, და მაშინცა ფრად მცირეთა და უნდოთა ოდენ და შუდელუსა შინა ორგზის მიიღებდის ცხოველსმყოფელსა კორცსა და პატიოსანსა სისხლსა უფლოსა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.

ეჰა, ცუალეზა ესე მდგომარეობისა არსებისა /მიმართ ღმრთის ხატისა, რამეთუ ძნიად შეძრუადი იგი უღარეს-ყოფა ანაგები მამეულისაგან უღმრთოებისა იცუალეზის და ძნიად შესაძრუელ კეთილ-ყოფად გარდაიქმნების, ძალი ძალისაგან იწარმოების, ვითარმედ სულსა გულისხმიერსა და მნებებელსა შემოქმედისა მიმართ აქუს ძალი სარწმუნოებად, თუ სადამე დაბაყენებულ შეხუდამცა არარამე დაკუეთებად, ხოლო უღმრთოებად დაკუეთებული პირველ სულისა მიმართ დაბაყენებდა, დაღათუ ძალსა სულისასა კრწმუნებად შემოქმედისა მიმართ, გარნა დაიჯნა რა დაკუეთებად იგი და ძალი შეიცუალა მოქმედებად მით, რომელ ძალი სულისა რწმუნებად<sup>1</sup> შემოქმედისა მიმართ იცუალა მოქმედებად და ძალმან ამან მექონმან სხვსა ძალისა, ესე იგი სიყუარულისამან, აწარმოა რა ძალი, შეიცუალა იგიცა მოქმედებად. ვინამცა ძალისაგან სულისა მოქმედებად ცუალეზულისა წარმოებულმან ძალმან მოქმედებად რე ცუალეზულმან განამრავლნა სულსა შინა დაკუეთებითა თჳსითა ყოველნი მართალნი და კეთილნი მოგონებანი და განსჯათა განგრძელებულთა ნამდულ ჭეშმარიტ მიზეზ იქმნა, რომლითა სარწმუნოებად მხოლომსა სამობისა მიმართ ღმერთმთავერისა და ყოველთა კორციელთა განგებულებათა ერთისა სამებისაგანისა ღმერთმთავერისათა და ყოველნი კეთილნი მოქმედებანი გამოქსცნა, ვითარ-იგი წვმიერსა ღრუბელსა შინა ანუ წყლითა აღუსებულსა ბურთსა შინა ბროლისასა საესედ მოსრულმან შარავანდელმან მზიურმან/ გამოქსცნეს ფერნი შუენიერნი სხუადასხუანი.

აბო ყოველკეთილობასა შინა მდგომარეობითა ცუალეზული და წმიდათა და სანატრელთა ყოვლად საწადთა და ღმრთისა თანა შემაერთებთა ვითარებითისა ნათესაისა სახეთა ქუემდებარე ქნოლი წარებატებოდა დღითი-დღედ და ისარნი ყოვლად წმიდანი

<sup>1</sup> კრწმუნებად B.

ტრფიალებისა ნამდულ სატრფიალომანი ტკბილითა საწერტელითა უგმერდეს გულსა მისსა. აღატყინებდა გულსა თვისსა ნეტარი სულ-მისი ცეცხლითა ღმრთისა მიმართ განლძქებისათა და თუთ ყოველ-თაგან ნიეთთ თანაშეკრულებათა მოცლილი ღმრთისა მიმართ ყო-  
 5 ლად დასაწუელად მღუდელ-მოქმედებდა და ვითარცა მთურალი, ნიადაგ მსმითა უხილაჲად სასმელისა უფლისათა ყოველთა არსთა-განისად ხედვისაგან დაიძინებდა და ღმრთისა მიმართ მღვდარე ოდენ იტყოდა: „მე მძინავს და გული ჩემი მღვდარე არს“.

ხოლო სანატრელისა პავლესებრ ქრისტესმოყუარე იგი სული  
 10 ყოვლად საწადელსა კმასა პავლესსა მის თანავე აღმოუტყეებდა: „გული მეტყვის განსლუად და ქრისტეს თანა ყოფად უფროს და უმჯობეს ფრიად“\*. ხოლო ყოველსა შინა ჰგალობდა ნეტარისა დაფითის თანა: „მაუწყენ მე, უფალო, გზანი ცხოვრებისანი და აღ-მავსო მე სიხარულითა პირისა შენისათა“<sup>3</sup>.

15 შემდგომად მელტოლუარეობისა ნერსე ქართლისა ერისთავსა ერისთავ ქართლისა იქმნა სტეფანოს, ძე გურგენ ერისთავთერის-თვსა, დისწული ნერსესი, რომლის მსმენელმან ნერსე მხიარულ-ქმნილმან უქმოაქცივა თავი თვისი ქართლა/დვე. ხოლო ჰყო ზავი  
 V საღმრთომან განგებაჲან შორის მფლობთა მაშინ ჩუენ ზედა ისმა-  
 20 ილიტთა და ნერსეს შორის, რომლისა თანა მოიქცა ქართლადვე სანატრელიცა აბო. და ოდეს-იგი ეგულუებოდა მოწამესა ქრისტეს-სა წარმოსლუა აფხაზეთით ნერსეს თანა, აყენებდა წმიდასა მის ქართლად წარსლვისაგან მაშინდელი იგი მთავარი აფხაზთა, ნუსა-და განსაცდელმან უკუნ-აქციოს იგი უღმრთობადვე. გარნა იგი  
 25 არა თავისა თვისისა მინდობილი, არამედ ყოველსავე შინა შეწევნი-სა ღმრთისა მიუგებდა მთავარსა: „უწყებულ იყავნო კეთილმსახ-ური მთავრობაჲ შენი, ვითარჲედ, ვინამთგან „ღმერთმან, რომელმან მსტქუა ბნელისაგან ნათელი გამობრწყინუებად და გამობრწყინუ-აცა გულსა შინა ჩემსა განსანათლებლად მეცნიერებისა დიდებისა  
 30 ღმრთისა წინაშე პირსა იესუ ქრისტესსა, ხოლო საფასე ესე მომცა მე უქმარსა ამას კეცისჭურსა შინა, რათა გარდარეულება იგი ძლიერებისა იყოს მისი და არა ჩემგან, ვინა თანა-მამს მე საჭიროდ ყოველსავე შინა დაჭირუებაჲ მისთვის, განალა არა იწროებად<sup>1</sup> ჩემ-და შერაცხუად განწირუად მისთვის სული ჩემი, მაგრა არა განწი-  
 35 რუად პრაცხუად იგი ეგსაზედ დევნულებაჲ მისთვის, რომლისად ევსაჲ არა დატევებასა მისგან ჩემსა, მებრვე განვრდომამცა მისთვის, რომელმანცა არა წარმწყმიდოს მე. მე უკუე ცნობად ჰეშმარიტები-

<sup>1</sup> იწროებად] იწროება A.

\* ქება 5.2. \*\* ფილიპ. 1,23. <sup>3</sup> ფსალ. 15,10.

სა მოსლეთიგან ჩემით აქაშომდე მარადის სიკუდილი იგი უფლისა იესუსი კორცთა შინა ჩემთა მიტურთავენ, რათა ცხოვრებამცა იგი იესუსი კორცთა ამათ შინა ჩემთა გამოცხადნეს“<sup>o</sup>. 194

მოვიდა რა ნერსეს თანა მოწამე ქრისტესი ქართლს, ტფილისს შინა, თუნიერ ყოვლისა რამსამე რიღობისა განცხადებულ ჰყო თავი თუხი ქრისტიანედ, რომლისათუს მეცნიერნი მისნი და მახლობელნი სარაკიანნი (რამეთუ მრავალნი იყუნეს მაშინ კაცნი სარაკიანნი მკვდრნი ტფილისსა შინა), ვითარცა უარისმყოფელსა უღმრთოებისა მათისასა და განდგომილსა მოძღვრებათაგან ბიღწბარბაროსისა მოციქულისა მათისათა, ავინებდეს, ჰყუედრიდეს, ჰსდევნიდეს და რომელნიმე სიტყუთა მშუღობისათა რეცა გარდაქვევად ჰქეშმარიტებისაგან მისდა მეცადინნი მოსწრაფებდეს. გარნა კეთილსა მას მუშაკსა საცხოვრებელთა მოქმედებათასა არა დაემტკიცა სარწმუნობამ ღმრთისა მიმართ ქეშასა ზედა, არამედ შეუძრუელსა სიმტკიცისა კლდესა ზედა, ამისთუს კუეთებანი იგი ესგუართა ქართანი ვერ სადამე შეჰსძრვიდეს. 15

წელიწადთა უკუე სამთა შინა მცხოვრებელი ტფილისს აბო, მოწამე ჰქეშმარიტებისა არავისგანმე შეშინებული, არარამემისა განსაცდელისა მოლოდებისაგან მძრწოლარე, ყოველთა შორის და ყოველთა მიმართ კაღნიერად იქცევოდა და უკაღნიერესადრე ქრისტესა ჰქადაგებდა. ხოლო დამდაბლებული სულითა და ნებსითა გლახაკმნილი ქრისტესთუს საჭირომსა საზრდელისა და სამოსლისა არა მექონი კეთილმსახურთაგან საჭიროდ და საკმარად კორცთა თუსთა/მოიღებდა. 20

ამათ შინა მფლობელად და განმგებელად ქართლისა მჯდომარეობდა ტფილისს მთავარი ვინმე ისმაილიტთაგანი, ჰსჯულისდებათა ბიღწმოციქულისა და ცრუწინასწარმეტყუელისა მახმედისთა შედგომილი, რომელიცა წარმოჰგზავნა მეფემან ახლისა ბაბილონისამან ამირ-მუმლმან მოსე, ძემან მალდისმან. ხოლო თქმულისა მის მთავარისად ისმაილიტისა შესემენილ იქმნა უღმრთოთაგანვე ისმაილიტთა აბო, ვითარცა ჰსუჯულისდებისაგან მახმედისა ჯმნილი და კრებულისაგან სარაკიანთასა<sup>1</sup> განსრული, რომლისათუს მთავრისა მიერ ბრძანებულ იქმნა წინაშე მისსა წარდგინებად აბო. და ვითარ წარიდგინა, ჰქადაგა კაღნიერად თავი თუხი წინაშე მისსა ქრისტიანედ და ამისთუს ბრძანებითავე მთავრისათა საპყრობელსა შინა შეიყენა. 35

<sup>1</sup> სარკიანთასა A.

<sup>o</sup> შტრ. 2 კორინ. 4,6-10.

- მსმენელმან მთავარმან ქართლისამან სტეფანოს, მწუხარე-  
ქმნილმან შესაბამ სულთსა კეთილმსახურისა, რამეთუ შეჰსჭირდა  
ძმისა თუსისა ბარბაროსთაგან სახელისათჳს ქრისტესისა პყრობი-  
ლებად, ითხოვა ედრებით მთავრისაგან საპყრობილით განტყევბად  
5 აბომ. ხოლო ისმინა უკუე მთავარმან მან სტეფანოსისი და მოჰმად-  
ლა მას აბომ საპყრობილითრე განტყევებული მშუდობით.
- ბრძანებამან ამიერ-მუგმლისამან ასცუალა გან[მ]გებლობითი  
მთავრობაჲ ქართლისა, თქმულისა მის სხუსა მთავრისა მიმართ და  
195 ტფილის შინა /ნაცუალად პირველისა შემოვიდა მეორე. ამისდა  
10 მისრულნი კაცნი ბარბაროსნი მახმედიანნი, შეჭმულნი უღმრთო-  
ებითითა შურითა, მხედუელნი განცხადებულეებისა მის საღმრთო-  
სა ქრისტეს მოწამისასა ეტყოდეს მთავარსა მას მბორგაღენი: „არს  
ჭაბუკი ვინმე ქალაქსა ამას შინა, ნათესავით სარაკიანი, შობილი  
ბაბილონს შინა, აღზრდილი ქუემდებარედ ჰსჯულისა მოციქულისა  
15 ჩუენსა, განაღა დაუტყევებიეს მას ჰსჯული მამული და აღიარებს  
თავსა თუსსა ქრისტეანედ. ხოლო უშიშად მავალი ქალაქსა შინა  
მრავალთა ჩუენგანთა ასწავებს ქრისტეანე-ყოფად“ მით, რომელ  
სანატრელი აბო მრავალთა მახმედიანთა ცნობად ჰეშმარიტისა  
ქრისტეს ღმრთისა საღმრთოთა ქადაგებითა თუსითა მოიყუანებ-  
20 და. „ხოლო შესაბამ არსო ესე შენისა მთავრობისად, რათა შემპყრო-  
ბელმან მისმან ჭაბუკი იგი უკმოაქციეო ჰსჯულისდებათადეე მახ-  
მედისა იძულებითა მით, რადეეცა ეკმარების საქმესა. და თუ სადა-  
მე არა ისმინოს ბრძანებამ შენი, მოკუდეს იგი განჩინებითა შენითა  
მძნუარეთა მიერ სატანჯუელთა“.
- 25 გულისხმა-ჰყუეს კაცთა კეთილმსახურთა განზრახუად ესე უღმრ-  
თოთა და მჰსწრაფლ მოსრულნი წმიდასა მას ეტყოდეს იდუმალ, ვი-  
თარმედ: „შეგასმინესო უღმრთოთა ისმაილიტთა მთავრისად და  
თუნიერ იქუსა შევიპყრან და განსაცდელი დიდი მოწვენად არს შენ  
ზედა“. მიუგო წმიდამან მან: „მე უკუე, ძმანო, შეწვენითა ღმრთისა  
V 30 ჩემისათა მზა /ვარ ქრისტესთჳს შეპყრობად, განდევნად და სოკუ-  
დილად“. და ესრეთ თუნიერ ყოვლისა შიშისა იქცეოდა უბანთა  
შინა განცხადებულად ახოვანი სულითა.
- ბრძანა მთავარმან ისმაილიტმან მსახურთა თუსთად მოწოდე-  
ბად შესმენილი იგი, შეპყრობად და წარდგინებად წინაშე მისსა.  
35 ხოლო აღსრულებულ იქმნა ბრძანებამ მისი მტარულთაგან, რამე-  
თუ მავალი ქალაქსა შინა შეპყრობილ იქმნა აბო და წინაშე მძლავ-  
რისა წარიდგინა, რომლისადცა იკითხა მთავარმან:  
„შენ ხარა აბო, შობილი ბაბილონს, რომელი პირველ იყავ  
მახმედთან და აწ სადამე ქრისტიანე ხარ, ვითარ-იგი მასმიეს შენ-“

თეს შემასმენელთაგან? ხოლო თუ სადამე მართალ არს ბრალი ესე შენი, თანა-გაძს უკმოქცევად ქსჯულადეე მამულად, რომელიცა გასწავეს მშობელთა შენთა“. მიუგო მოწამემან ქრისტესმან: „რომელიცა გასმიეს ჩემთსა, ჭეშმარიტი არს, რამეთუ შობილი ბაბილონს და მამულად შეცთომილი ქსჯულისდებათაგან არა მართალ- 5  
 თა და ცრუთა ექსცხოვრებდ ცნობადმდე ჭეშმარიტებისა, გარნა რომელი-იგი მოვიდა სოფლად უფალი ჩუენი იესუ ქრისტე „ცოდ-  
 ულთათს ცხოვრებად, რომელთა პირველი მე ვარ“, არა დამიტევა 10  
 მე გარეგან ნათლისა თვისსა, „რომელი ვიყავ პირველად მგმობარ და მღევნელ და მაგინებელ. არამედ შევიწყალე, რამეთუ უმეცრე- 10  
 ბით ვიყავ ურწმუნოებასა შინა“\*, არა დაკლებულ მყო მადლისა-  
 გან თვისსა, „რომელმან მისცა თავი თსი საქსრად“<sup>3\*</sup> მრავალთა, 196  
 ხოლო მომძარცუა მე სიბნელედ უმეცრებითისა უღმრთოებისა და ჩემ შორის „გარდამატა მადლი იგი თსი სარწმუნოებითურთ და სიყუარულით“<sup>4\*</sup>. 15

პრქუა მძლავრმან: „დაუტევეო განზრახუამ იგი სიცბილისა, რამეთუ უკეთუ ნაკლულევენებამან მიგიყუანა შენ ქრისტეანეთად, უწყოდე ესე ჭეშმარიტებით, ვითარმედ ნივთთა მიერ მრავალთა მდიდართა განგამდიდრო შენ და სიმალლესა პატივისა უზესთავისა 20  
 ლირსებისა შენისასა აღგიყუანო. ხოლო თუ სადამე ურჩ ექმნე სიტყუათა ჩემთა, რომელნიცა არიან შენდა წინადადებანი მამობ-  
 რივნი, უწოდე, ვითარმედ სიკუდილი მძნუარე თანა-გაძს შენ“.

იწყო კულად მოწამემან მისდა სიტყუად ახოვნისაებრ და გულსმოდგინისა სულისა თვისსა, რამეთუ წინაშე მძლავრისა მის მდგომარე, ვითარცა კლდე ანდამატინისა, შეუძრული ქართაგან 25  
 და განუკუთელი მცირეთა მახვლთაგან, ეცინოდა ამაოებასა შისსა უძღურსა და უფროსლა უდიდესსა მას უგუნურებასა მისსა და ეტყოდა: „ჰ. მძლავრო, ჩემდა ერთ არს ღმერთი მხოლოდ უფალ და მეუფე<sup>1</sup> და შემოქმედ ყოელისა, რომელმანცა შემქმნა მე და არყოფნისაგან მომიყუანა ყოფად, ერთობად იგი ღმერთთმთავარი 30  
 განუწუალებელი სამგუაპოვნებასა შინა გარეშეუწერელსა, ცნობი-  
 ლი მამა და ძე და სული წმიდა, რომლისა სარწმუნოებამ არა დაუ-  
 ტევეო. ერთ არს საიდუმლო იგი განგებულებითი ძისა ღმრთისა, რომლისა გამო მრავალ არიან ჩემდა საცხოვრებელნი იგი ჩემნი 35  
 მქსნელისა ჩემისა კორციელნი სხუაობანი ვითარებითნი, ერთ არს  
 ეკლესია იგი სამოციქულო საზოგადო, რომელიცა შეცუალეზად არს პირმშოდ ეკლესიად, ერთ არს დიდებამ იგი, რომელი აღმი-

<sup>1</sup> მეუფე AB.

\* <sup>1</sup> ტიმოთ. 1,15. \*\* <sup>1</sup> ტიმოთ. 1,13. <sup>3\*</sup> <sup>1</sup> ტიმოთ. 2,6. <sup>4\*</sup> <sup>1</sup> ტიმოთ. 1,14



თქუა ჩემებრ კორცითა მოსრულმან ჩემთს ღმერთმან, და ერთ არს ტანჯუადა საუკუნო, რომელიცა მიიღონ უარსმყოფელთა ჭეშ-  
 მაროტისა ცნობისათა. ხოლო სოფელი ესე დიდებითურთ თვისით  
 და სიმდიდრით ჩემდა არად საკმარ არს, რამეთუ „კუამლი არს,  
 5 რომელი ჰჩანნ დღეს და ხუალე განქარდეს“, ამისთვის ვერ აღმი-  
 ტაცო მე, რათამცა მოყუარე მისა მყავ, რაოდენცა განადიადნე  
 დიდებათა და სიმდიდრეთა სოფლისათა ჩემდა ქადებანი და რო-  
 მელთამე უკუე მიქადებ სატანჯუელთა, რათამცა უსაშინელს  
 იყუნეს გეენისა, დაჰსცხერ უკუე ჩემდა ამოდ მომზრახობისაგან,  
 10 რამეთუ „ჩემდა ცხოვრება<sup>1</sup> ქრისტე არს და სიკუდილი — შესაძი-  
 ნელ“<sup>2</sup>.

მაშინ ბრძანა მთავარმან შეკრუად ბორკილითა წმიდა იგი და  
 საპყრობილესა შეეყენებად. ხოლო ოდეს ბრძანებისაებრ მძლავრისა  
 შეიკრვოდა და საპყრობილედ წარიყუანებოდა მოწამე ქრისტესი,  
 15 იხარებდა ყოვლად წმიდა იგი სული მისი და საყუარელისა მიმართ  
 თვისისა იტყოდა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო იესუ ქრის-  
 ტე, ძეო მხოლოდშობილო, დაუსაბამო თანადაუსაბამოსა შამისაო,  
 197 მოსრულო მაცხოვრად ყოვლისა /სოფლისა, რამეთუ ღირს მყავ  
 სახელისათეს შენისა განკითხუად და პყრობილებად“.

20 შეეყენებული საპყრობილესა შინა და შეკრული მადლობათა  
 განადიდებდა ღმრთისადმი ღუაწლის-დამდებელისა სახელისათეს  
 მისისა დამწყები ვნებათა. ხოლო უფროსლა ამისთვის, ვითარმედ  
 დიდსა შინა დღესასწაულსა მსოფლიოსა კორციელისა შობისა უფ-  
 ლისა ჩუენისასა იმღუდელ-მოქმედებოდა სამღუდლომსა შეწირ-  
 25 ვისა მისისა დაწყებად, ეგზახედ ჰქსენებად იყო დღესა მას შინა  
 პირველმოწამისა და პირველდიაკონისა სტეფანესი და ამათ შინა  
 იწყო შესლუად ასპარეზსა ვნებისასა, რამეთუ ესკდა შუამდგომე-  
 ლობითა პირველ მოწამისათა წარმართებასა ღუაწლისა თვისისასა.

მოუკლებელად ჰგალობდის აბო ღმრთისა მიმართ და ლოცუა-  
 30 თა განწმედილთა აღავეუნდის და ნიეთნი საკმარნი გლახაკთანი  
 ქონებულნი რამე (რამეთუ არა ხრწნადთა ნიეთთაგან განამდიდ-  
 რებდა თავსა თვისსა) მისცნა გლახაკთა და თუ სადამე მოწყალეობასა  
 მოიღებდის ვიეთგანმე პყრობილებასა მას შინა კეთილმსახურთა-  
 გან, ჰზრდიდა მით მშვიერთა მის თანა პყრობილთა.

35 მოვიდეს მისდა მოძღუარნი უსჯულოებისანი, რომელთაცა შე-  
 ასმინეს მთავრისად და სახითა მისდა რეცა მოწყალეებად მიდრკე-

<sup>1</sup> ცხოვრებად A.

<sup>2</sup> იაკობ. 4,14. \*\* ფილპ. 1,21.

ბოდიან და დამაამებელ სიბოროტისა ექმნებოდიან: „ნუ განსწი-  
რაეო“ — სთქვან — „ტიკბილისა სიცოცხლისაგან თავსა შენსა,  
შვილო და სიჭაბუკითა შენითა ნუ მოფარდულეჲმ ქრისტეანე-ყო-  
ფასა და ნუ მოაქლდები ნათესაეთაგან და მეგობართა და ნუ შე-  
გუაწუხებ ჩუენ. გამოვედ წარმდებებისა მაგისგან და უკმოიქეც  
მაჟულისადეჲმ მსჯულისა, რომლისათუს ბედნიერობამან და დიდე-  
ბამან გპოვოს შენ“.

სხუანი აშინებედ მას და მსთქვედ მისდა: „რამეჲ სარგებელ  
გეყოს შენ ქრისტეჲ შენი, ანუ ვინმე იქმნეს მკნელ შენდა კელ-  
თაგან ჩუენთა, რამეთუ თუ სადამე არა ისმინო სიტკბოებით  
თქმულნი შენდა განზრახუანი ესე საცხოვრებელნი შენნი, მზა არს  
შენთუს მძნუარებანი სატანჯუელთანი“. ხოლო წმიდასა მას, „ვი-  
თარცა ყრუსა, არა ესმოდის და ვითარცა უტყუ არა აღალებდის  
პირსა თუსსა“<sup>1</sup>. განალა დაჰქვირებასა შინა ესეგუართა უსჯულოე-  
ბითთა საუბართასა მიუგო მათდა და მსთქვა: „უფალსა ვესაჲ, ვი-  
თარ ეტყუთ სულსა ჩემს“<sup>2</sup>, „განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქ-  
მედნი უსჯულოებისანი, რამეთუ შეესმა უფალსა კჲმად ტირილისა  
ჩემისა, ისმინა უფალმან ვედრებისა ჩემისა, უფალმან ლოცუაჲ  
ჩემი შეიწყნარა. პრცხუენოდენ და შეძრწუნდენ ყოველნი მტერნი  
ჩემნი, მართლ უკუნ-იქცენ და პრცხუენოდედ ფრიად და მსსთუ-  
ად“<sup>3</sup>. „მიჰდერკით ჩემგან, უკეთურნო, და გამოვიძინე მცნებანი  
ღმრთისა ჩემისანი“<sup>4</sup>.

ესრეთ მდგომარე კლდესა ზედა ჭეშმარიტისა სარწმუნოები-  
სასა მართალი იგი, ვითარცა სუეტი ყოვლად შეუძრუელი, იხილეს  
რა უღმრთოთა, სირცხვლეულნი უკუნ-იქცეს. ხოლო წმიდასა მას,  
პყრობელებასა შინა მყოფსა, დღესა მეცხრესა გამოუჩნდა უფალი  
ჩუენი /იესუ ქრისტე და ნუგეშინისცა მოწამესა თუსსა და უწყე-  
ბულ პყო, ვითარმედ: „სხუალე დღესასწაულსა კორციელისა ნათ-  
ლისლებისა ჩემისასა აღასრულო მსრბამ წამებისა შენისა და მო-  
კუდე ჩემდა“.

მზადლობელმან სიხარულით „მართლისა ნუგეშინისმცემელი-  
სა<sup>1</sup> მამისა მიმართ“<sup>5</sup> თუსისამან<sup>2</sup> და ყოველთა ცოლუათა ჩუენ-  
თა მომტყვებელისა<sup>3</sup> აბო საღმრთომან აუწყა თუს თანა პყრობილ-  
თა ქრისტეანეთა საიდუმლოჲ ესე. ხოლო განიძარცუა სამოსელი  
თუსი და მისცა ვისმე მუნ მყოფსა ძმათაგანსა და ევედრა განფა-

<sup>1</sup> ნუგეშინისმცემელისად B. <sup>2</sup> თუსისა B. <sup>3</sup> მომტყვებელისად B.

\* შტრ. ფსალ. 37,13. \*\* ფსალ. 10,1. <sup>3</sup> ფსალ. 6,8-10. <sup>4</sup> ფსალ. 118,115.

<sup>5</sup> შტრ. 1 იოან. 2,1.

რ[დ]უად სამოსლისა მის სანთელთა ზედა და აღნთებად წმიდათა შინა ეკკლესიათა ქალაქისათა და მიაველინნა რომელნიმე ქრისტეანეთა-განნი მლუდელთა მიმართ კეთილმსახურთა და მეედრებელმან მათ-და ითხოვა ლოკუს ყოფად აღსრულებისათეს კეთილისა მის ღუაწ-  
 5 ლისა თუსისა. ხოლო ორნი უკუე აღნთებულნი იპყრნა კელთა შინა სანთელნი და საშუალ საპყრობილისა მდგომარებმან ლამე ყოველ ასურგასნი იზეპირნა ფსალმუნნი და შემდგომად მხიარულითა სუ-  
 ლითა მგალობელმან ქსთქუა: „წინასწარ ვხედვედ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რათა არა შევიძრა“\*.  
 10 იხარებდა განთენებასა და აღმობრწყინებასა დიდისა დღესას-  
 წაულისასა და იტყოდა: „უგალობ მე ორთა ძლევათა დღეს მქსნე-  
 ლისა ჩემისათა, რამეთუ დღესა ამას იორდანესა შინა განწმინდულე-  
 V ბული ღმერთმთავარი სიტყუა ქორციელად შეკმუს/რაცს თავსა  
 ვეშაბათასა და მამისა და სულისა თანაარსად იცნობების. ხოლო ვი-  
 15 ნამთგან დღე არს დღეს პარასკევი, ოდეს ძელისა ჯუარისა ზედა განწმინდულელმან მეორედ დამბადა მე, და რასა-იგი გული მითქ-  
 მიდა შეცთომილსა გუელისაგან, მომცა გულისსათქმელი იგი ჩემი განღმრთობად, ესენი კმა ჩემდა ნიშად ძლევისა. გავიძარცვო მეცა  
 დღეს სამოსელი ტყავისა, რომელი შემშოსა მე ცოდუამან, მივილო  
 20 პირველთა მამათა პატივისა ძლითი სიკუდილი და მით მოვილო უკუდაეება და ცხოვრება დაუბერებელი. ნათელს-ვიღებ მე დღეს „სამთა მათ მიერ მოწამეთა სიტყუსა“\*\* განგებულებათასა, რომელ-  
 თაცა მიერ „მოვიდა სიტყუა ქორციელად, ესე იგი სულითა, სისხ-  
 ლითა და წყლითა“<sup>3</sup>, და სამითავე ვეზიარები ზიარებულსა ჩემ-  
 25 და. მოვკუდები მე მისთვის დღესა ამას პარასკევსა, რომელმანცა მეექუსესა დღესა ჯუარსა შემქსჭუალულმან სიკუდილითა „მოილო სახელი უზუნთაესი, უფროს ყოველთა სახელთასა, ესე იგი, რათა სახელისა მიმართ მისისა ყოველი მუჭლი მოდრკეს ზეციისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელისათანი“<sup>4</sup> და ესრეთ სისხლსა ჩემსა  
 30 მივსცემ სისხლისათეს საყუარელსა ჩემსა და ბერმელა შთავედები წყლად განსრული ცეცხლსა შინა და სულითა წმიდაქმნილსა სულ-  
 სა მივსცემ მამასა ზეციერსა“.

იტყუს მეისტორიე წმიდათა ვნებათა მოწამისათა: „მოითხოვაო  
 199 წყალი და დაიბანა პირი და იცხო/ ზეთი თავსა თუსსა და თქუა:  
 35 ვიყავო ოდესმე თუთ მენელსაცხებელ, კეთილშემზაეებელ სუნნელ-  
 თა მათ ნელსაცხებელთა, ხოლო საცხებელი ესე დღედ დაფლვისა

\* ფსალ. 15,7. \*\* შდრ. I იოან. 5,7. 3\* შდრ. I იოან. 5,6. 4\* შდრ. ფი-  
 ლიპ. 2,9.

ჩემისა არს“. და კუალად იტყუს: „სუნნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდე“\*, ქრისტე, რომელმანცა აღმავსე მე განუქარუებელითა მით სუნნელებითა სარწმუნოებისა და სიყუარულისა შენისათა“.

შემდგომად თხოვისაებრ მოწამისა მოილო მღუდელმან ეკლესიით საღმრთოად ევხარისტი და ტარიგი უბრალო დაკლუად განშხადებული მისთს, ღმერთ-ტარიგსა ეზიარა და საგზალ ცხოვრებისა საუკუნოასა მოილო მადლობით.

და აჰა, მოვიდეს მსახურნი მძლავრისანი, მწოდებელნი ქრისტეს მოწამისანი, ხოლო წმიდამან მან პყრობილთა მათ მუნ მყოფთა ქრისტეანეთა პრქუა უკანასკნელი გიხაროდენი და თანა წარპყუა მწოდებელთა თვსთა და მგზავრ ჰგალობდა უფლისა მიმართ მეტყუელი: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან სჯულსა უფლისასა“\*\*, ხოლო საშუალ რიცხუთა შინა ფსალმუნისათა „ჰმასა საღმრთოასა ავაზაკისასა“\*\* იტყოდის.

და შესრული წინაშე მსაჯულისა წარდგა კადნიერად დაბეჭდილი ნიშითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა და თავისა მიერ თვისისა უქცეველობითა ქრისტეს მიმართ მტკიცისა სარწმუნოებისათა უღმრთოდ იგი მძლავრი განაკურუა, რომლისათს მახულითა თავისა<sup>1</sup> წარკუეთად<sup>2</sup> განაჩინა აბოსთს.

ვინამცა ბრძანებული განჩინებამ მძლავრისა /მოილო სიხარულით მოწამემან ჰეშმარიტებისამან და მხოლომსა სამწმიდისა ღმრთისა მიმართ მმადლობელმან კელნი ზურგსა თვსსა ზედა დაქსნა ჯუარედად და ქელი სიხარულით და მადლობით მახულსა მიუპყრა. და ესრეთ ყოვლად პატიოსანი იგი სხეული მისი მეკრმლისაგან მახულისა მიერ უთაეო იქმნა, ხოლო ყოვლად წმიდა სული მისი დაემკედრა წინაშე ცხოველ-შემოქმედისა სამებისა ანგელოსთა თანა შუამდგომელად ყოელისა სოფლისა.

გულისმსიტყუელთა უღმრთოთა მათ მკულელთა მოწამისათა ქალაქისა მთავარმან და მოძლუართა უღმრთოებისათა მუყრთა მისთა ჰსაჯეს მოწამისათს დაწუამ ცეცხლითა, ნუსადა ქრისტეანეთა პატივ-ჰსცენ სხეულსა მას მისსა წმიდასა, ვითარცა ქრისტეს მოწამისასა. და ესრეთ განზრახუსაებრ თვისისა უღმრთოთა მათ სხეული წმიდისა დაჰსდუეს ურემსა ზედა და წარიღეს ადგილით, სადა წარეკუეთა თავი, სადა-იგი იყო ეკლესისა წმიდათა ორმოცთა მოწამეთა და მიემსგავსა საიღუმლო ესე ვნებისა ამისი საიდუმლოსა ვნებისა მათისასა. და მიმღებელთა მისთა ადგილად ზედ-

<sup>1</sup> თავისა — A. 2 წარკუეთა A.  
<sup>2</sup> ქება 1,3. \*\* ფსალ. 118,1. 3\* შდრ. ლუკა 23,42.

- წოდებულ „საგოდებელად“, სადა დაჟღერდებოდა მოქალაქეები მკუ-  
 დართა, დაწუნეს მუნ კორცნი წმიდისანი, ხოლო ნეშტნი იგი ძუ-  
 აღნი წმიდისანი შთაყარნეს ნიეთსა რამესა შინა და შეჰკრნეს და  
 მდინარესა შინა მტკუარსა შთაყარნეს ქუეშე კილისა, სადა-იგი
- 200 5 ქრისტეანეთა მეფეთაგან აღიმართა ჯუარი, /ვიდრე ღროდმდე აღ-  
 შენებისა ამიერ ყოვლად საძაგისა ამის მიზგითისა, და, რომელნიცა  
 განვლიან კილსა ქრისტეანენი კეთილმსახურნი, დღეინდელად-  
 დღემდე ჩუეულ არიან მუნ თაყუანისცემად, სადა შთაყარნეს ძუ-  
 აღნი მოწამისანი.
- 10 პატივ-მსცა მადლმან ზეგარდამომან მოწამესა, ვითარმედ ნა-  
 თლითა ყოვლად საკურუელითა აღიესებოდის პაერი აღგილითურთ,  
 სადა-იგი დაწუნეს ნაწილნი წმიდისანი და სადა-იგი მდინარესა  
 შინა შთაყარნეს. ხოლო დღესცა საკურუელთმოქმედებს ღმერთი  
 მოწამისა თვისსა მიერ, რამეთუ ყოველნი მისარულნი აღვილსა
- 15 მას, სადა იყო მეფეთაგან კეთილმსახურთა აღმართებულ ჯუარი  
 კილისა, საწმუნოებით მთხოველნი აღსრულებასა თხოვათა  
 თვისთასა მიიღებენ თუნიერ ყოვლისა იჰვსა.
- რამედ უკუე ზედწოდებულ ვეოთ მოწამე ქრისტესი: ო ქ რ ო დ  
 განწმენდილად ცეცხლითა და წთობილად წყალსა შინა, რათა უმ-  
 20 ცხინუარეს ელუარეჰმნილი შესაბამ იყოს დიდებად უხრწნელსა  
 საუნჯესა, მ ტ ი ლ ა დ მოკრძალულად, მექონად სხუადასხუაგუარ-  
 თა ხილნართა სათნოებათასა, რომელთაგანნი რომელნიმე მწიფობენ  
 დამატებულად მიმღებელთა და რომელნიმე ყუაუინ სუნნელები-  
 თა აღმავსებულად ქრისტეს მოყუართა, წყაროდ დაქმულად,
- 25 რამეთუ მრთელცნობობისა მისისა კიდენი დასაშუალნი დაჰქმნა ან-  
 გელოსებრთა მათ გულისსიტყუათა მოგებამან, ი რ ი ს ე დ ქმნილად  
 V საღმრთოთაგან შარავანდედისა, /გამომცემარედ სიტრელეთა სხუა-  
 დასხუაგუართა სიკეთეთა, კ ლ დ ე დ მდგომარედ კიდესა ზელა ზღესა  
 საწუთოთასა ამის მღელუარისასა, რომლისა ღელუამან ვეროდეს
- 30 უძლო შეძრუად, ტ ა ძ რ ა დ გებულად უსასყიდლოთა ქუათაგან,  
 რომელიცა წმიდა ჰყო წმიდამან სამებამან და დაემკვდრა მას შინა  
 და ტაძარ ყოფითა თვისითა პატივ-მსცა მას.
- ხოლო შენ, წმიდაო თავო წინაშე საღმრთოთასა საკურთხევე-  
 ლისა მდგომარეო, სიმტკიცეო კეთილმსახურთა მეფისა ჩუენი-
- 35 საო, სიკეთეო ეკკლესიათაო, შუენიერებო და სამკაულო და  
 მცუელო ქალაქისა ამის შენისაო, ყოველთა ქართუელთა მფარუ-  
 ელო და შემწეო, მკედრობისა ჩუენისა ქრისტეს მოსახელისა სა-  
 ჭურუელო მტერთადმი ჯუარისათა და დიდებო ერისაო შენისაო  
 და მეოხო და შუამდგომელო ღმრთისა მიმართ ყოვლისა სოფლისა

შინათა კეთილმსახურთაო, შენ, რომელი-ეგე საყდართა თანა ძალ-  
 თა და უფლებათა<sup>1</sup> განწესებულებ, მოციქულთა თანა მამათმთავარ-  
 თა და წინასწარმეტყუელთა მწყემსთა თანა და მოძღუართა მოწა-  
 მეთა თანა ღირსთა და მართალთა მეეკლესიებ დაულამებელსა  
 ღლესასწაულსა, მიირთუ სიტყუანი არშესაბამნი ყოვლად ღიღე- 5  
 ბულთა საკრუელ-ყოფათა შენთან, რომელნიცა ჰყო ღმერთმან  
 შენ შორის და შენ მიერ და რომლისა წინაშე მდგომარე ხარ,  
 იოსდ ანტონისტუს ყოვლად საწყალობელისა და გლახაკისა, /რა- 201  
 თა აღდგომასა მას გუამთა კაცობრივთასა არა დავაკლდე კრებუ-  
 ლისაგან მართალთასა, რომლისა თანა აღრაცხილ ხარ მადლითა და 10  
 კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომელსა  
 ქშუენის ყოველი ღიღებამ<sup>2</sup>, პატივი და თაყუანისცემამ აწ და საუ-  
 კუნეთამი, ამინ.

შესხმა და მოთხრობა ლაუნლთა და ვნებათა წმიდათა ათთა  
 ზმართა მოწამეთა ტფილის ვნებულთა, ჟენილი ანტონის მიერ  
 არხიანისკოპოსისა ყოვლისა ზემოესა საპართულოესა,  
 დავითიან-ბაბრატოვანისა

მარტულთა შენთა რიცხვ ასეზის ათასი  
 აღმოქსტვრს, შენი სასუმელი რა მათ ასეი, 20  
 მიიღეს სურვით იგი სასმის სათასი.  
 სადაფის ფერად, ქსპეტეს ფერო სათასი  
 ერთად მოიგეს სამეფომ ცათასი.

**სიტყუა მეთასამეტე<sup>3</sup>**

სისტემა სიტყუათა კიდულთა ურთიერთას<sup>4</sup> სათანადო შესა-  
 ბამ-ყოფად, რათა ჭეშმარიტებანი იგი ქაზრნი სიტყუათანი წინა 25  
 მღებარედ დაეკუთენეს რა<sup>(\*)</sup> უმთავრესსა და უკეთილშობილესსა  
 ძალსა სულისასა განხილულად, გა/წყოფილადრე იხილოს მან, ვი- V  
 თარმედ პირველისა მიმართ მეორე და მეორისა მიმართ მესამე და  
 შემდგომითი-შემდგომად კიდულებენ<sup>5</sup> ურთიერთას<sup>6</sup> შესაბამ ჭეშ-  
 მარიტებანი სიტყუათანი, ხოლო წინათქმულსა<sup>7</sup> მას<sup>8</sup> ჭეშმარიტე- 30  
 ბასა<sup>9</sup> თანა პირველ მისა<sup>10</sup> თქმულისა მის ჭეშმარიტებისა თანა კი-

1 უფლებათაქმთავრობათა B. 2 ღიღება A. 3 მეთასამეტე A. 4 ურთიერთარს  
 B. 5 კიდულბდენ B. 6 ურთიერთარს B. 7 წინათქმულისა B. 8 მის B. 9 ჭეშ-  
 მარიტებისა B. 10 მისსა A.

დულეზდა<sup>1</sup>. სათანადო არს ჩუენდა მოკიდებად წინამდებარე ესე თქმადი ჩუენი.

- ვინაიფთგან მარტულთმოყუარებისაგან შეწეენითა ცხოველს-  
 მყოფელისა სულისათა ვისახუნართაულენით და ყოველთაგან  
 5 სხუათა სიტყუთა მოქმედებათა შოვიცალეთ და ქრისტესთს ვნე-  
 ბულთა მოწამეთა ჭეშმარიტებისათა კეთილ-წესიერ სიტყუაობისა  
 ქუემდებარე ვჰყავთ სული და ნამოქმედებნი ჩუენნი, შესაბამ  
 სისტემალ განეკარგეთ და რომელი სადა ჯერ იყო დადებად სიტ-  
 ყუანი და რომელი რომლისა თანა მოკიდებულ ვყავთ, ვინა სათა-  
 10 ნადო არს ჩუენდა თქმად აქა და უპირატეს თქმულისა თანა მოკი-  
 დებად რიცხუთ ათ ბევრთა მოწამეთათს სიტყუამ მით, რომელ  
 ქალაქი ესე ჩუენი, სადაცა არყოფისაგან ყოფამ მოვილეთ ღმრთი-  
 საგან, სადა საბანელმან მეორედ შობისამან აღმოგუშუნა<sup>2</sup> „სახე-  
 ლითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“<sup>3</sup>, სადა მეფენი  
 15 კეთილმსახურნი სკიპტრასა განაგებენ კეთილმსახურებით, ყუა-  
 ვილნი და ნაყოფნი, სიკეთენი და დიდებანი, სამკაულნი და  
 202 გვრგუნნი ამის ქა/ლაქისანი აქა სათანადო არს ჩუენდა გალობით  
 და ქებით მოჯსენებად.

- „აღმოვალს და დაქდების მზე და ადგილსავე თუსსა მივალს  
 20 იგი და მუნვე მივალს სამხრით კერძო და მოვლის ჩრდილოდ“<sup>4</sup>,  
 ჰსთქუა სოლომონ ეჭაახედ სიტყუა აღმობრწყინუებული განწმე-  
 დილსა ცასა ზედა გონებითსა. აღმოვალს და დავალს და ადგილსა  
 თუსსავე მივალს, რამეთუ იწყებს აღმობრწყინუებასა (ესე იგი  
 გამოცხადებასა თუსსა) რამმესათუს კმამსა მიზეზისა, რამეთუ  
 25 „არარამე არს თნიერ კმამსა მიზეზისა და დაქდების დასასრულ-  
 სა შინა, ესე იგი რამეთუ აღილევის. ხოლო მივალს მუნვე და ერ-  
 თით კერძო მოვლის მეორისა კერძომსად, რამეთუ მიიქცევის გან-  
 საზღურებისავე მიმართ თუსისა და მოვლის განწუალებოსა მი-  
 მართ და აღმოჩინებისა და შესაბამსა დასასრულსა შინა აღილევის  
 30 ჰაექრობითთა მებრ თნებათა პლატონისთა“<sup>5</sup>.

ვინა ადგილმსკეუთ აღმობრწყინუებასა სიტყუსასა რამსათსმე  
 კმამსა მიზეზისა, ესე იგი ადგილობითითა ნათესავობითა თანმენა-  
 თესავეთათს ჩუენთა ჭეშმარიტებისა მოწამეთა, რომელნიცა ჰყო-  
 ფენ ერთგუნდობითსა სირასა ქსოვითა სირასა მას შინა მრავალ-

<sup>1</sup> კილულისა B. <sup>2</sup> აღმოგუშუნა A.

<sup>3</sup> მატთ. 28,19. <sup>4</sup> შღრ. ეკლეს. 1,5. <sup>5</sup> მეტაფიზიკა, ონტოლოგია ბაუშაის-  
 ტრის, თავი 1-6,15.

ბევრობათა თჳსათა და თაჳ სირაჲსა მათისა არს „ქრისტე იესუ, მოწამე სარწმუნო და პირმშოჲ შესუენებულთა“\*.

ესენი ერთსა და მასეჲ ლერძსა ზედა ჰეშმარიტებისა წამები-  
სსა მომვლელნი მზენი სიტყუერნი, რომელთა ლერძი არს „აღსა-  
რება იგი კეთილი ქრისტე იესუსგან წამებული წინაშე პონტიე- 5 V  
ლისა პილატესა“\*\*. ესენი ერთსა ზედა მერიდიანსა მავალნი  
თუთოული მრავალბევრთა მათ მზეთავანი უბრწყინუალესნი მზი-  
სა, რამეთუ შარავანდელი სიმრგულისა<sup>1</sup> მათისა ბევრ ათასეულად  
სტადიონადმდე მწუთეი არა მოაკლდების, არცა დაჰკლდების, არცა  
განიყოფის, არცა სიშორითა ადგილისათა სივრცესა შინა განილე- 10  
ვის. ხოლო მერიდიან მათდა არს კრსბაჲ ქრისტეს მიმართ მიმყუა-  
ნებელი „შესმითა სასმელისა მისისათა და ნათლისღებითა ნათ-  
ლისღებისა მისისათა“<sup>3</sup>.

ესენი ყუაველნი განკარგულნი, რომელნი ერთსა წალკოტსა  
იქმონენ სიტყუერსა და დაუბერებელითა ნივთითა და მიუღებელი- 15  
თა ფერთა ყუავეინ ყოველნი „ვითარცა ვარდნი მეწამულნი სის-  
ხლითა, ყოველნი ვითარცა შროშანნი სპეტაკნი სიწმიდითა და  
უმანკობითა სულისათა და ყოველნი ვითარცა ნარდიონნი, იანი  
და შაშრანი შუენიერფერონი მგლოვარებითა და წურთითა სი-  
კუდილისათა. ხოლო ერთსა განუწუალებელსა ჰფშჳან სუნნელეზა- 20  
სა, რომლისად ქმნილისა ერთისა მის წალკოტისად შესაბამ სათ-  
ქმელ არს „სუნნელეზა ნელსაცხებელთა შენტა უფროს ყოველთა  
სუნნელეზათა“<sup>4</sup> მით, რომელ ზიარებული არს სუნნელეზასა  
თანა მისსა, რომლისა სახელ ნელსაცხებელ წარმოცალიერებულ.

ესენი ხილნარნი შუენიერნი, რომელნი ჰყოფენ ერთსა უკუე 25  
„მოკრძალულსა მტილსა“<sup>8</sup> უკუ/დავისა სიძისასა, რამეთუ ყოველ- 203  
ნი ვითარცა „ვენაჰ ტევეანოვან ნაყოფისაებრ სოლომონითისა ვე-  
ელმოანისა“<sup>6</sup> ნაყოფისა, ყოველნი ვითარცა „ლელუ, რომლისა გა-  
გაჲ გამოტევებულ იქმნა არესა შინა“<sup>7</sup>, რომელიცა მოილო ყო-  
ველმან სოფელმან ჯუარსა ზედა აღსვლითა ღმერთ-მამაკაცისა 30  
სიტყუსათა, ყოველნი ვითარცა „ვაშლ-მოსხმულ მნიშენულ და-  
წყლულებისა სიყუარულისა ძლით“<sup>8</sup> სიძისათა, ყოველნი „ვი-  
თარცა ბროწეულ, რომლისა ნაქურცენსა ემსგავსა სიკეთე ეკკლე-  
სიისა ქრისტესისა“<sup>9</sup>, ყოველნი ვითარცა ლიმო, რამეთუ მა-  
ცენე ყუავეილისა სათნოებითისა და სიმწუანისა ახალ ნაყოფისა, 35

<sup>1</sup> სიმრგულისა B.

\* აპოკ. 1,5. \*\* შტრ. 1 ტიმოთ. 6,13. 3\* შტრ. მატთ. 2,20. 4\* ჰება 1,2.  
5\* შტრ. ჰება 4,12. 6\* შტრ. ჰება 8,11. 7\* შტრ. ჰება, 2,13. 8\* შტრ. ჰება 2,5.  
9\* შტრ. ჰება 4,3.



- ესე იგი დაუბერებელობითისა და სიახლისა კეთილობითისა და მწიფობისა ნაყოფისა, ესე იგი სათნოებანი რა დააწიფდეს, ვნებისა სთუელმან საჯმარ ჰყუნა მემტილისა ღმერთ-მთავრისად და ყოველნი თანად, ყუავილნი ახალნაყოფნი და მწიფენი, თანად
- 5 ჰფეზან ერთსა სუნნელებასა, ხოლო ყოველი ესე ხილნარნი ერთისა მტილისა ნაყოფ, რომლისა მსთქუა სძალმან შუენიერმან (წმიდამან ეკკლესიამან) სიძისა მიმართ ღმერთ-მამაკაცისა: „შთაჰქედინ ძმისწული ჩემი მტილსა თჳსსა და მსჭამენ ხილნართა<sup>1</sup> ნაყოფთა თჳსთა“<sup>2</sup> და ვითარ-იგი სიტყუსაებრ სძლისა
- 10 მოილო მტილისა მისგან თჳსისა ნაყოფნი სიძემან მან, მსთქუა სძლისა მიმართ მხიარულითარე პირითა: „შევედ მე მტილსა ჩემსა, დაო ჩემო, სძალო, მოვსთულე მური ჩემი ნელსაცხებელით ჩემითურთ“<sup>3</sup>, რამეთუ საშუებელ სიძისა იქმნა და საყნოს ნელსაცხებელ სისხლი იგი მოწამეთა/მისთა, რამეთუ შემსცუალა
- 15 უპატოსნეს ხილთა მათ წმიდათა ბუნება — კორცი მშუნვიერებრი „სულად განცხოველებულად მადინებელად“<sup>4</sup> სუნნელებისა სისხლისა ძლით, რომელიცა დაითხია ნებსით წმიდათაგან სიყუარულით. კუალად: „ექსჭამე პური ჩემი თაფლით ჩემით“<sup>5</sup>, ესე იგი შეცუალეებითა მით თქმულითა: ხილთა ბუნებისათა სიტკბო-
- 20 ებასა სათნოსა თჳსსა აღინებს სიძე ხილთაგან და თუთ პური იგი ცხოვრებისა სახელსა თჳსსა ზედწოდებულ-ჰყოფს მათ ზედა. ხოლო კუალად: „ექსუ ღვნოა ჩემი სძითა ჩემითა“<sup>6</sup>, ესე იგი შეცუალეებითა მით: პატოსნითა ბუნებისა ხილთათა აღინებს სიძე ხილთა მათგან „გულთა განმამხიარულებელსა“<sup>6</sup> სრულთადმი
- 25 და დამატკობელსა საზრდელსა უსრულთადმი და განჰზავებს ესრეთ სათნოდ თჳსდა.
- ესენი ნაკადულნი მრავალბევრნი, რომელნი ჰყოფენ „ერთსა დაბეჭდულსა წყაროსა“<sup>7</sup>, ესე იგი ერთსა და მასჴე წმიდასა გულისხმისყოფასა, ანუ ერთსა პაზრსა წმიდასა, რომელმან შეკ-
- 30 კრიბნა მრავალბევრ ნაკადულნი იგი ერთად წყაროდ და დაჰქმნა, რათა უკუდავისა სიძისაგან უცხოთა და მიუთუალუელთა პაზრთა და წარმოდგომათა ბნელთა და შერეულთა და განჰსჯათა ცრუთა ვერ განალონ იგი.
- ამათი უკუე ქალაქი კორციელად არს ყოვლისა ზემომსა და
- 35 ქუეუმოსა ივერიისა ქალაქი წინამდგომარე, ზედწოდებით ტფილისი, გარნა უფროსლა „ზეცისა იგი იერუსალიმი“<sup>8</sup>, რომლი-

<sup>1</sup> ხილნარი AB.

• შტრ. ქება, 5,1. •• ქება 5,1. 3° შტრ. 1 კორ. 15,45. 4° ქება 5,1. 5° ქება 5,1. 6° შტრ. ფსალ. 103,15. 7° შტრ. ქება 4,12. 8° ვალატ. 4,26.

სა /„ხუროთმოძღვარ და შემოქმედ ღმერთი არს“. ხოლო 204  
 მშობელნი არა ერთისა აღსაეაღისა პყრობასა ქუეშე შეცველნი,  
 რამეთუ რომელნიმე მათგანნი მთავართაგან ჩინებულთა, რომელ-  
 ნიმე აზნაურთაგან, რომელნიმე ვაჭართაგან და რომელნიმე გლა-  
 ხაჲ, გარნა ყოველნი „შობილ სულითა“<sup>2°</sup> „ღმრთისაგან, რომ- 5  
 ლითა ჰძღვს სოფელსა“<sup>3°</sup>, ყოველნი ჩინებულ ქორწილსა  
 უკუდავისა სიძისასა და პრჩეულ მენიჯედ ქორწილისა მის.  
 ყოველნი აზნაურ და თავისუფალ ბრალთაგან „აზნაურებითა მით,  
 რომლითა ქრისტემან ჩუენ განგუააზნაურნა“<sup>4°</sup>. და კუალად სის-  
 ხლითა ზიარითა ღმერთ-მამაკაცისა სიტყუსათა თავისუფალქმნილ- 10  
 ნი ბრალთაგან ყოველნი ვაჭარ უსასყიდლომასა მარგარიტისა, რა-  
 მეთუ „განჰყიდნეს ყოველნივე, რამცალა აქუნდათ, და მოიყიდეს  
 მარგარიტი იგი“<sup>5°</sup>, ესე იგი ცხოვრებაჲ სოფელსა შინაჲ, და სულ-  
 ნი თჳსნი განჰფარდნეს სიბრძნით და მოიფარდნეს სასუფეველი  
 კაცთა. 15

ესენი არაერთისა წესისა ქუეშე პყრობით შეცველნი, რამე-  
 თუ რომელნიმე მათნი მღუდელ და შემწირულ ტარიგისა მამი-  
 სა მიმართ ღმრთისა, რომელნიმე დიაკონ აღმასრულებელ მსახურე-  
 ბისა თჳსისა თანამდებისაებრ, რომელნიმე კლირიკოს ეკკლესიისა,  
 რომელნიმე მონაზონ და მოწესე, რომელნიმე მჰსაჯულ და გან- 20  
 მსაჯულ ერისა, რომელნიმე მკედართა შორის უპირატეს თვთოე-  
 ულისა მებრ აღსაეაღისა მათისა და რომელნიმე<sup>2</sup> მკედარ, მა/გრა V  
 ყოველნი მღუდელმშოქმედებელ და შემწირულ თავთა თჳსთა სა-  
 კურთხად, უბიწოდ ტარიგად, წმიდად საკურთხეველსა ზედა ვნე-  
 ბისასა ქრისტეს ღმრთისა მიმართ. ყოველნი მსახურ ძღუდელმშოქ- 25  
 მედისა თანა მამისად შემწირუელისა თავისა თჳსისა და ყოვლად  
 წმიდისა გულისხმის-ყოფითა თჳსითა უბიწო ყოფითა დუმილით  
 ჩუენდა ქადაგ სახარებისა ქრისტესისა და საცხოვრებელთა ჩუენთა  
 განგებულებათა მისთა. ყოველნი ერთისა წესისა ქუეშე განწესე- 30  
 ბულ ანუ ერთისა კანონისა, რამეთუ ყოველნი თანად აღმდებელ  
 ჯუარისა იქმნნეს და ჯუარსა ზედა ვნებისასა ამალღებულნი  
 კორცთა დაუზედეეს, ზესთა სოფლისა იქმნნეს და არსებისა გან-  
 საზღურებულისა უზესთაეს ქმნილნი დიდებასა არსებისა განუსა-  
 ზღვრებელისასა ეზიარნეს.

ყოველნი—მსაჯულ და მეფე გამოხატუათა და წარმოდგომათა 35  
 და საქმეთა ბუნებითთა, რამეთუ წარმოდგინნეს სამსჯავროსა

<sup>1</sup> განგუაზნაურნა AB. 2 რომელიმე B.

<sup>°</sup> უბრ. 11,10. 2° იოან. 3,6. 3° 1 იოან. 5,4. 4° გალატ 5,1. 5° შტრ. შატო.

შინა გონებისა თვისასა სიცოცხლეა უკუდავი და დაუბერებელი, მოკუდავი და განხრწნადი. ხოლო განამართლეს უკუდავი იგი და დაუბერებელი და დასაჯეს მოკუდავი და განხრწნადი და, ვითარცა მეფეთა, უბრძანეს კორცთა ტვრთუად „საწერტელნი უფლისა 5 იესუსნი“\* და სიკუდილი მისთვის, რომლითა პატივი-იცნეს ანგელოსთაგან. და ყოველნი მკედარ, რამეთუ განჰქუელნეს ქრისტესთს და უხილავთა მტერთა ზედა, ესე იგი „მთავრო/ბათა ზედა და კელმწიფებათა, სოფლის-მპყრობელთა ზედა ბნელისა ამის საწუთოდასათა, სულთა ზედა უკეთურებისათა“\*\*, განიგედრნეს 10 შემოსილთა საჭურუელითა ღმრთისათა, რომლითა „შეუძლეს წინადადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა“3\*.

ამათ „ალიდეს ყოვლად საჭურუელი იგი ღმრთისა და მით შეუძლეს წინადადგომად დღისა მის ბოროტისა და ყოველივე კქმნეს, რათა ასდგეს“4\*. ესენი ბრძოლასა მას შინა „ჰსდგეს 15 უკუე მტეციედ მორთხმულნი წელთა თჳსთა კეშმარიტებითა და სიმართლისა ჯაჭუთა შემოსილნი და ფერტად შესხმულნი განმზადებულეებისა სახარებისა მის მშუდობისანი“5\*. ამათ დღესა ბრძოლისა თვისასა „ფარნი სარწმუნოებისანი აღიღნეს და მით შეუძლნეს ისარნი იგი ბოროტისანი განკურუებულნი დაშრეტად. 20 ხოლო ჩაფხუტნი ცხოვრებისანი თავთა ზედა დაიდგნეს და კელთა შინა იპყრნეს მახული იგი სულისა, რომელ არს სიტყუა ღმრთისა“6\*, და ამით მტერნი თჳსნი დაჰსცენეს, იოტნეს, წარაქციენეს, სირცხველულ-პყუნეს და თვთ მძლეთა მოიღეს ჯილდომ—„სი-მართლისა იგი გვრჯენი, რომელიცა მისცეს მათ უფალმან მას 25 დღესა შინა მართალმან მან მსაჯულმან“7\*, ვითარცა მოყუარეთა გამოჩინებისა მისისათა.

ესენი არაერთისა ჰასაკისა აღსავალისა ქუეშე გარეშეკუთ პყრობილ მით, რომელ რომელიმე მათი ყრმა, რომელიმე ჳაბუკ, რომელიმე მოზუტ, რომელი/მე ბერ და რომელიმე ულრმესისადმი 30 სიბერისა მიწევილ, მაგრა ყოველნი „მოწევილ ერთობისადმი სარწმუნოებითისა და მეცნიერებისადმი ძისა ღმრთისა მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სარულებისა მის ქრისტესისა“8\*.

არა ყოველნი ერთისა ქუეშე განწუალეებისა შეცულ მით, რომელ რომელიმე მათნი მამრ და რომელიმე მდედრ, მაგრა ერთ 35 და იგივე ქრისტეს მიერ, „რამეთუ ქრისტეს მიერ ნათელდებულთა და ქრისტე შემოსილთა შორის არა არს ჰრჩევაჲ მამაკაცისა,

\* გალატ. 6.17. \*\* ეფეს. 6.12. 3\* ეფეს. 6.11. 4\* შდრ. ეფეს. 6.13. 5\* შდრ. ეფეს. 6.14-15. 6\* შდრ. ეფეს. 6.16-17. 7\* შდრ. 2 ტიმოთ. 4.8. 8\* შდრ. ეფეს. 4.13.

არცა დედაკაცისა, არამედ ყოველნი ერთ ქრისტე იესუს მიერ“.

ეჰა<sup>1</sup>, კორციელებრი თანშეუწყობელობა ათბევრთა მათ პატივისაებრ და წესისა ქასაკისაებრ და განწყალეებისა, მაგრა თანშეწყობილება და თხზუა სირაამსა ყოვლად საკურუელი, მიმსგავსება ეკკლესიისა ქუეყნიერისა და უფროსად მსგავსება პირშომოსა ეკკლესიისა. შ, ქაზრი კეთილი არა დაუმტკიცებელი, რომელი ათბევრთა პირველსა რიცხუსა შინა გამობრწყინდების და ვიღრე უკანასკნელისადმდე განჰსწუთების და პირუელსავე შინა მოიქცევის და ესრეთ წმიდასა შინა გულისხმის-ყოფასა მომგრგუალდების და მხოლოობასა თუსსა განუკუეთელად დაიცავს. შ, გულისხმის-ყოფა უბიწო, რომელი სიბრძნისა მიმართ კმეულებს და სიბრძნე იგი კეთილგონიერებითა განიგების, ხოლო კეთილგონიერებაჲ იგი ცხოველყოფელისა სამებისა მიმართ ნიადაგ მიიქცევის. შ, განზრახუა გულისხმიერი, რომელი მხოლოობასა თუსსა განჰქენს გუამთა ათბევრ/თაღმდე და მრავალთა მიმართ მიფენითა არა განიწყალეობს და ქრისტეს მიმართ და ქრისტესთუს მოქმედებასა შინა ჰსდგების, ხოლო მოქმედება იგი განზრახუსა სრულყოფი დალათუ ათბევრთაგან იმოქმედების, მაგრა ვინაითგან არს ერთისა მიმართ და ერთისათუს, მხოლოობასა შინა იწყების და მას შინა განგრძელებების და მასვე მხოლოობასა შინა უკუჰსფერდების.

შ, „ერთგონიერება ძმათა, შ, სიყუარული მოყუასთა, შ, მამაკაცთა და დედაკაცთა ურთიერთას<sup>2</sup> შეთქმულებაჲ“<sup>3</sup>, რომლითაცა სიბრძნე განშუენდების მით, რომელ ერთითა სარწმუნოებითა დაუბადებელისა ღმრთისა მიმართ სამგუამოვანისა და მისდავე სიყუარულისა მიერ აღტყინებულისა კმნილთაცა მისთა ვითარცა თანაქმნილთა და თანამონათა შეყუარება, ხოლო შეთქმულებაჲ მისთუსვე, რათა შემოქმედისაგან არა განსცუნეს. შ, შუებასულთა შინა მრავალბევრთასა განფენილი, რომელი დაცემულეებაჲ მტერთაჲმან ჰქმნა მათ შინა. შ, სანატრელ-ყოფა მათი კეთილგონიერი, რამეთუ არა დაამონეს თავნი თუნნი უღირსსა დამონებისასა და რამეთუ ჰპოვეს სიბრძნე, რამეთუ კეთილნი საშუალნი დასასრულისა მიმართ კეთილისა შეაერთნეს და რამეთუ სიბრძნე იგი ყურთა შინა მჰსმენელთასა მიუთხრეს, ესე იგი იხილნეს თავთა თუსთათუს საბრკენი დარწყმულნი მტერთაგან, მახული აღმოკდილი მათთუს და მშვლდნი გარდაცმულნი და კბი/ლნი განბძარუად მათდა აღმაზულნი და „ეტლებითა და ჰუნებითა“<sup>3\*</sup> ბრძოლად მათდა განმზადებულნი.

1 ეჰა A. 2 ურთიერთარს B.

• შლრ. ვალატ. 3,27-28. \*\* შლრ. ზირაქ. 25,2. 3\* შლრ. ფსალ. 19,7.

მაგრა ლუაწლის-დამდებელისაგან იქმნა შეწვენამ დიდი მკედარ-  
თადმი თუსთა, ვითარმედ „ციინინ მტერთა მათთა და წინასწარ  
ჰხედავს, რომელ ახს ღღე მათი“<sup>5</sup>. ვითარმედ „საბრკე შეიმუსრა  
და ესენი განერნეს“<sup>6</sup>, „მახლნი მათნი განეწონეს გულსავე  
5 მათსა და მშულდი მათი შეიმუსრა“<sup>3</sup> და ევსახედ „კბილნიცა მათ-  
ნი“<sup>4</sup>. „იგინი შებრკოლდეს და დაეცნეს, ხოლო ესენი აღდგეს და  
აღმართნეს“<sup>5</sup>.

სანატრელ არიან უღირსთადმი დაუმონებლობითა თავთა  
თუსთათა, რამეთუ ზედმჭურეტთა თავთა თუსთად, ვითარმედ „არა  
10 არიან მონა, არამედ შვილ“<sup>6</sup> ღმრთისა სარწმუნოებითა ქრის-  
ტე იესუსითა და „არლა მოუღებდესთ სული მონებისა, რათამცა  
კუალად ეშინოდა, არამედ მოუღებდესყე სული შვილებისა, რომ-  
ლითა იტყუან: აბბა, მამაო“<sup>7</sup>. ხოლო არიან მეგობარცა მისა<sup>1</sup>,  
რამეთუ უწოდს ამათ „ხატი იგი“<sup>8</sup> და ბეჭედი მამულისა ყო-  
15 ფისა „მეგობრად, რამეთუ ზედმიწევნილებენ, რასა იქმნ უფალი  
მათი“<sup>9</sup>. ვინამცა „არა ემონნეს მათ, რომელნი-იგი არა იყუნეს  
ბუნებით ღმერთ“<sup>10</sup>, რომელნიცა წინადადებულ იქმნა მათდა  
მძლავრისა მიერ თაყუანის-ცემად, რომლისათუს შვილთა ამათგან  
ღმრთისათა იგინა, შეურაცხ-იქმნა, ინერწყუა, განგდებულ და გარე-  
20 მიქცეულ იქმნა მხოლოდ ღმერთი ესეგუარაი, რომელიცა სამგუა-  
მოვნებათა მიმართ არა განიფინების, რომელიცა ღმერთმთავ/რო-  
207 ბითსა შინა არსებასა არცა მამა არს და არცა ძე და არცა სული  
წმიდა, რომელიცა მის მიერ მოვლინებულთაგან შესაბამთა თუსთა  
წინასწარმეტყუელთაგან ტყუილისათა და მოციქულთა სიცრუვისა-  
25 თა ბერწ ღმრთად იქადაგა უმეცართა შორის ერთა საძაგელთა,  
რომელიცა ქადაგთა თუსთა თანა წყეულ არს და შეჩუენებულ.

სანატრელ არიან პოენისათუს სიბრძნისა, რამეთუ გნომმან,  
მათ შორის განწმენდილმან, აზნაურმან და კეთილშობილმან ძალ-  
30 მან სულოსამან წარმოადგომილნი გულისხმის-ყოფისაგან სულსა  
შინა მათსა ნამდვლ ჰეშმარიტი არსებამ განუსაზღურებელი და  
დაბადებულნი მის მიერ კეთილნი და ნამდვლნი საქმენი საღმრთო-  
ნი და ცრუნი და გარემისაქცეველნი შეადგნა ურთიერთას<sup>2</sup>. ხოლო

1 მისა A. 2 ურთიერთარს B.

\* შდრ. ფსალ. 36,13. \*\* შდრ. ფსალ. 123,6. 3\* ფსალ. 36,15. 4\* შდრ. ფსალ.  
3,7. 5\* შდრ. ფსალ. 19,8. 6\* შდრ. გალატ. 4,7. 7\* შდრ. ქრომ. 8,15. 8\* შდრ. ებრ.  
1,3. 9\* შდრ. იოან. 15,15. 10\* შდრ. გალატ. 4,8.

გამოირჩია და შეიწყნარა, აღიარა და კმსახურა ნამდვლსა არსებასა განუსაზღვრებელსა სამთა გუამთა მიმართ წმიდათა განუწყალებელად განფენილსა ხოლო საქმეთა კეთილთა, ესე იგი ერთისა სამებისაგანისა ძისა და სიტყვსა ღმრთისა კორციელთა განგებულებათა საცხოვრებელთა ჩუნთა, და განჰყარნა ყოველნი საეშმაკონი სიკრუნენი, ვინა აღსარებაი და შეწყნარებაი ჭეშმარიტებისა და განგდებაი და გარემიქცევაი სიკრუნეთა საშუალი იყო კეთილი დასასრულისათს კეთილისა, რომლისა თანა ამათ სანატრელთა ბრძენთაგან შეერთებულ იქმნა, ხოლო დასასრული იგი ესე არს ნამდვლ საწყურისა მიც/და სატრფიალომსა არსთასა შეერთებისათს და არა განვრდომისათს მისგან, ვინა საშუალსა მას თქმულსა გულისხმის-ყოფით წარმოდგომილსა და განჰსჯილსა და სიტყვთა აღსარებულსა შეუდგა საქმეცა სანატრელთა ამათ ბრძენთაგან და საშუალი ზედვითი სრულ ჰყო საშუალმან საქმიომან, რამეთუ აღსარებაი ჭეშმარიტებისა სიკუდილითა სანატრელითა და სისხლითა დათხვევითა ყოვლად წმიდითა სრულ-იქმნა დასასრულისა მისთს თქმულისა.

სანატრელ არიან ბრძენნი ესე მით, რომელ პოვნილი იგი სიბრძნეი, აღრჩევაი იგი ნამდვლ ჭეშმარიტისა კეთილისა მიუთხრეს ყურთა შინა მსმენელთასა. ესე არს ესე: მოყუასმან მოყუასსა და ზოგად შეკრებულმან მრავალბევრობამან ზედმჭურეტთა მათისა ლუაწლისად ღროსა მას გარემოდგომილსა, ვითარმედ მრავალნი და უმრავლესნი წმიდისა მის შეკრებულებისა ქრისტესთს პყრობილთა მათგან იყუნეს მტარულანი მათნი და მრავალნი შიშისა ძლით სიკუდილისა ზედმიცილებულნი ჭეშმარიტებისაგან. ხოლო გუარი მითხრობისა ყურთა მიმართ მჰსმენელთა ამათ ყოველთასა ესევეითარი მოყუასისაგან მოყუასისა მიმართ: „მე უკუე აღვიარებ ძესა ღმრთისასა განკორციელებულსა და განკაცებულსა ღმრთად შემოქმედად ყოვლისა თანა მამით და სულით წმიდითურთ და მწყურის მისთს, რათა შეესმეცა /სასმელი სიკუდილისა, რათა მის თანა ვსუფევდე საუკუნოდ. თქუენ უკუე, მოყუასნო ჩემნო, დააკლებთა თაეთა თქუენთა კეთილისა ამის ჰსრბისაგან?“ ხოლო ჯმანი ესე მოყუასთაგან მოყუასთა მიმართ ყოველთა განჰსწყუთებოდა და მჰსმენელი ამათი ერთმანერთისაგან ათბევრობა იგი ღალდებდა ბრწყინულითა კმითა: „აღვიარებთ ერთსა მხოლოსა ღმერთსა მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, ერთსა არსებასა სამგუამოვანსა“. ხოლო მოყუასი მოყუასსა განაძლიერებდა მეტყუელი: „დავითმინოთ ერთისა სეკუნდისა ჭირი, დაღათუ საშინელი,

- და მოვილოთ მაცხოვრისა ჩუენისა იესუს<sup>1</sup> ქრისტეს თანა უკუდა-  
 ვება დაუბერებელი ჭეშმარიტებისა ზედმოცილებულთა მიმართ“.  
 შ, საწყალობელნო და უბადრუკნო თანმოქალაქენო, წმიდათა კრუ-  
 ლებითა ჩუენ თანა შეკრულნო, რომელნიცა განაქსნით პყრობი-  
 5 ლებისაგან თავთა თქუენთა, წუთ დრომსა და საუკუნომთა განუ-  
 კსნელითა საკრუელითა შეიკრვით, მოჰფარდულემა უკუდავებითა  
 და სახიერისა მის სიძისა თანა ყოფისაგან ცხოვრებასა არა დად-  
 გრომადსა, რომელი მისგავესად „კუამლისა ჰსჩანს დღეს და ზუალე  
 განქარდეს“\*, და მტერთა თანა ღმრთისა თქუენისათა დაუსრუ-  
 10 ლებელთა ტანჯუათა მიცემასა ნუ დააკლებთ თავთა თქუენთა  
 გვრგუნისა მისგან, რომელიცა ესერა წინა გჰქს მოღებად. ნუ წარს-  
 V წყმდებით საღმრთომსა ამის კრებუ/ლისაგან, რომელიცა ესერა  
 ზიარებად მზა არს ჩუენთვის ვნებულისა ქრისტეს თანა. შ, თანამო-  
 ქალაქენო, დაითმინეთ ჩუენ თანა სიკუდილი ქრისტესთვის, რათა  
 15 ერთად ღირს ვიქმნნეთ „შესლუად სიწმიდესა მას შინა“\*\*, „სადა-  
 იგი წინამორბედად ჩუენთვის შევიდა იესუ“<sup>3\*</sup> ღმერთ-მამაკაცი  
 იგი მღუდელი და მეფე მტარულთა მიმართ. „ნუ ჰსდროებთ აღ-  
 სრულებად ბრძანებულისა თქუენდა. ჩუენ ყოველნი ქრისტეანენი  
 ვართ და გურწამს ცხოველსყოფელისა მიმართ სამებისა და შზა  
 20 ვართ მისთვის სიკუდილიად. არა უარყვით შემოქმედი, რომელმან  
 დაგუბადა ჩუენ, არა უმადლო ვექმნეთ ქუელისმოქმედებასა მის-  
 სა, რამეთუ მხოლოდშობილმანცა მამისამან სიტყუამან, კორცი-  
 ელად თანაარსმან ჩუენმან „იენო ჩუენთვის კორციითა“<sup>4\*</sup>. არა  
 შეურაცხყოფთ ხატსა კორციელისა არსებისა უფლისა ჩუენისა  
 25 იესუ ქრისტესსა და უხრწნელისა დედისა მისისასა, არამედ ძრწო-  
 ლით თაყუანის-ვისცემთ, „რამეთუ პატივი ხატისა პირმშომსა მი-  
 მართ აღიწვეის მაგალითისა, რამეთუ პირმშომ იგი მაგალითი ხა-  
 ტისა არს უფალი დიდებისა, რომელსა ჰშუენის თაყუანისცემა და  
 პატივი. არცაღა ხატსა უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის-  
 30 მშობელისასა უპატიოებით გარე მივექცეთ, რომლისა პირმშომ  
 მაგალითი არს მშობელ სიტყვსა ღმერთ-მამაკაცისა და მაცხოვარი  
 ნათესაეისა კაცთასა“<sup>5\*</sup>.
- 209 ხოლო სათანადო არს ჩუენდა თქმად, თუ სადადთ /მოჰსრბა ანუ  
 ვითარითამე მიზეზითა ერთსა შინა წმიდასა გულისხმის-ყოფასა  
 35 ბევრობა ესე ათეული.

<sup>1</sup> იესოს A.

\* შტრ. იაკობ. 4,14. \*\* შტრ. ებრ. 10,19. 3\* ებრ. 6,20. 4\* შტრ. 1 პეტ. 2,21.  
 5\* ეასილი დიდი.

ჯალალდინ სულტანი ხუარასნისა და უფროსლა ხუარაზშმა<sup>1</sup> და მეფე ყოვლისა სპარსეთისა ვიდრე ინდიადმდე მლტოლუარე ჩინელთაგან სპათა კნინლა ურიცხუთა, რომელნიცა გამოვიდეს ჩინიათ. და მეფე და მკედართმძღუან მათლა იყო ზედწოდებული ჩინგიზ ვინმე, გამოცდილი მკედარი და ბედნიერობასა დიდსა მიმ- 5 თხუეული. აღდგომილი ჩინგიზ, ნათესავით ჩინელი, მიემსგავსა საქმეთა მიერ ძუელთა მათ კაცთა ჩინებულთა ნინოსს, სირიისა მეფესა, და უფროსლა ცოლსა მისსა სემირამიდას, ირაკლის, დიონჯისს, კეროსს, ალექსანდრეს და სხუათა. ამან ჩინგიზ მორჩილებასა ქუეშე მეფობისა თვისისასა მოიყუანნა ინდნი და სპარსნი 10 და სირნი და ხალდეველნი და მიდნი, სომეხნი და ქართუელნი, ხოლო სიმრავლესა სკუთთა და სარმატნი და რუსნი.

ვერ შემძლებელმან ჯალალდინ სპარსთა მეფემან წინადადგომად ჩინგიზისა, ვითარ ძღუელმან მისგან, ვლტოლუა კმეულ-კყო სპითა დიდითა დედა-წულითურთ და მგზავრ მოსრულმან სომხეთს 15 შინა ალაოკრა ყოველი მკედრობად სომხეთისა. მაშინ მეფემან ყოვლისა საქართუელომსა და აფხაზეთისამან რუსუდან პირუელმან წარგზავნა კყო სპისა თვისისა წინააღმდგომად / ჯალალდინისა შით, რომელ რომელნიმე ნაწილნი სომხეთისანი ფლობასა ქუეშე შეიციუ- 20 ებოდეს ქართუელთასა, და მთავარ და მკედართმძღუან კყო იოანე მხარგრძელი, კაცი კმაგასმენილი გამოცდილებათა შინა მკედრობითთა. ხოლო მისრული სპა ქართუელთა დეინს რომელსამე სოფელსა ანუ მცირესა ქალაქსა სომენთასა ებრძოლნეს სპარსთა, სადა-იგი იდიდნეს ბრძოლასა მას შალუა და იოანე მთავარნი, კორციელად ძმანი ერთმანერთისანი, ნათესავით თორელნი<sup>2</sup>, ადგილითა ახალციხელ- 25 ნი, კაცნი მკნენი და ყოვლად ჩინებულნი ბრძოლასა შინა. ხოლო ატაკსა მას შინა საშინელსა იძლიენეს ქართუელნი ცოდუათათვს და პირუელთა შინა ატაკსა თქმული იგი შალუა შეპყრობილ იქმნა სპარსთაგან, რამეთუ ყოველნი საჭურუელნი თვისნი ხეთქებასა შინა დაეღწნეს და ცხენი, რომელსა ზუდა მჯდომარე იყო, მოიკლა 30 მტერთაგან და სპა იგი ქართუელთა ივლტოდა და ესრეთ ახოვანი იგი მკედარი მთავარდა ცოცხალი კელთა შინა მტერთასა.

შალუა პატივისმოყუარებით და სიყუარულით შეიწყნარა სპარსთა მეფემან სიმკნისათვს მისისა და პატივსა უყოფდა და ნიჭ- 35 თავისუფლებითა და სიყუარულითა. და შემდგომად წელიწდისა ერთისა აწუა ჯალალდინ შალუა ახოვანი უარის-ყოფად ღმრთისა

<sup>1</sup> ხუარაზშმა A. <sup>2</sup> თორელნი|ახალციხელნი B.



210 და მიქცეველ ცრუ მსჯულობისა მიმართ ბილწმოციკულისა მახმე/დისა და პატივთა და ნიჭთა დიდთა აღუთქმიდა და სატანჯუელთა მძნუარეთა წინა-დაუღებდა.

ყოვლითურთ გარემიმაქცეველი წინადადებათა მეფისათა შალუა მამეულ აღიარებდა ქრისტესა ღმერთსა ჭეშმარიტსა და სიცრუეთა ბარბაროსებრთა გარე-მიექცეოდა, რომლისათეს მწარითა სატანჯუელითა ცხოვრებისაგან განხრწნადისა მოაკლო იგი უღმრთო მან ჯალალდინ. ესრეთ ნეტარი შალუა მარტულებრითა გვრგუნითა დადგა წინაშე ცხოველთ შემოქმედისა სამებისა მღუ-  
10 დელმოქმედსა ზეცისა იერარხთა თანა საუკუნოდ მსხუერპლთა ქებისათა.

ოდეს მოიცალა ჯალალდინ აღსპობისაგან ყოვლისა მკედრობისა სომხეთს შინა მსა, შემოვიდა ქართლად, რომლისათეს რუსუ-  
15 დან მეფემან მსაჯა უმჯობესად თავისა თვისისა წარსლუა ღიხთ-იმერად და აქა მცუელად ციხეთა და ქალაქთა ტფილისს შინა და ნისანს დაუტყენა მთავარნი მკედართანი, კაცნი გამოცდილნი, ძმანი კორციელად ზედწოდებულნი მემნონ და ბოცო, ნათესავით ბოცოს ძენი. ხოლო სპარსთა მსწრაფლ მსრბით მოსრულთა ტფილისად გარემოდგომილ მყუეს ქალაქი, რომელთაცა შინაგნით ჰბრძო-  
20 დეს ახოვნად ქართუელნი მცუელნი ქალაქისანი.

V იყუნეს უკუე ქალაქსა შინა ტფილისს კაცნი მკედრნი, ნათესავით სპარსნი, ნუუკუე ჩემებით/ ქრისტეანე ქმნილნი, რომელთაცა ღამესა მას მომვერაგებელთა შინაგანცემისათა წარკვზავენეს  
25 ქალაქისა. მაშინ სპარსნი მისრულნი უგრძნობელად მცუელთა ქალაქისათა ბჭედმდე ქალაქისა, რომელსა ზედწოდებულ-მყოფენ განძისკარად, რამეთუ ესრეთ იბირნეს<sup>1</sup> უღმრთოთა მათ შინაგან-მცემელთა, განახუნეს კარნი შინაგნით და შორის ქალაქისა შემოიყუანნეს. ანაზდისა ამის ქალაქისა შინა მტერთა შემოსლვისა  
30 მემნონ და ბოცო მირბიოდეს წინააღმდეგომად მტერთად, რომელნიცა იხილნა რა შინაგანმცემელმან ვინმე სპარსმან უჩაბალაზოდ, მსცა მემნონს თავსა ზედა აფთი და განუპო თავი და პატიოსნითა მით სიკუდილითა ქუე დაეცა.

არამიკრედნი იყუნეს უღმრთონ იგი სპარსნი, მკედრნი ტფი-  
35 ლისს შინა, რომელთაცა თანამოქალაქეთა თესთა ზედა აღიმკედრნეს და კართა ქალაქისათა განმხმელთა და მტერთა შემომყუანებთა შორის მტერთა თანა ტყუენეად, სრუად იწყეს უწყალოდ მო-

<sup>1</sup> აბირნეს B.

ქალაქეთა, რომლისათუს მკედარნი მცუელნი ქალაქისანი ციხედ  
ნისანისა იელტოდეს და რაოდენ შესაძლო იყო მათდა, განამაგრეს  
ნისანი.

მაშინ შემოსრულნი შინაგან სპარსნი და შინაგანმცემელნიცა  
იგი უკეთურნი საშინელითა აღსაპობითა მოქსწყუედდეს ბერთა, 5  
მო/ხუცთა, ჭაბუკთა, ყრმათა და ჩრულთა მამრთა და მღედრთა გა- 211  
ნურჩეველად. ზარგანსაყდ იყო საშინელება იგი მკულელობითი,  
ტყუეობითი და იავარქმნითი ქალაქისა. უმრავლესნი ცხენთა მიერ  
უბანთა და ფოლორცთა შინა დაითრგუნვოდეს და განწყუალება  
ღირსი ცრემლთა და უფროს ვოდებისა მწარე იქმნებოდა მშობელ- 10  
თა შორის და შეილთა მეუღლეთა შორის, ძმათა შორის, უფალთა  
შორის და მონათა და მეგობართა, რამეთუ ზოგად ყოველნი ერთ-  
სა მას მძუნუარესა იტურთვდიან განსაცდელსა.

მაშინ დაწუანი წმიდათა ეკლესიათანი, დარღუევანი განწმე-  
დილთა საკურთხეველთანი, შეგინებანი სიწმიდეთანი, ტყუეობანი 15  
და სიკუდილნი მწარენი ეპისკოპოსთა წმიდათა და განკრძალულ-  
თა მღუდელთა და დიაკონთანი, აღსაპობანი მონასტერთანი, სიკუ-  
დილნი და წარტყუენანი მონაზონთა და მოწესეთანი, შეგინებანი  
ქალწულთანი, დაცხრომანი მსხუერპლის შეწირუათა და დღესას-  
წაულთანი და ყოველი იგი, რადევეცა უესპასიანეს მიერ და ტიტეს,  
მკედრთა იეროსალიმისთა, იუდეანთათუს<sup>1</sup> მოთხრობილი იოსიპ- 20  
პოსის მიერ.

მკმენელმან ქუთაისს შინა მჯდომარემან მეფემან რუსუდან,  
რომლისა ცოდეთა განიპატიეა ღმრთისაგან მონარხია<sup>2</sup> მისი, რა-  
მეთუ, რადევეცა ჰყო მან ძმისწულსა მისსა ზედა დაეთს და/ხატე- 25  
ბასა ზედა ღმრთისასა არსებასა თუსსა, უკმოიზლო ღმრთისაგან  
მოსაგებელი ესე, რომელიცა სიბოროტედ უდიდესად მიდრეკიითა  
მოიყიდა, უბრძანა ბოცოსს ძესა ბოცოსსა, რათა დაუტევეოს ნისანი  
და მისცილდესმცა ბრძოლისა მისგან, რომელიცა აქუნდა ცუსათუს  
ციხისა. და ბრძანებამა ესე ბოცომან მოილო მრავალჯერ. უკანას-  
კნელ ბრძანებთაებრ არამრთელცნობიერისა მეფამსა თუსისა მის-  
ცილდა ნისანს ყოფისაგან და არაგრძელგანმმსჯელისა მეფისადმი 30  
თუსისა წარვიდა.

მთავარნი მაშინდელნი, ვითარცაღა კშუენოდა მპყრობელსა  
მაშინდელსა, ეგვეითარებდეს და თანად ყოველნი კნინდა აფროდი-  
ტისა და დიონუსის საეშმაკომასა ბომონისა იყუნეს ერ.

მცნობელმან წარსლვისამან ჯალალდინ ნისანით ბოცოსმან 35

<sup>1</sup> იუდეანთა A. <sup>2</sup> მონარხია A.

ნისანიცა კელთ-იგდო და მებრ ტფილისისა წყლულებითა მეუღლე-  
ლითა და მტყუენუარითა და ეკკლესიითა და პალატთა და სახლთა  
საფუძეულადმდე დამარლუეველითა აღავსო. ესრეთ უკუე განაძენა  
5 ეშმაკმან ჩუენ ზედა არაწმიდასა მას გულისხმის-ყოფასა შინა  
უკეთური იგი სული მისი, ვინაჲცა გუმბათი საეპისკოპოსოჲსა  
ეკკლესიისა სიონ ზედწოდებულის მოარლუა და არაწმიდაჲ საყდა-  
რი თვისი დაღვა მას ზედა და ყოველნი ეკკლესიანი დაარლუნა სა-  
ფუძეულთამდე.

- 212 /ამათ შინა ჯალალდინ განზრახუთა ეშმაკისათა იზრახა ტყუ-  
10 ეთაგან ყოველთა უარყოფად ჭეშმარიტებაჲ და მოყუნებად იგინი  
არაწმიდისა მსჯულისდებისა მახმედისად. ხოლო გუარი საეშმა-  
კოჲსა მის მოგონებისა იყო ესე, რამეთუ პატიოსანნი ხატნი უფ-  
ლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ქალწულისა  
ღმრთისმშობელისა მარიამისი, აღმართებულნი წმიდასა შინა  
15 ეკკლესიასა, ზედწოდებულსა სიონს, ბრძანა მოღებად და საშუალ-  
სა კიდისასა დაღებად, ვითარ-იგი მატიანეთაგან მეფეთა ქართუ-  
ელთასა მოითხრობის, ხოლო მოყუნებად ტყუენი ყოველნი კიდე-  
სა კიდისასა და მუნ უარის-ყოფად, რათა წუეულ- იქმნენმცა იგინი  
ღმრთისა ჭეშმარიტისა და მერმელა დათრგუნუად და ნერწყუად  
20 ხატნი იგი წმიდანი.

არამცირელი იყო მაშინ სიმრავლე ტყუეთა, რამეთუ ქალაქი  
ესე ჩუენი სამკერძოჲთა მდებარეობითა იყო მდგომარე და  
თუთოსა კერძოსა შინა მრავალათასეულინი მკვდრ იყუნეს მოქალა-  
ქენი, რამეთუ ნისანს და ტფილისს და კალისს კერძოთა ერთისა

- 25 ქალაქისათა განფენილ იყუნეს და არცა ერთი ვინ მწუალებელთა-  
განი მკვდრობდეს დროსა მას ვიდრე ამად მოოჯრებადმდე ქალა-  
ქისა. ეგსახედ მრავალნი გარემო სოფელთაგანნი ტფილისურისა  
პროვინციისანი მყოფობდეს დროსა მას ქალაქსა ამას შინა სამე-  
უფოსა შემომევედრებულნი თავთა თუსთანი, რათა ქალაქსა შინა, ვი-  
V 30 თარცა უმტკიცესსა შინა ციხესა, განარინნეს თავნი თუსნი მომა-  
ვალისა მისგან განსაცდელისა, რომელნიცა ჩუენ სიტყუასა ამას  
შინა ზემოთა თქმათა ერთად ერთისა ქალაქისა მოვიცნენეთ.

აღასრულეს ბრძანებული უღმრთოჲსა მეფისა და წარმოად-  
გინეს სიმრავლეჲ ურიცხვ და წარმოდგომილთა მათ ეტყოდეს:

- 35 „ბრძანებსო მეფე ჩუენი, რათა თქუენ ტყუეთა ყოველთა უარ-  
კყოთ ქრისტეჲ თქუენი და დაუტევოთ მსჯული მისი და ხატნი ესე.  
მდებარენი კიღსა ზედა, ნერწყუთა და დათრგუნეთა უპატიეოჲ კყუ-  
ნეთ. ხოლო თუ სადამე ისმენთ დამორჩილებით ბრძანებასა ამას,

მიიღოთ ყოველთა მეფისაგან თავისუფლებამ ტყუეობითი<sup>1</sup> და ნი-  
ქნიცა. ხოლო თუ სადამე ურჩ ექმნნეთ, ამა მახულნი კელთა შინა  
ლაშქართა ჩუენთასა თუნიერ ყოვლისა იკვსა, ყოველნი ურჩნი მე-  
ფისანი წარმდებებისათჳს თქუენისა უთავო იქმნნეთ\*.

მკსმენელნი უკუე, უბადრუკებასა შინა მყოფნი ტყუენი, შე- 5  
შინებულ იქმნეს. მრავალნი მათგანნი ზარისაგან წინაშე თუალთა  
მათთა მდგომარისა მის სიკუდილისა და მებრ ბრძანებისა მის  
ულმრთოისა დააკლდეს გერგვისაგან წინაშე თუალთა სულისათა  
მდგომარისა. გარნა უმრავლესნი სიხარულმან სმენისამან მხიარულ  
და მრჩობლთაგან საკრუელთა თავისუფლებისა მკსწრაფლ მო- 10  
ლოდებამან შუებულ კყუნა, რომლისა ნაცუალნი /მაწუეველთა 213  
მიუგეს: „ჩუენ მადლითა ღმრთისათა ყოველნი ქრისტიანენი ვართ  
ერთისა მიერ ქრისტეს ძისა ღმრთისა პატიონსითა სისხლითა მი-  
სითა მოსყიდულ. და წინაპართა მშობელთათ აქამომდე ქალაქსა  
ამას შინა ერთისა ცხოველსმყოფელისა სამებისა ღმრთისა იქალა- 15  
გების სახელი, რომლისა მიერ ქმნილნი გუშუეს მშობელთა ჩუენ-  
თა ქალაქსა ამას შინა და რომლისა სახელითა ქალაქსა ამას შინა  
აღმოგუშუნა მორწმუნემან ამან ქალაქმან. ხოლო სიმრავლემან  
ცოდუათამან, რომელიცა „ექსცოდეთ და ვიუსჯულოეთ და მცნე-  
ბათა ღმრთისათა არა ვისმინეთ და არცა დაეიცუენით და არცა 20  
ეკყაეით, ვითარ-იგი მამცნო ჩუენ ღმერთმან, რათა კეთილ-იქმნეს  
ჩუენდა, და ყოველნი ესე მოაწიენა ჩუენ ზედა მაღალმან და ყო-  
ველნი, რაოდენიცა გვიყუნა, მართლითა მით მკსჯავრითა გვიყუ-  
ნა მისითა, რამეთუ მიგუცნა ჩუენ კელთა (თქუენ) მტერთა უს- 25  
ჯულოთა ფიცხელთა, განდგომილთა და მეფისა ცრუმსა და უუს-  
ჯულოესისა უფროს ყოვლისა ქუეყანისა. დაღათუ არა არს აწ  
ჩუენდა აღებამ პირისა, რამეთუ სირცხვლელუ ვართ და ყუედრე-  
ბულ და შემციარებულ უფროს ყოველთა ნათესაეთა და ვართ მდა-  
ბალ ყოველსა ქუეყანასა დღეს ცოდუათა ჩუენთათჳს, მაგრა სუ- 30  
ლთა შემუხრვილითა“\* და მდაბლითა შეგსწირავთ დღეს თავთა  
ჩუენთა ღმრთისა მიმართ მამისა და უფლისა ჩუენისა იესუ ქრის-  
ტემსა მოტევებისათჳს ცოდუათა ჩუენთასა, რომელნი ვკქმ/ნენით V  
ქალაქსა ამას შინა და სიწმიდენი ამისნი შეეაგინენით. და კუალად  
ამისთჳს, რათა ქალაქი ესე ჩუენი სიწმიდითურთ თვისით შეგინე-  
ბული ცოდუათაგან ჩუენთა და მიცემული კელთა თქუენთა სისხ- 35  
ლითა ჩუენითა განწმიდნეს მაღალმან და თავისუფალ კყოს მოოხ-

<sup>1</sup> ტყუეობით B.

\* მღრ. დანიილ. 3,29-39.

- რებისა და ტყუეობისაგან. ნუ ჰკონებთ, უღმრთონო, რათა შიშ-  
 მან სიკუდილისამან ანუ ალთქმამან თავისუფალ-ყოფისა და ნიჭთა-  
 მან აღგვიტაცნეს, რამეთუ შეუძლებელ არს ჩუენ სახელითა უფ-  
 ლისათა შეკრებულთა ამით განყოფამ ღმრთისაგან ჩუენისა ანუ  
 5 ერთკრებულებისა ამისგან. სასშელი ესე სიკუდილისა, რომელი გი-  
 პყრიესთ ქელთა შინა შესმად ჩუენდა, შეეპსუთ სიხარულით. არა  
 უარვპყოთ ქრისტეა, შემოქმედი ჩუენი და უფალი, არამედ მოვ-  
 პსწყედთ ყოველნი სახელისათუ მისისა. არა უპატივო ვპყოთ პა-  
 ტიოსანი ხატი მისი, რომელი წმიდათა ანგელოსთაგან პატივი-ციე-  
 10 შებბს. აჰა, ქედნი ჩუენნი ქუეშე მახვლთა თქუენთა, ეციოთ ძლიე-  
 რად, რათა „სულთა ჩუენთა გულისმოდგინეთა“\* ვითარცა მტუ-  
 ერნი განიყარენსმცა უძლურნი ესე და განხრწნადნი კორცნი და  
 „სულსა ღმერთსა სულითა და ჰეშმარიტებითა თანამედებისამებრ  
 ჩუენისა თაყუანის-ვპსკეთ“\*\* „პირისპირ“\*.
- 15 ესფერუე ღალადებდა სიმრავლე ბევრთა მათ: „უფალო იესუ  
 ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, შეგვწყალენ ჩუენ და შე-  
 გუეწიენ და წარმართე ჰსრბამ ესე ჩუენი შენთუს<sup>1</sup> სიკუდილისა მი-  
 მართ და მიითუალნენ სულნი ჩუენნი ქელთა შინა შენთა“. ხოლო  
 რომელნიმე მათგანი ღალადებდა „ამინ“. ხოლო კეთილისა მის  
 20 წარმდებებ/ებისა უკურჩომამან ათბევრ კყო რიცხჳ მოღუაწეთა, რო-  
 მელნიმე მათგანნი, ვკონებ, ვითარმედ ეპისკოპოსნიცა, რამეთუ  
 ეპისკოპოსი ქალაქისა ამის და მონასტერთა შინა ამის ქალაქისათა  
 მცხოვრებნი მყულდროებით, ნებსით დამტყეებულნი საყდართანი და  
 ეგსახედ ყოვლისა წესისაგან და ყოვლისა პასაკისაგან და ყოვლი-  
 25 სა ღირსებისაგან და ყოვლისა აღსავალისაგან სამღუდულომსა, სა-  
 მოქალაქომსა და სამკედრომსა, თავწარკუეთილ იქმნენს სადიდებე-  
 ლად ღმრთისა და პატივად წმიდისა ეკლესიისა.
- და რამე ვპსთქუა თქუენდამი სიტყუაა შესხმად და გალო-  
 ბად, გუნდო პატიოსანო, შეკრებულო მრავალბევრთაგან, უკეთუ  
 30 მაქუნდესმცა ათნი ბევრნი ენანი, ვერ კმა იქმნენს თქმად ლექსთა  
 და სიტყუათა, რამე გულისხმისყოფითი ამისდა მოქმედება, ანუ  
 პონად, განკარგუად, უხუ ყოფად და შემკობად და შუენიერ ყოფად  
 სიტყუანი და პაზრნი სიტყუათანი მით, რომელ სოფელსა და  
 კორცთა ზესთა ექმნენით სირცხლეულ და კდემულ-ჰყავთ მტერი,  
 35 განამტკიცეთ თქუენ შორის განსჯად იგი ყოვლად უაღრესი, უკე-  
 თილესი და უმართლესი, დაიცევით თქუენ შორის შეუხებულად

<sup>1</sup> შენთუს... ჩუენნი — A.

\* შდრ. მატთ 26,41. \*\* შდრ. იოან. 4,24. 3\* 1 კორ. 13,12.

სიბნელეთა და შემრღუვევათაგან წინა-განჰსჯათა და სიმოკლეთა-  
 გან სიცრუეთა და მაცთურებათაგან წმიდამ გულისხმის-ყოფამ  
 მოქმედებითურთ მისით, არა იქმნენით განმცემელ სარწმუნოებისა  
 ჭეშმარიტისა, არამედ განმცემელ/თავთა თჳსთა ჭეშმარიტები-  
 სათჳს. სიბრძნით მიჰსცენით მომცემელისათჳს სიცოცხლემ დაბე-  
 რებადი და არგებადი და მოიფარდეთ უკუდავებადი და გებადი.  
 სიმრავლემან გუამთა თქუენტამან ერთითა წმიდითა სარწმუნოე-  
 ბითა ერთ შეკრებულებისა მიმართ და განუზომებლობამან<sup>1</sup> ერ-  
 თისა მარტივისა ტრფიალებისა სულთა შინა თქუენტა წმიდათა,  
 რომელიცა აღატყდა ერთისა მიმართ სატრფიალომსა და სისხლთა  
 ყოვლად წმიდათა თქუენტა, ერთად დიდადრე მდინარედ გამო-  
 სრულმან განაკვრუნა ძალნი ზეცისანი.

შემოვილო მე აქა სიტყუამ მოძღუართა შორის უბრწყინუალე-  
 სისა: „თქუენ არათუ ქუეყანამან დაგფარნა, არამედ ცათა შეგი-  
 წყნარეს და განგეხუნეს თქუენ ბჰენი სამოთხისანი“\*. ვერ დამაყე-  
 ნებელ თქუენდა შესულად სამოთხედ ბრძანებამ ხერუვიმისა მი-  
 მართ მოტყინარისა და<sup>2</sup> დაქშუად მახჯლისა მიმართ იქცევისისა  
 მით, რომელ სისხლმან ზიარმან ჯუარსა ზედა ლახურითა გუერდ-  
 განგმერილისა ღმერთ-მამაკაცისა სიტყუსამან ალილო ბრძანებამ  
 თქუენდა სამოთხედ შესულად დაყენებისა. ჭეშმარიტად შეხუედით  
 დაუყენებლად ძისა ღმრთისა თანა, ხისა მის ცხოვრებისა გემო  
 იხილეთ, ღმერთ იქმნენით და სიხარბისა გუელი მოაკუდინეთ.

მ, არომატრო ნელსაცხებელნო, უსასყიდლონო სუნნელებანო  
 ქრისტესნო, დიდებანო და გვრვენო ქალაქისა თქუენისანო, მეო-  
 ხნო და შუამდგომელნო ყოვლისა სოფლისანო, მ, ვარსკულა/ენო  
 მრავალბეერნო, განათლებულნო ნათლითა მზისა სიმართლისათა,  
 განმანათლებელნო ყოვლისა სოფლისანო, „ნათესაენო კრჩეულნო,  
 სამეფონო და სამღუდელნო, თესლო წმიდაო“\*\*, წოდებულნო  
 საკრუელისა მის ნათლისად მწოდებელისა თქუენისა. ჭეშმარიტად  
 სათნოებანი თქუენნი, რომელნიცა ვნებასა შინა განაბრწყინუენით,  
 ასწაეებს და კმოდღურებს დუმილით სიკეთესა სათნობათასა.  
 თქუენ „ერთი ერთისად შეყოფილ სული ვერ განვიდეს მას, რა-  
 მეთუ კაცი ძმასა თჳსსა შეეყუენით და არა განეშორენით. თუალნი  
 თქუენნი (რომელნი აღახილენით ჟამსა ვნებისასა ღმრთისა მი-

<sup>1</sup> განუზომებლობამან B. 2 და — A.

\* ეპილო დიდისა, ორმოცთა მოწამეთათჳს. \*\* შდრ. 1 პეტ. 2,9.

- მართ), ვითარცა ხილუა მთიებისა, პირისაგან თქუენისა გამო-  
ვალნნ, ვითარცა ლამპარნი მგზნებარენი<sup>40</sup>, და გამოქსცვიან  
შანთნი ცეცხლისანი, რამეთუ პირისაგან თქუენისა გამოვიდა აღ-  
5 სრულება იგი ჭეშმარიტებისა, რომელი, ვითარცა ლამპარი, ეგზე-  
ბის ბრწყინუალებითა ჭეშმარიტებისათა და განმლეველობითა  
კრუთა წინადადებათათა და, ვითარცა შანთი ცეცხლისა, შესწუავს  
ყოველთა მიახლებულთა გმობითა თხზულებათა. „შეუძრულ  
გულნი თქუენნი და დამყარებულ, ვითარცა ლოდი, და ჰგიეს იგი,  
10 ვითარცა გურდამლი განუჭედელი მით, რომელ რაოდენცა ეკუ-  
თნეს განსაცდელნი ლოდსა მას წმიდასა, სიმტკიცესა გონებისა  
თქუენისასა, ვერ შექსძრეს და, რაოდენცა ეკუთნეს ურონი იგი  
ძლიერად კორციელთა ბოროტ-შემთხუევეათანი, ვერ შექმეს-  
რეს“<sup>41</sup>.
- V 15 /პატიოსან იყუნეს ძუელთა შინა „კიდობანი იგი ოქროსა და  
ფიცარნი მწიგნობრისაგან ზესთა ღმერთთასა წერილნი“<sup>30</sup>, გარ-  
ნა მორწმუნეთად უპატიოსნეს წმიდანი სულნი თქუენნი, არსნი  
უხარწუნლნი ყოვლით კერძო სულისაგან წმიდისა ყოვლითა სათ-  
ნოებითა მოოქროვილნი და წამებისა სისხლითა განწმედილნი. ეს-  
20 სახედ წერილნი ყოვლითა საღმრთოთა მცნებითა მისგანვე მწიგ-  
ნობრისა არ აღულ შემუსრუადნი, არცაღა დაფარულნი ადგილითა  
რამათმე, არამედ ზეციერსა მას ეკკლესიასა შინა განცხადებულნი.  
დაჰფარვიდეს „სალხინებელსა მას ოქროსასა ხერხუვიმნი ოქ-  
როსანი ფრთეთა მიერ თვსთა ხილულად და ჰფარუნ უხილა-  
25 ვად“<sup>40</sup> მძლავრებისაგან ბარბაროსთასა და წმასნილსიტყუაობისა-  
გან მწუალებელთასა წმიდასა ეკკლესიასა ქართულთასა ოქროს-  
ფერნი იგი ფრთენი ღმრთისა მიმართ შუამდგომელობისა თქუენი-  
სანი.
- მ კრებულო საღმრთოო, ერთითა წმიდითა განზრახვთა შე-  
30 კრებულო, მიითუალე შესხმითი ესე სიტყუაჲ სამღულელომასათეს  
ვნებისა თქუენისა და ურცხუნეღლითა მეოხებითა თქუენითა,  
ღმრთისა მიმართ მერმესა მას აღდგომასა განყოფისაგან საღმრთო-  
მასა კრებულისა მიჯსენით და ქალაქსა ამას ქსცეველით, ბარბაროსთ-  
ძლითთა ყოველთა ძერის-ხილუათაგან და წმიდა ჰყავთ /ყოვლისა-  
35 გან წუალებისა და დაცეულ ყოვლისაგან სნებისა კორციელისა და  
საღმრთომასა მიმართ უძლოდეთ მშუდობისა. ხოლო „მშუდობითა  
მით ღმრთისათა, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შუამდგომე-  
ლობითა მიოვე თქუენითა მამისა მიმართ შეზღულდეთ ესე ქრის-

<sup>30</sup> შლრ. იობ. 41,7-10. <sup>40</sup> შლრ. იობ. 41,15-20. <sup>30</sup> შლრ. 2 სჯულ. 31,26.

<sup>40</sup> შლრ. გამოს. 25,19-20.

ტეს იესუს მიერ“\*, რომლისად დიდება, პატივი და თაყუანის-ცემა თანა მამით და ყოვლად წმიდით სულით აწ და საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

ქვესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა 216  
 მოწამისა კონსტანტინე მთავრისა, ჰენილი ანტონის მიერ 5  
 არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოგსა საქართუალოგსა,  
 დავითიან-ბაბრატოვანისა

გწყუროდა სიბრძნით სიკუდილი სიბრძნისათვის  
 ანტლია ქმნილსა წყლისა ცხოველისასა,  
 ვინა შინაგნით გზადოდა, კონსტანტინე, 10  
 მისლულად მამისა ნათელთასა, წმიდაო,  
 რომლით სიზმარნი ჰსცუალენ უკუდავ-ცხოვრებად.

### სიტყვა შეათოთხმეტე

ჰქსენება მართლისა ქებითურთ\*\*\* კსტქუა სოლომონ იგაეთა-  
 შინა. ხოლო მართალი იგი არს, რომელიცა არა სხუთა რამთაჲმე<sup>1</sup>, 15  
 არამედ „სარწმუნოებით ცხოვნდების“<sup>2</sup>, რამეთუ „არა საქმეთაგან  
 განმართლდების კაცი, არამედ /სარწმუნოებითა იესუ ქრისტესი-  
 თა“<sup>4</sup>. და ქება იგი არს (რომლითურთ ჰქსენება სიმართლი-  
 სათვის მართალსა შეეტყუების), ხოლო არს იგი აღრიცხუა სრულე-  
 ბათა, რომელიცა იგი აქუს ვისმე, და ქება სხუსა არარამე არს, 20  
 თუნიერ აღრიცხუა სრულებათა სხუსათა“<sup>5</sup>. ვინა სათანადო არს,  
 რათა ჰქსენებასა შინა მართლისასა აღრიცხუნენ სრულებანი მარ-  
 თლისანი.

„სრულება უკუე არს თანკმობა სხუაობათა შინა ანუ თანკმო-  
 ბა მრავალთა ერთსა შორის განსხუაევებულთა“<sup>6</sup>. ვინამცა სი-  
 მართლე არს სრულება, რომელიცა არა განიწუალების მრავალთა 25  
 შორის ყოფითა, და, რომელთაცა ზედა შევიდეს, სხუაობილთა: ათან-  
 კმებს და ანუ რომლისა შორის ერთისა მის და მხოლომსა მრავალ-  
 ნი სხუადასხუანი თანკმობენ. პირველისა მაგალითი ესე არს, რამე-  
 თუ თქმულ არს: „ნათელი მართალთა მარადის“<sup>7</sup>, რამეთუ ნათე-  
 ლი მხოლოდ და განუწუალებელი მრავალთა ზედა სხუადასხუათა 30

<sup>1</sup> რამთჲე A.

\* შტრ. ფულიპ. 4.7. \*\* იგავ. 10.7. 3\* შტრ. ამბაკ. 2.4. 4\* გილატ. 2.16.  
 5\* ბაუმესტერიისა, განსაზღვრება ფილოსოფიისა, 1030. 6\* ბაუმესტ. განსაზღვ.  
 ფილოსოფ. 429. 7\* იგავ. 13.9.



შესრული მთანჯმებელი მოქმედთა მათ ერთი და იგივე სიმართლე არს და ერთად მართალ კრებულად შემომკრებელი, ხოლო მეორისა — „მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა“\*, ესე იგი ერთსა შინა ბრწყინულებასა, რომელ 5 არს ბრწყინულებამ სიმართლისა. განსაზღვრებულნი მრავალნი სხუდასხუანი ერთისა მის ბრწყინულებისა მიღებითა ბრწყინულებასა მას შინა მხოლოსა თანჯმობენ.

ამით უკუე ერთითა სრულებითა, ესე იგი სიმართლითა, თუ 217 სადამე მარტივ არს სრულება /ესე, არ აღირიცხვან სრულებანი 10 მართლისანი მით, რომელ ნივთმან ერთმან და მხოლომან ვერ მიიღოს აღრიცხუად, ვიდრემდის ერთი არა ორ იქმნეს და ანუ უმრავლეს. ხოლო თუ სადამე სრულება ესე არა მარტივ არს, არამედ ნაწილოვან არს, შესაძლებელ არს აღრიცხუად, რამეთუ ყოველადსა შინა სხეულსა აღირაცხვან ასონი მისნი, რომელნიცა კერძო- 15 თა მიმართ თქათა სრულ არიან.

სიმართლე, რომლისაგან ისახელნართაულების მართალი, ორ გუარად მოიწია წინამდებარედ გონებისა ჩუენისა, ხოლო ზედმიწეუნილმან გონებამან წინამდებარისამან ორგუართა ცნობათა მისთა ქუემდებარე ჰყო თავი თუსი. პირველად, ყოველსა სათნობე- 20 სა ეზედწოდების სიმართლე, რამეთუ ღმრთისა მიმართ 1. მორწმუნეთა და 2. მოყუარეთა და 3. მოსაყეთა და ამით 4. მეცნიერებითა, ესე იგი ცხოვრებითა გონებისათა განათლებულთა, და 5. მკნეთა ანუ დიდსულთა და 6. მრთელცნობიერთა, ესე იგი სიწმიდის-მოყუარეთა, და 7. უმანკოთა, ანუ უბოროტოთა, ანუ უზაკუელთა

25 წრფელთა ეწოდების მართალი, რამეთუ არა ერთისა სათნობისა ქუემდებარისათეს ითქუა არსებისა, არამედ ყოველთა სათნობეთა. „მართალსა მსჯულ არა უძს“\*\* და არა ერთისა სათნობისა მოქმედთათეს, არამედ ყოველთა. „წარვიდენ მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა“\*\* ხოლო არსებასა ზედა ქუემდებარესა მათსა

30 შესმენილნი ესე შუდნი ერთსა შინა სრულებასა თანჯმობენ, ვითარცა ყოველადნი კერძოსა შინა. და ერთი იგი სრულება/, ანუ ყოველადი მათი არს სიმართლე ანუ სათნობეა. ხოლო თუთოეული შუდთაგანი არს სრულება კერძოთა შინა სხუათა, ვითარცა სახე ნათესავისა მომღები ნათესავისაგან სრულებისა.

35 მეორედ, ერთსა ვიდრემე სათნობასა, ესე იგი უბოროტობასა ანუ უზაკუელობასა, ეზედწოდების სიმართლე. ხოლო თუ სადამე არსებასა ზედა შევიდეს სიმართლე ნაწილოვანი, რომელ არს

\* მატ. 13,43. \*\* ტიმოთ. 1,9. 3\* მატ. 25,46.

სიმართლე ნათესავი სახეთა, და არსებამან მან ქუემდებარემან შესმენილისა გამო თვისისა ისახელნართაულოს „მართალ“, ესეგუარისარე არსებასა კესენება არს ქებითურთ.

ჰსთქუა: „რომელმან ფრიად შეიყუაროს, ფრიადცა მიეტოს“ და, სადაცა არღარა ქუემდებარება ბრალისა, მუნ ქუემდებარება სიმართლისა ნაწილოვანისა, ესე იგი ნათესავისა სათნოებისა სახეთასა, ვინა ფრიად შეყუარება არს სიმართლე ნაწილოვანი და ნათესავი სახეთა სათნობითთა.

შეუძლებელ არს დადებად სული თვისი ვისგანმე ვისთვისმე თუნიერ ფრიად შეყუარებისა. ხოლო მოწამეთა ჭეშმარიტებისათა დადუეს სული თვისი მისთვის, რომელმანცა ჰსთქუა: „მე ვარ ჭეშმარიტება“\*, ვინა მოწამეთა ფრიად შეიყუარეს იგი.

აღმოიჩინების ზემოდასაგან აღმოიჩინებისა, ვითარმედ მოწამენი ჭეშმარიტებისანი არიან ქუემდებარენი თქმულისა მის ნაწილოვანისა სიმართლისანი. აღმოიჩინების კუალად, ვითარმედ კესენება მოწამეთა ჭეშმარიტებისათა ქებითურთ აღმოიჩინების ჭეშმარიტებისა მომთხრობელთაგან. ვითარმედ კოსტანტინე მოწამე ჭეშმარიტებისა, /ტკბილსათქმელი იგი პირთა შინი მარტულთა მოყუარეთასა, ვითარცა თაფლი პირთა შინა მიმღებელთასა, ბრწყინულე მთავართა შორის ქართუელთა, ბრწყინულე მორწმუნეთა შორის ქრისტესთა, ძმათა თვისთა და ბრწყინულე ქრისტესთვის ძლევის-მოყუარეთა შორის, ვითარმედ არს მოწამე ჭეშმარიტებისა, ვინა კესენება მისი ქებითურთ.

ხოლო ქება ვინამთგან იგი არს, რომელი აღრიცხავს სრულებათა სხუათასა, და კესენება კოსტანტინესი ქებითურთ, ვინა სათანადო არს აღრიცხუა სრულებათა მისთა.

აღმოიჩინა, ვითარმედ სათანადო არს კესენება კოსტანტინესი აღრიცხუთა სრულებათა მისთათა. ხოლო ვინამთგან ვიკადრეთ შეხებად სურვილისა გამო მარტულთ-მოყუარებითისა მარტირიკასა შინა ჩუენსა კესენება ქებითურთ კონსტანტინე მართლისა, ვინა სათანადო ჩუენდა აღრიცხუა სრულებათა მისთა.

და ვინმე მცა მე სიწმიდემ ესევეთარი გულისხმის-ყოფისა, რათა განყოფითად და საესედ წარმოვიდგინემცა სრულებანი მისნი და, თუ სადამე მაქუნდეს ეგოდენნი ენანი, რაოდენნიცა სრულებანი ყოვლად წმიდასა მას გუამსა მისსა არსებასა ზედა ხატითა ღმრთისათა დახატულსა მეტზედობენ, მეცნიერ ვარ ძალისა ჩემისა, ვითარმედ ვერ შემძლებელ იქმნენ ენანი იგი თქმად თუთოეულად იწროებისა ძლით გონებისა და ვერ სისუფთისათეს გულისხმის-ყოფისა.

\* შტრ. ლუკა 7,47. \*\* იოან. 14,16.

- V /მოვიდეთ, ძმანო, ერთნათესავენო ჩემნო და თანამორწმუნე-  
 ნო, რომელთაცა დააველოვნენით თავნი თქუენნი მოსწრაფებითა-  
 რე უფლისა იესუსთვის მეცადინითა კელოვნებასა შინა სამჭევრმე-  
 თქვოსა პოვნისა მიმართ და განკარგვისა, მკობილისა<sup>1</sup> და გაუხუე-  
 5 ბისა, განშუენებითისა და მეკსიერებისა სავისისა და გამოღებისა  
 შესაბამისა, და შეეკრბეთ ზოგად ყოველნი და წინამდებარეა ესე  
 ჩუენი ნათესავისადმი აღვიყუანეთ აღმოჩინებითისა და ქებაა მისი  
 კელყოფითა და განვრცობითა შუენიერითა განვიყოთ მით, რომელ  
 პაჭრი ესე არს შუენიერ და წმიდა და ეშესაბამების<sup>2</sup> თქმულნი იგი  
 10 სამჭევრმეთქვოსა ნაწილნი კელოვნებისანი. ხოლო თანად ყო-  
 ველთა შეკრებულთა მჭევრმეთქუეობით წმიდისა ამისთვის კმამსა  
 მიზეზისა განვიყოთ თუთოეულმან თქმად მისნი იგი თუთოეულნი  
 სრულებანი.
- რომელნიმე ვსთქმიდეთ მისსა კეთილშობილებასა და ნათე-  
 15 საე ბრწყინუალებასა და კეთილმსახურებასა წინაპართათვე მშო-  
 ბელთასა; რომელნიმე — უზრუნუელობასა მისსა ყოვლისათვის  
 მსოფლიოასა, რამეთუ მან ჰეშმარიტებით შეიყუარა უფალი და  
 გულუებადისათვის ზეციერისა სამეფოასა ზრუნვიდა; რომელნი-  
 მე — მისსა ნებისაგან თვისსა უცხოყოფასა, რამეთუ ზედმოუქცე-  
 20 ველად დაუტევა ყოველივე წადილი არაკეთილისა მიმართ და არა-  
 უხრწნელისა მიდრეკილი და მოიგო მით სიბრძნეა უცნაური, გუ-  
 219 ლისხმის-ყოფაა განუტხადე/ბელი, სიმდიდრეა უჩინოა და გან-  
 ზრახუაა უხილუელი, რომლითა ეზიარა უცხოსა მას ზეცით მოს-  
 რულსა ჩუენდა; რომელნიმე — მორჩილებასა მისსა ყოველთა მი-  
 25 მართ ბრძანებათა საღმრთოთა, რომლითა ნებისით განჰსცა თავი  
 თვისი მოკდომითა ნებისათა; რომელნიმე — ნიადაგ და მარად უკ-  
 მოწოდებასა თვის შორის ნათლისღებისასა და დამკსჯელითა გუ-  
 ლისსიტყუთა დამდაბლებისა მოსყიდუასა და ამით განწმედასა  
 სუნიდისისასა.
- 30 რომელნიმე — ჰესენებასა სიკუდილისასა, რომლითა ყოველ-  
 ნი სიმდიდრენი და მონაგებნი და მამულნი და სახლეულნი, მონანი  
 და მკეველნი, ვითარცა არაყოფილნი შეეარაცხნა, რომლითა ყო-  
 ველნივე თვისნი ღმერთსა მიუყარნა და თუთ უზრუნუელობასა მათ-  
 სა შინა ეგო; რომელნიმე — მისსა სამარადისოსა მას გლოვასა და  
 35 სულთქმასა და ცრემლთა, რათა არა მოაკლდესმცა ზიარებისაგან  
 საღმრთოასა ბრალთათვის კაცობრივთა, რამეთუ იტყეს წერილი:

1 მკობილისა A. 2 ეშესაბამების A.

„ვინმე უკუე წმიდა იყოს<sup>1</sup> მწიკულოვნებისაგან, არამედ არა ვინ, დაღათუ დღე ერთ იყოს ცხოვრება მისი ქუეყანასა ზედა“<sup>2</sup>; რომელნიმე — ურისხუელობასა მისსა და სიმშუდესა, რომლითა ქსძლო ბუნებასა; რომელნიმე — არა ვისღამი ძერის ქსენებასა, რომლითა უნივთო ჰყო და უბრალო და სუფთა ლოცუამ თესი; რომელნიმე — არა ვისთვისმე ძერისზრახუასა, რომლითა სიტყუსგებასა ღმრთისა მიმართ მერმესა მას დღესა შინა განერა; რომელნიმე — „დროებითსა დუმილსა და სიტყუაობასა“<sup>3</sup>; რომელნიმე — უტყუელო/ბასა თქმათა შინა.

რომელნიმე — „მხიარულსა სულსა“<sup>3\*</sup> ყოველსავე შინა ხეღვითსა და საქმითსა მდგმობასა; რომელნიმე — ყოვლითურთ „სისუბუქესა გულისასა ყოვლისაგან შუებისა და მთურალობისა“<sup>4\*</sup>; რომელნიმე — სიწმიდესა და მრთელცნობობასა, რამეთუ არა ვისმე შეაგინა ცოლი, არა ვინმე გუამი უცხოა, არცა თავი თუნი უცხოთა რაათამე შეხებითა, არამედ ქსჯულიერებრ მცხოვრებმან შეილ ისხნა სადიდებელად ღმრთისა; რომელნიმე — ჯმნასა მისსა ყოვლითურთ „კერპთმსახურებისაგან ანგარებითისა“<sup>5\*</sup>, რამეთუ მქსგავსად „სამოილისა მმსთავრობდა არა ვისგანმე რამემესა აღებითა, არცა მექრთამეობითა, არცა ვისგანმე რამემესა მიმძღავრებითა, არამედ უფროსდა წყალობითა მათ ზედა და სხუადასხუაგუარითა, რომელთა მიმართ ბრძანებულ არს წყალობა და პატივის-ყოფითა მათდამი, რომელთა მიმართცა შესაბამ პატივისცემამ. ესეგუარითარე მოქმედებითა წარვლნა არამცირედნი იგი წელიწადნი ცხოვრებისანი“<sup>6\*</sup>.

რომელნიმე — ღმობიერებასა მისსა და არაოდეს განფიცებასა გულისასა, რამეთუ „არა უყუარდა მას ამაოებამ, არცა ეძიებდა სიცრუესა“<sup>7\*</sup>; რომელნიმე — ლოცუასა, საეკკლესიოსა გალობასა და დღესასწაულთა, რომელსა შინა იხარებდა ნეტარი იგი სული მისი; რომელნიმე — მღვძარებასა და ზე დგომასა, კმელსა ზედა წოლასა და სხუანი — დიდსულობასა; სხუანი — „საყდრისაგან ღმრთისა გონე/ბისა თესისა გარდამოყრასა ცუდღიდებობისა და ზესთმჩენობისა გუელთასა“<sup>8\*</sup>, რამეთუ ესეგუარითაგან გუელთა არაოდეს შეშინდა და არაოდეს შეიძრა სიმტკიცისაგან მდგომარეობისა კეთილ-მდგომარეამ იგი სული მისი; რომელნიმე — სიმ-

<sup>1</sup> იყო B.

\* შდრ. იობ. 14,4-5. \*\* შდრ. ეკლ. 3,7. 3\* შდრ. ისაია 61,10. 4\* შდრ. ლუკა 21,34. 5\* შდრ. 1 კოლას. 3,5. 6\* შდრ. 1 პეფე. 12,3. 7\* შდრ. ფსალ. 4,2. 8\* შდრ. აბოკალ. 12,9.

შედესა და სიმარტივესა, უმანკობასა და უბოროტობასა სული-  
სასა.

რომელნიმე — მდაბალმზრახუელობასა მისსა, რამეთუ დაე-  
მოწაფა მას და ისწავა ესე მისგან: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდ  
5 ვარ და მდაბალ გულითა“\* და მორჩილი ბრძანებასა შეუდგა და  
„დამდაბლდა წინაშე მისსა და ცხონდა“\*\*.

რომელნიმე — განმკსველობასა გულისსიტყუათა ენებათა და  
სათნობათასა, რამეთუ დაადგინა მეფედ და მკსაჯულად სული და  
გულისხმის-ყოფითა მბრძანებმან წარმოადგინნა წინაშე თვსსა  
10 კეთილნი და მართალნი და უაღრესნი გამოხატუანი და შერეულნი  
და ბნელნი წარმოდგომანი და განსაჯნა<sup>1</sup> ესენი წინაშე თვსსა. ხო-  
ლო ადგილ კსცა შემოსლუად თვს შორის კეთილთა მართალთა და  
უაღრესთა მოგონებათა. ხოლო დაქსაჯნა ბნელნი იგი და შერე-  
ულნი წარმოდგომანი ბიწიერნი და განსთხივნა თვსგან და მათგან  
15 შეუხებელად დაიცუა სული.

რომელნიმე — მყუდროებასა გონებისასა ყოვლისაგანვე წი-  
ნააღმდგომისა მისდა კუეთებისაგან შეუძრავსა; სხუანი — ლოცუა-  
სა, დედასა სათნობათასა, რამეთუ მდგომარე ლოცუასა შინა ყოვ-  
2 ლისაგან /ბიწ-წიეთიერებისა და ყოვლისაგან ქუეყნიერისა<sup>2</sup> გუ-  
20 ლისსიტყესა შეუმრღუეველსა და წმიდასა სულსა ახედუებდის  
ღმრთისადმი, ვითარცა სერაფიმქმნილი; რომელნიმე — უენებე-  
ლობასა სულისასა, რამეთუ საგრძნობელნი ყოველნი დამორჩილე-  
ბულ ჰყუნა სულისად და შეუგინებელ მათგან მდგომარე არსებამ  
გულისხმიერი და მნებებელი მისცა ღმერთსა.

25 რომელნიმე — „სარწმუნოებასა მისსა ღმრთისა მიმართ ჭეშ-  
მარიტისა შეწევნილსა, სიყუარულისაგან ემეულსა ქრისტიანებრ  
მართლმადიდებლობით“<sup>3\*</sup>, ხოლო სიყუარულსა უზადოსა უზადო-  
სადმი განკარგულსა ჭეშმარიტისაგან სარწმუნოებისა და სასოება-  
სა ღმრთისა მიმართ სარწმუნოებისაგან ჭეშმარიტისა და სიყუა-  
30 რულისაგან წმიდისა ცხოველსა, რომლითა დაუთმო მძნუარებასა  
სიკუდილისასა და გვრგუნოსან იქმნა პირველთა თანა მოწამეთა.

კეთილ არს მოწამეთათვს ალებამ ენისა და გონებისა მიპყრო-  
ბამ, რომელნიცა იტყოდინ მათთვს მით, რომელ უცხოთა რამმესა  
შეეხების ენამ მოძრავობით გამოცხადებულ და მონებამ გულის-  
35 ხმის-ყოფად, ვითარმედ კმამ მიზეზი თქმისა და განგონებისა არს

<sup>1</sup> განსაჯნა<sup>1</sup>კანსაჯანი A. <sup>2</sup> ქუეყნიერის B.

\* შდრ. მატ. 11,29. \*\* შდრ. ფსალ. 114,6. <sup>3\*</sup> შდრ. გალატ. 5,6.

ღმრთისა მიმართ ტრფიალებამ ამაღლებული ყოვლისა ქუეშეური-  
საგან ნივთიერებისა, რამეთუ სიყუარულმან მან ბუნებით მიითუა-  
ლა თესდა ტრფიალებამ იგი მოწამეთა დანერგულთა „მტილსა ში-  
ნა თესსა დაქშულსა“\* და „აღადგინა ჩრდილომ და მოიყუნა  
ბღუარი/ და მიპბერა ბღუარისა მიერ ქარი მტილსა მას თესსა და 5 221  
ადინა მიერით ნელსაცხებელნი“\*\* — სისხლნი მოწამეთანი.

სახარულევან არს გონებისად დინებამ სიტყუათა სისხლი-  
სათუს მოწამეთასა, ტკივილათუს ყოვლად წმიდათა, წყლულება-  
თათუს ანგელოსყოფელთა სულთა მათთასა, სიმტკიცისათუს გო-  
ნებისა მათისა ანდამატინისაგანცა უმტკიცესისა, რომლითა უში- 10  
შად ჰსდგეს ტანჯულთა შინა და წარმართებისათუს ძლევისა მათი-  
სა, რამეთუ ამათ ჰსწამეს წინაშე მძლავრთა საშინელთა ვერ დამ-  
თმენელთა იესუს ღმრთად აღსარებისათა „კეთილი იგი წამებამა“<sup>3</sup>—  
ქედნი ჯაჭუთა მიმართ და კელნი და ფერკნი რკინათად და სულნი  
დილეგისა ბნელისა წყურდიადისა საეპისად და პელელთა და 15  
მთხრებლთა შთაგდებისად და მძვნუარედ მუსკულნი და ასონი  
დაბძარვისად, დაჰრისა და განყოფისა მახვლებითა, ურმის-თუალი-  
თა სხუადასხუაგუარითა მანქანითა და შალაშინებითა ეგრეთუე  
ცეცხლთა მიმართცა ყოველი სხეული. ხოლო კუალად ჯუართად,  
რომელთა ზედა ამაღლდეს, და ლახუართად, რომლითა განიგმირ- 20  
ნეს, და ისართად, რომელთა მიერ განწონილნი აღივსნეს, და ცხე-  
დართად რკინისათა მოტყინარეთა ნაბერწყალთ მსროლელთა, ეს-  
გუართავე ლანძუთად და სიათა სხუადასხუათა ნივთითა სავსეთა  
მდულარეთა მისცნეს სიხარულით და ესე ამისთუს, რათა ქრისტემ  
შეიძინონ, რათა ქრისტემ/ მოიგონ თეს შორის, რათა, რადცა-იგი 25 V  
საცხოვრებელნი ჩუენნი მოვიღეთ ქრისტესგან სიკუდილითა მისი-  
თა, ესეგუართარე მძვნუარითა სატანჯუელითა უკუუზღონმცა.

ეჰა, პაზრი კეთილი, ეჰა, განზრახუა ყოვლად ბრძენი, ეჰა,  
განსჯა შესაბამი ხატებისა ღმრთისა, ეჰა, ძლევა ყოვლად საკვრუ-  
ელი, რამეთუ იმინეს რა, ვითარმედ: „რომელმან ჰსძლოს, ესრეთ 30  
შეიმოსოს სამოსელი სპეტაკი და არა აღუკოცო სახელი მისი  
წიგნისაგან ცხოველთასა და აღვიარო სახელი მისი წინაშე მამისა  
ჩემისა და წინაშე ანგელოსთა მისთა“<sup>4</sup>. ვინადაცა სასურველ და  
სატრფო პირთა შინა ჰქსენებამ ენებისა მოწამებრისა და სასმენე-  
ლოთგან შესულად გონებასა შინა და გულისხმის-ყოფად ესე ქრის- 35  
ტეს-მოყუარეთად.

მათი იგი წარდგომა წინაშე მთავართა და კელმწიფეთა უღმრ-

\* შღრ. ქება 4,12. \*\* შღრ. ქება 4,16. 3\* შღრ. 1 ტიმოთ. 6,12. 4\* აპოკალ. 3,5.

თოთა და მათი იგი აღსარებამ კანდიერებით, ეკა, რაბამ უსასყიდ-  
ლო არს, ეინმცა ღირს იქმნა მდიდართაგან ვინმე, რათა ყოველივე  
განყიდამცა, რამცალა აქუნდა, და მოიყიდა ესე. ხოლო მათი იგი  
სიტყუსგებამ მძლავრთად, რომელი ასწავა მათ სიბრძნემან ღუ-  
5 თისამან და „არა კაცთაგან მოიღეს ანუ ისწავეს, არამედ მის-  
გან“\*, რომელმან-იგი ასთქუა: „ოდეს შეგიყუანენ თქუენ წინაშე  
მთავართა და კელმწიფეთა, ნუ ზრუნავთ<sup>1</sup>, რა სიტყუამ მიუგოთ,  
ანუ რა ასთქუათ, რამეთუ სულმან წმინდამან გასწავოს თქუენ მას  
ჟამსა შინა, რა-იგი ასთქუათ“\*\*.

- 222 10 /ესეგუარი უკუე არს მპაზრუელი, განმზრახი და მპაჯელი და  
მომფარღუელი ჩუენიცა ესე ადგილის გამო თანმენათესავე კოს-  
ტანტინე, ყოვლად ბრძენი, ჩინებული მთავართა შორის ქართლისა  
თა, მოწამე ჭეშმარიტებისა, არარად მრაცხი სიდიადეთა მათ სიმ-  
დიდრისათა რომელიცა აქუნდა, და დიდებათა მთავრობითთა, რომ-  
15 ლითა ბრწყინვიდა მთავართა შორის, არამედ მოსწრაფე, რათა მო-  
ოგოს ქრისტემ, რათა განმდიდრდეს სათნოებათაგან და რათა  
ამსთავრობდეს ვნებათა ზედა.

- ესე უკუე ზენა კერძო ქართლისა, უფროსლა შიდა-ქართლად  
ზედწოდებულსა, შორის მცხოვრები კეთილ-მსახურთათ წინაპარ-  
20 თავე პაპათა თუსთა ამსთავრობდა მამულსა ზედა შესაბამსა სიმ-  
დიდრითა კრძალულებსათა აღყუავებული, რომელიცა კშუენის  
ქრისტეანესა და პატრიის-მოყუარე ეპისკოპოსთა და მღუღელთა  
და მონაზონთა. ხოლო ეკლესიათა განმამდიდრი და გლახაკთა სა-  
ჭიროთა და საქმართა ნიეთთა მიმცემი უხუებით და სიგლახაკისა-  
25 გან მათისა მთავისუფლები და სტუმრის-მოყუარებითა სხუა აბ-  
რაჰამ, შემწე ყოველსავე შინა ძმათა და მოსწრაფე მამულისათვს  
თუსისა საქართუელომსა კეთილთა მეცადინობათა და დღესასწაულ-  
თა ლატრიათა და სხუათა ჯეროვნად გალობით და ქებით და უქ-  
მობით მეეკლესიე ყუავოდა კეთილმსახურებისა წალკოტსა შინა  
30 და ესრეთ წარვლნა წელიწადნი ბრავალნი.

- V /გუაუწყებენ ისტორიკოსნი ჭეშმარიტების-მოყუარენი, ვი-  
თარმედ საკურუელ იყო მოწყალებათა შინა კაცი ესე ობოლთა მი-  
მართ და ქურივთა და მშვიერთა მიმართ და უსართულო-  
თა და თუსთაცა მიმართ და თანამდებთა მიმართ, რამეთუ  
35 ესმინა, ვითარმედ „დაუნეცუე მშვიერსა პური შენი და გლა-  
ხაკნი უსართულონი შეიყუანენ სახიდ შენდა. იხილო თუ

<sup>1</sup> ქრუნაეო A.

\* შტრ. ვალატ. 1,12. \*\* ლუკა 12,11-12.

შიშუელი, შექმოსე და თვსთაგანი თესლისა შენისათა არა უგუ-  
ლებელს-ჰყო. მაშინ განეფინოს მსთუად ნათელი შენი და კურ-  
ნებანი შენნი მალე აღმოჰკლდენ და წინა გივილოდეს შენ სიმართ-  
ლემ შენი წინაშე შენსა და დიდებამან ღმრთისამან გარეშეგიცუას  
შენ“\*.

5

ისმინა, ვითარმედ „კაცსა არა კმძლავროს ნახუთევი, თანამ-  
ლებსა უკუნ-მსცეს, ტაცებად არა იტაცოს, პური მისი მშვიერსა მის-  
ცეს და შიშუელსა შემოსოს სამოსელი და ვეცხლი მისი აღნადგი-  
ნებად არა მისცეს და განნამრავლები არა მიილოს სიცრუვისაგან,  
შიაქციოს კელი თესი და მასჯაერი მართალი ჰყოს შორის კაცისა  
და შორის მოყუასისა მისისა და ბრძანებათა შინა ჩემთა ვლოს და  
სამართალნი ჩემნი დაიმარხნეს კმნად იგინი, მართალ არს ესე,  
ცხოვნებით ცხოვნდეს, იტყვს აღონამ უფალი“\*\*.

10

მსმენელმან არა უდებ-ჰყო სმენილი მოქმედებად: არაეის-  
დამი მძძლავრებმან რამთამე მძძლავრებითა ანუ ტაცებითა ამ-  
წყალობელა გული მშვიერთა მიმართ და შიშუელთა. ხოლო  
ვე/ცხლისა აღნადგინები და განნამრავლები სიცრუისა განსთხია  
გარე და უბრალო ჰყუნა კელნი თვსნი ამათგან ყოველთა შორის  
თანასწორ მასჯელმან ჰეშმარიტებით, ხოლო მსჯულელინი უფ-  
ლისაგან საღმრთონი ბრძანებანი მისნი დაიმარხნა და ჰქმნა, რომ-  
ლითა მართალი ესე ცხოვნებით ცხოვნდა.

15

223

20

„არა დაუტევა ზრუნუად თვსთათვს და სახლელუთა, რამეთუ  
სარწმუნოებამ არამცირებ აქუნდა თვს შორის, ვითარცა მოწაფესა  
ჰაელე ყოვლად ბრძნისასა“\*3. ხოლო „ამაღდებოდა დამდაბლები-  
თა“4 და ყოვლითურთ შეუდგა მეტყუელსა: „ისწავეთ ჩემგან,  
რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა“5.

25

ესეცა შესაბამ კეთილმსახურებითა კრძალულებათა მისთა,  
რამეთუ იზრახა წარსლუამ წმიდად ქალაქად და განზრახულსა  
ამდევრა საქმედ და თაყუანისცა წმიდასა გოლგოთას „ადგილსა  
მას, სადა დადგეს ფერკნი უფლისანი“6, სადათ-იგი „ამაღლე-  
ბულმან ღმერთმამკაცმან მან სიძემან ყოველნი მოიზიდნა  
თვსდა“7. ხოლო იტყუნან მეისტორიენი მის ღრომსანი, ვითარ-  
მედ საფასეა დიდძალი მისცა ეკლესიათა და გლახაკთა მკვდრთა  
იეროსალიმისათა.

30

არა დაუტენა, რომელთაცა არა თაყუანისცა, ადგილნი წმი- 35

\* ისაია 58,7-8. \*\* ეზეკ. 18,7-9. 3° შღრ. 1 ტომოთ. 5,8. 4° შღრ. ფსალ. 87,15.  
5° შღრ. მატთ. 11,29. 6° შღრ. ფსალ. 131,7. 7° შღრ. იოან. 12,32.



- დანი ანუ ნაზარეთს და ანუ თაბორს ანუ ბეთლემს და ანუ იორდანეს, ანუ თვთ წმიდასა შინა ქალაქსა და მო-რა-იქცა სახლად თუხა, მომზრახობენ, ყოველსა შინა წელიწადსა, /რაოდენიცა მსცხოვრა კორციელითა მშუდობითა, სამსა ბევრსა ვეცხლსა წარგზავნილის
- 5 განყოფად წმიდათა ადგილთად და მონასტერთა პალესტინისათა და გლახაკათუს იეროსალიმისთა. იტყვს: „ისმინაო მცნებამ იგი მოციქულისა პაულესი, მიწერილი კორინთელთა მიმართ, და ამის-თუს ჰყოფდა წყალობასა ნაკლულევანთა მათდა იეროსალიმისათა აღუსებად ნაკლულევანებისა მათისა“\*.
- 10 კბორგდეს უკუე დროთა მათ შინა უსჯულონი იგი ძენი გან-ძებულისა მკველისანი, მოწაფენი ბილწ-მოციქულისა და მტყუარ წინასწარმეტყუელისა მახმედისნი და მრავალჯერ ქრისტიანენი, მკედრნი ზემოხსა საქართუელომსანი, ცოდუათათუს დამძიმებულ იყუნეს საციეთაგან მათთა არაწმიდათა. ხოლო მჯდომარე იყო
- 15 ქალაქსა შინა ტფილისს მთავარი მათგანი, წარმოგზავნილი მეფისაგან ბაბილონისა ლაშქრითა დიდითა დაპყრობად ყოველისა საქართუელთომსა, რომელსაცა კბრძოლიან ქართუელნი იგინი ოდენ, რომელთა უეჰსჭირდათ სჯულისათუს კეთილმსახურებითისა. ესენი უკუე კბრძოდეს ბარბაროსთა მათ, რომელნიცა გამოვიდიან
- 20 ტფილისით და ურჩათა მეფისა მათისათა ქრისტიანეთა ქართუელთა მიმართ ჰყოფდიან ბრძოლასა. ხოლო მბრძოლ და მკედართ-მძღუან თქმულთა ბარბაროსთად იყო მთავარი კოსტანტინე სა-
- 224 ნატრელი, მრავალგზის ახოვნად წინაგანმწყობი ბარ/ბაროსთა და დამცემი მათი ძლიერად, მაგრა უკანასკნელ ბრძოლასა შინა ცო-
- 25 ღუათათუს ქართუელთასა მიეცა კელთა ისმაილიტთასა, რომელთაცა წარიყუანეს კრული ქალაქად ტფილისად. ხოლო ესე იყო განგებითცა, რათა შესაბამი იგი დადებად უხრწნელსა საუნჯესა უკუდავისა სიძისასა „ვითარცა ოქრო ბრძმედსა შინა გამოიცა-ლოს“\*\*.
- 30 კოსტანტინე, მიყვანებული ტფილისის წინაშე მთავრისა, წარიდგინა ბულა ზედწოდებულისა, რომელიცა ჰყუედრიდა და ჰკედმდა წმიდასა მეტყუელი: „არ უწყებულ იყავა, ვითარმედ ყოველნი განდგომილნი მომეცემიან კელთა ჩემთა, ვითარ-ეგე მოცემულ ხართ ჩემდა მოსასრუელად“? მიუგო მოწამემან: „უწყე-
- 35 ბულ ვარო, ვითარმედ ცოდუათათუს ჩუენთა და არა თუ სიმართლისათუს თქუენისა მიცემულ ვართ კელთა შინა თქუენთა მსგავსად იეროსალიმისა და იუდასა, ვითარ იგინი მიცემულნი კელთა

\* შტრ. 2 კორ. 8.14. \*\* სიბრძ. 3.6.

ბაბილონელთასავე<sup>1</sup> ცოდუათათს არა დამმარხუელნი მცნებათა  
საღმრთოთანი და არა თუ სიმართლისათს ბაბილონელთასა<sup>2</sup>.

შეიყენა ტფილისს შინა საპყრობილედ მოწამე ჭეშმარიტები-  
სა და მკაცრ იტუებოდა იგი ბარბაროსთაგან საპყრობილესა შინა. 5  
ხოლო პყრობილი სანატრელი იგი მოასწერდა ეპისტოლეთა მონას- 5  
ტერთა მიმართ, რომელნიცა იყუნეს გარემო ტფილისისა და უღაბ-  
ნოთა გარეჰსჯისა და მრავალ-მთისათა მამათა და ძმათად ხატითა  
ესეგუა/რითა: „წმიდანო ღმრთისანო, მოიკსენეთ სურვილი იგი 7  
ჩემი და პატივის-ცემამ, რომელიცა მაქუნდა თქუენდამი, ვითარცა  
მოდუნაწეთა მიმართ უფლისათს, და მე, მიცემული კელთა შინა 10  
ბარბაროსთასა ცოდუათა ჩემთათს, მომიხსენეთ და ლოცუამ ჰყავთ  
ჩემთს, არათუ რათა განვეგრემცა განსაცდელისა ამისგან კრულე-  
ბისა, არამედ რათა წარმიმართოს მე წამებისა მიმართ ჭეშმარიტე-  
ბისა და მისთვის სიკუდილისა ქრისტემან ღმერთმან, რომელსა „ყო-  
ველთა პნებაეს ცხოვრებამ და მეცნიერებამსა ჭეშმარიტებისასა 15  
მოსლუამ“\*. მაშინ ქართულთა შორის არამცირედი იქმნა მწუ-  
ხარებამ შეპყრობისათს წმიდისა კოსტანტინემსა, რამეთუ ვი-  
თარცა სუეტსა და სიმტკიცესა ქართლისასა ჰგულვიდეს მას.

ამას შინა შემდგომად დღეთა რაოდენთამე კოსტანტინე ტფი-  
ლისით წარიგზავნა კრული სამეფოდ ბაბილონურად ქალაქად, რო- 20  
მელი იწოდებოდა სამარა, რამეთუ მუნ იყოფებოდა მეფე ბაბი-  
ლონისა, სახელით ჯაფარ.

წარიდგინა მოწამეა ქრისტესი წინაშე უღმრთოესა ჯაფარი-  
სა, რომლისად იწყო სიტყუად ჯაფარ და დასაბამი სიტყუათა ჰყო 25  
გუარითა პილატეს ფრასისათა და პრქუა: „აჰა, ესერა მოცემულ  
ხარ შენ კელთა შინა ჩემთა და კელმეწიფების ნებისაებრ ჩემისა  
შენ ზედა ყოფად კეთილი ანუ ბოროტი. გარნა ისმინე ჩემი და  
უარ-ჰყავ ქრისტემ იგი შენი, შობილი დედაკაცისაგან, რომელსაცა  
აღიარებ ღმრთად, რამეთუ შეუძლებელ /არს, რათა ესუამცა ძემ 225  
ღმერთსა. აწ უკუე მოიქვეც ცთომილებისაგან მაგის შენისა და მი- 30  
ილო ჩემგან კეთილი და პატივი უზესთაესი და თანგანმზრახ<sup>3</sup> იქმნე  
ჩემდა და უდიდებულეს ყოველთა ნათესავთა შენთა.

მიუგო მოწამემან: „დალათუ გაქუსო კელმწიფებამ განხრწნად-  
თა ამით ქორცთა ზედა, რომელნიცა მოვიძაგენ სიყრბითგან ჩემით,  
გარნა ვერარამ კელგეწიფების სულსა ჩემსა ზედა გულსმოდგინე- 35

1 ბაბილონელთასავე A. 2 ბაბილონელთასა A. 3 თანგამზრახ A.  
\* 1 ტიმოთ. 2,4.

- სა, რამეთუ იგი არს ჯელმწიფე, რომელიცა „მოაკუდინებს და აცხოვრებს, შთაიყუანებს ჯოჯოხეთად და აღმოიყუანებს, დააგლახაკებს და განამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს“<sup>1</sup>. მე უკუე უმეტეს ვიშუებდე მათთვის, რაოდენნიცა<sup>1</sup> განმრავლდენ ვნებანი
- 5 სახელისათჳს ქრისტე ჩემისა, რომელსა კგმობ. ქეშმარიტად შობილი იგი დედაკაცისაგან არს უფალ და მეუფე ყოველთა და „ღმერთ ძლიერ და ჯელმწიფე, მთავარი მშვედობისა, მამა მერმეთა საუკუნეთა“<sup>2</sup>, რომლისა შობა მამისაგან, ვითარცა შობა სიტყუსა გონებისაგან ღმერთ-მთავრისა და მოსულად კორციელად და შობა
- 10 ბაჲ ქალწულისაგან, მოასწავეს ძუელად საღმრთოთა წინასწარმეტყუელთა. დაჰსცხერ ამომსაგან ჩემდა ზრახებისა, რამეთუ არა ქეშასა ზედა აღუაშენე სახლი ქრისტეს ღმრთისა მიმართ სარწმუნოებისა ჩემისა, რათა ღიდროამან ქუეყნიერთა განხრწნაღთა ნივთთ-სიმძიმისამან დაჰსცეს. არცა მეშინის ქადებისაგან მძვნუ-
- V 15 რეთა ტანჯუათა, /რამეთუ მკედარი ვარ მისი, რომელმანცა ჰსძლო და „შეიპყრა მკეცი და ცრუ წინასწარმეტყუელი“<sup>3</sup> და „ვეშაპი იგი და გუელი დასაბამისა, რომელი არს ეშმაკი და სატანა“<sup>4</sup> და „შთაყარნეს ივინი ტბასა შინა ცეცხლისა და წუმწუბისასა“<sup>5</sup>.
- მსმენელი მეფე კადნიერად და უშიშად სიტყვა-გებისა თსდა
- 20 ქრისტეს მკედრისაგან და მხილული მიუღრეკელობისა მისისა აღბორგდა რისხვთ და ქოთებანი მძნუარებითნი განმრავლდეს ბოროტსა შინა სულსა მისსა, რომლისათჳს ბრძანა<sup>6</sup> საპყრობილესა ბნელსა და ფიცხელსა შეყენებად კადნიერებით წინააღმდეგომი მისი.
- 25 დუაწლთა და ვნებათა წმიდისა კოსტანტინესთა და სიკუდილსა მისსა ყოელად წმიდასა წინაშე უფლისა პატიოსანსა მახლობელ ახლისა ბაბილონისა უსწრო უწინარეს წლითა რეთა სამლუდლომან ვნებამან პრჩეულთა მათ ქრისტეს მკედართა ორმეოცდაროთა ამმორეველთა მოწამეთამან, რომელთაცა უღმრთოესა ამირ მუმ-
- 30 ლისაგან ახალსა შას შინა ბაბილონს კსუეს წარკუეთითა თავთათა ტკბილი იგი სასმელი სიკუდილისა სახელისათჳს ქრისტესისა დასაბამითგან. სოფლისათ წელიწადსა ქტნთ.
- იცუებოდა მტკიცედ საპყრობილესა შინა მკედარი ქრისტესი და იცუებოდეს მტკიცედ მკედრისა შორის ქრისტესისა სარწმუნო-
- 35 ებაჲ ქრისტეს მიმართ და სასოებაჲ მისდამი და სიყუარული, რომელმანცა ზესთა სოფლისა აღამაღლა იგი. შეერულ იყუნეს ჯელ-

<sup>1</sup> როდენნიცა A.

<sup>2</sup> I შეფ. 2,6-8. <sup>3</sup> ისაია 9,6. <sup>3</sup> აპოკალ. 19,20. <sup>4</sup> აპოკალ. 20,2. <sup>5</sup> აპოკალ. 20,10.

ნი/ და ფერკნი რკინათა მიერ მოწამისანი და ქედსა ზედა მისსა 226  
 ჯაჭუნი მძიმე, ხოლო განჯსნილ იყო ყოველთაგან ბრალთა სული  
 იგი მისი ნეტარი და შეკრულ ქსჯულითა ბუნებითითა და „სარ-  
 წმუნოებითა სიყუარულისაგან შეწვენილითა ქრისტეს თანა“\*.  
 ხოლო მოხუეულ გარემო მისა ჯაჭვ ოქროსა უნიეთთა მიერ 5  
 გრგოლთა წმიდათა, კიდულთა ურთიერთას მით, რომელ უფლისა მი-  
 მართ სარწმუნოებასა ზედა კიდულ შიში ტანჯუათა და შიშსა  
 ზედა ტანჯუათასა — მარხუა ვნებათაგან, რომელ არს კრძალუ-  
 ლება საღმრთო, ხოლო მარხუასა ზედა ვნებათასა — მოთმენა სა-  
 ჭირუელთა, ხოლო მოთმენასა ზედა საჭირუელთასა — სასოებად  
 ღმრთისა მიმართ, ხოლო ღმრთისა მიმართსა ზედა სასოებასა — 10  
 განშორებად ყოვლისაგან ქუეყნიერისა ვნებულ-მოყუარებისა, რო-  
 მელ არს უვნებლობა, და ესე ღმრთის-მკსგავსება, ხოლო უვნებე-  
 ლობასა ზედა — ღმრთისა მიმართი იგი სიყუარული.  
 ესეგუარი იყო კრულება და ჯაჭუნი ქრისტეს მოწამისანი, 15  
 რომლისათჳს იხარებდა სული იგი მისი ნეტარი უფლისადმი და  
 ჰგალობდა: „იხარებს სული ჩემი უფლისა მიმართ, რომელმან შემ-  
 მოსა მე სამოსელი მაცხოვარებისა და კუართი მხიარულებისა,  
 ვითარცა სიძესა გარე მომდღუა მიტრომ და ვითარცა სძალი შემამყო  
 მე სამკაულითა“\*\*. და ოდესმე მძლისა მიმართ ლომისა იუდას 20  
 თესლისაგან და დავითის ძირისაგან იტყოდა ძლევისა გალობასა  
 ახალსა: „ღირს ხარ შენ მიღებად /წიგნისა მის და აღებად ბეჭედთა V  
 მისთა, რამეთუ დაიკალ და გვიყიდენ ჩუენ ღმერთმან სისხლითა  
 შენითა ყოვლისაგანვე თესლისა და ენისა და ერთა და წარმართ-  
 თა“3“. „კურთხევა და დიდება და სიბრძნე და მადლობა, პატივი 25  
 და ძალი და სიმტკიცე ღმერთსა ჩუენსა უკუნიითი უკუნისამდე,  
 ამინ“4“.

ხოლო ოდესმე ბარბაროსთაგან დამდაბლებისათჳს მამულსა  
 თჳსსა საქართუელომსა შინათა ქრისტეანეთა და მონებითისა მის  
 საქივისა მღებარისა შათ ზედა მადლობით ჰგალობდა ამასცა: „წარ- 30  
 ვიდა ასულისაგან სიონისა ყოველი შუენიერებამ მისი, იქმნენს  
 მთავარნი მათნი, ვითარცა ვერძნი, ვერ მპოვნელნი საძოვარისანი  
 და ვიდოდეს არ ძლებით წინაშე პირსა მდევარისასა“5“.

შემდგომად რაოდენთაშე დღეთა მიაველინა მეფემან ჯაფარ  
 წმიდისა მიმართ ორნი მკედართ-მძლუანნი თჳსნი, რომელნიცა 35  
 იყუნეს ნათესავით სომეხნი და პირუელ ქრისტიანენი და დროსა

\* შტრ. გალატ. 5,6. \*\* ისაია 61,10. 3\* აპოკალ. 5,9. 4\* აპოკალ. 7,12. 5\* გო-  
 ლბა იერემიასი 1 თავი.

მას მახშედლიანქმნილნი, პატივეცემულნი მისგან, და ბრძანა მათდამი, რათა სიტყვთა მრავალფერითა გარდააქციონმცა იგი ჭეშმარიტებისაგან და ბრძანებამცა მეფისა აუწყონ.

- მისრულთა ბრძანებობაებრ მეფისა მათისა მთავართა მათ მოი-
- 5 კითხეს პყრობილი და პრქუეს: „გიბრძანებს მეფე ჩუენი თუმპყრობელი: გამხილებო ერთგზისლა შენისათვს უგუნურებისა, რამეთუ სამგზის ურწმუნოთა მიმართ მხილებამ მოცემულ არს ჩუ-
- 227 ენდა, ხოლო აწ ისმინე ჩუენი, რათა მსცხოვრდე და მორჩილმან შეიწყნარენ ყოველნი იგი მოცემულნი / მოციქულისაგან ჩუენისა
- 10 მახშედისა და ნუ მსასოებ ცუდითა სასოებითა, რამეთუ მოცემულ ხარ შენ კელთა ჩუენთა, რომელთაგან ვერსადა განერე“. ეგსახედ ეტყოდეს მივილინებულნიცა იგი წმიდასა: „რასა განფიცებულ ხარო, ვითარცა უგულისხმომო, ანუ არა ბრძნად გიტყოდესა და გონიერად აქამომდე? არა უწყია. რამეთუ ჩუენცა ძენი ვიყუენით
- 15 ქრისტეანეთანი? მაგრა ვერ შემძლებელთა წინააღდგომად ბრძნებასა მეფისასა ყოველნივე შევიწყნარენით მსჯულისდებანი მახშედისნი, რომლისათვს მოვიგეთ პატივი ესე, ვითარცა გუხნედავ, ხოლო ვინმე უწყის საუკუნომსა მისთვის ცხოვრებისა, თუ რამე ყოფად არს?“.
- 20 მიუგო წმიდამან: „არქუთო მეფესა თქუენსა: ვესავ მე ღმრთისა ჩემისა მიმართ, რომელი არს შემოქმედი ყოველთა, ვითარმედ ყოვლისავე შემძლებელ არს, არათუ ოდენ, რათამცა მიქსნეს მე კელთაგან შენთა, არამედ რათა წამისყოფით აღტოცნეს ყოველნი სიმტკიცენი და ძლიერებანი მეფობისა შენისანი, რამეთუ იგი არს
- 25 ყოვლისა მპყრობელნი, რომელიცა „ერთგზის შექსძრავს ცახსა და ქუეყანასა, ზღუასა და კმელსა“. განალა აცადებს, რათა ღირსნი იგი ტანჯუთრე წურთისანი ქრისტეანენი მსწუართნეს კელთა მიერ უღმრთოთასა მით, რამეთუ რომელნიმე სრულიადითა განწირულებითა, ვითარმედ ცოდუასათვს „არცალა პირუელსა მას სოფელსა პრიდო,
- 30 არამედ მიერევე ნოე, სიმართლისა ქადაგი, დაჰმარხა და წყლით რღუნამ იგი უმღრთოთა სოფელსა ზედა მოაწია“<sup>\*\*\*</sup>. რომელნიმე
- V შეცოდებულნი, მაგრა განსაწმედელად / ცოდუათა მათთა, რათა შეცოდებულთა მათ აქაოდენ ტანჯუთა მიიღონ განწმედად სრულიადი შეცოდებათაგან, რამეთუ წერილ არს: „რამ უმჯობეს არს, უკეთუ მსცოდუდეთ და იქენჯნებოდეთ და მოითმენდეთ?“<sup>\*\*\*</sup>. ხოლო

\* შტრ. ანგია 2,6. \*\* 2 პეტრე 2,5. 3\* 1 პეტრე 2,20.

რომელნიმე ამისთვის, რათა სრულნი უსრულეს იქმნენ, რამეთუ მადლი არს ღმრთისა ტანჯუა ესევეითარი, რამეთუ თქმულ არს: -უკეთუ კეთილსა იქმოდეთ და გვენებოდესთ და მოითმენდეთ, ესე არს მადლი ღმრთისაგან<sup>\*\*</sup>. ნუ მაიძულებ მე სიტყუთა, რათა ზედმი- 5 ცილებად გერჩდემცა ჭეშმარიტებისაგან და განდგომად ღმრთისა- გან და უკანაგან შედგომად თქუნ ბარბაროსთაგან ღმრთად ოც- ნებულისა სატანაჲსა, რომელ არს ბერწი, ღმერთი არა შობილი და არცა მშობელი თვთუჯუამოვანისა სიტყუსა, არცა გამომავლინებელი თვთუჯუამოვანისა სულისა ყოვლად წმიდისა. ნუ ჰგონებ, რათამცა აღმოტაცე მე აღთქმითა პატიუთა და დიდებათათა, რომელი ჩემდა 10 არარად საკმარ არს, რომელმანცა უწყი მცნობებელობით ჭეშმა- რიტებაჲ ესე, ვითარმედ: „ყოველი კორცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუაველი თივისა; განკმა თივა და ყუავე- ლი დამოსცუვა“<sup>\*\*\*</sup>, ხოლო სიტყუა ღმრთისა ჰგიჟს უკუნისამ- დე. ნუ მაშინებ მე ქადებითა ტანჯუათა მძნუარეთათა, რომელი 15 სიხარულ არიან ჩემდა, ვითარცა მსწრაფლ აღმამაღლებელნი და შემაერთებელნი ღმრთისა ჩემისა თანა. ანუ ვითართამე შემძლე- ბელ ხარ სატანჯუელთა მოგონებად და ტანჯუად ჩემდა, რომელი მიელის უარისყოფელთა ღმრთისა ჭეშმარიტისათა. ხოლო თქუნ, რომელთა-ეგე უგუნურებით უარ-გიყოფიესთ შემოქმედი თქუენი 20 და შეგი/რაცხიესთ ესე კეთილგონიერებად, არცალა ერთისა ხართ ღირს მიგებისა თვნიერ: „მისდერკით ჩემგან, უკეთურნო, და გამო- ვიძინე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი“<sup>3\*</sup>.

შემდგომად აღიპყრნა ჳელნი თვისნი ზეცად და მეტყუელმან წინაშე მათსა ჰსთქუა: „გმადლობ, გაკურთხევე და გიგალობ, ღმერ- 25 თო ძალთაო, დაუსაბამოო მამაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტე- თაო, რომელმან ღირსმყაე მე კადნიერებით სიტყუსგებად უღმრ- თომასა მიმართ მძლავრისა უსჯულომასა, მაწუეველისა ჩემდა უა- რის-ყოფად შენ საშინელისა ღმრთისა ჩემისა, რამეთუ მხოლოდ- შობილისა ძისა შენისა მიერ აღმითქე ჩუენ, ვითარმედ: „მე მოგ- 30 ცე თქუნ პირი და სიბრძნეჲ, რომელსა ვერ უძლონ წინააღდგო- მად და სიტყუსგებად ყოველთა წინააღმდგომთა თქუენთა“<sup>4\*</sup>. შე- იწირე, უფალო იესუ ქრისტე ღმერთო ჩემო, მსხუერპლი ესე ჩემი და მიითუალე სული ჩემი და მომმადლე მე აღთქმული იგი, რო- მელიცა აღუთქე აღმასრულებთა და მსახურთა სახელისა შენისათა 35 მეტყუელმან: „რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, მეცა აღ- ვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა“<sup>5\*</sup> და „უკეთუ ვინმე

\* 1 პეტრე 2,0. \*\* ისაია 40,6. 3\* ფსალ. 118,115. 4\* ლუკა 21,15. 5\* მატ. 10,32.

მსახურებდეს მე, პატივ-ჰსცეს მას მამამან ჩემმან<sup>1</sup>. ხოლო ვითარ-იგი ოდესმე ხალდეას შინა აღიღენ წმიდანი იგი ყრმანი, აღმსარებელნი ღმრთაებისა შენისანი, და მძლავრთა და ცეცხლისა მძლედ გამოაჩინენ და ცეცხლსა შინა შესრულთა მათ თანა გა-  
 5 მოსწინდი მეოთხედ, აწცა, უფალო, მოვედ ჩემ თანაცა ცოდვილისა ამის შონისად შენისა და განმაძლიერე მე და წარმართე კეთილისა  
 7 ამის ქსრბისა ჩემისა მოლუაწებამ. შეიწირე/, უფალო, უნლომ ესე სისხლი ჩემი და მომეც მე ნაწილი შენთა წმიდათა მოწამეთა თანა<sup>2</sup>.

მომზრახობენ, ვითარმედ: „ამათ რა იტყოდაო მოწამე ქრისტე-  
 10 სი, ნაკადულნი ცრემლთანი გარდამოჰსდიოდეს<sup>3</sup> თუალთაგან მისთა, ხოლო გარემოს მდგომარენი იგი ბარბაროსნი, მჰსმენელნი კადნიერად ჰეშმარიტისა მის აღსარებითისა ლოცვსა და მადლობისანი, ჰსცემდეს წმიდასა პირსა მისსა და სხუთა და სხუთარე გუემითა და ქურჯნუთა ჰსტანჯვიდეს“.

15 მიიქცეს მახმედიანნი იგი მთავარნი, ნათესავით სომეხნი, მეფისა ჯაფარისად და უწყებულ ჰყუეს იგი მიგებითა მით წმიდისათა და კადნიერებითა მისითა, ვითარმედ: „შეუძლებელ არს განდრეკამ მისი მდგომარეობისაგან თვისისა“. ხოლო უწყებულქმნილი ჯაფარ ჰბორგდა მძუნარედ და უბრძანა მთავართა მათ მისულამ  
 20 კოსტანტინეს მიმართ და წარჰკუეთა თვთ ქელთა მათითა თავისა მისისა.

მისრულთა მთავართა მათ ცხად უყუეს მოწამესა ქრისტესსა განჩინებამ სიკუდილისა, რომლისათუს მხიარულ იქმნა წმიდა იგი სული მისი და შეებულმან სულითა წარუჰყრა ქედი მახვლისა მი-  
 25 მართ. და აჰა, ერთმან მთავართაგანმან აღმოიქადა მახვილი და ჰსცა ძლიერად, გარნა ვერარამემ წყლულებამ შეამთხუა ქედსა წმიდისასა. ხოლო შეორემან, მხილუელმან საკურუელებისა მის, აღმოიქადა მანცა მახვლი და ძალისაებრ თვისისა ჰსცა ქედსა ზედა წმი-

229 დასა მას, გა/რნა უენებელადვე დაჰშთა მისგანცა<sup>2</sup> წმიდა იგი. ვინა-  
 30 მცა უწყებულ ჰყუეს მეფემ და თქმათა მიერ თუსთა განაკურუეს იგი, რომლისათუს წინაშე მდგომელთაგანი წარავლინა მონამ თუსი, რომელმანცა მოჰკუეთა თავი პატიოსანი და განჰახლა ვენაჰი იგი, შესაბამი ღგომად ზეციერსა მტილსა შინა. ხოლო ყოვლად წმიდა სული მოწამისა განვიდა კორცთაგან ოთხმეოცდახუთ წელ კაეში-  
 35 რითა საღმრთოჰსა განგებისათა მყოფი კორცთა თანა, რომელთაცა განაგებდა ესოდენტა შინა წელიწადთა მსახურებისა მიმართ ქრის-

<sup>1</sup> გარდმოჰსდიოდეს (A. 2 მისგანაცა — A.

<sup>2</sup> იოან. 12,26.

ტეს ღმრთისა, ხოლო განბერტყუნა მტუერნი ესე და ამალღა და  
დღდა წინაშე საღმრთოჲსა საკურთხეველისა მღუღელმოქმედებად  
მათ თანა მსხუერპლთა ქებისათა, სიწმიდითა ანგელოს და ტრფია-  
ლებითარე საღმრთოჲთა სერაფიმ ქმნილი, ხოლო სისხლითა ზიარი  
მხოლოდშობილისა სიტყუსა.

5

ამისა შემდგომად ბრძანა მეფემან უსჯულომან აღმართუად  
ძელი ყოვლად გრძელი და დამოკიდებად მის ზედა სხეული წმი-  
დისა, რათა მკუდარი ძელსა ზედა დამოკიდებული შეურაცხებით  
ძელსა ზედა ჯუარისასა შეურაცხებით მომკუდარსა ქრისტესა ძე-  
სა ღმრთისასა ეზიაროს.

10

სრულ ჰყო დიდმან მოწამემან კოსტანტინე სრბამ მარტულო-  
ბისა თუსისა დღესა პარასკევსა, თუესა ნოემბერსა, რიცხუსა ი, წე-  
ლიწადსა დასაბამითგან სოფლისათ ქტნზ.

v

გვიხილავნ უკუე ეპისტოლემ უკეთილმსახურესთა თვთმპყრო-  
ბელთა მიხაილ და თეოდორა იმპერატორთა, მიწერილი შეილთა  
მიმართ ქრისტეს მოწამისა კოსტანტინესთა შემდგომად მარტულო-  
ბისა წმიდისა კოსტანტინემსა. ხოლო ეპისტოლესა მას შინა ემიმ-  
ლოცუელებიან მეფენი თვთმპყრობელნი ნაყოფთა კეთილისა მის ძი-  
რისათა მარტულობისათუს ქრისტეს მოწამისა მამისა მათისა. ხოლო  
ჰსწურთიანცა და წინადადებასა ესეგუარსა ჰყოფენ მათდამი, რათა  
უცთომელად ვლიდენ კეთილმსახურებისა გზასა ზედა, რომელიცა  
განაწრფელა ყოვლად ნეტარმან მან მამამან მათმან, და აღლესენცა,  
რათა აღდგენ მოყუარებითა ქრისტესთა ბაძუად მამისა. ხოლო  
ერთგულობასაცა ზედა თუსისა მეფობისასა მოუწოდებენ.

15

20

და შენ, წმიდაო თავო, წინაშე საღმრთოჲსა საკურთხეველისა  
ზეციერთა მღუღელმთავრობითთა კრებულთა თანა თანდაწესებუ-  
ლო კოსტანტინე, ჩემდა პატიოსანო, ნუ გარემიექცევი შესხმის და  
გალობის-სიტყუაობათა თქმულთა სურვილით ყოვლად დიდებუ-  
ლისათუს ვნებისა შენისა და ნაცუალ მაგე ურცხუნელი ეგე ოხამ  
შენი მიხდამი, რომლისა საღმრთოჲთა გამობრწყინუებითა აღუსე-  
ბულ ხარ.

25

30

„ხოლო მეუფესა მას საუკუნეთასა, უხრწნელსა, უხილავსა,  
მხოლოსა, ბრძენსა, ღმერთსა პატივი და დიდება უკუნითი უკუნი-  
სამდე. ამინ“.



230 /შენსება და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა  
მოწამისა მიხაილ-გობრონისთა და მოყუასთა მისთა, ძენილი  
ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზამოღსა  
საქართუელოჲსა, ღავეთიან-გაბრატიოვანისა

5 მზეობს მიხაილ, ვარსკვლავებენ მოყუასნი  
სფერასა ზედა ვნებისასა ბრწყინულელდ,  
სადა სქეტ ქრისტე სიბრძნე ღმრთისა მამისა,  
ეჰა, საკურგო, საიდუმლო წყალობის,  
ვითარ მონანი ზიარ იქმნეს უფლისა.

### 10 სიტყუა მეთხუთმეტე

„უფალი არსო, რომელმან ასწავის გულისხმის-ყოფად და  
მეცნიერებაჲ“\*, ხოლო ესეგუართა სწავლულთა „ბაგენი არიან,  
რომელთა კმოსიეს მეცნიერებაჲ“\*\*. ხოლო რომელთაცა ისწავეს  
გულისხმის-ყოფად და მეცნიერებაჲ უფლისაგან და არლარა გარე-  
15 მიექცეს, არამედ შეუდგეს, ესენი არიან „მწიგნობარნი იგი სასუ-  
ფეველისადმი ზეციერისა დამოწაფებულნი, მკსგავსნი კაცისა სახ-  
ლის უფლისა, რომელმანცა გამოიღის საუნჯისაგან თვისისა ძუელი  
და ახალი“<sup>3</sup>. გარნა მე, რომელმანცა მოვიღე ტალანტი საღმრ-  
თოთა მეცნიერებათა და გარემივიქეც ჩემითა დაქსნილებითა და  
20 გულმძიმეობისა ვქსთხარე ქუეყანად ფიცხელი და დავაღრმე და  
დავფალ მას შინა ტალანტი იგი და არგანმრავლებამან მისმან ვერ  
შემიკრიბა მე საუნჯესა მექსიერებისასა ძუელი და ახალი, ვინა  
ვერ შესაძლო ჩემდა გამოღებად საუნჯისაგან დროსა შინა ძუელი  
და ახალი.

25 შესაბამ უძლეველობისად და შესატყუს მძლეობისად მკედარ-  
თა უფლისათა გვრგვნი ქებისა, /რომელთაცა სიკუდილითა მოიღეს  
უკუდაეებაჲ და ჯილდოდ უძლეველობისა და მძლეობისა მოიღეს  
„სსუეტ-ყოფად ტაძრისა ღმრთისა“<sup>4</sup>, რომელიცა გარე არლარა განვი-  
ღეს მიერით და დაიწერნეს მათ ზედა სახელი ღმრთისა მოციქულ-  
30 თასა და სახელი ქალაქისა ღმრთისა მოციქულთასა, ახლისა იერო-  
სალიმისა, რომელი გარდამოვალს ზეცით ღმრთისაგან მოციქულ-  
თასა და „სახელი იგი არს ახალი“<sup>5</sup>, რამეთუ ამათ უკუე მძლეთა  
მოიღეს გვრგვნი და „იპყრეს თესად, აქუსთ და არავინ მიიღოს  
მათგან გვრგვნი იგი“<sup>6</sup>.

\* შლრ. იობ. 21,22. \*\* შლრ. იეგე. 15,7. <sup>3</sup> შლრ. მატთ. 13,52. <sup>4</sup> აპოკალ. 3,12. <sup>5</sup> ისაია 62,2. <sup>6</sup> აპოკალ. 3,11.

ესტეჟე, ვითარმედ შესაბამ უძლეველობისად და შესატყვის მძლეობისად მკედარათა უფლისათა გვრგვინი ქებისა, ხოლო ქება არს აღრიცხუამ სრულებათა, რომელიცა-იგი აქუს მას ვისმე, და სრულება არს თანკმობამ სხუაობათა შინა ანუ არს თანკმობა ერთსა შინა მრავალთა განსხუაებულთა, ვითარ-იგი სხუაობენ წვერნი ნა- 5 წილნი ყოვლადისანი ერთმანერთისაგან და თუთონი მათნი თანკმობენ ერთსა შინა ყოვლადსა დასასრულისათუს ერთისა, ესე იგი რათა იყოსმცა კმა ყოვლადი იგი. ანუ არს სისტემა მოკიდებისა ნივთთამსა, რომელნი უწინააღმდგომოდ ერთმანერთისა, ესე იგი ერთიმეორისა არა მხრწნელ და მავს მოკიდულეებენ მეცადინნი 10 ქმნისათუს რამემესა ვითარ-იგი სოფლისათუს, ვინა თანკმობა არს მრავალთა მათ სხუადასხუათა არსთა მოკიდებამ მათი.

სათნოებათა უკუე თუთოეულთა მოკიდებამ/ თანკმობით ერთ- 231 სა შინა მიზეზსა და წყაროსა, ესე იგი სარწმუნოებასა უფლისად, ზედწოდებულ-ეყოფთ სრულებად, რამეთუ სარწმუნოებისაგან წარ- 15 მოებს შიში ტანჯუათაგან, შიშისაგან ტანჯუათასა — მარხუა ვნებათაგან ანუ კრძალეობა<sup>1</sup>, წმიდა მარხუსაგან ვნებათასა — მოთმენამ საჭირუელთა, მოთმენისაგან საჭირუელთასა — სასოებამ უფლისა მიმართ, უფლისა მიმართისა სასოებისაგან — განშორებამ ყოვ- 20 ლისაგან ქუეყნიერისა ვნებულმოუყუარებისა; და ესე არს საღმრთოა უვნებელობამ, უვნებელობისაგან — სიყუარული საღმრთომ, ხოლო საღმრთომსაგან სიყუარულისა — განათლებამ გონებისა, რომელ არს მეცნიერებამ ჭეშმარიტი, რომლისად „მოსულამ ყო- 25 ველთა ჰნებავს უფალსა“\*.

აღურიცხუნელ მოწამეთა შორის ქრისტესთა თქმულნი თან- 25 კმობილნი, რომელნიცა თუთონი არიან კმანი სრულებანი ერთსა შინა ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა თანკმობილნი ანუ მრავალთა მათ სათნოებათა თანკმობილთა თანკმობისა მიზეზი, ერთი წმიდა სარ- 30 წმუნოებამ კეთილმსახური და ამით გვრგვინი ქებისა მიუზლოთ მძლეუთა მათ ამისთვის, ვითარმედ მძლენი ჯილდომსა ღირს არიან, იცის ბუნებითად გონებამან და ისტორიათაცა მიერ უწყებულ ვართ, ვითარმედ მძლენი თუთმპყრობელნი მიიღებენ ჯილდოდ ღიღებასა ნათესაეთაგან მრავალთა ძლევისათუს და მკედარნი ნიჭსა მეფეთაგან.

ვინა მიუზლოთ მარტულთა ქრისტესთა ჯილდოა ძლე/ვისათუს 35 ▽ და შეუთხზათ გვრგვინი უხრწნელი ყუაეილედი ანუ გვრგვინი უხრ-

<sup>1</sup> კრძალეობა A.

\* შტრ. I ტომოთ. 2,4.

წნელისა ოქროსა გამოცდილისა, ვითარ-იგი მძღენი მაკელონელნი, მოქცეულნი ინდიათ ნებიითა აღექსანდრე დიდისათა, კელთა თუსთა მიერ ყუავილითა გვრგუნოსან იქმნეს. და აღკვივადოს დიდისა ძლევისათუს, რომელი მიილო ლაკედემონელთა ზედა, ათი-  
5 ნელთაგან თანმოქალაქეთა თუსთა ძვრფასითა ოქროსა გვრგუნითა გვრგუნოსან იქმნა.

შეკრულ არს ყოველი კაცი ბუნებითითარე მსჯულითა, რათა იცოდესმცა: 1) ვითარმედ არს არსება ყოველად სრული და 2) რათა ცხად ჰყოფდეს დიდებასა ღმრთისასა და 3) რათა პატივისცემ-  
10 დეს ღმერთსა. ცხადყოფა დიდებისა ღმრთისა არს მითხრობა სხუათადმი სრულებათა საღმრთოთა და საკვარუელთა მათ საქმეთა ღმრთისათა, რამეთუ „სიტყუთა უფლისათა ცანი დაემტკიცენეს და სულითა პირისა მისისათა ყოველი ძალი მათი“<sup>1</sup>, ესე იგი ნაწილებითურთ თუსით ჰქმნა უფალმან ცაჲ სიტყუთა თუსითა, რომელ არს  
15 „ბრწყინუალება დიდებისა და ხატი ყოფისა მისისა“<sup>2</sup>, და სულითა პირისა მისისათა, „რომელი იცნობს ღმერთსა“<sup>3</sup> და რომელი „გამოივლინების რა, დაჰბადებს არსთა და განაახლებს პირსა ქუეყანისასა“<sup>4</sup>. ეგსაჲედ ჯერეთ ჰქმნამ ღმრთისა მიერ „ქუეყნისა დასაბამსა შინა“<sup>5</sup>, ურომელოდ, ესე იგი განუშზადებულად რო-  
20 მელსა ზედა იყო წყალი და ბნელი იყო ზედა უფსკრულთა და სული ღმრთისა იქცეოდა ზედა წყალთა, /ხოლო იქცეოდა<sup>1</sup> სული ღმრთისა ზედა წყალთა ამისთუს, „რათა განწზადოსმცა წყალი შობად ცხოველთა“, ვითარცა მსთქუა დიდმან ვასილი<sup>6</sup>. კუალად უბრძანა ქუეყანასა „გამოლებად მწუანვილი თივისა თესლად თეს-  
25 ლადი“<sup>7</sup> და ყოველი სამშუნუელი ცხოველი ნათესაეობისაებრ, ხოლო წყალთაცამებრე და ესთა ჰქმნა ღმერთმან სოფელი ესე სიტყუთა თუსითა, რამეთუ ყოველიევე სიტყუთა თუსითა შეჰქმნა და „თუნიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა“<sup>8</sup>, რამეთუ „მის მიერ შეჰქმნნა საუკუნენი და იგი დაადგინა  
20 მკვდრად ყოველთა“<sup>9</sup>

ამას უკუე ხილულსა შინა სოფელსა, ვითა განხმულსა თიატრსა ზედა, წარმოიდგინების ჩუენდა დიდებულებაჲ და სიმდიდრეჲ სახიერებისა<sup>2</sup> ღმრთისა და შემძლებელობისა, მოწყალებისა და სიბრძნისა მისისა.

<sup>1</sup> იქცეოდა B. 2 სახიერებისა A.

<sup>2</sup> ფსალ. 32,6. <sup>3</sup> შტრ. ებრაელ. 1,3. <sup>4</sup> შტრ. 1 კორ. 2,11. <sup>5</sup> შტრ. ფსალ. 103,30. <sup>6</sup> შტრ. შესაქ. 1,1. <sup>7</sup> ვასილისა ექუსთა დღეთათუს, თავი 2. <sup>8</sup> შტრ. შესაქ. 1,11. <sup>9</sup> იოან. 1,3. <sup>9</sup> შტრ. ებრაელ. 1,2.

ხოლო უხილავთაცა არსთა იგივე არს შემოქმედ და უფალ, რამეთუ „მან შექმნნა ანგელოსნი თვისნი სულად და მსახურნი თვისნი ალად ცეცხლისა“<sup>1</sup>, რამეთუ, „რომელი-იგი ითქუა ანგელოსად, სიტყუა იქმნა მტკიცე“<sup>2</sup>, რომელთაგან „მცირედ რამე დაკლებულად ჰქმნა კაცი“<sup>3</sup>, რამეთუ, დაღათუ ჰქმნა ღმერთმან კაცი „სულად მადლისათუს, არამედ ჯორცად ამპარტავენებისათუს, ამათ მიერ განცხადნების დიდებულება სახიერებათა ღმრთისათა ყოელისა შემძლებლობისა, მოწყალებისა და სიბრძნისა მისისა, რომლისათუს შეკრულ ვართ მითხრობად სხუათად დიდებასა ღმრთისას“<sup>4</sup>.

10

/პატივის-ცემა ღმრთისა არს შეწყნარება ყოველთა მათ, რო მელნიცა გვბრძანა ჩუენ და გუაუწყუნა პირებითა ჰრჩეულთა თუსთა წინასწარმეტყუელთათა და უკანასკნელ გუეზრახა თვთ თავადისა მიერ ძისა თუსისა, „რომელიცა არა ნატაცებად შეირაცხა იგი სწორებად ღმრთისა, არამედ დამდაბლდა და ხატი მონისა მიიღო“<sup>5</sup> უწინარეს საუკუნეთა ცნობილმან, რომელიცა „ქუეყანასა ზედა გამოჩნდა და კაცთა შორის იქცევოდა“<sup>6</sup> და ქალწულისაგან წმიდისა კაც იქმნა, რამეთუ სიტყუა ჯორციელ იქმნა და ვნებითა, ჯუარკმითა და სიკუდილითა თუსითა გეცნნა სიკუდილისაგან, რომლითა შეპყრობილ ვიყუენით ეშმაკისაგან, რომლისად ცოდვისა ძლით მისყიდულ ვიყუენით, ხოლო ცოდვისაგან, რამეთუ „ჯორცითა თუსითა დაჰსაჯა ცოდუამ იგი“<sup>7</sup>, ხოლო აღდგომითა თუსითა გზა უყო ყოველსა ჯორციელსა მეუდრეთით აღდგომა. ხოლო ზეცად ამადლებული ჯორციელად „საყდართა დიდებისათა დაჯდა“<sup>8</sup> და ჩუენ მოგუცა აღთქმული სული ყოვლად წმიდამ თუსი და „მსახურებისათუს მისისა მის თანა ყოფამ“<sup>9</sup>.

15

20

25

ვესახედ შეწყნარებად ყოველთა და დაცუამ, რომელნი მახარებელთაგან და მოციქულთა „სიტყუთა ანუ წიგნითა მოგუეცუნეს მოძღურებად“<sup>10</sup>, იცუების პატივისცემა ღმრთისა ამას შინა, რათა ყოველთა სათნოთა ღმრთისათა<sup>1</sup> ეიქმოდეთ<sup>2</sup> და ეიშუებდეთ მას შინა და ყოველთა დაყენებულთა საქმეთა არა სათნოთა ღმრთისათა გარემივექცევოდეთ, და ამათდა მეცნიერ ვართ საღმრთოთაგან მოძღურართა, რომლითა ესთა შემკრავს ჩუენ მსჯული ბუნებითი.

30

1 ღმრთისათა + არ A. 2 ეიქმოდეთ... ღმრთისათა — A.  
 \* უსალ. 103,5. \*\* შღრ. ებრ. 2,2. 3\* შღრ. ფსალ. 8,5. 4\* ღმრთისმეტყუელისა ჰრისტეს შობისათუს. 5\* შღრ. ფილიპ. 2,6-7. 6\* ბარუქ. 3,38. 7\* შღრ. პრამ. 8,3. 8\* შღრ. ებრ. 3,1. 9\* შღრ. იოან. 12,26. 10\* თესალ. 2,15.

233

/ესე ყოველი ყოვლად სრულებისა ღმრთისა ცნობა არს, რომელი დაიცუეს მოწამეთა ჭეშმარიტებისათა, რომლითა შეკრულ იყუნეს არათუ ბუნებითითარე ჰსჯულითა ოდენ, არამედ ნებსით. ხოლო შეკრულებითა მით ალატყინეს ცეცხლი გულთა შინა, რომ-

5 ლითა განათლდეს და რომლითა სულსა შინა ენებანი დაკუთებულ ჰყუნეს. ხოლო ენებანი იგი იყუნეს შუებითნი: 1. „სიხარული, რომელ არს აღსავალი უდიდესი შუებისა ანუ უაღრესობა შუებისა“.

10 2. ნაწარმოები სიხარულიაგან, რომელიცა ფილოსოფოსთაგან პირუელ ნაწარმოებად შერაცხილ არს. ხოლო არს ესე „სიყუარული, რომელ არს სიხარული წინამიღებული კეთილდღეობისაგან მის ვისმე“<sup>\*\*\*</sup>, ვითარმედ ოდეს-იგი ეპსცნობთ ანუ ჯიგულისკმებთ მას რომელსამე არსსა განუსაზღვრებელსა ანუ განსაზღვრებულსა კეთილობისა ქუემდებარედ, თუ სადამე შევრაცხთ სათნოდ, ჩუენდა გუაქუს სიხარული წინამიღებული კეთილობისა მისთვის, რაკიციანთ ქუემდებარედ კეთილობისა. ხოლო თუ სადამე შერეენილთა მიერ გამოხატულთა და წინაგანჰსჯილთა ჰაზრთა მიერ ხრწნადნი და ადულ დავესებადნი ნიეთნი მცირისათვის გემომსა სათნო არიან

20 ვიეთთად და აქუსთ მისდამი სიხარული წინამიღებული ბოროტ-ჰჰაზრუელთა მისდა, რეცა ქუემდებარედ კეთილ-ყოფისა მისისა და ამით რაოდენნი შეცუალებანი მდგომობისანი/ იქმნებიან. რაოდენ უფროს, რომელთა განათლებულითა მით ცნობითა ჭეშმარიტებისათა, რომელიცა გამობრწყინდა მომგებელთა შორის საღმრთოასა

▼

25 სიყუარულისათა არსებისა მიმართ განუსაზღვრებელისა, რომელიცა არს არსებით კეთილობა მისგან მოგონებულისა და ქმნილისამებრ გულისხმის-ყოფისა, იცნან რა თუთ კეთილობად, ალატყდეს სულთა შინა მათთა ცეცხლი სიხარულისა წინამიღებულისა.

ვინა არარა ჰგამისთ სულთა ესეგუართა განშიშულებად ჯორცთა და მოყმობად, იავარ-ყოფად, განდევნად, ექსორიობად და სი-

30 კულილად. ხოლო შემთხუევანი იგი სიკუდილისანი, რომელნი შემოიყუანებენ წარხუეჭასა სიცოცხლისასა და მიზეზსა არღა ყოფისასა განჯნასა კავშირთა ბუნებითთასა, რომელა ორად განკუეთა და ესე ბუნებით საშიშ არს განჯნისა ქუემდებარეთად, ვითარმედ განჯორციელებულმანცა სიტყუამან ნებსით ჩუენთა საცხოვ-

35 რებელთა ენებათა მიმართ მოსრულმან, ვითარცა კაცმან შესმენილ ჰყო თუსდა შიში კავშირთა განჯნისა, არიან პირად-პირადნი და,

\* ბაუმეისტერ მეტაფიზიკ., ენებისათუს, ნაწ. 3, თ. 10. § 134.\*\* მისივე წიგნი, ნაწ. და თავ. იგივე, § 138.

თუ მსტქუა, ურიცხუნიცა, რომელნიცა მოაგონნა ეშმაკმან მძლავრ-  
თა მსაჯულთა.

შემთხვევანი თქმულნი ყოვლად საწყურუელ იყუნეს მოწამე-  
თად, ვითარმედ ბარძიმი იგი სიკუდილისა, რომელიცა შესუა „სი-  
კუდილისა და ცხოვრებისა“\* კელმწიფემან, და „ნათლისდება,  
რომელიცა ნათელს-ილო, მიიღეს და შესუეს“\*\*. და ნათელს-იღეს 5  
წყუ/რეილით მოწამეთა, რამეთუ განშიშულდენ მრავალნი მეფო- 234  
ბითთა შარაგანდღათაგან, სტრატოლატობისა პატიეთაგან, დუქსო-  
ბითთა<sup>1</sup> ჩინებულებათაგან და სხუათა თუთოეულთა დიდებითთა  
აღსავალთაგან, სხუათა განყარნეს სარტყელნი და მანიაციანი საჩი-  
ნებულონი მკედრობითნი, ხოლო სხუათა — ეზოა კრძალულებისა 10  
ქალწულებითი, სხუათა — სასძლოა ქორწინებითი, სხუათა — მე-  
ულღენი და შეილნი, სხუათა — სიმრავლენი ყოვლად მდიდართა  
უნჯთანნი, და უდიდესი ვასტქუა, სხუათა დაუტყვევს უბრალოა  
მღუდელმოქმედებაა ღმერთ-მამაკაცისა ტარიგისა, სხუათა — ზედ-  
მპაზრუელობაა და განმგებელობაა „ნათესაეთა პრჩეულთა სა- 15  
მეფომსა სამღუდლომსა“<sup>3</sup>, სხუათა — მთავრობაა გნოსისთა აზ-  
ნაურთა, სხუათა — შექცევაა სიტყუათა ზედა უხუთა და შუენი-  
ერთა ანუ საპიტიკოთა შეწყობილებათა.

ამათ ყოველთა აღიმსთუეს დაგლახაკებად, განდევნად, ჯუარ-  
ცმად, დაკუეთად და განთხუად ასოთა, შემსჭულლუად ურმის- 20  
თულთა საზარელ მბრუნავთა, მიცემად სხეულთა<sup>2</sup> მანქანათა მი-  
მართ საშინელ შემმუსრუელთა, შთასხმად ტყუათა ანუ ზე ადგილით,  
ანუ ქუეშთაგდება ტყუათა და ბრპენთა შინა მფოფინარეთა და  
ზეთთა შინა მღულარეთა, ცეცხლისად მიცემად, შეყენებად ტბათა 25  
შინა განყინულთა ზამთარსა შინა დ ნეფხუასა პელელოთა/ შთა-  
გდებად, შესმად სამსალამსა, მოკიდებად ზედა ძელისა, აღუსებად  
სხეულთა ისრებითა, განგმერად ლაზურითა, ხუეტად ფრჩხილე-  
ბითა რკინისათა, დაღებად ლანძუათა ზედა და ცხედართა რკინი-  
სათა განკურუებულთა და კშირად ნაბერწყალთა მსროლელთა,  
განყარად მკერდით ზურგამდე და ყურითი-ყურად შამფურთა 30  
განკურუებულთა, დაქლეჩად კორცთა მძენუარედ განკურუებული-  
თა მარწუხებითა და ქურჭელთა რკინისა და რუალისათა განკურუ-  
ებულთა, სხუადასხუათა გარემოხმად ყოველთა ნაწილთა ზედა  
ყოვლადისა სხეულისათა, მიცემად კორცთა კატაპელტთა მიმართ  
და შალაშინთა და კბილთა მიმართ მძენუარეთა მკეცთასა და გან- 35

1 დუქსობითა A. 2 სხეულთა] სხეულთა A.  
\* შდრ. ტობია 13,2. \*\* შდრ. მატთ. 20,22. 3\* შდრ. 1 პეტ. 2,9.

ხერხუად, გარდაპარეხუად ქნელ-შთასაწთომთა ხედვით კაანთა და ქარფთაგან, დაქოლუად, მოშთობად საბლითა და მოშთობად წყუღიადითა და იწროებითა ადგილისათა, დალენწუად ასოთა წერაქუებითა და უროებითა რკინისათა, გუემად მძნუარედ კუერთ-5 ხებითა და მათარახებითა და წარკუეთად თავთა მახულითა.

ესენი არიან და ესეგუარნი ურიცხუნი მიზეზნი კავშირთა განცნისანი, რომლისა მიღებად უსწრობდეს ერთი ერთსა მოწამენი ჭეშმარიტებისანი, „მოლუაწენი ლუაწლისა კეთილისა სარწმუნოებითისანი, აღმსარებელნი წინაშე მრავალთა მოწამეთა“ 235 10 კეთილსა აღსარებოსანი და მმა/რხუელნი უბრალოდ და უბიწოდ მცნებათა საღმრთოთანი. ამათ „დაიმარხნეს ვიდრე აღსასრულად მდე საქმენი ქრისტესნი და ჰსძლეს და მოიღეს კელმწიფებამ წარმართთა ზედა მწყსად კუერთხითა რკინისათა, ვითარცა მიიღო მამისაგან ძემან ღმერთ-მამაკაცმან და მოიღეს კუალად (ძლევისათვის) 15 ვარსკულავი განთიადისა“<sup>3</sup>.

ამათ უკუე კუალად ძლევისათვის მოიგეს ჯილდოდ „არღარა ვნებანი სიკუდილისაგან“<sup>3</sup>, მეორისა „ჭამად მანანამსაგან დაფარულისა“ და რიცხვ საეტაკი და რიცხუსა მას თანა სახელი ახალი დაწერილი, რომელი არაეინ უწყის, გარნა რომელმან მი-20 იღოს“<sup>4</sup>.

კუალად არს ჯილდომი მიღებული საღმრთოთაგან მოწამეთა აღთქმამ დაჯდომად საყდართა ზედა ლუაწლის დამღებელისათა, ვითარ-იგი „ჰსძლო მან და დაჰსჯდა საყდარსა ზედა მამისა-სა“<sup>5</sup> მარჯუენით მისსა.

25 აწ უკუე, ვინამთგან „გუაქუს ჩუენ ესოდენი გარემოდგომილი სიმრავლე“<sup>1</sup> წმიდათა მოწამეთა, სიმძიმეა ყოველი განეიშროთი (ესე იგი სიფიცხე, სიმძიმე და უღმობელობაა გულისა, რომელ არს უგრძობელობაა ტკივილთა სულისათა) და მსწრაფლ მომავალი იგი ცოდუა“<sup>6</sup> (მით, რომელ სიმძიმემან და სიფიცხემან გუ-

30 ლისამან უგრძობელქმნილსა სულსა შინა მსწრაფლ შემოიყუანოს „ცოდუამ, რომელიცა მიუდგის და შუს სიკუდილი“<sup>7</sup>) და მოთმინებით ვრბოდეთ წინაგანმზადებულსა მას ჩუენსა ლუაწლსა (რამეთუ იტყვს: „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თუსი და შემომიღ-

1 სიმრავლეა B.

\* ზღრ. 1 ტიმოთ. 6,12. \*\* ზღრ. აპოკალ. 2,26-28. 3\* ზღრ. აპოკალ. 2,11.

4\* ზღრ. აპოკალ. 2,17. 5\* ზღრ. აპოკალ. 3,21. 6\* ებრაელ. 2,1. 7\* იაკობ. 1,15.

გეს მე, /იგი არა არს ჩემდა ღირს“ და ვხედვიდეთ სარწმუნო-  
ებისა ჩუენისა წინამძღუარსა და სრულებისა მოქმედსა იესუს. V

ოლეს-იგი ვხედვიდეთ სარწმუნოებისა ჩუენისა წინამძღუარსა  
და სრულებისა მოქმედსა იესუს<sup>1</sup> „მტკრთულად ჯუარისა“<sup>2</sup>  
და „განსრულად გარეშე ბჭეთა“<sup>3</sup> ვნებად და მოწამეთა ჭეშმა- 5  
რიტებისათა აღმღებულად ჯუარისა და შედგომილად უკანაგან  
მისდა და ყოვლითურთ მზიარებულად ცხოველსმყოფელთა ვნება-  
თა მისთა, ვაქებდეთ, ენატრიდეთ და უგალობდეთ და წმიდათა  
ვნებათა მათათუს ვიშუებდეთ და სანატრელთა ტკივილთა მათ-  
თათუს განვსცხრებოდეთ და საღმრთოთა სისხლთა მათთა 10  
ზედა ვიხარებდეთ და მათგან მიღებულისათუს ჯილდომსა ვი-  
ქადოდეთ, ვითარცა კრებულთათუს თანმენათესავეთა ჩუენთა, ვი-  
თარცა ღმრთისა მიმართ ბუნებისაგან ჩუენისა მიცემულთა ღირს-  
თა წმიდათათუს და ვითარცა ურცხუენელთა შუამდგომელთა ჩუ-  
ენთა ღმრთისა მიმართ. „ხოლო სადიდებელ ჩუენდა ვპოვდეთ 15  
მათ, ვითარცა მეგობართა ღმრთისა ჩუენისათა“<sup>4</sup>.

დაეშუერით აქამომდე გალობად ვნებულთათუს ქრისტესთა და  
უფროსლა ადგილობითის გამო ნათესავეისა ერთნათესავეთა ჩუენთა  
მოწამეთათუს, რომელნიცა ათოთხმეტთა სიტყუათა შინა ვიგალობ-  
ბეთ და აწ ვგალობდეთ დანაშთისა მკედრისად სტრატიოტისა ქრის- 20  
ტესისა ძლევისმოყუარისა და მის თანა ძლევისმოყუარეთად ქრის-  
ტესთა.

ღროსა შინა მეფობასა ბერძენთა ზედა კოსტანტინესსა, რომე-  
ლი იყო ძე ლეონისა და ძისწული ვასი/ლი მაკედონელისა, წელი- 236  
წადსა განქორციელებითგან სიტყუსა ღმრთისა 888, განმრავლება- 25  
მან ცოდუათამან აწუა წურთამ დიდი და უფროსლა რისხუამ სა-  
ღმრთომ ჩუენ ზედა გუარითა ესევეითარითა.

მეფემან სარაკინთამან, სახელით ამირ-მუმლმან, სხუამან  
ვიდრემე ნაბუქოდონოსორმან, მკდომარემან თუთმპყრობელობით  
ახალსა შინა ბაბილონს, „ამაღლებულმან მეცნიერებასა ზედა 30  
ღმრთისასა“<sup>5</sup>, განაჩინა განმკედრებად ქრისტეანეთა ზედა მკე-  
დართმთავარი თუსი აბულ-კასიმ სპითა დიდითა, ვითარცა იტყუან  
ძუელნი მატინანეთა ქართულთა ისტორიკოსნი. ესე აბულ-კასიმ შე-  
მოსრული პირველად ერმანიასა შინა აღმაოკრებელი ყოვლისა  
მკედრობისა მახვლისა მიერ და ტყუეობისა და შემმუსრველი<sup>1</sup> შე- 35  
ნებულებათა მუნებურთა, წარმოემართა მკედრობითა მით დიდითა

<sup>1</sup> შემმუსრველი<sup>1</sup> შემმუსრველი B.

\* მატ. 10,38. \*\* შღრ. იოანე 19, 17. 3\* შღრ. ებრა. 13,13. 4\* შღრ. ფსალმ.  
138,17. 5\* 2 კორ. 10,5.



ქართლად, რათა ერთისა და სწორისა ვნებისა ქუემდებარე ჰყუნეს სომეხნი და ქართუელნი.

სუმბატ იპყრობდა დროსა მას ქართლსა მეფობით, მეფე სომეხთა, რამეთუ მისცა მას ქართლი კოსტანტინე მეფემან აფხაზთა-  
 5 მან, და განჰმსჯელმან სუმბატ, ვითარმედ შეუძლებელ არს მისგან წინააღდგომად აბულ-კასიმის მიმართ, ელტოლუა იჰმია ქართლით აფხაზეთად, რომლისა ელტოლუამან შემოიყუანა ტფილისს  
 შინა თავისუფლადრე აბულ-კასიმ, რომელსა შინა მჯდრომა/რეობ-  
 10 სა მაშინ უღმრთო ჯაფარ სარაკინთაგანივე ბრძანებითა თქმული-

შემოსრულმან აბულ-კასიმ მოაოჯრა უჯარამაცა და შემუსრა ციხეჲ ბოჭორმისა და დაარღუნა ზღუდენი უჯარამამსანი და მო-  
 აოჯრა ქართლი და სამცხეჲ და ჯაეახეთი და გარემოადგა ციხესა  
 ზედწოდებით ყუელის ციხეს, მდგომარესა მახლობელ ტასისკარი-  
 15 სა, რომელი არს მარცხენით კერძო მისა, ქმნილსა ეროსთავთ ერის-  
 თაჟსა გურგენისგან.

იყუნეს უკუე თქმულსა მას ციხესა შინა კეთილმსახურნი აზ-  
 ნაურთაგანნი, ჩინებულნი არამცირედნი, რომელთა შორის ბრწყინ-  
 ვიდა სიმენითა ჭაბუკი ვინმე, მიხაილ სახელით, რომელმანცა სიმ-  
 20 კნისა გამო ინართაულა სახელი გობრონ, ვითარცა იტყუს ნეტარი  
 ვინმე მვისტორიე მისთჳ\*.

ჰქმნეს სარაკინთა<sup>1</sup> გარემო ციხისა გარეშემცუელთა ბანაკი  
 მრავალგუნდთა სპათა და ჰბრძოდეს ძლიერად თქმულსა მას ცი-  
 ხესა სროლითა ისართა და ოროლთათა, რამეთუ, ვითარცა წჳმათა  
 25 მიუტევებდეს ციხოვანთა ზედა, და ყოველსა მკედრობასა გარემო  
 სოფლებისა ჯაეახეთისა და სამცხისასა აღაოჯრებდეს მახლისა  
 მიერ და ტყუეობისა და შემუსრვისა. განალა ყუელის ციხით ზედა-  
 დაესხის უღმრთოთა მათ გარემოდგომილთა ახოვანი მკედარი ქრის-  
 237 ტესი გობრონ და აღჰსწყუედლის მრავალთა მათგ/განთა და პატიოს-  
 30 ნითა მით დაშრომითა ციხედვე უკუნიქცის.

ოცდარუათა უკუე დღეთა შინა იცუებოდა ციხე იგი ესეგუა-  
 რისაგან მკედრისა ქრისტესისა გუშაგთმთავრისა. და დღესა მეოც-  
 დაცხრესა მიშუებითა საღმრთოთათა კლდე, რომელსაცა ზედა მდგო-  
 მარე იყო ციხე, მტერთაგან განჯურეტილ იქმნა, რომლითა ზღუ-  
 35 დენი ციხისანი დაირღუეოდეს და მსრბოლნი მიისწრაფდეს ცი-  
 ხედ ბარბაროსნი, რომელთა შემუსრუასა, წყლულეებასა და სი-

<sup>1</sup> სარაკინთა B.

\* სტეფანე ეპისკოპოსი მტბევაარი.

კუდილსა ადიადებდა გობრონ, რომლითა განაკურუნა მტერნი. ვინა შეწვევისაგან გარეგანისა მოკლებულთა ციხისშინათა ზავი ითხოვეს ბარბაროსთმთავრისაგან და ესე აღეთქუა მთავრისაგან ციხოვანთა ფიცით.

გამოსრულნი სუსტსა ზედა საფუძუელსა, დამტკიცებულისა ბარბაროსთა ფიცისა რეცა მინდობილნი კეთილმსახურნი მკედარნი ჩინებულთაგანნი, რიცხუთ ორასნი, მიეცნეს რა ჯელთა უღმრთოთასა ბრძანებითა მკედართმთავრისათა, განიყუანეს მიცემულნი კრძალულებით დაცუად სხულაძსხუათა მიმართ მესაკრუელეთა და უმეტეს საღმრთომ მიხაილ-გობრონ. ხოლო პყრობილთა მათთვის წმიდათა განიჩინა ბრძანებამ მკედართმთავრისა მისგან ბარბაროსისა, რათა პყრობილნი იიძულებოდენ ყოელითა ღონითა, შინებითაცა და ქადებითა ტანჯუათათა და აღთქმითა ნიჭთა და პატივთათა დატყეებად ქრისტეს ღმრთისა/ და აღსარებად ბილწ მსჯულისდებათა მახმედისთა.

არარა იყო მიდმოგონება, ანუ მოძრავობა რომელიმე გონებისა, ანუ განზრახუა, ანუ განჰსჯა, ანუ აღრჩევა და დამტკიცება ნეტარისა გობრონის შორის, რათა შეეშფოთამცა მყუდროებამ ნეტარისა სულისა მისისა, რომელიცა აქუნდა წმიდისა მიმართ სარწმუნოებისა, ანუ შეერყიამცა სიმტკიცეა შეუძრუელ მღგომარისა მის სარწმუნოებისა, რომელი აქუნდა ქრისტეს ღმრთისა მიმართ.

ვინა უბრყვლოსა ზედა სარკესა გონებითსა სატრფიალოსა თვსსა, ნამდულ სატრფიალოსა და საწყურსა არსთასა ქრისტესა, ძესა ღმრთისასა, გამოჰსწერდა და მისდა იშუებდა და საკრუელთამათ ფიცხელთათვის მდებარეთა ქედსა ზედა და ჯელთა და ფერკთა თვსსა თავსა თვსსა პნატრიდა და ცრემლთა სიხარულისათა აცურევედა და იტყოდა: „შენთვის მოვჰსწყდებით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კლუადნი“\*. ხოლო მიხედვიდა მეტყუელი მცუელთადმი უღმრთოთა:

„ჩემდა ცხოვრება ქრისტე არს და სიკუდილი შესაძინელ“\*\*. და კუალად: „ვინ განმაშორნეს ჩუენ სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჳირმან ანუ იწროებამან, დვენამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან ანუ ურუამან ანუ მახულმან?“\*\*\* „განამდიდრენით ძურნი ჩუენ ზედა და მძენუარე კყუენით შრომანი ჩუენნი, რათა უადულესად განვიბერტყენთ მტურნი და თავისუფლად თვთმკელმწიფებელთა სულთა ჩუენთა აღვლონ ცანი და „ქელთა შინა ღმრთისათა შეველ-

\* ფსალ. 43,22. \*\* ფილიპ. 1,21. 3\* პრობ. 8,35.

- 238 რებულ იქ/მნენ“\*, ვითარცა კელთა საყუარელისა მამისათა“.
- მაშინ უღმრთოთაგან მგზავრ-მართალნი მრავალნი მოიკლვოდეს, რამეთუ სომხეთად მიიქცნეს უღმრთონი, გამო-რა-იღეს ციხეჲ.
- 5 ერთი უკუე იყო სიტყუა ყოველთა მათ ქრისტესთჳს პყრობილთა ჭეშმარიტებისა მოწამეთა მაიძულებელთა მიმართ უღმრთოთა, ესრეთ მეტყუელთა: „რამე არს ანუ ვითარმე დიდება იგი, რომელსა აღგვთქუამს მთავარი თქუენი, კორციელებრი არსა? გარნა „ყოველი კორცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუაილი თივისა, განჯმა თივა და ყუაილი დამოსცუვა, ხოლო სიტყუა ღმრთისა ჩუენისა ჰგიეს უკუნისამდე“\*\*. არა სათნო არს ჩუენდა, არცა საკმარ ნიეთნი მდიდარნი, რამეთუ განხრწნადნი არიან, რომელნიმე „გესლთაგან შეჭმადნი და რომელნიმე მდილთა და ჭიათაგან“<sup>3\*</sup> და ყოველნი მპარავთაგან დათხრადნი
- 10 და წარპარუადნი და, თუ სადამე რაოდენთამე დროთა ჰგებდენმცა, მიიქცენ სხესა მიმართ უფლისა და მქონებელმან მათმან ვერარამე წარილოს ამიერ სოფლით. ესეგუარნი რამე ნიეთნი უკმარ ჩუენდა მიერ დლით, რომლითგანცა დროთ შეედრად ქრისტესა, ძესა ღმრთისასა, თავნი ჩუენნი განუჩინენით<sup>1</sup>. ანუ ვითარნიმე არიან
- 20 სატანჯუელნი, რომელთა გვიქადებთ, ნუ დაცხრომადნია და მოკლებადნი, რომელიცა სისხლისა მოძრავობისა ჩუენისა დაცხრომისა დროსა დამსცხრეს იგიცა? ჩუენ უკუე გუძულან კორცინი, რამეთუ უძლურ არიან და გულისმოდგინებასა სულთა ჩუენთასა აყენებენ, ხოლო სატანჯუელნი/ იგი, რომელთაცა გვიქადებთ, შეხე-
- 25 ბად არიან კორცთა ამათ ზედა, რომელნიცა ვერ შეეხნენ სულსა. გურწამს მისსა მიმართ, რომელიცა-იგი გუეტყეს, უღმრთონო: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყუდნენ კორცინი და ამისსა შემდგომად ვერარა აქუსთ უმეტეტი, რა გიყონ თქუენ“<sup>4\*</sup>.
- სული ნეტარი „სათნობათა მიერ მსგავსად სძლისა შეიმ-
- 30 კუებოს და უკორცომასა მის და უსხეულომსა და სულიერისა და ყოვლად წმიდისა საღმრთომსა მეუღლებისა პატივსა აღუალს“<sup>5\*</sup> და, რომელსა-იგი „ჰნებაეს ყოველთა ცხოვრებამ და მეცნიერებად ჭეშმარიტებისა მოსულად“<sup>6\*</sup>, ამის მიერ სრულსა მას და ნეტარსა ცხოვრებისა სახესა წარმოაჩინებს აქა, რომელ არს სიყუარული, და სიყუარულთა მით აღანთებს ზეთსა, კეთილგონიერებითა განგებულისა სიბრძნითა დამარხულსა და არა განცემულსა მათ-

<sup>1</sup> განუჩინენით| განუწყესნით B.

\* სიბრძ. 3,1. \*\* შტრ. ისაია 40,4-8. 3\* შტრ. იაკობ 5,2. 4\* ლუკა 12,4.

5\* გრიგორი ნოსელი, ქება ქებათასა ვანმარტება. 6\* შტრ. 1 ტომით. 2,4.

და, რომელნიცა არა ღირს არიან მიცემად. ხოლო წინა მიეგებების-  
ცა მოსრულსა სიძესა მის თანა შესულად ქორწილსა მას უხრწნელ-  
სა და მის თანა შევალს განმზადებული.

ესეგუარნი უკუე იყუნეს დროსა მას სულნი იგი ქრისტესთვის  
პყრობილთანი, რომელთათვის სიძისაგან უკუდავისა ტაბლად უხრ- 5  
წნელი ვნებისა წმიდისა განიმზადებოდა, დაღათუ ქელითა უღმრ-  
თოთათა. ხოლო შეკრებულებასა მათსა ერთ სძალ წმიდად „მი-  
თხოვილსა, სახარებითა პაულესითა, ერთისა მიმართ მამაკაცისა (და  
უდიდესი ვასთქუა ღმერთ-მამაკაცისა) ქალ/წულად წმიდად“\*, 239  
რათა წარდგენ წინაშე თვთ მისეე ღმერთ-მამაკაცისა, ჰხადის იგივე 10  
ღმერთ-მამაკაცი სიძე მეტყუელი: „შევედ მტილსა ჩემსა, დაო  
ჩემო ჰსძალო, მოვისთულე მური ჩემი ნელსაცხებელითურთ ჩე-  
მით, ვჰსჭამე პური ჩემი თაფლითა ჩემითა, ვჰსუ ღუნო ჩემი სძი-  
თა ჩემითა, ჰსჭამეთ, მოყუასნო ჩემნო, ჰსუთ და დაითურენით“\*\*.

ეჰა, სახიერება უხრწნელისა მის და დაუბერებელისა სიძისა, 15  
ძისა დავეთისი, რომელსა აქუს „კლიტიეცა სახლისა დავეთისი  
მჰართა მისთა ზედა“3\*, რომლითა განაღებს სასძლოსა ეგაევი-  
თართათეს მექორწინეთა ჯუართა მით თვისთა წმიდითა და წინა-  
დაუღებს ზიარებად და შეერთებად პურსა ცხოვრებისასა თავსა  
თვისსა თაფლითა შენელებულსა, ესე იგი სიტკბოებითა და სახიე- 20  
რებითა თვისითა, რამეთუ მისი არს თვთ სახიერება და თვთ სიტ-  
კბოება და ღუნოსა აღმოავსებს განზავებულსა სძითა თვისითა, „რა-  
მეთუ მისგან და მის მიერ და მისა მიმართ არს ყოველი“4\*.

ესეგუარისა უკუე მტილისა მიმართ ნეტარისა და საღმრთო-  
მსა მიიწოდნეს მარტულნი ქრისტესნი, რომელ არს სასძლო ზე- 25  
ციერი, გამომღებელი ესევეთართა ნაყოფთა, რომელსაცა წადილი-  
საებრ მოსწრაფებითა განკარგულისა გულმეთქუენი მისნი მიიღე-  
ბენ. ხოლო წადილი იგი გარდარეული მოსწრაფებითა განკარგული  
ანუ ტრფიალებამ მსხუერპლი ღმრთისა მიმართ ერთბამად შემოჰ-  
კრებს და ტრფიალება იგი სუნელებისა მიერ თვისისა თჳს შორის 30  
მშუებელთა მურ ექმ/ნების ნელსაცხებელთა თანა. ხოლო მშუე-  
ბელთა უკუე ესეგუართა ტრფიალებასა მას შინა საღმრთისა თუ  
საღამე, მსმენელო, წადიერ ხარ ცნობად, ესენი არიან, რომელთა  
მოაკუდინნეს ასონი ქუეყანისანი და „საწერტელნი იგი უფლისა  
იესუსნი კორცთა შინა თჳსთა იტკრთნეს“5\*, რომლითა წმიდად იგი 35  
და ყოვლად სუნელი ცხოვრებამ შეასუნნელეს, პირად-პირადთა და  
მრავალფერთა სათნოებათა ნელსაცხებელთა მიერ შენელებული.

\* შტრ. 2 კორ. 11,2. \*\* ეჰა 5,1. 3\* ისაია 22,22. 4\* პრობ. 11,36. 5\* გა-  
ლტ 6,17.

განიჩინა ბრძანებამ მძლავრისაგან პყრობილთა მათთვის სანატრელთა, რომელნიცა ცრუდთა და მაცთურითა ზავითა გამოიყუანნეს ყუელის ციხით, ვინაჲთგან არა ინებეს ცრუთა მათ მსჯულისდებათა მტყუარ-მოციქულისა მათისათა შეწყნარებამ და ლატყევე; 5 ბად ქრისტეს ღმრთისა, გამოყუანებად იგინი რეცა განცხადებულსა შინა თიატრსა და დადგომად მუნ მკვდარნი ჯელთა შინა მქონებელნი საჭურველთანი, რათა აღისპნენ<sup>1</sup> მათგან ტარიგნი იგი საღმრთონი.

მაშინ მსმენელნი პყრობილნი ქრისტესთვის განჩინებისა 10 მძლავრისანი აღმსობილნი სიხარულითა განვიდეს პირთა შინა მექონნი დიდებათა ღმრთისათა და განმამკნობელნი ურთიერთას<sup>2</sup> თქმითა ესეგუარითა: „განვიდეთ, ძმანო, წყობად მტერთა ჩუენთა უშიშითა გონებითა და მოუმედგრებელითა სულითა და „უფალი ძალთა ჩუენ თანა, ჯელის-აღმპყრობელ<sup>3</sup> ჩუენდა ღმერთი იაკობი- 240 15 სი“<sup>4</sup>. ნუ ვინმე ჩუენგანნი განეკსცემთ პატიოსნებასა უკუ/დავე-ბითსა სულისასა განხრწნადისა მიმართ და უპატივოდასა და წარმავალისა ცხოვრებისა დაუთმოთ სატანჯუელდა, რომლითა ტკივილთა საღმრთოთა ვეზიარნეთ. განვიბერტყენეთ მტუერნი, რომლითა „განმართლებულნი სულნი შეწყნარებულ იქმნენ ჯელთა ში- 20 ნა ღმრთისათა და არა შეეხოს მათ ტანჯულა“<sup>5</sup>.

მიყუანებულნი განმზადებულსა ადგილსა ვნებისასა მოწამენი ქრისტესნი, ვითარცა ცხოვარნი, წინაშე მკულელთა თესთა დაიდგინნეს შეკრულნი, რომელთა ზედა მიეიტევენეს მკვდარნი მოკულად მათდა ბრძანებულნი, მკოცელნი უწყალოდ. რომელთაჲმე მახელე- 25 ბითა კაფდიან სხეულთა სათნოებითა განწმედილთა, რომელთაჲმე ლახურებითა და მაზრაკებითა განგმერდიან და სხუათა ოროლებითა და სხუათა ლახტითა თავთა ზედა ხეთქებითა განტუნვიდიან და ესრეთ ერთგონიერებით შეკრებულთა მათ „სიკუდილი პატიოსანი იქმნა წინაშე უფლისა“<sup>3\*</sup> და აღვიდეს ყოველნი და დადგეს წინაშე 30 საღმრთოდასა საკურთხეველისა „გალობად კრავისა მიმართ გალობისა ახლისა“<sup>4\*</sup>.

იტყუს რიცხუსა მაშინდელთა ქრისტესთვის ვნებულთასა რღგ (133) ნეტარი სტეფანე მტბევაარი, მვისტორიეჲ ვნებისა მათისა.

დაჰმთა უკუე ჯერეთლა საპყრობილესა შინა წმიდა გობრონ 35 მით, რომელ უღმრთოჲ აბულ-კასიმ მიდრეკილ იყო მოწლეობად მისდამი სიჭაბუკისათუს და სიმენისა მისისა და მორფნაკუეთობი-

<sup>1</sup> აღისპენ A. <sup>2</sup> ურთიერთარს B. <sup>3</sup> ჯელის-ამპყრობელი A.

\* ფსალ. 45,11. \*\* შღრ. სიბრძ. 3,1. <sup>3\*</sup> შღრ. ფსალ. 115,6. <sup>4\*</sup> შღრ. აპოკალ. 5,9.

სა/თვისცა შესაბამისა. ხოლო იგი დღეთა და ღამეთა და ყოველსა  
 ღროსა მგზავრ ანუ ღვთისა შინა ლოცუათა განამრავლებდა  
 ღმრთისა მიმართ და განამდიდრებდა კრძალულებასა, რომელიცა  
 ესწავა კეთილმსახურთაგან მშობელთა სიყრმითგან და არარა  
 იყო მისდა საწადელ, გარნა რათა იყოსმცა ქრისტიანე და შესაბამ  
 ზედწოდებულისა მის სახელისა მოქმედ სათნოებათა. ხოლო იტ-  
 ყოდა ნეტარი იგი სული მისი სიძისა მიმართ, რომელ არს ძე და-  
 ვითისი და მშუდობა საუკუნო და მეფე მეფეთა და „სუფევისა მი-  
 სისა არა არს დასაძრულ“\*: „განვიძარცუე სამოსელი ჩემი, ვი-  
 თარღა შევიმოსო იგი და დავიბანენ ფერკნი ჩემნი, ვითარმე შევა-  
 გინუნდა იგი?“ ამისთვის, ვითარმედ: „მახლობელ, ტრედ და სრულ  
 სიძისად ღმერთთ-მთავერისა ვარ მე, რომლისა თავი აღივსო ცუა-  
 რითა და თმანი ცუართაგან ღამისათა“<sup>3\*</sup>.

არარაამე არს სათნოებათაგან უდიდეს შემდგომად ნათლის-  
 ლებისა წმიდისა, ვითარ აღსარებამ ღმერთ-მამაკაცისა სიტყუსა წი-  
 ნაშე მტერთა მისთა. დაღათუ „რომელმან მოაქციოს ცოდვილი  
 გზისაგან საცთურისა მისისა, იქსნეს სული მისი სიკუდილისაგან  
 და დაქაროს სიმრავლემ ცოდუათა“<sup>4\*</sup>. მაგრა მოქცევისათუს  
 ცოდუათაგან ცოდულთამსა და ცნობად ჭეშმარიტებისა მოყუანე-  
 ბისა არარაამე არს საკმარ, ვითარ ჩუენებამ კეთილთა საქმეთა  
 მათღამი, რომელნიცა მოყუანებად არიან სინანულად და ცნობად  
 ჭეშმარიტებისა, ვითარცა იტყუს საღმრთო ოქროპირი განმარტე-  
 ბასა შინა იოანეს სახარებისასა.

/განაღა რამე იყოს სხუა უდიდეს საქმედ კეთილი ჩუენებად  
 და წინადადებად ცოდულთად, რათა მით დაიმტკიცოსმცა სიტყუად  
 ჭეშმარიტებისა, ვითარ-იგი შეპყრობამ ქრისტესთვის, ტანჯუად და  
 წყლულებად და სიკუდილი, რომელიცა-ესე საქმეთა ჭეშმარიტება-  
 მან საცნაურ ჰყო ჩუენ ყოველთად.

რამე საიჭუელლა ვისგანმე ერისკაცთად და ვერ გამოცდილ-  
 თა საღმრთოთა შინა წერილთა პოენად სიტყუანი მეცნიერებითნი  
 და სიბრძნისმოყუარებითნი, რამეთუ იტყუს მოწამეთა მიმართ ჭეშ-  
 მარიტება ჭეშმარიტებათა, ვითარმედ: „ნუ წინასწარ იწურითთ, რა  
 სიტყუა მიუგოთ“<sup>4\*</sup>, ანუ რა ქსთქუათ, რამეთუ მე მოგცე თქუენ  
 პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძღონ წინააღმდგომად და  
 სიტყუს-გებად ყოველთა წინააღმდგომთა თქუენთა“. ხოლო შემ-  
 დგომად მიცემისა პირისა ამის და სიბრძნისა არღა მიუღოს ნიჭი  
 ესე მიმცემელმან მან მიმღებელთა, რამეთუ მას უარყოფად თავი-

\* ლუკა 1,33. \*\* შდრ. კება 5,3. 3\* იაკობ 5,20. 4\* ლუკა 21,4.

სა თუსისა ვერ ძალ-უცს. ესრეთ უდიდესითა მით თქმულითა სა-  
 თნობითა განათლებულნი და აღმთქმელისა მისგან ღმერთთ-მთავე-  
 რისა დაურღუეველითა სიბრძნითა და პირითა ნიჭებული ნუ საი-  
 ჭუელ ვისდამი არს ესე, ვითარმედ მოწამე ქრისტესი სული იგი  
 5 ნეტარი საღმრთოთა და სამღუდლოთა წერილთა სიტყუებითა  
 იზრდებოდა და გულისხმის-ყოფასა მსჯამდა და ცნობასა მას ჭეშ-  
 მარიტებისას აღმოიკოხნიდა.

V ცუარითა ღამისათა აღუსება თავისა უკუდავისა სიძისა და  
 ცუართაგან ღამისათა აღუ/სება თმათა მისთა სულისაგან ნეტარისა  
 10 ხედულ მიუწთომელობაა ღმერთთ-მთავერისა სიძისა, რამეთუ ყო-  
 ველი მიუწთომელი ბნელ არს ჩუენდა, ვითარ-იგი თქმულ არს:  
 „დაჰსდუა ბნელ საფარუელად მისა“\*.

ხოლო განიძარცუეს მოწამეთა წმიდითა მათ ვნებითა პირველ სი-  
 კუდილისა და შემდგომად სამოსელი ტყავისა, რომელიცა შეგვუმოსა  
 15 ცოდუამან. პ ი რ ვ ე ლ ს ი კ უ დ ი ლ ი ს ა, ვითარმედ მკუდარ არიან  
 სოფლისა მიმართ და ჯუარცმულ უწინარეს სიკუდილისა წმიდანი,  
 ხოლო შე მ დ გ ო მ ა დ ს ი კ უ დ ი ლ ი ს ა მოქმედებით განძარცუა იქ-  
 მნების ტყავისა, დაქსანად მუსკულთა და ძარღუთა და ორღანოთა  
 კორციელთა. და განიყარეს მტუერი ფერკთაგან და მწიკული მი-  
 20 წიერი, რომელი-იგი მოვიღეთ მიწად მიქცევიითა, რამეთუ მოწამე-  
 თად ამათ მიერ განელო შესაჟალი სიტყუსა სულსა და აღეძარცუა  
 გონებასა კრეტსაბმელი, რომელ არს საბურუელი კორცთა, რომელ  
 არს „ძუელი იგი კაცი, რომლისა განძარცუასა<sup>1</sup> საქმით მისი-  
 თურთ“\*\* გუბრძანებს მოციქული. ვინა საბანელითა სიტყუსათა გა-  
 25 ნიბანნეს<sup>2</sup> მარტულთა გონებანი და განელო რა შესაჟალ ისიტყუსა  
 სულსა მათსა, შევიდა შინაგან და შეიმოსა ახალი იგი მეცნიერე-  
 ბა მსგავსად ხატისა მის ღამბადებელისა მისისა.

ბრძანა აბულ-კასიმ წარდგომად წინაშე მისსა ჭაბუკი გობრონ,  
 ხოლო წარიდგინა რა, რეცა მოწყალითა თუალითა მიხედვიდა და  
 242 30 იტყოდა მისდა: /„მეწყალვის, შეილო, სიკეთეი სიჭაბუკისა შე-  
 ნისა და ახოვნება და გამოცდილება შენი მკედრობითი და ძნელ  
 მიჩნ მიცემად სიკუდილისა მიმართ. დაუტევე მსჯული უგუნურე-  
 ბისა შენისა, რომლითა ვერარა ირგეს მოყუასთა შენთა, და შეიწ-  
 ყნარენ მსჯულისდებანი მახმედისნი, რომელსაცა იცავს კელმწი-  
 35 ფებად ჩუენი. აჰა, მზა მიცემად შენდა მთავრობა მკედრობასა ში-  
 ნა, ტაძარნი, კარაენი, აქლემნი, საჭურუელნი, სიმრავლენი ჭაბუკათა

<sup>1</sup> გაძარცუა B. 2 განიბანეს A.

\* ფსალ. 17.12. \*\* შტრ. კოლას. 3.9.

ესენი უკუე იყუნეს რიცხვთ სამეოცდაშუდ, რომელთაცა ქრისტესთვის ერთსა ღროსა შინა შექსუეს ბარძიმი მარტულობითისა ვენდისა.

- წარდგომილნი სიკუდილად სურვილით და სიხარულით მოწა-
- 5 მენი ჰეშმარიტებისანი მდგომარებდეს შეკრულნი ადგილსა განმზადებულსა, რომელთა შორის წინამძღუარი იგი მათი ნეტარიცა გობრონ. და აჰა, ზედა-დაესხნეს მკედარნი, რომელთად ბრძანებულ იყო მოწყუედა მათი და განმაშიშულებელნი მახვლთანი მოქსწყუელდეს უწყალოდ უშიშად მდგომარეთა მათ კაცთა დიდსულთა. და
- 10 ესრეთ ყოველნი მდებარე ჰყუნეს გარემოს ნეტარისა გობრონისა, ვითარმედ იტყუს ამისთვის ნეტარი სტეფანე მტბევიარი: „დაცემასაო მათსა უწყალოდ (ესე იგი ნეტართა ქრისტეს მოწამეთასა) სისხლი მათი ეპკურებოდა ნეტარსა გობრონს და რომელიმე გუაპი დავარდის მის წინაშე და რომლისამე თავი შეგორდის ქუეშე ფერკ-
- 15 თა მისთა“. განალა საშინელებამან მან მოკლეისა ესოდენთა მოწამეთამან ვერ შეარყია მის შორის საღმრთოფთარე სარწმუნოებითა მტკიცეა იგი მდგომარეობაა გულსმოდგინისა სულისა მისისა.
- ▼ /მერმელა წარმოადგინეს დიდსულიცა იგი მკედარი ქრისტესი, რომელიცა ითქმის ესრეთ, ვითარმედ ორასთა მათ მოყუასთა მისთა
- 20 ვერძთა სიტყვერთა უბიწოთა შეწირუა მამისა მიმართ ზეცათასა იმლუდელმოქმედა გობრონ, რამეთუ თუთულისა მათისა და ზოგად ყოველთა თვისთა სულისაგან ზეგარდამო მოცემულითა სიბრძნითა ესეგუართა ქაზრთა და მიზეზთა მპოვნელი მოყუასთა საგულზმოსა მოინადირებდა და წამებად ქრისტესთვის აღლესვდა. კუალად ესე-
- 25 ვითართავე ლექსთა და ქაზრთა უხუ ჰყოფდა მათდამი და განავრცობდა, ვითარმედ განალექებდა მათ შორის აღძრუასა სულისა შესმად გარდარეულითა სურვილითა სასმელსა უფლისასა და ესრეთ დაჰხარეს რეცა წარკუეთად თავისა და მან სიხარულით არაწმიდისა მის ნებისა მათისა დამორჩილებულმან მისცა მახვლსა ქელი
- 30 თვისი.
- მაშინ უღმრთოთა მათ მტარუალთა ჰსცეს ორგზის მახვლითა მოწამესა ქრისტესსა არა ძლიერად და ჰსწყლეს მოვერაგებით ამოდ ბრძნობილისაებრ უღმრთოთასა მთავრისა მათისა. ხოლო მოწამემან ქრისტესმან, მხილუელმან წყლულებისა თვისისამან, ჰქმნა
- 35 მოძრავობა რამე, რომლითა კრულებსაგან ქელი თხსი მარჯუენეა განათავისუფლა და აღილო<sup>1</sup> მით ყოველად უბიწო იგი სისხლი

<sup>1</sup> აილო A.



შუენიერთანი და ყოფად შენი ჩემდა და წინაშე ჩემსა საყუარელ და ურჩეულეს, ხოლო სპათაგან დიდ პატივის-ცემად შენი.

მიუგო მოწამემან: „უცხო არსო ჩემდა, მ, მთავარო, სმენად სიტყუათა შენთა მით, რომელ ესევეითარნი სმენანი არასადა შევახენ სასმენელთა ჩემთა, ჩუეულებისა ძლით ზრდილებითისა ჩემისა, რომელიცა მომცეს კეთილმსახურთა მშობელთა ჩემთა. ქსძულს გონებასა ჩემსა ახლორე მოსულად სიტყუანი შენნი, რამეთუ ესე საყდარ ვყავ მე ცხოველთმოქმედისა სამებისა. რადმესა დიდებასა და პატივსა აღმითქუამ მე ანუ სიმდიდრესა, რომელიცა მსგავსად კუამლისა განქარუებად არს და მსგავსად კუამლისა ცეცხლითა განლევად. ვითართამე შუენიერთა დამიწინდებ, რომელთა დაწინდება ყოვლითა უშუერებითა და სიბილწითა სავსე არს ჩემდა, რამეთუ მე ქრისტეა მოვიგე და მხოლოდ მხოლოსა ვეზიარე. რად ჩემდა სა/კმარ სიყუარული შენგან, რომელი-ეგე მიწა ხარ და ყოვლითურთ საძაგელება. ვითარმე მიგყავ ყოვლად უუგუნურებისა მიმართ პაზრისა, რათა დაუტევემცა ღმერთი ჭეშმარიტი, რომელმან დაშბადა მე მხოლობასა შინა განუკუეთელსა, ცნობილმან სამობით, და აღუარემცა, ვითარცა ღმერთი ესეგუარი რადმე, რომელი არცა მამა არს, არცა ძე და არცა სული წმინდა. დაქსცხერ ესეგუარისაგან ბრძანებისა მკედრისა ამისდა მომართ, რომელიცა ძლევის-ვმოყუარებ ქრისტე ჩემისათჳს“.

მიუგო მთავარმან: „უკეთუ არა გნებაეს მიღებად აღთქმული ჩემგან და გარემიაქცეე მამობრივთა მოწლეობითთა განზრახუათა პენდამი, წარვედ და იხილენ მოსაგებელი მოყუასთა შენთა, რომელიცა მოიგეს წარმდებებითა მათითა“.

შემდგომად ამისა უბრძანა აბულ-კასიმ მტარუალთა წარყუანებად ჭაბუკი გობრონ და ჩუენებად იგი ყოველი, რადვეცა აღუთქვა და თუ სადამე არა ერჩდეს ნებასა მისსა, მერმელა მოწყუელად წინაშე მისსა ტყუენი ქრისტეანენი და წყლულად იგი ქედსა ზედა მახვლითა მცირედრე. ხოლო იზრახა ღონედ ესე ყოვლად უღმრთომან მან მეპაზრემან, ვითარმედ შიშითა სიკუდილისათა განკრთომილი მიდრკესმცა უღმრთოისა ნებისა მისისა მიმართ ყოვლად ბოროტისა ახოვანი იგი სულითა.

მაშინ ბრძანებისაგებრ მთავრისა წარიყუანეს მტარუალთა მოწამე ჭეშმარიტებისა და დაადგინეს შორის რეცა ყოველთა სახილულელსა თეა/ტრსა ზედა, სტადიონსა ზედა წამებისასა. და მოიყუანენ უწინარესთაგან აღსაბობითა დანაშთნი ქრისტეანენი მკედარნი, რამეთუ ორასნი უკუე იყუნეს გამოსრულნი ყუელის ციხით და ჯერეთ ასოცდაათსამეტნი ოდენ ღუაწლითა სრულ იქმნენ. და

თსი და შუბლსა ზედა თსსა ყოვლად წმიდასა დაჰხატა ცხოველ-  
 სყოფელისა ჯუარისა ხატი და ქსთქუა: „გმადლობ შენ, /უფალო 244  
 იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო, ძეო და სიტყუაო თანადაუსაბამოო  
 დაუსაბამოსა! მამისაო, რამეთუ ღირს-მყავ მე, ცოდვილი ესე და  
 უღირსი, შენთვის ენებასა და წყლულებასა და ზიარებასა ცხოველს- 5  
 მყოფელთა ტკივილთა შენთასა. გარნა, ყოვლად სახიერო მეუფეო<sup>2</sup>,  
 სრულ-მყავ მოწყალებად, სახიერებად და სიტკბოებად შენი ჩემდა  
 და თავსა საწადელისა ჩემისასა აღმიყუანე და ნუ დამაკლებ მე რიცხ-  
 საგან მოყუასთა ჩემთა მოწამეთა შენთასა. მოვედ, ყოვლად სახი-  
 ერო მეუფეო, შეწვენად ჩემდა და ნუ დამაბრკოლებნ მე მიზეზი 10  
 რაჲვე და სივერაგემ მძღავრისა ამის უსჯულომსა, „ნუცა მეწევის  
 მე კელი მთავრისა ამის სოფლისა შთაქდად ჩემ ცოდვილისა უფს-  
 კრულად ჯოჯოხეთისა, არამედ წარმადგინე მე და მექმენ მაცხო-  
 ვარ და კელისაღმპყრობელ, რამეთუ კორციელნი ესე ტანჯუანი  
 სიხარულ არიან მონათა შენათუს“<sup>3</sup>. შენ კელისაღმპყრობელ და 15  
 შემწყნარებელ ექმენ სულსა ჩემსა, რომელი მხოლო ხარ მოწყალე  
 თანა მამით და ყოვლად წმიდით სულით, რომელთა თანა თაყუ-  
 ანის გცემ, გადიდებ და გაქებ შენ, ღმერთსა ჩემსა, აწ და მარადის  
 და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

ქშუენოდა მოწამესა ქრისტესსა ნიში იგი ცხოველსყოფელი 20  
 დაბეჭდული შუბლსა მისსა ზედა ყოვლად წმიდასა, რათა მით  
 გვრგუნოსან ქმნილი მიმღებელ იქმნეს გვრგუნსა მარტვლობითსა.  
 ხოლო ჰხედვიდეს შუბლსა მისსა ზედა ყოვლად წმიდასა დაწერილ-  
 სა ნიშსა ცხოველსყოფელისა ჯუარისასა /მუნ მყოფნი ქრისტე- 25  
 ანენი და მოწამედ ქრისტესა აღიარებდეს და ყოვლად წმიდათა მათ  
 ღუაწლთა მისთა სიტყუთ პატივ-ჰსცემდეს და განმადლიერებელსა  
 მას მისსა ჰმადლობდეს.

მოპყუანდა უკუე მტარულთა დაწყლული ქედსა ზედა მოწა-  
 მებ ქრისტესი, რომლისა შორის იტყოდა ნეტარი იგი სული მისი:  
 „მე მძინავს და გული ჩემი მღვძარე არს“<sup>4</sup>, რამეთუ აღრითგან და- 30  
 აძინნა<sup>3</sup> მან საცნობელნი თს შორის არცა ერთისაგან მძღავრე-  
 ბულმან, რამეთუ უქმ პყუნა სახედუელნი და შეურაცხყუნა სა-  
 ხილავნი იგი ნივთნი, რომელნი ბრმებრივთა მოქმედებათაგან სა-  
 ხედუელთა აკრთობენ, და მოაკუდინნა სასმენელნი უღარესთა მი-  
 მართ სიტყუათა შექცევითა სულისათა. ხოლო ყიამ და სასამ შუე- 35

1 დაუსაბამოსა A. 2 მეუფეო AB. 3<sup>o</sup> დაძინა A.

4<sup>o</sup> ეესტრატისა დროსა მარტვ ლობითისა გვრგუნისა მიღებისა. \*\* ქება 5,2.

ბისაგან აღმორბოხსა მიზეზთასა მოაკლო სრულიად საჭიროთა ოდენ საზრდელთა მიმცემელმან. ეგსახედ შორად განჰსთხივნა ნამკუდრეენი იგი სიმყარაენი, დამადედლებლნი საყნოსელთანი, ესგუარუე მათ თანა შინაგანმცემელი იგი და ბრმაი საცნობელი შე-  
5 ხებად და ამათ ყოველთა დამაუქმებელი ლუაწლსა შინა ვნებისასა ჰგალობდა: „მე მძინაეს და გული ჩემი მოუძარე არს“.

წარადგინეს მოწამეა ქრისტესი მტარულთა წინაშე მძლავრისა, რომლისად მრავალფერთა სიტყუათა ლიქნისათა მთხზუელი და რეცა მამობრივთა მოწულობითთა განმზრახობათა მისლამი მჩე-  
245 10 მებელი და მძუნარეთაცა და სასტიკთა /სატიანჯუელთა ქადებით წინადამდები ანდამატიინისაგან უმტკიცესისა ყოვლად ბრძინისაგან გონებისა იძლეეოდა და სიტყუებითა სულისაგან ყოვლად წმიდისა სისტემაქმნილითა დაიმკობოდა. მძლავრი უკუე სირცხულეულ იქმნებოდა, რომლისა შორის საშინელისა ღმრთისა სახელისა მიმართ  
15 ეუმაკი გმობისა იმალეოდა და ბილწსა გონებასა მძლავრისასა აღაბორგებდა სიკუდილად დიდსულისა და ძლევისმოყუარისა მკედრისად ქრისტესისა. ვინა მკედარი ქრისტესი უძლეველი, ესოდენტა წყობათა შინა შეურყეველად მდგომარე, მეგობართა თუსთა წმიდათა ანგელოსთაგან შეცკული, ჰსდევდა მტერთა თუსთა და სიმკ-  
20 ნითა თუსითა ვიდრე ჯოჯოხეთამდე შთაჰქლიდა და თუსისა ძლევისმოყუარისა სულისა შორის მოგებითა უმწუერულესისა გულსმოდგინებისათა „ვეშაპსა მას მესამედთა ვარსკულათა ცისათა გარდამომყარელსა“\*\* კუდითა მოითრეედა და თავსა გუელისა მის ამპარტავანისასა შეჰმუსრვიდა. ვინა საგალობელი ესე ანგელოს-  
25 თაგან იგალობებოდა, რამეთუ ჰსძლო განხრწნადითა და უძლურითა ჯორცითა „მთავრობათა და ჯელმწიფებათა სოფლის-მპყრობელთა ბნელისა ამის საწუთოსათა სულთა უკეთურებისათა“\*\*.

ბრძანა უღმრთომან აბულკასიმ უთავო-ყოფად ყოვლად წმიდისა სხეულისა, რომლისა აღსრულებამან უმთავრესი იგი ნაწილი  
V 35 ხატი ღმრთისა არსე/ბამ მარტივი დასდუა უზნადოსა შინა არსებასა, განბერტყილი განხრწნადისაგან მტუერისა და თანდაწესებული ზეციერთა იერარხთა, რომლისა მათ თანა მისულითა ყოველთა მათ ზეცისა ძალთა განიხარეს. ხოლო დაამკვდრა ცხოველთმოქმედმან სამებამან წინაშე თუსსა, რათა დიდებასა მისსა პირისპირ განიც-  
35 დიდეს, სადა-იგი არს გუნდი წმიდათა მოციქულთა, სადა კრებული წმიდათა წინასწარმეტყუელთა და მამათმთავართა, სადა სავანე მწყემსთა და მოძღუართა ჭეშმარიტებისათა, სადა მრავალრიცხო-

\* ქება 5,2. \*\* ზღრ. აპოკალ. 12,13. 3\* ზღრ. ეფეს. 6,12.

247 /შეხვედრა და მოთხრობა ლუწლთა და ვნებათა ზვიდისა ღიღისა  
მოწამისა შალუა მთავრისა ახალციხელის მანდატურთუხუცაისა,  
ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოესა  
საქართულოესა, დავითიან-ბავრატოვანისა

5 შალუა განმმკედრი უკორცოთამი მტერთა  
სიმკნით აღადგენს ბრძოლათა მრავალფერთა,  
მოიღებს ძლევით ღმრთისადმი დასაჯერთა.  
ეგსახედ ჯილდოს ანგელთ საჭურეტ-სამზერთა,  
სისხლით ზიარქმნილ ქრისტესი შესაფერთა.

## 10 სიტყუა მეთექვსმეტე

სურვილი არს მიზეზ ყოვლისა მოსწრაფებისა და გულსმოდ-  
გინება საქმეთა სრულყოფისა და დასასრული ყოვლისა საშუა-  
ლისა.

ათხუთმეტთა სიტყუათა შინა ჩუენ, მგალობელთა და მომთხრო-  
15 ბელთა ყოვლად ტკბილთა მათ საგალობელთა და მოსათხრობელთა  
მიზეზთა, ეპყავთ განწესებამ, რათა ვითარ-იგი მოსცეს სულმან  
სიბრძნისამან გონებასა გლახაკსა, „რამეთუ სული სიბრძნისა კაცთ-  
მოყუარე არს“, ეგრეთ შემდგომითი-შემდგომად წინადადებად  
ჩუენდა და ესრეთ განკარგულად თქმადნი სამეთქუეონი.

20 ვიწყო დასაბამი სიტყუათა ჩემთა ყოვლად უბრძნისისა მოძ-  
ღურისა\*\* სიტყუათაგან: არა იქმნებისო განძლომად ოდესმე კვსე-  
ნებითა მარტულთათა კაცთა მოწამეთმოყუარეთა მით, რომელ ვი-  
ნაძთგან საყუარელ და საკუთარ არიან, მონა და შეგობარ მეფისა  
მეფეთასა და უფლისა უფალთასა და მეუფისა მეუფეთასა, რომელ-  
25 თად. კშუენის ჩემებრთაგან უდარესთა მონათა პატივი, ვითარმედ

V ესე არს ნიშან მათისა ერთგულე/ბისა უფლისა მიმართ უფალთასა,  
რათა იპატიეებოდენმცა იგინი.

იტყუს უსაღმრთოესი მოძღუარი: „ესე საცნაურ არსო, ვითარ-  
მედ რომელი ახოვანთა მათ კაცთა კნატრიდეს და აქებდეს მშსგავს-  
30 თა დროთა შინა, არა დააკლდეს მიბაძუასა მათსა, ვინაძცა სათანა-  
ლო არს კაცთა კეთილმსახურთა სიტყუსმოქმედთად, რათა კნატრი-  
დენმცა ერთგულეებით მოწამეთა ამათ<sup>1</sup>, ვითარმედ არა დააკლ-

<sup>1</sup> შალუა B. 2 აბად B.

\* სიბრძ. 1,6. \*\* საღმრთოსა იტყუს ღიღისა ვასილის.

ბა მტერთა ზედა მძლეობა მარტულთა, სადა რიცხუ ქალწულთა სძალთა ქრისტესთა და სადა კრებული მართალთა.

მომზრახობენ, ვითარმედ: „თთუესა ნოემბერსა 17 რიცხუსა ღლეთასა სრულ-ჰყო ჰსრბამ მარტულობისა თვისისა მოწამემან ამან ქრისტესმან“.

5

მომზრახობენ კუალად, ვითარმედ: „ბრძანა უღმერთომან მან მთავარმან დათხრად სამნი მთხრებლნი და შთაყრად მათ შინა გობრონითურთ ქრისტესთვის მოკლულნი იგი სხეულნი, რათა არავინ ქრისტეანთაგანმან მიიღოს კადრი პატივის-ცემად მოკლულთა მათ; გარნა „ღმერთმან ნუგეშინის-ცემისამან“ ნუგეშინისცა მუნ მყოფთა ქრისტეანეთა დაკლებულთა უხრწნელთა მათგან საუნჯეთა, ვითარმედ ნათლითა ყოვლად ბრწყინვალითა და უღმერთთაგან მიუახლებელითა განანათლა აღგილი იგი, სადა მდებარე იყუნეს მოწამენი ქრისტესნი, რომლითა/ თვთ უღმერთოცა იგი მთავარი უწყებულ იქმნა“.

10

246

15

შეიწყნარნა უკუე აღარნასე მეფემან მარტულობად ნეტარისა მიხაილისი და მის თანა ვნებულთა და ბრძანა, რათა იეკლესიებოდესმცა ჰქსენებამ მათი, ვითარცა პირველთა მათთა მოწამეთა ქრისტესთა.

და შენ, წმიდაო თავო, წინაშე საღმერთოდასა საკურთხეველისა მოყუასთა შენთა და თანავნებულთა თანამდგომარეო, ტკიბლ-საკსენებელო მოწამეო ქრისტესო, მიირთუ, სიტყუანი ესე გალობითნი, ყოვლითურთ არაღირსნი შენთა ყოვლად წმიდათა ვნებათანი და ყოვლად წმიდათა ტკივილთა შენთა ზიარებასა ღირს-მყავ მგალობელი შენი და საკრუელნი ვნებათა ჩემთანი განხეთქენ, რათა ღუაწლის-დამდებელისად შენისა „შეეჰსწირომცა მსხუერპლი ქებისა და სახელსა უფლისასა ეჰხადო“\*, რომლისად ჰშუენის ყოველი ღიდებამ, პატივი და თაყუანის-ცემამ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

20

25

ვაუწყებთ მოწამეთ-მოყუარეთა, ვითარმედ ისტორიამ ღუაწლთა და ვნებათა ღიდებულისა მოწამისა მიხაილ-გობრონისთა აღ-ჰსწერა პირველად ეპისკოპოსმან სტეფანე მტბევიარმან თხოვითა ამოტ ერისთავთ ერისთავისათა, რომლისა მიმართ უკანასკნელ მეცა ყოვლად უღირსი ესე გალობად, ქებად და მოთხრობად ღირს-ვიქმენ. მაღლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ყოველთა კეთილ-მსახურთა მჰსმენელთა თანა, ამინ. ანტონი<sup>1</sup>.

30

35

\* შტრ. კრომ. 15.5. \*\* უსალ. 115.8.

<sup>1</sup> 246v დაუწერელია.

დეს მაქებელი ესეგუარი ქრისტესტუს მოწამე-ყოფასა გონებითა, რამეთუ მიიწიოს კიდე იქვსა თვნიერ დევნულებისა, თვნიერ ცეცხლისა და თვნიერ ტანჯუათა ღირსებასა ჯილდომას მოღებისა მათისასა\*\*.

არარადმე მიზეზ ათხუთმეტთა მათ სიტყუათა სისტემა-ქმნისა 5 და მეათექუსმეტისა ამისდ მოწიენისა დაწყებისა სიტყუათა ჩუენთასა, თვნიერ სურვილი მით, რომელ მსურველნი ყოვლად უზადომასა და განუსაზღვრებელისა არსებისა მიმართ, ვითარცა ნამდულ სატრფიალომასა მიმართ და საყუარელისა სასურუელ არიან ბუნებითადრე მკმეველთა გონებისა გულისხმის-ყოფისა და გნომისა- 10 თა და ამათ მიერ მიდრეკილთა კეთილისა მიმართ სანებურისა მით, რომელ სურვილით მიდრეკამ კეთილთა მიმართ სანებურთა არს „სიყუარული და ესე არს სიხარული წინამიღებული კეთილდღეობისაგან მის ვისმე, რამეთუ ოდეს კეთილთა ქუემდებარედ/ გან- 248 მსჯის გულისხმის-ყოფად მას, ვისმე გუაიძულებს ჩუენ ბუნებად, 15 რათა ვსადრკებოდეთმცა მისდა მოხარულ-ყოფად, რომლითა მოყუარე ვეკმნებით მას. და ესე ბუნებამან გულისხმის-ყოფისამან მასწავა ჩუენ“\*\*.

შეიყუარეს მოწამეთა უფალი ღმერთი თვისი „ყოვლითა სულითა თქითა“3\*, რამეთუ მიდმოებანი სულისანი განკარგნეს ნიადაგ მოძრავობად უფლისათს და ნიადაგ წარმოდგომანი, გამოხატუანი და განმსჯანი და გამოჩინებანი გულისხმისყოფითნი ჰქმნეს სულსა შინა უფლისათს ღმრთისა ყოვლითა გონებითა, რამეთუ უფლისათს ღმრთისა ჰქმნეს განხილუად განყოფილადრე მოკიდებისა საზოგადოთა ჰემმარიტებათასა, ხოლო ყოვლითა ძალითა, რამეთუ დაუცხრომელი აქუნდა მათ მიდრეკილებად მოქმედებისა მიმართ და მოქმედებად იგი მათი იყო ნიადაგ ღმრთისათს უფლისა. 25

სასურუელ არიან მოწამენი თქმულთათს, რამეთუ ჰაზრისა მათისა დასასრული და საშუალი დასასრულისა მის განაღვძებს სულსა შინა სურვილსა მათდამი და სურვილი და განღვძებული 30 აღინებს სიტყუათა შეწევნითა ცხოველსყოფელისა სულსათა, რამეთუ „სული სიბრძნისა კაცთმოყუარე არს, რამეთუ სულმან უფლისამან აღავსო ყოველი ქუეყანად4\*, რომლისა მიერ „აღივსო თანად ყოველი ქუეყანად ცნობითა დიდებასა უფლისასა“5\* და სიტყუანი იგი სურვილისა ძლით არიან შუენიერ, უხუ და 55

\* ვასილისი დიდისა, ორმოცთათს მოწამეთა სიტყუსაგან. \*\* სიტყუსაგან 15 წმიდისა გობრონისათს. 3\* შდრ. 2 მსჯ. 6,5. 4\* სიბრძ. 1,6-7. 5\* ამაბ. 2,14.

V მკობილ კელყოფისა შინა/ და განვრცომასა მოწამეთმოყუარებთისა.

ვინა<sup>1</sup> წარმოებს უიჭვოდ სურვილისა ამისგან მოსწრაფებამ დასასრულისათვის ესეგუარისა, რამეთუ რომელთა-იგი შეიყუარეს 5 ბუნებით „სიყუარული იგი არსებად“<sup>\*\*</sup> და სრულისა ესეგუარისა სიყუარულისათვის შორის შემოსლვითა „განჰსდევნეს შიში სიტყვისაებრ მოციქულისა“<sup>\*\*\*</sup> და ამით ეშმაკი დაჰსთრგუნეს, სიკუდილსა ჰსძლეს, კორცნი უარჰყუნეს, ეკლესიაჲ წმიდაჲ თვსთა სისხლთა მიერ ღებვილითა პორფირითა შესაბამ უკუდავისა სიძისა 10 შეჰმოსეს და თვსნი იგი წმიდანი ტიციელნი სამკაულ სძლობისა მისისა უსასყიდლო ჰყუნეს, ანგელოსნი ქებად თვსსა მოიყუანნეს, მძღაერნი დიდსულობითა თვსითა განაცუფრნეს, ყოველნი სიტყვის-მოქმედებანი და მჭევრმეტყვეობითნი სისტემანი ვალობად თვსა აიძულნეს. ამისთვის შეიქმნა სულთა შინა სურვილი მათდამი მიზე- 15 ზი მოსწრაფებისა და მოსწრაფებაჲცა, რომელსა შინა კმა მიზეზი მათდამი სიტყვისმოქმედებისა და ვალობისა.

გარნა რამე სიტყუაჲ მისწუთესმცა მოწამეთად ქებისა, არცაღათუშცა რაოდენობისაებრ ურიცხვობისა მათისა თვთოჲსა მიმართ მათგანისა აღიძრნესმცა ეგოდენნი ენანი კმა ქებად და გა- 20 ლობად მით, რომელ დასასრული ძლევისა მათისა და საშუალი იგი, 249 რომელი კმეულ ატს მათგან დასასრულისათვის სიტყვისმოქმე/ღებ-სათვის მათდამი კმა ძლევად.

ამათი უკუე ჰქსენებაჲ ღირს არს და სარგებელ. ღირს არს, ვითარმედ ჰსჩანს ჰსრბასა შინა მარტულობითსა გულსმოღვინება 25 სულისა და რომელი ჰძლევს მიწთომისა მიმართ ყოველსა გონებასა, რამეთუ ესე ვერ შესაძლებელ იყო არსებასა შინა სულისასა შემოსულად, უკეთუ ნამძულ სატრფიალომან მან და საწყურმან უზომობისაებრ და ყოველთა გონებათა უზესთავისისა საზიერებისა თვსისა სულთა შინა სანატრელთა მოყუარეთა თვსთასა არა დაჰს- 30 ღუამცა გულსმოღვინებაჲ ესე.

რომელნიცა ძლევათა დიდებულთა ბილისთა და ნინოსის მეფეთა აღმოსავალისათა და რომელსამე ეგეპტურისა მეფისათა და ირაკლის და დიონუსის ელლინთა და კუროს სპარსთა მეფისა და ალექსანდრე დიდისა და იულიოს კესარისათა მაქებელ არიან და 35 ტროულთა ბრძოლათა შინა აღამემნოსის სიმკნეთათს<sup>2</sup> სიბრძნითთა და ახილესის სიმარჯუეთა და ძლევათათვის მჭევრმეტყვეობით და სტიხის მოქმედებით ჰვალობენ, ანუ ეკტორის და ტროილის, ძეთა

<sup>1</sup> ვინა] წინა A. <sup>2</sup> სიმკნისათვის A.  
 \* შდრ. 1 იოან. 4,16. \*\* შდრ. 4,18.

პრიამოს მეფისათა, სიმკნეთა მაქებელობენ და ამათ ძლით მრავალ-  
 თა ზღაპართა განამრავლებენ. დაპსცხერიდ ძლევათ მგალობელნი  
 იგი სტიჩისმოქმედნი და სამჭევრმეთქვოთა განერცობითა და  
 კლყოფათა მწმასნულენი ამისთვის, ვითარმედ ძლევეანი იგი კ/ცთა  
 მათ დიდებულთანი იყო განხრწნადისათუს დასასრულისა მით, რო-  
 მელ მოგებისათუს დაცხრომადისა დიდებისა იყო, რამეთუ რომელ-  
 თაჲა არა იციან ზედმიწევნით ისტორიანი ძლევისა მათისანი, გან-  
 ქარლა კილითი-კიდედ დიდებულნი იგი ძლევეანი და მძლენი დავიწ-  
 ყებთიმან დაჰფარნა საზარომან საფლაუმან.

განალა მარტულთა ქრისტესთა კჲამ მიზეზი ძლევისა იყო, 10  
 რათა წარუვალნი და გებადნი და უხრწნელნი მიიღონმცა დიდება-  
 ნი სახიერისა შორის ღმრთისა ყოფითა. ამისთვის განუქარუებელ  
 იქმნა დიდებამ ძლევისა! მათისა წინაშე ღმრთისა, წინაშე ანგე-  
 ლოსთა და სოფელსა შინა, რომლისათუს ითქმის მათდამი: „ყოფ-  
 ლად ქებულნო მოწამენო, თქუენ არათუ ქუეყანამან დაგფარნა,  
 არამედ ცათა შეგიწყნარნეს და განგებუნეს ბჭენი სამოთხისანი“\*.

ესენი უკუე ყოვლად დიდ და საუკუნეთა უკუნისამდე განცხა-  
 დებულ ძლევეანი, ხოლო ყოველი საქმე ყოვლად დიდი ღირს არს  
 ქებად და მითხრობად სხუათადმი, რამეთუ სული სიბრძნისმოყუა-  
 რე, ქუემდებარე ქმნილი ესეგუართა სასმენელთა და განყოფით 20  
 თუს შორის წარმომადგენი და განმკაჯელი ვითარებისა მათისა,  
 იშუებს ფრიად, ვინა ღირს-საღამე-არს ჰქსენება მოწამეთა ქრის-  
 ტესთა.

სარგებელ რამე უფროს უსარგებელეს განღჳებად სულისა  
 საღმრთოისა მიმართ ტრფიალებისა და აღნთებად მის შორის 25  
 „ცეცხლისა, რომლისა მიფენად მოვიდა ღმერთ-მამაკაცი იესუ“\*\*,  
 ვითარ ჰქსენება /ვნებისა მოწამეთასა, ვითარმედ რამე უდოდე- 250  
 ბულეს სხუამ საშუალი საშუალისა ამისგან მოგებისათუს საუკუ-  
 ნოდ ღმრთისა თანა და ღმრთის შორის ყოფისა, ვინა სარგებელ  
 ჰქსენება მოწამეთა ქრისტესთა. 30

საქმეთა სრულყოფისა მიზეზი — გულსმოდგინება, ვინაძოგან  
 მოწამეთადმი სიტყუსათუს ვაჩუენეთ აქამომდე, ვისწრაფოთ საქ-  
 მეთა სრულყოფამ და, რომელი თანა-გუამს, უკუნეჰსცეთ ვასხი  
 ვახშითურთ, რათა არა დამფლუელ ტალანტისა ვიქმნეთ. ხოლო  
 თუ საღამე ესრეთ პოვნიერ გამოეჰსჩნდეთ, არლა საღამე ვიყუნეთ 35  
 მოქენე და გლახაკი, ხოლო დაღათუ გლახაკი, აღუარო ესე, გარნა უწ-  
 ყი, რამეთუ შემინდოს ჩუენ კრებულმან ქრისტეს მარტულთამან

\* ძლევისა B.

\*\* ვასილი დიდის ორმოციო მოწამეთათუს. \*\* შტრ. ლუკა 12,49.



სინაკლეა ყოფისა დაკუეთებული შემდგომობითა დრომსათა და სივლახაკეა არმოგებითა ხელვითისა და საქმითისა წმიდისა და მართლისა ფილოსოფოსობისათა, ვითარმედ მოწამენი ქრისტესნი დიდსულ არიან და საღმრთოათა მეცნიერებითა განათლებულ.

- რომელთა გსურსთ სმენად დიდსულობითნი ძლევანი ქრისტესტეს ენებულთანი, ურიცხუ შეკრებულისა მის ბანაკისა, კრებულისა მის პატიოსნისა<sup>1</sup>, ერთობისა მის განათლებულისა და განუყოფელისა შეზიარებით მცუელისა ნათესავისა კაცთასა, შემწეთა ლოცუათა შინა და მეობთა ძლიერთა ყოვლად ურიცხუთა მათ გოდოლთა ღმრთისმსახურებისათა მკნეთა, ღუაწლისა მძ/ლეთა და უშიშთა გონებითა ვარსკვლავთა სოფლისათა და ყუავილთა ეკლესიისათა, მოვედით! და ერთი უკუე წარმოუადგინო მათგანი წინაშე განწმედილთა გონებათა თქუენთა და ერთი იგი დასასრული ძლევისა ყოველთა ქრისტეს მოწამეთა, რომელნიცა ურიცხუთა გარემოთა საშუალ ყოფითა მიილეს ყოველთა დასასრული იგი ლისანი ერთსა შორის პირსა გიჩუენე; რამეთუ ერთი ესე დაღათუ ლისანი ერთსა შორის პირსა გიჩუენე, რამეთუ ერთი ესე დაღათუ წევრი არს ერთი მრავალთხზულისა შის სირაფსა, რომლისა თავ არს ქრისტე იესუ „მლუდეღმთავარი იგი ყოფადთა მათ კეთილთა“<sup>2</sup>, ერთგზის შესრული სიწმიდეცა შინა თესითა მით სისხლითა, რომელმან-იგი სულითა საუკუნოდ თავი თესი შექსწირა უბიწოდ ღმრთისა, მაგრა ყოველნი საშუალნი ძლევის დასასრულის მიღებისანი ჰბრწყინუნ ამის შორის.

ესე უკუე წინამდებარეა ჩემდა გალობად და ქებად სიყრბით-გან ჩემით, ვითარმედ უწინარეს მონაზონებად მოსლვისაცა მიერით, ოდეს-იგი მწიგნობარ ვიქმენ, თუ ჰსთქუა, წიაღსავე შინა დედისასა ყოფისა დროსა უწყებულ ქმნამან სიმკნეთა მისთაგან და ქრისტესტეს ძლევათა სასურუელ ჩემდა ჰყუეს და აღრითგან დაიდუა ჩემ შორის სიხარული წინამიღებული კეთილშემთხუევათა მისთათუს, რომელნიცა შეამთხუა მას სიბრძნით განკარგულმან სიმკნემან.

- 251 ხოლო არს ესე შალუა მთავარი ახალციხელი, /ძმა იოანესი, ყუავილი კეთილმსახურებითისა წალკოტისა, დათესილი კეთილმსახურებითთა<sup>1</sup> თესლთაგან, განშლილი ფერშუენიერადრე სამოთხესა შინა სათნოებათასა, ჰრწყული ნაკადითა წმიდისა სახარებისათა, ხოლო ნაყოფიერ-ყოფად და ტევანმწიფობად უსრულესისა სათნო-

1 პატიოსნისა B. 2 კეთილმსახურებითა A.

ებისად მოსრული, ესე იგი უსრულესისა საღმრთოჲსა ტრფიალუ-  
ბისად დაწნეხილი საწნეხელსა შინა ქრისტესთს ვნებისასა.

თქმული უკუე ესე „ტევანი გამობუტკოვის ვენჯოვანსა შინა  
გაადისსა“<sup>1</sup>, რამეთუ გარდარეულმან მან კეთილობამან მის შორის  
სულისამან ესრეთ ნეტარ ჰყო, რამეთუ ნაყოფსა შინა სიტყვერ ტე- 5  
ვან-ყოფისა თსისასა დაჰხატა მეფეჲ ვენჯისა, ხოლო აღორძნდა  
ვენჯსა შინა ვეელმოანსა სოლომონ ზეციერისა მშუღობისასა და  
ნარდიონსა შინა თსსა იცნა სუნნელებად მეუფისა მეუფეთსა, ხო-  
ლო შტახსადცა სუნ-ჰამოდ გამოიკრა წმიდასა შინა სუნიდისსა და  
გონებისა მიერ თსისა შეცულ ჰყო გამოკრულ-ყოფად იგი, რათა 10  
კეთილი იგი ნელსაცხებელი ეგოს მის შორის და მის თანა სამარა-  
დისოდ და განუღვენელად.

ესე უკუე ტევანი სიტყვერი პირველ ვნებისა გამობუტკოვდა,  
ესე იგი ჰყოფოდა, ხოლო დროსა მას ვნებისასა საწნეხელსა შინა  
ვნებისასა დაიწინხა და დაწნეხილი ღვინოდ მხიარულმყოფელად 15  
ტავარსა შინა შესაკრებელსა ესეგუართა წნეხილთა ღვინოთასა მი-  
ღებად, ესე იგი შე/ზიარებად მსურუელთა დაიდუა, რომლისა მიმ-  
ღებელნი, ესე იგი მეტროფენი ზიარებისა ვნებათა მისთანი, პირთა  
შინა მათთა მოღებთა ჰქსენებისა მისისა დამტკბარნი და სულსა  
შინა განყოფით წარმოდგომისა<sup>1</sup> ძლევის მიღებისათჳს მისგან 20  
ქმნილისა მხიარულქმნილნი დათურებიან<sup>2</sup>.

შალუა დროთა შინა თამარისთა განცხადნა განმწესებელი თა-  
ვისა თსისა მკედრად ძმისა თსისა იოანეს თანა, უწინარეს თს  
შორის შემწყნარებელი საღმრთოჲსა კეთილმსახურებითისა სარ-  
წმუნოებისა და სულსა შინა თსსა დამღები ამისი კლდედ უმტკი- 25  
ცეს ანდამატიინისა, რომელსაცა<sup>3</sup> ზედა „ალაშენა უფალმან სახლი  
შრომითა ესეგუარისა მაშენებელისათა“<sup>3\*</sup> და „ქართა და დიდრო-  
ათა კუეთებამან ვერ შეჰსძრა, რამეთუ დაფუძნებულ იყო ესე  
კლდესა ზედა“<sup>3\*</sup>.

ამან სასოებად დაჰსდუა სულსა შინა თსსა შთად, რომლისა- 30  
გან წარმოდგა სხუად მთად სულსა მასვე შინა—საღმრთო უენებე-  
ლობა, ესე იგი განყრა ყოვლისავე ქუეყნიერთაგანისა ვნებულმო-  
ყუარებისა, რომელნიცა შესმენილ-ყოფითა თსითა ქუემღებარესა  
ზედა სულსა კერპთმსახურ ჰყოფენ მას. და მეორემან მთამან ჰქმნა  
მის შორისვე სხუად მთად, რომელ არს საღმრთოჲ „სიყუარული, 35

1 წარმოდგომისთა B. 2 დათურებან A. 3 რომელსაც A.

\* შდრ. კება 1,13. \*\* შდრ. ფსალ. 126,1. 3\* შდრ. მატ. 7,25.

252 განმდევნელი შემოსლევითა თუსითა შიშისა“<sup>1</sup>, ხოლო ესენი საფუძველ ჰყო ქალაქისა, რომლისა წვერნი არიან პირად-პირადნი სათნობანი, რომლისათუს /ითქუა დავითის მიერ: „საფუძველნი მისნი მათათა შინა წმიდათასა“, და დიდებული ითქუა შენთუს, 5 ქალაქო ღმრთისაო“<sup>2</sup>.

ესე უკუე ქალაქი, დაშენებული მათათა ზედა, განცხადნა ღმრთისა მიმართ და ანგელოსთა და თანმედროეთა თუსთა მეფეთა და ყოველთა ქართუელთა და ცნობამ მისი<sup>1</sup> მოგუწუთა აქამდე მით, რომელ „ვერ კელეწიფების ქალაქსა დაფარუად მთასა ზედა და- 10 შენებულსა“<sup>3</sup>, ხოლო დაიცუა უფალმან და ამან „მევილმან მისმან ილქა არა ცუდად“<sup>4</sup>.

ესე არა შეირყიოს უკუნისამდე მით, რამეთუ „რომელნი ესუენ უფალსა, ვითარცა მთა სიონი, არა შეირყიოს უკუნისამდე“<sup>5</sup>.

15 ესეგუარამან ვითარებამან მახლობელ ჰყო შალუამ სიძისად უკუდავისა, რამეთუ უენებელსა სულსა მისსა ჰხედავს რა სიძე, ღირს-ჰყოფს მახლობელ თუსა და შუენიერ წოდებად და „თულთა მისთა ტრედ-ყოფად აღიარებს“<sup>6</sup>, რამეთუ სული ყოველი, სიკეთის შუენიერებისა თუს შორის მომგები, ესე იგი წარმატებუ-

20 ლი სიკეთითი-სიკეთედ და უსრულესისა სიკეთისად აღსრული, შეუძლებელ არს, რათა არა იქნესმცა მახლობელ უფლისა, რამეთუ ყოველნი შეყუარებულნი ვისგანმე არიან მახლობელ შემყუარებელისა, რამეთუ იტყუს სიბრძნე ბრძენთა მიმცემი იგი სიბრძნისა: „მე მოყუარენი ჩემნი მიყუარან და რომელნი მეძიებენ მე, 25 ჰპოვონ მადლი“<sup>7</sup>.

აღიარან სიძემან უკუდავმან თულნი ესეგუარისა სულისანი ტრედად, რამეთუ ყოველი ხედუამ მისი იქმნა უმანკო, რომლითა 30 დაემორჩილა კეთილგანმზრახსა მას მეგობარსა მეტყუელსა: /„იყუენით უმანკო, ვითარცა ტრედნი“<sup>8</sup>, ხოლო ხედუად თუსისა მის უზადომწუგობისად ღირს-ჰყო, რამეთუ გუგანი უსხეულონი უსხეულომსა თუალისანი შალუას შორის „სარკით და სახით“<sup>9</sup> ნიადგანნიცდიდეს მზესა უზადოსა და შეემსჭუალოდეს<sup>2</sup> მას მით, რომელ ცნობამ გუაქუს გულისხმის-ყოფის გამო და მცნობელობი-

<sup>1</sup> მისი B. <sup>2</sup> შეემსჭუალოს A.

<sup>3</sup> შდრ. 1 იოან. 4,18. <sup>4</sup> ფსალ. 36,1,3. <sup>5</sup> მატ. 5,14. <sup>6</sup> შდრ. ფსალ. 126,1. <sup>7</sup> ფსალ. 124,1. <sup>8</sup> შდრ. ქება 1,14. <sup>9</sup> იგავ. 8,17. <sup>10</sup> მატ. 10,16. <sup>11</sup> შდრ. 1 კორ. 13,12.

სა, ვითარმედ რომელმან ბრწყინულეთა რათამე და მცხინუარეთა საქმეთა მიხედოს, ყოელითურთ შეემსკუთლოს მათ, რამეთუ ესრეთ აღასრულებს განცდასა თუალი, ესრეთ კეთილ-ჰყოფდა თსნდა ხელუასა ნიადაგ თუთ ნათლისა შემოქმედისა მზისასა და სულითა წმიდითა დაიტკობდა თქმულსა ამას: „ტკბილ არს ნათელი კეთილ 5 თუალთა ხედუად მზეამ“.

კუალად, კეთილ განმზრახისა მის მეგობრისა განზრახუთა შემწყნარებელმან ესრეთ მეტყუელისამან „იყუენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი“<sup>1</sup>, გულისხმ-ჰყო, ვითარმედ ამას უკუე აზრახებს და უფროსდა უბრძანებს სიტყუა ჰეშმარიტი, ვითარმედ ვითარ-იგი დროსა შინა განსაცდელისა შემთხუეადისასა იფარავს თავსა გუელი, ეგსახედ დროსა შინა განსაცდელთასა სათანადო არს შეკრძალუად სარწმუნოებამ, რომელი-იგი თავ არს და ძირ ყოველთა სათნოებათა, რომლისათუს დაიმარხა იგი ამან ნიადაგ და ყოველგან და ყოველსა შინა და უფროს დროსა შინა 15 განსაცდელთასა არამრიდებელმან მისთუს განცემად სულისა თსნისა. და ესე საქმეთა მისთაგან წმიდათა საცნაურ არს.

კუალად, „მგულუებელი გუელი აღძრცუად ტყაეი/სა ძუელისა 253 მეცნიერებით აღიდრცუს მას, რამეთუ შესრული იწროსა ჯურელსა შინა შეიწრებითა ფრიადითა დაძუელებულსა მას ტყაეისა განადგ 20 დებს (ვითარცა იტყუს საღმრთო მოძლუარი ოქროპირი)“<sup>2</sup> ეგსახედ: ამან „იწროსა და საჭიროსა გზასა მიმყუნებულსა ცხოვრებად“<sup>4</sup> საუკუნოდ მოისიბრძნა განძრომად და „განიძარცუა ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ“<sup>5</sup> და შეიმოსა ახალი განახლებული მეცნიერებამ, მჰსგაეხად ხატისა მის დაშბადებელისა მისისა. 25

შალუა ნათესაეობისაებრ მთაერობითისა და მთაეართაცა შორის ნათესაეობით ჩინებულ-ყოფისა, და უდიდესი ვჰსთქუა, უბიწოლსა კეთილმსახურებითისა სარწმუნოებისა კეთილითა საქმეებით მის შორის განკარგუსა მეფაისა თამარისგან მანდატურთუხუცე- 30 სობითა პატიეიცა და მჰედართაცა შორის მთაერად დაიდგინა, რამეთუ ჰშუენოდა კეთილგონიერებით განგებულისა სიბრძნისა მის მიერ ჰმეულ ყოფასა, რათა პატიეისაგანცა ჯორციელისა ჯეროვნად იპატიეებოდეს.

მოითხრობის ისტორიასა შინა კეთილმსახურისა თუთმჰყრო- 35

1 განმზრახის A.  
\* ეკლ. 11,8. \*\* მატ. 10,16. 3° ოქროპირისა, მატ. განმარტ. თავ. 33.  
4° შდრ. მატ. 7,13. 5° კოლას. 3,9.

ბელისა თამარისთა, ვითარმედ ბრძოლასა შინა ნოქარდინ სულტ-  
ნისა მიმართ ძლევაჲმემოსილისა სპისა თამარისთა წინამბრძოლ გა-  
ნიჩინა მანდატურთუხუცესი შალუაჲ ძმისა თუსისა იოანეს თანა,  
უპირატესისა მკედართმთაერისა ზაქარიას თანა მკარგრძელისა,  
რო/მელსაჲცა შინა ბრძოლასა შალუაჲ ძმითურთ მისით სიმკენითა დი-

5 დებულ იქმნა.

ვინაჲცა სიმკენე სიბრძნითა განგებული და სიბრძნე კეთილ-  
მსახურებითა აღყუავებული ნეტარსა შალუას ნებითა ღმრთისათა  
კეთილდღეობასა შესაბამსა და კეთილმიმთხუევასა ჰსჯულიერსა  
განუმრავლებდა და „მადიდებელსა თუსსა უფალსა“\* წინაშე მე-

20 ფეთა და ერისა დიდებულ ჰყოფდა.

ამას მიუზლო უფალმან ღმერთმან ვასხი ვახშითურთ, რამეთუ  
ვინაჲთგან შეიყუარა იგი „ყოვლითა სულითა, ყოვლითა გონებითა  
და ყოვლითა ძალითა თუსითა“\*\*, და მოყუასი, ვითარცა თავი თუსი,  
ამისთვის ნიჭებულ იქმნა უფლისაგან, რამეთუ შეყუარებულ იქმნა

15 მეფეთაგან და ყოველთა თანა „მშუღობისა მოქმედი ძედ ღმრთისა  
წოდებასა ღირს იქმნა“<sup>3</sup> და „ქუეყანასა ზედა მკედრობდა მშუღო-  
ბით“<sup>4</sup>.

ძრუად იწყო მიზეზმან მარტულობისა ამის წმიდისამან, ვი-  
თარმედ უღმრთომან ჯალაღდინ მეფემან ზუარასნისამან, უღონო-

20 ქმნილმან ბრძოლისა მიმართ თათართასა, ვლტოლუაჲ იგმია მკედ-  
რობითა და დედა-წულითა მრაველითა და ქუეყანასა სომხეთისასა  
მოსრული აღაოქრებდა ყოველსა მკედრობასა მუნებურსა მახელი-  
თა და ტყუეობითა, ვითარმედ ტყუეობითი და წარწყმედიითი ვნე-  
ბაჲ ასურეთისა, ასკალონისა და ძეთა რავეასთა სომეხთათუს სატურ-

254 25 თუელ იქმნებოდა. ზოლო საფუძუელთა შენობისათა /აღმოპყრიდა  
და ცეცხლითა მისასრულ-ყოფასა მკედრობისასა მიიყუანდა და  
წინასწარმეტყუელებდა ამოსისი საზღისათუს აზაილისა და საფუ-  
ძუელთათუს ადერისთა და ზღუდეთათუს და საფუძუელთა ტურო-  
სისთა ეგსახედ საფუძუელთათუს და ზღუდეთა თემანისთა და

30 ზღუდეთათუს და საფუძუელთა რავეასთა რაჲცაღა იწინასწარმეტ-  
ყუელა კელი უფლისა უღმრთოთა ზუარაზმელთა ზედაღამსხმელ-  
თა მათთა, მკედრობასა სომხეთისასა შეამთხუევდა, ვინა „სალმრ-  
თო ამოს უფროსღა სომეხთათუს, „ვიდრე განყოფილთა მათ ნათე-  
სავთათუს წინასწარმეტყუელ იქმნა“<sup>5</sup>.

35 ჩუენ უკუე მეათსამეტესა შინა სიტყუასა მოვიკუნეთ გამო-  
სულაჲ ჯალაღდინისა სამეფომთ თუსით და კელითა უფლისათა

\* შღრ. 1 მეფე, 2,30. \*\* 2 სჯულ. 6,5. 3\* შღრ. მატ. 5,9. 4\* შღრ. მატ. 5,5. 5\* შღრ. ამოს. 1,4.

შურისძიებამ ქართულთა და სომეხთა ზედა, რამეთუ მაშინ „გამოვიდა რისხუა უფლისა მიქცეული უთნოთა ზედა“, რამეთუ „აღდგა უფალი შურისგებად გულისწყრომით და ღვენად აღითა კეცხლისათა“<sup>1</sup>.

მკმენელმან მეფემან რუსუდან წარავლინა ლაშქარი შეწვე- 5  
ნად სომეხთა, რამეთუ მამული მხარგრძელთა — ღვნი და ანისი, ნაწილი სომხეთისა, მონარხიასა თანა საქართუელომასა ირიცხვო- და. და სპარსნი ღვნს და ანისს მოაოკრებდეს მწარედ, რომლი- სათუს მსაჯა რუსუდან განმკედრებამ სპარსთა ზედა ლაშქართ- თსთა.

/ვანიჩინა მეფეადაგან რუსუდანისა უპირატეს მთავრად მკე- 10  
დართა იოანემ ათაბაგი მხარგრძელი, კაცი დიდსული ბრძოლათა შინა. დაღათუ დიდსულობამ თსი დროსა მას შინა ბრძოლისასა დააჭირუა ლაშქართა, ხოლო დაჭირუებამან მან აწარმოა აღსპო- ბამ ყოვლისა ქართლისა კახეთითურთ და დიდებისაგან და შუენიე- 15  
რებისა და მკედრობისა დამკობამ ტფილისისა და მონარხოებისა წარწყმედისა შემოსულამ ჩუენ შორის.

მომზრახობენ, ვითარმედ „მონაზონქმნილი იყო დროსა მას ფარულადრე ათაბაგი იოანე“, რომლისად უმჯობეს იყო და ჩუ- 20  
ენდაცა საყოფლად საეანემ მემხოლოეთა, რომლითა უფრორე თა- ვისუფლად განიბერტყდა კორცთა და სულსა, ნუუკუე უბიწოდ წარადგენდა წინაშე თუალუხუავად შურისმგებელისა მსაჯული- სა. ხოლო ჩუენ ნუთუ განვერენიმცა მაშინდელისაგან ყოვლად მძნუარისა აღსპობისა.

მისრულნი ყოველნი სპანი რუსუდანისნი მახლობელ, რომელ- 25  
სა პრქვან გარნისი, რამეთუ მუნ დაბანაკებულ იყუნეს სპარსნი, ეახლნეს სპარსთა და განაწყო მეგრ კანონისა ბრძოლითისა იოანე- მან ათაბაგმან ლაშქარნი და წინამბრძოლ ჰყუნა მესხნი და თო- რელნი, რამეთუ მათდა იყო წილხდომილ მამულადრე წინამბრძო- ლობამ, რომელთაცა მთავარ იყუნეს მანდატურთუხუცესი შალუა 30  
და ძმა მისი იოანე ახალციხელნი.

/მომზრახობს ისტორიამ მდგომარე რუსუდანისთვის, ვითარ- 255  
მედ: „ოდეს ეახლნეს ჩუენნი და ხუარაზმელნი ურთიერთას<sup>1</sup> და წინამბრძოლთა ჩუენთა ჰყუეს სპარსთა მიმართ ბრძოლამ დიდე- ბული, ათაბაგმან იოანე, დროსა მას შურითა ახალციხელთა მათ 35  
მთავართათა ძლეულმან, თსისა მრავალჯერ მძლეობასა კმეულ

<sup>1</sup> ურთიერთას B.

<sup>2</sup> შტრ. იერ. 23,19. \*\* შტრ. ისაია 66,15.

კყო წინაუქმოა<sup>1</sup>, რამეთუ უკანაგან კსდგა და არა აუფლა ლაშქართაგანი ვინ შეწევნად წინამბრძოლთა“. ხოლო მხილუელთა შალუა და იოანე, ვითარმედ ჰრიდებს შეწვენასა წინამბრძოლთასა განზრახუა არაკეთილი უპირატესისა მკედართმთავრისა, მიუვლინეს

5 მას ორგზის და სამგზის უწყებამ მტყუელთა, ვითარმედ: „უწყოდენო სიმენემან შენმან, დაღათუ ჩუენ კმა ვართ წინამბრძოლად ლაშქრისა, მაგრა პირისპირ დგომად დიდისა ამის ლაშქრისა მტერთასა თუნიერ შეწვენისა თქუენისა ვერ შემძლებელ ვართ“.

მკსმენელსა ათაბაგს ამათსა არა კგაოდა და ყოვლისა პასუხისა

10 მისდა მივლინებულთა უღირს-კყოფდა. ვინამცა ულონოქმნილი შეწვენისაგან ძმათასა შალუა და იოანე, მეთაკილენი უკუნქცევიად წინამბრძოლითურთ ლაშქრით, მხნედ განმამაკეებულნი მტერთა ზედა დაესხნეს და სიმენისაებრ მათისა განაძლიერეს ატაკი იგი და

7 სპათაგან სპარსთასა მოსრნეს მრავალნი. ვინამცა განგრძელდა

15 ბრძოლად სპარსთა და წინამბრძოლთა ჩუენთა, რომელთა მიმართ „ძმანი ჭირთა შინა საკმარანი“\* პაზრმან იოანე ათაბაგისამან უკმარ კყუნა და ორთავე ძმათა მათ ახალციხელთა ქუეშე გამოუკლნეს ცხენნი და ყოველნი საჭურუელნი შემუსრნეს მტერთა ზედა: მახულნი, მანრაკნი, შუბნი და ოროლნი და ხეთქებამ მათგან ჩაფ-

20 ხუტთა ზედა მტერთასა განგრძელდა.

ამას შინა ფრიად მაშურალთა ბრძოლისაგან და ულონოქმნილთა ყოვლისა შეწვენისაგან წინამბრძოლთა ჩუენთა ვლტოლუად იკმიეს, რომელნიცა უქმად მდგომარეად დიდიცა იგი უძლეველი ლაშქარი ჩუენი უპირატესითურთ მკედართმთავრით იძულებამან

25 საქმისამან ვლტოლუად მისდრიკა და დიდებამ სიმენითი ქართუელთა ნათესავთა შორის უპატივო იქმნა.

შალუა უგამოცდილესი მკედარი შემუსრუამან ყოველთა საჭურუელთამან და ქუეითად დაშთომამან და ურიცხუთა სიმრავლეთა მტერთასა გარემოდგომამან პყრობილი შთააგლო კელთა შინა

30 მტერთასა და იოანე მოიკლა კყშირსა ბრძოლასა შინა, რომლითა საწადელი ათაბაგისა იოანესი უბოროტესისა საშუალისა კმევითა მისასრულლებად მივიდა. უწყებულ ვარ, გარნა უმეცარ ვარ, ვითარმედ ბოროტსა შინა მდგომარეობასა ცუალებამ ესე იოანესი, უპირატესისა მის მკედართმთავრისა, ნუ-თუ-იყუალა კეთილისა მიმართ

35 მდგომოებისა?

256 /„მრავალ არიან ჭირნი მართალთანი“\*\* და მრავალ არიან გამოცდანი ბრძმედსა შინა ოქრომსანი, გარნა „მართალი, ვითარცა

<sup>1</sup> წინაუქმო A.

\* იგავ. 17,17. \*\* ფსალ. 33,18.

ფინიკი, აღყუავენს<sup>40</sup> დაკუეთებული თვს ზედა კირთა, რამეთუ „ჭირი მოთმინებასა შეიქმს“<sup>41</sup>, ხოლო „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხოუნდეს“<sup>42</sup>. და „ვითარცა ნაძვ ლიბანისა, განმრავლდეს“<sup>43</sup> მართალი, რამეთუ სიმართლე მისი, რომელ არს სათნოება, ნათესავი ყოველთა კეთილისმოქმედებათა, ჭირმან მართალსა ზედა შესულმან განამრავლოს, ვითარცა ნაძუნი ლიბანისანი, „რამეთუ მოთმინება გამოცდილებასა შეიქმს, ხოლო გამოცდილება სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხვნის მოსაეთა, რამეთუ მოსაეთა შორის სიყუარული ღმრთისა განფენილ არს სულითა წმიდითა, რომელი-იგი მოცემულ არს ჩუენდა“<sup>44</sup>.

შალუა პყრობილი წარიდგინა წინაშე ჯალალდინისა, რომელიცა იცნეს ნახჭევნელთა და ადრაბადაგანელთა, რომლისა სიმკნისა, ახოვნებისა და სიქუელისა მოქსენებითა უწყებულ ჰყუეს ჯალალდინ. ვინაჲცა მეფემან შეიწყნარა შალუამ პატივით და ადრაბადაგანს შინა მიანიჭნა ქალაქნი მამულად და მთავართა თვსთა თანა პატივ-ჰსცა.

ერთ წელ მცხოვრები მათ<sup>1</sup> თანა<sup>2</sup> მკედარი ქრისტესი მტერთაგან ქრისტესთა იყო<sup>3</sup> პატივსა შინა, რომელიცა უკმარ შეეარაცხა თვსდა, რამეთუ მოძღურებასა წინამორბედისასა ერჩდა მკედარი ესე, „არავისადმი მაჭირუებელი ოდესმე და არცადა შემწამებელი ცილისა, ხოლო კმამყოფელი თვსდა მკედრობითისა როჭიკისა“<sup>45</sup>, რომელმანცა მოილო რა როჭიკი მეფისაგან /ზეციერისა მკედრობისათვს უბიწომსა, ესე იგი გაილო ქრისტეს მკედრობითითა შრომითა განათლებამა გონებისა და იხილა მყოფთა შორის დაბადებულთა ყოფამა დამბადებულობით დაუბადებელისა არსისა, რომლისაჲდ, ბრმაქმნილი ყოვლისაგან ქუეშეურისა ხედვისა, მას ჰხედვიდა და ესრეთ განათლებითა გონებისათა „უფალი ესეგუარსა ბრმასა განაბრძნობდა“<sup>46</sup>, ხოლო ჰსჭამდა გულისხმის-ყოფასა და სუემდა ნიადაგ კეთილისა მიმართ მიდრეკასა.

შემდგომად წელიწდისა ერთისა მკედარი ქრისტესი დატევებად ქრისტეს ღმრთისა მისდა სიყუარულად მიდრეკილითა სიტყუებითა მეფისაგან უღმრთოხსა იძულებოდა და რამეთუ თუ სადამე დაუტევებდა ქრისტესა თვსსა, უდიდესთა პატივთა მკედრობითთა და ქალაქთა და სოფელთა და სპეკალთა, ოქროთა და ვეცხლ-

<sup>1</sup> მათ — A. 2 თანა — A. 3 იყო — A.

<sup>40</sup> ფსალ. 91,12. <sup>41</sup> კრომ. 5,3. <sup>42</sup> მატ. 10,22. <sup>43</sup> ფსალ. 91,12. <sup>44</sup> შლრ. კრომ. 5,4-5. <sup>45</sup> შლრ. ლუკა 3,14. <sup>46</sup> შლრ. ფსალ. 145,8.



თა და სამოსელთა ოქროვილთა და სიმრავლესა მონათა და მკვეალ-  
თასა ბრძანება უსჯულო ფიცით აღუთქმიდა.

- გარნა მკველარი ქრისტესი აღუფოთებელითა გონებითა მიუ-  
გებდა მეტყუელი: „მე უკუე, მეფეო, თუ სადამე სათნო-გიჩნს მსა-  
5 ხურებაჲ ჩემგან მკვედრობასა შინა შენსა, ნუ მაწუეე მისულად ესე-  
გუარისა მიმართ უგუნურებისა, რომელი ჰსმენადცა საძაგელ არს.  
ვითარათამე დიდებათა პატივთა და სიმდიდრეთა აღმითქუამ, რო-  
მელი მიცუალეებენლა და, თუ სადამე ვიცულენე იგინი ცუალემა-  
257 დისა მიმართ და დაუღვრომისა /დიდებისა და სიმდიდრისა. სურ-  
10 ვილი მოგებისა უცხო არს გონიერთაგან. ხოლო ჭეშმარიტისა  
ღმრთისა ჩემისა, რომელ არს შემოქმედი ყოვლისა ნათესავისა,  
უარის-ყოფამა შეუძლებელ არს ჩემგან, რამეთუ შეუკურიე მე  
ცნობასა ნამდულ ჭეშმარიტებითა საქმეთასა და ჩუეულებასა მო-  
ცემულსა ნათესავთაგან, ესე იგი რომელიცა მომცეს მე აღგილო-  
15 ბითთა და მშობელობითთა ნათესავობათა, უკეთუ საკმარ ვარ მკვე-  
დრობისა შენისა, მიმიშუ თავისუფლადრე მსახურებად ღმრთისა  
ჩემისა, რომელმან აღმაგო მე. გვედრები, დააცხრუე ჩემდა აღ-  
თქმანი ეგე არად საკმარნი ჩემნი, რამეთუ სურვილმან საღმრთო-  
მან, რომელი მაქუს ქრისტეს მიმართ ჩემისა, რომელი არს შემოქ-  
20 მედი მეფე და უფალი ანგელოსთა, განმაწესა მე მკველად ქრისტე-  
სა და ამისთვის საკმარ ჩემდა სამოსელნი უნდონი, საფარუელნი  
ოღენ კორცთანი და ეგრეთ საზრდელი საჭიროჲ ოღენ პური წყლი-  
თურთ, რომელნი იქმონენ „ხრწნილებათა გარეგანთა, რათა განა-  
ხლდეს არსი შინაგანი“\* და რათა გონება მარადის თავისუფალ  
25 იყოს შერეენილთაგან და ბნელთა წარმოდგომათა“.
- ალაბორგა მძლავრი სმენამან ქრისტეს მკვედრისაგან ყოვლად  
უშიშთა მიგებათამან, გარნა გულისწყრომასა ჰფარვიდა თეს შო-  
რის და ლიქნათა განამრავლებდა, ვითარმედ ჭეშმარიტებისა მო-  
წამისაგან უბასუხობისა უპატივობადცა მივიდა ამპარტავანი იგი  
30 მეფობამ მისი, რომლისათუს მწარეთა სატანჯუელთა ქადებასა წი-  
ნა-დაუდებდა და/ თუთულებასა ტანჯუათასა კორცთა ზედა შეხე-  
ბად განუმარტებდა.

ამათ ყოველთათუს ბრძენი იგი მკველარი მძლავრსა ეცინოდა და  
ვითარცა კლდე მტკიცე, მდგომარე ზღუასა შინა ღელუათაგან  
35 მძლავრებითთა, ესე იგი ქადებულთა სატანჯუელთა და დიდება-  
თაგან აღთქმულთა, არა შეიძროდა და ეტყოდა: „მ, ჯალალდინ,  
უწყებულ იყავნ, ვითარმედ მე უკუე არა აღვიარო სხუამ ღმერთი

\* 2 კორინ. 4.16.

თენიერ მხოლოდსა განუყოფელისა ღმერთთმთავრისა სამებისა. შეიჩუენნენ ქადაგთა თუსთა თანა ყოველნი იგი ღმერთნი საეშმა-  
კონი, რომელთა ცანი და ქუეყანაჲ არა შექქმნეს, რომელიცა ბერწ-  
ღმრთად აღიარების უუგუნურესისაგან ყოვლად უღმრთოჲსა 5  
თქუენდა მოცემულისა მოძღურებისა, ნუ ჰგონებ, ვითარმედ რათა  
აღმიტაცო მე აღთქმითა დიდებისა და სიმდიდრისათა და ქაღები-  
თა სატანჯულთათა, რამეთუ ერთ არს დიდება ჩემი, რათა მისდა  
მივიდე და ვხედვიდე მას უზესთაესსა ყოველთა კეთილთასა, და  
ერთ არს ჩემდა სიმდიდრე—ზეციერისა საჭუფეველისა იგი შუება. 10  
არა მივიღებ პატივისა ბოროტისმომატყუებელსა, არცა მნებავს  
მკედრობაჲ წარმავალისათუს დიდებისა. ვერ სადამე განჰსჭრას მ-  
ხელმან შენმან მახული სულისა ჩემისა, არამედ უფროსდა აღლე-  
სოს კორცთა ამით განხრწნადთა დაჭრამან. გრილ ჩემდა ცეცხლი  
შენი, რომელი ვერ შეეხების დაშრეტად ცეცხლსა სულისა ჩემი- 15  
სასა, რომელი აღანთო ჩემ შორის კორცთა შინა მყოფმან ცეცხლ-  
მან /ღმრთაებისამან, არამედ უფროსდა შევიწვი ცეცხლითა მით 258  
ტრფილღებითითა და შევიცურევი წყლითა ცხოველითა წმიდისა  
სასობისათა, რომელი „არს ჩემ შორის და მხადის მე შინაგნით,  
ვითარმედ: მოვედ მამისა მიმართ“. „მონაგებნი უკუე ქუეყნიერნი 20  
ჩემდა არა საწადელ, არამედ დაცუაჲ ხატისა შეუხებელად და,  
რომლისა მჰსგავსად დავიბადე, მჰსგავსება, რაოდენ შესაძლებელ  
არს კორციელისაგან ბუნებისა“\*. დააცხრო სიტყუაჲ თუსი მოწა-  
მემან მძღავრისა მიმართ და განემზადა ღუაწლად.

განარისხნა უკუე მძღავრი კადნიერებამან ქრისტეს მკედრი- 25  
სამან და განაკურუა უშიშად მიგებამან მისმან და სირცხულად  
ჰრაცხდა თუსისა მეფობისად ესეგუარსა კადნიერებასა. ვინაჲცა  
ბრძანა განშიშულებად .პატივისაგან შალუაჲ და სამოსელთაგანცა  
და გუემად უწყალოდ. ხოლო მტარუალნი, რომელთად ბრძანებულ  
ჰყო ტანჯუაჲ მოწამისა, ზედა-მიუტდეს მწიდასა და განითრევედეს 30  
უპატიოდ და სამოსლისა სარგარითურთ აღმძრცუელნი ჰგუემდეს  
უწყალოდ. განაღა აღძრცუსათუს სამოსელთასა მოხარული ეტყოდა  
თავსა თუსსა:

„იხარებდ მ, შალუა, რამეთუ სამოსელსა თანა კორცთასა ძუ-  
ელსა კაცსა აღიძრც და ხრწნადთაგან სიმარჯუეთა განთავისუფლ- 35  
დები. „რამე მივაგო უფალსა, რომელი-ესე მომაგო“\*\* მით,

<sup>1</sup> უგუნურებისაგან A.

\* ეგნატი ღმერთშემოსილისა ღმრთისმეტყუელისა წმიდისა დიმიტრი  
თესალონიკელისათუს სიტყუსაგან. \*\* ფსალ. 115.3.

- რომელ განშიშულდა უფალიცა ღიღებისა შენთვის სამოსელთაგან.
- ვ ეპა, რაბამ ღიღ არს მონისად ზიარებამ ვნებისა უფლისა/ თვისისა. ჩუენ უკუე მკედართა განვაშიშულეთ სარეართა აღმკდელთა შემ-  
 5 მოსელი ცათა ღრუბლითა, რამეთუ ესე მკედართა იყო კადნიერე-  
 10 ბამ, რომელთა „განიყუეს სამოსელი მისი“\*. აწ სადამე საყუედრე-  
 ლი იგი ჩუენი შესმენამ თაგისა მიერ ჩემისა აღევოცო გუემისა  
 მიერ და ბძარკითა მუსკულთათა, უტკივარი მოვილო<sup>1</sup> უხრწნელე-  
 ბამ და გუემითთა წყლულებათა მკსნელისა ჩემისათა ვეზიარო და  
 სიკუდილითა დამთრგუნუელისა თანა სიკუდილისასა ვკსუფევდე.
- 10 ერთითა ამით უამითა ყოველნი საუკუნენი მოვიყიდნე და განსწნი-  
 თა კაეშირთათა შეერთებამ აუგებელისა თანა არსებისა და მის თანა  
 განსუენებამ მოვიგო მით, რამეთუ სიმართლით მიღებამ წინა-მისს  
 სიკუდილი უიკვოლ, ამისთვის „განსუენებასა შინა ვიყო“\*\*. და-  
 ვითმინოთ, შ, შალუა, სიკუდილი ქრისტესთვის, რომელიცა „ერთ-  
 15 გზის წინა-უძს (ყოველსა) კაცსა“<sup>3\*</sup>, რამეთუ იგიცა ჩუენ „უღმრ-  
 თოთათეს მოკულა“<sup>4\*</sup>. რაოდენნი ძურისმოქმედნი თესთათეს უქ-  
 სჯულობათა თავს-იღებნ სიკუდილსა, ჩუენ სიმართლისათეს ვპრი-  
 დოთა სიკუდილსა. არა გაქსოვს, შალუა, რაოდენგზის მიეც ბრძო-  
 ლასა ცხოვრებამ შენი მეფისათეს მოკულაგისა, ვითარცა მემ-  
 20 კვდრისა მეფისა შენისა, რათა მიილო მისგან ჯილდოდ ღიღებამ  
 კაცთა შორის. უკულაგისათეს მეფისა, „რომელი დაადგინა მკვდრად  
 ყოველთა, რომლისაგან შეკქმნა ღმერთმან საუკუნენი“\*, რო-  
 259 მელიცა მოგცემს ღიღებასა ჯილდოდ უხ/რწნელსა და მის თანა  
 ცხოვრებასა დაუბერებელსა სუფევით, არა მისცეა ცხოვრებამ შე-  
 25 ნი?“ ამათ და ესეგუართა რა ეტყოლა თაჟსა თესსა მოწამე ქეშმა-  
 რიტებისა, კგუემდეს უწყალოდ მყოვარ.
- მერმელა საპყრობილესა შინა შეიყენა და პირად-პირადითა  
 მძუნუართითა ტანჯუთა განცდილმან აღასრულა პსრბამ მარტკლე-  
 ბითი და ესრეთ ქრისტემან ღმერთმან, განმადლიერებელმან მის-  
 30 მან, მიპსიულა თეს თანა ღიღი იგი გოდოლი კეთილმსახურებისა,  
 მკედარი თესი გვრგვნოსანი გვრგვნითა სიმართლისათა.
- ესე უკუე არს ქუეყანასა ზედამ ცხოვრება შალუა ღიღისა, რა-  
 მეთუ მკედრობდა იგი ჩინებულობითა სიმკნითა ქუეყანასა ზედა  
 მსახურებითა კეთილმსახურთა მეფეთათა და მკედრობასა თესსა  
 35 ყოვლითა კეთილმსახურებითითა სულისა წმიდისა თეს ზედა მო-

<sup>1</sup> მოვილო A.

\* მარკ. 15,24. \*\* სობრ. 4,7. 3\* შდრ. ებრ. 9,27. 4\* პრომ. 5,6. 5\* ებრ. 1,2.  
 ებრ. 1,2.

სულითა საქმითითა ფილოსოფოსობითითა იქმოდა. გუამი თვისი, „ტაძარი ღმრთისა ცხოველისა“\*, განუწმიდა ღმერთსა, „მოაკუ-  
 ლინნა ასონი ქუეყანასა ზედა: სიძუამ, არაწმიდებამ, ვნებამ, გუ-  
 ლისტქმამ ბოროტი და ანგარებამ, რომელ არს კერპთმსახურე-  
 ბამ“\*\* და „შეიმოსა, ვითარცა პრჩეულმან ღმრთისამან წმიდამან 5  
 და საყუარელმან, მოწყალებამ, შეწყნარებამ, სიტკბოებამ, სიმდაბ-  
 ლემ, სიმშვედემ და სულგრძელებამ“\*\*\* და ამას ყოველსა ზედა  
 სიყუარული, რომელი-იგი არს სიმტკიცე სრულებისა.

ხოლო დაკუთებითსა დროსა ეწყო გუელსა ამპარტავანსა და  
 ქრისტესთვის ენებითა და სიკუდილითა შემკუსრა თავი მისი, 10  
 კორცთა სძლო, „ჯუარს-/აცუა თესდა სოფელი და თვთ ჯუარს- 11  
 ეცუა სოფლისად“4\*, „ღუაწლი კეთილი მოიღუაწა, ჰსრბამ აღა-  
 სრულა, სარწმუნობამ დაიმარხა“5\*, ხოლო „მიილო მეფობამ  
 შუენიერებისა და შარავანდელი სიკეთისა კელისაგან უფლისა“6\*.  
 და „გვრგვნი სიმართლისა მართლისა მისგან მსაჯულისა“7\*, 15  
 რამეთუ შეიყუარა გამოჩინებამ მისი.

ესე არიან სიტყუანი ჩემნი შენდა, მ, წმიდაო და საღმრთოო  
 მოღუაწეო და სულო საწადელო, სუნნელებაო და სიკეთეო ყო-  
 ველთა ქართუელთაო, ჰეშმარიტად „ნელსაცხებელ წარმოცალიე-  
 რებულ სახელი შენი“8\* მით, რომელ სურვილისაგან შენ შორის 20  
 მოტიყინარისა არომპტი იგი საღმრთოა, სისხლი შენი სოფელსა ში-  
 ნა ყოვლითურთ წარმოიცალა და ვითარცა წარმოცლილმან ნელ-  
 საცხებელმან, აღავსო იგი სუნნელებითა.

რამ-მე გიწორო შენ? კარკანჩოლსიტყვერ მცურუალებ ზღუასა  
 შინა გულისხმის-ყოფისაა შინაგან სისპეტაკისა წმიდისა მექონად, 25  
 სადა ელუამან სულისა შენისამან შთაჰყარნა ცუარნი წმიდისა გო-  
 ნებისმოძრავობისანი და ჰქმნა მრავალფას მარგალიტად საღმრთო-  
 მსა სარწმუნობებისა;

სამოთხედ, რამეთუ მოკრძალებულ ხარ ზღუდითა და გოდლე-  
 ბითა კრძალულებისათა და შინაგან მექონ ხარ ყოველ სათნოებითთა 30  
 ყუაეილთა შუენიერსუნნელთა და ხილნართა ტკბილგემოვან, ნა-  
 ყოფიერ მწიფეთა, რომელნი შესაბამსა ადგილსა დგომითა გან-  
 კარგულან, პრწყულნი სახარებისა საღმრთომსა ნაკადითა;

/ვარსკულავად მოძრავად, რომელი ღერძსა ზედა საღმრთო- 260  
 მსა კეთილმსახურებისასა ჰყოფ ჰსრბასა მომგრგუალებითსა, ხოლო 35

\* 2 კორ. 6,16. \*\* კოლას. 3,5. 3\* კოლას. 3,12. 4\* შღრ. გალატ. 6,14. 5\* შღრ. 2 ტიმ. 4,7. 6\* სობრძ. 5,16. 7\* შღრ. 2 ტიმოთ. 4,8. 8\* ჰებ 1,2.

მხუალ მერიდიანთა ზელა სათნოებათასა და მიიქცევი აღმოსავალად  
საღმართოთასა ცნობისა;

- „ტბალ ესებონისა“<sup>3</sup>, ვითარცა თულად უკუდავისა სიძისა, ვი-  
თარმელ ვინამთგან იტყუნ ტბათა ესებონისთა ესოდენ წმიდად და  
5 ყოვლისაგან მრლვე-ყოფისა თავისუფლად, რომელ ქებასა შინა სი-  
ძისა თულად მსტქუა სულმან მომცემელმან სიბრძნისამან  
ამად, ვითარმელ სიწმიდე და კამკამიერ-ყოფამ სიმართლისა შენისა  
განდიდნა წინაშე ღმრთისა, რომელსა ზელა „თულნი უფლისანი  
და ყური უფლისა ლოცუასა შენსა ზელა“<sup>4</sup>;
- 10 „თულად ტრედისა საესებასა ზელა წყალთასა“<sup>5</sup>, ვინამთგან  
უმანკოებისა მოიგე მადლი, ვითარმელ იქმენ სიმართლით „ვი-  
თარცა ტრედი და ვითარცა გუელი მეცნიერებით“<sup>6</sup>, გარნა თულ-  
ად ტრედისა საესებასა ზელა წყალთასა, ესე იგი არს, ვითარმელ  
„წყარო წყლისა განმწმედელისა არს სიწმიდე და სხუამ ეგვევითა-  
15 რივე — სიმდაბლე, ჭეშმარიტებად და სიმკნე და კეთილისა სურ-  
ვილი და ბოროტისა მოძაგებად. ესე და ესევითარნი წყალნი წყა-  
რომასაგან არიან ერთისა, ხოლო მდინარეთა და ნაკადულთაგან შე-  
კრბებიან ერთად საესებად, რომელთა მიერ იქმნების ყოვლისავე  
აღმურისა და ვნებისა თულთასა განწმედამ, რომლითა წმიდა იქ-  
20 მენ“<sup>5</sup>.

- „ფილად ნელსაცხებელთა“<sup>6</sup> ამად, ვითარმელ შენ შო-  
რის სიმართლე ნაცხადევი არს თუნიერ რამსავე/სიღრმისა<sup>1</sup> და  
მოქცევისა, არამედ ფილად აღმომადენად ნელსაცხებელთა უხრ-  
წნელთა სათნოებითთა სუნნელებათა ანუ სისხლისა შენისა წმიდი-  
25 სა, რომელი აღმოაცენე შორის ეკლესიისა სუნნელებად სიძისა  
უკუდავისა.

- მ, შალუა, ჩემდა ყოვლად პატიოსანო და საწადელო თავო,  
მეც ყოვლად განწმედილი ოხამ შენი დროსა კავშირთა განქნისასა  
და მით ურცხუნელად წარმადგინე წინაშე საყდარსა ქრისტესსა,  
30 სადა გვრჯუნოსანი დამკვდრებულ ხარ შენ. „მხოლოსა ბრძენსა  
ღმერთსა, მაცხოვარსა ჩუენსა, დიდება და სიმღიდრე, სიმტკიცე  
და ჯელმწიფება უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და აწ და უკუნი-  
თი უკუნისამდე, ამინ“<sup>7</sup>.

<sup>1</sup> სიღრმისა B.

<sup>2</sup> შდრ. ქება 7,4. <sup>3</sup> შდრ. ფსალ. 33,15. <sup>4</sup> შდრ. ქება 5,12. <sup>5</sup> შდრ. მატ. 10,16. <sup>6</sup> გრიგორი ნოსელი, ქება, განმარტ. თავ. 13. <sup>7</sup> შდრ. ქება 5,13. <sup>8</sup> თუ-  
და 1,25.

შეხვედრა და მოთხრობა ლაწლთა და ვნებათა წმინდათა ღმერთთა 261.  
მოწამეთა, რომელნიცა ბრძანებთა უღმრთოებად ღმერთლანჯისათა  
ლაშქართა მისთაგან დაიწუნეს ეკლესიასა შინა მონასტარსა ღმერთისა  
ღმრთისასა ქააბთაქვეს, ძმონილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა  
ყოვლისა ზემოცა საქართულოცა, დავითიან-გაგრატოვანისა 5

ქუაბთაქვეს წმიდა სამხოლო ვანი,  
ეკლესიისა პირმშოთასა საგუანი,  
საკურთხეველი მსხუერაბლთა ზეცად აღმყუანი.  
და წულთ ნაბეჭდნი კედელ-იატაკ ქუანი,  
ჩუენდა საქადულ, მუნ მსხუერაბლთ საღმრთო დაწუანი. 10

### სიტყუა მეათშუღმეტე

ვინაძთგან სურვილი მიზეზ ექყავთ მოსწრაფებისა, ვითარმედ  
სურვლისათეს არს მოსწრაფებად ჩუენი ამას შინა, ხოლო სურვი-  
ლი იგი არარაძმე არს უშუერ, ვინა უღირს, ანუ მქონებელ სა-  
ხეობისა გრძნობადთა რაძმესაგანისა, არამედ ღირს ღმრთისა ხე- 15  
ღუათა იგავეებისა, რომელი ბუნებითითა და კაცშუენიერებით იგა-  
ვებითითა სარკეებითა გამოინახეს.

ხოლო მიზეზი მოსწრაფებისა დაჩემშორისებული, ვინაძთგან  
ესოდენ სიმაღლესა ზედა დადებად ექსაჯე, ვინა სათანადოდ ჩემდა  
ქმევად საშუალისა, მაგრა ვინაძთგან „სულსა შინა ბოროტ-ქელო- 20  
ვანსა არა შევალს სიბრძნე“ და სუნიდისი მკბენს შწარედ ბო-  
როტად ქელოვნებისა<sup>1</sup> ჩემისათეს<sup>2</sup> და გულისხმის-ყოფად წარმო-  
ადგენს ჩემ შორის, ვითარმედ ყოველსა კეთილსა დასასრულსა კე-  
თილსა თანა საშუალსა შეაერთებს სიბრძნე კეთილგონიერებით  
განგებული (ფილოსოფოსთა ბრ/ძნობისაებრ) და ესე ბოროტ-ქე- 25  
ლოვანთა შორის არა მოქმედებს, ვინა მაღალი იგი სურვილი, მი-  
ზეზი მოსწრაფებისა, რომელი სიბრძნითა მოიგების, შეუძლებელ  
არს ბოროტ-ქელოვანთა შორის შემოსულად.

მაგრა სხუად იქმნების ჩემ შორის გამოხატუად, ვითარმედ „სუ-  
ლი სიბრძნისა კაცთმოყუარე“ არს<sup>3</sup>, რომელ არს სული მეცნიერე- 30

1 1 კელოვნებისათეს B. 2 ჩემისა B.

• სიბრძ 1,4. •• შღრ. სიბრძ. 1,6.

ბისა კეთილ მოძრავი, ნათელი შეუგინებელი, ბრწყინულე, უწყინარი, კეთილისმოყუარე, ქუელისმოქმედი.

ვინაჲცა დაღათუ უღირსთა მოღებისათა, მაგრა კაცთმოყუარებით და ქუელისმოქმედებით სულმან სიბრძნისამან მომცა ჩუენ 5 აწინდელისა მოსწრაფებისა მიზეზი, რომელა სურვილი მოწამეთადმი განლუქებად გალობისად და ქებისად ყოვლად წმიდათა მათ და სამლუდელოთა ენებათა მათთა ამაღ, ვითარმედ მლუდელოქმედებასა მოწმეთავან ღმერთთმთავრისა ღმრთისა მიმართ თავთა თესთასა მიზეზი სურვილივე იყო ძლევეთა კორცთა და სულისა და 10 ეშმაკთა ზედათა<sup>1</sup> მძძლესა სიკუდილისასა ღმერთთმთავარსა მას მამისად თავისა თესისა სამლუდელოქმედსა ეზიარნეს. ხოლო სურვილივე იყო ღმერთ-მამაკაცისაგან მლუდელომთავრისა თავისა თესისა მამისა მიმართ მლუდელოქმედებისა მით, რომელ სუროდა სახიერებით გამოკსნად ხატი თესი მიცემითა საკსრად „უბიწომა 15 და უმანკომა პატიოსნისა<sup>2</sup> სისხლისა თესისათა“<sup>3</sup>.

262 აწ უკუე ვინაჲთვან ნიადგ უქმობაჲ დაჰკსნა სურვილმან, ვინა უბრძანოთ აქაცა უქმობასა, რათა აღვიღ მსცესმცა მოსწრაფებასა და აღვიმსოთ მოსწრაფებით, რამეთუ გუასწავებსცა ესრეთ მოციქული, რათა „სწრაფასა შინა არა მკონარ ვიყუნეთ“<sup>4</sup> 20 და მოწამეთათეს სიმაართლისათა აღვაესოთ ქებისსიტყუაობაჲ იგი, რომელიცა ვიზრახეთ.

„სამთა უკუე მოწამეთა განამართლეს ჭეშმარიტებაჲ ქუეყანასა ზედა“<sup>5</sup>, ვითარმედ „სულმან სახედ ტრედისა თავსა ზედა ძისასა დადგრომილმან“<sup>6</sup>, რომლისა მხილუელმან წინამორბედმან სიტყუსამან მსწამა ძისათეს, ვითარ-იგი მისდა ბრძანებულ იყო, ვითარმედ: „აჲ, ტარიგი ღმრთისა, აღმხველი ცოდუათა სოფლისათა“<sup>7</sup>. წყალმან სისხლსა თანა გარდამოსრულმან გუერდით საღმრთოთ, ვითარმედ არასადა ხილულ არს ერთისაგან წყლულისა გარდამოსლუჲა წყლისა სისხლსა თანა, გარნა ვინაჲთვან დაწყლული იგი 30 „არა ლიტონი კაცი არს, რომელმან გამოიკსნა ჩუენ, არამედ ღმერთ არს შეერთებული კორცთა თანა და ნიშნავს წყლისა სისხლსა თანა გარდამოსლუჲა ორთა არსებათა განკორციელებულისა სიტყუსათა“<sup>8</sup>. ხოლო სისხლი ახლისა აღთქმისა, რომელიცა არს ამისთეს, რათა „მჯგული უფლისა და განგონებანი მისნი მკერდთა

1 ზედათა B. 2 პატიოსნისა B.

\* შტრ. 1 პეტრ. 1,19. \*\* შტრ. კრომ. 12,11. 3° შტრ. 1 იოან. 5,7. 4° შტრ. მატ. 3,16. 5° იოან. 1,29. 6° პროკლე კოსტანტინეპოლელისა ქრისტეს შობისათეს.

ზედა გულთა შემწყნარებელთასა დაიწერნეს<sup>3\*</sup>, რომელმანცა მიქსნეს ჩუენ „მამათა ამოაღსა მისგან მოცემულისა სულისა“<sup>4\*</sup> და რომელმანცა „განჰსწმიდნეს გონებანი მორწმუნეთანი მკუდართაგან საქმეთა მსახურებად ღმრთისა ცხოველისა“<sup>5\*</sup>.

/ამთ ვიდრემე სამთაგან მოწამეთა ჭეშმარიტებისათა მოსრბა 5 V

კიდეთაგან ყოველთა ქუეყანისათა ერი, ერთისაგან ჰაზრისა ურთიერთას<sup>1</sup> ზიარებად მოსრული „ერთისა ქუეშე უღლისა მწყისად“<sup>4\*</sup>, ერთ სამწყსოქმნილი ერთისა მწყემსისა კეთილისა. ხოლო სამნი იგი მოწამენი ჭეშმარიტებისანი და ამით განმართლებული იგი ჭეშმარიტებამ და მის გამო შემოკრებულთა სიმრავლეთა შემკრები ერთ სამწყსოდ ჰაზრი წმიდაა განმართლა ქრისტეს-

10

თუს ვნებულთა ჭეშმარიტებისა წამებამან და სისხლმან მათმან ჭეშმარიტებისათუს დათხელმან, რომლითა აღთქმამ ახალი გულთა შინა მორწმუნეთასა შთაწერილი აღუშლელად ეგების, რომლითა ერთი წმიდა კათოლიკე ეკლესიამ საფუძქველსა ზედა წმიდისა 15  
სარწმუნოებისასა აღიშენების, რათა „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას“<sup>5\*</sup>, რომლითა ქადაგებამ სახარებისა წარემართების, რომლითა ამპარტაყანი იგი მოქადულებამ გუელისა დაიმკობს და ქრისტე იდიდების.

15

ჭეშმარიტად ყოვლად წმიდისადმი ვნებისა მათისა სურვილი 20

სასოებითა არაგრძნობადისა რამემსაგანისათა არს მით, რომელ ყოვლად წმიდისა მის ვნებისა მათისა კმამ მიზეზი არა გრძნობითა საცნაურ ჩუენდა იქმნა, არამედ სავისითა გამოხატუთა და კმათა განგრძელებულითა განჰსჯითა წმიდისაგან გულისხმის-ყოფისა, რომელიცა დაურღუეველითა აღმოჩინებითა მტკიცედ დაიმტკიცე-

25

ბის, გინა ჭეშმარიტად (თქმული იგი კმამ მიზეზი) არს ღირს ღმრთისა ხელუათა იგივეებისა, /რომელიცა ბუნებითითაცა კაცმუე-

263

ნიერებით სარკეებითა იგავებითითა გამოისახეს, მაგალ (!) ყოველი წარტივი გულისხმის-ყოფითა ოდენ საცნაური შეუძლებელ არს, რათა ლექსთა ძლითმან ნივთიერებისა სულსა შინა წარმოდგომამან 30

30

არა გამოხატოსმცა და მებრ ბუნებისა სიმარტივისა თუსისა წარმოდგესმცა სულსა შინა. ესე არს კაცმუენიერებით იგავებითი იგი გამოსახუამ, ვინა, ვითარ-იგი არს კმამ მიზეზი დასარულებითი, ეგსახედ ყოველი მისდამი განლუქებამ სულისა, რომლისა საშუალი კაცმუენიერებითა იგავებითითა გამოისახეს სარკეებითა, 35

35

1 ურთიერთარს B.

\* შღრ. იერემ. 31,33. \*\* 1 პეტრე 1,18. 3\* შღრ. ებრ. 9,14. 4\* შღრ. ოან. 10,16. 5\* მატ. 16,18.



რამეთუ კაცობრივითა სამჭევრმეთქვომთა<sup>1</sup> უხუ და შუენიერ მკობილითა სიტყურთა ანუ კმითა გამოღებულთა და მოსილითა და ანუ წერისა მიერ სხეულ-კმნითა უნივთომსა სიტყუსათა აღმოიჩინებდს.

- ეკა, სურვილისა მის გამოუთქმელისა აღტყინებამ, რომელი 5 არაგრძნობითთა რამეთა სახეობითა დაისახვის ანუ იცნობუს მით, რომელ თუ სადამე იყოსმკა გრძნობადთაგანისა რამსამე სახე, რაოდენცა აღატყდეს ალი სიმაღლედ, დაშრეტად შესაძლებელ არს. პირუელად ჰქონან მითნი შერევენილთა გამოხატუათა და შემდგომად წინაგანჰსჯილნი გრძნობადნივე, მეორედ ნიშანნი გონიე-
- 10 რებითთა საქმეთაგან უცხონი, მესამედ თუ სადამე ქუემღებარეთა იწადონმცა, ადულ შემძლებელ არიან დაშრეტად აღისა ამისა, რამეთუ შეეწევის ღმერთი, მაგრა ალი იგი სულთა შორის ქრისტეს მოყუარეთასა აღტე/ხილი, რომელიცა სარწმუნოებამან უფლისა მიმართ და მისდავე სასოებამან და<sup>2</sup> მისთვისე ყოველთა ქუეყნიერთა-
- 15 განთა ვნებულმოყუარებათა გარემიქცევამან აღატყინეს, რამეთუ ალი იგი სურვილისა დაზეებული ყოველთა ზედა გრძნობადთა თქმულთა მათ ნივთთა აღატყინეს, რომლისათუს რაოდენიცა ჰპოვა გარემო თუსა აღმან მან მყოფნი ნივთნი, დაწუნა, ესე იგი ბაბილონური ყოველნი გულისსიტყუანი, რომელნიცა წინააღუდგებინ აბრაამიანებრთა წმიდათა მოგონებათა, ეინა დაშრეტად შეუძლებელ არს, რამეთუ „მიფენად ამისდა მოვილა“<sup>3</sup> სიტყუაჲ ქემშარტი.
- 20 ეკა, სურვილი ყოველთა ქუეშეურთაგან რამეთა დასახუად შეუძლებელი, რომელი სურაფიმთა შორის უპირველეს ყოველთასა აღატყდა განმაჯურუებელად და სიბრძნისა განფენად ზედწოდებულთა და მესამედმდე მოჰსწუთა ნათლად; და მესამე ესე ნათელი ნათელთა მეორეთა შორის უსაშუალოთა, რომელნი ქუეშეთა თუსთა განაჯურუებენ ალითა მით და განჯურუებულთა განჯურუების გამო მიჰფენენ სიბრძნესა, ეზიარა მათ, რამეთუ ალითა მით მის შორის აღტყინებულთა მიეფენა სიბრძნეცა, რომლითა ღმრთისა
- 30 მიერ „სიბრძნისა განცოფებულისა“<sup>4</sup> მოყუარეთა აღმოიჩინებანი დაარღუნეს და ესგუართავე რიტორთა კელყოფანი და განჯრცომანი უშუერ და ამოჲ ჰყუეს, ოდეს-იგი „წარდგეს წინაშე მთავართა და კელმწიფეთა“<sup>5</sup>. პირუელ უზრუნუელნი სიტყუსაგებანი ეგსახედ
- 264 /დადქუანი იგი მძუნუარენი ძუალთა და ძარღუთა, მუსკულთა და
- 35 ტუნთანი და საკმილისა მრავალწილ აღტყინებულისა ალთა მფოფი-

<sup>1</sup> სამჭევრმეთქოითა A. <sup>2</sup> და — A.

• შტ. მატ. 10,34. •• შტ. 1 კორ. 1,20. <sup>3</sup>• შტ. ლუკა 21,12.

ნარებამ, განდნობილთა ტყუევათა და ბრპენთა და მღუღარებამ ზეთი-  
საცა, საზაროთა ურმისთუალთა მახვლებითა სავსეთა მიმოქცევამ,  
კბილნი და ბრჭალნი საშინელთა მკეცთანი, კურონი და ცხედარნი  
და ლანძუნნი და მარწუხნი და სიავნი და შამფურნი და ბარნი და  
საჯნი და ჯაჭუნი რუალისა და რკინისანი ცეცხლითა მოტყინარე- 5  
ნი, პელელონი ზღუურნი, კაპანთა და მთხრებლთა სიღრმენი განუც-  
დელნი, დილეგნი წყუდიადითა საესენი და ცოცხლივ საფლავნი, სა-  
გუემელნი, შანთნი ბრპენისანი და მათრაკნი, ძარღუნი ზროხისანი  
უზელელნი, კმელნი მახვლნი და აფთნი, იაეარ-ქმნანი და ექსორიო-  
ბანი, შებორკილებანი, კრულებანი და კიცხეანი მიიღეს სიხარუ- 10  
ლით, დათრგუნენეს ესენი და ვერ დამაბრკოლებელ შესულად დი-  
დებასა შინა ქრისტესსა ექმნაყე. ხოლო აღთქმანი დიდ-დიდთა დი-  
დებათანი, მშობელნი, მეულენი, შელნი და თანშობილნი და  
ცრუმლნი ამათნი განყოფისათუს, ეგსახედ მეგობარნი და მამულნი  
და ყოველივე, რამცალა არს მსოფლიო, ვერარამე ექმნა წინააღმ- 15  
დგომ მტკიცედ მდგომარეობასა მას კლდესა ზედა ჭეშმარიტისა  
სარწმუნოებისა მათისასა და ვერცალა მიეახლა, რათა შეაშფოთამ-  
ცა მცირედ მყუდროებამ სულისა მათისა.

განალა უწინარეს წარდგომისა, და უდიდესი ვჰს/თქუა, მიე- 17  
რით, ოღეს-იგი შეიწყნარეს ცეცხლი საღმრთოდ ტრფიალებისა 20  
სულთა შინა, ნიადგ მზა იყუნეს მიცემად ცეცხლისად, რკინათად  
და რუალთად, მკეცთად, ურმისთუალთად, უფსკრულთად, მთხრებ-  
ლთად, კაპანთად, კრულებათად, პყრობილებათად და სხუად ესრეთ,  
ვითარმედ მათგანნი სიყუარულისა ძლით დაწყლულნი იტყოდინ  
ქმათა საწინასწარმეტყუელოთა და სამოციქულოთა, რამეთუ რომე- 25  
ლიმე მათი იტყოდა: „ღმერთო, ღმერთო ჩემო, შენდამი აღვიმს-  
თობ, მსწყურიან! შენდამი სულსა ჩემსა, რაოდენჯერმე არს კორცი  
ესე ჩემი ქუეყანასა ამას შინა უდაბნოსა უგზოსა და ურწყულსა“<sup>1</sup>,  
სხუა — „მე შძინავს და გული ჩემი მღძმარე არს“<sup>2</sup>; სხუა —  
„ამიერითგან შრომასა ნურეინ შემამთხუევენ მე, რამეთუ საწერ- 30  
ტელნი უფლისა იესუსნი კორცთა შინა ჩემთა მიტურთავენ“<sup>3</sup>; რო-  
მელიმე — „გული მეტყვს განსულად და ქრისტეს თანა ყოფად  
უფროს და უმჯობეს ფრიად“<sup>4</sup>; სხუამ — „მე უკუე მარადის  
სიკუდილი უფლისა იესუსი კორცთა შინა ჩემთა მიტურთავენ, რა-  
თა ცხოვრებამცა იესუსი კორცთა ამათ შინა ჩემთა განცხად- 35

1 მწყურინ B.

2 ფსალ. 62,1. \*\* ქება 5,2. 3\* ვალატ. 6,17. 4\* ფილიპ. 1,23.

- ნეს“; სხუა — მე „ცხოველი ესე მარადის სიკუდილსა მიეცემა იესუსთვის, რათა ცხოვრებამაცა იგი იესუსი მოკუდაეთა ამათ კორცთა შინა ჩემთა გამოცხადნეს“<sup>3</sup>; რომელიმე — „მიგდევდა სული ჩემი შემდგომად შენსა“<sup>4</sup>; რომელიმე — „წინასწარ ვახედველ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის, რათა არა შევიძრა, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს“<sup>5</sup>. ხოლო ზოგად ყოველთა ერთი იყო პას-  
 265 რი<sup>1</sup> ყოვლად წმიდა, ერთი იყო სურვილი, ანუ „სიყუარული ძებ-  
 რი თვნიერ შიშისა“<sup>6</sup>, რამეთუ სრულებით მოიგეს იგი, ერთი იყო ნეტარება იგი ზეციერი, რომლისად გული უთქმიდა მათ, ერთი იყო  
 10 გვრგვნი მიღებადი სამარადისო უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, ერთი იყო ტანჯუაცა იგი საუკუნო ურჩთათს, რომლისაგან ძრწოლამან განარინა. ხოლო ყოველთად „ერთი უფალი, რომელსა ეზიარნეს ერთი სარწმუნოებამ, რომელიცა განუგმობელად დაიციუს სა-  
 ერთნი ნათლისღებამ“<sup>6</sup>, რომლითა შულებამ ღმრთისა არა მონა  
 15 პყუეს ეგსახედ ერთი „ხატებამ, რომელიცა წმიდად ენებათაგან მისცეს ღმერთსა“<sup>7</sup>, ხოლო მსგავსებამაცა საღმრთომ მართალთა და კეთილთა საქმეთა მოგებითა ღმრთისა მიერ მისათუალულ პყუეს.

- მოველით უკუე და შემოვკერბეთ ერთად ყოველნი ესე, რო-  
 20 მელნიცა ვართ ქრისტეს მოწაფე, და ეკლესიისა წმიდისა მესტო-  
 რიეთაგან ანუ რომელთაზე ჭეშმარიტთაგან ისტორიკოსთა კმნილნი წარვიკითხნეთ წერილნი ჭეშმარიტებისა მოწამეთათს, რომელთა შინა ვიხილნეთ კიდე იქსა საქადულეებანი ნათესავისათს კაცობ-  
 რივისა, საქმენი ყოვლად საკურუელნი, რამეთუ რომელი-იგი ბუ-  
 25 ნებამან ნებისაებრ შეცოდებულმან მიილო პატივი, რომელთა გან-  
 კუეთა კავშირთა და ნიეთთა თსდავე დაქსნამ ესე საშუალ ზი-  
 არებისა დიდებისა თანა საღმრთომსა იქმნა. აფსინდი იგი მწარეა  
 რისხსა ღმრთისა საშუალ სიტკბოებისა და კაცთმოყუარებისა მო-  
 ლებისა იქმნა, რამეთუ ამათ მიერ ენებანი და სიკუდილი იესუსი  
 30 ღმრთისა ჩემისა მონათაგან მიღებისა, რომლითა მიილო მან „სახე-  
 V ლი /უზესთაესი უფროს ყოველთა სახელთა“<sup>8</sup> ამათ მიერ, განუბ-  
 ნეველად პგიეს შეკრებულეებამ იგი პატიოსნითა სისხლითა მხო-  
 ლოდშობილისათა და ესე ერთსა შინა მხოლოობასა განუკუეთელად

<sup>1</sup> პრი A.

<sup>2</sup> 2 კორ. 4,10. <sup>3</sup> 2 კორ. 4,11. <sup>3</sup> ფსალ. 62,8. <sup>4</sup> ფსალ. 15,7. <sup>5</sup> შდრ. 1 იოან. 4,18. <sup>6</sup> შდრ. ეფეს. 4,5. <sup>7</sup> შდრ. შესაქმე 2,26. <sup>8</sup> ფილიპ. 2,10.

იკუების და რლუნანი განსაცდელთანი და „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან“\*.

ბორგანნ ეშმაკთა ძლით მძლავრა მსახურნი მათნი მარტულთა ზედა და მოაგონებნ კორცთა შემთხუევეად ესოდენტა და ესგუართა ტკივილისათუს სიკუდილშემოსილისა საშუალთა, რომელიცა სულ- 5 სა კორცთა თანა შეკრულსა უდიდეს ეძენებინ, მაგრა საშუალთა მათ მძენუარეთა ქმნილთა ეშმაკის მსახურთაგან მოწამენი კმეულ ჰყოფენ სურვილით საშუალად ძლევისმოყუარებით ზიარებისათუს ქრისტეს თანა.

ეჰა, კმევეამ გულისხმის-ყოფისა ანგელოსთაგანცა საქებელი 10 და ღმრთისა მიერ სუნად სუნენლად მითუალელი, ვითარმედ არს წარმოდგომამ სულსა შინა მართალთა და კეთილთა საესეღრე გამოხატუათა ყოველთა ქრისტესთუს ძლევისმოყუარებითთა მოსაგებელთა და საშუალთა, რომელნიცა ძლევისმოყუარეთაგან მოსაგებელთათუს იკმევიან, ზოლო განჰსჯიან განგრძელებით გამოხატულ- 15 სა მას და დაამტკიცებენ, ვითარმედ „ჩუენდა ცხოვრება ქრისტე არს და სიკუდილი შესაძინელ“\*\* ზოლო უკუჰსთქმენ განშორებასა ქრისტესგან გამომაჩენნი: „არცა სიკუდილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან /სოფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან და- 266 ბადებულმან შემძილეს ჩუენ განშორებად სიყუარულისაგან ღმრთისა, რომელ არს ქრისტეს იესუს მიერ უფლისა ჩუენისა“\*.

ეჰა, კმევეასა ბრძნებრ გნომისასა, ვითარმედ წარმოდგომილნი სულსა შინა „თუტცნობადნი იგი და საღმრთონი ტრფიალებანი“\*, რომელნიცა წმიდათაგან ქებულ არიან, და ქუეშეურნიცა ვნებულ- 25 მოყუარებანი კმევითა კეთილგონიერად განგებულისა სიბრძნისათა აღირჩევს უმჯობესსა და უხრწნელსა გებადობასა და მჰსწრაფლ ჰპოვებს უხუსა და შუენიერსა უბნობასა და ჰსწამებს ჰეშმარიტებასა და თუთ ნამდულ ჰეშმარიტებასა, რომლისათუს ეერდამთუნელნი ტირანნი უღმრთონი, საღმრთოჲსა ძლით განგებისა კორცთა 30 ზედა განხრწნადთა მოწყუედისა მკელმწიფებელნი, სიკუდილსა მძენუარესა შეუქმენ და ესრეთ „გულსმოდგინენი უძლეველნი სულნი“\* დაუბადებელსა სულსა შინა დაიდებიან.

ეჰა, კმევეამ ესე გონებისა, რამეთუ განზნილუელი ჰსცნობს მოკიდულებასა ნამდულ ჰეშმარიტებათა სისტემისასა არათუ ოდენ 35 მყოფთა ნამდულ ჰეშმარიტებათა, არამედ ყოფადთაცა, რომელნი სწოლასტიკოსისაგან ვისმე ძუელისა ესრეთ ითქუნეს მაგალითი,

\* მატ. 16,18. \*\* ფილიპ. 1,21. 3\* კრომ. 8,38-39. 4\* დიონისისა საღმრთოთა სახელოათუს. 5\* შდრ. მარკ. 14,38.

ოდეს-იგი ვსცნობთ, ვითარმედ „მკედართაგან დათმენასა თანა ბრძოლისა შინასა სახიერებისაებრ მეფისა ჰკიდულუბს უიჭვოდ ვილ-ლოცა“<sup>1</sup>.

- V ეკა, ფილოსოფოსობისა არსებასა ზედა დაზეებულ/ისა მოგე-
- 5 ბაჲ, რამეთუ სსცნობს ფილოსოფოსობით მიზეზსა ნივთთასა და არა მხოლოდ ნივთთა მათ, რომელნიცა არიან ანუ იქმნებიან, ზედუა ამისი ესე არს, ვითარმედ იცნის ნივთნი, „რომელნიცა ღმრთისა მიერ და ღმრთისათჳს შეიქმნნეს“<sup>2</sup>, ესე იგი შემოქმედლისაგან მიზეზისა და მისასრულებითისათჳს მიზეზისა, რომელსა სახიერებისა მიუწ-
- 10 თომელისა, ვინა მეცნიერებით დაბადებულსა მიზეზსა წინაპატიუ-სსცემს დაბადებულისაგან და ღმრთისა სოფლისაგან.
- ვინამცა კერბთა მონებისაგან განერჩეს, რომელიცა უფუნურებაჲმან და ღმრთისა მიმართ უმეტერებაჲმან ჰქმნა ესე კაცთა შორის და კაცთა მიერ, „რამეთუ (ოდესმე) მწართარე ტირილითა მგლო-
- 15 ვარემან მამამან მსსწრაფლ წარტაცებულისა შულისა ხატი შეჰქმნა, რომლისასა მაშინ მომკულდრისა კაცისასა, აწ ვითარცა ღმრთისა პატიუ-სსცა და მიჰსცა კელთა შინა საიდუმლოჲ და მსხუერპლი“<sup>3</sup>. და ანუ დაბადებულსა რომელსამე წინაპატიუ-სსცემენ ვიეთნიმე უფროს ღმრთის ცნობისასა, რომლისათჳს ჰთქუეს ვიეთ-
- 20 მე მამათა, ვითარმედ „ესეგუარჩიო არარადმეთა განყოფილან კერბთმსახურთაგან“<sup>4</sup>. ხოლო დაბადებულისა წინაპატივისცემა უფროს ღმრთისა არს, ვითარმედ თუ სადამე ქუეყანიერთაგანისა რაჲსამე მიმართ აქუნდეს ვის ვნებულმოყუარებაჲ ძლეულსა მონა-ქმნით, კერბთმსახურება არს ესე, „რამეთუ რომლისაგანცა ძლეულ
- 25 არნ, მისდაცა დამონებულ არნ“<sup>5</sup> მეგრ კმისა სამოციქულოისა.
- 267 ხოლო სადაცა მონებაჲ, მუნ მსა/ხურებაჲცა უიჭვოდ და ამისგან განარინნეს ჰეშმარითა ფილოსოფოსთა თაენი თჳსნი, რამეთუ იცნნეს შემოქმედი იგი მიზეზი ნივთთა და თუთ ქმნილიცა მისგან ნივთნი და ესთა კმევეითა უაზნაურესთა სულისა ძალათა დაბადე-
- 30 ბელისა ცნობასა წინაპატიუ-სსცეს მის მიერ ქმნილთაგან.
- მე უკუე პოლიტიკოსთა ამათ კეთილგონიერებისა ესეგუართა კმევისა მიმართ ქებად აღვიტაცე, რამეთუ იძულებულ მყო ჰეშმარითმან მან ფილოსოფოსობამან მათმან მათისა მიმართ თეორეტიკოსობისად ვალობად ამაღ, ვითარმედ წინადადებაჲ ესე (ვითარე-
- 35 ბისაებრ უკუთქმითი) შთასწერნეს ფიცართა შინა<sup>2</sup> გულთა თჳსთა-

<sup>1</sup> რომლისაგან A. <sup>2</sup> შინა] ზედა A.

<sup>3</sup> ციკრონ თჳს მიერ, თავი 2. <sup>4</sup> შღრ. ებრ. 2,10. <sup>5</sup> სობრძ. 14,15. <sup>6</sup> მკედართაგან, ითიკა თეოლოლია, ასეული 1, რიცხუ. 5\* 2 პეტრე 2,19.

თა კალმითა სულისა ცხოველსმყოფელისათა. „არა საქმეთაგან ვანმართლებდის კაცი, არამედ სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა“<sup>1</sup>. კუალად ვიძულედი პრაქტიკოსობისად მათისა ქებად, რამეთუ პირველსა მას წინადადებასა თანა შთაწერილსა ფიცართა შინა ყოვლად წმიდათა გულთა მათთასა შთაწერილ<sup>2</sup> მყუეს ესეცა, 5 ვითარმედ „არა ამღებელი კუარისა ქრისტესისა და შედგომილი მისდა არა არს ღირს მისდა“<sup>3</sup>.

ესე უკუე თქმულნი შეიწყნარნეს თესლნი მოწამეთა კეთილთა მათ ქუეყანათა, მოერქუნილთა სამოციქულომთა ენებითა, და მსუეს პრაველგზის მათ ზედა მოსარული წუმაჲ<sup>4</sup>, რომელნიცა ღრუბელ- 10 მან უსხეულომან წმიდამან გულისხმის-ყოფამან მათმან შეიწყნარა სულისაგან წმიდისა /ურიცხუნი იგი ცუარნი საღმრთომასა მეცნიე- 15 რებმისანი, ხოლო „გამოილო მწუანვილი სარგებელი ჩუენთეს, რომელთათეს სარგებელ იქმნა და ამისთეს გუნდმან მარტულთამან მიილო კურთხევაჲ ღმრთისა მიერ“<sup>4</sup>.

ავჰებეს გუნდსა ამას ერთად შეკრებულსა ანუ სირსა თხზულსა მრავალთა წევრთაგან ერთი ესე, მოჰსრბად ღუთიუ აღძრული სპარა- 20 ზნობამიუდრეკელი დასი, ღუთიუ მწყობარე სინტაქსი, ღუთიუ მოქსოვილი ქართუელთაგანნივე ნიეთნი მრავალფასნი, კმეულნი სობრძნისაგან ღმერთმთავრისა ერთად სამოსლად ქსოვილ ეკკლესი- 25 სიისა ჩუენისა, საღებავნი იგი მსჯულთანი, რამეთუ მსჯული სპეტაკი სიწმიდისა კორცთასა შეღებეს პორფირად სისხლითა ენები- სათა.

ესე სპეკალნი სხუადასხუანი, მკურუალნი ილექტროსფერებრ და ალისებრ, იისფერ, მწუანედ, ლურჯ, მეწამულ, სპეტაკ, ცისფერ 25 და სხუადასხუაფერად შემოკრებების კელითა ყოვლისა შემძლებელითა, რათა იქმნენ ერთ განუკუეთელ ღიაღიმა ეკკლესიისა ქართუელთასა.

ეჰა, მაკრთობელობამ ელუათა სპეკალთა ამათ და მიმზიდუე- 30 ლობამ თესდა, ეჰა, შემძრუელობამ მიპრომას<sup>1</sup> მის სხუათა და სხუათაგან ნიეთთა კეთილთა ზაეებულისა, რამეთუ აკრთობს სიწმიდისა და კრძალულებისაგან მადლითსა მას ელუასა თუალთშეუ- 35 დგამსა, რომელიცა კუმმარიტმან აღსარებისა კეთილმსახურებისა წამებამან ანიჰნა, მიმზი/ღუელობს თესდა, რამეთუ სურვილი იგი მათ შორის მყოფი მსჩანს რა საქმეთაგან, მიიზიდაეს ბაძუად მათი- 35

<sup>1</sup> შიროსა B.

<sup>2</sup> შტრ. გალატ. 2,16. <sup>3</sup> შტრ. მატთ. 10,38. <sup>3</sup> შტრ. ებრ. 6,7. <sup>4</sup> შტრ. ებრ. 6,7.

სა ქრისტესმოყუარებითისა ვნებისად. ხოლო კადნიერებაჲ მათი მძლავრთა მიმართ და დიდსულობანი ტანჯუათა შინა მძნუარეთა და ძლევანი კორცთა ზედა სოფლისა და ეშმაკისა შეჰსძრავს გონებასა მორწმუნესა, რამეთუ განაცუფრებს და რამეთუ განაერთობს

5 უზესთაჲს კორცთა ყოფითა თუსთა.  
აჲა უკუე სათანადო ჩუენდა არა ფრიად განგრძელებად სიტყუად და რათა თქმადთა გულუებადთათუს მოეციალოთ.

ბაგრატ მეექუსისა ზე, ნათესავით ბაგრატოეანისასა, ძისწული-  
10 ცა მონარხოზით მართუდა ყოველსა ივერიასა, ესე იგი აფსაზეთსა და საქართუელოსა (რომელიცა ბაგრატ დიდად ზედწოდებულ ჰყო საქმებან), იყო კელი უფლისა შეხებულ შურისძიებად ჩუენ ზედა ცოდუათათუს გუარითა ესევეითარითა:

დემურ ვინმე სამარყანდელი, ნათესავით თურქი; შემკრები  
15 მკედრობისა და ვანმკედრებული ინდიად, ჩინიად, სპარსეთად, ხალ-  
დუად, სირიად, ერმანიად და ვიდრე პროპონტოდმდე კინლა გან-  
მაგრძელებელი მკედრობისა, არამცირედ ჰბორგდა ქრისტეანეთა ზედა. ხოლო ცოდუათა და ბორტისმარჯუეთათუს ჩუენთა ექუს-  
V გზის მიილო ქართლმან ვნებამ მისგან მახვლისა მიერ ტყუე/ობისა  
20 და ცეცხლისა და შენობითთა საფუძუელთა აღმოყრისა.

დემურ, გარემოდგომილმან ტფილისს, შეაწყუდია მეფემ ცი-  
ხესა შინა და გარე ჰქმნა პატნეზნი და კელოენებითა გამოილო ცი-  
ხემ და დიდებულებამ მეფეთა მივიდა ტყუეობად და აღაოკრა  
თქმულსაებრ ქართლი. და უკუნქცეული მივიდა შირვანად, რო-  
25 მელა ნაწილი რომელიმე მიდიისა, და თანა ჰყუა პყრობილად ბაგ-  
რატცა მეფე დედოფლითურთ, რომელნიცა დატევებად ქრისტეს  
ღმრთისა იძულებოდენ მძლავრისა მისგან და, თუ სადამე ერჩდენ  
ბრძანებასა მას, ვანტევებასა მმეფობთაჲ მთავართა თანა და ყო-  
ველთა ტყუეთა აღთქმისასა სახითა ჰეშმარიტებისათა მიცემასა  
30 მიიღებდენ. ხოლო წუეეამ ესე უღმრთოებისა და აღთქმამ მეფო-  
ბით უკუნქცევისა დემურისგან! ბაგრატის მიმართ განმრავლდებო-  
და, განაღა ბაგრატ მიუდრეკელად ჰსცუდა არაგარდაქცევად ჰეშ-  
მარიტებისაგან თაესა თუსსა დროდმდე რაოდენ.

შემდგომად ამისა ბაგრატ, უღონოქმნილი ყოვლისაგან კაცობ-  
35 რივისა შეწუენისა ვიდრე საკუდილადმდე განგრძელებულისა,  
ღმრთისა მიმართ სარწმუნოებისაგან სათანადოჲსა მოაკლდა და  
ღმრთისა მიმართ სასოებაჲ აღდგა მისაგან, რომლითა დონემ საგი-  
ობელი მოიქელოენა, და მკდემის თქმად, თუ რამემ უგუნურებამ

1 დემურისაგან A

შეამთხვა კეთილმსახურსა დიდგონიერებასა თქსსა, რომლითა მძლავრი შეტყუილითა ამით ბოროტითა მოიმაღლა და დემურისაგან /სწორად თავისა თვისისა პატივცემული, თავისუფლად დედოფლისა თანა და მთავართა თვსთა და ყოველთა ტყუეთა, ქართლად უკუნ-იქცა. 269 5

ბაგრატს თხოვისაებრ დემურ თანაწარსცა ძალი, სპამ ათორმეტი ათას მკვდარი, რეცა ყოვლისა სამეფოჲსა ბაგრატიისა მახმედლიანყოფისა შეწევნად, რომელნიცა ბაგრატი მისრულმან ხუნანს და გიორგის მიმართ, ძისა თქსისა, მიმწერელმან და ლაშქრითა არამცირედითა იდუმალ მომწოდებელმან აღსწყვდნა ყოველნი<sup>1</sup> მახვ- 10

ლითა ერთისაცა ბარბაროსთაგანისა განურჩებელად. დემურლანგ<sup>(\*)</sup> უწყებაჲმან ლაშქართა აღსაპობისაჲმან და ესრეთ შეტყუილით კელთაგან მისთა ბაგრატიის განრჩებაჲმან აღაბოროტა და ჩუენ ზედა განმკედრებად აღძრა<sup>2</sup>. ვინაჲცა<sup>3</sup> მოვიდა რანად<sup>4</sup>, რომელსა ესრეთ ზედწოდებულ ვკყოფთ ჩუენ, რომელიცა სპარსთა 15 მიერ ყარაბად იხედწოდების, და მოსრულმან ბარდაეს დაჰყარნა მუნ მძიმენი ჩიეთნი და ქართლად სუბუქითა სპითა ბრძოლად და შურისძიებად ბაგრატიისად იმკედრა.

მაშინ მეფესა ბაგრატს, განჴაბუკებულსა თურქთა ზედა, ციხენი ტფილისისა და კალისისანი მოწყუელითა თურქთათა დაეპყრ- 20 ნეს და განემაგრნეს და ეგსაზედ სხუანიცა სიმაგრენი ქართლისა და კახეთისანი. ამით შინა ბაგრატს ყოვლითა სპითა იმერ-ამერთა, მესხითა, გურიულ-ოდიშართა, აფხაზითა და პერ-კახითა /დაეზანაკა მარტყოფით პაეჴალადმდე (ესრეთ ჰსწერს ვახუშტი). და ჰგონებდა მეფე ბაგრატი მოსულასა დემურისსა და გარემოდგომასა 25 ტფილისისასა<sup>5</sup>, მაგრა დემურ-ლანგ პირისპირ ბანაკისა ბაგრატიისა მისრულმან ბრძოლაჲსა ვყო ძლიერად, რომელიცა პირველსა შინა ატაკსა სიძენისაგან ქართულთაჲსა იძლია.

მხილულელმან თავისა თვისისა ძლევისაჲმან დემურ სხუათა ლაშქართა უომრად მდგომარეთა თანა მოსრულმან წინაძღუანუჲდ მათი 30 მოიკვლოვნა და ახლითა სპითა მაშურალთა სპათა ზედა ბაგრატიისთა აღადგინა ბრძოლაჲსა სასტიკი, რომლითა ქართუელნი ვლტოლუად დაჰჭირუა მეფითურთ და ესთა მიილო ძლეუჲდ წინამჴსრბოლი მოკრებისა ჩუენისა.

მეფე ვლტოლეილი სიმაგრედ მიისწრაფდა დანაშითთ სპითურთ, რამეთუ უმრავლესნი სპათაგანნი პირუელსა და მეორესა 35

<sup>1</sup> ყოველნი — A. <sup>2</sup> აღძრა B. <sup>3</sup> ვინაჲცა] და B. <sup>4</sup> რანად] მოვაკანად B. <sup>5</sup> ტფილისისა A.  
(\*) კოკლ-ყოფისათჳს დემურლანგ ეწოდებოდა მძლავრსა მას.



- შინა ბრძოლასა შემუსრვილ იყუნეს. ხოლო ბარბაროსნი მოოკრებად ქართლისა განეფინნეს. და რამელა დაშთა ენებაა, რომელი არა მიილო მაშინ ქართლმან, რამეთუ წმიდანი ეკკლესიანი და ყოველნი პალატნი ცეცხლითა და დარღუევითა აღისპნეს, მონასტერნი
- 5 მოიციცხლნეს ყოველნი და მონაზონნი და მოწესენი და ქალწულნი მახვლოსა მიმართ და ტყუეობისა მივიდეს. მაშინ მღუღელნი, დიაკონნი უწყალოდ მოიკლეოდეს და ჩინებულუება და პატრიოსნება ნათესავობით თუთოეული მივიდა უპატი/ვობად. დაპსცხრა ზედ-
- 270 მპაზრუელობაა სამოციქულო, იწუებოდნენ წერილნი სამღუღელონი, აღიჭრებოდა სამწყსომ ქრისტესი, შეიგინებოდენ სიწმიდენი და თუთ დიდიცა იგი ეკკლესიამ მცხეთისა, რომელ არს პირუელმდგომარე თრონოს სამოციქულო და კათოლიკე, შესაკრებელი ყოველთა ქართუელთა, მოიციცხლა და საფუძუელადმდე დარღუევიდა მივიდა. ეგსახედ ყოველნი პალატნი მისნი და ზღუდენი დაიქცეს
- 15 ყოველნი.
- ესე ყოველი რა ღირსად განაჩინნა ჩუენ ზედა ზეგარდამომან განგებამან და მივეცენით „ქელთა მიმართ მტერთა უმჯგულოთა, ფიცხელთა, განდგომილთა და მეფისა ცრუისათა და უუსჯულოესისა<sup>1</sup> უფროს ყოვლისა ქუეყანისა“ აჰად, ვითარმედ „ეპსკოდეთ და
- 20 ვიუსჯულოეთ განდგომილთა ღმრთისაგან, ეპსკოდეთ ყოველთა და მცნებანი მისნი არა ვისმინეთ, არცა დავიციუნით და არცა ვკყავთ, ვითარ-იგი მამცნო ჩუენ, რათა კეთილი იქმნეს ჩუენდა“<sup>2</sup>.
- განპრყუნეს უკუე ბარბაროსთა შუენიერება იგი ტფილისისა და ნისანისა და კალისისა და ქალაქნი და სოფელნი ქართლისანი
- 25 დაპსწუნეს და უფროლა წმიდანი ეკკლესიანი და დაარღუნეს და ესრეთ მარბიელობით მოსრულნი შეუხდეს მონასტერსა ყოველად შუენიერსა დედისა ღმრთისაჲსა ქუაბთაჲკეს.
- ძუელი უკუე მატთანე ჩუენი მოუთხრობს, ვითარმედ, ოდეს ტყუე იქმნა ბაგრატ დიდი ცოლითურთ და მთავართა ტყუეობად
- 30 წარსულ იყო /შირვანად და ესრეთ უკუნ-იქცა ქართლით დემურ ძლევის მიღებით, დაუტევაო სპასალარი ვინმე სპითა უჰამრავითა და უბრძანა მოოხრებად ყოველი ქართლი მახვლითა, ტყუეობითა და ცეცხლითა და უფროსლა დაწუად წმიდანი ეკკლესიანი. ხოლო ბრძანებულისაებრ ჰყუეს ყოველი უმჯგულოთა მათ და თუთ დი-
- 35 დიცა ეკკლესიამ მცხეთისა დაწუეს და დაარღუნეს და ყოველნი პალატნი და ზღუდენი მისნი და განპრყუნეს ესთავე ქალაქიცა ტფი-

<sup>1</sup> უსჯულოესისა A.

\* დანილ 3,32. \*\* დანილ 3,29-30.

ლისი. ხოლო მონასტერსა შინა დედისა ღმრთისასა ქუაბთაქვეს სიმრავლე იგი ღუაწლისა მძლეთა დაქსწუეს ქრისტეს მარტულთა ეკკლესიასა შინა. და გერმულა ჩაელეს შორის კახეთისა და გებრი-თავე მოოკრებითა, დაწუთა, ტყუეობითა და წმიდათა ეკკლესიათა დაწუთა და მახვლითა და აღაოკრეს იგიცა. მაგრა, ჰსწერს ვახუშტი, 5  
 თქმულთა ამათ შემდგომად—ბაგრატი დიდისა ტყუეობით მოქცევისა და აღწყუედისა ლაშქართა დემურისთა—იძლია ბაგრატი თურქთაგან მეორედ მოსრულთა, განაღა ესე ყოველი იქმნა ბრძანებითა უღმრ-თოისა დემურ თურქისათა სპათაგან, რამეთუ ექუსგზის შემსრულ-მან სამეფოსა ქართლისასა კქმნა ყოველი შემუსრულა ჩუენი. 10

მოსრულთა თქმულსა მას მონასტერსა ზედა ყოვლად უღმრ-თოთა და უშეაცროთა ბარბაროსთა დაეკუეთა მონასტერი საესევი შეელტოლვილთაგან ფრიალ მრავალთა, რომელთაგანნი იყუნეს გარემო მახლობელთა მონასტერთაგანნი მონაზონნი /მრავალნი, მა- 271  
 მანი და დედანი აზნაურთაგანნი და მლუდელნი და დიაკონნი და 15  
 თუთ მონასტრისა მის ძმანი. ხოლო ერისკაცთაცა სიმრავლე სო-ფელთაგან მახლობელთა იყო არამცირეჲ, კუალად იტყვან გლახაკ-თაცა სიმრავლისა-ყოფისა შელტოლვილთასა მონასტერსა მას შინა.

შესრულთა ბარბაროსთა წარმოსტყუენეს<sup>1</sup> მონასტერი იგი ყოვლითურთ და სიწმიდეთა საკირონი და საქმარნი განიტაცნეს 20  
 კურჭელნი და გამოიღეს სიმღიღრეჲ მონასტრისა საუნჯეთა არა-მცირედი, რამეთუ ფრიალ მღიღარ იყო მონასტერი იგი და ეგსახუდ მუნ შელტოლვილთაცა განიტაცნეს ყოველნი ნიეთნი. ხოლო მხი-ლულეთა მუნ მყოფთა მოხუცებულთა და უძლურთა, რომელთად შეუძლებელ იყო სლუჲ ტყუეობასა შინა, კქმნეს მახვლითა აღს- 25  
 პობაჲ ყოველთა.

შესრულთა უღმრთოთა მარბიელთა „სამკვდრებელსა ღმრთი-სასა შეაგინეს ტაძარი იგი წმიდამ ღმრთისა“<sup>2</sup> დამღებულთა მისთა, ვითარცა ხილისსაცავეისათა. ამათ უკუე განაშიშულნეს მახვლნი, კეფდეს უწყალოდ ვენაქსა მას სიტყუერსა ანუ ხილნარსა მტილისა 30  
 ღმრთისასა და დასხეს მძორები მონათა ღმრთისათა საქმელად მფრინვეულთა ცისათა და კორცნი წმიდათანი მკეტთა ქუეყანისა-თა“<sup>3</sup>. აღამაღლნეს ყოვლად ბილწნი იგი კელნი მათნი, „ღამასთხიეს სისხლი წმიდათა, ვითარცა წყალი შინაგან და გარემო სიწმიდისა ღმრთისა და არაეინ იყო მფლუელ /მათლა“<sup>3</sup>. ეამ, ეამ, ძვრნილუ- 35  
 ლებისა ჩუენისა მაშინდელისა, ვითარმედ „ვიქმნენით საყუედრულ

1 წარმოსტყუენეს B.

\* ფსალ. 78,1. \*\* ფსალ. 78,2. 3° შდრ. ფსალ. 78,3.

მოდმეთა ჩუნთა და საცინელ და საციცელ გარემოსთა ჩუნთა<sup>1</sup>. „ცოდუა<sup>1</sup> ეკცოდეთ, ამითუს საყუედრელ ეიქმენით“<sup>2</sup>, რომლისათუს „სუბუქ მდეგარნი ჩუნნი უფროს არწივთა ცისათა“<sup>3</sup>.

ოღეს მოიცალეს ბარბაროსთა და უფროსლა დაქმურენ კლე-  
 5 საგან და ივარ-ქმნისა და შეკრვისა ტყუეთასა, უქმნეს კიცხევათ  
 წმიდათა ღმრთისათა, კაცთა სამღუდლოთა, კრძალულთა მათ მონაზონთა ქალწულთა და მოწესეთა, რამეთუ შეახხნეს საყდარნი რამენი და აწესს ხლდომად და როკუად, რომლითა სიცოლისა უწესოასა პპოვეს მიხეზი; და განცხრომად იყო მათდა და შეუბად  
 10 კიცხევათ იგი წმიდათა.  
 ამას შინა ბარბაროსნი ქრისტეანეთა უძლებებით შურისძიებითითა რა „აღმოროხთა განძლომილ იქმნეს და გულნი მათნი აღიზუაენეს“<sup>4</sup> „და მეცნიერებასა ზედა ღმრთისასა აღმალღეს“<sup>5</sup>, აღმოთქუეს ტყუეთად განჩინებათ უღმრთოებითი, ვი-  
 15 თარ-იგი ბრძანებულ იყო მათდა უღმრთოასაგან მეფისა მათისა დემურ თურქისა, ვითარმედ: „ყოველთა ანუ უარპყავით ქრისტეა და ანუ შეკრულნი შეგიყუანნეთ შინაგან ეკლესიისა თქუენისა და ვქმნათ<sup>2</sup> მოზნუაა შეშისა კმა და დაგწუნეთ“. ხოლო ჰიტყუათა ამით დაამტიციებდიან მფუცუელნი სახელისა მათგან ღმრთად  
 272 20 ოცნებულისა ეშმაკისა და ბილწისა მტყუარ მო/ციქულისა მათისანი.

მოუგებღეს ტყუენი: „ჩუნ უკუე მიცემულნი ჯელთა მიმართ თქუენთა ცოდუათათუს ჩუნთა, რომელნი ეკქმენით და განვარისხეთ შემოქმედი ჩუნნი და ღმერთი, და არათუ სიმართლეთათუს  
 25 თქუენთა ვესავთ, ვითარმედ განგუწმიდნეს პატივითა ამით დროებითითა და განგესუენეს უწელიწდოებითსა შინა საუკუნესა. არა-რამემლა ჩუნენდა დასაბრკოლებელ ფართოებათ გზისა ბქისა მიმართ შესულად ცხოვრებასა შინა საუკუნესა, რამეთუ მცირედლიდა აქლს მღებარე წინაშე ჩუნენსა უჭარბესისა მიმართ და გარდარეულისა  
 30 განსუენებისა დაიწუნ ვორცნი განხრწნადნი, დაიბძარენინ და განიგილენინ და დაიფქენცა, რათა ძლევისა ჯილდომ მოვილოთ უხრწნელი და წარუდინებელი. „ვერარამემან განმაშორნეს სიყუარულსა მას ქრისტესსა: ჳირმან ანუ იწროებამან, ლენამან ანუ სიყმილმან, შიშლოებამან ანუ ურუამან, ანუ მახვლმან“<sup>6</sup>. არარამემლა ჩუნენდა ღმრთისა მიმართ მისართუმელ დროსა ამას: „არცა მსხურ-

<sup>1</sup> ცოდუა A. 2 ეკქმნათ. B.

<sup>2</sup> ფსალ. 78,4. <sup>3</sup> გოდება 1,8. <sup>4</sup> ვოდება 4,19. <sup>5</sup> ოსე 13,6. <sup>6</sup> შდრ. 2 კორ. 10,5. <sup>6</sup> კრომ. 8,35.

პლი, არცა შენაწირავი, არცა საკმეველი, არცა ადგილი ნაყოფიერ-  
ებად წინაშე ღმრთისა და პოენად წყალობამ, არამედ სულისა მიერ  
შემუსრვილისა“\* დამბერვისა სიმდაბლისასა იქმენინ მსხუერპლი  
ხუენი წინაშე უფლისა დღეს და სრულ იქმენინ შემდგომად მისა,  
რამეთუ არა არს სირცხული მოსაეთა მისდამი“.

5

დააცხრუეს სიტყუანი კრულთა სიმართლისათეს, ხოლო აღა-  
ბორგნეს გონებანი ბარბაროსთანი მძნუარედ ესოდენ, ვითარმედ  
ვერ დამთმენულთაგან კანდიერებისა ამისთეს წმიდად<sup>1</sup> ეკლესიად  
მიითრე/ეოდეს, რათა წმიდასა წმიდათასა ტარიგნი იგი სიტყუერნი  
ღმრთთმთავრისა ტარიგისად შეიწირნეს. ხოლო იწყეს მოზუნუად  
შეშათა, მიყრად ბჭეთა და გარემო და შინაგან ეკლესიისა და ეს-  
რეთ შანთნი იგი ოქრომსანი მრავალრიცხუნი გამოცდად ბრძმედ-  
სა შეპყარნეს, დაღათუ შიშისათეს დააკლდეს მათგანნი გვრგვისა-  
გან, მაგრა ნაშთი იგი იქმნა „დაშთომილი იაკობისი ღმრთისა მი-  
მართ ძლიერისა“\*\*. საღმრთოა არს თქმამ ესე, ვითარმედ „უკეთუ  
იქმნასცა ერი ისრაილისა, ვითარცა ქეშა ზღუსა სიმრაველითა, ნემ-  
ტი მათი ცხოვნდეს, რამეთუ სიტყუამ შემასრულებელი და თანმკუ-  
ეთა სიმართლესა შინა, რამეთუ სიტყუამ თანშეკუეთებული პყოს  
უფალმან ძალთამან მკედროანსა შინა სრულსა“<sup>3</sup>.

V

10

15

მაშინ დაშთეს კრულთაგან მრავალნი შიშისაგან სიკუდილისა  
წარუტაცებელ იგინი, რომელთა შეიყუარეს<sup>2</sup> სრულებით ქრისტე  
და შიში იგი ვერ მიეახლა მათ მით, რამეთუ „შიში არა არს სიყუა-  
რულსა თანა, რამეთუ სრულმან სიყუარულმან გარე განჰსდევნის  
შიში“<sup>4</sup>. ესენი არიან, რომელნი-იგი მოყუასთა თუსთა შორის  
უფალმან „წინასწარ იცნნა და წინასწარცა განაჩინნა“<sup>5</sup>  
და გა-  
მოიჩინნა უწინარეს სოფლის დაბადებისა, რათა იყუნენ წმიდა  
და უბიწო წინაშე მისსა სიყუარულით“<sup>6</sup> საქებელად დიდებისა  
მადლოსა მისისა.

20

25

ეტყოდეს უკუე ჩინებულნი იგი რჩეულნი ჩინებულთა, დაღა-  
თუ მაგრა ნებისაებრ თუსისა არარჩეულთა: „მ, საწყალობელნო,  
რამ არს აღრჩევაჲ ესე უუგუნურესი, რამეთუ ნებსით განმცე/-  
მელნი თავთანი დააკლებთ თავთა თუსთა ქორწილისაგან სიძისა  
უკუდავისა. აჰა, განღებულ სასძლოა წინაშე ჩუენსა და ჩუენ გან-  
მზადებულნი თქუენ თანა შესულად. ერთითა ამით ჟამითა საუკუ-  
ნენი მოვიყიდნეთ, ცეცხლი დაცხრომადი შეეხინ ქორცთა აღლე-

30

273

35

1 წად AB. 2 შეიყუარეს A.

\* დანილ 3,39. \*\* ისაია 10,21. 3\* ზღრ. ისაია 10,22-23. 4\* 1 იოანე 4,18.

5\* პრომ. 8,29. 6\* ზღრ. ეფეს. 1,4.

ვად, რათა დაგებადი იგი ცეცხლი დადგეს ყოვლითურთისადმი შენებად საუკუნოდ, რომლითა „გმობაი შეექმნეს სახელისა ღმრთისა მტერთა ღმრთისათა“<sup>1</sup>.

- ხოლო კუალად მოყუასი მოყუასსა განამკნობდა და განყოფი-
- 5 თითა მოგონებითა საესითა არადადგომადისა სიცოცხლისათა წინა-დაუდებდა, დაგებადისა დაუბერებელისა და წარუდენისათა მიმართ აღლუსვიდა. ხოლო მიითრფოდეს რეცა ბარბაროსთაგან წმიდანი, მაგრა სიხარულით თანაჰყუებოდა თრეულთა კორცთა გულს-მოდგინებითა თვისითა განგებულთა სული. და იყო მაშინ პირთა
- 10 შინა მათთა ფსალმუნი ესრეთ მგალობელთა: „დაღათუ კდემულემა ჩუენი ჩუენ წინაშე არს და სირცხულმან პირისა ჩუენისამან დამფარანა ჩუენ კმისაგან მაყუედრებელისა და ძვრის-მეტყუელისა, პირისაგან მტერისა და მდევარისა, ესე ყოველი მოიწია ჩუენ ზედა და ჩუენ არა დაგივიწყეთ და არცა ვეცრუენით ჩუენ აღთქმასა შენსა
- 15 და არცა განჰსდგა მართლ-უკუნ გული ჩუენი... და შენთვის მოექსწყლდებით ჩუენ მარადლე და შევირაცხენით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კლუადნი“<sup>2</sup>.

- ▼ ხოლო იხილეს რა შინაგან წმიდასა ეკკლესიასა თავნი/ თხნი, კგალობდეს ნეტარნი იგი სულნი მათნი: „შევილე სახლსა შენსა,
- 20 თაყუანის-ეჰსცე ტაძარსა წმიდასა შენსა შიშითა შენითა, უფალო, მიძელუ მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათუს წარმართე! შენს წინაშე გზამ ჩემი“<sup>3</sup>.

- ეჰა, კრებამ ესე სამლუდელომ შორის ეკკლესიისა შეკრებულ-ლი, შეეკლესიე<sup>2</sup>, ცეცხლითა სიყუარულისა ყოვლისა გრძნობადთა-
- 25 განისა დაზეებულისათა განწმედილი. სარწმუნოებითა მიმცოვნე-ბულითა მტკიცექმნილი მოქსოვამ სირამსა ამის ნაწილოვანისა, რომლისაგანი თვთომ ბრწყინაეს უბრწყინულეს მზისა, განათლე-ბული შარაეანდელითა უზადომსა მზისათა. ეჰა, ბანაკი რჩეული, ერი ქრისტეს მოსახელე, ღმრთისა მიერ ქსნილი უკორცომააგან
- 30 ფარაომსა, რამეთუ „იმათ წინა-აღლდგეს რა ფარაოთურთ იანე და იამბრე, განიქიქნეს მოსეს მიერ“<sup>4</sup> და ამათ სჰამ მრავალრიცხუ წინა-აღლდგა რა, რათა არა ჰმსახურებდენ მხოლოსა ღმერთსა სამებასა შინა ცნობილსა, თვთ თავით ჰსძლეს და სირცხულეულ ჰყუნეს, ვითარმედ თუ სადამე ერთისაგან მშუდისა იძლეოდა მამა იგი

<sup>1</sup> წარმართე B. <sup>2</sup> შეეკლესიე B.

<sup>3</sup> შღრ. აპოკალ. 16,21. <sup>4</sup> ფსალ. 43,15-18,22 <sup>5</sup> ფსალ. 5,7-8. <sup>6</sup> შღრ 2 ტიმ. 3,8.

სიბოროტისა ფარაოს და იანეს და იამბრეს მიერ მბრძოლი ერისა რჩეულისა ეგიპტუს, ვითარ არა იძლიამცა ესოდენტა სიმრავლეთა ძე ღმრთისა ქმნილთაგან.

ვითარ-იგი მოსე და აპარონ ტყუილისა<sup>1</sup> დაადუმეს ნიშები, ეგსახედ შეკრებულმან სულითა ყოვლად წმიდითა, ერთგონიერებაჲმან აჲან ძმათაჲმან<sup>\*\*</sup> / განფიწლა სარცხნელი იგი საცთური თუსდა წინამდებარე, დამბრკოლებელი ღმრთისმსახურებისაგან. მუნ გრძნულთა კუერთხი, ვეშაბ საგონის ქმნილი, შეიჭამა კუერთხისაგან მოსესისა, რომელმანცა ვერ უძლო შეშინებად ღმრთისმსახურისა გონებისა, აქა ჯუარისაგან ქრისტესისა განქარდა ზედააღდგომილი საცთური ბარბაროსთა. 5 274 10

უპატიოსნეს შეკრებულებაჲ აქა ბრძმედსა შინა გამოცდად მრავალთა ამათ შანთთა ოქრომსათა ვიდრელა ხალდეას სამკუთხისა მის ოქრომსა შედებამ ბრძმედსა შინა, რამეთუ ისინი აჩრდილსა-შინამსა წერილთა სჯულისა შეუძრუელ დაცუამან საკურუელ ჰყუნა, ესენი ჭეშმარიტებისა საჩუშუნოებიტისა მსჯულისა თუს შორის უქცეველობამან მეორეთა თანა ნათელთა დგომად აღიყუანნა. 15

ამიერ მსჭურეტდ სიღრმესა ტრფიალებითსა, მსჯიდ სურვილსა, შურსა და უზენაესსა აღსაველსა სიყუარულისასა, რამეთუ ლადებდა უღმრთოთა სპათა მიმართ სიმრავლე ტარიგთა სიტყუერთა, მდგომარე საკურთხეველსა ზედა სამსხუერბლოსა: „აჲ, ჩუენ მზანი შეწირუად ყოვლად დასაწუელად და მოტყინარენი ცეცხლითა ღმრთაებისათა, მსწრაფლად ალაგზენით ცეცხლი, რათა აღმან სიმალლედ აღსრულმან აღგუყუანნესმცა დადგომად წინაშე საღმრთომსა საკურთხეველისა. 20 25

/ადანთენით, იტყოდეს, ვორცნი, ბოროტ-მსახურნო, რათა ცეცხლითა საღმთოჲთა მნთებარენი სულნი „უბრწყინუალეს მზისა განბრწყინდეს სასუფეველსა შინა ზეციერისა მამისასა“<sup>\*\*\*</sup>. ნუ აცადებთ შეწირუასა ჩუენსა, რათა „სახილუელ ვიქმნეთ სოფლისა და ანგელოსთა და კაცთა“<sup>3\*</sup>, დაღათუ ჯერეთ სურვილსა ჩუენსა მხოლოდ „უფალი მხედავს და სიმართლისათუს ჩუენისა ნუგეშინის-გუეცემს“<sup>4\*</sup>. 30

მაშინ მოზუნუაჲ ბარბაროსთაგან უმრავლესთა შეშათა და ხალდეურისა საკმილისა მოზარდ-ყოფამ მით, რამეთუ ალი სიმალლედ აღვიდოდა და კუამლი სიწლოსა ჰაირისასა შეაზრქელებდა და ტრკციალი მძნუარე დიდ-დიდთა მკმოლუარეთა ჰქშირად განასრევედა მუგუზთა, ხოლო ქუხილსა საკმილისასა მთანიცა კმა- 35

<sup>1</sup> ტყუილისა B.

\* შღრ. ზირაქ. 25,2. \*\* შღრ. მატთ. 13,43. 3\* შღრ. 2 კორ. 4,18. 4\* 2 მაკაბ. 7,6.

ქსცემდეს და საზაროებაჲ საქმისა უღმრთოთა მოქმედთა უდიდეს განკურებად მოიყუანებდა. განალა სულნი იგი ნეტარნი ყოვლად-  
 დასაწუელთანი ბრძმელსა შინა ჰგალობდეს: „აკურთხევდით ცეცხ-  
 ლი და სიცხე, უფალსა უგალობდით და ზესთა ამაღლებდით მას  
 5 საუკუნეთა“\*. კუალად: „აკურთხევდით მღუღელნი უფლისანი, აკურთხევდით მიანანი უფლისანი, უფალსა უგალობდით და ზესთა  
 ამაღლებდით მას საუკუნეთა“\*\*.

ესრეთ შეიწირნეს ღმრთისა მიმართ ნებსით ტარიგნი უბიწო-  
 ნი, ვერძნი ყოვლად წმიდანი და დიაკეულნი უმანკონი, ესრეთ  
 10 ხალღეთ გარდმოიგზნა ქართლად საქმილი ნიეთითა მოზარდი. ხო-  
 275 ლო საქმილსა მას შინა არა მებრ აჩრდილისა იდიდა მამა, ძე/ და  
 სული წმიდა. ესრეთ უკუე კაცთა სულითა წმიდითა მოიგეს ამაღ-  
 ლებაჲ კორცთა ზედა, ვინა საქმე ესე ანგელოსთად საქებულ წინა-  
 მდებარე იქმნა ეშმაკთად საძრწუნუელ, ხოლო კაცთად ბაძუად  
 15 თუსდა აღმლესუელ.

გამოწერნეს და დაიბეჭდნეს იატაკთა ზედა ეკლესიისათა  
 ასონი იგი დამწუარნი მოწამეთანი ამაღ, ვითარმედ, თუ სადამე  
 მარტულთმოყუარებამან განაღძნეს მრავალნი ქებისსიტყუობად  
 ძლევისად მათისა, არცალა უცხოველონი დააკლდენ ქადაგებისაგან  
 20 მარტულთა ძლევისმოყუარებისა, რამეთუ ჩუენ კმამალად რა  
 ვქადაგებთ საღმრთოთა ტრფიალებითა ცეცხლითა ქრისტეს  
 ღმრთისათუს განლევასა ჭეშმარიტების მოწამეთასა, იატაკნი უც-  
 ხოველონი მათ ზედა დაბეჭდილებითა დუმილით ქადაგებენ.

ნება იყო უღმრთოთა, რათა უღმრთოებისადმი მისდრიკნენმცა  
 25 ნამდულ ჭეშმარიტნი ქრისტიანენი, ხოლო ჩუენნი უღმრთოთა მა-  
 წუეველთა ნებასა ყოვლითურთ წინააღუდგეს, მოიგონეს უკუე  
 მტერთა ღონედ ესეგუარი ვიდრემე განსაცდელი, რომლისაგან ში-  
 ში ბუნებითად უფროს ყოველთა საშიშთა ეჭუნებინ სულსა, მაგრა  
 ჩუენთა გულსმოდგინე-ჰყუნეს ესოდენ სულნი, ნიადაგ მნებებელნი

30 სიბრძნით აღრჩეულისა სანებურისანი, და მისდა მოქსდრიკნეს ნე-  
 ბანი და სიძნელე განსაცდელთა შეიწყნარეს აღულად. დაჰშრუენ  
 მტერნი მომზიდულენი შრომით ნიეთთა აღსაგზებელთანი და  
 V აღა/გზნეს რა, ვერ მიეახლნენდა თუთ და თუ სადამე ვინ მიეახლა, და-  
 იწუა. მაგრა ჩუენთა ხატებაჲ ესოდენ პატიოსან ჰყუნეს, ვითარმედ  
 35 უკუდავი დაიცუეს ცეცხლსა შინა ყოვლითურთ უბიწოდ და გან-  
 ხრწნადნი ქრისტესთუს ძლევისმოყუარებით მიუშუეს აღლევად და  
 რამცალა იწადეს, ჰქმნეს კეთილად.

\* ღანიელ. 3,66. \*\* ღანიელ. 3,84-85.

ვინაჲცა ჰსძლეს და ძლევისა მოსაგებელსაჲცა ღირს იქმნნეს და მოსაგებელი იგი იქმნა მათდა „ვარსკულაჲვი განთიადისა“<sup>4</sup> ამის- თუს, ვითარმედ იგი არს ჯილდოდ მძლეთა მოსაგებულად ძლევისა და ძლევამან „გამოაბრწყინუა მათ ზედა ვარსკულაჲვი განთიადისა და მთიებმან ისწაჲვა წესი თესი“<sup>5</sup>.

5

დიღებულ ჰყუნა ესენი კადნიერებამან ქრისტესთუს, რამეთუ განმწნდეს და სიმკნით განსაცდელთა თმენითა ღმრთისად მიის- წრაფეს ზეცათასა.

ეჲა, ვითარ დიდ არს და ძლიერ ღუაწლი მოწამეთა და უძ- ლიერეს შედრგინებულთა ღუაწლისა, რამეთუ ცეცხლი, ვითარ- ცა წყალი, განვლეს ცეცხლისა ღუთაებისა თეს შორის ქონებულთა- სი გამო ვერმგრძნობთა. ხოლო დაღათუ „მოკუდეს თუალთა წინა- შე უგუნურთასა“<sup>3</sup>, არამედ მიცუალეზამ იგი მათი კორცთაგან ღმრთისად მძლედ გამოჰსჩნდა წინაშე ღმრთისა და წინაშე ანგე- ლოსთა და კაცთა, რამეთუ საცთური ბილწ-ღუთაებისა ფიწლითა სარწმუნოებისათა განანქრიეს, ძლევა აღადგინეს ეშმაკთა ზედა და მსახურთა მათთა, ვინაჲცა „სასოებაჲ მათი/ უკუდაეებითა სავსე არს“<sup>4</sup>, ვინაჲ ფრთენი ტრედისანი „თუალთა ტრედისათა მექონ- თა“<sup>5</sup> მოიგეს და უმანკოებითა აღფრინდეს და წულილნი იგი საღმრთოჲსა ცნობისანი ჰაირნი აღვლნეს ფრთითა მით უმანკოები- სათა<sup>1</sup> და შესრულთა ზეციერსა იეროსალიმსა შინა იხილეს ჰირს- პირ დატევენისაებრ ღმერთი, რომელსაჲცა აჲა „სარკითა და სახითა განიცდიდეს“<sup>6</sup>.

10

15

276

20

გამოსულა ესე სოფლით კეთილად მქლეთა მოწამეთა უდი- დებულესობს ვიდრე გამოსულაჲ ეგიპტით ერისა რჩეულისა, რამეთუ იგინი დაღათუ კუერთხისათა მოსეს მიერ ცემითა გან- პებულსა განვიდეს ზღუასა დაულტოლუელად, მაგრა ესენი ჯუჲა- რითა ქრისტესითა განპებულსა საცთურსა შინა საეშმაკოსა გან- ვიდეს წარუწყმედელად. მათდა მყუანებელ სუეტი ცეცხლისა ქუე- ყანადმი აღთქმულად მიმაჲალთა, რომელნიცა ჯულმჲარებით და განფიცებით განმამწარებელნი აღმთქმელისანი ვერ შეეოდეს გან- სასუენებელსა მას შინა და დააკლდეს საშუალისა ბოროტ-მქმეველ- ნი დასასრულისაგან შაბათობისა, რამეთუ რისხუთ მათთუს ესრეთ ფუცა ღმერთმან, ვითარცა ურჩთა კმისა მისისათა, მაგრა ესენი მიმაჲალნი შინაგან შესულად ნამდულეზადისა მის და უცუა-

25

30

35

<sup>1</sup> უმნკობისათა B.

<sup>2</sup> აპოკალ. 2,28. <sup>3</sup> შდრ. იობ. 38,12. <sup>4</sup> შდრ. სიბრძ. 3,2. <sup>5</sup> შდრ. სიბრძ. 3,4.

<sup>6</sup> შდრ. ქება 5,12. <sup>7</sup> შდრ. 1 კორ. 13,12.



ლებელისა სიწმიდისა „წინამორბედად შესულითა იესუსითა შევიდეს“<sup>1</sup> და მიიღეს აღნათქუამიცა.

აქა ყოველი უპატიოსნეს ძუელისასა სასწაულნი უზესთაენნი, **V** შეცუალეზანი მდგომობისანი, /სულსა მოლებანი, ჭეშმარიტებასა 5 შინა ძლევანი საკურუელნი, კადნიერებანი მძლავრთადმი, სირცხულითა და კდემითა აღმავსენი ბორტმსახურთა ტირანთანი.

იელტოდა მაშინ გუელი დადარნებული ვუტმოსა და ჭილსა შინა და ლელწამსა, მხილუელი „საზღუარსა ზედა მდგომარისა რუალის გუელისა“<sup>2</sup>. და აქა მხილუელი ვეშაპი მოწამეთა შორის

10 „მსგავსად კორცთა მათ ცოდუსათა ჩუენდა მოსრულისა ძისა ღმრთისა“<sup>3</sup> განცუფრდა და იძლია რა, მღტოლუარე მათგან აღაშფოთებდა ლაშქარსა უღმრთოსა წმიდათა ზედა, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო მყის ზედამისულით შეხებად ენებათა უენებელთადმი სულთა მათთა. ხოლო რომელიცა „იორდანისა“<sup>4</sup> თუალად თესდა

15 შთაწრდასა“<sup>5</sup> აზმნობდა, ნაკალულისაგან სიხსლთა მოწამეთასა იმთუებოდა და, რომელი ბარბაროსთაგან ბილწთა მიზვითთა შინა სპეკალთა მიერ და ოქროთა და ოქროვილთა ლართა იმსახურებოდა, შიშულიუ დამუსრვილ ძონძმოსილი წარივლტოდა; რომელიცა „მსგავსად სარომსა კუდსა აღიმალღებდა აღმაგრძელებელი ზუა-

20 ობით“<sup>6</sup> და გესლითა აღმავსებელი შურით ქრისტეს მოსახელესაგან შეტქმულებისა ვითარცა ქუემძრომი იკიცხოვოდა, აღიწურუებოდა ზე და წალმართ ბრძოლად მეცადინობდა და ზეგარდამომასაგან ძალისა წმიდათასა უკომმვრდომი დაიყენებოდა, მკერდითა მიზიდუდა მუცელსა და თავსა აღიღებდა და გესლსა შეჭბერვი-

277 25 და, მა/გრა ლოცუამ იგი წმიდათა მითუალული ცუდად დასათხეველ სახურა იქმნებოდა. ჰბერვიდა ვეშაპი კოლხიდურისა ეგსპედიციისა ზღაპრებრ ცეცხლსა და „გამოთხოვილთა კორცთა მართალთასა“<sup>6</sup> აღანთებდა დაწუად, მაგრა ნეტართა სულთა შინაგან მყოფისა ცეცხლისაგან საღმრთომსა სიღრმედ ჯოჯოხეთისა შთა-

30 იჭრებოდა.

იპატიეებოდა კიდობანი ძუელთა შინა, რომელიცა წმიდასა შინა წმიდათასა იყო მდგომარე, უპატიოსნეს მოწამენი ახლისა შორის აღთქმისა, რამეთუ წმიდასა შინა ეკკლესიასა შეწირვითა პირმშოსა შინა ეკკლესიასა დაიდგინნეს, „აღწერილსა ცათა შინა

35 ღმრთისა და მსაჯულისა ყოველთასა და სულებისა მართალთა აღ-

<sup>1</sup> იორდანისასა B.

<sup>2</sup> შტრ. ებრ. 6,26. <sup>3</sup> შტრ. რიცხ. 21,9. <sup>4</sup> შტრ. კრომ. 8,3. <sup>5</sup> შტრ. იობ. 40,18. <sup>6</sup> შტრ. იობ. 40,12. <sup>6</sup> შტრ. იობ. 2,5.

სრულებულთასა\*<sup>1</sup>. პატიოსან და წმიდაჲმ კსჯული, კუერთხი და ფიცარნი, უპატიოსნეს იატაკთა ზედა ეკკლესიათა დაბეჭდულნი ხატნი ასოთა მოწამეთანი, განწმედილ და სუფთა საკმეველნი, გუნდრუკნი და კინამონი და კეთილმითუალულ უფლისა მიერ, უგანწმედილეს გუამნი მოწამეთანი და უსამღუდელოეს კუამლი შეწირვისა მათისა და მამისაგან ზეცათაჲსა უმისათუალუელეს ვითარ ზიარებული შეწირუამ შეწირვისა თანა მამისა მიმართ ძისა, რომელმანცა მამისა მიმართ ჩუენთუს „თავი თუსი შექსწირა“\*\*.

პატიოსან მანანამ და ტაკუკი ოქრომსა უპატიოსნეს სისხლი წმიდათა, რომელიცა შესრულთა სარწმუნოებით ეკკლესიასა მას შინა წმიდასა (სადა-იგი შეიწირნეს) აღავსებენ გარდარეულად სუნნელებითა უხრწნელითა, რომლისაცა მცნობელობამ მი/გვიღიეს მრავალგზის და კურნებათა ჰყოფენ თუთოეულითა სნებითა ვნებულთად.

ესრეთ შემკულ არს მოწამეთაგან აღთქმა ახალი, რამეთუ ღუთიუ მითუალულმან სისხლმან მათმან განაშუენა და ეკკლესია საჭურუელითა სულისათა განმტკიცნა. ესრეთ გუნდრუკებმან, ყოვლად განწმედილმან სხეულებმან მოწამეთამან, აღიკუამლა და ჩუენდა დაწუად ცეცხლი შურისძიებისა ღმრთისა დააყენა.

ეჲა, მორჩითა ყოვლად წმიდათა სახარებითა პავლესითა კრგულთა და ღმრთისა მიერ ორძილოვანთა, რომელთა ნაყოფიერებასა ვერ შეეხოს მრავალფერი მკალი. ეჲა, ვაზთა სორეჲთა მძღეთა შეხდომისათა, რამეთუ ჰსძღეს ხრწნილებათა დაკუეთებულთა და განირთხნეს ფესუნი სიღრმედ სიყუარულისა, უკუნ-აქციეს ღიდროობამ<sup>1</sup> ქართა, აღქსნეს პირნი ჭიათანი, უკუნ-აქციენეს ცუდად სირთა ზედადასხმანი, დაიწინიხნეს საწნეხელსა შინა ღუაწლთასა და აღავსეს ტაგარი მხიარულებითითა ღენითა, რამეთუ შეკრება მათი სირასა შინა მარტელობითსა იქმნა მხიარულ-ყოფად ანგელოსთა და კაცთა.

ესეცა არა დაჰმთომად სათანადო არს ჩუენდა: გამოხატა მტერმან მოგონებამ ნიკომიდიური ყოვლად ბილწისა მაქსიმიანესი ყოვლად უღმრთოსა სულსა შინა დემურისსა, ვითარმედ ქრისტიანენნი, არა მორჩილნი ბრძანებულებისა მისისა არგანდგომითა ქრისტესგან, რათა დაიწუნენ ეკკლესიასავე შინა მათსა, ხოლო განჰსჯად ვითარ ბოროტსა სულსა შინა/ ქმნილი პირუელისასა ესევე შეუღდა მეორისასა და მებრვე გამოჩინებასა გამოჩინებამ. გარნა იგივე

<sup>1</sup> მღიდროობა A.  
\* ებრაელ. 12,23. \*\* ებრაელ. 7,27.

სული წინააღმდეგომ უღმრთოებითისა ბრძნობისა, რამეთუ იგივე გარდამოსულად სულისა ზედა ქუაბთაჲვეელთად, რომელიცა ნიკომიდიელთად<sup>1</sup>, ვითარმედ ცეცხლისა საღმრთოისა აღგზებასა სულთა შემწყნარებელთა ვერ შეეზების საცთური უღთოებითი, 5 რამეთუ ცეცხლი კორცთა განმღეველ და სულთა აღმყუან დიდებით მათ თანა, რომელნი „სულად და ალად შეიქმნეს ცეცხლისა“<sup>2</sup>.

ესენი უკუე უშესაბამონი თქმანი ქებისსიტყუაობითი თქუენი-სადმი სამღუდელოისა ვნებისა მიირთუ, კრებულთა ყოვლად პატიოსანო, არგეო, რომელი „იმწყსები წყაროთადმი წყლისა ცხოვე- 10 რებისათა“<sup>3</sup> კრავისაგან საყდართა მამისათა მჯდომარისა და ნაცულად<sup>4</sup> მიაგე განწმედილი და მითუალული ოხამ დღესა უფლისასა ანტონის გლახაკსა და ყოვლად საწყალობელსა.

„ხოლო მეუფესა<sup>5</sup> მას საუკუნეთასა, უხრწნელსა, უხილავსა, მიუწთომელსა, მხოლოსა, ბრძენსა ღმერთსა პატივი და დიდება 15 საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ“<sup>6</sup>.

279 /<sup>1</sup>შახსმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა ფიდიათა მოფაგეთა სპირიტისა და მის თანა ვნაგულთა სპაჲვატელთა, მონილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა<sup>4</sup> ყოვლისა ზემოგას საძარტველოგას, ღავითიან-გაგრატოვანისა

25 სისხლი მარტულთა ეზიარა სისხლს საღმრთოს, უცხო რა იქმნნეს კორცთაგან მტკიცენი ღმრთივ, ქუეყანა განწმდა, იქმნა პაერი წმიდა, იდიღნეს ზენას გვრგენტ მიმღებელნი აქ, აღჰსცილდეს ცათა, ხრწნადნი ჰსცუალნეს უკუდავებ.

25 სიტყვა მეათრუამეტე

ჰსტქუა ყოვლად ბრძენმან მოციქულმან: „მადლი ღმერთსა, რომელმან მარადის მძღეველ გუყუნის ჩუენ ქრისტეს იესუს მიერ და სული მეცნიერებისა მისისა გამოაჩინის ჩუენ მიერ ყოველსა აღგილსა“<sup>4</sup>. ხოლო ვინამთგან წარგუმართა ჩუენ ღმერთმან ძისა

1 ნიკომიდიელთად A. 2 ნაცულ B. 3 მეუფესა A. 4 არხიეპისკოპოსისა—B. 5 ღავითიან-გაგრატოვანისა B. \* შღრ. ფსალ. 103,5. \*\* შღრ. აპოკალ. 7,17. 3\* 1 ტიმ. 1,17. 4\* 2 კორ. 2,14.

თსისა იესუ ქრისტეს მიერ, რომელთაცა ათშდმეტთა სიტყუათა შინა ვიისტორიეთ ქართუელთა მოწამეთათს და ყოვლად საგალობელთათს ვნებათა მათთა ვიგალობეთ და ესე ყოველსა ადგილსა შინა მყოფთა კეთილმსახურთა მარტულთმოყუარეთად წინა-დაკს-  
 დევით და იქმნა ესე ჩუენდა მაცხოვარებითთა შეწევნითა სუ- 5  
 ლისა შეცნიერებისა ღმრთისათა მით, რომელ „ვერვინ შემძლებელ არს თქმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა“\*. ხოლო ყოველსავე შინა სიტყუასა ჩუენსა ვაკურთხეთ და აღუამაღლეთ თაყუანისსაცემელი იგი კჳამა, სახელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი და ყოველივე სიტყუა ჩუენი საღიდებელ-გჳყავთ მისა, ვინა 10  
 სათანადო არს ჩუენდა მიცემად მამისა ღმრთისა მიმართ მადლი ესეგუართათს წარმართებათა მისმიერთა, რომელთა მიერ მძლეველ გუყუნა ჩუენ სიტყუათა ზედა სულითა შეცნიერებისა მისისათა.

/გჳსჭურეტთ წინაპართაგან შამათა ქართუელთა, ვითარმედ 15 V  
 დაუმტკიცებდესყე განსაზღურებაჲ ესე ანუ განჩენაჲ, რამეთუ სათთუეოთა შინა მოსაკსენებელთა და მეტაფრასთა კსენებაჲ სომხეთსა შინა ვნებულთა ჭეშმარიტებისა მოწამეთა, რომელნი მთასა შინა სუჳავეტისასა, პირისპირ სოფლისა ბაგრეევანდისა, დაკმართებით მთისა ნოპატისა, აღმდებელნი ჯუარისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისანი მძოვარ იქმნეს და მასვე ადგილსა შინა იენეს უღმრთოთა ბარბაროსთაგან წამებისათს ჭეშმარიტებისა.

ხოლო ვინამთგან წერილ არს: „ნუ მსცულაებ საზღურასა, რომელი დაამტკიცეს მამათა შენთა“\*\*, მამათაგან განჩენილი იგი კსენებაჲ თქმულთა მოწამეთა სათანადო იქმნა ჩუენდა არა დატე- 25  
 ვებად, ვინა შესაბამ, რათა, ვითარცა ჩუენთათს მარტულთა, ვკგალობდეთ მათთსცა და თანად ისტორიკოს ვიქმნეთ და შემასხმელ, ვითარცა მოგუცეს კაცთმოყუარებით სულმან სიბრძნისამან, რამეთუ „კაცთმოყუარე არს სული სიბრძნისა“<sup>3</sup>.

ესე მოწამენი ჭეშმარიტებისანი, რიცხვთ ათცხრამეტნი, აღ- 30  
 მოსარულა ოცად ლუაწლსა შინა მათ თანა დგომამან იესუ ქრისტესმან, რომელ არს „მოწამე სარწმუნო და პირმშო შესუენებულთა“ და ნამდულ მოწამე მოწამეთა, რომელმანცა მსწამა პონტიელისა პილატეს ზე კეთილი იგი აღსარებაჲ<sup>4</sup>.

ათცხრამეტთა ერთთა ზედა დაპრთუაჲ ერთისა ყოვლად წმი- 35  
 დისა, ვინათგან ოცსა ერთსა აღავეებს და ერთი იგი ყოვლად წმი-

\* ზღრ. 1 კორ. 12,3. \*\* ზღრ. 2 სჯულ. 19,14. 3° სიბრძ. 1,6. 4° ზღრ. აპოკალ. 1,5. 5° 1 ტიმოთ. 6,13.

280 დად თაე სირამას არს და კენტრომცა ათცხრამეტთა მათ; თაე — რა-  
მეთუ მის მიერ/ მოაქუსხეე ყოფამ, ვითარ მაარსებელისაგან თესი-  
სა, ხოლო კენტრო — რამეთუ მისდა<sup>1</sup> მიაკეცენნ მოძრავობასა  
თესსა ადგილისცუალეებითსა.

5 ათცხრამეტობა<sup>2</sup> ესგუარ ოცად მისრულებული იქმს ორათეუ-  
ლებასა, ხოლო ორობამ ათეულთა ხედუასა და საქმესა ორთა მათ  
ნაწილთა ჭეშმარიტისა ფილოსოფიისათა წარმოადგენს და ორთა  
მიმართ აღიყუანს ხედუად გონებასა მარტულმოყუარესა. კულად,  
ორთა საუკუნეთა დაჰხატაეს ამის სოფლისასა და მერმესა, რამეთუ  
10 მდგომარე ესე აწმყოფი იცუალოს გარდა იჭუსა მყოობადად მერმედ,  
რამეთუ „განხრწნადმან ამან შეიმოსოს<sup>3</sup> უხრწნელება და მოყუ-  
დავმან ამან შეიმოსოს<sup>4</sup> უკუდაეება“.

ხოლო ორ-ათთა მათ ოთხად განყოფა იქმს ოთხგზის ხუთეულ-  
სა და შემოიყუანს თეს ზედა რიცხუსა მას ოთხთა ცხოველთასა,  
15 რომელთა „ფრთეთაგან ისმა კმა ღმრთისა“<sup>5</sup> სადლამსა, რომელთა  
თანა „მიჰსცენ პატივი და მადლობამ მჯდომარესა საყდარსა ზედა,  
რომელი ცხოველ არს უკუნითი უკუნისამდე“<sup>3\*</sup>.

ხოლო თუ სადამე ვჰსთქუათ ათცხრამეტ, არა ცუდ არს და  
ლიტონ, განალა ათცხრამეტობა ესე მოწამეთა, რამეთუ ვითარ-  
20 იგი ათცხრამეტნი გუარნი სჯლოგიზმომასა ნაკუეთთანი გამოცდილ-  
თაგან მესჯლოგიზმეთა ერთისა ოთხთა გუართა შინა პყრობილისა<sup>3</sup>  
ჭეშმარიტებისა მიმართ ჭეშმარიტებენ, ეგსახედ რიცხვ ათრცხრა-  
მეტობითი მოწამეთა ჭეშმარიტებისათა, მიქეუული ერთისა ჭეშმა-  
რიტებისად, ჭეშმარიტ მოწამებს და ერთსა ჭეშმარიტებასა იპყრობს  
V 25 თეს შორის. ხოლო ათცხრამეტობა მა/თი ერთსა ჭეშმარიტებასა  
ექუემდებარების და ქუემდებარება ათცხრამეტ რიცხვ ერთისა ჭეშ-  
მარიტებისა საზოგადოდ შესმენილის გამო ოცად აღმოსრულ-  
ლების.

ეჰა, სიბრძნისა ღმრთისა სიღრმე, მ, განგებათა მისთა უფსკრუ-  
30 ლი, ეჰა, გულისხმის-ყოფისა მის მისისა ყოვლად წმიდისა მიუწ-  
თომელობამ და სახიერებისა სიმდიდრე მით, რომელ „გამოუძიე-  
ბელ არიან განკითხუანი მისნი და გამოუკულებელ არიან გზანი  
მისნი“<sup>4\*</sup>!

სახელნი ათცხრამეტთა მათ ჭეშმარიტებისათეს ვნებულთანი,  
35 რომელნიცა უწყებულ იქმნნეს ჩუენდა, არიან ესენი: სუქიოს, ლუ-

1 მოსდა B. 2 ათცხრამეტობა+ესე B. 3 შეიმოსა A. 4 შეიმოსა A. 5 პყრო-  
ბილსა A.

1 კორ. 15,54. \*\* შდრ. ეზეკ. 1,24. 3\* აპოკალ. 4,9. 4\* პრომ. 11,33.

კიანოს, პოლიეკტოს, კოდრატოს, იეპტიონ, მიმიანოს, ფოკა, ნე-  
რანგიოს, დომენტიანოს, ანდრიანოს, ზოსიმოს, ეიკტორიოს, თა-  
ლალს, იორდანოს, ანასტასიოს, იაკობოს, თეოდორიტოს.

ამათნი უკუე თუთონი თუ სადამე განჰსჯად წინადავჰსდევით,  
ექსოებთ აღმოჩინებასა ჭეშმარიტებისასა ესეგუარ, ვითარმედ ზე- 5  
გარდამო არს განცხადებულ იგი და ვერ მიეახლებინ წინადადებანი  
ბრძენთა ამის სოფლისათანი, რომელთაცა „სიბრძნეა განაცოფა  
ღმერთმან“\*. კუალად მოაქუს თუს შორის წინადადება იგი  
სამოციქულოა: „ერთ არს უფალი, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათ-  
ლისლება“\*\* და აღმოჩინების ესე მათ შორის საღმრთოთაგან წე- 10  
რილთა: „ისმინე, ისრაჟლ, უფალი ღმერთი შენი, უფალი ერთ  
არს“\*\*. კუალად აღმოჩინებისე მათ შორის ბუნებითადცა, რა-  
მეთუ თუ სადამე წმიდა არს სული ბნელთაგან და შერეენილთა  
წარმოდგომათა იცის ბუნებით მხო/ლობად ღმრთისა, ვითარმედ 281  
ერთსა ქშუენის მიზეზ-ყოფად მრავალთა, რომლითა არა აღიშლე- 15  
ბის წესი სისტემისა არსთასა, რამეთუ ვინამთგან მრავალნი არსე-  
ბანი შეუძლებელ არიან დაუსრულებელ-ყოფად, მაშასადამე  
მხოლო არს ღმერთი და მრავალნი ღმერთ-ყოფად შეუძლებელ  
არს. ხოლო ბუნებითად დაჩუენშორისებულმან ცნობამან ღმრთი-  
სამან მეცნიერ-ჰყუნა მხოლოობისდა ღმრთისა ელინნიცა ფილო- 20  
სოფოსნი, რამეთუ რომელთამე განჰსაჯეს შეზავებულება კაცობ-  
რიეისა სხეულისა შთამჭურეტელთა შინაგნითთა და გარეგნითთა  
შეზავებათად და ვიდრე მცირეთა კერძოეთამდე<sup>1</sup> და ყოველთა საქ-  
მარად მეცნიერთა აღიარეს საჭიროდ, ვითარმედ „შემოქმედი ბუ- 25  
ნებისა არს გონება უზენაესი“. და რომელთამე აღმზედთა ზე მნა-  
თობთა მიმართ ზეციერთა, ესე იგი მზისა და მთოვარისად და  
ვარსკულავთად, და მცნობელობით და გულისხმის-ყოფით მეც-  
ნიერქმნილთა ჰსაჯეს, ვითარმედ ერთი მათგანი მეორისა უზესთა-  
ეს არს და აქუს ღერძისად თუსისა მავალობად სავმარ-ყოფად ნა-  
ყოფიერებისათუს ქუეყანისა და ცხოველთა სიბრთელედ; და ესე 30  
ყოველი მხოლომსა ღმრთისაგან აღიარეს ქმნილად და განკარ-  
გულად.

უკეთუ ფილოსოფოსთა ელინთად არა დაჰფარა ღმერთმან  
მხოლომან თავი თუსი ამად, ვითარმედ პატრიე-ჰსცა ხატებასა თუსსა 35  
და სიბრძნისმოყუარებად, ხატებისა თუსსა ზედა შესრული, მიიყუნა  
ბუნებით ცნობამდე მხოლოობისა თუსისა, რაოდენ უფროს სარწმუ-  
ნოთა მონათა შორის თუსთა ჰყოსმცა განათ/ლებად სულისა, რათა

<sup>1</sup> კერძოთამდე B.  
\* შდრ. 1 კორ. 1,2. \*\* ეფეს. 4,5. 3\* შდრ. 2 სჯულ. 6,4.

არათუ საღმრთოთა მიერ წერილთა მოძღურებითა ოდენ, არამედ ბუნებითადცა მეცნიერ ჰყუნეს იგინი მხოლოობისადმი თვისისა.

კუალად ეპოვებთ თუთოთა მათთა შორის აღმოჩინებულად და ურღუეველადრე მხოლოობასა მას მარტივსა, განუწყუთელად გან-  
 5 ფენილსა სამთა მიმართ გუამოვნებათა, რამეთუ თქმულ არს: „სიტყუთა უფლისათა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მი-  
 სისათა ყოველი ძალი მათი“\*. და კუალად წერილ არს სერაფიმთა-  
 თს: „ღალადებდეს მოყუასი მოყუსისა მიმართ და იტყოდეს: წმი-  
 ლაჲ არს, წმიდაჲ არს, წმიდაჲ არს უფალი სავაოთ, სავსე არს ცა-  
 10 ნი და ქუეყანა დოუებითა მისითა“\*\*. ხოლო ბუნებითადცა საც-  
 ნაურ მათ შორის, ვითარმედ სულ არს ღმერთი გონებისაებრ და  
 სიტყუსა და ცხოვლობისა, რამეთუ ესენი არიან სულსა შინა ძალნი  
 უზესთაენნი, რომელთა მიერ ღმერთმან ნიჭებულ-ჰყო სული და,  
 თუ სადაჲ არა არს ღმერთი სულ, ვითარ უკუე შეიქმნა უპატიოს-  
 15 ნესი თსსა სხუად რაჲმე? გარნა აღიარების საჭიროდ ბუნებითისა  
 მებრ ცნობისა, ვითარმედ „სულ არს ღმერთი“3, მაშასადაჲ,  
 აღიარების საჭიროდ, ვითარმედ ღმერთი, რომელ არს მხოლო, არს  
 გონება, სიტყუა და ცხოველ.

რიცხუსა შინა! ათცხრამეტობითსა ცნობილნი ესე, რომელნიცა  
 20 გამოირჩინნა „წინათვე განმამართლებელმან მათმან ღმერთ-  
 მან“4, „მნებებელმან ყოველთა ცხოვრებად და მეცნიერებად  
 ჭეშმარიტებისა მოსულსამან“5 და თქმულისა მის ათცხრა-  
 მეტობითისა რიცხუსა მის შორის და მის თანა დგომითა ოცად  
 მისრულებისა მოქმედმან მეცნიერებად ჭეშმარიტებისა მოსულაჲ  
 25 მათი ყოვლად ბრძანისაებრ განჯებისა თსისა განაგო ესრეთ.

282 /მომზრახობენ ამისთვის ჭეშმარიტნი მეისტორიენი, ვითარმედ  
 ძმაღ ღმრთისა, საღმრთოდ მოციქული და მოწაფე სიტყუსა განჯორ-  
 ციელებულისა იუდა, მქონები ეპისტოლისა, ავგაროსის მიმართ  
 ედესიურისა მთავრისად მიწერილისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრის-  
 30 ტესგან, შევიდა ეპისტოლითა მით პალატსა შინა ედესიურისა მთა-  
 ვრისასა, რომელი იყო ზედწოდებულ სანატროგ ძე ავგაროსისა, რა-  
 თა ცნობად ჭეშმარიტებისა მოიყუანამცა<sup>2</sup> იგი. გარნა სანატროგის  
 შორის შერეულმან და ბნელმან წარმოდგომამან აწარმოა განასჯაჲ  
 არა განგრძელებული, არამედ შესაბამი ბიწიერისა მის გულის-  
 35 ხმის-ყოფისა მისისა, რომლითა არა შეიწუნარა სახარებაჲ ქრისტე-

1 შინა] შორის B. 2 მიიყუანამცა A.

\* ფსალ. 32,6. \*\* ესაია, 6,3. 3 იოან. 4,24. 4\* შდრ. პრომ. 8,30. 5\* შდრ. 1 ტიმოთ. 2,4.

სი, რომელსა ახარებდა საღმრთომ მოციქული, ვინა ნეტარჲან შო-  
ციქულჲან არშეშწყნარებელთაგან სახარებისა მისისათა, ვითარცა  
არა ღირსთაგან მოსულად ჭეშმარიტებისა ცნობისად, განაშორა თა-  
ვი თვისი წარსრულჲან განფენად სახარებისა.

წარსულსა სახლისაგან სანატოგისა ძმასა ღმრთისასა იუდას 5  
დაეკუეთნეს რეცა მგზავრნი ვინმე საბერძნეთით მივლინებულნი  
დესპანად თქმულისა მიმართ მთაერისა ედესიურისა, მამაკაცი  
რიცხვთ ხუთნი ოდენ, რომელთაგანი უპირატესი პატივითა ზედწო-  
ლებულ იყო ენისამებრ ელადურისა ხრისოს, ესე იგი ოქრო.

შესდომასა შინა ურთიერთას<sup>1</sup> დესპანთა და მოციქულისასა 10  
შეპყრობილ იქმნა თქმულთა მათ კაცთაგან საღმრთომ მოციქული,  
რომლისადმი /მკითხუელნი შემპყრობელნი პერობილისამან ცნო-  
ბად ვინაობისა და სადათ ანუ სად მისლვისა მისისა ვითარებასა  
გამოეძიებლეს, ვინა პყრობილჲან შემპყრობელნი თუსნი უწყებულ 15  
პყუნა მიგებითა ესეგუარითა, ვითარმელ: „ვარ მე მონა ღმრთისა  
მაღლისა, მოციქული და მახარებელი ძისა მისისა იესუ ქრისტესი,  
რომელიცა ცხოვრებისათუს ჩუენისა ძე იგი ღმრთისა, სიტყუა  
ღმერთმთაერისა გონებისა, ძე კაცის იქმნა და განკორციელდა  
ქალწულისაგან სძლისა უქორწინებელისა და ცხოველსმყოფელითა  
ვნებითა თუსითა და სიკუდილითა აცხოვნა ხატი თვისი, ესე იგი 20  
არსება კაცობრივი“. ხოლო ამათ თანა ყოველთათუს კორციელთა  
განგებულებათა უფლისა ჩუენისა იესუ<sup>2</sup> ქრისტესთა განაგრძო  
მათდამი სიტყუა მახარებელჲან მან ჭეშმარიტისა სახარებისამან  
და იგინი ისმენდეს განმკაცრებით, რომელთაცა დროსა მას სიმ-  
რაელჲ ირემთა შეკრებული ერთად ოხილეს, მჰსარბოლი რეცა 25  
მსხდომარეთა მათ მახლობელ განსრული ჰსრბით.

ეტყოდეს მსმენელნი სიტყუათა მისთანი და მხილუელნი ირემ-  
თა მათ სიმრაელისანი, შემპყრობელნი თუსნი იუდას: „უკეთუ ხარ  
შენ მონა ღმრთისა მაღლისა და ჰსწადნომ ჩუენგან ჰრწმუნებად  
თქმულთა შენთა, არქუ მჰსარბოლსა მას სიმრაელესა ირემთასა და 30  
დგომად მყუდროებით, რათა მათგანი ერთი შევიპყრათმცა და დამ-  
კულელთა ვჰსჭამოთ ამად, რომელ უდაბნოებითა ამით აღვილისა-  
თა დაკლებულ ვართ საჭამადისაგან“. მაშინ მთხოვნელნი იგი გა-  
მოცდით სასწაულისანი წმიდამან ღმრთისამან, რომლისა შო-  
რის/ „საკურულებდა ღმერთი, გამომცდელნი თუსნი ჩუენებითა 25 283  
საკურულებისათა განაკურუნა“\*, რამეთუ სახელითა უფლისა იისუ

<sup>1</sup> ურთიერთარს B. <sup>2</sup> იესო A.

\* შლრ. ფსალ. 65,9.



ქრისტესითა მბრძანებელმან ირემნი ქსრბისაგან დააყენა და მშვი-  
ერნი მსუქანეთა მათ კორცთა მისთაგან გამოზარდნა და სულნი  
მათნი ჭამად გულისხმის-ყოფისა ჭეშმარიტისა მოიყუანნა.

მხილუელთა ამის საკურუელებისათა დესპანთა ითხოვეს სხუ-  
5 ააცა სასწაული მოციქულისაგან ზედმშპაზრუელთა, ვითარჲედ, თუ  
სადამე ძალ-უძს<sup>1</sup> კაცსა ამას საკურუელთმოქმედსა და უცნომსა სა-  
ხარებისა ჩუენდა მახარებელსა დაკლული ესე ირემი მწუარი და  
ჭმული ჩუენგან, რათა შემკრებელმან ძუალთა მისთამან წარმო-  
ადგინოსმცა ცხოველი, ყოველნივე სიტყუანი მისნი უჭეშმარიტეს  
10 იყუნეს ჩუენდა თუნიერ იჭუსა, ვინააცა ითხოვეს იუდასგან ერ-  
თად ზუაჲად შეკრებად ძუალნი ირმისანი და სახელითა მოძღურისა  
თუსისათა განცხოველებად.

მაშინ საღმრთომან მოციქულმან შეკრიბნა ძუალნი და დაპ-  
ბურა მათ ზედა ტყავი და ცხოველსყოფელითა სახელითა ძისათა  
15 მთხოველმან მამისა მიმართ ცოცხლიე წარმოდგომად ირემი იგი,  
მყის აჩუენა მთხოველთა სასწაულისათა ცოცხლიე წარმოდგომილ  
წინაშე მათსა, რომლითა კაცნი იგი. საკურუელებისა ამის მიერ  
განაცუფრნა. ვინააცა უბრძანა ირემსა მას განცხოველებულსა თან-  
შენათესავეთა და თანამქსრბოლთა თუსთა მიმართ მისლუამ, გარნა  
20 ირემი იგი ვერ შემძლებელ იყო მისულად შალიად მით, რომელ  
ჰკელობდა იგი მჭირსედ.

✓ /პრქუა იუდა კაცთა მათ: „ნუსადა ძუალი რომელიმე ირმისა  
ამის დამარხეთ ანუ განაგდეთ და ამისთვის ვერ შემძლებელ არს  
ქსრბად“. მიუგო მას ერთმან მათგანმან: „მე უკუე, მამაო, უჭეშმა-  
25 რიტესადრე პრწმუნებისათუს სიტყუათა შენთასა ვიპარე ძუალი  
ერთი და დაეპმარხე იგი“, რომლისათუს ითხოვედა მისგან მიტევე-  
ბასა და ძუალიცა იგი მიართუა მოციქულსა. ხოლო მომღებელმან  
კაცისა მისგან ირმის ძუალისამან ნეტარმან იუდა მოჰხადა თუსდა  
ირემი იგი, რომელიცა დამორჩილებით დადგა წინაშე მისსა და  
30 აჰა, მოციქულმან ძუალი იგი დაჰსლუა ადგილსა თუსსა და უბრ-  
ძანა ქსრბით წარსლუად და შერთუად თანამქსრბოლთა თუსთად და  
აჰა, ბრძანებისაებრ მოციქულისა ქსრბიდა ძლიერად ირემი იგი  
და მისრული მოყუასთა თანა პრბიოდა ველთა მათ ზედა.

ხოლო ღმერთმან, რომელმანცა საკურველებანი მყის თანად  
35 ახლითა საკურუელებითა განჰკარგნის, რათა არა ჰქრწნით 'ალიშა-  
ლოსმცა სისტემა მოკიდულებისა არსთასა, სამთა მათ მიერ ჰმნილ-  
თა საკურუელებათა მოციქულისაგან თუსისა კაცნი იგი ცნობად

<sup>1</sup> ძალ-უძს A.

ჭეშმარიტებისა თვისისა მოიყუანნა. და რომელმანცა „ქსთქუა ბნე-  
ლისაგან ნათელი გამობრწყინუებად და რომელმანცა გამოაბრწყინ-  
ნუა გულთა შინა ჩუენთა განსანათლებულად მეცნიერებისა დიდუ-  
ბისა ღმრთისა წინაშე პირსა იესუ ქრისტესსა“\*, განანათლნა სულ-  
ნი უღთოებითთა ბნელითა ვნებულნი და წინაშე მოციქულისა 5  
თაყუანისცემად თვისსა გულხმებულ-კყუნა და თესლი წმიდისა  
/სახარებისა სულთა შინა მათთა აღაორძინა და მხოლოდშობილისა 284  
ძისა თვისისა აღსარებად გონებანი მათნი ღირს კყუნა პირები-  
თურთ.

ვინა მოციქულმან ქრისტესმან მორწმუნეკმნილნი იგი და 10  
„სარწმუნოებითა სიყუარულისაგან შეწვევულნი“\*\* ცნობად ჭეშ-  
მარიტებისა მოსრულნი სახელითა ღმერთთმთავრისა სამებისათა  
ნათლისღებისა საბანელისა გამო წყლითა და სულითა აღმოშუნა  
და უპირატესი იგი მათი სახელით ხრისოს მღუდღელობითა მიმად-  
ლებულ კყო, ხოლო ხუთთავე მოწაფეკმნილთა ჭეშმარიტისა სახა- 15  
რებისათა განაყიდნეს ყოველივე, რაჲვეცა აქუნდაყე და მოწაფესა  
მას ჭეშმარიტისა ღმრთისასა დაემოწაფნეს და ქადაგებისა მიმო-  
სულითა განფენასა შინა საღმრთოჲსა იუდასგან არა განუშორნეს.  
ხოლო შემდგომად შეწირვისა წმიდისა მოციქულისა და მოძღური-  
სა მათისა დაემკუდრნეს მარტოებით მათსა რომელსამე შინა, რო- 20  
მელიცა იყო მახლობელ გამოსადინელსა ეფფრატისასა.

ღროსა სომეხთა ზედა მეფობისა არტაქსარ ზედწოდებულისა-  
სა მივიდეს პალატად თქმულისა მეფისა, იუბნეს სიტყუანი სახა-  
რებითისა მაცხოვარებისანი მეფისა შიმართ და დედოფლისა ზედ-  
წოდებულ სათენეკისა, რომელი იყო აღვანიითგან. იყუნეს მაშინ 25  
მსახურებასა შინა დედოფლისასა კაცნი ჩინებულნი აღვანიელნი,  
რომელთა სახარებაჲ იგი ხრისოს მიერ და მოყუასთა მისთა ქადაგე-  
ბული შეიწყნარეს.

ხოლო მეფე არტაქსარ უცალოკმნილი საჭიროებისაგან/ბრძო- 3  
ლისა წარვიდა ბრძოლად სპარსეთად და კრქუა მეტყუელმან წმი- 30  
დათა მათ: „მსცევდეთო სიტყუათა თქუენთა მოკცეადმდე ჩემდა  
ბრძოლით“, გარნა უღმრთოთა ძეთა მეფისათა განაღვენნეს წმიდა-  
ნი იგი პალატით თუსით, რომელნიცა წარვიდეს სამხოლოოსავე  
თუსსა.

ხოლო თქმულნი იგი კაცნი აზნაურნი მორწმუნეკმნილნი აღ- 35  
ვანელნი თანა წარკყუეს წმიდათა მათ სამხოლოოდ მათდა და ნა-  
თელს-ილეს მათგან ეფფრატიულთა წყაროთა შინა და მათ, რო-  
მელთაცა ოდეს ნათელს-ილეს, იხილეს ქრისტე ბორცუსა ზედა,  
რომელი იყო პირისპირ გამოსადინელსა მას თქმულსა წყაროთასა.

\* 2 კორ. 4,6. \*\* შლრ. ვალატ. 5,6.

რომელიც იქმნა მათთვის ემბაზად, და არღარა განეშორნეს კეთილსა მას წინამძღუარსა თუსსა წმიდასა ხრისოს, არამედ დაადგრენ მის თანა და ისწაებდენ მისგან გზათა ცხოვრებისათა.

5 ხოლო ადგილსა მას, სადაცა გამოუჩნდათ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, აღმართეს ჯუარი ნიშად ხილუსა საღმრთოისა და ზედწოდებულ ჰყუეს იგი ჯუარად ხარებისა ამისთვის, ვითარმედ ნათლისღებასა შინა საღმრთოდ იგი გამობრწყინუებამ იხილეს რა კორციელად სიტუად მხოლოდშობილი, მოყუასი მოყუასსა ახარებდა მეტყუელი: „აჰა, ესერა ვახედავთო ქრისტესა“:

10 ამათ შინა მოვიდეს წმიდისა ხრისოს მიმართ ძენი თქმულისა მეფისა არტაქსარისნი, შობილნი დედოფლისაგან სათენეკისა და ევედრებოდეს, რათა უბრძანოსმცა ათცხრამეტთა მათ მთავართა

285 მოწაფეთა თუსთა მიქცევად დედოფლისადე, /რომელნიცა ნათესავ იყუნეს დედოფლისა. მიუგო წმიდამან ხრისოს: „ნებისაებრ

15 თუსისა აღირჩიონ მაგათ სარგებელი თუსი“, რომლისათვის განრისხნეს უღმრთონი იგი ბარბაროსნი და წმიდა ხრისოს და ოთხი იგი მოწაფენი მისნი მოჰსწყუდნეს მახვლითა, გარნა ვერ სადამე შეეხნენ ვნებად წმიდასა ბარდას, რომელიცა ნათლისღებასა შინა იწოდა სუქიოს, და ათრუამეტთა მათ მისთანათა, რამეთუ აყენებდა მათ

20 ვნებად მათდამი შიში დედოფლისა დედისა მათისა.

მაშინ სანატრელმან სუქიოს და მისთანათა მათ დაჰფლნეს სიმართლისათვის ვნებულნი იგი სხეულნი წმიდათანი და თვთ დაადგრეს სამხოლოოსა მათსა ანგელოსებითითა ცხოვრებითა და მშრომელნი ძალითი-ძალად მიიახლებოდნიან ღმერთსა, მავალნი გზასა

25 მას ზედა, რომელიცა ისწავეს წმიდისა ხრისოსისგან.

შემდგომად დროთა რაოდენთამე ქრქუა წმიდამან სუქიოს მოყუასთა და მოწაფეთა თუსთა, რამეთუ შემდგომად წმიდისა ხრისოსა წინამძღუარ მათდა იქმნა იგი, ვითარმედ: „მოვედით და წარვიდეთ სუკავად მით, რომელ მდელონი ადგილისა ამის განმასუქებელ არიან კორცთა“.

30 და ესრეთ განზრახვისაებრ წმიდისა მის წარვიდეს და მისრულნი სუკავ მთასა ზედა დაემკვდრნეს. ხოლო განზრახუა ესე მოისიბრძნა ნეტარმან სუქიოს ორთათვის მიზეზთა: პირუელად, რამეთუ შუენიერ იყო ადგილი, რომელიცა დაუტკვეს, და პოხიერ მდელონი მისნი. და მეორედ, რათა მახლობელ-ყოფისა-

35 გან დედოფლისა კშორვიდენ, ნუსადა მოვიდენმცა მათდამი წარმოგზავნილნი დედოფლისაგან მაიძულებულად, რათა მიაქციენმცა სამეფოხალამი დიდებისა/ და პატივისა, რომელი-იგი აქუნდათ.

ვინა დაემკვდრნეს თქმულსა მას შინა მთასა სუკავეტისასა,

პირისპირ სოფლისა ბაგრევეანდისა და პირისპირ მთისა ნაპატისა ორმოცდაოთხ წელ გამოზრდილნი მუნებურთა მათგან მთიურთა მლელოთა. ხოლო იქმნეს ტყავნი სხეულთა მათთანი ვითარცა კუცი და აღმოვიდეს სხეულთა მათთაგან თმანი და დაიფარნეს მით ყოველნი სხეულნი მათნი და ყოვლისაგან სხეულებისა, რომელნიცა შეხუდებიან სხეულთა, უვნებელ იქმნეს. ხოლო სახელნი ამათ ნეტართა სუქიელთანი ზემოთა შინა სიტყუათა მოკსენებულ არიან ჩუნგან.

ხოლო ოდეს-იგი მეფე იქმნა ალვანთა ზედა დატიანოს, ჰბრძანა აღლუმი სპათა თუსთა, რომელიცა ჰქმნა ბრძანებისაებრ, განაღდა წარმოითხუელმან რიცხუთა შინა<sup>1</sup> მთავართა თუსთასა<sup>2</sup> წმიდისა ბარდას (რომელა წმიდა სუქიოს) და ათრუამეტთა მისთანათამან, რომელნიცა პატივევმულ იყუნეს შემდგომად მეფობითისა პატივისა შეორედ საყდრისმპყრობლად, ძიება კყო მთავართა მათ, რომლისათუს ერთმან ვინმე მთავართაგანმან ზედწოდებულმან მსკური, უწყებულ კყო მეფე, ვითარმედ არიან იგინი მთასა ზედა სუკავეტისასა, სომხეთს შინა, მორწმუნეკმნილნი ქრისტეს მიმართ.

უწყებულქმნილმან ამით მეფემან ალვანთამან დატიანოს უბრძანა მთავარსა ვისმე, სახელით ბარლაჰას, სპითურთ წარსულად სომხეთად, მთად სუკავეტად და მოყუანებად წინაშე მისსა პატივითა დიდითა ატცხრამეტნი იგი მთავარნი და, თუ სადამე ურჩ ექმნენ ბრძანებასა მეფობითსა, ატცხრამეტნივე მოწყუელად მახულოთა.

მისრულმან ბარლაჰა მთად სუკავეტად ჰპოვნა მამაკაცი იგი ძიებულნი მისგან შამბთა შინა და ლელეთა მთათასა, ვითარცა უსიტყუნი ველურნი, რამეთუ სოფლისმოყუარეთად საშინელ იყუნეს და უფროსლა საძულუველ მორფნაკუეთნი მათნი ესოდენტა წელიწადთა შინა, ვითარცა ირემნი ანუ გარეთხანი ველურნი. ვინა ბარლაჰა იწყო მათდა სიტყუად: „გიბრძანებსთო მეფობა დატიანოს დიდისა მეფისა ალვანთასა, რათა მიიქცეთმცა მთავრობითთავე პატივითა თქუენითა აღუანიად და მიილოთ მეფისაგან მეორედი იგი საყდრისმპყრობელობად აღუანიასა<sup>3</sup> შინა“.

მიუგო წმიდამან სუქიოს: „ჩუნ სახელისათუს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა, რომელი არს შემოქმედ და უფალ ყოველთა მყოფთა, ნებსით მკუდარ ეიქმნენით და დავიწყებულ ქორცი-

1 შინა შორის B. 2 თუსთა B. 3\* ალვანისა B.

ელად და რად სადამე საქმარ მკუდართად პატივი მთავრობითი, რომელნიცა ქრისტე ჩუენისაგან მის თანა უკუდავსა და უბერებელსა, წარუდინებელსა და სამარადისოსა მოვედით დიდებასა ანგელოსთა თანა წმიდათა“.

5        პრქუა ბარლაჰა: „სადათ უკუე იცანთ თქუენ ქრისტე იგი თქუენი?“ მიუგო წმიდამან: „ყოველთა მეძიებელთა თვსთა ეპოებისთ ღმერთი, რომელიცა ეპპოეთ ჩუენ მეძიებელთა მისთა და შეეციუარეთ იგი „ყოვლითა სულითა, ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გონები/თა ჩუენითა““.

10        პრქუა ბარლაჰა: „ნუ მრავალსა იტყვ, მოვედ და წარვიდეთ მეფისა ჩუენისა და მიიღე მთავრობითი იგი პატივი შენი“. მიუგო წმიდამან: „ჩუენ უკუე დავჰშუერით მუშაკობასა შინა და ღრომ მოწვენულ არს შოღებად სასყიდლისა<sup>1</sup> მუშაკობითისა“<sup>2</sup>.

15        პრქუა ბარლაჰა: „მთავრობა დაგიტევებიეს და აღგიჩუევიესა მუშაკობამ?“ მიუგო წმიდამან: „უკეთუმცა გეცნა შენ უფალი ჩემი, შენცა მიხუედ მისდამი მუშაკობით“.

20        პრქუა ბარლაჰა: „უმჯობეს არს შენდა დამორჩილება ბრძანებასა მეფისასა და მიტყევედ პატივისავე მიმართ შენისა მთავრობითისა და დატევებად ცუდი ეგე სასოებად, რომლისათუჲს ესოდენნი

25        უკუე წელიწადნი წარგივლიეს მკეცთა თანა. უწყებულ უკუე იყავნ, კაცო, ვითარმედ, თუ სადამე განკსუებულთა გონებითა არა ერჩით ბრძანებასა მეფისა ჩემისასა, მზა თქუენდა და წინაშე თქუენსა სიკუდილი მძუნუარე“. მიუგო წმიდამან: „ჩუენ უკუე შეწვენითა ღმრთისა ჩუენისათა ვერ აღგუტაცენ აღთქმითა მთავრობითისა პატივისათა, რომელიცა მჰსგაფსად „კუამლისა მკირედ-

30        ეამ ჰსჩანნ და მერმე განქარდის““<sup>3</sup>, რამეთუ „ყოველი ჯორცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუავილი თივისა. განჰკმა თივა და ყოველი დიდება მისი დამოჰსცუვა, ხოლო სიტყუა ღმრთისა ჩუენისა ჰგიეს უკუნისამდე““<sup>3</sup>.

37        მხილუელმან ბარლაჰა წმიდათა ღმრთისათა სიმტკიცისამან განრისხებულმან უბრძანა მკედართა განრთხმად თუთოეულნი

287        მათნი ოთხთა მიმართ მანათა/ და მოხმად შეშანი ფრიადნი და დავწუვად ცეცხლითა. მაშინ მტარუალთა აღასრულეს ბრძანებული ესე და შემპყრობელნი მოწამეთა ჰეშმარიტებისათა განართხმიდეს მანათა მიმართ და ზედა დაჰყრიდეს შეშათა და ცეცხლსა აღაგზებდეს და ყოვლადდასაწუელთა საღმრთოთა თათა თვსთა ღმრთი-

<sup>1</sup> შლრ. 2 სჯულ. 6.5. <sup>2</sup> იაკობ 4,14. <sup>3</sup> შლრ. ისათა 40,6-7.

სადმი შეწირუად მღუდელმმოქმედებელთა კელნი იგი არაწმიდანი დაწუად უწყალოდ მეცადინეობდეს.

შეიპყრობოდეს რა მოწამენი ჭეშმარიტებისანი და განჭიმულნი მანათა მიმართ ცეცხლთა დაწუად განიჩინებოდეს, იყო პირთა შინა მათთა ფსალმუნი დიდებად ღმრთისა: „შენ, უფალო, ნუ გან- 5  
მაშორებ შეწვენასა შენსა ჩემგან და კელისაპყრობად ჩემდა მომხედენ, იქსენ მახელისაგან სული ჩემი და კელთაგან ძაღლთასა მხოლოდშობილება ჩემი, მიუთხრა სახელი შენი ძმათა ჩემთა და შორის ეკლესიისა<sup>1</sup> გიგალობდე შენ. მოშიშნი უფლისანი აქებლით მას და ყოველი ნათესავი იაკობისი აღიდებლით მას, რამეთუ არა 10  
შეურაცხ-ჰყო, არცა მოიწყინა. ლოცუაჲ გლახაკისა, არცა გარემიაქცია პირი მისი ჩემგან და ხადილსა ჩემსა მისსა მიმართ ისმინა ჩემი“\*. ხოლო წინამძღუარ წმიდათა მათ ყოველსა ლოცუასა შინა იყო წმიდაჲ კოდრაატოს.

მხილველი მძლავრი უშიშოებისა წმიდათასა და მკსმენელი 15  
ლოცუსა მათისა სიმტკიცემან წმიდათამან აღაბორგა და მტარულთა ჭიმი პირთა შინა წმიდათასა აღდებად უბრძანა და ბრძანებამ უკსჯულოებითი მსცუალა, რამეთუ განჩინებამ ცოცხლივ დაწუსა წმიდათასა მახულითა დაჭრად უწყალოდ გარდაიღო და სპანი გან-  
მაშიშულებელნი მახლთანნი მოწამეთა ზედა ჭეშმარიტებისათა 20  
მძენ/უარედ დაჭრად დაადგინნა.

მაშინ მოწამენი ჭეშმარიტებისანი, ვითარცა ვაზნი იგი ჭეშ-  
მარტიცა ვენაჯისანი, უწყალოდ მოისხლოდეს, რამეთუ რომელნი-  
ცა კერძონი წმიდათა სხეულთა მათთანნი უმარჯუეს დაეკუეთიან 25  
მკედართა, იგინი უწყალოდ იჭრებოდნიან და უსასყიდლონი იგი  
სპეკალნი თავნი მათნი, წარკუეთილნი ველთა მათ ზედა მთიურთა  
შუენიერ ჰგორვიდიან და სიმეწამულე სისხლისა მათისა მწუანო-  
ვანთა მათ აღაგთა მთიურთა შეამკობდა, ხოლო სულნი მათნი  
კელთა შინა ზეციერისა მამისა ღმერთთმთავრისა მიმართ აღვი-  
ლოდეს. 30

ხოლო პირუელ აღსრულებისა ითხოვეს წმიდათა ღუაწლის-დამ-  
დებელისა მათისაგან, ვითარმედ „სადაცა დაითხიოსო სისხლი ჩუ-  
ენი, აღმოვიდეს წყარომ საკურნებელად სნეულთა“, რომელიცა  
სუნად სუნელად საკურნებთა მათ ყოვლად სიტყუერთა შემწირუ-  
ელმან ღმერთმან თხოვამ იგი მიითუალა და აღსრულებად ესეგუა- 35  
რითარე მითუალულებითა აღუთქუა წმიდათა თესთა: „აღსრულ-

<sup>1</sup> ეკლესიასა A. 2 ლოცუა A.  
\* ფსალ. 21,19-20; 22-24.

დენო თხოვანი თქუენნი ყოველთათეს საღმობათაგან და ტკივილთა ვნებულთა და თქუენ მოვედით განმზადებულსა თქუენთეს განსუენებასა შინა“.

შემდგომად სიკუდილისა ჰბრძანა უღმრთომან მან მთავარმან 5 სხეულნი წმიდათანი განჰყარად დაუფლულელ, რომელნიცა საღმრთომან განგებამან წელიწადთა 230 ქუეყანასა ზედა დაუფლულმდებარენი დაიკუნა უხრწნელად.

ხოლო ღროსა მონარხოზითსა თუმჰყრობელისა კეთილმსახუ-  
288 რისა კესარისა კოსტანტინე დიდისა, /მოციქულთა სწორისასა სა-  
10 ღმრთოთა გამოცხადებითა კეთილმსახურთაგან პოენილ იქმნეს დაუფლულმდებარენი იგი ქრისტესთეს ვნებულნი კორცნი წმიდათანი და მახლობელ კლდესა ზედა დაწერილ სახელნიცა მათნი და სადაცა დათხეულ იყო სისხლი იგი მათი ყოვლად წმიდაჲ, თითოეულთა ფერთა აჩუენებდა ქუეყანა იგი, რომელიმე ფეროთ და  
15 სპეტაკ, რომელიმე მეწამულ, რომელიმე ყვითელ, სხუად ცისფერ და სხუად მწუანედ.

ხოლო მპოენელთაგან კეთილმსახურთა, რომელნიცა საღმრთოთა გამოცხადებითა პოენასა მას ღირს იქმნენეს, დაიკრძალნეს  
20 ქრისტეს მარტულთანი, მდებარენი საუნჯედ უსასყიდლოდ ყოვლისა სოფლისა.

გარნა შენ, ყოვლად წმიდაო რიცხუთ ათცხრამეტობითო გუნდო მარტულთო, ასოო პირმშომასა ეკლესიისაო, სამღუდელოო შეკრებულეზოთ თანდაწესებულო ზეციერთა იერარხთა თანა, რომელი  
25 ღირსებითთა გვრგვნითა ხარ შუენიერება მმარხუელობითისა ქრისტესთეს მოლუაწებისა და რომელი სისხლითა მარტულეზობითთა ჰბრწყინავ სამყაროსა ზედა საღმრთოთასა ტრფიალებითისა ცისასა, ანტონის ყოვლად გლახაკსა და უღებსა მექმენ განმანათლებელ გონებისა ტკბილთა ოხათა მიერ ღუაწლის-დამდებელისადმი შეწი-  
30 რულთა, რომელი-ესე კადნიერ ვიქმენ გალობად და მოთხრობად ყოვლად წმიდათა სამღუდელოთა ვნებათა შენთა.

✓ /ხოლო კადნიერებისა ამის, რომელიცა არა ღისრმან ვკადრე შენდამი, გუნდო ყოვლად წმიდაო, ნუ მიმეკდებინ მე პატყი კადნიერებისა, არამედ ვითარცა სურვილისაგან ქმნილი მიითუალე და  
35 ღროსა ორად განკუეთისასა უმთავრესი ნაწილი ჩემი იქსენ დიდებისაგან ორგულთა თანა.

მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი იყავენ ყოველთა კეთილმსახურთა თანა, ამინ!

ღაინაქუეთა სასანთლე მრჩობლნათელი 5  
ოფაზისაგან ოქრო განწმედილისა.  
იღმერთსახელა, ვით ხატმან და ზარმან  
პირუელ ნათლისა აუკებელისამან  
იხაკ საღმრთომან ყოვლად ბრძნით იოსებით.

სიტყუა მეათცხრამეტე 10

სიტყუა სიბრძნემან იგაეთა შინა (სოლომონისთა): „რომელნი  
ასკოდდენო ჩემდა, უღმრთოებენ სულთა ზედა თაეთა თუსთასა  
და რომელნი მძულობენ, უყუარსთ მათ სიკუდილი“\*. სიტყუა სი-  
ბრძნემან კუალად: „ჩემი არსო კრძალულებამ, ჩემი არს შურის-  
გებამ, ჩემი არს ძალი“\*\*. კუალად: „მე მოყუარენი ჩემნი მიყუა- 15  
რანო და რომელნი მეძიებდენ მე, მპოონ“<sup>3</sup>. ხოლო ვინაძთგან  
უწყებულ ვართ ამისდ და სარწმუნოდ შეგვირაცხიეს სულისაგან  
წმიდისა ჩუენდ მოცემულითა გულისხმის-ყოფითა, ვითარმედ სი-  
ბრძნე „ღალაღებს ბაგეთა თუსთა მართლ და პირი მისი იწურთის  
კეშმარიტებასა და სიტყუანი მისნი სიმართლით არიან და არა არს 20  
მას შინა გულარძნილ, არცა ღრკუ“<sup>4</sup>, ვინა სათანადო არს ცნო-  
ბად, ვითარმედ ვისიცა არს კრძალულებამ, რომელსა ფილოსო-  
ფოსნი ზედწოდებულ ჰყოფენ ნათესავად სათნოებათა, და ვისიცა  
არს შურისგებამ სამართლად, რამეთუ შურისსაგებელთად შესა-  
ბამი გება შურისა კეთილგონიერ-განგებულისაგან წარმოებს სი- 25  
ბრძნისა, ხოლო კუალად ვისიცა არს ძალი დაუცხრომელად მიდ-  
რეკილი მოქმედებისად, მისდამი ცოდუა არს უღმრთოებამ ამად,  
რომელ სათნოება იგი, რომლითა /„განმართლდების კაცი და არა  
საქმეთაგან ასჯულისათა“<sup>5</sup>, არს დაცუა მცნებათა მათ, „რომელთა  
ყოველნი ჰსჯული და წინასწარმეტყუელნი მოკიდულ არიან“<sup>6</sup>. 30  
და ესენი არიან სათნოებანი, სახენი კრძალულებისანი, ხოლო ყო-

\* ზღრ. იგავ. 8,36. \*\* ზღრ. იგავ. 8,14. <sup>3</sup> იგავ. 8,17. <sup>4</sup> ზღრ. იგავ.  
8,7-8. <sup>5</sup> ვალატ. 2,16. <sup>6</sup> ბატო. 22,40.



ველი ჰაზრებული ნათესავისათეს — უიჭუოდ ჰაზრებულ სახეთათესცა, ვინა ყოველი მცოდნეული კრძალულებისად მცოდნეულ არს სათნოებათადცა.

ყოველი ჰაზრებული ბუნებისად — ჰაზრებულ თესებათადცა 5  
საკუთართა ბუნებისათა, ხოლო კრძალულებამ არს საკუთარ და ბუნებით თესებამ სიბრძნისა, რომლისათეს ყოველი ჰაზრებული სიბრძნისად — ჰაზრებულ კრძალულებისადცა, ვინამცა წარმოებს კიდურმდგმოებამ. მაშასადამე, მცოდნეული სიბრძნისად — მცოდნეულ კრძალულებისად. კუალად, მაშასადამე ყოველი მცოდნეული 10  
კრძალულებისად — მცოდნეულ სარწმუნოებისა მიმართ ქრისტე იესუსისა, რომლითა განმართლდების კაცი და „სიყუარულისა მიმართ ღმრთისა და მოყუასათსა, რომლისად მოკიდულ არიან ყოველი ქსჯული და წინასწარმეტყუელნი“\*.

ხოლო ვინამთგან უღმრთოება არს მცოდნეულ-ყოფამ სიბრძნი- 15  
სად, რომელიცა „უფალმან დაამტკიცა იგი დასაბამად გზათა თესთა“\*\*, ხოლო ცოდუამ რამე იყოს მისდა, განაღა არ შიში უფლისა, რამეთუ „დასაბამი სიბრძნისა — შიში უფლისა და გულისხმის-ყოფა კეთილი ყოველთა, რომელთა ჰყონ იგი, და ქება მისი ეგოს უკუნისამდე“<sup>3</sup>, ვინა „ნეტარ არს კაცი, რომელსა ეში- 20  
ნის უფლისა, მცნებათა შინა მისთა ინებოს ფრიად“<sup>4</sup>.

290 /ხოლო ვინამთგან კრძალულებამ ნათესავი არს სათნოებათა და კრძალულება იგი არს თესება სიბრძნის ბუნებისა და შიში უფლისა არს დასაბამი სიბრძნისა, დაღათუ სახედცა კრძალულებისა იცნობვის, ვინა შიშისა უფლისა მომგები ბრძენ არს, რომელ- 25  
სა კიდე იჭუსა მოუგიეს კრძალულებამ და მომგები კრძალულებოსა, ვითარცა ნათესავისა სათნოებათასა, მოშიში არს უფლისა. ხოლო ორად სადამე წუალებულ შიში უფლისა, ესე იგი ძეებრ და მონებრ. ძეებრ, ვითარ-იგი ძესა ეშინის მამის-მოყუარესა მამისაგან, რომლისათეს ითქმის: „სრულმან სიყუარულმან გარე განჰსდევნოს 30  
შიში“<sup>5</sup>, და ესე შორის უენებელთა ოდენ არს. ხოლო მონებრ და ესეცა იწუალვის ორადუე: მონებრ, ვითა არერთგულისაგან მონისა შიში ყოვლისაგან სიყუარულისა დაკლებულ არს და ვიდრე გობადმდე მიიწევის, ვითა შიში უწყალომისაგან და უსახურისა უფლისა. კუალად ვითა შიში უფლისაგან სახიერისა და ტკბილისა, 35  
გარნა სიმართლით მიმგებელისა შეცოდებულთად. ხოლო მოშიშეობამ ესე უფლისაგან, თუ სადამე გარეგან ზომისა არს, ვისცა შორის არს, არასრულებასა მისსა ცხად-ჰყოფს, რამეთუ „შიში არა

\* შლრ. მატ. 22,37-40. \*\* შლრ. იგავ. 8,22. <sup>3</sup> ფსალ. 110,10. <sup>4</sup> ფსალ. 111,1. <sup>5</sup> 1 იოან. 4,18.

არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე გან-  
ჰსდევნის შიში, რამეთუ შიშსა ტანჯუა აქუს, ხოლო მოშიში იგი  
არა სრულ არს სიყუარულსა ზედა\*\*.

მოშიშთა უფლისათა თხსება არს, ჰხედუნენ რა „მოსავთა მცნე-  
ბათა უფლისათა, იხარებენ\*\*\*, ხოლო ვინამთგან „შეყუარება უფლი- 5  
სა ყოვლითა სულითა, ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გონებითა“3\*  
არს ესეგუარი მცნებად, „რო/მლისად მოკიდულ არს ყოველი ჰსჯუ- 4  
ლი მოქმედთამი ამის მცნებისათა“4\*. თუ სადამე გუაქუს შიში უფ-  
ლისა, თანა-გუაძს, რათა ვინარებდეთ.

ხოლო ვინამთგან „უფროსი ამისა სიყუარული არავის აქუს, 10  
რათა დაჰსდუას სული თჳსი მეგობართა თხსთათჳს“5\* სიტყუასაებრ  
უფლისა, ვინა დამდებელნი სულთან ი უფლისათჳს არიან სახარუ-  
ლევან მოშიშთად უფლისათა.

„სიხარული არსო (ჰსთქუეს ფილოსოფოსთა) აღსავალი უდი-  
დესი შუებისა“, ხოლო შუებამ—„გრძნობა სრულებისა“. ხოლო 15  
სრულება—„თანჯმობა სხუაობათა შინა“ ანუ „თანჯმობა ერთსა რამ-  
მესა შინა მრავალთა განსხუაებულთა“. და ოდეს მრავალნი სა-  
თნობანი ერთსა შინა ჰაზრსა, ესე იგი ერთისაგან წმიდისა კათო-  
ლიკე სამოციქულო ეკლესიისა ჰყრობილისა ერთსა შინა სარწმუ-  
ნობასა შეწევილსა სიყუარულისაგან, თანჯმობენ, ანუ მრავალნი 20  
ერთისა უფლისად მოგებულსა სიყუარულსა შინა წმიდისაგან სარ-  
წმუნობისა წარმოებულსა ერთგონიერებდენ და ამისთჳს მათგან  
შეყუარებულისათჳს დადებითა სულისათა მოქმედებდენ შინაგნით  
ენებულნი სულთა შინა და ვნებანი იგი იცნობდენ თეორეტიკებრ,  
ხოლო გარეგნით სხეულთა შინა და ვნებანი ესე პრაქტიკებრ, რა- 25  
მეთუ შინაგნითმან სულსა აღტყინებულმან ცეცხლმან უგრძნობელ  
ჰყუნა კორცნი განლევად, ესე არს მოსავ-ყოფად უდიდესი მცნება-  
თა მიმართ უფლისათა.

ამათ სიბრძნისმოყუარეთად მოსავთა მცნებისა უფლისათა  
იხარებენ მოშიშნი უფლისანი უდიდესითა /აღსავალითა შუებისა-30 291  
თა და იშუებენ უდიდესითა გრძნობითა სრულებათათა.

„ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა, მარადის ჰებამ მისი ჰირ-  
სა ჩემსა“6\* ამისთჳს, ვითარმედ: „საკურუელ არს მაღალთა შინა  
უფალი და წამებანი მისნი სარწმუნო იქმნნეს ფრიად“7\*, რამეთუ  
„მან მოიგონნა ჰირუელად ძალნი ანგელოსებრნი და ზეციერნი და 35  
მოგონებამ იგი იყო საქმეი სიტყუთა აღსრულებული და სულითა.

\* შტრ. 1 იოან. 4,18. \*\* შტრ. ფსალ. 118,74. 3\* შტრ. 2 სჯულ. 6,5.  
4\* შტრ. მატთ. 22,40. 5\* იოან. 15,13. 6\* ფსალ: 33,1. 7\* შტრ. ფსალ. 93,1-3.

სრულქმნილი<sup>1</sup>, ხოლო „მეორედ სოფელი ნივთიერი და ხილული, რომელ არს ესე ცისაგან და ქუეყანისა და მათშორისთა ესე შეერთებამა კერძოთა და შეზაგებად მიდრეკამ ურთიერთას, რომელი უსაქებელესსა თანვობასა და კეთილშეზაგებულებასა უჩუენებს 5 მცნობელთა თესებათა თუსთასა<sup>1</sup>. ვინადაცა საკურუელი ესე სისტემაჲ განაკურუებს რა გონიერსა და მნებებელსა სულსა, აიძულებნ წარმოდგომად და განჰსჯად, რამეთუ უსაკურუელესისადა შემძლებელ იყო ღმერთი მოგონებად და ქმნად“<sup>2</sup>.

ვინა ესთა მოგონებისა და ქმნისა შემოქმედი არსებამ ნამ-  
10 დულ სულ არს მარტივ და გონებისა და სიტყუსა და ცხოვლობისად მიფენილ არს მხოლოობისა თუსისა განუკუეთელად, ხოლო უცხო არს ზადიერებისაგან, რამეთუ შემოქმედსა სულთასა თუს ეყეს ესე, ვითარმედ რათა იყოსმცა ყოვლისა წარდინებისაგან და ხრწნი-  
15 ლებისა აღორძინებისაგან და მოკლებისა ზესთა. კუალად, ვინამთ-

გან სულსა შეცოდებულსა მიეჭდების პატივი და კეთილდაბადებუ-  
20 ლებისა თუსისაებრ მდგომ/ებისაშინასა სულსა მიემადლების ჯილდომ ესეგუარი უკუე არსებამ, რომელსა შეუდგების საჭიროდ კეთილ და მართლმსაჯულობამ, უზადო იყოს ყოვლისაგან რაად-  
25 ვემსაცა ცუალებისა და ვინამთგან მიქცეულთა კეთილობისადვე კორცთა თანშეკრულებისათუს სულთასა მიჰსცემს პირუელსავე მდგომარეობითსა კეთილობასა, ვინა მოწყალე და სახიერ არს სა-  
30 დამე ბუნებით და ამისთუს „უყუარს წყალობამ და მჰსჯავრი უფალსა“<sup>3</sup>, ვინა „ეაკურთხო უფალი ყოველსა ეამსა, მარადის ქება მისი პირსა ჩემსა“<sup>4</sup>.

25 ესე უკუე-ცნობამ ღმრთისათუს, რომელი დაიდუა ჩუენგან ზემო, დაღათუ გულისხმისყოფითისაგან ნიჭებულებისა იქმნების სულთა ჩუენთა შორის, მაგრა სიბრძნისა ვმვეითა იპოვების, რამეთუ კეთილთა საშუალთა კეთილთა თანა დასასრულთა შეერთებამ ყოველსავე ჩუენსა კეთილგონიერად განაგებს, ვინადაცა „რომელნი  
30 სიბრძნესა ჰსძულობენ, უყუარსთ სიკუდილი“<sup>5</sup>, ხოლო „რომელნი ეძიებენ, ჰპოვებენ მას“<sup>6</sup>.

„მოვედით — ქსთქუა — შევილნო, ისმინეთ ჩემი, შიში უფ-  
ლისა გასწაო თქუენ“<sup>7</sup>, რამეთუ „შიში უფლისა წმიდა არს“<sup>8</sup> და მცნება უფლისა ბრწყინულე და განმანათლებელ თუალთა,  
35 რომელიცა უენებისაგან მოიგების სულისა, მაშინ ოდეს სამთავრო

<sup>1</sup> თუსთა B.

\* [კრიგოლი] ღმრთისმეტყუელისა ქრისტეს შობისათუს. \*\* მისივე და სიტყუა. <sup>3</sup> ფსალ. 32,5. <sup>4</sup> [ფსალ. 33,2]. <sup>5</sup> შლრ. იგავ. 8,36. <sup>6</sup> შლრ. იგავ. 3,17. <sup>7</sup> ფსალ. 33,12. <sup>8</sup> ფსალ. 18,9.

თუმცა ფლობებითი სულსა შინა წმიდა იყოს შერევილითაგან და ბნელთა წარმოდგომათა, სადაცა მეუფე უფალი სავაოთ სახლსა შინა თხსსა ესეგუარსა დიდებითა თხსითა საესესა გამობრწყინდეს „მგდომარე საყდარსა ზედა მალალსა და აღმატებულსა“<sup>1</sup>.

წმიდა უფლისად მიგვიყუანებს ნამდულ კაცთა წმიდათა მო- 5 292  
 შიშთა უფლისათა ქსენებად, ვითარმედ „ყოველთა წმიდათა ცხოვრებანი სახენი სათნოებისანი არიან და ვითარცა მხატვარნი წინამდებარესა ზედა მაგალითსა მიხედუნენ, რათა მსგავსებად იგი შეუცვალებულად გამოსახონ, ეგრეთვე, რომელსა ენებოს ყოველთა სათნოებათა სრულ-ყოფად, სახედ ცხოვრებისა თხსისა აქუნდინ, 10  
 ვითარცა მაგალითნი, ცხოვრებანი წმიდათანი და მათსა მას სათნოებასა ისწრაფდინ სულსა შინა გამოსახულად“<sup>2</sup>. ამით უკუე იტყუს შვე მოძღვართა შორის. ხოლო ვინამთგან საღმრთონი მარტულნი უდიდეს პბრწყინუნენ წმიდათა შორის, რამეთუ მათ „განვლეს ცეცხლი და წყალი და განვიდეს უფლისაგან მათისა განსასუენე- 15  
 ბელად“<sup>3</sup>, ესენი არიან, „რომელნი სარწმუნოებით ერეოდეს მეფეთა, იქმოდეს სიმართლესა“<sup>4</sup>, ესე იგი მსწამებდეს წინამე მსაჯულთა აღსარებასა ჭეშმარიტსა, მოქმედებითა სიმართლისათა წმიდაქმნილსა, რომლისათვის „მიემთხვენეს აღთქმასა, დაუყუნეს პირნი ლომთანი, დაშრიტეს ძალი ცეცხლისა“<sup>5</sup>. ესენი ძუელ- 20  
 თათუს მოლუაწეთა სჯულისა უფლისათა თქმული<sup>1</sup> ყოვლად ბრძნისაგან მოციქულისა სულითა წმიდითა მოიღების მითვე სულითა ყოვლად წმიდითა მოლუაწეთათუს ჭეშმარიტისა სარწმუნოებისათა.

ხოლო ჩუენ ვინამთგან მოვიცალეთ სხუათა თქმათაგან მოწამე- 25  
 თათუს ოდენ ჭეშმარიტებისათა და ყოვლად წმიდათა ტკივილთათუს მათთა და სისხლისათუს მათისა, კეთილმითუალულისა ღმრთისა მიერ და სამღუდელომასათუს ვნებისა მათისა გალობად და მოთხრობად ათმუდმეტთა სიტყუათა შინა ქართუელთა მოწამეთათუს V  
 მფარულთა ჩუენთა, ხოლო მეათრუამეტად სიტყუად ეპყავთ ღირს- 30  
 თა მოწამეთათუს სუქიეთთა ვნებულთა ქრისტესთვის მთასა შინა სუკავეტისასა ბარბაროსთაგან, აწ ვიტყოდეთ, ეკვლობდეთ და მიუთხრობდეთ სხუათა მოწამეთათუს, ვნებულთა ქალაქსა შინა თეოდოსიპოლსა, რომელსა ჩუენ ზედწოდებულ ეპყოფთ კარნუ ქალაქად, რომელთა მქსენებად დაძსლუნეს პირუელთა მამათა ქართუელ- 35

<sup>1</sup> თქმულ A.

<sup>2</sup> ისაია 6,1. <sup>3</sup> ეასილი დიდისა ღმრთისმეტყუელისა მიმართ ეპისტოლე. 3<sup>o</sup> შტრ. ფსალ. 65,11. <sup>4</sup> ებრ. 11,33. <sup>5</sup> ებრ. 11,33-34.

თა სათთუეთა მოსაქსენებელთა შინა. ხოლო საღმრთოთა მათ მოწამეთა სახელნი ესრეთ უწყებულ არს ჩუენდა: ისაკ და იოსებ.

მოვედით, მარტულთ-მოყუარენო, მტილისადმი დაქშულისა და წყაროსად დაბეჭდულისა, რამეთუ ესე სოლომონ ქებათა შინა 5 ზედწოდებულ ჰყო „მტილად დაქშულად და წყაროდ დაბეჭდულად“\*. ამას საღმრთოთა გრიგორი ნოსელი „გონებად იტყვს წმიდად სულისა კეთილისა უკუდავისა სიძისად დაწინდებულისა, ვერგანდებულად კორციელთაგან და გრძნობადთა გულისსიტყუათა და ესრეთ დაბეჭდულად და დაქშულად“\*\*.

10 მებრვე სიტყუსა საზოგადოთა მოძღუარისა საღმრთოთა ვიტყოდეთ: ეჰა, წყაროთ აღმომაცენი ცუართა ჰქშირთა და რიცხუთა ქუეშე შეუუანად შეუძლებელთა უსხეულოთა და მარტივთა, რომლისა მქსმელნი იგინი ოდენ არიან, რომელნიცა მიბაძუად უხრ-  
293 წნელსა მას აღმოსადინელსა ცუარ/რთასა მოსწრაფებენ<sup>1</sup>. ესე არს  
15 გონებად მექონი ურიცხუთა მოძრაობათა, რომლის ზედა, რომლისა მიმართ და რომლისა შორის მოვიდა სული ღმერთთმთავარი და განუწმიდა გარემოთა და უნივთოთა მოამარგულა ფარგლითა გარემოთა იგი, რათა სიქშომან ურიცხუთა ცუართამან ჰყოს დატევენა ცუართა სიმგრგულეთა<sup>2</sup> მათ შინა განუბნეველად და წარუწყმე-  
20 დელად. ხოლო მიქსცა ძალი გონებასა მას ყოვლად წმიდასა აღმოდინებად ურიცხუთა მათ ცუართა წმიდათა მოძრაობათა და აღმოსხლტიან რა წყაროსა მისგან ყოვლად ჰქშირითა<sup>3</sup> აღმოდინებითა, მრავალბევრნი ცუარნი მხოლოთაგან ფიალისა დგებიან განუბნეველად, დაცულნი ერთსა მხოლოსა შეუდგომელსა სიმგრგულესა  
25 შინა და ჰყოფენ შეკრებასა წყალთა ცხოვრებისათა.

გუეტყვს წინასწარმეტყუელი: „წყურთიელნი წარვედით წყაროსად“<sup>3</sup> და „აღმოივსეთ წყალი მხიარულებითა“<sup>4</sup>. მოვედით, მოყუარენო მარტულთანო, რომელთა გწყურის ყოვლად წმიდათა მათ ვნებათა მათთა ზიარ-ყოფა და მივისწრაფდეთ წყაროსა მი-  
30 მართ დაბეჭდულისა წმიდისა გონებისად მათისა, რომელთაგან აღმოდინან ცუარნი უნივთონი და მარტივნი წმიდანი გულისსიტყუანი სულისა მიერ ყოვლად წმიდისა და ეჰა მიზეზ აღმოდინებისა არს ტრფიალებად განუკუეთელი მხოლოთა და მარტივი სატრფიალოთ-სადმი არსთა საწყურისა. და ტრფიალება ესე არს ბუნებითი არსება-  
V თა მრავალთა არსად ერთისაგან ღროსა შინა მოყუენებულ/თა, რო-

1 ნომწრაფებენ B. 2 სიმრგულეთა A. 3 ქშირთა A.

\* შტრ. ქება 4,12. \*\* გრიგორი ნოსელი, ქება ქებათასა განმარტებისა თავი თ. 3\* ისაია 55,1. 4\* ისაია 12,3.

მელიცა საღმრთოთაგან მოძღუართა(\*) ვისწავეთ მეტყუელთა: „ვიწყუთოთ ყოველთაგან ერთად შემოკრებულისა ტრფიალებისათს, რათა მათ ყოველთა მამასა შემოუკრიბოთ თანა და შემოუნეტოთ“<sup>1</sup>. ხოლო კუალად იტყეს: „რომლისა მიმართ აღიპყრობვისო ერთბამობით თუთოეული არსთაგანი და ყოველთა არსთა მიერ ყოველი ტრფიალებამ“. ხოლო კუარნი იგი ტრფიალებითნი, რომელიმე ბუნებით ხატებისაებრ სატრფიალომსა და რომელიმე მსგავსებისაებრ ხატებისაებრ, რამეთუ „სულისა მეფობასა და სიმადლესა ცხად-ჰყოფს და გამოაჩინებს თავისუფლებამ მისი და თუთმფლობელობამ, რამეთუ უცხო არს იგი მონებრივობისაგან და სიმკოდოვისა და თუსითა ნებითა და კელშწიფებითა განიგების და ვის აქუს სხუასა ესევეითარი წესი, თუნიერ მეფისა“<sup>2</sup>. ესრეთ, ვითარცა ხატი გულისხმიერი და მნებებელი, არსებით ჰსტრფის გონებამ მოწამეთა პირმშომსადმი მაგალითისა თუსისა.,

ხოლო მსგავსებისაებრ, რამეთუ „კაცობრივი ბუნებამ ვინა მათგან მთავრად სხუათა მათ შემზადებულად მსგავსებითა მით ყოველთა მეუფისათა შემკული, ვითარცა სულიერი რამე ხატი, ესრეთ აღეშართა ზიარებად პირმშომსა ხატისა სახელითაცა და პატივითა, არა პორფირით შემოსილი, არცა სამეფომსა კუერთხითა და გურგუნითა მეფობითისა პატივისა მქადაგებელი, რამეთუ არცა პირმშო იგი არს ამათ /შინა, არამედ პორფირისა წილ ემოსა ამას სათნობამ, რომელი-იგი უპატიოსნეს არს ყოვლისავე“<sup>3</sup>. ესრეთ სათნობიერ ღმრთისაგან შექმნისა მიერ არს სული მსგავს ღმრთისა, რომლითა შეუგინებელ დაცუამან ხატისამან გონებათა შორის მოწამეთასა და კორცთა შინა ჰყო ხატებისა თანა მსგავსებად ღმრთისა, რომლისა გამო სატრფიალოთა ხატებითთა თანა კუართა, ესე იგი გულისსიტყუათა საღმრთოთა, ჰყო აღმოდინება მსგავსებითთა თანა სატრფიალოთა კუართა, ესე იგი სათნობითთა.

ხოლო ესე არს ესე: ოდეს დაცუამან სანატრელთა შორის მარტულთა განუგმობელად ხატებისამან ბუნებითისაგან განათლებისა სულისა მიერ ყოვლადწმიდისა აღინნა გონებისაგან წყარომსა თუსისა სიტყუანი, რომელ არიან მოძრავობანი წმიდანი ბუნებითად, და იყუნეს ესე ყოველნი სატრფიალონი ნამდულ სატრფიალოსა მიმართ, კუალად აღინნა სათნობითნიცა სიტყუანი მანვე გონებამან,

1 შემოუნეტოთ B.

\* დიონეს, საღმრთოთა სახელ-სატრფიალოთა ეებათათუს, თავი 4. \*\* გრიგორი ნოსელი, კაცის შესაქმნის განმარტ. თავი C. 2<sup>0</sup> გრიგორი ნოსელი, სიტყუა და თავი იგივე.

(\*) საღმრთოთაგან მოძღუართა, ესე იგი იეროთეოს და დიონესიოს. 359

ესე იგი სარწმუნოებისაგან ერთისა წმიდისა სიყუარულისა მიერ აღორძინებულისა და განმტკიცებულისა სიტყუანი სატრფიალონი-ვე სამღთოთა და სხუათა სათნოებითა სიტყუათა, ხოლო ესე იყო აღმოდინებაჲ იგი, რამეთუ „გული ეთქმოდაჲე კორცთაგან 5 განსლუად და ქრისტეს თანა<sup>1</sup> ყოფად უფროს და უმჯობეს ფრიად“<sup>2</sup>.

V ვინაჲცა სულმან ღმერთმთავარმან უქმნაჲე გონებათა მარ-ტულთათა ესეგუარათა წყაროთა სიმგრგულეჲ, რათა ყოველნი იგი თქმულნი ცუარნი /მარტიენი არსაღამე განბნეულ იქმნენ, არამედ 10 რათა იცუებოდნენცა ერთსა შინა დასატევენელსა წყაროდ და წყლად ცხოვრებისად, ხოლო დაბეჭდაცა, რათა განხრწნადთა და გრძნობადთა გულისსიტყუათა ვერ განაღონ იგი.

ამისდა ხადილ-გყოფ თქუენ მოსულად და სმად, რომელთა შე-გიყუარებეის უფროჲს ქრისტე იესუ „მოსრული ცოდულთა ცხოვ- 15 რებად“<sup>3</sup> და მართალთა უსრულეს-ყოფად. მოვედით, ვსუათ წყა-როთაგან ცხოვრებისათა, გულისხმის-ყოფათაგან ქრისტესთვის ვნე-ბულთასა, რამეთუ ესე სასმელად მორწმუნეთათჲს ჰქმნა ღუაწლის დამდებელმან და არა სხუათათჲს.

ვინაჲცა უბრძანებს თვთოეულსა ჩუენსა ესეგუარათა მიერ 20 ბრძანებათა სიტყუებითა წერილთათა: „შვილო, ჰსუ წყალი შენ-თაგან ჰურჭელთა და ჯურღმულთაგან შენთა წყაროასათა“<sup>3\*</sup>, და კუალად: „წყურიელნი წარვედით წყლისა მიმართ და, რაოდენთა არა გაქუსთ ვეცხლი, მოარულთა იყიდეთ“<sup>4\*</sup>, ხოლო კუალად: „აღმოიყნეთ წყალი მხიარულებითა წყაროთაგან ცხოვრებისა- 25 თა“<sup>5\*</sup>.

აღმოიჩინა კმად, ვითარმედ აწინდელთა ამათცა გალობად და შესხმად წინამღებარეთა ჩუენთა ესენება მოწამეთა სურვილით არს სამღთოასა მის გულისხმის-ყოფისა მათისა სუმა წყაროასა მის-გან სულისა მიერ ყოვლად წმიდისა დაბეჭდულისა; და არს ზიარე- 30 ბაჲ ყოვლად საგალობელთა მათ ვნებათჲ მათთა, რამეთუ სულსა 295 შინა სურვილით მქსენებელთა მათთასა /წარმოდგებიან ცხოვლად-რე ესენებულნი იგი გუამნი ქრისტეს მოღუაწენი და სურვილად თჲსადმი იძულებულ ჰყოფენ მქსენებელთა თჲსთა და ვითა ცხო-ველნი, თანაჲსდგან შემსხმელთა თანა და წარჰმართებენ თჲსდა 35 სურვილსა შემსხმელთასა.

ესენი თვთმჰყრობელობისა ზე ბერძენთა ზედა ნიკიფორე ფო-

<sup>1</sup> თან B.

\* შტრ. ფილიპ. 1,23. \*\* შტრ. 1 ტიმოთ. 1,15. 3\* ივან. 5,15. 4\* ისაია 55,1. 5\* ისაია 12,3.

კასსა შობილნი ქალაქსა აზიურსა, სახელით თეოდოსიპოლსა, დედისაგან კეთილმსახურისა, ნათესავობით ბერძენისა, შეილნი სარაციანისა ვისმე მთავრისა, რამეთუ მაშინ აზიურთა აღვილთა შრავალთა ჰფლობდიან სარაციანნი, ხოლო დედისაგან მორწმუნისა წურთილნი ჭეშმარიტითა სარწმუნოებითა კეთილმსახურითა და 5 საცხოვრებელთა ჩუენთა საიდუმლოთა მქსნელისა ჩუენისათა მეცნიერნი.

ესენი „ზეთისხენი დამყნილნი ბუნებითსა ზედა ზეთისხესა“<sup>\*</sup> დედისა კეთილმსახურითა განმზრახობითა და „დარგულნი სახარებითა პავლეისთა“<sup>\*\*</sup> „თანაწარსადინელსა წყალთასა“<sup>3\*</sup> საცხოვრებელთა ჩუენთა საიდუმლოთა მოძღურებითა დინებათასა და 10 აღორძინებულნი ღმრთისა მიერ, ხოლო „ნაყოფისა დროსა შინა გამომღებლნი“<sup>4\*</sup> ღუაწლისა კეთილისანი, რომელი აღსარებითა ჭეშმარიტითა მოიღუაწეს და „ფურცელნი მათნი არა დაჰსცვიან“<sup>5\*</sup>, რომლისა „მადლიერ-ყოფამ და შესახედავისა სიმწუანე 15 ჰსურისთ თუალთა ბრძენთასა“<sup>6\*</sup>.

ესენი დაღათუ ურწმუნოებისა გამო მამისა /მორჩნი ეკლთანი ნაღუარევისა კიდესა ზედა, მაგრა ჰრწყულნი<sup>1</sup> „წყლისაგან სახლისა უფლისა გამოსრულისა, რომელი გამოვიდა მორწყუად 20 ნაღუარევისა ეკალთასა“<sup>7\*</sup>, ხოლო დედისა სარწმუნოებისა გამო ჭეშმარიტისა „ვითარცა ნაძუნი ლიბანსა შინა და სარონი მთათა ზედა ქაერმონისათა“; ესენი კეთილმსახურებისა გამო დედისა, „ვითარცა ფინიკნი ამაღლებულნი კიდესა ზედა და ვითარცა ნერგნი ვარდისანი იერიხოსა შინა“; ესენი მითვე „ვითარცა ზეთისხენი კეთილშუენიერნი ველსა ზედა და „ვითარცა ვენაჲნი აღმომაცენნი 25 მადლისანი, რომელთა ყუავილი არს ნაყოფი დიდებისა და სიმდიდრისა“<sup>8\*</sup>.

ეჰა, დაზავებამ გრძნობადი წადილისა და მიდრეკილებისა ურწმუნოებითა შერკენილთა წარმოდგომათა ქუემდებარისა სულისა და სულისავე სარწმუნოებითა ჭეშმარიტითა განათლებული- 30 სა, რომელმანცა აწარმოა გუამნი „შობილნი კორცთაგან კორცად“<sup>9\*</sup>, დაღათუ მაგრა მეორისა კერძომსამან<sup>10</sup> მსჭარბა და შთა-

<sup>1</sup> ჰრწყულნი — A.

<sup>\*</sup> შტრ. პრომ. 11,24. <sup>\*\*</sup> შტრ. 1 კორ. 3,6. <sup>3\*</sup> ფსალ. 1,3. <sup>4\*</sup> შტრ. ფსალ. 1,3. <sup>5\*</sup> ფსალ. 1,3. <sup>6\*</sup> შტრ. ზირაჲ. 40,22. <sup>7\*</sup> შტრ. იოველ 3,18. <sup>8\*</sup> შტრ. ზირაჲ. 24,13-20. <sup>9\*</sup> შტრ. იოან. 3,6.



ყარნა საშოსა შინა კეთილმსახურისა სანათლოსასა აღმოშობად „სულისაგან სულად“<sup>1</sup>.

„განჰსწმდებისო (ქსტჟუა ყოვლად ბრძენმან მოციქულმან) ქმარი ურწმუნოა ცოლისაგან მორწმუნისა“<sup>2</sup>, ხოლო ვერ გან-  
 5 სწმდისო ურწმუნობაა სხვა სარწმუნოებამან, დალათუ მაგრა განსწმდისო ბიწი შეერთებისა ესრეთ, ვითარმედ ურწმუნოისაგან მაწარმოსა წარმოი დააყენოს ბოროტნაყოფისაგან.

თქმულნი ესე მოწამენი ქრისტესნი რიცხუთ ორნი, სახელით  
 296 ისაკ და იოსებ, სხუთა მსგავსითავე /თუხითა სამობდეს და რიცხუ-  
 10 სა ერთობისა და სამობისა საღმრთოისასა თუხ შორის დაჰსდებდეს, რამეთუ ერთობაა სარწმუნოებისა კორციელად სამკუთხსა წვერო-  
 ბასა შეაქვსიდა ერთად, ხოლო დამსახულობითი თუთებაა კორცი-  
 ელი, რომელი თესლოვანებამან ძირთამან შეამთხუა და შეაკრა მათ-  
 განსა თუთოეულსა, სული ასამებდა, ხოლო ერთისა წმიდისა კა-  
 15 თოლიკე ეკლესიისა<sup>1</sup> ერთობაა ერთგონიერებასა მოჰმადლებდა, რომლითა განათლდებოდეს გონებანი მათნი და სულნი დაიწერე-  
 ბოდეს უხილაჲად თითითა ღმრთისათა და შეწყობილებამა წერი-  
 ლისა ასოთა იყუნეს სახენი კრძალულებისანი, ეინა შემდგომად  
 კრეტსაბმელის დაჰსნისა წარკითხულ იქმნეს კელოვანთმთავრისა  
 20 მწიგნობრისაგან.

ესე მოწამენი ნიადაგ ჰეშმარიტებისანი თუნიერ დროსა არა  
 მაცხადენი, დალათუ სიტყუაა სარწმუნოებისა „მახლობელ იყო  
 პირსა მათსა და გულსა მათსა“<sup>3</sup>, მაგრა უგმობელითარე პირითა  
 ჰფარვიდეს ღმრთის სახესა სულსა შინა წმიდასა სარწმუნოებასა.  
 25 ჰფარვიდესო, იტყუან მომთხრობელნი, ქრისტეანე<sup>2</sup> ყოფასა თუსსა  
 შიშისათუხ მაშისა, გარნა არა ჰგმობდეს რეცა თანმცმობნი მამული-  
 სა გმობისანი, „რამეთუ პირითა აღიარებდეს უფალსა იესუს და  
 პრწმენათ გულითა, რამეთუ ღმერთმან აღადგინა იგი მკუდრეთით,  
 რომლითაცა ჰსცხოვრდეს, რამეთუ გულსა პრწმენათ სიმართლედ  
 30 და პირითა აღიარებდეს საცხოვრებელად“<sup>4</sup>.

✓ /მოჰმზარახობენ ამათუხს, ვითარმედ იყუნესო კაცნი სახელო-  
 ვანნი და საჩინონი და აქუნდათ ჩინებულებამა ყოველთა შორის  
 მკუდრთა და გარემოთა თეოდოსიპოლისათა, ხოლო აქუნდაყე უდი-  
 დესი ბრწყინულეობამა სულისა ყოველთა შორის მის დროისათა კე-  
 35 თილმსახურთა, რამეთუ სათნოებათა მიერ შეამკობიდიან სულთა და  
 სამღთოთა სარწმუნოებითა სათნოებათა განჰკარგვდიან. აქუნდათ

<sup>1</sup> ეკლესიისა B. 2 ქრისტეანე A.

<sup>2</sup> შტრ. იოან 3,6. <sup>3</sup> 1 კორინ. 7,14. <sup>4</sup> შტრ. 2 სჯულ. 30,14. <sup>5</sup> შტრ. 1,9-10.

კულად ჩინებულებადცა კმევეითა სიბრძნისათა, რომლითა კეთილ-  
გონიერებასა განაგებდეს თანმოქალაქეთა შორის კეთილ და ჯე-  
როვან პოლიტიკოსობდეს.

გვიკმს უკუე ცნობად, ვითარმედ არამცირე არს მადლი ესე, რომელი მოიღეს მარტულთა, რომელ ესრეთ დაამკვდრეს ღმერთი 5  
თეს შორის, ვითარმედ არსებისა უზესთაეს იქმნეს, ძალნი ზეცი-  
ერნი სიმკნითა თესითა განაკვრენეს. ხოლო ნიადაგ მბრძოლთა<sup>1</sup>  
„არათუ სისხლთა მიმართ და კორცთა, არამედ მთავრობათა მი-  
მართ და კელმწიფებათა სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა  
ამის საწუთრომსათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა“<sup>2</sup> მოიღეს 10  
ძლევა და მტერი შეკმუსრეს. მოიგეს დიდებამ საუკუნომ, უპ-  
ყრიეს „კუდი ვეშაპსა, რომელი მიითრევედა მესამედსა ვარსკუ-  
ლავსა ცისასა და ქუე-შთაჰვადეს უფსკრულად“<sup>3</sup>. ლბილ მათდა  
შეხებად მახვლნი მკუეთრნი, აფთნი, ლახუარნი, ისარნი, კრმალნი.  
მუსმარნი, შალაშინნი, შამფურნი. გრილ მათდა საკუმბილნი და 15  
მფოფინარენი ტყვანი განმდნარნი, ამოვან ურმისთულნი და ტკბილ  
პირთა შინა შთასხმანი ტყვათანი, განსუენებად<sup>2</sup> ცხედარნი რკი-  
ნისანი/, კურონი, ლანძუნი და ტაფაკნი რუალიანნი, ყოველნივე 297  
განხურებულნი, დიდება ჯუარი, სიხარულ მოშთობა, საწადელ  
სიმალენი ქარაფთანი და სიღრმენი დანახეთქთა და მთხრებლთა- 20  
ნი, მკედრობა, განძება, სიმდიდრე იავარ-ქმნა და ექსორობობა, სა-  
ტრფიალო განშორება სახლეულთაგან<sup>3</sup>, ტკბილ და გემიერად შეს-  
მად სამსალამსა და ყოველივე ტანჯუამ მათდა გრძობად სრულე-  
ბისა და აღსაეალად უდიდესად შუებისა.

და რამათეს ესრეთ ესენი ამისთვის? რათა ქრისტე მოიგონ<sup>4</sup>, 25  
რათა ქრისტესა ეზიარნენ და რათა „სიკუდილი იგი უფლისა იესუ-  
სი კორცთა შინა თესთა იტვრთნენ“<sup>3</sup>.

მომზრახობენ, ვითარმედ ნეტართა მათ ძმათა<sup>5</sup> ისაკ და იოსებ  
და მესამემან მიჰსწერესო სავედრებელი კეთილმსახურსა კესარსა  
ნიციფორეს იღუმალ, რათა მოუშუნესმცა იგინი მსახურებასა შინა 30  
თესსა და განერნენ უმღთოთა სარაციათა მფლობელობისაგან.

უწყებულქმნილმან თვთმპყრობელმან აღუთქუა სამთავე მათ-  
ვე მთავრობითნი პატიენი და ნიჰნი შესაბამნი და თავისუფლებით-  
სა რამევეცა კშუენის ცხოვრებასა, იგინი, რომლისათეს მესამე იგი  
ძმად წარვიდა მონარხისად მოსწრაფებით, გარნა სანატრელმან იო- 35

1 ბრძოლთა B. 2 განსუენება A. 3 სახლეულთაგან] სახელთაგან A. 4 მოგონ  
B. 5 ძმათა] ძმათა B.  
\* ეფეს. 6,12. \*\* აპოკალ. 12,4. 3° შდრ. 2 კორინ. 4,10.

სებ, რომელსა ესხნეს დროსა მას ძენი ფრიად ყრმანი, აცადა მოსწარაფებამ წარსლვისა, იძულებულმან საქმიითისაგან შეკრებულები-სა, რომლისათვის წმიდამცა ისაკი დაიყენა თვის თანა.

V /ვინამცა მწყებელთა სანატრელთა მძათა წარსლულად განმზა-  
5 დებისათა ხუაშიადი განუცხადა საქმემან, რომლითა მაშინდელი იგი ამირი თეოდოსიპოლისა უწყებულ იქმნა და ისაკ და იოსებ პარაკად მიყუანებად და ჭეშმარიტისა მათგან ძიებად ბრძანებულ იქმნა. ხოლო მიყვანებულთა<sup>1</sup> არა მყოვარ ნეტართადმი კითხულ იქმნა უღმრთოთაგან მიზეზი წარსლვისა კოსტანტინუპოლიდ.

10 „აჰა, უამი შეწყნარებისა და დღე ცხოვრებისა მოწამეთად ქრისტესთა, რომელიცა არა ცუდ ჰყუეს თავისათვის თვისისა, რამეთუ მიზეზი დაფარული შინაგნითმან ცეცხლმან განაშიშულა, დაჯშულებამ დამალულისა მის უსასყიდლოსა მარგარიტისა აღძარცუა და კრეტსაბმელი წმიდისა წმიდათასა მფარული ზე აღი-

15 კეცა და ესრეთ ქუემდებარეთა ზედა წმიდათა შესმენილი იგი ყოვლად წმიდამ სარწმუნობამ უღმრთოთადმი განცხადნა, რამეთუ მიზეზი წარსლვისა თავთა თვისთასა<sup>2</sup> ქრისტეან-ყოფამ მიუგეს მოწამეთა, ვინამ განკვრუებამან განაკრთო სული უღმრთოსა მამისა და თვთ მკითხულნიცა განცკფრდეს, რამეთუ მულაბან უჩნდაყე  
20 მათი იგი სხესა ქადაგებისა შედგომამ თუნიერ ბილწ-მოციქულისა და მტყუარ-წინასწარმეტყუელისა მათისა.

უწყებულ-ყოფამ ამირისა საკმარ ჰყუეს მკითხულთა და წარვიდეს მჭმუნუარენი პირითა და ტაძრად საამიროსა მთავრობისა მისრულთა ამირი იგი მოწამეთაგან ჭეშმარიტებისათა მიგებული-  
25 თა უწყებულ ჰყუეს, რომლისათვის არამცირედ მწუხარე იქმნა  
298 უღმრთომ სული/მისი, რამეთუ მთავართა შორის მუნებურთა ჩინებულთა და საყუარელ-ყოფამ მათი ყოველთად მულაბანად აღუჩნდა უკეთურსა მას. ხოლო მსმენელი მაუწყებელთაგან ისაკ და იოსების ქრისტეანე-ყოფისა მძლავრი იგი მიმოიგონებდა, ვითარ-  
30 მელ თუ სადამე უტევენსმცა იგინი ქრისტეანე-ყოფად, არსადამე ეგების, რამეთუ განასუნებდა მომავლინებელი სატანამ მახმედისი სულსა მისსა ბოროტსა მორწმუნეთად ქრისტეს ღმრთისათა და, უკეთუ მოიკლნეს, ვერ სათშენელ უჩნდა სიკუდილი მათი, ვითარცა მთავართა და მორფ-ნაკუეთობათა შუენიერთა, რომელნიცა  
35 მასაკსა შინა ზიჭაბუკისასა ჰყუაოდეს.

განრისხნების დაღათუ მძლავრი კალნიერად აღსარებისათვის ქრისტეანედ თავთა თვისთა სარაციანთაგან, განალა ჰდრკების ზაკუთ

<sup>1</sup> მყვანებელთა B. 2 თვისთა — B.

წყალობად, ნუშე ჭაბუკთა უკუჰსთქუან დამტკიცებული, „რამეთუ რეცა სიჭაბუკესა ვაბრალოთ“. იტყუს თანგანმზრახთა თანა: „ქრისტეანებრი აღსარებაი ცხადი და ჩუენდავე მოვიყუანნეთ შეგონებითა მველოვნებელთა და წინადადებითა ბრძანებრითა დავა- 5 ცადოთ ჭაბუკთა შერისხუამ მჭირსედ“, ხოლო თანგანმზრახნი იგი იყუნეს პალატისაშინანი მისნი და მთაეარნი სარაცინთაგანნი.

შეკრებულთა ამით ჰსთქუეს წმიდათად, ვითარმედ: „საყუარელნო ჩუენნო, რამ-მე არს ჭაბუკებრი ესე წარმდები ზედადაცლო- 10 მაჲ რამეთუ სიტყუთა ეკუეთებით მახმედ მოციქულისა ჩუენისა ქადაგებულთა და დამტკიცებათა მისთა უკუსთქუამთ უმე/ცრებით. განეყენნით ამოღსა მაგისაგან მპაზრუელობისა, რამეთუ არა შეკ- 15 გავს კეთილშობილებისად თქუენისა ცნობავენებულებაჲ, არამედ შეინანეთ და მოქცეულთა მამეულისა მსჯულისად ჩუენ, მოყუარე- 20 ნი და მეგობარნი და ნათესაენი თქუენნი, მხიარულ გეპყუენით“.

მიუგეს წმიდათა: „ნუ იყოფინ ჩუენდა სათნო-ყოფაჲ კაცთა 15 უფროს ღმრთისა, რამეთუ ეტყოდეს: „თქუენ მსაჯეთ, უკეთუ სამართალ არს წინაშე ღმრთისა თქუენი სმენაჲ უფროს ანუ ღმრთისა“\*. ჩუენ დავამტკიცებთ იესუსთვის მხოლოდშობილისა მამისაგან ღმრთისა, რომელიცა დაამტკიცა მამამან ღმერთმან მისთვის სუ- 20 ლითა თჳსითა წმიდითა მონათა თჳსთაგან წინასწარმეტყუელთა ძუელად, რომელიცა აღსასრულსა ჟამთასა ცხად იქმნა გარდამოსლუთა იესუს ზედა სახედ ტრედისა სულისა ღმერთთმთავრი- 25 სათა და „არსებისა თჳსისაგან წამებითა ზეცით ღმრთისაგან მამისა“\*\*. ხოლო ჯუარცმულისა და მომკუდრისა მესამესა დღესა აღდგომითა, რომელმან აღდგომილმან კორცითა ღმრთივ ბრწყინ- 30 ნულედ თავისა თჳსისა ღმერთ-მიუახლებელითა საშინელებითა და „ანგელოსთა, მსახურთა აღდგომისა მისისათა, ელუარებითა შეაძრ- 35 წუნნა წარმართნი მკუელნი დასისაგანნი, მხედლეულნი დაბეჭდუ- 40 ლით საფლავით აღდგომისა მისისანი ღუთაებრ“<sup>3\*</sup> და „ანგელოს- 45 თაგან თჳსთა გარდაგორვებითა ლოდისათა“<sup>4\*</sup> და საფლავისა ბე- 50 კედთა არა შეცუალეებითა. ესე უკუე კორცითა აღდგომილი აძალდა ზეცად არსებითა ჩუენითა „ზედა ყოველთა ცათა“<sup>5\*</sup> „დაჯდა მარჯუენით ღმრთისა“<sup>6\*</sup> „სიმღიდ/რესა მისსა მალალთა 299

\* შღრ. საკ. 4,19. \*\* შღრ. მატ. 3,16-17. 3\* შღრ. მატ. 28,4. 4\* შღრ. მატ. 28,2. 5\* ეფეს. 4,10. 6\* მარკ. 16,19.

შინა\* და მოგუცა სული თუსი წმიდაჲ, რომელიცა „მაქუს ჩუენ მიახლებჲაჲ, ურთიერთას ერთითა“\*\* მით სულითა.

ვინა მისა მიმართ გუაქუს ჩუენ სასოებაჲ, რამეთუ აღთქმისაებრ მისისა „მოველით ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა 5 დიდებისა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა“<sup>3\*</sup>, რომელმან-იგი მიჰსცა თავი თუსი ჩუენტუს, რათა მიჰქსნეს ჩუენ ყოვლისაგან უსჯულოებისა“. და ესრეთ დააცხრუეს სიტყუაჲ მოწამეთა ქრისტესთა უღმრთოთა მიმართ.

მჰსმენელთა ამირმან მან თეოდოსიპოლისამან და მთავართა 10 მისთა სარაციანთა და ყოველთა პალატისაშინათა ამირისთა იწყეს ვედრებად მოწამეთა მიმართ; და ვითარცა ძალღნი ლიქნიდესყე და სიტყუებითა ლიქნისათა წმიდათა წინაშე ჰსძრუდეს კუდთა და სიჭაბუკესა და შუენიერებასა მათსა წინადაუდებდეს, ევსახედ მოხუცებულისა მამისა მკცეთად ახედუებდეს და ცრემლთა მისთა მი- 15 ხელუად ეტყოდეს.

მაგრა ჰეშმარიტებისა მოწამენი, მითვე და ერთითა სულითა განმტკიცებულნი, მლიქნელთად იტყოდეს: „ამიერთგან შრომასა ნუვიენ შემამთხუენ ჩუენ, რამეთუ ჩუენ საწურტელნი იგი უფლისა იესუსნი კორცთა შინა ჩუენდა გუტვირთავნ“<sup>4\*</sup>, ამოო არიან ჰაზრ- 20 ნი ეგე თქუენნი ლიქნად ჩუენდა, რამეთუ „ჩუენდა ცხოვრება ქრისტე არს და სიკუდილი მისთუს შესაძინელ“<sup>5\*</sup>.

კუალად სხუთალა ღონითა იწყეს მეცადინობად უღმრთოთა, 25 რამეთუ აღუთქმიდა ამირი ნიჭთა დიდთა, პატი/ვთა ჩინებულ-მთავრობითთა სოფელთა და დაბათა, ხოლო თუ სადამე არა ის-მენენ, სატანჯუელთა მწარეთა და სიკუდილსა თვნიერ ყოილისა შეწყყალებისა მძუნუარეთა უქალებდა.

მიუგებდეს წმიდანნი: „უწყებულ იყავნო, ზ, მძლავრო, რამეთუ სიმდიდრეთა და პატივთა, რომელთა აღმითქუამ, ჩუენდა არად საქმარ, რამეთუ ვიციით მცნობელობით, ვითარმედ „ყოველი კორ- 30 ცი თივა არს და ყოველი დიდება კაცისა, ვითარცა ყუავილი თივისა. განჰკმა თივა და ყუავილი მისი დამოსცუვა“<sup>6\*</sup>. ჩუენ უკუე უწყებულ ვართ და გურწამს, რამეთუ „არა განხრწნადითა ვეცხლითა, ვინა ოქროდთა ვიქსნენით ამოოსა მისგან მამათა მოცემულისა სლვისა, არამედ პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა 35 უბიწოხსა და უმანკოხსა ქრისტესითა“<sup>7\*</sup>. ვინაჲცა თაეთა ჩუენტა შევსწირავთ მისდა და მისსა მისდაეე უკუნ-ვჰზღავთ მადლობით.

\* ებრ. 1.3. \* ეფეს. 2.18. 3\* ტიტ. 2.13. 4\* შდრ. ვალატ. 6,17. 5\* შდრ. ფილიპ. 1.21. 6\* ისაია 40,6-7. 7\* 1 პეტრ. 1,18-19.

ხოლო თქვენნი ქადებანი ტანჯუათანი და სიკუდილისა მძუნუარი-  
სა თქვენგან რეცა ჩუენდა შიშად საგონის-ყოფამ საცინელ არს  
წინაშე მსახურთა ღმრთისა ჩუენისათა, „რამეთუ გურწამს, ვითარ-  
მედ არცა სიკუდილმან, არცა ცხოვრებამან, არცა ანგელოსთა, არ-  
ცა მთავრობათა, არცა ძალთა, არცა ამან სოფელმან, არცა მან სო- 5  
ფელმან, არცა სიმაღლეთა, არცა სიღრმეთა, არცა სხუამან დაბა-  
დებულმან შემიძლოს ჩუენ განყენებად სიყუარულსა ღმრთისასა,  
რომელ არს ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა“.

განარისხა ჭაბუკთა კადნიერებამან მძლავრი და განაჩინა  
მათთვის სიკუდილი მახვლითა, რომლისათვის იტყოდეს წმიდანი სი- 10  
კუდილადნი: „უფალი ღმერთი ჰხედავს და სიმაართლისათვის ჩუ-  
ენისა ნუგეშინის-გუცემს და დაუბერებელსა შინა ცხოვრებასა გან-  
გვსუენებს, ხოლო თქვენ „მოისპენით უღმრთონი/, რათა არა იხი- 300  
ლოთ დიდებამ უფლისა““.

წარიყუანეს მტარუალთა ადგილსა განჩინებულსა მოკლუად 15  
მოწამენი, ხოლო მიიყუანებოდეს რა, ითხოვეს მტარუალთაგან და-  
ცადებამ მცირედ, რათა ილოცონ, და მტარუალთა აღასრულეს  
თხოვილი. მაშინ მოიდრიკენეს მუკლნი მოწამეთა და იტყოდეს:

„მე-  
უფეო უფალო, მამო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო, რომელ-  
მან-ეგე ჰსთქუ მონათა შენთა მიმართ აღმთქმელმან: „მხადოდეთ 20  
მე და ხედოდეთ და ილოცეთ ჩემდამო და ვისმინო თქუენი; და გა-  
მომიძიეთ მე და გეპოვო თქუენ, რაჟამს მიძიოთ მე ყოვლითა გუ-  
ლითა თქუენითა“<sup>3</sup>, შენ, უფალო, რომელმან შეგკრიბენ ჩუენ ერ-  
თად ყოველთაგან ტომთა და ძისა შენისაგან მხოლოდშობილისა

წმიდისა იესუ ქრისტემასა და მყუენ ძეობით შენდა სისხლითა 25  
მხოლოდშობილისა შენისათა მოსყიდულნი და საბანელითა წყლისა  
და სულისათა განბანილნი, მოიხილე მონათა ამათ შენთა ზედა, მე-  
უფეო! უფალო, და მეძიებელთა შენთა გუეპოვნე აღთქმისაებრ შე-  
ნისა და თავთა ჩუენთა მიითუალე შენდამი შეწირუამ, რომელნი-

ესე შეჰქსწირავეთ შენდამი თავთა ჩუენთა, „სულისა მიერ შემუსრ- 30  
ვილისა და მბერუსა სიმდაბლისა (ამისთვის) შემიწყანარენ“<sup>4</sup> და  
წმიდათა მოწამეთა შენთა თანა აღგურაცხენ და სრბამ ესე ჩუენი

სრულ ჰყავ და გვრგენი სიმაართლისა მოგუეც ჩუენ, რამეთუ „ყო-  
ველი მოცემული კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო არს  
გარდამოსრულ (შენ) მამისაგან ნათელთასა“<sup>5</sup>, რომლისა დი- 35  
დებამ უკუნისამდე“. და ჰსთქუეს „ამინ“. და აჰა, აღმოიხადა მახვლი

მეტკრმლემან და პატროსანნი იგი წარკუეთნა თავნი მათნი.

1 მეუფეო AB.

\* კრომ. 8,38-39. \*\* ისათა 26,10. 3\* იერ. 29,12-13. 4\* დანიელ 3,39. 5\* იაკობ 1,17.

- 7 /ესრეთ განაგო მალაღმან განჰქსნამ კაეშირთა მონათა ამათ თუსთა, რომელნიცა ყოვლად წმიდითა მით შეჰქრნა სიბრძნითა. ესე არს განჰყუეთამ ორად წვერთა ყოვლად წმიდათა, რამეთუ „მახვლმან მიფენილმან სიტყუსაგან ღმერთთმთავრისა“<sup>1</sup> აწუა ქუე-  
 5 მღებარეთად მახვლი მარტივისა და შეზაუებულისა განჰკერძობად, რათა „მახვლმან იქცევისმან გზა უყოს დაუყოვნებულად სულთა შესლულად სამოთხედ“<sup>2</sup>. ესრეთ განვიდეს ჯორცთაგან სულნი მართალთანი კელთა შინა ღმრთისათა მისრულნი<sup>1</sup> და არა შეეხოს მათ ტანჯუამ.
- 10 „აწ სადამე წმიდანი ესე მოწამენი მჰსწრაფლ. ამალღდეს და დაღდეს წინაშე ცხოველთმოქმედისა ღმრთისა“<sup>3</sup> წინაშე ყოფად<sup>2</sup> „განცხადებულად სამკედრებელსა შინა ზეციერსა, სადა-იგი წესნი ანგელოსთანი, სადა პირნი წინასწარმეტყუელთანი, სადა საყდარი მოციქულთა, სადა სიხარული მოწამეთა, სადა ღირსთა მხიარულე-  
 15 ბამ, სადა მოძღუართა ბრწყინუალებამ, სადა პირმშოთა განცხრო-  
 მამ და გუნდთა ნათლისათა მეღღესასწაულეებამ კეთილსა მას შინა, რომელი ანგელოსთა ჰსურისყე შესწაუებად, სამღუღელონი (სულნი მარტულთანი) აღგილსა შინა ნეტარებისასა დაღდეს მეოხად ყოველისა სოფლისათეს“<sup>4</sup>.
- 20 სანატრელ არს და სამნეტარ დასასრული ცხოვრებისა მარტულთასა, „რამეთუ განვიდეს ქრისტეს მიმართ (და თუსისაებრ ტრფილებისა), არიან მეუფისა თანა მუნ უფროს სანატრელ<sup>3</sup>, რამეთუ  
 301 არათუ/ შესულითა<sup>4</sup> (ოდენ) და არსარწმუნოებით ოდენ, არამედ პირისპირ წარჰსდგეს წინაშე ღმრთისა ყოველთასა“<sup>5</sup>.
- 25 ესე არს ღუაწლი იგი კეთილი, რომელი მოიღუაწეს მარტულთა ქრისტეს ზიართა, ესე არს სრბამ, რომელი აღასრულეს ქუეყანასა ზედა ასპარეზსა შინა მკედართა მეუფისა ზეციერისათა, რომელნიცა შეიწყნარნა ღუაწლის დამღებელმან. ვინამცა მკედარნი ქრისტესნი „ადიდნეს ანგელოსთა გვრჯენითა მით მათთეს განმზა-  
 30 დებულითა, ადიდნეს ყოველთა წმიდათა, რამეთუ აღორძინებად რიცხუსა მათისა შეეძინნეს მათ, განიხარა დედამან ყოველთამან, პირმშომან ეკლესიამან, რამეთუ მსხუერპლი მისგან შობილი შეიწირა ღმრთისა, ვითარ კეთილი და შუენიერი და ყოვლითა სუნენლებითა საესე“<sup>6</sup>.

1 მისრულნი B. 2 ყოფადი B. 3 სანატრელი B. 4 შესულითად A.

\* შტრ. მატთ. 10,34. \*\* შტრ. შესაქ. 3,24. 3° ეესევი კესარიელისა მოწამეთ ქებისსიტყუობა. 4° გრიგორი ნოსელი, ღირსისა ეფემისათეს. 5° ოქროპირი, კორინ. განმარტება. 6° ლეონ ბრძნისა, ბერძენთა კეისრისა, წმიდისა დიმიტრისათეს.

სიმკაცრესა ითანამდებებს აქა საქმეა ავქსონთა, რომელნიცა წმიდათათს შურებიან ქებისსიტყუაობად და მოთხრობად ცხოვრებისა მათისა, „რამეთუ შეუძლებელ არს სიტყუა წმიდა ენისაგან და გონებისა არაწმიდისა გამოსულად, არამედ უფროსლა შემასმენელ გამოქსნდეს თავისა თვისისა, რაჟამს-იგი აქებდეს საქმეთა მათ, რომელნი მას არა ექმნენ უღებებისა გამო თვისისა. ვინაჲცა ქრქუას მას ვინმე ჭეშმარიტებისმოყუარემან: „შეუძლებელ არს შენდა, ზ, კაცო, საქმეა ეგე აღსრულებად. სიტყუა სხუათა მიმართ წარმართებულ არს და კელნი სხუასა შინა საქმესა არიან, რომლისათს არამცირედ მიეხ/ღების პატივი უღირსა შეხებად მუჟადრებელისა ამისად სიტყუაობისა“\*, გარნა კადნიერებად მომიყუანა უღირსი მოწამეთმოყუარებამან სურულმან<sup>1</sup>, რომლითა ვისიტყუე ათცხრამეტთა შინა სიტყუათა ვნებულთათს ჭეშმარიტებისათა.

ვქათქუათ უკუე სხეულთათსცა მოწამეთა. მომზრახობენ, ვითარმედ ოდეს უღმრთოთა მათგან უთავო იქმნეს სხეულნი მოწამეთანი, მასვე აღვილსა დაიყარნეს, სადათ-იგი ეზიარნეს ძესა ღმრთისასა. ხოლო ღამესა მას შემოსრულსა დაადგრა ჭეშმარიტებისათს ვნებულთა ზედა სუეტი ყოვლად ბრწყინულე, მიუახლებელ მკრთოლუარე შარაჟანდელთა.

მხილუელნი საკრუელებამან მოწამეთა შორის ქმნილმან საღმრთომან უღიდეს განკრუებად მოიყუანა უღმრთონი და შიშისაგან მძრწოლარეთა უბრძანეს ქრისტეანეთა დაფლად მოკლულთა მათ სხეულნი, ვითარცა ენებოსთ. ვინაჲცა სიხარულმან აღავსნა მსმენელნი მორწმუნენი, ჰყუეს ერისა ქრისტეს მოსახელისა შეკრებაჲ მეეკლესიედ დაფლუსათს, ქრისტეს მოწამეთა და განსრულთა ადგილად ვნებისა ჰპოვნეს მდებარენი უსულოდ სპეკალნი უსასყიდლონი. და ეპისკოპოსმან ქალაქისამან და მღუდელთა აღიდეს ცრემლით და სიხარულით და დიდითა პატივითა ქალაქად შეიხუნეს და დასხნეს ნიშნოვანსა ადგილსა, სადა აღაგეს სამარტულე სახელსა ზედა წმიდათა მათ მოწამეთასა, საღიდებულად ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა.

/გარნა შენ, ორობაო შეერთებულო ერთგონიერებითა კეთილმსახურიითა და თანეებულეებითა ქრისტესთს და კორციელითა ძმობითითა შეერთებითა, ყოვლად პატიოსანო განწმედლილსა ოქრომასა სასანთლეო, შემრჩობლებულო მნთებარეო, ნათლითა აუგებელითა მდგომარეო წინაშე საღმრთოასა მის ზეციერისა სა-

<sup>1</sup> სურულიმან მ.

\* ეასილ ფილოპოლელისა სიტყუა ღიდისა მოწამისა ღმიტრისთს.



კურთხეველისა, ხოლო საღმრთოთა „შემწირულო ცხოველთმთაერისა სამებისა მიმართ ანგელოსთა თანა ყოვლად წმიდისა მსახურებისაო, მოგვხსენენ ყოველნი და ითხოვე ჩუენთს ცოდუათა მოტევებაჲ და საუკუნოთა მოღებაჲ სუფევისა“\*. ხოლო იოხნდ ან-

5 ტონის ყოვლად გლახაკისათუს! აღდგომასა გუამთასა ურცხუნენელ აღდგომად და „წმიდათა თანა აღტაცებად ღრუბლითა შემთხუევედ უფლისა ჰაერთა ზედა და მარადის უფლისა თანა ყოფად“\*\*, რომლისა დიდება, სიმტკიცე, პატივი და თაყუანის-ცემად აწ და საუკუნეთა უკუნისამდე ამინ.

303 /მესხა და მოთხრობა ლაფლთა და ვნებათა წმიდისა მღუაღმროწამისა ზრიგორი ღიღისა სომხითისა ეპისკოპოსისა და წმიდათა ღირსთა მოწამეთა ქალწულთა რიფნიგასი და ზაინასი და სხუათა მათთანათა, ჰმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოჲსა საქართუალჲსა, ღავითიან-გაგრატოვანისა

15 გონება დო	ქრისტესა	დაეახლა,
რაჲამს საგაჲჭურე	ერთის	აღალმა და მჰსგავეს
ინდალმა ჰქმენ მზის	ბრძანებრ სამ	მჭირსედ რა იენე,
გცადა თუ მჰსრბოლი	მცხინუარე	ოქრო ვნებამ
ორფერ მადლიერ	წარსაწყ	წართქმავე შენთა.

20 სიტყუა? მეოცე

მარტულთმოყუარებთმან სურვილმან მოგვიყუანნა ჩუენ, ვითარცა მავალნი ბიჯებით ხატისა მიმართ, რომელი შეჰქმნა ოქროსახელმან მამამან მოძღუარმან, მსოფლიომან ჳელოვანმან, უსხუელომთა ფერებითა ცხოველმხატუარმან, და წინა-ღამილუა ჩუენ, რო-

25 შელნი ვიშუებთ მოწამეთა ყოვლად წმიდათა მიერ ტკივილთა და სისხლთა მათთა ზედა ვიხარებთ მითუალულთა ღმრთისაგან მამისა შეზიარების გამო სისხლსა თანა მხოლოდშობილისა მისისა.

1 გლახაკისთს B. 2 სიტყუაჲ B.  
 \* ეფრემ სირიელისა, საღმრთოთა ეპისკოსთს ღიღისა. \*\* შღრ. 1 თესალ. 4,17.

ამის უკუე ხატისა პირმშო მაგალითი არს მოციქულებამ, წინასწარმეტყუელებამ, მოძღურებამ, ძალ და კურნება-შემოსილებამ კაცისა ყოვლად საკურუელისა გრიგორი მღუძარისა, „რომელი დააღვინა უფალმან მონამ საარწმუნო და ბრძენი მონათა თესთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ქამსა თესსა“<sup>1</sup>. ხოლო აღასრულა რა ბრძანებული იგი მისდა, „ნეტარ იქმნა უფლისაგან თესისა, რამეთუ მოსრულმან და მპოენელმან მისმან მდგომარეობასა ზედა უქცევულად“<sup>2</sup>, ვითარცა ებრძანა, „ყოველთა ზედა/ მონაგებთა მისთა დააღვინა იგი“<sup>3</sup>.

ამას უკუე ხატსა, მდგომარესა თეატრსა შინა საეკლესიოსა თქმულისაგან მოქმედისა და საღმრთოთა თრისკიათა მოძღურისა და განმგებელისა შორის შეკრებულთა „აღმოსავალით და დასავალით“<sup>4</sup>, ჩრდილოდთ<sup>1</sup> და სამხრით, ერთსა შინა შედგმულსა მხოლოობასა, ეპსკუერეტ წინაშე თუალთა ჩუენთა მდგომარესა, და ხატულსა საკურუელებითისა პაზრისა ქონებითა და წამალთა შიერ შესაბამთა განფეროენებითა, ვითარ შეჰკავეს მაგალითისადმი პირმშოასა და პაზრთა და მოგონებათა ნამდულ ჭეშმარიტთა და სარწმუნოთა.

ხოლო ვინამთგან ესეგუარსა შინა თეატრსა წარმოიდუა ანუ დაიდგინა ხატი რამეე წინაშე შეკრებულთა, ვინა თანა-გუასს, რათა მებრ ჩუეულებისა განვიცადოთ განჰსჯით წინამდებარე<sup>2</sup> ჩუენი, რამეთუ ესე ჩუეულებამ არს ესეგუარისა თეატრისა, რომელ შეკრებისა მათისა მიზეზი არს საკურუელისა რამემესა წარმოღებამ საკურუელებისათეს მუნ მდგომარისა ანუ ქმნილისა მის ნიუთისა.

იცის უმრავალჯერეს ჩუეულებამან სიბრძნით განგებულისა ქალაქისამან, რამეთუ თეატრსა შინა დააღვინებს ხატსა კაცთა დიდებულთასა, რომელნიცა აღიდნა დაკუეთებამან ტიხისა კეთილისამან, რომლისათეს შექცევად და შუეებისა სულთა შინა მათთა განმრავლებად მიისწრაფინ სიმრავლეე/ ერისა, რათა კაცისა მის დიდებულისა, რომელი ღირს იქმნა სიბრძნით განგებულისა ქალაქისა ანუ მეფისა სიბრძნით განმგებელისა ეზომასა თეატრსა შინა იხილონმცა და ჰსცნან საკურუელებისა დიდებულისა ვითარებამ.

ხოლო თუ სადამე არა იყოსმცა მუნ სამგოსნომ სამუსი, ანუ ისტორია, ანუ ქადაგი საქმეთა ღირსთა მის დახატულისა დიდებუთისა ცნობისათა, ხატი იგი ჰქადაგებს საიდუმლოდ და პაზრსა კეთილსა განამრავლებს შეკრებულთა მათ შორის.

<sup>1</sup> ჩრდილოთ A. 2 წინამდებარე B.  
<sup>2</sup> შღრ. მატთ. 24,45. <sup>3</sup> შღრ. მატთ. 24,46. <sup>4</sup> შღრ. მატთ. 24,47, <sup>5</sup> შღრ. მატთ. 8,11.

განაღა აქა ხატისა მის მკობილ-მაგალითი პირმშოი ოქროსა ჟღერითა მით საცემელეებითა ტყუელვითითა და ოქრო-ძალებითა და ოქრო-ორღანოებითა დამატკობელითა არა თუ სმენითისა გრძნობისათა, არამედ გულისხმისყოფითისა ცნობისათა.

5 მოვედით თეატრსა შინა თქმულსა და დაეატკბნეთ სულნი ოქროშოვანითა მით სამუსითა საკრავებითა და ვიშუებდეთ ერისკრებისა მის მიზეზისა თეატრსა ზედა; და თუთ ჩუენცა მეცადინ გარდამოხატულად მოქმედებითა ხატისათა პირმშომასა მის მაგალითისა ვიქმნნეთ ამაღ, რომელ ქადაგებს დახატულებად პირმშომასათუს მა-

10 გალითისა საქმეთა ამათ წესთა დიდებულთასა, „რომელნიცა დაადგინა ღმერთმან ეკკლესიათა პირუელად მოციქულნი, მეორედ წინასწარმეტყუელნი, მესამედ მოძღუარნი, მერმე ძალნი, მაშინღა მადლნი კურნებათანი, შეწვენანი, /წარმატებანი“.

▼ ხოლო ხატსა უკუე ამას შინა იქადაგების საქმეა სამოციქუ-

15 ლოი, ესე იგი „მომოწაფებამ წარმართთა და ნათლისცემად მათი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“<sup>3\*</sup>. და სწავებამ დამარხუად, რომელი ამცნო ახლისა აღთქმისა გონებათა მიმართ და მეკრდთა ზედა გულთა მათთასა გამომწერელმან სიტყუამან ჭეშმარიტმან, მოძღურებამ, გამოთქმად ღმრთისმეტყუელები-

20 თი, „სადა-იგი მარტივნი და წრფელნი და უქცეველნი ღმრთისმეტყუელებისა საიდუმლონი ნათლითა უზესთაესითა მით დაფარულ არიან საიდუმლომასა მის ღუმილისა აღმურიითა და ბნელსა შინა უმეტეს საჩინოებით უფრომს პბრწყინუნენ და ყოვლით-კერძო შეუხებელისა და უხილავისა ზესთ-სიკეთისა შუენიერებითა აღავსებენ

25 უთუალოთა გონებათა“<sup>3\*</sup>.

ხოლო შეერთებული მოციქულებასა თანა მწყემსობამ კეთილი და მოძღურებამ: „მწყემსობამ კეთილი (რომელთა) დადებად სული ცხოვართათუს“<sup>4\*</sup>. „შეცნიერებით უწყებამ სულთა სამწყსოთა თუსთასა და დადგინებამ სულისა სამწყსოთა თუსთა მი-

30 მართ“<sup>5\*</sup>, ხოლო „არა განბნევიად და არა განგარეებამ მათი, არამედ ზედ მოხილუად მათი“<sup>6\*</sup>, ესე იგი „მოუძღურებულთა განძლიერებამ, სნეულთა განმრთელებამ, შემუსრვლთა შეკრუამ, ბოროტად მყოფთა სხეულ-საქმობამ, ცთომილთა მოქცევამ და წარწყმედულთა მოძიებამ, რომლითა არა განიბნინეს ცხოვარნი, არა

305 35 იქმნენს საქმელ მკეცთა ველისათა, არა განითესნენს/ და შეჰსცთეს ყოველსა ზედა მთასა და ყოველსა ზედა ბორცუსა მალალსა, მით,

\* 1 კორ. 12,28. \*\* შღრ. მატთ. 28,19. 3\* ღიონუს. საიდუმლოდ ღმრთისმეტყ., თავი I. 4\* შღრ. იოან. 10,11. 5\* შღრ. ივავ. 27, 23. 6\* შღრ. იერ. 23,2.

რომელ აქუნდათ მწყემსი ესეგუარი გამომეძიებელ და მომაქცეველ<sup>1</sup>.

ამან „მოიხილნა ცხოვარნი თვისნი დღესა შინა“, ოდეს იყო აღმური და ღრუბელი (კერპთმსახურებისა შორის სოფლისა ყოვლისა) და შორის ცხოვართა მისთა განშორებულთა<sup>2</sup>, რამეთუ 5 გარემოთა შორის სამწყსოთა მისთათა და მათ შორისცა ჯერეთ ყოველთადმდე მიფენად ჭეშმარიტებისა კერპთმსახურებდეს და რომელნიმე ბოროტ-ჩუეულებდეს.

ესე წინამძღურად ერისა რჩეულისა „სხუა მოსე იქმნა ღმერთ-ქმნილი მეფეთა ზედა“<sup>3</sup> და მთავართა და წყლულებითა უმაგალითოდთა მგუემელი მათი, ხოლო კუერთხითა ჯუარისათა განმობი ღელუათა, განსაცდელთათა, დაულტობელად განსრულის მას შინა და მომშობი მხედრობითურთ უსხეულომსა ფარაომსა.

ესე უბრალოებით მწყემსობამან სხუა სამოილ ჰყო ერსა შორის თვისა, და უდიდესი ეპსთქუა, პავლე სხუამ, „რამეთუ არავის- 15 გან რა მიიღო, არა ვინმე შეაიწრა“<sup>4</sup>, არა ქმნა ცოლუა რამმე, რამეთუ „დაიძაბლა თავი, რათა აღამაღლოს<sup>1</sup> სამწყსომ, ვითარმედ უსასყიდლოდ ახარებდა სახარებასა ღმრთისასა, ხოლო წარმოსტყუენვიდა<sup>2</sup> სხუათა ეკკლესიათა და მოიღებდა საგზალსა სამწყსომსად თვისსა“<sup>5</sup>. ესრეთ „არა დააკლდა მოციქულთა“<sup>6</sup> 20 სიტყუთა და ცნობითა, შრომითა და რუდუნებითა, „უკანამსა დამვიწყებელი /წინასა მიჰსწუთებოდა და კრძალულებით ჰსდევდა გრგუნსა ზეცისა ჩინებისასა ქრისტე იესუს მიერ“<sup>7</sup>.

ესე უკუე შევიდა „ცხოვარი მივლინებული იესუ ქრისტეს მიერ შორის მგელთა მეცნიერქმნილი და უმანყო“<sup>8</sup>, ხოლო „შეს- 25 ლუამ იგი მისი არა ცუდად რამმე იყო, არამედ წინასწარ ივნო და იგინა“<sup>9</sup>, ხოლო „არცალა ცუდად ჰრბიოდა, არცალა ცუდად დამშურა, არამედ დაღათუ შეიწირა მსხუერპლსა მას ზედა და მსახურებასა სარწმუნოებისა განათლებულთასა მის მიერ, არამედ უხაროდა მათ ყოველთა თანა“<sup>10</sup>. 30

ამათ მიერ „ნუგეშინისცემულ-ჰყუნა გულნი მათნი თანამეტყუებულნი სიყუარულით ყოვლისა მიმართ სიმდიდრისა, გულსაეცებისა, გულისხმის-ჰყოფისა მეცნიერებად საიდუმლოსა მას ღმრთი-

1 აღამაღლოსმცა B. 2 წარმოსტყუენდა B.

\* შტრ. ეზიკილ. 34,4-6. \*\* შტრ. ეზიკ. 34,12. 3\* შტრ. გამოს. 7,1. 4\* შტრ. 1 მეფე. 12,3. 5\* შტრ. 2 კორინთ. 11,7-8. 6\* შტრ. 2 კორ. 11,5. 7\* შტრ. ფილიპ. 3,3-14. 8\* შტრ. მატთ. 10,16. 9\* შტრ. 1 თესალ. 2,1-2. 10\* შტრ. ფილიპ. 2,16-17.

სასა მამისასა და ქრისტესსა, რომელსა შინა არიან ყოველნი სა-  
უნჯენი სიბრძნისანი და მეცნიერებისანი დაფარულნი“\*.

წინასწარმეტყულება, რამეთუ, ოდეს „ვითარცა რა ოქრო  
ბრძმელსა შინა გამოიცადა (ვნებისასა) და ვითარცა ნაბერწყალი  
5 ლელწამსა შინა მსრბიდა ასპარეზსა შინა ლუაწლთასა“\*\*, კო-  
ვა ესე ღმერთმან ღირსად თავისა თვისისა და არარამმეთა და-  
აკლო წმიდათაგან თვსთა, დაღათუ საკრუელმან ბუნებისამან  
ტრფიალი ქალწულებისა დააყენა სასურუელისაგან მსჯულებითა  
მით „პატიოსნითა ქორწინებითა და საწოლითა შეუგინებელი-  
10 თა“3\*, გარნა სიწმიდისა ესე მოძლუარი ყოველთა წინაპარ-  
თა თვსთა სათნოთა ღმრთისათა მიღებულისაგან არა დააკლდა მად-  
ლისა.

ხოლო მოკმზრახობენ ამისთვის, ვითარმედ იწინასწარმეტყუელა  
306 ამან „შემოსლუად (სამწყსოსა შინა თვსსა) მგელნი /მძიშენი, არ-  
15 მრიდებელნი სამწყრომსანი“4\* ესეგუარითარე სახითა, ვითარმედ  
იხილა მდინარე რაჲმე, რომელსა შინა აქამთ განვიდოდეს ცხო-  
ვარნი და განსრულნი გარდაიქმნებოდეს მგელ, რომელთა წინას-  
წარმეტყულებამა ათქმია სულმან.

ამისსა წინასწარმცნობელობითა მიმადლებულებასა დაამტკი-  
20 ცებს პირი ოქრო-სახელი მეტყუელი: „გრიგორი, რომელიცა  
მთავრობითსა მადლსა ღირს იქმნა და საწინასწარმეტყუელომთა  
თუალითა მყოობადთა საქმეთა აუწყებდა“5\*.

წამებამა ჭეშმარიტებისა და ვნებათა დათმენა ესე აღმსცილ-  
დების ყოველთა, თუ მსტქუა, ერთ-პატიეთა მისთა და ერთსა ას-  
25 პარეზსა შინა თანამსრბოლთა, რამეთუ წამებამან ჭეშმარიტებისა-  
მან და „აღსარებამან კეთილისა მის აღსარებისამან, რომელი აღი-  
არა წინაშე მრავალთა მოწამეთა“6\*, დააკუეთა მას განძნებაჲ  
მძღავრთა, აღბორგებამ მას ზედა ბარბაროსებრი, მიზეზი პირად-  
პირადისა მის ტანჯუათა მძუნუარებისა და მრავალთა წელიწადთა  
30 მღვმესა შინა გუელთა თანა და ჭიათა წამლიანთა მეზობლობისა,  
რომელნიცა ვნებამან გუნდი ქალწულთა ზიარად თვსა აღმსძრა და-  
საეაღით ერმანისა შინა მოკსრბად და გვრგუნისა მარტულებითისა  
და სძლობითისა აქა მიღებად.

ეჰა, საკრუელება საკრუელებისა თანა მდგომარე, თანზავე-  
35 ბული და თანად აღსრულებული, რომელნიცა ვითარებანი ესე  
შეერთებულნი ოდესობითმან წინაუკმოობამან ვერ განჰკუეთა

\* შტრ. კოლას. 2,2-3. \*\* შტრ. სიბრ. 3,6-7. 3\* შტრ. ებრ. 13,4. 4\* შტრ. საქმე 20,29. 5\* ოქროპირისა, წმიდისა გრიგორი პართისათუს კუკუსოს ეკლესიასა შინა ქმნილი ქადაგება. 6\* შტრ. 1 ტიმოთ. 6,12.

მით, /რომელ ქალაქმან სამეფომან ერთა არარატიისათა და ყოველ-  
თა სომეხთამან ერთსა შინა სადაობასა მოიყუანნა სსუადასსუათა  
ქუემდებარეთად დაკუეთებულნი ვითარებანი. V

ხოლო განგება ზეგარდამომ სსუადასსუათა ქუემდებარეთად  
დაკუეთებულთა მათ ვითარებათა ერთსა ერთითა საკურუელ- 5  
კყოფდა და ერთსა ერთითა შეამკობდა და ერთსა ერთითა ყოველსა  
შინა სოფელსა განაბრწყინებდა.

რამეთუ მოიკლა რა ანაკოსგან, ნათესავით პართისა, ხოსრომ  
მეფე სომეხთა, და ანაკ სომეხთაგან, ძე ანაკისი ყრმამ მცირე ერთ-  
გულთაგან მონათა განიტაცა, რათა არა წარასწყმდესმცა მკულელ- 10  
თაგან მამისათა და სამთავროდ კაბბადუკიისა<sup>1</sup> მიყუანებული ვა-  
ნერა მძუნუარებასა მკულელთასა. ხოლო იყო მაშინ თვთმპყრობე-  
ლობიოი სკიპტრისა პყრობამ უღმრთოჲსა დეოკლიტიანესი.

ესე უკუე ვლტოლუამ არა ლიტონ განიგებოდა ყოვლად წმი-  
დისაგან გულისსმის-ყოფისა, ყოვლად საზიერითა მით თვთმქელ- 15  
მწიფებელითა ნებითა, რამეთუ გულუებადსა მას ქუემდებარისა  
მიმადლებულებასა კშუენოდა სიჩჩოებასავე შინა ქუემდებარისასა  
ცუალებითა ადგილისათა მუნ, სადა-იგი შემოქმედისა მხოლოჲსა  
დავიწყებითა ეშმაკი ღუთად შულთა მისდა დაკულითა იდიდებოდა,  
მუნ განძრცუამ ძუელისა კაცისა, სადა-იგი საცხოვრებელნი საი- 20  
ღუმლონი კმითა სახარებისათა იქადაგებოდენ, სადა მამისა და ძისა  
და სულისა ყოვლად წმიდისა ერთისა მხო/ლოჲსა არსებისა ღმერთ-  
მთავრობითისა განუკუეთელად განფენისა ცნობამ შექმნულთა გა-  
ნანათლებდა. აქა გრიგორი შულ მამისა ზეკათასა იქმნა, რამეთუ  
სისხლითა გამოქსნილი „მამათაგან მოცემულისა მის ამოჲსა 25  
სლუსა“<sup>\*</sup> წყლითა განიბანა და სულითა განწმდა და „სამთა მოწამე-  
თაგან ქუეყანისა ზედათა სამთა მათ მოწამეთა ზეციერთა თჳს შო-  
რის მკედრობისა მიჰსცა ადგილი“<sup>\*\*</sup>.

ესრეთ უკუე გრიგორი, „განიძარცუა რა ძუელი იგი კაცი საქ-  
მით მისითურთ, სულითა ჰობრძნისათა შეიშოსა ახალი იგი განახ- 30  
ლებული მეცნიერებამ მჰსგავსად ზატისა მის დამბადებელისა მი-  
სისა“<sup>3</sup>.

ხოლო ვინამთგან ღმერთმან, „რომელნი-იგი წინასწარ განა-  
ჩინნა, მათცა უწოდა და, რომელთა-იგი უწოდა, იგინიცა განა-  
მართლნა და, რომელნიცა-იგი განამართლნა, იგინიცა აღიდ- 35  
ნა“<sup>4</sup>, ვინა წინასწარგანჩინებულმან ამან შოილო „სული სიბრ-

<sup>1</sup> კაბბადოკიისა B.

<sup>\*</sup> შლრ. I პეტ. I, 18. <sup>\*\*</sup> შლრ. I იოან. 5, 7. <sup>3</sup> შლრ. კოლას. 3, 9. <sup>4</sup> პრომ.

- ძნისა და გულისხმის-ყოფისა“\*, რამეთუ „მცირედთა დროთა საი-  
 ღუმლოთა განკორციელებისა ქრისტესთა ზედმიწევნილ იქმნა,  
 რამეთუ ესრეთ იტყვს გრიგორისათჳს პირი ოქრო-სახელი“\*\*,  
 ხოლო ყოველთა წიგნთა საღმრთოთა ზედმიწევნამ შეამთხვა მას  
 5 წინასწარგანჩინებამანვე ზეგარდამოვან, რომელნიცა მომგებმან  
 „სულისა განზრახვსა და ძლიერებისა, სულისა მეცნიერებისა და  
 ღმრთისმსახურებისამან“\*\*<sup>3</sup> თუთოეულსა შესაბამსა დროსა შინა  
 აქმნივნა შიშითა ღმრთისათა, რამეთუ „სულმან შიშისა ღმრთისამან  
 აღავსო იგი“\*\*<sup>4</sup>.
- 10 ამან შეაწყუდიენა საუნჯესა შინა განწმედილსა ნივთთაგან  
 ქუეყნიერთა (ესე იგი სულსა შინა თჳსსა წმიდასა) ყოვლად ძალ-  
 ნი წერილთა ძუელისა აღთქმისა და ახლისა მადლისათანი და  
 7 „მწიგნობარი /ესე დაემოწაფა სასუფეველსა ღმრთისასა და დროსა  
 შესაბამსა კჳმეულ-ჰყო გამოღებად ძუელი და ახალი“\*\*<sup>5</sup>.
- 15 ვიციით საქმეთაგან, რამეთუ თქმული იგი წინასწარმეტყუელი-  
 სა მიერ ძისად თჳსისა უფლისაგან ღმრთისა ითქმის გრიგორისადცა,  
 ეჰა, გარეშეუწერელობად კაცთმოყუარებისა და სახიერებისა საღმ-  
 რთომასა, ხოლო ესე არს თქმად იგი: „მიგეც შენ აღთქმად ნათესაჳ-  
 სა, ნათლად წარმართთა, განხუმად თუალეგსა ყრმათასა და გან-  
 20 მოყუანებად საკრულთაგან შეკრულთა და სახლისაგან საპყრობი-  
 ლისა მჰსხდომართთა ბნელსა შინა“\*\*<sup>6</sup>. ესე უკუე აღთქმად ნა-  
 თესავთა ძისა მიმართ უჟამოდ მხოლოდშობილისა იყო თქმად ძუ-  
 ელად, რომლისა ძალი დაჰნიშნავს აღთქმასა, ვითარმედ „წარმართ-  
 თა მიჰსცემდა ძესა სამეკლრებელად“\*\*<sup>7</sup>, ხოლო აღთქმულისა  
 25 ამის მიცემად ნათესავისა და მეფობისა საწარმართომასა მიივილინა  
 გრიგორი ნათლად მათდა, ვინამცა განახუნა თუალნი ბრმათანი, რა-  
 მეთუ ვერ მხედუელთა არუნა „ნათელი ჰეშმარიტი, რომელი გა-  
 ნანათლებს ყოველსა კაცსა მომავალი სოფლად“\*\*<sup>8</sup>. ხოლო გამო-  
 იყუანანა საკრულთაგან შეკრულნი ტყუენი სატანანნი, მონანი  
 30 დაბადებულთანი გარდაქმნილნი აღმართ მთვალობისაგან და ორ-  
 ფერკობისა. და მოციხარ-ყოფისა ოთხფერკოვნებად<sup>1</sup> და ეშუებად  
 ველურად მთხრელად ჰილსა შინათა უყეთა და ეგსახედ შესახე-  
 308 დავისა თანა დაკლებულად /ყოფა-ჰქევისაგან ყოველითურთ გულ-  
 ხმებულთასა.

<sup>1</sup> ოთხფერკვნებად A.

\* შდრ. ისაია 11,2. \*\* ოქროპირი (ქადაგება). 3<sup>o</sup> შდრ. ისაია 11,2. 4<sup>o</sup> ისაია 11,3. 5<sup>o</sup> შდრ. მატთ. 13,52. 6<sup>o</sup> ისაია 42,6-7. 7<sup>o</sup> შდრ. ფსალ. 2,8. 8<sup>o</sup> იოან. 1,9.

ესეგუართაგან საპყრობილისა სახლთა და ბნელისაგან მქსნელად ზეგარდამო განწინებამან კყო გრიგორი „ნათლად სოფლისა, რომელი ვერ შესაძლებელ იყო დაფარუად“\* კუმირსა ქუეშე, ესე იგი დაყენებათაგან რომელთაჲმე დაკუეთებითთა, რომლისათუს ნათელი ბნელთად მიიწოდების შემოქმედისაგან ნათელთასა, რათა განათლდეს ნათლითა საუკუნომთა ბნელსა მსხდომარენი, და ოქრომ ბრძმედისად, რათა გამოიკურავოს და განბრწყინდეს შინაგანი იგი დაფარული უზადოება, ვინა გრიგორი კაბბადუკიისა სამთავრომთ და მონარხით აზიურისა მონარხისა ლიკინიოსისა სამეფოდ სომხეთად მიივლინების, სადა მეფობდა ძე ხოსრომასა მიტრიდატ ანუ ტირდატ, და მკედრობასა მისსა შორის დაწესებული მთავრად მახლობელ და მეგობარ მეფისა სამეფომთა ბრძანებითა განიჩინების.

ხოლო ვინამთგან უღმრთოთა შორის ყოფამ დააკუეთა მაღალმან განგებაჲმან გრიგორის, ჰსაჯა, ვითარმედ მარად თანა-ამს წინაგანწყობად „მთაერობათა და კელმწიფებათა სოფლის-მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთომასათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა“\*\*. ვინამ ისათანადლოა ხუაეი სათნოებათა შეკრებად სულსა შინა მით, რამეთუ ყოვლად ბრძენ იყო კაცი იგი, რამეთუ უვნებლობამან მოიყუანა მის შორის გა/ნათლებამ გონებისა, რომლითა აქუნდა მას ყოფად გულუებადთაცა სავედ განყოფითი მოგონებაჲ განათლებითა სულისათა და შესაბამ განასჯამ განგრძელებული, რამეთუ სხუა იოსებ იქმნა და სხუამ დანიილ დამკვდრებული უღმრთოთა შორის, რამეთუ პირველისა შესმენილი სიწმიდე და შვიორისა კრძალულებამა მსჯულთა მიმართ საღმრთოთა მოიგოსიბრძნით და ესენი ჭეშმარიტითა ქრისტეს მიმართ განაშუენა სარწმუნოებითა.

გრიგორი ჭეშმარიტ ქრისტეანეკმნილი მიერით, ოდეს-იგი განიძარცუა ძელი იგი კაცი, მეცადინ იქმნა და მიემსგავესა ქრისტესა მებრ კაცობროვისა ძალისა საქმით და სიტყვთ და გონებით აღიარებდა ყოვლად წმიდასა სამებასა მართლად და უბიწოდ, ხოლო ნებსით მომძულუებელმან უარპყო ბუნებაჲ, რომლითა მიემთხუა ზესთა ბუნებითთა.

გრიგორი ჭეშმარიტებით მოყუარე უფლისა და გულუებადისა სამეფომსა მებრძელი და ქსენებასა სასჯელისასა და მსსჯავრსა საუკუნომსასა მქსონელი და სიბრძნის-მოყუარე წურითთა სიკუ-

\* შტრ. მატ. 5,14. \*\* ეფეს. 6,12.



დილისათა არლა მერმეცა ზრუნვიდა<sup>1</sup> ამაოთათუს; რამეთუ მსჯიდა ესე ზეციერ ფილოსოფოსებრ: „ამაოება ამაოთა, 'ყოველივე ამაო“\*.

- გრიგორი უცხოქმნილმან ნებისაგან მსაჯა მოგებად უკადნიე-  
 5 რომ ჩუეულებამ, ხოლო უცნაური სიბრძნეა განუცხადებელი, გულისკმის-ყოფამ თუნიერ დრომსა შეურაცხებისა ქრისტესთუს  
 309 და მისთუს ტკივილისა და კავშირთა განცანისა სურეი/ლი და მის-  
 დამი სიმრავლეა ტრფიალებისა, რომლითა ამატრავანებისა მოი-  
 გო სრულიადი უარის-ყოფამ. ხოლო გალობად იძულებულ კყუჴს  
 10 თქმულებმან დავითის თანა: „მიგდეუდა სული ჩემი შემდგომად შენსა და მე შემეწია მარჯუენე შენი“\*\*.

- გრიგორი ნებსით მოკდომისათუს კორკთასა არ მიიხუეჴა მთავრობითისაგან ჩუეულებისა, რამეთუ „ახლისა მცნებისა აღ-  
 სრულებითა“<sup>3\*</sup> ძმათად მიცეჴად მონად თავისა მოსწრაფექმნილი  
 15 შახურებთისაცა შინა მკედრობითსა დაკუეთებულთა ბრძანებათა მისდა უფლებრიეთა ერჩდა, რომელნიცა არა შეავინებდეს უბი-  
 წოებასა სულისასა და ამას იქმოდა უფლისათუს, ხოლო გალობდა ამას უბიწო სული მისი: „დავემორჩილე უფალსა და დავემონე მას“<sup>4\*</sup>.

- 20 გრიგორი მომსყიდუელი დამდაბლებისა სხეულებრისაგან ნუ-  
 გეშინისცემისა ნებსით უსასო კყოფდა თავსა თუსსა, რომლითა სუნდისსა უბიწო კყოფდა და თავსა თუსსა ამით დაახლებ-  
 და ღმრთისად.

- გრიგორი მოიხსენებდა უფლისასა: „ნეტარ იყუნენო მგლოვა-  
 25 რენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“<sup>5\*</sup>, ხოლო წერილისასა: „ნაცარი, ვითარცა პური, ეპსჭამე და სასმელი ჩემი ტირილითა ჩემითა განეჴზავი“<sup>6\*</sup>. კულად: „კეთილ არს სლუაჴა სახლსა გლოვისასა უფროს, ვიდრედა სახლსა შინა სუმისასა“<sup>7\*</sup>,  
 ვინაჴცა აქუნდა კაცსა მას წარმატებულსა შინაგანი პყრობად ამითი  
 30 და დროებითი დუმილი, ბაგეთა ურისხუელობად და ძურუტსოვნე-  
 ლობად და უპატივობათა წყურვილი.

- 7 გრიგორი მძლეობითა ბუნებისათა აღუძრუე/ლსა მოიგებდა მდგმობასა გონებისასა, ხოლო აქუნდა მას ვერ განძლომად, რაოდენცა დაეკუეთენ უპატივობანი. ხოლო დაჴნატრა კაცსა ამას ყოვლად ბრძენსა თქმულთათუს სიტყუამან ჴეშმარტიმან და აღუ-

<sup>1</sup> ზრუნვა B.

\* ეკლეს. 1,1. \*\* ფსალ. 62,8. 3\* შდრ. იოან. 13,34. 4\* ფსალ. 36,7. 5\* მატ. 5,4. 6\* ფსალ. 101,9. 7\* ეკლეს. 7,3.

თქუა „დამკვდრებაჲ ქუეყანისა“<sup>5</sup>, რამეთუ ჰყო ესე სოფელსა შინა „მამად მრავალთა“<sup>6</sup>, რომელნიცა კმუნა სახარებითა ქრისტესითა და „ძედ ღმრთისა წოდებაჲ“<sup>3</sup>, რომელიცა მოილო მიუხუეჭელად.

გრიგორი მოყუანებაჲ მკეველად დედოფლისა მოისობრძნა 5  
ბრძენ-გონიერად, რამეთუ ამით ბუნებისა უარის-ყოფად მსაჯა უფრორე შესაძლებელად, ხოლო ბუნებისა უარის-ყოფითა „სლუად ასპიტთა ზედა ვასილისკოთა და დათრგუნუად ღომისა და ეეშაპისა“<sup>4</sup>, ხოლო „სოფლისა თუსდა ჯუარცმად და თუსი სოფლისად“<sup>5</sup>.

გრიგორი არა მცოდნეული ქორწინებისათჳს მამა-შვილთა, მაგრა შედგომითა ქრისტესდა წმიდა შეუხებელად ამით ვნებათაგან, უკერპო შორის გონებისა და მკუდარკმნილი შორის სხეულისა, ესე ჰეშმარიტ მიმღებელ ამას ნეტარებისა: „ნეტარ იყუნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“<sup>6</sup>. ხოლო ვითარ-მე მოიგო 15  
ნეტარ-ყოფად ესე კორცთა შინა? რამეთუ საქმეთა მისთა შემდგომთა მსწამეს მისთვის, რამეთუ „უგრძნობელ იყო სრულიად ყოველსა შორის ფერსა და სხეულსა და ჟამსა და ესე არათუ უცხოთა მიმართ აქუნდა, რომელიცა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა აქუნდა, არამედ მსჯულებიერისაცა თანმცხოვრებელისა მიმართ 20  
შედგომითგან ქრისტესით“<sup>7</sup>.

/გრიგორი, ნიადაგ კერპთა წინაგანმწყობმან და ნიადაგ მიუ- 310  
ხუეჭელმან მოკდომათაგან სულიერთა, მსძლო უიჭვოდ „ანგარებასა, რომელ არს კერპთმსახურება“<sup>8</sup> და არა განაძირა თჳს შორის ცოდუად, რომელისა „ძირი არს ანგარება“<sup>9</sup>.

გრიგორის შორის უგრძნობელობაჲ ვერ დაჰსდუა მტერმან, რამეთუ ვიცით მეცნიერთა მისდა ჰეშმარიტისაგან მისთვის ისტორიკოს კმნილისა და ჰებად მისდა მგალობელისა ოქრო-სახელისაგან პირისა ხალმრთოჲსა, ვითარმედ საქმენი გრიგორისნი იყუნეს ნიადაგ ქრისტესთვის. ეინა არა მსცა გრიგორი ადგილი ვნებასა გულ- 30  
ფიცხელობისასა, რომელ არს უღმობელობაჲ, რამეთუ არა გულფიცხელკმნილი ოდესმე არა ჰყუარობდა ამოუებასა, გარნა განადლო შორად თჳსაგან მკუდარი იგი გრძნობაჲ, რომელიცა „დაყოვნებელისაგან სნებისა და უღებებისა უგრძნობელობად მისრულე- 35  
ბულ არს“<sup>10</sup>.

\* შტრ. მატ., 5,5. \*\* შესაქ. 17,4. 3° მატ. 5,9. 4° შტრ. ფსალ. 90,13. 5° შტრ. ვალ. 6,14. 6° მატ. 5,8. 7° იოანე სინელი, აღსაეალი 15. სიწმიდისათჳს. 8° შტრ. კოლას. 3,5. 9° შტრ. 1 ტიმოთ. 6,10. 10 იოანე სინელი, აღსაეალი 18.

გრიგორის შორის ვერ კპოვა მტერმან აღგილი მოშიშებისა, რომელ არს ვნებაჲ ყრმებრივი, არამედ ნიადაგ განმამაკაცებული უშიშ იყო და მოციქულისა თანა იტყოდა: „არა მომიღებინეს სული იგი მონებისა, რათამცა კულად მეშინოდა, არამედ მომიღებინეს 5 სული იგი შვილებისა, რომლითა ვღალადებთ<sup>1</sup>: აბბა შამაო“<sup>2</sup>.

გრიგორის მდაბალმზრახუელსა ვერ მიეახლა ცუდღიდებობა და ზესთმჩენობა, რომელიცა მოპოვნებულ არს ეშმაკთაგან, რამეთუ ესე მიემსგავსა მას, რომელმანცა „ღაიმდაბლა თავი თუსი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე სიკუდილადმდე“<sup>3</sup>.

7 10 /გრიგორი დაემოწაფა მეტყუელსა: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ გმუდ ვარ და მდაბალ გულითა“<sup>4</sup>, რომლისა მოწაფესა კშუენოდა უბოროტობაჲ, რომლისათუს ყოვლად უმანკოსა მას „მიეცნეს ფრთენი ტრედისანი და აღფრინდა და განისუენა“<sup>5</sup> პირისპირ უსაშუალოდ წარდგომითა მისდა, ვისდა ჰხედუდა აქაით „სარკით და 15 სახით“<sup>6</sup>.

გრიგორი ვიცანთ საქმეთაგან თუსთა, ვითარმედ განრღუეულე-ბაჲ იგი სულისა, სნებაჲ მოწყინებითი ვერ შევიდა სულსა მისსა ზედა „ნუგეშინისმცემელისა ძლით მისისა, სულისა ღმერთთმთავ-რისა“<sup>7</sup>, რამეთუ მთხოველმან: „მომეცო სიხარული მაცხოვარ- 20 რებითი და სულითა მთავრობისათა დამამტკიცე“<sup>8</sup>, შოილო აღსრულებაჲ თხოვილისა, ვინამცა იტყოდა: „იხარებს სული ჩემი უფლისა მიმართ, რამეთუ შემოსა მე სამოსელი მაცხოვარებისა და კუართი მხიარულებისა“<sup>9</sup>, რომელიცა ყოვლად წმიდამან სულმან უფლისა ღმრთისა ჩემისამან მიქსოვა მე, რათა მოსილი 25 ნიადაგ უხარობდემცა შემმოსელისა ჩემისა მიმართ, რათა მისდამი მაქუნდეს სასობაჲ, რომელი აღმითქუამს მე: „არა დაგაგლო შენ და არცა უგულუბელს-გყო შენ“<sup>10</sup>.

გრიგორი შრომათა მიერ და ოფლთა და ტკივილთა არსებისა ზესთაჲ, წულილთა და სუბუქთა და ადვლთა მოსლუად თუს შორის 30 მიემთხუა გამოხატუათა, რამეთუ ანგელოსებრი უბიწობაჲ გულისხმის-ყოფისა დააკუეთა სიმკნემან და კორცთა სიზრქისა ზედა ძლევამან. არავინ ვიცი სხუაჲ, ვჰსთქუათ ჰეშმარიტი, ვითარ გრი- 31 გორი, /რომელიცა ეპოდენითა ტკივილითა განგრძობილითა განათლებული უძღოდა სამწყისოსა თუსსა ნათლითა მიუღებელითა 35 გონიერითა და ესრეთ განწმედილი მლუღელობდა უბრალოებით.

<sup>1</sup> ვღალადებ B.

<sup>2</sup> პრ. 8,15. <sup>3</sup> ფილიპ. 2,8. <sup>4</sup> შტ. მატ. 11,29. <sup>5</sup> შტ. ფსალ. 54,6. <sup>6</sup> 1 კორ. 13,12. <sup>7</sup> შტ. იოან. 15,26. <sup>8</sup> შტ. ფსალ. 50,11. <sup>9</sup> ისაია 61,11. <sup>10</sup> ისო ნავ. 1,5.

გრიგორის შორის ექსკუტრეტ სიმდაბლესა მალალსა, რამეთუ  
 ესოდენმან კანდიერებამან ღმრთისა მიმართ, რომელი სისხლმან  
 ღმრთისადმი მიცემულმან მოუგო, რომელ ეშუნი ველისანი შესა-  
 ხედავით და ნაკუთით და ჩუქულებით ლოცუთა მოიყუანნა ყოვ-  
 ლითურთ კაკობრივობად და არაოდეს ამაღლდა იგი, არაჲდ უდი- 5  
 დეს დამდაბლებული მწყემსობითისაგან სიმალლისა უდაბნოსა ში-  
 ნათა მემხოლოებათა იკუთნუდა, რამეთუ ტრფილმან მხოლოდსა-  
 მან, რათა მხოლოდ მყოფი შექსტრფიდეს<sup>1</sup> მხოლოსა, ქსტქუა სიღრ-  
 მესა შინა სულისასა: „ვინმცა მცნა მე ფრთენი, ვითარცა ტრედი-  
 სანი, აღუფრინდე მე და განვისუენო“<sup>2</sup>. ზოლო მარადის მის შორის 10  
 მყოფმან უმანკობამან უყო შეწვენა უდაბნოსა შინა დამკედრები-  
 სად, ვინა მისრული სურვილისა მისასრულებისად ჰგალობდა:  
 „ესეა განვეშორე სიველტოლითა და განვისუენე უდაბნოსა შინა,  
 მოველოდე ღმერთსა მაცხოვარსა ჩემსა სულმოკლებისაგან და  
 ნიაჲ-ქარისა“<sup>3</sup>. 15

გრიგორის შორის მყოფმან მხოლომან სრულებამან სათნო-  
 ებისამან, შედგმულმან კრძალულებასა შინა მხოლოსა მრავალთა  
 სახეთა სათნობისათა, ურთიერთას თანჯმობისა მოსლვისა ძლით  
 ჰყო მოსლუად ნათლისა მარტივისა აუგებელისა, რომელ არს სი-  
 ყუარული, რომ/ლისად აღვიარებთ: „ღმერთი სიყუარული არს“<sup>3</sup>. 20  
 განაბრწყინუა სამთაერომ თუსი, გონებაჲ აგებულისა თუსისა. ამან  
 განათლებამან ჰყო განათლებულსა შორის „ცნობაჲ განმსჯელო-  
 ბითი პირველად ცნობისა მისდა, რომელ არს უცთომელი ნებისად-  
 მი საღმრთოდაჲ მიწთომაჲ“<sup>4</sup>. მეორედ, რომელ არს თანზავებუ-  
 ლი პირველისა, ესე არს ესე საღმრთოდაჲ ნებისად წინააღმდეგო- 25  
 მობისა მიწთომილი ცნობაჲ.

გრიგორის შორის მიჰფინეს თქმულთა სამღუდელოჲ იგი  
 მყუდროებაჲ სხეულისა და სულისა, რამეთუ სიმკნემან და განათ-  
 ლებამან სულისა განათლებულისა და გულსმოდგინისამან დაადგი-  
 ნა გულისსიტყუაჲ კარსა თანა გონებისასა, სადა აქუს ადგილი გუ- 30  
 ლისსიტყუათა სულსა, კუალად კარსა თანა საგრძნოთა ორღანოთა  
 ცუალებისასა დაჰსდუა ბეჭედი, რამეთუ გრძნობანი ესთა დაყუდ-  
 ნეს მისშორისი, ვითარმედ ჩუეულებათა და გრძნობათა ზედმიწე-  
 ნილობაჲ და წესი ისწავა სულმან, რომლითა მეფებრ წარჰმართა  
 მყუდროებაჲ კორცთა, ზოლო თუს შორის დაიკუა გონებაჲ წარუ- 35  
 ტყუენუელად ქოლათაგან და მოსლუათა გულისსიტყუათასა.

<sup>1</sup> შექსტრფიდესმცა B.

\* ფსალ. 54,6. \*\* ფსალ. 54,7-8. 3\* 1 იოანე 4,16. 4\* იოანე სინელი, ად-  
საეალი, 26.

- გრიგორის შორის იპოვების (\*) სათნოებათა დედად ცნობილი მამათაგან საღმრთო სათნოებამ, რომელა ზედვითისაებრ შეერთებამ ღმრთისა და კაცისა, ზოლო საქმითისაებრ სულისა განმტკიცებამ და დაგებამ ღმრთისა თანა. პირველითა უკუე გრიგორი კორცნი განკრწნანდნი, ვითა უგრძნობელმან ტკივილთაგან, ათხუთმეტ წელ
- 312 ბრძმედსა შინა ვნებათა სასტიკ/თესა გამოცდილნი აწუთნა წყალსა შინა წმიდისა სასოებისასა, ზოლო მეორითა იმოციქულა ბარბაროსთა შორის და ახარა მათ სახარებამ ქრისტეს ღმრთისა და განდგომილნი დააგნა ღმერთსა.
- 10 რამელა ვჰსთქუათ კაცისა ამისთვის ღმრთისა, რამეთუ ესოდენტა სათნოებათა ჯაჭუთა ოქრომსათა მოუგეს თანაბმად სხუამ გრიგოლი ოქრომსავე, რომელ არს ცამ სფერომ მომგრგუალებული ქუეყანასა ზედა, რომელი იწყებს წარმოსა მჰსგავსებისაგან ღმრთისა და მჰსგავსებასავე შინა ღმრთისასა უკუისფერებს და მჰსგავსებასა შინა ღმრთისასა მგრგულებებს. ესე არს უვნებელობამ, ზოლო უვნებელობამ არს, რომელი კორცთა უხრწნელ ჰყოფს ყოელისაგან უცხოასა შეხებისა და თვთ შეხებისა მისგანცა, რომელი საიდუმლომასა ძლით ეკკლესიისა შიტეებულ არს, რამეთუ ვინამთგან
- 15 „აღუსებამ ჯერ არს ზენამსა სოფლისა, ამისდა ძირ არს საიდუმლო ესე ეკკლესიისა, ზოლო გონებასა აღამაღლებს და საგრძნოთა ყოველთა დაამორჩილებს მისდა. ესე არს სრულთა დაუსრულებელი სრულებამ და მიზეზი ქუემდებარისა შორის ღმრთის მოსლესა“.
- ჰსთქუა ნეტარმან მაქსიმე საღმრთოდ ფილოსოფოსმან აღძრცულსა შინა ღმრთისმეტყუელებასა პრაქტიკებრ მფილოსოფოსობმან: „შეუძლებელ არსო სიყუარულისა ანაგებად მოსულამ მისგან, რომელსაცა აქუნდეს ვნებულმოყუარებამ“.
- ზოლო ვჰსტურეტთ გრიგორის შორის, ვითარმედ ღმრთისასა პატივ-ჰსცემდა ცნო/ბასა უფროს მის მიერ და დაბადებულთასა, რომელიცა
- 30 მისთა წმიდათა უმაგალითოთა ვნებათაგან და სამოციქულოთა ყოფა-ქევეითა მისითა დაიმტკიცების.
- ვინამთგან ოქროსა გამოცდილ ჰყოფს ცეცხლი, ზოლო სულსა ხატსა შემოქმედისასა „მონებად ღმრთისა“<sup>3</sup> საკუთარ ჰყოფს და ნეტარ ჰყოფს განსაცდელი, ზოლო „შეუძლებელ არს (სიტყუსაებრ
- 35 უფლისა) ორთა უფალთა მონებად“<sup>4</sup>, რომლითა გრიგორისადცა

(\*) მაჰანი საღმრთონი დედად სათნოებათა ლოცუასა იტყუან AB.

\* [გრიგორი] ღმრთისმეტყუელისა ქრისტეს შობისათჳს. \*\* მაქსიმე [ალმსარებელი]. ითიკა ღმრთისმეტყუელება, ასეული 1,1. 3<sup>o</sup> ზღრ. ზირაქ. 2,1. 4<sup>o</sup> ზღრ. ლკ. 16,13.

შეუძლებელ იყო ესე „მონისად უფლისა ღმრთისა, რომლისათვის რომელმან განკმზნადა თავი თვისი მოთმენად განსაცდელთა“<sup>5</sup> ვინა „ნეტარ იქმნაცა დამთმენი ღმრთისათვის მრავალთა განსაცდელთა“<sup>6</sup>. მაშასადამე, ნეტარსა და მონასა უფლისა ღმრთისასა და შეკრულსა მისდა კრძალულებითა ვერლარა ეძლო „მონებად არავისდამი ძღუელსა“<sup>7</sup>, რომლითა უვნებო იქმნა ნეტარი სული მისი.

იტყუს ნეტარი მაქსიმე: „სიყუარულსა კშობს უვნებელობამ, რომელ არს გულსმოდგინებამ სულისა კეთილისა, რომლითა ფრთოვანქმნილი სული გარეგან იქმნების ყოველთა არსთა“<sup>8</sup>, ვინა გრიგორის შორის მოვიდა სიყუარული, რომელ არს ღმერთი მხოლოდ სამობასა შინა, რომელიცა მამამან მოძღუარმან „ზოგად ცხოვრებულთა და მემხოლოეთამან იხილა თუალითა სულისათა და მოგუცა ჩუენ ცნობამ, რამეთუ მათგანი არს რომელიმე ნათლად, რომელიმე შარავანდელად და რომელიმე დისკოდ, ხოლო ყოველნი ერთად განბრწყინუებად და ერთად ნათლად“<sup>9</sup>, რამეთუ რომელსამე მათსა ყოველივე ქმნად ძალუცს და შემოქმედებად, რომელიმე წყალობასა ღმრთისასა. მოამრგუალებს და ურცხუენელ/კყოფს და რომელიმე არცა დაეცემის, არცა ჰდგას<sup>1</sup> სრბისაგან, არცა მოწყლულსა მისგან სიწყნარედ ნამძულ უტევეებს კეთილისაგან ბორგისა, რომლითა დაწყლული და მბორგაღე სული მისი იტყოდა: „მე მძინავს და გონება ჩემი მღვძარე არს“<sup>6</sup>.

ვიცით გრიგორისი საქმეთა მიერ, რამეთუ ტრფიალებამან სიყუარულისა ღმრთისამან განიყუანა გონებამ მისი სატრფიალოისად, რომლითა ყოვლადვე არცალა თავსა თვისსა ჰგრძნობდა და არცა არსთაგანთა რამმეთა, რამეთუ საღმრთოთათა და განუზომელითა ნათლითა განათლებული უგრძნობელობდა ყოველთადმი შექმნულთა<sup>2</sup> არსთა მისგან და მძვნუარეთადმი ტკივილთა, რამეთუ არსთად უგრძნობელ ჰყო უზომოდ განათლებამან, ვითარ თუალი ვარსკულაეთად აღმობრწყინუებამან მზისამან. ხოლო ტკივილთად განჰსჯამან საღმრთოთისაგან განათლებისა აქმნივა მას წინადადებამ ესე საღმრთოთისა პავლესი: „ვერ ღირს არიან ვნებანი იგი ამის ფამისანი მერმისა მის თანა დიდებისა“<sup>7</sup>. ესრეთ სიყუარულმან საღმრთომან კშუა მის შორის განათლებამ მეცნიერებისა, რომელ არს ცხოვრე-

<sup>1</sup> მდგას B. 2 შექმნულთათა B.

<sup>2</sup> შტრ. ზირაქ. 2,1. <sup>3</sup> შტრ. იაკობ. 1,12. <sup>4</sup> შტრ. 2 პეტ. 2,19. <sup>5</sup> მაქსიმე [აღმსარებელი], ითიკა ღმრთისმეტყ., ასეული I, რიცხ. 20. <sup>6</sup> იოანე სინელი. აღსავეალი 30. <sup>7</sup> შტრ. ქება 5,2. <sup>8</sup> პრომ. 8,18.

- ბაჲ გონებისა და „სარკით და სახით“\* (აქაჲთ) ხედუა ღმრთისა. ესრეთ განბრძნდა კაცი ესე ღმრთისა სიბრძნისმოყუარე, ესრეთ შეიკრიბა სიბრძნისმოყუარებით ხუაეი სათნოებათა კალოსა ზედა უნიეთოჲსა სულისასა, ესრეთ შეახუაჲ მან სახენი კრძალუ-
- 5 ლებისანი არნადითა სათნოებისათა და „ბზენი (კმელნი) ცეცხლი-  
 V თა უშრეტითა დაწუადნი“\*\* გა/ნანჭკრიუნა შორად ფიწლითა ყოვ-
- ლად წმიდისა გულისკმის-ყოფისათა და ესრეთ განკსწმიდა კალოჲ თჳსი ნიჩბითა სიმკნისათა, რამეთუ ბრძოლად უწყოდა, წინა-ედუა მას და საჭიროდ აქუნდა ამისთჳს თანამბრძოლად ღმერთი მოგე-
- 10 ბად, ხოლო თუნიერ სათნოებათა მოგებისა ქუემდებარესა შორის არა აქუს ღმერთსა ადგილი, უწყოდა ესე სიბრძნით.
- ვინაჲცა სათნოებათა მიერ შეამკობდა თავსა თჳსსა კაცი ესე ღმრთისა და სასძლოდ უკუდაჲვად და დაუბერებელად ქორწი-
- ლისადმი ღმერთ-მამაკაცისა სიძისა განემზადებოდა, რამეთუ უწ-
- 15 ყოდა, ვითარმედ ახლოს უკუე იყო მაშინ მისდა ჟამი ქორწილისა და ესრეთ სათნოათა არსაწუნელითა შესაბამობითა სამოსლისათა, ესე იგი პორფირითა სისხლისათა და დიადიმითა წინასწარმეტყუ-
- ელთათა და მოსაყდრეობითა მოციქულთათა და „ფერჯთა განშუე-
- 20 ბისათა და შრომითითა ებგურობითა მწყემსობისათა და მმარხუე-
- ლობითითა კორცთა განაკაფითა ღირსათათა და უბრალოებითა მართალთათა მივიდა ჩინებული ქორწილად. ვინაჲცა სიხარულით შეიწყნარა სიძემან და პურისა უფალმან მამამან სიძისამან და შეინაჲეთა თანა ქორწილისათა ღირს შეკრაცხა და „კმითა სიძისა-
- 25 თა და კმითა სძლისათა“\*\* და კმითა მედღესაწაწულეთათა „აფარებდით უფალსა ყოელისა მპყრობელსა“ ახარა მას.
- 315 ხოლო ყოფასა შინან თჳსსა სომეხთა შორის დიდი გრიგო/რი ახარებდა სახარებასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა ბარბა-
- როსთა და მეცადინობდა გულთა მათთა შორის დათესუად თესლ-
- 30 სა სახარებისასა, რომელიცა ეძენებოდა ესე უღმრთოთა მათ. ვინაჲცა შეფისაგან უღმრთოჲსა გრიგორი მმსხუერპლუად არაწმიდა-
- თა კერპთა იძულა და თუ სადამე არა უზორვიდა მძლავრებრითა რეცა იძულებითა და ტანჯუთა თუნიერ ნებისა აქმნეჲდა ზორუასა საძაგელთადმი, რომლისასა ხალდეურსა მას მპაზრუელობასა სამ-
- 35 თა მათ წმიდათა ჳაბუკთა აბრამიანთა მპაზრუელობითაჲე წინა-
- აღუდგა მეტყუელი: „არს ღმერთი ჩემი ცათა შინა, რომლისა გან

\* I კორ. 13,12. \*\* შღრ. ლუკა 3,17. 3° შღრ. ისაია 52,7. 4° შღრ. იერემ 7,34

ეცხლისა მგზებარისა (რისხსა შენისა) და კელთაგანცა შენთა მიკსნეს მე. და უკეთუ არა საცნაურ იყავნ შენდა, მეფე, ვითარმედ ღმერთთა შენთა არა ვეკუთნუ და ხატსა ოქროსასა (და ვეცხლისა და რუალისა და ძელისასა და ქუათასა) არა თაყუანის-ვქსცემ<sup>5</sup>, რომელთა ვერ ძალ-უძს შეწვენამ თავთა თვსთა? 5

მე უკუე, რომელი-ესე „შემკქმნა საღმრთომან სულმან“<sup>3</sup> და სამშვნულმან ყოვლისა მპყრობელისამან, მასწავა ცნობამ საღმრთოთა საიდუმლოთა, არა დავაკლდე ჰეშმარიტისაგან დამბადებელისადმი მსახურებისა და არა წარვქსწყმიდო ცნობამ იგი, რომელი მოვილე სულისაგან ღმერთმთავრისა. წარქსწყმედელ ღმერთნი მტყუარნი, კეკრბნი წარმართთანი ოქროსა და ვეცხლისანი, ქმნილნი კელთა კაცთანი. პირ ადგს და არა იტყუან, თუალ/ასხენ და არა ხედუნენ, ყურ ასხენ და არა ესმის, ცხურ ასხენ და არა იყნოსენ, კელ ასხენ და არა განიხილუნენ, ფერჯ ასხენ და არა ვლუნან, არცალა კვმობენ კორკითა მათითა. ემქსგავსნელ მათ მოქმედნი მათნი და ყოველნი, რომელნი ესუნენ მათ<sup>3</sup>. 10 15

კულად იიძულებოდავე ზორუად ეშმაკთა მრავლითა ლიქნითა და დიდებათა და პატიეთა და სიმდიდრეთა აღთქმითა მეფისაგან, მაგრა ვერ ეძლო მცირეთა მათ ღელუათა შეძრუად კლდე იგი აღამანტინისა. ზოლო მკნე იგი სულითა მიუგებდა მეფესა: „უწყებულ იყავნ შენ, მეფე, რამეთუ ღმერთთა შენთა მკულდართა არა თაყუანის-ვქსცე, რომელთა „არა არს თუალთა ხედუად საქმარება, არცა ცხურთა მოზიდუა პაერისა, არცა ყურნი სმენად და არცა თითნი კელთანი შეხებად და ფერჯნი მათნი მოკალე არიან სლუსაგან, რამეთუ კაცმან შეკქმნა იგინი და სულმან მთხოვარმან დაჰბადნა იგინი“<sup>4</sup>. ეჰა, საკურუელი ესე უგუნურება მსახურთა კელით ქმნულთამსა, რომელნი მკულდრად შექმნულთა თვსგან კმსახურებენ, რამეთუ ღმერთნი იგი თქუნენნი, რომელნიცა შეკქმნა კაცმან, შემოქმედი მოკულდავ არს და მკულდარსა საქმესა იქმს კელითა უსჯულოთა, რამეთუ თვთ უმჯობეს არს, ვიდრელა მსახურებანი თვსნი, რომელთაგანი თვთ იგი ცხოველ არს, ზოლო იგინი არაოდეს. ეჰა, რაბამ საკურუელ არს საეშმაკოცა იგი მსახურება უსიტყუთა ცხოველთა საქმარად ქმნილთა ცხოვრებისათვს კაცობრივისა, რომელ არს უღონო უგუნურება<sup>5</sup>. 20 25 30

გარნა ჩემდა ერთ არს ღმერთი მამა, რომლისაგან არს ყოვე- 35

\* დანილ 3,17. \*\* შღრ. იობ. 33,4. 3\* თსალ. 113,12-16. 4\* შღრ. სიბრძ. 15,15. 5\* შღრ. სიბრძ. 15,17-18.



- ლი, და ჩუენ მისა მიმართ და ერთ არს<sup>1</sup> უფალი იესუ ქრისტე, რომლისაგან არს ყოველი, და ჩუენ მის მიერ<sup>\*\*</sup> „და რომლისათეს არს ყოველი და რომლისაგან არს ყოველი“<sup>\*\*\*</sup>, რომე-
- 316** ლი-იგი დაადგინა (ღმერთმან მამა/მან) მკვდრად ყოველთა, რომ-
- 5** ლისაგან შექქმნა ღმერთმან საუკუნენი, რომელი-იგი არს ბრწყინულებადი დიდებისა და ხატი ყოფისა მისისა<sup>3\*</sup> სიტყუად ღმერთთაერისა მის გონებისა, „რომელი დასაბამსა იყო, და სიტყუა იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუად იგი“<sup>4\*</sup>, რომელიცა „მოავლინა ღმერთმან მქსგავსად კორციტა მათ ცოდუსათა“<sup>5\*</sup> „ძე
- 10** თესი შობილი დედაკაცისაგან“<sup>6\*</sup>, ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისა, რომელმანცა „ცოდუად იგი დაჰსაჯა კორციტა თესითა“<sup>7\*</sup>, „რამეთუ კელითწერილი იგი, რომელი იყო ანტაკრად, აღალო და შექსმჭულა ჯუარსა“<sup>8\*</sup>, „იენო კორციტა“<sup>9\*</sup> და „ჯუარს ეცუა უძღურებით, არამედ ცხოველ არს ძალითა ღმრთი-
- 15** სათა“<sup>10\*</sup>, და „მოკუდა ცოდუათა ჩუენთათეს, ვითარცა წერილ არს, და რამეთუ დაეფლა“<sup>11\*</sup> და ჯუარისა მიერ შთავიდა ჯოჯოხეთად, „რამეთუ მივიდა იგი საპყრობილესა სულთასა და ქჷდაგა“<sup>12\*</sup> თავისა მიერ თესისა კაცისა ღმერთ-ყოფა. „განეხუნეს შიშით ბჷენი სიკუდილისანი და შეკარეთა ჯოჯოხეთისათა იხილეს და შეძრწუნ-
- 20** დეს“<sup>13\*</sup>. ხოლო „აღჰსდგა (საფლავით) მესამესა დღესა, ვითარცა წერილ არს“<sup>14\*</sup>, და „ამაღლდა ზეცად და დაჰსჯდა მარჯუენით ღმრთისა“<sup>15\*</sup> „და დაემორჩილნეს მას ანგელოსნი, კელმწიფებანი და ძალნი“<sup>16\*</sup>. და „ვითარ-იგი ამაღლდა ზეცად, აგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეს (მოციქულთა) აღმავალი ზეცად“<sup>17\*</sup>.
- 25** ჩემდა ერთ არს სარწმუნოებად, რომელიცა მპრწამს მხოლოდსადმი ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა ყოვლად წმიდისა, ერთისა ნათლისა სამთა გუამთა მიმართ განუკუეთელად განფენილისა და კორციელთა მიმართ საცხოვრებელთა განგებულებათა უფლისა
- 35** ჩუენისა იესუ ქრისტესთა; ერთ არს ნათლისღებად, რომლითა „ნათელს-მიღებიეს სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმი-

<sup>1</sup> არს—A.

\* 1 კორ. 8,6. \*\* ებრ. 2,10. 3\* ებრ. 1,2. 4\* შდრ. იოან. 1,1. 5\* პრომ. 8,3. 6\* ვალატ. 4,4. 7\* პრომ. 8,3. 8\* შდრ. კოლას. 2,14. 9\* 1 პეტრ. 4,1. 10\* 2 კორ. 13,4. 11\* 1 კორ. 15,3-4. 12\* 1 პეტრ. 3,19. 13\* შდრ. იოან. 38,17. 14\* 1 კორ. 15,4. 15\* მარკ. 16,19. 16\* 1 პეტრ. 3,22. 17\* საქმე 1,11.

დისათა<sup>\*\*</sup>. ერთ არს ეკკლესია კათოლიკე სამოციქულომ შეკრებულ-  
 ლი პატიოსნითა /სისხლითა ქრისტეს ღმრთისათა; ერთ არს ცხოვ-  
 რებამ საუკუნო, დიდებამ ზეცისა, რომელსა მოველი; კუალად ერთ  
 არს მსჯავრცა საღმრთომ, რომელი მიიღონ ღირსთა მიგები-  
 სათა.

5

ჩემდა არად საკმარ არს დიდებამ იგი და პატივი, რომელსა  
 აღმითქუამ და არარად შემირაცხიეს ტანჯუანი, რომელთა მიქადებ,  
 რამეთუ „მოველი ნეტარსა მას სასოებასა და გამოჩინებასა დიდ-  
 ბისა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს-  
 სა“<sup>\*\*\*</sup>. ხოლო ტანჯუანი შენ მიერ მოგონებულნი დაჰსცხრეს დრო- 10  
 სა განკუეთისა ქუემდებარისასა სულად და კორცად, გარნა ტან-  
 ჯუანი შურისძიებისა ღმრთისანი არა დაჰსცხრეს, რამეთუ „საჰს-  
 ჯელი იგი, რომელთა მიეჰადოს, მომსრუელი (არს) საუკუნო პი-  
 რისაგან უფლისა და დიდებისაგან ძლიერებისა მისისა“<sup>3\*</sup>, რა-  
 მეთუ „არს მოსლუად დღე უფლისა შემწუელი, ვითარცა თორნე, 15  
 საუკუნოდ აღსაგზებელად, ვითარცა ლელწამთა“<sup>4\*</sup>, ყოველთა მო-  
 ქმელთა უჰსჯულოებისათა და სხუა ნათესაეთა. დაუტევე ამაო  
 ეგე უგუნურებამ, მეფეო, და მომცემელი შენდა გულისკმის-ყოფისა  
 იცან მხოლოდ ღმერთი, რომელმანცა შეგქმნა ზატად თვისსა და  
 რომელიცა ერთითა სიტყუთა „შეჰსძრავს ცასა, ქუეყანასა, ზღუასა 20  
 და ქმელსა“<sup>5\*</sup>. და ესრეთ დააცხრო წმიდამან სიტყუამ თვისი.

განაკრუა სული ნაბუქოდონასორებრი ტირდატისი კანდიერე-  
 ბამან გრიგორისმან „და აღივსო გულისწყრომითა და შესახე-  
 დავი პირისა მისისა იცუალა“<sup>6\*</sup> და რომელსა უყოფდა პატივისა  
 ღირსებრ შესაბამსა და სიყუარულით მისდა მიჰსდრეჟ/ბოდა წყა- 25 317  
 ლობად, ჰსცუალა ესე უდიდეს ძვრის-ყოფად, ვინამცა ჰბრძანა  
 მწედართად შეპყრობად გრიგორი და შეკრუად ქელნი მისნი და  
 სიმძიმეა მარულთა აღკიდებად ბეჭთა ზედა და სიმადლესა მოკი-  
 დებად და გულამ აღუსებად ლუელფითა და შთამოცმად თავსა და  
 მოკრუად ქელსა ზედა, რომელიცა მოწამემან დამოკიდებამ ესეგუა- 30  
 რი დაითმინა შუდ დღე.

მხილუელი მეფე მოწამისა განუკუეთელისა სიმტკიცისა სხუსა  
 ღონისა ქმნად იძიულა აღმბორგებელისაგან მისისა ეშმაკისა, რამე-  
 თუ მიიქცა სხუსადმი ღონისა, რათა შეარყიოსმცა დიდი იგი გო-  
 დოლი ღმრთისმსახურებისა: ჰბრძანა გარდამოცნანად და ერთითა 35  
 ფერჯითა დამოკიდებად და ქუეშე მისსა აღკუამლუად სკორენი,

\* შტრ. მატ. 28,19. \*\* ტიტე 2,13. 3\* შტრ. 1 თესალ. 1,9. 4\* შტრ. მალაქ.  
 4,1. 5\* ანჯია 2,7. 6\* დანიელ 3,19.

რომლითა განცდილი მოწამე ქრისტესი კმადლობდა ღუაწლის-  
დამღებელისად, რამეთუ სახელისათუს მისისა ღირს იქმნა იგი  
ენებად.

ესრეთ სიმძიმემან მარილთამან მარილი სოფლისა განჰსცადა,  
5 დაღათუ მაგრა მიემადლა მას კორცთა მათ უსულოთა დამარილე-  
ბად და გონიერ არსებად, რათა იცუალნესმცა მშუნვერნი კორცნი.  
ხოლო სიმადლედ დამოკიდებამან აღამაღლა ჯუარსა თანა უფლი-  
სასა ზიარებად მის თანა, „რომლისა მთავრობა მის ზედა მქართა  
მისთა“<sup>30</sup> „ჯუარსა თანა ამალღების“<sup>31</sup>; ხოლო სიმყრალითა ვენ-  
10 ბამან მიჰსცა ზიარებად ნელსაცხებელისა მის, რომლისა „ნელსა-  
ცხებელ წარმოცალიერებულ სახელი მისი“<sup>32</sup>.

მესამისადმი ვნებისა ჰსდრკების დათმენად გა/ჩინებულისად-  
მი მისთუს მიუდრკველი იგი გონებად, ხოლო აქა მესამესა შინა  
ვნებასა იგუემების კუერთხებითა უწყალოდ მოწამე ქრისტესი,  
15 გარნა არა ეკმაფის ესე. ვიციით ღმრთისმოყუარისაგან გონებისა მი-  
სისა.

მეოთხისა ვნებისად იყუანებს სული ახოვანი მცნესა მღვძა-  
რესა, რამეთუ ჰსრბის კანკლედად ვნებათა მიმართ, რათა აღვიდეს  
მუნ, სადა-იგი ჰსურის და ძლევისმოყუარე მძლე „ეჩუენოს პირსა  
20 ღმრთისასა“<sup>33</sup>. ხოლო არს ვნებად ესე მეოთხე სხუათა შუდთა  
დღეთა შინა დათმენად დამოკიდებისა.

მ, უღმრთონო, არარაამე ჰგაფა გრიგორის შუდ დღე დამოკი-  
დებამ სატრფიალომასათუს თუსისა, რამეთუ „შუდნი სულნი საღმრ-  
თონი“<sup>34</sup> მოუგეის თუს შორის მკვდრად და უზადომსა მისთუს  
25 შუენიერისა და ნამდულ სატრფიალომასადმი ტრფიალებისა ვმეულ-  
ჰყოფს. თქუენ დაღათუ განამრავლებთ ტანჯუათა მძნუარებასა,  
მაგრა ვერ აგრძნობს ვნებად<sup>35</sup> ეგე, „რამეთუ არს მის შორის წყალი  
ცხოველი და ჰხადის მას შინაგნით, ვითარმედ: მოვედ მამისა მი-  
მართ“<sup>36</sup>. ხოლო თუთ ძლევისმოყუარე ჰკმობს ძლევისათუს თქუენ-  
30 დამი ძლეულთა ვამაღლადრე: „ჩუენ თანა ღმერთი, ჰსცანთ წარ-  
მართთა და იძლიენით თქუენ, ისმინეთ ვიღრე დასასრულადმდე  
ქუეყანისა და განძლიერებულნი იძლიენით, რამეთუ უკეთუ კუა-  
ლად განჰსძლიერდეთ, კუალად იძლიენით“<sup>37</sup>.

მეხუთედ ვნებად მოწამისა ჰბრძნობს ბოროტად ტირდატ, რა-

<sup>1</sup> ვნებადი B.

<sup>30</sup> შტრ. ისაია 9,6. <sup>31</sup> [გრიგორი] ღმრთისმეტყუელისა ქრისტეს შობხსათუს.  
<sup>32</sup> ქება. 1,2. <sup>33</sup> ფსალ. 41,2. <sup>34</sup> შტრ. ისაია 11,2. <sup>35</sup> ევნატი ღმერთშემოსილისა.  
<sup>36</sup> ისაია 8,9.

თა შეარყიოსმცა სიმტკიცისაგან კლდე ადამანტინისა, რამეთუ გრგოლთა რკინისათა პბრძანებს აღმოცმად მუკლთა მოწამისათა და მანათა /მიერ ზრქელთა განსოლუად. ხოლო ორ ღღე დამოკი- 318  
ღებული ამით უკუე იენებს ქრისტეს მოწამე.

უსაშინელესი აქუსყე შენდაში ვნებად მეექუსეა, ქრისტეს მო- 5  
წამეო, უღმრთოთა. ილოცე, რათა არა შეხვდე განსაცდელსა. ხო-  
ლო იგი იტყვს: „მე ვილოცეო მამისად სახელითა ძისათა და მო-  
ვიდე აღსრულებად თხოვილისა, რამეთუ ესრეთ აღგვიტქუა სიტ-  
ყუამან ჭეშმარიტმან: „რამცა-იგი მსთხოოთ მამასა სახელითა ჩე-  
მითა“\*, მოგცეს თქუენ. ხოლო ესე უკუე არს თხოვად ჩემი სა- 10  
ხელითა ძისათა მამისად და ამისთვის „ვილუქე და ვილოცე, რათა  
არა შევიდე განსაცდელსა, ხოლო ვინადაცა გულსმოდგინებამან  
სულმან მოილო ესეგუარი აღსრულებად, რამეთუ არღა შევალ მე  
განსაცდელსა“\*\*, რაოდენცა მეკუეთოს დიდროა, რამეთუ მე  
სარწმუნოებად ქრისტეს ჩემისა შიშართ აღუაშენე კლდესა ზედა. 15  
ხოლო კლდესა მას უკუე ვიტყვ, რომელი დაძსდუა უფალმან „ლო-  
დი ფრიად პატიოსანი პრჩეული თაე-საკიდურთა საფუძქველად  
სიონისა, რომელსა პრწმენეს იგი, არასადა პრცხუნენს“<sup>3\*</sup> და  
„რომელიცა დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიშესროს და, რომელსა  
ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი“<sup>4\*</sup>. მოუგოთ მოწამესა: „აჰა, ღუაწ- 20  
ლისა მძლეო, ტყუა განდნობილი მდულარე შთაძსმად ზურგით  
კერძო ნაწლეეთა შენთა. მოგვიგებს: „გრწმენინ, კეთილმსახურნო,  
რამეთუ შეიციუალოს სარწმუნოებისაგან ჩემისა ბუნებად წყლისა  
არსებად ეგე მტკიცე და ფიცხელი და სიმქურუალე ეგე მწარე  
მფოფინარე სიგრილედ“. 25

აჰა, ვნებად ესე თქმული მოწამისად ძლეული და ცუდად წარ-  
ვლომილი მშრომელთათუხს უღმრთოთა.

/განაკურუა სიმწნისა მიერ და ყოელად უძღვეელისა სიმ- 3  
ტკიცისა ახოვანმან მან გულსმოდგინემან სულმან ბარბაროსნი და  
აღაბორგა და განაძუნა ეშმაკმანმ ვეფ იგი უღმრთოო, რამეთუ ბრძა- 30  
ნებასა მისსა ესოდენ ტანჯუათა დათმენითა წინა-აღლდგა და  
კერძთა მისთა არა თაყუანისცა. გარნა მოწამე ჭეშმარიტებისა პგა-  
ლობდა მადლობით: „წინასწარ ვპხედდედ უფალსა, წინაშე ჩემსა  
მარადის, რამეთუ მარჯულ ჩემსა არს, რათა არა შევიძრა. ამისთვის  
განიხარა გულმან ჩემმან და პგალობდა ენად ჩემი, უფროსლა და 35  
კორცთა ჩემთა დაიმკვდრონ სასოებით“<sup>5\*</sup>.

მეფისა უკუე გონებად მძნუარე იგონებს სხუადასხუათა ვნე-

\* იოან. 15,16. \*\* შდრ. მარკ. 14,38. 3\* შდრ. ისაია 28,16. 4\* მატთ. 21,44.  
5\* ფსალ. 15,7-8.

ბათა შემასწორები, რათა, რომელიცა უსასტიკეს არს ვნებაჲ, ივნოს მით წინააღმდეგომან, ხოლო მრავალთა შორის წარმოდგომითა კპოევებს უდაუმენელესსა მწარესა სატანჯუელსა, რამეთუ არარატიცა კერძოთა მოიპოვებოდა მღვმეჲ შთაღრმავებით სავესე  
5 წყუდიადითა, რომელსა შინა გუელნი საშინელნი და ჭიანი გესლიანნი და მას შინა კბრძანა შიშუელი შთაგდებად გრიგორი.

მაშინ აღასრულებდეს რა ბრძანებულსა უღმრთოთა მებფისასა, უწყებულ ჰყო ვინმე ტირდატ, ვითარმედ არს კაცი ესე ძე ანაკ პართისა, რომელმანცა მოკლა დიდი იგი მეთე ხოსროჲ, მამაჲ მეფო-  
10 ბისა შენისა. ვინაჲცა განჩინებამან მეფობრივმან გრიგორი შთააგლო მღვმედ და განგრძელდა შეწყუდევაჲ იგი სიკუდილშემოსილი ათხუთმეტმედ წელიწად.

ეჲ, საკრუელი საკრუელებითა განგებული შეწეენითა საღ-  
319 მრთოთა, რამეთუ კორცნი უძღურნი/ და განკრწნადნი ტყუათა ნა-  
15 წლევთად განვლასა შინა ცხოვლობენ და უკურჩომანი ტკივილთანი კორცთა სხუადასხუათა ახალთა ვნებათა მიღებად განამტკიცებენ. სული დაღათუ გულსმოდგინე, მაგრა მწარეთა ტკივილთაგან ზედა-  
დაჯდომილი, უჩუევი მოძრავობაჲ სისხლისა, რომელი ტუნად მი-  
იწივის და ვნებასა ცუალებითსა ჰყოფს სულსა შინა ღროსა მას  
20 ტკივილთასა უჩუევითა მით მოძრავობითა სისხლისათა, შეუძრულ ეგების მოძრავობისაგან ცუალუად რამედ.

მაშინ ეტყოდა თავსა თვსსა მოწამე ქრისტესი: „ნუ სულმოკ-  
ლე იქმნები (შ, გრიგორი) სწავლასა უფლისასა, რამეთუ, რომელიცა უყუარს უფალსა, ჰსწავლის და ჰსტანჯის ყოველი შული, რო-  
25 მელი შეიწყნაროს“\*, „ყოველი უკუე სწავლაჲ მეყუსეულად არა არს სიხარულ, არამედ მწუხარებაჲ, ხოლო უკანასკნელ ნაყოფი მშუდობისა მის მიერ წურთილთა მათ მოაგის სიმართლემ. ამისთვის დაშთომილნი კელნი (ჩემნი) და დაქსნილნი მუკლნი აღმართენით და ალაგნი მართლ ჰყუენით ფერკთა ჩემთანი, რათა არა (შრომისა  
30 ძლით მრავლისა რეცა) მკელობელი იგი დაეცუს, არამედ უფროს-  
ლა განიკურნოს“\*\*.

„შთაიგლო ოდესმე მღვმესა შინა დანიილ ბაბილონელთა ბარ-  
ბაროსთაგან შორის მკეცთა მომყმართა და დაითმინა შუდ ღღე“<sup>3\*</sup>,  
„რომელიცა გამოიზარდა წინასწარმეტყუელისა მიერ საკრუელე-  
35 ბით“<sup>4\*</sup>. გარნა უსაკრუელესსა ჰყოფს იგი მოგონებასავე მხო-  
ლომ გონებაჲ გარეშეუწერელი, რამეთუ მღვმესა შინა არარატი-

\* ზღრ. იგვ. 3,11-12. \*\* ებრ. 12,11-13. 3\* ზღრ. დანიილ. 14,30. 4\* ზღრ. დანიილ 14,38.

სასა შთაიგდების რა გრიგორი სასომხეთოა/სა ბარბაროსთაგან შორის ასპიტთა და იქედნეთა, დაითმენს ათხუთმეტმლე წელიწად, გამოზრდილი ქურივისა ვისმე მიერ დედაკაცისა.

ეპა, ძლევისმოყუარებისა ამის სიმაღლე, მ, ძლევის-მოდებისა ამის სიღრმე, რამეთუ კაცი სიგრძისა, სივრცისა და სიზრქისა შექონი, რომელსა შეუღდების საჭიროდ სიმძიმე და ჰყოფს მოძრავობასა შთაღმართსა მიქცევითა კენტრომსადმი და აქუს დინებისა და ხრწნისა ქუემდებარებად ესე, დიდსულობს ესრეთ კორცთა ზედა, რამეთუ მკეცთა გესლიანნი ენანი და კუნდი, სიცხენი და სიკმელენი ზაფხულისა და სიგრილენი და ნოტიობანი ზამთრისა და უსართულობითა მღუმისათა რაოდენნი შემთხუევად იყუნეს ჭირნი, ხოლო წყუღიადითა ზრქელითა დაფარულება იგი მღუმისა, რომლისა უსართულობამან ვერ განაკუეთა სიღრმისა ძლით, ყოველნი ესე დაითმინებთან გულსმოდგინებისაგან სულისა.

ამისთვის მეცა დაეამტყიკო სოლომონის თანა: „მტყიკე არს, ვითარცა სიკუდილი, სიყუარული“<sup>1</sup>. გულსმოდგინებამ ესე არს სულისა ტრფიალისა, რომლისადმი ქუემდებარისა მის თვისისა იტყოდა ნამდვლ სატრფიალოდ იგი არსებით სიყუარული. „დამჰს-ლუეს მე, ვითარცა საბეჭდავი, გულსა ზედა შენსა, ვითარცა საბეჭდავი მკლავსა ზედა შენსა“<sup>2</sup>.

მაშინ გრიგორის ზედა „დღე ჭირისა და საღმობისა, დღე საარებისა და უჩინოქმნისა, დღე აღმურისა და ბნელისა, დღე ღრუბლისა და ნისლისა“<sup>3</sup>, ვინაცა იტყოდა ყოველისაგან კაცობრივისა შეწევნისა უღონო: „გარემომა/დგეს მე საღმობანი სიკუდილისანი და ჭირთა ჯოჯოხეთისათა მპოვეს<sup>2</sup> მე“<sup>4</sup>. „საღმობათა ჯოჯოხეთისათა მომიცუეს მე და მომეწიფნეს მე მახენი სიკუდილისანი“<sup>5</sup>. „აწ სადამე არცა მე ვერიდო პირითა ჩემითა და ვიტყოდე, რამეთუ ურუასა შინა ვარ, აღუალო სიმწარითა სულისა ჩემისათა“<sup>6</sup> პირი ჩემი, განაღა „უფალი არს მწე ჩემდა. არა შემეშინოს მე, რამ მიყოს მე კაცმან, უფალი არს მწე ჩემდა და მე ვიხილნე მტერნი ჩემნი“<sup>7</sup>. „ყოველი თესლები გარემომადგა მე და სახელითა უფლისათა ვერეოდი მათ“<sup>8</sup>. „მომადგეს მე, ვითარცა ფუტყარნი გოლსა და აღეტყინნეს, ვითარცა ცეცხ-

1 საბეჭდავ A. 2 მპოვეს B.

\* შღრ. კება 8,6. \*\* კება 8,6. 3° სოფონ. 1,15. 4° ფსალ. 114,3. 5° ფსალ. 117,5. 6° შღრ. იობ. 7,11. 7° ფსალ. 117,6-7. 8° ფსალ. 117,10.

ლი ეკალთა, და სახელითა უფლისათა ვერეოდი მათ. მივკს-  
 დერკ ჭენებით დაცემად და უფალმან კელი აღმიპყრა მე. ძალი ჩე-  
 მი და გალობა ჩემი — უფალი და მეყო მე იგი მაცხოვარ“\* მით,  
 რომელმან „მან მწყლნა, და განმკურნნეს ჩუენ და მცნეს და მილ-  
 5 ბუნოს ჩუენ“\*\*. „ნუ იხარებნ ჩემ ზედა მტერი ჩემი, რამეთუ და-  
 ვეცი (ქორციითა განსაცდელთა მიერ) და აღუსდგე მით, რამეთუ  
 ვიდოდი თუ ბნელსა (ჭირთასა მისთვის სოფელსა ამას შინა), უფა-  
 ლი ნათელ ჩემდა“3\*. ნუ მწუხარე ხარ, სულო, დაითმინე მისთვის,  
 რომელი აღვითქუამს ნუგეშინს-ცემასა გარეშეუწერელსა მეტ-  
 10 ყუელი: „თქუნ აწ ჭირი გაქუნნ და მე მერმე კულად გიხილნე  
 თქუნ და უხაროდეს გულთა თქუნთა და სიხარული თქუენი არა-  
 ეინ მიგილოს თქუენგან“4\*. ხოლო სიხარულსა, რომელსა აღ-  
 მითქუამს, არა ნაკლსა რამმესა და კერძოსა, რამეთუ ესრეთ იტყვს  
 მამისა მიმართ: „ამას ვიტყუო სოფელსა შინა, რათა აქუნდეს მათ  
 15 სიხარული ჩემი საესებით“5\*. და ამისთვის არს სიხარული იგი,  
 რომელსა აღვთქუამს, გარეშეუწერელ.

▼ ესე არს ლუაწლი დიდისა გრიგორისი, ესე / ნაყოფი სი-  
 ყუარულისა მისისა, რომელი აქუნდა ღმრთისა მიმართ. ესე არს  
 მიზეზი კანდიერებისა მისისა, რომელი მოიგო წინაშე ღმრთისა.  
 20 ესრეთ საკრუელ იქმნა ღმერთი გრიგორის შორის, „რომელი საკრ-  
 რუელ არს შორის წმიდათა თვისთა“6\*.

ყოვლად ამათსა მიზეზმან უკუე რომელმანმე გუნდი ქალწულ-  
 თა მოწესეთა, სძალთა ქრისტესთა, დასავალით სამეფოსა შინა,  
 ქალაქსა სომეხთასა განაბრწყინუა ქრისტეს სძლობითითა შუენიე-  
 25 რებითა, რომელთაგანი არს რიფსიმა სახელით, უაზნაურესი მათ  
 შორის ბრწყინუალებითა ნათესავობითისა გუარზეობისათა და  
 შუენიერებითა შინაგანითა სულისათა, ეგსახედ მორფნაკუეთობი-  
 თაცა შუენიერი ყრმა მიმადლებული, ჭაბუკა სძლობითა სიძისა  
 თვისისა უკუდავისათა საქები ანგელოსთაგან.

30 ყუანებულმან სხუადასხუადმი სიბოროტედ ეშმაკთაგან ტირ-  
 ღატ, უწყებულმან რიფსიმას შუენიერებისამან, აღაბორგა სული  
 ტრფიალებითა მის ქალისათა და შეგინებად სძლისა ქრისტესისა  
 იიძულა გულისთქმისაგან არაწმიდისა, მონაქმნილი ბილწთა და შე-  
 რვენილთა გამოხატუათა, ვინაჲცა ქალწული მოყუანებად კბრძანა

\* ფსალ. 117,12-14. \*\* ოსე. 6,2. 3\* მიქეა 7,8. 4\* იოან. 16,22. 5\* იოან. 17,14.  
 6\* შლრ. ფსალ. 67,34.

მძლავრებით საწოლად უსჯულოდ, რომელიცა აღასრულეს მიმ-  
ლებელთა ბრძანებისათა უღმრთოდ ბრძანებაჲ მეფისა მათისა.

მხილულემან გაიანა ქალწულმან ეზომასაგან სიჭაბუკისა მო-  
ხუცებულობისად განსრულმან /და სხუადასხუათა სათნოებითა კე- 321  
თილოგონიერ შემამკობელმან ქალწულებსამან, ეკგონებ, ვითარ- 5  
მედ მზრდელმან წმიდისა რიფსიმასმან, იხილა რა ქალი განტაცნი-  
ლი სასძლოდთ ქრისტესით მტერთაგან ქრისტესთა, შებმა უყო  
მუკლთა მოხუცებითითა სიძუელითა უსუსურთა და სრბით ჭაბუ-  
კასა თანა წარვიდა პალატად მეფისა და მის თანა შევიდა, სადა-იგი  
შესრულსა ზრდილსა თჳსსა ეტყოდა: „მ, შუენიერო ჩემდა სძალო 10  
ქრისტესო, სიწმიდისა შეუგინებელად დაცუთა ახარე სიძესა შენსა,  
რომლისად აღთქმის გამო დაგიწინდებიეს ქალწულებაჲ შენი. დაი-  
ცევე ქალწულებისა შენისა შუენიერება, „რომლისა სიკეთე სისპე-  
ტაკისა განაკურუებს თუალთა“\* სულისა ნეტარისათა, რომელი მო-  
გემადლა სიძისაგან სულითა წმიდითა. მოიქსენე, შულო, სოფლისა 15  
არა დადგრომაჲ, რამეთუ არავინ არს, რომელმანცა მოიგო მკედრო-  
ბაჲ სოფელსა შინა საუკუნოდ და უხრწნელად, რამეთუ „ყოველი  
ქორცი თივა არს და ყოველი დიდებაჲ! კაცისა, ვითარცა ყუავილი  
თივისა, დამოსცევა“\*\* რამეთუ ყოველნი ქმნილნი, „ვითარცა სა-  
მოსელნი, დასძუელდენ“<sup>3</sup>, გარნა სიძე შენი, რომლისად მიგი- 20  
ციეს ქალწულებაჲ შენი, „იგივე არს და წელიწადთა მისთა არა  
მოაკლდეს“<sup>4</sup>. ნუ პრიდებ სიჭაბუკესა შენსა შუენიერსა ქრის-  
ტესთჳს მიცემად სიკუდილ, რომელი მატლთაგან განსალევენელ  
არს. შებმა უყავ გუელსა და „ნუ გეშინის შენ გუელისა მისგან,  
რამეთუ ზეცით გარდამოვარდა იგი, ვერღა გამოგიყუანოს სამოთ- 25  
ხით“<sup>5</sup>. ჰსძლე ჭურვილმან, „კეთილო ჩემო, ტრედო ჩემო“<sup>6</sup>, ჭუ-  
რითა სარწმუნოებისათა გუელსა, რამეთუ აღგითქუამს /სიძეჲ შე-  
ნი: „რომელმან ჰსძლოს, მივჰსცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხოვ-  
რებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღმრთისასა“<sup>7</sup>. ესეგუა-  
რითა უკუე სიტყუებითა განამტკიცებდა წმიდა იგი მოხუცებულად 30  
მზრდელი თჳსი წმიდასა სულსა ჭაბუკამასასა და თანად ლოცუთა  
ჰსჭურვიდა და სამორკინალომასად ასპარეზისა ძლევისმოყუარესა  
მას განჰმზადებდა.

შევიდა ბრძოლად „მთაერობათა მიმართ და კელმწიფებათა

1 დიდება A.

\* შღრ. ზირაქ. 43,20. \*\* შღრ. ისაია 40,6. 3\* ფსალ. 101,26. 4\* შღრ. ფსალ. 101,27. 5\* კირილე იეროსალიმელისა. 6\* კება 2,10. 7\* აპოკლ. 2,7.



სოფლისმპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთო მსათა სულ-  
 თა მიმართ უკეთურებისათა<sup>5</sup> რიფსიმა სძალი ქრისტესი ჭურ-  
 ვილი ლოცთა მრთელცნობიერისა სანატრელისა მზრდელისათა,  
 შუენიერი ქალწულებითა, „ვითარცა ვარსკულაევი განთიადისა  
 5 ნისლსა შინა“<sup>6</sup>, ყოველთა სათნობათა მომგრგუალებელი თვს  
 შორის, „ვითარცა რა მთოვარე, სავსე დღეთა შინა მისთა“<sup>7</sup>,  
 მცხინუარე ტრფიალებითა სიძისათა და „მით შეწუენილითა სარ-  
 წმუნობითა“<sup>8</sup>, „ვითარცა მზე აღმონაბრწყინი“<sup>9</sup> უშუენიერესი  
 სასობითა და უვნებელობითა და მით განმანათლები სულისა, ვი-  
 10 თარცა რა მშვლდი გაშარავანდედებული ნისლსა შორის დიდები-  
 სასა“<sup>10</sup>; რიფსიმა მმარხუელობასა შინა კეთილ-საჭურეტი, „ვითარ-  
 ცა ყუაივილი ვარდისა დღესა შინა არისასა“<sup>11</sup>, უსპეტაკესი კრძა-  
 ლულებასა შინა „ვითარცა შროშანი მყოფი თანაწარსადინელსა  
 წყალთასა“<sup>12</sup>, ხოლო მემხოლოებასა შინა სუნნელქმნილი, „ვითარცა  
 15 საკუმეველი მრავალსუნნელოვანი დღეთა შინა ზაფხულისათა“<sup>13</sup>;  
 რიფსიმა, სძალი და ასული მეუფისა დიდისა, „რომლისა დიდება  
 შინაგან, ფესუედითა ოქროვანითა შემკულ და შემოსილ პირად-  
 პირადად“<sup>14</sup>, ჰგალობდა დამთრული ტრფიალებითა სიძისა  
 322 მი/მართ დროსა შინა მტერთა ბრძოლისასა. „სუნნელებამ ნელ-  
 20 საცხებელთა შენთა უფროს ყოველთა სუნნელებათა ნელსაცხე-  
 ბელ წარმოცალიერებულ სახელი შენი, ამისათუსცა ქალწულთა შე-  
 გიყუარეს და მიგიზიდეს შენ. შემდგომად შენსა სუნნელებასა ნელ-  
 საცხებელთა შენთასა ვპრბიოდეთ“<sup>15</sup>. „მიჩუენე მე პირი შენი და  
 მასმინე მე კვამი შენი, რამეთუ ტებილ არს კვამი შენი და პირი შენი  
 25 შუენიერ“<sup>16</sup>.

ტირდატ, მხილუელი ქალისა შუენიერისა, იძლია ტრფიალები-  
 საგან და მძლავრ მაიძულები ცოდუსა იძლია მდედრისაგან ძალითა,  
 მოკლებული ყოვლისაგან ძალითა თვისისა, რომლითაცა მძლავრ  
 30 პპრძოდდა სძალსა ქრისტესსა. ხოლო ქალწული მძლე ჭაბუკისა მამ-  
 რისა და გოლიათისაცა ძალითა და ასაკითა, რამეთუ ესრეთ მოპ-  
 მზრახობენ ტირდატისათუს, უკმოიქცა მზრდელისადმი თვისისა და  
 ეტყოდა: „ცხრველ არს უფალი ღმერთი, რომელმან დამიცუა მე  
 ანგელოსისა თვისისა მიერ“<sup>17</sup>, წარმავლინა მე და დამიფარა მუნ  
 და მომაქცია აქავე და არა მოუშევა უფალმან შებილწებად მკვე-  
 35 ლისა თვისისა და უცოდუელად ვლალადებ ძლევისა ზედა და განრი-

\* ეფეს. 6.12. \*\* შდრ. ზირაქ. 50.6. 3° ზირაქ. 50.6. 4° ვალატ. 5.6. 5° შდრ. ზირაქ. 50.7. 6° შდრ. ზირაქ. 50.7. 7° შდრ. ზირაქ. 50.8. 8° ზირაქ. 50.8. 9° შდრ. ზირაქ. 50.9. 10° შდრ. ფსალ. 44.13. 11° ქება 1,2. 12° ქება 2,14. 13° შდრ. იულით. 13,20.

ნებასა ჩემსა: „ვაქებდეთ ღმერთსა, რომელმან არა განაშორა წყა-  
ლობად თუნი სახლისაგან ისრაილისა, არამედ მოჰსრნა მტერი  
ჩუენნი კელითა ჩემითა“<sup>1</sup>. ხოლო ორნივე თანად კგალობდეს  
მადლობით განმადლიერებელისადმი ქალისა გოლიათსა ზედა, თა-  
ყუანისცემდეს ღმერთსა და იტყოდეს: „კურთხულ ხარ შენ, უფა- 5  
ლო ღმერთო მამათა ჩუენთაო, რომელმან შეურაცხ-ჰყუენ დღეინ-  
დელსა ამას დღესა მტერი ერისა შენისა კელითა ქალისათა“<sup>2</sup>.

მტერი ძლეული სძლისაგან ქრისტესისა და მგელი დაცემული  
ტარიგისაგან. იტყვს მეტაფრასი: „დაიქნაო კაცობრივისაგან ძა-  
ლისა და ვითარცა მკუდარი /შეირაცხა და უკანასკნელ (ესე იგი შემ- 10  
დგომად მოკლესა ქრისტესთვის წმიდათა მათ ქალწულთა) შთავარ-  
და ურუასა შინა და სულმოკლებასა და ბოროტისაგან ეშმაკისა  
უფლებული ცნობამიღებულ იქმნა და განძნებული ჯორცთა თუსთა  
მოიკამდა და სახედ პირუტყუთა შეიცუალა და უყისა მწურისა ად- 15  
გილთა ღორთა თანა იქცეოდა!“. ხოლო სხუათაცა მრავალთა მსახურ-  
თა და მთავართა დაეკუეთა ესრეთვე, რამეთუ უსიტყუადრე იცუ-  
ალნეს და შვეცთა თანა ჰსცხოვრებდეს“<sup>3</sup>.

ამისთვისე იტყვს მოძღუარი ყოვლისა სოფლისა, ოქრო-სახე-  
ლი-პირი: „დაჰსჯილ იქმნაო მაჭირუებელი პატიჟითა სპითურთ  
თუსით უსასტიკესითა გუემულეებითა, ვითარმედ ბუნებისაგან კა- 20  
ცობრივისა იცუალა სახედ ღორისა“<sup>4</sup>.

ესე უკუე პატიჟი, რომელი მიჰჰადა ღმერთმან მტერთა თუსთა,  
უსასტიკეს არს პატიჟისა მისგან ხალდეურისა, რამეთუ ვითარცა  
ოდესმე მეფე სირთა და ხალდეელთა ნაბუქოდონოსორ, აღდგომი- 25  
ლი სიწმიდესა ზედა შეუენიერსა ღმრთისასა, „განიდევნა კაცთაგან  
და თივასა, ვითარცა ზროხა, ჰსჭამდა და ცუარმან ცისამან შეჰლება  
სხეული მისი და თმანი მისნი, ვითარცა ლომთანი, განდიდნეს და  
ფრჩხილნი მისნი, ვითარცა მფრინუელთანი“<sup>5</sup>, ესთაეე მეფისად-  
ცა ტირდატისა იქმნა, რომელი აღჰსდგა შეუენიერებასა ზედა სი- 30  
წმიდისა სძალთა ქრისტესთასა, რომელიცა ღმრთისა მიერ მეფო-  
ბითსა შინა „პატიჟსა იყო და არა გულისხმა-ჰყო, ჰბაძდა იგი პი-  
რუტყუთა უგუნურთა, (ვინა) მიემჰსგავსა მათ“<sup>6</sup>.

მხილუელთა მეფისა თუსისა უღმრთოდათა მსა/ხურთა, ვითარ- 323  
მედ კაცობრივობისაგან ყოვლისა მოკლებულ იყო და იყო შესახე-  
დავითა და ძალმოკლებულეებითა, ვითარცა მკუდარი, და უწყებულ

<sup>1</sup> იქცეოდა B.

<sup>2</sup> შტრ. იუდიო. 13,17-18. <sup>3</sup> შტრ. იუდიო. 13,22. <sup>3</sup> პროლოგის, თთუე  
სეკლემბერი, რიცხუ 30. <sup>4</sup> ოქრობრისა. <sup>5</sup> დანიელ 4,31. <sup>6</sup> ფსალმ. 48,21

იქმნნეს, ვითარმედ ტრფიალებისა ძლით ქალისა ქრისტეანემსა და-  
ეკუეთა მას. პპოვეს რიფსიმაჲ გაიანათურთ და შემპყრობელთა წმი-  
დასა რიფსიმას მოაპეს სამოსელი და უკულმართ შემკრუელთა  
კელთათა აღმოკუეთეს ენაჲ და ნაკუერცხალთა მიერ მგზებარეთა  
5 მოქსწუნეს კორცნი და აღმოკვადნეს თუალნი, დაპსჭრნეს კორცნი  
მახულითა და მახულ ქუათა მიერ დაპსჭრნეს წელნი და ნაწლევნი  
მისნი და ესრეთ მიიყუანეს მისასრულებადმდე ცხოვრებისა.

ეგსახედ წმიდასა გაიანას და სხუათა ქალწულთა, რომელნიცა  
იყუნეს მრავალ გარემო ქედისა, დანაკითა უჭუღეს და, ვითარცა  
10 თხიერნი, განპებრნეს და წარკვადნეს ტყავნი ძუძუთამდე და ტყავ-  
განჯდილთა ზედა კორცთა აქლიბნეს ქუანი და მერმელა მახულითა  
უთავო ჰყუნეს.

ამათ წმიდათა სძალთა ქრისტესთა და მოწამეთა რიცხუსაგანი  
არს ყოვლად წმიდისა სამებისა საიდუმლოთა დამბეჭდუელი ჩუენი  
15 და სახარებისა ქრისტესისა ჩუენდა მახარებელი, ნონას უკუე  
ვიტყუ, რომელი განგებით დაიცუა ღმერთმან ვარდთა შინა შესრუ-  
ლი დათა თუსთა ზედა მოწვენილისა მისგან ჰირისა, სადამთცა იხი-  
ლა დროსა მას წმიდათა მოწამეთა ქრისტეს ენებისა ზიარებისა  
ჯილდოთა მიღებაჲ და აღსლუაჲ ზეციერსა შინა სასძლოსა. რა-  
V 20 მეთუ ესრეთ /იტყუს ძუელი მატინანე ქართუელთა, წერილი თუთ  
კახეთის დედოფლისაგან სალომემსა, რომელი იყო სძალი მეფისა  
მირიან პირველისა, თანმედროე ყოველთა ამათ თქმულთა: „ვარდ-  
თა შინა რა დამალულ იყოო წმიდაჲ ნინა, იხილნა სახითა დიაკონ-  
თათა შთამოსრულნი ზეცით, ორარითა ნათლისათა მოსილნი და  
25 ხელთა შინა მქონებულნი სასაკმევლეთანი, რომლისა კუამლისა სა-  
ხე და სუნნელებჲ დაჰფარვიდა ცათა. ხოლო კუალად იყო მათ  
თანა სიმრავლე ერთა ზეცისათა, რამეთუ მას უკუე ჟამსა განვი-  
ლოდეს კორცთაგან სულნი წმიდათა მათ მოწამეთანი, რომელნი შე-  
ერთნეს ბრწყინუალეთა მათ ზეცისა ძალთა თანა და ესრეთ ცად  
30 მიმართ აღვიდეს“\*. ესე უკუე ხილუაჲ ემპსგაუსებობს ხილუასა დი-  
დისა ანტონი ღმერთშემოსილისასა, რომელიც იხილა დროსა აბბა  
ამმონის მიცუალუებისასა: „სული აბბაჲ ამმონისი გარეშეცული  
ანგელოსთაგან და ამიდლებული ცათა შინა“\*\*.

მოკმწრახობენ, რომელ ოცდაათორმეტნი მოქსწყედეს მაშინ  
35 სახელისათუჲ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტემსა ქალწულნი დანი  
მოწესენი, ხოლო მამაკაცნი სამმეოცდაათნი.

\* მატინანე ქრთუელთასა. \*\* ათანასი აღუქსანდრიელისა ანტონი ღმერთშე-  
მოსილისა ისტორია.

განგებად საღმრთოდ იყო მაშინ განრინებამ ნონასი ამად, რომელ მოქიქონდა ჩუენდა სიტყუანი ცხოვრებისანი ზეცით მომღესა მოციქულეებისა<sup>1</sup> მადლისასა.

აღსულა ესე არს ხილული ღირსისაგან მხილუე/ლისა მოწამეთა 324  
ვემპარტებისათა სასძლოსა შინა ზეციერსა მუნ, სადა „იხარებენ 5  
(ანგელოზებრ) ქალწულნი შესაყრებელთა შორის ჭაბუკათათა და მოხუცებულნი მხიარულ არიან ერთბამად“<sup>2</sup>, რომელთასა იტყუს სული წმიდაჲ: „გარდავაქციო გლოვად მათი სიხარულად და ვკჳყუნე იგინი განმხიარულებულ და ვახარო მათ ჭუვეილისაგან მათისა“<sup>3</sup>, რამეთუ „ცხოვრებასა და უკუდავებასა და ბრწყინუალებასა სა- 10  
უკუნოსა მიანიჭებს ღმერთი, რომელთაცა დაიცუნეს მცნებანი და ეგნეს მტკიცედ სიყუარულსა ზედა მისსა“<sup>4</sup>.

იტყუს მეტაფრასი, ვითარმედ „გამოეცხადაო ხოსროდუხტს, დასა მეფისასა, ჩუენებით, ვითარმედ ვერარომლითა სახითა შე- 15  
საძლებელ არს განკურნებამ ტირდატისი, გარნა ლოცვითა გრიგო-  
რისათა“<sup>4</sup>.

ესე არს აღმოსლუად მღვმით კაცისა მის ღმრთისა, რომელიცა „შთაგდეს მღვმესა“<sup>5</sup> შინა სიკუდიდ, ვითარცა იოსები ძმათა თუსთა, ეგსახედ ესეცა ძმათა და ერთტომთა თუსთა, ვითარცა „შთა- აგდეს ღანნილი ბარბაროსთა შორის მკვეცთა“<sup>6</sup>, და ესეცა 20  
ბარბაროსთა მღვმესავე შინა შორის ასპიტთა და იქედნეთა, ვინა მართალი აღმოვალს განმართლებად ცრუთა, რათა სიმართლითა მისითა ცრუნი იქმნენ მართალ, რათა შთამგდებულნი მისნი ძმანი ბოროტნი მის მიერ გამოიზარდნენმცა იფქლითა მით სულიერითა.

ეჲა, საკრუელეებისა ამის სიმალლე, შ, შემდგომადისა საკრ- 25  
რუელეისა სიღრმე პირუელისა! ეტყუს წინაგანმგებელი ყოვლისა მონასა თუსსა საბრ/წმუნოსა შთაგდებადსა მღვმესა შინა: „შთაჲქედ, 30  
მოწამეო ჩემო, მღვმედ ბნელად, სიღრმედ საშინელად, სავესედ იქედ-  
ნებითა და ასპიტებითა და ნუ გეშინის, რამეთუ „მე შენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლოსა“<sup>7</sup>. შთაჲ-  
ქედ, მოწამეო ჩემო, სიღრმედ ქუეყანასა შორის გუელთა სახელი-  
სათუს ჩემისა, „რამეთუ მე ანგელოსთა ჩემთადა მიბრძანებიეს შენთუს დაცუად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა. კელთა მათთა ზედა აღგიღონ შენ, ნუსადა წარჰსცე ქუასა ფერკი შენი, ასპიტსა

<sup>1</sup> მოციქულეებრსა B.

<sup>2</sup> იერემია 31,13. <sup>3</sup> იერემია 31,13. <sup>4</sup> ირინეოს მოწამისა ლუვედუნის ეპისკოპოსისა, წიგნი 1, თავი 2. <sup>4</sup> პროლოგი, სეკლემბრის 30. <sup>5</sup> შესაჲქე 37,24. <sup>6</sup> შღრ. ღან. 6,16. <sup>7</sup> მატ. 28,20.

და ვასილისკოსა ზედა ხედოდე და დასთრგუნო შენ ლომი და ვე-  
შაპი<sup>\*</sup>. ხოლო აღმოსულადსა ზედა:

„აღმოვედ, მკნეო მოწამეო ჩემო, „მღვმით გლახაკობისათ და  
თიკით უყისათ<sup>\*\*</sup>, აღსდგე. „მოვედ, მახლობლო ჩემო, შუენი-  
ერო ჩემო, ტრედო ჩემო, რამეთუ აპა, ესერა (განსაცდელთა შენ-

5 ზედათა) ზამთარი წარჰკდა და წუმა დაჰსცხრა და წარვიდა გზასა  
თუსსა და ყუავილი გამოჰსჩნდა ქუეყანასა<sup>3\*</sup> ჩუენსა, ქუეყანასა  
უკუე ჩუენსა, ჩემსა და შენსა, რომელი მე აღვაგე და მოვიყიდე და  
განჰქსწმიდე პატიოსნითა სისხლითა ჩემითა და მოგვეც შენ, რათა  
„მუშაკობდე ვენაჯსა ამას ჩემსა<sup>4\*</sup>, რათა მიზდი მიიღოშცა

10 ჩემგან შესაბამი. ხოლო ყუავილნი გამოჰსჩნდეს იგინი, რომელნი მე  
დაჰკნერგენ მტილსა შინა ქუეყნიერსა და განვაშუენენ ფერთა  
მარტულობისათა და სუნითა ჩემდა ჰეშმარიტისა სარწმუნოებისა  
და ქალწულებისათა, რომელიცა კშუენის სძლობასჲ ჩემსა (რომე-  
ლა რიფსიმა და მოყუასანი მისნი).

15 აღმოვედ, მოწამეო ჰეშმარიტებისაო კეთილმოღუაწეო, „ჟა-  
მი სხლუსა მოიწია<sup>5\*</sup>, მიხედე სამოთხესა ყოფადსა, რომელი

325 განჰკმზადე მე აღსარებითა შენგან ჰეშმარიტებისათა და /სისხლი-  
თა და შრომითა შენითა, რამეთუ სამოთხესა ამას შინა არა უტევა  
მტერმან ჩემმან ფურცელნი და ყუავილნი და ნაყოფნი სარწმუნო-

20 ებისა ჩემდა ჰეშმარიტისა და საქმეთანი, არა უტევენა კმობად ია-  
ღონნი იგი სიტყუერნი. კმანი წინასწარმეტყუელთა ჩემთა და მოცი-  
ქულთანი და გურტი იგი უდაბნოსმოყუარე წინამორბედი ჩემი,  
რამეთუ მოაწია ზამთარი კერპთმსახურებისა საშინელი. აწ სადამე  
განმიმზადებიეს ცუალუად სამოთხედ ეკლითა და კუროსთავითა

25 საესე ესე ქუეყანამ და მიბრძანებიეს, რათა შენ მუშაკ იქმნე, ბრძე-  
ნი ეგე სულითა ჩემითა ხუროთმოძღუარი.

აღმოვედ, მკნეო მოწამეო, და ჰქმენ ქუეყანამ საესე ძეძუთა  
და ეკლებითა სამოთხედ და აღაყუავე სახარებითა ჩემითა ყუავილ-  
თა მიერ სათნოებათათა, ვითარ-იგი სხუათა ადგილთა შინა სამოთ-

30 ხეთა მხედავ სარწმუნოებითა და სათნოებითა აღყუავებულად, რა-  
მეთუ „მხედავ სიწმიდესა, რომელ არს ბრწყინულად იგი და სუნ-  
ნელი შრომანი, მხედავ მორცხუობისა და კრძალულებისა ვარდსა,

\* ფსალმ. 90,11-13. \*\* ზღრ. ფსალმ. 39,2. 3\* ჰება 2,10-12. 4\* ზღრ. მატ.  
20,1. 5\* ჰება 2,12.

ხედავ იასა ჩემთა ნელსაცხებელთასა\*. და რამისა ჰსდროებ, მოწა-  
მეო, და არა ჰყოფ ესრეთ ეკლოვანთა ამათ, რომელთა მოგცემ გან-  
წმედად და აღყუაგებად, რამისა ჰსდროებ „და არა შექსთხზავ  
(ჩემთს) გვრგვნსა? ესე არს დრომ იგი, რომელსა შინა ჯერ არს  
განსხულად და შეთხზუად გვრგვნთა სულიერთა და განშუენე- 5  
ბათა“\*\*.

/აღმოვედ მღვმით, კეთილსახიერო მონაო“3°. „ჴმა გურიტი- V  
სა ისმა ქუეყანასა ჩუენსა“4°. აჰა, გიწამებს ამას (მოწამეო ჩე-  
მო) ჴმა გურიტიცა, ესე იგი არს „ჴმა მლაღდებელისა უღაბნო-  
სა“5°, რამეთუ ესე არს ბრწყინუალისა არისა წინამორბედი, 10  
რომელი-იგი კეთილთა მათ სათნობისა ყუაველთა კაცთა უჩუე-  
ნებდა და, რომელთა უნდა მოსთულებად, წინა-უყოფდა.

აღმოვედ, გრიგორი, „მოიმოწაფე წარმართნი ესე. ნათელ-ეც  
მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ას-  
წავე დამარხუად, რაოდენიცა ვამცენ“6° მოციქულთა ჩემთა. მოგეც 15  
უწინარეს ამისა „ველმწიფებაი დათრგუნუად გუელთა და ღრიან-  
კელთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა“7° უვნებელად. „აწ  
მოგცემ კლიტეთა სასუფეველისა ცათასა. რაოდენიცა შეჴკრა ქუე-  
ყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა და რაოდენი განჰკვნსა ქუ-  
ეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“8°. 20

ესრეთ აღმოვიდა საღმრთოთა წოდებითა გრიგორი მღვმით  
არარატიისათ, მივიდა სამეფოდ ქალაქად ვალარშაპატად, რამეთუ  
ესე იყო სახელი სამეფომისა მის ქალაქისა სომეხთასა.

აღმოსრული მღვმით გრიგორი ჴმადლობდა ღუაწლოსდამდე-  
ბელისად და დავეითის თანა ჴგალობდა ამას: „თმენით დაუთმე 25  
უფალსა და მომხედნა მე და ისმინა ლოცუსა ჩემისა და აღმომიყუ-  
ანა მე მღვმისაგან გლაზაკობისა და თიქისაგან უყისა და დაამტკიც-  
ნა კლდესა ზედა ფერკნი ჩემნი და წარჴმართნა სლვანი ჩემნი და  
აღაესო პირი ჩემი ჴბებითა ახლითა გალობად ღმრთისა /ჩუენისა, 326  
იხილონ მრავალთა და შეეშინოს და ესვდენ უფალსა“9°. „იგინი 30  
შეჴბრკოლდეს და დაეცნეს, ზოლო ჩუენ აღუსდევით და აღვემარ-  
თენით“10°.

მაშინ ამპარტავეანი იგი მძლავრი გონებად ასურასტანული  
მოჰსრბიდა გრიგორის მიმართ, გამოსრული უსიტყუთა ველურთა-  
გან „ეშუ მალნარისა, რომელმანცა განრყუნა“11° „ვენაჴი შეყუა- 35  
რებულისა“12°, სასძლო იგი შეკრებულებად სძალთა ჴრისტესთა,

\* გრიგორი ნოსელი, ჴება ჴებათად, განმარტ. თ. \*\* მისივე წიგნისაგან და  
სიტყუა. 3° ლუკა 19,17. 4° ჴება 2,12. 5° ისაია 40,3. 6° შდრ. მატ. 28,19-20.  
7° ლუკა 10,19. 8° მატ. 16,19. 9° ფსალმ. 39,1-4. 10° ფსალმ. 19,3. 11° შდრ.  
ფსალმ. 19,14. 12° შდრ. ისაია 5,2.

- იღუსილი ეშმაკთა სიმრავლითა, რამეთუ შესაძლებელ არს თქმად, ვითარმედ: „სიმრავლე ეშმაკთა შესრული ღორთა“\* მათ ღაღარი-  
 ნულთა მრავალთა ერთსა ამას ღორქმნილსა კაცსა შორის საწყა-  
 ლობელსა შეკრებულ იყუნეს, ვინაჲცა ეშუქმნილსა მას ცოფიერ  
 5 ჰყოფდეს ბოროტნი ეშმაკნი, რამეთუ კორცთა მოიბძარვიდა კბი-  
 ლითა და საზარელ სახილაჲ იყო მხილულელთა, რამეთუ, ოდესმე  
 მეფე მექონი შარავანდელთა, აწ ეშუ მადნარისა შესახედავითა სა-  
 დაგელ, რომლისაგან უპატიოსნეს მოიგონებინ „კარაული“ უტყუ,  
 კმითა კაცობრივითა მამხილებელი მოგუსა სიცრუეთა“\*\*.
- 10 ესეგუარითა უკუე გუმული უსახოთა ვნებითა ტირდატ საწყ-  
 ყალობელი ჰრბიოდა მეურნალისა მიმართ სულთა და კორცთამსა,  
 რომელიცა იხილა რა შორით, ჰკმობდა კმითა ღორებრითა და  
 „ფერკთადმი მახარებელთა მშუღობისათა“<sup>3</sup> მისწრაფდა და  
 ძურუმოვსენომასადმი ქრისტეს მოწაფისა საწყალობელითა შესახე-
- 15 დავითა შევერდომისა და თხოვისა სახეთა დაჰსახუნდა და გარემო  
 მისსა განერთხმოდა და უფალსა ღმერთსა თაყუანის/ჰსცემდა. ესე-  
 გუარითა უკუე ვედრებითა და შევერდომითა მისდა მტერი თუსი  
 იხილა რა წმიდამან, რომელმან ღმერთთმთავრისაგან სულთა გა-  
 ცხოვრისა მოიღო კურნებისა მადლი, სულსა შინა მოციქულებრსა
- 20 ძურუმოვსენობასაცა მისსა ჰბაძუნდა, რამეთუ, ვითარ-იგი მან „ზედა  
 მოსრულთაგანი მისდა, რომელსა პეტრე დაჰკუეთა ყური“<sup>4</sup>,  
 განჰკურნა კელისა შეხებითა, ეგსახედ ამან, იხილა რა მტანჯული  
 თუსი ვნებასა შინა, შეახო ლოცუაჲ და წყაროსა ცრემლთასა დამ-  
 თხეველი ჰმადლობდა განმადლიერებელსა თუსსა და იტყოდა: „აღ-
- 25 გამადლო შენ, ღმერთო ჩემო და მეუფეო ჩემო, და ეაკურთხო სა-  
 ხელი შენი უკუნისამდე და უკუნითი-უკუნისამდე“<sup>5</sup>. „ვინ არს  
 ღმერთ დიდ, ვითარ ღმერთი ჩუენი? შენ ხარ ღმერთი, რომელმან  
 ჰყავი საკურუელი, აუწყე ერთა შორის ძალი შენი“<sup>6</sup>. შენ  
 ხარ, რომელი „სტანჯავ და შეიწყალებ, შთაიყუანებ ჯოჯოხეთად
- 30 და აღმოიყუანებ და არავინ არს, რომელი განერეს კელთაგან შენ-  
 თა“<sup>7</sup> მით, „რომელ შენ გაქუს სიკუდილისა და ჯოჯოხეთისა კელ-

<sup>1</sup> კარაული კრული AB.

\* შტრ. ლუკა 8,33. \*\* შტრ. რიცხუთა 22,30. <sup>3</sup> შტრ. ისაია 52,7. <sup>4</sup> შტრ. იოანე 18,10. <sup>5</sup> ფსალმ. 144,1. <sup>6</sup> ფსალ. 76,13-14. <sup>7</sup> შტრ. ტობია 13,2.

მწიფებაა<sup>40</sup>. მოიქსენე, სახიერო უფალო, შეცოდებულთა ამათ  
შენდა, რომელთა არა გიციოდენ შენ და აწ მცირედრე გიციან შენ  
სწავლისა მიერ მამობრივისა, ვითარ-იგი მოიქსენე ოდესმე რააბისი  
და ბაბილონისი<sup>41</sup>. „ვინ-მე მოუთხრნეს ძლიერებანი შენნი და ანუ  
ვინ სასმენელ ჰყუნეს ქებულებანი შენნი?“<sup>42</sup>. „შენ მწყურნები 5  
განაქმე ზღუჯური“<sup>43</sup> და „კლდე ფიცხელი ჰყავ გამოსადინვლად  
წყალთა“<sup>44</sup>, ხოლო „წყალი გარდაჰქმენ ღვინოდ“<sup>45</sup>. ჰყავ მე-  
ძავი მოძღუარი მრთელცნობობისა, ავაზაკი ხატად სინანულისა  
და მღევარი უმწუერულეს /ქადაგ სახარებისა შენისა. „შენ ნა- 327  
ბუქლონასორ შერისხუსა ძლით მაცხოვრებთისა სხუადასხუათა 10  
ცხოველ-უსიტყუთა თესებითა დაჰსჯილი მოაქციე კაცობრივო-  
ბად“<sup>46</sup>. აწცა, ყოვლად სახიერო, ყოვლისა შემძლებელო უფა-  
ლო, ისმინე ცოდვილისა ამის მონისა შენისა და მიეც ამათ  
განათლებამ გულისხმის-ყოფისა და მოაქციენ შენდა მტერნი ესე 15  
შენნი, რომელსა „გაქუს ქელმწიფება ყოველთა ზედა კორციელ-  
თა, რომელნი მოგეცნეს მამისაგან, რათა მოჰსცე მათ ცხოვრება სა-  
უკუნოა, რათა იციოდენმცა მხოლოა ჰეშმარიტი ღმერთი მამამ შე-  
ნი, და შენ, იესუ ქრისტე, რომელიცა მოგავლინა მან“<sup>47</sup>, შენ, უფა-  
ლო, „შეიწყალენ და აკურთხენ ესენი და გამოუჩნდი ამათ, რათა 20  
იციან ქუეყანასა ზედა გზამ შენი და ყოველსა თესლებსა შორის 20  
მაცხოვარებამ შენი“<sup>48</sup>.

„განჰკურნენ, უფალო, ესენი რისხსაგან გუემულეებისა და  
მოხედენ სიმდაბლესა მონისა ამის შენისასა და მომანიჰე მე სიტ-  
ყუთა სიბრძნისა, რათა შეეკსწირნე შენდა ესენი“<sup>49</sup> „ერად მოგე- 25  
ბულად, მობაძავად კეთილთა საქმეთა“<sup>50</sup>.

იტყვს მოძღუარი ყოვლისა სოფლისა ოქრო-სახელი-პირი:  
„მოხედნაო უფალმან ვედრებასა წმიდისასა და მყისისა შინა მოჰ-  
მადლა მათ ყოველთა კურნებამ საეშმაკოთა სნებათაგან და კაცობ-  
რივი გონიერებამ და უბნობამ და ესრეთ განჰკურნა იგინი მრჩობ- 30  
ლისაგან ვნებისა“<sup>51</sup>.

ესრეთ უკუე მოილო აღსრულებამ თხოვისა თვისისა დიდმან  
გრიგორი ღუაწლის დამდებელისაგან სახიერისა, რომელიცა „მოა-  
ნიჰებს თხოვათა მთხოველთა /მისდა და აკურთხევს წელიწადთა  
მართლისათა“<sup>52</sup>.

<sup>40</sup> შტრ. სიბრძნე სოლ. 16,13. <sup>41</sup> ფსალ. 86,4. <sup>42</sup> შტრ. ფსალ. 77,4. <sup>43</sup> შტრ. გამოსლ. 14,21. <sup>44</sup> შტრ. ფსალმ. 77,16. <sup>45</sup> შტრ. იოანე 2,9. <sup>46</sup> შტრ. დანიელ 4,50. <sup>47</sup> შტრ. იოანე 17,2-3. <sup>48</sup> შტრ. ფსალ. 66,1-2. <sup>49</sup> ოქროპირისა. <sup>50</sup> ტიტე 2,14. <sup>51</sup> ოქროპირისა. <sup>52</sup> შტრ. 1 მეფ. 2,9.



- 7 /ესეცა დიდებამ და საკურუელებამ დიდებული ხატისა მის თიატრსა შინა თქმულისა მდგომარისა იქადაგების ოქრო-ორღანე-ბითა და ოქრო-საკრავებითა ოქრო-მუსიკისაგან ოქრო-სახელისა. ხოლო დიდებამ ესე საკურუელი ანუ მადლი არს „მადლი კურნე-5 ბათა“ და არს გარეშეუწერელ, რამეთუ უმაგალითო არს საკურუელებამ ესე, ვითარმედ „კაცი (რომელი) პატივსა შინა იყო (ესე იგი ხატებასა შინა ღმრთისასა) და არა გულისხმა-კყო, ჰბაძე-და იგი პირუტყუთა უგუნურთა (უსიტყურებრითა გრძნობისა და-ტკობითა), მიემსგავსა მათ“ ყოვლითავე ნაუეთითა და შე-10 სახედავითა, ანაგებითა და გუარითა. ესე დიდმან მოწამემან ჭეშმარიტებისამან გრიგორი მრავალთა მსკავესთა თანა, რომელთა დაე-კუეთა მსკავესითა უსიტყურებრითა მისითა გარდაქმნამ უსიტყუალ, მოიყუანნა კაცობრივობითად პირუელადვე მდგომარეობად.
- ამისა შემდგომად კაცობრივობად მოყუანებულთა თანა მივიდა 15 სანატრელი გრიგორი საწნებელთა მათ შორის, სადა მდებარე იყუ-ნეს ტევანნი იგი საღმრთონი, „ვენაქისათუს ჭეშმარიტისა“<sup>3\*</sup> დაწნეხილნი სხეულნი წმიდათა ქალწულთანი, რომელნიცა „სო-ლომონითისაგან ველმოანისა ვენაქისა“<sup>4\*</sup> „მოიკუფხლნეს მხარკე-თაგან“<sup>5\*</sup> მძლავრთა ბოროტთა მუშაკთა და დაიწინხნეს ვნებისა 20 საწნებელსა. ესენი აღილო წმიდამან მეფისა და მთავართა მუნ ყო-ფიდა დიდითარე პატივითა და დაკრძალნა მუნ, სადა დაევანათ 328 წმიდათა მათ/ მწირობასა შინა.

იტყვს ოქრო ყოვლად ბრწყინულად, ვითარმედ: „ასწავებდა მიერით დიდი გრიგორი მეფესა და ერსა მას დასაბამითგან სოფ-25 ლისათ ქმნილთა ვიდრე მისრულებადმდე“<sup>6\*</sup> და ესე შეუძლებელ არს თქმად თუთო-თუთოდ, რამეთუ იტყვს მოძღუარი იგი მსოფ-ლიო: „ფრიად ბრძენ იყოო კაცი იგი სულიერითა მეცნიერებითა და საღმრთოთა მადლითა საუსე“<sup>7\*</sup>.

ხოლო ესე არს მოძღურებამ იგი გრიგორისი, რამეთუ არავის-30 გან არს ღმერთი, რამეთუ არს მხოლოდ და ყოველი მის მიერ შექმნულ არს. „არსებამ კაცისა არს ცხოველ, გულისხმიერ, მნე-ბებელ“<sup>8\*</sup> და ნიჭითა მადლისათა მიმადლებულ, „რომელიცა დაიდგინა შემოქმედისაგან საშუებელსა შინა ედემისასა“<sup>9\*</sup> მე-ფედ ყოველთა მზისა ქუეშეთა, „ესე შურიითა ეშმაქისათა ცთო-

\* 1 კორ. 12,9. \*\* ფსალ. 48,13. 3\* შტრ. იოანე 15,1. 4\* შტრ. ქება 8,11. 5\* შტრ. ისაია 3,12. 6\* ოქროპირი. 7\* იგივე. 8\* შტრ. შესაქ. 1,26. 9\* შტრ. შესაქ. 2,15.

მისა ქუემდებარეკმნილი, ცოლისა ძლით გარდასლუთა მცნებისათა  
 ექსორიაქმნილი ედემიჲ სოფელსა შინა განიპატიჲა თანამდებად  
 სიკუდილისა და ხრწნილებისა<sup>7</sup>. ზოლო „დაეკა ცოდუთა კაცი“<sup>8</sup>  
 კუალად რჩეულისა<sup>1</sup>, გარდა ნოემსა, და უცხოქმნილი ღმრთისმსა- 5  
 ხურებისაგან „აღისპო საშინელითა კრლუნითა წყლისათა“<sup>3</sup>, რამე-  
 თუ „რუანი ოდენ სულნი განერნეს წყლისაგან“<sup>4</sup>. „აღიშენა გოდო-  
 ლი ხალანსა შინა კაცთაგან“<sup>5</sup> მბრძობთა ბოროტად, სადა შერეუ-  
 ნამ დაეკუეთა კაცთა ენათა სხუაობისა<sup>6</sup>, რომლისა შემდგომად შე-  
 ერია მათ კერპთმსახურებამ და ნაცულად დამბადებელისა მსახუ-  
 რებამ დაბადებულთა მით, რომელ შეილისათუს მომკუდრი/სა 10 v  
 „მწარითა ტირილითა მგლოვარემან მამამან მსწრაფლ წარტაცე-  
 ბულისა შეილისა შექქმნა ხატი, რომლისასა მაშინ მომკუდრისა კა-  
 ცისასა აწ ეითარცა ღმერთსა პატიე-მსცა და მიმსცა კელთა ქუეშე  
 საიდუმლომ და მსხურაპლი<sup>2</sup>“<sup>7</sup>.

ესევეითარი უკუე აქუს დაწყებამ მსახურებასა ღმერთთა სა- 15  
 ძაგელთასა, რომელნიცა მკუდარ არიან, ვერ შემძლებელნი ცხოვ-  
 რებისანი. აღმართებულნი და „დამტკიცებულნი სახლთა შინა თუ-  
 აღნი მათნი სავსე არიან მტურერთა ფერკებისაგან შემავალთა-  
 სა“<sup>8</sup>. „მთისაგანთა ქუათა მიმსგაესებულნი არიან ღმერთნი მათ-  
 ნი ძელისანი და გარმოვეცხლულნი და გამოოქროვილნი“<sup>9</sup>. მი- 20  
 თხართ უკუე, რომელნი-ეგე გუემულ ხართ ცოდუათა ძლით უმა-  
 გალითოობთა ვნებითა, „აწ სადა არიან კერპნი იგი თქუენნი, რო-  
 მელთა<sup>3</sup> თქუენ ესეველით? აწ აღდგენ და შეგეწინენ თქუენ“<sup>10</sup>  
 მყოფთა ჭირთა შინა, გარნა ვერცალა შემძლებელ არიან შეწვენად  
 თავთა თუსთა, რამეთუ, თუ სადამე კბრძოდეს ვინ დამჯობად, „ბრძო- 25  
 ლისა მისგან და ავაზაკთაგან ვერ განარინებენ თავთა თუსთა, ვინა  
 საცნაურ არიან არა ღმერთ-ყოფად“<sup>11</sup>.

„იხილეთ, იხილეთ (მსთქუა), რამეთუ მე ვარ და არა არს 30  
 სხუა ღმერთი ჩემსა გარეშე, რამეთუ მე მოვკუდინი და მე ვაც-  
 ხოვნი, მე მოეკსწყლი და მე განეკუერნი და არა არს, რომელი გა-  
 ნერეს კელთაგან ჩემთა“<sup>12</sup>.

1 პრჩეულისა B. 2 მსხურაპლი B. 3 რომელთად B.

\* შღრ. შესაქ. 3,1-24. \*\* შღრ. შესაქ. 6,5. 3\* შღრ. შესაქ. 7,16-24. 4\* შღრ.  
 შესაქ. 7,13. 5\* შღრ. შესაქ. 11,4. 6\* შღრ. შესაქ. 11,9. 7\* სიბრძ. 14,15. 8\* ბარუქ.  
 6,16. 9\* ბარუქ. 6,37. 10 2 სჯულ. 32,37-38. 11\* ბარუქ. 6,14. 12 სჯულ. 32,39.

გამოირჩია ღმერთმან ყოველთა ნათესავთა შორის აბრაამი<sup>30</sup>, „რომლისადმი პრწმენა აბრაამს და შეერაცხა მას სიმართლედ“<sup>31</sup> და „მიასცა მას სიბერესა შინა ძე /აღთქმისა“<sup>32</sup>. „იაკობ პრჩეულ იქმნა უფლისა, მამა ათორმეტთა მამათმთავართა“<sup>33</sup> „შთასრული ეგიბტედ განმრავლებული ნათესავად დიდად“<sup>34</sup>. „აღმოვალს ეგიბტი“<sup>35</sup> წინამძღუარებითა „მოსესითა და აპრონის და მარია-მისათა“<sup>36</sup> და სასწაულებითა და ნიშებითა დიდ-დიდითა, „განაგებითა ზღუსათა“<sup>37</sup>, „დაცემითა ამაღუქისათა“<sup>38</sup>, „მოსე მომღებელი ჰსჯულისა“<sup>39</sup>, „მოქმედი კარვისა საწამებელისა“<sup>40</sup>, „მცხებელი აპრონისი მღუღელად“<sup>41</sup>, „მზრახველი ღმრთისა“<sup>42</sup> „წინასწარმეტყულებს ისრაილთა მიმართ აღდგინებჱსა მათგან წინასწარმეტყულისასა უფლისაგან ღმრთისა და ასწაევბს მეტყუელი: „ვითარცა-ესე მე, ისმინეთო მისი“<sup>43</sup>, ხოლო წინასწარმეტყულებსევე მათლამი წინასწარმეტყუელისა მისთჱს წინასწარმეტყუელთასა, ვითარმედ: „არს იგი ცხოვრება ისრაილთა, რომელი დამოკიდებულადცა წინაშე თუალთა მათთა უწინამეტყუა მათ და არა გრწმენესთო მისი შიშნეულთა“<sup>44</sup>. ესრეთ „შევაღს ერი იგი ისრაილსა ქუეყანად აღთქმულად“<sup>45</sup>.

ითქმის უკუე ვიდრე მოსემსადმდე ჰსჯული ბუნებითი, რომელიცა გამოჩევეითა ღმრთისაგან მოსესითა მომცემულად ჰსჯულისა იცუალა ჰსჯულად წერილთად. ხოლო მოსემთ, ვითარცა ახლისადმდე მადლისა, ჰსჯული იგი წერილთი იცუალა აღთქმად ანუ მადლად ჰუმმარტებითად და მაცხოვარებითად. ხოლო იქმნა ესე ამით, ვითარმედ მხოლოდსა ღმრთისა შორის ცნობილისა სა-  
 25 მობისაგანი „სიტყუამ, რომელი დასაბამჱა იყო და სიტყუამ იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუამ იგი“<sup>17</sup>. ესე სიტყუამ  
 V /არს ძე მხოლოდშობილი მამისა ღმერთთმთავრისა, სიტყუამ დაუსაბამოსა და განუსაზღურებელისა გონებისა, რომელიცა „ქორც იქმნა და დაიკარუა ჩუენ შორის და ვიხილეთ დიდებამ მისი, დი-  
 30 დებამ ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ საესე მადლითა და

\* ზღრ. შესაქ. 12,1. \*\*\* შესაქ. 15,6. 3° ზღრ. შესაქ. 21,2. 4° ზღრ. შესაქ. 31,13. 5° ზღრ. შესაქ. 46,6. 6° ზღრ. გამოს. 12,41. 7° ზღრ. მიქეა 6,4. 8° ზღრ. გამოს. 14,21. 9° ზღრ. გამოს. 7,13. 10° ზღრ. გამოს. 20,3. 11° ზღრ. გამოს. 40,2. 12° ზღრ. გამოს. 29,7. 13° ზღრ. ლევიტ. 1,1-17. 14° ზღრ. 2 ჰსჯულ. 18,15. 15° ზღრ. 2 ჰსჯულ. 28,67. 16° ზღრ. ისო ნავესა 5,9. 17° იოანე 1,1.

ქეშმარიტებითა“<sup>1</sup>, „რომელსა შინა დამკვდრებულ არს ყოველივე საესება ღუთაებისა კორციელად“<sup>2</sup>.

ამან უკუე სიტყუამან განუსაზღურებელისა გონებისამან, რომელიცა განჯორციელდა, კმეულ ჰყუნა განჯორციელებასა შინა ნიეთად სისხლნი ყოვლად უბიწოისა, უფროსად წმიდისა სანატრელისა ქალწულისა მარიამისნი, ვითარმედ: „მოგუცა ჩუენ უფალმან სასწაული (ესეგუარი), ქალწულმან მუცლად-ილო და ჰმუა ძე და სახელი მისი ემმანუილ“<sup>3</sup>, ანუ „მჰსწრაფლ წარმოიღე და მალიად! იავარ-ჰყავ“<sup>4</sup> ესე, ვიდრემე სიტყუამ განჯორციელებული არს ზედწოდებით კორციელად იესუ ქრისტე, ესე იგი მაცხოვარი ცნებული, რამეთუ „უფალი და ცნებულ ჰყო იგი ღმერთმან“<sup>5</sup>, ვითარმედ ესრეთ ჰრქუა მწყემსთა (ბეთლემელთა) ანგელოსმანცა მახარებელმან შობისა მისისამან: კორციელად „იშუაო ღღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისა“<sup>6</sup>. „მ, სიღრმე სიბღიღრისა, სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისა, ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხუანი მისნი და გამოუკუღვეველ არიან გზანი მისნი“<sup>7</sup>; ეჰა, სიმაღლე სახიერებისა უზესთაესი გონებისა კაცობრივისა შეჰყრობად; ეჰა, სიღრმე კაცთმოყუარებისა დაზეებული გულისხმის-ყოფისაგან ანგელოსებრისა შთამოწთომად. ღმერთი კაც იქმნებოს, სიტყუა განზრქელდების, უკუდავი მოკუდავი იქმნების და უფალი მონათა თანა აღიწერების, „იხი/ღეთ (გუარი ესე საიდუმლოისა), შეურაცხის-მყოფელნო, დაიკურუნით საკურუელნი“<sup>8</sup>. რამეთუ ღმერთი სიტყუამ ღმერთთმთავარი, რომელ არს კორციელად ქრისტე ცნებული სულითა წმიდითა, რამეთუ სულითა თანაარსითა თუსითა ჰსცხო მან ღუთაებამ თუსი კაცსა, რომელი მიიღო ერთსა დაუწყებელსა გუამსა შინა, ვითარ ვისწავეთ „იორდანესა შინა ქმნილისაგან საიდუმლოისა“<sup>9</sup>, „იენებს და ჯუარსა შეემჰსჭუალვის ცოდუათათუს კაცთასა“<sup>10</sup> და „მოკუდების და აღდგების მესამესა ღღესა“<sup>11</sup> საფლავეთ და „ამაღლებული ზეცად მჯღღომარე მარჯუენით მამისა“<sup>12</sup> „ცხოველ არს უკუნითი უკუნისამდე“<sup>13</sup>.

1 მალად A. საკურუელი A.

\* თონე 1,14. \*\* კოლას. 2,9. 3° ისაია 7,14. 4° შღრ. ისაია 8,3. 5° საქმე 2,36.

6° ღუა 2,11. 7° ჰრომ. 11,33. 8° ამბაკომ 1,5. 9° შღრ. მატ. 3,16. 10° შღრ.

1 პეტრე 4,1. 11° 1 კორ. 15,3. 12° შღრ. მარკ. 16,19. 13° შღრ. აპოკალ. 1,18.

ეგსახედ მომავალ არს იგივე, ვითარ-იგი ამალდა ზე-  
 ცად<sup>5</sup>, მომცემელი სულისა თვისისა მოციქულთა მიმართ, რომლითა  
 „აღიესო თანად ყოველი ქუეყანა ცნობითა“<sup>6</sup> უფლისათა სიტყვა-  
 ებრ წინასწარმეტყუელისა. ხოლო აღდგომა მკუდართა ყოფად,  
 5 რამეთუ „უკეთუ აღდგომა მკუდართა არა არს, არცა ქრისტე  
 აღდგომილ არს“<sup>3</sup>, „რამეთუ თავადი უფალი ბრძანებითა და კმითა  
 ანგელოსთავერისათა და საყვრითა ღმრთისათა გარდამოქცეს ზე-  
 ცით და მკუდარნი იგი ქრისტესმიერნი აღადგენ პირუელად“<sup>4</sup>.  
 მოსალოდებელ არს ცხოვრებადცა საუკუნომ, რამეთუ ჩუენ ცხო-  
 10 ველნი ესე დანაშთნი აღტაცებად ვართ მართალთა თანა მოსულსა  
 უფლისასა, რათა მარადის უფლისა თანა ვიყოფიდეთ.

ესეგუართა თესლთა ცხოვრებისათა ჰთესვიდა მუშაკი იგი  
 სახარებისა და პრწყვდა წყლითა ნუგეშინისცემისა და მრჩობლისა  
 კურნებისათა / განაშორებდა კერპთაგან და კერპთა გონებისშინათა  
 15 მათგან და აქვ შესახედავსა მას და საძაგ ნაკუეთსა. უსიტყუებრ-  
 სა<sup>1</sup> განასძრკვდა ლოცუთა და სულთა მათთა ეშმაკულთა თავისუ-  
 ფალ ჰყოფდა ეშმაკთა განმსხმელი კელმწიფებით და შემოსდა  
 ხატსა კაცობრივსა და გონებასა აღუხილვიდა სიბრმისაგან<sup>2</sup> და  
 საეშმაკომსა ვნებისა.

20 მაშინ მეფე მთავართა თანა და სპათა თესთა ლოცუთა წმიდი-  
 სათა საძაგ შესახედავისა და ნაკუეთისა განმყრელი აღიარებდა ღიდ  
 კმობით უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, ღმერთსა ღიდებულსა,  
 მოქმედსა საკერუელებათასა, ღუთად შემოქმედად ყოველთა, შემ-  
 ძლებელად ყოველისა. ხოლო წმიდისა თანა მოსრული საკერპოდ  
 25 არაწმიდათა ტაძართა დაამკობდა, კერპთა ოქრომსა და ვეცხლისა-  
 თა შემმუსრული ნამუსრევთა გლახაკთა საცმარად განუყოფდა,  
 ხოლო შეშისა და ქესათა მსწვდა, შეპფქვდა და განანქრევდა.

ესრეთ უკუე დაამკობდეს ტაძართა ბილწთა და შეკმუსრვი-  
 დეს კერპთა საძაგელთა „განმზადებად უფლისა ერი მომზადებუ-  
 30 ლი“<sup>5</sup>, რომელთადმი იტყოდა კმითა სახარულევანითა მკურნალი  
 იგი სულთა და კორცთა მათთა: „დაამკუთ ტაძარნი და შეკმუსრე-  
 ნით კერპნი, რამეთუ აწ თქუენდა მიმართ იტყეს საღმრთომ ამოს  
 უფროს, ვიდრეღა ისრაილათუს, ვითარმედ: „აღიღეთ კარავი მო-  
 ლოქისი და ვარსკულავი ღმრთისა თქუენისა რემფასი, სახენი მათ-

35 ნი, რომელნი ჰქმნენით თავთა თუსათუს“<sup>6</sup>, ხოლო წმიდა კყავთ  
 331 მარხუამ, ესე იგი კრძალულებამ, / „ჰქადაგეთ მსახურებამ, შეკ-

1 უსიტყუებრსა B. 2 სიბრმისაგან სიბრმისაგან A.

\* შდრ. საქმე 1,11. \*\* აბაკომ 2,14. 3\* 1 კორ. 15,13. 4\* 1 თესალ. 4,16.

5\* შდრ. ლუკა 1,7. 6\* ამოს 5,26.

კრიბეთ ერი, წმიდა ჰყავთ ეკკლესიაა<sup>5</sup>, „აუარებლით უფალსა, რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი“<sup>6</sup>. „ყოველთა წარმართთა აღიტყუელენით კელნი თქუენნი, ლალადებით ღმრთისა მიმართ კმითა ჰიხარულისათა“<sup>3</sup> მით, რამეთუ იტყუს უფალი საჟაოთ: „მოესპო სახელები კერპთა ქუეყანისაგან და არღა მერმე იყოს ესენებაჲ მათი და ცრუ წინასწარმეტყუელნი და სული არაწმიდაჲ აღვილო ქუეყანისაგან“<sup>4</sup>. „თაყუანის-უცით უფალსა ეზოსა შინა წმიდასა მისსა“<sup>5</sup>, „რამეთუ მოწყალე არს, სულგრძელ და მრავალწყალობა და შემწყნარებელ სიბოროტეთა ზელა“<sup>6</sup>, „უფალი სულგრძელ და დიდ ძალი მისი“<sup>7</sup>.

ხოლო დამკობითა ამით და შემუსრვითა კერპთათა გრიგორისგან იღვენებოდიან ეშმაკნი და განიკლებოდიან შორს, კერპნი ყოველნი დაიკუმოდიან, ჯუარი აღიმართებოდა, ძალი ეშმაკთა განქარდებოდა და „ერი არა ღმრთისა ერ ღმრთისა და არ შემწყალებული შეწყალებულ იქმნებოდა“<sup>8</sup>. იტყუს საღმრთომ ოქრო-სახელი-პირი: „განწმდებოდაო ქუეყანა იგი ბილწთა ეშმაკთაგან. ცხადად ლაღებდეს ეშმაკნი დიდკმეირითა ვაჲთა განღვენათათჳს თჳსთა პერობილისაგან გრიგორისა“<sup>9</sup>.

ვინამთგან მეფეჲ იგი მთაერებით და მკედრებითურთ განიკურნეს უფლებულნი ეშმაკთაგან და კურნებასა თანა სულთა წარმწყმედელისაგანცა, კერპთმსახურებითისა ძილისაგან განღქებასა მიემთხვივნეს და საიდუმლოთა საღმრთოთა ცნობაჲცა მიიღეს სულთა მკურნალისაგან მღვდარისა, ვინა მოძღურებისა მიერ მისისა მეცნიერთა წინადადებისა მის უკუთქმითისა აპოლიქსიკაჲსა, რომელ არს „არა ვისმე არაშობილსა წყლისაგან და /სულისა ძალ- უცს შესლუად სასუფეველსა ღმრთისასა“<sup>10</sup>, საჭიროდ შემოჰქდაყე შორის იძულებად გრიგორი მეორედ შობისაცა მათლა მიცემად, ვინამცა „დამდაბლებითა ცხოვნებული“<sup>11</sup> სიმდაბლით განუმარტებდა მათ მეტყუელი: „მ, შეილნო, ეგე, რომელსა ითხოვთ ჩემგან, არა ჩემი არს საქმე, არამედ მღუღელთა უფლოსათა მით, რომელ ვერ ვიკადრებ მოქმედებად საქმესა მღუღელთასა, რამეთუ „ოზიას მეფისა იუდეჲსა დაკუთებაჲ“<sup>12</sup> ვნებისა მაცყნებს და „ოზანისაგან ქმნილისა მის კალნიერებისათჳს პატივი“<sup>13</sup> თანა-

\* ამოს 2,15-16. \*\* ფსალ. 135,1. 3\* ფსალმ. 46,1. 4\* ზაქარია 13,2. 5\* ფსალ. 95,9. 6\* შდრ. იონა 4,2. 7\* ნაომ. 1,3. 8\* შდრ. ოსე 2,22-23. 9\* ოქროპირი. 10\* შდრ. იონაჲ 3,5. 11\* შდრ. ფსალ. 114,6. 12 შდრ. 4 მეფეთა 15,5. 13\* შდრ. 1 ნუშტა 13,10.

გუამს, 'შვილნო, რათა წარვკვზავნოთ კაცი კაბბადოკიად და მოვკ-  
ხადოთ მლუდელნი, რომელნი წარმოვკვზავნენს მთავარეპისკოპოს-  
მან კესარიისამან, რომელთა აღმოგშუნენს თქუენ მეორედ.

- მაშინ მეფისაგან და მთავართა ედრებულ იქმნა წმიდა იგი,  
5 რათა თუთ მიიღოს კელისდასხმამ მლუდელობითი წარსულმან  
კაბბადოკიად. გარნა წმიდა იგი იელტოდა ესეგუარისაგან დიდისა  
აღსავალითისა მადლის მიღებისა, ვითარ-იგი „მოსეა წინამძღურე-  
ბისაგან იზრალიტთასა უფლისაღმი ედრებით მლტოლუარე“  
და ვითარ „პეტრე დაბანისაგან ფერქთასა“<sup>5\*</sup>. ხოლო ოდეს-იგი  
10 ნადირობასა შინა ბრძანებითა მისითა შეაყენეს რა უსაკრუელე-  
სად თევზთა იგი სიდიადემ, რამეთუ ეტყოდა იესუს, ღმერთსა სა-  
კრუელეებათასა: „განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ,  
უფალო“<sup>3\*</sup>, ანუ კუალად ვითარცა „ასისთავი იგი მისლვისა-  
გან სახლსა შინა მისსა“<sup>4\*</sup> შემოქმედისა მის და მკურნალისა  
332 15 სულთა და კორცთასა, ანუ ვითარცა „ისაია /დიდი, დამდაბლებული  
ხილვითა ღმრთისა დიდებისათა, იტყუს მათდამი განჰსჯითა საი-  
ღუმლოთა საღმრთოთა, რაოდენ შესაძლებელ არს ქმნილებრ და  
უზესთაესცა ძალისა მეცნიერი იგი საღმრთოდ მესაიდუმ-  
ლე“<sup>6\*</sup>. იტყუსო უფალი ებგურთად ერისათა: „უკეთუ არა  
20 განმკაცროთ ერი, სისხლი მათი კელისაგან თქუენისა გამოვიძიო“<sup>6\*</sup>.  
აყენებდა იოანეცა იესუს ნათლისღებად მისდა მისრულსა მეტყუ-  
ელი: „მე მიკვს შენ მიერ ნათლისღებვა და შენ ჩემდა მოხულა?“<sup>7\*</sup>  
ვინა შეუძლებელ არსო ჩემდა უაღრეს ძალისა ჩემისა მოღებისა  
შეკადრებად.  
25 განმკაცრუებს კაცისა ამს ღმრთისა ღმრთისმოშიშებისა საი-  
ღუმლოდ და სიმდაბლემ ესე ყოვლად მაღალი და კრძალულებად  
უმწუერუალესი: ივინა, ივნო უფლისათუს, იდევნა და იყუედრა და  
„აღიარა წინაშე კაცთა და აღსარებულ იქმნა ძისაგან წინაშე მამისა  
ზეკათასა“<sup>8\*</sup>, გარნა ჰსჯის თუს შორის, ვითარმედ უკეთუ აღუ-  
30 ასრულეო თანაზღებდი, ჩემდა ესე არარამე არს, არა თანა-მაძსა  
თქმად, ვითარმედ: „მონა ვარ უკმარი, რამცაღა თანა-მედღუა ყო-  
ფად, ეკყავ“<sup>9\*</sup>. ესე სიმდაბლე არცხუენს ესეგუართა უკუე ზედ-  
მჰაზრუელთა, რომელნი „არა შესრულ არიან მწყემსნი სამწყსოდმი  
კარით“<sup>10\*</sup>, რომლისა მიერ შესრულნი ცხოვნდებიან და საძოვარ-  
35 სა ცხოვართასა ჰპოვებენ. ვაჲ სასყიდლით დადგინებულთა მათ,  
რამეთუ სასყიდელსა ბალამისსა აღერივნეს“<sup>11\*</sup> და მოციქულებ-

\* შტრ. გამოს. 3,11. \*\* შტრ. იოანე 13,8. 3\* ლუკა 5,8. 4\* შტრ. ლუკა 7,6.  
5\* შტრ. ისაია 6,5. 6\* შტრ. შესაქ. 9,1-5. 7\* მატთ. 3,14. 8\* შტრ. მატთ. 10,32.  
9\* შტრ. ლუკა 17,10. 10\* შტრ. იოან. 10,2. 11\* შტრ. რიცხ. 24,13.

რისაგან მადლისა კელმწიფებითისა განიღვენეს „ვეცხლთა თანა/ და ოქროთა წარმწყმედელთა მათთა“.

იტყუნან, ვითარმედ შემდგომად სიმდაბლით ვლტოლვისა მლუ-  
დელობითისაგან მადლისა ღამე გამოუჩნდა უფალი იესუ ქრისტე  
გრიგორის მეტყუელი ესეგუართა განმძლიერებელად მისდა: 5  
„გრიგორი, სარწმუნოო მონაო ჩემო, ნუ გარე-მიექვევი განგებელ-  
თა ჩემთა, „არამედ შეირტყენ, ვითარცა მამაკაცმან, წელნი შენ-  
ნი“\*, მიიღე სიმალე და ძალი, დიდება და პატივი შეი-  
მოსე. „არა ერისა მიმართ ღრმა ბაგისა და ენა მძიმისა მიგავლენ  
შენ, არცაღა ერთა მიმართ მრავალთა სხუა კმათა“<sup>3\*</sup>, ღალათუ გან- 10  
კადეს შენ უდიდეს ძალისა კაცობრივისა.

მიიღე, მკნეო მოწამეო ჩემო, აღსავალი იერარხოებითი, რამეთუ  
ღირს ხარ და სარწმუნო წინაშე ჩემსა, ვითარმედ შენებრი სათნო  
ჩემდა „მლუდელმთავარი წმიდა, უმანკო, შეუგინებელი“<sup>4\*</sup> იქმენ  
მლუდელ ჩემდა, „შეიმოსე სიმართლე“<sup>5\*</sup>, შენ გშუენის, მოწამეო 15  
ჩემო, წარდგომად წინაშე საკურთხეველისა ჩემისა, ვითარცა უბ-  
რალოსა კელითა და წმიდასა გულითა“<sup>6\*</sup>.

განჰსძლიერდი, მოწამეო ჩემო, და მლუდელმთავრობითი შე-  
კრუად და განჰქსნად „შეიმოსე ძალი და შუენიერება და იხარე  
უკანასკნელთა დღეთა შინა“<sup>7\*</sup>. განჰშალე ბადეა სახარებისა, 20  
ითხეულენ თევზნი გულმხმებელნი, „ჰსდევ მარჯულ ბადე ეგე“<sup>8\*</sup>,  
რამეთუ მე „მარჯულ შენსა ვარ“<sup>9\*</sup>. ესევე აქუსთ მოწაფეთა ჩემთა,  
მოძლუართა შენთა, ჩუეულეზად, რამეთუ, სადაცა უბრძანებ მე „თხე-  
ვლასა ბადეთასა, შეაყენებენ თევზთა დიდ-დიდთა, სიმრავლესა  
ფრიადსა“<sup>10\*</sup> და შენცა შეაყენო სახარებისა ბადეთა /ბრძანებითა 25  
ჩემითა თევზნი ურიცხუნი სიტყუერნი. 333

მიიღე მადლი მლუდელმთავრობითი, მკნეო, ნათელ-ეც ერსა  
ჩემსა, აჩუენე „ნათელი ჰუმმარტი, რომელი“<sup>11\*</sup> მე ვარ, „ერსა  
მაგას ბნელსა შინა მავალსა“<sup>12\*</sup>. ნუ ჰსდროებ განბანასა მორწმუნისა  
სამწყსოდასა შენისასა, დაჰბეჭდენ ეგენი სულისა მიერ ყოვლად 30  
წმიდისა ბეჭდითა ჩემითა. მე უკუე „ეკმწყსი მათ და არარამე  
დავაკლო, ადგილსა მწუხანვილსა დავამკვლრნე და წყალთა ზედა  
განსასუენებელთასა გამოვჰზარდნე“<sup>13\*</sup>.

მოვედ, მოწაფეო ჩემო, და მიიღე კელმწიფებაჲ მოციქულებ-

\* შტრ. საქ. 8,20. \*\* იობ. 40,2. 3\* შტრ. ეზეკილ 3,5-6. 4\* ებრ. 7,26.  
5\* ფსალ. 131,9. 6\* ფსალ. 24,4. 7\* შტრ. იგავ. 31,26. 8\* შტრ. იოან. 21,6. 9\* შტრ.  
ფსალ. 15,8. 10\* შტრ. იოან. 21,11. 11\* იოან. 1,9. 12\* შტრ. ისაია 9,2. 13\* შტრ.  
ფსალ. 22,1.



რი ერსა ჩემსა ზედა. „დაამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“\*, რომელნიცა წაერთუენ მგელსა, და ეშუნი ველისანი ცხოვარ ჰყუენ შენ მიერ დაბეჭდვითა მათ ზედა ჯუარისა ჩემისათა.

მ, სულო ნეტარო მოციქულებრო, უმანკოო, მდაბალო, გულს-  
 5 მოდგინეო და ყოვლად მორწმუნეო, მოძღურისადმი შენისა არა-  
 რამელა არს მიზეზი რიდობისა. მიგიღიეს ნუგეშინისცემა და  
 განძლიერება ძისაგან. მოვლინებად არს შენ ზედა სული მამისაგან,  
 ცეცხლისა ენის სახედ მოფენად არს შენ ზედა მადლი სულისაგან.  
 10 შენ უკუე გჰპოვა სულმან ყოვლად წმიდამან „სტუმრის მოყუარე,  
 კეთილის მოყუარე, წმიდა, მართალ, ღირს, მოთმინე, თავმდებელ  
 მსგავსად მოძღურებისა მის სარწმუნოებისა სიტყუსა, რამეთუ  
 შემძლებელ ხარ ნუგეშინისცემადცა მოძღურებასა მას შინა სი-  
 ცოცხლისასა და სიტყუსმგებელთა მათ მხილებად“\*\*. ხოლო  
 V ესე / გუარსა უკუე ინთებს ზედმჰაზრუელ-ყოფად განჰსჯაჲ სა-  
 15 მოციქულო, ვინა გჰშუენის შენ ზედმჰაზრუელობითისა მიღებაჲ  
 მადლისა.

ეჰა, სიმდაბლესა აბრაამის და მოსეს და იოანეს და პეტრეს  
 აღმამაღლებელსა; ეჰა, სიცონილსა საქებელსა; ეჰა, უმანკოებასა  
 ღმრთის სახესა; ეჰა, განჰსჯასა ანგელოსებრსა; ეჰა, გულისხმის-  
 20 ყოფისა უბიწოებასა, რამეთუ ამაღლებული ყოველთა ზედა საქმე-  
 თა საქებელთა უპატიეო-ყოფასა სრულიადსა ეძიებს. ხოლო პა-  
 ტივი შესაბამსა ეძიებს ქუემდებარესა: არა ჰსურინ მონასა ღმრთი-  
 სასა, რათა სოფლისაგანიცა შეეზოს რაჲვე, რომლითა ჰზუაობენ  
 და წარბთა აღიმალლებენ სოფლის მოყუარენი, არამედ სარწმუნო-  
 25 მსა მის მონისად ღმრთისა ჰსურიან ზედამისლუად სოფლის-შინათა  
 მათ დიდებათა, რომელთა მიღებად ვერ ღირს არიან კაცნი, შეჰმს-  
 ჭუალულნი სოფლისად.

ესრეთ სათანადო არს მიღებად კელმწიფებაჲ იგი შეკრუად და  
 განჰკნნად ერსა ზედა ღმრთისასა. ესრეთ დამდაბლებული სულისა  
 30 სათანადო არს აღსულად სიმაღლედ აღსაველსა მოციქულებისა.  
 მოვედ, საღმრთოო ჭურო რჩეულო, და კმა ჰყავ მალლად: „ესე-  
 ვითარი შეჰგუანდა ჩუენდა მღუდელთმოძღუარი: წმიდა, უმანკო,  
 შეუგინებელი, განშორებული ცოდუათაგან და უმაღლესი ცათა“\*\*.  
 დაემორჩილების საღმრთოსა ბრძანებასა მონაჲ სარწმუნოჲ,  
 35 იტყუს მხიარულითა სულთა მბრძანებელისად: „ნუგეშინის-ცემათა

\* შტრ. იოან. 10,4. \*\* შტრ. ტიტ. 1,8-9. 3\* ებრ. 7,26.

შენთა ახარეს /სულსა ჩემსა<sup>ა</sup>. შენ ხარ ღმერთი ჩუენი, რამეთუ აბრაამმან არა მიცნა ჩუენ და არცა ისრაილ შემისწავლნა ჩუენ, არამედ შენ, უფალო მამაო ჩუენო, მიკსნენ ჩუენ, დასაბამითგან სახელი შენი ჩუენ ზედა არს<sup>ბ</sup>. „იყავნ ნებაჲ შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქუეყანასა ზედა<sup>ვ</sup>. გარნა „ნუ შემიყუანებ მე გან-საცდელსა<sup>დ</sup>, რათა „გან-სამე-უკუე-ვეარდე მტერთა ჩემთაგან ცული, მსდევნოს მტერმან ჩემმან სული ჩემი და ეწიოს, დაასთრგუნოს ქუეყანად ცხოვრებაჲ ჩემი და დიდებაჲ ჩემი მიწასა შინა და-იმკდროს<sup>ე</sup>. არარაჲ მაქუს კადრი, ვითარცა დაბადებულსა, აღმგებელისა მიმართ, რათა კუალად ვიტყოდე უფლისა ჩემი-სად, ვითარცა აბრაამ ორგზის და სამგზის და ოთხგზის და უმრავ-ლეს, გარნა ვიტყოდელა მისებრ, ვითარმედ: „ვიწყე სიტყუად უფ-ლისად, ხოლო მე ვარ მიწა და ნაცარ<sup>ვ</sup>, ანუ ვითარცა: „მო-სეჲ ვერკადრებისაგან უზენაეს ძალისა მისდა საგონისისა ბრძანე-ბასა საღმრთოსა ევლტოდა<sup>ზ</sup>, ანუ ვითარცა „ოთანე შემ-დგომად კადნიერებისა ესეგუარისა, რამეთუ ივლტოდა რა შეხები-საგან თავსა ზედა მიუახლებელისა ღუთაებითისა შანთისასა, ვერ-კადრებამან ერთ კერძომან მეორით კერძო კადნიერ კყო ბრძანები-სადმი საღმრთოჲსა<sup>ი</sup> ვერჩდე ბრძანებასა შენსა, ქუელისმოქმედო, ჩემდა. შენ კმართებდ, შენ განაგებდ სამწყოსოსა შენსა, შეკრე-ბულსა პატივოსნითა სისხლითა შენითა. შენი არს კმა ესე: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნებ<sup>ლ</sup>“<sup>ა</sup>.

ამათ შინა ქადაგი და მოწამე ჭეშმარიტებისა და ვნებული ქრისტესთვის მისრულ კაბზადუკიად ლე/ონტის მიერ, არხიეპისკო-პოსისა კესარიელისა, კრებით მღუდელმთავრობითითა კელისდას-ხმისა მოღებითა მიიმადლების და მოქცეულსა მუნით დიდსა მღი-ნარესა ეეფრატს წინა-მიეგებების მეფე ტირდატ მთავართა თუსთა და სპათა თანა. ხოლო სურვილსა აღავსებს მათსა მღუდელმთავარი და მოციქული ცხოვრებისა მათისა დიდი გრიგორი, რამეთუ აღ-მოშობს მათ წყლით და სულით დიდსა მას შინა მღინარესა.

ხოლო ასწავებს და წინა-დაუდებს ახალ განბანილთა მათ, „რომელთაცა ქრისტეს მიერ ნათელს-ვიღეთ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელს-ვიღეთ და თანადავეფლენით მას ნათლისღებითა მით სიკუდილისა მისისათა<sup>ბ</sup> და „ქრისტე შევიმოსეთ<sup>გ</sup>“, ვინა სათანადო არს, რათა ამიერითგან „შევიმოსოთ სიმართლე, ვი-თარცა ჯაჭუ-ჭური და გარე-მოვიდუათ თავის გარემო ჩაფხუტი

\* ფსალ. 93,17. \*\* შტრ. ისაია 63,16-17. 3° მატთ. 6,10. 4° მატთ. 6,13. 5° ფსალ. 7,4-5. 6° შტრ. შესაქ. 18,27. 7° შტრ. გამოს. 3,11. 8° შტრ. მატთ. 3,14. 9° 2 კორ. 12,9. 10° კრომ. 6,3. 11° გალატ. 3,27.

მაცხოვარებისა“\*, რამეთუ საღმრთოდაცა ესრეთ გუასწავებს მოციქული ჩუენ, შობილთა მეორედ: „ჩუენ ღლისანი ვართო ნაშობნი, განვიფრთხოთ, შევიმოსოთ ჯაჭუ იგი სარწმუნოებისა და სიყუარულისა და ჩაფხუტი იგი სასოებისა და ცხოვრებისა“\*\*.

- 5 ხოლო „ყოველსავე, რამსაცა იქმოდეთ სიტყუთ გინა საქმით, ყოველსავე სახელითა უფლისა იესუსითა კმადლობდით ღმერთსა და მამასა მის მიერ“<sup>3\*</sup>. „ნუ (ხუალთ) ვნებითა გულისთქმისათა, ვითარცა-იგი წარმართნი, რომელთა არა იციან ღმერთი“<sup>4\*</sup>, თანა-გაძსთ „არა გარდასლუად და მონაგარებად საქმესა ძმისა
- 10 თუსისასა, რამეთუ შურისმძიებელ არს ღმერთი ამათ ყოველ-  
335 თათს“<sup>5\*</sup>, „არამედ ესე არს ნებად ღმრთისა, სიწმიდე ეგე თქუენი განშორებად თქუენდა სიძვისაგან“<sup>6\*</sup>. „ნუ კბაძავთ ბოროტსა მას, არამედ კეთილსა, რამეთუ კეთილისმოქმედი ღმრთისაგან არს, ხოლო ბოროტისმოქმედსა არა უხილავს ღმერთი“<sup>7\*</sup>.
- 15 თქუენ უკუე, შეილნო, აჰა, ესეარა გიცნობიესთ გზად იგი სიმართლისა და განრინებულ ხართ შეგინებათაგან ამის სოფლისათა მეცნიერებითა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, გარნა თანა-გაძსთ, რათა არა მათვე კუალად აღერიენეთ და იძლიენეთ და იქმნას თქუენდა უკანასკნელი უძრეს პირუელისა, რათა
- 20 ნუსადა კსთქუას თქუენთს თავმან მოციქულთამან: „უმჯობეს იყო მათდა, ეცნავე თუმცა არა გზად იგი სიმართლისა ვიდრე ცნობასა და მართლუკუნ ქცევისა მოცემულისა მისგან მათდა წმიდისა მცნებისა“<sup>8\*</sup>. ეხეგუარითა ნუგეშინის-ცემითა და გამკაცრებითა ახარებდა და განაფრთხობდა გულებსა ახალ განბანილთასა კაცი
- 25 იგი სწორი ანგელოსთა.  
მიერთგან იწყო კეთილწესიერ განგებად ეკლესიისა ღმრთისა, რომელი ერწმუნა ყოველთა აღმაშენებელისაგან ღმრთისა“<sup>9\*</sup>. ემკაცრვოდა თავსაცა თუსსა, რამეთუ აქსოვდა მას: „ეკრძალე თავსა შენსა“<sup>10\*</sup>, მოიხვენებდა მოძღურებასა მოციქულისასა
- 30 მწყემსთადმი: „ეკრძალენითო თავთა თქუენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელსა-ეგე თქუენ სულმან წმიდამან დაგადგინნა მოლუაწედ და მწყსად ეკლესიასა უფლისა ღმრთისასა, რომელი მოიგოს სისხლითა თუსითა“<sup>11\*</sup>.

ახარებდა სახარებასა მაცხოვარებითსა ახალსა მას სამწყსოსა  
35 თუსსა „არა სიტყუთ ხოლო, არამედ ძალითაცა სულითა წმიდითა

\* შტრ. ისაია 59,17. \*\* თესაღ. 5,8. 3\* კოლას. 3,17. 4\* 1 თესაღ. 4,5. 5\* 1 თესაღ. 4,6. 6\* 1 თესაღ. 4,3. 7\* შტრ. 3 იოან. 1,11. 8\* 2 პეტ. 2,21. 9\* შტრ. ებრ. 3,4. 10\* ვალატ. 6,1. 11\* საქმე 20,28.

გულსავესებითა მრევლითა“\*, ხოლო „სახე /ექმნებოდა (მის მიერ) მორწმუნეთა მათ სიტყუთა, სლევითა, სიყუარულითა, სულითა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“\*\*. ხოლო იღვძებდა მარად მათთვის მათ- და ქადაგებად სიტყუასა „ზედა მდგომარე ეამითი-უეჰოდ მხილუ- ბად, შერისხუად და ნუგეშინის-ცემად ყოვლითა სულგრძელებითა და მოძღურებითა“3\*, რომლითა „ყოველსა შინა ძქრსა იხილვიდა საქმეთა მახარებლობითა მოქმედებითა და ესრეთ მსახურებასა თვსსა სრულ ჰყოფდა კეთილად“4\*.

ხოლო განმსჯელმან კეთილწესიერ გამოირჩინა ხუცებად და მსახურად ეკკლესიათა ღირსნი, დაასხნა კელნი, დაადგინა ესენი ეკკლესიათა შინა განგებად საქმეთა საეკკლესიოთა და ესრეთ სამწყსომ თვისი განაგო მოციქულებრ.

„არა უღებ-ჰყო მადლი იგი, რომელიცა შოილო წინასწარ- მეტყუელებითა“5\* რამეთუ ყოფათათეს იტყოდა, ვითარცა აწ მდგომარეთათეს საქმეთა მოწაფე ესე და ზიარი და მობაძაეი პაე- ლესი, ვითარცა-იგი ქრისტესი და ესრეთ „ბრძენი მსაჯული მსწავლიდა ერსა თვსსა“6\* კეთილმსახურებით, მეცნიერებით, სიბრძნით და კეთილგონიერებით.

ხოლო შემდგომად წარმართებისა მლუდელთმთავრობითისა სა- ჭეთაჰრობისა მოსიბრძნა დაბეჭდულად სათნოებათა სიბრძნით მოქ- მედმან სათნოებათამან, რამეთუ ძესა თვსსა არისტაქოსს არწმუნა „ეკკლესიაჲ უფლისა ღმრთისა, მოგებული სისხლითა თვისითა“7\* და თავადი განვიდა უდაბნოდ. ხოლო უდაბნოჲს მო- ყუარებითმან სურვილმან მიუღგა/ და ქშუა სულსა მისსა შორის ესეგუარი შემძლებელ-ყოფად ქმნად უადრესთა ძალისათა, რომე- ლიცა უძლიერესად მსჩანს უაღლესულეს „ისართაგან ძლიერისათა და ნაკუერცხალთაგან ოჭრებისათა“8\*, „რომლისა ძალი მისი წელთა მისთა და ძლიერებაჲ მისი უპესა მუცლისასა“9\*, რომელი შეწურვით აღიღებს საშუალსა თვსსა და კულსა გესლიანსა და მუცლითა მცორულალებს თავისუფლად, სადაცა არ დაეკუეთე- ბის წინააღმდგომი და „აღმართებს კულსა მისსა, ვითარცა საროსა“10\*. ხოლო „ვერ აგრძნობს წყლით რლუნისა მოსაეი თავისა თვისისა და თუ სადამე მიჰმართოს იორდანემან შთაწრედასა, აზმ- ნობს თუალსა შინა თვსსა“11\*. „მოითრევს კულითა მესამედსა

\* 1 თესალ. 1,5. \*\* 1 ტიმოთ. 4,12. 3\* შტრ. 2 ტიმოთ. 4,2. 4\* შტრ. 2 ტიმოთ. 4,5. 5\* შტრ. 1 ტიმოთ. 4,14. 6\* ზირაქ. 10,1. 7\* შტრ. საქმე 20,28. 8\* შტრ. ფსალ. 119,4. 9\* შტრ. იობ. 40,11. 10\* იობ 40,12. 11\* შტრ. იობ 40,18-19.

ვარსკულავსა ცისასა\*\*; შეკბერავს და აკუდინებს იქედნებრი-  
თა გესლითა თუსითა მათ, რომელთაცა შეწვენამ მალლით არა  
მოურთხამსთ. ესეგუარი უკუე მკეცი ესრეთ აღაოკრებს მკვდრო-  
ბასა და მდგომარეობასა ცხოველთასა და უდაბნო ჰყოფს მკვდრო-

5 ბასა გულმკმებელთასა. ხოლო დაუტევებს ნაკუერცხალთა მძაფრ-  
თა შემწულთა ოკრებულთა მათ შორის, რათა ნუსადა მკვდრო-  
ბამ მოიგონ კაცთა.

გარნა გრიგორი, განსრულმან უდაბნოდ, „მოითრია მკეცი იგი  
სამჭედურითა (მით, რომელი მოილო უფლისაგან) და განუყარა

V 10 ხარტუკი ნიღრსა მისსა და აღმოაცუა გრკალი ნიჩურსა მისსა და

გრგოლითა განუხურიტა ბაგეა მისი\*\*\*. ესრეთ /ჰსდევდა გრი-  
გორი მკეცსა მას ძლიერსა, არა ეშინოდა მისგან, სიბრძნისა მიერ;  
იცოდა, რამეთუ ზეცით გარდამოვარდა იგი, შეიყუარა ესრეთ გრი-  
გორი უფალი ღმერთი თუსი და უფალმანცა მისმან შეიყუარა იგი.

15 შექსწირა თავი თუსი უფალსა, სიყრმითგან იხარბა მოსაგებელი შე-  
წირვისათუს თავისა თუსისა, გარნა ვიხილოთ სიჭარბეცა სასყი-  
დელისა. მოვიდა ღმერთი, მამა და ძე და სული წმიდაა და დაემ-  
კვდრა მის შორის, ვინა შემძლებელ იქმნა ამით ყოველთავე მსა-  
ხურებათა აღსრულებად, ესე იგი ახარებდა სასუფეველსა ღმრთი-

20 სასა, აღიარა და ჰსწამდა ჭეშმარიტებამ, რომლისათუს იენო და  
გარეგან არსებისა ჯორციელისა დაითმინა ენებანი. განანათლნა  
ერნი დაბნელებულნი ნათლითა ჭეშმარიტითა, ეშუნი და მკეცნი  
ველურნი და მადნართანი მოიყუანნა მდგომარეობად კაცობრივად  
ლოცვისა მიერ უბიწოვსა, ნათლისმცემელ ექმნა სახელითა მამისა-

25 თა და ძისათა და სულისა წმიდისათა ყოველსა სომხეთსა, მახარე-  
ბელ მათდა სახარებისა ქრისტესისა. მწყსიდა ეკლესიასა ღმერთ-  
ქმნილი ეშმაკთა ზედა, მიართუა ღმერთსა სული ყოვლად უმანკოდ  
უზადოსა მღუდელობითთა საიდუმლოთა მღუდელმოქმედი, „აღ-  
ვიდა მთადმი უფლისა“3\* სიმაღლედ უსრულესისა მღუდელობისად

30 და „დადგა ადგილსა წმიდასა მისსა უბრალო კელითა და წმიდა გუ-  
ლითა“4\*. ხოლო უდაბნოსა შინა განსუენებად იჯმნა და მოიცალა,

337 რათა მხოლოდ მხოლოსა შექ/ტრფოდესმცა და სული ხატი ღმრთი-  
სა მხოლოდ ყოფასა შინა ჯორციელებრსა, რათა მსჯულიერ იშუ-  
ებდესმცა საქმეთა ზედა უფლისათა და მსჯულიერი გარე-მიექცე-

35 ვოდესმცა გრძობადლთა გარემისაქცეველთა.

\* აოკოლ. 12,4. \*\* შღრ. იობ 10,20-21. 3\* შღრ. ფსალ. 23,3. 4\* ფსალ. 23,3.

ესრეთ უკუე მფილოსოფოსობი სხუა აბრაამ იქმნა „განსრული მამეულისაგან შედგომილებისა“<sup>1</sup>, რომლისათვის „მამად მრავალთა ნათესაეთა იქმნა“<sup>2</sup>; ვითარცა „ისაჲ, ძე აღთქმისა, რომლითა განმრავლდენ ძეობილნი ღმერთმთავრისა მაჰისანი“<sup>3</sup>; სხუა „იაკობ ორთა მეუღლეთა დამწინდებელი შრომით, ესე იგი ხედუთისა და საქმიითისა სიბრძნისმოყუარებისა“<sup>4</sup>; „იოსებ, მაგალით და მოძღუარ მთელცნობობისა<sup>1</sup> და განმყოფელ ერთად სულიერისა იფიქლისა“<sup>5</sup>; „მოსე, ღმრთისმხილუელი და თანაგანმზრახ და დამდებელ ჰჯულისა მოციქულისა ახლისა აღთქმიითისა უფლისაგან“<sup>6</sup>, ხოლო წინამძღუარ ერისა ახლისა იზრაიელტათასა და ღმერთქმნილ გულფიცხელისა ზედა მეფესა და ერსა გულმყარსა; აპრონ და ფინეზ მღუდელ უფლისა რჩეულ და „ისო შემყუანებელ ერისა, არათუ ქუეყანას შინა კელით შესახებელსა, გამომადენსა სძინა და თაფლისასა“<sup>7</sup>, „არამედ მათსა სიონსა და ქალაქსა ღმრთისა ცხოველისასა იეროსალიმსა ზეცისასა და ბევრეულსა ანგელოსთა კრებულსა და ეკკლესიასა პირმშოთასა, აღწერილსა ცათა შინა ღმრთისა და მსაჯულისა ყოველთასა და სულებისა მართალთა მათ აღსრულებულთასა და ჰსჯულისა მის ახ/ლსა შუამდგომელისა იესუსა<sup>2</sup> და სისხლითა ჰკურებისა უმჯობესსა თქმულისა მას აბელის მიერ“<sup>8</sup>. „იობ, დამთმნელ განსაცდელთა მრავალთა უფლისათვის, რომლისა აკურთხა უფალმან უკანასკნელი უფროს, ვიდრეღა პირუელი“<sup>9</sup>.

„გედეონ, მომსრუელ მაღიამისა, უკორცომაა მძლე, აღნთებითა<sup>3</sup> ლამპრისათა, რამეთუ აღანთო ამან ნათლად მესამედ შექმნილი იგი სული თუხი პირუელისადმი ნათლისა ტრფიალებითითა ცეცხლითა და დაბერვითა ნესტუსა სულისასა“<sup>10</sup>. ხოლო შემუსრუთა კეცისჭურისათა და მახვლისა მიერ უფლისა „სამოილ, მსაჯულ და განმგებელ ერისა ღმრთისა, არარამემსა მიმხუეჰელ ერისაგან, არამედ და-ცა-მდებელ სულისა მათთვის“<sup>11</sup>; „დავით, სამწყემსოთა საჭურუელითა დამცემელ უხილაიენა გოლიათისა“<sup>12</sup>; „ნათან, კანნიერებით მამხილებელ მეფეთა“<sup>13</sup>; „ილია, კანნიერ ღმრთისა მიმართ, განწმედითა სულისათა შეშურვებულ სულითა უფლისათვის ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისა, მხილუელ უფლისა

1 მრთელცნობისა A. 2 იუასა B. 3 აღნთებითა აღნთებითა B.

\* შტრ. შესაქ. 12,1. \*\* შტრ. შესაქ. 18,18. 3° შტრ. შესაქ. 21,12-13. 4° შტრ. შესაქ. 29,16-30. 5° შტრ. შესაქ. 41,50. 6° შტრ. გამოს. 14,2. 7° შტრ. ისო ნავე 1,2. 8° ებრ. 12,22-24. 9° შტრ. იობ 42,12. 10° შტრ. მსაჯ. 7,20. 11° შტრ. 1 მეფე 12,3. 12° შტრ. 1 მეფ. 17,49. 13° შტრ. 2 მეფ. 12,7.

და უდაბნოსმოყუარე“; „ელისე, უფროს ილიამსა მომღებელ მად-  
ლისა, ესე იგი მადლთა მრჩობლთარე, ესე არს ესე მადლთა წი-  
ნასწარმეტყუელებითისა და მოციქულებითისა“<sup>50</sup>.

- ისაია, განწმედილ სრულიად შეხებითა ყოვლად წმიდათა მათ  
5 ბაგეთა საღმრთოსა მის ნაკუერცხალისათა, რომელ არს ზიარები-  
თა ღირსად თეთ შემწირუელი საღმრთოსა ევხარისტისათა“<sup>3</sup>;  
„იერემია, განწმედილი პირუელითგან და წინასწარმეტყუელად  
338 ნათესავთა დადებულ /უფლისაგან“<sup>4</sup>. „ეზიკიელ, მხილუელ დიდთა  
საიდუმლოთა“<sup>5</sup>; „დანიილ, უფლისათუს ღმრთისა შთაგდებულ  
10 მღუმელ შორის მკეცთა, რომელთაგან აღმოსრულ შეუხებულად“<sup>6</sup>;  
„ანანია, მისაილ და აზარია, მფოფინარისა მისგან განმდნარისა  
ტყევისა განჩინებულ, ვითარცა იგინი ცეცხლისაგან“<sup>7</sup>;

„იონა, განსაცდელისაგან გამოსრულ უვნებულად და ერისა  
მიმართ შეცოდებულისა წინასწარმეტყუელ და მოციქულ, ვითარ-  
15 ცა-იგი მათდა წინასწარმეტყუელ“<sup>8</sup>.

„იოანე, უდაბნოს მოყუარე, მახარობელ ერისა სასუფეველისა  
ღმრთისა და ნათლისმცემელ მათდა და მოწამე ჰეშმარიტები-  
სა“<sup>9</sup> და „სულითა და ძალითა ილიასითა“<sup>10</sup> განსრულ.

პეტრე მკურნალედ მოყუარე უფლისა მიმართ, რომლითა  
20 „აღმსარებელ მისა ძედ ღმრთისა ცხოველისა კელმწიფებისა  
შეკრუთისა და განკსნითისა მომღებელ“<sup>11</sup> და „მამოებულად  
ცხოვართა ღმრთისათა განჩინებულ“<sup>12</sup>; იოანე, ყოვლად შეყუ-  
არებულ ნამდულ სატრფიალომსაგან და ყოვლად საყუარელისა,  
ხოლო მებრვე არწიე აღფრენილ ვონებითა უზადომსა მიმართ მზი-

25 სა სიმართლისა და მით გამომთქმელ „უადრეს და უზესთაეს გო-  
ნებისა ნამდულ გამოუთქმელთა მათ და მალალთა საიდუმლო-  
თა“<sup>13</sup>; „პავლე, ჰურ რჩეულ“<sup>14</sup>, „აღტაცებულ ვიღრე მესამედ  
ცადმდე, გინათუ კორცითა, გინათუ გარეშე კორცთასა, რომელიცა  
უწყის ღმერთმან მხოლომან“<sup>15</sup>, უთქმელთა მათ მსმენელ, საიდუმ-

- 30 ლოთა ყოვლად განბრძნობილ, „არათუ კაცთაგან შოლებითა და  
V სწავებითა, არამედ გამოცხადებითა/ (მის შორის) იესუ ქრისტე-  
სითა“<sup>16</sup>, რომლითა მახარებელ წარმართთა, რათა „არა ცალიერ  
იყოს ჯუარო იგი ქრისტესი“<sup>17</sup>.

<sup>1</sup> განწმედილ B.

\* შღრ. 3 მეფ. 14-15. \*\* შღრ. 4 მეფ. 2,10-15. 3\* შღრ. ისაია 6,7. 4\* შღრ. იერემ. 1,5. 5\* შღრ. ეზეკ. 1,4. 6\* შღრ. დანიილ 6,22. 7\* შღრ. დანიილ 3,50. 8\* შღრ. იონა 3 და 4. 9\* შღრ. მატთ. 3,1-2. 10\* ლუკა 1,17. 11\* შღრ. მატთ. 16,16-19. 12\* შღრ. იოან. 21,16. 13\* შღრ. 1 იოან. 1,1. 14\* შღრ. საქმე 9,15. 15\* შღრ. 2 კორ. 12,2-3. 16\* შღრ. ვალატ. 1,12. 17\* 1 კორინ. 1,17.

ესეგუარი ვიდრემე არს აწინდელი ესე საგალობელი ჩემი, ესევეითარი არს მოციქული ესე ბარბაროსთად მოწამე სიმართლისა, დიდი იგი აღმსარებელი ჭეშმარიტებისა და მიმადლებული წინასწარმეტყუელთა თანა, მხსარებელი ცხოვრებისა კურნებათა უაღრეს ბუნებისათა, წყარო ბეჭედი ჭეშმარიტებისა, ღმრთისმეტყუელებისა უმანკობისა მაგალითი, დიდი მზე საღმრთო მსა მეცნიერებისა, სარკე ყოვლისა კრძალულებისა, სავსება მწყემსობითისა ჭეშმარიტებრ განკმსჯელობისა, ანგელი კორცთა შინა, კანონი მმარხუელობისა და უღაბნოსოყუარებითისა ცხოვრებისა, წესი უბიწოებისა და მრთელცნობობისა და დაბეჭდულა ყოვლისა საღმრთო- 10 მსა სათნოებისა.

დალათუ განგრძელდა უკუე სიტყუად ჩემი, მაგრა ჰყო ესე უმწუერულესმან სიმალემან და სიღრმემან კაცისა მის ღმრთისა სათნოებათამან, გარნა აწ დასასრულისა მიმართ სიტყუათა ჩუენთასა მივიდეთ და ეკსთქუათ: მარადის მღვდარე უფლისა მიმართ 15 და უფლისათეს მყოფი უღაბნოსა შინა მღუდელთმთავარი ქრისტესი, დიდი იგი გოდოლი ღმრთისმსახურებისა მიიკუალა ქუეყანისაგან ზეცად და უმჯობეს არს და უჭეშმარიტეს თქმად ესე: განიბერტყნა განხრწნადნი მტუერნი ყოვლად წმიდამან მან ღმრთის-სახემან არსებამან და „აღიტაცა ეტლითა ცეცხლისათა“\*, ესე 20 იგი ანგელოსთაგან, რომელნიცა შექქმნა /ღმერთმან ალაღ ცეცხლისა\*\* და დადგა კადნიერებით ცხოველთშემოქმედისა წინაშე 339 სამებისა. ესე არს ესე, სული იგი ნეტარი მიიწია მუნ, სადა-იგი არს კადრი უმწუერულესი ყოვლად წმიდა უსაშუალოთა საყდართა, სადა — უზესთაესი გონებისა კაცობრივისა მღუდელმთავრობითი შემწირუელობა ძალთა, სადა — მსახურებითი მღვომარეობა მთავრობათა, სადა — საყდარი მოციქულთა, სადა — გვრჯუნოსნება წინასწარმეტყუელთა, სადა — მიმკსგავსება ღმრთისა მწყემსთა და მოძლუართა, სადა — საეკებით მიღება ჯილდომსა და მტერთა მძლეობითი ქრისტეს ზიარება მოწამეთა, სადა — ეთილწესიერება 30 და ღმრთისადმი შეერთებულება ღირსთა და ქალწულთა და სადა — განათლებულება მართალთა.

ესე არს სიტყუანი ჩემნი შენდამი, თავო ყოვლად სამღუდელო და საწადელო, აღმსარებელო და მოწამეო ჭეშმარიტებისაო, ყოვლად მეცნიერო და უმანკო, დალათუ არ შესაბამ შენისა მის ღმრთის სახეობითისა ღმრთიე შეუნიერებითისა სიწმიდისა, გარნა რამცა მაქუნდა იგი სურვილით შენდამი შეწირულ, მიირთუ სიტ-

\* შტრ. 4 მეფე. 2.11. \*\* შტრ. ფსალ. 103,5.



- ყუანი ესე უნდონი და „წულილნი, ვითარცა მოძღუარმან შენმან შენაწირნი იგი ქუროვისანი, ჭეშმარიტად ყოვლისაგან კეთილობისა დაცალიერებულისა და დაქუროიერებულისაგან სულისა“\*, რომელნიცა ეპყუნენ შემასრულებელად ოცრიცხუედთა სიტყუათა /ჩემთა,
- 5 გარნა უფროსდა ბეჭდად მარტურიაჲსა ჩემისა.
- ჭეშმარიტად ოცთა ამას სიტყუათა შინა ჩემთა ვერარაჲმე ღირსი ვჰქმენ და შესაბამი სურვილისა მარტულთმოყუარებითისა, გარნა (კადნიერად ეკსთქუა) ესეოდენ, რამეთუ მარტულთმოყუარებთნი საგალობონი ათცხრამეტნი სიტყუანი ჩემნი შენდაჲმი გა-
- 10 ლობითა და ქებითა შეეაოცენ და სიტყუანი იგი ჩემნი ზემომღებარენი შენდაჲმი გალობითა და ქებითა დაეკბეჭდენ და მივართუ ესე ყოვლად უბიწოსა ხედუთ და საქმით (ესე იგი საწმუნოებით და საქმით) ზემომასა საქართუელოჲსა ეკკლესიასა.
- შენ უკუე, მოციქულო და მოწამეო ქრისტესო, მწყემსო ჭეშ-
- 15 მარტიო, მოძღუარო და მამაო, ანტონის ყოვლად გლახაკსა და უღებსა ყოვლად ურცხუენელითა მით და განწმედილითა ღმრთისადმი შუამდგომელობითა და ოხითა შენითა მომეც მშუდობაჲ სულიერი, ზოლო კსნაჲ და თავისუფლებაჲ ცოდვათაგან.
- „მხოლოსა ბრძენსა ღმერთსა, მაიხოვარსა ჩუენსა დიდება და
- 20 სიზიდირე, სიმტკიცე და კელმწიფება უწინარეს ყოველთა საუკუნეთა და აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“\*.

340 /პინაქს-სიტყუაობაჲ წიგნისა მარტიორიაჲსა ოცრიცხუედთა სიტყუათა

	სიტყუა	ფურცელი
25	1. წმიდისა ქეთევანისთჲს <sup>1</sup>	1
	2. წმიდისა ლუარსაბისთჲს	39
	3. წმიდისა არჩილისთჲს	90
	4. წმიდისა შუშანიკისთჲს	120
	5. წმიდისა აბიბოსთჲს	154
30	6. წმიდისა ნეოფიტესთჲს	178
	7. წმიდისა რაჟდენისთჲს	204

<sup>1</sup> ქეთევანისთჲს A.

\* შლრ. ლუკა 21,2. \*\* იულა 1,25.

8. წმიდათა ღავეთ და კოსტანტინესტუს	234
9. წმიდათა ბიძინასტუს და ერისთავთა	260
10. მოწამეთათს გარესჯისათა	294
11. წმიდისა ეესტათისტუს	324
12. წმიდისა აბოსტუს	359 5
13. წმიდათა ათთა ბეერთათს	390
14. წმიდისა კოსტანტინესტუს	420
15. წმიდისა ვობრონისტუს	448
16. წმიდისა შალუასტუს	482
17. წმიდათა ვნებულთა მონასტერსა შინა ქუაბთაკევს	10 510
18. წმიდათა სუქიეთათს	546
19. წმიდათა ისაკ და იოსებისტუს	566
20. წმიდისა გრიგორისტუს	594

აღიწერა წიგნი ესე, რომელა მარტირია, მოწამეთა ქართუ-15 ო  
ულთა შესხმა და მოთხრობა, ბრძანებითა მისისა ყოვლად უწმიდე-  
სობისა ყოვლისა ზემოდასა საქართუელთა მამათმთავრისა ანტონი  
მეფის ძისათა, გამოთქმული მის მიერვე, რომლისა საუკუნო იყავნ  
პქსენება, ჩემ მიერ ყოვლად გლახაკისა ტფილისის ქალაქ სიონის  
ეკკლესიის პროტოპრეზვიტერის ნიკოლაოსის მიერ, რომელი მო- 20  
ქენე ვარ მხილულთად ცთომილთასა შენდობის მოცემასა წელსა  
1769 ნოემბერს 28 დღესა\*.

\* ანდერძი A (Q-78) ნუსხიდან.

## ანტონ ბაგრატიონი და მისი „მარტირიკა“

„მარტირიკის“ ზოგადი მიმოხილვა ანტონის ლიტერატურული მოღვაწეობის ფონზე

გვიანფეოდალური ქართული მწერლობის ისტორიაში ანტონ ბაგრატიონს (ანტონ პირველს, კათალიკოსს) განუზომლად დიდი როლი მიეკუთვნება. აკად. კ. კეკელიძის სამართლიანი თქმით, „მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონი კათალიკოსის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში“<sup>1</sup>.

ანტონ ბაგრატიონის შემოქმედება მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, თავისუფლად შეიძლება ითქვას, ჯერჯერობით არც ერთი ძეგლი არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი. ყველა მკვლევარი აკად. კ. კეკელიძის ზოგადად მოხაზული, თავისთავად მართალი, სქემის ფარგლებში ტრიალებს და მხოლოდ ზოგიერთი კონკრეტული ფაქტის დაზუსტებას იძლევა. ინტერესი ანტონის შემოქმედებისადმი იზრდება. დაისტამბა მისი „წყობილსიტყვაობა“<sup>2</sup>, პირადი ეპისტოლეები<sup>3</sup>. დღეს ქვეყნდება კიდევ ერთი ძეგლი ანტონის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან.

„მარტირიკა“ ანტონის ჰაგიოგრაფიულ-მხატვრულ თხზულებათა კრებულაა. იგი ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულების ისტორიაში რიგით მესამე რედაქციაა.

ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის პირველი რედაქცია შედგა დავით გარეჯის მონასტრის ლიტერატურულ სკოლაში და იგი უკავშირდება დომენტი კათალიკოსის სახელს<sup>4</sup>. დომენტის ე. წ.

1. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951 წ. გვ. 358.

2. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, რ. ბარამიძის რედაქციით, 1972.

3. მ. ქავთარია, XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977; ანტონის „მზამეტყველება“, „გრამატიკა“, „წყობილსიტყვაობა“ (პირველი გამოცემა) ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაისტამბა.

4. ელ. მეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი, დაბეჭდილია: პუშკინის სახ. პედიმსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950, გვ. 415—420.

შავი სამუშაო შესრულებული დახვდა. ჯერ კიდევ 1699 წელს ონოფრე მაჭუტაძის ხელმძღვანელობით დაიწყო ამგვარი სამუშაო. მაგრამ დომენტიმ ონოფრეს გეგმა გაათართოვა, რამდენადმე სხვა მიზანდასახულება მისცა კრებულს. დომენტის კრებული 1713 წელს გადაუწერია ამავე უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის შონასტრის განსწავლულ ბერს გაბრიელ საგინაშვილს. დღეს ეს ხელნაწერი წიგნი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში ნომრით A—130. დომენტი კათალიკოსის კრებულში შეტანილი იყო 21 თხზულება ქართულ მოწამეთა შესახებ. ზოგიერთი მოღვაწის შესახებ კრებულში ვრცელი ჰაგიოგრაფიული თხზულება იყო წარმოდგენილი, ხოლო ზგიერთის შესახებ კი მოკლე. ეს არაერთგვარობა ყველასათვის ცხადი იყო, ამიტომ კრებულის შევსება-გაერთობის პრობლემა იმთავითვე წამოიჭრა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა იმავე მონასტრის გამოჩენილმა მწიგნობარმა, შემდეგში ქართლის ეკლესიის მამამთავარმა, ბესარიონ ორბელიშვილმა, რომლის საქმიანობა ყველაზე პირველად დაახასიათა ანტონ კათალიკოსმა „წყობილსიტყვაობაში“:

„ქართულთ წმიდათა მოთხრობა-ისტორია  
მახსოვან, რომელ საწად იყო მასმენელთა“.

ბესარიონ ორბელიშვილმა შეავსო დომენტი კათალიკოსის შრომა და მოგვცა XVIII საუკუნის 20-იან წლებში ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის მეორე რედაქცია (S—3269). დასახელებულ კრებულებში მხოლოდ მხატვრული (ჰაგიოგრაფიული) პროზის ნიმუშები არ იყო გაერთიანებული. მასში პოეტური (ჰიმნოგრაფიული) ნიმუშებიც (კანონებიც) იყო წარმოდგენილი.

ქართული ჰაგიოგრაფიული კრებულის მესამე რედაქციის ავტორია ანტონ კათალიკოსი, რომლის შრომა თავისი აგების პრინციპით და დანიშნულებითაც განსხვავდება წინა ორი კრებულისაგან, თუმცაღა ავტორი ითვალისწინებს მათი შექმნისა და გაფორმების ტრადიციას, ამავე დროს ჭარბად ესეიხება კიდევაც შათ როგორც წყაროს. მაგრამ ანტონმა „მარტირიკას“ შიანც განახვავებული მიზანდასახულება მისცა. თუ წინა კრებულებს ლიტურგიკული დანიშნულებაც ჰქონდა, „მარტირიკას“ ეს ფუნქცია მთლიანად მოხსნილი აქვს. იგი ლიტურგიკული მიზნებისათვის შედგენილი კრებული არ არის და ამიტომაც ჰიმნოგრაფიული ელემენტის საკითხიც სხვანაირადაა გადაწყვეტილი.

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ ქართული სასულიერო მწერლობის ზოგიერთი დარგი აშკარად ჩამორჩა საერთო

ქართული მწერლობის განვითარების ტემპებს. ამას თავისი ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა და გარკვეულად ეპოქის „ბრალიც“ იყო. ეს ჩამორჩენა განსაკუთრებით დაეტყო პაგიოგრაფიულ ჟანრს. ბესარიონ ორბელიშვილის შემდეგ (XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) ფაქტიურად თითქმის არც ერთ ქართველ მწერალს არ უმუშავია პაგიოგრაფიაში, მაშინ როდესაც მეზობელ ქვეყნებში ახლებურად ხდებოდა სწორედ ამ უზნის დამუშავება, გააზრება და წარმოჩენა. გაითვალისწინა რა შექმნილი მდგომარეობა, ანტონმა ჩვენი მწერლობის ამ რგოლის გამოცოცხლება სცადა, მით უმეტეს, რომ მას აღრევე, ჭაბუკობაშივე მოუწოდებდნენ ამ საქმისაკენ. აკი თვით წერს: „მრავალგზის ვედრებით მაწუა მე ქმნად ისტორიამ ყოვლად დიდებულთა ლუაწლთა წმიდისა დედოფლისა ქეთევანისითა, დედისდამან ჩემმან, მეფისა ირაკლი პირველისა ასულმან, ღირსმან ენკრატისმან მაკრინა, მაგრა ნიადაგ ურჩ ვექმნენ...“

ანტონ პირველის საქმიანობა პაგიოგრაფიულ ჟანრში იყო ქართველ მწერალთა (შეიძლება ითქვას, კლერიკალთაც) უკანასკნელი სერიოზული გაბრძოლება, რომელმაც კვალი გვიანფოდალური საქართველოს კულტურულ ცხოვრებას მხოლოდ იმიტომ დაამჩნია, რომ მისი ავტორ-რედაქტორი იყო დიდი ნიჭისა და შემოქმედებითი ენერჯის კაცი. ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის ისტორია ფაქტიურად ანტონის „მარტირიათ“ თავდება. მართალია, რამდენადმე მოგვიანებით, 90-იან წლებში გაბრიელ მცირემ სცადა შეექმნა და შექმნა კიდევ რამდენიმე პაგიოგრაფიული თხზულება, მაგრამ მისი წვლილი იმდენად მორიდებული და უმნიშვნელოა, რომ მასზე საგანგებო ყურადღების გამახვილება ამ ასპექტში არ ღირს.

ანტონი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი იყო. იგი კარგად ხედავდა ქართული მწიგნობრობის მდგომარეობას XVIII საუკ. 50-იან წლებში. ამიტომ ყოველნაირად შეეცადა მის გააქტიურებას, სხვა ხალხების მწერლობასთან დაახლოებას და კულტურულ საურთიერთო კონტაქტების დამყარებას. პირველ ეტაპზე ანტონის ყურადღება სომხური ფილოსოფიური და გრამატიკული ძეგლებისადმი იყო მიმართული. მან და მისმა ჯგუფმა ამ დროს სომხურიდან გადმოიღეს რამდენიმე ფრიად საყურადღებო თხზულება. რუსეთში იძულებითმა ყოფნამ, რომელმაც ობიექტურად დიდი გავლენა იქონია მის მსოფლმხედველობაზე, განწყობილებაზე და საერთოდ ინტელექტუალურ ცხოვრებაზე, შეცვალა ბევრი მისი წინასწარი აზრი და დასკვნა. და, რაც მთავარია, შეცვალა მისი დამოკიდებულება სომხური მწერლობისადმი. მან ახლებურად გაიაზრა

ქართული კულტურის განვითარების მომავალი: მიმდინარე მშობლიური ლიტერატურის განვითარების ერთდერტი გზა მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის კულტურასთან კავშირში ისახებოდა. ევროპული და რუსული განმანათლებლობა აღმოჩნდა ანტონისათვის ის საყრდენი<sup>5</sup>, რომლის მომარჯვებით მთელი რეფორმა უნდა ჩაეტარებინა კულტურულ ცხოვრებაში. ამავე დროს, უნდა შეენარჩუნებინა ქართული მწიგნობრობის ტრადიცია, ლიტერატურისათვის დამახასიათებელი განწყობილებანი და ეროვნული კოლორიტი. ეს საჭირო და აუცილებელი იყო, ყველაფერს თავი რომ დაეანებოთ, თუნდაც იმიტომ, რომ იგი, რუსეთის ექსორიობიდან დაბრუნებული, თავისი სიახლეებით კვლავ არ აღმოჩენილიყო რეპრესიების ქვეშ, არ გამხდარიყო ორთოდოქს-კონსერვატორ კლერიკალთა შეტყვის ობიექტად<sup>6</sup> და იმიტომაც, რომ რუსულ-ევროპულ კულტურულ ტალღას უნდა მოემზადებინა საზოგადოება თვისობრივად ახალი გარდაქმნებისათვის ცხოვრების ყოველ სფეროში.

ანტონის „მარტიოკა“ ფართოდ მოფიქრებული პაგიოგრაფიული კრებულია, რომლის ყოველი თხზულება მხატვრული პროზის ნიმუშია და თითოეულ მათგანს ისტორიული „გამოკვლევის“ პრეტენზია აქვს. მართალია, ყოველი თხზულება მარტიოლოგიური ხაზითაა, მეტაფრასტული ჟანრის ელემენტებიც მოჭარბებულია ძეგლებში, მაგრამ იგი ქართული მხატვრული პროზის ძირითადი ტენდენციების მიხედვითაც არის დაწერილი. „მარტიოკით“ ანტონი რამდენიმე ძირითადი პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდა. XVIII საუკ. 50—60-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში აშკარად შეიმჩნევა საერო მწერლობის განვითარების ტემპების ერთგვარი შენელება, განსაკუთრებით კი მხატვრული პროზისა. ფაქტიურად ამ პერიოდში არც ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული საერო თხზულება არ იქმნება ქართულად არც პროზაში, არც პოეზიაში. ერთგვარად გაწყდა ქართული პროზის განვითარების გენერალური ხაზი: დაეით გურამიშვილისა და ემიგრანტული პოეზიის გავლენა მხატვრულ ლიტერატურაზე, აზროვნებაზე იმ დროისათვის თითქმის გამორიცხულია. ბესიკი ჯერ არც გამოხულა ლიტერატურულ ასპარეზზე და თავისი პოეზიით ახალი ძალა, ენერჯია

5 P. P. Орбели, Некоторые вопросы истории грузинского просвещения XVIII века, დაბეჯილია. История, культура, язык народов Востока. Москва-Ленинград, 1970, № 109—115.

6. ზაქარია ვაბაშვილი სწორედ ამ პერიოდში აქტიურად იბრძოდა რუსეთში ანტონის დასამზობად. ცდილობდა რუსეთის სინოდის ამხედრებას ანტონის საწინააღმდეგოდ.

და სიცოცხლე არ მიუნიჭებია ქართულ, მხატვრული სიტყვისათვის. საერო ლიტერატურაში ერთგვარად სიცარიელე გაჩნდა. აქტიური შემოქმედი, რომელიც საერო მწერლობის წინამძღოლობას იკისრებდა და სულხან-საბაძე, ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ისა და სხვათა შემოქმედების გენერალურ ხაზს გააგრძელებდა, 50—60-იან წლებში არენაზე არ იყო<sup>7</sup>. ამიტომ ანტონის წყალობით რამდენამდე გამოცოცხლდა და გააქტიურდა, ერთი მხრივ, სასულიერო, ფილოსოფიური, ღვთაებატიკურ-გრამატიკული დარგები ჩვენი მწიგნობრობისა, მეორე მხრივ, მხატვრული პროზაც, ოღონდ პაგიოგრაფიული ჟანრისა. ამ პოზიციებიდან ანტონის „მარტირია“ ამ პერიოდის მხატვრული პროზის ერთადერთი ძეგლია. მიუხედავად ამისა, ანტონი თვითვე კარგად გრძნობს, რომ პაგიოგრაფიისათვის უკვე აღარ იყო ნიადაგი და ამიტომ მან მწიგნობარ-ლიტერატორ შემოქმედთა ძალები ზემოთ ჩამოთვლილი დარგების გააქტიურებისაკენ წარმართა და შეეცადა ყოველი საკითხავის მხატვრული მხარე პროზის დონის მიხედვით შეექმნა, რომ იგი მხოლოდ პაგიოგრაფიის საღატეებით არ ყოფილიყო შებოჭილი.

„მარტირია“ ფართოდ მოფიქრებული ერთი დიდი სამუშაოს ნაწილია. იგი ორგანულადაა დაკავშირებული ანტონის ლიტურგიკული ხასიათის წიგნთან „სადღესასწაულოსთან“ და ქართული კულტურის ისტორიის პირველ ცდასთან—„წყობილსიტყვაობასთან“. სამივე წიგნში, შრომის სპეციფიკისგან გამომდინარე თავისებურების გარდა, არის ერთი მთლიანი ძარღვი, ეროვნულ-პატრიოტული ძარღვი, რაც მათ აერთიანებს და აკავშირებს.

ანტონმა საკათალიკოსო ტანტზე ასვლისთანავე დაიწყო ქართული ეკლესიის მოქმედების მარეგულირებელი წიგნების დამუშავება და წესრიგში მოყვანა. პირველ რიგში ლიტურგიკული წიგნების და მათ შორის „სადღესასწაულოს“ პრობლემა დადგა. წინა პერიოდის მოღვაწეების მიერ გადადგმული იყო სერიოზული ნაბიჯები „სადღესასწაულოს“ გამართვისა და „თვენთან“ დაახლოების საქმეში და, ამავე დროს, მასში ეროვნული ელემენტის ჭარბად გაზრდასათვის. ანტონმა მემკვიდრეობით მიიღო ეს ტენდენცია და უკვე 1742 წლისათვის პირველი მომენტი („თვენთან“ დაახლოება) პრაქტიკულად თითქმის გადაწყვიტა A—151 ხელნაწერში. მუშა-

<sup>7</sup> ამ დებულების შემდეგ უფრო ზუსტი სდება ჩვენი თეზა, რომელიც გამოთქმულია წიგნში: „XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, 1977, გვ. 64.

ობა აქტიურად გრძელდებოდა ემიგრაციაში (საქართველოშიც, ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით). 1758 წელს მან მოგვცა „სადღესასწაულოს“ საბოლოო რედაქცია, რომელშიც ორივე პრობლემა გადაწყვიტა: „სადღესასწაულო“ დაუახლოვა „თენეს“ და, ამავე დროს, აბსოლუტურად ყველა ქართველ წმინდანს, რომელსაც აღიარებდა ქართული ეკლესია და რომელთა სახელები შეტანილი იყო სხვადასხვა ეპოქის სხვადასხვა ხასიათის წიგნებში, გაუჩინა საგანგებო დღე და ძველი განგებების პარალელურად შეუქმნა ახალი. „სადღესასწაულოს“ გამართვით ანტონს არ დაუმთავრებია ამ ხაზის გატარება. იგი მუშაობას აგრძელებს „წყობილსიტყვაობაზე“ და „მარტირიაზე“. პრობლემა, რომელსაც ანტონი ასათაურებს: „თეს ქართულთა წმიდათა“, საკმაოდ კონკრეტულია; მისი შესწავლა-გააზრებისათვის აუცილებლად სამივე თხზულება — „სადღესასწაულო“, „წყობილსიტყვაობა“ და „მარტირია“ — ერთ მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული, თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ ავტორი სხვადასხვა პლანში, განსხვავებული ფორმით — წიგნების ხასიათის შესაბამისად — ვამოხატავს თავის თვალსაზრისს.

ანტონის „სადღესასწაულოსთან“ დაკავშირებით ჩვენი აზრი ვერცლად უკვე გამოეთქვიტო, ნაწილობრივ „წყობილსიტყვაობასაც“ შევეხეთ<sup>8</sup>. ესლა კელაე გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ „წყობილსიტყვაობაზე“ (რა თქმა უნდა, „მარტირისთან“ კავშირის გამო) და შევეხოთ ერთ საკითხს.

სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>10</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ ანტონ პირველი კლასიცისტური მოძღვრების მიმდევარია და რომ მთელი მისი სკოლაც კლასიცისტური იყო. „XVIII საუკუნის შუა წლებიდან კლასიცისტური განმანათლებლობისა და რაციონალიზმის მოძღვრად ამ ახალი მიმართულების უდიდეს იდეოლოგად გამოდის ანტონ I კათალიკოსი“<sup>11</sup>.

„ანტონი XII ს. (პეტრიწის, ჩახრუხადის) ქრისტიანული სამ-

8. მ. ქაეთარიძე, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII—XVIII სს. 1977, 105—113.

9. მ. ქაეთარიძე, XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977, გვ. 21-83.

10. ალ. კალანდიაძე, ლიტერატურული ნარკვევები, 1972, იაბილი; მისივე, ქართული ეურნალისტიკის ისტორია, (1819—1853) ტ. I, თბილისი, 1977, გვ. 157—187. დავით ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, 1978.

11. ალ. კალანდიაძე, ლიტერატურული ნარკვევები, გვ. 16.



ყაროს მოდელს მიმართავდა“ (იქვე, 18). „ანტონი მუდამ ხაზს უსვამს, რომ მისი ყველა ღონისძიება ხორციელდება ერეკლეს ნებით, შთაგონებით ან ბრძანებით“ (გვ. 28). „ანტონ ღიღამა ეკლესია, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება, ლიტერატურა, იდეოლოგიის ყველა დარგი, მთლიანად დაუმორჩილა მეფის ინტერესებს, ჩააყენა აბსოლუტური მონარქიის ერთიანი, ძლიერი საქართველოს სახელმწიფო სამსახურში, რაც აპრიორულად განსაზღვრავდა ხელოვნებისა და ლიტერატურის კლასიციკლურ ბუნებას“ (გვ. 34).

ანალოგიური ციტატების ამოწერა სხვა წიგნებიდან, ვფიქრობთ, საჭირო აღარ არის. პროფ. ალ. კალანდაძის დებულება ნათელია: ანტონი იყო კლასიციკტი და მისი შევირდებიც გვერდში ედგნენ მას.

კლასიციზმი ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში საკმაოდ ფეხმოდგმული მიმდინარეობა იყო, რომელმაც კულტურის და მწერლობის განვითარებაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა.

კლასიციზმი აბსოლუტური მონარქიის იდეოლოგიაა. ინტელექტზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი ცხოვრება იყო ერთადერთი მისაღები ფორმა სახელმწიფოსი კლასიციზმისათვის. იგი მტერი იყო ყოველგვარი განკერძოებისა, განცალკევებისა და დაქუცმაცებულობისა, მხოლოდ მყარი ცენტრალიზმი იყო მისთვის მისაღები. გონებაზე დაფუძნებული პოლიტიკური სტრუქტურა შეუსაბამებოდა კლასიციზმის პრინციპებს.

მწერლობაში კლასიციზმის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს გმირული, პეროიკული თემატიკით ვატაცება. ამალღებული თემატიკის მხატვრული სრულყოფით დამუშავება მისთვის აუცილებელი იყო. ერთი სიტყვით, კლასიციზმი დაუპირისპირდა შუასაუკუნეებრივ სქოლასტიკას, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების ლალ განვითარებას ამუხრუჭებდა. კლასიციზმი ანტიკური მწერლობის თემატიკის ვაცოცხლებას და ხელახალ დამუშავებას ვულისხმობდა.

ამ ძირითადი პრინციპებით, აქ მეტად მოკლედ და სქემატურად გადმოცემულით, უნდა შევხედოთ XVIII საუკ. ქართულ მწერლობას, დავადასტუროთ მასში კლასიციზმის ძირითადი ნიშნები და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მივცეთ კვალიფიკაცია ჩვენს მწიგნობრობას და მწიგნობრებს.

ცხადია, არც საჩოთაო და არც დამაკნინებელი ჩვენი მწერლობისათვის არ იქნება, თუ კი დადასტურდება კლასიციზმი ჩვენში. მაგრამ არც არაფერი მოემატება მას, თუკი მხოლოდ სუბიექტური სურვილით შევეცდებით მის აღმოჩენას:

ანტონის შემოქმედება პირობითად შეიძლება ორ პერიოდად გაიყოს: ანტონის რუსეთში გამგზავრებამდე და ანტონის რუსეთიდან დაბრუნებულის შემდეგ.

პირველი პერიოდის მოღვაწეობა თავისი ხასიათით და შინაარსით აშკარად სხვაობს მეორე პერიოდის საქმიანობისაგან. და ამას საფუძვლად ობიექტური მიზეზები უდევს.

ანტონი 1744 წელს აღვიდა საკათალიკოსო ტახტზე. ე. ი. იმ დროს, როდესაც ქართლში გამეფდა თეიმურაზ II. ანტონი მხარში ამოუდგა თეიმურაზ II-ეს. თეიმურაზმა იმთავითვე გამოავლინა დიდი და მოხერხებული პოლიტიკოსის ნიჭი. ანტონი კარგად იყენებს შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და მთელი რიგი ღონისძიებების გასატარებლად ემზადება. პირველ რიგში, საეკლესიო საკითხები მოაგვარა და შეუდგა სასკოლო საქმის ფართო პროგრამის განხორციელებას. 1755 წ. თბილისში — ქართლის დედაქალაქში — გახსნა სემინარია, 1758 წელს (მართალია, ამ დროს ანტონი საქართველოში აღარ არის, მაგრამ ეს ხელისშემშლელი პირობა მაინც არაა) კახეთის ცენტრში — თელავში გაიხსნა სემინარია. თავდაპირველად სწავლების ხასიათი ორივე სასწავლებელში ერთი იყო, ხოლო 80-იანი წლებიდან, როდესაც თელავში კვლავ განახლდა სემინარია და აღდგა მეცადინეობა, სწავლების ხასიათიც რადიკალურად შეიცვალა. მისი პროგრამა სლავურ-რუსული სემინარიის მსგავსი გახდა.

მოღვაწეობის პირველ პერიოდში (50-იან წლებში) ანტონს წარმოდგენაც არ აქვს რუსულ მწერლობაზე, მან არ იცის, რა ძირითადი საკითხები კვებავს რუსულ მწიგნობრობას. ევროპული ლიტერატურაც შორეული ოცნებაა ანტონისათვის და ანტონი აღმოჩნდა ამოუხსნელი დილემის წინაშე. გრძნობს და იცის, რომ საჭიროა ქართული მწერლობის გაცხოველება, მაგრამ რა გზით? აქ ანტონმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ყურადღება მიაპყრო სომხურ მწერლობას. სომხური ლიტერატურა იყო XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქართული მწერლობისათვის ერთადერთი გზა კულტურული ურთიერთობისათვის, მაგრამ ანტონმა აქაც მკაცრად განსაზღვრული რეპერტუარი აირჩია. მან სომხურ-მწერლობასთან მთელი ურთიერთობა მხოლოდ ფილოსოფიურ-გრამატიკული ძეგლებით განსაზღვრა. ამავე დროს, სპეციალური თხზულება დაწერა გრიგორიანობის, როგორც რელიგიური დოგმატის, საწინააღმდეგოდ და განსაჩიქებლად.

ამ დროს ანტონისა და მისი მოწაფეების მიერ ითარგმნა სომხურიდან: 1. სვიმონ ჯულფელის „მცირე დიალექტიკა“ („რმე-

რიად როსისისა წარსლვისა ჩემისა“); 2. ათნი კატილორიანი აროს-ტოტელებრნი — 1753 წ. 3. „ხუთნი კმანი ზიარებითურთ და განყოფით“ — 1753 წ. 4. პროკლე დიადოხოზის კავშირნი — 1757 წ. 5. დაეითის ახსნა პორფირის შეყვანილებისადმი. 6. პერიარმენია, დიალექტიკა და სხვ.

არც ერთი ამ დროს თარგმნილი თხზულება, თუნდაც მასში ათგზის იყოს ქადაგება ერთიანი საქართველოს შესახებ და ყველა მათგანი იყოს მიძღვნილი ქართლ-კახეთის მეფეებისადმი, კლასიციზტური არ არის. არ არის, რადგანაც ანტონმა და მისმა შევირდებმა კლასიციზმის რაობისა და თვით არსებობის შესახებაც კი საერთოდ არაფერი არ იცოდნენ.

არ იქნება ინტერესს მოკლებული, დაუსვათ კითხვა: თარგმნილი თუ ორიგინალური ძეგლები რომელი დარგის თხზულებებია, საეროსი თუ საეკლესიოსი? თუ ტრადიციული პოზიციებიდან მივუდგებით მათ, მაშინ, უეჭველია, ყველა სასულიერო მწერლობის ნიმუშებია და კ. კეკელიძეც სწორედ სასულიერო მწერლობის ისტორიის მიმოხილვისას საუბრობს მათზე. თუ ზოგადი, უფრო ფართო ასპექტით შევხედავთ მათ, მაშინ, რა თქმა უნდა, ისინი ვერ ჩაეტყვიან სასულიერო შინაარსის ფარგლებში, მაგრამ თვით მთარგმნელები — ეს კი განსაკუთრებით საგულისხმო და ანგარიშგასაწეია — მათ სასულიერო ხასიათის ნაწერებად თელიდნენ, საერო შინაარსის შემცველად არ ვარაუდობდნენ.

ანტონის მოღვაწეობის მეორე პერიოდი განსაკუთრებულია და საყურადღებო. გაარკვია რა რუსეთში თავისი მდგომარეობა როგორც საეკლესიო მოღვაწემ, ანტონმა დაიწყო რუსულ-სლავური მწერლობის შესწავლა. ანტონს აქტიურად ეხმარებოდნენ მისი მოწაფეები.

პირველ რიგში, ანტონი მოიხიბლა რუსული საეკლესიო ცხოვრების ორგანიზაციით. ხელი მიჰყო ღვთისმეტყველებისათვის საჭირო ლიტურგიკული წიგნების და განსაკუთრებით „ტიპიკონის“ გადმოქართულებას. სხვათა შორის, ეს საქმე ჯერ კიდევ ანტონამდე დაიწყო ჩვენში: ბესარიონ ორბელიშვილი, დომენტი კათალიკოსი, ეფთვიმი ბარათაშვილი, ალექსი-მესხიშვილი და სხვები დაბეჯითებით და ენერგიულად რუსული საღვთისმსახურო წიგნების წაგავიდალ და მათ ყაიდაზე მართავენ და ასწორებდნენ საეკლესიო წიგნებს, არეგულირებდნენ ქართულ საეკლესიო ცხოვრებას.

პირველი კაპიტალური შრომა, რომელიც ამ პოზიციებიდან ანტონმა რუსეთში დაასრულა, იყო მისი რედაქციის „სადღესასწაულო“. მან იგი 1758 წელს დაამთავრა. აქ ძნელია იმისი დაწვრილებით აღნიშვნა, რაც ანტონმა ამ შრომის შედგენისას გასწია, მაგრამ საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ „სადღესასწაულოს“ გამართვით საბოლოოდ დაამთავრა ლიტურგიისათვის მეტად საჭიროთი წიგნის — „თვენებისა“ და „სადღესასწაულოს“ გაერთიანება. ამიტომ მას როგორც წყაროებში, ასევე სამეცნიერო ლიტერატურაში ხან „თვენს“ უწოდებენ და ხან „სადღესასწაულოს“. თავისი რედაქციის „სადღესასწაულოში“, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მან შეიყვანა უკლებლივ ყველა ქართველი წმინდანი და ძირითადად ახლად შექმნა მათი განგებანი; ბევრი საგალობელი, რომელიც მსოფლიო წმინდანებს შეეხება, თარგმნა რუსულიდან. „სადღესასწაულო“ არის პირველი ნაწარმოები, რომლის საბოლოო დამუშავება-გამართვა ანტონმა რუსეთში დაამთავრა. ხაზგასმით იხილეთ უნდა გავიმეოროთ, რომ „სადღესასწაულო“, მიუხედავად მთლიანი ააქართველოს იდეის ტენდენციის გატარების, არ არის და არც შეიძლება იყოს კლასიციტური თხზულება.

ანტონი თანდათანობით შედის რუსული მწერლობისა და მეცნიერების ეშხში. იგი დიდის გატაცებით დაეწაფა მისთვის სრულიად ახალ მეცნიერებებს, თავდაუზოგავად მუშაობს და თარგმნის ქართულად ერთიმეორისაგან შინაარსით სრულიად განსხვავებულ ძეგლებს. ბაუმეისტერის ფილოსოფიას, ვოლფის ფიზიკას, კეინტონს კურციოსის ალექსანდრე მაკედონელის ისტორიას და სხვ. ყველა მათგანის წინასიტყვაობაში ქადაგებს ერთიანი საქართველოს იდეას, აბსოლუტური მონარქიის მმართველად ერეკლე II-ს ასახელებს და მას უძღვნის მრავალ საქებად სტრაჰონს. მაგრამ არც ერთი დასახელებული წიგნი კლასიციტური მიმართულებისა არ არის. ვაშალაძემ, რუსეთში ანტონის მიერ ამ დროს თარგმნილი თხზულებები არ განეკუთვნება კლასიციზმს. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდის ანტონის საქმიანობაც არ შეიძლება კლასიციტურად მოენათლოთ.

ანტონი რუსეთში მოღვაწეობისას გაიტაცა განმანათლებლურმა იდეებმა, მაგრამ ჩამოყალიბებული, ორთოდოქსი განმანათლებელი იგი არ ყოფილა.

პროფ. ალ. კალანდაძის აზრით, „წყობილსიტყვაობაში“, „რიტორიკაში“ „კატელორიებში“, აუცილებლად სცნობს რა შემოქმედებითი მოღვაწეობის რეგლამენტაციას, მსგავსად კლასიციზმის მესვეურთა ტრაქტატებისა, ანტონი ფაქტიურად აყალიბებს ქარ-

თული კლასიციზმის არსს“ (გვ. 45). „წყობილსიტყვაობა“ მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი წიგნია ჩვენი მწერლობის ისტორიაში. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი სათანადოდ შესწავლილი არ არის. ავტორის მიდგომა დასახელებული წიგნისადმი ჩვენ იმთავითვე არასწორად გვეჩვენება. მთელი წიგნიდან ამოვვლიჯოთ ერთი პატარა ნაწილი და მისი მიხედვით გავაკეთოთ შორს მიმავალი დასკვნები, ეფიქრობთ, არ იქნება მართალი. წიგნი უნდა იქნეს მთლიანად განხილული, მისი ყველა ნაწილი კვალიფიცირებული. ხომ არ შეიძლება ერთი ნაწილი კლასიციზტური პოზიციებიდან იყოს დაწერილი, ხოლო სხვა დღევანდური-ღვთისმეტყველებისა!

„წყობილსიტყვაობის“ პირველი ნაწილი ეხება ღვთისმეტყველებას. ამ თავში განხილულია სამება, ერთაჩება, განკაცება, ენება, აღდგენა მაცხოვრისა, ექპარისტია, „შვილთა მსოფლიოთა კრებათათვის“.

მეორე ნაწილი შეეხება ღვთისმშობელს, მუსამეა — ჯვარცმისა და საღმრთო კვართისათვის. მეოთხე — ყოველთა წმიდათათვის, მეხუთე — ქართველ წმიდათათვის, მეექვსე — ქართველ ჩინებულთა მეფეთათვის და მეშვიდე. — ქართველთა სიბრძნისმოყვარე კაცთა მწიგნობართათვის. როგორც აქედან ჩანს, ბოლო სამი თავის გარდა მთელი წიგნი ქრისტოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი. რად სჭირდება ავტორს ეს საკითხები, თუ კი შრომა კრიტიკულ-ესთეტიკური ხასიათისაა და მას (შრომას) ქართული კლასიციზმის საფუძვლად მიიჩნევთ?

მეორე საკითხიც, ავტორი უფრცველესად ჩერდება ქართველ წმინდანებზე. „წყობილსიტყვაობაში“ ისინი დალაგებულნი არიან იმ კალენდრის მიხედვით, რომელიც ანტონმა დააყარა ჩვენს ეკლესიაში. რაც მთავარია, მათი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი იამბიკოების უმრავლესობა, რომელშიც მოცემულია მათი შეფასება და დახასიათება, აღებულია ლიტურგიკული წიგნიდან „სადღესასწაულოდან“<sup>12</sup>. ყველა იამბიკო დაწერილია მეოთხე ძირითად ხმაზე და წარმოადგენს აქებდითსას ზედა დასდებლებს. ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორ ჩავატიოთ თუნდაც ეს მონაკვეთი და შესაბამისად წყარო — ლიტურგიკული წიგნი — „სადღესასწაულო“ კლასიციზმის ჩარჩოებში? არც ჟანრობრივად და არც ფორმით არ ეტყვა ისინი შემოთავაზებულ ჩარჩოებში. „წყობილსიტყვაობაში“ წარმოადგენილი იამბიკოები ნაწილია (და საკმაოდ

<sup>12</sup> ამის შესახებ დაწერილებით იხ. მ. ქაჩია, XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1977.

მოზრდილიც) ეკლესიაში წირვის დროს განკუთვნილი საგალობლებისა. შემდგომ ეს საგალობლები (თითო-თითო იამბიკო სტროფი) გადმოიტანა ანტონმა „სადღესასწაულოდან“ „მარტირიკაში“ — მარტივილოლოგიური ხასიათის თხზულებების კრებულში. თუ „სადღესასწაულოდან“ აღებული იამბიკოების მიხედვით „წყობილსიტყვაობას“ კლასიციკურ თხზულებად მივიჩნევთ, მაშინ ამავე პოზიციებიდან „მარტირიკაც“ კლასიციკური ნაწარმოები უნდა ყოფილიყო. „მარტირიკა“ კი ვერავითარი სურვილით ვერ ჩაეტევა კლასიციზმის ჩარჩოებში, მიუხედავად იმისა, რომ ანტონი „მარტირიკაში“ შემაგალ ყოველ თხზულებაში ქადაგებს ერთიანი საქართველოს იდეას, თეორიულ მსჯელობებსაც ვერცლად ურთავს და ენობრივადაც ე. წ. მაღალი სტილით წერს.

მაგრამ დაეუშვათ, რომ მთელი წიგნიდან („წყობილსიტყვაობიდან“) ანტონმა მხოლოდ ერთი ნაწილი დაწერა კლასიციკური პოზიციებიდან. მასში იქადაგა კლასიციზმის იდეები და საფუძველი დაუდო ქართულ კლასიციზმს.

აქ დგება საკითხი — კლასიციზმის რომელი დებულება, რომელი პრინციპი გაატარა წითელი ზოლივით ამ მონაკვეთში ავტორმა? დაეიშოწმთ პროფ. ალ. კალანდაძე: „წყობილსიტყვაობის ღერძია სამშობლოს სიყვარული, არ იგრძნობა რელიგიურა შეზღუდულობა; ავტორი განადიდებს საქართველოს ერთგულ როგორც სასულიერო, ისე საერო პირებს“, (გვ. 45). „მწერლობა გონების შესაქცევი ღარგია“ (გვ. 45). „ფრანზის ტკბილად შეწყობა“, ერთიანი საქართველოს პროპაგანდა — ეს პრინციპია გადმოცემული დასახელებულ იამბიკოებში. „ანტონისათვის, როგორც კლასიციკტისათვის, პოეზია ცოდნაა და არა ტალანტი, სწავლის ნაყოფია და არა ღვთაებრივი ნიჭი“. (გვ. 46). პატრიოტული პოზიცია, ერთიანი საქართველოს იდეის პროპაგანდა ქართულ მწერლობაში ანტონამდეც არსებობდა და ასულდგმულებდა მას. ამიტომ ამ საქმეში ანტონს პიონერობას ვერ მივაკუთვნებთ. „როგორც ფრანგი და რუსი კლასიციკტები, ანტონიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიულ, ეროვნულ თემატიკას“ (გვ. 47). ჩვენ არაფერს ვამბობთ რუსულ და ფრანგულ ლიტერატურაზე; ქართულ სინამდვილეში კი ეროვნული, ისტორიული თემატიკის წინა პლანზე წამოწევა კლასიციზმს ვერ მიეწერება. XVII საუკ. მიწურულიდან მოყოლებული ქართულ მწერლობაში ეროვნული თემატიკა გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გავრცელებული თემა (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ფაქტს ავტორიც მიუთითებს). გრიგოლ დღღორაქელი, ბესარიონ ორბელიშვილი,

დომენტი კათალიკოსი, მარიამ-მაცრინა ბაგრატიონი, იესე ერისთავი (საერო პოეზიის წარმომადგენლებზე როგორც არიან თეიმურაზ I, ფეშანგი, არჩილი, იოსებ სააკაძე, თეიმურაზ II) აღარაფერს ვამბობთ, და სხვები ანტონის დაბადებამდე მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ-პატრიოტულ თემატიკას ამუშაებენ, სპეციალურ თხზულებებს წერენ, რომლებშიც ერთიანი საქართველოს იდეა შესამჩნევადაა გატარებული, აღგენენ ღარგობრივ კრებულებს, სადაც მხოლოდ ქართველი მოღვაწეების საქმიანობის ამსახველი თხზულებები შეაქვთ. ამიტომ გვიანფეოდალური ხანის ქართულ მწერლობაში ისტორიული თემატიკის შემოტანის დროს კლასიციზმი არაფერ შუაშია. ანტონი უბრალოდ აგრძელებს იმ ხაზს, რომლის დამწყებნი ზემოთ დასახელებული (თუ დაუსახელებელი) მოღვაწენი არიან.

„წყობილსიტყვაობის“ პარალელურად მუშაობს ანტონი „მარტიკაზე“. თუ ამოვალთ თეზიდან, რომ „წყობილსიტყვაობა“ კლასიციზტური დებულებების პროპაგანდაა, მაშინ სავესებით ლოგიკურია, რომ „მარტიკაც“ იმავე პოზიციებიდან იყოს დაწერილი, რადგანაც ყოველად დაუშვებელია ერთდროულად კაცი ორ წიგნს წერდეს, განსხვავებული მსოფლმხედველობით. მით უმეტეს, „მარტიკაში“ ავტორი ფართოდ წარმოადგენს თავის დიდ ცოდნას — რუსეთში შექმნილს, ხაზგასმით ქადაგებს ერთიანი და ძლიერი საქართველოს იდეას, დიდად აქებს ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანთა ღვაწლს, მაგრამ, ცხადია, „მარტიკა“ კლასიციზტური წიგნი არ არის. ანტონი ეკლექტიკოსი იყო. მის ნააზრევ-ნაფიქრში შეიძლება ყველა „იზმის“ გასამართლებელი არგუმენტაცია და მაგალითები მოიძებნოს, მაგრამ წინასწარ გამიზნულად მხოლოდ ცალკეული ელემენტების მოძიება, თავმოყრა და წინა პლანზე წამოწევა და მით აქცენტირება და შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება, რათქმა უნდა, არ იქნება მთლად მართალი. მთლიანობაში განხილული მასალა ანტონ კათალიკოსის წარმოგვიდგენს მშობლიური კულტურის დიდ მოჭირნახულედ, დიდ პატრიოტად, რომელიც იბრძვის ქვეყნის ერთიანობისათვის, დასავლეთის და რუსული ცივილიზაციასთან მჭიდრო კონტაქტებისათვის, სამშობლოში მისი თანამედროვე ცოდნის პროპაგანდისათვის, საეკლესიო და სამოქალაქო ცხოვრების რეგლამენტაციისათვის, განმანათლებლური იდეების პროპაგანდისათვის. იგი ჩამოთვლილი პრობლემების არა მარტო ორგანიზატორი და წარმმართველია, არამედ პრაქტიკულადაც თავგამოდებით იღვწის და მშობლიურ მწერლობას არა ერთი და ორი ლიტერატურული ძეგლით (თარგმნილით თუ ორიგინალურით) ამდიდრებს.

შეტსაც ვიტყვოდით, ანტონისთვის მწერლობა საერთოდ ერთიანი პროცესია და არ არის ხელოვნურად გაყოფილი საეკლესიოდ და საეროდ.

„მარტირიკის“ პირველი შეფასება და ავტორის საქმიანობის ანალიზი ანტონის შეგირდებმა და უახლოესმა თანამშრომლებმა წინ წარუმიძღვარეს კრებულის პირველსავე ეგზემპლარს. 1769 წელს, როდესაც მთლიანად გამოიკვეთა წიგნი და მან დასრულებული სახე მიიღო, ანტონის მოწაფეებმა გაიოზმა<sup>13</sup> და იოანემ სცადეს ჩამოეყალიბებინათ კრებულის არსი და განესაზღვრათ მისი როლი, ადგილი და მნიშვნელობა ქართული პაგიოგრაფიისათვის და საერთოდ ქართული მწერლობის ისტორიაში. ოცდაროგანათვის იამბიკოში ანტონის ამაღლებული სტილითა და გადაპრანჭული ფრაზით წარუდგინეს თანამედროვე მკითხველ საზოგადოებას და შთამომავლობასაც მასწავლებლის თხზულება. წინასიტყვაობის ავტორთა სახელები სათაურშივეა დამოწმებული: „წინასიტყვაობა წინამდებარისა წიგნისა მარტირიკისა, ქმნილი მისისა უწმიდესობისა ანტონი არჩიებისკოპოსისა, ყოელისა ზემოესა საქართველოესა, დავითიან-ბაგრატოვანისა, მოწაფეთა მიერ, გაიოს არხიდიაკონისა და თანამოწაფისა მისისა, მისის უმაღლესობის მეფის მოძღუარის იოანეს მიერ, ძის გავრიილისათა“. მაშასადამე, 22 სტროფიანი წინასიტყვაობა არის გაიოზისა და იოანეს კოლექტიური შრომა, რომელიც, ალბათ, გამოხატავს არა მარტო მათ საკუთარ აზრს, არამედ იმ პერიოდის ქართველ მწიგნობარ-მკითხველთა შეხედულებასაც, რადგანაც ყველა რანგის მკითხველმა საზოგადოებამ იგი უცვლელად მიიღო და შესწორების გარეშე იმეორებდა მას ყოველი ახალი ნუსხის დამზადებისას. ასე რომ, გაიოზისა და იოანეს წინასიტყვაობა გახდა კრებულის განუყოფელი, უფრო მეტიც, შემადგენელი ნაწილი. მაგრამ საინტერესოა ვის ეკუთვნის წინასიტყვაობაში გამოთქმული თვალსაზრისი. რომელიმე ერთს, თუ ორივეს? ამ საკითხის დაყენებას პრინციპში არსებითი მნიშვნელობა შეიძლება არც ჰქონდეს, რადგან თვით ავტორებმა არ ისურვეს საკუთარი ნაღვაწის ურთიერთ გამიჯვნა, უფრო ზუსტად, თავიანთი დამოკიდებულებების საგანგებო გამოყოფა, მაგრამ რაღაც მომენტით თუკი მათი გამოცალკეება მოხერხდება, ამას მაინც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა.

13 გაიოზი ჩვენი მწიგნობრობის ისტორიაში კარგად ცნობილი მოღვაწეა, ხოლო იოანეს სახელით რაიმე მნიშვნელოვანი კონკრეტული ძეგლი ჩვენ არ გვაქვს. როგორც ჩანს, იგი აქტიური შემოქმედი არ უნდა ყოფილიყო.



პირობითად წინასიტყვაობა შეიძლება სამ ნაწილად გაიყოს. პირველში ზოგად შესავალთან ერთად მოცემულია ასევე ზოგადი შეფასება და ხოტბა თხზულების ავტორისა. ეს დაახლოებით პირველ თექვსმეტ იამბიკურ სტროფს მოიცავს. მეორე ნაწილში ასევე ზოგადად თხზულების დაწერის მიზანია ჩამოყალიბებული. ეს დაახლოებით მე-12—18 იამბიკოებს გულისხმობს, ხოლო მესამე ნაწილში, რომელიც ბოლო 5 სტროფს აერთიანებს, განსაზღვრულია შრომის ხასიათი. ამ ნაწილებიდან საინტერესოა ავტორთა ცვალსა-ზრისი შრომის კონკრეტულ საკითხზე.

„ხოლო მიზეზი შრომისა ამის კეთილ არს უკუე ესე, რომელ არა დაეიწყდენ თავსდებნი ღუაწლთა შრომითა ურიცხოთა ყოვლად წმიდანი სამღუდელონი კრებულნი კრებულნი ზენათ მალლისა მეუფისაჲან. კულად მეორედ მიზეზ ამა თქმობათა არს, რომელ უკუე ქსენება წმიდათ მარტულთ იქმნას ზავებულ სუნნელ ნელსაცხებლებად მოსაძღუნად უფლის მალლისა მპყრობელისად სასმენლად სუნნელ სულისად საამოვნოდ“. (11—12)

მე-19 და 21-ე სტროფებში ვკითხულობთ:

„წიგნისა ამის წოდებულ მარტირიაკა ამისთჳს, რომელ მომთხრობელ არს მარტულთა ღუაწლთა თავს-დებად ფრასითა შუენიერით, ჰაზრთა განწუალვით, ვიდრე ოცადმე სიტყუად, მშრომელისასა ცხად-მყოფი მოგონებათ. ათშუდმეტნი არნ სიტყუანი ქართულთანი მოწამეთათჳს ჭეშმარიტებისათა, ხოლო ორნიცა მარტულთათჳს სომეხთა, ეინათგან უკუე განაწესეს მამათა სამარტულთა მოხსენებათა შინა. ეგრეთ ამანცა, მარტულთა მოყუარემან, არა უწყევა უმოხსენოდ იგინი, რამეთუ ჰსცვიდა ბრძანებათა საღმრთოთა, რომელ არს ღაცუა სჯულთა წინაპართათა, რათა ამითცა სრულებაი მიიღოს“.

წინასიტყვაობაში დადასტურებული ფაქტები კრებულის შინაარსისა და აგებულებისაგან გამომდინარეობს. ანტონი სხვადასხვა ტექსტებში არა ერთგზის ამბობს და უსკამს ხაზს ამ ფაქტს. მაგ.,

სუქიელთა საკითხავში ვკითხულობთ: „ეპსკუპრეტო წინაპართაგან მამათა ქართუელთა, ვითარმედ დაუმტკიცებდესე განსაზღვრებაჲ ესე ანუ განჩენაჲ, რამეთუ სათთუეთა შინა მოსაჯენებელთა და მეტაფრასთა კსენებაჲ სომხეთსა შინა ვნებულთა ჭეშმარიტებისა მოწამეთა“...

წინასიტყვაობა პირველად ჩნდება Q—78 ხელნაწერში და შემდგომ იქცა კრებულის კუთვნილებად. ამ ფაქტის აღნიშვნა ხაზგასმით იმიტომაცაა აუცილებელი, რომ „მარტირიკის“ ერთ-ერთ პირველ ცალს, S—1272-ს ეს წინასიტყვაობა არ უძღვის. მაშასადამე, იგი ჯერ კიდევ არაა ავტორის კაბინეტიდან გამოსული ოფიციალური ეგზემპლარი. სწორედ Q—78 არის ის ნუსხა, რომელიც ავტორს მიუჩნევია საბოლოოდ დასრულებულად და გაფორმებულად, რომელიც გამოხატავდა ავტორის ნებას.

მაშასადამე, Q—78 არის თხზულების საბოლოოდ გაფორმებული ხელნაწერი. ხელნაწერის ანდერძში ვკითხულობთ: „აღიწერა წიგნი ესე, რომელა მარტირიკა, მოწამეთა ქართუელთა შესხმა და შოთხრობა, ბრძანებითა მისისა ყოვლად უწმიდესობისა ყოვლისა ზემოასა საქართუელოასა მამათმთავრისა ანტონი მეფის ძისათა, გამოთქმული მის მიერვე, რომლისა საუკუნო იყავნ ჰკსენება, ჩემ მიერ ყოვლად გლახაკისა ტფილსის ქალაქს, სიონის ეკკლესიის პროტობრევიტერის ნიკოლაოსის მიერ, რომელი მოქენე ვარ მხილუელთად ცთომილთასა შენდობის მოცემასა, წელსა 1769, ნოემბერს 28 დღესა“. ხელნაწერის გაფორმებულ სატიტულო ფურცელზე ვკითხულობთ: „... ქმნილი წიგნი მარტირიკა... დროსა ყოვლად ბრწყინვალისა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოასა საქართუელოასა. ხოლო მამათმთავრობისა თქსისა წელსა დასაბამითგან სოფლისა 7278, კორციელად შობითგან სიტყუსა ღმრთისა 1769, თთუესა შეათერთმეტესა, რიცხუსა 19“. ანდერძისა და სატიტულო ფურცლის ცნობით კრებული გაფორმდა 1769 წლის ნოემბერში. ამიტომაც მიჩნეულია სპეციალურ ლიტერატურაში, რომ „მარტირიკა“ დაიწერა 1769 წელს.

S—1272 ხელნაწერში ორ თხზულებას—ქეთევანისა და ლუარსაბის მარტივილობებს უზის თარიღი: 1768 წელი. ქეთევანის წამებას აქვს მინაწერი: „სრულ იქმნა წელსა განჯორციელებითგან სიტყუსა ღმრთისა 1768. თთუესა ოკდომბერსა 31, ტრიფილესგან (S—1272, გვ. 44). „ლუარსაბის წამების“ გალაწერა იმავე ტრიფილეს დაუმთავრებია იმავე წლის 22 ნოემბერს. ამ ფაქტზე პირველად ყურად-

ლება გაამახვილა ნ. ჯანაშიამ<sup>14</sup>. მან მიიჩნია და სამართლიანადაც, რომ „მარტირია“ იწერებოდა 1768—1769 წლებში, რომ ერთი ნაწილი 1768 წელს უკვე არსებობდა.

მართლაც, როგორც ირკვევა, ანტონი „მარტირიას“ წერდა 1768—1769 წლებში, სავარაუდოა, თავის შეგირდებს უკვე გამზადებულ ტექსტებს აძლევდა ვადსაწერად; ალბათ, ამიტომაც, რომ S—1272-ის გადამწერი დღეში მხოლოდ სამ გვერდს წერდა<sup>15</sup>. მაშასადამე, S—1272 იწერებოდა ანტონის მუშაობის პარალელურად. სწორედ ამ ფაქტმა ერთგვარად დაასვა დალი თვით ხელნაწერის გარეგულ-ტექნიკურ გაფორმებას. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია ეს ფაქტი<sup>16</sup>. S—1272 ხელნაწერი არ არის სათანადოდ გაფორმებული ცალი, იგი ჯერ კიდევ მწერლის ლაბორატორიის ეგზემპლარია. მისი გადაწერა 1769 წლის ნოემბერში უნდა დამთავრებულიყო, რადგანაც Q—78-ის ცნობით „მარტირია“ საერთოდ დასრულდა 1769 წლის 19 ნოემბერს.

Q—78 ხელნაწერის, როგორც ანდერძიდან ჩანს, გადაწერა დამთავრდა 1769 წლის 28 ნოემბერს, ხოლო წიგნის თავფურცელი დაბეჯითებით მიუთითებს, რომ ანტონმა „მარტირია“ ამავე წლის 19 ნოემბერს დაამთავრა. ცხადია, 9 დღეში ამ მოცულობის წიგნის გადაწერა ყოველად შეუძლებელია. მაშ როგორ უნდა გავიგოთ და შევეთანხმოთ ეს ორი ცნობა, რომელიც ერთ ხელნაწერზეა, ერთმანეთს? ჩვენ ვფიქრობთ, ორივე თარიღი მართალია და მისაღები.

ანტონის თხზულებათა ხელნაწერებს ჩვეულებრივად წინ უძღვის თავფურცელი, რომელშიც თხზულების (და არა ხელნაწერის) დაწერისა და მისი დასრულების თარიღია ხოლმე მოცემული (რა თქმა უნდა, არსებობს ბევრი გამონაკლისიც). მაგ. H—255 ხელნაწერი წიგნის თავფურცელზე ვკითხულობთ: „დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა... ქმნილი... ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიან-ბაგრატიონისა, დროსა ყოველად უბრწყინვალესისა... იმპერატრიცა ეკატერინა ალექსეევნასა... წელსა დასაბამითგან სოფლისა... 7270, კორციელად შობითგან სიტყუსა ღმრთისა 1762, ინდიკტიონსა 10, თთუესა მეშუდესა, 30“ (I r-v). ასეთი ცნობა ყოველთვის.

<sup>14</sup> ნ. ჯანაშია, „მუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია, მრავალთავი, IV, 1975 წ., გვ. 75.

<sup>15</sup> ნ. ჯანაშია, „მუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია, მრავალთავი, IV, 1975 წ., გვ. 75.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 76, იქ ისიც უნდა დავუმატოო, რომ „მარტირიის“ ნუსხებში ცალკეულ თხზულებათა მიღებული თანმიმდევრობა S—1272-ში აღრუელია. გადასმულია მე-6 და მე-7 საკითხავები.

მიუთითებს არა ხელნაწერის გადაწერაზე (მაგ. H—255 რამდენადმე მოგვიანო ნუსხაა), არამედ ანტონის მუშაობის დასრულებაზე. მაშასადამე, ანტონმა „მარტირიკაზე“ მუშაობა დაამთავრა 1769 წლის 19 ნოემბერს. როგორც ჩანს, ანტონის პარალელურად ავტორის ხელიდან გამოსულ, გამზადებულ თხზულებებს წერენ ანტონის შეგირდები. Q—78 გადამწერი ფეხდაფეხ მისდევს ანტონს და კრებული გადწერას, საბოლოო გაფორმებას 9 დღის შემდეგ ამთავრებს. ჩვენი ღრმა რწმენით, S—1272 და Q—78 თითქმის ერთდროულად იწერება და, ალბათ, ესაა იმის მიზეზიც, რომ ისინი ერთმანეთზე დამოკიდებულნი არ არიან. ამიტომ საკითხის დაყენებაც, კი, თუ რომელი ხელნაწერი უსწრებს ქრონოლოგიურად მეორეს, არ იქნება მართალი. Q—78 ნუსხა არის საბოლოოდ დამთავრებული, მხატვრულად გაფორმებული, ტექნიკურად სრულყოფილი ხელნაწერი, რომელსაც თვით ავტორმა მისცა საწკია. ხოლო S—1272 ნუსხა კი წუნდებულია, ამიტომ იგი აღარაა ბოლომდე გამართული. პირველი უხეში შეცდომა, რაც S—1272-ის გადამწერმა დაუშვა, არის ის, რომ მან აურია „სიტყვათა“, თხზულებათა თანმიმდევრობა. საქმე ისაა, რომ S—1272-ში რაჟდენის წამების ტექსტი წინ უძღვის ნეოფიტე ურბნელის წამების ტექსტს, ხოლო ნუმერაცია არ ემთხვევა თანმიმდევრობას. რაჟდენის წამებაზე მითითებულია მეშვიდე სიტყვა, ხოლო ნეოფიტეზე შეექვსე სიტყვა<sup>17</sup>. „სიტყვების“ ეს გადასმა აუცილებლად ავტორისეულია, რადგანაც კრებულის აგებისას ანტონი გარკვეულ პრინციპს იცავს (კალენდარულ თანმიმდევრობას არ იცავს)<sup>18</sup>. „მარტირიკაში — ჯერ მეფეებია (მათ შორის ქალი პირველ ადგილზე): ქეთევანი, ლუარსაბი, არჩილი, შემდეგ დედოფალი, ზაგრამ არა საქართველოსი (მუშანიკი), შემდეგ ეპისკოპოსები (აბიბოს, ნეოფიტე), შემდეგ პირველმოწამე (რაჟდენი) და ა. შ. მაშასადამე, ნეოფიტე ურბნელი ეპისკოპოსი აუცილებლად აბიბოს ეპისკოპოსის შემდეგ უნდა იყოს. როგორც ჩანს, S—1272-ის გადამწერს ეს შეშლია, ავტორს კი გაუსწორებია და სათანადოდ აღუნიშნავს. Q—78-ის გადამწერს თანმიმდევრობა სწორად აქვს. მეორეც, S—1272-ს არ აქვს წინასიტყვაობა, რომელიც თხზულების შემადგენელი ნაწილი გახდა. ყველა ეს ხარვეზი, როგორც ითქვა, Q—78-ში გასწორებულია და ამიტომ იგი გახდა ააფუძველი ყველა დანარჩენი სრული ნუსხისა: S—2988 (1790), S—3638 (1799), A—1484 (1806),

<sup>17</sup> შტრ. ნ. ჯანაშია, დასახელებული წერილი, გვ. 77.

<sup>18</sup> განსაკუთრებით გამოკვეთილია ეს პრინციპი „წყობილისიტყვაობაში“.

H—907 (1821 წ.) და სხვ., თუ ნაკლულისა: H—975 (1775 წ.), Q—11 (1787 წ.) და გადამუშავებულისა. Q—78-ს გადაწერა, ჩვენ ი აზრით, დაიწყო 1768 წელს და დასრულდა 1769 წ. „მარტირიკის“ პირველი ოფიციალური ეგზემპლარი Q—78, როგორც მინაწერიდან ჩანს, სამეფო ბიბლიოთეკაში დარჩენილა. ხელნაწერზე არის მინაწერი: „ქ. წიგნი ესე მარტირია საქართველოს მეფის ძის ვახტანგის არის“. ვახტანგი უნდა იყოს ერეკლე II-ის შვილი, რომელიც დაიბადა 1761 წლის 22 ივნისს და გარდაიცვალა 1812 წელს რუსეთში.

მაშასადამე, „წინასიტყვაობის“ ავტორთა მითითებითაც, „მარტირიაში“ 17 მოწამე ქართველია, 2 — სომეხი. ხოლო რაც შეეხება გრიგოლ განმანათლებელს, იგი ცალკე დგას. გრიგოლი გამოყოფილია ცალკე იმიტომ, რომ იგი არაა მართო სომხური ეკლესიის მიერ აღიარებული მოწამე. მისი ხსენება შესულია ბერძნულ, ქართულ, სლავურ კალენდრებში და, მაშასადამე, განეკუთვნება ე. წ. საერთაშორისო წმინდანთა რიცხვს.

„მარტირიაში“ წარმოდგენილ მოღვაწეთა სახელების უმრავლესობა შესულია ანტონ კათალიკოსის რედაქციის „სადღესასწაულოს“ კალენდარში. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორივე კალენდარს:

S—1464 („სადღესასწაულო“)	Q—78
ა) 13/IX ქეთევან დედოფალი	ა) ქეთევან დედოფალი *
ბ) 15/IX იოსებ ალავერდელი	
გ) 18/IX ბიძინა, შალვა და ელისბარი	თ) ბიძინა, შალვა და ელისბარი
დ) 21/IX დიმიტრი როსტოველი	
ე) 30/IX გრიგოლ სომხეთის განმანათლებელი	კ) გრიგოლ სომხეთის განმანათლებელი
ვ) 1/X სვეტიცხოვლობა	
ზ) 2/X დავით და კოსტანტინე არგუეთელები	შ) დავით და კოსტანტინე არგუეთელები
შ) 5/X გრიგოლ ხანძთელი	
თ) 28/X ნეოფიტე ურბნელი ეპისკოპოსი	ვ) ნეოფიტე ურბნელი ეპისკოპოსი
ი) 10/XI კონსტანტი კახი	იღ) კონსტანტი კახი
ია) 17/XI მიქაელ — გობრონი	იე) მიქაელ — გობრონი
იბ) 19/XI ილარიონ ქართველი	

- |             |                                     |                            |
|-------------|-------------------------------------|----------------------------|
| ივ) 29/XI   | აბიბოს ნეკრესელი                    | ე) აბიბოს ნეკრესელი        |
| იდ) 2/XII   | ისე წილკნელი                        |                            |
| იე) 8/I     | აბო თბილელი                         | იბ) აბო თბილელი            |
| ივ) 14/I    | ნინო მოციქული                       |                            |
| იზ) 19/I    | ანტონი მარტყოფელი                   |                            |
| იძ) 26/I    | დავით აღმაშენებელი                  |                            |
| ით) 15/IV   | სუქია და მის თანა ქართველნი         | იშ) სუქია და მის თანანი... |
| კ) 7/V      | იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა |                            |
| კა) 9/V     | შიო მღვიმელი                        |                            |
| კბ) 13/V    | ექვთიმე ათონელი                     |                            |
| კგ) 18/V    | დავით და ტირიჭანი                   |                            |
| კდ) 21/VI   | არჩილ და ლუარსაბი                   | ბ) წმ. ლუარსაბი            |
| კე) 27VI/   | გიორგი მთაწმიდელი                   | გ) წმ. არჩილი              |
| კვ) 12/VII  | იოანე ათონელი, მამა ექვთიმესი       |                            |
| კზ) 29/VII  | ევსტათი მცხეთელი                    | ია) ევსტათი მცხეთელი       |
| კლ) 3/VIII  | რაყდენი პირველმოწამე                | ზ) რაყდენი პირველმოწამე    |
| კთ) 28/VIII | შუშანიკ დედოფალი                    | დ) შუშანიკ დედოფალი        |

როგორც წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალიდან ჩანს, „მარტირიკის“ 20 მოწამიდან „სადღესასწაულოში“ დამოწმებულია 15 მამასადამე, 5 სახელი „მარტირიკიდან“ არ არის წარმოდგენილი „სადღესასწაულოში“ (საზოგადოდ, „სადღესასწაულოში“ მოხსენებული წმინდანები „მარტირიკაში“ ყველა არ არის) ესენია:

1. მოწამეთათვის გარესჯისათა
2. წმიდათა ათთა ბევრთათვის
3. წმიდისა შალუასთვის
4. წმიდათა ვნებულთა მონასტერსა შინა ქებათაყვეს
5. წმიდათა ისაკ და იოსებისათვის<sup>19</sup>.

<sup>19</sup> ლენინგრადულ ხელნაწერში (On41E—106 (E.184) ფ. VI) კვითხლობთ: „სეკლემბრის იე — ორთა ძმათა ქართველთა სააკ და იოსებისა. არა ვიცით რა“. ანტონმა „სადღესასწაულოში“ არ შეიტანა მათი სხენება, ზოლო „მარტირიკაში“ მთელი თხზულება მიუძღვნა. „სადღესასწაულოში“ 15 სექტემბერს იოსებ ალავერდელის სხენებაა შეტანილი.

აქ ისიც უნდა დავემატოთ, რომ „სადღესასწაულოში“ ერთადეა წარმოდგენილი არჩილ და ლუარსაბ მეფეთა ხსენება, „მარტირიაში“ კი ორ დამოუკიდებელ საკითხავად არის გაფორმებული. დასახელებული წმინდანებიდან ქრონოლოგიურად ანტონზე ადრე ხელნაწერებში დადასტურებულია:

1. შალვა ახალციხელი
2. ისაკ და იოსები

შალვა ახალციხელის სახელი (მართალია, რამდენადმე განსხვავებული ფორმით — „შალვა თორის თავაღი“) დადასტურებულია 1749 წლის ხელნაწერში A—122.

ისაკისა და იოსების სახელი გვხვდება A—111 (1705—15 წ.წ.), A—425 (1718 წ.), A—220 (1726 წ.) ხელნაწერებში. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ ანტონმა თავისი რედაქციის „სადღესასწაულოს“ შედგენისათვის უდიდესი მუშაობა ჩაატარა, შემოქმედებითად აითვისა წინაპარ საეკლესიო მოღვაწეთა ნააზრ-ნაფიქრი, საგანგებოდ დაჩხრიკა თვენებ-სვინაქსარებ-ტიპიკონ-კალენდრები და ქართული ეკლესიისათვის თავდადებულ ადამიანთა სახსენებლებს ერთად მოუყარა თავი. ამიტომ ერთგვარად გაუგებარი რჩება, რომ დასახელებული წმინდანები ვერ მოხვდნენ მის „სადღესასწაულოში“, ხოლო ადგილი პოვეს „მარტირიაში“.

„მარტირიაში“ ჩნდება პირველად სახსენებელიც და საკითხავიც:

1. მოწამეთათჳს გარესჯისათა
2. წმიდათა ათთა ბევრთათჳს
3. წმიდათა ენებულთა მონასტერსა შინა ქვაბთაჳვეს

ასევე, „მარტირიაში“ ჩნდება პირველად ვრცელი საკითხავი ნეოფიტე ურბნელზეც, ხოლო ნეოფიტე ურბნელის ხსენება 28 ოქტომბერს შეტანილია ანტონის მიერ მისსავე რედაქციის «სადღესასწაულოში» და განგებაც საკუთარი შეუდგენია და შეუტანია. ადრეული პერიოდის ლიტურგიკული ხასიათის კრებულებში არამც თუ მისი მარტივილობის მაუწყებელი რაიმე მოთხრობა (არ ვგულისხმობთ შიოს ცხოვრებაზე დართულ სასწაულებს), არამედ მისი სახელის მოხსენებაც ვერ დავადასტურეთ. ეს ფაქტი საკმაოდ დამაფიქრებელია. რაკი ქართული ეკლესია ასეთ წმინდანს ოდითგანვე აღიარებდა, ამიტომ სიმართლესთან ახლოს ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ანტონმა შიოს ცხოვრებაზე დართულ სასწაულზე დაყრდნობით შერიცხა ნეოფიტე ურბნელი ქართული ეკლესიის წმინდანთა გუნდში და დაუმკვიდრა ადგილი მას ქართველ მოწამეთა გვერდით. მანვე შექმნა კიმნოგრაფიულ-ჰაგიოგრაფიული მასალა და

საჭირო განგება. ამავე დროს, „სადღესასწაულოდან“ „წყობილსიტყვაობაში“ (და „მარტირიკაშიც“ ერთი სტროფი) შეიტანა ხუთი სტროფი მასზე, რომელშიც წარმოაჩინა მისი ღვაწლი:

„დაპნატრა მარად სიტყუამან მოწამეთა,  
მიუზლო შესხმა ქადაგთა და მოძლუართა,  
ვაშა, ქსთქუა მათთუს, ვინ მმარხველ-მოწესებენ,  
შეამკო ჯილდო, მიღებული ქალწულთა,  
ამათ მომღები დღეს აქო ნეოფიტე.

წინაჲანგება, მალალ გამოუთქმელი,  
საველეს ქადაგად, მას განწმედილს მღუდელ-ჰყოფს,  
მას მოციქულად, ამას — მწყემს სიტყუერთა,  
იმას — ჰურ — ჰრჩეულ, ამას მოწამედ თუსად,  
დიდება შენთა განგებათა, სახიერ.

დამასკოს მწყემსი ჰკურნავს საველეს სიბრძნესა,  
მმარხუელი შიო მოგუს განანათლებს მადლით,  
იგი ცხოველი, ესე განყრილი კორცთა,  
ორთავე ქრისტეს ითნებს განათლებულთა,  
ეჰა, მდილარი სიღრმე ცნობისა ღუთისა.

აქრონიტელთა დაჰსცხრა სქესი მღუდელობის,  
ვინათგან ქრისტე ნათესავით იუღას  
აღმოგებრწყინდა მზე ღმერთი, მელქისედეკ  
და მღუდელ თუსა ჰყუნა აღმოშობილნი მისდა  
სპარსნი და ინდნი, მისდამი წმიდა ქმნილნი.

პოღირი წმიდა მღუდელობისა შეღება

პორფირად საღმრთოდ სისხლითა ნეოფიტე,  
სხუად კჰპრიანედ, მოგვ, მღუდელ და მოწამედ,  
სიბრძნის მოყუარედ მწყემს სიტყუერთა არვეთ,  
გამოჩნდა ესე შორის ღუთისა და ჩუენისა“.

საინტერესოა, რომ ზემოთ დასახელებულ 5 სახსენებლიდან, რომლებიც „სადღესასწაულოში“ არ არის, „წყობილსიტყვაობაში“, რომელიც „მარტირიკის“ პარალელურად მუშავდებოდა (1768 წ.), აღმოჩნდა ორი. „წყობილსიტყვაობის“ მეხუთე ნაწილში, რომელსაც ჰქვია „თუს ქართუშლთა წმიდათა“, შეყვანილია:

1. თუს წმიდათა მოწამეთა ისაჲ და იოსებისა
2. ღირსთა მოწამეთა გარეჯის უდაბნოსათა, რომელნი მოისრნეს უღმრთოთა აგარიანთა მიერ.

„სადღესასწაულოს“ კალენდარში დასახელებული წმინდანები შეტანილი არ არიან იმიტომ, რომ მათთვის საგანგებო დღე გამოყოფილი არ იყო, სპეციალური განგებაც არ შემუშავებულა.



უნდა ერთ მომენტს მივაქციოთ სპეციალურად ყურადღება. ანტონის „სადღესასწაულოში“ 18 მაისს შეტანილია დავითისა და ტირიჭანის მხოლოდ ხსენება. „წყობილსიტყვაობაში“ სამი იამბიკოა წარმოდგენილი:

„ორობა წმიდა მარტულთა უფლისათა,  
 ეწყო მთაერობას, ბნელისა კელმწიფებას,  
 კაბუკებრივნი, უზესთაეს კაბუკთა,  
 სიმხნენი, რაჟამს შორისა ღუთისა და კაცთა  
 და ანგელოსთა აჩუენნეს საკურუელნი ო  
 ყრმათა ქასაკი, არ მრავალ-ჟამებულნი,  
 ქსჯულთა საღმრთოთა ქსცეს მარად ქუემდებარე,  
 ჩუეულებითა წმიდათა გამოცდილი,  
 წულებრი გუამი, სულითა შემოსილი,  
 არცხუენს მოხუტთა უღმრთოთა ცუდ ბრძანობასა.  
 დავით საღმრთომან, მკნემაჲ ქრისტეს მკედარმან,  
 ტარიჭანითურთ, ღმით ახალ მოქასაკით,  
 სისხლი მიუპყრეს სიძესა ნელ-საცხებელ,  
 ღროსა სიძობის კორცნი ამონნეს სულსა,  
 ხოლო გვრგენი მოიღეს სიძისაგან“<sup>20</sup>.

მოსალოდნელი იყო, დავითისა და ტირიჭანის (არის პარალელური ფორმაც ტარიჭანი) ვრცელი მარტიკობა, რომელიც ქართულ ენაზე საერთოდ არ არსებობს<sup>21</sup>, დაეწერა ანტონს და შეეტანა „მარტიკაში“, შით უმეტეს, რომ დავითისა და ტირიჭანის ხსენება შეტანილია ადრეულ ლიტურგიკულ წიგნებში (A—97 აშიაზე მინაწერი, A—111; A—515; H—970, A—1048, A—1093, S—67 და

<sup>20</sup> ანტონ ბაკრატიონი, წყობილსიტყვაობა, რ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით. გვ. 120—121. ანტონის „სადღესასწაულოში“ დასახელებულ წმინდანებზე შეტანილი იქვს მხოლოდ კონდაკი, კანონი საზიაროთიგან არის მითითებული. მოგვაქვს კონდაკის ტექსტი, რომელიც მე-4 ხმაზეა გაწყობილი:

„ნაკადულმან სისხლთა თქუენთამან, ყრმანი შეენიერნო,  
 ეკლესია ქაროუელთა ყუაულოვან ჰყო,  
 რომელსა შინა უმცხინუარისისა მზისა ნათლითა,  
 ქსენებისა თქუენისათა ბრწყინუალებნი გიჟალობო,  
 დავით, ღუაწლითა წამებისათა განმუენებულო,  
 ყოელად საქებელით მშითურთ შენით,  
 თხასა ნუ დააცადებთ მგალობელთა თქუენთათს.  
 წინაშე მეუფისა, რომლისა უძლეველ მკედარი იქმნენით, მოწამენო“.

(S—1464,615r).

<sup>21</sup> არსებობს სომხურიდან თარგმნილი წამება, რომელიც ათონის № 57 ხელნაწერშია დაცული. ტექსტი გამოაქვეყნა ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი XI—X სს. თბილისი, 1941 გვ. 178—184.

სხვ.) და ამისთვის გარკვეული საფუძველი არსებობდა<sup>22</sup>. ინტერესს მოკლებული არ იქნება ის ფაქტიც, რომ ანტონის ერთ-ერთ თანამშრომელს შეუღვენია ქართველ მოწამეთა კალენდარი სათანადო შენიშვნებით (ხელნაწერი დაცულია ლენინგრადში, On 41, E—106 (E—184) ფ. VI), რომელიც ანტონს გამოუყენებია შემდგომ. მასში შეტანილია დავითისა და ტირიჭანის სახელები და სხვების მსგავსად მათთან არ არის მიწერილი: „არა ვიციტ რა“, „არცა ამისი ვიციტ რა“ და სხვ.

„მარტირიკიდან“, რომლის კრიტიკული ტექსტი მთლიანად პირველად ქვეყნდება სათანადო მეცნიერული აპარატით, რამდენიმე თხზულება აღრეც იყო დასტამბული. 1846 წელს პეტერბურგში დაეით ჩუბინაშვილმა დასტამბა „ქრესტომათია“, რომელშიც გამოაქვეყნა „მარტირიკიდან“ ორი თხზულება: 1. „მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევანისათა“ (გვ. 301—320) და 2. „მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ლუარსაბ მეორისა, მეფისა ქართველთაჲსა“ (გვ. 321—344). დ. ჩუბინაშვილი თვითვე მიუთითებს, რომ თხზულებები აღებულია ანტონის წიგნიდან — „მარტირიკისაჲან“ (გვ. 301). ლუარსაბის წამება დღემდე მხოლოდ დ. ჩუბინაშვილის გამოცემით იყო ცნობილი და სწორედ დ. ჩუბინაშვილის „ქრესტომათიიდან“ შევიდა სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ დ. ჩუბინაშვილის პუბლიკაცია არ არის სრული. სხვა ხარვეზებზე, რომლებზეც დღეს შედარებით ადვილია ლაპარაკი, არაფერს ვამბობთ. მან ტექსტიდან ამოიღო ზოგადი მსჯელობები და საგრძნობლად შეამცირა ტექსტები, წარმოადგინა მხოლოდ ამბავი.

1882 წელს წიგნში „საქართველოს სამოთხე“ მ. საბინინმა გამოაქვეყნა „მარტირიკის“ შემდეგი ნაწარმოებები:

1. შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა მღუდელ-მოწამისა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისა (გვ. 303—312)
2. შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა მოწამეთა ისაჲ და იოსებისი, ვნებულთა ქალაქსა შინა თეოდოსიპოლსა (გვ. 351—362).
3. შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა შალვა მთაერისა ახალციხელისა, მანდატურთუხუცესისა (გვ. 531—54).
4. შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთა ტფილისს ვნებულთა (გვ. 542—553).

<sup>22</sup> ასევე ვაუგუბარია, თუ რატომ არ დაწერა ანტონმა ცხრა ყრმა კოლეგათა მოწამის შესახებ ვრცელი იხსულება.

5. შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდითა მოწამეთა დიდთა, რომელნიცა ბრძანებითა უღმრთოდასა დემურლანვისა ლაშქართა მისთაგან დაიწვნეს ეკკლესიასა შინა მონასტერსა დედის-ღუთისასა ქუაბთავეს (გვ. 554—567).

6. დღესა სამშაბათსა წმ. აღდგომისასა, შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ღირსთა მოწამეთა გარეკსჯისათა (გვ. 568—579).

7. შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთავან კახთ დედოფლისა (გვ. 584).

8. ხსენება წმიდათა ნოწამეთა სუქიოს და მის თანა ვნებულთა სუქავეელთა (გვ. 621—629).

როგორც აქედან ჩანს, მ. საბინინმა გამოაქვეყნა 8 ტექსტი, აქედან 7 პირველად (ერთი გაიმეორა დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოქვეყნებულნი) და ხელმისაწვდომი გახდა მკითხველი საზოგადოებისათვის. მ. საბინინის პუბლიკაციას გააჩნია ხარვეზები, მაგრამ ყველა ტექსტი მთლიანადაა დასტამბული. მ. საბინინის შემდეგ ანტონის „მარტირიკის“ არც ერთი თხზულება აღარ დაბეჭდილა.

„საქართველოს სამოთხეში“ გამოქვეყნებულ ტექსტებს წინ უძღვის თითო სტროფიანი იამბიკოები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ეკუთვნის ნიკოლოზს, „მარტირიკაში“ კი (ყველა ხელნაწერში უკლებლივ) ყველა ნაწარმოებს ანტონისავე იამბიკო აქვს წამძღვარებული. საინტერესოა, რომ „კონსტანტი კახის წამების“ ძველ ტექსტს (არა ანტონის თხზულებას) „სამოთხეში“ ანტონის იამბიკო უძღვის წინ.

ზოგიერთ გამოქვეყნებულ ტექსტს გამომცემელი სათაურში თუ სქოლიოში ურთავს ცნობას, რომ თხზულება ეკუთვნის ანტონს, ხოლო ზოგიერთს კი არა. ამიტომ საქმეში ჩაუხედავი მკითხველისათვის თხზულებათა ავტორის გარკვევა ყოველთვის ადვილი არაა. ეს თხზულებებია აქ წარმოდგენილი ნუმერაციით მე-4, მე-5, და მე-6 საკითხავები.

„მარტირიკაში“ შემავალი ოხზულებები პირობითად შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ.

1. ისეთი თხზულებები, რომლებიც XV-XVII საუკუნის მოღვაწეთა შესახებაა დაწერილი;

2. ისეთი თხზულებები, რომლებიც ეხებიან იმ მოღვაწეებს, რომელთა შესახებ მდიდარი მასალა არსებობდა, მაგრამ ანტონმა ძველი პაგიოგრაფიული მასალის გამოყენებით შექმნა ახალი ლიტერატურული თხზულებები;

3. ისეთი თხზულებები, რომლებიც ანტონმა შექმნა პირველად; მანამდე არ არსებობდა პაგიოგრაფიული მასალა.

თხზულებანი, შედგენილი XVIII ს. კავიოზგრაფიული ძეგლების  
მიხედვით

1. ქეთევან დედოფლის წამება. პირველ ჯგუფს განეკუთვნება ქეთევან დედოფლის, ლუარსაბ მეფის და 1659 წლის კახეთის აჯანყების მეთაურების წამება. ეს საში თხზულება სპეციალისტთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმიტომ, რომ აღწერილი ამბები ქრონოლოგიურად შედარებით ახლო დგას ავტორთან და მათ შეიძლება საისტორიო წყაროს მნიშვნელობაც ქჷონდეს (აქვს კიდევ).

ქეთევან დედოფალი შაჰ-აბასის ჯალათებმა აწამეს 1624 წლის სექტემბერში. ქართველმა საზოგადოებამ ქეთევანის მოწამებრივ სიკვდილს დიდი ეროვნული მნიშვნელობა მიანიჭა. ეკლესიამ ქეთევან დედოფალი წმინდანად აღიარა, ხოლო სიტყვაკაზმული მწერლობის წარმომადგენლებმა ქეთევანის ღვაწლის დაფასების წარმოჩენა სცადეს. ანტონი ამის შესახებ თვითვე წერს: „ამისთ უკუე ისტორიანი, ეპკონებ, ვითარმედ პირუელად აღწერა ვინმე თანმედროემან წმიდისამან, და თვით არჩილ იმერთა მეფემან, მამის ბიძამან ჩემმან, მოიკსენა შაირსიტყუაობათა შინა თვიმურაზ პირველისა საქმეთა ისტორიისათა, კუალად გრიგორი ხუცესმონაზონმა გარეკსჯის ღირსის დოდოს მონასტრისამან, ნეტარმან ბესარიონ მამამთავარმან ჩუენმან, ვახუშტი ნათესაემან ჩემმან, აღწერათა შინა კახეთისათა“<sup>23</sup>.

„მარტირიკა“ იხსნება „ქეთევან დედოფლის წამებით“ (პირველი სიტყვით, როგორც თვით ეძახება), თხზულებით, რომელიც ერთ-ერთი საინტერესო და საყურადღებოა არა მარტო ანტონის შემოქმედებაში. ნაწარმოები, მართალია, მხატვრული თხზულებაა, მაგრამ იგი ერთგვარად გამოკვლევადა, რომელიც მთელი სისრულით ითვალისწინებს მანამდე არსებულ ლიტერატურას როგორც მხატვრულს, ასევე ისტორიულს და ცდილობს ერთგვარი რეცენზია მოგვცეს არსებული მასალისა. ამავე დროს, ისტორიული ფაქტების შეფასებისას, კერძოდ, ქეთევან დედოფლის, ლუარსაბ მეორის და სხვათა როლის წარმოჩენასაც ავტორი ყოველნაირად ცდილობს, არ უღალატოს ობიექტურ სინამდვილეს, ჭეშმარიტებას, იყოს მართალი. არა ერთგზის უსევამს ხაზს ამ ფაქტს ავტორი და აცხადებს: „აქა ვიდრემე ყოველნი ვნებანი წმიდისანი მოთხრობილთაგან სხუა-

23 ანტონი არ ასახელებს სულხან-საბა ორბელიანის რამდენიმე სტროფს, რომელიც მან დაურთო თვითმურაზის პოემას. ცხადია, ვერ დაასახელებდა დიმიტრი ბაგრატიონს.

თასა, მეფისა ძისა მისისა თქმულნი უსარწმუნოეს მიჩნს“. ავტორი ხშირად ტექსტში აღარებს სხვადასხვა წყაროთა ფაქტებს და უპირატესობას უმრავლეს შემთხვევაში თეიმურაზის ცნობებს აძლევს. მაგ.: „სხუანი უკუე მომზრახობენ სხუაფერ; მთავრისა მისგან წუეეასა წმიდისად უღმრთოებისა მათსა აღსარებისას. და არაქილცა სომეხი სხუაფერ და ლათინთა მეისტორიენი სხუაგუარ, ვითარმედ აწეიათ შამ-აბას ცოლად მიყუანებად წმიდა იგი და ყოფად დედოფლად სპარსეთისა და სახელისა თუსისა და ესრეთ უარისყოფად კეთილმსახურებისა, მაგრა მე ძისა მისისა, მეფისა თეიმურაზ პირველისა, მოთხრობილთაგან ვქსთქუა“ (ხაზი ჩემია, მ. ქ.). როგორც აქედან დასხვა მაგალითებიდან ჩანს, ანტონი იყენებს სხვადასხვა წყაროს, მაგრამ მისთვის ძირითადია თეიმურაზ პირველის პოემა. ეს ფაქტი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს. ანტონისათვის ამოსავალია თეიმურაზის პოემა, მას ეყრდნობა ძირითადად. სხვა ავტორების ცნობები ხშირ შემთხვევაში მოხმობილია მაშინ, როდესაც ისინი სხვაობენ თეიმურაზის ცნობებისაგან. ასეთ შემთხვევაშიც ანტონი აანალიზებს მონაცემებს და ირჩევს იმას, რომელიც მისი თვალსაზრისით მართალია და უტყუარი.

ანტონი „ქეთ. წამებაში“ ჩამოთვლილ ავტორებს ყველას მეტნაკლებად იყენებს, მაგრამ ჰიმნოგრაფიულ მეგვეიდრობას, თუ მასში ახალი ფაქტი არ არის მოხმობილი ქეთევანის წამების შესახებ არ იყენებს, არც ახსენებს. ცხადია, არ იყენებს გრიგოლ ხუცესმონაზონის მიერ დაწერილ აკოლუთიას ქეთევანზე. ეს, ალბათ, იმიტთაა გაპირობებული, რომ ჰიმნოგრაფიულ კანონში არც ერთი ისეთი ფაქტი არაა დამოწმებული, რომელიც ფიქსირებული არ იყოს სხვა წყაროში. ესეც, ალბათ, იმიტაც უნდა აიხსნას, რომ ანტონმა „საღლეასწაულოში“ რამდენიმე წლით ადრე წარმოადგინა თავისი დამოკიდებულება ჰიმნოგრაფიული მეგვეიდრობისადმი. თითქმის ყველა საგალობელი შეიტანა კრებულში და ამავე დროს თავისი საგალობლებისათვის გამოიყენა ისინი. სწორედ „საღლეასწაულოში“ წარმოდგენილი საგალობლებით და მათდამი ანტონის დამოკიდებულების გარკვევით მოხერხდა გრიგოლ ხუცესმონაზონის აკოლუთიიდან „ვინმე თანამედროვის“ საგალობლის გამოყოფა<sup>24</sup>.

24 მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან (XVII—XVIII სს.) 1977 წ. გვ. 150—158.

ასევე არ იყენებს ანტონი სულხან-საბა ორბელიანის სამსტროფიან ლექსს ქეთევანზე. ანტონ პირველს ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი აქვს არა მარტო ვრცელი რედაქციის „მარტილობა“, არამედ კიმნების მთელი წყებ- და ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ უ ლ ი ს ა კ ი თ ხ ა ვ ი ც, რომელიც მის „სადღესასწაულოშია“ შეტანილი და ჯერ არსად გამოქვეყნებულა. სამეცნიერო მიმოქცევაში ანტონის სეინაქსარული საკითხავი ქეთევანზე, მისი პაგიოგრაფიული შემოქმედების პირველი ეტაპი, არ ყოფილა.

„მარტირიკის“ ყველა ტექსტი გამოირჩევა თავისი ენაწყლიანობით, ვრცელი შესავლებითა და შესხმებით. არც თუ იშვიათად, ნაწარმოების მოცულობის ნახევარი სწორედ შესავალზე და შესხმაზე მოდის. ამ ელემენტით განსხვავდება იგი არსებითად ყველა წინათ არსებული კიმენური და რამდენადმე მეტაფრასტული რედაქციის ტექსტებისაგან. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია „მარტირიკის“ ოცივე თხზულების შესავლები, რომლებშიც ავტორი თავისი ღროის შესაფერ განსწავლულობას ამქლავნებს ცოდნის სხვადასხვა დარგებში და, ვფიქრობთ, საგანგებო ყურადღებას მოითხოვს.

ანტონის პაგიოგრაფიულ თხზულებებს დიდი დოზით ახასიათებს შესხმითი ელემენტი. „მარტირიკის“ ტექსტებში გვხვდება მთელი პასაჟები, რომლებიც ენკომიებისათვისაა დამახასიათებელი. ამ თვალსაზრისით ანტონი გვიანფეოდალური ხანის პაგიოგრაფიაში პიონერი არაა, რადგანაც მე-18 საუკ. პაგიოგრაფის ბესარიონ ორბელიშვილის შემოქმედებაში დასტურდება ანალოგიური მავალითები. 1659 წლის კახეთის აჯანყების გმირების მოღვაწეობის აღწერისას ბესარიონი ჭარბად იყენებს ენკომიისათვის დამახასიათებელ ელემენტებს. როგორც ჩანს, აქ ანტონი ბესარიონის შემოქმედებიდან გამოდის.

საინტერესოა, რომ ანტონ პირველმა ქეთევანის წამების ვრცელ რედაქციაზე აღრე დაწერა ქეთევან დედოფლის წამების სეინაქსარული წამება, რომელიც ანტონის რედაქციის „სადღესასწაულოშია“ შეტანილი, როგორც მისი ორგანული ნაწილი. იგი ჯერ არ გამოქვეყნებულა (მისი არსებობა საერთოდ უცნობი იყო) და ამიტომ სპეციალისტები მოკლებულნი იყენენ შესაძლებლობას, შეეღარებიანთ იგი ვრცელი თხზულებისათვის. რაც მთავარია, ანტონი, მიუხედავად იმისა, რომ ჭარბად იყენებს „მარტირიკაში“ წყაროებს არ ასახვლებს ამ თხზულებას იმ წყაროთა სიაში, რომლებიც ქეთევანზე იყო შექმნილი და ჩამოთვლილია „მარტირიკაში“. თავისთავად იგულისხმება, რომ სეინაქსარული ტექსტი ძალზე საინტერესოა; აქ

ვაქვეყნებთ მას ხელნაწერ S—1464-ის მიხედვით. გამოცემაში გასწორებულია მხოლოდ ორთოგრაფია, მ-ს ნაცვლად ყველგან ე-ა გამოყენებული.

„სუნაქსარი პირუელად სათუეთაგან და მერმე წმიდისა ქეთავანისა

ამასვე დღესა წმიდისა დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთავანისა, რომელი აღმოკდა ძირისაგან სამეუფოსა, ესე იგი საღა-ვითოსაგან და საწინასწარმეტყუელოსა დასაბამისა. ესე ღმრთივ დიდებული და მრავალბრწყინულე მოწამე ქრისტესი ქეთავან ასული იყო კეთილ-მსახურისა ამოთან ბაგრატოვანისა, რომლისა მამამ მუორე ნათესავი იყო კეთილმსახურისა კოსტანტინესითგან მეფისა ქართუელთასა დავეითიან-ბაგრატოვანისა. და მიეთხოვა წესითა ქორწინებდა საიდუმლოსათა მისვე დავითის გამოსა ძირისაგანსა რტოსა მეფესა კახთასა დავითს, დავითიან-ბაგრატოვანსავე, ძესა კეთილმსახურისა მეფისა ალექსანდრესსა. და დედა იქმნა ძისა თეიმურაზ პირველისა კეთილმსახურისა მეფისა.

ხოლო ძრუად იწყო მიზეზმან ამის წმიდისა მარტულობისამან ეს სახედ, რამეთუ მიზეზითა რათმე უღთო შაჰბას, მტერი მძუნუარე ქრისტეანეთა, აღდგა რისხუთ მღვდესა ძესა ამის წმიდისასა და მოიწია სპითა ურიცხუთა ქუემო კერძო კახეთისა.

ხოლო იხილა რა ძემან ამის წმიდისამან კეთილმსახურმან მეფემან თეიმურაზ, რეცა უღონო ქმნილმან წინაგანწყობად მისა, წარავლინა წმიდა ესე დედოფალი და დედა თუსი და თანა წარატანა უმრწემესი ძე თუსი, სახელით ლეონ, ვედრებად უღთოსა მის მეფისა, ნუკუე დასცხრეს აღბორებულება იგი მძლავრისა მის კახეთსა ზედა.

ხოლო უსჯულომან მან იხილნა რა წმიდა ესე დედოფალი და ყრმა იგი მისრულნი წინაშე თუსსა, სხუსაჲა ძისა შეტყუულით წარტაცებაჲ იმძაცუა მეფისამი თეიმურაზისა. და აჰა, მყის ორნივე იგი ძენი მეფისანი საჭურის ჰყუნა. და წმიდა ესე დედოფალი წარსცა პატიმრად შინაგან სპარსეთისა ქალაქად შირაზად. და ვინ-მე მიუთხრნეს, თუ რაოდენნი ტყიულნი დედობრივნი შეუხდებოდეს შინაგან გულსა მისსა, ძისწულთა თუსთა იხილნა რა/ სიკუდილისა უმძუნუარესნი ჳირნი და ოკრება წამეფოსა თუსისა და დარღუევა წმიდათა ეკკლესიათა?

ხოლო შემდგომად რაოდენთამე წელთა განიზრახა შაჰ-ბას მა-

მისა თვისისა ეშმაკისა თანა და წარავლინა ქალაქად შირაზად მთავარი ვინმე პალატისა თვისისა. და ბირებულ ჰყო კაცი იგი, რამთა წმიდა ესე დედოფალი რეცა მოზიდუთ მიიყუნაროსმცა სჯულსა მაქმუდოსსა, და უკეთუ თავს-იღუას ესე დედოფალმან, ღირს იქმნეს მეფისა მიერ დიდებასა დიდსა. და აღუთქმიდა ნიჭთა დიდთა და კულად-გებასა სამეფოდვე თესად ძისა მისისასა: და თუ სადამე არა ისმინოს ბრძანება ესე მეფისა, მწარისა მიერ ტანჯვსა დაი-საჯოს იგი სიკუდილად.

და ვითარცა მიიწია წარკვლინებული იგი მთავარი მეფისა მიერ ქალაქად შირაზად და აუწყა ყოველი წმიდასა დედოფალსა და ევედრებოდაცა კაცი იგი, რამთა ისმინოს ბრძანებამე მეფისა და იქმნეს დიდებულ პალატსა მეფისასა. ხოლო წმიდამან მან არცა ერთისა მის ხრწნადისა და შლადისა პატიუსა მათთა არარად მრაცხმან, თუმცადა არარამ არს. მისცა თავი თვისი ქრისტესთვის სასტიკთა ტანჯუათა დიდითარე ტრფიალებითა და უშიშითა გონებითა, ვითარცა ლომმან.

მაშინ უღოთათა მათ მტარულთა მეფისათა აღაგზნეს წინაშე წმიდისა მის ცეცხლი და მოიხუნეს შამფურნი და მარწუხნი და ბარი, მტილისა საბარუელი, და გვრგვინი რამე რუალისა დანაკუთებული, რეცა სიავის სახედ და განაჯურუნეს თულთა წინაშე წმიდისათა და დასხნეს კელნი ყოვლად ბილწთა მათ ყოვლად წმიდასა ტარიგსა ქრისტესსა. და განაშიშულეს იგი და განკშალეს ქუეშე მისსა სიმრავლენი ნაკურცხალთანი და მას ზედა განართხეს წმიდა იგი. და იწყეს განყრად ძუძუთა და კორცთა წმიდისათა განჯურუებულთა მათ შამფურთა და მარწუხთა მიერ განჯურუებულთა დაკლინეს ძუძუნი და ყოველნი კორცნი წმიდისანი, ვიდრემდის დაშიშულდეს ძუალნი მისნი. და დაადგეს თავსა მისსა განჯურუებული იგი სიავი რუალისა და უქანასკნელ განჯურუებული იგი ბარი დასდუეს ყოვლად უბიწოსა მას გულსა ზედან. და ესრეთ დაიკმოა გუნდრუკი იგი მრავალ-სუნნელი აღსლულად სამლოთოსამი საკურთხეველისა დასაბამითგან წელთა შვიდი ათას ას და ათერთმეტისა.

ხოლო საუწყო არს ესეცა, ვითარმედ თანა ჰყუა წმიდასა მას ორნი ვიდრემე ხუცესნი, რომელთაგანი ერთი თან-ზიარებასა ღირს იქმნა მოწამისა ღუაწლთასა, რამეთუ მანცა ქრისტესთვის მიიღო აღსასრული ცეცხლისა მიერ. ხოლო სახელი წმიდასა მის მღუდელისა და ქრისტეს მოწამისა იყო ე ა ს ი ლ ი<sup>25</sup>.

ვასთქუათ უკუე ნაწილთათსცა წმიდისა ამისა დედოფლისათა.

<sup>25</sup> ამ ვასილის სახელს სხვა წყარო არ იძლევა.



იყუნეს ვინმე ლათინთაგანნი ხუცეს-მონაზონნი, რეცა ქადაგებისათჳს ქალაქსა მას შინა შირაზისასა. რომელთა წარიპარეს გუამი წმიდისა და განჰყუეს იგი ორად და კერძოდ ერთი, რომლისა თანა იყო თავიცა, წარგრაგნეს არმენაკითა წმიდითა. და მრავალთა მიერ სუნნელთა შემურეს იგი და დიდითა პატივითა, ვითარცა ქრისტეს მოწამე, წარმოიღეს საქართუელოდ და მოართუეს ძესა მისსა მეფესა თეიმურაზს, რომელმან დიდითა ლიტანიობითა წარიხუნა ალავერდს და დასხნა ეკლესიისა მთაყარ-მოწამისა გიორგისსა, ქუეშე სამღთოსა ტრაპეზისა. და კერძო იგი მოწამის გუამისა წარიღეს ლათინთა მათ მონაზონთა ქუეყანად თუსად.

მეოხებითა ქრისტე მოწამისა შენისა ქეთავანისათა მოგუმაღლე მშუღობა და დიდი წყალობა“<sup>26</sup>.

ქეთევანის წამების ვრცელ რედაქციაში გამოყენებული წყაროებიდან საგანგებოდ უნდა გამოვეყნოთ ორი: იტალიური წიგნი (როგორც თვით წერს, „იტყუან ლათინნი იტალიანებრითა ენითა დაბეჭდულსა ისტორიასა შინა“, მეორე ადგილს: „ლათინთა მეისტორიენი“) და სომხური წყარო („არაქილ სომეხნი ისტორიკოსნი“). არაქართული წყაროებიდან, ყოველ შემთხვევაში, უცხო წყაროებიდან ავტორი მხოლოდ ამათ იყენებს, ამიტომ მათი გამოწვლილვით შესწავლა და გამოამჟღარაება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ფაქტია.

ანტონ პირველს წყაროთა გამოყენების თავისი წესი აქვს, რომელიც მეტ-ნაკლებად, ერთნაირია ყველა მის თხზულებაში (პირად ეპისტოლეშიც კი): პირველი, იგი სიტყვასიტყვით იმოწმებს საჭირო წყაროს; მეორე, წყაროდან შეიძლება მხოლოდ ერთი სიტყვა ან ფრაზა იქნეს გამოყენებული; მესამე, შესაძლებელია, ავტორმა არ დაიმოწმოს არც ერთი ფრაზა ან სიტყვა და მოხმობილი ტექსტის მხოლოდ განწყობილებას გადმო'ცემდეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ანტონი წყაროს უეჭველად მიუთითებს და დაასახელებს. როგორც ვთქვით, წყაროთა გამოყენების ეს წესი ანტონთან ბევრითადაა გატარებული. სწორედ ამ მეთოდის წყალობით გაირკვა და დადგინდა არა ერთი და ორი თხზულების ავტორი.

ლათინთა მეისტორიენი და მათ მიერ დაწერილი ისტორია, რომელშიც ქეთევან დედოფლის თავგადასავალი ყოფილა აღწერილი, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ და ამდენად არ ვიცით, რა დოზით ესესხება ავტორი მას. საფიქრებელია, რომ ეს მეისტორიენი კათოლიკე მისიონერები იყვნენ, რომელთაც არა

მარტო აღუწერიათ ქეთევან დედოფლის წამება, არამედ დაუსტამბავთ კიდეც თავიანთი შრომა. ზუსტი სათაური დასახელებული წყაროსი ანტონს არ მოაქვს, თუმცა რამდენიმე ეპიზოდთან ასახელებს მას. ერთ ადგილას იმოწმებს კიდეც რამდენიმე სტრიქონს: „სხეული წმიდისა დაწურვილი მეროდ კორცთა უფლისათა საცხებლად შთაადღესო მწერეთა შინა ადგილთა ქალაქისა კორცთა საჭიროთასა და გარდამოსულითა მრავალჯერ მის ზედა ნათლისა სუეტისათა კპოვეს მორწმუნეთა ქრისტეს ღმრთისა მიმართ, დაღათუ მწუალებელთა...“ (გვ. 33). დამოწმებული სტრიქონები ადგილი შესაძლებელია არ იყოს ზუსტი ციტატი (ვფიქრობთ, ასეც არის) და მხოლოდ გარკვეული მონაკვეთის პერიფრაზს ანდა უბრალოდ შინაარსის გადმოცემას წარმოადგენდეს. ამიტომ კონკრეტული წყაროს გამოვლენა ჭირს.

კათოლიკე მისიონერების როლს ქეთევან დედოფლის ნეშტის გაპატიონებაში და გადმოსვენებაში თითქმის ყველა ქართული წყარო აღნიშნავს<sup>27</sup>. ვფიქრობთ, კიდეც თეიმურაზ პირველი ახსენებს მათ პოემაში ორ ადგილას:

„წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადარია,  
სული ამოხდა სურნელი, აღარსად იყო მკვდარია,  
თქვეს: ფრანგი მოიპარავდეს, თუ სად დაეცა დარია,  
მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია“<sup>28</sup>.

მაგრამ, ეიმორებთ, ჩვენთვის უცნობია ის წიგნი (მით უმეტეს, დაბეჭდილი), რომელზეც ანტონი ასე დაბეჯითებით და ხაზგასმით მიუთითებს.

შედარებით ადვილია იმის ჩვენება, თუ როგორ იყენებს ანტონი სომეხი ისტორიკოსის ცნობებს.

სომეხი ისტორიკოსი, რომელსაც ანტონი იხსენიებს, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია არაქელ თავრიზელის ან დავრიცეცის სახელით. იგი XVII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა, გარდაცვლილა 1670 წელს. თავისი ისტორიის შედგენა მას დაუწყია 1651 წელს, გაუგრძელებია 1658 წელს, დაუსრულებია 1662 წელს<sup>29</sup>.

<sup>27</sup> მ. თამარაშვილი თავის წიგნში — ისტორია კათოლიციზმისა ქართულეთს შორის, 1900 წ. — აქვეყნებს იტალიელი მისიონერების ცნობებს ქეთევანის შესახებ. ამ ცნობებში მოთხრობილია მათ მიერ ქეთევანის ნეშტის გადმოსვენების ისტორია. მაგრამ ჩვენ შორის ვართ ომ აზრიდან, რომ ანტონს სწორედ ეს ცნობები ეპყრა ხელთ.

<sup>28</sup> თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ილ. ბარამიძის და გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, 1954 წ., გვ. 135.

<sup>29</sup> არაქელ დავრიცეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი, თბილისი, 1974 წ. გვ. 5. ქვემოთ ყველგან ამ გამოცემას ვგულისხმობთ. ბოჟრაფელი ცნობები ამ წიგნიდანაა აღებული.

არაქელ თავრიზელს ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ მეფის შესახებ შეტად მნიშვნელოვანი ცნობები შეუტანია თავის ისტორიაში. არაქელ თავრიზელი თითქმის მომსწრეა მის მიერ მოთხრობილი ამბებისა. მართალია, იგი თითქმის ფხმოუცვლელად საკათალიკოსო საყდართან — ეჩმიაძინთან — მოღვაწეობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოს ამბებთან დაკავშირებით პირველხარისხოვანი და საქმეში ჩახედული ინფორმატორები ჰყოლია. ამიტომაცაა, რომ ანტონ ბაგრატიონი დიდი სიმპათიითაა მისდამი და, რაც მთავარია, ასევე დიდი ნდობით ეკიდება ისტორიკოსის ცნობებს საერთოდ და, კერძოდ, საქართველოს შესახებ<sup>30</sup>.

ეს ნდობა და სიმპათია იმით კი არ არის გამოწვეული, რომ ავტორი არაქართველია; ავტორი აანალიზებს მის ყოველ ცნობას და მხოლოდ ამის შემდეგ ეყრდნობა. ქართულად არაქელ თავრიზელის (დავრიეცის) ცნობები (ნაწყვეტები) მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიბეჭდა პირველად ჟურნალ „ივერიაში“, ხოლო საქართველოს შესახებ ცნობების სრული ტექსტი კი, როგორც აღვნიშნეთ, 1974 წელს გამოქვეყნდა. როგორც „მარტირიკიდან“ ჩანს, არაქელ ისტორიკოსის თხზულება ცნობილი და, ალბათ, რამდენადმე გაერკელებულიც ყოფილა ჩვენში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში; საჭიროების შემთხვევაში ქართველი მწიგნობრები იყენებდნენ კიდევაც მას, როგორც საინტერესო წყაროს. თავისთავად ეს ფაქტი (კონკრეტულად სამეცნიერო ლიტერატურაში ყურადღებაშიუქცეველი) საყურადღებოა და ერთხელ კიდევ მიუთითებს ქართულ-სომხურ კულტურულ ურთიერთობაზე<sup>31</sup>.

არაქელ თავრიზელის ცნობებს ანტონი ორგვარად ესესება. ზოგიერთ ადგილს თარგმნის ზუსტად და არც თუ ურიგოდ, ხოლო

<sup>30</sup> მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი. არაქელ თავრიზელმა თავისი შრომა მეორედ გააგრძელა 1658 წელს, ხოლო დაამთავრა 1662 წელს, ე. ი. მაშინ, როდესაც კახეთის ძღვევამოსილი აჯანყება ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა და მოძალადე „უღუსი“, რომელიც მოიკვდინებულ საურთხეს უქმნიდა საქართველოსთან ერთად სომხეთსაც, განდევნილ იქნა. ისტორიკოსს კი ამ ღირსშესანიშნაო აქტის შესახებ არაფერი აქვს თავის ისტორიაში ნათქვამი. იგი დაწერილებით გვიამბობს თეიმურაზ I-ის, ლუარსაბ მეფის, ქეთევან დედოფლის შესახებ, მაგრამ, ვიმეორებ, არაფერს ამბობს ბიძინა, შალვა და ელიზბარის გმირობაზე, ბაგრატიონის განთავისუფლებაზე.

<sup>31</sup> კულტურული ურთიერთობის ეს ფაქტი აღნიშნული არა აქვს არც პ. მერაბიანი-გივინში, რომელშიც საგანგებოდაა ეს პერიოდი შესწავლილი. იხ. Армяно-грузинские литературные взаимоотношения в XVIII веке, 1966 г. Ереван.

ზოგიერთის მხოლოდ შინაარსს გადმოსცემს. არის შემთხვევა, რაც დესაც მხოლოდ ერთ სიტყვას იმორწმებს წყაროდან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კი იგი უთითებს წყაროს, მოვიტანთ ნიმუშებს:

1. ზუსტი თარგმანი.

ანტონი

ა) „მიაველინაო მეფემან შაკაბას მოციქულნი თეიმურაზისად და ითხოვა წინდი. და წარუგზავნა თეიმურაზ ერთი ძეთა თუსთაგანი. მსთხოვა კულად წინდი და წარუგზავნა მეორეადცა. შეჰსძინაო კულად მესამედ ყვენმან და მსთხოვა წინდი და წარგზავნა დედაი თუსი“ (გვ. 25).

ბ) „და ოდეს იგი მოკლეს, განავადეს გარე პატიოსანი გუამი მისი საჭმელად ძალთა და მკეცთა, გარნა ღმერთმან დიდებულ ჰყო იგი ზეციერთა სასწაულითა“ (გვ. 33).

2) პერიფრაზული დამოწმება:

„ვინ-მე უკუე აღრაცხნეს განსაცდელნი მაშინდელნი კახეთისანი, ანუ სახლისა მეფეთასანი, ანუ მოოქრებანი და განრყუნანი წმიდათა ეკლესიათა და მონასტერთანი, ანუ გარდასახლებანი კნინლა ყოველთა სოფელთა კახეთისათა და სიკუდილი და კლდეთა და ქუჩელთა შინა ქუეყანისათა დაფარულთა სიყმილი, ანუ მახვილი, ანუ ტყუეობამ, რომელიცა წინადლომითა და ეტიკობითა გიორგი

არაქელ თავრიზელი

(ქარლო კუციას თარგმანი)

ა) „შაკმა თეიმურაზთან გავზავნა ვილაც კაცი და მოსთხოვა მძევალი. მან გაუგზავნა ერთ-ერთი თავისი ძე. შაკმა მეორედაც მოითხოვა მძევალი და თეიმურაზმა თავისი მეორე ვაჟიც გაუგზავნა. შაკმა მესამედაც მოითხოვა მძევალი და თეიმურაზმა გაუგზავნა თავისი დედა“ (გვ. 41).

ბ) „მისი მოკვლის შემდეგ, მისი სხეულის პატიოსანი ნეშტი გადაავადეს ძალღებისა და მსეცების კერძად.

მაგრამ უფალმან, განადიდო იგი ზეციური ნიშნით“ (გვ. 43).

2) „...მოურავი იმიტომ ამბობდა, ჯერ დრო არ არისო, რომ ზაფხული გასულიყო. ზამთარი დამდგარიყო, ტყეში ხეებს ფოთლები გასცვენოდა, რომ სპარსელთა ჯარს გაადვილებოდა ცხენებით სიარული და შესვლა ქართველთა ქვეყანაში და კიდევ იმიტომ, რომ ქართველებს, რომლებიც გახიზნული, გამაგრებული და დამალულნი იყვნენ სიმაგრე-

სააკაძისძისათა მოიწია კახეთსა ზედა, რამეთუ ესრეთ ჰსწერს არაქილ სომეხი“ (გვ. 26).

ვ) იყენებს მხოლოდ ერთ სიტყვას:

„ალატყინეს ცეცხლი და შთაჰსხნეს მას შინა რკინანი განჯურებად. იტყუს არაქილ: მაშინ ცრემლთა ც დათხევასა მთავრისაგან შირაზელისა“ (გვ. 31).

„ქეთევანის წამებაში“ საგალობლის (მე არ ვგულისხმობ საერო ხასიათის პოემებს) როგორც წყაროს გამოყენების ფაქტი ერთი შემთხვევის გარდა არ დასტურდება. ანტონის ცნობა „ამისნი უკუე ისტორიანი, ვაკონებ, ვითარმედ პირუელად აღწერა ვინმე თანამედროემან წმიდისაჲან“ — ჩვენი აზრით, უნდა მიუთითებდეს სწორედ საგალობელს.

გრიგოლ დოდორქელის კიმნოგრაფიული მოღვაწეობის განხილვისას ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გამოგვეყო საგალობელი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, სწორედ ქეთევანის წამების თანადროულია (და რომელსაც, ჩვენი აზრით, უნდა გულისხმობდეს ანტონი) და რომელიც ხელნაწერთა გადამწერლებმა შემდეგ გრიგოლს მიაწერეს<sup>32</sup>. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ანტონი არ

ებში, გამოქვაბულებსა და ქვეყნის მიუვალ ადგილებში, სიცივის სიმკაცრისა და ზამთრის თოვლის სიუხვისაგან, შიმშილის სისასტიკისა და საჭირო ნივთების უქონლობის გამო ვეღარ შესძლებოდათ სიცივის ატანა და სიმაგრეებში დარჩენა და ჩამოსულიყვნენ თავიანთ ბინებში, ცხენების სავალ ადგილებში, სადაც ადვილი იქნებოდა სპარსელთა მძარცველი და მოთარეშე ჯარისათვის ცხენებით სიარული და მათგან ნადავლის მიტაცება“ (გვ. 22—23).

„... ასეთი სიტყვებით მიმართავდა დიდებული და ტიროდა მსგავსად ჰეროდეს ჯალათისა, რომელიც გაემართა იოანე ნათლისმცემელის თავის მოსაკვეთად“ (გვ. 42).

<sup>32</sup> დაწერილებით ის. მ. ქვეთარია ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, თბილისი, 1977 წ. გვ. 152—153. აქვეა გამოქვეყნებული ანონიმის ტექსტი, რომელიც ჩვენ გამოყევით გრიგოლ დოდორქელის კიმნებიდან.

იცნობს „თანამედროვის“ თხზულებას (ჩვენი აზრით, საგალობელს) და არც იყენებს მას. ერთადერთი საგალობელი, რომელიც ანტონმა გამოიყენა, არის ნიკოლოზ მროველის იამბიკო.

ნიკოლოზი თითქმის ანტონის თანამედროვეა. მან არა ერთი და ორი იამბიკო უძღვნა ქართველ წმინდანებს. მასვე ეკუთვნის ქეთევანისადმი მიძღვნილი ორსტროფიანი ლექსი, რომელიც დასტამბული აქვს მ. საბინინს. ანტონი იმოწმებს ნიკოლოზ მროველის იამბიკოდან ფაქტს, რომელიც თითქოს სხვა წყაროებში არ ჩანს: „იტყუს ნიკოლოსცა ეპისკოპოსი მროელი სტიხოლოლოსობით, ვითარმედ: „ჯაჭუცა მოარტყეს“. ამ შემთხვევაში ავტორი გულისხმობს ნიკოლოზის ორსტროფიან იამბიკოში დამოწმებულ ფაქტს, რომელშიც, განსხვავებით სხვა წყაროებისაგან, ნათქვამია, რომ დედოფალს გაეარეარებული ჯაჭვი შემოარტყეს წელზე. სწორედ ეს აღვილი აქვს ანტონს გამოყენებული.

„ეთეროენისა სფერასა განსმენილი,  
 შუის ქუეშე მნათი, მეორე მზე ქართუელთა,  
 ყოელთ მაარსის დედისა თესებითა,  
 ცხებულთაგანი, ცხებულთა დედოფალი.  
 მწუელთა სიათა გერგუნად ხატთ იჭავლებს.  
 ზედსადგარს ცხელთა, იფარლულ-მანიაყებს,  
 შიშულივ შამფურთა, მჭურულთა ივსწლებს,  
 ბარებს ამბარჩად, ცხელთა ჯაჭუთა ისარტყელებს  
 მუსმართ იღებებს, გორვებით ისაბანებს  
 დიდი ქეთევან, მტურს ჰყრის, ეტრფის სიძესა“<sup>33</sup>.

საინტერესოა ისიც, რომ ანტონი დასახელებულ წყაროებს შორის ნიკოლოზის იამბიკოს არ მიუთითებს და საერთოდ არც ჩამოთვლილ ავტორებში ასახელებს მას.

ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში ხშირად აღწერილია მოწამის განსაკუთრებული საქციელი. მოწამენი წარბეჭუხრელნი ხედებიან სასჯელს და რამდენადმე გამომწვევადაც კი უჭირავთ თავი. მართლმორწმუნე მკითხველზე ასეთ პოზაში დანახული მოწამე გაცილებით დიდ გავლენას ახდენს და მას დიდი საქმეებისაკენ განაწყოებს. ანტონი ჰაგიოგრაფიული ჟანრის ამ დამახასიათებელ ელემენტს საგანგებოდ წარმოაჩენს. მოაქვს საილუსტრაციით მაგალითი „თოდორე სტრატილატის წამებიდან“. იგი წერს: „ჩუეულება არს მოწამეთა ქრისტეს ღმრთისათა, ვითარმედ ტანჯუად ქრის-

<sup>33</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 583.

ტესტუს განპსცემენ ნებსით თაეთა თუსთა სხუადასხუაგუარ, ვითარ დიდმან მოწამემან თეოდორე სტრატილატმან ზოუწოდა მეფესა ლიკინიოსს შიზუზისა მიმწერმან მისდა მეფისა მისგან საჭიროდ საგონებელთამან და ერჩდა მეფე და მოვიდა ევხაიტად. და სხუანი სხუაგუარ ესთაეე იქმოდეს“.

თეოდორე სტრატილატის სახელი ქართულ პაგიოგრაფიაში (და ფერწერაშიც) ძალზე ადრე ჩნდება. იგი ვითარცა მეომარი ჭაბუკი, გველეშაპის განმგმირავე, დიდად დაფასებული იყო ჩვენი წინაპრების მიერ, ამიტომ მისი წამება ადრევე ითარგმნა ქართულად.

თეოდორე სტრატილატის „წამების“ დღეს ორი რედაქციაა ქართულად ცნობილი<sup>34</sup>. ვრცელი ვარიანტის თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე ათონელს. „წამების“ ორივე რედაქციაში, ერთგან ვრცლად და მეორეგან შედარებით მოკლედ, არის თეოდორე სტრატილატის წერილი ლიკინიოს მეფისადმი. ამიტომ ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა (და ანტონის ერთი ფრაზის მიხედვით ვერც გაირკვევა), თუ რომელ რედაქციას ეყრდნობა ანტონი და იყენებს წყაროდ. ამიტომ მოგვაქვს თეოდორე სტრატილატის „წამებიდან“ წერილის ტექსტი ორივე რედაქციის მიხედვით.

### ექვთიმე

„ლიკინიოზ ძლევით შემოსილსა მეფესა თეოდორე სტრატილატი გახარებ. ბრძანა მპყრობელობამან შენმან მოსლვამ ჩემი ნიკომიდიად წინაშე მეფობისა შენისა განზრახვად საქმეთათუს საიდუმლოთა მეფობისა შენისათავე. და არს ესე ნანდულვე შემსგავსებულ სამეფუფოსა სიბრძნისა წოდება მონათა შენთა შენ წინაშე. ვარ უკუე მეცა დიდად წადიერ თაყუანისცემად მეფობისა შენისა, არამედ ვიკადრებ მოჯსენებასა, ვითარმედ ჟამსა ამას არა ჯერ არს ჩემი ამიერ ქუეყანით წარ-

### მეორე რედაქცია

„ლიკინიოზ ძლევა შემოსილსა მეფესა თეოდორე სტრატილატი გახარებ. ბრძანა მპყრობელობამან შენმან, რამათა მე წინაშე თქუნსა მოვიდე განზრახვად საიდუმლოთა მეფობისა შენისათა. და არს ესე შემსგავსებული სიბრძნისა შენისა, არამედ არა ჯერ არს მოსლვამ თქუნენ წინაშე, არამედ შენ ინებე მოსლვამ აქა, რამათა მოსლვითა შენითა შე-

<sup>34</sup> მ. ქავთარია, თეოდორე სტრატილატის მარტილობის რედაქციები, დაბეჭდილია: შოთა რუსთველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1966, გვ. 191—217.

მოსლვად, მრავალფეროთა საკმე-  
თათუს, რომელთა წიგნითა ვერ  
გაუწყებ. აწ უკუე კნებავს თუ  
მეფობასა შენსა მონისა ამის შე-  
ნისა განზრახვისა სმენად, ინებე  
მოსლვად ქალაქსა ამას და შემყო-  
ბად ქუეყანამ ესე მოსლვითა ღო-  
დებისა შენისათა. რამეთუ არიან  
აქა მრავალნი საკმენი, რომელთა  
უკმს მოსლვად შარავანდობისა  
შენისამ, რამთა იხილო და კეთი-  
ლად განაგო თითოეული მეფეო  
დიდებულო“.

იმეოს ქუეყანამ ესე, მამული  
ჩემი“<sup>35</sup>.

2. ლუარსაბ მეფის წამება. „ქეთევან დედოფლის წამების“ და-  
სასრულს ანტონი წერს: „და აწ განვიღუძებთ ქმნითა ამისითა კუა-  
ლად შესხმად და მოთხრობად ლუაწლთა წმიდისაცა დიდისა მოწა-  
მისა ლუარსაბ მეორისთა“.

მართლაც, ლუარსაბ მეფის „მარტვილობა“ რიგით მეორე  
თხზულებაა „მარტირიკაში“, მოსლვეს „ქეთევან დედოფლის წა-  
მებას“.

1614 წელს ირანის განმგებელი შაჰ-აბას პირველი დიდძალი  
ლაშქრით შემოესია ქართლ-კახეთს. ააოხრა კახეთი და გადავიდა  
ქართლში. ქართლისა და კახეთის მეფენი—თეიმურაზ I და ლუარ-  
საბ II იმერეთს გაიხიზნენ. შაჰ-აბასმა ცბიერებით გადმოიტყუა  
ლუარსაბი, დაატყვევა იგი და 1622 წელს სპარსეთში მშვილდის  
საბლით მოაშთო.

ქართულ ნარატიულ წყაროებში ლუარსაბ მეორის მეფობის  
შესახებ ცნობები უხვადაა წარმოდგენილი. ეს, ალბათ, იმანაც გა-  
ნაპირობა, რომ ლუარსაბი წინ აღუდგა შაჰ-აბასის მზაკერულ პო-  
ლიტიკას და შეეწირა ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნე-  
ბას. ამის გამო ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანთა გვირგვინით  
შეამკო და ეორტალოგიურ კალენდარში მისი მოწამებრივი აღსა-  
სრულის სახსენებლის სპეციალური დღე გამოყო.

ლუარსაბ მეფის თავგანწირვა, ქვეყნის გადარჩენისათვის ზვა-  
რაკად თავის დადება და ბოლოს მოწამებრივი სიკვდილი განსა-



კუთრებით ვრცლად აისახა ქართულ ჰაგიოგრაფიულ და პიმნოგრაფიულ მწერლობაში. შედგა სვინაქსარული ცხოვრება, რომელიც XVIII საუკ. პირველი ათეულის ხელნაწერშია (A—130) პირველად დადასტურებული, ბესარიონ ორბელიშვილმა შეადგინა ვრცელი „წამება“ და მთელი განგება.

ლუარსაბ მეფის მოღვაწეობის დახასიათება მოცემულია იოსებ თბილელის „დიდმოურავიანში“, არჩილ მეფის პოემაში „გაბასება რუსთველისა და თეიმურაზისა“, სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის ისტორიულ თხზულებაში, სპარსი ავტორის ისკანდერ მუნშის ნაწარმოებში, ფარსადან გორგიჯანიძის, ვახუშტის, ბერი ეგნატაშვილისა და სხვათა ისტორიებში. ანტონ პირველის დროს ყველა ეს თხზულება არსებობდა და გარდა ერთისა (ისკანდერ მუნშის თხზულებისა) ანტონს ყველა ხელთ ჰქონდა და იყენებდა მათ თხზულების წერის დროს.

ანტონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გამოწვლილით შეისწავლა ყველა წყარო და მოგვცა ლუარსაბ მეორის მეფობის და მოღვაწეობის კრიტიკული შეფასება. თავისი გამოკვლევა (პირობითად შეიძლება ამ სიტყვის ხმარება) ანტონმა ჰაგიოგრაფიული მწერლობის ყალიბში ჩამოასხა და ისე წარმოადგინა მკითხველი საზოგადოების წინაშე. ანტონმა შექმნა ისტორიული ხასიათის მოთხრობა მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიულ სინამდვილეზე და ამით ერთგვარად შინაგანი კავშირი გააბა ქეთევანისა და ლუარსაბის მოღვაწეობას შორის, ქართლისა და კახეთის ავბედითობის ერთიანობას შორის.

ანტონი ლუარსაბ მეფისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. იგი ლუარსაბის პორტრეტს და საერთოდ პიროვნებას მიმზიდველ ფერებში ხატავს. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ინტერესი ლუარსაბ მეფის პიროვნებისადმი ანტონს ადრევე ჰქონდა. იგი ჯერ კიდევ 1756 წელს შედგენილ „ქართველ მეფეთა შთამომავლობაში“ (საქართველოს ისტორიის მოკლე კურსში, თუ შეიძლება, ასე ვუწოდოთ) საგანგებოდ გამოჰყოცდა ლუარსაბის პიროვნებას და განაზავდა მამულისათვის მის თავდადებას, მოწამებრივ აღსასრულს: «ხოლო ჟამსა მას იყო მეფედ ქართლისა ლუარსაბ მეორე. მოიწია უკუე უღთო შაბაჲ მეფე სპარსთა კახეთსა ზედა და მოაოკრა კახეთი, ვითარცა ლანგ-თემურ, ეგრევე სახელ ამან. და სოფელნი, და თუთ ყოვლად შუენიერი იყო ქალაქი გრემი, საღ-ცა მეფობასა განაგებდეს მეფენი კახთანი, გარდაასახლნა სპარსეთად, ვითარცა ჰყო ნაბუქოლონოსორ იერუსალიმისაა ზედა და

იუდეასა. და ლუარსაბ მეფე ქართლისა წარიყვანა ასტრახათად და მოკლა მუნ მოშთობისა მიერ“.

„ლუარსაბის მარტვილობაში“ ავტორი საგანგებოდ ემზადება ლუარსაბის მოღვაწეობის მოსათხრობად. ჯერ ცდილობს წარმოგვიდგინოს ჭაბუკი მეფე. შესავალში არა ერთხელ ამბობს ავტორი, რომ „აღუსთქუამ უკუე მსსმენელთად, ვითარმედ მოუთხრობ მე საქმეთა დიდ-დიდთა და განსაკჯრუელთა, საჭიროთა, სასარგებლოთა და ახალთა“. და ეს ყველაფერი“, განაგრძობს ავტორი, „სათანადო არს ჩუენდა, რათა ადულ სასმენელ ეპყოთ სიტყუა ჩუენი მსსმენელთად, რომლისათუსცა განმზადებულ ვართ თქმად“, რადგანაც „ახალი არს მსხუერპლი ესე და არა ძუელი. ესრეთ არა ძუელისა არს ეკკლესიისა, რათა იყოსმცა ესე არა სიტყუერ, ხოლო თუ სადამე ქუეშე განეჰსწულაეთმცა, ახალ არს ერთ პატიეთა შორის თუსთა წმიდათა მოწამეთა. ახალ არს პასაკითა, ახალ ყუავილოვნებითა სიჭაბუკისათა“.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დავიმოწმოთ ადგილები, რომლებშიც ლუარსაბის მომხიბლაევი პორტრეტია დახატული, რადგანაც თვით ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი ლუარსაბზე ამბობს: „რომლისაებრისა (ლუარსაბის, მ. ქ.) მეფეთა შორის ბაგრატიონთა ვერეინ ღირს იქმნა“. „ლუარსაბ მეორე, არა პირველი, არს მეფე ქართლისა, არს ჭაბუკი, არს შუენიერი მორფნაყუეთობითა, მკლავმაგარი რაინდობათა შინა, მორკინალობითა, ოროლისა და ერთმახულისა შუბისა მღერათა, მემშულდებობათა შინა და აღურის პყრობათა, ლახტისა ძლიერად მტერთადმი კუეთებათა შინა და კრმლისა ძლიერად აღმოწუდათა და ხეთქებათა თავთადმი უღმერთოთა თათარ-ხანთასა, საგდებელისა სროლათა შინა, ჩოგნისა ცემათა...“

პირი ყოვლად შუენიერ, მწყაზარ და ქაეროვან... «კბილნი მისნი, ვითარცა არვე მორისულთა საბანელით აღმოსრულთა». თეთრ და სპეტაკ მარხუთა უჯეროთა და დაყენებულთა ჭამადთაგან. «ქორორნი მისნი, ვითარცა არვე თხათა», მფარუელად თხემისა ტუნის მპყრობელისა, რომელსა შინა გამოიხატეოდენ ყოვლად წმიდანი იგი მიდმოებანი გულისსიტყუათა მისთანი... ულუაშნი მცირენი, სამკაულნი ყოვლად წმიდათა შუენიერთა ბაგეთა მისთანი...“

ჩუენ საგანგებოდ აღარ გავაგრძელებთ ტექსტი (მოგვიწევედა მთელი გვერდების გადმოწერა), რადგანაც ყველასთვის ცხადი

ხდება ავტორის სურვილი, რაც შეიძლება სისხლსავედ წარმოადგინოს ლუარსაბის ვაჟაკური პორტრეტი<sup>36</sup>, მისი სულიერი სიმტიკე, მხნეობა და ფიზიკური მომხიბლავობა.

ანტონ კათალიკოსმა „ლუასაბ მეფის მარტვილობაში“ (რამდენადმე „ქეთევან დედოფლის წამებაშიც“) პირველად ქართულ სინამდვილეში პრინციპულად დასვა საკითხი ქართლის მოურავის გიორგი სააკაძის პიროვნების, როლისა და ადგილის განსაზღვრის აუცილებლობისა XVII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიაში.

გიორგი სააკაძე ერთ-ერთი აქტიური პიროვნებაა XVII საუკ. პირველი მეოთხედის ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მაგრამ მისი პიროვნებისადმი დამოკლებულება ქართველ (და არა მარტო ქართველ) ისტორიკოსთა, უამთააღმწერელთა და მხატვრული სიტყვის ოსტატთა შორის ერთნაირი არ იყო. იმთავითვე გაიყო აზრი გიორგი სააკაძის შესახებ. ამას, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, სხვას რომ თავი დაეანებოთ, რომ გიორგი არ იყო დიდი ფეოდალური ოჯახის წარმომადგენელი და მხოლოდ ნიჭით, მამაცობით, სამხედრო და ბრძოლის საქმის დიდოსტატობით გამოირჩეოდა იგი თანამედროვეთა შორის. ამ ფაქტორების წყალობით დაწინაურდა იგი, მოიხვეჭა სახელი, სიმდიდრე და გვერდში ამოუდგა სამეფო კართან სისხლით თუ გვართ დაახლოებულ დიდ ფეოდალებს, რომლებიც მდგომარეობის შესაბამისად ხან უჭერდნენ მას მხარს და ხან სასიკვდილოდაც კი იმეტებდნენ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, გიორგის აღზევება 1610 წლის შემდეგ შეიქნა განსაკუთრებით შესამჩნევი, როდესაც თათარხანის ლაშქარზე ქვიშხეთთან გამარჯვებამ გამოაჩინა მისი სამხედრო ნიჭი<sup>37</sup>, შექმნილი სიტუაციისა და პირობების გამოყენების დიდი უნარი და პირადი მამაცობა და ვაჟაკობა. დიდი მოურავის პიროვნების შეფასებაში იმთავითვე გაიყო აზრი. ერთნი გიორგი სააკაძეს — განსაკუთ-

<sup>36</sup> სხვათა შორის, ლუარსაბ მეფის მომხიბველობას სხვა ავტორებიც საგანგებოდ აღნიშნავენ:

„ლუარსაბ მეფეს ადამის ერთი არ სჯობდა ნაყოფი, თვალად და ტანად უცხო რამ მართ. შუისა გამოწყალოფი უხვი, ზნე-სრული, მამაცი, ლახვრულე მტერთა ნაყოფი, მაგრამ მას დაუინებაზე დაედგა მისი სამყოფი“ (არჩილი, 502 სტრ)

<sup>37</sup> ყირიმელი თათრები ოსმალეთის მხარეზე იბრძოდნენ ჯვალალოების წინააღმდეგ და საქართველოზე გავლით ბრუნდებოდნენ უკან. იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973 წ., გვ. 255. ეს მონაცემები ეკუთვნის გივი ჯამბურის, ნ. ნაკაშიძე, წიწამურიდან ბახტრიონამდე, 1977 წ., გვ. 55.

რებით იოსებ სააკაძე თბილელი და რამდენადმე არაღმკვეთი მეფე (თავის „გაბაასებაში“) კებით მოიხსენიებენ მას (იოსებ სააკაძე მთელ პოემას უძღვნის მის საგმირო საქმეებს და მოღვაწეობას), ხოლო მეორენი კი გიორგი სააკაძეს მიიჩნევენ ქვეყნისა და მეფის მოღალატედ, გმობენ მას. პოეტი — აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე ამ მოკლენას „სასახლის ინტრიგებს“ სახელით ნათლავს<sup>38</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილი — XVIII საუკუნის პირუთენელი ისტორიკოსი გიორგი სააკაძის საერთო მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს, თუმცაღა არ უარყოფს მის პირად ღირსებებს. ვახუშტი წერს: „ამ ეამებთა შინა განმკვიდრებულ იყუნენ მთავარნი და დაეპყრათ ხევნი და ხეობანი თვისად და უმეტეს ყოველთა სააკაძე გიორგი, მოურავი ტფილისისა, ქრცხინვალისა და დვალეთისა... განა ესა მოურავი გიორგი მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემართებელი, უშიში, მცბიერი, მჩურჩნელი და უნდო. ესე მარადლე თვითეულთა კაცთა ფურჩნეიდა და არა დასცხრებოდა“. იქვე ვახუშტი ურთავს კომენტარს (რომელიც ზ. ჭიჭინაძის გამოცემაში მთლად თავის ადგილზე ვერ არის): „ვინაიდან იყო დიდების მოყვარე. არა თქვა მთქმელ მოურავმან, თვით მოიგონა, რათა ხელთ ეგდო მეფე, თვარა მთქმელის თქმით ფიცი არ გაუტყდებოდა, რადგან მეფის და ქვეყნის ორგულობისათვის სთქვა და ეგოდენი ბოროტიც დაშრტებოდა. ჯანა მტერობისათვის მტერთა თვსთა, ვითარცა ბოლოს გამოაჩინა“<sup>39</sup>.

კახეთის ისტორიაში, თეიმურაზ მეფის ამბების გადმოცემისას, ვახუშტი წერს: „უზრახა თეიმურაზ მეფესა ლუარსაბს, რათა შეეწიოს, ვინადგან სწაღს მოოხრება საქართველოსი. იხილე, რამეთუ მტერი შენი მოურავი არს მისთანა, რომელსა მოჰყავს ყვენი მტრად შენდაცა“<sup>40</sup>.

სხვა ადგილას, სადაც ვახუშტი აღწერს გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის გაეროიანებას და ყორჩინანის ამალის განადგურებას, საგანგებოდ წერს: რომ ნადირობის დროს მან შემთხვევით დაიჭირა შიკრიკი, რომელსაც მოჰქონდა შაჰის ბრძანება გიორგის მოკვლის შესახებ. განცვიფრებულმა შაჰის ამ ბრძანებით, გიორგიმ ზურაბთან ერთად მოაწყო აჯანყება, სადაც ქართველთ გაემარჯ-

38 იოსებ სააკაძე, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის გამოცემა, 1939 წ. შენაკელი წერილი, გვ. XII.

39 ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წ.-მდე, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1933 წ. გვ. 53.

40 იქვე, გვ. 177.

ვათ. ამ ადგილას ვახუშტი საგანგებოდ წერს: „გარნა თუცა არა ეხილვა მოურავს წიგნი იგი შიკრიკისა, აყრილმცა იყო ქართლი. გარნა იხსნა ღმერთმან ერი თვისი ესრეთ“<sup>41</sup>.

გიორგი სააკაძის მოწინაღმდეგეთა შორის ანტონ პირველი ყველაზე თანმიმდევრული და ყველაზე აგრესიულია. მისი რისხვა იოსებ სააკაძეზეც ვრცელდება, ვითარცა გიორგის ნათესაზე<sup>42</sup> და მეხოტბეზე. მის შესახებ წერს: „არა ერთგულმან მისმან (ე. ი. ლუარსაბის, მ. ქ.) მაქებელმან შაირსიტყუობით მეფისა მის ლუარსაბის შინაგანმცემელისა ბორტისა მის მონისამან...“ აღბათ, მართალია გ. ლეონიძე, როცა წერს, რომ ანტონის გააღმასება იმანაც გამოიწვია, რომ ქართული ეკლესიის ერთ-ერთი მეუფე, თბილელი ეპისკოპოსი უყურადღებოდ ტოვებს ლუარსაბ მეფის მოწამებრივ აღსასრულს, არც ერთ სტრიქონს არ უძღვნის მის მარტვილობას და თავგამოდებით აქებს ანტონის აზრით ქვეყნის გამცემელს და მეფის მოლაღატეს გიორგი სააკაძეს. სხვა ადგილას სახელის უთქმელად წერს: „დაიწუნ და აღიოცენ წერილნი იგი ცილისწამებითნი მონათა არაკეთილთა და აეჭონთა სიბოროტისათა, რომელნიცა ჰსწამეს ქრისტეს მოწამისათუს რეცა განსამართლებელად უკეთურისა მის შინაგანმცემელისა მონისა და მზაკურისა და უმადლომსა მოქალაქისა“... სიმართლესთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ ამ ღებულებას განვაზოგადებთ და გავაერცვლებთ XVIII საუკ. სხვა ავტორთა შესახებაც, რომლებიც ლუარსაბის მოღვაწეობას ეხებოდნენ. მათი ნეიტრალური პოზიცია, სააკაძის პიროვნების და საქმეების მშრალი აღწერა ერთგვარი პროტესტის გამოხატვა უნდა იყოს.

იოსებ სააკაძე, რომელმაც მთელი პოემა უძღვნა გიორგი სააკაძეს, რამდენიმე ადგილას წერს, რომ მოურავს მისი მოწინაღმდეგენი ბრალად სდებენ ლუარსაბ მეორის დაღუპვაში მონაწილეობას. მოვიტანო: მაგალითებს:

ა) „კითხა კიდევ: რა სიტყვა თქვეს, რად სწრაფობენ ჩემად მკვლელად?

მათ უთხრეს თუ: ის შეიქმნა ლუარსაბის სისხლთა მღვრელად“. (15)

ბ) „ლუარსაბის სიკედლის გაღებს, სულ ამას იქს სიტყვის თხრობას“. (24)

<sup>41</sup> იქვე, გვ. 63

<sup>42</sup> რ. თორცხაღაიშვილი, იოსებ ტფილელი და მისი „დიდმოურავიანო“, 1978 წ.

გ) „ლუარსაბ მეფის სისხლს გადებთ, გაქვს საღმე სიტყვა თქმულები“. (25)

დ) „ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისის სისხლისა მღვრელია, მაგრა მას მიხვდა სუფევა, ანგელოზნი კყავს მცველია“. (26)

ანტონი ყველაზე დიდ დანაშაულად გიორგი სააკაძეს მეფის ღალატს და ქვეყნის გამცემლობას უთელის, თუმცაღა იმასაც არ მალავს, რომ „[იყ...] სააკაძისძე გიორგი აზნაურთაგანი, მკედარი გამოცდილი ბრძოლათა შინა“. თვით იოსებ თბილელის პოემაც ადასტურებს, რომ მოურავის შეფასებაში საზოგადოებრივი აზრი ჯაყოფილი იყო.

ჩვენს მიზანს ამჯერად სულაც არ შეადგენს გიორგი სააკაძის პიროვნების ისტორიული როლის განსაზღვრა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამის ცდა არის, მაგრამ ერთი აზრი ჯერჯერობით გამოკვეთილად შემუშავებული მაინც არ არის<sup>43</sup>. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ანტონი უარყოფითად აფასებს მოურავის მოღვაწეობას, ხოლო ანტონის მონაცემები კი სამეცნიერო ლიტერატურაში ამომწურავად გათვალისწინებული არ იყო. ანტონის ტენდენციურობა იქამდე მიდის, რომ თათარხანის დამარცხებაში გიორგი სააკაძის როლს, რომელსაც ყველა ისტორიკოსი ერთხმად აღნიშნავს, რამდენადმე ამცრობს და მიიჩნევს, რომ ეს საბრძოლო ოპერაცია, ქვიშხეთთან ბრძოლა განხილული და შეფასებული უნდა იქნეს როგორც ქართლის გამორჩენილ მოღვაწეთა ერთი მთლიანი ოპერაცია, რომელშიც სააკაძეც მონაწილეობდა როგორც ერთ-ერთი აქტიური მოლაშქრე: „თანწყოფნი მეფისანი მთავართაგანნი და აზნაურნი არა ფრიად მრავალნი ემღევრნენს უკანაგაჲ და აენეს თათართა არა მცირედ და

<sup>43</sup> ავტორი დიდი მოწინააღმდეგეობით იხსენებს სიმონ მეფეს, უწოდებს მას დიდს და ტექსტში შეაქვს სიმონის ტყვეობის ამსახველი ერთი ეპიზოდი: „ესრეთ უკუე ერთი უღულებდეს მეფესა სიმეონ დიდსა ქართულნი, ვითარმედ ოდეს დაკუთვებამ დიდისა მის განსაცდელისა მიიღო მეფემან სიმეონ დიდმან და შეიპყრეს ბრძოლათა შინა ოსმალთა და წარიიუანეს კონსტანტინუპოლედ, მაშინ საცსრად მეფისა ყოველნი საუნჯენი მეფეთანი, რომელნიცა იყუნეს, და ყოველნი ქონებანი ქართულეთა მთავართა, აზნაურთა და ცოლთა მათთანი და ვაჭართანიცა საცსრად მეფისა სიმეონისა წარგზავნეს. და დიდად სიგლახაკედრე მიიწია ქართლი. თუთ მე სიყრმესა ჩემსა, შობითგან ჩემით მყოფმან წელიწადსა შინა შეათხუთმეტსა, ეისმინენ თქმულნი თუთ პირისაგან სანატრელისა ბესარიონ მამამთავრისა ჩუენისა დედისა ჩემისა მიმართ, სახლსა შინა დედისა ჩემისასა ქალაქსა გორს, ვითარმედ: საცსრისა გამო სიმეონ დიდისა ესოდენ გლახაკე იქმნეს ქართულნი ყოველნი, ვითარმედ ქორწილსა შინა მეფისა გიორგისა შეათხსა, ძისა სიმეონ დიდისა, მამისა ლუარსაბ მეორისა, მსსლმარენი ინაქით მთავარნი და ერისთავნი ჩოხებითა და ნაღლებითა მოსულ იყუნეს“ (გვ. 53).

მოჰსწყუნეს თათართაგანნი მთაყარნიცა და მკედარნი მათნი, რომელთაგანნი იყუნეს ციციშვილი ზაზა, იარალი და გიორგი სააკაძესძე და სხუანი“...

მეორე ადგილას: „მომწოდებელმან მჰსწრაფლ სპათა ქართულთაჲმან მეფემან ლუარსაბ განზრახუსაებრ თანგანშზრახთა თუსთასა ამიერ ბარათიანთა და სხუათა ამიერთამან და იმიერ ერისთავთა არაგუსა და ქსნისა, ამილახუარისა და სხუათა იმიერთაჲან წარსლუა ჰყო თუმდევრობითი...“ (გვ. 48).

ავტორის სიტყვებით, მთელ ამ საბრძოლო განწყობილებას და მოქმედებას ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მეფე ლუარსაბი და არა სააკაძე გიორგი. „დღესა მეორესა განაწყყო მეფემან სპაჲ თუსი ცხენოსანიცა და ქუებითი და თათართაცა მხილუელთა მათთა და იქმნა ატაკი ორთავე ლაშქართა საშინელი... მოშზრახობენ ომსა მაშინდელსა მეფისაგან ფიცხელსა და მრავალთა უცხო თესლთა კრმლითა და შუბითა მოწყუედასა თვთ მეფისაგან“. სხვა ადგილას: „და ესრეთ მეფე სპითურთ თუსით ძლევამოსილი და დამცემელი მტეროა, მმადლობელი ძლევისმომცემელისადმი უკმოიქცა ბრძოლით და მაშურალნი გარდაჯდეს ცხენისაგან და ცრემლით ჰმადლობდიან ღმერთსა“ (გვ. 49).

„ლუარსაბ მეფის მარტიელობა“ ავტორს მხოლოდ ლუარსაბის — როგორც წმინდანის — საქებრად არა აქვს გააზრებული და წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, ეს ფაქტიც თავისთავად მნიშვნელოვანი და წამყვანია თხზულებაში. ბუნებრივია, რომ ყველა პასაჟი თუ ეპიზოდი ლუარსაბს უკავშირდება ან მისგან გამოდის.

ავტორის წარმოდგენით, ლუარსაბ მეფე სრულიადაც არ არის ის კაცი, რომელიც თავიდანვე მოწოდებულია მოწამეობრივი თავგანწირვისათვის. მასში თავდაპირველად არც რელიგიური ემოციაა ჭარბად მოზღვაებული; არც ამქვეყნიურ სიამეთაგან იზოლირებული არის იგი. ლუარსაბი ცოცხალი ადამიანია, რომელსაც მიწიერი ცხოვრების ყოველი მხარე იზიდავს, მაგრამ მასში იმთავითვე გამოკვეთილი იყო, რასაც ავტორი შესამჩნევს ხდის, ქვეყნისა და მშობლიური ერისადმი სამსახურის დიდი გრძნობა. ძეგლის მიხედვით, ლუარსაბ მეფის მთელი მოქმედების განმსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ ეს გრძნობაა. ლუარსაბი ცამეტი წლის იყო, რომ დაიდგა მამა-პაპათა მიერ არა ერთგულის ჭირში გამოტარებული სამეფო გვირგვინი და მისი ტარების დიდ პასუხისმგებლობას დაუმორჩილა მთელი თავისი მოქმედება. ამის წარმოაჩენად ავტორი ნაწარმოების სიუჟეტის მდინარებას ისე წარმართავს, ისეთი ეპიზოდები და პასაჟები შემოაქვს, რომლებიც პაგიოგრაფიული

თხზულებისათვის აუცილებელი არ არის. სწორედ ამ ელემენტებით განსხვავდება „ლუარსაბის მარტვილობა“ კომპოზიციურად მკაცრად განსაზღვრული პაგიოგრაფიული საკითხავისაგან (არ უნდა დაევიწყოთ, რომ „მარტირია“ ეკლესიაში საკითხავი. წიგნი არ იყო) და, ამავე დროს, სწორედ ეს ელემენტები აძლევს თხზულებას ისტორიული მოთხრობის სახეს.

პირობითად ნაწარმოების ფაბულა შეიძლება ასე დავეყოთ: ა) შობილები, ბ) გამეფება, გ) თათარხანის ლაშქრის დამარცხება, დ) გიორგი სააკაძის დაზე გამიჯნურება და აქედან გიორგისთან კონფლიქტის დასაწყისი, ე) შაჰ-აბაზის შემოსევა, ვ) ტყეობა და აღსასრული. ფაქტიურად ამ ეპიზოდებისაგან შედგება თხზულება. ავტორი ამას კარგად გრძნობს, გრძნობს, რომ ტექსტში ძირითად ამბავში პაგიოგრაფიული ჟანრისათვის დამახასიათებელი ელემენტები ნაკლებადაა და ამიტომ წარუმიძღვარებს ვრცელ, ყველა ჩამოთვლილ ეპიზოდზე, ცალკე აღებულზე, ვრცელ შესავალს, რომელშიც ავტორის ზოგადი თეორიული მსჯელობებია, რომლებითაც წინასწარ განგვაწყობს დიდი მოვლენებისა და ამბებისადმი. ცხადია, ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ „ლუარსაბის მარტვილობა“ თითქოს მხოლოდ წმინდა წყლის ისტორიული მოთხრობაა და პაგიოგრაფიასთან არაფერი აქვს საერთო. რა თქმა უნდა, არა. ავტორმა სხვადასხვა წყაროში მოიძია ეს ფაქტები (წყაროები სხვა ცნობებს არ იძლევიან), რამდენადაც შესაძლებელი იყო, შეუჯერა ერთმანეთს, გაფილტრა, დაალაგა ისინი გარკვეული ტენდენციით ისე, რომ ლუარსაბ მეფის პორტრეტის, პიროვნების მომხიბვლელობა, მისი მოქმედების ლოგიკურობა ყველასათვის ნათელი და დამაჯერებელი ყოფილიყო; ამავე დროს, ასევე ცხადი და დამაჯერებელი ყოფილიყო გიორგი სააკაძის მშაკერობა და ორგულობა. ავტორი თავის შემოქმედებით გეგმებს არ მალავს და არც ართულებს. იგი ატარებს რაულ ფილოლოგიურ-ისტორიულ წიადსელებს, ფაქტებს ანალიზებს თითქმის საჯაროდ და თავისი დაკენების მონაწილედ პირუთენელ მკითხველსაც მიიჩნევს (ამ პოზიციებიდან „ლუარსაბის მარტვილობა“ გამოირჩევა „მარტირიაში“).

ანტონ კათალიკოსი არც ერთ წყაროს არ მალავს და ყველა მათ მონაცემს, განსაკუთრებით თუ რაიმე ახალს და განსხვავებულს შეიცავს იგი, სააშკაროდ განიხილავს. წყაროებიდან ავტორი საგანგებოდ გამოჰყოფს იოსებ სააკაძის „დიდმოურავიანს“, ბრალს დებს მას ტენდენციურობაში, ლუარსაბ მეფისადმი ორგულუ-



ბაში, თვით ფაქტების დამახინჯებაშიც კი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ანტონი არც ერთ წყაროზე ნაკლებად არ ესესხება მას<sup>44</sup>. მეტიც, ზოგიერთი ეპიზოდი მხოლოდ სააკაძის პოემას ეყრდნობა და მისი მონაცემები შეაქვს თხზულებაში, განსაკუთრებით ეს ხდება ლუარსაბის მეფობის დეტალების გადმოცემისას. საილუსტრაციოდ მოვიტანთ მაგალითებს:

**ანტონი**

1) თავდადებული მღვდელი „მოცილებით ცხირეთისა და შთამოუძღლა გზასა ზედა ერთაწმიდისა და ქუენადრისისასა...“

2) „აენეს თათართა არა მცირედ და მოჰსწყუნდეს თათართაგანი შთაჯარნიცა... იყუნეს ციციციშვილი ზაზა, იარალი და გიორგი სააკაძე...“

3) მეფემ მოუწოდა „ამიერ ბართიანთა და სხუათა ამიერთამან და იმიერ ერისთავთა არაგუსა და ქსნისა, ამილახუარისა და სხუათა“ (გვ. 48).

4) „იყო მეფე ლუარსაბ წელიწადსა შინა მეთასამეტისა, ოდეს მიართუა მონად გიორგი სააკაძესძე, წელიწადსა შინა მეოცესა მყოფი მამამან თესმან“<sup>45</sup> (გვ. 51).

**იოსებ სააკაძე**

„ერთაწმინდაზე ჩაუძღვა, გზა ჩავლო ქვენადრისანი, ცხირეთზე დიად შორს დარჩა, მხარი ელო სხვის სამძღვრისანი“ (სტრ. 35).

„ზაზა ციციშვილს იცნობდეთ, როგორ გულსრული არია“ (40).

„ზაქარიას იარალი მასთან მოსდევს, მოვლენ მალა“ (41).

„ბართიანთ ვის შეეტყო, მათ დაიწყეს კვლავ მოდენა“ (38).

„მუხრანთ მპყრობს და ერისთავებს ვკაცარეთ: გვინა ამისთვისა ამილახორს მოვახსენეთ, მტერი ცეცხლზე დაერთვისა“ (44)  
ოცის წლის მამამ მიმართეა, ის იყო ცამეტებამდი“ (28).

<sup>44</sup> ზოგიერთი ფაქტი, რომელიც სააკაძესთან არის დადასტურებული, შემდეგ მეორდება სხვა წყაროშიც, რომელიც შეეძლო ანტონს გამოუყენებინა. მაგრამ, როგორც გარკვეულია საეკიალურ ლიტერატურაში, მოვეიანო ხანის მწერლებიც ეყრდნობიან იოსებ სააკაძის პოემას. ამიტომ ეს მოვლენა ხელის შემშლელი გარემოება არ არის ჩვენი დებულებისათვის.

<sup>45</sup> ისკანდერ მუნშის ცნობით, ლუარსაბი ამ დროს 14 წლის იყო. იხ. ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ელადი იმერ ფუთურიძემ, 1969, გვ. 65.

5) „იტყუს მზაკუარი იგი, ვითარმედ: ურჩქმნილი საქმისა ამის მეფისად ცრემლთამდე დიდითა ვედრებითა ვევედრე მეფესა და დედოფალსა თამარს, დედასა მეფისასა, ვითარმედ არა შესაბამ არს მეფობისა მისისა ცოლად და დედოფლად მთავართა ქალი უჩინებულს. და არცა მთავარნი თავს-იღებენ ამას და ამისთვის, რათა დადგესმა ჩემდა ბრძანებაჲ ესე... არა მისმინაო მეფემან და მერმელა დავემორჩილე ბრძანებასა მისსა“ (გვ. 52).

„მეფის დედას, დედოფალსა, შევეხვეწე მულარებით, თქვენი შვილი ჩემს დასა მთხოვს, მე არ ვაძლევ ჩემის ნებით,

არა ვღირს ვარ, დაუშალე, გამორჩევის კაის ცნებით,

ძმა, შვილი და თავი ჩემი იმსახურე გვერდცა ხლებით.

კვლავ მოვახსენე: მოყრობა თქვენგან დიდთ კაცთა წესია...

ჩემი და გაუთხოვებლად არ დამირჩების, ესია,

გაგუეპარჯვების, დამეხსენ, ნუ შემქენ სველით მკენესია“ (94,96).

„გაჯავრდა, ესე ებრძანა: შეზოცა გინდა, ვიცია...

მან საფიცარი მიბოძა: არ მოვშლი, თუცა ვიცია...“ (97).

შეტი მაგალითების ამოწერა საჭიროდ აღარ მიგვაჩნია. საზანგებოდ შევარჩიეთ კი ისეთი, რომელთა შეფასებას და კვალიფიკაციას ავტორი სრულიად განსხვავებულად იძლევა, ვიდრე მისი წყარო. შევჩერდებით მხოლოდ უკანასკნელზე.

იოსებ სააკაძის ცნობით, მიუხედავად გიორგის წინააღმდეგობისა, ლუარსაბი მაინც დაქორწინდა მის დაზე და ამით აიმხელრა ძირძველი ფეოდალები, რის გამოც გარკვეული დროის შემდეგ ლუარსაბმა გაუშვა გიორგის და. ეს ფაქტი გახდა თითქოს მათ შორის მტრობის დასაწყისი. ანტონის აზრით, იოსებ სააკაძის მიერ შეთხზული ამბავი შემდეგში გაიმეორეს სხვებმაც. სინამდვილეში კი — ამბობს ანტონი — ლუარსაბი არ დაქორწინებულა გიორგის დაზე, რადგან ადრევე მიუგდო ყური მრჩეველთ და დათრგუნა თავისი სურვილი. „ენება მეფესა ცოლად ქალი იგი, მაგრა ქართუელნი არა უტყეებდეს ერთგულებისა თვისსა მისდას, წინადაძლებნი, ვითარცა ქსეპულიერისა მემკვდრისად და ვითარცა ძისწულისად სიმეონ დიდისა და ვითარცა ძისად გიორგი მცნისა...“

„იტყუს არაქილ სომეხი, ვითარმედ: «არა იქორწინა ქალისა მის თანა მეფემან ლუარსაბ». ხოლო რომელთაცა ქსწერეს ქორწი-

ნებად, ორგულთა და განმამართლებელთა უკეთურისა მის მონისათა დაწერეს, პირუელად თუთ მან ვიორგი, ხოლოდ კუალად საქებრად გიორგისა მის იოსებ ტფილელმან სააკაისძემან შაირსიტყუაობით, დიდადრე მაქებელმან გიორგისმან, ვალანად და სიმტკიცედ საქართუელომსა მწოდებელმან მისმან, დაწერა, ვითარმედ იქორწინაო ლუარსაბ მეფემან სააკაისძისა გიორგის დისა თანა. ხოლო თქმულთა ამათ მხილულთა და მსმენელთა შემდგომთა მეისტორიეთა ვერ განსაჯეს, ვითარმედ ორგულთაგან მეფისა ლუარსაბისთა და განმამართლებელთა მათგან იყო წერილ ქორწინებად ქალისა მის თანა მეფისა. და მათცა მოთხრობათა შინა თვსთა შთაქსწერეს. ხოლო სანატრელი ბესარიონ ქორწინებასა და არა ქორწინებასა და მეფისაგან ქალისა მის ცოლად მოყუანებისა ნებებასა ყოველსავე დაიდუმებს ამად, ვითარმედ ჯერეთ უცხოთა მეისტორიეთაგან არა მსმენოდა ქალისა მის თანა არა ქორწინებად მეფისა, და ქორწინებად დაქსწერა პირუელად ნეტარისა ბესარიონისა იოსებ, რომელი-ესე ყოვლად დაუჯერებელ იყო და ამისთვის ორივე დაიდუმა ნეტარმან მამამან. გარნა ჩუენ... წარმკითხულთა სომხურისა ისტორიისათა ვსკანთ ჭეშმარიტი, ვითარმედ ლუარსაბ მეორე არცა ბიწიერ შეჰხებიეს ქალსა მას, რამეთუ ქალწულებით მსწერს ლუარსაბს მეორესა არაქილ, და მსწამებს ამასცა, ვითარმედ არა იქორწინა ქალისა მის თანა“ (გვ. 52—54).

ჩვენ საგანგებოდ მოვიტანეთ ანტონის ვრცელი მსჯელობა, რომლითაც იგი ცდილობს ლუარსაბი გაათავისუფლოს იმ ბრალდებისაგან, რომ თითქოს მის მიერ მოუფიქრებელი ნაბიჯის შემდეგ დაიწყო მტრობა ლუარსაბსა და გიორგის შორის. ამ საკითხის განხილვისას ანტონი ძირითადად ეყრდნობა არაქელ თავრიზელის ცნობებს. საერთოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტონისათვის არაქელი კეთილსინდისიერი და ობიექტური ქაშითაღმწერელია. ანტონი არც ლალატობს თავის მეთოდს, ხან ზუსტად თარგმნის და იმოწმებს არაქელის ცნობებს, ხან კი პერიფრაზით. ზუსტი თარგმანების ნიმუშები:

**ანტონი**

**არაქელ თავრიზელი**

„კვმობდა ქადაგი: „ბრძანება არსო დიდისაგან და მსოფლიო აღმაშენებელისა მეფისა შაჰ-აბასისა, რათა ქუეყანა ქართლისა ყოვლით დაბნებითურთ თვისით და მთავრი-

„ხმამალლა გამოცხადებინათ: ბრძანებაა დიდი და ქვეყნის აღმაშენებელი ხელმწიფის შაჰ-აბასისა; რომ ქართლის ქვეყანა თავისი მაცხოვრებლუ-

თურთ და გლეხით ეგნენმცა მშვიდობასა შინა და წარსულნი ყოველნი ციხედ და სიმაგრედ შიშისათეს ლაშქართა სპარსთასა ამიერიტვან მოიქცენ უშიშად სამკვდრებელად თესად და დაადგრენ საქმეთა შინა. თესთა და აღმაშენებლობათა: ხოლო იყავნ სიყუარული და მშდობა, მისულა და მოსულა ნათესავთა შორის სპარსთა და ქართუელთასა მით, რამეთუ ქუეყანა ქართლისა საკუთარ ჩემცა ვიცი და არა დავარღუეო იგი ჩემთეს და მეფისა ლუარსაბისთეს მით, რამეთუ უწყი იგი ძედ ჩემდა, ძმად და კეთილის-მექმედ. და რაჟამს მოვალს იგი ჩემდა, მივქსეე მას ქუეყანაჲ თესი და მე წარვიდე ქუეყანასა ჩემსა. და თუ სადამე არა მოვალს ლუარსაბ, აჲ, გიორგი სააკაჲსძე, რომელ არს ქუეყანისაგან ქართლისა და ნათესავისაგან ქართუელთასა, მივქსეე უკუე გიორგის და მე წარვიდე“ (აქვე, გვ. 56—57).

2) „მოიკელოენაო ღონეჲ ახალი ყაენმან შაჰ-აბას და წარკგზავნა ერთი რომელიმე თესთა საიდუმლოთა განმზრახთავანი, რომელი იყო უდიდესი მთავარი დიდებული. და წარკგზავნა იგი მოციქულად მშდობითად ეპის-

ბით, დიდებულებით და მდაბიობებით იყოს მშვიდობით და მოსვენებით. ყველას, ვინც გახიზნულია ციხეებსა და გამაგრებულ ადგილებში სპარსელების ჯარის შიშით, ამის შემდეგ ნულარ შეეშინდებათ და ეჭვს ნულარ მუეცემიან, დაბრუნდნენ ბინებში და ხელი მოქციდონ თავის საქმიანობას და მშენებლობას. იყოს მშვიდობა და მისელა-მოსვლა სპარსელებსა და ქართუელებს შორის, რადგან ქართლის ქუეყანას ჩემად ვრაცხ და ამიტომ არ დავარბეე ჩემი და ლუარსაბ მეფის გულსათვის, რომელსაც ჩემ ძედ, ძმად და მეგობრად ვთვლი. როდესაც იგი დაბრუნდება, მის ქუეყანას მასვე ჩავაბარებ, მე კი ჩემს სამშობლოში წავალ. თე მოინდომებს ლუარსაბ მეფე და მოვა, ასე მოვიქცევი, მაგრამ თუ არ მოვა, მოურავი, რომელიც ქართლის ქუეყნიდანაა, ქართულია [წარმოშობით] და რომელიც ახლა ჩემთან იმყოფება, ქართლს ამ მოურავს ვუბოძებ, მე კი ჩემს ქუეყანაში დავბრუნდები“.

„კელაე მოიგონა ახალი ხერხი და ერთ-ერთი თავის თანაგანმზრახველთაგანი, დიდი მთავარი და სახელგანთქმული დიდებული, რომელსაც სახელად სარუ ხოჯა ერქვა, დანიშნა მშვიდობის ელჩად და სიყვა-

ტოლითა იმერეთად ლუარსაბის მიმართ, ხოლო წიგნი იგი უწყებისა იყო ესეგუარისამებრი სახისა: „შაჰ-აბას მეფისაგან მკნეთისა მრავლითარე სიყუარულითა მიიწიოს გიხაროდენი ლუარსაბის მიმართ, მეფისა ქართუელთასა. მრავალგზის მიეპსწერე თქუენდა სიყუარულით და გაჩუენე კეთილყოფელობა გულისა ჩუენისა, რომელ არს შენდამი, მაგრა შენ არა ისმინე და არცა ირწმუნე სიტყუანი ჩემნი. აჲ ვილრემე უწყებულ იქმენ საქმისაგან და გრწმენინ, ვითარ-იგი ზედმკურეტი ხარ, რამეთუ ქუეყანაჲ აღვაოკრე თეიმურაზისი, ხოლო შენი დაეიკეე შენთს მრთელ და აღშენებულ მომლოდნემან მოსლვისა შენისამან. აჲ სადამე ნუ გკონისმცა მოსლუად და ნუ ისმენლა უგუნურთა და უშეცართა სწავლის მომცემთასა და ნუცალა კუებულ იქმნები მეფობისაგან შინისა მით, რომელ არა მაქუს გულსა შინა ჩემსა შური და ზაკუად შენდამი, ვითარცა შენ არა-რამე გიქმნიეს ბრალი ჩემდა, განალა შენსა მოსლუასა ვითხოვ ამისთს, რამეთუ დროთა წინაპართა ჩუენთასა შეერთება იყო შორის ორთა ამათ ნათესაეთა, ესთავე მნებაეს, რათა იყოს დროსაცა შინა ჩუენსა და მე ყოველნი ჩრდილოეთისა გარწმუნნე კერძონი, რომელ არს იმიერ კერძო არეზ მდინარისა, რათა შენ იყომცა ზედამდგომელ და ბრძანების მიმცემ ყოველთა მათ კერძოთა

რულის წერილით გაგზავნა ლუარსაბთან.

შამაცთა ხელმწიფე შაჰ-აბასი დიდი სიყვარულით სალამს უძღვნის ქართველთა მეფეს ლუარსაბს. მრავალჯერ მოგწერეთ სიყვარულით და გაეამჯღავენთ ჩენი გულის კეთილგანწყობილება შენს მიმართ, მაგრამ არ უსმინე და არ დაუჯერე ჩენს სიტყუებს. შეხედე ჩემს ნამოქმედარს და ირწმუნე, რადგან დაინახავ, რომ თეიმურაზის ქვეყანა ავაოხრე, ხოლო შენსას გაშენებულსა და ხელუხლებულს ვინახავ შენთვის და შენს მოსლვას ეელოდები. ახლა ნუდარ დაიზარებ მოსვლას, უკუეო და უგუნურ მრჩეველთ ნუ დაუჯერებ და შენს სამეფოს ნუ დაქარგავ, რადგან გულში არც მტრობა და არც ბოროტება არა მაქვს შენდამი, ისევე როგორც შენ არავითარი ზიანი არ მოგიყენებია ჩემთვის. შენ მოსკლას იმისთვის გთხოვ, რომ როგორც ჩენი წინაპრების დროს იყო ერთობა ორხალხს შორის, მსურს, რომ ჩენს დროშიც ისევე იყოს. ჩრდილოეთის ყველა მხარეს, რომელიც მდინარე არეზის აქეთა ნაპირზე მდებარეობს, შენ მოგანდობ, რომ იყო ზედამდგომელი და მბრძანებელი ყველა დიდებულისა, რომ შენ იზრუნო ამ მხარეზე, ხოლო ჩვენ მასზე უდარდელი ვი-

მთავართა ზელა და შენ ზრუნვი-  
დე ამა კერძოთათჳს, ხოლო ჩუენ  
უზრუნველქმნილნი ამათ კერძო-  
თანი ვზრუნვიდეთმცა მეორეთა-  
თჳს კერძოთა და ვიპყრობდეთ  
პირთა მტერთა ჩუენთასა.  
მრთელ იყავ“ (გვ. 57—58).

**მეორე რიგის მაგალითები:**

1) „ოდეს-იგი მივიდა გიორგი  
შაჰ-აბასისად, იყოფებოდაო მა-  
შინ შაჰ-აბას კერძოთა მიდიისა-  
თა, პროვინციჳსა შინა დედაქალა-  
ქისა კეროპოლისსა (რომელსა  
ზედწოდებულ ჰყოფენ შამახიად),  
ქალაქსა შინა ზედწოდებულსა  
ყიზილქაჯილად“ (გვ. 54).

2) „ორთავე მეფეთა მიმართ  
წარკვზავნა ეპისტოლენი ზაკე-  
თრე შაჰ-აბას განცხადებულად  
სიყუარულისანი და დაზავებისა  
წადილისანი. და ი:უშვალ ერთმა-  
ნერთისა მიქსწერა ორთაჲ: მე-  
ფეთა უზავომან შაჰ-აბას ლუარ-  
საბს: ნუ მინდობილხა... თეიმუ-  
რაზის მიმართ, რომელსაცა უნებს  
მოკლუად შენი და დაპყრობად სა-  
მეფოად შენი თჳსად, არამედ უს-  
წარ შენ და მოქკალ ეგე. ხოლო  
თეიმურაზის მიმართცა ესევე.  
ორგზის და სამგზის მიქსწერნა  
შაჰ-აბას მეფეთა ეპისტოლენი  
ესე“ (გვ. 55).

ყოთ და მეორე მხარეზე ვი-  
ზრუნოთ. იყავ მშეიდობით“  
(გვ. 30).

„მოურავი მივიდა ახალ-  
ციხის თემში სულთან ლაზაქ-  
თან... წაიყვანეს იგი და მიიყ-  
ვანეს შაჰთან, რომელიც იმ  
დროს ყიზილაღაღად წოდე-  
ბულ ადგილას იდგა, რომელიც  
შემახას ქვეყანაში მდებარეობს“ (გვ. 20).

„ახლად მოგონილი ხერხი კი  
ის იყო, რომ როდესაც შაჰი  
მოლაპარაკების წერილებს აშ-  
კარად გზავნიდა, მათთან ერ-  
თად საიღუმლოდ ფარული  
ზრახვებისა და ვერავობის სხვა  
წერილებსაც სწერდა ლუარ-  
საბსა და თეიმურაზს ერთიმე-  
ორისაგან იღუმალად. ლუარ-  
საბს სწერდა: „ნუ ენდობი თეი-  
მურაზს, ნუ უერთგულებ მას,  
ვინაიდან იგი შენი მტერია და  
სურს შეგობრობის ნიღაბით  
მოგატყუოს, მოგკლას და დაე-  
პატრონოს შენს ქვეყანას... შენ  
თითონ დაასწარი, მოკალი იგი  
და დაეპატრონე შენსა და იმის  
ქვეყანას...“

ამაჲვე სწერდა შაჰი თეიმუ-  
რაზს ლუარსაბისაგან დაფა-  
რულად: მოკალი ლუარსაბი და

დაეუფლე ორივე ქვეყანას. სამგზის გაუგზავნა მხო ასეთი წერილები“ (გვ. 23—24).

3. „განზრახუთა გიორგისათა შაჰ-აბას თთუესა შინა დეკენბერსა, დღეთა დიდოსა დღესასწაულისათა, ოდეს-იგი არს დროა ზამთრისა მკსინუარისა და მათათა თოელითა აღუსებისა, განიმჯედრა შაჰ-აბას კახეთსა ზედა ეტიკობითა გიორგისათა და რაჲცა ჰქმნეს კახეთსა შინა სპათა შაჰ-აბასისათა, ყოველივე სავედ და კმად აღწერილ არს ისტორიასა შინა სომხურსა არაქილის მიერ, „მოურავის რჩევით მოიცა-56).

„მოურავის რჩევით მოიცადეს დეკემბრის თვემდე, დღესასწაულამდე. როდესაც დადგა ზამთარი, სიცივეები გაძლიერდა და მოსულმი თოვლმა დაფარა მთის მწვერვალები და გასაქცევი გზები... (გვ. 25).

ანტონი ჭარბად ესესხება ვახუშტი ბატონიშვილის „ისტორიას“. ამ შემთხვევაშიც ანტონი არ ლაღატობს თავის მეთოდს: ზოგიერთი ადგილი ზუსტად მოაქვს, ზოგიერთის პერიფრაზს იძლევა, ხოლო ზოგჯერ კი მხოლოდ ერთ სიტყვას ან ფრაზას გამოიყენებს. არც თუ იშვიათად ვახუშტის ცნობებს ანტონი აკონტროლებს სხვა მონაცემებით, თუკი, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა აქვს. საილუსტრაციოდ დაეიმოწმებით ერთ ადგილს:

**ანტონი**

**ვახუშტი**

„წარგზავნა [შაჰმა] მოციქული იმერთა მეფისა გიორგის მიმართ და ჰსთხოვნა მეფენი და აღუთქუა მიცემად საფასენი მრავალნი. ჰსცნა რა ესე მეფემან გიორგი, თანა წარატანა მოციქულთა შაჰ-აბასისთა კათოლიკოსი აფხაზე-

„ხოლო შაჰ-აბაზ მოვიდა გორს და ეზრახა გიორგი მეფესა, რათა მისცეს მეფენი და მან აღავსოს ნიჭითა და საგანძურითა. ამას ზედა წარმოუვლინა გიორგი მეფემან კათალიკოზი მალაქია და აბაშიძე

46 ამ ფაქტს ვახუშტიც აღნიშნავს: „არამედ ამისა შემდგომად მოვიდა განჯის უგრძნეულად შაჰ-აბაზ შესვლად კახეთს, რამეთუ ეახლა მოურავი და ეუწყა ყვენიასთჳს შესვლად ქართლს უმგობეს არს ზამთარს, ვინადგან გერ წაიღენ ხიზანნი მათათა შინა და ხელთ იღებეს ყოველთა“. ზ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 57.

თისა მალაქია და მთავარნი აბა-  
შიძეა ლეონ ძღუნითა შესაბამი-  
თა და მიუწერა ესრეთ: „ვეველ-  
რებით სიმდაბლით მეფობასა  
თქუენსა მიცემად მეფეთად სამე-  
ფონი თუსნი და მსახურებად ესე-  
ნი მით შესაბამ დიდებულისა მე-  
ფობისა თქუენისა.

ზედმჰაზრუელმან უკუე შაპ-  
აბას, ვითარმედ ძალითა ძელ შე-  
საძღვებელ იქმნა ჳელთა გდება მე-  
ფეთა, მოივერაგა ჳელოვნებად  
სხუად მრავალმფერებმან ჳაკუა-  
თა შინა და მოჰხადა ბარათაშიე-  
ლი შადიმან, მზრდელი მეფისა  
ლუარსაბისი, რომელიცა თანა  
წარჳყუა მოციქულთა მათ და ეტ-  
ყოდა, ვითარმედ: „უგულუბელს-  
ვეყო ძის წული მეფისა სიმეონისი  
და ძე მეფისა გიორგისი, განაღა მე-  
ცნიერ ვარ, ვითარმედ მომიცთუ-  
ნა იგი თეიმურაზ. და აწ უწყოდე  
შენ სარწმუნოდ, თუ სადამე მოვი-  
დესმცა ჩემდა ლუარსაბ, მივს-  
ცნე მას თუსნი ყოველნი და უმე-  
ტესნილა სხუანი“. და ეფუცა შაპ-  
აბას ცრემლით შადიმანს აღსრუ-  
ლებად ყოველი ესე და ფრიად  
სარწმუნო ჳყო შადიმან სიტყუა-  
თა ამათ მიმართ. ხოლო კათოლი-  
კოსსა მალაქიას და ლეონს მი-  
ანიჭნა მრავალნი და შექსთუალნა  
მეფისა გიორგის მიმართ ესრეთ:  
„არსო ძუელად თეიმურაზ მტერ  
ჩემდა და ვერ სადამე მინდობილ  
ვიქმნე მისდა, ხოლო თუ სადამე  
მოვალს ჩემდა მეფე ლუარსაბ,  
მივანიჭნე ყოველნი მსახურები-  
სათუს მამა-პაპათა მისთა“. და გა-

ლევან ძღუნითა, მეტყველმან:  
„გვედრებით, რათა პატივს  
გუცე და მისცე მეფეთა სამე-  
ფონი თუსნი და იმსახურნე  
მით, ვითარცა პირველ მამათა  
შენთა და თქვენ წარხვიდეთ...“  
იხილა ესე შაპ-აბაზ, რამეთუ  
ძალითა არლარა ეძიების შოვნა  
მათი, აწ იხმია ხუანჯი და  
მცბიერობა, მოიხმო შადიმან,  
გამზრდელი ლუარსაბ მეფისა,  
და ეტყოდა მას, ვითარმედ:  
„უგულუბელს ვყოფ სვიმონ მე-  
ფის შვილის შვილსა და გი-  
ორგი მეფის ძესა. გარნა უწყი,  
რამეთუ მომიცთუნა თეიმუ-  
რაზ და აწ უწყოდე შენ მტკი-  
ცედ, უკეთუ მოვიდეს ჩემთანა,  
მივსცნე თუსნი ყოველნი და  
უმეტესნი სხუანიცა“. ტირი-  
ლით შეჳტყუა და სარწმუნო  
ჳყო შადიმან, ხოლო კათალი-  
კოსსა და ლევანს მიანიჭნა  
მრავალნი და მიუმცნო გიორ-  
გი მეფესა: „არს მტერი ჩემი  
ძველადვე თეიმურაზ და მას  
ვერ მივიწოდებ. არამედ უკეთუ  
მოვალს ლუარსაბ მეფე, მივა-  
ნიჭებ ყოველსავე მსახურები-  
სათუს მამა-პაპათა მისთა“. და  
წარავლინა ესენი და წარუე-  
ლინა ხრმალი მოოჭვილი მე-  
ფესა ლუარსაბს საჭურისისა  
თუჰისათა და წიგნი დისა ლუ-  
არსაბისა მოსლვისათუს“ (გვ.  
58).



ნუტევნა მოციქულნი იგი. ესრეთ იტყუს ვახუშტი, წარუგზავნაო კრძალი სპეკალთა მიერ განკაზმული მეფეთა ლუარსაბსა“ (გვ. 57).

ლუარსაბ მეფეზე შექმნილ ჰაგიოგრაფიულ მასალაში ქრონოლოგიურად სვინაქსარული საკითხავი ყველაზე ადრეულია. ანტონი იცნობს მას და ერთ-ერთ წყაროდ იყენებს კიდეც.

### ანტონი

### სვინაქსარი

1) „წერილ არს სვინაქსარსა შინა ამის წმიდისასა, ვითარმედ: „პატიმარი ციხესა შინა მეფე ლუარსაბ შუდ წელ მარადლე იიძულებოდა შეწყნარებად კსჯულისა და ქადაგებისა ყოვლად ბილწისა მახმედისა, მაგრამ იგი ვითარცა კლდე ადამატიისა ეგო შეურყეველად და ყოვლად მიუცილებელ ჭეშმარიტისაგან მსახურებისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა. და კუალად ზედასზედა მისრულნი ეტყოდეს: „ჰ, მეფეო, შეიწყალე სიჭაბუკედ და შუენიერებად შენი და ერჩდი ბრძანებასა შაპ-აბასისა, რამეთუ თუ სადამე ერჩდე ბრძანებასა მისსა, მიიღო მისგან პატივი დიდ, ხოლო თუ სადამე არა ერჩდე, მოიკლა მწარითა სიკუდილითა. მსსმენელმან მიუგო მეფემან: ღმერთი დიდებულ არს ზრახუასა შინა წმიდათასა, დიდ არს და საშინელ მას ზედა ყოველნი. რამელნი არიან გარემოს მისსა, და საკრუელ და საშინელ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა. ჭეშმარიტად

„და დაუდგინეს მცველნი დღე და ღამე. და ვითარცა ესრეთ მტკიცედ და შეურყეველად დგა, ვითარცა კლდე ანდამატი, და ესრეთ იხილვებოდა პატიოსანი და ბრწყინვალე პირი მისი, ვითარცა ოქროდ გამოღნობილი ბრძმელსა შინა, და განკრეგებულ იყვნეს შუენიერებისა და პაერ-კეთილოვნებისა მისისათუს, მივიღოდეს და ზედამსზედა მოაქსენებდეს და ეტყოდეს: ჰ მეფე, შეიწყალე სიჭაბუკედ და შუენიერებად შენი, ნუ ურჩ-ექმნები ბრძანებასა შაპ-აბასისა. უკეთუ ერჩდე ბრძანებასა მისსა, დიდად პატივი-გცეს, ხოლო უკუეთუ არა ერჩდე ბრძანებასა მისსა, მწარითა სიკუდილითა მოგაკუდინოს შენ. ხოლო მეფემან ესრეთ პრქუა: „არა უწყითა, რამეთუ ჭეშმარიტად ღმერთი დიდებულ არს ზრახუასა შინა წმიდათასა? დიდ არს და საშინელ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა, ვითარცა

იდიდა ღმერთი ასოთა მიერ წმიდათა მოწამეთათა და ჳეინ-მე იტყოდეს ძლიერებასა მისსა და ანუ ვინ სასმენელ ჰყუნეს ყოველნი ქებულებანი უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი...?

აქუნდა უკუე წმიდასა მას მფარულად ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიაბისი. და შესრულმან, სადაცა იყო წმიდა იგი ხატი, მოიდრიკნა მუკლნი და იტყოდა ცრემლით: „მ, დედოფლო ჩუენო ღმრთისმშობელო, შენდამი დამიძს ყოველი სასოებად ცხოვრებისა ჩემისა, შენ ხარ მფარუელი ჩემი, შენ ხარ ნუგეშინისმცემელი ჩემი, შენ მომეც მე შეწვენად ღუაწლსა ამის ჩემისა, შენ მიოხე წინაშე ძისა შენისა და შემრთე წმიდათა მოწამეთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“ (გვ. 65).

2) „ხოლო ღამესა მას დაუტევეს დაუფლულ წმიდა და სანატრელი იგი სხეული მისი, რომელიცა კსჩნდა ყოვლად ბრწყინულედ, ვითარცა თოვლი, დამრავალნი მოვიდოდეს ხილულად წმი-

სულითა წმიდათა იტყეს და ვით წინასწარმეტყუელი: ჳეეშმარიტად იდიდა ღმერთი ასოთა მიერ წმიდათა მოწამეთასა. და ჳეინმე იტყოდეს ძლიერებასა მისსა და ანუ ვინ სასმენელ ყვენეს ქებულებანი უფლისა ღმრთისა და მაცხოვარისა ჩუენისა იესუ ქრისტესნი...

რამეთუ თანა ჰყვა ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიაბისი და ესრეთ ილოცა: „მ დედოფლო ჩუენო ღმრთისმშობელო, შენდამი დამიძ ყოველ სასოებად ცხოვრებისა ჩემისა. შენ ხარ მფარველი ჩემი, შენ ხარ ნუგეშინისმცემელი ჩემი, შენ მომეც მე შეწვენა წამებისა ამის ჩემისა, შენ მიოხენ წინაშე ძისა შენისა და შემრთე წმიდათა მოწამეთა შენთა თანა, რათა მეცა ვადიდებდე მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.<sup>47</sup>

„ხოლო მას ღამესა დაუტევეს წმიდად და სანატრელი იგი გუამი მისი. და ესრეთ ჯორცნი მისნი ღამესა მას შინა ესრეთ იხილევბოდა, ვითარცა თოვლი განსპეტაკებული. და მრავალნი

<sup>47</sup> ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, სენი-ნაქსარული რედაქციები; გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევა დაუროო ენრიკო გაბიძაშვილმა, 1968, გვ. 435—436. ფსალმუნის ტექსტებიც ანტონთან უცვლელად გადავიდა იმ განსხვავებით, რომ მან შესაბამისი თავი და მუსლი მიუწერა ციტატებს.

დისა მის, რომელსა ზედა ნათ-  
ლისა ბრწყინულისა მხილუელნი  
განკურდეს. და დღესა მეორესა  
დაჰფლეს მასვე ციხესა შინა ყოვ-  
ლად პატიოსანი იგი სხეული მი-  
სი. და რომელნიცა შეპყრობილ  
არიან სნეულებითა და საფლავსა  
მისსა მიეახლებიან, კურნებასა  
მიიღებენ“ (გვ. 66).

მოვიდოდეს ხილვად წმიდისა  
მის გუამისა. და ნათელი  
ბრწყინვალე იხილეს და გან-  
კურდეს საყურელებასა მას  
ზედა.

და მეორესა დღესა წმიდანი  
და პატიოსანნი ნაწილნი მისნი  
დამარხეს შირაზს. და რომელ-  
ნი შეპყრობილ არიან სნეულე-  
ბითა და საფლავსა მისსა მიე-  
ახლებიან, კურნებასა მიიღე-  
ბენ“.

ქიმნოგრაფიული მასალიდან ერთადერთ ცნობას იღებს ანტონი. იგი წერს: „იტყვს ნიკოლაოს ეპისკოპოსი მროველი შაირთა შინა ქებისმსიტყუაობი წმიდისა ამისთვის, ვითარმედ: „შუდ წელ მარტოებდაო ტანჯული გულაბს ციხესა შინა“. ანტონს მხედველობაში აქვს ნიკოლოზის იამბიკო, რომელიც მოგვიანებით მ. საბინინმა გამოაქვეყნა „საქართველოს სამოთხეში“.

„ეკკლესიათა უცვილი მეფე ქართლის,  
ლუარსაბ მთიებ საჩინოდ აღმომწეობს,  
შუდ წელ ტანჯული, გულაბს პყრობით მარტოებს,  
მშუღდის თუთ ხმა წუსთა განაყერძოებს  
მძიმეს მძიმეთ პრთავს, სულსა აღაღუთისკარვებს“.

ანტონის თხზულების წყაროთა შორის განსაკუთრებული ადგილი ბესარიონ კათალიკოსის ნაწარმოებს განეკუთვნება. ანტონი ბესარიონის შრომის კომპოზიციის მიხედვით აგებს საკუთარ თხზულებას და თვით ავტორის მიმართ იჩენს უდიდეს მოკრძალებას. ბესარიონი და მისი ნაწარმოები ანტონისათვის სანიმუშოა. ამიტომ, ცხადია, ანტონი ჭარბად ეხესხება ბესარიონის ცნობებს. ყოველთვის, როგორც წესი, ანტონი ასახელებს ავტორს—ბესარიონ კათალიკოსს და მის თხზულებას. ანტონს ზოგჯერ უცვლელად მოაქვს მთელი აბზაცები, ზოგჯერ გადაკეთებულად. დავიმოწმებთ საილუსტრაციო მაგალითს:

#### ანტონი

„განგებითა ზეგარდამოდთა ვერ  
იხილეს დიდებული იგი ეკკლე-  
სია მანგლისისა ღმრთისმშობე-

#### ბესარიონი

„განგებითა ზეგარდამოდთა  
ვერ იხილეს დიდებული იგი  
ეკლესია მანგლისისა ღმრთის-

ლისა, რამეთუ ესევეითარმან ღრუბელმან ზრქელმან და ნისლმან დაჰფარა იგი, ვიდრელა პირისპირ მისსა შთავლო ესოდენმან სიმრავლემან მკედრობათამან და ეკლესიაჲ იგი სოფლითურთ ვერ იხილეს“ (გვ. 47—48).

2) „მოჰხადა შაჰ-აბას მეფეჲ ტაბლად ნადიმად თეს თანა და იყო მაშინ მარხუჲა წმიდათა ორმეოცთა. და მისრულსა მეფესა აწჳა შაჰ-აბას ჭამად თევზი, ხოლო იგი ყოვლითურთ ურჩ ექმნა. კუალად აწუევედა უღმრთო იგი ლიქნით, გარნა წმიდა იგი არა ერჩდა და მიუგებდა: „არა ჯერ არს ჩუენცა წმიდათა ორმეოცთა შინა ჭამად თევზი და თუ საღამე ჯერჩდემცა, მერმეჲა მაწუო ჭამად ჯორცი, რომელი უცხო არს ყოველთა ქრისტიანეთაგან და შემდგომად მითცა სრულყოფისა ბრძანებულისა შეჩინსა, მაწუო უარისყოფად ქრისტე ჩემისა შემოქმედისა და უფლისა. და ამისთვის, მეფეო, უმჯობეს აღუჩრიო სიკუდილი, ვიდრელა ჭამად თევზი“ (გვ. 61).

მშობლისაჲ, რამეთუ ესევეითარმან ღრუბელმან ზრქელმან და ნისლმან დაჰფარა იგი, ვიდრელა პირისპირ მისსა ჩაელეს ესოდენმან სიმრავლემან მკედრობათამან და ეკლესიაჲ იგი სოფლითურთ ვერ იხილეს“ (გვ. 40).

„დღესა ერთსა ჯდა მეფე იგი უსჯულოჲ პურობად მოსმურთა თესთა თანა შეუებითა და განცხრომითა მრავლითა. და მოუწოდეს ამასცა ღმრთისმოყუარესა მეფესა და ინაცით ჯდა იგი მახლობელად მისა. ხოლო იყენეს დღენი იგი წმიდანი ორმეოცთა მარხვათანი. და ვითარცა სხდეს იგინი და იყო განცხრომაჲ ფრიადი, მაშინ აიძულა მას ჭამად თევზისა და ფრიადცა აიძულებდა, რათა ერჩდეს ბრძანებასა მისსა და ჭამოს თევზი. ხოლო მას ნეტარსა უცხოდ აღუჩნდა სიტყუჲა იგი მძლავრისაჲ, რამეთუ სიჩრომთგან მარხვითა აღზრდილ იყო და განპოხებულ მსვაგესად დანიელისა. და ეტყოდა: არა ჯერ არს, მეფეო, დღეთა ამათ შინა წმიდათა ორმეოცთასა ჭამად თევზისა, რამეთუ ესრეთ განწესებულ არს წმიდათა მიერ, და მე არაოდეს გარდაეკდე საზღუართა მამათასა, და არცა დაეცნა სჯულის-დებაჲ მათი. და უკუეთუ აწ გერჩდე და ვჭამო თევზი, მერმე კუალად მაიძულო კორ-

ცისა, და ესრეთ მცირედ-მცირედ დაივსნას ყოველი წესი“ (გვ. 412).

2) „უწყებულ არს თქმულ-თაგან ნეტარისა ბესარიონისთა: ილოცუდო ნეტარი იგი ცრემლით და სულთქმით და იტყოდა: უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შენ უწყი, რამეთუ არა-ვინ მივის თვნიერ შენსა, არცა მამად, არცა დედად, არცა ძმანი, არცა სხუა რამევე შენსა გარეშე და დაუსაბამოდა მამისა შენისა და თანა სამარადისოდა ყოვლად წმიდისა სულისა შენისა, რომელ-მან არაარსისაგან მოიყუანენ ყოველნი არსნი, ხილულნი და უხილავნი და შენითა ძლიერებითა გიპყრიეს ყოველნი დაბადებულნი და წამისყოფითა შენითა განაგებ ყოველთა არსთა. შენ უწყი, რამეთუ ყრმა ვარ მე და გამოუცდელ ესევეითართა მანქანებათა და სივერაგეთაგან, შენ დამიცევ, ყოვლად ძლიერო, ჯელთაგან ამის მზაკუარისათა, რათა არა მიდრკეს გონებად ჩემი მის უკეთურთა ლიქნათაგან, რანეთუ მე არა ოდენ ვახვეშორო სიყუარულსა შენსა, არცა უარ-ეპყო სახელი შენი. იყავნ ჯელი შენი მტკიცე მაცხოვრად ჩემდა, რამეთუ შენ გესაავს სული ჩემი და შენდა მომართ არს ყოველი სასოებად ჩემი და მზადვარ მე სიკუდილად სახელისა შენისათუს წმიდისა“ (გვ. 62).

„უფალო იესუ ქრისტე, შენ უწყი, დაღაცათუ ცოდვილ ვარ, არამედ შენსა გარეშე სხუად არაავინ ვიცი თანდაუსაბამოთ მამით შენითურთ და ყოვლად წმიდით სახიერით და ცხოველსყოფელით სულითურთ. და შენ შეგიყუარე და შენ შეგიდეგ და სახელისა შენისათუს წმიდისა მეგულების დღეს სიკუდილი, რამეთუ ყოვლისა წილ შენ აღგიჩრიე და შენდამი დაესდევე ყოველი სასოებად ჩემი და აწ გვედრები მეუფეო, შეივედრე სული ჩემი და ივსენ ჰაერის მცველთა ძალთაგან, შენ სახიერო, შეიწირე უნდო ესე ღუაწლი ჩემი და ღირს მყავ წმიდათა შენთა თანა და ნუ დამაკლებ დიდებისაგან მათისა“...

ანტონთან არის შემთხვევები, როდესაც იგი არ ეთანხმება თავის წყაროს. მოვიტანთ ერთ მაგალითს:

ანტონი წერს: „კუალად გულმსხიტიყულმან შაჰ აბასევი, რათა ამ-ზახლოს მეფე ლუარსაბ და მეფე თეიმურაზ ურთიერთას, მეცნიერმან, ვითარმედ არიან ფრიად თანტომ ურთიერთას და უცხო არს ქრისტიანეთაგან ქმნად ესე. ხოლო თუ სადამე ურჩ ექმნენ მეფენი, მიზეზი მათ ზედა ძვრის განცხადებისა, რამეთუ ბებია მეფისა ლუარსაბ მეორისა, დედოფალი ნესტან-დარეჯან და იყო მეფისა კახთასა ალექსანდრე მესამისა, რომელიცა იყო პაპა თეიმურაზ პირველისა. ხოლო უბრძანა შაჰ-აბას მეფესა თეიმურაზს, რათა იქორწინოს დისა თანა მეფისა ლუარსაბისა. და უბრძანა მეფესა ლუარსაბს, რათა მისცეს დამა თუნი მეფესა თეიმურაზს ცოლად“. მაშასადამე, ანტონის ცნობით, შაჰ-აბასმა ლუარსაბი აიძულა ნათესავეისათვის — თეიმურაზ პირველისათვის მიეთხოვებინა და. თვითვე ასახელებს ნათესაობას.

ნესტან-დარეჯანის	ძმა	ალექსანდრე
გიორგი		დავითი
ლუარსაბი		თეიმურაზ

ბესარიონის თხზულებაში კი ვკითხულობთ: „ხოლო მან კუალად შემდგომად მცირედისა მეორისაცა დისა მისისა ჯელ-ყო მოთხოვნად (რომელსა ეწოდა ზუარანში, იგიცა ცოლად, რომელი-ესე სასმენელადცა უცხო იყო ქრისტიანეთა შორის, დადაცათუ ბილწისა მას სჯულისმდებელსა მისსა ეგრეთ განეწესა... ხოლო ამან სანატრელმან ესევეითარი უჯგროა ესე საქმე სმენადცა არა თავს-იღეა, არამედ მეყსეულად ემზახა კახთა მეფესა თეიმურაზს და მიათხოვა იგი ცოლად“. ასეთი განხსენაების ნიმუში სხვაც არის, მაგრამ მისი აღნიშვნა აღარ მიგვანჩნია აუცილებლად. მიუხედავად ამისა, ანტონის „ლუარსაბის მარტვილობა“ ძალზე დავალებულია ბესარიონ კათალიკოსის თხზულებისაგან.

3. ბიძინა, შალვა და ელისბარის წამება. 1659 წლის კახეთის აჯანყების გამირების მოწამებრივი სიკვდილის აღწერით ამთავრებს ანტონი XVII საუკუნის ქართლ-კახეთის ისტორიული ცხოვრების სურათის დახატვას. იგი ბიძინა, შალვა და ელისბარის „წამებასა“ და ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ მეფის „წამებებს“ შორის ერთგვარ შინაგან კავშირს აბამს. 1659 წლის ტრაგედიის საწყისი მან ამავე საუკუნის 20-იან წლებში დაინახა; ბახტრიონის გამირების მოწამებრივი აღსასრული შაჰ-აბას პირველის მიერ დაწყებული ანტიქართული პოლიტიკის გაგრძელებად მიიჩნია. ანტონი სწორად

აფასებს XVII საუკუნის 50-იან წლებში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას. მომთაბარე თურქმანი ტომები თანდათან მკვიდრდებოდნენ და იკავებდნენ იორ-ალაზნის ბარაქიან ჭალებს, ეს კი ქვეყნის ფიზიკურ არსებობას ემუქრებოდა. სწორედ ამ ეროვნული კატასტროფის საშიშროებამ აამხედრა კახეთი 1659 წელს. ანტონი მართებულად აფასებს სიტუაციას და იძლევა მდგომარეობის რეალისტურ შეფასებას: „ოდეს-იგი უღმრთოჲმან შაჰ-აბას პირუელმან სპარსთა მეფემან, სხუამან ვიდრემე ნაბუქოდონოსორმან, შეაგინნა და მოაოკრნა სიწმიდენი ჩუენნი და მეფენი ტყუე-ჰყუნა, რომელნიცა მარტულობისა გერგვინთა წარჰგზავნნა ქრისტეს მიმართ, და განსახლა კახეთი სპარსეთად, შემდგომად მისა ძისწულმან მისმან შაჰ-აბას მეორემან მრავალათასეულნი დედა-წულითურთ წარმოჰგზავნნა კახეთს შინა დამკედრებად სპარსნი, რომელნიცა ზაფხულ აგართა ადგილთა და ზამთარ ტაფჭალოვანთა მდგომარეობისა თჳსისა იჴმევენ ჩუეულებასა, რათა ამალითა კახეთს შინა დამკედრებისა აღისპოს ყოველი მკედრობაჲ ქრისტეანეთა“ (გვ. 174).

ანტონი კარგდ ხედავს საფრთხეს, „ულუსის“ ჩამოსახლებით გამოწვეულს, და განსხვავებით ყველა წინა ისტორიკოსისაგან იგი მართებულად ხსნის 1659 წლის აჯანყების მიზეზებს: „მოვიდეს უკუე ესენი კახეთად და დამკედრეს მუნით, სადა ზედწოდებულ ჰყოფენ ბახტრიანად, რომელი არს ზემო ველთა ალონისათა, და ჰქმნეს სიმაგრედ თავისა თჳსისათჳს ციხეცა და განაგრძეს მკედრობაჲ მათი ვიდრე ღანუჯადმდე ორთავე კიდეთა ალაზნისათა. ხოლო მცირედნი ოდენ იყუნეს მკედრნი კახეთს შინა ქრისტეანენი, რამეთუ სპარსნი იგი ჰმძლავრებდეს მათ ზედა და ეკლესიათა წმიდათა არღუედეს და შეაგინებდეს“... (გვ. 174—175).

ასეთ სიტუაციაში ბიძინა ჩოლოყაშვილი („განაგებდა საქმეთა კახეთისათა არყოფისათჳს მეფეთასა, არათუ ორგულეთით არე მათითა“ (ხაზი ჩემია, მ. ქ.) დაუკავშირდა არაგვისა და ქსნის ერისთავებს — შალვასა და ელიზბარს; მათ გაერთიანებული ლაშქრით დაამარცხეს სპარსნი და განდევნეს ქვეყნიდან. „ამათ მკედართა ქრისტესითა მიულეს უცხოთესლთა ციხე იგი განმაგრებული ძლიერად ბახტრიანისა და კაცნი დედაწულითურთ აღჰკოცეს სპარსთა მრავალათასეულთა“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში 1659 წლის კახეთის აჯანყება ვერ აიხაზა შესაფერისად. სამამულო ისტორიამ ჯეროვნად ვერ გააშუქა კახეთის აჯანყება და არ მიუთითა მის პრინციპულ მნიშვნელობაზე. არც ერთი ქართველი ისტორიკოსი არ გადმოცემს ამ საყურადღებო მოვლენას ვრცლად და არ მიუთითებს გამოჩენილ

მამულიშვილთა დამსახურებაზე. სულ რამდენიმე სტრიქონი მიუძღვნეს ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსებმა: ვახუშტი ბატონიშვილმა, ფარსადან გორგიჯანიძემ და ბერი ეგნატაშვილმა ამ ფაქტის აღწერას. მხოლოდ ჰაგიოგრაფიულმა მწერლობამ შემოგვინახა ცნობები 1659 წლის კახეთის აჯანყების შესახებ. მხოლოდ ჰაგიოგრაფიული მწერლობის წყალობით ხერხდება ამ აჯანყების სულისჩამდგმელი გმირების შალვა, ბიძინა და ელიზბარის ღვაწლისა და ქვეყნის წინაშე დასახურების გათვალისწინება.

ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების დიდი მამულიშვილური საქმიანობა და მარტვილობა პირველად ვერცლად აღწერა ბესარიონ ორბელიშვილმა, ხოლო მასზე დაყრდნობით რამდენადმე მოგვიანებით ანტონმა. ბესარიონი თხზულებაში აღწერილი ფაქტების უმცროსი თანამედროვეა და მისი ნაწარმოები თითქმის ერთადერთი ჰაიმედრო წყაროა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ანტონის შრომის განხილვისას. ანტონი ფაქტების გადმოცემისას მხოლოდ და მხოლოდ ბესარიონის თხზულებას ეყრდნობა და არც ერთ წყაროს არ იყენებს, სწორედ ეს ფაქტი მოწმობს, რომ XVIII საუკუნის 60-იან წლებში რაიმე განსხვავებული, ჩვენთვის უცნობი ცნობა 1659 წლის მოვლენებთან დაკავშირებით არ არსებობდა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ანტონის დამოკიდებულება ვახტანგ V-სადმი. მეფეთა კრიტიკას ანტონი საერთოდ ერიდება. ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ერთობ თავდაჭერილია, მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგი მაჰმადის სჯულის აღმსარებელია, ამ ფაქტს ერთგვარი საყვედურის კილოთი რემარკასავით ურთავს ანტონი: „უწყებულ-ქმნილმან მეფემან აბას მეორემან სირცხულად თავისა თვისისა... მიმწერელმან როარტაგისამან მეფისა მიმართ საქართუელომსა ვახტანგ მეოთხისა, რამეთუ მაშინ ცოდუათა ჩუენთათჳს ქართუელნი უღელსა ქუეშე სპარსთა მონებისასა იყუნეს და შემდგომად მეფისა თეიმურაზ პირველისა მეფენიცა ქართუელთანი მეფობისათჳს საქართუელომსა ქრისტესა უარყოფდეს“. ვახტანგმა „შეიპყრნა სამნივე და წარკაზვნა სპარსთა მეფისად“. ვახტანგ მეფის ეს მოქმედება ანტონში მხოლოდ სინანულს აღძრავს და იგი გულისტკივილით წერს: „ჰ, საგოდებელი ესე ჳირი, რომელი იყო მაშინ სამშობლოსა ჩუენსა ქართლსა ზედა, რამეთუ დაუტყვევს სახიერი ქრისტე მეფეთა და მთავართა და საკურთხეველნი წმიდანი შეაგინნეს სათნოთა მათთა და არა სათნოთა ღმრთისათა ეპისკოპოსთა და მღუდელთა“ (გვ. 178).



ანტონის თხზულებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი დასჯის სცენების აღწერას. ავტორი ამძაფრებს სიტუაციებს, განსაკუთრებით სიამაყით აღნიშნავს ბიძინას, შალვას და ელისბარის შემართებას, ეაყკაცობასა და თავდადექას.

4. რაჟდენის წამება. ქართულ ეორტალოგიურ კალენდარში რაჟდენი პირველმოწამის სახელითაა ცნობილი. ბესარიონ ორბელიშვილი წერს: „რამეთუ ვითარცა ახალსა ამას მადლსა შინა პირველ-მოწამობითა ბრწყინაჲს და იესენებისცა პირველ-მოწამედ სტეფანე და კუალად მის თანა დედათა შორის წმიდად თეკლა, ეგრეთვე ქუეყანასა ამას ჩუენსა პირველად ამან განულო კარი წამებისა შემდგომად მისთა მოწამეთა და პირველად ამან დასთხია სისხლი და ექმნა მიზნე სხუათაცა ახოვნებისა და სიქეელისა, რამეთუ პირველ ამის ნეტარისა არაგისი სმენილ არს მარტულობად ქუეყანასა ამას საქართველოსასა“. რაჟდენი, გვარტომობით სპარსი, ქართლში მოვიდა ვახტანგ გორგასლის დროს და მიიღო ქრისტიანობა, რისთვისაც სპარსელებმა აწამეს იგი. ქართულ საისტორიო მწერლობაში რაჟდენის სახელი პირველად გვხვდება ჯუანშერის თხზულებაში. მემბტიანე, როდესაც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობას ახასიათებს, წერს: „ვახტანგმა აღამენა ეკლესია ნიქოზისა... და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა ვახტანგისსა“.

ეს რაჟდენი იყო მამამძღვე ვახტანგის ცოლისა, „რომელი-იგი პირველ მოეყვანა სპარსთა მეფისა ასული<sup>48</sup>.“ რაჟდენის „წამება“ ძველად არ შექმნილა, როგორც ამ ბოლო ხანებში გაირკვა, პირველად აღუწერია XVII საუკ. მიწურულისა და XVIII საუკ. პირველი ნახევრის მწერალს ბესარიონ ორბელიშვილს<sup>49</sup>, ხოლო მასზე დაყრდნობით ანტონს, რომელმაც მეშვიდე „სიტყვად“ შეიტანა „მარტირიაკში“ „რაჟდენის წამება“.

თავისთავად ანტონის თხზულება (იგულისხმება რამდენადმე ბესარიონის ნაწარმოებიც) წმინდა წყლის მეტაფორასტული ხასიათის შრომაა. ანტონი არც აქ ღალატობს საკუთარ შემოქმედებით მეთოდს, გარკვეული თვალსაზრისით ამუშავებს მასალას. ტექსტში

<sup>48</sup> ქართლის ცხოვრება ტ. I, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, გვ. 199.

<sup>49</sup> მ. ქაეთარია, ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. I, 1959 წ., გვ. 90-93; ბესარიონის თხზულება გამოქვეყნებულია მ. საბინინის მიერ „საქართველოს სამოთხეში“, გვ. 168—180. იგი თარგმნილია ლათინურად P. Peeters-ის მიერ. თარგმანი დასტამებულია, იხ. Analecta Bolandiana, t. XXXIII, გვ. 294—319. შტრ. კ. კ ე ე ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951 წ. გვ. 509.

დიდ ადგილს უთმობს შედარებებს, განყენებულ მიჯნეობებს, რომლისათვისაც ავტორი შეუზღუდავად ესესხება ბიბლიურ წიგნებს. ანტონის თხზულების და მასში დაცული ცნობების მიხედვით მოხერხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა, კერძოდ, დადგინდა, რომ ბესარიონ ორბელიშვილი ავტორია რაქდენისა და არჩილის მარტილობებისა, რომელნიც სამეცნიერო ლიტერატურაში XII საუკ. ძველებად ითვლებოდნენ. ანტონის თხზულების ძირითადი წყაროა ბესარიონ ორბელიშვილის ნაწარმოები, თუმცაღა იგი იცნობს „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს. ანტონი მთელ პასაჟებს იღებს ბესარიონის ნაწარმოებიდან, მაგრამ განსხვავებით „მარტირიკის“ სხვა თხზულებებში მიღებული წესისაგან, ანტონი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისე ხშირად აღარ ასახელებს წყაროს — ბესარიონ ორბელიშვილის შრომას, ზუსტადაც არ ახდენს ციტაციას. ჩვენ მივუთითებთ რამდენიმე მაგალითს, სადაც ანტონს აშკარად ბესარიონის თხზულებიდან აქვს აღებული მასალა:

ანტონი

ბესარიონი

1) „შემდგომად რაოდენთამე წელთა კეთილმსახური მეფე ვახტანგ პირველი უღონოებდა რა პოენისათს ნაწილთა წმიდისათა, მორწმუნეთა მათგანთა შორის დამფლუელთა წმიდისათა იყო მღუდელი ვინმე, რომლისად განცხადნა შესახედავითარე ბრწყინულეთა მოწამე ქრისტესი და უბრძანა, რათა სურვილით მეძიებელი ნაწილთა მისთა მეფე კეთილმსახური უწყებულ ჰყოს საღაობითა ნაწილთა მისთა წმიდათათა.“ (გვ. 152).

„შემდგომად ამისა გარდავდეს წელნი რაოდენნიმე და იქმნა დაწყნარება და მშუდობა. მეფემან ვახტანგ იწყო ძიებად ნაწილთა მათ წმიდისათა, რამეთუ ფარულად იყო დაკრძალულ მცირეთა ვიეთმე კაცთაგან და არავინ უწყოდა თვნიერ მღუდელისა ამის... ხოლო არცაღა მოწამესა მას ენება დაფარვად მრავალ-მოდულაწე იგი გუამი, არამედ მინიჭებად იგი მეფისა მის ლმრთის-მოყუარისა და რადთა ცხადად წარმოიჩინოს საკრეველებად მისი, ღამესა ერთსა ეჩვენა მღუდელსა მას წმიდა იგი დიდებითა დიდითა...“

2) „ხოლო კეთილმსახურმან მეფემან უწყებულმან თქმულისა

„ესმა რამ ესე მეფესა, აღივსო სიხარულითა გამოუთქმე-

მისგან მღუდელისა, წარმოიღო სხეული იგი ვნებული ქრისტეს-თვის კრებითა ეპისკოპოსთა და მღუდელთათა და შეკრებთა კეთილმორწმუნეთა მთავართა, აზნაურთა და ყოვლისა საქართუ-ელოისა ერისათა და დიდითა პატივითა და ლიტანიობითა მომხმელმან ნიქოზს, ეკკლესიასა შინა საეპისკოპოსოსა, დადუა იგი მფარულად თესად და ყოვლისა სოფლისა“ (გვ. 152).

ლითა და მადლი შეწირა ყოვ-ლად ძლიერსა ღმერთსა სა-ნატრელსა მას მოწამესა. მყის იქმნა ეპისკოპოზნი სამეფოსა თვისიანი და სიმრავლე სამ-ღდელოსა მწყობრისა და წა-რავლინნა იგინი სამეუფოთა ნიჭითა სიმრავლითა სოფელსა მას... წრომს... და აღიღეს მუნიო და წარემართნეს გა-ლობითა და ფსალმუნებითა სანთელთა და კერეონთა სიმ-რავლითა და საკმეველთა სურ-ნელებითა და წარიღეს ნიქოზს საეპისკოპოსოსა მას ეკლესია-სა“.

ბესარიონის თხზულების სწორედ ამ ადგილს გულისხმობს ან-ტონი, როდესაც ერთგან პირდაპირ წერს: „ხოლო მიზეზი კრებისა ამის არს ქრისტეს მოწამე რაჟდენ, რომლისაცა ღუაწლსა პირუელ მოთხრობილსა განგვიახლებს ნეტარი ბესარიონ მამათმთავარი ჩუენი“.

რაჟდენ პირველმოწამეზე ბესარიონ ორბელიშვილმა შექმნა პიმნოგრაფიული კანონი, რომელშიც დასახელებულია რამდენიმე ფაქტი მისი ცხოვრებიდან. ანტონი იცნობს ბესარიონის საგალობელს, შეაქვს იგი თავის „სადღესასწაულოში“, მაგრამ ვრცელი თხზულებისათვის მას არ იყენებს.

ანტონმა რაჟდენის „მარტივილობას“ (როგორც დანარჩენ სხვებსაც) წარუძღვარა ერთსტროფიანი აკროსტიქული იამბიკო. კიდურწერილობა ჰაკმაოდ რთულია: თორმეტმარცვლოვანი სტრი-ქონი გატეხილია შუაზე, 5—7 მარცვლოვანი ნახევარ სტრიქონებად, პირველი და ბოლო ასო ორივე ნაწილისა, ე. ი. ერთ ნორმალურ (12 მარცვლიან) სტრიქონში, 4 ასო კიდურწერილობისაა. თანაც ფრაზის კითხვა ქვემოდან ზემოთ იწყება და შემდეგ გრძელდება, გრაფიკულად.

ე ნ ე ო  
დ ჰ ბ ბ  
ქ ვ გ ი  
ა ა ა თ  
რ ქ ლ ა

აკროსტიკი იძლევა: „რაჟდენს ვაქებ ვალობითა“.

„სადღესასწაულოში“ რაჟდენს ანტონმა საგალობლების მთელი ციკლი მიუძღვნა, საიდანაც („აქებდითსა ზედა დასდებელი, კმა დ“) ხუთი იამბიკური სტროფი გადაიტანა „წყობილსიტყვაობაში“. ის სტროფი, რომელიც „მარტირიკაშია“, „სადღესასწაულოში“ (S—1464, ფ. 716) არ არის, იგი ავტორმა „წყობილსიტყვაობაში“ დაუმატა და შეიტანა კიდევ პირველ სტროფად. „მარტირიკაში“ ავტორმა სწორედ „წყობილსიტყვაობისათვის“ დამატებული ეს აკროსტიკიანი სტროფი გამოიყენა.

5. არჩილ მეფის წამება. XVIII საუკუნის ლიტურგიკული ძეგლების უმრავლესობაში (A—111, A—379, A—1093, A—15, S—1097 და სხვა) არჩილ მეფისა და ლუარსაბის ხსენება ერთადა და წარმოდგენილია 20 მარტს. მათი სახელების გაერთიანება და ხსენების ერთ დღეზე განწესება XVII საუკუნის მიწურულში თუ XVIII საუკუნის დამდეგს უნდა მომხდარიყო. ამავე პერიოდის პავიოგრაფ-მწერლებმა ამ ორი მეფე-მოწამის ცხოვრება და მოწამებრივი აღსასრული ცალ-ცალკე აღწერეს.

ანტონმა არჩილ მეფის ხსენება (ლუარსაბ მეფესთან ერთად) 21 ივნისს გადაიტანა და მთელი განგება—კიმნოგრაფიული ნაწილი თვითვე შეადგინა და შეიტანა თავის სადღესასწაულოში (S—1464).

არჩილის „წამება“ „მარტირიკაში“ რიგით მესამეა, ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ მეფისადმი მიძღვნილი თხზულებების მომდევნო. თავის დამოკიდებულებას და რამდენადმე პათოსსაც ანტონი შემდეგნაირად გამოხატავს: „წინამდებარეთა ჩემთა თქმულთა მოწამეთა მოთხრობამან ერთმან მეორემ გამოჰხატა ჩემ შორის და განმალჳა თქმად და მოთხრობად ყოვლად წმიდათჳ ღუაწლთა მისთა და მეორემან მესამედ... დიდისა მოწამისა ქეთავანის წმიდათა ვნებათა შევეხებით აღწერად... მერმელა იქმნა ჩუენ შორის მჰსგავსისა გამოხატუად ერთტომობისა ძლით და მახლობელთა დროთა ქმნილთა... ხოლო ჰქმნეს პირუელისა თქმისა ნაწილთა გამოხატუა მესამისაცა მჰსგავსისავე, რამეთუ ისტორიკოსობამან წმიდისა მეფისა ღუაწლთამან გამოჰხატა წმიდის მეფისავე სხუსა წმიდანი ღუაწლნი და ესრეთ განვიღჳქენით კეთილისა ამის ჰსრბისაცა აღწერად“...

თხზულების ბოლოს ანტონი ურთავს ერთგვარ ბიბლიოგრაფიულ ცნობას, რომელშიც მოკლედ გათვალისწინებულია არჩილზე არსებული თითქმის ყველა მასალა: „აღწერა უკუე ღუაწლი წამებითი წმიდისა ვინმე ფრიად მცირედ, რამეთუ ესრეთ წერილი არს ძუელთა შინა მატყიანეთა ჩუენტა. და კუალად ძუელთა მატყია-

ნეთა შინა მოთხრობილ არს ჯუანშერისაგან ჯუანშერიანისა, რომელი იყო ნათესავი წმიდისა ძეთაგან რევ, ძისა მირიანისი, ზოლო შემდგომად სანატრელმან ბესარიონ მამათმთავარმან ჩუენმან უერცელესად“...

ანტონის ამ ცნობის წყალობით მოხერხდა ნაწარმოების წყაროების გამოვლენა, რომელთა რიცხეში უნდა დასახელდეს ჯუანშერი, ლეონტი მროველი (რომელსაც ანტონი სახელით არ ასახელებს, ზოლო მის მონათხრობს კი „ძველ მათიანეს“ უწოდებს) და ბესარიონ ორბელიშვილი. რა თქმა უნდა, გარდა დასახელებული წყაროებისა, ანტონი სხვა მონაცემებსაც ეყრდნობა, მაგრამ ამბის მოთხრობისას მისთვის ამოსავალი სწორედ დასახელებული ავტორები არიან. ანტონმა ფაქტიური ამბების გადმოცემას წაუძმღვარა ვრცელი მსჯელობა, რომელშიც იძლევა სხვადასხვა კატეგორიათა ახსნა-განმარტებას. ანტონს არსებითად აღებული აქვს და თავისი მეთოდით გადამუშავებული ჯუანშერისა და ლეონტი მროველის ცნობები, ზოგჯერ ბესარიონ ორბელიშვილის თხზულების მეშვეობით. ანტონი ზოგჯერ ზუსტად იმოწმებს, ზოგჯერ კი წყაროს პერიფრაზირებას ახდენს. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

### ანტონი

1. „მეტყუელმან არჩილ ძმისა მიმართ თუსისა მირისა: აღწყუედლილ არსო ქალაქი ჩუენი და შემუსრვილ არს ციხე და თუ სადამე შთავკეენეთმცა კელთა შინა ბარბაროსა მბრძოლისა ჩუენისათა, გამოიკითხნეს ჩუენგან ყოველნი იგი დაფლულნი უნჯნი წინაპართა პაპათა და მშობელთა ჩუენთანი და ჩუენნი და ბერძენთა თუთმპყრობელისა ირაკლისნი და თუ სადამე მოვკსწყდეთ, დავიწყდენ ყოველნი და ესრეთლა ვიქმნნეთ მიზეზ ოკრებისა და დაგლახაკებისა სამეფომსა ჩუენისა. ამისთუს განვიდეთ და ვებრძოლნეთ ზღუთ კერძომსა შკრივ“.

### ჯუანშერი

„მაშინ რქუა არჩილ ძმასა თუსსა მირს: მიწყუედულ არს ციხე-ქალაქი ესე შემუსრვად. და უკეთუ შეგვპყრნენ ჩუენ კელად, გამოიკითხნეს ყოველნი საგანძურნი ნამალეენი, რომელნი დაფლენით ქუეყანასა ჩუენსა, მონაგვბნი მირიან ღმრთივგანბრძნობილისანი... და იგიცა ითხოვოს, რომელი დამალა ერეკლე მეფემან, რომლისა აღწერილი ყოველი დაედევით ორთა მათ თანა გურგუნთა ზურმუხტისა და იაგუნდისა ძოწეულისათა, რომელნი იგი გამოიტანნა მამამან. ჩუენმან ... აწ, უკეთუ მოვკუდით, განძი იგი ყოველი უც“

ნაურად დარჩეს, და გამოსლვასა ბერძენთასა ძიება ყოს კენისარმან ნათესავისა ჩუენისათეს და მოსცეს მეფობა და განძიცა იგი. აწ უკუე არა ეიქმნეთ ჩუენ მიზეზ მოოკრებისათეს ქართლისა და საბერძნეთისა, არამედ განვიდეთ და ვეწყუნეთ ზღუთ კერძოსა ამას გუერდსა შინა“ (გვ. 236).

2. „ციხესა მას შინა ანაკოფინისა ხატი ყოვლად უხრწნელისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა არა კელითა კაცთათა გამოწერილი, არამედ საკურულებათა საღმრთოთა მებრი მისი, ვითარ-იგი თქმულ არს მახლობელ იეროსალიმისა ქალაქსა, რომელი ზედწოდებულ იყო დიოსპოლი, დროსა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა კორციელისა ცხოვრებისასა ეკლესიასა შინა მარჯუენით სუეტსა ზედა მარმარილოსასა საკურულებითა ღმრთისმშობელისათა განცხადებული ხატი... ხოლო ხატი იგი კელითა კაცთათა უქმნელი აქამომდე არაეისადმი უწყებულ არს, თუ ვინა მოვიდა თავსა ზედა ანაკოფინისა ციხისა გორისასა“.

2. „და მოადგა [მურვან-ყრუ] ციხესა ანაკოფინისასა, რომელსა შინა არს ხატი ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, არაკაცობრივითა კელითა დაწერილი, არამედ ზეგარდამო, რომლისათეს არაეინ უწყის, ვინა-იგი მოსრული იპოვა თავსა ზედა მის გორისასა, რომელსა მოსდგამს სამხრიდ ზღუა და ჩრდილოთ ჭალაში მწყურნები“ (გვ. 235).

ლეონტი მროველის შრომაში „არჩილ მეფის წამება“ ცალკე გამოიყოფა თავისი ხასიათით. იგი ლიტონად გადმოგვეცემს არჩილის მარტივობის ფაქტს. თხზულებაში ლეონტი მროველს შეტანილი აქვს ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია, რომ ერთმა გარდაბანელმა მთავარმა, რომლის „მამის ძმა მოეკლა წანართა“, დააბეზლა არჩილი და ამით იძია შური. ეს ეპიზოდი თავისთავად კარგი მხატვრული პასაჟი და თხზულებაში გარკვეული დინამიკა შეაქვს,

რასაც აშკარად უწყობს ხელს დიალოგის ფორმა. ანტონი თითქმის უცვლელად იღებს ამ ეპიზოდს და მას თავის თხზულებაში იმავე ფუნქციას აკისრებს, რაც მისსავე წყაროში აქვს. ამ სცენის შეტანით ანტონი მხატვრულად აძლიერებს საკუთარ ნაწარმოებს.

### ანტონი

### ლეონტი მროველი

„იყო ვინმე კაცი მთავართაგანი გარდაბანელი მახმედიაქმნილი, რომლისა მამის ძმა მოეკლა წანართა, ხოლო მკულელნი მისნი განერინნეს მშუდობით პაპასა არჩილისსა, მეფესა ადარნასეს, რომლისათეს ძურისმეკსენმან კაცმან მან უთხრა ასიმს: არა უწყებულ არსა მთავრობამ თქუენი ვინაობასა ამის არჩილისასა? ესე არს ძე სტეფანოსისი, ნათესავი დიდისა ვახტანგისა ძეთაგან მირიანისა, ძისა ქასრეასა. ესე უკუე მეცნიერ არს დაფლულთა ირაკლის მიერ ბერძენთა თუთმპყრობელისა...“ (გვ. 82).

„მაშინ უკუე წარმოდგა წინაშე ასიმისა მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, რომლისა მამის ძმა მოეკლა წანართა და მკლველნი მისნი განერინნეს მშუდობით პაპასა არჩილოსსა, ადარნასე მეფესა. ამისთეს უკუე შური იგო გარდაბანელმან და ჰრქუა ასიმს: არა უწყია, თუ ვინ არს ესე არჩილი? ესე არს ძე სტეფანოზისი, ნათესავი დიდისა მეფისა ვახტანგისი, რომელი იყო ნათესავისაგან მირიანისა, ძისა ქასრეასა. და ესე იყო მამისა თუსისა თანა, რაჟამს-იგი დაჟღელიდეს საგანძურთა სამეფოსა ქართლისათა...“ (გვ. 246).

ჩვენ საგანგებოდ აღარ გვაგვრძელეთ ტექსტები, რადგანაც მაშინ მთელი გვერდები უნდა ამოგვეწერა. ანტონი არ კარგავს წყაროს განწყობას და იგი უფრო მეტი დატვირთვით გადმოაქვს საკუთარ თხზულებაში.

ანტონი ბესარიონ ორბელიშვილის თხზულებიდან (რომელიც ადრე XII საუკ. ძეგლად იყო მიჩნეული) იმორწმუნებს ადგილს და მიუთითებს მის ავტორს — ბესარიონ ორბელიშვილს. სწორედ ამ ცნობის (და სხვა მასალები) მიხედვით გახდა ცნობილი, რომ ბესარიონს ეკუთვნის არჩილის „წამების“ პირველი ვრცელი, მეტაფრასული რედაქცია და რომ იგი გვიანფეოდალური ხანის ჰაგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშია.

**ანტონი**

„მძლავრმან მცნობელმან წმიდისა მისულისამან კყო წინამიგებებამ სიხარულით და მოიკითხა იგი პატივით, რომლისათვის იტყუს ნეტარი ბესარიონ მამათმთავარი ჩუენი ისტორიასა შინა წმიდისა ვნებისა მისისაჲა: „ღირს იყო ნეტარი ესე უზეშთაესსა დიდებასა და პატივსა არათუ ოდენ მეფობითა და გუართა სიმაღლითა, არამედ უფროსლა ბრწყინვალეობითა შესახულებისა და ანაგები-სათა და უმეტეს შინაგანისა სულისა ბრწყინვალეობითა და სათნოებათა სიკეთითა“.

**ბესარიონი**

„და შეუყუარდა ქცევა და წესიერებაჲ მისი და დიდითა პაატივითა პატივს-ცემდა და განუსუენებდა და ნიჭთა დიდ-დიდითა ანიჭებდა, რამეთუ ღირსცა იყო სანატრელი ესე ზეშთა დიდებულებისა და პატივისა არა ხოლო თუ მეფობითა და გუართა სიმაღლითა, არამედ უფროსად შესახულებითა და ანაგებთა ბრწყინვალეობითა და უმეტესად ჭეშმარიტი ითქუმოდენ შინაგანისა სულისა ბრწყინვალეობითა და სათნოებათა სიკეთითა“.

როგორც ამ მიმოხილვიდან ჩანს, ანტონი უერთგულესი მიმდევარია ბესარიონ ორბელიშვილის ლიტერატურული ტრადიციებისა. იგი სათანადოდ აფასებს მას და ერთგვარად პოპულარიზაციასაც კი უწევს. ანტონი „მარტირიკისათვის“ ერცლად დაესესხა სწორედ ბესარიონს და მისი მონაცემები გაიზიარა და უმრავლეს შემთხვევაში ყველაზე სანდოდ მიიჩნია.

**უპველესი ქართული აკაიოგრაფიული ძეგლების  
საფუძველზე შექმნილი თხზულებანი**

„მარტირიკაში“ შეტანილია შვიდი თხზულება, რომელთა პროტოტიპები V—X სს. შექმნილი უძველესი ქართული პაიოგრაფიული ძეგლებია. ესენია: შუშანიკის, აბიბოს ნეკრესელის, დავით და კოსტანტინეს<sup>1</sup>, ვესტათი მცხეთელის, აბო თბილელის, კოსტანტი კახის და მიხაილ-გობრონის წამებანი (ჩამოთვლილია „მარტირიკაში“ წარმოდგენილი მათი თანმიმდევრობის მიხედვით).

ძირითადი ცვლილება, რომელიც ჩამოთვლილმა პაიოგრაფიულმა ძეგლებმა ანტონის კალმის მეშვეობით განიცადეს, არის ავტორის შემოქმედებითი პრინციპების მიხედვით მათი გამეტაფრასება: თითოეულ მათგანს დართული აქვს მეტნაკლებად ერცკლი ფილოსოფიურ-დოგმატიკური ან პანეგირიკული შესავალი და პანე-

<sup>1</sup> მოღწეული ძეგლი XII საუკუნისაა, მაგრამ უნდა არსებულებო მასზე აღჩინდელი „სხოერება“ (IX—X სს.).



გირიკულ-შესხმითი ბოლოსიტყვაობა. რაც შეეხება თითოეული თხზულების ძირითად ნაწილს, ჩანს, რომ ძველი ტექსტი წაკითხულია მეცნიერ-ფილოლოგის კრიტიკული თვალთ, შევსებულია თუ გადაკეთებულია ზოგიერთი ადგილი ანტონის თვალსაზრისის შესაბამისად. ზოგჯერ ანტონი დამატებით ისეთი წყაროს მონაცემებს იყენებს, რომელიც არ გამოუყენებია, ან არ შეეძლო გამოყენებინა ძველი თხზულების ავტორს.

თითოეული თხზულების კრიტიკული ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ვანხილვა წინამდებარე ნაშრომში შეუძლებელი შეიქნა, ამიტომ მოკლე მიმოხილვით დავეყვარებოდებით.

1. შუშანიკის წამება. სამეცნიერო ლიტერატურაში ანტონის თხზულებისა და იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ტექსტოლოგიური მიმართების საკითხი დაწვრილებით არის განხილული<sup>50</sup>, ამიტომ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ: ამ ორი ძეგლის ფრაზეოლოგიურ-სტილისტურ განსხვავებასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ანტონმა გარდა იაკობ ხუცესის თხზულებისა ისარგებლა სხვა წყაროებითაც. ანტონი აღნიშნავს, რომ მან სომხური წყაროების მონაცემების საფუძველზე შეავსო იაკობის თხზულების დასაწყისი შუშანიკის მშობლებისა და მისი ბავშვობის შესახებ („უწყებულ ვართ ისტორიკოსთაგან სომეხთასა და სათთუეომსაგან მეტაფრასისა მათისა...“ „მარტირია“, 87, 35). ასევე, ანტონმა თავის თხზულების ბოლოს შეიტანა „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა ბაკურ მეფის მიერ ვარსკენის მოკვლის შესახებ<sup>51</sup>, რადგან ეს ფაქტი იაკობის თხზულების დაწერის შემდეგ მომხდარა და იაკობისეულ „შუშანიკის წამებაში“ ვერ აისახა.

2. აბიბოს ნეკრესელის წამება. „მარტირიაში“, როგორც ზემოთ ითქვა და როგორც კრებულის სახელწოდებიდან ჩანს, შეტანილია ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მხოლოდ მარტიროლოგიური ენარის ძეგლები. ძველ ქართულ ლიტერატურაში კარგად ცნობილ ასურელ მამათა ცხოვრებების სერიიდან მარტიროლოგიურ ენარს მხოლოდ „აბიბოს ნეკრესელის წამება“ მიეკუთვნება და ამიტომაც „მარტირიაში“ მხოლოდ დასახელებული ძეგლი შევიდა. ანტონის მიერ აბიბოს ნეკრესელის წამების შესახებ შეთხზული ძეგლი ძირითადად „წამების“ იმ მეტაფრასულ რედაქციას ეყრდნობა, რომელიც სათაურში, არსენ დიდის, ქართლის კათალიკოსის

<sup>50</sup> ილ. აბულაძე, „იაკობ ხუცესი, მარტელობა შუშანიკისი“. იბილისი, 1938, გვ. 07; ლ. ჯანაშია, „შუშანიკის წამების“ ანტონისეული რედაქცია, მრავალთავი, IV, თბილისი, 1975, 78—98.

<sup>51</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 216, 13.

სახელით არის წარწერილი, რასაც თვითონ ანტონიც ადასტურებს: „იტყვს ნეტარი არსენი მამათმთავარი ჩუენი...“<sup>52</sup>, და საიდანაც მოპყავს კიდევ ამონაწერები. ძირითადად ანტონი შემოკლებით ამოკრებს დასახელებული წყაროდან შედარებით საყურადღებო ფაქტებს და პერიფრაზულად, საკუთარი ფრაზეოლოგიით გადმოსცემს მათ. ზოგჯერ წყაროს მონაცემები შეცვლილია არა მარტო ფრაზეოლოგიურად, არამედ შინაარსობრივადაც. მაგ. ანტონის თხზულებაში თითქმის მთლიანად შეცვლილია მარზპანისა და მოწამის დიალოგის ტექსტი.

ანტონი ჩვეულებისამებრ არ კმაყოფილდება ძირითადი წყაროს მონაცემებით და დამატებით წყაროებს მიმართავს: თხზულების დასაწყისი მოგვითხრობს იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების სირიიდან საქართველოში მოსვლისა და სამონასტრო მოღვაწეობის გაჩაღების შესახებ, რაც არ არის „აბიბოს ნეკრესელის წამების“ ძველ რედაქციაში. ანტონი აქ იყენებს არა იოვანე ზედაზნელის ცხოვრების რომელიმე რედაქციას, არამედ შიო მღვიმელის მეტაფრასტული ცხოვრების იმ რედაქციას, რომლის ავტორად სათაურში ვინმე მარტური კოსტანტინოპოლელი არის დასახელებული. ამის შესახებ ანტონი აღნიშნავს: „მოვიღებ სიტყუათაგან მარტურის ვისმე მონაზონისა კოსტანტინუპოლელისათა, რომელი იყო მოწაფე ნეტარისა იოანე დიდისა მოძღუარისა (!) ამათ მამათასა“<sup>53</sup>.

ანტონის თხზულებაში უშუალო თხრობა აბიბოს ნეკრესელის შესახებ იწყება ვრცელი პანეგირიკული ნაწილით, რომელშიც გზადაგზა ჩართულია მისი ცხოვრებისა და საქმიანობის ამსახველი ფაქტები; იგი მთავრდება ასევე ტრადიციული „შესხმით“. თხზულების ბოლო ნაწილში ანტონი შენიშნავს, რომ „აღქსწერა უკუე ღუაწლი წმიდისა შემდგომად ოთხასი წლისა არსენი მამათმთავარმან ქართულეთამან“<sup>54</sup>, რაც „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი ჩანართის განმეორება უნდა იყოს: „შემდგომად ოთხას ოცისა წლისა იკითხა და გამოიძია წმიდამან ჩუენმან არსენი ქართლისა კათალიკოსმან“<sup>55</sup>. ასევე, ანტონმა, როგორც მკვლევარმა ფილოლოგ-ისტორიკოსმა, ასურელ მამათა ცხოვრებების სხვადასხვა რედაქციებიდან (ძირითადად შიო მღვიმელის ცხოვრებიდან) ამო-

<sup>52</sup> მარტირია, 114, 13

<sup>53</sup> მარტირია, 107, 23. ამ ციტატის შესაბამისი ადგილი იხ. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ვამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 78, 24 და 79, 10.

<sup>54</sup> მარტირია, 118, 13.

<sup>55</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 208 (ჩანართი 1).

კრიფა ისტორიულ-ქრონოლოგიური ცნობები, რომლებიც ასურელ მამათა საქართველოში მოსვლის დროს ეხებოდნენ და შეჯამებული სახით წარმოადგინა თავის მიერ შედგენილ „აბიბოს ნეკრესელის წამების“ ბოლოს: „ხოლო იყო მოსულად სირიამთ ათორმეტთა მათ ნეტართა მამათა ქართლად დროთა მეფობისა ფარსმან, ძის წულისა ბაკურ მეფისა ხოსროვანისათა და მამათმთავრობასა ევლავიოსისა“<sup>56</sup>. ანტონის თხზულების ზულ ბოლოს ასეთი ცნობა მოიპოვება: „უკანასკნელ სტეფანოსისგან მთავრისა, ძისა ადარნასე მეფისა აფხაზთა და ქართულთასა, მუნით წარმოღებულნი მცხეთას ზენასა ეკლესიისა საეპისკოპოსოსა დაიკრძალნეს დიდითა პატივითა“<sup>57</sup> (ლაპარაკია აბიბოს ნეკრესელის წმ. ნაწილების შესახებ). ამ ცნობის წერილობითი წყარო არ ჩანს და, ალბათ, ანტონი რომელიღაც ზეპირ გადმოცემას ეყრდნობა.

3. დავით და კოსტანტინეს წამება. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ „დავით და კოსტანტინეს წამების“ ჩვენამდე მოღწეული ვერსია ამ მოწამეთა შესახებ შექმნილი პირველი ძეგლი არ არის, არამედ აწ დაკარგული უძველესი, შესაძლებელია, მათი წამების (VIII ს.) ახლო ხანებში შექმნილი თხზულების გადაკეთება-შეჯახება წარმოადგენს<sup>58</sup>. ჩანს, ანტონსაც არ ჰქონია ხელთ დავით და კოსტანტინეს წამების ეს უძველესი ნუსხა და თავისი თხზულება ცნობილია, ჩვენამდე მიღწეული ინტერპოლირებული ძეგლის (XII ს.) საფუძველზე დაუწერია<sup>59</sup>. ანტონი, როგორც მას სჩვევია, ძირითადად პერიფრაზულად იყენებს წყაროს მონაცემებს, ზოგჯერ კი სიტყვასიტყვით მოაქვს ციტატები დასახელებული ძეგლიდან წყაროზე მითითებით. საჭიროების შემთხვევაში ანტონი ამოკლებს წყაროს ზოგიერთ ადგილს, ხოლო ზოგჯერ კი ავრცობს წყაროს მონაცემებს, ძირითადად მის ზოგად ნაწილებში. კონკრეტული ფაქტების გადმოცემისას მას ზოგიერთი უზუსტობაც მოსვლია: „დავით და კოსტანტინეს წამების“ ძველი თხზულების შესავალში მოთხრობილია იერუსალიმის „წარტყუნების“ ისტორია სპარსელების მიერ, რომელიც მომხდარა საბერძნეთში პერაკლეს მეფობის დროს (614 წ.)<sup>60</sup>. წყაროს ამ ცნობის შემდეგ მო-

<sup>56</sup> მარტივია, 118, 14.

<sup>57</sup> იქვე, 116, 13.

<sup>58</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 509.

<sup>59</sup> ანტონი არ უნდა იცნობდეს ამ მოწამეთა ძველ სინაქსარულ ცხოვრებას (XIII—XIV სს.), იხ. ძველი ქართული კავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ. 359.

<sup>60</sup> ძველი ქართული კავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, III, გვ. 248.

ულოდნელია ანტონის სიტყვები: „მონარხოზასა ბერძენთა ზედა-ირაკლი პირუელისასა კბორგდა ჩუენ ზედა დისწული უღმრთომასა მახმედისი მურჟან, ზედწოდებით ყრუ და განიმხედრა ჩუენსა ამას მამულსა გეორგიასა ზედა“<sup>61</sup>.

„დავით და კოსტანტინეს წამების“ ძველი რედაქციის მიხედვით არაბებმა დაარბიეს სამცხე, შემდეგ ლიხთ-იმერეთს მოადგნენ და არგვეთში დავით და კოსტანტინე აწამეს. ანტონის თხზულების მიხედვით მურჟან ყრუმ „განიმკედრა ჩუენსა ამას მამულსა გეორგიასა ზედა, შემმუწარუელმან მეზობელთა ჩუენთა სამთავროთამან, ესე იგი სო მხეთისა და ალვანიისა და კავკასიისამან, და მოსტრულმან გეორგიად ანუ ივერიად (ესე იგი საქართველოდ) მოაოკრა რა რანისი და ქართლი, ვარდაიმხედრა იმიერ ლიხისაცა და შთასრული არგუეთად იბრძოლა წმიდათაგან მკედართა ქრისტესთა:..“<sup>62</sup>. ანტონის თხზულებიდან მოტანილი ციტატი ჯუან-შერის საისტორიო თხზულებისა და მისი ჩანართების გათვალისწინებითაა შედგენილი<sup>63</sup>.

„დავით და კოსტანტინეს წამების“ ანტონისეული რედაქცია შეიცავს ვრცელ ფილოსოფიურ-ლოგმატიკურ შესავალს, რომელსაც მოსდევს ასევე ვრცელი პანეგირიკული ნაწილი. თხზულების ძირითად ნაწილში, რომელიც მოწამეთა შესახებ ფაქტობრივ მასალას შეიცავს, მრავლადაა ჩართული „შესხმითი“ პასაჟები, რომლითაც მთავრდება კიდევ სეგლი. დასკვნითი პანეგირიკული ნაწილი „მარტირიკის“ ზოგიერთ თხზულებებთან შედარებით აქ ძალიან მოკლეა.

4. **ვესტათი მცხეთელის წამება.** ანტონის თხზულების წყარო არის „მარტულობა წმიდისა ვესტათი მცხეთელისა“—ქართული პაგიო-გრაფიული მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი. ანტონისეული თხზულება იწყება არც თუ ვრცელი პანეგირიკული შესავლით, რომელსაც მოსდევს ისტორიული ცნობა, რომელიც „ვესტათი მცხეთელის წამების“ ძველ რედაქციაში არ მოიპოვება: „უწყებულ ვართ ძუელთაგან ჩუენთა, ვასჯიდეთ რა დროსა მთავრობისა ქართლსა ზედა სტეფანოსისა, ძისა გუარამ კურატპალატისასა, ოდეს-იგი ნებსით თვისით განუდგა სტეფანოს ბერძენთა და ფლობასა შინა სპარსთასა მისცა ქართლი და თვთ თავიცა თვისი და სპარსთა დადუეს ჩუენ ზედა

<sup>61</sup> მარტირიკა, 161, 3.

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 233<sub>10</sub>—234<sub>10</sub>.

საკვივი ფრიად მძიმეა, მაშინ უკუე გამობრწყინდა ბნელსა შინა უღმრთოებისასა მოწამე ქრისტესი ეესტატი<sup>64</sup>. ჩანს, ანტონს თავისი ძირითადი წყაროს დასაწყისი ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ მატრიანიდან ამოკრეფილი ცნობებით შეუესია<sup>65</sup>. ანტონს გადაუკეთებია თავისი წყარო კომპოზიციურადაც: „ეესტათი მცხეთელის წამების“ ძველ თხზულებაში თხრობის თანმიმდევრობა ასეთია: ეესტათი სპარსეთიდან მოვიდა მცხეთაში, ისწავლა ხელობა, დაოჯახდა და ქრისტიანობა მიიღო. შემდეგ იგი მცხეთაში მცხოვრებმა სპარსელმა ცეცხლთაყვანისმცემლებმა დააბეზლეს უსტამ ციხისთავთან, რომელმაც დატყვევებული ეესტათი თბილისს წარგზავნა მარზპან არვანდ გუშნასპის წინაშე განსასჯელად. ეესტათი საპყრობილეში ჩასვეს, მაგრამ ქართველ დიდებულთა თხოვნით მარზპანმა, რომელიც სპარსეთს ბრუნდებოდა, გაანთავისუფლა იგი. სამი წლის შემდეგ ქართლში ახალი მარზპანი — ვეჟან ბუზშირი მოვიდა, რომელმაც სპარსელების მიერ შეორედ დაბეზლების შემდეგ ეესტათი თბილისში დაიბარა. მარზპანის შეკითხვაზე, თუ ვინ არის იგი, ეესტათი მოუთხრობს მას მშობლიური ქალაქის, მშობლებისა და თავისი გაქრისტიანების შესახებ. ამ თხრობას თხზულების უდიდესი ნაწილი უჭირავს. ანტონს წყაროში წარმოდგენილი თხრობის ეს თანმიმდევრობა შეუცვლია: ის, რაც წყაროში ეესტათის მონათხრობს მოიცავს, ანტონის თხზულებაში დასაწყისშია გადმოტანილი და წყაროს პირველ პირში თხრობა მესამე პირითაა შეცვლილი. ეესტათის მონათხრობის მიხედვით მას ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნის დროს მოუხშირებია ქრისტიანთა ეკლესიაში სიარული, ვრცელი ახსნა-განმარტება მოუსმენია სამოელ არქიდიაკონისაგან ებრაული და ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ. ანტონის თხზულების მიხედვით კი ეს ყველაფერი თითქოს მცხეთაში ხდება. ამასთანავე სამოელის მიერ ვრცლად მონათხრობი ძველი და ახალი აღთქმის წიგნების შინაარსი ანტონის თხზულებაში საგრძნობლად არის შემოკლებული, განსაკუთრებით ძველი აღთქმის ამბები, ხოლო ახალი აღთქმის შინაარსი ნაწილობრივ შეცვლილია (მოკუმუელია მსჯელობა წმინდა სამების შესახებ). მხოლოდ ამის შემდეგ აღწერს ანტონი, როგორ დააბეზლეს ეესტათი უსტამის წინაშე და თხრობა გრძელდება ისე, როგორც ეს წყაროში არის გადმოცემული.

ანტონისეული თხზულების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი

<sup>64</sup> მარტიკია, 213, 5.

<sup>65</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 221—224.

ობიცაა, რომ მას არა აქვს დასკვნითი პანეგირიკული ნაწილი, რომელიც „მარტირიაში“ წარმოდგენილ თითქმის ყველა თხზულებას ახლავს.

5. აბო თბილელის წამება. „აბო თბილელის წამების“ ძველ ტექსტს ანტონის კალმის ქვეშ საგრძნობი ცვლილებები განუცდია: ძველი ძეგლის პირველი თავი, ავტორის მიმართვა მსმენელთადმი, ანტონის თხზულებაში არ არის. მათ ცვლის ანტონის „მარტირიაში“ შესულ თხზულებათათვის დამახასიათებელი ტრადიციული, საკმაოდ ვრცელი ფილოსოფიურ-დოგმატიკური შესავალი. აბოს შესახებ კონკრეტული თხრობა, რიტორიკული სტილით დაწერილი, აბო ტფილელის წამების ძველი ძეგლის მეორე თავის შინაარსით იწყება. ანტონის პერიფრაზულ თხრობაში წყაროს შინაარსი საგრძნობი შემოკლებითაა გადმოცემული. ზოგიერთი დეტალი ანტონთან უფრო დაკონკრეტებულია, მაგ.: წყაროს ცნობას ნერსეს ოსეთის გავლით ხაზარეთში გაქცევის შესახებ ანტონი ზოგიერთ დეტალს უმეტებს: „... და მისრული ევროპისა სარმატიად ხაზარად, რომელსა თურქნი ყირიმ ზედწოდებულ ჰყოფენ“<sup>66</sup>... ასევე წყაროში ნახსენებ „აფხაზეთს“ ის ცვლის „ავაზაგიად“: „სამეფოდ ავაზაგიისად (რომელსა ჩუენ ზედწოდებულ ეყოფთ აფხაზეთად) მოვიდა“<sup>67</sup>. ანტონისეული თხრობა კვალში მისდევს წყაროს, ოღონდ დიალოგის ფორმის ბევრი ადგილი და ლოცვის ტექსტები ანტონს შეეცვლილი. აქვს აზრობრივად და ფრაზეოლოგიურადაც, ხოლო აბოს წამებისა და მისი გვაბის დაწვის აღნიშვნის შემდეგ ანტონი წყაროს თხრობას უმატებს: „ვიდრე დრომდე აღშენებისა ამიერ ყოვლადსა ძაძავისა ამის მიზგითისა და რომელნიცა განვლიან კიდსა ქრისტეანენი კეთილმსახურნი, ღღეინდელად-ღღემდე ჩუეულ არიან მუნთაყუანისცემად, სადა შთაყარნეს ძვალნი მოწამისანი“<sup>68</sup>.

ანტონის თხზულება მთავრდება სხვა თხზულებებთან შედარებით მოკლე პანეგირიკული ნაწილით, რომელიც არსებითად განსხვავდება აბოს წამების იოვანე საბანისძისეული თხზულების დასკვნითი ნაწილისაგან, რომელსაც „ქებაა წმიდისა მოწამისა ჰაბოასი“ ეწოდება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანტონი არ ასახელებს თავისი

<sup>66</sup> მარტირია, 235, 13.

<sup>67</sup> იქვე, 235, 35.

<sup>68</sup> იქვე, 200, 6.

წყაროს ავტორს, იოვანე საბანისძეს (მაშინ, როცა მას დასახელებული ჰყავს თავის ადგილას იაკობ ხუცესი, სტეფანე მტბევეარი — ვობრონის წამების ავტორი და სხვა) და მის შესახებ ორიოდ შემთხვევაში ასეთი მითითება აქვს: „მოზრახობენ მეისტორიენი ყოვლად წმიდათა ვნებათა მისთანი“<sup>69</sup>, ან „იტყვს მეისტორიე წმიდათა ვნებათა მოწამისათა.“<sup>70</sup>.

6. კოსტანტი კახის წამება. ანტონის თხზულება იწყება ტრადიციული შესავლით, რომელშიც საინტერესო ფილოსოფიურ-დოგმატიკური მსჯელობა არის წარმოდგენილი „სრულება“ ე. ი. სრულყოფილობა და „სიმართლე“ კატეგორიების შესახებ, რაც დაკავშირებულია „შესხმის“ ობიექტთან — კოსტანტი კახის პიროვნებასთან. კომპეტენტურ ფილოსოფოსებზე დაყრდნობით ანტონი აღნიშნავს, რომ „ქება სხუსა არარაიმე არს, თვნიერ აღრიცხუა სრულებათა სხუსთა“<sup>71</sup>. ანტონის თხზულების შესავალი, რომელიც, გარდა აღნიშნულისა, შეიცავს კოსტანტი კახის ვრცელ „შესხმას“, ცვლის თავისი ძირითადი წყაროს „ცხორებაჲ წმიდისა მოწამისა კოსტანტისი ქართველისაჲ“<sup>72</sup> შესავალს, რომელიც საღმრთო წიგნების წარმოშობის ისტორიას და მოწამეთა „წამების“ აღწერის ტრადიციის ჩამოყალიბებაზე მოგვითხრობს. ორივე ძეგლის თხრობის თანმიმდევრობა ისტორიული ფაქტების გადმოცემის დროს ერთნაირია, მაგრამ ანტონის თხზულება სტილისტურ-ფრაზეოლოგიურად განსხვავებულია წყაროსაგან. ანტონის თხზულებაში კოსტანტი კახი გამოყვანილია არაბთა წინააღმდეგ პირადად აქტიურ მებრძოლად და მათ წინააღმდეგ დაწყებული სახალხო ბრძოლის შეთაურად. ანტონი აღნიშნავს კიდევც, რომ კოსტანტი არაბებმა ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს შეიპყრეს და გამაჰმადიანება მოსთხოვეს. ანტონს, როგორც ჩანს, ცოტა გაუზვიადებია წყაროს ჩვენება და ანგარიში არ გაუწევია იმისათვის, რომ ამ დროს კოსტანტი 85 წლის ყოფილა. ამასთანავე წყაროში არ არის ნათქვამი, რომ კოსტანტი პირადად მონაწილეობდა ასეთ ბრძოლებში: „და ვითარ მოხუცებულ იყო, იქმნა ნეტარი იგი ოთხმეოც და ხუთისა წლისა. ჟამთა ოდენ პასაკისა მისისათა აღდგა დევნულებაჲ დიდი ქრისტიანეთა ზედა ყოველთა ქუეყანასა ქართლისასა. და იყვნეს წყობანი დიდნი და მოისრნეს მრავალნი ქრისტიანეთაგანნი მათ შინა, რომელნი ილუწიდეს უჯულისათჳს ქრისტისისა. ხოლო

<sup>69</sup> მარტივია, 234, 35.

<sup>70</sup> იქვე, 244, 33.

<sup>71</sup> იქვე, 265, 20.

ნეტარი ივი შეიპყრეს კელად, ვითარცა წინამძღუარი და წარჩინებული ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა და პირი ნათესავთა მისთამ<sup>72</sup>.

„კონსტანტი კახის წამების“ ძველი რედაქციის ბოლოს შეტანილი ბიზანტიის იმპერატორთა ეპისტოლე, მიწერილი კონსტანტი კახის შეილთა და ნათესავთა მიმართ, ანტონის თხზულებაში შემოკლებული სახით არის წარმოდგენილი და მასში ეპისტოლის შინაარსი მესამე პირში თხრობით არის მოკლედ გადმოცემული. პანეგირიკულ ნაწილს ანტონის თხზულების ბოლოს სულ რამდენიმე სტრიქონი უჭირავს.

7. მიხაილ-გობრონის წამება. სტეფანე მტბევარის მიერ 914—918 წლებში შექმნილი „წამებაჲ წმიდისა გობრონისი“ წარმოადგენს ანტონის თხზულების ძირითად წყაროს. ამ ორი ძეგლის განსხვავებული შესავალი ნაწილების შემდეგ თხრობა ისტორიული ფაქტების შესახებ ორივე ძეგლში სიუჟეტურად ერთნაირად არის წარმოდგენილი, ოღონდ განსხვავებული ფრაზეოლოგიით და სტილისტური ხერხებით. ანტონი რამდენჯერმე ასახელებს თავის ძირითად წყაროს: „იტყუს ნეტარი ვინმე მებისტორიე მისთჳს“<sup>73</sup> (ხოლო აშიაზე მიწერილია: „სტეფანე ეპისკოპოსი მტბევარი“), ან „იტყუს... სტეფანე მტბევარი, მებისტორიეჲ ვნებისა მათისა“ და სხვა<sup>74</sup>. გარდა ძირითადი წყაროს მონაცემებისა ანტონს უსარგებელია ძველი ქართული საისტორიო მატრიანთაც, რაც აღნიშნული აქვს კადეც: „ვითარცა იტყუან ძუელნი მატრიანეთა ქართულეთა ისტორიკოსნი“<sup>75</sup>. ანტონი უენიშნავს, რომ აბულ-კასიმის შემოსევა-სომხეთზე და საქართველოზე მოხდა 888 წელს ბერძენთა მეფის კონსტანტინეს დროსო და განაგრძობს: „სუმბატ იპყრობდა დროსა მას ქართლსა მეფობით, მეფე სომეხთა, რამეთუ მისცა მას ქართლი კონსტანტინე მეფემან აფხაზთამან“<sup>76</sup>. მსგავსი რამ სტეფანე მტბევარის თხზულებაში არ არის; იქ მხოლოდ ნათქვამია, რომ სუმბატ სომეხთა მეფე „მიივლტოდა მათთა ზედა აფხაზეთისათა“<sup>77</sup>. ანტონის ეს სიტყვები „მატიანე ქართლისაჲ“-ს შემდეგი ადგილის გამოძახილი უნდა იყოს: „მას ჟამსა გამოვიდა კონსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიუზე-

72 ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 167.

73 მარტირია, 290, 20.

74 იქვე, 294, 33; 298, 11; 301, 32.

75 იქვე, 289, 33.

76 მარტირია, 290, 3.

77 ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 176, 19.



რაკალი; გამოილაშქრა სპითა დიდითა და მოადგა უფლისციხესა, და... წარიღეს ციხე კერქითა. ხოლო კეთილად იმზავეს სუმბატ და კოსტანტი, და უკოსცა უფლისციხე და ყოველი ქართლი<sup>78</sup>. აქედანვე უნდა აელო ანტონს მის თხზულებაში აღწერილი აბულ-კასიმის საქართველოზე შემოსევის დროს უჯარმისა და ბოკორმის ციხეების „შემუსრვის“ ამბები<sup>79</sup>, რაც არ არის მტბეუარის თხზულებაში. მაგრამ ანტონს გამოტოვებული აქვს სტეფანე მტბეუარის მიერ აღწერილი სომხეთის დარბევა არაბთა მიერ, სომეხთა მეფისა და დიდებულების დატყვევება და წამება კაპოეტის ციხის აღების შემდეგ, რის მიზეზადაც სტეფანე ასახელებს სომხეთში მწვალებლობის გავრცელებას, სომეხი ხალხის უკეთურებას და ამპარტაენობას. საფიქრებელია, რომ ანტონმა ძირითადი წყაროს ეს ცნობები შეგნებულად არ შეიტანა თავის თხზულებაში, ალბათ, მეზობელ ხალხთან მის დროს დამყარებული კულტურული ურთიერთობისა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამო.

ანტონის თხზულება მთავრდება ძალიან მოკლე პანეგირიკული „შესხმით“, რომელსაც მოსდევს ცნობა, რომ პირველი ძეგლი გობარონის წამების შესახებ შექმნა სტეფანე მტბეუარმა ამოტერისთავეთერისთავის დავალებით.

ანტონის ახალი ააგიოგრაფიული თხზულება  
„მარტირიკის“ შემადგენლოაში

„მარტირიკაში“ შესული თხზულებების უმრავლესობა წარმოადგენს ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში პაგიოგრაფიული ლიტერატურის კარგად ცნობილ ძეგლთა ვადამუშაევებას ანტონის ლიტერატურული პრინციპების საფუძველზე, მაგრამ „მარტირიკაში“ შეტანილია 5 ისეთი დასახელების პაგიოგრაფიული ძეგლი, რომლებსაც ჩვენ ვერც ერთ ხელნაწერთა კრებულში ვერ შევხვდებით და არც დამოუკიდებელი სახით არსებობს. ერთი სიტყვით, ამ სახელწოდების პაგიოგრაფიული თხზულებები არასდროს არსებულა, მათი პირველი შემთხვეული ანტონ ბაგრატიონი გახლავთ. ორი მათგანი კონკრეტულ პირს ეხება, ხოლო სამი თხზულება ქართველ ქრისტიანთა ჯგუფური წამების ფაქტებს აღწერს. ჩამოვთვლით მათ იმავე თანმიმდევრობით, როგორითაც ისინი „მარტირიკაში“ არიან წარმოდგენილი (მხოლოდ ანტონიკეულ ნუმერაციას თხზულებათა სათაურების წინ გადმოვიტანთ):

<sup>78</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262.

<sup>79</sup> იქვე, გვ. 262—263.

1. „სიტყუა მეექუსე: შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა მღუღელმოწამისა ნეოფიტე ურბნისის ეპისკოპოსისთა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოხსა საქართუელოხსა დაეითიან-ბაგრატოვანისა“ (119-135 გვ.).

2. „სიტყუა მეათე: შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ღირსთა მოწამეთა გარესჯელთა, ქმნილი...“ (189-208).

3. „სიტყუა მეათსამეტე: შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთა ტფილისის ვნებულთა, ქმნილი...“ (247-265).

4. „სიტყუა მეათექუსმეტე: შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა შალუა მთავრისა ახალციხელის მანდატურთუხუცესისა, ქმნილი...“ (302-318).

5. „სიტყუა მეათმუდმეტე: შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა დიდთა მოწამეთა, რომელნიცა ბრძანებითა უღმრთოხსა დემურლანგისათა ლაშქართა მისთაგან დაიწუნეს ეკკლესიასა შინა მოწასტერასა დედისა ღმრთისასა ქუაბთაკევეს, ქმნილი...“ (319-340).

როგორც სათაურებიდან ვხედავთ, ეს თხზულებანი ცნობილ ისტორიულ ფაქტებს ეხებიან და ისტორიოგრაფიას ცნობები მათ შესახებ მეტ-ნაკლები სისრულით შემოუნახავეს. ანტონის სწორედ ეს ცნობები დაუდგია საფუძვლად ამ თხზულებებისათვის. ისტორიული ცნობების შედარებითი სიძუნწე ანტონისეული თხზულების მიხედვითაც იგრძნობა, რის გამოც მათში აღწერილი ისტორიული მომენტების ამსახველი ღარიბი ფაქტობრივი მასალა შეესებულთა ანტონისათვის დამახასიათებელი განყენებული მსჯელობებით, „შესხმის“ რიტორიკული ელემენტების სიჭარბით, დოგმატიკური საკითხების განსჯით. მართალია, ყველაფერი ეს დამახასიათებელია „მარტიკის“ თითქმის ყველა თხზულებისათვის, მაგრამ უფრო მოჭარბებულად გვხვდება დასახელებულ თხზულებებში. როდესაც ჩვენ აღნიშნეთ, რომ ჩამოთვლილი თხზულებები ანტონის შემოქმედების ნაყოფიაო, ჩვენ მხედველობაში გვექონდა ის გარემოება, რომ ანტონმა მთლიანი პაგიოგრაფიული თხზულებების სახე მისცა სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში მიკვლეულ მასალას, თორემ ამ შორეულ ისტორიულ ამბებში ანტონს არ შეეძლო რაიმე ახალი ფაქტობრივი მასალა შეეტანა. მან მხოლოდ გაიმეორა ის, რაც იყო ცნობილი და თავისი ერულიციისა და ენაწყლიანობის შესაფერისი

მსჯელობებითა და რიტორიკული გამოხატვის ხერხეპით გაამდიდრა იგი.

ეს ხუთი თხზულება, ბუნებრივია, „მარტირიაში“ სხვადასხვა ადგილას არის შეტანილი, თუმცა მათ განაწილებას ქრონოლოგიური პრინციპი არ უღევს საფუძვლად. მაგ. „სიტყვა მეათე — მოწამეთა გარესჯელთა“ ქრონოლოგიურად უფრო გვიან მომხდარ ფაქტს აღწერს, ვიდრე „სიტყვა მეათსამეტე — ათთა ბევრთა“ (ჯალალედინის შემოსევა), „სიტყვა მეათექუსმეტე — შალვა ახალციხელი“ (თამარის და რუსუდანის ეპოქა) და „...სიტყვა მეათმუდმეტე — ქუაბთაქევის წამებულთა“ (თემურლენგის შემოსევა). როგორც ვხედავთ, ქრონოლოგიურად ასევე არეულია დანარჩენ თხზულებათა რიგიც.

ჩვენ შევეცდებით, თითოეულ თხზულებაზე და მასში გამოყენებულ ისტორიულ მასალაზე ორიოდ სიტყვა ვთქვათ.

1. ნეოფიტე ურბნელის წამება. ნეოფიტე ურბნელის სახელს ჩვენ ვერც ერთ ისტორიულ წყაროში ვერ შევხვდებით. არ არის მისი სახელი მოხსენიებული არც უძველეს ქართველ მოწამეთა და მოღვაწეთა შემცველ კალენდრებში, სვინაქსარებში და სადღესასწაულოებში. ერთადერთი წყარო, რომელიც მოკლედ მოგვითხრობს არაბთა ერთ-ერთი რაზმის უფროსის უმარის ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევისა და შემდეგ მისი რუისის ეპისკოპოსად კურთხევის ნახევრად მითიურ ამბავს, შიო მღვიმელის სასწაულების შემცველი თხზულებაა. ამ სასწაულების სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრება და ერთ თხზულებად ჩამოყალიბება მიეწერება ბასილი კათალიკოსს („ძე დიდისა პატრიკოსისა ვაჩისი“)<sup>80</sup>, ძველ ქართულ მწერლობაში სრულებით უცნობ პირს. თუ დავუჯერებთ ამ თაბულებას, მასში მოხსენიებული ისტორიული პირების მიხედვით ნეოფიტეს ქრისტიანობაზე მოქცევას და შემდეგ წამებას ადგილი ქონია ბაღდადის ხალიფა ამირ-მუმნისა და ქართლის კათალიკოსის სამოელის დროს<sup>81</sup> (ორივე პირი ცნობილია „აბოს წამების“ მიხედვითაც) და მომხდარა IX საუკუნის II ნახევარში.

ტრადიციული შესავლისა და ნეოფიტეს „ახალნერგობაზე“ პანეგირიკულ სტილში დაწერილი ნაწილის შემდეგ ანტონი მთლიანად ეყრდნობა „შიოს სასწაულების“ მეცხრე თავს და ფაქტების სრული აღრიცხვით, ძირითადად პერიფრაზულად, ზოგჯერ კი პირ-

<sup>80</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტები გამოკლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1955, გვ. 119.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 206. ჩვენ ვგვონია, რომ „შიოს სასწაულებში“ ეს არაბულური ამბავი შეტანილია სწორედ „აბოს წამების“ მიბაძვით და ვაყლენით.

დაპირი ციტირებით მოგვითხრობს შემდეგს: არაბთა ერთ-ერთმა რაზმმა, რომელიც მათი სარდლის, ვინმე ახმადის, ბრძანებით (რომელიც ბაღდადის ხალიფას ამირ მუმნის მიერ წარმოგზავნილი იყო საქართველოს დასაბრუნებლად) გაიგზავნა ქართლის ზოგიერთი კუთხის დასალაშქრად, უეცრად შეამჩნია სარკინის გამოქვაბულები. რაზმის მეთაურებმა უმარმა („მარტირიკის“ მიხედვით ო მ ა რ მ ა) და ბურულმა გადაწყვიტეს მათი დაპყრობა, რადგან მტრის სპეციალურად გამაგრებული თავშესაფარი ეგონათ, მაგრამ მოხდა სასწაული და არაბთა რაზმი ვერ გადავიდა მტკვრის მეორე ნაპირზე. ყოველი ცდა ამო აღმოჩნდა, რადგან (როგორც შემდეგ გაირკვა) შიო მღვიმელის მიერ ჩადენილმა სასწაულმა მტერს ნება არ მისცა, მის მიერ დაარსებული მონასტერი (შიომღვიმე) შეეხებინა. ტყვედ ჩაეპარდნენ ერთი ბერის პირით მათ გაიგეს, რომ ეს გამოქვაბულები უწყინარ ბერ-მონაზონთა სამყოფელი იყო და არა რომელიმე ციხე-სიმაგრე. არაბები გაბრუნდნენ და ეს სასწაული თავიანთ სარდალს ახმადს მოახსენეს. ახმადმა დიდი ძღვენითა და შესაწირავით მონასტერში უმარი გაგზავნა, რომელმაც მონასტერში მისვლისას მრავალი სასწაული ნახა (მონასტერს ზემოდან დასტრიალებდნენ ანგელოზები და შიოს აჩრდილი, რაც სიმბოლიურად მონასტრისადმი მათ მფარველობას გამოხატავდა), გაეცნო მათ ცხოვრებას, მოიხიბლა მათი სიწმიდითა და სათნოებით და აღუთქვა მათ, რომ ისიც აუცილებლად მათთან მოვიდოდა და ქრისტიანი გახდებოდა. ერთი თვის შემდეგ მან შეისრულა წადილი და ორ არაბ თანამოაზრესთან ერთად შედგა ბერად შიომღვიმის მონასტერში ნეოფიტეს სახელით (ხოლო იმ ორ არაბს ხრისტოდულოს და ხრისტოფოროს ეწოდათ). თავისი სამაგალითო ქრისტიანობით მან ქართლის კათალიკოსის სამოელის ყურადღება დაიმსახურა და ნეოფიტე რუისის ეპისკოპოსად აკურთხეს. საქართველოს ამ კუთხეში მცხოვრებმა მისმა თანამემამულეებმა ვერ აიტანეს ყოველივე ეს და ნეოფიტე ჩაქოლეს. მისმა ორმა არაბმა მოწაფემ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და ერთი მათგანი (ხრისტოფოროს) მკოდოვანის მონასტრის წინამძღვარიც კი გახდა. შიოს „მეცხრე სასწაულის“ ეს შინაარსი მთელი სისრულით აქვს გამოცემული ანტონს, ოღონდ ის ამით არ კმაყოფილდება და თბრძანაში ურთავს ახალ მომენტებს, კერძოდ: თბრობის იმ მონაკვეთიდან, სადაც ლაპარაკია უმარის გადაწყვეტილებაზე, ქრისტიანი გახდეს, ვიდრე მის აღსასრულამდე ანტონის თბრობაში გზადაგზა ჩართულია ხოლმე „შესხმითი“ წიაღსელები, ხოლო ბოლოს კი, ასევე თქვამთ, ფაქტობრივი მონაცემებიც: ნეოფიტეს შეპყრობა არაბთა

მიერ (რომლებსაც წყაროც და ანტონიც რატომღაც ცეცხლთაყვანისმცემლებს უწოდებენ), მათი მოთხოვნა, რომ ნეოფიტე მამა-პაპისეულ სჯულს დაუბრუნდეს, ნეოფიტეს ტრადიციული გრძელი პასუხი, რომ მისი ქრისტიანული რწმენა ურყევეია, რაც შემავრცელებლია ქრისტიანული ღოგმების მოშველიებით და მაჰმადიანური სარწმუნოების მანკიერებითა მხილებით, რაც ანტონის მიერ გამოყენებულ წყაროში არ მოიპოვება, და ბოლოს მთავრდება მისი ჩაქოლების აღწერით. თხზულება მთავრდება მოკლე „შესხმით“, რადგან „შესხმითი“ ეპიზოდები თხზულების შესაქალ ნაწილში და თხრობის სიუჟეტში მრავლად არის ჩართული.

2. გარეჯელთა წამება. ანტონის მიერ საკუთარი ინიციატივით შექმნილ იმ 5 პაგიოგრაფიული თხზულებიდან, რომლებიც ჩვენზე მოთ ჩამოვთვალეთ, „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ღირსთა მოწამეთა გარესჯელთა“ ყველაზე სქემატური ნაწარმოებია. თუკი დანარჩენი ოთხი თხზულების წყაროების დამტბნა არ არის ძნელი, რადგან მათ შესახებ მითითებას თვით ანტონი იძლევა და ეს წყაროები სახეზეა, ამას ვერ ვიტყვივით „გარესჯელთა წამების“ შესახებ. თხზულებაში არცერთი ისტორიული ფაქტი არ არის დასახელებული, არ არის ანტონისეული მითითება რომელიმე წყაროზე, არაფერია თქმული მომხდარი ფაქტის ქრონოლოგიაზე. ერთადერთი, რაც ანტონს აქვს აღნიშნული, ისაა, რომ „და მახლობელ ეკკლესიისა ქრისტეს აღდგომისა აღაშენა სამარტულეა მათი, ვ კ გ ო ნ ე ბ, ვითარმედ მეფემან კახთამან ალექსანდრე მესამემან და მუნ ჰქმნა იგი მებრ საწნახელისა, რათა პნიშვილეს საწნახელსა შინა ვნებისასა დაწნეხასა ტკბილთა მათ ნაყოფიერთა ტევანთასა, და დაჰსხნეს მას შინა და ჰგიან ესრეთ აქამომდე“<sup>81</sup>. ამ ამონაწერიდანაც ჩანს, რომ ანტონი ნამდვილად დარწმუნებული არ არის, ეს სამარტვილე ალექსანდრე მეფემ აღაშენა, თუ არა. აქ ანტონს მხედველობაში უნდა ჰყავდეს ალექსანდრე II (1574—1605), რომელიც მონაზვნად შედგა დავით გარეჯის უდაბნოში 1601 წელს. თუკი ანტონის ვარაუდი სწორია, მაშინ ერთი რამ ნათელია: გარეჯის მონასტერთა ბერ-მონაზონთა მასობრივ გაჟლეტას ალექსანდრე მეფის მონაზვნად შედგომამდე ჰქონდა ადვილი, ოღონდ გაურკვეველია, ეს აღრე მოხდა თუ მისი მეფობის დროს? ანტონისათვის გარეჯელ მონაზონთა გაჟლეტის ფაქტი გადმოცემით არის ცნობილი, რასაც თითონვე აღნიშნავს, და არა რომელიმე საისტორიო წყაროს მიხედვით: „ეკსთქუათ უკუე მცი-

<sup>81</sup> მარტირია, 206, 7.

რედ ვინაობამ და საღაობამ შე ს მ ე ნ ი ლ ი ქუემდებარითა მათ არსებათა ზედა წმიდათა“. ანტონის თხრობაში, რომელიც იწყება ვრცელი რიტორიკული ხერხებით შეთხზული „შესხმით“ და რომელშიც შიგადაშიგ თეოლოგიურ-დოგმატიკური საკითხებიცაა აღძრული, ძირითადი ადგილი უჭირავს გარეჯის მონასტერთა ჩვეულების აღწერას, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ დიდმარხვის დამთავრებისა და აღდგომის დადგომის ღამეს გარეჯის ყველა მონასტრის (ანტონის მოწმობით მათი რიცხვი ამ დროს 12 იყო) მონაზვნები იკრიბებოდნენ აღდგომის ეკლესიაში და ერთად დღესასწაულობდნენ ამ დღის დადგომას. ეს ამბავი იცოდნენ ყარაიის მილამოებში მცხოვრებმა სპარსელებმა, რომელთა შესახებ ანტონი წერს: „ხოლო ვინაიღთაჲნ ცოდუათა ჩუენათაჲს განაგრძელა ღმერთმან დადებად ჩუენ ზედა საცივი სპარსთა მონებისა, ამით ტაფ-ჭალათა მათ შინა ყარაიისათა აქუსთ ჩუეულებამ მკედრობისა სპარსთა, რომელიცა ზამთარ კიდესა ზედა მდინარისა მტკუარისასა დაეანებად ჩუეულ არიან“<sup>82</sup>.

მათ განიზრახეს ერთერთი ასეთი დღესასწაულის დღეს, როდესაც ყველა მონასტრის ბერები ერთად იქნებოდნენ თავშეყრილი, თავს დასხმოდნენ, გაეღიბათ ისინი და მონასტრები გაეარცვათ. მათ თავიანთი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. ანტონი დაწერილებით აღწერს ამ დღესასწაულს, ღამით ანთებული სანთლებით ხელში ეკლესიის გარშემო ლიტანიობას, ცისკრის ლოცვას და ამ პროცესიის ხილვას ჩასაფრებული სპარსელების მიერ. შემდეგ ისინი გარს შემოერთყნენ მედღესასწაულეთ და, ანტონის თხრობით, მოსთხოვეს მათ ქრისტეს სჯულის დატოვება და მაჰმადიანობის მიღება. თხრობა გრძელდება უკვე ტრადიციული ხერხებით: ქრისტიანთა მტკიცე უარი დასაბუთებულია მათი სარწმუნოების სათნოებითა და სიკეთის ყოვლისშემძლეობით, მაჰმადიანური სარწმუნოების გაკილვით და მისი უხამსობის გამოაშკარავებით. ბოლოს ითხოვენ, რომ მათ დააცადონ დღესასწაულის დამთავრება და ლოცვა, რადგან არცერთი მათგანი არ დააპირებს გაქცევას და მათ ვერც ვერაუინ მიეშველება. ლოცვებისა და ცერემონილის გრძელი აღწერა მთავრდება ბერების ამოხოცვის სცენით. აქ ჩართულია ეპიზოდი ორი ძმის შესახებ, რომლებიც თავდაპირველად გადარჩნენ აიკედლის, ხოლო შემდეგ მაინც შეიპყრეს და დახოცეს. ბოლოს მოთხრობილია დახოცილთა ნაწილების შეკრებისა და დასაფლავების შესახებ აქა-იქ ცოცხლად დარჩენილი დაყულებული ბერების

მიერ და შემდეგ ალექსანდრე მეფის მიერ სამარტვილის აშენების ამბავი. თხზულება მთავრდება შესსმითი ნაწილით.

3. ათთა ბევრთა მოწამეთა ტფილისს ენებულთა. 1225 წელს ჯალალედინმა აიღო და გაანადგურა თბილისი, ამოელიტა მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამ დროს უწამებიათ და დაუხოცაეთ ქალაქის მოსახლეობის დატყვევებული ნაწილი, რომელმაც უარი თქვა ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფაზე. მათი რიცხვი დაახლოებით 10.000 ყოფილა. სწორედ ეს ამბებია გადმოცემული ანტონის თხზულებაში, რომელსაც „შესსმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა ათთა ბევრთა მოწამეთა ტფილისს ენებულთა“ ეწოდება.

დოგმატიკურ-ენკომიური შესავალი ნაწილის შემდეგ ანტონი მოგვითხრობს ზუარაზმის სახელმწიფოზე ჩინგისხანის ურდოების თავდასხმის შესახებ, აღწერს ჯალალედინის ლტოლვას, სომხეთში შემოსეულასა და მის აოხრებას. დასახელებული და მომდევნო ფაქტები ანტონს აუღია „უამთააღმწერლის“ მატიანიდან შემოკლებით, რადგან ჩინგისხანის პიროვნებაზე და მის მიერ ხორეზმისა და სხვა ქვეყნების დაპყრობაზე თხრობა მატიანეში საკმაოდ ვრცელადაა წარმოდგენილი (ანტონს ჩინგისხანი ჩინელად ჰყავს დასახელებული) და მისი მოღვაწეობის ისტორია შედარებული აქვს სირიის მეფის ნინოსის, მისი მეუღლის სემირამიდას, ჰერაკლეს, დიონისეს, კუროსის, ალექსანდრე მაკედონელისა და სხვათა საგმირო საქმეებთან, რაც არ არის მემატიანესთან. მემატიანესთან უფრო ვრცელად და ანტონთან მოკლედ გადმოცემულია რუსუდანის მიერ ქართველთა ლაშქრის გაგზავნა სომხეთის დასახმარებლად იოვანე მხარგრძელის მეთაურობით. ანტონი აქ მოკლედ გვითხრობს გარნისის ბრძოლის შესახებ, შალვა ახალციხელის მამაცობაზე, ტყვედ ჩაეარდნაზე და ტყვეობიდან ერთი წლის შემდეგ მის მოწამებრივ სიკვდილზე ქრისტიანობის ერთგულების გამო, რაც ანტონს შემდეგ უფრო ვრცელად აქვს მიმოხილული „მეათექუსმეტე სიტყვაში“, რომელიც საგანგებოდ შალვა ახალციხელის შესახებ დაიწერა მემატიანის ამავე ადგილზე დაყრდნობით და გავრცობით.

ძირითად თემასთან დაკავშირებით ანტონი თხრობას იწყებს ჯალალედინის თბილისში შემოსვლით და თბილისის დაცემით აქ მცხოვრები სპარსელების გამცემლობის წყალობით. მემატიანის ცნობით, ზემოხსენებულ გარნისის ბრძოლას და თბილისის აოხრებას ორი წელი აშორებს. ანტონის თხზულებასა და მემატიანის ცნობებში სრული თანხმობაა, ოღონდ ანტონი ამ თხრობიდან ამოკრებს ხოლმე ისეთ ცნობებს, რომლებიც მისი თხრობის ერთიანი

ხაზისათვისაა საჭირო და გვერდს უვლის მემატრიანისეულ ზოგიერთ წილისეულს, თუმცა თავის მხრივ თითონ შეაქვს დამატებანი ზოგიერთი დეტალის დასაზუსტებლად, მაგალითად: ანტონი გზადაგზა ჩაურთავს რუსუდანის შესახებ: „რომლისა ცოდვითა განიპატიოა ღმრთისაგან მონარხიამ მისი, რამეთუ, რადეცაჲ კყო მან ძმისწულსა მისსა ზედა დავითს და ხატებასა ზედა ღმრთისასა არსებასა თესსა, უკმოიზლო ღმრთისაგან მოსაგებელსი ესე...“<sup>83</sup> ანტონს მხედველობაში აქვს მემატრიანის თხრობა რუსუდანის შესახებ ძმისშვილის მოკვლევინების მცდელობის გამო, რომელიც რუსუდანის ისტორიის უფრო მოგვიანო პერიოდთან დაკავშირებით აქვს გადმოცემული<sup>84</sup>. ასევე, როდესაც მრავალრიცხოვან თბილისელ მოქალაქეთა შესახებ ლაპარაკობს, რომლებიც დატყვევებული იყვნენ და მოელოდათ სიკვდილი, თუკი არ დათმობდნენ ქრისტიანობას და ფეხით არ გათელავდნენ ხატებსა და არ შეაფურთხებდნენ მათ ჯალალედინის ბრძანებისამებრ, ანტონი მემატრიანის თხრობას უმატებს, რომ ბევრი მათგანი იყო გარეშემო სოფლებიდან. მათ შტრის რბევის დროს თავი თბილისის ციხეებს შეაფარეს, ხოლო ამ ციხეების დანებების შემდეგ შტერს ტყვედ ჩაუვარდნენ თბილისელ მოქალაქეებთან ერთად. ამასთანავე მემატრიანე აღნიშნავს, რომ „მ რ ა ვ ა ლ თ ა უკუე ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს, არა თავს-ღებად შეურაცხებად წშიდათა ხატთა და ლატევებად სჯულსა“<sup>85</sup>, მაგრამ არაფერს ამბობს იმათ შესახებ, რომელნიც სიკვდილის შიშით განუდგნენ სჯულს. ანტონს, როგორც ჩანს, ამოუკითხავს მემატრიანის ქვეტექსტი და მისი თხრობის მეტი დამაჯერებლობისათვის დაუმატა: „მრავალნი მათგანი ზარისაგან წინაშე თუალთა მათთა მდგომარისა მის სიკუდილისა და მებრ ბრძანებისა მის უღმრთოჲსა და ა კ ლ დ ე ს გერჯუნისაგან წინაშე თუალთა სულისათა მდგომარისა“ (261,6). როგორც მოსალოდნელი იყო, ანტონისეული ძირითადი დამატებები ჟამთააღმწერლის თხრობის ბოლო ნაწილში ჩართული და მოიცავს ტრადიციულ დიალოგს: დამპყრობელთა წინადადებას ქრისტეს სარწმუნოების უარყოფის შესახებ, ამ პირობის შესრულების შემთხვევაში პატივისა და საბოძვარის მიგებას, თუ არადა წამების და სიკვდილის მუქარას, დეტევეთა პასუხს ქრისტეს სარწმუნოებისადმი ერთგულების ურყევი გადაწყვეტილების შესახებ. პასუხში გამოთქმულია აზრი, რომ ქართველთა დამარცხება და მათი ქვეყნის მოოხრება ღმერთის გან-

<sup>83</sup> მარტირიკა, 259, 23.

<sup>84</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 199, 7.

<sup>85</sup> იქვე, გვ. 178, 4.



გებაა მათი ცოდვებისა და ღმრთის მცნებათა დაუცველობის სანაცვლოდ, ხოლო მათ მიერ დაღვრილი სისხლი მათი ცოდვებისაგან განწმედის თავმდები. ამ გრძელ პასუხს მოსდევს სასიკვდილოდ გამზადებულთა მოკლე ლოცვა. ყველაფერი მთავრდება, მემპტიანისა და ანტონის ვარაუდით, ათიათასი მოწამის თავის მოკვეთით; ანტონი მათ ვრცელ „შესხმას“ უძღვნის.

4. შალვა ახალციხელის წამება. „ათთა ბევრთა მოწამეთა წამებაში“ ანტონი გაკვრით შეეხო შალვა ახალციხელის ღვაწლსა და წამებას, რომელსაც აღგილი ქქონდა თბილისის აოხრებისა და მის დატყვევებულ მოქალაქეთა მასობრივად დახოცვის ამბებზე, ორი წლით ადრე, ასე ვთქვათ, გარნისის ბრძოლა, ქართველთა დამარცხება, შალვა ახალციხელის ტყვეობა და წამება თბილისის ტრაგედის შესავალი იყო. შალვა ახალციხელი, ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, თამარ მეფის ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი პირთაგანი იყო (მანდატურთუხუცესი). მის შესახებ პირველ ცნობებს „ისტორიანი და აზმანი“ გვაძლევს<sup>66</sup>, რომლებიც შემდეგ ბასილი ეზოსმონღვარს განუმეორებია<sup>67</sup>. ძირითადი ცნობები მის შესახებ კი „ჟამთააღმწერელს“ შემოუნახავს, რომელიც წარმოადგენს ანტონის ძირითად წყაროს თავისი თხზულების ფაქტობრივი მასალების გადმოცემისათვის, თუმცა თავის თხზულებაში მას „ისტორიათა და აზმათა“ ცნობებიც შეუტანია, კერძოდ: შალვა და მისი ძმა იოვანე წინამებრძოლი ლაშქრის მხედართუფროსები არიან ბასიანის ომში და მათ გმირობას დიდი წვლილი შეუტანია ამ ისტორიულ გამარჯვებაში. ანტონი აღნიშნავს კიდევ, რომ ეს ამბები თამარის ისტორიაში სწერიან, თუმცა მას გამორჩენია „აზმათას“ ერთი ცნობა, რომ შამქორის ომში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ შალვა ახალციხელმა თამარს ხალიფას დროშა მიართვა<sup>68</sup>.

შალვა ახალციხელის შესახებ უშუალო თხრობა ჯალალედინის ხეარაზმიდან გამოქცევით და სომხეთში შემოჭრით იწყება, ისევე, როგორც ზემოთ განხილულ „ათთა ბევრთა წამებაში“. როგორც აღვნიშნეთ, ორივე თხზულების წყარო „ჟამთააღმწერლის“ მატიაწეა. სომეხთა აოხრების აღწერისას ანტონი შედარებისათვის ბიბლიურ პარალელებს იხმობს ხოლმე, ხოლო შემდეგ შენიშნავს, რომ ამ ამბების შესახებ ჩვენ საუბარი „მეათსამეტესა შინა სიტყ-

<sup>66</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 74<sub>2</sub>, 95<sub>3-4</sub>, 96<sub>6-16</sub>.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 136<sub>16</sub>, 137<sub>10-19</sub>.

<sup>68</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 74<sub>2</sub>.

ყუასა“ გვექონდაო. ანტონის პერიფრაზული თხრობა მემატიანის თხრობის კვალდაკვალ გრძელდება. რუსუდანმა ხვარაზმელთა მიერ სომხეთის აოხრების ამბავი რომ გაიგო, საშველად ლაშქარი გაგზავნა, „რამეთუ მამული მხარგრძელთა — დენი და ანისი, ნაწილი სომხეთისა, მონარხისა თანა საქართველომასა აღირიცხვოდა“-ო, კომენტარს ურთავს ანტონი. რუსუდანმა ლაშქრის საარდლობა იოანე ათაბაგს (მხარგრძელს) უბრძანა, რომელიც ამ დროს უკვე მოხუცებული იყო და „ფარულად მონაზონ ქმნილ იყო“, ამბობს მემატიანე<sup>89</sup>; მასზე მითითების აღნიშვნით ამას იმეორებს ანტონიც და თავის კომენტარსაც ურთავს: „რომლისად უმჯობეს იყო და ჩუენდაცა საყოფელად საენამ მეშოლოეთა, რომლითა უფრორე თაფაუფლად განიბერტყდა კორცთა და სულსა, ნუუყუე უბიწოდ წარადგენდა წინაშე თუალუხუავად შურისმგებლისა მსაჯულისა, ხოლო ჩუენ ნუთუ განვერენითმცა მაშინდელისაგან ყოვლად მძუნუარისა აღსპობისა“<sup>90</sup>. ანტონს აქ მხედველობაში აქვს ამბები, რაც შემდეგ მოხდა: ხვარაზმელები და ქართველთა ლაშქარი გარნისთან ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. ბრძოლის დაწყება ტრადიციულად მესხთა და თორელთა მეწინავე ლაშქრის პატივი იყო, ხოლო მათ ამ ბრძოლაში, ისევე, როგორც ბასიანის ომში, ძმები შალვა და ივანე ახალციხელები მეთაურობდნენ. ბრძოლა გაჩაღდა და ძმებიც თავიანთი ლაშქრით მუსრს ავლებდნენ მტერს. მაგრამ სამხედრო სტრატეგიის მიხედვით მეწინავე რაზმს ძირითადი ლაშქარი უნდა მიჰყოლოდა, ხოლო მემატიანის სიტყვებით (რომლის ციტატა გადმოაქვს ანტონს წყაროზე მითითებით) ათაბაგი ივანე „შურითა ახალციხელთა... უკანაგან ჰსდგა“ და, მიუხედავად ახალციხელთა არაერთგზისი თხოვისა დახმარების შესახებ, მაშველი ლაშქარი არ დაახმარა, რამაც განაპირობა არა მარტო ამ ბრძოლის წაგება, არამედ მთელი საქართველოს აოხრება. შეუპოვარმა ძმებმა ითაკილეს უკუქცევა და მას შემდეგ, რაც მათ „ქუეშე გამოუკლნეს ცხენნი“, როგორც ეს ლაქონიურად აქვს აღნიშნული ანტონს, და „ყოველნი საჭურუელნი შემუსრნეს მტერთა ზედა“, ივანე დაეცა, ხოლო შალვა ტყვედ ჩავარდა. აქ ანტონი ღვაკლნარევი ზინანულის უმატებს: „რომლითა საწადელი ათაბაგისა იოანესი უბოროტესისა საშუალისა კმევითა მისაჩრულებად მივიდა“<sup>91</sup>.

შალვა ჯალალედინის წინაშე წარადგინეს. ის იცნეს ნახიჭენელებმა და აღრებადავანელებმა და მოახსენეს ჯალალედინს მისი

<sup>89</sup> იქვე, გვ. 169, 16.

<sup>90</sup> მარტირია, 311, 20.

<sup>91</sup> იქვე, 312, 30.

ეინაობა და სიმამაცის ამბავი. ჯალალედინმა დიდი პატივით მიიღო იგი, უბოძა მას დიდებულის წოდება, ქალაქები აღრაბადაგანისა და ერთი წელი პატივითა და დიდებით ცხოვრობდა. აქამდე ანტონისა და მემატონის თხრობა შინააჯობრივად ერთნაირია. ამის შემდეგ მემატონი მხოლოდ ერთ წინადადებას უმატებს: „ხოლო შემდგომად წელიწადისა ერთისა მოიკლა სულტნისა მიერ არა დატყეებისათვის სჯულისა“<sup>92</sup>, ხოლო ანტონი თხრობას პაგიოგრაფიული თხზულების ტრადიციული მანერით განაგრძობს: დაწერილებით არის გადმოცემული ჯალალედინის ცდა შალვას მაჰმადიანობაზე მოქცევისა, მისი დაპირებები, მუქარა, შალვას ვრცელი პასუხი, დოგმატიკური მტკიცებანი საიქიო ცხოვრების უპირატესობაზე მიწიერ განცხრომასთან შედარებით, შალვას საპყრობილეში ჩაგდებისა და წამების სცენები და აღსასრული. თხზულების ეს ნაწილი გადატვირთულია ბიბლიური ციტატებით. თხზულების ბოლო ნაწილი ეთმობა შალვას ვრცელ „შესხმას“, რომელიც იმავე სტილითაა დაწერილი, როგორც ამავე თხზულების შესავალში წარმოდგენილი შესხმითი ჩანარები.

5. ქუაბთახევს წამებულთა. ბაგრატ V-ის მეფობის დროს 1393 წელს საქართველოს თემურლენგი შემოესია. ტფილისის აღებისათვის გააფთრებულ ბრძოლაში თემურლენგმა ბაგრატ მეფე ტყვედ ჩაიგდო, თბილისი და მისი შემოგარენი მთლიანად ააოხრა. ტყვეობაში მყოფმა მეფემ თემურლენგის ყოველგვარი ცდის მიუხედავად ქრისტიანობა არ დათმო. თბილისიდან თემურლენგი ყარაიას გაემართა სანადიროდ, შემდეგ ყარაბაღს და ბაგრატიც თან ჰყავდა. ბარდავს მყოფმა თემურლენგმა თავისი სარდალი გამოგზავნა შიდა ქართლის დასარბევად, რადგან თბილისის აღების დროს ამ მხარისათვის მაშინ ვერ მოიცალა. „და მოიწიენეს ლაშქარნი მისნი და იავარ-ყვეს და მოაოკრეს ყოველივე საქართველო, შემუსრეს და დაარღვეეს წმიდა კათოლიკე ეკლესია მცხეთისა, და მიიწიენეს მუნით ქუაბთახევს, და შეიპყრეს მუნ მყოფნი კაცნი: მამანი და დედანი, მღვდლნი და დიაკონნი და მოანაზონნი, და შეამწყუდიეს ტაძარსა წმიდისა ქუაბთახევისა ღმრთისმშობლისასა და შეუგზნეს ცეცხლი შინაგან ეკლესიისა და დაწვეს, რომელიცა იყოფებოდეს ეკლესიასა მას შინა. და ვიდრე დღეინდელად დღემდე იხილვების შინაგან იატაკსა ზედან წმიდისა ეკლესიისასა და დამწვარნი სახენი მათნი დღესაცვე ზედან სხენან“<sup>93</sup>. შემ-

<sup>92</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 171.

<sup>93</sup> ქართლის ცხოვრება, II, გვ. 328, 28.

დევ მათ ააოხრეს და დაანგრის რუისი და მისი ეკლესია, ჩამოვ-  
ლეთ კახეთი, დაწვეს, მოაოხრეს და გაჟლიტეს მოსახლეობა.

ამის შემდეგ თემურლენგმა ხელმეორედ სცადა ბაგრატის თა-  
ვის სჯულზე მოქცევა. ბაგრატმა გადაწყვიტა მოეტყუებინა თემურ-  
ლენგი, მოჩვენებით მისი სარწმუნოება მიეღო, ხოლო ნდობის მო-  
პოვების შემდეგ შური ეძია. ასეც მოიქცა. ბაგრატმა თემურლენგს  
გამოსთხოვა 12000 მეომარი, ვითომდა ქართველი მოსახლეობის  
სარწმუნოების გამოსაცვლელად, სინამდვილეში კი გააფრთხილა  
თავისი შვილი გიორგი და ქართველთა ლაშქარმა გზაში მთლიანად  
ამოჟლიტა მტრის ლაშქარი, ისე, რომ ერთი კაციც არ გადარჩე-  
ნილა ცოცხალი. ეს რომ გაიგო თემურლენგმა, ისევ წარმოემართა  
ქართლისაკენ. ბაგრატი მას ქართველთა ლაშქრით დახვდა. შამა-  
ცური ბრძოლის მიუხედავად ქართველები იძლივნენ და მტერმა  
საშინლად მოაოხრა ქვეყანა. აი, მოკლე შინაარსი ბერი ეგნატა-  
შვილის საისტორიო შრომის იმ მონაკვეთისა, რომელიც ბაგრატ  
V-ის მეფობის წლებს მოიცავს და თემურლენგის ამ შემოსევას აღ-  
წერს. ჩვენთვის საინტერესო ადგილი უფრო გვიან გაიმეორა ვა-  
ხუშტი ბატონიშვილმა თავის საქართველოს ისტორიაში<sup>84</sup>. ჩვენ  
ეს იმისთვის აღვნიშნეთ, რომ „მარტირიაში“ შეტანილი  
ანტონ ბაგრატიონის პაგიოგრაფიული თხზულება დასახელებულ  
საისტორიო წყაროებს ეყრდნობა; ამას თვით ავტორიც ასე აღ-  
ნიშნავს: „ძველი უკუე მატთანე ჩუენი მოგვითხრობს“, როდესაც  
იგი ბერი ეგნატაშვილის ნაშრომს იყენებს, ხოლო „სწერს ვახუშ-  
ტი“ ან „ესრეთ მსწერს ვახუშტი“, როდესაც მის ისტორიას იშ-  
ველიებს. ჩვენ მიერ ზემომოტანილი შინაარსი ანტონს ზუსტად  
ასე აქვს გადმოცემული, რა თქმა უნდა, პერიფრაზულად. ეს  
თხრობა მოსდევს ამ თხზულების ძალიან ვრცელ დოგმატიკურ შესა-  
ვალს (მთელი თხზულების თითქმის მესამედს), მაგრამ თხრობის  
თანმიმდევრობაში განსხვავებაც არის: მემატთანის მიხედვით ქუა-  
თაშვეის მონასტერისა და მისი მრევლის დაწვა ბაგრატის<sup>85</sup> ტყვეო-  
ბის დროს მოხდა, ხოლო ანტონის მიხედვით კი ბაგრატის მიერ  
თემურლენგის თორმეტათასიანი ლაშქრის მოტყუებით გაჟლიტის  
საბასუხოდ რეპრესიების დროს.

ეს განსხვავება ანტონსაც აქვს აღნიშნული. იგი შენიშნავს, რომ  
ვახუშტი ამ ამბებს ბაგრატის ტყვეობიდან განთავისუფლების შემ-  
დეგდროინდელად თვლისო. ალბათ, ანტონმა თხრობის ვახუშტისეუ-

<sup>84</sup> ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 264—267.

<sup>85</sup> ანტონი მის ბაგრატ VI-ს უწოდებს.

ლი თანმიმდევრობა უფრო იმიტომ ირწმუნა, რომ მისი თხზულების სიუჟეტისათვის უფრო შესაფერისი იყო: ჯერ უნდოდა ბაგრატიონისა და დაკავშირებული ისტორიული ამბები მოეთხრო, ხოლო შემდეგ მთლიანად თავისი თხზულების ძირითად თემაზე გადასულიყო და აღარ გაეწყვიტა იგი. მეორე განსხვავება მოსალოდნელი და შეგნებელია: ის, რაც ნათქვამია ქვათახევის მონასტრისა და მის მრავალრიცხოვან მკვიდრთა დაწვის შესახებ, მემატიანის თხზულებაში მარტოოდენ შემომოტანილი ციტატით ამოიწურა, ანტონთან კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ამბის აღწერას ათეული გვერდი აქვს დათმობილი, მაგრამ ეს ვრცელი ვარიანტი ფაქტობრივ მასალას იმაზე მეტს არ შეიცავს, რაც მემატიანესთან არის. ტექსტის გავრცობა ანტონისათვის ჩვეული ხერხებით არის მიღწეული. აქ იგივე სურათია განმეორებული, როგორც დანარჩენი 4 განხილული თხზულების ფინალშია აღწერილი: მარტვეელთა ცდა მონასტრის მკვიდრთა თავიანთ საარწმუნოებაზე მოქცევისა, მონაზონთა მტკიცე უარი, შემაგრებული ღოგმატიკური და მორალური ხასიათის მრავალი მტკიცებით, სიკვდილის წინა ლოცვა და ბოლოს მათი დამწყვდევა მონასტრის მთავარ ტაძარში და შიგ გამოწვა. მემატიანისკენ აღმოდგინდა: „ვიდრე დღეინდელად დღემდე იხილებს შინაგან იატაკსა ზედან წმიდისა ეკლესიისასა და დამწვარნი სახენი მათნი დღესაცვე ზედან სხენან“<sup>96</sup>, ანტონიც იმეორებს ცოტაოდენ განსხვავებული ნიუანსით: „გამოიწვრნეს და დაიბუკდნეს იატაკთა ზედა ეკლესიისათა ასონი იგი დამწვარნი მოწამეთანი ამაღ, ვითარმედ, თუ სადამე მარტულთ-მოყუარებამან განაღძნეს მრავალნი ქებბს სიტყუობად ძლევისად მათისა, არცალა უცხოველონი დააკლდენ ქადაგებისაგან მარტულთა ძლევა მოყუარებისა“<sup>97</sup>. თხზულება ტრადიციულად მთავრდება ვრცელი ქებით ანუ „შესხმით“.

### ანტონის კაგიოგრაფიული თხზულებანი სომეხ მოწამეთა შესახებ

„მარტირიაში“ წარმოდგენილი ბოლო სამი თხზულება იმ წმინდანთა წამებას ეხება, რომელთა შესახებ კაგიოგრაფიული ძეგლები სომხურ ენაზე შეიქმნა, მაგრამ ეს წმიდანები ქართულ წრეებში აღრიდნევე პოპულარული გამხდარან და ძველ ქართულ

<sup>96</sup> ქართლის ცხოვრება, II. გვ. 329.

<sup>97</sup> მარტირია, 336, 16.

ლიტურგიკულ წიგნებში მათი ხსენება შეუტანიათ. ანტონსაც ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ: „ეპიტურეტთ წინაპართაგან მამათა ქართულთა, ვითარმედ და უმტკიცებოცე განსაზღვრებად ესე ანუ განჩინებად, რამეთუ სათთუეთა შინა მოსაკსენებელთა და მეტაფრასთა კსენებად სომხეთსა შინა ვნებულთა ჭეშმარიტებისა მოწამეთა...“<sup>98</sup> ეს თხზულებებია:

1. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა მოწამეთა სუქიოსისა და მის თანა ვნებულთა სუკავეტელთა, ქმნილი ანტონის მიერ...“

2. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდათა მოწამეთა ისაკ და იოსების, ვნებულთა ქალაქსა შინა თეოდოსიოლსა, ქმნილი...“

3. „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა მღვდელ-მოწამისა გრიგორი დიდისა სომხეთისა ეპისკოპოსისა და წმიდათა ღირსთა მოწამეთა ქალწულთა რიფსიმასი და გაიანასი და სხვათა მათ თანა, ქმნილი...“

თითოეული თხზულების მოკლე მიმოხილვაში ჩვენ ზოგადად შევეხებით ძველ ქართულ წყაროებში დადასტურებულ ცნობებს ამ მოწამეთა შესახებ. რაც შეეხება დასახელებულ სომეხ მოწამეთა შესახებ წამოჭრილ სხვადასხვა ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია დასახელებული კავთგრაფიული ძეგლების სომხურ დედნებთან, ჩვენ მათ აქ ვერ შევეხებით. ძირითადად ყურადღებას გაემახვილებთ ანტონის მიერ თავის თხზულებებშიათვის გამოყენებულ წყაროებზე, ამ თხზულებათა ძველ ქართულ თარგმანებზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სომხურ ტექსტებზეც.

1. სუქიოსისა და მის თანა ვნებულთა წამება. ანტონ ბაგრატიონის „მარტირიკაში“ ამ თხზულებით იწყება სომხური კავთგრაფიის ძეგლების წარმოდგენა. იგი ითვლება სომხური ავთგრაფიული მწერლობის ერთ-ერთ უძველეს ძეგლად<sup>99</sup>. ანტონის

<sup>98</sup> მარტირიკა, 341, 15.

<sup>99</sup> ამ ძეგლის წარმოშობის ეპოქაზე სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი კამათია, რომლის განხილვის საშუალება ჩვენ არ გვაქვს და ამიტომ მივეუბნებთ უმთავრეს ლიტერატურას: ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, წიგნი, I, 1935, გვ. 4—19; Н. Марр, Из поездки на Афон, ЖМНП, март, стр. 1—24; Памятники армянской агиографии, вып. I, Перевод с древнеармянского, вступительные статьи и примечания К. С. Тер-Давтян, Ереван, 1973, стр. 167—185; ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატუ-

მიერ „მარტიკიაში“ ამ ძეგლის შეტანის მიზეზზე აღენიშნეთ, რომ ქართული პაგიოგრაფიული და ლიტურგიკული მწერლობის ტრადიციებით ამ მოწამეთა ხსენება ქართულ ეკლესიაშიც დამკვიდრდა და ანტონმაც მოვალედ იგრძნო თავი, ანგარიში გაეწია წინაპართა ტრადიციებისათვის. ძველ ქართულ პაგიოგრაფიულ-ლიტურგიკულ ძეგლებს საკმაოდ ადრე დროიდან შემოუნახავს ცნობები ამ მოწამეთა შესახებ. სომხური პაგიოგრაფის ამ უძველეს ძეგლს ქართული თარგმანის ერთადერთი ნუსხა შეტანილია X ს. ცნობილ ათონის მრავალთავში (ათ. 57, ბლეიკით 8), თუმცა ამ ძეგლის თარგმნას IX საუკუნეში შესაძლებლად მიიჩნევენ<sup>100</sup>.

ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში „მესუკაველთა“ ხსენება XI საუკუნიდან გვხვდება XI ს. დიდი სვინაქსრის ერთ-ერთი ნუსხის (A—97) ამიანზე ტექსტის ხელით წერია: „ამასვე დღესა (15 აპრილს) წმიდათა მოწამეთა მესუკაველთა სუქიასი და მოყუასთა მისთა“ (164V), რაც უფრო მოგვიანო ლიტურგიკულ ძეგლებში ასევე მეორდებოდა. როგორც ჩანს, ამ მოწამეთა ხსენება ქართული საეკლესიო წიგნების ისეთი ორგანული ნაწილი ვახდა, რომ გვიანდელმა კრებულებმა ეს მოღვაწეები უკვე ქართველებად ჩათვალეს. მაგ. XVIII ს. ერთ-ერთ საგალობლების კრებულში (S—4931, 221) ასეთი ხსენებაა შეტანილი: „ამასვე დღესა (15 აპრილი), წმიდისა სუქიასი და მისთანათა ქართულთა“ (487 r). ლიტურგიკულ კრებულებში ჩვენ ვხვდებით „ლოცვაჲ წმიდათა მესუკაველთა“ (A—450, XVI ს., A—895, XVII—XVIII სს.), რომლებიც შეიცავენ ამ მოწამეთა შესახებ შექმნილი სომხური პაგიოგრაფიული ძეგლის ქართული თარგმანიდან სიტყვასიტყვით ამოღებულ ორ ლოცვაჲსა და მათი ეინაობისა და წამების მოკლე ცნობებს<sup>101</sup>. ასევე, პლ. იოსელიანის ცნობით, მას ათონის მთაზე 1107 წლის ეტრატის ხელნაწერში უნახავს მათი საგალობელი და მოაქვს ამონაწერი: „წმიდათა მოწამეთა სუქიასი და მოყუასთა მისთა, რომელნი იყუნეს სომხითით და ეწამნეს ურწმუნოთაგან 100 წელსა ქრისტესით“<sup>102</sup>. ერთი სიტყვით, ან-

რული ურთიერთობა IX—X სს., 1944, გვ. 0119—0166; ი. მელიქიეთ-ბეგი, სუქაველნი ძველ ქართულ მწერლობაში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1925, გვ. 123—135.

<sup>100</sup> ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს.-ში, თბილისი, 1944, გვ. 46.

<sup>101</sup> ლ. მელიქიეთ-ბეგი, სუქაველნი ძველ ქართულ მწერლობაში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1925, გვ. 129—130.

<sup>102</sup> პლ. იოსელიანი, წყობილისტყუაობა, გვ. 149.

ტონს მართლაც, საკმარისი საფუძველი ქჷონდა ეთქვა, რომ: „წინაპართაგან მამათა ქართველთა... დაუმტკიცებოდასეუ განსაზღურებამ ესე ანუ განჩენამ, რამეთუ სათთუეთთა შინა მოსაქვენებელთა და მეტაფრასთა კსენებამ სომხეთსა შინა ვნებულთა ჭეშმარიტებისა მოწამეთა, რომელნი მთასა შინა სუკავეტისასა... იენეს“<sup>103</sup>. ანტონმა თავისი წელილიც შეიტანა წინაპართა მიერ განმტკიცებულ ტრადიციაში დასუქიას და მის მოყუასთა შესახებ ახალი „შესხმა და წამება“ დაწერა. რა თქმა უნდა, ანტონმა თავის თხზულებისათვის, გარდა მის მიერ შეთხზული პანეგირიკული ნაწილისა, ძველი წყაროებით ისარგებლა, მაგრამ გასარკვევია, ეს წყაროები ქართულად არსებული მასალაა თუ ორიგინალური სომხური.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „წამება წმიდათა მოწამეთა მესუკაველთამ“ სომხური დედნის ზუსტი თარგმანია, თუმცა სომხურ დედანს აკლია ქართული თარგმანის მოზრდილი შესაჯალი<sup>104</sup>. ანტონის თხზულება არ იყენებს ქართულ თარგმანს, რაც შემდეგიდან ჩანს: 1) ანტონის თხზულებაში აღნიშნულია, რომ წამებულთა რიცხვი ცხრაშეტი იყო, თუმცა ჩამოთვლის მხოლოდ 17-ს (აკლია იქლოქ და თევდოსიოს) და ზოგიერთი სახელიც არ ჰგავს ქართულ თარგმანსა და მის დედანში დადასტურებულ სახელის ფორმას (ნერანგიოს — სურქიოს ნაცულად, მიმიანოს — მენას ნაცულად, თეოდორიტოს — თევდოტიოს, ნაცულად). 2) ანტონის თხზულებაში არ არის ასახული ქართული თარგმანის ის შესაჯალი, რომელიც სომხური დედნის ხელნაწერებს აკლიათ. 3) ანტონი თავის თხზულებაში არ ახსენებს ქართულ თარგმანს, რაც იმას ნიშნავს, რომ ანტონისათვის ათონის № 57 (ბლეიკით 8) ხელნაწერი, რომელიც შეიცავს „მესუკაველთა“ წამების ქართული თარგმანის ერთადერთ ნუსხას, ცნობილი არ იყო. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ანტონის მარტირიკაში არ შევიდა ორი ქავიოგრაფიული თხზულება — „წამებამ და ვით და ტირიჭანისი“ და „წამებამ ყრმათა წმიდათამ რიცხვით ცხრათამ“, რომლებიც მხოლოდ იმავე ათონის 57 ხელნაწერთაა ცნობილი და ქართულ ორიგინალურ ქავიოგრაფიულ ძეგლებად არის აღიარებული<sup>105</sup>. სხვაგვარად ამ ფაქტის ახსნა შეუძლებელია, რადგანაც ანტონმა „მარტირიკაში“ თავი მოუყარა არა მარტო ყველა მისთვის ცნობილ ქავიოგრაფიულ ძეგლს, არამედ თვითონ შეად-

<sup>103</sup> მარტირიკა, 341, 15.

<sup>104</sup> ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 131.

<sup>105</sup> ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 64—70.



გინა რამდენიმე ისეთი პავიოგრაფიული თხზულება, რომელიც მანამდე დამოუკიდებელი თხზულების სახით არ არსებობდა, ამასთანავე არ გამოირჩა ქართული ეკლესიის მიერ აღიარებული ის პირებიც, რომელთა შესახებ ძირითადი პავიოგრაფიული ძეგლები სომხურ ენაზე დაიწერა. ამიტომ ანტონის სიტყვებში: „მომზრახაობენ ამისთვის ჭეშმარიტნი მეისტორიენი“ სომხური წყაროები უნდა იგულისხმებოდეს. 4) მთავარი საბუთი იმისა, რომ ანტონი რაღაც განსხვავებულ სომხურ წყაროს იყენებს და არა ქართულ თარგმანს, ის არის, რომ ანტონის თხზულებაში ისეთი ადგილებია, რაც არ არის „მესუკაველთა“ წამების ქართულ თარგმანში და მის სომხურ დედანში. აღენიშნავთ მხოლოდ უმთავრესს: ანტონის თხზულება, რომელიც ტრადიციული ვერცელი შესავლით იწყება, მოწამეთა შესახებ თხრობას იწყებს აპოკრიფული ამბებით, რომლებშიც გადმოცემულია იუდა მოციქულის შეხვედრა საბერძნეთიდან მომავალ ხუთკაციან ჯგუფთან, რომლის მეთაურს ხრისოს (ე. ი. ოქრო) ერქვა (ხოლო სომხურ წყაროებში ოსკი, ე. ი. ოქრო). დესპანებმა შეიპყრეს მოციქული და ვინაობა გამოჰკითხეს. მოციქულმა ყოველივე უამბო და მათ ქრისტე უქადაგა. ქადაგების დროს ირმების ჯოგი გამოჩნდა და დესპანებმა მოციქულს სასწაულის ჩვენება მოთხოვეს მისი სიტყვების დასამტკიცებლად. პირობა ასეთი იყო: მოციქულს უნდა შეეჩერებინა გაქცეული ირმების ჯოგი, დაეჭირო ერთი ირემი, რომელსაც მოშვიებული დესპანები დაკლავდნენ, შეწვაოდნენ და შეჭამდნენ. მოციქულმა ეს პირობა შეასრულა. მაშინ მათ მოციქულს ახალი სასწაული მოსთხოვეს: მოეგროვებინა შეჭმული ირმის ძელები და გაეცოცხლებინა იგი. თუ მოციქული ამ სასწაულსაც ჩაიდენდა, მაშინ ისინი ჭეშმარიტად ირწმუნებდნენ მისი ღმერთის, ე. ი. ქრისტეს ყოვლისშემძლეობას. იუდა მოციქულმა შეაგროვა ძელები, დაკბურა მათ ირმის ტყავი და ირემიც ცოცხალი წამოიღო. ამ სასწაულმა დესპანები განაცვიფრა. მოციქულმა უბრძანა ირემს, შეერთებოდა ჯოგს, მაგრამ ირემი ძლივს იძვროდა და კოჭლობდა. მაშინ იუდამ მიმართა დესპანებს: რომელიმე თქვენგანმა ძვალი ან გალაგდო, ან დამალა და ამიტომ არ შეუძლია ირემს გაქცევაო. ერთი მათგანი გამოტყდა, რომ ვანგებ დამალა ძვალი და პატიებას სთხოვდა მოციქულს. მოციქულმა მოიხმო ირემი, ჩაუდგა მას დაკლებული ძვალი და უბრძანა გაქცეულიყო. ირემი სირბილით დაედევნა ჯოგს და შეუერთდა მას. დესპანებმა ირწმუნეს ქრისტე და მოციქულის ხელით მოინათლნენ, ხოლო ხრისოს მღვდელობის პატივი მიეცა. ისინი დაემოწაფნენ

მოციქულს და ეხმარებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებაში. ხოლო იუდას მოწამებრივი აღსასრულის შემდეგ ისინი დაეყუდნენ ეფრატის სათავესთან მღებარე მთაზე.

სომხეთში არტაქსარის მეფობის დროს ხრისტო და მისი მოწაფეები სამეფო კარზე მივიდნენ და ქრისტეს სახარება უქადაგეს მეფესა და დედოფალ სათენიკს, რომელიც ალანელი იყო. დედოფლის მსლებლებმა, რომლებიც მას ოსეთიდან (ალანიიდან) მოყენენ მზითვად, ქრისტიანობა მიიღეს, ხოლო მეფემ მოუცლელობა მოიმიზეზა, შემდეგი დროისთვის გალადო გაქრისტიანება და საბრძოლველად წავიდა. მეფის ძეებმა ქრისტეს მქადაგებელი ხრისტო და მისი მოყვასნი სამეფო კარიდან გააძევეს და ისინი მთაზე დაბრუნდნენ. დედოფლის გაქრისტიანებული მსლებლები შალე მათ კვალს გაჰყენენ და მათაც შეუღაბნოებოა აირჩიეს.

ანტონის თხზულების ეს მონაკვეთი ორი თვალსაზრისით გვაინტერესებს: ჯერ ერთი, მოციქულის შეხვედრა და მის მიერ ჩადენილი სასწაულები, რომელთა მოკლე შინაარსი ჩვენ გადმოვეცით, არ მოიპოვება „მესუკაველთა წამების“ არც სომხურ დედანში და არც ქართულ თარგმანში. არ არის ეს თხრობა არც მეორე სომხური პაგიოგრაფიული ძეგლის „სიტყუანი წამებისათჳს. წმიდისა ოსკისი და მოყუასთა მისთაჲ“ ქართულ თარგმანში, რომელშიც ჩვენ მიერ შემომოტანილ თხრობაში ნახსენებ ხრისტოს (სომხურში ოსკი) და მისი თანმხლები პირების გაქრისტიანება და წამებაა აღწერილი და რომლის ქართული თარგმანის ერთადერთი ნუსხა ასევე ათონის № 57 (ბლეიკით 8) X საუკუნის მრავალთავშია შეტანილი<sup>106</sup>. მაშ, საიდან შემოიტანა ანტონმა თავის თხრობაში ეს ეპიზოდი? ილ. აბულაძეს თავის „ქართულ და სომხურ ლიტერატურული ურთიერთობაში“ აღნიშნული აქვს შემდეგი ფაქტი: „სომხური „მრავალთავის“ ხელნაწერებში ოსკიანთა მარტვილობა ხშირად გვხვდება. ქართული ძველი თარგმანის შესაბამის ტექსტს გარდა, ზოგიერთ ხელნაწერში ამ მარტვილობის სხვაგვარი აპოკრიფულივე წიგნიც მოგვეპოვება. მათთან შედარებით ქართული თარგმანის შესაბამისი სომხური მარტვილობის წიგნი „მრავალთავის“ ნუსხებში უფრო ხშირადაა წარმოდგენილი. ერთი რიგის მარტვილობის წიგნები იმით სხვაობს ქართული თარგმანისა და მისი სომხური შესაბამისი მარტვილობის წიგნისაგან, რომ ამ უკანასკნელის მოკლე შესავლის (გვ. 9,7—10,5) ნაცვლად

<sup>106</sup> ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 22—61; 9—21 (დასახელებულ თხზულებათა სომხური და ქართული ტექსტები).

პირველს საკმაოდ ვრცელი ტექსტი მოეპოვება (ნ. შენიშვნები, 2, გვ. 188), რომელიც ოსკიანთა ვინაობასა და მათს თაღოს მოციქულთან დამოწაფების ისტორიას მოგვითხრობს<sup>107</sup>. როგორც ვხედავთ, სომხურ „მრავალთავებში“ არსებობს ოსკიანთა მარტივლობის ისეთი ნუსხები, რომლებსაც, ძველ ქართულ თარგმანთან განსხვავებით, წინ უძღვის ზუსტად იმავე შინაარსისა აპოკრიფული თხრობა, როგორც ანტონის თხზულების შესავალ ნაწილში გვაქვს და რომლის შინაარსი ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ. მეორე მხრივ, ანტონის „სუქიოსისა და მის თანა ვნებულთა სუკავეტელთა“ წამებაში მოთხრობილი იუდა მოციქულის მიერ ჩადენილი სასწაულების შემდეგ აღნიშნული ფაქტი სუქიოსისა (იმავე ოსკის) და მისი ოთხი თანმხლების გაქრისტიანებისა და განდევილობის ამბავი, მათ მიერ არტაქსარ მეფის (სომხური წყაროებისა და მისი ძველი ქართული თარგმანით არტაშეს) კარზე მისვლა, მეფე-დელოფლის ქრისტიანობაზე მოქცევის ცდა და სათენიკ დედოფლის ძეთა მიერ მათი სამეფო კარიდან განდევნის ამბავი, რომლის შინაარსი ჩვენ აგრეთვე ზემოთ მოვიტანეთ, არ არის სუქიას და მის მოყვასთა წამების არც სომხურ დედანში და არც მის ძველ ქართულ თარგმანში. საშავიეროდ ეს ნაწილი თითქმის ასევეა მოთხრობილი თხზულებაში „სიტყუანი წამებისათჳს წმიდისა ოსკისი და მოყუასთა მისთაჲ“. იგი წარმოადგენს ამავე სახელწოდების სომხური პავიოგრაფიის ძეგლის ძველ ქართულ თარგმანს (შეტანილია ათ. № 57 ხელნაწერში) და მის სომხურ დედანში. აქედან ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: ანტონის ძირითადი წყარო „სუქიოსის და სუკავეტელთა“ წამების I ნაწილისათვის არის „სიტყუანი წამებისათჳს წმიდისა ოსკისა და მოყუასთა მისთაჲ“-ს ისეთი სომხური რედაქცია, რომელიც შეიცავს ზემომოტანილ აპოკრიფულ შესავალს, რომელშიც თადეოზ მოციქულის სასწაულებია აღწერილი. ეს შესავალი ნაწილი ქართულად არასოდეს არ ყოფილა თარგმნილი. მეორე ნაწილისათვის უკვე თვით „წამებაჲ წმიდათა მოწამეთა მესუკავეტთაჲ“-ს სომხური დედანი უნდა ვიგულისხმოთ, რადგან, როგორც ვთქვით, ანტონს არ უნდა სცოდნოდა ათონ. № 57-ის არსებობა, რომელშიც იყო შეტანილი ამ ძეგლის ქართული თარგმანის ერთადერთი ნუსხა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ანტონის მიერ თავისი თხზულებისათვის წყაროდ სომხური პავიოგრაფიული მწერლობის ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ძეგლით სარგებლობის ფაქტი მოულოდნელი არ არის. საქმე ისაა,

<sup>107</sup> ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 0126.

რომ „ოსკიანთა“ და „სუკავეტთა“ წამების ტექსტები სომხეთში თაღოზ მოციქულის მიერ ქრისტიანობის ქადაგების ერთ ციკლს მიეკუთვნება („სანდუხტ დედოფლის წამებასთან“ ერთად) და ერთ-მანეთის ვაგრძელებად არის ნავარაუდები (სომხური დედნების ორივე ძეგლს ერთი და იმავე ავტორის ანდერძები ერთვის)<sup>108</sup>.

უნდა აღინიშნოს ანტონის თხზულების ზოგიერთი სხვაობა მის წყაროებთან შედარებით:

1. ზემომოტანილ თხრობაში ანტონის თხზულების მიხედვით მოციქულს იუდა ეწოდება, ხოლო სომხური წყაროებით თაღოზი. როგორც ჩანს, ეს ერთი და იგივეა: სომეხი საეკლესიო ისტორიკოსი მ. ორმანიანი წერს: „ან ორი თაღოსი უნდა შევიწყნაროთ სომხეთის მოციქულებად (მხედველობაში აქვს ლებეთს-თაღოსი და იუდა-თაღოსი), ანდა მარტო იუდა-თაღოსი ვიცნათ სომხეთის მოციქულად...“<sup>109</sup>.

2. ანტონის თხზულებაში იუდა მოციქულის მიერ ჩადენილი სასწაულების აღწერას წინ უძღვის ასეთი აპოკრიფული ცნობა: „მომზრახაობენ ამისთვის ჭეშმარიტნი მებისტორიენი, ვითარმედ ძმად მართისა საღმრთოდ მოციქული და მოწაფე სიტყუსა განკორციელებულისა იუდა, მქონები ეპისტოლისა ავგაროსის მიმართ ედესიურისა მთაერისად მიწერილისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესგან, შევიდა ეპისტოლითა მით პალატსა შინა ედესიურისა მთაერისასა, რომელი იყო ზედწოდებულ სანატროგ ძე ავგაროსისა, რათა ცნობად ჭეშმარიტებისა მოიყუნამცა იგი.“ მაგრამ სანატროგმა არ შეიწყნარა მოციქულის ქადაგებო და ისიც განეშორა და წარივიდა „განფენად სახარებისა“. ამის შემდეგ მას შეხვდნენ ბერძენი დესპანები და მოთხრობილია ამბავი, რაც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ. ანტონის ამ თხრობას ანალოგიური შესატყვისი არც ზემოგანხილულ სომხურ წყაროებში მოეპოვება და არც მათ ძველ ქართულ თარგმანებში. მეორეც, ანტონის მიერ ედესიის მთაერის ავგაროსის ძედ გამოცხადებული სანატროგი სომხური წყაროებით სომხეთის მეფედ იხსენიება („წმიდად სანდუხტ ასული იყო სანატრუკისი მეფისა სომხეთისაჲსა“ — „წამება წმიდისა დედოფლისა სანდუხტისი“<sup>110</sup>). ანტონის მიერ ამ შემთხვევაში გამოყენებული წყაროს შესახებ ჩვენ ვერაფერს ვიტყვი, თუ არ დაუშვებთ ვარაუდს, რომ მას „ოსკიანთა“ წამე-

<sup>108</sup> ილ. აბულაძე, დსახ. ნაშრ. გვ. 0127.

<sup>109</sup> იქვე, გვ. 0122.

<sup>110</sup> ილ. აბულაძე, დსახ. ნაშრ. გვ. 3.

ბის ციკლის ისეთი თხზულება კქონდა, რომელიც მოციქულის სასწავლებლის აღწერაზე წინ ანტონისეული თხზულების აღნიშნულ თხრობას შეიცავდა.

ანტონისეული თხზულების უშუალო თხრობა სუქიასა და მის მოყვასთა შესახებ კომპოზიციურად და შინაარსობრივად ემყარება ამ მოწამეთა სომხურ წამებას (რომლის ზუსტი თარგმანია ათონის № 57 ხელნაწერში შესული ერთადერთი ნუსხა), მაგრამ ზოგიერთი განსხვავება მაინც შეიმჩნევა. ჯერ ერთი, ანტონის თხზულება წყაროს პერიფრაზირებაა, მეორეც, ანტონს მთელი სისრულით არ გადმოუღია წყარო: გამოტოვებულია წყაროს რამდენიმე ეპიზოდი (სომხეთის მეფეთა მოკვლა სპარსთა მეფის მიერ, „სუკაველთა“ ლოცვა სომხეთის დარბევისაგან გადასარჩენად და სპარსთა მეფის უკუქცევა, ერთ-ერთი მეუღლანოს (პოლოკტეს) ხილვა და მოწამეთა ლოცვა ამ ცუდი ხილვის თავიდან ასაცილებლად, სუქიოსის ხილვა მოსალოდნელი მათი წამების შესახებ და მის მიერ მოყვასთა „განძლიერება“, ლუკიანოზის წინადადება ბავინთა დარბევის შესახებ და სუქიოსის უარი, მათ დასასჯელად მოვლინებული ბარლაამს და მოწამეთა ზოგიერთი დიალოგი, მოწამეთა სამი ლოცვა დაჯჯის წინ და სხვ.). განსხვავებულია ზოგიერთ პირთა სახელების დაწერილობაც (ანტონთან სუქიოსის ერისკაცობის სახელი ბ ა რ დ ა, წყაროში ბ ა რ ა ქ ა დ რ ა, ალანთა მეფე დ ი ტ ი ა ნ ო ზ — დ ი დ ი ა ნ ზ ე, მოწამეთა მეფის წინაშე „შემასმენელი“ ქ ს კ უ ი რ — ს კ ო ქ ე; სუკაველთა სახელების შესახებ ზემოთ იყო მსჯელობა). ანტონის თხზულების ბოლოს არ არის ამ ძეგლის ძველი ქართული თარგმანის ბოლო ნაწილის („ჩუენებისათჳს კოსტანტინე მეფისა“) შესაბამისი ტექსტი ან მისი შინაარსი. ეს გასაგებიცაა, რადგან ქართული თარგმანის ეს ბოლო ნაწილი არ არის სომხური დედნის ბევრ ხელნაწერშიც. ანტონსაც სწორედ იმ სომხური ხელნაწერით უნდა ესარგებლა, რომელსაც ეს ბოლო ნაწილი არ კქონდა.

2. ისაკისა და იოსების წამება. ანტონი თავის თხზულებაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ხოლო ჩვენ ვინაჲთგან მოვიცალეთ ათჳდმეცთა სიტყუათა შინა ქართულთა მოწამეთათჳს, მფარულთა ჩუენთა, ხოლო მეათრუამეტეჲ სიტყუაჲ ვჰყავთ ღირსთა მოწამეთათჳს სუქიეთთა... აწ, ვიტყოდეთ, ვჰგალობდეთ და მოუთხრობდეთ სხუათა მოწამეთათჳს ენებულთა ქალაქსა შინა თეოდოსიპოლსა, რომელსა ჩუენ ზედწოდებულ ვჰყოფთ კარნუქალაქად, რომელთა ქკსენებამ დასდუეს პირულთა მამათა ქართულთა სათთუეთათა მოსაჯსენ-

ნ ე ბ ე ლ თ ა შ ი ნ ა. ხოლო საღმრთოთა მათ მოწამეთა სახელ-  
ნი ესრეთ უწყებულ არს ჩუენდა: ისაკ და იოსებ<sup>111</sup>. რო-  
გორც ვნახეთ, ანტონს უპირველეს ყოვლისა აღნიშნული აქვს, რომ  
ამ მოწამეთა ხსენება ქართული საეკლესიო ტრადიციებით არის  
განმტკიცებული. მართლაც, 15 სექტემბერს XVII—XVIII სს. ქარ-  
თულ საღმრთაწაულოებში შეტანილია „სააკ და იოსების“ ხსენება,  
თანაც ყველა მათგანში მათ ქართველები ეწოდებთ: „... ამასვე  
დღესა (15 სექტემბერს) წმიდათა მოწამეთა ორთა ძმათა ქარ-  
თველთა სააკისი და იოსებისი, რომელნი იწამნეს კარ-  
ნუ ქალაქსა სარკინოზთაგან“ (A—111, 26r—V; აგრეთვე A—  
425, 59r; ცენტრ. არქ. № 488, 102r და სხვ.). ანტონი, როგორც  
ჩანს, უნდობლად მოეკიდა ცნობებს ამ მოწამეთა ქართველობის  
შესახებ და თავის თხზულებაში ეს შეცდომა არ გაიმეორა. ამ მო-  
წამეთა ხსენება უფრო აღრინდელ ქართულ ხელნაწერებში არ  
დასტურდება. შესაძლებელია, მათი ხსენება იყო A—97 XI საუ-  
კუნის სვინაქსარში 15 სექტემბრის აშიაზე მიწერილი, ისევე,  
როგორც სუქიელთა ხსენება, მაგრამ სამწუხაროდ ამ ხელნაწერს  
დასაწყისი ნაწილი აკლია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისაკისა და  
იოსების შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში არავითარი პაგიო-  
გრაფიული თარგმნილი თხზულების კვალი არ ჩანს. უპირველეს  
ყოვლისა მოსალოდნელი იყო მისი არსებობა ათონის № 57  
კრებულში, რომელშიც ძირითადად თავმოყრილია სომხური-  
დან თარგმნილი პაგიოგრაფიული მასალა, მაგრამ, როგორც ჩანს,  
ამ კრებულის თარგმნის დროისათვის ისაკისა და იოსების წამება  
ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. ბუნებრივია, ამ კრებულში მათი  
მარტივობა ვერ შევიდოდა. არ დასტურდება მათი სვინაქსარუ-  
ლი ცხოვრებაც ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში. ამდენად, სა-  
ვარაუდებელია, რომ ანტონი ცნობებს ამ მოწამეთა შესახებ, რო-  
მელთა არსებობა მან ქართულ წყაროებში მათი სახელების მოხსე-  
ნებებით იცოდა, სომხურ ენაზე არსებული მასალიდან მოიპოვებდა.  
მართლაც, სომხურად არსებობს სააკისა და იოსების წამება. თხზუ-  
ლება მოკლეა და ეწოდება: „წმინდა სააკისა და იოსების წამება“,  
რომელიც გამოქვეყნებულია წიგნში: „ცხოვრება და მოწამეობა  
წმინდანთა“, ტ. II, გვ. 266—271, ენეცია, 1974 წ. სომხურ ენაზე.  
ანტონის თხზულების მეტისმეტად სქემატური ხასიათი საშუალებას  
არ იძლევა კატეგორიული განცხადებისათვის, რომ ანტონმა სახელ-  
დობრ ამ სომხური ძეგლით იმარგებლა, თუმცა სხვა შესაძლებლო-

<sup>111</sup> მარტირია, 357, 25.

ბაც არ არსებობს, რადგან ქართულ წყაროებში ამ მოწამეთა შესახებ არავითარი ცოტად თუ ბევრად ვრცელი ცნობები არ იქმნება.

„მარტირიაში“ შესულ თხზულებათა შორის „ისაკისა და იოსების წამება“ ერთ-ერთი ყველაზე სქემატური ძეგლია: თხზულების უდიდესი ნაწილი დათმობილი აქვს განყენებულ ფილოსოფიურ-ლოგმატიკურ მსჯელობებს და მოწამეთა „შესხმას“, ხოლო ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობები ძალზე ლარიბადაა წარმოდგენილი. მოწამეთა შესახებ თხრობაშიც ძირითადი ადგილი უჭირავს წმინდანთა გასამართლების სცენას: მაჰმადიანები ცდილობენ ისაკი და იოსები ქრისტიანული სარწმუნოებიდან ისევ მაჰმადიანურ სჯულზე მოაქციონ, კპირდებიან პატივსა და სიმდიდრეს, მაგრამ წმინდანები მტკიცედ იცავენ ქრისტიანულ სჯულს და ამქვეყნიურ ცხოვრებას არად აგდებენ, განაქიქებენ მაჰმადიანურ სჯულს და წამების წინ ლოცვებს წარმოთქვამენ. ბოლოს, მათ სიკვდილით სჯიან თავის მოკვეთით. თხზულება მთავრდება მოწამეთა ლეაწლის მოკლე კება-შესხმით.

ანტონის თხზულებაში ერთადერთი ისტორიული პირია მოხსენებული — ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე, რომელსაც მოწამებმა წერილი მისწერეს, ბიზანტიაში ჩასვლის ნებართვა და მფარველობა თხოვეს. ეს უნდა იყოს ნიკიფორე I (806—810). და არა ნიკიფორე ფოკა (963—969) ან ნიკიფორე ბოტანიაცი (1078-1081 წ.), ე. ი. ისაკისა და იოსების წამებთან ფაქტს ადგილი ჰქონია IX ს. დასაწყისში. ანტონი აწ გამოცემული ტექსტის რომელიმე სომხური ხელნაწერით უნდა სარგებლობდეს, რადგან ძირითადი მომენტები ამ ტექსტის მსგავსად აქვს გადმოცემული, თუმცა დედნის ისედაც მოკლე თხრობა ანტონს კიდევ უფრო სქემატური გაუხდია (გამოუტოვებია ზოგიერთი პირის მოხსენება, მაგ. თეოდოსიპოლის ამირა აპრონიასა, ერთ-ერთი მამიკონიანელთაგანის ქურდაკისა, აგრეთვე ისაკის, იოსებისა და მათი მესამე ძმის შიში მამის წინაშე ქრისტიანობის მიღების გამო და სხვ.).

3. გრიგოლ განმანათლებლის, რიფსიმესა და გაიანეს წამება. „მარტირიაში“ შესულ თხზულებათა შორის უკანასკნელი, მეოცე ძეგლი, რომელიც გრიგოლი დიდის, სომეხთა განმანათლებლის ცხოვრებასა და წამებას აღწერს და რომელშიც ჩართულია რიფსიმესა და გაიანეს მარტივობის ეპიზოდებიც, მარტირიკის“ დანარჩენ თხზულებებთან შედარებით ერთისამად ვრცელია. გრიგოლის „ცხოვრება-წამებაში“ რიფსიმესა და გაიანეს წამების ეპიზოდის შეტანა ანტონის ინიციატივა არ არის, არამედ იმ წყაროთა

თავისებურებაა, რომლებითაც ანტონმა ისარგებლა. მართლაც, გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ჩვენამდე მოღწეული სომხური დედანი და მისი ბერძნული, არაბული და ქართული თარგმანები ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებენ<sup>112</sup>, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრით გრიგოლისა და რიფსიმე-გაიანეს წამებათა ტექსტები თავდაპირველად დამოუკიდებლად უნდა არსებულებოდნენ და მათი გაერთიანება მოხდა ავთანეგლოსის თხზულებაში, რომელსაც „სომხეთის ისტორია“ ეწოდა<sup>113</sup>.

გრიგოლ პართეველი ძველ ქართულ მწერლობაში მეტად პოპულარული წმინდანია VII—X საუკუნეების წყაროების მიხედვით. ქართული წყაროებიდან მისი უძველესი ხსენება მოიპოვება „იერუსალიმის განჩინებაში“<sup>114</sup>, ხოლო მისდამი მიძღვნილი საგალობლები X ს. იადგარებში ჩვეულებრივი მოვლენაა<sup>115</sup>. გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების ქართული თარგმანი ორი რედაქციითაა შემონახული და შესრულებულია სიმეონ მეტაფრასის ბერძნულად შექმნილი თხზულებიდან XI ს. ორი სხვადასხვა მთარგმნელის მიერ<sup>116</sup>. გრიგორი მთაწმიდლის მიერ თარგმნილ დიდ სვინაქსარში 30 სექტემბრის დღეზე შეტანილია გრიგოლის, რიფსიმესა და გაიანეს საკმაოდ ერცელი სვინაქსარული ცხოვრებაც, რომელიც ბერძნული ორიგინალის თარგმანს წარმოადგენს<sup>117</sup>.

ანტონის თხზულება ძირითადად პანეგირიკული ჟანრის ნაწარმოებია, რომელშიც შიგადაშიგ ჩართულია ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობები ამ მოწამეთა შესახებ. ანტონი თავის თხზულებათა წყაროებიდან ასახელებს „პროლოლოს, თთუე სეკდემბერი, რიცხვი 30“, რომელიც ვიორგი მთაწმიდლის „დიდი სვინაქსარის“

<sup>112</sup> დასახელებული ძეგლების რედაქციებისა და თარგმანების შესახებ იხ. M. Абегян, История древнеармянской литературы. Ереван, 1975, с. 98 — 104; Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием (арабская версия), СПб, 1905; ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლ პართელისაჲ, გამოც. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ Monumenta Georgica, scriptores ecclesiastici, № 2, ტფილისი, 1920. ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1935, გვ. 71—149. და სხვ.

<sup>113</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79 (ფონ-ვუტშმიდის აზრი).

<sup>114</sup> K. C. Кекелидзе, Иерусалимский календарь VII века (Грузинская версия), Тифлис, 1912, стр. 147 (21 დეკემბერი).

<sup>115</sup> Sin— 49,91v—97v; Sin—59; Sin—65 და სხვ.

<sup>116</sup> S—334 (XI—XII სს.), გვ. 213—257. გამოცემულია ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ. აი. № 20 (დაახ. 1080-იანი წლ.), ფ. 70—74. თარგმნილია თეოდორე ზუცსმოწაწონის მიერ.

<sup>117</sup> H—2211 (XI ს.)



ნუსხებს ვულისხმობს, „ოქროპირისა წმიდისა გიორგი პართისათუხ კუქუსოს ეკკლესიასა შინა ქმნილი ქადაგება“, რომლის ქართულ თარგმანს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. გარდა ამ წყაროებისა, ანტონი უნდა სარგებლობდეს გრიგოლის ვრცელი ცხოვრების ქართული თარგმანითაც, რადგან მის თხზულებაში დადასტურებული ზოგიერთი ცნობა არ არის სვინაქსარულ ცხოვრებაში. ანტონს თავისი თხზულების სათაური გრიგოლის სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით შეუღდუნია: „შესხამა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდისა მღუღელმონაშისა გრიგორი დიდისა სომხთის ეპისკოპოსისა და წმიდათა ღირსთა მოწამეთა ქალწულთა რიფსიმასი და გაიანასი და სხუათა მათთანათა...“ შეად. სვინაქსარული ცხოვრების სათაური: „თუქსა სეკლენბერსა ლ. წმიდისა გრიგოლ ეპისკოპოსისა დიდისა სომხთისა და გაიანესი და რიფსიმასი და მათთანათა“, მაშინ, როდესაც გრიგოლ პართელის ცხოვრების ქართული თარგმანის სათაურია: „ცხოვრებაჲ და ამისსა შემდგომად წამებაჲ წმიდისა მღუღელმონაშისა გრიგოლი პართეველისა“<sup>118</sup>.

გრიგოლიას, რიფსიმესა და გაიანეს შესახებ ატორიულ-ბიოგრაფიული ცნობები ანტონს თავის თხზულებაში ღარიბად აქვს წარმოდგენილი, რაც განპირობებულია თხზულების პანეგირიკული ხასიათით. თავისი თხზულების თხრობითი ადგილებს აღწერისას ანტონი ძირითადად სვინაქსარულ ცხოვრებას ეყრდნობა და წყაროსაც იქვე უთითებს, თუმცა ხშირად სვინაქსარული ცხოვრების მოკლე თხრობა შევსებული აქვს ვრცელი ცხოვრების მონაცემებითაც. მაგ. ანტონის სიტყვები: „იხილა მდინარე რამე, რომელსა შინა აქამთ განვიდოდეს ცხოვარნი და განსრულნი გარდაიქმნებოდეს შველ“<sup>119</sup>, ვრცელი ცხოვრების შემდეგი ადგილის გადაკეთება: „და რომელნიმე მათ კრავთაგანნი შეიცვალებოდეს მქელად და შეშჳამდეს ცხოვართა მათ...“<sup>120</sup> ასევე, მხოლოდ ვრცელი ცხოვრებიდან შეუძლო გამოეკრება ანტონს ცნობები გრიგოლის მამის სააუგო საქციელის, მისი მოკვლისა და ჩხვილი გრიგოლის კაბადუკიაში განიზვნის შესახებ, რადგან სვინაქსარულ ცხოვრებაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი: „რამეთუ მოიკლა რა ანაკოგან, ნა-

<sup>118</sup> ცხოვრებაჲ წ. გრიგოლ პართელისა, გამოცემული ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ, ტფ. 1920.

<sup>119</sup> მარტირია, 374, 16.

<sup>120</sup> ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლი პართელისა, გვ. 33, 13.

თესავით პართისა, ხოსრომ მეფე სომეხთა, და ანაკ სომეხთაგან. [მოიკლა], ძე ანაკისი ყრმად მცირე ერთგულთაგან მონათა განიტაცა, რათა არა წარსწყმდესცა მკულელთაგან მამისათა და სამთავროდ კაბდალუკიისა მოყვანებული განერა მძუნუარებასა მკულელთასა.. ხოლო იყო მაშინ თუთმპყრობელობითი სკიპტრისა პყრობად უღმერთოდასა დეოკლიტიანესი<sup>121</sup>. მხოლოდ ვრცელ ცხოვრებაშია ეპიზოდები, რომელიც ანტონს შეუტანია თავის თხზულებაში. ესენია: რიფსიმეს, გაიანჟს და მათთან ერთად წამებულთა „წმიდანაწილებს“ დაკრძალვა გრიგოლის მიერ. გაქრისტიანებული თრდატ მეფის მიერ კერპებისა და ბომონთა დანგრევა-განადგურება, გრიგოლს რჩევა კაბადუკიიდან მღვდელთა მოწვევისა და სომეხთა სამეფო კარის მონათვლის შესახებ, მეფისა და მთავრების ხეწნა-მუდარა, რომ გრიგოლმა მიიღოს მღვდლობითი ხელდასმა კაბადუკიაში, გრიგოლის ლტოლვა, უფლის ჩვენება და გრიგოლის დამორჩილება, მისვლა კაბადუკიას და ლეონტი მთავარეპისკოპოსისაგან ხელდასხმის მიღება, მდინარე ეფფრატზე თრდატ მეფისა და სამეფო კარის საზეიმო შეხვედრა და მათი მონათვლა გრიგორის მიერ. ოსეთი ეპიზოდების არჩეობა ანტონის თხზულებაში, რაც არ არის სვინაქსარულში, გვაეარაუღინებს, რომ ანტონი გრიგოლის ვრცელი ცხოვრების ქართული თარგმანით სარგებლობს, რადგან სომხური დედნის დღეს შემორჩენილ ნუსხებში აგათანგელოსის სომეხთა მოქცევის ისტორიის დასაწყისი ნაწილი აღარ შემონახულა. მისი ბერძნული თარგმანის მიხედვით გამოთქმულია ვარაუდი, რომ სომხურის დასაწყისს დიდი ნაწილი აკლია. მიუხედავად თქმულისა, მაინც არის ზოგიერთი განსხვავება გრიგოლის ვრცელ ცხოვრებასა და ანტონის თხზულებას შორის: ანტონი გრიგოლს კაბადუკიიდან სომხეთში პირველ მოსვლას დებს ლიკინოსის მეფობაში: „გრიგორი კაბადუკიისა სამთავროდ და მონარხით აზიურისა მონარხისა ლიკინოსისა სამეფოდ სომხეთად მიივლინების...“<sup>122</sup> მაშინ, როდესაც გრიგოლ განმანათლებელის ვრცელი ცხოვრების სომხურ, ბერძნულ, არაბულ და ქართულ ვერსიებში გრიგორის მოღვაწეობა სომხეთში დიოკლეტიანეს მეფობაში მიმდინარეობს (რიფსიმე და გაიანე ილტიან საბერძნეთიდან, რადგან დიოკლეტიანემ გადაწყვიტა რიფსიმეს ცოლად შერთვა. ამ დროს გრიგოლი სომხეთში უკვე მოსულია და მღვიმეშია ჩაგდებული). აქ, როგორც ჩანს, ან-

121 მარტირია, 375, 8.

122 მარტირია, 377, 8.

ტონი კრიტიკულად მოეკიდა წყაროების ჩვენებას და სომხეთის გაქრისტიანება უფრო სარწმუნო პერიოდში გადმოიტანა (ლიკინიოზი მეფობდა 308—325 წ.). ამასთანავე ანტონს შესწორებული აქვს ზოგიერთი საკუთარი ხაზელი: ვრცელ ცხოვრებაში არის: კუსარ სომეხთა მეფე — ანტონის თხზულებაშია „ხოსრომ მეფე სომეხთა“, ასევე: თრდატ — ტრდატ, კუსაროდუხტი — ხოსროდუხტი და სხვ.

ანტონის თხზულების ერთი დეტალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღსანიშნავია ავტორის მისწრაფება, გამოიყენოს თავისი თხზულების ძირითად თემასთან დაკავშირებული ყოველი ხაზის წყარო. ოქროპირის ქადაგების შესახებ ჩვენ ზემოთ ვთქვით. აქ ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ვრიგოლ განმანათლებლის ანტონისეულ ცხოვრებაში ნინო ქართველთა განმანათლებლის შესახებ ჩართულ ეპიზოდზე, რომელიც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან არის აღებული, რასაც თვით ანტონი უთითებს, როგორც ეს მას სჩვევია. ქართველთა მოქცევის მატრიანეში აღნიშნულია, რომ რიფსიმესა და გაიანესთან ერთად ნინოც მოხვდა სომხეთში, მაგრამ ნინო სასწაულებრივ გადარჩა, ხოლო ისინი კი აწამეს. სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი თავისი ისტორიის მეორე წიგნში აღნიშნავს, რომ წმიდა მოციქულმა ნუნემ (ნინომ) იქადაგა კლარჯეთითგან მოყოლებული დარიალანამდის და კასპიის ზღვითგან მასაგეტთა საზღვრამდის, „ვითარცა გვაუწყებს ამას აგათანგელოსი“-ო<sup>123</sup>. ფიქრობენ, რომ აგათანგელოსის თხზულებაში, ალბათ, თავდაპირველად მართლაც არსებობდა ასეთი ცნობა, მაგრამ ის ამოღებულად მიაჩნიათ ქართული და სომხური ეკლესიის განხეთქილების შემდეგ. ასეთი რედაქცია შემდგომ თარგმნილ იქნა ბერძნულად, არაბულად და ქართულად და ამიტომაც ამ თარგმანებსაც არ შემოუნახავს ნინოს ხსენების კვალი<sup>124</sup>. ერთი სიტყვით, ანტონს საკმაო საფუძველი ჰქონდა თავის თხზულებაში შეეტანა გაიანესა და რიფსიმეს ეპიზოდთან დაკავშირებით ნინო განმანათლებლის ეპიზოდიც. მას, როგორც სომხურის მცოდნე განათლებულ ფილოლოგსა და ისტორიკოსს შეიძლება სცოდნოდა მოსე ხორენელის ისტორიის ეს აღკვეთილი.

<sup>123</sup> იე. ჯაეახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1935, გვ. 95.

<sup>124</sup> იქვე.

„მარტირიკის“ ზოგიერთი ენობრივ-სტილისტიკური  
თავისებურება

ანტონ ბაგრატიონის მრავალმხრივ შემოქმედებით მოღვაწეობაში ქართული ენის საკითხებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ანტონის მიერ შედგენილი პირველი მეცნიერული გრამატიკა გამოხატავს ავტორის თეორიულ შეხედულებებს ქართული ენის შესახებ<sup>1</sup>, რაც პრაქტიკულად განხორციელებულია მის ლიტერატურულ თხზულებებში და მის მოწაფეთა ლიტერატურულ საქმიანობაში<sup>2</sup>.

ანტონის თხზულებათა ენა თანამედროვე მკვლევართა სენათმეცნიერო შრომებში უარყოფით მოვლენად არის მიჩნეული და მისი ენობრივი თავისებურებები ძველი ქართული ენის უცოდინარობით ახსნილი<sup>3</sup>. მას უსაყვედურებენ ქართული ენის ბუნებრივი განვითარების დაბრკოლებას, სასაუბრო ენიდან არქაული ქართულისაკენ მიბრუნებას, სულხან-საბა ორბელიანისა და დაეით გურამიშვილის სადა ქართული ენის გახელოვნურებას<sup>4</sup>.

ანტონის მრავალრიცხოვან ნათარგმნ და ორიგინალურ თხზულებათაგან მხოლოდ უმცირესი ნაწილია გამოქვეყნებული და ამიტომ მისი ენის თავისებურებათა შესახებ არ არსებობს ისეთი სპეციალური გამოკვლევა, რომელიც გაითვალისწინებდა ანტონის მიერ დაწერილ სხვადასხვა ჟანრის თხზულებათა ენის სპეციფიკას მისივე „სამი სტილის თეორიის“ გათვალისწინებით. „სამი სტილის თეორიას“, რომელიც გავრცელებული იყო ანტონის თანამედროვე აღმოსავლური და დასავლური ენების გრამატიკებში (მაგ. სომხურში, რუსულში და სხვ.)<sup>5</sup>, ქართულში წინამძღვრები XII ს. წიაღში მოეპოვება იოანე პეტრიწის შემოქმედების სახით<sup>6</sup>; ანტონიც უპირველეს ყოვლისა ძველი ქართული ფილოსოფიურ-დოგმატიკური მწერლობის ტრადიციებს ემყარებოდა. ამის მაგალითია „მარტი-

<sup>1</sup> ე. ბაბუნაშვილი ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები. თბილისი, 1970.

<sup>2</sup> აკაკი შანიძე, ანტონ I-ის ვაჟენა სალიტერატურო ქართულზე, თბილისი, 1964.

<sup>3</sup> აკაკი შანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 76.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 21:

<sup>5</sup> ე. ბაბუნაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 230.

<sup>6</sup> დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბილისი, 1975, გვ. 59.

რიკის“ ენაც. ჩვენ ანტონის ენის თავისებურებათა შესახებ მსჯელობისას ამჯერად მხოლოდ ამ პაგიოგრაფიულ კრებულში შესულ თხზულებათა ენის თავისებურებებით შემოვიფარგლებოთ:

ქართული პაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე, იწერებოდა ძველი ქართული ენით და მათ ქართული ენის ბუნებრივი განვითარებით გამოწვეული სიახლენი საფუძვლიანად არ შეხებია. პაგიოგრაფიული მწერლობის ენა არქაული და კონსერვატიულია. ეს ეხება არა მარტო პაგიოგრაფიული ძეგლების ენას, არამედ საეკლესიო მწერლობის ყველა დარგის ძეგლებს. ამიტომ არ გვიკვირს, როდესაც სულხან საბა ორბელიანმა, რომლის „სიბრძნე სიცრუისა“ თითქმის ახალი ქართული ენის ნიმუშია, თავისი „სწავლანი“ ძველი საეკლესიო ენის ნორმების მიხედვით დაწერა<sup>7</sup>.

ანტონ ბაგრატიონის „მარტირია“ პაგიოგრაფიული ჟანრის ძეგლია და ამდენად მისი ენა ტრადიციული არქაულობით გამოირჩევა. ამასთანავე ნათელია, რომ ქართული პაგიოგრაფიული მწერლობის უმეტეს ძეგლებთან შედარებით „მარტირიკის“ ენა რთულია და სტილისტურად განსხვავებული. უპირველეს ყოვლისა ეს აინსნება იმ გარემოებით, რომ „მარტირია“ მეტაფრასტული პაგიოგრაფიის ჟანრს მიეკუთვნება. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში შექმნილი ქართული მეტაფრასტული ჟანრის ისეთი ძეგლები, როგორცაა იოვანე ზედაზნელის, დავით გარეჯელისა და სხვათა ცხოვრებები, ენობრივ-სტილისტიკური თავისებურებებით საგრძნობლად განსხვავდებოდა „შუშანიკის წამების“, „აბოს წამების“, „გრიგოლ ხანძთელისა“ და სხვა მსგავსი ძეგლების სადა და ნათელი ენისაგან. „მარტირიკის“ ენა შედარებით უფრო ახლოსაა დასახელებული ქართული მეტაფრასტული პაგიოგრაფიული ძეგლების ენასთან ჟანრობრივი სპეციფიკის გამო. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ანტონის შემოქმედებით თვალსაზრისს, როგორც ჩანს, მეტაფრასტული ჟანრი უფრო კარგად შეეწყო, რადგან აქ არსებობდა საშუალება კონკრეტულად მოწამეზე საუბრის დაწყებამდე ავტორს ყურადღება გაემახვილებინა მისთვის და მკითხველისათვის საინტერესო ფილოსოფიურ-დოგმატურ თუ ეთიკურ-ესთეტიკურ საკითხებზე. ეს კარგად ჩანს „მარტირიკაში“ შესულ ოცივე თხზულების შესავალ ნაწილებში. საყურადღებოა შემდეგიც: თითოეული

<sup>7</sup> ივ. ვიენიევილი, სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 33.

თხზულების შესავალი ნაწილი უფრო რთული ენობრივ-სტილისტიკური ნორმებითაა დაწერილი, ვიდრე ამავე თხზულების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მოწამის ცხოვრება-მოღვაწეობას ეხება, რადგან შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიურ-დოგმატიკური მწერლობის ტრადიციებით ფილოსოფიურ ტრაქტატს და ისტორიულ-ბიოგრაფიულ ნაწარმოებს სხვადასხვა სტილი შეესაბამებოდა. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ „მარტირიაში“ შესულ თითოეულ თხზულებას სათაურში „შესხმა და მოთხრობა“ ეწოდება. მამასაღამე, მოწამის ცხოვრებისეული ფაქტების ვადმოცემასთან ერთად თხზულებაში პანეგირიკული ჟანრის დამახასიათებელი პასაჟებიც მრავლად არის წარმოდგენილი. პანეგირიკული ანუ შესხმითი ნაწილი ზოგჯერ წინ უსწრებს მოწამის ბიოგრაფიული ცნობების შემცველ ნაწილს, ხოლო უფრო ხშირად კი მოსდევს მას და ისეთივე განსაკუთრებულად პათეტიკური, ამაღლებული რიტორიკული მანერითაა დაწერილი, როგორცაც ბიზანტიურ მწერლობაში ამ ჟანრის უდიდეს წარმომადგენელთა: ბასილი დიდის, გრიგოლ ნაზინზელის, გრიგოლ ნოსელთა, იოანე ოქროპირისა და სხვათა მიერ შექმნილ „შესხმებში“ ანუ „ენკომიებში“ ვხვდებით. ძველ ქართველ პაგიოგრაფთაგან ანტონის წინამორბედად იოანე საბანისძის დასახელება შეიძლება, რომლის თხზულებაში („წამება აბოასი“) ისტორიულ-ბიოგრაფიული ნაწილი „შესხმასან“ არის გაერთიანებული, მოგვიანო პერიოდიდან კი, ალბათ, ბესარიონ ორბელიშვილს „ბიძინა, შალეა და ელიზბარის შესხმა და წამება“ უნდა დავასახელოთ.

ამრიგად, ანტონ ბაგრატიონის „მარტირის“ ენის სირთულე და „ხელოვნურობა“ ძირითადად განპირობებულია ძველის ჟანრობრივი სპეციფიკით. კერძოდ, ფილოსოფიურ-დოგმატიკურ და პაგიოგრაფიულ-პანეგირიკული მწერლობის დარგების სპეციფიკური ენობრივ-სტილისტიკურა ტრადიციებისა და ძველი ქართული ენის ნორმების დაცვის სურვილით. სხვა საკითხია, როგორ აგრძელებს ანტონი თავის წინამორბედთა ამ ტრადიციებს, არღვევს თუ არა შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-რიტორიკული სტილს თავისებურებებსა და ძველი ქართული ენის ნორმებს, მოიპოვება თუ არა ანტონის ნაწერებში ისეთი ენობრივ-სტილისტიკური მონაცემები, რომლებიც მხოლოდ ანტონისათვისაა დამახასიათებელი. ამ საკითხზე პასუხის გაცემა გაჭირდება მარტოოდენ ანტონის რომელიმე თხზულებიდან ამოგლეჯილ ნაწყვეტზე დაყრდნობით. ყოველ შემთხვევაში მიღებული შთაბეჭდილების გაერყელება მთლიანად ანტონის ენაზე შეცდომა იქნებოდა. საჭიროა, რომ საბოლოო დას-

კენები ანტონის ენის თავისებურებათა შესახებ თითოეული თხზულების ენის შესწავლის საფუძველზე გაკეთდეს. ამის მაგალითია ანტონის გრამატიკულ თხზულებათა შესწავლა<sup>8</sup>, რის შედეგადაც ბევრი რამ ნათელი გახდა ანტონის ენის საკითხებთან დაკავშირებით. ა. შანიძის ნაშრომი „ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე“ ეძღვნება ანტონის ლიტერატურული სკოლის პოლიწესა მიერ საეკლესიო ბეჭდურ წიგნებში შეტანილ ენობრივ ცვლილებებს ანტონის ნორმების მიხედვით და კონკრეტულად თვით ანტონის თხზულებათა ენას არ ეხება.

„მარტირიკის“ პირველ გამოცემასთან დაკავშირებით უხერხულად ჩაეთვალოთ, არაფერი გვეთქვა ამ ძეგლის ენის შესახებ. წინამდებარე წერილს არავითარ შემთხვევაში არა აქვს ანტონ ბაგრატიონის ენის რამდენადმე სრული შესწავლის პრეტენზია თვით „მარტირიკის“ ტექსტის ფარგლებშიც კი, მაგრამ ტექსტზე, მუშაობის პროცესში შემჩნეული ზოგიერთი თავისებურების აღნიშვნა სასარგებლოდ მივიჩნით.

თავიდანვე შეენიშნავთ: მართალია, ჩვენ შევეცადეთ ეს თავისებურებები ტრადიციული თანმიმდევრობით წარმოგვედგინა, მაგრამ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით ეს პრინციპი დარღვეული აღმოჩნდება, რადგან ზოგჯერ საჭირო გახდა საკითხის კომპლექსურად განხილვა.

### ო რ თ ო გ რ ა ფ ი ა

უმარცვლო უ. უმარცვლო უ „მარტირიკაში“ ძველი ქართული ენის ძეგლებთან შედარებით გაცილებით ხშირად იხმარება. ანტონი უმარცვლო უ-ს სწერს არა მარტო ძველი ქართული ენის ნორმების შესაბამისად, არამედ ისეთ შემთხვევებშიც, სადაც მისი გამოყენება მოულოდნელია.

აქ თემისნიშნიან ზმნათა საწყისები „მარტირიკაში“ თითქმის მხოლოდ უმარცვლო უ-თი არიან წარმოდგენილი: ცოდუთა (49,4), მარხუთა (43,14), შერისხუად (45,32) შეკრუად (96,31), განკითხუთა (112,22), შემუსრუად (115,25), ბაძუად (89,6), განბძარუად (253,35), ვარდასახლუად (26,23) და სხვა უამრავი. ბუნებრივია, ასევე უმარცვლო უ-თია წარმოდგენილი აქ თემისნიშნიანი ზმნებიდან ნაწარმოები ყველა სახის მიმღობათა უმრავლესობა: მკაზრუელი (272,10), საჭირუელთა (283,18), მხილუელნი (18,9), მკულელი (18,33).

<sup>8</sup> ე. ბაბუნაშვილი, დსაბ. ნაშრომი.

საწყისების ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი სწორი ფორმით ხმარების რამდენიმე მაგალითი საერთო სურათს ვერ ცვლის:

ბძარვითა (316,7), ლოცვისა (31,19), მოფარდვით (34,4), განწუალვისა (39,26), ტყუენვად (258,37), განკარგვისა (268,4), შეწურვით (413,29), წარტყუნვისა (57,7). „მარტირიკაში“ ჩვეულებრივ უმარცვლო უ-თია მოცემული ზმნის პირიან ფორმებში თემისნიშნისეული ვ. თუკი მის წინ თანხმოვანია წარმოდგენილი: დაიცუა (41,17), დაიდუა (59,14), გარდაყუა (42,34), განაბრწყინუა (99,16) და სხვ.

ერთი სიტყვით, უმარცვლო უ-ს ხმარების ერთადერთი კანონზომიერება, რომელიც შეიძლება დადგინდეს „მარტირიკაში“, ასე უნდა ჩამოვაყალიბოთ: თანხმონის შემდეგ ვ-ს ნაცვლად იწერება უმარცვლო უ, მიუხედავად იმისა, რომ ვ თანხმონის შემდეგ აღმოჩნდა კუმშვის შედეგად; ხოლო ხმონის შემდეგ უგამონაკლისოდ იწერება ვ. ეს კანონზომიერება „მარტირიკის“ ტექსტებში ძირითადად გატარებულია, თუმცა მას საკმარისი გამონაკლისებიც აქვს. ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ რამდენიმე ისეთი საწყისი, სადაც ვ-ა დადასტურებული. მათ გარდა რამდენიმე ათეული მაგალითი შეიძლება დიძებნოს, სადაც ძველი ქართული ენის ნორმები დაცულია: სურვილი (275,8 და ხშირად), ჰგულვიდეს (275,18), შეილთა (259,11 და რამდენიმე სხვა), ვლტოლვილი (235,11), ბრწყინვიდა (290,18), წარმოსტყუენვიდა (373,18), მისლვისა (345,13), აღუხილვიდა (406,19), შეკმუსრვიდეს (406,29), იხილვიდა (413,6), განვიდა (413,23), მტარვალთა (32,4), დაწურვილი (33,26), წარტყუენვითა (56,25), ქურჯენვილი (95,7), გეშიშვი (226,21), შეემსკუალვის (40,28), განკარგვიდის (89,3), შეიწირვოდეს (116,6), შემუსრვილი (131,8), აღმტრკვოდეს (149,16), დაქფარვიდა (162,6), შეიკრვოდეს (183,21), მაქვს (218,26). ჩამოთვლილი მაგალითები, შესაძლებელია, მთლიანად არ ამოწურავს მსგავსი ფორმების რიცხვს „მარტირიკაში“, მაგრამ ამავე სიტყვების უმარცვლო უ-თი ხმარების შემთხვევები გაცილებით მეტია. ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოთჩამოთვლილი ვ-იანი ფორმების ნაწილი მოდის იმ ციტატებზე, რომლებიც თავის თხზულებებში ანტონს ახალი და ძველი აღთქმის წიგნებიდან შეუტანია. ძნელია დავადგინოთ რაიმე კანონზომიერება ჩამოთვლილი და მსგავსი ვ-იანი ფორმების ხმარებისა, მაგრამ ერთი შეიძლება შევნიშნოთ, რომ ასეთი მაგალითების უმეტესობა მოდის ავ თემისნიშნიანი ზმნების უწყვეტლს III პირის ფორმებზე (აღუხილვიდა, დაქფარვიდა, შეკმუსრვიდეს,



ბრწყინვიდა, იხილვიდა და სხვ.). „მარტირიაში“ უმარცვლო უ-თია წარმოდგენილი ის სიტყვები, რომლებსაც ძირში ვ აქვთ: რუალი, რუამ, აღული, იანუარი, იუნისი, ქართუშლი, ქუშლი (და მისგან ნაწარმოები კომპოზიტები), ცუალება, ნაცუალად, წუალე-ბამ (განწუალება), საზლუარი, პირუშლი, ქუა.

ანტონის „გატაცება“ ვ-ის უმარცვლო უ-თი შეცვლისა ისე შორსაა წასული, რომ რამდენიმე შემთხვევაში უმარცვლო უ-თია წარმოდგენილი სუბიექტური I პირის ნიშანიც: „... რათა განუბანოცა პირი შენი“ (95,15) „აღუავსოთ... ეკლესიამ“ (132,18), „აღუადგინოთ...“ (132,23) „უკეთუ აღუასრულეო თანანადები...“ (408,29) „არა ქვშაა ზედა აღუაშენე სახლი ქრისტეს... მიმართ“ (276,12) „აღუსთქუამ უკუე მსმენელთად...“ (38,34).

აღსანიშნავია, რომ ერთხელ ნაწილაკი ვე თანხმოვანფუძიან სახელს შემდეგ ანტონს თუ თხზულების გადამწერს უშ კომპლექსად უქცევია: „ესფერუშ ლალადებდა“ (262,15). აქვეა აღსანიშნავი რამდენიმე სიტყვაში ივ ფორმანტის იუ-თი დაწერილობის შემთხვევები: „შიშულიუ (338,18), ლუთიუ (327,17,18). ალბათ, მოტანილი მაგალითები უფრო შემთხვევითია, ამიტომ ის ვერ შეცვლის იმ საერთო სურათს, სადაც სუბიექტური I პირის ვ, -ვე ნაწილაკი და -ივ ფორმანტი უამრავ შემთხვევაში სწორადაა წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის ქართული მწერლობის ქველებში საპირისპირო სურათია დადასტურებული: უმარცვლო უ-ს ადგილს თანდათანობით ვ იჭერს. მთელი ამ უზარმაზარი ტექსტის მანძილზე მხოლოდ რამდენიმე მაგალითი შეგვხვდა ამ სახისა და ისიც ერთგვაროვანია: I ობიექტური პირის ნიშნად მრავლობითში ზოგჯერ გვაქვს არა გუ, არამედ გვ: შეგვირაყნიეს (183,14), გვიყიდენ (277,23), გვიღირს (41,32). მოგვიყუანნა (85,20), მოგვიღებიეს (138,19). მიუხედავად ამ რამდენიმე მაგალითისა (მათი რიცხვი შეიძლება მეტიც იყოს), „მარტირიკის“ ტექსტში ძირითადად I ობიექტური პირის ნიშნად მრავლობით რიცხვში გუ იხმარება. სხვა მაგალითებიდან დავასახელებთ: მახილი (280,25), თუმცა იმავე წინადადებაში „მახული-ც გვხვდება“ (280,28), და ყვითელ (352,15).

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სიტყვაში უმარცვლო უ აღარ იხმარება: უკეთუ, თქმა (და მისგან ნაწარმოები თქმული, სათქმელი), კმევა, საკმეველი, საკმევი, კმევა, უკანა, უკანააქნელი, აღხმა. პირიქით, უმარცვლო უ განვითარებულია იქ, სადაც ძველად არ გვქონდა: მლუღ-

ლი და მისგან ნაწარმოებ ყველა სიტყვაში: სამღუდელო, უმღუდელო და სხვ. სწორედ ასეთი ფორმიდან განვითარდა (უ-ს ვ-ნად ქცევით) დღევანდელი მ ღ ვ დ ე ლ ი ფორმა.

მ ასო. „მარტირიაში“, გამონაკლისის გარეშე, თუ უპარცვლო უ-ს ე ხმოვანი მოსდევს, ის აუცილებლად მ-ს ფორმითაა წარმოდგენილი. ცნობილია, რომ ძველ ქართულში მ დიფთონგს აღნიშნავდა და ე + ა შეხვედრის დროს იწერებოდა. ჩანს, მ-ს ამგვარმა გაგებამ თანდათან დაკარგა აზრი და უკვე IX—XI საუკუნეების ზოგიერთ ძეგლში მას მხოლოდ ორთოგრაფიული ნიშნის ფუნქციად შეჩნდა. „მარტირიაში“ არც ერთი შემთხვევა არ გვხვდება ისეთი, რომ უპარცვლო უ-ს ე მოსდევდეს: ის აუცილებლად მ-ფორმით იქნება წარმოდგენილი. ამასთანავე მ-ს არასოდეს არ აქვს ე + ა დიფთონგის გაგება, რაც იქიდანაც ჩანს, რომ თუ ე-ზე დაბოლოებულ სიტყვას ა მოსდევს, იწერება არა მ, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ემ: მეფემ, ციხემ, საქმემ, მარჯუენემ, სიკეთემ და ა. შ. ორიოდ მაგალითში ნახმარია მეუფე (241,29. 357,1) და ისიც წყაროდ გამოყენებული ციტატიდან შექანიკურად გადმოსული უნდა იყოს, რადგანაც მეუფემო (299,6, 367,28) და მარჯუმე (VI, 190,162) ფორმებში შეუძლებელია მ-ის ხმარების რაიმე კანონზომიერებაზე ლაპარაკი.

მს კომპლექსი. მს კომპლექსი „მარტირიაში“ ძალიან გავრცელებულია: იხმარება როგორც ზმნების პირიან ფორმებში, ასევე ზოგჯერ საწყისებსა და მიმღობებში. იგი იხმარება შემდეგ შემთხვევებში: თუ ზმნის ფუძე თანხმონით იწყება, ანტონის მართლწერის მიხედვით მას თავში ჰ უნდა დაეურთოთ, რომელიც ზოგჯერ გადაჰყვება მას საწყისებში და მიმღობებშიც: ვჰპოვე, ჰრბიელ, ჰყუან, მჰრქუა და სხვა, ხოლო იმ ზმნებს და შესაბამის საწყისებს და მიმღობებს, რომელთა ფუძეები დ, თ, ტ მ, ც, წ, ჯ, ჩ, ჰ თანხმონებით იწყებიან, ყოველთვის წინ ერთვის მს კომპლექსი: აღმსდგეს, მსთქუა, განმსთესნა, დაემსცევენით, განმსძღეს და ა. შ. ასევე საჰსჯელი, მსჯული, აღმსპობა (201,19), „მსგაესი“ (194,17) და სხვა. მ და ს ზოგჯერ გათიშულია: შეჰმსწირავთ, (367,30), მსთაერობდა (269,17; 272,20) და სხვა. მს კომპლექსის ხმარების აღნიშნული წესებიდან გადახვევის შემთხვევებიც საკმაო რაოდენობით შეიძლება შეგვხვდეს.

კ-სა და ხ-ს აღრევა. „მარტირიაში“ ორივე ასო ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვითაა გამოყენებული, თუმცა ზოგჯერ თავს იჩენს. გვიანდელი ქართულის ტენდენცია კ-ის მაგივრად ხ-ის ხმარებისა: „და აჰა აღმოიხადა მაკული...“ (367,36), „რომლი-

სათეს არამცირედ მიეხალდების პატივი...“ (369,10), მაგრამ: „ესე უკუე პატივი, რომელ მიჰკადა ლმერთმან...“ (395,22), ანდა „მოიკსენეთ და სურვილი იგი ჩემი...“ (275,8), მაგრამ იქვე: „მომისხენეთ და ლოცუად ჰყავთ ჩემთს“ (275,11). გვაქვს პირიქითაც: მოსალოდნელი მახვლი-ს ნაცვლად ზოგჯერ გვხვდება მაკვლი (367,36) და სხე.

გ ნახვეარხმოვანი. ანტონმა ქართული ენის მის მიერ შედგენილ გრამატიკაში ქართულ ენაში მანამდე არსებულ ასოთა რიცხვს სომხური ენის მიბაძვით დაუმატა გ ნახვეარხმოვანი. მისი აზრით, ამ ჭოს ჩართვა გააადვილებდა რამდენიმე ერთად თავმოყრილი თანხმოვნის გამოთქმას. ანტონი მიუთითებს, რომ ამ ასოს წერტილობით გამოსახვა საჭიროა მაშინ, როდესაც გადასატანი სიტყვის თავში ან ბოლოში უხმოვნოდ რჩება რამდენიმე თანხმოვანი<sup>9</sup>. გ ნახვეარხმოვნის ჩართვა სიტყვის შესაბამის ადგილას შექმნის მარცვალს და გადატანის წესები აღარ დაირღვევა: მაგ. მპყტრ-ობელთა (A, 143,24) მსგ. ბიან (A, 144,25) ბტრ-ძანა (A, 344,10) და სხე. „მარტიკაში“ ეს წესი გატარებულია მხოლოდ ნაწილობრივ: გ ნიშანი გვხვდება გადასატანი სიტყვის პირველ ნაწილში. მთელი ტექსტის მანძილზე გ-ს ხმარება რამდენიმე ათეული შემთხვევაა დადასტურებული. როგორც ცნობილია, ეს ნიშანი ვერ დამკვიდრდა ქართულ ენაში. იგი „მარტიკის“ გამოსატყობად მომზადებულ ტექსტში არ არის გათვალისწინებული.

ფ ასო. როგორც ცნობილია, ქართულ ენას თავიდანვე ჰქონდა და აქვს წყვილბაგისმიერი ბგერა ფ; ძველი ბერძნულიდან გადმოტანილი სიტყვები, რომლებიც ფ-ს (ასევე წყვილბაგისმიერ ბგერას) შეიცავდნენ, ფ ნიშნით გადმოჰქონდათ. როდესაც ბერძნული ფ-ს გამოთქმა შეიცვალა და ის კბილბაგისმიერ ბგერად იქცა, ლათინურსა და ევროპულ ენებში მას გამოსატყობად f ასოს საშუალებით. სომხურმაც შეითვისა ეს ბგერა და მას ფ გრაფიკული გამოსატყობა მისცა, რომელიც ბერძნული წარმოშობისაა. ქართულშიც იყო ცდა დაემკვიდრებინათ ეს ბგერა და სულხან-საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონში შეიტანა მისი ბერძნული მოხაზულობა ფ. ანტონ I-მა მას ფ-ს მოხაზულობა მისცა და ისე დაამკვიდრა თავის ნაშრომებში, რაც შემდეგ მისი მოწაფეების ნაწერებშიც გავრცელდა<sup>10</sup>. „მარტიკაში“ ეს ასო იხმარება უცხო ენებიდან

<sup>9</sup> დაწერილებით იხ. ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბილისი, 1964, გვ. 9—16.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 17—19.

(უმეტესად ბერძნულიდან) შემოსულ საკუთარსა და საზოგადო სახელებში. ქვემოთ ჩამოთვლილი სახელები და სიტყვები ყოველთვის მხოლოდ *ფ-თია* წარმოდგენილი: *ტილოსოფიისა* (12,23), *ფრასთა* (14,10), *სტერაჲ* (36,7), *უკუჰსტერდების* (253,20). *უკუნჰსტერები* (228,29), *პორტირი* (72,17), *ფანტაზიანი* (42,25), *საპტირონისა* (110,26), *მორტნაკუეთობითითა* (42,1), *ტინიკისანი* (137,18), *პასტოტორნი* (176,24), *მეტაფრასი* (341,17), *ტიალისა* (358,23), *სერატიმ* (270,21), *ფარაომსა* (195,21), *ყარამტილ* (67,10), *ფარსისტანისა* (63,19), *ანაკოფიისა* (76,1), *ევტრატისულთა* (247,37), *აქოტს* (ესე იგი *ქოტიოს* 96,18), *ფარსმან* (118,16), *ნეოტიტე* (128,24), *სტეფანეს* (133,11), *ხრისტოტორის* (135,8) *აქროდიტისა* (258,33), *ფოკა* (343,1), *რემფასი* (406,35), *ევტრატისა* (347,21). აი, თითქმის ყველა სიტყვა, რომელიც „მარტირიკაში“ *ფ-თია* გადმოცემული. აქვე დავსძენთ, რომ ერთხელ ძირეული ქართული სიტყვაც *ფ-თია* წარმოდგენილი: *ტიცარნი* (339,2). ეს *ასო-ნიშანიც* ვერ შეითვალა ქართულმა ენამ და მისი გათვალისწინებაც არ ვსცანით საჭიროდ „მარტირიკის“ გამოსაცემად მომზადებულ ტექსტში. ასეთი ფორმები ვარიანტებშიც აღარ გვიჩვენებია.

სასვენნი და დიაკრიტიკული ნიშნები. ანტონი „მარტირიკაში“ ძირითადად იყენებს იმ სასვენ ნიშნებს, რომლებიც აღრინდელ ხელნაწერებში და პირველ ნაბეჭდ წიგნებში გვხვდება, მაგრამ ცდილობს მათ ხმარებას მყარი ხასიათი მისცეს. ორწერტილი ღის-ტემატურად იხმარება დღევანდელი წერტილის მნიშვნელობით: „ვითარ სადამე წარმიტაცო მე.“ (აბზაცის ბოლო). მძიმე იხმარება დაახლოებით დღევანდელი მძიმის მნიშვნელობით: „მჯდომარე არს მარჯუენით მამისა, რომელიცა მოსულად არს დიდებით, რათა ჭეშმარიტებით მსახურნი...“ (144,35).

ანტონი სიტყვების გადატანისას ხმარობს დეფისს, მისი ტერ-მინოლოგიით ქვენაშთს.

მოხრილი წარმოადგენს კაუჭის მსგავს ნიშანს, რკალით ზევით მიმართულს. იგი დაერთვის კითხვითი წინადადების ბოლო სიტყვის ბოლო ასოს<sup>1</sup> და წოდებითში დასმულ იმ სახელებს, რომელთაც წოდებითის ნიშანი არა აქვთ და გარეგნულად არ განსხვავდებიან სახელობითისა და მოთხრობითის ფორმებისაგან. მოხრილი დაერთვის ემა შორისდებულს, წოდებითის შსაც.

<sup>1</sup> ტექნიკური მიზეზების გამო ამ ნიშნის ხმარების მაგალითებს ვერ ვაჩვენებთ.

„მარტირიაში“ სისტემატურად იხმარება ე. წ. იპოდამოსტოლი ანუ გარემორთხმული, რომელიც „წარმოადგენს მცირე რკალის ნაწილს, . . . კორინთონტალურად გადაკვეთილს“<sup>11</sup> (♣). ეს ნიშანი „მარტირიაში“ გამოყენებულია რთული სიტყვების ანუ კომპოზიტების დაწერილობის დროს, აგრეთვე ტმესის შემთხვევაშიც. ეს ნიშანი თანამედროვე ქართულში ხმარებულ დეფისის შესატყვისია: შრავალღერთა (148,22), წინაღაღუღებღეს (148,22), იხმარება აგრეთვე სიტყვის გაორკვეებისას: დიდღდიღნი, ფერადღფერადი, კაცადღკაცადი... ამავე ნიშნით წერს ანტონი მეშველზმნიან ფორმებს: ერთღარღს, სახელღებღულღარღს და ა. შ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომპოზიტის გადატანისას სტრიქონიდან სტრიქონზე გარემორთხმული სიტყვის პირველ ნაწილსაც აქვს ბოლოში და მეორე ნაწილსაც დასაწყისში: შრავალღმთისათა (275,7, 436, 28). საინტერესოა ანტონის მიერ ქართულში შემოღებული დიაკრიტიკული ანუ გასარჩევი ნიშნები. ბევრ სხვადასხვა ენაში ასეთი ნიშნების გამოყენება აუცილებლობითაა გამოწვეული (ზოგიერთ ევროპულ ენაში, რუსულში, სემიტურ ენებში და სხვ.). ქართულში მისი ხმარება ანტონამდე არ გვხვდებოდა: უმარცვლო უ-ს ნიშანი ძვ. ქართულში არ ჰქონია, მარცვლიანი და უმარცვლო უ ერთნაირად იწერებოდა. ანტონმა მათ განსასხვავებლად უმარცვლო უ-ს თავზე პატარა სამკუთხედი, კუთხით ზემოთ მიმართული, დაუწერა. ეს ნიშანი ანტონმა, როგორც ჩანს, სომხურის მიბაძვით შემოიტანა.

კლებული, რომელიც წარმოადგენს მცირე რგოლს (°), ანტონის ორთოგრაფიით იწერება ადამიანის სახელის უკანასკნელი ასოს თავზე, თუ სახელი წინადადებაში სუბიექტად (ქვემდებარედ) არის ნახმარი და მოთხრობით ბრუნვაში დგას. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ადამიანის სახელი მოთხრობით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის გარეშე, ფუძის სახითაა წარმოდგენილი და ფორმით იგი ემთხვევა ამავე სახელის სახელობითსა და წოდებითს. სწორედ სახელობითისა და წოდებითისაგან გასარჩევალ გამოიყენა ანტონმა მოთხრობითი ბრუნვისათვის ეს ნიშანი: „გამოქსახა თუს ზელა ნიში... წმიდამან ღავით და მიუგო“ (162,17) და სხვ. ეს ნიშანი ანტონს სომხური ენის გავლენით შემოუღია<sup>12</sup>.

<sup>11</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

<sup>12</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

მახვილი „მარტირიაში“ რამდენიმე მნიშვნელობით არის გამოყენებული: ა) მახვილი, რომელიც წარმოადგენს მარჯვნიდან მარცხნივ ირიბად დახრილ ხაზს, დაუჰამის სიტყვის უკანასკნელ ასოს და აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა პირდაპირი ობიექტია, რომელსაც ანტონი „საძიებოს“ უწოდებს: „რამეთუ შეუკრნეს კელნი<sup>13</sup> და ფერკნი“ (166,37), მაგრამ: „უფალმან ლოცუა ჩემი შეიწყნარა“ (243,18). როგორც ვხედავთ, მახვილი არ უზღის „ლოცუა“ სიტყვას, რადგან, ანტონის გრამატიკული მოძღვრების თანახმად, „ლოცუა“ შემასმენლობით ბრუნვაშია, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ წინადადებაში მოცემული სხვა სიტყვებიც: კელნი, ფერკნი. ლოცუა გამოირჩეულია იმით, რომ ის ხმოვანზე დამთავრებული სახელია, ა კი უჩვენებს, რომ ის არის არა სახელობითში, არამედ შემასმენლობითში, ამიტომ მას მახვილი აღარ სჭირდება (უნდა გავიხსენოთ, რომ შემასმენლობითი ბრუნვა ანტონისათვის მხოლოდ პირდაპირი დამატების ბრუნვაა და შემოტანილია სხვა ენებში არსებული ბრალდებითი ბრუნვის ბადალად. ანტონი ხმოვანფუძიან სახელთა სახელობით ბრუნვას ძირითადად ფუძის სახით გადმოსცემს ისევე, როგორც წრფელობითს და მათზე მ-ს დართვით აწარმოებს შემასმენლობითს, არცთუ იშვიათად ანტონთან სახელობითშიც გვხვდება მ). მახვილი დაერთვის ნაცვალსახელსაც, თუკი ის პირდაპირი ობიექტის ფუნქციით არის ნახმარი.

ბ) თუ მახვილი ზმნის პირიან ფორმას დაესმის, ის აღნიშნავს, რომ ფორმა წართქმითი ბრძანებითია. მახვილი ზმნის უკანასკნელ ხმოვანს მოუდის. თუ ბრძანება უკუთქმითია (ე. ი. აკრძალვითი), მაშინ მახვილი დაესმის უარყოფით ნაწილსაც (რა, ნუ). არა და ვერ უარყოფით ნაწილსაც და მათგან ნაწარმოებ რთულ ნაწილსაც მახვილი დაერთვის ზმნის თხრობით და კავშირებით ფორმებთანაც<sup>13</sup> (მახვილი არა-ში ყოველთვის პირველ ხმოვანზე).

დაქარაგმება და მისი ნიშნები. ძველი ქართული ხელნაწერებისაგან განსხვავებით ანტონი „მარტირიაში“ იყენებს რამდენიმე სახის დაქარაგმების ნიშანს. მისი გრამატიკის პირველი რედაქციის მიხედვით ქარაგმის სახეებია: 1. საუფლო, 2. სამთავრო, 3. საზოგადო და 4. საკმოვნო. საუფლო ქარაგმა, რომელიც ასომთავრულს ჰგავს, ე. წ. „წმიდა“ სიტყვების შექამოკლებლად იხმარება (ლი, იუ, ქე, უი, წმ, ანეს, კსი და ა. შ.). სამთავრო ქარაგმა

<sup>13</sup> ანტონის თეორიული მსჯელობა ორთოგრაფიის საკითხებზე და მისი ანალოზი იხილეთ ე. ბაბუნაშვილის ნაშრომში „ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები“, თბილისი, 1970, გვ. 28—77.

„დიდ ასოებს ამოკლებს“ (ხ, რ...), საყოველთაო ანუ საზოგადო ჩვეულებრივი სიტყვების შესამოკლებლად იხმარება (ად, ვე, რლსა და ა. შ.), ხოლო „საკმოვანო“ მხოლოდ ხმონების შესამოკლებლად იხმარება (ჩმი, შნი და სხვ.)<sup>14</sup>. გრამატიკის მეორე რედაქციაში ანტონმა ქარაგმების დაჯგუფება და ტერმინოლოგია შეცვალა, მაგრამ ქარაგმების ნიშნებსა და გამოყენების წესში ცვლილება არ შეუტანია<sup>15</sup>.

ქარაგმის დაწერილობის ფორმა და ხმარების წესები „მარტიკაში“ პრაქტიკულად ასახავს ანტონის თეორიულ მსჯელობებს ამ საკითხებზე.

### ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი

ა. შანიძე აღნიშნავს, რომ „ანტონი არ ცნობს საჭიროდ, დაიცვას ზოგიერთი ფონეტიკური წესი, რომლებიც საუკუნეებრივი ლიტერატურული ტრადიციით იყო განმტკიცებული ქართულში, და არღვევს მას“<sup>16</sup>. ენახოთ, რა მდგომარეობა გვაქვს „მარტიკაში“.

თანხმოვანთა გაორკეცება. ქართულ ენაში ჩვეულებრივ თანხმოვანთა გაორკეცება მორფოლოგიური ხასიათისაა და ფუძისეული და სუფიქს-აფიქსისეული ერთნაირ ბგერების შეხვედრისას წარმოიშობა: წარავლინა ივინი, ჩემმან, ცხენნი, თითთა, სასმისსა, გგონიეს, შმოსიყჷ და სხვ. მრავალი. სამაგიეროდ ძალიან იშვიათია შემთხვევები, რომ ორი ერთნაირი თანხმოვანი გვექონდეს სიტყვის ფუძეში (თთუე, ჩჩული).

ქართული ენის ფონეტიკური წესების მიხედვით უცხო წარმოშობის სიტყვებში ორი ერთნაირი თანხმოვნიდან ერთ-ერთი ჩვეულებრივ იკარგება. ამის დასტურად უამრავი მაგალითების მოტანა შეიძლება ძველი ქართული ძეგლებიდან. ანტონი სხვა თვალსაზრისს ადგას: მისი აზრით, უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვაში ორივე თანხმოვანი უნდა იყოს შენარჩუნებული ქართულშიც. ამ პრინციპს ის „მარტიკაშიც“ ატარებს:

„და სახელი მისი ემმანუილ“ (405,8)

„პრქუა წმიდამან სუსანნა...“ (93,26 და მრავალჯერ)

„მოიყუანა ცოლად ასული გურიელისა ანნაჲ (23,24)

<sup>14</sup> ე. ბაბუნაშვილი, დსაახ. ნაშრომი, გვ. 64. ქარაგმის ნიშნებსაც ტექნიკურ-მიზნების გამო ვერ ვაჩვენებთ.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 65—66

<sup>16</sup> ა. შანიძე, დსაახ. ნაშრომი, გვ. 32

„მოკულა დედოფალი ანა“ (23,25)

„რომლითა ვლალადებთ: „აბბა, მამაო“ (108,5)

„არა შემინდობს მე ეკკლესიაჲ“ (24,5)

„შექსჭირდა ეკკლესიათათუს“ (26,30 და ყოველთვის)

„კელღინსა შინა თქსა უნიეთთა ლოცუათა შემწირუელი“... (133,1)

„ელღინთა მიმართ ქმნილთასა“ (47,14).

„გალობენ... ეღინნი“ (27,30) იშვიათი გამონაკლისია; ალბათ, მეორე ლ მექანიკურად არის გამოტოვებული. ძველი ქართული სათესის დამახასიათებელი „თთუე“ და „ჩჩული“ „მარტირიკაში“ ყოველთვის ასე იწერება, მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნის ანტონამდელ ძეგლებში ბუნებრივია თუეს სმარება.

„მარტირიკაში“ მითითებული წყაროების დასახელებებში ყოველთვის გვხვდება: ფილიპპ. ე. ი. პავლეს ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ. „აბბა“ უძველეს ქართულ ძეგლებშიც დასტურდება.

ღისიმილაცია. ასიმილაცია. უცხო წარმოშობის სიტყვები ქართულში ღისიმილაციის წესს ისევე ექვემდებარება, როგორც ძირეული ლექსიკა: მაგ. მარგალიტი (შდრ. ბერძ. margarites) ანტონი არღვევს ამ წესს და ამ სიტყვას ბერძნულისათვის დამახასიათებელი არადისიმილირებული ფორმით წარმოგვიღვევს: „აჲ მარგარიტნი უსასყიდლონი“ (173,34). ასევე, საკუთარ სახელს გრიგოლ, რომელიც ამ სახით დიდი ხანია დამკვიდრდა ქართულში,<sup>17</sup> ანტონი ყოველთვის გრიგორი ფორმით სმარობს: „გარნა გრიგორი... მოითრია მკეცი იგი“ (414,8).

ასევე, ზესთა ამოსავალ ფორმას სმარობს ანტონი ძვ. ქართულში უკვე დამკვიდრებულ ზეშთა-ს ნაცვლად. „ყოვლითურთ ზესთა ექმნების მოგებითა თუს შორის ქრისტე“ (185,23), „რომელმანცა ზესთა სოფლისა აღამალა იგი...“ 276,36).

აქვე უნდა განვიხილოთ ზმნის ისეთი ფორმები, რომლებიც ჩვეულებრივ ძველ ქართულში შერწყმული სახით გვხვდება: მაც, გაც, აც და მათი თანა და ძალ-თან შეერთებით მიღებული შედგენილი ზმნები: თანა-მაც, თანა-გაც, თანა-აც, ძალ-მაც, ძალ-გაც, ძალ-უც. „ღრამპატიკოსა კანონსა ზედა განმართუა“ მოითხოვს, რომ სიტყვის ფორმა ნათელი იყოს, რომ არ იყოს იგი დაბნელებული ფონეტიკური წესების ჩარევის გამო.<sup>18</sup> ამიტომია, რომ ან-

17 მ. შანიძე, ი სომანფუსიან ანტროპონიმთა ბრუნების ისტორიისათვის ქართულში, იბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბილისი, 1969, გვ. 131—144.

18 ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.



ტონი აღადგენს ამ ზმნათა ამოსაველ ფორმებს:

„არა თანა-მამსა თქმად“ (408,30)

„გარნა თანა-გამსთ, რათა...“ (412,18)

„გარნა თანა-გამს თქუენ საჭიროდ“ (181,4)

„ვინა თანა-მამს მე საჭიროდ“ (238,32)

„ვითარ-იგი ცხოველ-მხატუართა თანა-ამს“ (108,30)

„ვერვის ძალ-უძს მღუდელმოქმედებად“ (41,24)

„თანა-გუამს, შვილო, რათა წარეკვზავნოთ“. (407,33)

„თუ სადამე ძალ-უძს მორევენად“ (24,33)

„და რამცა თანა-ამსთ ქრისტიანეთა...“ (134,16 და სხვა უამრავი). მარტირიაში არცთუ იშვიათადაა დადასტურებული მაგალითები, როდესაც ეს ფორმები ასიმილირებული ფორმით გვხვდება:

„რომელსაცა ძალ-უცს, ვითარცა“ (221,20)

„სულისა ძალ-უცს შესულად სასუფეველსა ღმრთისასა“ (407,25)

„ძალ-გიცსა სასმელი, რომელსა მე შექესუამ, შესმად...“ (120,24)

„ვინა თანა-გუაცს სიკუდილი...“ (132,13) და სხვა.

ბერძნულიდან მომდინარე ზოგიერთი სიტყვის დაწერილობა ბერძნულიდან მომდინარე ოს დაბოლოებიანი საკუთარი და საზოგადო სახელები ქართულში ზოგჯერ ოს, ზოგჯერ კი ოზ დაბოლოებით გვხვდება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ანტონი „მარტირიაში“ ამ სახელებს მხოლოდ ოს დაბოლოებით ხმარობს: აქ ჩვეულებრივია ეპისკოპოს, კათალიკოს, ანგელოს, ფილოსოფოს, პატრიკოს, ნიკოლას, სუქიოს, ხრისოს, გაიოს, მატთეოს, ბარბაროს, ლუკიანოს, პოლიევქტოს, კონდრატოს, ევქერიოს, მიმიანოს, ნერგოს, დომენტიანოს, ანდრიანოს, ზოსიმოს, ვიკტორიოს, თალალოს, ორბანოს, ანასტასიოს, იაკობოს, თეოდოსატოს.

„მარტირიკის“ ტექსტში დადასტურებული ანგელოზ ტიპის ორიოდე მაგალითი შემთხვევითი ჩანს და ძველი ქართული ტექსტების გაელენით უნდა აიხსნას.

რადგან ბერძნულიდან სახელების გადმოტანის საკითხს შევეხეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტონი უარყოფს მათე-ს ტრადიციულ ფორმას და მას ბერძნულის მსგავსად მხოლოდ მატთე-ს ფორმით ხმარობს<sup>19</sup> (იგი მას ხშირად იმოწმებს სახარებიდან მოტანილი ციტატების დროს).

<sup>19</sup> ა. შანიძე, ლასხ. ნაშრომი, გვ. 41.

ზოგიერთი ფორმა ახალბერძნულის მიხედვით. როგორც ცნობილია, ბერძნულ ენაში, საიდანაც ქართველები ქრისტიანობის მიღების დღიდან თარგმნიდნენ ლიტერატურულ ძეგლებს, დროთა განმავლობაში ბევრი ხმოვნისა და თანხმოვნის გამოთქმა შეიცვალა, თუმცა მათი დაწერილობა იგივე დარჩა. მართალია, ეს პროცესი ბერძნულში V ს. უკვე დამთავრებული ჩანს<sup>20</sup>, მაგრამ ბერძნული ძველი გამოთქმის ამსახველი ფორმები დიდხანს დარჩა ქართულში. ახალი გამოთქმის ასახვა ქართული წყაროების მიხედვით გაცილებით გვიან, X—XII ს-დან შეიმჩნევა. ეს ეხება ბერძნულ η-ს, რომელიც ი-დ იქცა, ასევე გადმოსცემენ β-ს ვ-დ, γ -ს ღ-დ, φ-ს ფ-დ, ხოლო X-ს (რომელიც ძველ წყაროებში ქ-დ გადმოდიოდა) ხ-დ. ანტონმა, რომელმაც ბერძნული თბილისში მყოფი პართენი ჰამფილიის მიტროპოლიტთან ისწავლა<sup>21</sup>, ალბათ, აღიქვა ეს ცვლილებები და თავს ნაწერებში ზემოთდასახელებული ბგერათა შემცველი სიტყვები ახლებური ორთოგრაფიით დაამკვიდრა. „მარტირიაში“ მხოლოდ ასეთი ფორმები გვხვდება: ამინ (ძვ. ამენ). „მარტირიაის“ ყველა თხზულების ბოლოს; ილია (ძვ. ელია): „და მას შინა მემხოლოებაჲ ილიასი თეზბიტელისა თჳს შორის მოიგო...“ (125,21; 416,19). იერუსალიმ//იეროსალიმ (ძვ. იერუსალემ, 251,1; 132,28; და სხვ.), იროდი (ქეროდე, 18,33; 19,20), დანიელ (დანიელ) „შთააგდეს დანიილი ბარბაროსთა...“ (397,20, 348,15 და სხვ. მრავალი), ისრაილ (ძვ. ისრაელ, 411,2; 404,16; 404,12; 395,2 და სხვ. მრ.), ისაია (ძვ. ესაია, 408,15, 415,4 და სხვ. მრავალი), ემანუილ (ძვ. ემანუელ, 405,8), მიხაილ (ძვ. მიქაელ, 282,2 290,19) და სხვ.

ბერძნული β-ს შემცველ სახელებს, რომლებიც ძველადვე ქართულად ბ-თი იყო გადმოსული, ანტონი ნაკლებად შეხებია, რადგან ასეთი ფორმები ტრადიციით ძალზე განმტკიცებული იყო ქართულში. მაგრამ ბასილი-ს დაწერილობა „მარტირიაის“ მიხედვით ყოველთვის ვასილი-ა: „ჰსთქუა დიდმან ვასილი... (XV, 452, 22 და მრავალჯერ) და ვასილიკო (379,9). ასევე, ეპიტორიოს ბიქტორის ნაცვლად (343,2) და აგრეთვე ხერუეიმი (ძვ. ქერობინი. 174,2; 119,12 264,23). ბერძნული mabes ქართულად გადმოტანილია მავს: „და მავს მოკიდულუბენ... .. ქმნისათჳს რამმესა“ (283,10). „მარტირიაში“ უფრო იშვიათად გვხვდება γ-ს შემცველი ბერძნული სიტყვების ღ-დ გადმოღების მაგალითები: დოღმატი (118,362),

<sup>20</sup> ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42

<sup>21</sup> პლ. იოსელიანი „წყობილსიტყვაობის“ წინასიტყვაობა. გვ. V—VI

ორღანო (208,19) და სხვ. რაც შეეხება X-ს შემცველი სიტყვებს ქართულად ხ-თი გადმოღებას, ამის მაგალითები „მარტიკაში“ მრავლად მოიპოვება. არხიეპისკოპოსი: „ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა“ (282,3 და ხშირად); მონარხია, მონარხოზა (138,21; 311,7; 259,23; 180,33; 181,7; 161,1 და სხვ. მრავალი); პატრიარხი; არხიმანდრიტი; იერარხი (352,23); მიხაილ (282,2 და სხვ. მრავალჯერ); იერისო: „ვითარცა ნერგნი ვარდისანი იერიხოსა შინა...“ 361,24 (დასახელებული და მსგავსი ფორმები, ალბათ, უფრო რუსული ენის გავლენით არის შემოტანილი).

### მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი

ა-ს ხმარების თავისებურებანი. ჩვენ აქ გვიანტერესებს, რა დოზით ხმარობს ანტონი „მარტიკაში“ ა-ს და რა თავისებურებები ახლავს მის გამოყენებას. ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითში, ნათესაობითში და მოქმედებითში (აქვე შემოვა ე. წ. გამოსვლითი ბრუნვა და ზოგიერთი სიტყვა, რომელიც გაქვავებულ ფორმაა ერთ-ერთი ამ ბრუნვისა).

1. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ა-ს ხმარებას „მარტიკაში“ საკმარისი თავისებურება ახლავს. ხმოვანფუძიანთა სახელობით ბრუნვაში ა ზოგჯერ წარმოდგენილია, უმეტესად კი არა. ამის მიზეზი ანტონის თეორიული შეხედულებაა: „დასაბამ ბრუნვათა არს წრფელობითი, რომელიცა უფროვე სამართალ არს, რათა ეწოდებოდეს მცა სახელობითი“<sup>22</sup>. ეს ჩანს დადასტურებული მაგალითებითაც:

„ხედუა გონებისა საწყურ [არს] და ლმობა ხედვათა დაცხრომისა“ (15,16).

„ესე იგი მამა და სიტყუა და სჯული...“ (15,20).

„მ, ძმისმოძულება ესე უმაგალითო და უმიზეზო...“ (18,17).

მაგრამ:

„განგებამ საღმრთომ იყო მაშინ განრინებამ ნონასი...“ (397,1).

„გონებამ მსცნობს დატევისაებრ, ვითარმედ...“ (15,14).

2. „მარტიკის“ ტექსტში გატარებულია ა-ს აუცილებელი ხმარების პრინციპი ერთ შემთხვევაში: პირდაპირი დამატება, თუკი იგი ხმოვანფუძიანი სახელია და სახელობითშია, აუცილებლად ა-ს

<sup>22</sup> ე. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ორი ბრუნვის ფუნქცია ერთი და იგივეა. ლიტ-რა იხ. წიგნში: ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 120.

ღაირთავს, ეს იქნება საზოგადო თუ საკუთარი სახელი. ამის მი-  
ზეზიც ანტონის თეორიული დებულებაა. ცნობილია, რომ ანტონმა  
ქართულ ენაში ზედა დაემკვიდრებინა ე. წ. შემასმენლობითი  
ბრუნვა (სხვა ენებში არსებული ბრუნვებითი ბრუნვის გავლენით),  
რომლის გასარჩევად სახელობითისაგან ხმოვანფუძიან სა-  
ხელებში ა-ს ღართვა აუცილებლად მიიჩნია<sup>23</sup> (ხოლო თანხმოვან-  
ფუძიანებს მახვილი დაუსვა). სწორედ ასეთი სახელობითია „მარ-  
ტირიკაში“ წარმოდგენილი ა-ით. ეს პრინციპი მტკიცეა და ცუ-  
დი „მარტირიკაში“. უარავი მაგალითებიდან მხოლოდ რამდენი-  
მეს წარმოვადგენთ: „მოკალ მამამ იგი შენი მოხუცებული და  
ძმამ შენი გიორგი...“ (17,8).

„მოილო ძლევაჲ ჯორცთა ზედა...“ (22,5).

„ეინ უდიდეს შეამკო სამეფომ თვისი...“ (22,20).

„ვიზილე სფერამ შემეყული...“ (36,7).

„წინამბრძოლ განიჩინა... შალუამ...“ (310,3).

„უარ-ჰყავ ქრისტეჲ იგი შენი...“ 275,28) და მრავალი. ნა-  
თქვამის კარგი დადასტურებაა ამ ორი მაგალითის შეპირისპირება:  
„მოიყუანა ცოლად ანნამ (23,24) და „მოკულა დედოფალი ანნა“  
(იქვე). ასეთი ა-იანი ფორმები ზოგჯერ შეთანხმებულია მსაზღვ-  
რელთან ბრუნვაში:

„... რათა კპოვოსმცა დრომ მარტუემ...“ (17,23).

„... ეკლესიამ წმიდამ... შეკმოსეს...“ (304,8).

ძირითადად კი შეთანხმებას ადგილი არა აქვს:

„მკულელობამ მამისა და ძმისა აყუედრა მას...“ (19,30).

„შეესმა უფალსა კმამ ტირილისა ჩემისა...“ (243,17).

„რათა... ითხოვოს მისგან მშულობამ... და დაცუამ... ეკლესია-  
თა...“ (79,3).

„იხილეს მეფეთა... ვანდიდებამ ოყრებისა სამეფომსა თვისისა...“  
(70,8).

მართალია, „მარტირიკის“ ტექსტში შეგვხვდა რამდენიმე მა-  
გალითი, სადაც პირდაპირი დამატების სახელობით ბრუნვაში  
ა არ გვაქვს, მაგრამ ეს ანტონისეულ წესს არ ცვლის:

„მოილე სიმალემ და ძალი, დიდება და პატივი შეიმოსე...“  
(409,8).

„ჰყო აღმოდგინება... სატრფიალოთა ცუართა...“ (359,28).

3. ა ჩვეულებრივ იხმარება ნათესაობით და მოქმედებით  
ბრუნვებში ხმოვანფუძიან სახელთა მხოლოდობითში:

<sup>23</sup> ე. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 86—89.

„უპირატეს აწმყოფსა ღროფსა...“ (35,21) და „აელუებული საღმრთოთა ტრფილებითა“ (173,30) „მარტირთა“ ჩვეულებრივი ფორმებია, მაგრამ მრავლობით რიცხვში მართული მსაზღვრელი ნაკლებად გვიჩვენებს მ-ს ნათესაობით ბრუნვაში და თითქმის არასოდეს არის მ მოქმედებითში: „ღასარული ვნებისა მარტულთაჲსა...“ (170,5), მაგრამ ასეთი ფორმები უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე მ-ს გარეშე: „მეგობარ მეფისა მეფეთასა და უფლისა უფალთასა და მეუფისა მეუფეთასა...“ (302,24).

მოქმედებით ბრუნვაში კი, შეიძლება ითქვას, მ თითქმის არ გვხვდება:

„რათა აღთქმითა... ნიჭთა მრავალთათა განეყენოსმცა“ (145,22).

„ესე დამტყუელი სულისა ღუმელითა ბაგეთათა...“ (112,23).

„ეცანთ განმარტებითა თქმულთა მათ მამათა ჩუენთათა...“ (108,10).

„განსნითა კავშირთათა... განსუენებაჲ მოვიგოთ...“ (316,11).

4. ჭრელი სურათია მ-ს ხმარებისას „მარტირთა“ მიხედვით:

ა) ე. წ. გამოსვლით ბრუნვაში:

„ხოლო მოსეთ... მსჯული იგი წერილობითი იტუალა აღთქმად...“ (404,23).

„მოვიცხენეთ გამოსულაჲ... სამეფოთა... თვისით...“ (310,36).

„ეინა გრივორი კაპადოკიისაჲ სამთავროთა... მოივლინების...“ (377,8).

მაგრამ:

„ყრმათა საშოთ დედისათ ატყუებენ...“ (107,3)

„ნრდილოთ და სამხრით ინაცისმდგმელნი...“ (124,10)

„აღმოვილა მღვმით არარატისათ...“ (399,21)

„აღმოვედ... მღვმით გლახაკობისათ და თივით უყისათ აღჰსდევ...“ (398,3).

ბ) ნაცვალსახელებსა და უღეტრებში:

„აღასარულიან რა ლოცუაჲ ცისკრისა...“ (201,5)

„განასრედიან რა ისართა...“ (149,20)

„რათა... ყოველი მუქლი მოდრკეს...“ (244,27, მაგრამ ყოველთვის რაჲთამცა)

„უფროსთა ამისთეს...“ (242,22)

„თუ ვითარ სადათ მისრბა ერი...“ (232,8)

მაგრამ:

„და რაჲსა ჰსდრობ...“ (399,1,3)

„რაჲცალა თანა-მედუა ყოფად, ვჰყავ...“ (408,31 და ყოველთვის)

„რაჲ-მე სარგებელ გეყოს შენ ქრისტეჲ შენი...“ (243,8)

„ეისდა ჰხედუდა აქამთ სარკით და საქმით (380,14)  
 „რომელსა აქამთ განვილოდეს ცხოვარნი“ (374,17)  
 „ვინამთვან დღე არს დღეს პარასკევი...“ (244,14 და ყოველთვის)  
 „სადაამთ მოსრბა... ბევრობა ესე ათეული...“ (256,33).

5. შემთხვევითი უნდა იყოს რამდენიმე მაგალითი მ-ს ნაცვლად ი-ს ხმარებისა: „ერთობამ ცნობილ სამობასა შინაი და სამობაი ერთობასა შინაი გამოქხადეს...“ (159,22).  
 „შეიმოსეს მეცნიერებაი...“ (105,34).

მოქმედებით ბრუნვასთან დაკავშირებული საკითხები. 1. „მარტირიაში“ ემფატიკური ა თითქმის ყოველთვის გვხვდება მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში, რასაც ვერ ვიტყვით მოქმედებითის შესახებ. მართალია, ძველ ქართულ ძეგლებში გამოსვლითის მნიშვნელობით ნახმარი მოქმედებითი ბრუნვის მხოლოდითი რიცხვი ემფატიკურ ა-ს არ დაირთავდა და ეს წესი დაცულია „მარტირიაშიც“: „ესმათ კმამ სუეტით გამო“ (168,15), „აღმოვედ მღვმით გლაზაკობისათ და თიხით უყისათ აღჰსდეგ“ (398,3), „ყმამ საშოათ დედისათ ატყუებინ...“ (107,3) და სხვ. მრავალი, მაგრამ, როდესაც მოქმედებითი ბრუნვა გამოხატავს უბრალო დამატებას, „მარტირიაში“ ემფატ. ა უმეტესად არ არის წარმოდგენილი:

„და ესრეთ მომგებელნი სხეულით და ნებით უცხოებისანი მივიდეს წმიდისა მიმართ...“ (196,10)

„თმენით დაუთმე უფალსა...“ (399,25)

„მიემსგავსა ქრისტესა... საქმით და სიტყვით და გონებით აღიარებდა...“ (377,29)

„აღმოშობს მათ წყლით და სულით დიდსა მას შინა მდინარესა...“ (411,30)

„ეშუნი ველისანი შესახედავით და ნაკუეთით და ჩუეულებით ლოცუთა მიიყუანან...“ (381,3).

გაცილებით ნაკლებია შემთხვევები, როდესაც მოქმედებითში დასმული უბრალო დამატება ემფატიკური ხმოვნითაც შეგვხვდება:

„კრძალულებამ... მოიგო სიბრძნით და ესენი ჰეშმარიტებითა... განაშუენა სარწმუნოებითა...“ (377,25)

„დაფარულ არიან საიდუმლოჲსა მის დუმილისა აღმშრითა და ბნელსა შინა უმეტეს საჩინოებით უფროჲს კბრწყინუნ...“ (372,21)

„შევიდა და მჯდომარემან მას შინა დაყულებით, მარხუთ და ლოცუთ და ყოვლითა კრძალულებითა წარვლო ყოველნი დღენი...“ (96,11)

2. მოქმედებითი ბრუნვის ფორმიდან ზედსართავეების წარმო-

ება ძველი ქართულისათვის არცთუ იშვიათი მოვლენაა, მაგრამ „მარტირიის“ თავისებურება ასეთი ფორმების სიუხვევა. მოვიჩანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

„ზარგანსაყად იყო საშინელება იგი მკულელობითი, ტყუეობითი და იავარქმნითი...“ (259,7)

„დაკეწირებასა შინა ესეგუართა უსჯულოებითა საუბართასა მიუგო...“ (243,14)

„მივილო პირუელთა მამათა პატივისა ძლითი სიკუდილი...“ (244,20)

ანტონი უხვად აწარმოებს ასეთ ფორმებს და ხშირად ამ თვალსაზრისით „შესწორება“ შეაქვს სხვადასხვა წყაროებიდან აღებულ ციტატებში:

„რომელმან შემშოსა მე სამოსელი მაცხოვარებისა და კუართი მხიარულებისა...“ (ესაია 61,10). ჩანს, ანტონს გადაუკეთებია: „რომელმან შემშოსა მე სამოსელი მაცხოვარებითი და კუართი მხიარულებითი?...“ (197,17).

ერთ მაგალითში ასეთი ფორმა არ გამოხატავს მოსალოდნელ შინაარსს:

„მიილოთ ყოველთა მეფისაგან თავისუფლებამ ტყუეობითი და ნიჭნიცა“ (261,1), ე. ი. ტყუეობითი ნახმარია ტყუეობისაგან სიტყვის შინაარსით.

3. ცნობილია, რომ ძველ ქართულში ნართანიანი მრავლობითის მოქმედებითი ბრუნვა იშვიათი ხმარებისა არის. შესაბამისი შინაარსის გადმოსაცემად ზოგჯერ ებ-იანი მრავლობითი გამოიყენება: მაგ: საესე თუალებითა“ (ეზექ. 10, 12, ძველ ნუსხებში).

ანტონი სხვა ხერხს მიმართავს: ნართანიანი მოქმედებითის გადმოსაცემად იყენებს „მიერ“ თანდებულდართულ ნათესაობითის ნართანიანი მრავლობითის ფორმას: „შეკრულ იყუნეს კელნი და ფერკნი რკინათა მიერ...“ (276,36, შდრ. „რკინებითა“).

„და ფერკთა მიერ არაწმიდათა დასთრგუნვიდეს და ქუაბთა მიერ მძნუარედ კქოლვდეს...“ (133,34 შდრ. ფერკებითა და ქუებითა). მაგრამ თუ მოქმედებითი ბრუნვის მრავლობითის მსაზღვრელი ახლავს, მაშინ მიერ თანდებული საზღვრულის წინ გადმოინაცვლებს:

24 ციტატი დამოწმებულია ბიბლიის ბაქარისეული გამოცემიდან (1743 წ.). საფიქრებელია, რომ ანტონი ამ გამოცემით სარგებლობს. ასევეა ეს ადგილი ე. წ. კულათურ ბიბლიაში, რომელიც პეტრიწონული სკოლის წარმომადგენლის თარგმანად არის მიჩნეული.

„ქსტანჯა მათგან მრავალგუართა მიერ ტანჯუთა მძუნარეთა“ (146,37).

„მაშინ მრავალთა მიერ ღონეთა აღიძრა ეშმაკი...“ (146,35 და სხვ.).

ვითარებითი ბრუნვის საკითხები „მარტირიკის“ მიხედვით. „მარტირიკაში“ ვითარებითი ბრუნვა ძალზე ხშირია. ვითარებითში დასმული სახელის სხვადასხვა შინაარსით ხმარება „მარტირიკაში“ დიდ სიჭრელეს ქმნის. ე. წ. მასდარული კონსტრუქციის საკითხს ჩვენ ქვემოთ შევეხებით, ამჯერად კი ვითარებითი ბრუნვის ფორმათა გამოყენების სხვა შემთხვევები გვაინტერესებს.

„მარტირიკაში“ ვითარებითში დასმული სახელი ძირითადად ძველი ქართული ენის ნორმების მიხედვით არის გამოყენებული. ჩვენ მხოლოდ იმ თავისებურებებს შევეხებით, რაც ძველი ქართული ენის ძეგლებსათვის ნაკლებად დამახასიათებელია ან იშვიათია.

1. ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებული მიმართულებითი ბრუნვის ფუნქცია იყო, აღენიშნა მიმართულება რაიმე საგნისადმი: წარვიდა მეფისა, შესწირა უფლისა და სხვ: „მარტირიკაში“ ამ ფუნქციას უმრავლეს შემთხვევებში ასრულებს ნანათესაობითარი ვითარებითი:

„მოიწოდებდეს მთავრისად ევსტათის...“ (223,25).

„ლაღად ჰყუეს უფლისად მეტყუელთა...“ (167,5).

„რომელიცა მოვიდა წმიდისად...“ (99,96).

„შექსწირნეს მსხურაპლნი ღმრთისად...“ (198,15).

„მისრულნი ნებსით ტყივილისად და სიკუდილისა პყრობილისად და დაგლახაკებისად ქრისტესთვის...“ (86,9) და სხვა უამრავი.

არცთუ ცოტა მაგალითები გვხვდება ტრადიციული ფორმების ხმარებისა: „რომლითა მორჩილებისა ნეტარისა... აღვიდეს...“ (196,18).

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში ორივე ფორმას შევხვდებით:

„მლოცუელნი წარჰსდგეს უფლისად... ვითარცა მეფისად და მეგობრისა თვისისა...“ (199,9-10).

ძველი ქართული ენის ძეგლებში მიმართულების გადმოსაცემად, როგორც ჩანს, მიმართულებითში დასმული ფორმები საკმარისი არ აღმოჩნდა და ამიტომ ამ ფუნქციის შესრულება დაეკისრა ნათესაობით ბრუნვას მიმართ (მომართ) თანდებულის დართვით: „მივიდა უფლისა“ იშვიათი ფორმის ნაცვლად მომრავლდა „მივიდა უფლისა მიმართ“ ჰსგაუჭი ფორმები. „მარტირიკაში“ მიმართ თანდებულიანი ფორმების ხმარების მრავალი მაგალი-



თია წარმოდგენილი, მაგრამ მათ ნაცულად ნანათესაობითარი მიმართულებითის ხმარების შემთხვევები მაინც მეტია. ხშირად ერთსა და იმავე წინადადებაში ორივე ფორმაა წარმოდგენილი. სინტერესოა, რომ იაკობისეულ „შუშანიკის წამებაში“ არის: „ძღუნად თავა თუსა შესწორვიდა მეფისა მის მი მ ა რ თ“ ანტონს გადაუკეთებია: „ძღუნად თავსა თუსა შესწორვიდაო სპარსთა მეფისად“ (90,11). სხვა მაგალითები: „მიჰსწერდა ეპისტოლეთა მონასტერთა მიმართ... და მრავალმთისა მამათა და ძმათად...“ (275,5); „რომლისა მიმართ გურწამს, რომლისა მიმართ ნათელ-გვიღებებს, რომლისა მიმართ ვიციო, რომელსა ვჰმსახურებთ და რომლისადცა ვესაეთ...“ (162,30).

„და სიყვარულისა მიმართ ღმრთისა და მოყუასთასა, რომლისად მოკიდულ არიან ყოველი...“ (354,10). ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ „მარტირიაში“ დადასტურებული მიმართულებითის უამრავი მაგალითი მი მ ა რ თ თანდებულისანი მიმართულებითი ბრუნვის ნაცულად იხმარება. განსაკუთრებით ხშირად იხმარება „მარტირიაში“ ნანათესაობითარი ვითარებითი ამავე ფუნქციით ნართანიან მრავლობითში:

„ვითარმედ მახარებელნი ბარბაროსთად და განდრეკილთა მორწმუნეთაგანთად აღმოუტევენა მან სიტყუანი...“ (117,5).

„მისწერდა ეპისტოლეთა... ძმათად...“ (275,5-7).

„პირსა ცემად მტარულთად ჰბრძანებდა...“ (161,32).

„ხოლო მტარულნი, რომელთად ბრძანებულ ჰყო ტანჯუად მოწამისა...“ (315,29).

„მოვიდა წმიდისად მმადლობელი ღმრთისადმი და წმიდისა ლოცუათად...“ (99,26).

„კელნი მისნი განიკუნა გლახაკთად...“ (89,8).

„რომელთადცა ითქუა...“ (197,22) და სხვა მრავალი.

2. ზოგჯერ ასეთივე ფორმით გადმოცემულია ნანათესაობითარი დანიშნულებითი<sup>25</sup>.

„გარნა მორწმუნეთად უბატიოსნეს წმიდანი სულნი თქუენნი...“ (264,12).

„რაოდენ საჭირო არს და საკმარ მკედართა ქრისტიანეთად...“ (181,34).

„ყოველნი მოწამენი ქრისტესნი მორწმუნეთად... საყუარელ...“ (138,15).

<sup>25</sup> ბ. გვიგენიშვილი, ზ. სარჯველაძე, ნანათესაობითარი მიმართულებისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში, მრავალთავი, VI, თბილისი, 1978, გვ. 123—135.

3. არაიშვიათია შემთხვევები, როდესაც მიმართულებითი ბრუნვის გადმოსაცემად ნანათესაობითარ ვითარებითს-ში თანდებულიც დაერთვის.

„რომელთაღმი სიმღიდრესა აღთქმიდა მიცემად...“ (222,9).

„განაღძებეს სულთა ჩუენთა... ახოვნებათაღმი რაედენისა...“ (138,26).

„მიუშუეს... წადილი... სატრფიალოღსაღმი... (121,6 და სხვა მრავალი).

რაც შეეხება ვითარებითი ბრუნვის ფორმებიდან ნაწარმოებ ზედსართავეებს, მათ შესახებ საუბარი ქვემოთ გვექნება.

სახელების მრავლობითი რიცხვი. „მარტირიკის“ ტექსტში მეტწილად ნართანიანი მრავლობითი იხმარება. მასთან შედარებით ებ-იანი მრავლობითი უმნიშვნელო ოდენობითაა: ცხენები (20,19), მკედლები (20,20), ნიშნები (20,31), სასწაულები (20,31), მახეებითა (57,3), ბევრებისა (226,18), ძალებითა (30,28), თესლებსა (401,20) და კიდევ, ალბათ, რამდენიმე მაგალითით ამოიწურება მათი რიცხვი „მარტირიკაში“. „მარტირიკაში“ დასტურდება ორიოდ ფორმა ე. წ. ორმაგი მრავლობითისა: „დააღუმნეს პირებნი უღმრთოთანი...“ (136,24). ასეთი ფორმები იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ძველი ქართული ენის XI—XII სს. ძეგლებშიც, განსაკუთრებით პეტრიწის თხზულებათა ენაში (რამდ. მაგ.)<sup>26</sup>. ასეთი ფორმების გამოყენების საფუძველი ძველ ძეგლებში მთლად ნათელი არ არის. „მარტირიკის“ შესახებ კი შეიძლება შემდეგი ითქვას: ანტონს „გრამატიკაში“, სახელთა ბრუნვათა პარადიგმებში, მრავლობითი რიცხვის ე. წ. შემასმენლობით ბრუნვაში წარმოდგენილია მარიამებნი ფორმა<sup>27</sup>. „მარტირიკიდან“ დამოწმებული ფორმა არ არის შემასმენლობითი და შეიძლება ითქვას, რომ „გრამატიკაში“ დადასტურებული ფორმის მსგავსი ნიმუშები შემასმენლობითი ბრუნვის მრავლობითი რიცხვის ფუნქციით „მარტირიკაში“ საერთოდ არ გვხვდება, ე. ი. ანტონის ზოგიერთი გრამატიკული ხასიათის თეორიას პრაქტიკული გამოყენება არ ჰქონია. ამდენად, ამ ორმაგი მრავლობითის ფორმის არსი ჩვენთვის გაურკვეველია. სახელების მრავლობით რიცხვთან არის დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომელიც სინტაქსში უნდა წარმოგვედგინა, მაგრამ აშჯერად ჩვენ დავარღვევთ ამ წესს და მსაზღვრელ-საზღვრულის მრავლობით რიცხვში შეთანხმების ზოგიერთ საკითხს აქვე წარმოვაღ-

26 დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

27 ე. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106

გენტ. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ბრუნვის რთული ფორმები:  
„ხოლო მწერალთა საწელიწდოთა ისტორიათათა ყოველთა...  
ალიარეს“ (44,29).

„ყოველთა მათ მამათა და ძმათა ყოვლისა გარეკსჯისა მონას-  
ტერთათა...“ (200,36).

„შემპყრობელთა... უკულმართ შემკრუელთა კელთათა აღმო-  
კუეთეს ენაჲ...“ (396,4).

„იხარებენ ... ქალწულნი შესაკრებელთა შორის კაბუკათათა...“  
(397,6).

მოტიანილ და მსგავს უამრავ სხვა მაგალითებში თვალში გვე-  
ცემა თ ა თ ა დაბოლოება, რომელსაც იყენებს ანტონი ე. წ. ორმაგ  
და სამმაგ ბრუნვებში, რაც არაბუნებრივია ძველი ქართული ენის  
ძეგლებისათვის, ხოლო „მარტირიკისათვის“ კი მსგავს მაგალითებ-  
ში თითქმის ერთადერთი ფორმაა. ძველი ქართული ენის კლასიკუ-  
რი ნორმის მიხედვით უნდა გვექონოდა:

„მწერალთა საწელიწდოთა ისტორიათამან“, „მამათა და ძმა-  
თა... გარეკსჯისა მონასტერთამან“. სამმაგი ბრუნვისათვის გვექნე-  
ბოდა... თამასათა დაბოლოება. ანტონი, ეტყობა, შეგნებულად არ  
იცავს ამ ნორმებს: მან და მს დაბოლებათა გაჩენა მისთვის აუხსენე-  
ლია; თეორიულად, მართლაც, „ისტორიათათა“ მსგავსი ფორმები უნ-  
და გვექონოდა.

აქვე გვინდა მოვიტანოთ „მარტირიკაში“ დაძებნილი რიცხვში  
შეუთანხმებლობის არცთუ მრავალი მაგალითი.

„... ამით ოთხ-დროება წელიწდეულნი“ (14,3).

„... რომელთა ყოველნი მსჯუელი და წინასწარმეტყუელნი მო-  
კიდულ არიან...“ (353,30).

„სულნი უკუე მათნი ნეტარნი დაწერილ ასოებითა ყოველკე-  
თილობისათა... ცხადად წინაშე ანგელოსთა თესთა წარკითხულ  
იქმნეს“ (184,1).

**ზმნასთან დაკავშირებული საკითხები.** 1. „მარტირიკაში“ ერთ-  
ერთ ენობრივ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ მიმღეობიდან ზმნე-  
ბის წარმოება არა მარტო აღწერიით ფორმით, არამედ ნასახელარი  
ზმნების ფორმით:

„ამწყალობელა გული მშიერთა მიმართ...“ (273,15; შდრ.  
ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი ფორმები: მწყალობელ-კყო).

„ხოლო აწ დაწესებულებს და თანზიარებულებს ყოველთა წმი-  
დათა თანა...“ (134,7 შდრ. დაწესებულ არს და თანაზიარებულ  
არს).

„ჭაბუკი მჯდომარებს დაღათუ სიჭაბუკისა ცხენსა ზელა“ (43,23. შდრ. მჯდომარე არს).

„ოქრო გამოცდილებს უფროს ოქრომსა“ (46,6. შდრ. გამოცდილ არს).

„რომელიცა სათანადოებს გამოსატულად“ (108,32. შდრ. სათანადო არს).

„ყოველსა შინა სამკედროსა სიმარჯუესა აღმატებულებდა“ (66,21. შდრ. აღმატებულ იყო). „მოწამე... სიმტკიცითა მიუახლებლობდა სიტყუათა მათთაგან.“ (65,27; შდრ. მიუახლებულ იყო).

„ემიშლოცუელებიან მეფენი ეპისტოლესა შინა...“ (281,17; შდრ. „ემიშლოცუელ ექმნებიან“).

„რომელიცა ნათესაეობით... და კეთილმსახურებითა ცხებულებდა“ (19,66. შდრ. ცხებულ იყო).

„ვითარმედ მეთანამდება თქმად და ძნობად და ვალობად ღუაწლისა მისისა“ (15,5. შდრ. თანამდებ-მყო).

„ესგუარნი სიბრძნისმოყუარენი ზედწოდებულებენ...“ (129,32. ზედწოდებულ-ჰყოფენ).

„მაშინ მეფე... მყოფებდა სიმრთელისათესა პაერისა...“ (54,25).

„არამედ პალატისა თჳსისა შინათა თანხლებითა მყოფობდა...“ (47,27).

2. ზმნები ნაწარმოებია ა) მიმღეობიდან: „მგორუალებს ქუთაებრ წმიდამ მოციქულებამ...“ (109,9; შდრ. ჰგორაეს).

„ზოგად ცხოვრებულბდეს ნეტარნი ესე“ (198,6; შდრ. ცხოვრებდეს).

ბ) რიცხვითი სახელიდან: „სამობს მხოლოობასა შინა...“ (162,30).

გ) არსებითი სახელიდან: „საქსენებელი მოწამისა იეკლესია...“ (227,30).

„აეკლესიებს სოლომონ სხუასაცა წინადადებასა...“ (86,15).

„იფლებენ მოწამენი ქრისტესნი...“ (168,12).

„ანდამატინებს სიმტკიცითა გონებამ მისი...“ (110,1).

„იღმერთსახელა ვით ხატმან და ზარმან...“ (153,7).

„და ჯეროვან პოლიტიკოსობდეს...“ (363,3).

დ) ზედსართაეებიდან:

„სიყრმითგან იხარბა მოსაგებელი...“ (414,15).

„და ემკაცროდა ყოველთა სულთა...“ (74,18).

„მისაგებელი ძურფასობდა...“ (33,3).

„და ეშესაბამების თქმული იგი...“ (268,9).

„რომელნიცა ეშესაბამებიან ბუნებასა...“ (129,18,19).

„ილექტროსფერობს გონებობსა ჩემისა სარკესა შინა...“ (108,33).

„ნიუთიერებენ გლახაკთად...“ (109,4).

ირისებრ ჳრელებს სისხლი...“ (168,6).

„ერთითა ნათლითა ელუარეობდიან...“ (193,22).

ე) ჳმნიზედიდან:

„ტანჯუანი ძნიალობდეს...“ (33,3).

„შეკშუა გონებასავე შინა წყულეული ვაწინაუკმე, ვითარმედ...“ (14,35).

„და თავსა თუსსა ამით დაახლებდა ღმრთისად...“ (378,22).

„ესოდენი, რაოდენიცა ეკმავის შესაბამ არსებათა მათთა...“ (15,54; შდრ. კმა-ეყოფის).

„რამეთუ სოფელსა ეზევა ახალნერგი ესე...“ (129,15 და ხშირად).

ვ) სხვადასხვა უარყოფითი ფორმებიდან:

„უნიუთობენ ჳელნი მისნი მიგებობსა მიმართ...“ (109,3).

„არა იურწმუნოვა ჳიარებითა მპარავთა...“ (89,18).

„უგრძნობელობდეს მის მიერ ჳმნილთა არსთაგან რაიმეთა...“ (87,2).

ზ) ჳმნისწინიდან:

„აწარმოა რა ძალი...“ (237,22).

3. თან-ჯმობა საწყისიდან ნაწარმოებია ჳმნა „ათანჯმებს“, რომელიც დღესაც ამ ფორმით იხმარება:

„და... სხუაობითა ათანჯმებს...“ (265,26).

4. არს დამხმარე ჳმნის გამარტივებული ხმარების შემთხვევები „მარტირიაში“ იშვიათად გვხვდება. რამდენიმე შემთხვევა გვხვდება არს დამხმარე ჳმნის ხმარების ნაცვლად შედგენილ შემსმენელში ა-ს წარმოდგენისა და ისიც ყოველთვის რომელ სახელად ნაწილთან.

...რომელა მამამძუძე ბარათაშვილი...“ (51,4).

.....რომელა ხელვითისაებრ შეერთებად ღმრთისა და კაცისა...“ (382,2).

... რომელა სარწმუნოება საქმეთა მიერ ცხოველი...“ (88,36).

.....რომელა ღმერთთმთავრობითი სამობად ერთობასა შინა...“ (89,32).

.....მიეიდა შირვანად, რომელა ნაწილი რომელიმე მიდიისა...“ (398,24).

„ალიწერა წიგნი ესე, რომელა მარტირია...“ (419,15 გადამწერის ანდერძიდან).

შედგენილი შემასმენლის ჩვეულებრივი ფორმით ხმარება „მარტირიაში“ უფრო ხშირია:

„რომელი არს შემოქმედ...“ (349,35) და სხვ.

5. ამ-თემისნიშნაანი რამდენიმე ზმნის ფუძე უწყევ. III პირის მხოლოდობით და მრავლობით რიცხვებში, წინააღმდეგ ძველი ქართული ენის ნორმებისა, წარმოდგენილია იმავე ფორმით, როგორც I და II პირში:

„ხოლო ოდეს-იგი შექკრვიდეს წმიდათა მათ და ლოდთა ქელთა მათთა ზედა ...მოაბემდეს...“ (167,5).

„ხოლო მსჭამდა გულისხმის-ყოფასა და სუემდა ნიდაგ...“ (313,29).

6. ევ-ზე დაბოლოებული ფუძედრეკადი ზმნების II სერის მწკრივებში ხშირად ივ სრული სახითაა შემორჩენილი:

„მოიძია... და არა განაბნიენა...“ (131,19).

„უკუნ-აქცოენეს და მოსწყედნეს მათგან კაცი საში ათასი...“ (71,23).

„შეიმუსრენით და განიბნიენით...“ (43,22).

„რათა გამოირჩიენეს ათორმეტი მოწაფეთაგან...“ (107,19).

7. უწყევტლის I და II პირი უმეტესად ი-ს გარეშეა წარმოდგენილი:

„ვითარცა მულთა გუწყალობდ და გუზრდიდ...“ (92,5).

„წინასწარ ეხედევდ უფალსა წინაშე ჩემსა მარადის...“ (244,8).

„შენვე უკუე მსცევდ...“ (91,15).

„ამიერ მსჭურეტდ სიღრმესა ტრფიალებითსა, მსჯიდ სურვილსა შურსა...“ (335,18).

„ეჰსცხოვრებდ ცნობადმდე ჰეშმარიტებისა...“ (241,6).

ი არ იხმარება მრავლობით რიცხვშიც:

„და ქალაქსა ამას მსცევდთ...“ (264,33).

8. გვხვდება რამდენიმე მაგალითი წყვეტილში და უწყვეტილში გარდაუვალი ზმნების III პირის მრავლობითში ახალი ქართულის ნორმების ხმარებისა:

„განალა დაშთენ ორნი ოდენ...“ (18,2).

„არლარა განეშორნეს... არამედ დაადგრენ მას თანა...“ (348,2).

„და ისწაეებდენ მისგან...“ (348,3).

„ოდეს გამოვიდოდენ კაცნი სახლისაგან, სადაცა მსხდომარე ვიყუნეთ...“ (18,6).

9. თუ გადამწურის შეცდომად არ ჩავთვლით, შეგვხვდა უწყვეტელში ოდ-ის ნაცვლად:

„მაშინ ჯორცნი იგი წმიდანი მრჩობლითა იენებდეს ტკივილითა...“ (32,30).

„მდიდარსა სურდა, სწყურდა და სტრფიდა...“ (151,27).

10. აწმყოს ხოლმეობითოს ფორმები ორმაგი პირის ნიშნით მხ. რიცხვში:

„ეითარცა ხილუა მთიებისა პირისაგან თქუენისა გამოვალნ...“ (264,1).

„აწ ჳირი გაქუნ...“ (392,10).

ზმნა მხოლოობითშია, სახელი მრავლობითში, ამასთანავე ზოგიერთ ზმნას აწმყოს ხოლმეობითის ორმაგი პირის ნიშანი აქვს:

„ჰბორგანნ ეშმაკათა ძლით მძლაერნი... მარტულთა ზელა...“ (325,3).

„მღუდელნი შესწირავენ... და განჰბანნ... და აღადგინებნ... მოაკცვენ და... კჳურნებნ, სხუანი ჰმსახურებნ... ჰგალობნ... ჰმსახურებნ...“ (234,11-21).

მიუხედავად მოტანილი მაგალითებისა, აწმყოს ხოლმეობითის (დე საერთოდ ყველა ხოლმეობითის) ფორმები მხოლოობით და მრავლობით რიცხვში ტექსტებში უმრავლეს შემთხვევაში სწორად არის ნახმარი:

„სხუანი აშინებედ მას და ჰსთქვედ მისდა...“ (243,8) და სხვ.

11. „მარტირიაში“ ინიანი ვნებითითაა ნაწარმოები ზოგიერთი ზმნა, რომელიც ძველ ქართულში უფრო ხშირად დ-ონიანი და ე-ნიანი ვნებითითაა წარმოდგენილი.

„ამისთეს განიმართლების ორგულობასა ზელა მეფისასა გიორგი...“ (54,16).

„რომელიცა დაიმტკიცების წმიდათა მით ვნებითა მისითა...“ (44,10).

„ასე უკუე წმიდითა ვნებითა მისითა დაიმტკიცების...“ (73,4).

12. ბრძანებითოს ფორმები მარტირიაში ხშირადაა აღრეული, თუმცა მათი სწორი ხმარების შემთხვევები არა მცირეა:

„აღდეგონ ღმერთი გონებასა შინა ჳაბუკისასა...“ (43,20).

„დაიმჳუნით მტერნი... შეიმჳსრენით და განიბნივენით...“ (43,22).

მაგრამ არცთუ იშვიათად აღრეულია მრავლობითისა და მხოლოობითის ფორმები:

„დაიწუნ და აღიკოცენ წერილნი იგი ცილისწამებისანი...“ (44,6).

„დადუმდინ და დასცხერინ ცილისმწამებელნი...“ (43,2).

„იხარებდ უდაბნონი წყურიელნი გარეასჯისანი და იშუებდინ და ჰყუავოდინ, ვითარცა შროშანი...“ (207,1).

(ეს ციტატა ისაია, 35, 1-დან არის აღებული, ოღონდ სავარაუდებელ წყაროში (ბაქ. ბიბლია) სუბიექტი უდაბნო მხოლოდობით რიცხვშია) და სხვა.

13. განვიხილოთ მცა ნაწილაკის ხმარების შემთხვევები: „მარტირიკაში“ საკმაოდ ბევრი მაგალითია ამ ნაწილაკის სწორად ხმარებისა ზმნის თხრობით კილოსთან, ოღონდ მცა ნაწილაკი უმრავლეს შემთხვევაში დაერთვის ზმნას, იშვიათად კი კავშირს:

„რათა არა დაეიწყებითა დაიფარამცა თქმადი ესე...“ (14,22).

„რათა არა კეთილ წესიერ აქუნდამცა მდგმობა...“ (13,28).

„რათა განერამცა იგი კელთაგან მისთა...“ (61,10).

„რათა დაუტევემცა ქრისტე...“ (80,30).

„რათა ფერებითა სიტყუათათა შუენიერ გამოვიხატეთმცა საშუალი...“ (169,32).

„რათა ექსდევმცა შენ თანა ჰიტყუ-გებასა შენსა...“ (114,36).

„რათა სურვილი ჩემი იყომცა მზიარებელ ჩემდა წმიდათა ენებათა შენთა“... (115,33).

„არა ვისმე დაუტევებს, რათა არა ესმამცა სახარებად მისი...“ (233,16).

„რათამცა ეეზიარე საქმეთა... ვასქენისათა...“ (92,7).

მაგალითების დიდი რაოდენობა ჩვენ იმიტომ მოვიტანეთ, რომ მსგავსი შემთხვევები არცთუ ისე ხშირია, ხოლო მაგალითები, რომლებშიც მცა ნაწილაკი ზმნის კავშირებითის ფორმებთან იხმარება, უამრავია:

„რათა მოიყუანოსმცა თუსდა...“ (100,22).

„რათა მოიყუანოსმცა წმიდამ იგი პალატად...“ (100,25).

„რათა დააყენოსმცა მათდამი ბრძანებად ესე...“ (50,30).

„რადმამცა ამით სათნო იქმნას მეფისა...“ (90,15).

„რათა მოვიდესმცა და ჰნახოს...“ (79,3).

„რათა ნაყოფი მისი კმეფობდესმცა და საქადულ იყოს ერი-სა...“ (22,18).

„რათა არა განვარდესმცა მისგან...“ (74,19) და სხვა მრავალი.

14. ოდ-იანი და დ-ონიანი ზმნების უღვლილუბა უწყვეტლისა და I კავშირებითის მწკრივებში „მარტირიკის“ მიხედვით განსხვავებას უკვე აღარ გვიჩვენებს:



„აწ ვიტყოდეთ, ვპალობდეთ და მოუთხრობდეთ სსუათა...“  
(357,32).

„ღალღებდეს მოყუასი მოყუსისა მიმართ და იტყოდეს...“  
(344,8).

21. „მარტირიაში“ ზოგჯერ გვხვდება ობიექტური წყობის ზმნათა ვნებითის იშვიათი ფორმები:

„გამომიძიეთ მე და გეპოვო თქუნ...“ (367,22).

„მეძიებელთა შენთა გუებოვნე აღთქმისებრ...“ (367,28).

15. ზოგჯერ მოხალღნელი ავ თემისნიშნისი ზმნა წარმოდგენილია ებ თემისნიშნით.

„მართებს სული კაცობრივი კორცსა...“ (39,36).

მიმღეობის წარმოება. 1. მოქმედებითი გვარის მიმღეობები, წარმოებული მოქმედებითი გვარის ზმნებიდან, ხშირად იმ თავისებურებას გვიჩვენებს, რომ მ-ელ მაწარმოებლის გვერდით მ პრეფიქსიანი წარმოებაც აქვთ:

„ორადრე ნაწილად განმყოფი ყოველთა დროთა...“ (21,14).

„ეინა... ბედნიერობათა დამტევი...“ (86,8).

„ეკკლესიასა შინა დამღები...“ (85,12).

„ესეგუარი უკუე არს მპაზრუელი, განზრახი და მსჯელი...“  
(272,10).

„შუენიერებისა თვს შორის მომგები...“ (308,20).

„მომგები კრძალულებისა... მოშიში არს უფლისა...“ (354,24).  
ასევეა ნაწარმოები მიმღეობა ზოგიერთი ნასახელარი საშუალო გვარის ზმნისაგან:

„ეინა მმეფობიცა მამულსა ზედა...“ (85,31).

„ეესტათი კორცითა მმოქალაქობი ქალაქსა მცხეთას...“  
(218,25).

„ხოლო მმთავრებმან არა იურწმუნოვა ზიარებითა მპარაეთათა...“ (89,17).

გვხვდება ნებავს ზმნისგან ნაწარმოები მიმღეობის მაგალითიც მ პრეფიქსით შედგენილ შემასმენელში:

„ოდეს-იგი მნებავ არს სული“ (39,35).

ამ ტიპის მიმღეობის მაგალითები სამეცნიერო ლიტერატურაში მიმღეობის უძველეს სახედაა მიჩნეული<sup>28</sup>, საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე ქართულში (ამღები, გამცემი, დამწერი, მკითხავი და სხვ.) და „მარტირიაშიც“ მრავლადაა წარმოდგენილი, მაგრამ

<sup>28</sup> არნ. ჩიქობავა, ქართული ენის სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 126.

ამასთანავე „მარტირიაში“ მე-ელ პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოების მაგალითებიც ხშირად გვხვდება:

„და ყოველთავე მსოფლიოთა საშუებელთა მმარხუელნი...“ (126,28).

„ეინამცა მწყებელთა... ხუაშიადი განუცხადა საქმემან...“ (364,4).

„ეეგუარი უკუე არს მპაზრუელი განმზრახნი და მსჯელი...“ (272,10, გვხვდება მმპაზრუელიც 121,35).

„მთანკმაებელი მოქმედთა მათ ერთი და იგივე სიმართლე არს...“ (266,1).

„არარამემესა მგამებელსა თავისა ჩემისასა...“ (25,77).

„მქსმენელმან მეფისაგან... წარმოსულა კყო...“ (17,24).

„მიმლოცველმან თუსთა... სპათადმი...“ (21,1).

„ცრემლით დამღტობელმან ქუეყანისამან...“ (20,35) და სხვა მრავალი.

2. „მარტირიაში“ ზოგიერთი მოქმედებითი გვარის მიმღობური ფორმა ნაწარმოებია მე პრეფიქსით, რომელიც მიჩნეულია უძველესი ვითარების ამსახველად და რომლის მაგალითები ძველ ქართულ ენაში ნაკლებად გვხვდება (მეოტ. მეოხ, შემღერ, მეტეხ, მერყეუ და სხვ.) და ისიც ვნებითი და საშუალი გვარის მიმღობებია<sup>29</sup>.

„რომელთა შორის დოღმატისტორიადრე მექმი არს... ბესარიონ...“ (14,27 და ხშირად).

„ხოლო სურვილი ესე არს სულისა... მექონისა...“ (80,1 და ძალიან ხშირად).

„რომლითა არა მექონნი ნიეთანი განამდიდრეს...“ (159,17).

„ესენი არასადათ მექონ არიან შემწედ...“ (203,16).

3. მე-ე პრეფიქს-სუფიქსიანი უჩვეულო წარმოების მიმღობები „მარტირიაში“ საკმარისადაა წარმოდგენილი:

„ესე იგი მეტრფენი ზიარებოსა ვნებათა მისთანი...“ (307,18).

„თანხადილ-კყუეს უკუე ამათ ევსტათიკა მეთქუეთა...“ (219, და სხვ.).

აღსანიშნავია მე-ე წარმოების ნასახელარი ზმნიდან გაკეთებული საწყისის იშვიათი ფორმები:

„სადა... მელდესასწაულებაჲ კეთილსა მას შინა...“ (368,16).

<sup>29</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 597.

4. მა- პრეფიქსიანი წარმოების მიმღობები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მა-ელ მაწარმოებლის ნაცვლად:

„და მძლავრ შაიძულეები ცოდუსა იძლია...“ (394,27).

„ეითარმედ ურწმუნოდასაგან მაწარმოდა წარმოა დააყენოს...“ (362,7).

„გონებისა განმაბრწყინი ერთობითითა ნათლითა...“ (86,4).

„შობისაგან ბრმათა განმანათლნი...“ (107,7).

„მეკლობელთა და კოჭლთა მავლინები...“ (107,8).

„მასშენი წყალთა ცხოველთა...“ (108,20).

5. მა-ე პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება ქართულში, როგორც წესი, არ გვხვდება (მაცნე და მაცხონე ფორმები ზმნის პირიანი ფორმები უნდა იყოს)<sup>30</sup>. მა-ე პრეფიქს-სუფიქსიანი ორიოდ ფორმა დადასტურებული იოანე პეტრიწის თხზულებებში: მაუწყე, მაცხოვნისაგან, წარმომაყენე<sup>31</sup>. „მარტირიაში“ იშვიათია ასეთი მიმღობები:

„ესე მოწამენი... თენიერ დროდა არა მაცხადენი...“ (362,22).

„სირიამთ აღმოშენი და ჩუენ შორისთა სიბრძნეთა განმამზენი...“ (107,16).

6. მა-არ მაწარმოებელი გამოიყენება ქვემოთ მოტანილ ციტატაში:

„და ყოველივე ამისთჳს თანმედროეთა მაქსოვართაგან უწერიეს...“ (26,6).

მა-არ პრეფიქს-სუფიქსიანი მიმღობის წარმოება დღეისათვის შემორჩენილია ფორმებში, რომლებიც წარმოშობით მიმღობაა, მაგრამ დღეს მხოლოდ არსებითი სახელის ვაგება აქვთ: მა-ცხოვ-არ-ი, მა-თხოვ-არ-ი და აგრეთვე მაქსოვარი მიმღობიდან ნაწარმოებ საწყისში მახსოვრობა.

7. ვნებითი და საშუალი გვარის მიმღობებში თავისებურებები არც ისე ცოტაა, მაგრამ მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე უჩვეულო წარმოების ნიმუშს:

„ქსჯუღვილნი უფლისაგან საღმრთონი ბრძანებანი...“ (274,19).

„ოქროვილნი კილობანნი წამებისანი...“ (106,32).

8. ორგვარი მაწარმოებელითაა ერთი და იგივე მნიშვნელობის ფუძე:

„შოაქუსთ... სამოსელნი ქსულნი...“ (137,28).

„უხუ და შუენიერ ქსოვილნი...“ (137,29).

<sup>30</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

<sup>31</sup> იქვე.

9. თავისებურია მომავალი დროის მიმღეობის ზოგიერთი ფორმა:

„ერთი არს აწინდელი სასიტყუელი ჩემი ახალნერგი...“ (122,1).

„და ნივთნი საგალობონი იყუნეს მეფენი...“ (85,24).

„სარაცხ არს შეკადრებად...“ (38,23).

აღსანიშნავია მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფუძიდან ნაწარმოები ფორმები:

„და ესრეთ განკარგულად თქმადნი სამეთქუეონი...“ (302,20).

„სამორკინალომასად ასპარეზისა... განკმზადებოდა...“ (393,32).

მოსალოდნელი ნაპრეფიქსის ნაცვლად მიმღეობა ნაწარმოებია ილსუფიქსით: „სისხლათა ჩემითა დავამტკიცო შრობილი ჩემგან ეკკლესიაჲ...“ (133,24), მიუხედავად იმისა, რომ ნაპრეფიქსიც ფართოდაა გამოყენებული „მარტირიკაში“:

„ქუემდებარე ვკყავთ სული და ნამოქმედებნი ჩუენი...“ (248,7) და სხვა.

10. ჩვეულებრივ ზმნისწინებიანი მიმღეობა ხშირად „მარტირიკაში“ ზმნისწინის გარეშეა წარმოდგენილი:

„დაკლული ესე ირემი მწუარი და ჳმული ჩუენგან...“ (346,7).

11. ჩამოთვლით ზოგიერთ თავისებური სიტყვაწარმოების ნიმუშებს ყოველგვარი კომენტარის გარეშე: „ანუ აღმონამორჩად იტყუან წმიდისა...“ (887).

„ხოლო მიზეზი მოსწრაფებისა და-ჩემ-შორისებული...“ (319,18).

დაშორისებული... (13,6), დასამტკიც (45,3), შერაბამებულ (46,2), შენაბორკილი (46,8), „განსაკვრვო არსა...“ (40,15,15).

2. ყურადღებას იქცევს საგონისი (61,1), მიმღეობის ფორმა. მსგავს ფორმებში საწყისის ნათესაობითი ბრუნვიდან ნაწარმოებ მიმღეობას ზედავენ (შდრ. სახნისი, შესატყუსი და სხვ.)<sup>32</sup>

13. განსაკუთრებით უხვადაა გამოყენებული „მარტირიკაში“ საწყისის ვითარებითი ბრუნვიდან ნაწარმოები ე. წ. შესაძლებლობის მიმღეობა<sup>33</sup>, რომელსაც მომავალი დროის გაგებაც აქვს: ასეთი ფორმები უძველესი დროიდან იხმარება ძველ ქართულში, მაგრამ ასეთი ფორმების მოძალემა იწყება XI საუკუნის მწერლო-

<sup>32</sup>დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131

<sup>33</sup> იქვე, გვ. 106, 116. ამ საკითხს სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა ახლავს. ა. შანიძე ასეთ ფორმების წარმოქმნაში განიხილავს. ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 50, § 66.

ბაში (გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი). მიმ-  
ლეობის ასეთი ფორმების სიუხვე „მარტირიკის“ დამახასიათებ-  
ელი ნიშანია.

„რამეთუ განხრწნადნი არიან, რომელნიმე გესლთაგან შეჭამ-  
ადნი და ყოველნი მპარავთაგან დათხრადნი და წარპარუადნი...“  
(292,12).

„მიჰსცენით... სიცოცხლე დაბერებადი და არგებადი და მოი-  
ფარდეთ უკუდაეებადი და გებადი...“ (263,5-6).

„წერილნი... არ აღულ შემუსრუადნი...“ (264,21 და სხვა უამ-  
რავი).

14. მიმლეობის უარყოფითი ფორმებიდან აღსანიშნავია ე. წ.  
მოკლე ფორმებიდან ნაწარმოები უარყოფითი მიმლეობები, რო-  
მელთა რაოდენობა „მარტირიკაში“ საკმაოა.

„რომელიცა უნებისაგან მოიგების სულისა...“ (356,35).

„დაგებადისა დაუბერებელისა და წარუდენისათა მიმართ აღ-  
ლესვიდა...“ (334,6).

„გამოსრული უსიტყუთა ველურთაგან...“ (399,34).

„რომელთა დაეკუთა მსკაესითა უსიტყურებითა მისითა გარ-  
დაქმნა უსიტყუად...“ (402,12).

უარყოფითი მიმლეობა ნაწარმოებია არ ნაწილაკით:

„მიითუ სიტყუანი არშესაბამნი ყოვლად დიდებულთა საკუ-  
რველ-ყოფათა შენთანი...“ (247,5).

„მიჰსცენით... სიცოცხლე დაბერებადი და არგებადი და მოი-  
ფარდეთ უკუდაეებადი და გებადი...“ (263,6).

საინტერესოა ძვრის-უშოკსენობა ფორმა, სადაც აბსტრაქტუ-  
ლი სახელი ნაწარმოებია თავისებური უარყოფითი მიმლეობისაგან  
ძვრისუშოკსენო: „ძვრისუშოკსენობასაცა მისსა კბაძუდა...“ (400,20).

უდეტრების ხმარების ზოგიერთი თავისებურება. 1. თანდებუ-  
ლები. ა) ძველი ქართული ენის ძველებში დადასტურებულია  
მებრ ნაწილაკის ხმარების შემთხვევები სრულებით მნიშვნელო-  
ბით: „დაგუაეიწყდა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვრთ“ (ხანძელი),  
უფრო ხშირად იხმარება უარყოფით წინადადებებში: „ვეითარ-მე  
წიგნი იცის ამან, რამეთუ უსწავიე მებრ არა?“ (ი. 7, 15)<sup>34</sup>.

„მარტირიკაში“ მებრ მრავალგზის გვხვდება, მაგრამ არა ნა-  
წილაკის მნიშვნელობით, არამედ წინდებულად გამოყენებული; მას  
აქვს ებრ თანდებულის შინაარსი, თუმცა ებრ თანდებულის ხმა-  
რებაც არ არის შეზღუდული.

<sup>34</sup> ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 149.

„და სურვილი ესე ჩემი არს მებრ უფლებისა...“ (38,29).

„რომელიცა მებრ კეთილისა ჩუეულებისა... განატფობდეს...“ (158,24).

„და მებრ ბრძანებისა... დააკლდეს...“ (261,7).

„მებრ არსებისა, მებრ ჰეშმარიტებითისა ცნობისა... მებრ მონებისა და უფლებისა... მებრ მშობელობისა და შეილებისა...“ (29,15) და სხვ. უამრავი.

მხოლოდ შემდეგ მაგალითებში შეიძლება დაგვეხედოს ეჭვი, რომ მებრ უკუღებული თანდებულის ადგილზე ზის, თუკი მას პირველ სიტყვას მივაკუთვნებთ.

„არა იგავითისამებრ მჰსგავსებისა მჰსგავსებენ... ვარსკულავნი...“ (36,20).

„რომელ არს ენისამებრ ჩუენისა...“ (128,31).

ამ მაგალითში კი ნამდვილად მებრ უკუღებული:

„ხოლო წყალთაცამებრე და ესთა ჰქმნა ღმერთმან სოფელი ესე...“ (284,23).

ერთ მაგალითში მებრ სახელადაა ქცეული და მსაზღვრულს წარმოადგენს: „და აქათ და იქით ზუთნი ძერისმოქმედნი მებრითა განჩინებითა ძელითავე სიკუდილად დაისჯებოდეს...“ (149,18).

ბ) თანდებული თეს. ეს თანდებული ჩუეულებრივად იხმარება „მარტირიკაში“, მაგრამ იშვიათად ის წინდებულადაა გამოყენებული:

„უყოფდა წყალობასა... თეს საქართუელომსა და კახეთის აოკრებისა...“ (24,27).

გ) გარდა თანდებული მხოლოდ ახალ ქართულში იხმარება. იშვიათად ის გვხვდება „მარტირიკაში“, მაგრამ წინდებულად (ძე. ქართულში მას თუნიერ შეესატყვისება).

„გარდა მეფისა ყოეღნი თანად-მოშრახაობენ...“ (33,13).

დ) ზმირია თანდებულ და-ს ხმარების შემთხვევები „მარტირიკაში“ თეს თანდებულის მნიშვნელობით, რაც ღღეს ღილექტებშია შემორჩენილი:

„რაოდენ კაცთადა შესაძლებელ არს...“ (199,29).

„ვითარმედ ჩემდა შეუძლებელ არს...“ (117,25).

„ეგსახედ მაცხოვარებად ყოელისა სოფლისადა, რათა ხატი... განახლოს...“ (141,1).

და თანდებულდართული ნაცვალსახელები ზმირად მი თანდებულსაც ირთავენ:

„ნურარად ფიცხელ უბნობ მისდამი...“ (92,22).

ე) „მარტირიკაში“ არცთუ იშვიათად ძველი და ახალი ქარ-

თულისათვის დამახასიათებელი მი თანდებული დაერთვის მიმართულებითი ბრუნვის აღმნიშვნელ ნანათესაობითარ-ვითარებითის როგორც მრავლობითის, ასევე მხოლოდობითის ფორმებს:

„განაღვებებს სულთა ჩუენთა... ახოვნებათადმი რაედენისთა...“ (138,26).

„მიუშუეს ყოველი წადილი ტრფიალებითი... სატრფიალომ-სადმი...“ (112,6).

„ერთმანერთისადმი ზავებულნი...“ (14,7).

„რომელთადმი დედანი დაიყენეს...“ (90,4).

„ლოცუათა შემწირული ნივთთშემოქმედისადმი შეიპყრეს...“ (133,2).

„იტყოდა სხუათადმიცა...“ (90,2).

„მისრული და სახლელთადმი თესთა...“ (147,11).

„აქუნდა პასუხად ყოველთადმი...“ (147,9).

2. კავშირები. ა) მაგრა კავშირი უძველეს ქართული ენის ძეგლებში არ იხმარება (დღევანდელი მაგრამ-ის მნიშვნელობით იხმარებოდა გარნა, ზოლო, არამედ). მხოლოდ ორიოდ მაგალითი დასტურდება „იოვანესა და ეფთუმეს ცხოვრებაში“, მაგრამ არა დღევანდელი მნიშვნელობით<sup>35</sup>. სამაგიეროდ ჩვეულებრივია მაგრა-ს დღევანდელი მნიშვნელობით ხმარება პეტრიწის თხზულებებში<sup>36</sup>. აღარაფერს ვამბობთ საერო ხასიათის XII—XIII ს. ს. ძეგლებზე, რომლებშიც ეს კავშირი გავრცელებულია;

ანტონის „მარტირიაში“ მაგრა კავშირი ხშირად იხმარება, მისი ძველი ექვივალენტების გარნა, ზოლო, არამედ კავშირების გვერდით:

„იიძულებოდა... მაგრა იგი... ეგო შეურყეველად...“ (64,30).

„...სასურველ, ერთი და იგივე, მაგრა ჩუეულებით... ვითამე უგანთესებულეს...“ (138,16).

„... მაგრა წმიდისა მას ერთი აქუნდა პასუხი...“ (148,3).

„მაგრა აღილო მან...“ (63,8).

„... მაგრა უწყოდეთ ესე...“ (202,32).

„... მაგრა აზრახებდა შადიმან წარსულასა...“ (59,11) და სხვა მრავალი.

ბ) „მარტირიკის“ ენისათვის დამახასიათებელია რომელ ფორმის დღევანდელი რომ-ის მნიშვნელობით ხმარება, რაც ძველი ქარ-

<sup>35</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი ვე. 41.

<sup>36</sup> იქვე.

თული ენის ძეგლებიდან დასტურდება იოანე პეტრიწის თხზულებებში<sup>37</sup>, ხოლო უფრო ძველ ძეგლებში იშვიათად გვხვდება<sup>38</sup>.

„წინასწარ ჰხედავს, რომელ ახს დღე მათი...“ (254,3).

(შდრ. დღევანდელი: წინასწარ გრძნობს, რომ ახლოს არის დღე მათი სიკვდილისა).

„ხოლო მომზრახობენ, რომელ შემდგომად რაოდენთამე წელთა...“ (47,24).

რომელ უამრავ შემთხვევაში გამოყენებულია მიზეზის გარემოებით დამოკ. წინადადებებში დღევანდელი რომ კავშირის მნიშვნელობით, რომელსაც მთავარ წინადადებაში ყველაზე ხშირად მით მისამართი სიტყვა შეესატყვისება, ხოლო უფრო იშვიათად ამაღ (დღევანდელი ქართული ენით იმიტომ და ამიტომ).

„სანატრელ არიან ბრძენნი ესე მით, რომელ პოვნილი იგი სიბრძნეა... მიუთხრეს...“ (255,18; შდრ. ბედნიერნი არიან ბრძენნი იმიტომ, რომ შეძენილი სიბრძნე გადმოსცეს).

„უბრძანა... წარკუეთად თავი მისი მით, რომელ ნუსადა აღიღონ ქრისტიანეთა სხეული მისი...“ (226,28).

„სადაღამცა იპოვა მათ შორის მით, რომელ სულნი სიწმიდი-თა... ზესთა ქმნილან...“ (198,3).

„დამტკიცებამ ჰყო სიყუარულითა უქცეველითა მით, რომელ ესვიდა იგი საქმეთა ჭეშმარიტებასა...“ (212,15).

„ნუცალა კუებულ იქმნები მეფობისაგან შენისა მით, რომელ არა მაქუს გულსა შინა ჩემსა შური...“ (58,13).

„კეთილ უკუე არიან... მით, რომელ... განგუაღუძებენ წადილად...“ (68,24).

„უბნობ მისდამი მით, რომელ ბუნებამ დედათა არს სულმოკლე...“ (92,22).

„ვინა შეუხებელ სადამე არს იგი მით, რომელ უკეთუ მარტივ არს, შეუხებელცა არს...“ (139,32).

„ვინა საუკუნო არს მით, რომელ ყოველთა მათ ერთთა არსებანი საუკუნო არიან...“ (139,34).

„არარაიმე დაჭრანი ასოთანი... მით, რომელ ტრფიალებამან მოიყუანნა სატკივართა უგრძნობელობად“ (190,24).

„ცოდუა არს უღმრთობეამ ამაღ, რომელ სათნობეა იგი... არს დაცუა მცნებათა...“ (353,28).

37 დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

38 შ. ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის... 1959, თბილისი, გვ. 23—29.



„განგებამ საღმრთოდ იყო მაშინ განრინებამ ნონასო ამად, რომელ მოჰქონდა ჩუენდა სიტყუანი ცხოვრებისანი...“ (397,1).

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში რამეთუ-ს ძირითად მნიშვნელობასთან ერთად ჰქონდა დღევანდელი რომ კავშირის მნიშვნელობაც.

„მე გეტყუ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე“ (მათ. 16,18).

ანტონიც ხშირად ხმარობს რამეთუ კავშირს რომ-ის მნიშვნელობით, თუმცა ასეთი მაგალითები რომელ-თან შედარებით ნაკლებია:

„მის თანა განსუენებამ მოვიგო მით, რამეთუ სიმართლით მიღებად წინა-მიძს სიკუდილი...“ (316,12).

„ყოველი მარტულთმოყუარე უძღებ არს ჰქსენებისა მიმართ მათისა მით, რამეთუ ჰქსენებამ ვნებისა მათისა მოკსენება არს... ვნებათა იესუსთა...“ (230,34).

„ხოლო იყავნ სიყუარული და მშედობამ... მით, რამეთუ ქუყანა ქართლისა საკუთარ ჩემდა ვიცი...“ (56,33).

„არა დავარღვეო იგი ჩემთს... მით, რამეთუ უწყვი იგი ძედ ჩემდა...“ (56,33).

არაა უცხო ანტონისათვის ვითარმედ კავშირის ხმარება დღევანდელი რომ კავშირის შინაარსით.

„პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკუდილი წმიდათა მისთა ამისთს, ვითარმედ სიკუდილი წმიდათა სასმელად ცხოვრებისად განასაჯა გულისხმისყოფამან...“ (120,11).

„მოჰსწყუნდა წმიდანი... ამისთს, ვითარმედ არა თავს-იდუეს უარის-ყოფამა ქრისტეს ღმრთისა...“ (70,5).

„... არს გებად უკუდავად ამისთს, ვითარმედ იგონებს იგი, განჰსჯის და გამოაჩინებს...“ (140,4).

ამრიგად, „მარტირიკის“ მიხედვით ჩანს, რომ რომელ კავშირი დღევანდელი რომ-ის მნიშვნელობით ყველაზე ხშირად იხმარება. რომელ კავშირი რომელ ნაცვალსახელიდან არის მიღებული. ამ ნაცვალსახელს ანტონი „მარტირიკაშიც“ იყენებს თავისი დანიშნულებით:

„მოითრია მკეცი იგი სამჭედღურითა მით, რომელი მიიღო უფლისაგან...“ (414,9).

3. ნაწილაკები. 1. სხუათა სიტყვის ო. „მარტირიკაში“ ის გამოიყენება ციტირებისას და დაერთვის ზმნას, რომელიც იწყებს წინადადებას:

„ჰსწყენ კულად: „აღუტევესო კახთა ყოველთა კმამ წინაშე დედოფლისა...“ (25,14).

„ქსწერენ, ვითარმედ: „იცხოო თეიმურაზ მეფედ ქისიყს...“ (23,19).

„მომზრახობენ... განიზრახაო წმიდამან არჩილ...“ (79,1).

„ქსთქუა: წარვიდეო მძლავრისად და ვითხოვო...“ (77,26).

„უწყებულ ვართ: „მოიწიო იოანესა ბრძანებაა...“ (107,18).

„... აღწყუდილ არსო ქალაქი ჩუენი...“ (70,18).

„...იტყეს ვახუშტი: წარუგზავნაო კრმალი... მეფესა ლუარსაბს...“ (57,34).

„...მე ვარო, რომელსა წამგუარა ცოლი თეიმურაზ...“ (34,25). და სხვა მრავალი.

საერთოდ „მარტირიკის“ ენისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი ნაწილაკის ზმნაზე დართვა, როგორც ეს მცა ნაწილაკთან დაკავშირებით უკვე ვთქვით, ასევეა ზოგჯერ ცა ნაწილაკიც:

„და მოაგონებდაცა მკულელობასა მამისა ძმისა...“ (20,3).

„უფრობოდაცა ფარულად, რათა...“ (61,2) და სხვა მრავალი.

ბ) რე ნაწილაკი „მარტირიკაში“ ძალიან ხშირია, თუმცა მისი ფუნქციის გარკვევა ჭირს, რადგან იგი ძველი და საშუალო ქართული ენის ძეგლებში მაინც სპეციფიკური მნიშვნელობით იხმარებოდა; მარტირიკაში მისი მოქმედების სფერო ძალიან გაზრდილია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რე ნაწილაკი, ჩვეულებრივ, უფროობითი ხარისხის ფორმებს ახლავს, რადგან გარდა ნაირი, სახის მნიშვნელობისა, რომელიც მას ზმნისართებზე დართულს აქვს (ეგ-რე), მას მცირედ, ოდნავ მნიშვნელობაც აქვს ზმნებთან და ზმნიზედებთან ხმარებისას<sup>39</sup>. „მარტირიკაში“ რე ნაწილაკს ეს მნიშვნელობა შეიძლება კქონდეს ზედსართავის უფროობით ფორმებთან:

„ღმრთისა მიერ უადვილესრე შესაძლებელ არს...“ (175,20).

„უმწუერუალესითრე ტრფიალებით შემსმელ სასმელისა უფლისასა...“ (230,16).

მაგრამ უფრო გაურკვეველია მისი ფუნქცია მოქმედებით და ვითარებით ბრუნებებში დასმულ ზედსართავ სახელებთან. ალბათ, ანტონი მას იმავე მნიშვნელობით ხმარობს, როგორც ის არის გამოყენებული ზოგჯერ ძვ. ქართული ენის ზოგიერთ ძეგლში (მაგ. „ხოლო აქა განგზომობილადრე მოგვთხრა წიგნმან“: გიორგი მთაწმიდლის თარგმანი „ექუსთა დღეთა“ 30,28, მ. კახაძის გამოცემა) ზედსართავის დადებითი ხარისხის ფორმებთან უფროობითი ხარისხის გამოსახატავად:

<sup>39</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 662

„შეკრულ იყენეს არათუ ბუნებითითარე ქსჯულითა ოდენ...“ (286,3).

„ჭეშმარიტითარე მქსჯავრითა...“ (74,22), „ახლათარე განახლებითა დაბადებულსა“ (137,9).

პატიოსნითარე (40,17), უხილავითარე (40,32), შერეულითარე (51,32), მრავლითარე (58,4), მზაკუარითარე სიხარულითა (59,35), დიდითარე (18,26).

„რომლითაცა ბუნებითადრე მტკიცებდეს გონებაა განუკრთომელად...“ (198,9).

„დიდადრე მდინარედ გამოსრულმან განაკურუნა ძალნი ზეციანი...“ (263,11).

„მკუდართა ცოცხლადრე წარმომადგენნი...“ (107,6).

„რათა ხატი თუსი... უხრწნელებადრე... მოიყუნოს...“ (111,32).

„უფრთხოდაცა ფარულადრე, რათა...“ (61,2).

„უთანასწოროდრე გამოცდილ იყო...“ 60,31).

„მცირედრე (26,11), ანაზლადრე (18,10), მკნედრე (60,4), მძაფრადრე (32,25), „მრავალთარე იქმოდა მოგონებათა...“ (175,14) და სხვა მრავალი.

მაგრამ რე ნაწილაკის ფუნქციის დადგენა არსებითი სახელის, რიცხვითი სახელისა და საწყისების წრფელობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნებთან ჭირს;

„ზაფხულრე“ (54,26); „აღმსდგა ტაბლითრე“ (61,33); „ფიცითარე (29,7); „ორადრე (21,14); „განთსუებითრე (30,30); „ბრძანებითარე (24,6); „მადლობითრე (30,14); „ზაკეთრე (23,4); „რომელთა შორის დოღმატისტორიადრე მექმი არს მამამთავარი... ბესარიონ...“ (14,26).

უკანასკნელი მაგალითების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ რე ნაწილაკი „მარტიკაში“ უფრო სტილისტური მოსაზრებით იხმარება, ვიდრე გარკვეული გრამატიკული მნიშვნელობით, რომ მას დაკარგული აქვს გრამატიკული ფუნქცია.

გ) ნაწილაკი ყუ. საკმაო ოდენობითაა წარმოდგენილი „მარტიკაში“. ის იხმარება გარდაუვალი ორპირიანი და გარდამავალი სამპირიანი ზმნების მე-2 და მე-3 ირიბ-ობიექტური პირის მრავლობით რიცხვში და ინვერსიული ფორმების მე-3 სუბიექტურ პირში<sup>40</sup>, ისევე, როგორც ქართული ენის რამდენიმე დიალექტში. როგორც ცნობილია, ძველ ქართულ ენაში ირიბი ობიექტის მრავლობითობა არ აღინიშნებოდა, თანამედროვე ქართულში კი ირიბი

<sup>40</sup> ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, 1964, გვ. 76.

ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად გამოიყენება. ანტონის „მარტირია“ ამ საკითხში ჭრელ სურათს გვაძლევს. მის ტექსტებში. მრავლადაა დადასტურებული სამივე შემთხვევა ერთი და იმავე ფორმებისათვის: 1. ძველი ქართულის ნორმა: არ აღინიშნება ირიბი ობიექტის რიცხვი. 2. მრავლობითის ნიშნად გამოყენებულია თ და პ. გამოყენებულია დიალექტური ყე ნაწილაკი. ჩვენ მხოლოდ ორი უკანასკნელის მაგალითებს ვაჩვენებთ:

„ვარსკულავთა მოძრავთა აქუსყე თუთოეულსა ღერძი თუსი...“ (36,9).

„რომელთა აქუსყე თუსებამ ესეგუარი...“ (191,27).

„რამეთუ მათ შინაგან აქუნდაყე დასაშრეტელ ცეცხლისა წყალი...“ 190,16).

„რომელი ანგელოსთა ჰსურისყე შესწავებად...“ (XIX, 589,19).

„პრწმენაყე აღმთქმელისა მის მიმართ...“ (166,29).

„სირცხულითა წიწნეულებად მოიყუანებდაყე საკვრუელებამ უღმრთოებისა...“ (19,26).

„საჭიროდ შემოუქდაყე შორის იძულებად...“ (407,27).

„შეურაცხიესყე ბოროტად განსლუაი მათი...“ (158,1).

„ნუმცა დაგვიწყებთესყე ჰქსენებამ ჩემი ლოცუათა შინა...“ (97,12).

„და მოაქუსყე მოწამეთათუს... რომელთამე სიტყუანი...“ (137,14).

„ვერ დამაბრკოლებელ შესულად დიდებაჲა შინა ქრისტესსა ექმნაყე...“ (323,12).

„არამედ მოუღებთესყე სული შეიღებისა...“ (254,12).

„ვითარმედ დაუმტკიცებთესყე განსაზღურებამ ესე ანუ განჩინამ...“ (341,16).

„ვინამცა სულმან ღმერთთმთავარმან უქმნაყე... წყაროთა სიმრგულემ...“ (360,7).

„რამეთუ მულაბან აჩნდაყე მათი იგი სხუსა ქადაგებისა შედგომამ...“ (364,19) და სხვა მრავალი.

მაგრამ „ამით ტაფ-ჭალათა... აქუსთ ჩუეულებამ...“ (201,12).

„თუთ დაჰსჯილი უკუე აქუნდათ გულისსიტყუამ...“ (196,29).

„აქუსთ სხუაობამ ქუეშეგანწულალებითი...“ (36,32).

„ვითარ არა სირცხულ გიჩნსთ სახელისდებად ღმრთად...“ (115,26).

„რამეთუ ცხოვრებამ ანგელოსებრი მოაქუსთ ჯორცთა შინა...“ (108,28).

„რომელთამე მოაქუსთ... სამოსელნი...“

„დალათუ გასურსთ ფრიად სიკუდილი ჩუენი...“ (137,27).

„არლა მოულებიესთ სული გონებისა...“ (254,11).

„რომელთაცა... მოუგიესთ საღმრთოა განბრწყინუება...“ (134,22).

„ხოლო თქუენ... უარ-გიყოფიესთ შემოქმედი თქუენი და შეგი-რაქიესთ ესე კეთილ-გონიერებად...“ (279,20-21).

„ბორცუთა და მთათა ზედა აღჰყავსთ მდინარენი...“ (107,5).

„სასმელი ესე სიკუდილისა, რომელი გიპყრიესთ კელთა ში-ნა...“ (262,5).

„შესახედავისა სიმწუანე ქსურისთ თუალთა ბრძენთასა...“ (361,16).

„რამეთუ პირითა აღიარებდეს უფალსა იესუს და ჰრწმენათ გულითა...“ (362,28).

„ყოველთა მეძიებელთა თუსთა ეპოებისთ ღმერთი...“ (350,6).

როგორც ვნახეთ, „მარტირიკისათვის“ დამახასიათებელია ასე-თი პარალელები: აქუსთ-აქუსყე, ჰრწმენათ — ჰრწმენაყე, გიჩნსთ— უჩნდაყე, მოაქუსთ — მოაქუსყე, მოულებიესთ — მოულებიესყე, და სხვა მრავალი. და მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ყე ნაწილაკიანი ზმნები თ-ანიან ფორმებთან შედარებით ნაკლებია, დომინირებს ირიბი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნის ის ფორმა, რომელიც თანამედროვე ქართულ ენაში დამკვიდრდა მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებებით. (აქუსთ-აქუთ, გასურსთ-გსურთ, და სხვ.). ამ საკითხში, ეტყობა, ანტონმა მისი დროის სასაუბრო ენის გავლენა განიცადა, თუმცა საბოლოო არჩევანი დიალექტური ფორმებიდან არ გაუკეთებია.

დ) ნაწილაკი სადამე „მარტირიკაში“ ძველი ქართულის სამე ნაწილაკის მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს; სადამე-ს ღლევან-ღელი ქართული ენის კი ნაწილაკის შინაარსი აქვს. ეს უფრო იმ მაგალითებით ჩანს, სადაც სადამე თუ კავშირთან ერთადაა წარმოდგენილი. აქ მას თუ-კი-ს მნიშვნელობა აქვს.

„ხოლო თუ სადამე არა მოკლას, ერჩდესმცა..., იგი...“ 147,34).

„თუ სადამე შესაძლებელ იყოსმცა...“ (148,5).

„თუ სადამე არა ისმინო...“ (243,10).

„და თუ სადამე არა მივიღემცა...“ (59,17).

„და თუ სადამე შთავცვენემცა კელთა შინა ბარბაროსთასა...“ (70,19).

უფრო ძნელია სადამე ნაწილაკის მნიშვნელობის დადგენა თუ-ს გარეშე, მაგრამ თუ სადამე ძველი ქართულის სამე ნაწილაკის

ეკვივალენტია, იგი იმავე მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს. ეს ჩანს ორივე ფორმის შემცველ წინადადებათა შედარებით:

„აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შვილნი (მ. 17,26); „პირი სამე ცისამ იციტ გამოცლად“ (მ. 16.3); „აჰა, ვითარ სამე უყუარდა იგი“ (ი. 11,36). ქვემოთ ჩამოთვლილ წინადადებებში სადამე მართლაც ამავე მნიშვნელობით იხმარება:

„ვინა მოწყალე და სახიერ არს სადამე ბუნებით და ამისთვის უყუარს წყალობა და მსჯავრი უფლისა...“ (356,21).

„ხოლო ორად სადამე წულალებულ შიში უფლისა...“ (354,26).

„რად სადამე განაშორებ ჩემგან ცოლსა ჩემსა...?“ (96,19).

შდრ. იაკობ ხუცესი: „გამომეც ცოლი ჩემი, რად განაშორებ ჩემგან?“ (ძე. ქარ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, 1, 19, 19).

„რამეთუ იხილა მან სადამე თეს შორის მოსრული სატრფიალოა თესი...“ (76,17).

4. საკავშირებელი სიტყვა ვინა // ვინამ. ვინამ და მისი ვარიანტები ძე. ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, რომელთაგან ძირითადია ადვილის ზმნიზედის გამოხატვა, მაგრამ „ძველი ქართული მოგვიანო ხანის ენაში (IX—X—XI სს.) მარტივი წინადადების ფარგლებში თავისი ძირითადი მნიშვნელობის — ლოკალობის სემანტიკის გადმოცემის გვერდით იძენს მეორე ფუნქციას: ესაა კაუზალობის სემანტიკის გამოხატვა. ამგვარად, იგი მიზეზის ზმნიზედაცაა, უდრის ამიტომ, ამის გამო“<sup>41</sup>. პეტრიწის თხზულებებში ვინამ იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ძველ ქართულში აქვს, იშვიათად იხმარება და ძირითადად საიდანაც, რის გამოც, აქედან გამომდინარე, ამგვარად, მას სასადამე მნიშვნელობითაა ნახმარი<sup>42</sup>.

ანტონის მარტივიკაში ვინა (უფრო ნაკლებად ვინამ), ვინამცა ფორმები ძალიან ხშირად გვხვდება, მაგრამ მას არც ერთხელ არა აქვს ლოკალობის სემანტიკური მნიშვნელობა. ის ყოველთვის გადმოგვცემს ამიტომ, ამის გამო ზმნიზედის შინაარს. ხშირად ვინა-ვინამცა იწყებს წინადადებას და ლოგიკური დასკვნის შინაარსს ატარებს (შდრ. ამ მნიშვნელობით მისი ხმარების შემთხვევები პეტრიწის ენაში<sup>43</sup>).

„... ვითარმედ საქმენი გრიგორისნი იყუნეს ნიადაგ ქრის-

<sup>41</sup> შოთა ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, თბილისი, 1959, გვ. 290.

<sup>42</sup> დ. მელიქილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 164.

ტესტს, ვინა არა ჰსცა გრიგორი ადგილი ვნებასა გულფიცხლო-ბისასა...“ (379,29).

„მოვიდა ლმერთი... და დაემკვდრა მის შორის, ვინა შემძლებელ იქმნა ამით ყოველთავე მსახურებათა აღსრულებად...“ (414,18).

„მე მივმს შენ მიერ ნათლისღებვა და შენ ჩემდა მოხუალა? ვინა შეუძლებელ არსო ჩემდა უარესისა ძალისა ჩემისა მოღებვისა შეკადრებად...“ (408,22).

„ვინა შეწვევისაგან გარეგანისა მოკლებულთა ციხისშინათა ზავი ითხოვეს...“ (291,1).

„ვინა ესენიცა კეთილ არიან, ხოლო ვინამთგან კეთილ არიან, მამსადადამე, საწადელ არიან...“ (68,22).

„ვინა თანა-გუაცს სიკუდილი კაცისა ამის ესეგუარი...“ (132,13).

„ვინა სათანადო არს ჩუენდა ნატურად წმიდანი მოწამენი ქრისტესნი...“ (158,10).

„ვინა ესენებად მისი ქებითურთ...“ (267,21).

„ვინა საკურულ-ჰყოფს უფალი ნებასა თესსა მათ შორის“ (208,24).

„ვინა ვაკურთხო უფალი ყოველსა ჟამსა...“ (356,23).

„ვინა მიუზლოთ მარტულთა... ჯილდომ... და შეუთხზათ გურგენი...“ (283,35).

იგივე მნიშვნელობა აქვს ვინამცა ნაწილაკიან ფორმებს. ამიტომაც იგივე დასკვნის შინაარსს აძლევს წინადადებას. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

„... ვინამცა უწყებულ ჰყუეს მეფემ...“ (280,29).

„ვინამცა ბრძანებული განჩინებად მძლავრისა მიიღო სიხარულით...“ (245,21).

„... ვინამცა შეიზარახნეს მსახურნი ცეცხლისანი...“ (132,3).

„... ვინამცა დღეს ამას ცხოვრებისასა შეეწია მათ ლმერთი, რამეთუ...“ (205,4).

„ვინამცა მტარულნი იგი... მიაკცივნა კარებად...“ (151,33).

ვინა-ს, ვფიქრობთ, ზოგჯერ შეიძლება ჰქონდეს რადგან მიზეზის ზმნიზელის მნიშვნელობაც. ეს მოულოდნელი არაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვინამთგან-ს ძველ ქართულში რადგან-ის მნიშვნელობა ჰქონდა.

„ხოლო მოწამეთა ჭეშმარიტებისათა დადუეს სული თესი მისთვის, რომელმანცა ჰსთქუა: „მე ვარ ჭეშმარიტება“, ვინა მოწამეთა ფრიად შეიყუარეს იგი...“ (267,11).

„ხოლო ქება ვინაჲთგან იგი არს, რომელი აღრიცხავს სრულებათა სხუათასა და ესენებაჲ კოსტანტინესი ქებითურთ, ვინა სათანადო არს აღრიცხუა სრულებათა მისთა...“ (267,24).

„ვინა უკუდავ სადამე არს სული, მაშასადამე, უკუდავიცა მიილოს ადგილი...“ (140,6).

5) მაშასადამე. საკავშირებელი სიტყვა ანტონის წინა პერიოდის საეკლესიო მწერლობის ძეგლებში არ იხმარება. პეტრიწის ენაში ბევრი მაგალითია დადასტურებული ამ მნიშვნელობით მაშა-ს ხმარებისა<sup>44</sup>. მის ნაცვლად ძველ ქართულში ვინაჲ, ვიდრემე, უკუე იხმარებოდა. მაშასადამე ანტონის ენაში სასაუბრო ენიდან უნდა იყოს შემოტანილი. ის შედგენილია მაშა და სადამე ნაწილაკების შეერთებით:

„რომელიცა არს... გონებაჲ და სიტყუა და ცხოველ, მაშასადამე, უკუდავიცა...“ (139,16).

„არა არიან ღმერთნი ესე მარტიე, მაშასადამე, შესაძლებელ არიან დაჯსნად კერძოთად...“ (139,21).

„ვინა უკუდავ სადამე არს სული, მაშასადამე, უკუდავიცა მიილოს ადგილი...“ (140,6).

„კუალად, მაშასადამე, ყოველი მცოდნელი კრძალულებისად— მცოდნულ სარწმუნოებისა მიმართ...“ (354,8).

„მაშასადამე, მცოდნელი სიბრძნისად — მცოდნულ კრძალულებისად...“ (354,8).

„მაშასადამე, ნეტარსა და მონასა უფლისა ღმრთისასა... ვერლარა ეძლო მონებად...“ (383,4).

„ვინაჲთგან კეთილ არიან, მაშასადამე, საწადელ არიან...“ (68,23).

6) ესთა ვითარების ზმნიზედის მნიშვნელობით ძალიან ხშირად იხმარება „მარტირიკაში“ ესრეთ ზმნიზედის მონაცვლედ და ასე, ამნაირად, ამგვარად თანამედროვე ხმარების ზმნიზედების შინაარსი აქვს.

„და ესთა შეაერთებს ვისმე...“ (198,29).

„... რომლითა ესთა შემკრავს ჩუენ მსჯული ბუნებითი...“ (285,33).

„მიზეზმან წმიდისა ლუაწლისამან ესთა ძრუად იწყო...“ (23,17).

„ვინა ესთა მოიგონებისა... შემოქმედი... სულ არს მარტიე...“ (356,9) და სხვა მრავალი.

მაგრამ:

<sup>44</sup> დ. პელიკიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.



„ესრეთ ძლითი-ძლად მისრულნი... მიმადლებულ იქმნეს...“  
(198,32).

როგორც ჩანს, ესთა ანტონის ენისათვის დამახასიათებელი სი-  
ახლეა.

კომპოზიტები. „მარტირიკა“ კომპოზიტების სიუხვით ხასიათ-  
დება. ანტონის მიერ გამოყენებული თუ შედგენილი კომპოზიტების  
გამორჩევა „მარტირიკის“ ტექსტში ადვილია ვიზუალურადაც, რა-  
დგან აქ ანტონი ხმარობს გარემორთხმულს. ჩვენ არ შეეუდგებით  
„მარტირიკაში“ კომპოზიტების სახეების დახასიათებას, აღვნიშ-  
ნავთ მხოლოდ ერთ თავისებურებას: ანტონის მიდრეკილებას რთუ-  
ლი სიტყვების შექმნისაკენ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ე. წ. სამ-  
მაგი რთული სიტყვები:

„კეთილ-მეთნ-მმკაცრე“ (37,4).

„მკლაე-მაგარ-კუეთანი“ (49,25).

„უჟამ-უდრო-უწელიწდონი“ (15,19).

„ღუნოსმულ-ყოფასა შინა“ (51,28) და სხვ.

ლექსიკა. „მარტირიკის“ ლექსიკური არსენალი შეტად მდიდა-  
რი. „მარტირიკის“ ლექსიკა ასახულია ლექსიკონში, რომელიც  
ერთვის ტექსტის გამოცემას, მაგრამ ცოტაოდენი რამ მაინც უნდა  
ითქვას საგანგებოდ. აქვე დაეძენთ, რომ ანტონი შესანიშნავად იც-  
ნობს ძველი ქართული ენის არქაულ ლექსიკას და იყენებს მას.  
1. ანტონის „მარტირიკაში“ მოინახება ლექსიკური ერთეულები,  
რომლებიც ნასესხებია ბერძნულიდან, მაგრამ ძველი ქართული  
ენის ძეგლებში თითქმის არ გვხვდება. ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ  
ასეთი ლექსიკა ანტონმა პირველმა იხმარა, მაგრამ ნაწილი ამ ლექ-  
სიკისა რომ თანდათანობით დამკვიდრდა ქართულ ენაში და დღე-  
საც იხმარება, ამაში ანტონის დამსახურებაც უდავოა. ასეთი ლექსიკა  
ორ ნაწილად უნდა წარმოვადგინოთ:

ა) ბერძნულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულები, რომლე-  
ბიც არ დამკვიდრდა ქართულში (ბერძნული შესატყვისობანი იხ.  
ლექსიკონში).

აეჭონი — მწერალი (369,1 და მრავალჯერ).

ანტლია — ტოლჩა (265,9).

აბოდიქსიკა — ცოდნა, რომელიც გამორიცხავს საწინააღმდე-  
გოს არსებობას (407,24).

ალალმა — ქანდაკება (370,16).

გნომი — შეცნობის უნარი (325,23 და მრავალჯერ).

ეპიფანია — ზედაპირი (167,27).

ვუტმო — ბალახი (338,8).

- თრონოს — ტახტი (330,12).  
 ინდალმა — სახე (ინძაჲ) (370,17).  
 ირისე — ცისარტყელა (168,6).  
 ენტრო — ცენტრი (342,1; დამკვიდრდა ცენტრის ფორ-  
 მით გვიან).  
 ლატრია — საღმრთო? (161,34).  
 ლიმენა — ნაესადგური (160,14).  
 ლიმო — ლიმონის ხე (249,34).  
 მავ-ი — ლურჯი (283,10).  
 პელედო — ზღვა (თუ მისი ნაპირი) (190,18).  
 პინაქს — სარჩევი (418,22).  
 პსიხი — სული (184,12).  
 ჰირა—რიგი, წყება (14,16 და მრავ. იხმარ. „ვეფხისტყაოსანში“).  
 სოლინარი — წყალსადენი (162,5).

ბ) ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ყველა ანტონის შემოტანილი თუ არ არის, მაინც ამ პერიოდში ჩნდება საეკლესიო ლიტერატურაში, დამკვიდრდა ქართულში და დღესაც იმავე მნიშვნელობით იხმარება: არომატი (188,35), ატმოსფერა (13,33), აგნოსი (287,16), დისკო (383,16), ეგსპედიცია (338,26), ეკვატორი (191,32), ეკლიპტიკი (191,32), თეორეტიკა (355,24), იღვა (165,16), მერედიანი (249,6), მონარხია (259,23 და მრავ.), პოლიტიკოსი (მოქალაქე, 326,31), პრაქტიკოსობა (327,3), პროვინცია (260,28), სინტაქსი (327,18), სისტემა (184,7), სეკუნდი (255,38), სელოგიზმო (342,20), სხოლასტიკოსი (325,37), ფარგალი (358,17) და სხვა.

2. უნდა გამოვეყოთ ის ლექსიკა, რომელიც სხვაენოვანი წარმოშობისაა, მაგრამ ანტონს რუსულის გზით უნდა შემოეტანა („მარტირია“ დაიწერა ანტონის რუსეთოდან დაბრუნების შემდეგ): ატაკი (атака ფრანგ. attaque, 20,12 და ხშირად), მონარხია (ბერძ. monarchia 259,23), მუსკული (ლათ. musculus), პროვინცია (ლათ. provincia; 260,28), სეკუნდი (ლათ. secunda, 255,38), სფერა (sphaera) და კიდევ ბევრი სხვა, რომელიც ჩვენ შეიძლება პირდაპირ ბერძნულიდან ან ლათინურიდან შემოტანილი გვეგონოს. ამას გვაეარაუდებინებს ანგელოს სიტყვის ზოგჯერ ანგელ (427,8), ანგელთად ფორმით ხმარება (შდრ. რუს. ангел).

3. აღნიშვნის ღირსია ის ლექსიკა, რომელიც ანტონის შექმნილია გრამატიკული კატეგორიებისათვის, დამკვიდრდა თანამედროვე ქართულ ენაში და „მარტირიაშიც“ იხმარება: აწმყო (193,31),

ნ ა მ ყ ო (19,30), მ ყ ო ბ ა დ ი (193,32), ქ ე ე მ დ ე ბ ა რ ე, ს ი ნ-  
ტ ა ქ ს ი, წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა და ს ხ ე ა.

4. აქვე უნდა დაეახელოთ ის სიტყვები, რომელთაც ანტონის „მარტირიაში“ დღევანდელი შინაარსი აქვს, ხოლო ძველ ქართულ ენაში განსხვავებული ნიუანსით იხმარებოდა: არსება (121,10), თანმედროე (19,10), თესება (191,27), თანკმაება (84,4), მოქმედება (19,7), მოძრაეობა (179,1) და სხვ.

### სინტაქსის ზოგიერთი საკითხი

„მარტირიკის“ ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსის ზოგიერთ საკითხზე საუბარი ჩვენ მორფოლოგიაში მოგვიხდა (მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში და რიცხვში შეთანხმება, რომელ კავშირი დაქვემდებარებულ წინადადებაში, მცა კავშირის სინტაქსური ფუნქცია და სხვა) და აქ აღარ განვიმეორებთ. ამჯერად ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საკითხს შევეხებით:

1. მასდარული კონსტრუქცია. როგორც ცნობილია, ვითარებითში დასმული მასდარი ძველ ქართულში ინფინიტის მნიშვნელობით იხმარებოდა ისევე, როგორც სხვა ენათა ინფინიტეი. ვითარებითში დასმული მასდარი ხშირად რთული წინადადების მონაცვლეა ქართულში. ასეთ შემთხვევაში მისი შემცველი წინადადება ჰიპოტაქსურ შინაარსს გამოხატავდა<sup>45</sup>.

„მარტირიაში“ მასდარულ კონსტრუქციას ანტონი ძალიან ხშირად მიმართავს რთული წინადადების შემოკლებით მიზნის გარემოების გამოსახატავად. „დაიდუა გულსა თუსსა დადებად სული თუსი“ (59,14) (შდრ. „დაიდუა გულსა თუსსა, რაათა დასდვის სული თუსი“).

„და მოსრულსა მეფესა აწუა შაპ-აბას ჭამად თევზი...“ (61,24); (შდრ... „რათა ჭამოს თევზი“).

„გიორგი იზრახა მოხდად სახლსა შინა თუსსა მეფემ და... ღუნოსმულ-ყოფასა შინა ჩუენებად დაა თუსი...“ (51,26; შდრ... „რათა მოხადოს... და აჩუენოს...“).

„ცოლადცა მოყუანებად ინებოს იგი“ (51,33). (შდრ. „ინებოს, რათა ცოლადცა მოიყუანოს იგი“).

„ვეველრებით სიმდაბლით... მიცემად მეფეთად სამეფონი თუსნი“ (57,16).

„ეფუცა... აღსრულებად ყოველი ესე...“ (57,26).

<sup>45</sup> დ. ბელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

- „ვითარმედ შესაძლებელ არს ჩემდა ძერი ყოფად...“ (59,37).  
 „მაწუო უარისყოფად ქრისტჳ...“ (61,29).  
 „და აყენებდა ხარკსაც მიცემად კეისრისა...“ (220,32).  
 „ბრძანა შეპყრობად წმიდა იგი...“ (81,11).  
 „მნებავს აღწერად ლუაწლნი შენნი...“ (92,6).  
 „იყო... მეცადინ თვსდაში მიღრეკად გულნი ყოველთა ქართუ-  
 ელთანი...“ (51,12).  
 „ბრძანა მტარუალთად უწყალოდ ცემად პირი და ლაწუნი მი-  
 სნი...“ (148,8).  
 არტუო იშვიათია მაგალითები, როდესაც ანტონი მსგავსი შემ-  
 თხვევებისათვის იყენებს არა ვითარებითში დასმულ საწყისს, არა-  
 მედ სახელობითში:  
 „არა ინებეს... შეწყნარებამ და დატევებად ქრისტეს ღმრთისა...“  
 (294,4).  
 „ბრძანა განტევებამ დისა მისისა და შეპყრობადცა გიორგი...“  
 (54,23).  
 „იზრახეს შეპყრობამ გიორგისა და განტევებამ დისა მისისა...“  
 (54,27).  
 „უბრძანა მთავართა მათ მისულამ კოსტანტინეს მიმართ...“  
 (280,19).  
 „ცხად უყუეს მოწამესა ქრისტესსა განჩინებამ სიკუდილისა...“  
 (280,22).  
 „შეუძლებელ არს განდრეკამ მისი...“ (280,17).  
 „არა თავს-იღვია... გამოსულამ... და შეერთებად მსახურთა თა-  
 ნა...“ (100,19).  
 „უბრძანა... წარყუანებამ ეესტათისი... და იღუმალ წარკუ-  
 ეთად... თავი მისი...“ (225,26).  
 იწყებს ზმნასთან „მარტირიკაში“ ჩვეულებრივ ვითარებითში  
 დასმული მასდარია წარმოდგენილი:  
 „იწყო კუალად მოწამემან მისდა სიტყუად...“ (241,23).  
 „ესთა ძრუად იწყო...“ (23,17).  
 „წმიდამან იწყო ტირილად და გოდებად...“ (100,5).  
 „იწყეს ვედრებად...“ (366,11) და სხვა.  
 აქვე უნდა განვიხილოთ ვითარებით ბრუნვაში დასმულ მას-  
 დართან დამატების ბრუნვის საკითხი. ძველ ქართულში მასდართან  
 მიცემითსა და სახელობითში დასმული დამატებანი ნორმალურადაა  
 მიჩნეული, ე. ი. მასდარს შენარჩუნებული აქვს ზმნური ძალა.  
 ასეთი მდგომარეობა შენარჩუნებულია XI საუკუნის ძეგლებშიც.  
 „მარტირიკა“ ამ საკითხში თითქმის ძველი ქართული ენის მდგომა-

რეობას ასახავს, უფრო სწორად, ანტონი ცდილობს თავის ენას არქაულობა შეუნარჩუნოს: ჯერ მოვიტანოთ მასდართან ნახმარი სახელობითი დასმული დამატების მაგალითები.

„სათანადო არს ჩვენდა კმევედ თხრობად მართალი...“ (44,24).

„უბრძანა... ცემად ივინი და აღპარსუად თმანი...“ (222,5).

„ითხოვეს განთავისუფლებად საპყრობილით სანატრელნი იგი პყრობილნი...“ (223,2).

„მარჰანმან ბრძანა განთავისუფლებად წმიდანი...“ (223,4).

„ჰსძულს გონებასა ჩემსა ახლორე მოსულად სიტყუანი შენნი...“ (297,7).

„ესრეთ სათანადო არს მიღებად კელმწიფება იგი...“ (410,28).

„იზრახა მოხდალ... მეფეა და... ჩუენებად დაა თსი...“ (51,26).

„ჭამად თევზი“ (61,27), „ჭამად ხორცი“ (61,28), „ყოფად ძერი...“ (59,37), „შეპყრობად წმიდა იგი“ (81,11), „აღწერად ღუაწლნი“ (92,6), „მიდრეკად გულნი“ (51,12), „მიცემად... სამეფონი“ (57,16) და სხვა მრავალი,

ვითარებითი დასმულ მასდართან მიცემითის მაგალითები „მარტირიაში“ არ გვხვდება, ნათესაობითის ხმარება კი ხშირია. ეს უკანასკნელი ფორმები ადრევე მკვიდრდება ძველ ქართულში<sup>46</sup> და მისი ხმარება არც „მარტირიაშია“ მოულოდნელი.

„შაჰ-აბას მეცადინი გამოღებად ციხისა...“ (46,30).

„იზრახა... მასპინძელ-ყოფად მეფისა...“ (51,27).

„მაზრახებელთა... განტევებად ქალისა სააკაძისა...“ (54,19).

„მოკლულად ღუარსაბისა შემდგომად არწმუნა შაჰ-აბას...“ (64,23) და სხვა.

2. პასიური კონსტრუქციები ურთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია „მარტირიის“ ენისა. ასეთი კონსტრუქციები ქართული ენის ბუნებისათვის არ არის ჩვეულებრივი, მაგრამ ბერძნული ენიდან ნათარგმნმა ლიტერატურამ კვალი დაამჩნია ქართულ ენას და ასეთი კონსტრუქციებიც თანდათანობით მომრავლდა, განსაკუთრებით XI—XII საუკუნეებიდან. მაგალითად, იოანე პეტრიწის ნათარგმნ თხზულებებში ასეთი კონსტრუქციების სიმრავლე ბერძნული ენის გავლენას მიეწერება<sup>47</sup>. „მარტირია“ ორიგინალური თხზულებაა, მაგრამ ანტონი ჭარბად ხმარობს პასიურ კონსტრუქციებს (და ეს,

<sup>46</sup> დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1972, გვ. 77.

<sup>47</sup> დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

აღბათ, უპირველეს ყოვლისა იოანე პეტრიწის გავლენა უნდა იყოს):

„რამეთუ მათ მიერ განეფინა სახარებაჲ ქრისტესი...“ (106,20);  
(შლრ. „რამეთუ მათ განეფინეს სახარებაჲ ქრისტესი...“).

„ეინაჲცა მარზაპანისაგან ბრძანებულ იქმნა...“ (114,7).

„მონაზონთაგან ვიეთმე... აღებულ იქმნეს...“ (116,11).

„ხოლო ნეტარსა ხრისტოფოროს ერწმუნა ილარიონის მიერ...“  
(135,8).

„მეფისა მიერ კითხულ იქმნა რაჲდენ...“ (144,11).

„მიგებულ იქმნა მეფე ნაცულად კითხვისა... ჭეშმარიტისაგან მკედრისა...“ (144,12).

„ესრეთ ქუათა მიერ ქოლუთა განტუნულ იქმნა თავი...“  
(116,3).

„ბრძანებითა მეფისათა იგუემა ფრიად და განიჩინა, რათა წარვიგზავნოს იგი მთაერისად რომლისამე...“ (147,20).

„რამეთუ განიგო ჩემთვის ქრისტე ჩემისაგან სიკუდილი...“  
(223,34).

„და იქო იგი ყოველთა ზეცისა ძალთაგან...“ (236,18).

„და უკანასკნელ გუეზრახა თუთ თავადისა მიერ ძისა თვისისა...“  
(285,13).

„მერმელა საპყრობილესა შინა შეიყენა...“ (316,27) და სხვა მრავალი.

**უზმნო წინადადებები.** უზმნო წინადადებათა არსებობას ძველ ქართულში ბერძნული ენის გავლენას მიაწერენ. ჩვეულებრივ გამოტოვებულია არს მეშველი ზმნა. ძნელია ვილაპარაკოთ ანტონის ენაზე უშუალოდ ბერძნული ენის გავლენის შესახებ, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგრძნობა გარკვეული გავლენა პეტრიწისა, თუმცა ანტონის მიერ უშემასმენლო წინადადებების ხმარება მართო მიმბაძველობით არ არის გამოწვეული: მას რიტორიკული, ინტენსიური თხრობის გადმოცემის სპეციალური ფუნქცია ეკისრება. „მარტირიკის“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უშემასმენლო წინადადებები გამოყენებულია უმეტესად იმ შემთხვევებში, როდესაც ანტონი მიმართავს „შესხმის“ ჟანრს, რომელიც თავისთავად მოითხოვს ამაღლებულ, პათეტიკურ წერის მანერას და საგანგებო ლიტერატურული ხერხების გამოყენებას. ერთ-ერთი ასეთი ხერხთაგანი სწორედ უშემასმენლო წინადადების გამოყენებაც არის. მეშველი ზმნების ან შედგენილი უშემასმენლის ზმნური ნაწილის ჩაგდებათ მიღებული უზმნო წინადადებები დიდი ოდენობით გვხვდება: „მაშინ ნადიმნი და ნადირობანი, სიხარულნი და ღმრთისადმი

მადლობანი მეფისაგან და გიორგისა, ხოლო უკეთურისა მისგანცა, მაგრა ზაკვლა ორგულებით...“ (17,30).

„მაშინ კუეთებანი საშინელნი ლახტანი და საზარელნი იგი ძკერებანი შუბთა და ოროლთანი, აღმოწოდანი და მკლავმაგარ-კუეთანი კრმალთანი და ამით დათრგუნუანი და წაქელუანი და აღწყუედანი მძნუარენი უცხოთესლთანი და ძლევა ყოვლად ბრწყინვალე და სახელოვანი მეფისა...“ (49,24).

ძირითადად უზმნო წინადადებებითაა გადმოცემული შეს-ხმის სტილით დაწერილი ადგილები: „ეჲა, საკურუელი ესე შე-ცუალემაჲ ეჲა, უხრწნელისა ამის კეთილდღეობისა დაკუეთებაჲ და ეჲა, წინათგამორჩევაჲ წმიდისა თესისა! ეჲა, ღმრთისა მიმართ კანდიერებისა სიმაღლე მმარხუელობისამიერი და კრძალულებისა, მოგებული ცორცთაგან განყრილისა სულისა...“ (125,34). ასეთი ემოციური უზმნო წინადადებები განსაკუთრებით დამახასიათებელია „მარტიკისათვის“ და დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი. ხშირად ასეთ წინადადებათა რიგს ტექსტის მთელი გვერდი უჭირავს. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ასეთი მაგალითის დასაწყისს ვაჩვენებთ:

1. მთავარი და დამოკიდებული წინადადება შემასმენლის გარეშე: „მაშინ შეგინებანი ქალწულთანი, სიკუდილნი მოხუცებულთანი, ვითარ ვერშემძლებელთა ტყუეობათა და გარდასახლვისათა, მაშინ სიკუდილი მებრძოლთა ჭაბუკთა არმტყეებელთა თესდა ტყუეობად და გარდასახლუად, მაშინ სიკუდილი მღუდელთა და ღიაკონთა...“ და ა. შ. (26,20).

„მარტიკაში“ მრავლად მოიპოვება ისეთი მაგალითები, როდესაც ინტენსიური თხრობის დროს პირველ წინადადებაში არის წარმოდგენილი ზმნა (დამხმარე), ხოლო მომდევნო წინადადებაში იგი იგულისხმება:

„სული იგი ნეტარი მიიწია მუნ, სადა-იგი არს კადრი უმწვერვალესი ყოვლად წმიდა უსაშუალოთა საყდართა, სადა — უზესთა-ესი გონებისა კაცობრივისა მღუდელმთავრობითი შემწირუელობა ძალთა, სადა — მსახურებითი მდგომარეობა მთავრობათა, სადა — საყდარი..., სადა — მსსგავსება..., სადა — საესებით მიღება ჯილდოსა, სადა...“ და ა. შ. (417,23).

აღსანიშნავია ასევე რიტორიკული მჭევრმეტყველების ისეთი მრავალი მაგალითი, სადაც ანტონი უზმნო და ზმნიან წინადადებათა კომბინაციას იძლევა: მთავარი წინადადება უზმნოა, ხოლო დამოკიდებული ზმნიანი. თავის მხრივ მთავარი წინადადებები თანწყობაში იმყოფებიან:

„ტივილ ჩემდა აღჯუარუა, რათა ვჰსცხოვრებდე ქრისტეს თანა, ჩემდა სასურუელ განგმერა, რამეთუ მწყურის სატრფიალომ-სადმი ჩემისა, ჩემდა უკუე ცეცხლი საწადელ, ნივთი განმლეველი ნაწებთა ჩემთა, რამეთუ ესტრფი, რათა უფროს შეეჰსტრფოდე, ხოლო საწყურ სიკუდილი, რათა უკუდაე ვიქმნე უკუდავისა თანა...“ (121,29).

ხშირია მაგალითები, როდესაც თანწყობილ წინადადებათა გაბმულ ჯაჭვში პირველი მათეარ წინადადებაში ორგანული წარმოების ზმნა არის წარმოდგენილი, ხოლო მომდევნო მთავარ წინადადებაში იგივე ზმნა მხოლოდ იგულისხმება, თითოეული მათგანის დამოკიდებული წინადადება კი ზმნიანი: „რომელნიმე ვჰსთქმიდეთ მისსა კეთილშობილებასა და..., რომელნიმე — უზრუნუელობასა მისსა ყოელისათჳს მსოფლიომსა, რამეთუ მან ჰეშმარიტებით შეიყუარა უფალი..., რომელნიმე — მისსა ნებასა..., რამეთუ“ და ა. შ. (268,14-270,31; ეს ერთი წინადადება რამდენიმე გვერდზე გრძელდება).

„რამეთუ რომელნიმე მათი იტყოდა: „ღმერთო, ღმერთო ჩემო...“, სხუა — „მე მძინავს და...“; სხუა — ...“ 323,25-324,6).

„მარტირიაში“ ყველა ზემოთ სასახელებული ტიპის უშემასმენლო წინადადების რაოდენობა ძალიან დიდია, მაგრამ ჩვენ მოტანილი მაგალითებით დავკმაყოფილდებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მაგალითები ანტონისათვის რიტორიკული სტილის ერთ-ერთი საშუალება არის და ამდენად ის განსხვავდება იმ უშემასმენლო წინადადებათაგან, რომლებსაც პეტრიწის თხზულებებში ვხვდებით და რომელთა არსებობა ძირითადად ბერძნული ენის გავლენით აიხსნება.

„მარტირიაის“ სტილის თავისებურებანი. თუკი ჩვენ შევეცდებით მიახლოებით მაინც დავახასიათოთ ანტონის ენის სტილისტიკური თავისებურებანი „მარტირიაის“ მიხედვით, უნდა გავიხსენოთ ის ენობრივი თავისებურებანი, რომლებსაც ჩვენ უკვე შევხვით: ეს იქნება ზოგიერთ ზმნათა და სახელთა თავისებური წარმოება, თანდებულთა თავისებურად გამოყენება (ერთი და იმავე თანდებულის წინდებულად და უკუდებულად გამოყენება), მიმდებრათა ჰარბად ნახმარი ფორმები და სხვა თავისებურებანი, რომელთა ერთობლიობა „მარტირიაში“ მის ენობრივ სტილს ქმნის. მაგრამ ძირითადი სტილისტიკურ თავისებურებათა დახასიათებისათვის მაინც სინტაქსის საკითხებია.

1. წინადადების წევრთა რიგი. ქართული ენისათვის ბუნებრივია, მარტივ წინადადებაში ჰქვემდებარე უშემასმენელზე წინ ილგეს.



ძველი ქართული ენის ძეგლებში, რა თქმა უნდა, არცთუ იშვიათია ამ თანმიმდევრობის დარღვევის შემთხვევები, რაც უკვე ამა თუ იმ ძეგლის სტილისტიურ თავისებურებებთან არის დაკავშირებული. წინადადების მთავარ წევრთა ადგილის შენაცვლება „მარტირიაში“ ლოგიკური მახვილის გამოხატვას ემსახურება და წმინდა სტილისტიკური დანიშნულება აქვს.

„და ამისთვის განიმართლების ორგულებასა ზედა მეფისააა გიორგი“ (54,16).

„ესე ყოველნი უკუე წარჰმართნა ძელისა მიერ... უფალმან...“ (150,9).

„... რომელმანცა იენო კორცითა ძელსა ზედა უფალმან...“ (150,10).

„მრჩობლობამ ვჰქმნათ სიყუარულია და ერთობისა მე და შენ...“ (24,2) და სხვა მრავალი.

ამავე მიზანს ემსახურება წინადადებაში წევრთა თავისუფალი განლაგება:

„არა თანასწორი აჩუენეს ერთგულებრივი განზრახუამ თეიმურაზს...“ (25,2).

„ვითარცა ანგელოსნი ღმრთისანი შეკრებულებამ იგი ქრისტეანეთა ეგრეთ ჰსჩანნ თულთა ჩემთა წინაშე...“ (214,10).

„ამას შინა შემდგომად დღეთა რაოდენთამე კოსტანტინე ტფილისით წარიგზავნა კრული სამეფოდ ბაბილონურად ქალაქად...“ (275,19).

„ბაგრატს თხოვისაებრ დემურ თანაწარსცა ძალი...“ (329,6).

„გრიგორის შორის უგრძნობელობამ ვერ დაჰსდუა მტერმან...“ (379,26).

„გრიგორის შორის ვერ ჰპოვა მტერმან ადგილი მოშიშებისა...“ (380,1) და სხვა მრავალი.

2. „მარტირიის“ სტილისტიკურ თავისებურებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ო — სხვათა სიტყვის ნაწილაკიც. ნაწილობრივ მის შესახებ საუბარი ჩვენ უკვე გვქონდა, მაგრამ აქაც უნდა გავიმეოროთ. ჩვეულებრივ, სხვათა სიტყვის ო წინადადების ბოლო წევრს დაერთვის: არა მარტო ზმნას, არამედ სხვა წევრსაც.

„მარტირიაში“ ო ნაწილაკი ყოველთვის ზმნას დაერთვის, ხოლო ასეთი ზმნა კი ყოველთვის წინადადების თავშია დამსული, რაც წინადადებას განსაკუთრებულ ინტონაციას სძენს:

„მიართუესო ლათინთა შაჰ-აბასს ათორმეტი ათასი თუმანი...“ (34,3).

„ვიყავო ოდესმე თუთ მენელსაცხებელ (!)...“ (244,35).

„ალუტევესო კახთა ყოველთა კმა...“ (25,14).

„მიუწერაო ესე ყოველი დედოფალმან... ძესა თუსსა...“ (35,33).

„შესძინაო კულად შესამედ ყაენმან...“ (25,21) და სხვა მრავალი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ო ნაწილაკი „მარტირიკაში“ ყოველთვის გამოყენებულია პირდაპირი თხრობის დროს, ანტონი მას გამოყენებული წყაროების ციტირების დროს იყენებს. ციტატა თითქმის ყოველთვის ო ნაწილაკიანი ზმნით იწყება.

3. წინადადების წვერთა გათიშვა. სტილისტიკურ თავისებურებათა შორის წინადადების წვერთა გათიშვა „მარტირიკის“ ყველაზე უფრო დამახასიათებელი თავისებურებაა. „მარტირიკის“ ტექსტის გაგებაც ყველაზე უფრო სწორედ ასეთი გათიშვების სიმრავლე აძნელებს.

ა) ყველაზე მრავალრიცხოვანია მსაზღვრელ-საზღვრულის, ეს იქნება ატრიბუტული თუ მართული მსაზღვრელი, გათიშვის შემთხვევები:

„და ტრკციალი მქნუარე დიდ-დიდთა მკმოლუარეთა კშირად განსრედა მუგუზთა...“ (335, 36).

„და ზრუნვა ვკყოთ სულიერთათეს ამიერიდან საქმეთა...“ (1,15,8).

„შესაბამნი ღმრთისმსახურებისა თუსისანი შექსწირნა ცრემლით მადლობანი ღმრთისადმი...“ (23,11).

„არა თანასწორი აჩუენეს ერთგულებრი განზრახუა თეიმურაზს...“ (25,2).

„ალუტევესო კაცთა ყოველთა კმა წინაშე დედოფლის ტირილისა...“ (25,14).

„მაშინ კორცნი იგი წმიდანი მრჩობლითა იენებდეს ტყვილითა...“ (32,30).

„უნიეთოფთა მოამრგულა ფარგლითა გარემოა იგი...“ (358,17).

„განლქებულსა ეოცნა გონებასა...“ (85,34) და სხვა უამრავი.

ბ) არის ორმაგი გათიშვის მაგალითებიც, როდესაც ორი სინტაგმა ერთიმეორეს თიშავს:

„და ამით სიტყუათა მიზუზითა მორწმუნეთა მკმენელთა მიმართ ვკსდგა მონადირებად საგულისხმოთა სულთა მათთასა...“ (38,10).

გვხვდება შედგენილი შემასმენლის გათიშვის შემთხვევებიც:

„გამოუთქმელ უკუე არიან შრომანი წმიდისანი...“ (101,4).

გ) განსაკუთრებით ჭირს ტექსტის შინაარსის გაგება, როდესაც გათიშულია წინადადებათა ნაწილები:

„მაშინ მეფე, დრო იყო ზაფხულისა და, კოყრისა ზედა ანუ თავსა წაეკისისასა იმყოფებოდა სიმრთელისათჳს ქაერისა...“ (54,24).

„და რომელთაჲცა თუთ ერთისგანისა გუამისა, რომელიცა გონებისაებრ და სიტყუა და სულისა სამობა არს, თუთკეთილობა იგი ერთი იხილეს განგებულებით კორციელებრსა უგიობელსა ზრწნილებასა შინა ყოფა...“ (68,12).

„იტყუან, ვითარმედ ზედმაზრუელმან გიორგი, ძმამან მისმან მრწემმან, ბოროტის ყოფად, რომელიცა მამასა უფრო უყუარდაო, ვიდრე დაეითლა, აწყინა რამეჲ ძრის-ჩუენებაჲ დაეითს, რომლისათჳს დაეით მიულო მეფობაჲ მამასა...“ (16,33).

„ხოლო შამ-აბას ძერი იგი, რომელი აქუნდა დაფარული გულსა თჳსსა მეფეთა ზედა ჩუენთა, რომელიცა აღრითგან დაემარხა, მიიღო მიზეზი...“ (24,18).

დ) ხშირია შერწყმულ წინადადებაში ერთგვაროვანი წევრებით გათიშვის მაგალითები:

„გარნა დიღსულთა მოწამეთა ტკბილადრე შესუეს და სიხარულით სასმელი იგი...“

„ერთითა ნათლითა ელუარეობდიან და სამითა ერთითა არსებისათჳს...“ (193,22).

4. რიტორიკული სტილი. „მარტირიკის“ ის ადგილები, სადაც ავტორი მიმართავს მოწამეთა შესხმა-ქებას, ამაღლებული პათეტიკური მანერითაა დაწერილი და რიტორიკული სტილის მრავალ ნიმუშს შეიცავს. უზმნო წინადადებებზე საუბრისას ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ასეთი წინადადებების სიჭარბე, მათი მონაცვლეობა ზმნიან წინადადებებთან ქმნის თავისებურ კოლორიტს და ანტონის ენის სტილისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ერთგვარი ინტონაციით დაკავშირებულ წინადადებათა რიგში თითოეული წინადადების თავში ერთი და იგივე შორისდებულის, რომელიმე ზმნიზედის ან ნაცვალსახელის განმეორებით ანტონი აღწევს დაძაბული, ემოციებით დატვირთული სურათის დახატვას. უზმნო წინადადებათა განხილვისას ასეთი მაგალითები წარმოვადგინეთ. აქ კი ასეთი დანიშნულებით ნახმარ ჩვეულებრივ წინადადებებს მოვიტანთ:

ა) ვინმე// ვისმე. „ვინ-მე უკუე ესრეთ უნივთოდ მლოცუელ სსუა ვითარ ესე, რომელმანცა მოილო ძლევაა კორცთა ზედა და, უდიდეს ვსთქუა, ბუნებასა ზედა? ვინ-მე სადამე ესრეთ შემოიკრიბა ერთ-ბამად თხოვაა მეცნიერ და კეთილად და აღსრულებისა უიჭუელი სასოებაა? ვის-მე სადამე ჰკდემოდა ერთა კელისაგან და პირისა მღუ-დელთასა? ვინ-მე სადამე უფროს შეამკუა და განამდიდრნა წმიდანი ეკლესიანი? ვინ-მე უფროს პატივ-ჰსცა ყოველთა სახესა სიბრძნის-მოყუარებისასა? ვინ-მე უფროს განლინა კორცნი მარხვთა და...“ ა. შ. (22,4).

ბ) ესრეთ. „ესრეთ უარ-იყოფოდეს კორცნი წმიდათაგან, ესრეთ იჯმნიდეს წმიდანი სოფლისაგან, ესრეთ ქრისტეს ეზიარე-ბოდეს, ესრეთ საარწმუნოებასა მისსა მიმართ წმიდათა სიყუარუ-ლითა... განაშუენებდეს, ესრეთ ბეჭდითა ... ცხოვრებასა კორცთა შინა თვსთა მოიგებდეს, ესრეთ ხულთა თვსთა წმიდათა გონებასა... განუწმედდეს, ესრეთ გონებასა... იქმოდეს და... ამღუდელოქმე-დებდეს...“ (164,5-15).

გ) მაშინ. „მაშინ შეგინებანი ქალწულთანი... მაშინ სიკუდილი მეტბოდოლა ჰაბუკთა... მაშინ სიკუდილი მღუდელთა...“ (26,20).

დ) აჰა, გუნდი ჰრჩეული კრძალულებისა...! აჰა, მაცხოვრე-ბელობა ანგელოსებრი...! აჰა, სხეულნი დაწულილებულნი მარხვსა მიერ...! აჰა, ნებსით საჭურისნი სასუფეველისათვს ცათასა! აჰა, მამაკაცნი ნებსით განმცემელნი თაეთა თვსთანი...! აჰა, შეკრებუ-ლება დაბალ-მზრახუელთა...! (192,13-22).

ე) დონამიკურ თხრობაში ზოგჯერ წარსული დროის მოქმედე-ბა გადმოცემულია აწმყოს მწკრივში მდგარი ზმნებით: „აბო... შეიწყნარებს სიყუარულით... სახარებასა..., აღიარებს ყოველთა განგებულებათა მისთა, ერჩის ყოველთა მოცემულთა მოციქულთა-გან..., მიიღებს ყოველთა ჰსჯულისდებათა მამობრივთა მოძღურე-ბათაგან..., შეიწყნარებს წმიდასა სამებასა თვს შორის, ადულ ის-წავებენ საღმრთოთა... წერილთა...“ (134,26-34). ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ტიპიური მაგალითი ვაჩვენეთ, რომლის მსგავსი ძალიან ბევრია „მარტირიკაში“.

5. „მარტირიკაში“ გამოყენებული მსატერული თხრობის სა-შუალებანი. ანტონი უდაოდ თხრობის დიდი ოსტატია. „მარტირი-კის“ ყველა თხზულებაში ჩანს მისი დიდი ერუდიცია და თხრობის ლოგიკური სიღრმე, ფილოსოფიისა და დოგმატიკის საკითხების ღრმა ცოდნა და ამ ცოდნის ლოგიკური დაკავშირება თხრობის ძი-რითად თემასთან. თითოეული თხზულების შესავალი წარმოადგენს ანტონის ფილოსოფიურ-დოგმატიკური განწყაველულობის დემონს-

ტრირებას, თუმცა ის თვითმიზანი არ არის და ყოველთვის დაკავშირებულია მოწამის სულიერ განცდებთან. რომელიმე ფილოსოფიური თუ ღოგმატიკური დებულების წარმოსაჩენად ანტონი შესანიშნავად იყენებს წყაროებს (ძირითადად ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს) მათ სიმბოლიურ და ალუგორიულ მხატვრულ ხერხებს და ყველაფერს ამას უმორჩილებს მთავარი დებულების სრულად წარმოდგინებას, ხოლო ამ უკანასკნელს ორგანულად უკავშირებს ამა თუ იმ მოღვაწის თუ მოღვაწეთა ჯგუფის თავგანწირვის მიზეზებს და ამტკიცებს მათი მოქმედების გარდუვალობას.

ანტონის მხატვრული ენაც ყურადღებას იმსახურებს. ანტონის ღრმა და რთული აზრები უმეტესად შესანიშნავი მხატვრული ხერხებითაა გადმოცემული, ხშირია ავტორისეული შენიშვნები თხრობის პროცესში, ის ხშირად გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას თხრობის ობიექტთან დაკავშირებული ზოგიერთი მომენტის შესახებ, ხშირად კომენტარს უკეთებს საღმრთო წიგნებიდან მოტანილ ციტატებს, ე. ი. განმარტავს მათ მნიშვნელობას. თითოეული თხზულების გარკვეულ მონაკვეთში ანტონი კიმნოგრაფის როლში გვევლინება და სხვადასხვა რიტორიკული ხერხის გამოყენებით ქებას ასხამს შესხმის საგანს.

ანტონის მხატვრული თხრობის ყველა მომენტის ჩვენება გაჭირდება, ამიტომ თითო-ოროლა მაგალითს მოვიტანთ:

ა) ავტორისეული შენიშვნები:

„ხოლო ვგონებ ამისთვის თუნიერ იჭვსა, ესე სამოილ იგი არს, რომელმანცა დროსა მამათმთავრობისა სხუსა სამოილისსა, პატივითა არხილიაკონმან, საღმრთონი საიდუმლონი განუმარტნა ნეტარსა ევსტათის და ცნობად ჭეშმარიტებისა მოიყვანა იგი...“ (227,17).

„მეცნიერ ვარ ძალისა ჩემისა, ვითარმედ ვერ შემძლებელ იქმნენ ენანი იგი თქმად...“ (267,35).

„ესე უკუე წინამდებარეა ჩემდა გალობად და ქებად სიყრმით გან ჩემით, ვითარმედ უწინარეს მონაზონებად მოსლვისაჲა მიერით, ოდეს-იგი მწიგნობარ ვიქმენ, თუ მსთქუა, წიაღსაჲე შინა დედისასა ყოფისა დროსა უწყებულ-ქმნამან სიმკნეთა მისთაგან და ქრისტესთვის ძლევათა სასურუელ ჩემდა მყუეს და აღრითგან დაიდუა ჩემ შორის...“ (306,24-28).

„სათანადო ვიდრემე არს ჩემდა არა დატყეებად ევსტათი..., რომელმანცა შეამკო სისხლითა ქალაქი, სადა-იგი ვიშვე, და უნჯად... დადებითა თუსისა... სხეულისათა ეკკლესიამ იგი..., რომლისა მართებითი წინამძღურებაა ანუ მწყემსობამ მივიღე უღირსად...“ (211,13-17) და სხვა.

ბ) ავტორი ხშირად ისტორიკოს-კომენტატორის როლში გამოდის, განმარტებას იძლევა რომელიმე ძველი ჩვეულებისა თუ ისტორიული ფაქტის შესახებ: „და ხუთთა ძურისმოქმედთა მის თანა ძელითა სიკუდილსა განაჩინებდეს, რამეთუ ცნობადმდე ჭეშმარიტებისა წმიდისა მიერ და მოციქულთა მსწორისა კოსტანტინე თეთმპყრობელისა ყოველსა სოფელსა მსჯულისაგან მეფობითისა ძელითა სიკუდილად დაისჯებოდინ უდიდეს ძურისმოქმედნი...“ (148,34).

„ვიითარ-იგი მძლენი მაკედონელნი, მოქცეულნი ინდიათ ნებითა აღექსანდრე დიდისათა, კელთა თესთა მიერ ყუაიელითა გერგუნოსან იქმნეს. და ალკივიადოს დიდისა ძლევისათეს, რომელი მიიღო ლაკდემონელთა ზედა, ათინელთაგან თანმოქალაქეთა თესთა ძურფასითა ოქროასა გერგუნოსან იქმნა...“ (284,1-6).

გ) ძალიან საინტერესოა ანტონის ერთი კომენტარი, რომელიც ჩართულია შალვა ახალციხელის წამების ტექსტში: ანტონი საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ იოვანე ათაბაგი, რომელიც სარდლობდა ქართველთა ლაშქარს გარნისის ბრძოლაში ჯალალდინის წინააღმდეგ და რომელსაც იგი ადანაშაულებს ქართველთა დამარცხებაში, ამ დროს \* ფარულად „მონაზონქმნილი იყო“ და იქვე კომენტარს უკეთებს ამ ფაქტს:

„რომლისად უმჯობეს იყო და ჩუენდაცა საყოფლად საეანეი მემშოლოეთა, რომლითა უფრორე თავისუფლად განიბერტყდა გორცთა და სულსა... ხოლო ჩუენ ნუთუ განვერენითმცა მაშინდელისაგან ყოვლად მძენუარისა აღსპობისა...“ (311,19-24).

დ) ანტონი საღმრთო წიგნებიდან ზოგიერთი ადგილის განმარტებასაც იძლევა:

„ექსჭამე პური ჩემი თაფლით ჩემით“ (ქება 5,1), ესე იგი შეკუალებითა მით თქმულითა: ხილთა ბუნებისათა სიტკბოებასა სათნოსა თჳსსა აღინებს სიძე ხილთაგან და თუ პური იგი ცხოვრებისა სახელსა თესსა ზედწოდებულ-ჰყოფს მათ ზედა...“ (250,18-21).

„ხოლო კუალად: „ექსუ ღწოა ჩემი სძითა ჩემითა“ (ქება 5,1), ესე იგი შეკუალებითა მით: პატიოსნითა ბუნებისა ხილთათა აღინებს სიძე ხილთა მათგან...“ (იქვე). „რომელნი ჰყოფენ „ერთსა დაბეჭდულსა წყაროსა“ (ქება 4,12), ესე იგი ერთსა და მასვე წმიდასა გულისხმის-ყოფასა, ანუ ერთსა პაზრსა წმიდასა, რომელმან შეპკრიბნა მრავალბევრ ნაკადულნი იგი ერთად წყაროდ და დაჰქმნა, რათა უკუდავისა სიძისაგან უცხოთა და მიუთუალუელთა პაზრთა და წარმოდგომათა ბნელთა და შერეულთა და განსჯათა ცრუთა ვერ განაღონ იგი...“ (250,27-33).

ე) „მარტირიაში“ ბევრი ადგილი მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ნიმუშია, სიტყვის ნამდვილი ოსტატის ნახელავი, რაშიც რამდენიმე არა საგანგებოდ შერჩეული ადგილის მოტანითაც შეიძლება დაერწმუნდეთ:

„და ოდეს აღმობრწყინდეს მზე სხეულსა თუალსა შინა, უგრძნობელ იქმნენ თულთაგან ვარსკულაენი...“ (87,4).

„ვითარ-იგი წუმიერსა ღრუბელსა შინა ანუ წყლითა აღუსებულსა ბურთსა შინა ბროლისასა საეხედ მოსრულმან შარაჲანდელმან მზიურმან გამოჰსცნეს ფერნი შუენიერნი სხუადასხუანი...“ (237,31-33).

„ხოლო ბორცუ ესე ყუავილოვან ჰყო, რამეთუ დაჰსთესნა მის შორის სიტყუანი სახარებისანი და არა ჰსცა ადგილი ღროსა აღმოსლუსა მათისასა „აღმოსულად ეკალთა ქუეყნიერთა ზრუნუთა, რათა შეაშთუესმცა ნაყოფიერებაჲ თესლისა“, არცალა უტყვენა მოსულად მფრინულნი აღკრებად და შეჭმად, „რომელნი-იგი ჰფრინაენ (!) დღისი“, ვერცალა სიმჭირსემან სიტხისა მკურულეებისამან განაჰყო, რამეთუ ქუეყანასა შინა კეთილსა დაება ძირი...“ (211,36-212,6).

„და მათ ყოველთა შორის ერთობა მზისა, ღმრთისა თუთოეულეებითა მათითა იქადაგების, ვითარ-იგი მრავალთა ოქროსსა ჭურჭელთა სხუადასხუაგუარად დანაკუეთთა კელოვნებაჲ ოქროსმჭედლისა მისევე და ერთისა იცნობებოდეს...“ (229,1-4).

„ხოლო ქუათა ზედა თრევითა ნაწეარნი დაჰქსნდებოდნიან და კუერთხებითა მყოვარ გუემისა ძლით მგუემელნი მოწამისანი მოუძღურდებოდნიან...“ (146,22).

„და ესრეთ ბადესა წმიდათა სიტყუათა მისთასა შეწყუდეულნი სიმრავლენი გულმხმელთა თეუზთანი მიართუნა უჯერკულოდ მომავლინებელსა თესსა...“ (117,11).

„მაშინ განსაცდელთა სიძნელენი წმიდისად და წმიდა მოთმინეა განსაცდელთად დაიმრჩობლებოდენ...“ (27,12).

„იქმნა ჭეშმარიტად ნიშან მშუდობისა ირისედ განჭრელებულ: წითლად — სისხლითა ვნებისათა წმიდითა, მზისფერ — ყოვლითა სათნოებათა მონებისა ძლით..., მწუანედ — ნიადაგ არეობითა და დაუბერებელითა კეთილობისათეს თეს შორის მოგებითა, იისფერ — მგლოვარებისაცა თეს შორის ქონებითა...“ (78,25).

„სატანჯუელნი... ნუ დაცხრომადნია და მოკლებადნი, რომელიცა სისხლისა მოძრავობისა ჩუენისა დაცხრომისა ღროსა დაჰსცხრეს იგიცა...“ (292,20).

„ორთავე ძმათა მათ ახალციხელთა ქუეშე გამოუკლნეს ცხენნი...“ (312,17).

ამრიგად, ანტონ ბაგრატიონის ენის შესახებ „მარტირიკის“ მიხედვით ასეთი ზოგადი დასკვნა შეიძლება გაეკეთოს:

1. „მარტირიკა“ ძირითადად ძველი ქართული ენის ნორმების დაცვით დაწერილი ძეგლია. ძირითადად სწორად არის ნახმარი ანტონის ეპოქისათვის ნაკლებად მოსალოდნელი აწმყოს, უწყვეტლისა და წყვეტილის ხოლმეობითი მწკრივების ფორმები, ყოველთვის დაცულია II კავშირებითში ასახული ობიექტის მრავლობითობის ნ-ის შემდეგ კავშირებითის მწკრივის ე-მაწარმოებელი, ავ და ამ თემისნიშნიან ზმნათა უღვლილების თავისებურებანი უწყვეტლის მწკრივში, სტილიკური ზმნების აწმყოს ფორმები და თურმეობითის მწკრივთა წარმოება. უმრავლეს შემთხვევებში ძველი ქართული ნორმების მიხედვით წარმოდგენილი წყვეტილის მწკრივში III პირის მრავლობითობის პირის ნიშანი გარდაუვალ ზმნებთან და სხვა. ასევე ძირითადად ძველი ნორმების მიხედვითაა მსაზღვრელ-საზღვრულის (როგორც ატრიბუტულისა, ისე მართულისა) შეთანხმება რიცხვში და ბრუნვაში, მასდარული კონსტრუქციები, მიმლეობური ფორმები, ადამიანთა სახელების მოთხრობითი და სხვ.

2. თავისებურებებიდან გამოსაყოფია ისეთი ფორმები, რომლებიც, ალბათ, პეტრიწის ენის გავლენას უნდა მიეწეროს: ზოგიერთ მიმლეობათა თავისებური წარმოება, ლექსიკური ერთეულები, ზოგი ახალი კავშირის დამკვიდრება (მაგრა), თანდებულის თავისებური ხმარება (მებრ, თეს წინდებულად), უზმნო წინადადებები, წინადადების წევრთა გათიშვა და სხვა.

